დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი

2 ნაწილად

 სახელმძღვანელო უმაღლეს კომუნისტურ სასწავლებლებისა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებისათვის

კომუნისტური აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის კოლექტივი

მ. მიტინის ხელმძღვანელობით

გამომცემლობა 1934

ნაწილი I

დიალექტიკური მატერიალიზმი

ხახელმძღვანელო უმაღლეს კომუნისტურ სასწავლებლებისა
და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებისათვის

კომუნისტური აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის
კოლექტივი

მ. მიტინის ხელმძღვანელობით

პარტგამომცემლობა 1934

პ/რედაქტორი: ი. ვაშაყმაძე
შთარგმნელები { ბ. ბარათაშვილი
ბ. ხაყვარელიძე
ხ. თავაძე
ტექ. რედაქტორი: ნ. ვახილჩენკო
კორექტორი: ნ. მშველიძე

გად. წარმ.: 20/VII—34 წ.
ხელმ. დასაბ.: 5/VIII—34 წ.
მთავლ. რწმ.: ბ. № 46
ქაღ. სტანდ.: 62×94; 6×10
შეკვ. № 345 სპეც. № 56
ტირაჟი: 10.000

პარტგამომცემლობის I სტამბა, ლენინის ქუჩა № 3.

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიის სახელმძღვანელოს შედგენა უმაღლეს კომუნისტურ სასწავლებლებისა და უმაღლეს სასწავლებლებისათვის არის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელიც უკვე დიდი ხანია დასმულია პარტიის მიერ თეორიული ფრონტის ფილოსოფიურ დარგში მომუშავე კომუნისტების წინაშე. მაგრამ მთელ რიგ მიზეზების გამო ეს უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანა დღემდე არ იყო გადაჭრილი რამდენიმედ მაინც დამაკმაყოფილებლად.

დისკუსიამ ფილოსოფიურ ფრონტზე და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებამ ჟურნალ „პოდ ზნამენემ მარქსიზმა"-ს შესახებ ფილოსოფიური ფრონტის მუშაკთა ყურადღების ცენტრში დააყენა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პარტიულ სახელმძღვანელოს შედგენის ამოცანა. დაისვა ამოცანა შეგვედგინა სახელმძღვანელო, რომელშიაც გაღრმავებით და ამასთანავე საკმაოდ პოპულარულად და სისტემატიურად იქნებოდა გადმოცემული დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის საფუძვლები და რომელშიაც მოცემული იქნებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის მექანისტურ და მომენშევიკო-იდეალისტურ დამახინჯებათა გადამჭრელი კრიტიკა; მოგვეცა კაუტსკის, მ. ადლერის და სხვ. სოციალ-ფაშისტური სახელმძღვანელოების ყოველმხრივი მხილება.

ამ კოლექტიური შრომის ორი ნაწილი — ასეთი სახელმძღვანელოს შექმნის ერთერთი პირველი ცდაა. ავტორები და რედაქტორები თავის მიზნად ისახავდენ: 1) გაეშუქებიათ დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითადი საკითხები და მისი გამოყენება საზოგადოების ისტორიისა და პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიულ პრაქტიკის მიმართ, რომელთაც თავისი დამუშავება და კლასიკური გამოხატულება ჰპოვეს მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის შრომებში; 2) მოესპოთ მექანისტებისა და მომენშევიკო იდეალისტების მიერ შექმნილი განხეთქილება პროლეტარიატის თეორიასა და პრაქტიკას, ფილოსოფიასა და პოლიტიკას შორის, მსოფლმხედველობასა და მე-

თოდს, მატერიალიზმსა და დიალექტიკას შორის; 3) გაეშუქებიათ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის საკითხები ბურჟუაზიული ფილოსოფიისა და სოციოლოგიის და აგრეთვე თანამედროვე სოციალ-ფაშისტურ შეხედულებათა კრიტიკის საფუძველზე; 4) გაეშუქებიათ ფილოსოფიის როლი პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლაში ორ ფრონტზე: მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმთან და კონტრრევოლუციურ ტროცკიზმთან, მექანიციზმთან და მომენშევიკო იდეალიზმთან როგორც პარტიის გენერალური ხაზიდან გადახრების ფილოსოფიურ საფუძველთან; 5) გამოემეღავნებიათ და გაეშუქებიათ ის ახალი, რაც შეაქვს მარქსიზმ-ლენინიზმს ლენინისა და სტალინის სახით მარქსიზმის ფილოსოფიის საერთო საგანძურში.

ასეთია ის მიზნები, რომლებიც განსაზღვრავენ წიგნის შინაარსს და მასში წარმოდგენილი მასალის დალაგების ხასიათს.

წიგნი ჯერ არ არის თავისუფალი მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებათაგან. მხოლოდ შემდგომი მუშაობა ამ მასალაზე, მხოლოდ მთელი მკითხველი მასის, პირველ რიგში კი ფილოსოფიური ფრონტის ყველა მუშაკთა დახმარება და მითითებანი, მხოლოდ გაშლილი ბოლშევიკური თვითკრიტიკა მოგვცემს შესაძლებლობას შევიტანოთ ყველა აუცილებელი შესწორება და გაუმჯობესება სახელმძღვანელოს შემდგომ გამოცემაში.

სახელმძღვანელოს პირველი ნაწილის შედგენაში მონაწილეობას იღებდენ ამხ. ამხ. ბაზილევსკი, ბობროვნიკოვი, ვანდეკი, ლიპენდინი, მაეგოვი, მაკაროვი, მიტინი, სიტკოვსკი, ტაშჩილინი, შევკინი, შორინი, ჩერეშნიხი. საერთო ხელმძღვანელობა, მასალის დამუშავება და ტექსტის რედაქცია ამხ. მიტინს ეკუთვნის.

თ ა ვ ი I

მარქსიზმ-ლენინიზმი—პროლეტარიატის მსოფლმხედველობაა

1. მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი

მარქსიზმი წარმოადგენს შეხედულებათა მწყობრ თანამიმდევრულ სისტემას — პროლეტარიატის იდეოლოგიას, რომელიც დაამუშავეს მარქსმა და ენგელსმა და შემდეგ განავითარეს ახალ ისტორიულ ეპოქასთან — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქასთან — შეფარდებით ლენინმა და სტალინმა. ეს მოძღვრება, რომელიც განირჩევა განსაკუთრებული სიღრმითა და მთლიანობით, ყოველმხრივია: იგი მოიცავს ცოდნის მთელ ერთობლიერობას — დაწყებული ფილოსოფიური მსოფლმხედველობით და დამთავრებული პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის პრობლემებით. მარქსიზმი პროლეტარიატს უჩვენებს კაპიტალისტური მონობის ბორკილებისაგან განთავისუფლების გზას, კაპიტალისტური წყობილების რევოლუციურად მოსპობის გზას, უკლასო კომუნისტური საზოგადოების აშენების გზას.

მ თ ა ვ ა რ ი მარქსიზმში — ეს არის მოძღვრება პროლეტარიატის როგორც სოციალისტური საზოგადოების შემომქმედის მსოფლიო-ისტორიული როლის შესახებ — მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. მარქსიზმ-ლენინიზმი არის ერთადერთი სწორი ბოლომდე რევოლუციური მოძღვრება. „მარქსიზმში არაფერი არ არის „სექტანტობის“ მსგავსი რამ, ისეთი კარჩაკეტილი, გაქვავებული მოძღვრების აზრით, რომელიც მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების ძირითადი გზის მ ი ღ მ ა წარმოიშვა“ [1]. მარქსიზმი წარმოადგენს XIX საუკუნის იმ სამი უმნიშვნელოვანესი იდეური მიმდინარეობის განგრძობასა და დამთავრებას, რომელთაც თავისი განვითარება ევრო-

[1] ლ ე ნ ი ნ ი, მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი, თხზ. ტ. XVI, გვ. 349 (რუსული გამოც.). აქ, ისე როგორც ყველგან ქვემოთ, ლენინიდან ციტატები მოყვანილია თხზულებათა კრებულის მესამე გამოცემის მიხედვით.

პის სამ მთავარ ქვეყანაში მიიღეს. მარქსიზმმა ღრმა მეცნიერული რევოლუციური პასუხი გასცა ყველა ივ კითხვებზე, რომლებიც უკვე წამოაყენა ადამიანთა მოწინავე აზრმა. მარქსიზმის მოძღვრება „კანონიერი მემკვიდრეა ყოველივე უკეთესის, რაც კი კაცობრიობამ შექმნა XIX საუკუნეში გერმანული ფილოსოფიის, ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის და ფრანგული სოციალიზმის სახით“[1].

მარქსიზმი როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა წარმოიშვა და ჩამოყალიბდა იმ პერიოდში, როდესაც პროლეტარიატი საკმაოდ მომწიფდა იმისათვის, რომ მთელი სიმწვავით წამოეყენებია თავისი განთავისუფლების ამოცანა. მარქსიზმი იმ პერიოდში წარმოიშვა, როდესაც პროლეტარიატმა იწყო მსოფლიო ისტორიულ ასპარეზზე გამოსვლა, როდესაც უკვე მკვეთრად გამოაშკარავდა წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძომესაკუთრულ ხასიათს შორის, რაც ახასიათებს წარმოების კაპიტალისტურ წესს და რაც წარმოადგენს ბურჟუაზიული საზოგადოების ყველა ანტაგონისტურ წინააღმდეგობათა წყაროს.

მაშინ ევროპის სამ წამყვან ქვეყანაში — ინგლისსა, საფრანგეთსა და გერმანიაში, რომლებიც კაპიტალისტური განვითარების სხვადასხვა დონეზე იდგენ, სხვადასხვაგვარი ძალით და სხვადასხვა მხრით მეღავნდებოდენ კაპიტალიზმის ეს ანტაგონისტური წინააღმდეგობანი. მოწინავე საკაცობრიო აზრის სამი უმთავრესი მიმდინარეობა — კლასიკური ეკონომია, ფრანგული სოციალიზმი დაკავშირებით საერთოდ ფრანგულ რევოლუციურ მოძღვრებებთან — გამოხატავს ამ წინააღმდეგობათა მოძრაობას. ბურჟუაზიული საზოგადოების ამ წინააღმდეგობებში და მათ გამომხატველ საზოგადოებრივ თეორიებში უნდა ვეძიოთ მარქსიზმის ისტორიული ფესვები.

მარქსისა და ენგელსის მსოფლვაგებამ, რომელიც პირველად თანმიმდევრობით განვითარებულია „გერმანულ იდეოლოგიაში“, „ფილოსოფიის სიღატაკეში“ და „კომუნისტურ მანიფესტში“, ჩააბარა ისტორიული გამოცდა 1848 წლის რევოლუციური პრაქტიკით და 1871 წლის რევოლუციით პარიზის კომუნის სახით. შემდეგში იგი მზარდი სისწრაფით მოედო მიმდევართა სულ უფროდაუფრო ფართო წრეს ყველა ქვეყანაში, რაზმავდა რა მათ კომუნისტების ინტერნაციონალურ პარტიაში. 70-იან წლებისათვის მარქსიზმი იმარჯვებს ყველა სხვა იდეოლოგიაზე მუშათა მოძრაობაში. მაგრამ ამ იდეოლოგიების

[1] ლენინი, მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი, თხზ. ტ. XVI, გვ. 349 (რუს. გამოც.). ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

მიერ გამოხატულმა ტენდენციებმა იწყეს სხვა გზების ძიება და „ალსდგენ“ როგორც რევიზიონიზმი.

მარქსიზმი დაუნდობლად აკრიტიკებს ძველ თეორიულ პრინციპებს. მარქსიზმის განვითარების დასაწყისში ეს კრიტიკა უმთავრესად ეხება მარქსიზმის სამ წყაროს: გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიას, ინგლისურ კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას და ფრანგულ უტოპიურ სოციალიზმს დაკავშირებით საერთოდ ფრანგულ რევოლუციურ მოძღვრებებთან. ამასთანავე ერთად მარქსიზმი თავისი თეორიული კრიტიკის ცეცხლს მიმართავს კაპიტალისტური მსოფლიოს ძირითად წინააღმდეგობათა წინააღმდეგ და ახდენს მუშათა რევოლუციური მოძრაობის მობილიზაციას მის შესაცვლელად. ეს ორმხრივი პროცესი, რომელიც განუყრელად აკავშირებს გამოკვლევასა და კრიტიკას, ახასიათებს მარქსიზმის შინაარსს მისი ყველა სამი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილის მიხედვით. მარქსიზმი წარმოიშვა როგორც XIX საუკუნის თეორიული აზრის სამი უმნიშვნელოვანესი მიმდინარეობის განგრძობა და განვითარება. მაგრამ იგი ამასთანავე ერთად ნიშნავს, როგორც ამაზე არაერთხელ მიუთითებდა ლენინი, ამ მოძღვრებათა კრიტიკულ გადამუშავებას მუშათა კლასის, მისი ისტორიული ამოცანების თვალსაზრისით, პროლეტარიატის დიქტატურისათვის, უკლასო კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის თვალსაზრისით. მაშ როგორია მარქსიზმის შემადგენელი ნაწილები?

პირველი, ფილოსოფიური მოძღვრება — უახლესი, ბოლომდე თანმიმდევრული მატერიალიზმი. ეს არის მატერიალიზმი, რომელიც არ შეჩერებულა XVIII საუკუნის დონეზე და ფეიერბახის მჭვრეტელობით მატერიალიზმზე, არამედ გამდიდრდა ჰეგელის იდეალისტური მისტიკისაგან განთავისუფლებული და კრიტიკულად გადამუშავებული დიალექტიკით, რაც გავრცელებულ იქნა ადამიანთა საზოგადოების შემეცნებაზე. ეს დამთავრებული მატერიალიზმი, რომელიც წარმოადგენს ბუნებისა და საზოგადოების შემეცნებისა და შეცვლის მეცნიერულ მეთოდს, არის დიალექტიკური მატერიალიზმი.

მეორე, ეკონომიური მოძღვრება—კაპიტალისტური საზოგადოებრივი ფორმაციის წარმოშობის, განვითარებისა და დაღუპვის კანონების აღმოჩენა. მარქსიზმმა გამოამჟღავნა შრომის ორმაგი ხასიათი, გამოააშკარავა საქონლის ფეტიშიზმი როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა გასაგნობრივება საქონელში, მოგვცა გასაღები კაპიტალისტური წარმოების საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჭეშმა-

რიტი გაგებისათვის. მარქსის ეკონომიურმა მოძღვრებამ გამოააშკარავა ბურჟუაზიის კლასის მიერ პროლეტართა კლასის ექსპლოატაციაზე დაფუძნებული კაპიტალიზმის არსებობის საიდუმლოება, ბურჟუაზიის, რომელიც ზედმეტი ღირებულების სახით ითვისებს მუშის აუნაზღაურებელ შრომას. ისტორიულმა მატერიალიზმმა — მარქსის გენიალურმა აღმოჩენამ — დასძლია რა იდეალისტური თეორიები, სავსებით მეცნიერული გახადა პოლიტიკური ეკონომია. მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა ზ ე დ მ ე ტ ი. ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ მ ა რ ქ ს ი ს ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი თ ე ო რ ი ი ს ქ ვ ა კ უ თ ხ ე დ ი ა.

მესამე, მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი კ ო მ უ ნ ი ზ მ ი — მოძღვრება კლასობრივი ბრძოლის შესახებ, რომელსაც პროლეტარული დიქტატურის გზით მივყეევართ კლასების მოსპობისაკენ, მოძღვრება ამ ბრძოლის სტრატეგიასა და ტაქტიკაზე და პროლეტარიატის ორგანიზაციაზე ამ დიქტატურისა და მისი ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში. მხოლოდ დიალექტიკურმა და ისტორიულმა მატერიალიზმმა, რომელმაც შესაძლებელი გახადა „მოცემული საზოგადოების უკლებლივ. ყველა კლასების ურთიერთობათა მთელი ერთობლივობის ობიექტური აღნუსხვა და, მაშასადამე, აღნუსხვა ამ საზოგადოების განვითარების ობიექტური საფეხურისაც და მისი ურთიერთობისაც სხვა საზოგადოებებთან“ [1], მხოლოდ ეკონომიურმა მოძღვრებამ, რომელმაც განსაზღვრა საერთოდ კლასობრივი ექსპლოატაციის და კერძოდ კაპიტალისტური ექსპლოატაციის ბუნება, — შექმნა მეცნიერული კომუნიზმი. მარქსიზმმა მუშათა მოძრაობა შეუერთა მეცნიერულ კომუნიზმს. რადგან პროლეტარიატის პოლიტიკურ მოძრაობას აუცილებლად მიჰყავს იგი იმის შეგნებამდე, რომ მას არა აქვს სხვა გამოსავალი კომუნიზმის გარდა, კომუნიზმი კი მაშინ ხდება მატერიალურ ძალად, როდესაც პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლის მიზანს წარმოადგენს. კომუნიზმი არის არა წინასწარ დადგენილი მდგომარეობა, როგორც ეს უტოპისტებს ჭონდათ, არა იდეალი, რომელსაც უნდა შეეფარდოს სინამდვილე, არამედ კლასების მომსპობი რეალური მოძრაობა. მ თ ა ვ ა რ ი მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი შ ი — ე ს ა რ ი ს მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს რ ო გ ო რ ც კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს შ ე მ ო მ ქ მ ე დ ი ს ძ ს ო ფ ლ ი ო ი ს ტ ო რ ი უ ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი რ ო ლ ი ს შ ე ს ა ხ ებ.

მარქსისტული მსოფლგაგების ეს სამი უმნიშვნელოვანესი ნაწილი მასში გაერთიანებულია ორგანიულ მთლიანობად. „მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა მ თ ე ლ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, კარლ მარქსი, თხზ. ტ. XVIII, გვ. 32.

ეკონომიის გადასამუშავებლად მისი საფუძვლიდან მოყოლებით,—ისტორიისა, ბუნებისმეტყველებისა, ფილოსოფიისა, მუშათა კლასის პოლიტიკისა და ტაქტიკის მიმართ,—აი რა აინტერესებთ ყველაზე მეტად მარქსსა და ენგელსს,—ამბობს ლენინი,—აი რაში შეაქვთ მათ ყველაზე არსებითი და ყველაზე ახალი. აი რაშია მათი გენიალური ნაბიჯი წინ რევოლუციური აზროვნების ისტორიაში" [1].

მარქსიზმის შეხედულებათა ამ ერთიანი, თანმიმდევრული სისტემიდან, რომელთა ჭეშმარიტება დადასტურებულია და ყოველ საათობით დასტურდება ისტორიული პრაქტიკით, არ შეიძლება დაუსჯელად ამოაგდო ან უგულებელყო არც ერთი ნაწილი ისე, რომ ბურჟუაზიულ-რეაქციურ ჭაობში არ ჩაეფლო.

ამრიგად მარქსიზმი როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა წარმოიშვა და ჩამოყალიბდა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის, მსოფლიოს ყველა ქვეყნის რევოლუციური გამოცდილებისა და რევოლუციური აზრის აღრიცხვის საფუძველზე, სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების პირობებში. თვით ისტორიამ მისცა სამართალში ძველი მსოფლიო, ხოლო მის ბრალმდებლად და განაჩენის შემსრულებლად, მის მესაფლავედ პროლეტარიატი გახადა. ამ სასიკვდილო განაჩენს ეკონომიურ, პოლიტიკურ და თეორიულ დარგში წარმოადგენს მარქსიზმი, რომელმაც დიალექტიკურ მთლიანობაში გააერთიანა რევოლუციური თეორია და რევოლუციური პრაქტიკა.

მხოლოდ დიალექტიკურმა მატერიალიზმმა მისცა კაცობრიობას, და პროლეტარიატს განსაკუთრებით, შემეცნებისა და მოქმედების დიდი იარაღი და უჩვენა „გამოსავალი სულიერი მონობიდან, რომელშიაც იყინებოდენ დღემდე ყველა ჩაგრული კლასები" [2]. მხოლოდ მარქსიზმის ეკონომიურმა მოძღვრებამ გამოარკვია პროლეტარიატის ნამდვილი მდგომარეობა კაპიტალიზმის საერთო წყობაში. მხოლოდ ნეკნიერულმა კომუნიზმმა თავის მოძღვრებაში კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ უჩვენა პროლეტარიატს გზა ისეთ საზოგადოებაში, რომელშიაც „თვითეულის თავისუფალი განვითარება იქნება ყველას თავისუფალი განვითარების პირობა". ისტორიამ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ჯერ კიდევ კაპიტალისტური საზოგადოების წიაღში—მარქსის და ენგელსის სახით—დასაბამი მისცა თეორიული აზრის ახალ მიმდინარეობას—მარქსიზმს. და მხო-

---

[1] მარქს-ენგელსის მიმოწერა. ლენინი, თხზ. ტ. XVII, გვ. 30. ხაზგასმულია ჩვენს მიერ. — ავტ.

[2] ლ ე ნ ი ნ ი, მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი. თხზ. ტ. XVII, გვ. 353.

ლოდ მაშინ, თუ „მარქსის თეორიის გზით ვიარეთ, ჩვენ თანდათან სულ უფრო და უფრო მივუახლოვდებით ობიექტურ ჭეშმარიტებას (ვერასოდეს ვერ ამოვწურავთ რა მას); ხოლო თუ სხვა რომელიმე გზით ვიარეთ,—წერს ლენინი, მარქსიზმის გენიალური მოწაფე და განმგრძობი,—ჩვენ ვერაფერს მივაღწევთ, გარდა არევ-დარევისა და სიყალბისა“ [1].

II. მარქსიზმის ისტორიული ფესვები

მარქსიზმი წარმოიშვა და ჩამოყალიბდა, როცა პროლეტარიატი გამოვიდა მსოფლიო-ისტორიულ სარბიელზე, როცა დიდი სიმწვავით გამომჟღავნდა წარმოების კაპიტალისტური წესის წინააღმდეგობანი. როგორია ეს წინააღმდეგობანი?

პირველი წინააღმდეგობა—ეს არის დაქირავებული შრომისა და კაპიტალის წინააღმდეგობა, ანტაგონიზმი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, რაც საერთოა მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, მაგრამ რაც განსაკუთრებული ძალით მჟღავნდებოდა მაშინ ინგლისში როგორც ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში.

პროლეტარიატის აუნაზღაურებელი შრომის მითვისება—წარმოების კაპიტალისტური წესის საფუძველია. კონკურენციის თავისუფლება სულ უფრო მეტად იჩენდა თავს როგორც დაქირავებული მუშის ექსპლოატაციის თავისუფლება. ეს იწვევდა ანტაგონიზმს ბურჟუაზიის კლასსა და პროლეტარიატის კლასს შორის. ამ ანტაგონიზმის ფარგლებში ბურჟუაზია წარმოადგენს კონსერვატიულ მხარეს, პროლეტარიატი—მნგრეველსა და რევოლუციურს. პირველისაგან გამომდინარეობს მოქმედება, მიმართული წინაალმდეგობის შენარჩუნებისაკენ, მეორისაგან—მოქმედება, მიმართული მისი მოსპობისაკენ, იმ საზოგადოების მოსპობისაკენ, რომელმაც ეს წინააღმდეგობა წარმოშვა.

საჭრეწველო რევოლუციამ ორთქლის მანქანის განვითარების საშუალებით ძველი მანუფაქტურა გადააქცია თანამედროვე მსხვილი მრეწველობის საწარმოდ. ამით მან ფართო გასაქანი მისცა კაპიტალის განვითარებას, გააძლიერა რა კაპიტალისტური ექსპლოატაცია, მაგრამ მან შექმნა აგრეთვე ის ძალა, რომელსაც შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ამ ექსპლოატაციას—ფაბრიკა-ქარხნების პროლეტარიატი.

---

[1] ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ., ტ. XIII, გვ. 145.

„ვინაიდან პროლეტარიატის საარსებო პირობებში, — წერდენ ერთერთ თავის ადრინდელ შრომაში მარქსი და ენგელსი,—თანამედროვე საზოგადოების ყველა საარსებო პირობებმა არაადამიანურობის მწვერვალს მიაღწია; ვინაიდან პროლეტარიატში ადამიანმა დაჰკარგა თავის თავი, მაგრამ ამასთანავე არა მარტო ჰპოვა ამ დაკარგვის თეორიული შეგნება, არამედ უშუალოდ იძულებულია კიდეც აღშფოთდეს ამ არაადამიანურობის სრულიად შეუფერადებელი, ულმობელი, აბსოლუტურად გაბატონებული გაჭირვების—აუცილებლობის ამ პრაქტიკული გამოხატულების წინააღმდეგ, ამიტომ პროლეტარიატს შეუძლია და კიდეც უნდა გაინთავისუფლოს თავი. მაგრამ მას არ შეუძლია თავის განთავისუფლება, თუ არ გააუქმა თავისი საკუთარი საარსებო პირობები. მას არ შეუძლია გააუქმოს თავისი საკუთარი საარსებო პირობები, თუ არ გააუქმა თანამედროვე საზოგადოების ყველა არაადამიანური საარსებო პირობები, თავმოყრილი მის საკუთარ მდგომარეობაში. ის ტყუილუბრალოდ კი არ გადის შრომის მკაცრ, ვამომბრძმედ სკოლას.. საქმე იმაში კი არ არის, თუ რაში ხედავს ამა თუ იმ მომენტში თავის მიზანს ცალკე პროლეტარი ან თუნდაც მთელი პროლეტარიატი. საქმე იმაშია, თუ რას წარმოადგენს პროლეტარიატი და ამ თავის მდგომარეობის შესაბამისად რისი გაკეთება მოუხდება მას ისტორიულად. მის მიზანს და მის ისტორიულ მოქმედებას უაღრესად გარკვევით და უდავოდ წინასწარ უჩვენებს მისი საკუთარი საარსებო მდგომარეობა, ისე როგორც თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი ორგანიზაცია. საჭირო არ არის სიტყვა გაგრძელება იმის შესახებ, რომ ინგლისისა და საფრანგეთის პროლეტარიატის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ახლაც იგნებს თავის ისტორიულ ამოცანას და იგი განუწყვეტლივ მუშაობს თავისი თვითშეგნების შემდგომ განვითარებაზე და საბოლოოდ ნათელყოფაზე“ [1].

მუშათა კლასში თანდათანობით ვითარდება იმის შეგნება, რომ აუცილებელია არა მარტო კონკურენციის შეზღუდვა მუშებს შორის ან მისი ნაწილობრივ მოსპობა, არამედ კონკურენციის წარმომშობი მთელი წყობილების მოსპობაც. 1831 და 1834 წ. წ. ლიონში მოხდა ფრანგ მუშების აჯანყებები პასუხად ექსპლოატაციის გაძლიერებაზე და 1830 წლის რევოლუციაში ბურჟუაზიის მიერ ჩადენილ გამცემლობაზე. 1831 წლის აჯანყების დროს მუშებს რამდენიმე დღის განმავლობაში ხელში ეჭირათ ქალაქი. მათ წამოაყენეს ცნობილი ლოზუნგი: „შრომით სიცოცხლე ან ბრძოლაში სიკვდილი!“ 1834 წლის განმეორებით აჯანყებას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ქონ-

[1] მარქსი და ენგელსი, „წმიდა ოჯახი“, თხზ. ტ. III, გვ. 56.

და. ამ აჯანყებებმა ქვაკუთხედად წამოაყენეს მუშათა საკითხი. მუშების მოთხოვნები თუმცა ჯერ კიდევ არ იყო მიმართული თვით კაპიტალიზმის საფუძვლების წინააღმდეგ, მაგრამ მათ მაინც მთელი სიმწვავით წამოაყენეს ექსპლოატაციის საკითხი, ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ. 1837—1840 წ. წ. ინგლისელ ჩარტისტების პირველი მუშათა ნაციონალური მოძრაობა, მუშათა პირველი მასობრივი რევოლუციური მოძრაობა თავის აპოგეას აღწევს. 1844 წ. მოხდა სილეზიის ფეიქართა აჯანყება პრუსიაში. დაბოლოს 1848 წლების მოვლენებმა „ხმაურითა და ბუნდოვანად აუწყეს,—ამბობს მარქსი,—პროლეტარიატის ემანსიპაცია—XIX საუკუნის და მისი რევოლუციების ეს საიდუმლოება". ასე, ვითარდება რა მსხვილი მრეწველობის ზრდასთან და მის გარემომცველ წვრილ-ბურჟუაზიულ წრის გავლენისაგან განთავისუფლებასთან ერთად, პროლეტარიატი იწყებს წინააღმდეგობის გაწევას ბურჟუაზიისადმი უკვე როგორც დამოუკიდებელი ძალა. იგი „მძაფრად, ნათლად, ულმობელად და მძლეთ აღიარებს ყველას გასაგონად თავის დაპირდაპირებულებაზე კერძო საკუთრების საზოგადოებისადმი".

მეორე წინააღმდეგობა—ეს არის ანტაგონიზმი ცალკე საწარმოებში წარმოების ორგანიზაციასა და მთელ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში წარმოების ანარქიას შორის, რაც ახასიათებს ბურჟუაზიულ საზოგადოებას და გაძლიერებით ღრღნის მას განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე მეოთხედიდან.

ბურჟუაზიული საზოგადოების საფუძველს საქონლის წარმოება შეადგენს. მაგრამ „საქონლის წარმოებაზე დაფუძნებული ყოველი საზოგადოების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მასში მწარმოებლები კარგავენ ძალაუფლებას თავის საკუთარ საზოგადოებრივ ურთიერთობის მიმართ" [1]. წარმოება უგეგმოთ, ბაზრისათვის, ნამდვილ მოთხოვნილებათა აღურიცხველად იწვევს საზოგადოებრივი წარმოების ანარქიას. საქონლის წარმოების კანონები თავის გამოხატულებას პოულობენ გარეგან საზოგადოებრივ კავშირში, რომელიც არსებობს საქონლის მფლობელთა შორის, გაცვლა-გამოცვლაში; ისინი მელავნდებიან როგორც კაპიტალისტებს შორის გაბატონებული „თავისუფალი კონკურენციის" იძულებითი კანონები. კაპიტალიზმი, რომელიც ძძულებულია შემოიღოს თავისუფალი კონკურენციის ზეგავლენით ახალი მანქანები და გააფართოოს წარმოება, გაუგონრად

[1] ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 229. ციტატები აქ და ქვემოთ მოყვანილია 1933 წ. გამოცემის მიხედვით.

ანვითარებს საწარმოო ძალებს, არაჩვეულებრივად ზრდის საზოგადოებრივ სიმდიდრეს. ამავე დროს ქალაქის ხელოსნობის და გლეხობის გაპარტახება და მუშების განდევნა გაუმჯობესებისა და ახალი მანქანების შემოღების გზით ქმნის ზედმეტ მუშა ძალას, ადამიანთა კადრს, რომელსაც არა აქვს საქმე და საარსებო სახსრები. „ბურჟუაზიული საზოგადოების ანარქია წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების საფუძველს, ისე როგორც საზოგადოებრივი წყობილება, თავის მხრით, წარმოადგენს ამ ანარქიის თავდებს,—წერდენ უკვე მაშინ მარქსი და ენგელსი.—რამდენადაც და რა ზომითაც ეწინააღმდეგებიან ისინი ერთიმეორეს, ამდენად და ასეთივე სიძლიერით განსაზღვრავენ ისინი ერთიმეორეს“ [1].

მთლიანად აღებული ბურჟუაზიული წარმოების უწესრიგო ხასიათი არღვევს პროპორციონალობას მრეწველობის სხვადასხვა დარგებს შორის და ქმნის იმას, რომ საქონლის მიწოდება აღემატება მის მოთხოვნას. ერთ პოლუსზე გროვდება ჯამრავი საწარმოო საშუალება და საერთოდ სიმდიდრე, მეორეზე--გაჭირვება, სიღატაკე, ტანჯვა. ყოველივე ეს თავის უკიდურეს გამოხატულებას კრიზისებში პოულობს. მათში განსაკუთრებით მკაფიოდ მეღავნდება პროდუქტის ბატონობა მწარმოებელზე, მატერიალური ძალები თითქოს იძენენ სულიერ ცხოვრებას, ხოლო მათი შემქმნელი ადამიანები ქვეითდებიან უძრავ, ჩლუნგ მატერიალურ ძალამდე. კრიზისები ახასიათებს ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგობათა გამწვავებას. „პროლეტარიატს, რომელიც მოითხოვს კერძო საკუთრების მოსპობას — წერს მარქსი 1844 წ. — მხოლოდ საზოგადოების პრინციპში აყავს ის, რაც საზოგადოებამ აიყვანა მის პრინციპში, რაც უკვე გასაგნობრივებულია მასში მისი ხელისშეწყობის გარეშე, როგორც საზოგადოების უარყოფითი შედეგი“ [2].

კრიზისები, როგორც საწარმოო ძალების მატერიალური პროტესტი .მათი განვითარების შემბორკველი ბურჟუაზიული საკუთრების ურთიერთობის წინააღმდეგ, იწვევს მუშათა მდგომარეობის უკიდურესად გაუარესებას, ხდის რა მას უაღრესად არამყარად და მერყეად. მაგრამ ამით ისინი უაღრესად არევოლუციონერებენ პროლეტარიატის შეგნებას და აყენებენ მას აუცილებლობის წინაშე—იბრძოლოს არა მარტო დროებითი და ნაწილობრივი გაუმჯობესებისათვის კაპიტალიზმის ფარგლებში, არამედ ამ კრიზისების საფუძვლების წი-

---

[1] მარქსი და ენგელსი, „წმიდა ოჯახი“, თხზ. ტ III გვ. 145.

[2] მარქსი და ენგელსი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, თხზ. ტ. I, გვ. 412.

ნააღმდეგაც, ე. ი. თვით წარმოების კაპიტალისტური წესის წინააღმდეგ.

ასე, კერძო საკუთრება თავის შინაგან წინააღმდეგობათა მოძრაობასა და განვითარებაში თვითონ უბიძგებს თავს საკუთარი დაღუპვისაკენ. იგი თავის უარყოფამდე მიდის, წარმოშობს რა ქვეყნად პროლეტარიატს, ამ „თავისი სულიერი და ფიზიკური სიღატაკის შემგნებ ღატაკობას, ამ თავის განდევნილობის შემგნებ და ამით საკუთარი თავის გამაუქმებელ განდევნილობას. პროლეტარიატს სისრულეში მოყავს განაჩენი, რომელიც თავის მიმართ გამოაქვს კერძო საკუთრებას ქვეყნად პროლეტარიატის წარმოშობით, სწორედ ისე, როგორც სისრულეში მოყავს ის განაჩენი, რომელიც თავის მიმართ გამოაქვს დაქირავებულ მრომას სხვისი სიმდიდრისა და საკუთარი სიღატაკის შექმნით. აღწეეს რა გამარჯვებას, პროლეტარიატი სრულიადაც არ ხდება საზოგადოების აბსოლუტურ მხარეთ, რადგან ის იმარჯვებს მხოლოდ თავისი თაკის და თავისი დაპირდაპირებულობის მოსპობით. პროლეტარიატის გამარჯვებასთან ერთად გაქრება როგორც პროლეტარიატი, ისე მისი დაპირდაპირებულობა—კერძო საკუთრება“ [1].

ასეთია კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი წინააღმდეგობის გამოვლენის უმნიშვნელოვანესი ფორმები — წინააღმდეგობისა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და კერძომესაკუთრულ მითვისებას შორის. მაგრამ ამ ძირითადი წინააღმდეგობიდან გამოშდინარეობენ აგრეთვე სხვა წარმოებული წინააღმდეგობანიც, მაგრამ ისეთნი, რომელთაც მცირე მნიშვნელობა არა აქვთ XIX საუკუნის პირველი ნახევრის კაპიტალისტური სინამდვილის დახასიათებისათვის და მარქსიზმის წარმოშობის ისტორიული ფესვებისა და მიზეზების გაგებისათვის.

ერთერთი ასეთი წინააღმდეგობა, რაც სულ უფრო და უფრო აშკარავდებოდა კლასობრივი ბრძოლის გაშლის პროცესში კაპიტალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით საფრანგეთში მისი მდიდარი პოლიტიკური გადატრიალებებით, იყო წინააღმდეგობა ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიურ არსებასა და მის გარეგნულ გამოვლენას შორის მის პოლიტიკურ ზედნაშენში—„სამოქალაქო საზოგადოებასა“ და დემოკრატიულ სახელმწიფოს შორის.

რაც უფრო უგუებდა ბურჟუაზია თავის პოლიტიკურ ზედნაშენს თავისი ეკონომიკის მოთხოვნებს და ძველ ფეოდალურ პრივილეგიებს ცვლიდა ბურჟუაზიული სამართლით, მით უფრო მეღავნდებოდა სა-

[1] მარქსი და ენგელსი, „წმიდა ოჯახი“, თხს. ტ. III, გვ. 55.

შინელი წინააღმდეგობა მის მიერ „დემოკრატიის“ სახით აღიარებულ ფორმალურ თანასწორობასა და მის ეკონომიკაში არსებულ ფაქტიურ უთანასწორობას შორის. პოლიტიკური დაწესებულებანი, ამბობს ენგელსი, აღმოჩნდა XVIII საუკუნის ფილოსოფოსთა ბრწყინვალე დაპირებათა ყველაზე ბოროტ, ყველაზე გამომაფხიზლებელ კარიკატურად. „მარადიული სამართლიანობა ბურჟუაზიული იუსტიციის სახით განხორციელდა... ბუნებრივი თანასწორობა შემოიფარგლა მოქალაქეთა თანასწორობით კანონის წინაშე, ხოლო ადამიანის ყველაზე არსებით უფლებად გამოცხადებულ იქნა ბურჟუაზიული საკუთრების უფლება. რუსოს გონებრივი სახელმწიფო და „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ აღმოჩნდა და პრაქტიკაში შეიძლებოდა აღმოჩენილიყო მხოლოდ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რესპუბლიკად“ [1].

მარქსსა და ენგელსს უკვე ადრევე მოუხდათ იმის აღნიშვნა, რომ „დემოკრატიულ წარმომადგენლობით სახელმწიფოს და ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგობა არის საჯარო საზოგადოებრივობის და მონობის კლასიკური წინააღმდეგობის დასრულებული ფორმა. თანამედროვე მსოფლიოში ერთსა და იმავე დროს ყველა—მონური წყობილების და ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების წევრია. სწორედ ბურჟუაზიული საზოგადრების მონობა, თავისი გარეგნობით, არის უდიდესი თავისუფლება, იმიტომ რომ იგი გვეჩვენება ინდივიდუუმის დამოუკიდებლობის დამთავრებულ ფორმად, რომელიც თავის განსხვისებული საარსებო ელემენტების, როგორც მაგალითად საკუთრების, მრეწველობის, რელიგიის და სხვ. შეუზღუდველ, რაიმე საერთო ურთიერთობით და რომელიმე სხვა ადამიანის მიერ შეუბორკავ მოძრაობას იღებს საკუთარ თავისუფლებად, მაშინ როცა იგი, პირიქით, წარმოადგენს მის დასრულებულ მონობას და ადამიანის განდევნილობას. პრივილეგიების ადგილი აქ სამართალმა დაიკავა“ [2].

XIX საუკუნის 40-იან წლებში პოლიტიკური ბრძოლის განვითარება სულ უფრო და უფრო ააშკარაევებდა ბურჟუაზიული დემოკრატიის კლასობრივ არსებას. გამოირკვა, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილება ორი სხვადასხვა რამ არ არის. სახელმწიფო ხელისუფლებამ თავი გამოამჟღავნა როგორც კლასთა ანტაგონიზმის ოფიციალურმა გამოხატულებამ, როგორც ექსპლოატატორთა კლასის ორგანიზაციამ „წარმო-

[1] ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 2.
[2] მარქსი და ენგელსი, „წმიდა ოჯახი“, თხზ. ტ. III, გვ. 144.

ების საერთო პირობების დასაცავად, მაშასადამე იმისთვის, რომ ექსპლოატირებული კლასი ძალდატანებით დაეტოვებია დამონების იმ საფეხურზე, რომელსაც მოითხოვდა წარმოების არსებული წესი" [2]-ეს გვიჩვენებს, რომ ბოროტება არის არა მარტო სახელმწიფოს ამა თუ იმ ფორმაში, არამედ მის არსებაში, ე. ი. კერძო საკუთრების საზოგადოების წყობილებაში.

ხოლო როდესაც ისტორიულ სარბიელზე პროლეტარიატი გამოდის, როდესაც პირველ ადგილს იკერს მისი ბრძოლა ბურჟუაზიასთან, ბურჟუაზია საბოლოოდ რეაქციული ხდება და ნამდვილი დემოკრატიის ჭეშმარიტ წარმომადგენლად პროლეტარიატი გამოდის-თავისი ბრძოლის გამოცდილების საფუძველზე ის სულ უფრო გადაჭრით რწმუნდება, რომ ნამდვილი თანასწორობა არის უწინარეს ყოვლისა თვით კლასების მოსპობა. მაგრამ ეს თანასწორობა მიუღწეველია არსებული ხელისუფლების რევოლუციური დამხობის გარეშე, ბურჟუაზიულ სახელმწიფოს დამსხვრევის გარეშე. და ამიტომ პროლეტარიატის დროშებზე სულ უფრო და უფრო მოსჩანს ლოზუნგები: „მშვიდობა ქოხებს—ომი სასახლეებს", „პოლიტიკური ხელისუფლება ჩვენი საშუალებაა, სოციალური კეთილდღეობა—ჩვენი მიზანი".

მეორე, უფრო კერძო წინააღმდეგობას, რომელიც გამომდინარეობს კაპიტალისტური ქვეყნების განსხვავებიდან სამეურნეო მდგომარეობის დონის მხრივ, საგრძნობი მნიშვნელობა აქვს, რადგან განსაზღვრავს ბურჟუაზიული ორგანიზმის ცალკე ნაწილებში რევოლუციის აღმოხეთქის შესაძლებლობას. XIX საუკუნის დაჰდეგს ამ წინააღმდეგობის გამოხატულებას წარმოადგენდა ინგლის-რუსეთის ბატონობა ევროპაზე და რევოლუციური სიტუაციის არსებობა გერმანიაში.

მდგომარეობის ორიგინალობა იმაში მდგომარეობდა, რომ ისეთ კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომლებიც წარმოადგენდენ ბურჟუაზიული ორგანიზმის ერთგვარ „კიდურებს" — სახელდობრ იმ დროის გერმანიაში, — მხოლოდ ეს-ეს იყო წამოიჭრა აბსოლუტიზმის და ფეოდალიზმის ნაშთების წინააღმდეგ შეტევის ამოცანები, მაშინ როცა ინგლისში და ნაწილობრივ საფრანგეთში უკვე მიმდინარეობდა ამ შეტევის დასასრულის დასაწყისი და კაპიტალიზმის წინააღმდეგ სისტემატიურ ბრძოლას იწყებდა რევოლუციური პროლეტარიატი.

ერთი მხრით, რევოლუციურ ევროპას თავს დაეწვა მეფის ბატონყმური რუსეთი — რეაქციისა და აბსოლუტიზმის ბურჯი. მეორე მხრით, ინგლისი, მაშინდელი მსოფლიო ბაზრის ბატონი, რომელიც

[2] ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 237.

მთელ ერებს თავის დაქირავებულ მუშებად აქცევდა, იდგა მტკიცედ როგორც კლდე, რომელზედაც იმსხვრეოდა კონტინენტალური რევოლუციური ტალღები. მაგრამ ამავე დროს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის მეურნეობის დონის მხრივ არსებულ განსხვავებასთან დაკავშირებით, ინგლისი, რომელიც აფართოებდა თავის ეკონომიურ კავშირს და ეკონომიურ გავლენას ახდენდა კონტინენტის ჩამორჩენილ სახელმწიფოებზე, გამოდიოდა როგორც ეკონომიური კრიზისების და რევოლუციური ტალღების წარმომშობი ერთერთი მიზეზი ევროპის კონტინენტალურ ქვეყნებში. „კონტინენტს, — წერდა მარქსი, — გააქვს ინგლისში გაცილებით მეტი, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში. მაგრამ ინგლისში გატანა თავის მხრით დამოკიდებულია ინგლისის მდგომარეობისაგან, განსაკუთრებით ოკეანეთა იქით მდებარე ბაზრებზე. შემდეგ ინგლისს გააქვს ოკეანეთა იქით მდებარე ქვეყნებში გაცილებით მეტი, ვიდრე მთელ კონტინენტს, ასე რომ კონტინენტალური ექსპორტის რაოდენობა მუდამ დამოკიდებულია ინგლისის გატანისაგან ოკეანეს იქით მდებარე ქვეყნებში. თუ ამიტომ კრიზისები უწინარეს ყოვლისა რევოლუციას იწვევენ კონტინენტზე, მათი მიზეზი მაინც ინგლისშია. ბურჟუაზიული ორგანიზმის კიდურებში ბუნებრივია უფრო სწრაფად უნდა მოხდეს ძალდატანებითი კატასტროფები, ვიდრე მის გულში, სადაც მეტია კომპენსირების შესაძლებლობანი“ [1]. ერთერთი ასეთი კიდური იყო 40-იანი წლების გერმანია.

ამრიგად, თუ მთელი ევროპა გრძნობდა ინგლის-რუსეთის ბატონობას, გერმანიას ეს ორმაგი ჩაგვრა განსაკუთრებული ძალით აწვებოდა, იმიტომ რომ მასზე გადადიოდა მაშინ ეკონომიური და პოლიტიკური საზღვარი, რომელიც აღმოსავლეთს ჰყოფდა დასავლეთისაგან. მაგრამ სწორედ მისი მდგომარეობა როგორც ბურჟუაზიული ორგანიზმის ერთერთი კიდურისა აძლიერებდა მასებში რევოლუციურ ატმოსფეროს და ქმნიდა ბურჟუაზიული რევოლუციის—როგორც პროლეტარული რევოლუციის უშუალო პროლოგის—განვითარების შესაძლებლობას.

უნდა მივუთითოთ კიდევ ერთ წინააღმდეგობაზე თეორიული შეგნების დარგში, რომელიც გამომდინარეობს ზემოთ' უკვე აღნიშნული წინააღმდეგობებიდან. ეს წინააღმდეგობა განსაკუთრებული ძალით გამომჟღავნდა მარქსიზმის წარმოშობის დროისთვის სწორედ იმავე გერმანიაში. ეს არის ბურჟუაზიული იდეოლოგიის უაღრესად დამახასიათებელი მომენტი, რომელსაც საფუძვლად უდევს კლასთა წინა-

[1] მარქსი და ენგელსი, საერთაშორისო მიმოხილვა, თხზ. ტ. VIII, გვ. 238 — 239.

აღმდეგობა და წინააღმდეგობა გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, — **დაშორება თეორიასა და პრაქტიკას შორის.**

ერთ დროს ბურჟუაზიული საზოგადოება, თავისი განვითარების შინაგან მოთხოვნილებათა გამო, ფეოდალური სისტემის ხუნდებისაგან განთავისუფლებასთან ერთად აუცილებლობით უბიძგებდა თავის წარმომადგენლებს თეორიული შემეცნების განვითარებისაკენ. ბურჟუაზია ცდილობდა მეცნიერული ცოდნის საშუალებით დაემსხვრია რომის კათოლიკური ეკლესიის ბატონობა, როგორც ინტერნაციონალური ცენტრისა, რომელიც ანბეკიცებდა ფეოდალურ სისტემას. მეორე მხრით, მატერიალურ სხეულთა თვისებების და ბუნების ძალთა გამოვლენის ფორმების შეცნობის საშუალებით იგი თავის ამოცანად ისახავდა საწარმოო ძალების განვითარებას. ფეოდალურ საზოგადოებას მისი რელიგიით, თეოლოგიით და მეტაფიზიკით ბურჟუაზია უპირისპირებდა ბუნებისმეტყველების კავშირს მატერიალისტურ ფილოსოფიასთან. XVIII საუკუნე — საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ინგლისში სამრეწველო რევოლუციის საუკუნე — ამ თეორიის პრაქტიკულ გამარჯვებას წარმოადგენდა.

ახალი საუკუნის დამდეგისათვის ბურჟუაზიულ იდეოლოგიაში თავს იჩენს ანტაგონიზმი თეორიასა და პრაქტიკას შორის. ამას ხელს უწყობდა შეძლებული კლასების მზარდი მოწყვეტა მატერიალური წარმოების უშუალო პროცესისაგან და მათ მიერ თეორიული მუშაობის მონოპოლიზაცია. მსხვილი მრეწველობა მეცნიერებას აშორებს მუშას როგორც წარმოების დამოუკიდებელ პოტენციას და აიძულებს მას ემსახუროს კაპიტალს. შემეცნება ხდება ისეთ იარაღად, რომელსაც აქვს უნარი გამოეყოს შრომას და მტრულად გამოვიდეს მის წინააღმდეგ. სულ უფრო და უფრო თავს იჩენს ანტაგონიზმი, ერთი მხრით, ბურჟუაზიულ მრეწველობასა და ბურჟუაზიულ თეორიას და, მეორე მხრით, კაპიტალის მიერ შექმნილ სიღატაკესა და ნგრევას შორის.

თავისი განვითარების დასაწყისში ბურჟუაზიას, რომელიც ობიექტურად გამოხატავდა საზოგადოებრივი განვითარების პროგრესიულ ტენდენციებს, შეეძლო თავის მეცნიერებისათვის მიეცა ზეკლასობრივობის გარეგნობა, საყოველთაობის ფორმა და მას სახავდა როგორც ერთადერთ გონივრულსა და საერთომნიშვნელოვანს. მაგრამ ბურჟუაზიული ანტაგონისტური ხასიათის გამოვლენასთან ერთად მეღავნდება აგრეთვე ბურჟუაზიული მეცნიერების ორმაგი ხასიათიც. ერთი მხრით იგი მიმართულია ბუნების დაუფლებისა და მისი ადამიანთა საზოგადოებისადმი დამორჩილებისაკენ, მეორე მხრით — საზოგადოების დამორჩილებისაკენ გაბატონებული კლასებისადმი ჩაგრული კლასების ექსპლოატაციის მიზნით. აშკარავდება ბურჟუაზიული მეცნიერების

მთელი ექსპლოატატორული ხასიათი და მის მიერ წარმოებული მოწყვეტა თეორიისა პრაქტიკისაგან, განხეთქილება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის.

მუშათა კლასის ეკონომიური მონობის განმტკიცების მიზნით ბურჟუაზია უკვე „ანათემას“ უცხადებს მატერიალიზმს. იგი მიმართავს რელიგიას ექსპლოატირებულთა იმ ულმერთო მისწრაფებების „ასალაგმავად“, რომლებიც მიმართულია კაპიტალისტური საკუთრების წინააღმდეგ. ბურჟუაზიული ფილოსოფია იქცევა თეოლოგიის დასაყრდენად, მასში ძლიერდება იდეალიზმი. ამავე დროს ფილოსოფიური მატერიალიზმიც ამეღავნებს თავის განვითარებაში სხვადასხვა კლასობრივ მიმართულებას. ბუნებისმეტყველურ-მეცნიერული ვულგარული მატერიალიზმის ფორმით იგი ითქვიფება ბუნებისმეტყველებაში და ამრიგად უვნებელი ხდება ბურჟუაზიის მიერ, რომელიც მხოხავ ემპირიზმში ახრჩობს თანმიმდევრული მატერიალიზმიდან გამომდინარე რევოლუციურ თეორიულ დასკვნებს და პერსპექტივებს. მეორე მხრით, სოციალისტური და კომუნისტური თეორიების ფორმით მატერიალიზმი იწყებს ბურჟუაზიული საზოგადოების და მის დამახასიათებელ ანტაგონიზმთა მხილებას.

თეორიული ბრძოლა იშლება კლასიკოს-ეკონომისტებსა როგორც ბურჟუაზიის მეცნიერულ წარმომადგენლებსა და მშრომელთა თეორეტიკოსებს — კომუნისტებს—შორის.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომია ჯერ კიდევ გართულია ბრძოლით ფეოდალიზმის ნაშთებთან. თავის ამოცანას იგი იმაში ხედავს, რომ უჩვენოს, თუ როგორ ხდება სიმდიდრის შეძენა ბურჟუაზიული წარმოების ურთიერთობის დროს და რამდენად სჭარბობს იგი სიმდიდრის წარმოებას ფეოდალიზმის დროს. ეს უბიძგებს მას ბურჟუაზიული წარმოების გამოკვლევისაკენ, და აქ იგი ახდენს თავის დიდ ალმოჩენებს, რომლებიც დასაბამს აძლევენ ღირებულების შ რ ო მ ი თ თეორიას.

მაგრამ სულ უფრო ირკვევა, განსაკუთრებით სამრეწველო რევოლუციის შედეგებთან დაკავშირებით, „რომ ერთსა და იმავე ურთიერთობაში იქმნება არა მარტო სიმდიდრე, არამედ სიღატაკეც, რომ ურთიერთობაში, რომელშიაც ხდება საწარმოო ძალთა განვითარება, ვითარდება აგრეთვე ერთგვარი წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი ს ძ ა ლ ა ც და რომ ეს ურთიერთობა ქმნის მოქალაქეთა სიმდიდრეს, ე. ი. ბურჟუაზიის კლასის სიმდიდრეს მხოლოდ ამ კლასის ცალკე წევრების სიმდიდრის შეუჩერებელი მოსპობის და შეუჩერებლივ მზარდი პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს შექმნის პირობით“. ამიტომ ბურჟუაზიული ეკონომისტები თავის თეორიას მიჯნავენ ესოდენ რევოლუციურ დასკვნე-

ბისაგან. და თანდათანობით ქვეითდებიან ბურჟუაზიული საზოგადოების აშკარა დაცვამდე და იდეალიზაციამდე.

საფრანგეთის რევოლუციური მოძღვრებანი, განსაკუთრებით სოციალისტური და კომუნისტური, რომელნიც იმედგაცრუებულნი დარჩენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის შედეგებით, კრიტიკულად აშიშვლებენ ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგობებს, მაგრამ მათ არ ძალუძთ მათი ბუნების გაგება და იმ ძალის გამონახვა, რომელიც პრაქტიკულად სწყვეტს ამ წინააღმდეგობებს. მათ შესანიშნავად აქვთ შეგნებული კლასთა დაპირისპირების და აგრეთვე ხრწნის ელემენტების არსებობა თანამედროვე საზოგადოების შიგნით, მაგრამ ისინი ვერ ხედავენ პროლეტარიატის მხრივ ვერავითარ ისტორიულ თვითმოქმედებას, ისინი „სათავეში არ უდგებიან მისთვის დამახასიათებელ პროლეტარულ მოძრაობას". ბრძოლის მსვლელობაში ისინი ქმნიან მომავალი საზოგადოების ორგანიზაციის უტოპიურ თეორიას. ეს აშორებს მათ აწმყოს პრაქტიკას, კლასობრივ ბრძოლას.

ამჟღავნებდენ რა არსებულ ანტაგონიზმებს, უტოპიური სოციალისტები ოცნებობდენ მათ შერიგებაზე, ანვითარებდენ სოციალისტური წყობილების გეგმებს, იმედოვნებდენ მომავალის უბრძოლველად განხორციელებას; ისინი ვერ ხედავდენ აწმყოს გარდაქმნის სხვა ბერკეტს ადამიანთა კეთილ ნებისა და შეგნების გარდა. მათ ვერ მოახერხეს თავის თეორიების გაერთიანება აწმყოს საზოგადოებრივ პრაქტიკასთან, სტიქიურად მზარდი მუშათა მოძრაობის პრაქტიკასთან.

ბურჟუაზიული ეკონომისტები უარყოფენ თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობას, თეორიას უპირდაპირებენ რევოლუციურ პრაქტიკას. უტოპიური სოციალისტები კი ჯერ კიდევ არ მისულან თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობამდე.

პირველნი დადებითად ეპყრობიან არსებულ ბურჟუაზიულ ქვეყანას, თვლიან მას საუკეთესო ქვეყანად; მეორენი — უარყოფითად, თვლიან რა მის არსებობას გონების შეცდომად. ერთნი აპოლოგეტურად არიან განწყობილი კაპიტალიზმის მიმართ; მეორენი — კრიტიკულად. მაგრამ ერთნიც და მეორენიც ანტიისტორიულ თვალსაზრისზე დგანან, ერთნიცა და მეორენიც ატარებენ მეტაფიზიკას და იდეალიზმს თავის შეხედულებებში საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაზე.

კლასიკური გერმანული ფილოსოფია საფრანგეთის დიდი რევოლუციის გავლენით არღვევს ბურჟუაზიული თეორიის მეტაფიზიკურ ჩიხს. მაგრამ იგი მეტაფიზიკას არღვევს იდეალისტურ საფუძველზე, ყოფობის განვითარებას აიგივებს აზროვნების განვითარებასთან.

ეს მოვლენა საგრძნობლად აიხსნება ნახევრადფეოდალური გერმანიის საზოგადოებრივი პრაქტიკით, სადაც ჯერ ეს-ეს იყო მხოლოდ შეწი ფდებოდა ბურჟუაზიული რევოლუცია.

კანტმა პირველმა დაიწყო კლასიკური იდეალიზმის ფილოსოფიური რევოლუცია. ჰეგელმა დააგვირგვინა იგი თავის სისტემაში. „არასოდეს ჯერ მას შემდეგ, რაც კი ადამიანები აზროვნებენ,—წერს ენგელსი,—არ ყოფილა ფილოსოფიის ისეთი ყოელისშემცველი სისტემა, როგორც ჰეგელის სისტემა.. ლოგიკა, მეტაფიზიკა, ბუნების ფილოსოფია, სულის ფილოსოფია, სამართლის, რელიგიის, ისტორიის ფილოსოფია—ყველაფერი თავმოყრილი იყო ერთ სისტემაში, ყველაფერი დაყვანილი იყო ერთ ძირითად პრინციპამდე“ [1].

ეს პრინციპი იყო განვითარება, გაგებული როგორც დაპირდაპირებულებათა ბრძოლა, რაც იდეალისტ ჰეგელს წარმოდგენილი ქონდა როგორც მსოფლიო ცნობიერების, გონების, აბსოლუტური სულის განვითარება.

რაც უფრო უნუგეშო იყო გერმანული ნახევრადფეოდალური სინამდვილე, მით უფრო მეტად ესწრაფებოდა ფილოსოფიური აზრი მასზე ამაღლებას. მაგრამ ფილოსოფიური აზრი ვერ პოულობდა ნამდვილ ისტორიულ დასაყრდენს მის მიერ წამოყენებული ბურჟუაზიული იდეალებისათვის, ტკბებოდა საკუთარი დამოუკიდებლობით და „შემოქმედებით“ და კარგავდა ნამდვილი პრაქტიკის მტკიცე ნიადაგს და მომაკვდინებელი აბსტრაქციის ტყვეობაში ვარდებოდა.

გერმანული ფილოსოფიური იდეალიზმი, მოასწავებს რა თეორიის საზიზღარ მოწყვეტას პრაქტიკისაგან და თეორიის უძლურებას პრაქტიკის ახსნისა და შეცვლის საქმეში, არის განუწყვეტელი გაქცევა, „პროგრესი დაუსრულებლობაში“ ნამდვილი პრაქტიკისა, ნამდვილი ქვეყნისაგან. „შენ შეგიძლია, რადგან ვალდებული ხარ“—ორა·ასე, ორამეტ: „შენ არ შეგიძლია, რადგან ვალდებული ხარ“—აი გერმანული კლასიკური იდეალიზმის შედეგი, გამოთქმული მისი დამაგვირგვინებელის სიტყვებით—ჰეგელის სიტყვებით. მაგრამ თვით ჰეგელი თავისი დიალექტიკის საფეძველზე სახავს გამოსავალს ამ ჩიხიდან.

„ნამდვილად გონივრულობა და კანონი სრულიადაც არ იმყოფებიან ისეთ სამწუხარო მდგომარეობაში, რომ ისინი მხოლოდ ვალდებულნი იყვნენ“—ამბობს ჰეგელი. ყველაფერი რაც გონივრუ-

---

[1] მარქსი და ენგელსი, სტატიები „New Moral World“-იდან, თხზ. ტ. II, გვ. 405—406.

[2] ჰეგელი, Наука логики, გვ. 71. 1929 წ.

ლია ამავე დროს მასთანვე აუცილებელიც არის; აგრეთვე რაც აუცილებელია, უნდა არსებობდეს ან უკიდურეს შემთხვევაში უნდა დადგეს— აი მისი იდეალისტური დიალექტიკის შედეგი.

ჰეგელის დიალექტიკა თითქოს უბრუნდება სინამდვილეს. მაგრამ იგი პოულობს არა ბუნების და საზოგადოების ობიექტურ რეალობას, არამედ აზროვნების მხოლოდ ცალიერ გარსს—სინამდვილის ლოგიკურ აჩრდილს. გააიგივა რა ყოფიერება და აზროვნება, ჰეგელი აუცილებლათ მიდის პრაქტიკის გაიგივებამდე თეორიასთან. იდეალისტური დიალექტიკა, გამოხატავდა რა გერმანული ბურჟუაზიის პრაქტიკულ უძლურებას, ადამიანის მთელ საგნობრივ-პრაქტიკულ მოქმედებას თქვეფდა აზროვნებით კატეგორიებში, მას მივყავდით კონსერვატიულ ფილოსოფიამდე.

1830 წლის ივლისის რევოლუციის ქექა-ქუხილი იყო სამგლოვიარო ხმა გერმანული კ ლ ა ს ი კ უ რ ი იდეალიზმისათვის; რომელიც მიუახლოვდა პრაქტიკული მოქმედების მნიშვნელობის გაგებას, მაგრამ ვერ შესძლო ნამდვილი მატერიალური პრაქტიკის დაუფლება მისი შეცვლის მიზნით.

ფეიერბახის ფილოსოფია, რომელიც გამოხატავს ბურჟუაზიული რევოლუციის სიახლოვეს, გადაჭრით სწყვეტს კავშირს ჰეგელის იდეალიზმთან და აღიარებს მატერიალიზმს: არა აზროვნება, არამედ ბუნებისა და ადამიანის ყოფიერება არის შემეცნების გამოსავალი მომენტი. მაგრამ ადამიანსა და ბუნებას ფეიერბახი იხილავს „მხოლოდ ო ბ ი ე ქ ტ ი ს ფორმაში ანუ გ ა ნ ჭ ვ რ ე ტ ი ს ფორმაში და არა ა დ ა მ ი ა ნ ი ს გ რ ძ ნ ობ ა დ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა შ ი, ა რ ა პ რ ა ქ ტ ი კ ა შ ი“[1].

აყენებდა რა ფილოსოფიის ბუნებისმეტყველებასთან და ბუნებისმეტყველების ფილოსოფიასთან კავშირის აუცილებლობას, ფეიერბახს არ ესმოდა, რომ თეორიის განვითარების პრობლემა მოითხოვს არა მარტო რელიგიის, თეოლოგიის, საერთოდ მეტაფიზიკის დაძლევის აუცილებლობას, არამედ ბურჟუაზიული პოლიტიკის კრიტიკასაც.

XIX საუკუნის 40-იან წლებში წამოიჭრა ენციკლოპედიური ამოცანა—გამოეკვლიათ და რეზიუმე გაეკეთებიათ უამრავი დაგროვილი მასალისათვის როგორც ბუნების ისტორიის—ბუნებისმეტყველების დარგში, ისე საზოგადოების ისტორიის—ადამიანთა ისტორიის დარგში. ოდესღაც რევოლუციურ ბურჟუაზიულ თეორიას, მას შემდეგ, რაც ის კონსერვატიულად გადაიქცა, არ შეეძლო თავის გარეთ მეა ამ ამოცანისათვის: აკონსერვირებდა რა ბურჟუაზიულ საზოგადოებას როგორც მუდმივსა და „ბუნებრივს“ და კვებავდა რა ამ კონ-

[1] ე ნ გ ე ლ ს ი, ლ. ფეიერბახი, გვ. 76, 1933 წ.

სერვატიზმით სტიქიური განვითარების პროცესში მყოფ ბუნებისმეტყველებას, იგი მეტაფიზიკურ ჩიხში მოემწყვდა.

გერმანიაში ბურჟუაზია ჯერ კიდევ არ იდგა ხელისუფლების სათავეში იმის გამო, რომ წარმოების კაპიტალისტური წესი მხოლოდ მა'მინ მომწიფდა, როდესაც გამომჟღავნდა მისი ანტაგონისტური ხასიათი ინგლისსა და საფრანგეთში გაჩაღებული ისტორიული ბრძოლის მწვავე კონფლიქტებში. მაგრამ გერმანიის ისტორიული განვითარების ეს თავისებურება არამც თუ გამორიცხავდა ბურჟუაზიული თეორიის კრიტიკის შესაძლებლობას, არამედ მოითხოვდა ამ კრიტიკას უკვე იმ კლასის მხრით, რომლის ისტორიულ ამოცანას წარმოადგენდა კაპიტალიზმის შეცვლა წარმოების ახალი წესით და კლასების საბოლოოდ მოსპობა, ე. ი. პროლეტარიატის მხრით. ეს კრიტიკა აუცილებლად პოლიტიკას უნდა დაკავშირებოდა. პოლიტიკური ბრძოლა, წარმოადგენდა იმ ძირითად რგოლს, რომლითაც შეიძლებოდა თეორიის ამოყვანა ფეოდალური და ბურჟუაზიული შეზღუდულობის ჭაობიდან ობიექტური და რევოლუციური შემეცნების გზაზე და ამით განხეთქილებისა და ანტაგონიზმის მოსპობა თეორიასა და პრაქტიკას შორის.

ასე იდგა ეს პრობლემა მარქსიზმის წარმოშობის დროისთვის. ასეთია უაღრესად ზოგად ხაზებში ის ისტორიული წინააღმდეგობანი, რომლებმაც მოამზადეს მარქსიზმის ჩასახვა.

მარქსიზმი როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა არ წარმოშობილა საერთაშორისო ცივილიზაციის მთავარი გზის მიღმა. როგორც თავისი მატერიალურ-პრაქტიკული, ისე თეორიული ფესვებით ის საერთაშორისო განვითარების პროდუქტს წარმოადგენს. მისი გერმანიაში აღმოცენება, როგორც ჩვენ დავინახეთ, ასევე საერთაშორისო ვითარებით აიხსნება.

იმდროინდელი გერმანია წარმოადგენდა ზემოთ დახასიათებულ წინააღმდეგობათა ურთიერთ გადანასკვებას. ახალი ბურჟუაზიული ეკონომიკისა და ფეოდალიზმის ჯერ კიდევ გადაუჭრელ წინააღმდეგობებს ერთვოდა ბურჟუაზიული საზოგადოების შინაგანი ანტაგონიზმები. მსგავსად იმისა, როგორც რომის პანთეონში შეიძლებოდა ყველა ერთა ღმერთების ნახვა, ასევე გერმანიაში შეიძლებოდა ეკონომიური და სახელმწიფოებრივი წყობილების სხვადასხვა ფორმების ცოდვათა მონახვა.

გერმანიაში, როგორც უკვე აღნიშნული იყო, წარმოების კაპიტალისტური წესი მას შემდეგ მომწიფდა, როდესაც გამომჟღავნდა მისი ანტაგონისტური ხასიათი ინგლისსა და საფრანგეთში. ამ გარემოებამ გამოიწვია გერმანიის ბურჟუაზიის პოლიტიკური და თეო-

რიული უძლურება და დიდი პოლიტიკური და თეორიული შეგნებულობა გერმანიის პროლეტარიატისა, რომელიც ეყრდნობოდა უკვე ინგლისისა და საფრანგეთის მუშათა მოძრაობის გამოცდილებას. ადარებდა რა „პროლეტარიატის გიგანტურ ბავშურ წაღებს“ „გერმანული ბურჟუაზიის კარლიკურ გაცვეთილ პოლიტიკურ ჩექმებს“, მარქსი ჯერ კიდევ 1848 წ. ხედავდა გერმანიის პროლეტარიატში „ატლეტის ფიგურას“. უკვე „სილეზიის აჯანყება სწორედ იმით იწყება, რითაც თავდება საფრანგეთისა და ინგლისის აჯანყებები,—პროლეტარიატის არსების შეგნებით“. გერმანიას, რომელიც იმყოფებოდა ბურჟუაზიული რევოლუციის წინ საერთოდ ევროპიული ცივილიზაციის უფრო პროგრესიულ პირობებში, გაცილებით უფრო განვითარებული პროლეტარიატით, ვიდრე XVII საუკუნის ინგლისში და XVIII საუკუნის საფრანგეთში, შესაძლებლობა ქონდა ვადაექცია ეს ბურჟუაზიული რევოლუცია პროლეტარული რევოლუციის უშუალო პროლოგად. რევოლუციური მოძრაობის ცენტრი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადავიდა და გერმანია იყო მისი ავანგარდი. ხოლო ამიტომ, როგორც „კომუნისტური მანიფესტი“ მიუთითებს, „კომუნისტები თავის მთავარ ყურადღებას გერმანიას აქცევენ“.

დაბოლოს მხოლოდ გერმანულმა შეგნებულმა დიალექტიკამ—კლასიკური იდეალიზმის უდიდესმა მონაპოვარმა,—რომელიც მისტიკური ფორმისაგან გასწმინდა და ფეხზე დააყენა პროლეტარიატის უდიდესმა იდეოლოგმა, შესაძლებელი გახადა თეორიის გამოყვანა ფეოდალური და ბურჟუაზიული შეზღუდულობის მეტაფიზიკური ჩიხიდან.

ყველა ეს გარემოება ერთად აღებული ნათელყოფს ჩვენთვის, თუ რატომ გახდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის გერმანია მარქსიზმის სამშობლოდ, ხოლო გერმანიის პროლეტარიატის ბელადები—მარქსი და ენგელსი, შეიარაღებულნი თავისი არსებით კრიტიკული და რევოლუციური მატერიალისტური დიალექტიკით—მის შემოქმედებად.

მარქსმა და ენგელსმა, განვლეს რა ფეიერბახული მატერიალიზმის „ცეცხლის ნაკადი“, ეს იმდროინდელი „განსაწმენდელი“, რომელიც ანთავისუფლებდა ადამიანს იდეალისტური ფილოსოფიის ცნებებისა. და ცრუ შეხედულებებისაგან, და წინააღმდეგ „მოწუწუნე და პრეტენციოზული ეპიგონობისა“ პირველად გამოიტანეს დღის სინათლეზე დავიწყებული დიალექტიკური მეთოდი. მათ აღნიშნეს თავისი მეთოდის კავშირი ჰეგელის დიალექტიკასთან და აგრეთვე ისიც, რომ იგი პირდაპირ წინააღმდეგურია ამ უკანასკნელისადმი, უჩვენეს

ამ მეთოდის გამოყენება ემპირიული მეცნიერების ფაქტების და რევოლუციური ბრძოლის პირობების მიმართ.

ბურჟუაზიამ, როგორც ჩვენ ზემოთ დავინახეთ, თავისი რევოლუციურობის ხანაში თავის საუკეთესო წარმომადგენლების სახით, „ბუნებაზე დაყრდნობით“ დაამყარა ბუნებისმეტყველების კავშირი ფილოსოფიასთან და იდგა მატერიალისტურ და ათეისტურ პოზიციებზე. მარქსი და ენგელსი, გამოხატავენ რა პროლეტარიატის ინტერესებს, იმ კლასის ინტერესებს, რომელიც დაინტერესებულია არა მარტო ბუნების შეცვლით, არამედ საზოგადოების რადიკალური შეცვლითაც, მოითხოვენ ფილოსოფიის იდეურობისათვის არა მარტო ბუნებისმეტყველებასთან კავშირს, არამედ აგრეთვე მის კავშირს კაცობრიობის ისტორიასთან. „ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთადერთი მეცნიერება, ისტორიის მეცნიერება. ისტორია შეიძლება განვიხილოთ ორი მხრით და გავყოთ ბუნების ისტორიად და ადამიანთა ისტორიად. მ ა გ რ ა მ ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ო რ ი ვ ე ა მ მ ხ ა რ ი ს ე რ თ ი მ ე ო რ ი ს ა გ ა ნ გ ა მ ო ყ ო ფ ა,—წერენ მარქსი და ენგელსი 1845 წ.,—ვიდრე არსებობენ ადამიანები, ბუნების ისტორია და ა დ ა მ ი ა ნ თ ა ი ს ტ ო რ ი ა ე რ თ ი მ ე ო რ ე ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ვ ე ნ“ [1]. ადამიანთა შეგნებული დამოკიდებულება ბუნებისადმი განსაზღვრავს მათ შეგნებულ დამოკიდებულებას ერთიმეორისადმი, და, პირიქით, მათი შეგნებული დამოკიდებულება ერთიმეორისადმი განსაზღვრავს მათ შეგნებულ დამოკიდებულებას ბუნებისადმი.

კლასობრივ საზოგადოებაში ადამიანთა დამოკიდებულება ერთიმეორისადმი, მათი საზოგადოებრივი ურთიერთობა მოკლებულია შეგნებულ ხასიათს. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კი ისინი წარმოადგენენ „დასრულებულ მონობას და ადამიანის განდევნილობას“, წარმოადგენენ შეგნებული განვითარების მთავარ ყოველმხრივ შემაფერხებელ გარემოებას. ამიტომ მარქსმა და ენგელსმა თავისი კრიტიკის მთავარი ცეცხლი მიმართეს კაპიტალიზმის საზოგადოებრივ ურთიერთობათა წინააღმდეგ, რომელთაც თავისი კონცენტრირებული გამოხატულება ბურჟუაზიის პოლიტიკაში ჰპოვეს.

ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკამ, კრიტიკამ ჰეგელიანობის უბადრუკ ეპიგონებისა „გერმანული იდეოლოგიის“ და „ნეშმარიტი სოციალიზმის“ წარმომადგენლების სახით, მის თანამედროვე სოციალ-ეკონომიურ მოძღვრებათა კრიტიკამ მარქსი მიიყვანა იმ „დასკვნამდე, რომ სამართლის ურთიერთობანი, ისე როგორც სახელმწიფოს ფორმები ვერც თავიანთაგან გაიგებიან, ვერც ადამიანის სულის ეგრეთწოდებული საზოგადო განვითარებიდან, არამედ, პირიქით, ცხოვრების

[1] მარქსისა და ენგელსის არქივი, წიგ. 1. გვ. 214. ხაზგასმულია ჩვენს მიერ.—ა ვ ტ.

ბატერიალურ პირობებში არიან ფესვებგადგმულნი, რომელთა ერთობლივობას ჰქვია, ინგლისელებისა და XVIII საუკუნის ფრანგების მაგალითის მიხედვით, „სამოქალაქო საზოგადოების“ საერთო სახელწოდებას აძლევს, ხოლო ამ სამოქალაქო საზოგადოების ანატომია პოლიტიკურ ეკონომიაში უნდა ვეძიოთ“[1]. „მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განსაზღვრავს სოციალური, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების პროცესებს საზოგადოდ“[2].

მარქსის ამ დასკვნიდან გამომდინარეობს უაღრესად რევოლუციური დასკვნები, რომლებიც შლიან ყველა დროის უდიდესი რევოლუციის პერსპექტივებს და არა მარტო თეორიისათვის, არამედ, რაც განსაკუთრებით ნიშვნელოვანია, პროლეტარიატის პრაქტიკისათვისაც. განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, მიუთითებს შემდეგ მარქსის ცნობილი წინასიტყვაობა მის წიგნში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“. საწარმოო ურთიერთობა „საწარმოო ძალთა განვითარების ფორმიდან“ მათ ბორკილებად იქცევა. „მაშინ დგება სოციალური რევოლუციის ეპოქა. ეკონომიური საფუძვლის ცვლილებასთან ერთად მთელი უზარმაზარი ზედნაშენიც მეტი თუ ნაკლები სისწრაფით გადატრიალდება“. „ბურჟუაზიული საწარმოო ურთიერთობანი წარმოადგენენ საზოგადოებრივი წარმოების პროცესის უკანასკნელ ანტაგონისტურ ფორმას, ანტაგონისტურს არა ინდივიდუალური ანტაგონიზმის აზრით, არამედ—ინდივიდუუმთა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებიდან აღმოცენებული ანტაგონიზმის აზრით; მაგრამ ის მწარმოებელი ძალები, რომლებიც ბუუჟუაზიული საზოგადოების წიაღში ვითარდება, ჰქმნის აგრეთვე მატერიალურ პირობებს ამ ანტაგონიზმის გადასაჭრელად.

ამიტომ ამ საზოგადოებრივი ფორმაციით მთავრდება ადამიანთა „საზოგადოების წინა-ისტორია“[3].

III. მარქსიზმ-ლენინიზმი როგორც თეორიისა და პოლიტიკური პრაქტიკის ერთიანობა

„ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათს ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათ ცნობიერებას“[1]. ეს დებულება, გენიალური თავის სიღრმით, გამოთქმული ასე უბრალოდ და ასე ნათლად, ჩამოაყალიბეს მარქსმა და ენგელსმა და შემდგომ იგი განავითარა ლენინმა. ულმობელ ბრძო-

[1] მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 40, სახელმძღვანელო, 1932 წ.

[2] იქვე, გვ. 41.

[3] იქვე, გვ. 41-42.

ლაში იდეალიზმის და მეტაფიზიკური, მექანიკური მატერიალიზმის წინააღმდეგ.

იდეალიზმი სცილდება რეალურ ყოფიერებას, აიგივებს მას ცნობიერებასთან. მარქსის სიტყვებით, იგი „რეალურ ობიექტურ ჯაჭვებს“ აქცევს „მხოლოდ და მხოლოდ იდეალურ, მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტურ, მხოლოდ და მხოლოდ ჩემში არსებულად, და ამიტომ ყველა გარეგან გრძნობად ბრძოლას აქცევს წმინდა იდეების ბრძოლად“.

ფეიერბახის ტიპის მეტაფიზიკური მატერიალიზმი ვერ გამოდის გაუბრალოებულ „ბუნებისმეტყველურ მეცნიერული მატერიალიზმის“ ჩარჩოებიდან. იგი თანამედროვე კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჯაჭვებით შებორკილ ადამიანთა ყოფიერებას იხილავს როგორც „საერთოდ ადამიანის“ ყოფიერებას. ამიტომ იგი თვით ყოფიერებაში ვერ პოულობს ძალებს, რომელთაც შეუძლიათ ამ ჯაჭვების დამსხვრევა და ამით ადამიანებს წილად ახვედრებს ამ „ფხიზელი უიმედო ჯაჭვების“ ტარებას შემდგომშიაც.

იდეალიზმის თვალსაზრისით ყოფიერების განვითარებას ცნობიერების განვითარება განსაზღვრავს. ამიტომ იდეალიზმი ზემოქმედებას ადამიანთა ცნობიერებაზე, იდეათა პროპაგანდას თელის აუცილებელ და სავსებით საკმაო პირობად ყოფიერების გარდაქმნისათვის. მეტაფიზიკური მატერიალიზმისათვის კი ცნობიერებას ყოფიერების განვითარება განსაზღვრავს, მაგრამ მას თვით ყოფიერება ესმის აბსტრაქტულად, „მხოლოდ ობიექტის ფორმაში ანუ განჭვრეტის ფორმაში და არა ადამიანურ გრძნობითი მოქმედებაში, პრაქტიკაში, არა სუბიექტურად“[1]. ამდენად მეტაფიზიკოს-მატერიალისტი პრაქტიკაში რჩება იდეალისტად, — სწორედ იქ, სადაც კომუნისტი მატერიალისტი, მარქსისტი ხედავს აუცილებლობას და ამავე დროს პოულობს ქვეყნის გარდაქმნის პირობებს.

ცნობიერებას საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს და თავის მხრით ის ხელს უწყობს ყოფიერების შემდგომ განვითარებას. მაგრამ ადამიანთა ცნობიერებას ასეთი როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ადამიანთა პრაქტიკის მეოხებით. „იდეებს არასოდეს არ შეუძლიათ ძველი წყობილების ფარგლებიდან გამოყვანა: მათ ყოველთვის გამოვყავართ მხოლოდ ძველი წყობილების იდეათა ფარგლებიდან. იდეებს საერთოდ არაფრის შესრულება არ შეუძლიათ. იდეათა შესრულებისათვის, — აყალიბებს თავის შეხედულებებს მარქსიზმი, — საჭიროა ადამიანები, რომლებმაც უნდა

[1] ენგელსი, ლ. ფეიერბახი, გვ. 76, 1933 წ.

მოიხმარონ პრაქტიკული ძალა"[1]. მარქსი და ენგელსი ებრძოდენ თავის მოწინააღმდეგეებს ადამიანის პრაქტიკული მატერიალური მოქმედების იდეალისტური უგულებელყოფისათვისაც და ყოფიერების მეტაფიზიკური დაპირისპირებისათვისაც ცნობიერებისადმი, რაც უგულებელყოფს ბუნებისა და საზოგადოების შეცვლას თვით ადამიანის მიერ.

მათ ბოლო მოუღეს ბუნების მეტაფიზიკურ, ფეიერბახულ აბსტრაქტულ კულტს. მაგრამ ამასთანავე ისინი ემყარებოდენ ბუნებისმეტყველებას და მის ახალ აღმოჩენებს: ენერგიის გარდაქმნის აღმოჩენას, რამაც გვიჩვენა, რომ ბუნებაში მოძრაობის ყველა ფორმების ერთიანობა ახლა უკვე უბრალო ფილოსოფიური მტკიცება კი არ არის, არამედ ბუნებისმეტყველურ-მეცნიერული ფაქტია; უჯრედის აღმოჩენას, რამაც საიდუმლოების სამოსელი ჩამოგლიჯა ორგანიზმების წარმოშობის და ზრდის პროცესს და სტრუქტურას; აგრეთვე დარვინის მიერ ორგანიულ სამყაროს ევოლუციის კანონის აღმოჩენას. მეორე მხრით, მარქსი და ენგელსი პოლიტიკის კრიტიკის საშუალებით ფილოსოფიურ აზრს აძლევდენ ადამიანთა საზოგადოების ისტორიის შესწავლის ორიენტაციას. მარქსმა და ენგელსმა გამოამჟღავნეს პოლიტიკურ იდეათა მატერიალური შინაარსი, მეცნიერული ბაზისი შეუქმნეს თავის პოლიტიკურ იდეოლოგიას ისტორიული მატერიალიზმის აღმოჩენის გზით და ამით თავიდან ბოლომდე ყოვლისშემცველ მთლიან მეცნიერულ მატერიალისტურ მსოფლმხედველობას შეუქმნეს ის რგოლი, რომელიც მას აკლდა. ეს მსოფლგაგება, ემყარება რა ჯიუტ ფაქტებს, ამავე დროს ამჟღავნებს მათ დიალექტიკურ-მატერიალისტურ კავშირს და ზედმეტად ხდის ფილოსოფიას, რომელიც სხვა მეცნიერებებზე მაღლა დადგომის პრეტენზიას აცხადებს, ფილოსოფიას, მოწყვეტილს კონკრეტული ცოდნისაგან, ფილოსოფიას როგორც „მეცნიერებათა მეცნიერებას".

ამრიგად მარქსისა და ენგელსის და მათი მუშაობის განმგრძობის ლენინის უდიდესი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მათ შექმნეს და შემდგომ განავითარეს დიალექტიკური მატერიალიზმი როგორც მთლიანი, თანმიმდევრული რევოლუციური მსოფლმხედველობა, რომელიც მოიცავს მკვდარ ბუნებას, ორგანიულ სიცოცხლეს, აზროვნებას და ადამიანთა საზოგადოებას. მარქსიზმი თავის განვითარებაში შენდება როგორც ისეთი მთლიანი მსოფლმხედველობა, რომელიც შეიცავს „თანმიმდევრულ მატერიალიზმს, რაც სოციალური ცხოვრების დარგსაც მოიცავს, დიალექტიკას როგორც ყველაზე მეტად ყოვლისმხრივ და ღრმა მოძღვრებას განვ-

[1] მარქსი და ენგელსი, „წმიდა ოჯახი", თხზ. ტ. III, გვ. 147.

ვითარებაზე, კლასობრივი ბრძოლის და ახალი, კომუნისტური საზოგადოების შემომქმედის, პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული რევოლუციური როლის თეორიას"[1]. ყურადღების კონცენტრირება პოლიტიკაზე მარქსს და ენგელსს საშუალებას აძლევს გადალახონ წინამორბედ მატერიალიზმის წმინდა მეტაფიზიკური ხასიათი და გაერთიანონ ფილოსოფიური მატერიალიზმი მეცნიერულ კომუნიზმთან. კომუნიზმის განხორციელება — მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის მოღვაწეობისა და მათ მიერ შექმნილი პრაქტიკული მატერიალიზმის, ე. ი. კომუნიზმის პარტიის საბოლოო მიზანია.

მარქსიზმი აძევებს იდეალიზმს მისი უკანასკნელი თავშესაფარიდან — ადამიანთა საზოგადოების შემეცნებიდან; წარსულის ცალმხრივ, მერყეე, მკვდარ მატერიალიზმს ის უპირისპირებს დიალექტიკურ მატერიალიზმს. მარქსიზმი თავის წინაშე ისახავს ამოცანას მოგლიჯოს „ჯაჭვებს წარმოსახული ყვავილები" არა იმიტომ, რომ კლასობრივი მონობით ჩაგრული კაცობრიობა ატარებდეს „ფხიზელ, უიმედო ჯაჭვებს"[2], არამედ იმიტომ, რომ მან ეს ჯაჭვები რევოლუციურ ბრძოლაში ჩამოიცილოს.

მაგრამ მატერიალური ჯაჭვების საბოლოოდ მოშორება მატერიალური ძალითვე შეიძლება. მარქსიზმი, რომელმაც გამოამჟღავნა ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონები და მისი კლასობრივი სტრუქტურა, აღმოაჩინა წარმოების კაპიტალისტური წესის სპეციფიკური კანონი — ზედმეტი ღირებულების წარმოების კანონი, — პოულობს ასეთ ძალას პროლეტართა კლასის სახით. ამ ძალას, რომელიც, წინაალმდეგ ყველა ისტორიულად წინამორბედ კლასებისა, „სრულიად შეუფერადებელი, ულმობელი, აბსოლუტურად მბრძანებელი გაჭირვების, აუცილებლობის ამ პრაქტიკული გამოხატულების გავლენით", — მიისწრაფვის განთავისუფლდეს თავის არაადამიანურ საარსებო პირობებისაგან, არ შეუძლია თავის განთავისუფლება თავის საკუთარი საარსებო პირობების გაუქმების საშუალებით, თუ არ გააუქმა „თანამედროვე საზოგადოების ყველა არაადამიანური საარსებო პირობები, რომლებიც თავმოყრილია მის საკუთარ მდგომარეობაში"[3]. მარქსიზმი ამჟღავნებს თანამედროვე საზოგადოების ყველა ანტაგონიზმს, იხილავს მათ ევოლუციას და ამტკიცებს მათ გარდამავალ ხასიათს. მაშინ როდესაც სოციალისტ-უტო-

---

[1] ლენინი, კარლ მარქსი, თხზ. ტ: XVIII, გვ. 5. სახელგამი, 1932 წ.

[2] მარქსი და ენგელსი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, თხზ., ტ. I, გვ. 400.

[3] მარქსი და ენგელსი, წმიდა ოჯახი, თხზ. ტ. III, გვ. 56.

პისტები პროლეტარიატს იხილავდენ როგორც მხოლოდ ყველაზე ტანჯულ კლასს, მარქსიზმი პირდაპირ აყენებს თავის ამოცანად პროლეტარიატის კლასობრივი მიზნების განხორციელებას და პროლეტარიატისათვის ხელმძღვანელობის გაწევას მის ბრძოლაში, რადგან მხოლოდ პროლეტარიატი წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოების ერთადერთ ბოლომდე რევოლუციურ კლასს. მარქსიზმი წარმოადგენს კაცობრიობის მთელი ისტორიის გადამუშავების და განსაკუთრებით თვით პროლეტარიატის ისტორიული პრაქტიკის განვითარების და ბრძოლის დიალექტიკურ-მატერიალისტურ შეჯამებას.

მარქსიზმი როგორც თავისი არსებით კრიტიკული და რევოლუციური თეორია თავისში აერთიანებს შინაგნად და განუწყვეტლად მკაცრ და უმაღლეს მეცნიერულობას რევოლუციურობასთან. და ეს იმიტომ, რომ იგი არის უწინარეს ყოველისა პროლეტარიატის ერთიანი და ერთადერთი მსოფლგაგება — იმ კლასის, რომელიც მოწოდებულია ისტორიის მიერ მოსპოს თეორიის მოწყვეტა პრაქტიკისაგან და პრაქტიკისა თეორიისაგან სამყაროს რევოლუციური შეცვლის პროცესში. გამოხატავს რა ამ მისწრაფებას, მარქსიზმი თავიდანვე გამოდის არა მარტო როგორც სამყაროს კრიტიკა და მისი ახსნა-განმარტება, არამედ როგორც მ ი ს ი შ ე ც ვ ლ ის თ ე ო რ ი ა „და პ რ ა ქ ტ ი კ ა, რომელიც კრიტიკასა და ახსნას შეიცავს როგორც თავისადმი დაქვემდებარებულ მომენტებს.

„არა კრიტიკა, არამედ რევოლუცია არის ისტორიის და აგრეთვე რელიგიის, ფილოსოფიის და ყოველგვარი სხვა თეორიის მამოძრავებელი ძალა“[1].

„ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად გ ა ნ მ ა რ ტ ა ვ დ ე ნ სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა,—წერდა მარქსი 1845 წ.,—რომ სამყარო შ ე ც ვ ლ ილ ი ქ ნ ეს“[2]. ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ რევოლუციური შეცვლა შესაძლებელია სამყაროს თეორიული კრიტიკისა და განმარტების გარეშე. ეს ნიშნავს მხოლოდ მოთხოვნას გ ა ვ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ო თ თეორია ფეტიშისტური სამოსელისაგან, ვიხსნათ იგი, ერთის მხრივ, სუბიექტივისტურ ილუზიებისაგან, რომ მას „ყველაფერი შეუძლია, რომ მას ყოველივე არაფრად უღირს“, მეორე მხრივ, მხოხავი ემპირიზმისაგან, „ობიექტივიზმისაგან“, რომელიც თეორიას ხდიდა მოვლენების „კუდში“ მაჩანჩალად და მას აქცევდა არსებული ძველი სამყაროს დაცვის იარაღად. ამრიგად ეს არის „მხოლოდ“ მთელი რევოლუცია, რომელიც თეორიას ანთავი-

[1] მ ა რ ქ ს ი და ე ნ გ ე ლ ს ი, გერმანული იდეოლოგია, თხზ. ტ. IV, გვ. 28.
[2] ე ნ გ ე ლ ს ი, ლ. ფეიერბახი, გვ. 79.

სუფლებს ილუზიებისაგან და ანიჭებს მას განუზომელ ძლევამოსილებას და ძალას.

უკვე თავისი განვითარების დასაწყისში მარქსიზმი, იცავდა რა თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის დიალექტიკურ გაგებას, ულმობელ ბრძოლას აწარმოებდა ამ შეხედულების სუბიექტივისტურ და ობიექტივისტურ დამახინჯებათა წინააღმდეგ. ის ებრძოდა იდეალისტ ახალგაზრდა ჰეგელიანელების, ძმების ბაუერებისა და კოპპანიის სუბიექტივისტურ „კრიტიკულ კრიტიკას“, რომელთაც ისტორია წარმოსახულ სუბიექტების წარმოსახულ მოქმედებამდე დაყავდათ და რომლებიც პიროვნებათა ამ მოქმედებას მასების ინტერესებზე და მოძრაობაზე მაღლა აყენებდენ. ის ებრძოდა აგრეთვე ემპირიზმსა და ობიექტივიზმს და სხვ. „ჭეშმარიტ სოციალისტებსა“ და ისტორიკოსებს, რომლებიც ისტორიულ ურთიერთობას იხილავდენ მოქმედებისაგან განცალკევებით, ისტორია დაყავდათ მკვდარი ფაქტების კოლექციამდე, უგულებელყოფდენ პოლიტიკურ მოქმედებას და თავისი პარტიული „მიუდგომლობით“ ყოველგვარ კლასობრივ ბრძოლაზე მაღლა დაფრინავდენ.

პროლეტარიატისადმი მტრულ ყველა ამ მოძღვრებათა წინააღმდეგ მარქსიზმ-ლენინიზმმა წამოაყენა „რევოლუციურ-პრაქტიკულ მოქმედებაზე“ დაყრდნობილი თეორია. მარქსის თეორიული კრიტიკა და მის მიერ ისტორიული სინამდვილის ახსნა აყენებს ისეთ ამოცანებს, რომელთა გადაჭრისათვის არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება — პოლიტიკური პრაქტიკა. „ჩვენ ვხედავთ, — წერდა მარქსი, — რომ თეორიულ დაპირდაპირებულებათა გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ პრაქტიკული გზით, მხოლოდ ადამიანის პრაქტიკული ენერგიის მეოხებით, და რომ ამიტომ მათი გადაჭრა სრულიადაც არ წარმოადგენს მხოლოდ შემეცნების ამოცანას, არამედ იგი არის ნამდვილად საარსებო ამოცანა, რომლის გადაჭრა ფილოსოფიამ სწორედ იმიტომ ვერ შესძლო, რომ მასში იგი მხოლოდ თეორიულ ამოცანას ხედავდა“[1]. ჭეშმარიტი პრაქტიკა — ხოლო ასეთი იგი არის უწინარეს ყოვლისა როგორც გრძნობადი-საგნობრივი მოქმედება, — საფუძვლად უდევს ნამდვილ და დადებით თეორიას, ის არის ჭეშმარიტების მამოძრავებელი იმპულსი და კრიტერიუმი. მარქსიზმი ვითარდებოდა მუდმივ იდეურ ბრძოლაში „მეგობრებისა“ და აშკარა მტრების წინააღმდეგ, სასტიკ ბრძოლაში „მოსოციალისტო“ წვრილბურჟუაზიული თეორიების ყველა ნაშთებთან, იგი იცავდა თეორიაში და პრაქტიკულად ანხორციელებდა თეორი-

[1] მარქსი და ენგელსი, მოსამზადებელი სამუშაოები „წმიდა ოჯახისათვის“, თხზ., ტ. III, გვ. 628.

ისა და პრაქტიკის დიალექტიკურ ერთიანობას საგნობრივი მოქმედების საფუძველზე. მარქსიზმი თანამედროვე პრაქტიკის ფეხვებს კლასობრივი საზოგადოების ეკონომიურ პირობებში ამყლავნებს და აგიტომ ხამდვილ თეორიას და ქეშმარიტ რევოლუციურ პრაქტიკას მიმართავს ბურჟუაზიული პრაქტიკის დაცხობისაკენ. მარქსიზმი მასებში, მასების პრაქტიკაში ეძებს ამ საზიზღარი დაშორების ლიკვიდაციის გზას.

თეორია რომ ძალად იქცეს, მასებს უნდა დაეუფლოს. მასები კი, მართებული რევოლუციური მოქმედების უნარიანი რომ გახდენ, ქეშმარიტ თეორიას უნდა დაეუფლონ.

მაგრამ ყოველგვარ თეორიას არ შეუძლია მასების დაუფლება. თეორიას ეს მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც „არსებულის პოზიტივური გაგება იმავე დროს შეიცავს მისი ნეგაციისა [მისი უარყოფისა] და მისი აუცილებელი მოსპობის გაგებას, ყოველ არსებულ ფორმას განიხილავს მოძრაობაში, ე. ი. მისი წარმავალობის მხრივ, არავის „წინაშე ქედს არ იხრის და არსებითად კრიტიკული და რევოლუციურია“ [1], ე. ი. როდესაც მას ობიექტური შემეცნება მიჰყავს დიალექტიკურ მატერიალიზმამდე, რომელიც საგნებს შეიცნობს ობიექტურად და არსებითად მათ რევოლუციურ ცვლილებასა და განვითარებაში.

თეორიისა და პრაქტიკის ამავე თანაშეფარდებიდან გამომდინარეობს ის დასკვნაც, რომ მჩაგვრელი კლასების თეორიას, კერძოდ ბურჟუაზიულ თეორიას არსებითად არ შეუძლია ერთიანობაში ყოფნა ჩაგრული მასების პრაქტიკასთან. ამ შეუძლებლობის მიზეზები მოქცეულია ბურჟუაზიის ცხოვრების პირობებში და მის ექსპლოატატორულ არსებაში. აღრმავებს რა ანტაგონიზმს თეორიასა და პრაქტიკას შორის, ექსპლოატატორების კლასი ცდილობს ჩაგრულ მასებსაც შთაუნერგოს თავისი თეორიების სუროგატები. ბურჟუაზიული ზემოქმედების ერთერთ ასეთ ფორმას წარმოადგენს „ზეკლასობრივობისა და უპარტიულობის თეორია. მარქსიზმ-ლენინიზმი, რომელმაც აღმოაჩინა, რომ კლასობრივი ბრძოლა მსჭვალავს მთლიანად საზოგადოებრივ მთელს, ეკონომიკას, პოლიტიკას და თეორიას, რომელმაც ამხილა ბურჟუაზიული თეორიის სიყალბე, პირდაპირ და აშკარად აცხადებს თავს ერთიან და ერთადერთ პროლეტარულ პარტიულ თეორიად.

---

[1] მარქსი, კაპიტალი, ტ. I. გვ. LXIV, სახელგ. 1930 წ.

„მარქსიზმი ყველა სხვა სოციალისტური თეორიებისაგან იმით განსხვავდება,—წერს ლენინი,—რომ სრულ მეცნიერულ სიზუსტეს საგანთა ობიექტური მდგომარეობის და ევოლუციის ობიექტური მსვლელობის ანალიზში ის შესანიშნავად უერთებს მასების,—და აგრეთვე რასაკვირველია იმ ცალკე პიროვნებების, ჯგუფების, ორგანიზაციების, პარტიების რევოლუციური ენერგიის, რევოლუციური შემოქმედების, რევოლუციური ინიციატივის უაღრესად გადამჭრელ აღიარებას, რომლებსაც შეუძლიათ გამოძებნონ და განახორციელონ კავშირი ამათუმ კლასებთან“ [1].

მარქსი, ენგელსი და ლენინი იმიტომ ამყარებენ მთელ თავის იმედებს პროლეტარიატზე, რომ „პროლეტარიატს, თანამედროვე საზოგადოების ყველაზე დაბალ ფენას, არ შეუძლია ამაღლება, წელში გამართვა ისე, რომ მთელი ზედნაშენი იმ ფენებისაგან, რომლებიც ქმნიან ოფიციალურ საზოგადოებას, ჰაერში არ ააფეთქოს“ [2]. მას არ შეუძლია განთავისუფლდეს, თუ ამასთანავე არ განათავისუფლა მთელი კაცობრიობა. მაშინ ძველი ქვეყნის ადგილს მისი კლასებითა და კლასობრივი ანტაგონიზმებით დაიკერს ასოციაცია, „რომელშიაც თვითეულის თავისუფალი განვითარება ყველას თავისუფალი განვითარების პირობას წარმოადგენს“ [3]. ამ მიზნის მიღწევისათვის მარქსიზმ-ლენინიზმი პროლეტარიატს აიარაღებს მთლიანი მსოფლმხედველობით და სამყაროს შეცვლის მეთოდით. ნამდვილი პროლეტარული პარტიის დახმარებით პროლეტარიატი ირაზმება ისეთ დამოუკიდებელ ძალად, რომელსაც შეუძლია არა მარტო ბორკილების დაშსხვრევა, არამედ სამყაროს შეცვლაც.

მარქსიზმი როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა თავიდანვე განუყრელად დაკავშირებულია კომუნისტებთან, რადგან „სხვადასხვა ერთა პროლეტარების ბრძოლაში ისინი გამოყოფენ და იცავენ მთელი პროლეტარიატის საერთო, ეროვნებისაგან დამოუკიდებელ ინტერესებს“ [4]. განვითარების სხვადასხვა სტადიებზე, რომელთა განვლაც უხდება პროლეტართა ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ, კომუნისტები „ყოველთვის არიან მთელი მოძრაობის ინტერესების წარმომადგენლები“ [5].

„მაშასადამე კომუნისტები,—წერდენ მარქსი და ენგელსი „კომუნისტურ მანიფესტში“,—საქმით წარმოადგენენ ყველა ქვეყნის მუ-

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, ბოიკოტის წინააღმდეგ, ტ. XII, გვ. 32.
[2] მ ა რ ქ ს ი დ ა ე ნ გ ე ლ ს ი, კომუნისტური მანიფესტი, გვ. 38.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 54.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 41.
[5] ი ქ ვ ე, გვ. 41.

შათა პარტიების ყველაზე უფრო მტკიცე, მუდამ წინ წამყვან ნაწილს, ხოლო თეორიულად პროლეტარიატის დანარჩენ მასასთან შედარებით მათ ის უპირატესობა მოეპოებათ, რომ შეგნებული აქვთ პროლეტარული მოძრაობის პირობები, მსვლელობა და საერთო შედეგები“ [1]. მათი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უხელმძღვანელონ პროლეტარიატს მის ნამდვილ რევოლუციურ ბრძოლაში. ამ პირობის არსებობისას მარქსისტ-კომუნისტების თეორიული და პრაქტიკული მუშაობა ერთიანდება ერთ მუშაობად. ეკონომიური, პოლიტიკური და თეორიული ბრძოლა წარმოადგენს პროლეტარიატის გამათავისუფლებელი კლასობრივი ბრძოლის სამ ურთიერთთან დაკავშირებულ ფრონტს. წინაალმდეგ მისწრაფებისა გადააქციონ მარქსიზმი დოგმად, სარწმუნოების სიმბოლოდ, „გაქვავებულ ორტოდოქსიად“ მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი არაერთხელ აღნიშნავდენ ხაზგასმით: „ჩვენი მოძღვრება არის არა დოგმა, არამედ სახელმძღვანელო მოქმედებისათვის“. არაფერი არ გვეშლის ჩვენ ხელს,—წერდა მარქსი ჯერ კიდევ 1843 წ.,—დავუკავშიროთ ჩვენი კრიტიკა პოლიტიკის კრიტიკას, გახსაზღვრული პოლიტიკური პარტიის ინტერესებს, და მაშასადამე ჩვენი კრიტიკა დავაკავშიროთ და გავაიგივოთ ნამდვილ ბრძოლასთან. ამ შემთხვევაში ჩვენ არ გამოვალთ მსოფლიოს წინაშე როგორც დოქტრინერები, გამხადებული ახალი პრინციპით: „აქ არის ჭეშმარიტება, მუხლი მოიდრიკეთ მის წინაშე!“ ჩვენ მსოფლიოს წინაშე ვანვითარებთ ახალ პრინციპებს მისი საკუთარი პრინციპებიდანვე: ჩვენ არ ვეუბნებით მსოფლიოს: „თავი დაანებე ბრძოლას, მთელი შენი ბრძოლა—არაარაობაა,—ჩვენ ვაძლევთ მას ბრძოლის ჭეშმარიტ ლოზუნგს“ [2]. დოგმატიზმისა და სექტანტობის წინაალმდეგ მარქსმა წამოაყენა კავშირი განსაზღვრულ პარტიასთან და მონაწილეობა ნამდვილ ბრძოლაში; მხოლოდ ამ პირობით შეუძლია თეორიას ბრძოლის ჭეშმარიტი ლოზუნგის მოცემა.

IV. ლენინიზმი—ახალი და უმაღლესი საფეხური მარქსიზმის განვითარებაში

მარქსისა და ენგელსის მოღვაწეობის პერიოდი თანაემთხვევა პროლეტარიატის მხრით რევოლუციისათვის მზადების პერიოდს, როდესაც პროლეტარული რევოლუცია ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა

[1] მარქსი და ენგელსი, კომუნისტური მანიფესტი, გვ. 41 — 42.

[2] მარქსი და ენგელსი, გერმანულ-ფრანგული მატიანე, თხზ. ტ. I, გვ. 336.

პირდაპირ და უშუალო პრაქტიკულ ამოცანას. მათი მოღვაწეობა თანამიხვევა სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების, მისი ჩამორჩენილ ქვეყნებში გავრცელების, სამრეწველო კაპიტალის მიერ ჩამორჩენილ აგრარულ ოლქების კოლონიალური დატაცების ეპოქას. 1848 წლის პერიოდში მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრი გადადის გერმანიაში, სადაც, როგორც ეს მაშინ წარმოედგინათ მარქსსა და ენგელსს, ბურჟუაზიულ რევოლუციას ყველაზე ადვილად შეეძლო გამხდარიყო პროლეტარული რევოლუციის პროლოგად. ამ ეპოქამ წამოაყენა საერთაშორისო პროლეტარიატის გენიალური თეორეტიკოსები და ბელადები—მარქსი და ენგელსი; ამ ეპოქაში მარქსიზმი განვითარდა როგორც პროლეტარული ბრძოლის რევოლუციური თეორია. მან გამოამჟღავნა პროლეტარული ბრძოლის გზები და მეთოდები, მან მთელი სიცხადით წამოაყენა პროლეტარიატის დიქტატურის—როგორც მარქსისტული მოძღვრების მთავარი შინაარსის—პრობლემა.

უკვე მარქსისა და ენგელსის სიცოცხლის დასასრულისას მეღავნდება ახალი მოვლენები მსოფლიო კაპიტალიზმის ეკონომიკასა და პოლიტიკაში, რომელთაც არ შეეძლოთ არ მიეპყროთ მათი ყურადღება. ასე ენგელსი თავის „ანტი-დიურინგში“ აღნიშნავს აქციონერულ საზოგადოებათა მნიშვნელობის ზრდას და მათ მომავალ როლს კაპიტალისტური მონოპოლიების შექმნაში. რევოლუციური მოძრაობის ცენტრი გადადის აღმოსავლეთში: მარქსი და ენგელსი თავის ყურადღებას სულ უფრო ხშირად მიმართავენ რუსეთისაკენ, აღმოსავლეთ კოლონიალურ ქვეყნებისაკენ, სადაც სულ უფრო სარწმუნო ხდება მსოფლიო კაპიტალიზმის ჯაჭვის გარღვევის შესაძლებლობა.

მარქსისა და ენგელსის გენიალურმა წინასწარმეტყველებამ, ისე როგორც მათი მოძღვრების ყველა მხარემ, შემდგომი განვითარება ლენინთან ჰპოვა ახალ ეპოქაში, რომელმაც შესცვალა სამრეწველო კაპიტალის პერიოდი,—იმპერიალიზმის ეპოქაში.

ლენინიზმისა და მისი საერთაშორისო მნიშვნელობის სოციალისტორიული ფესვების სავსებით გაგებისათვის აუცილებელია წინასწარ ნათელი გავხადოთ II ინტერნაციონალის ოპორტუნიზმთან ლენინიზმის ბრძოლის და ამ ოპორტუნიზმის განუყოფელი ბატონობის მთელი პერიოდის ისტორიული მნიშვნელობა. მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის რევოლუციურ მოძღვრებას გადაულახავი უფსკრული აშორებს სოციალ-დემოკრატიულ ოპორტუნიზმისაგან, რომელიც ამჟამად სოციალ-ფაშიზმში გადაიზარდა.

მარქსისა და ენგელსის მოძღვრება ვითარდებოდა ულმობელ ბრძოლაში ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ თეორიებთან და შეხედუ-

ლებებთან —ლასალიანელობასთან, პრუდონიზმთან, ბაკუნიზმთან, დიუ-
რინგიანელობასთან და სხვ.,—რომლებიც, სინამდვილეში „ძირფესვია-
ნად მტრული იყვენ რა მარქსიზმისადმი“, ცდილობდენ გავლენა მოე-
ხდინათ მუშათა მოძრაობაზე.

ლასალის, პრუდონის და იმ თეორიების სხვა ავტორების მო-
ძღვრების განმასხვავებელ თვისებას, რომლებიც ერცელდებოდენ პრო-
ლეტარიატს შორის მარქსისა და ენგელსის ეპოქაში, წარმოადგენდა
მისწრაფება წასულიყვენ შ ე რ ი გ ე ბ ა ზ ე ბურჟუაზიულ საზოგადოე-
ბასთან და სახელმწიფოსთან, გ ა ე ტ ა რ ე ბ ი ა თ რ ე ფ ო რ მ ე ბ ი
არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გასაუმჯობესებლად კლა-
სობრივი ბრძოლის გარეშე, ეკონომიური საფუძვლის რევოლუციური
შეცვლის გარეშე. ან და ამ თეორიებში მეღავნდებოდა თანამედროვე
საზოგადოებრივი წყობილების და სახელმწიფოს აბსტრაქტული,წვრილ-
ბურჟუაზიული, „მემარცხენე“, ა ნ ა რ ქ ი ს ტ უ ლ ი უ ა რ ყ ო ფ ა და
ამასთანავე მისი სხვა საზოგადოებრივი წყობილებით შეცვლის ნამდვი-
ლი გზების და საშუალებების გაუგებლობა (ბაკუნინი).

მარქსიზმმა თანდათანობით გაიმარჯვა ამ მისდამი აშკარად
მტრულ თეორიებზე და გააძევა ისინი მუშათა მოძრაობის იდეო-
ლოგიიდან. მაგრამ, გამოაშკარავდა თუ არა მარქსიზმის თ ე ო-
რ ი უ ლ ი გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა, იმ ტენდენციებმა, რომლებიც თავის გა-
მოხატულებას ჰპულობდენ ხსნებულ მოძღვრებებში, დაიწყეს ახალი
გზების ძებნა.

წვრილბურჟუაზიულმა მსოფლმხედველობამ იწყო „მარქსისტულ“
სამოსელით შემოსვა და გამოვლინება როგორც სოციალისტურმა
ოპორტუნიზმმა მ ა რ ქ ს ი ზ მ ი ს შ ი გ ნ ი თ, „მარქსიზმის საერთო
ნიადაგზე“.

უკვე ენგელსის სიცოცხლის დასასრულს გამოაშკარავდა ოპორ-
ტუნიზმის ზრდა და გაბატონება სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში
და II ინტერნაციონალში. ენგელსს მოუხდა აშკარა ბრძოლის წარ-
მოება გერმანიელ სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტულ ხელმძღვა-
ნელობასთან, რომელიც, თავს იფარავდა რა მარქსისტული ფრაზებით,
საქმით ემიჯნებოდა მარქსისა და ენგელსის მოძღვრების ნამდვილ
სულს; საჭირო გახდა ოპორტუნიზმთან განხეთქილების ხაზის გა-
ტარება.

ერთი მხრით მარქსსა და ენგელსს და, მეორე მხრით, ლენინს შო-
რის, — მიუთითებდა ამბ. სტალინი, — ძევს II ინტერნაციონალის გა-
ნუყოფელი და ფაქტიური ბატონობის მთელი პერიოდი, მიუხედავად
იმისა, რომ ფორმალურად II ინტერნაციონალის სათავეში იდგენ
ისეთი „ორტოდოქსები“, როგორიცაა კაუტსკი და სხვ. ოპორტუნის-

ტები ცდილობენ გადააჭიონ მარქსი და ენგელსი უვნებელ „ხატებად“. ისინი ამახინჯებენ მათი მოძღვრების რევოლუციურ არსებას, მის ნაცვლად აყენებენ „სამოქალაქო მშვიდობიანობის“ თეორიას და გეზს რეფორმებისაკენ ბურჟუაზიული დემოკრატიის საშუალებით. ბერნშტეინი და კაუტსკი ცემენ მარქსისა და ენგელსის შრომებს შემოკლებითა და დამახინჯებულად ანდა სრულიად ჩქმალავენ და მალავენ მათ შრომებსა და წერილებს, რომელთაც აქვთ უაღრესად დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა. ოპორტუნისტები ამახინჯებენ მარქსიზმის რევოლუციური მოძღვრების ძირითად დებულებებს, რომლებიც ეხებიან პროლეტარიატის დიქტატურას, სახელმწიფოს თეორიას, კლასობრივი ბრძოლის სტრუქტურასა და ტაქტიკას. ოპორტუნიზმის ძირითად რევოლუციურ ხაზს წარმოადგენდა რევიზიონიზმი, ე. ი. მისწრაფება მარქსისა და ენგელსის ყველა უმნიშვნელოვანესი თეორიული დებულებების რევიზიისაკენ (გადათვალიერებისაკენ). ოპორტუნისტები აცხადებენ რევიზიონისტულ ლაშქრობას რევოლუციური თეორიის საფუძვლების, მარქსიზმის ფილოსოფიური საფუძვლების, მატერიალიზმისა და დიალექტიკის წინააღმდეგ, ცდილობენ დაუბრუნდენ ფილოსოფიურ იდეალიზმს, მოძღვრებას საზოგადოების წყნარი და ნელი „ევოლუციის“ შესახებ.

იმპერიალიზმის პერიოდი იწვევს ოპორტუნიზმის შემდგომ ზრდას: მისი სოციალური ბაზა ფართოვდება პროლეტარიატის ნაწილის გაბურჟუაზიულებასთან ერთად.

კოლონიების ძარცვის გზით მიღებული იმპერიალისტური ზემოგების მეშვეობით კაპიტალიზმს შესაძლებლობა აქვს მოისყიდოს უკეთესი ხელფასის მქონე მუშების, ფენები და იგი ქმნის მუშათა არისტოკრატიას. კაპიტალიზმი თავის მორჩილად ხდის მუშათა პროფესიონალური მოძრაობის ზედაფენებს პროფესიონალური ბიუროკრატიის მოსყიდვის გზით.ეს იწვევს ოპორტუნიზმისა და რევიზიონიზმის შემდგომ განვითარებას.

წინანდელი წვრილბურჟუაზიული ილუზიები კაპიტალიზმის „გამოსწორების“ შესახებ მისი წინააღმდეგობების რეფორმისტული „შეკეთების“ საშუალებით სულ უფრო და უფრო უთმობს ადგილს„აშკარა ბურჟუაზიულ მიმდინარეობას სოციალ-დემოკრატიის შიგნით, რომელიც ცდილობს მუშათა მოძრაობის შეგუებას კაპიტალისტების ინტერესებისადმი და იმედს ამყარებს კაპიტალისტურ ურთიერთობათა ხანგრძლივ არსებობაზე. ინგლისში ამ მიმდინარეობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ინგლისურ ტრედიუნიონიზმში, რომელიც ცდილობდა მუშათა კლასის ეკონომიური ბრძოლის მოწყვეტას მისი პოლიტიკური ბრძოლისაგან, ინგლისის „მუშათა“ პარტიის პოლიტიკაში. გერმანიაში

მას გამოხატავს პროფკავშირების, პარლამენტებისა და მუნიციპალიტეტების სოციალ-დემოკრატ მოღვაწეთა რეფორმისტული ზედაფენა, თეორიულად წარმოდგენილი ბატონ ბერნშტეინის, ფოლმარის, დავიდის, ზიუდეკუმის და სხვების მიერ.

რუსეთში იმავე მოძრაობის წარმომადგენლები არიან ეგრეთწოდებული „ლეგალური მარქსისტები", კაპიტალიზმის ყოფილი პირდაპირი აპოლოგეტები სოციალ-დემოკრატიის რიგებში (სტრუვე და სხვ.) და მენშევიკები, მისი ისეთი აშკარა პირწავარდნილი წარმომადგენლები, როგორიც არიან „ეკონომისტები", „რაბოჩედელცები" და „ლიკვიდატორები", რომლებიც აშკარად ატარებენ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ტენდენციებს მუშათა მოძრაობაში და უგუებენ მას ბურჟუაზიის ინტერესებს.

მეორე მხრით, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში იქმნება შუათანა „ცენტრისტული" ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ დაიპირონ შუათანა, მერყეევი მდგომარეობა რევოლუციურ მარქსიზმსა და ოპორტუნიზმს შორის. ცენტრიზმის სოციალური ფესვები უნდა ეეძიოთ შრომის თავისებურ განაწილებაში ოპორტუნისტებს შორის, რომლის ნაწილი განაგრძობს წვრილბურჟუაზიული ილუზიების გავრცელებას პროლეტარულ წრეში და მოსავს მას „მარქსისტულ", ზოგჯერ კი „მემარცხენე" და „რევოლუციურ" ფრაზეოლოგიით. ასე აშკარა პირწავარდნილი ოპორტუნიზმის გვერდით წარმოიშობა ცენტრიზმი (კაუტსკი გერმანიაში, ტროცკი რუსეთში), რომელიც განსაკუთრებით საშიში და მავნეა, რამდენადაც იგი ფარავს აშკარა ოპორტუნიზმს, და რომელმაც შემდგომ განვითარებისას მთლიანად გამოამეღავნა თავისი კონტრრევოლუციური მენშევიკური არსება. დაბოლოს ეგრეთწოდებული „მემარცხენე" სოციალ-დემოკრატების ჯგუფი (რ. ლიუქსემბურგი და სხვ.), რევოლუციური პერსპექტივების უფრო სწორ გაგებასთან ერთად, უშვებდა მარქსიზმის თეორიისა და პრაქტიკის უაღრესად უხეშ ოპორტუნისტულ დამახინჯებას. თავის შინაარსით წვრილბურჟუაზიული „მემარცხენე", „რევოლუციური" ფრაზეოლოგია ხშირად რევიზიონიზმის უფრო ცუდ ფორმას წარმოადგენდა.

მარქსიზმი კლასობრივი ბრძოლის თეორიისა და პრაქტიკის გადაჭრით ყველა საკითხებში აშკარა წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ოპორტუნიზმის მიმართ. კაუტსკებისა და ჰილფერდინგების „მარქსიზმს", რუსი მენშევიკების „მარქსიზმს", ტროცკის „მარქსიზმს" არაფერი საერთო არა აქვს ნამდვილ რევოლუციურ მარქსიზმთან, მიუხედავად იმისა, რომ ბერნშტეინისაგან განსხვავებით ეს „მარქსიზმი" ხშირად „მარქსისტული" და „მემარცხენე" ფრაზეოლოგიით იმოსება. ჩვენ

ქვემოთ დავინახავთ, მარქსიზმის რა გასაოცარ დამახასიათებელ უშვებენ მენშევიკების ისეთი თეორეტიკოსებიც კი, როგორიც არის პლეხანოვი.

მარქსიზმის შემდგომი განვითარება უწინარეს ყოვლისა მოითხოვდა მარქსისა და ენგელსის ნამდვილი მოძღვრების აღდგენას და ბრძოლას მისი ნამდვილი თეორიული საფუძვლებისათვის მარქსიზმის ყველა ოპორტუნისტულ დამახინჯებასთან. ამ ამოცანას ასრულებს ლენინიზმი, რომელიც აღადგენს და წინაც მიყავს მარქსისა და ენგელსის რევოლუციური მოძღვრება. განაგრძობს რა მარქსისა და ენგელსის საქმეს ახალ ისტორიულ ეპოქაში, ლენინი აწარმოებს ულმობელ ბრძოლას ყოველი სახის ოპორტუნიზმთან, ატარებს განხეთქილების ხაზს როგორც აშკარა ოპორტუნიზმისაგან, ისე „მემარცხენე" ფრაზით დაფარულ ოპორტუნიზმისაგან და ცენტრიზმისაგან.

მაგრამ ლენინიზმი წარმოადგენს მარქსისა და ენგელსის მოძღვრების არა მარტო აღდგენას, არამედ მის კონკრეტიზაციასა და შემდგომ განვითარებასაც ბრძოლის ახალ ისტორიულ პირობებთან, იმპერიალიზმის ეპოქის თავისებურებებთან შეფარდებით. იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი და უმაღლესი ეტაპი, ინარჩუნებს რა განვითარებული კაპიტალიზმის ყველა ძირითად წინააღმდეგობას, ამწვავებს მათ და მიყავს ისინი უმაღლეს საზღვრებამდე. ამავე დროს იმპერიალიზმის ეპოქა ამძღავნებს ახალ წინააღმდეგობებს და განსაკუთრებულ თავისებურებებს კაპიტალისტურ ეკონომიკაში. იმპერიალიზმი იწვევს თავისუფალი კაპიტალისტური კონკურენციის პერიოდის შეცვლას კაპიტალისტური მონოპოლიების პერიოდით, ფინანსიური კაპიტალის როლის გაძლიერებას, კაპიტალისტური ტრესტებისა და სინდიკატების შექმნას, რომლებიც აერთიანებენ ცალკეულ კაპიტალისტურ საწარმოებს, კაპიტალის გატანას ჩამორჩენილ ქვეყნებში, იმპერიალისტური სახელმწიფოების ბრძოლას ნედლეულის წყაროებისა და კოლონიებისათვის, კაპიტალის მიერ უკვე განაწილებულ მსოფლიოს ხელახალი განაწილებისათვის, იმპერიალისტური ომების აუცილებლობას. კაპიტალისტური მონოპოლიები იქცევიან ისეთ ბორკილებად, რომლებიც აფერხებენ საზოგადოების საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებას, იწვევენ გაყინვის, ლპობის ტენდენციას. იმპერიალიზმის ეპოქა არის მომაკვდავი, ლპობადი კაპიტალიზმის ეპოქა.

როგორც ამხ. სტალინი მიუთითებს, იმპერიალიზმს უკიდურეს საზღვრებამდე მიჰყავს სამი ძირითადი უმნიშვნელოვანესი წინააღმდეგობა.

პირველი წინააღმდეგობა — ესაა კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა, წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის, პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. სამრეწველო კაპიტალიზმის დროს შესაძლებელი იყო შედარებით „მშვიდობიანი“ განვითარების ხანგრძლივი პერიოდები, როდესაც მუშათა კლასი სარგებლობდა უმთავრესად ბრძოლის ეკონომიური ფორმით მის მუელეფელ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, როდესაც ის ამზადებდა თავის ძალებს რევოლუციისათვის, კმაყოფილდებოდა რა პარლამენტის ტრიბუნის გამოყენებით და პარლამენტური ბრძოლით. მუშები ზოგჯერ ახერხებდენ ცალკე კაპიტალისტებისაგან ანდა კაპიტალისტური ჯგუფებისაგან განსაზღვრულ ეკონომიურ დათმობათა მიღებას, მაგალითად სამუშაო დღის შემცირებას ანდა ხელფასის მოპატებას საკანონმდებლო რეფორმების, ბრძოლის პროფკავშირული მეთოდების, საავადმყოფო სალაროების და მუშათა კოოპერაციის ორგანიზაციის საშუალებით. ეს გარემოება კარგი ხელფასის მქონე ანდა იდეოლოგიურად ჩამორჩენილ მუშებში ქმნიდა პოლიტიკურ ინერტობას, ბადებდა მათში ოპორტუნისტულ განწყობილებებს, კაპიტალთან შერიგების მიდრეკილებას. დაქსაქსული სამრეწველო კაპიტალისტები თავის მხრით ყოველთვის არ ყოფილან იმდენად ძლიერნი ეკონომიურად, რომ ბოლომდე გაეტარებიათ პროლეტარიატის უსაზღვრო ექსპლოატაცია, რომ დროგამოშვებით არ შეექმნათ განსაზღვრულ ეკონომიურ და პოლიტიკურ დათმობათა მოჩვენებითობა.

სრულიად სხვა მდგომარეობა იქმნება იმპერიალიზმის დროს, როდესაც ცალკე კაპიტალისტებს აერთიანებენ მძლავრი ტრესტები და სინდიკატები, როდესაც მათ თავისაგან დამოკიდებულად ხდის ყოველისშემძლე საბანკო კაპიტალი. აქ ბურჟუაზიის ეკოხომიური და პოლიტიკური ზეიმქმედება მუშათა კლასზე უსაზღვრო ხდება. ამავე დროს საწარმოების მექანიზაციის ზრდა და კაპიტალისტური რაციონალიზაციის მეთოდები იწვევენ მცირეკვალიფიცირებული შრომის კადრების ზრდას, ზრდიან უმუშევართა არმიას, ამარტივებენ მუშის ტექნიკურ ფუნქციებს, საბოლოოდ აქცევენ მას საწარმოო პროცესის მორჩილ მონად. ამ პირობებში მუშათა კლასი გადადის კაპიტალიზმის დაცხობის და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების ამოცანის შესრულებაზე.

„იმპერიალიზმი, — ამბობს ამხ. სტალინი, — წარმოადგენს მონოპოლისტური ტრესტების და სინდიკატების, ბანკებისა და ფინანსიური ოლიგარქიის ყოვლისშემძლეობას სამრეწველო ქვეყნებში. ამ ყოვლისშემძლეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მუშათა კლასის ჩვეულებრივი მეთოდები — პროფკავშირები და კოოპერატივები, პარლამენ-

ტის პარტიები და საპარლამენტო ბრძოლა — სრულიად უკმარისი აღმოჩნდა. ან მიენდე კაპიტალის შეწყალებას, ძველებურად იბოგინე და დაქვეითდი, ან ახალ იარაღს მოჰკიდე ხელი, — ასე აყენებს საკითხს იმპერიალიზმი პროლეტარიატის მილიონიანი მასების წინაშე. იმპერიალიზმს მიჰყავს მუშათა კლასი რეოლუციამდე“ [1].

იმპერიალიზმის მეორე ძირითადი წინააღმდეგობა ფესვვადგმულია სხვადასხვა კაპიტალისტური ჯგუფების ინტერესებს შორის არსებულ წინააღმდეგობებში, წინააღმდეგობებში ამ ინტერესების გამომხატველ და დამცველ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის. იმპერიალიზმი თავისუფალ კონკურენციას კაპიტალისტური მონოპოლიებით ცვლის, მაგრამ ამით არ სპობს კაპიტალისტურ კონკურენციას. კონკურენცია, როგორც ლენინი მიუთითებს, რჩება მონოპოლიების გვერდით და კონკურენციისა და მონოპოლიის ასეთი შეთავსება იწვევს წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების კიდევ უფრო დიდ გამწვაეებას. კაპიტალისტური კონკურენცია ცალკეულ მსოფლიო ტრესტებს და სინდიკატებს შორის, ფინანსიური კაპიტალის სხვადასხვა ჯგუფებს შორის თავის გამოხატულებას პოულობს გამწვავებულ ბრძოლაში ბაზრებისათვის, კაპიტალის გასატანრაიონებისა და ნედლეულის წყაროებისათვის, მრეწველობის მხრივ იმ ჩამორჩენილი ოლქების ხელახალი განაწილებისათვის, რომლებიც უკვე განაწილებულია მსოფლიო კაპიტალის მიერ. კოლონიებისათვის ბრძოლა მწვავდება კიდევ კაპიტალისტური განვითარების არათანაბარზომიერების კანონის მეოხებით, რაც ძლიერდება იმპერიალიზმის პერიოდში. კაპიტალისტური განვითარების არათანაბარზომიერება და ნახტომობრივი ხასიათი იწვევს იმას, რომ ყოველთვის ახალი სახელმწიფოები, სახელმწიფოთა ჯგუფები და ფინანსიური ჯგუფები გაჩოდიან მსოფლიო სარბიელზე არსებულ მონოპოლისტების კონკურენტების სახით. აუცილებელი მისწრაფება სხვა ტერიტორიების დაპყრობისაკენ იწვევს იმპერიალისტურ ომებს.

იმპერიალისტური ომი ასუსტებს იმპერიალისტების ეკონომიურ ძლიერებას: იგი აუცილებელს ხდის კაპიტალისტებს შეაიარაღონ მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები და ამავე დროს გააძლიერონ მათი ექსპლოატაცია საომარი ხარჯების სიმძიმით. ეს თავის მხრით ქმნის პირობებსა და შესაძლებლობას იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის. ამრიგად კაპიტალისტური ჯგუფების კონკურენცია, ამბ. სტალინის სიტყვით, „იწვევს იმპერიალისტების ურთიერთ დასუსტებას, საერთოდ კაპიტალიზმის პოზიციის დასუს-

[1] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 7.

ტებას, პროლეტარული რევოლუციის მომენტის მოახლოებას, ამ რევოლუციის პრაქტიკულ აუცილებლობას"[1].

დაბოლოს იმპერიალიზმის მესამე წინააღმდეგობა—ესაა წინააღმდეგობა სხვადასხვა ქვეყნების მცირერიცხოვან გაბატონებულ იმპერიალისტებსა და კოლონიალურ დამოკიდებულ ხალხთა მასებს შორის. ეს წინააღმდეგობა გამომდინარეობს იმ ულმობელ თავხედურ ექსპლოატაციისაგან და არაადამიანური ჩაგვრისაგან, რომელსაც მიმართავს იმპერიალიზმი კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების მშრომელთა მასების მიმართ. ექსპლოატაციას უწევს რა კოლონიებს როგორც ნედლეულის წყაროს, უცხოეთის იმპერიალიზმი ჩაგრავს კოლონიალური გლეხობის ფართო მასებს, რომლებიც ამას გარდა განიცდიან ექსპლოტაციას ადგილობრივ მემამულე-ფეოდალებისაგან. იმპერიალიზმი ადგილობრივ ფეოდალებს აქცევს თავის აგენტებად, და უცხოეთის იმპერიალიზმის ეს გადანასკვება და კავშირი ადგილობრივ ფეოდალიზმთან იწვევს კოლონიების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების შეფერხებას, იწვევს წინააღმდეგობას გლეხურ აჯანყებათა სახით. მაგრამ ამავე დროს იმპერიალიზმი კოლონიებს აქცევს შემოტანილი კაპიტალის გამოყენების საგნად. მას იქ გაჰყავს სამიმოსვლო გზები, აშენებს ფაბრიკებსა და ქარხნებს და ეს გარემოება ხელს უწყობს კოლონიების სამრეწველო და სავაჭრო განვითარებას, იქ ნაციონალური პროლეტარიატის კადრების გაჩენას, ადგილობრივი სავაჭრო, ხოლო შემდეგ სამრეწველო ბურჟუაზიის შექმნას, ადგილობრივი ინტელიგენციის გაჩენას და ნაციონალური განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდას. ნაციონალურ მოძრაობას პირველ ხანებში სათავეში უდგება ადგილობრივი ბურჟუაზია და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია, მაგრამ მასში მებრძოლი კადრების როლს თამაშობს პროლეტარიატი, რომელსაც თან მიჰყავს მშრომელი გლეხობა. იგი მეთაურობს სახალხო რევოლუციას, როდესაც მას ღალატობს ნაციონალური ბურჟუაზია, რომელიც ადვილად კმაყოფილდება იმპერიალისტების მოწყალებით. ასეთია ფართო რევოლუციური მოძრაობის საფუძველი კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში.

ამრიგად იმპერიალიზმი ზემოგებას სწოვს კოლონიების პროლეტარიატსა და გლეხობას და ქმნის იქ ყველა პირობას პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის რევოლუციური მოძრაობისთვის, გლეხობის, რომელსაც პროლეტარიატი მეთაურობს. ეს გლეხობა, ამხ. სტალინის სიტყვით, „ძირს უთხრის კაპიტალიზმის პოზიციებს, იმპერიალიზმის რეზერვს — კოლონიებს და

[1] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 8. ხაზგასმულია ჩვენს მიერ.—ავტ.

დამოკიდებულ ქვეყნებს—პროლეტარული რევოლუციის რეზერვად აქცევს"[1].

ასეთია იმპერიალიზმის ძირითადი წინააღმდეგობანი, რომელთაც მუშათა კლასი მიჰყავს რევოლუციამდე, რომლებიც პროლეტარულ რევოლუციას აქცევენ პრაქტიკულ აუცილებლობად და რომლებიც პროლეტარულ რევოლუციას უქმნიან მის რეზერვებს. ამ სამრეწველო კაპიტალიზმთან შედარებით ახალ პირობებში, ლპობად, მომაკვდავ კაპიტალიზმის პირობებში, შემდგომ უნდა განვითარებულიყო მუშათა კლასის რევოლუციური თეორიაც—მარქსიზმი. ამ პირობებში ჩაისახა ლენინიზმი *როგორც მარქსის და ენგელსის* მოძღვრების შემდგომი განვითარება, *როგორც იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმი.*

მაგრამ ისევ კითხვა: რატომ სწორედ რუსეთის რევოლუციას შეეძლო, და უნდა წარმოეშვა ლენინიზმი? რატომ სწორედ რუსეთს შეეძლო ამასთანავე ლენინიზმის, ბოლშევიზმის თეორიისა და ტაქტიკის სამშობლოდ გახდომა?

„იმიტომ, — უპასუხებს ამ კითხვაზე ამხ. სტალინი, — რომ რუსეთი იმპერიალიზმის ყველა ამ წინააღმდეგობის საკვანძო პუნქტს წარმოადგენდა. იმიტომ, რომ რუსეთი რევოლუციით ფეხმძიმედ იყო უფრო მეტად, ვიდრე როგელიმე სხვა ქვეყანა, ამის გამო მხოლოდ მას შეეძლო რევოლუციური გზით გადაეჭრა ეს წინააღმდეგობანი"[2].

90-იან წლების დასასრულისა და 900-იანი წლების დამდეგისათვის რუსეთი წარმოადგენდა უკვე განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყანას, რომელიც გადადიოდა თავის იმპერიალისტურ სტადიაში, მაგრამ მეფის რუსეთში იმპერიალიზმი მჭიდროდ ენასკვებოდა ფეოდალურ ურთიერთობას, დესპოტიურ-თვითმპყრობელურ პოლიციურ წყობილებას, რომელიც მუშურ და გლეხურ მასებს წილად ახვედრებდა განსაკუთრებით ძლიერ უუფლებობას, სიღატაკეს, არაადამიანურ ექსპლოატაციას, კულტურულ ჩამორჩენილობას. რუსეთის იმპერიალიზმი, ლენინის გამოთქმით, წარმოადგენდა „სამხედრო-ფეოდალურ იმპერიალიზმს"; ის წარმოადგენდა „იმპერიალიზმის, კვადრატში აყვანილ, უარყოფითი მხარეების თავმოყრას".

ამავე დროს ცარიზმის და რუსეთის კაპიტალიზმის ინტერესები უმჭიდროესად იყო გადანასკვული დასავლეთის იმპერიალიზმის ინტერესებთან. მეფის რუსეთი წარმოადგენდა დასავლეთის იმპერიალიზმის უდიდეს რეზერვს და უმნიშვნელოვანეს მოკავშირეს. დასავლეთის კაპიტალიზმი რუსეთის კაპიტალიზმთან ერთად და მასთან კავშირში

---

[1] *სტალინი*, ლენინიზმის საკითხები, გვ. 8. ხაზგასმულია ჩვენს მიერ.—აუტ.
[2] *სტალინი*, ლენინიზმის საკითხები, გვ. 9.

ატარებდენ რუსეთის პროლეტარიატის ეკონომიურ დამონებას და მათ ხელში ეპირათ რუსეთის სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგები.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მუშათა მოძრაობისათვის იმავე მიზეზების გამო თითქმის უცნობი იყო მუშათა არისტოკრატია; იგი ძლიერი იყო თავისი რეფორმიური ტრადიციებით, მას მხარს უჭერდა გლეხური რევოლუცია მემამულური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ. რუსეთში წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის საგრძნობი იყო განსაკუთრებული სიმწვავით და აქ მას შესაძლებლობა ქონდა თავის რევოლუციური გადაჭრისათვის: რუსეთის მუშათა კლასი ყველაზე მეტად უახლოვდებოდა რევოლუციას. მარქსისტ-ლენინელები უკვე 1905 წ. რევოლუციას იხილავდენ როგორც ნაბიჯს მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისაკენ.

მეფის რუსეთი წარმოადგენდა პლაცდარმს დასავლეთის კაპიტალის გამოსაყენებლად, მის აგენტურას რუსეთში მცხოვრებ მილიონობით მუშებისა და გლეხების მიმართ და ამავე დროს თვითონ ატარებდა იმპერიალისტურ კოლონიალურ პოლიტიკას როგორც თავის უცხო ეროვნებებით დასახლებულ განაპირა კუთხეების, ისე აღმოსავლეთით მცხოვრებ მეზობლების მიმართ (სპარსეთი, ჩინეთი და სხვ.). ამიტომ მეფის რუსეთი წარმოადგენდა იმპერიალისტური ჯაჭვის სავსებით აუცილებელ რგოლს, იმპერიალისტური წინააღმდეგობებისა და იმპერიალისტური ომების აუცილებელ შემადგენელ ელემენტს, ამასთანავე ისეთ რგოლს, სადაც რევოლუცია ყველაზე მეტად იყო პრაქტიკული აუცილებლობა.

დაბოლოს რუსეთში იმავე მიზეზების გამო განსაკუთრებით ძლიერი იყო აგრეთვე წინააღმდეგობა გაბატონებულ ეროვნებასა და ცარიზმის მიერ დამონებულ ხალხთა შორის (უკრაინა, კავკასია, პოლონეთი, შუა აზია), რომლებიც მოკლებული იყვენ ელემენტარულ უფლებებს და წარმოადგენდენ რევოლუციურ მღელვარებათა დაუშრეტელ რეზერვს. ნაციონალური რევოლუციური მოძრაობა რუსეთში ერთგულ რეზერვებს აწვდიდა პროლეტარულ და გლეხურ რევოლუციას.

ჯერ კიდევ 1902 წ. თავის შრომაში „რა ვაკეთოთ?" ლენინი მიუთითებდა, რომ ისტორიამ რუსეთის პროლეტარიატის წინაშე წამოაყენა ყველაზე რევოლუციური ამოცანა—რეაქციის ბურჯის დამხობა ევროპასა და აზიაში და ბრძოლა რევოლუციის პროლეტარულ რელსებზე გადასაყვანად. ამ ისტორიული ამოცანის შესრულება,—ამბობდა ლენინი,—რუსეთის პროლეტარიატს დააყენებს იმპერიალიზ-

მის წინააღმდეგ წარმოებული მსოფლიო პროლეტარული ბრძოლის ავანგარდში.

ყოველივე ნათქვამიდან უკვე ნათელია, რომ ძირფესვიანად უმართებულოა ლენინიზმის განხილვა როგორც მხოლოდ „პრაქტიკის“, ხოლო მარქსიზმისა როგორც თეორიის (რიაზანოვი). უმართებულოა აკრეთვე ლენინიზმის განხილვა როგორც ვიწრო ნაციონალური, სპეციფიურად რუსული მოვლენის (რასაც აკეთებენ სოციალ-დემოკრატები), როგორც მარქსიზმის გამოყენებისა რუსეთის ვითარებაში. უმართებულოა მტკიცება, რომ ლენინიზმი არის თეორია პროლეტარული რევოლუციისა, „რომელიც უშუალოდ დაიწყო ისეთ ქვეყანაში, სადაც გლეხობა სჭარბობს“, და გლეხობის როლის საკითხში ლენინიზმის უმთავრესი საკითხის დანახვა (ზინოვიევი).

ლენინიზმი ღრმა ინტერნაციონალური მოვლენაა, რომელშიაც მარქსიზმის თეორიის უმაღლესი განვითარება ულმობელ კავშირშია პროლეტარული რევოლუციის პრაქტიკასთან. იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში ჩვენთვის არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს სუფთა მარქსისტული თეორია, გარდა ერთისა, პროლეტარული ბრძოლის ერთადერთი საბრძოლო თეორიის— ლენინიზმის გარდა და სულ მცირეოდენი ჩამოშორება ლენინიზმისაგან როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში მიმართულია მარქსიზმის თეორიული საფუძვლების წინააღმდეგ.

„ლენინიზმი არის საერთოდ პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა, განსაკუთრებით კი პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და ტაქტიკა... ლენინიზმი წარმოადგენს მარქსიზმის შემდგომ განვითარებას“[1].

ამ დებულებებით განისაზღვრება ლენინიზმის შინაარსი. ლენინიზმი ეყრდნობა მთლიანად მარქსისა და ენგელსის თეორიულ პრინციპებს და ამავე დროს წარმოადგენს რამდენამდე ახალს იმასთან შედარებით, რაც მოგვცეს მარქსმა და ენგელსმა. ლენინიზმი წარმოადგენს მარქსიზმის კონკრეტიზაციასაც და შემდგომ განთარებასაც მარქსისტული თეორიის გადაჭრით ყველა დარგში—მარქსიზმის სამივე შემადგენელი ნაწილის—მისი ფილოსოფიის, პოლიტეკონომიის და მეცნიერული კომუნიზმის—განვითარებას. ლენინმა განსაკუთრებით ღრმად და სრულად დაამუშავა საკითხები, უშუალოდ დაკავშირებულნი პროლეტარიატის დიქტატურის თეორიასთან: მონოპოლისტური კაპიტალიზმის როგორც კაპიტალიზმის ახალი ფაზის საკითხი, პროლეტარიატის დიქტატურისა და მისი სახელმწიფოებრივი ფორმების საკითხი, სოციალიზმის მშენებლობის მეთოდების და ერთ ქვე-

[1] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 6. ხაზგასმულია ჩვენს მიერ.—ავტ.

ყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხი, მოძღვრება პროლეტარიატის პარტიაზე, მის სტრატეგიასა და ტაქტიკაზე, სახალხო რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის და გლეხობის მიმართ პროლეტარიატის ხელმძღვანელობის საკითხი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი.

ლენინიზმი ნიშნავს პროლეტარიატის ისეთი ახალი ტიპის პარტიის შექმნას, რომელსაც შეუძლია იკისროს პროლეტარიატის ისტორიული ამოცანების შესრულება ახალ ისტორიულ ეპოქაში.

ლენინის მეთოდი, როგორც ამას აყალიბებს ამხ. სტალინი, „წარმოადგენს მარქსის კრიტიკული და რევოლუციური მეთოდის, მისი მატერიალისტური დიალექტიკის არა მარტო აღდგენას, არამედ აგრეთვე მის კონკრეტიზაციას და შემდგომ განვითარებას“ [1]. ლენინიზმი წარმოადგენს ახალ და უმაღლეს საფეხურს მარქსიზმის ფილოსოფიის — დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფიის — განვითარებაში. როგორც მარქსისა და ენგელსისათვის, ლენინური დახასიათების თანახმად, ისე თვით ლენინისათვისაც ცენტრალურ პუნქტს, რომელიც გამოხატავს მის მიერ გამოთქმულ და განხილულ იდეების მთელ დედა-არსს, მატერიალისტური დიალექტიკა წარმოადგენს. ლენინი, რომელიც განაგრძობს და ანვითარებს მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას, შესანიშნავად იყენებს მატერიალისტურ დიალექტიკას პოლიტეკონომიის, ისტორიის, ბუნებისმეტყველების, ფილოსოფიის, მუშათა კლასის პოლიტიკისა და ტაქტიკის მიმართ ახალ ისტორიულ პირობებში, წარმოადგენს მარქსიზმის უერთგულეს თანმიმდევარს.

კომუნისტური ინტერნაციონალი და ჩვენი პარტია, რომელსაც ამხ. სტალინი ხელმძღვანელობს, განაგრძობენ ლენინის საქმეს, პროლეტარული რევოლუციის თეორიისა და ტაქტიკის შემდგომი განვითარების საქმეს. მსოფლიო კომუნიზმი ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით განაგრძობს მატერიალისტური დიალექტიკის, მარქსიზმ-ლენინიზმის ფილოსოფიური საფუძვლის შემდგომ დამუშავებას.

---

[1] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 18. ხაზგასმულია ჩვენს მიერ.—ავტ.

თავი II

მატერიალიზმი და იდეალიზმი

1. ორი მიმართულება ფილოსოფიაში

მრავალრიცხოვან ფილოსოფიურ სისტემათა სიტყვიერ სამოსელში, იმ ჭრელ იარლიყების მრავალფეროვნებაში, რომლებითაც მოსავენ თავიანთ მოძღვრებებს ფილოსოფოსები, იფარება ფილოსოფიის ორი ძირითადი მიმართულების—მატერიალიზმისა და იდეალიზმის—ხანგრძლივი და სასტიკი ბრძოლა. ფილოსოფიის ისტორია მთელ თავის სირთულესთან ერთად წარმოადგენს ამ ორი ანტაგონისტური ფილოსოფიური მიმდინარეობის ბრძოლისა და განვითარების ისტორიას. ყველა ფილოსოფიური მიმდინარეობა და სკოლა მათი სახესხვაობანია. თვითეული ფილოსოფიური მოძღვრება, აშკარად აღიარებს თუ არა იგი ამას, თუ ყოველნაირად ცდილობს მის დაფარვას, აუცილებლად მიეკუთვნება ან იდეალიზმის ბანაკს, ანდა მატერიალიზმის ბანაკს. ორივე მიმდინარეობათა გარეშე, მათზე „მაღლა", მათზე „ზევით" დადგომის, ერთგვარად ახალი, არაიდეალისტური და არამატერიალისტური ფილოსოფიის შექმნის პრეტენზია—წარმოადგენს მხოლოდ მანევრს, რომელსაც მიმართავენ ზოგიერთი თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფოსები თავის იდეალიზმისადმი მიმღევრობის დასაფარავად, ან სხვათა მორცხვ შიშს აშკარად აღიარონ თავისი მატერიალიზმი, ანდა უმეტეს ბოგინს პირველსა და მეორეს შორის, ფილოსოფიურ აღრევას, ეკლექტიზმს და არევ დარევას.

ფილოსოფიის ისტორია არ მიმდინარეობს რაღაც კარჩაკეტილ სამყაროში, კლასთა ისტორიული ბრძოლის მიღმა. ფილოსოფიური მოძღვრებანი წარმოიშობიან და ვითარდებიან ამა თუ იმ კონკრეტულ ადამიანურ საზოგადოებაში, მათ ქმნიან ადამიანები, რომლებიც ეკუთვნიან განსაზღვრულ საზოგადოებრივ კლასებს, რომელთა ცნობიერება პირობადებულია ისტორიულად განსაზღვრული საზოგადოებრივი ყოფიერებით. ფილოსოფიური მოძღვრებანი წარმოიშობიან

კონკრეტულ სოციალურ გარემოში და მით განისაზღვრებიან, გამოხატავენ რა განსაზღვრულ საზოგადოებრივ კლასების მოთხოვნებსა და მისწრაფებებს, საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების დონეს, ადამიანის მიერ ბუნების შემეცნების ისტორიულ საფეხურს. მათი ბედი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად უპასუხებენ ისინი საზოგადოებრივი კლასების მოთხოვნებს, რამდენად სრულქმნილად ემსახურებიან მათ მიზნებს.

ისტორიის მთელ მანძილზე ფილოსოფიაში ორი შეურიგებელი მიმართულების არსებობის სოციალური ფესვები უნდა ვეძიოთ საზოგადოების კლასობრივ, წინააღმდეგურ აგებულებაში. თავდაპირველად იდეალიზმი წარმოიშვა როგორც პირველყოფილი ველურის შეზღუდულ და უვიც წარმოდგენათა პროდუქტი. მეცნიერული შემეცნების განვითარებას, რასაც განსაზღვრავს საზოგადოების საწარმოო ძალთა მთელი შემდგომი განვითარება, თითქოს უნდა მივეყვანეთ მატერიალიზმის სრულ გამარჯვებამდე და ყოველგვარ იდეალისტურ წარმოდგენათა განდევნამდე. მაგრამ იდეალიზმი არამც თუ არ დალუპულა, არამედ განაგრძობდა განვითარებას. ამის ძირითადი მიზეზია—**საზოგადოების კლასებად დაყოფა, კაპიტალისტურ საზოგადოებაში ბურჟუაზიის ბატონობა, რომელიც თავის ინტერესების გულისათვის ამტკიცებს იდეალისტურ თეორიებსა და მოძღვრებებს.**

თავის ისტორიულ განვითარებაში იდეალიზმი გამოხატავდა მყვლეფელი კლასების იდეოლოგიას და, როგორც წესი, რეაქციულ როლს თამაშობდა. მატერიალიზმს, რომელიც რევოლუციური კლასების მსოფლმხედველობის გამოხატულებას წარმოადგენდა, კლასობრივ საზოგადოებაში გზის გაკვლევა უხდებოდა განუწყვეტელი ბრძოლით რეაქციის ფილოსოფიის—იდეალიზმის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, აქ არ შეიძლება რაიმე საეალდებულო ისტორიული სქემის დადგენა. ჩვენ ვიცით შემთხვევები, როდესაც მოუწიფებელი საზოგადოებრივი კლასები თავის ახალ რევოლუციურ მოთხოვნებს გამოხატავენ იდეალიზმის ენით (XIX საუკუნის დამდეგის გერმანული იდეალიზმი, ბუნებრივი სამართლის თეორიები, ნაწილობრივ—უტოპიური სოციალიზმი). მეორე მხრივ, XVIII საუკუნის ფრანგული მებრძოლი მატერიალიზმი საფრანგეთის რევოლუციური ბურჟუაზიის იდეოლოგია იყო. XVII საუკუნის მატერიალიზმი, როგორც ენგელსი აღნიშნავს, აოისტოკრატიული წარმოშობის იყო.

სწორედ ასევე მატერიალიზმს ისტორიული განვითარების ახლანდელ საფეხურზე იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ვულგარული ანდა მექანიკური მატერიალიზმის ფორმა, შეუძლია თანამედროვე პირობებში

ითამაშოს რეაქციული როლი. მაგრამ იდეალიზმის თვით არსებობდის მას განსაკუთრებულ ხელსაყრელ ობიექტად რეაქციული კლასების ხელში.

კლასობრივ საზოგადოებაში მხოლოდ კლასობრივი მეცნიერება არსებობს. იგი მოქმედებს განსაზღვრული კლასების ამოცანებისა და ინტერესებისადმი შეადგენილად. იმდენად, რამდენადაც გაბატონებული კლასის ცნობიერება და მისი ინტერესები მოითხოვენ სინამდვილის ყოველმხრივ შეუცნობას საწარმოო ძალთა განვითარების მიზნით, მეცნიერება შეიცავს მატერიალისტურ ელემენტებს; იმდენად, რამდენადაც ისინი მოითხოვენ ყოველმხრივ შეცნობის დაფარვას მათი ბატონობის შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით, მეცნიერებაში ბატონობს იდეალიზმი. რამდენადაც მეცნიერება შემეცნებაში ასახავს ყოფიერების იმ დარგს, რომელსაც ის შეისწავლის, რამდენადაც იგი მაიმისწრაფის სინამდვილის რევოლუციური გარდაქმნისაკენ და ბუნების ძალთა დამორჩილებისაკენ ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა გამოაშკარავების გზით, იმდენად მეცნიერებას არ შეუძლია არ იყოს მატერიალისტური მეცნიერება. რამდენადაც ექსპლოატატორული კლასების საზოგადოებრივი ყოფიერების პირობა არ აძლევს მათ საშუალებას სწორად შეიცნონ სინამდვილე, რამდენადაც ეს ამახინჯებს და ზღუდავს მათ შესაძლებლობებს, რამდენადაც ყოველმხრივ შემეცნება ემუქრება მათ კლასობრივ ინტერესებს, იმდენად მათი მეცნიერება იდეალისტურია. ვისაც ეს არ ესმის, ეს ვერაფერს ვერ გაიგებს ფილოსოფიური ბრძოლის პერიპეტიებში. ვინც უარყოფს მეცნიერებისა და ფილოსოფიის კლასობრივ ხასიათს, ის ცდილობს თავისი ფილოსოფიის კლასობრივი კუთვნილების დაფარვას.

რაშია ძირეული განსხვავება ძირითად მიმართულებათა შორის ფილოსოფიაში? რომელი მოძღვრებანი მიეკუთვნებიან მატერიალისტურს და რომელი უნდა მივაკუთვნოთ იდეალისტურთა რიცხვს?

მატერიალიზმისა და იდეალიზმის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ერთიმეორის დაპირისპირებულად სწყვეტენ ფილოსოფიის ძირითად საკითხს—საკითხს აზროვნების ყოფიერებისადმი დამოკიდებულების შესახებ. „მივიღოთ თუ არა პირველადად ბუნება, მატერია, ფიზიკური რიგი, გარეგანი სამყარო, ხოლო მეორადად ცნობიერება, სული, შეგრძნება (— ცდა, ჩვენს დროში გავრცელებული ტერმინოლოგიით), პსიქიური და სხვ., — აი ის ძირითადი კითხვა, რომელიც ნამდვილად ჰყოფს

ფილოსოფოსებს ორ დიდ ბანაკად"[1]. ყველა ის ფილოსოფიური მოძღვრებანი, რომლებიც ყოფიერებას, ობიექტურ სამყაროს, ბუნებას, მატერიას ცნობენ პირველადად, ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, ხოლო აზროვნებას, სუბიექტს, შემეცნებას, სულს — მეორადად, წარმოებულად, ეკუთვნიან მატერიალისტურ ბანაკს. იდეალისტებს მიეკუთვნებიან ისინი, ვინც პირველადად, ძირითადად ცნობს სულს, იდეას, სუბიექტს, ადამიანის ცნობიერებას, ხოლო გარეგან ობიექტურ სამყაროს, მატერიალურ სინამდვილეს თვლის ცნობიერებისაგან დამოკიდებულად, მეორადად. ამ ძირითადი საკითხის გადაჭრიდან ასე თუ ისე გამომდინარეობს ეს განხეთქილება გამოკვლევის მთელ მანძილზე. ამ საკითხშია მოქცეული ფილოსოფიურ უთანხმოებათა ღერძი. ფილოსოფიურ მოძღვრებათა ადგილი ფილოსოფიურ შეხედულებათა ბრძოლაში ძირითადად იმით განისაზღვრება, თუ რა პოზიცია უჭირავთ მათ მატერიისა და ცნობიერების საკითხში, თუ რომელ მათგანს თვლიან პირველადად და რომელს მეორადად, რაში ხედავენ ისინი ყოფიერებისა და ცნობიერების გაგების გასაღებს.

იდეალისტისათვის სამყარო წარმოადგენს ან ჩვენში შეგრძნებების ერთობლივობას ანდა სულიერ პროცესს, რომელსაც ჰქმნის ჩვენი საკუთარი ან მსოფლიო გონება, ცნობიერება, ნება; გარეგანი მატერიალური სამყარო ან სრულიად რაღაც ვითომურად, მოჩვენებითად ცხადდება, ან და გაგებულია როგორც მომქმედი სულიერი დასაწყისის გარეგანი გარსი, მატერიალური გამოხატულება. ადამიანის შემეცნება იდეალისტისათვის არის სუბიექტის თვითმოქმედება, აზროვნების, შეგრძნებების, ნების თვითწარმოშობა.

მატერიალისტი, პირიქით, „სამყაროს ერთიანობას მის მატერიალურობაში" ხედავს. ცნობიერება, აზროვნება მატერიის ერთერთი თვისებაა, რომელიც წარმოიშობა მხოლოდ მისი განვითარების განსაზღვრულ, მაღალ საფეხურზე. ბუნება, მატერია, ობიექტური სამყარო არსებობს ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად. შემეცნება წარმოადგენს მოაზროვნე სუბიექტის, ე. ი. ადამიანის მიერ მის გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური რეალობის ასახვას.

აზროვნების ყოფიერებისადმი დამოკიდებულების საკითხის გადაჭრა წარმოადგენს ერთადერთ საიმედო კრიტერიუმს (საზომს) განსახილველი ფილოსოფიური მოძღვრების არსების გამოსარკვევად. ეი. ამიტომ ფილოსოფოსები, რომლებიც მიისწრაფიან მიჩქმალონ თავის

[1] ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, . სახელ. 1930 წ., გვ. 342.

შეხედულებათა წარმოშობის კვალი, გააპარონ იდეალიზმი მატერიალიზმის საფარ ქვეშ, ცდილობენ ააცილონ ყურადღება ამ ძირითად საკითხს, შესცვალონ იგი სხვა, უვარგისი, არასრულქმნილი საზომით. ამგვარი სახის ცდებს ეკუთვნის ლ. აქსელროდის, ი. ვარიაშის და სხვა თანამედროვე მექანისტების მტკიცება, თითქოს მატერიალიზმის ძირითად განსხვავებას იდეალიზმისაგან წარმოადგენს მიზეზობრივობის პრინციპისადმი დამოკიდებულება. მატერიისა თუ სულის პირველადობის საკითხს მექანისტები ცვლიან საკითხით იმის შესახებ, იცავს თუ არა ფილოსოფოსი მოვლენათა მიზეზობრივ ახსნას, ამასთანავე მათ ახსნა ხხოლოდ მექანიკურ მიზეზებამდე დაჰყავთ. ის, ვინც ყველა მოვლენას, რაც ხდება, ხსნის მათი მიზეზობრივი კავშირით და ამასთანავე მიზეზები ესმის როგორც მექანიკური მოძრაობანი, ის, მექანისტების აზრით, ეკუთვნის მატერიალისტებს. ვინც უარყოფს მიზეზობრივი ახსნის შესაძლებლობას, იდეალისტებს ეკუთვნის. უდაოა, რომ მიზეზობრივობის მატერიალისტური გაგება ძირფესვიანად განსხვავდება მისი იდეალისტური გაგებისაგან ანდა იდეალისტების მიერ მიზეზობრივობის სრული უარყოფისაგან. მაკრამ ამ განსხვავების არსების გამორკვევისათვის, იმის გაგებისათვის, თუ რაშია განსხვავების საფუძველი მიზეზობრივობის საკითხში, აუცილებელია მიეგმართოთ უწინარეს ყოვლისა ფილოსოფიის მთავარ საკითხს: რა უსწრებს წინ — ყოფიერება თუ აზროვნება? — ვინაიდან სწორედ ამით განისაზღვრება აგრეთვე მიზეზობრივობის საკითხის მატერიალისტური თუ იდეალისტური გადაჭრა.

მატერიალისტურად გაგებულ მიზეზობრივობას წარმოადგენს მხოლოდ მიზეზობრივობა, გაგებული როგორც საგანთა შორის არსებული ობიექტური მატერიალური კავშირის ფორმა. იდეალიზმს კი, რომელიც გამოდის იქედან, რომ მატერიას წარმოშობს სული, მიზეზობრივობა ესმის არა როგორც საგანთა ობიექტური კავშირი, არამედ როგორც აზროვნების ფორმა ანდა მათი ლოგიკური კავშირი, როგორც სუბიექტის მიერ თავის შეგრძნებათა დაკავშირების განსაკუთრებული წესი. იდეალიზმის სხვა სახეები სრულიად უარყოფენ მიზეზობრივ ახსნას, მიზეზობრივობას ცვლიან ნებით ან სხვა სულიერი ძალით თუ მიზნით, რომელიც თითქოს სამყაროს ამოძრავებს. ფილოსოფიის ცენტრში აყენებენ რა მექანიკური თუ არამექანიკური მიზეზობრივობის საკითხს, დიალექტიკური მატერიალიზმის მოწინააღმდეგენი ცდილობენ დაუძვრენ საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი გამოსავალი თვალსაზრისი უნდა იქნეს დაცული მიზეზობრივობის გაგებაში — იდეალისტური თუ მატერიალისტური. ამ საკითხის დასმა

მექანისტების მიერ წარმოადგენს უფარგის ცდას წაშალონ ნამდვილი საზღვარი იდეალიზმსა და მატერიალიზმს შორის.

ი დ ე ა ლ ი ზ მ ი უ შ უ ა ლ ო ნ ა თ ე ს ა ო ბ ა ს კ ა ვ შ ი რ შ ი ა რ ე ლ ი გ ი ა ს თ ა ნ. იდეალიზმი, ისე როგორც რელიგია, წარმოადგენს სამყაროს ანიმისტური გაგების განვითარებას, დამუშავებას, ე. ი. საგანთა გასულიერებულებას, მათთვის სულისა და ნების მინიჭებას ადამიანის ხატად და მსგავსად. იდეალიზმსა და რელიგიას არა მარტო საერთო გამოსავალი აქვთ, არამედ ერთგვარი სოციალური ამოცანებიც და მიზნებიც. იდეალისტური ფილოსოფია უფრო სათუთად, მეცნიერული ფორმით ასრულებს იმავე იდეოლოგიურ ფუნქციას, რომელსაც უფრო გამარტივებულად, უხეშად ანხორციელებს რელიგია. იდეალისტური ფილოსოფიის უკლებლივ ყველა ფორმა, როგორადაც არ უნდა იყვნენ ისინი შენიღბებულნი, წარმოადგენს რელიგიის გამართლებას, ვინაიდან ახლო განხილვისას აშკარავდება იდეალიზმის ძირითადი დებულების იგივეობითობა რელიგიური იდეოლოგიის საფუძვლებთან. სხვადასხვა იდეალისტური მოძღვრებანი ერთმეორისაგან განსხვავდებიან მხოლოდ რელიგიის გამართლებისა და „დასაბუთების" ფორმით. იდეალისტებს შორის ჩვენ ვხედავთ ან რელიგიური დოგმატების მართებულობის პირდაპირ, ლოგიკურ დამტკიცებას, ან გონების დამცირებას და რწმენის, გრძნობის, ინსტინქტის განდიდებას, ან მეცნიერებისა და რელიგიის გავლენის სფეროების გამიჯვნას მათი მშვიდობიანი თანაარსებობის მიზნით. ა მ ი ტ ო მ რ ე ლ ი გ ი ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ბ რ ძ ო ლ ა ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ მ ო ი თ ხ ო ვ ს ი დ ე ა ლ ი ზ მ ი ს მ ხ ი ლ ე ბ ა ს, ხ ო ლ ო ი დ ე ა ლ ი ზ მ ი ს დ ა ძ ლ ე ვ ა ნ ი შ ნ ა ვ ს ბ რ ძ ო ლ ა ს ხ უ ც ო ბ ა ს თ ა ნ ბ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა შ ი.

ამტკიცებს რა, რომ შემეცნებაში ჩვენ ვიფარგლებით მხოლოდ სულიერი დარგით, როველიც თითქოს მატერიის „ბილმა" ძევს, იდეალიზმი ანმტკიცებს ჭეშმარიტების ყალბ კრიტერიუმებს, მეცნიერული კვლევა ძიების არასწორ გზებსა და საშუალებებს. ასე იქმნება იდეალისტური მათემატიკა, როველიც თავის პრინციპებს იღებს თითქოს ობიექტური რეალობისაგან დამოუკიდებელ წმინდა გონებიდან და შეისწავლის მათემატიკურ ცნებათა განსაკუთრებულ იდეალურ სამყაროს; იდეალისტური ფიზიკა მთელ ბუნებას თვეფს სუბიექტურ შეგრძნებათა სფეროში; იდეალისტური ბიოლოგია ბიმართავს არამატერიალურ, მიზნისაკენ მსრბოლ „სასიცოცხლო ძალებს"; იდეალისტურ პსიქოლოგიას საქმე აქვს „სულთან", თავისუფალ „ნებასთან" და პსიქიურ განცდათა თვითკმარ, დამოუკიდებელ სამყაროსთან. იდეალიზმიე იკრება ყველა ხერელში, იკვნებს ყველა ნაკლს, რომელიც ცოდნი

არსებულ დონეს ახასიათებს. **იდეალიზმი პარაზიტობას ეწევა მეცნიერების სიუსტეზე, მის საკმაოდ განუვითარებლობაზე,** ის სარგებლობს მისი ზრდის სიძნელეებით, იმ ძიებათა დაუმთავრებლობით, რასაც ადგილი აქვს ხშირად დრომოჭმულ იდეების რევოლუციური მსვრევის პროცესში.

იდეალიზმი „ფილოსოფიურ ბურუსში" ახვევს საგანთა ნამდვილ მდგომარეობას, რომელიც დასალუპავად სწირავს რეაქციულ კლასს; ის ჩაგრულ კლასებს ზრდის მატერიალურ საშყაროს გაპირვებასთან და სიძნელეებთან შერიგების სულისკვეთებით იდეალურ საშყაროს „უმაღლეს" ღირებულებათა გულისათვის; ის პროლეტარიატს ზრდის იმ შეგნებით, რომ ფიზიკური შრომა აუცილებლად უნდა დაეუფლებაროს „უმაღლესი", „განათლებული" კლასების, „სულის", „გონების" წარმომადგენელთა სელმძღვანელობას; ის თვით გაბატონებულ კლასებში ნარგავს მათი ბატონობის განმტკიცებისათვის საჭირო იდეოლოგიას.

იდეალიზმი არ წარმოადგენს რაღაც „გარეგანს" ბურჟუაზიული მეცნიერების მიმართ. საქმე ის კი არ არის, რომ რეაქციული იდეალისტური ფილოსოფია აიძულებს უმანკო, უკლასო მეცნიერებას ემსაუროს გაბატონებულ კლასებს. ეს იმის დაშვება იქნებოდა, რომ ხოლოდ ფილოსოფია არის კლასობრივი მეცნიერება, ხოლო დანარჩენი ზუსტი მეცნიერება თავისთავად უკლასო მეცნიერებაა და შესაძლებელია მხოლოდ გამოყენებულ იქნას ამათუიმ კლასის ინტერესებისათვის. ასეთი გაგებიდან, რომელიც მოსდევს კერძოდ „ჩვენ" მექანისტებს, გამოდინარეობს მათი უკრიტიკოდ ბუნების მოდრეკა „მეცნიერების" წინაშე, მათი გეზი „ზუსტი მეცნიერებისაკენ", მათი ბრძოლა მეცნიერების „განთავისუფლებისათვის" დიალექტიკურ-მატერიალისტური ფილოსოფიისაგან, რომელიც თითქოს აცილებს მას ჭეშმარიტების გზას. კლასობრივ საზოგადოებაში მთელი მეცნიერება წარმოადგენს კლასობრივ მეცნიერებას თავის არსებით: ბრძა, უკრიტიკო მიმდევრობა „მეცნიერებისადმი" საერთოდ სხვა არა არის რა, თუ არა ბურჟუაზიული მეცნიერების პოზიციებამდე ჩამოქვეითება.

იდეალიზმთან სასტიკი, შეურიგებელი ბრძოლა უნდა სწარმოებდეს. ამ ბრძოლაში საჭიროა უწინარეს ყოვლისა ვამჟღავნოთ ყოველგვარი იდეალიზმის კლასობრივი ბუნება, მისი ექსპლოატატორული არსება. აუცილებელია მისი ხეცური ხასიათის, მის მიერ რელიგიური იდეების დაცვის გამოაშკარავება. მაგრამ აუცილებელია აგრეთვე იმის გამოაშკარავებაც, თუ თვით ადამიანის შემეცნების თავისებურებებში მიმალული რომელი მიზეზები უწყობენ ხელს იდეალისტურ დამაბინ-

ჯებას, აუცილებელია გამოვარკვიოთ იდეალიზმის გნოსეოლოგიური (თეორიულ-შემეცნებითი) ფესვები.

ადამიანის შემეცნება წარმოადგენს ობიექტურ საგყაროს კანონების ასახვის პროცესს. მაგრამ ეს არის არა გაქვავებული, მკვდარი ასახვა. არა, შემეცნების პროცესი არის მოძრაობა, ერთიანობის გაორება. ივანე შემეცნების პროცესში ჩაქსოვილია შესაძლებლობა შემეცნების გზის ახალეისა ობიექტური ჭეშმარიტებისაგან.

ადამიანი, როდესაც იგი ამბოლებს, ზოგადი ცნებებით სარგებლობს. მაგალითად ცნებები: ადამიანი, კლასი, საზოგადოება, ფორმაცია და ა. შ. ამ ცნებებით სარგებლობის გარეშე აზროვნება შეუძლებელია. მაგრამ, მეორე მხრით, აქ მელავნდება განლტოლვის შესაძლებლობა და იდეალიზმის საფრთხე. როდესაც ჩვენ გამოვიქვამთ მსჯელობას: ივანე — ადამიანია, უკვე აქ არის შესაძლებლობა მოვიაზროთ ცალკე და დამოუკიდებლად ის საერთო, რაც ყველა ადამიანს აქვს ინისლა დამოუკიდებლად — ის ივანეა, პეტრეა თუ სიდორი. ჩვენ არ შეგიძლია არ ეისარგებლოთ ცნებით — „ადამიანი", ვინაიდან ამ შემთხვევაში ჩვენ ვერ გავცილდებით იმ წარმოდგენებს, რომელიც ჩვენ გვაქვს ივანეს შესახებ, საჭირო კი არის სწორედ იმ საერთოს გამოხატვა, რაც ყველა ადამიანებს აქვთ, ე. ი. შემეცნებაში ივანესაგან პეტრეზე, სიდორზე და სხვ. გადასვლა. ამრიგად შემეცნება ორდება, ერთი მხრით, კერძო — ივანე, ნეორე მხრით, ზოგადი — ადამიანი. კერძო და ზოგადი განუყრელად დაკავშირებულია. მათი ერთიანობისაგან მოწყვეტა ნიშნავს ბოსწყდე ობიექტურ ჭეშმარიტებას, რომელიც ზოგადისა და კერძოს ერთიანობაშია გამოხატული. ობიექტური ჭეშმარიტება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ არ არსებობს ზოგადი კერძოს გარეშე და კერძო ზოგადის გარეშე. ივანე არსებობს მხოლოდ როგორც ადამიანი, ადამიანი კი არსებობს მხოლოდ როგორც ივანე, პეტრე, სიდორი და ა. შ. ზოგადის ცალკეულისაგან მოწყვეტა, მისთვის ობიექტურად არსებული რეალობის მნიშვნელობის მინიჭება სწორედ ეს არის შემეცნების სწორი გზისაგან აცდენა. როდესაც ნამდვილად არსებულ, ცოცხალ ადამიანების — ივანეს, პეტრეს და სხვ. გვერდით აყენებენ „ადამიანს საზოგადოდ", ადამიანს როგორც ასეთს, ხოლო ივანეს, პეტრეს და სხვ. აცალდებენ მხოლოდ ამ საზოგადოდ ადამიანის არსებობის ფორმად, აი ეს არის იდეალიზმი, ვინაიდან აქ გამოსავალ პუნქტად აღებულია ადამიანის აზრი (აბსტრაქცია: ადამიანი საზოგადოდ), და აია რეალურად არსებული ადამიანები. ასეთია ყველა იდეალისტების ხერხი. ყველა იდეალისტები მატერიის, ე. ი. ადამიანის ცნობიერები-

საგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური რეალობის ადგილას აყენებენ ცნობიერებას, ე. ი. აზრს ანუ შეგრძნებას.

ეს დამაბინძურებელია ექსპლოატატორებისათვის. იდეალიზმის საშუალებით ისინი ექსპლოატაციის კანონიერებას ეშვიანენ; ცდილობენ დაამტკიცონ არსებული წყობილების მარადიულობა და ურყევლობა. ამრიგად კლასობრივი ინტერესი ანმტკიცებს შემეცნების სწორი გზისაგან აცდენას, ცდილობს მის გამარადისებას და იდეალიზმის — როგორც საყოველთაო ბსოფლმხედველობის — დამკვიდრებას.

„ადამიანის შემეცნება არის არა (respective არ მიდის ამ) პირდაპირი ხაზი, არამედ მრუდე ხაზი, რომელიც დაუსრულებლივ უახლოვდება წრეთა რიგს, სპირალს, — ანბობს ლენინი. — ამ მრუდე ხაზის ყოველი ნაწყვეტი, ნამსხვრევი, ნაპერი შეიძლება გადაქცეულ იქნას (ცალმხრივად გადაქცეულ იქნას) დამოუკიდებელ, მთლიან, პირდაპირ საზად, რომელსაც (თუ ხეებს იქეთ ტყის ვერ დავინახავთ) მაშინ ეპობში, ხუცობაში მივყევართ (სადაც მას ანმტკიცებს გაბატონებული კლასების კლასობრივი ინტერესი). პირდაპირხაზოვნობა და ცალმხრივობა, გაბკვება და გაქვავება, სუბიექტივიზმი და სუბიექტური სიბეცე voilà იდეალიზმის გნოსეოლოგიური ფესვები“. „ფილოსოფიური იდეალიზმი არის შემეცნების ერთიერთი პატარა ხაზის, მხარის, ნაკვთის გაზვიადება (überschwengliches (Dietzgen) განვითარება (ვაბერვა, გასივება) აბსოლუტად, რომელიც მოწყვეტილია მატერიის, ბუნების, გალმერთებულია. იდეალიზმი არის ხუცობა. სწორია. მაგრამ ფილოსოფიური იდეალიზმი არის („უფრო სწორად“ და „გარდა ამისა“) გზა ხუცობისაკენ ადამიანის დაუსრულებლივ რთული შემეცნების (დიალექტიკური) ერთ-ერთი ელფერის საშუალებით“ [1].

„ეი ამიტომ ბრძოლა იდეალიზმის წინააღმდეგ, თანმიმდევრული, შეურიგებელი ბრძოლა ისტორიის უდიდეს მანძილზე გაბატონებული თეორიის წინააღმდეგ, მოითხოვს ჩვენგან ძველი იდეალისტური ფილოსოფიის მთელი თეორიული შინაარსის არა უბრალოდ უკუგდებას, არამედ იდეალიზმის კრიტიკულ დაძლევას. ჩვენ უნდა გამოვააშკარავოთ იდეალიზმის კლასობრივი ფესვები, მაგრამ ამასთან ერთად არ უნდა უკუვაგდოთ იდეალისტური ფილოსოფიის მიერ დასმული საკითხები. როდესაც ვარკვევთ ამა თუ იმ იდეალისტური ფილოსოფიის შინაგან ლოგიკას და მარქსისტულად ეაკრიტიკებთ მას, ჩვენ ვააშკარავებთ ამ საკითხის გადაჭრის იდეალისტურ ცალმხრივობას,

[1] „ლენინის კრებული“, XII, გვ. 236.

მის სუბიექტურ სიბეცეს, მოვლენათა ცალკე ხანებისა და მხარეების იდეალისტურ გაზვიადებას.

იდეალიზმი ყალბია. მაგრამ იდეალიზმი არ არის სისულელე, მიჭარვა, რომელსაც არა აქვს დასაყრდენი ჩვენი შემეცნების პროცესის თავისებურებებში. იდეალიზმი ვერ შესძლებდა თავისი კლასობრივი დანიშნულების შესრულებას, ის რომ აბსოლუტურად უნიადაგო და უაზრო ყოფილიყო, მას რომ არ ქონდეს დასაყრდნობი წარტილები შეცეცნების ობიექტურ პროცესში. „ხუცობას (=ფილოსოფიურ იდეალიზმს), რასაკვირველია, აქვს გნოსეოლოგიური ფესვები, იგი არ არის უნიადაგო, უდავოა რომ იგი არის გუდაფშუტა, მაგრამ გუდაფშუტა, რომელიც იზრდება ცოცხალი, ნაყოფიერი, ჭეშმარიტი, ძლიერი, ყოვლისშემძლე, ობიექტური, აბსოლუტური ადამიანური შემეცნების ცოცხალ ხეზე“ [1]. ამიტომ არ შეიძლება უბრალოდ წაშალო, თიოქის და არარსებულად ჩათვალო ფილოსოფიის მთელი წინამორბედი განვითარება, რომელიც იდეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სინ̇ის ქვეშ მიმდინარეობდა. ექსპლოატატორული კლასები თავისი აყვავების ხანაში ხელს უწყობდენ შემეცნების განვითარებას, მაგრამ ამ განვითარებას ისინი ახდენდენ დამახინჯებულ, მისტიფიცირებულ, იდეალისტურ ფორმაში. არღვევს რა იდეალისტურ ფილოსოფიას, თანამედროვე მატერიალიზმი კი არ სპობს შემეცნების ცოცხალ ხეს, არამედ აცილებს მას გუდაფშუტას, მკვდარ ხორცებს: ის არის მემკვიდრე ყოველივე ჭეშმარიტისა და ღირებულისა, რაც კი მიღწეული იყო მეცნიერების წინამორბედ მოძრაობაში.

დიალექტიკური მატერიალიზმი — მატერიალისტური ფილოსოფიის უაღლესი ფორმაა — *პროლეტარიატის ფილოსოფიაა*. აშკარად აცხადებს რა თავის კლასობრივობას, პარტიულობას, დიალექტიკური მატერიალიზმი ამასთანავე ააშკარავებს, მის მოპირდაპირე მტრულ შეხედულებათა კლასობრივ არსებას, ჰგლეჯს მათ „უკლასობრიეობის“, „სიწმიდის“ და „ობექტურობის“ სამოსელს. დიალექტიკური მატერიალიზმი არის მატერიალიზმის ყველაზე თანმიმდევრული და შეურიგებელი ფორმა, ისე როგორც პროლეტარიატი არის ყველაზე თანმიმდევრული და რადიკალური კლასი თავის რევოლუციურობის ნარევ. საზოგადოების იმ მოწინავე კლასთა მატერიალიზმი, რომლებიც წინ უსწრებდენ პროლეტარიატს, შეზღუდული იყო უკვე ამ კლასების პირობითი შეზღუდული რევოლუციურობის გამო. პროგრესიულ ბურჟუაზიას, რომელიც აწარმოებდა ბრძოლას ფეოდალურ რეაქციასთან მატერიალისტური დროშის ქვეშ, ში-

[1] „ლენინის კრებული“ XII, გვ. 326.

შით უნდა ეცქირა თავის „მოკავშირეებისათვის“—პროლეტარებისათვის; მისი რევოლუცია ექსპლოატაციის ახალი ფორმის, ახალი სახის კლასობრივი ჩაგვრის დამკარებას წარმოადგენდა. მისი რევოლუციურობა თავიდანვე მანკიერი იყო: იგი თავისში ატარებდა შემდგომი ახალი რეაქციის ჩანასახს. პროლეტარიატის რევოლუციურობა ძირფესვიანად განსხვავდება ანისგან: იგი მიმართულია ყოველგვარი ექსპლოატაციის და ჩაგვრის წინააღმდეგ, კლასობრივი ბატონობის ნაცვლად მას მოაქვს თვით კლასების მოსპობა. აქედან გამომდინარეობს პროლეტარიატის ბოლომდე თანმიმდევრული დიალექტიკური მატერიალიზმი, ბოლომდე მეუწყნარებელი, მტრული დამოკიდებულება ყველა და ყოველგვარი სახის იდეალიზმისა და რელიგიურობის, ანტიმეცნიერულობის და იდეური რეაქციულობის მიმართ.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის განვითარების ისტორია არის ისტორია შეურიგებელი ბრძოლისა რეაქციულ ფილოსოფიურ იდეალიზმთან, რა ფორმითაც არ უნდა ყოფილიყო იგი წარმოდგენილი, რა ტანსაცმელშიაც არ უნდა ყოფილიყო გამოწყობილი. „მარქსი და ენგელსი თავიდან ბოლომდე პარტიულები იყვნენ ფილოსოფიაში, მათ ქონდათ უნარი აღმოეჩინათ უკანდასკვა მატერიალიზმისაგან და დათმობანი იდეალიზმისა და ფიდეიზმისადმი ყველა და ყოველგვარ „უახლეს“ მიმდინარეობაში“ [1]. ფარისეველურ ფრაზებში და სიტყვიერ კორიანტელში ისინი ამაღლდენ იდეალისტურ მტერს. ისინი ბას მაშინაც ააშკარავებდენ, როდესაც მას თავი შოქონდა პროლეტარიატის მეგობრად და დიალექტიკური მატერიალიზმის „გაღრმავების“, „შესწორების“ საბაბით ბას იდეალიზმით ცვლიდა. მაგრამ ისინი არც იმ მატერიალისტებს ინდობდენ, რომლებიც მატერიალიზმის უძველესი ფორმიდან გადადიოდენ ნაკლებ თანმიმდევრულ, წინამარქსისტულ, ვულგარულ მექანიკურ მატერიალიზმზე, რომელიც დიდი ხანია გადალახული იყო ცოდნის განვითარებით და უძლური იყო უახლოეს იდეალიზმთან ბრძოლაში. „ან ბოლომდე თანმიმდევრული მატერიალიზმი, ან ფილოსოფიური იდეალიზმის სიცრუე და დაბნეულობა,—აი საკითხის ის დაყენება, რომელიც მოცემულია“ [2] მარქსისა და ენგელსის ნაწერების თვითეულ გვერდზე.

პარტიების ბრძოლა ფილოსოფიაში კლასთა ბრძოლის ერთერთი ფრონტია. ფილოსოფიაშიც კლასი კლასის წინააღმდეგ დგას. იმპერიალიზმისა და პროლეტარული

[1] ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, გვ. 345.

[2] იქვე, გვ. 344.

რევოლუციის ეპოქა, კაპიტალიზმის უღრმესი საყოველთაო კრიზისის, მისი წინააღმდეგობების უკიდურესი გამწვავების ეპოქა, საბჭოთა კავშირში უაღრესად სწრაფი სოციალისტური შენებლობის, მთელ მსოფლიოში პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის აზვირთების ეპოქა, რომელსაც ჩვენ განვიცდით, არის ყველაზე მწვავე და სასტიკი კლასთა ბრძოლის ეპოქა, რომელიც კი იცის ისტორიამ.

პროლეტარიატის ფილოსოფიური ხაზის ღალატი, იდეალიზმთან გათანაშეება არის ღალატი კლასობრივ ბრძოლაში, პოზიციების ჩაბარება მტრისათვის. ფილოსოფოსები-იდეალისტები ღვთისმეტყველების სწავლული ნოქრები არიან, ფილოსოფოსები იდეალისტები ბურჟუაზიის დიპლომიანი ლაქიები არიან.

დიალექტიკური მატერიალისტები — მუშათა კლასის იდეოლოგებია, კლასის, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს ადამიანის მიერ ადამიანის დაჩონებას, კლასის, რომელიც სოციალისტურ საზოგადოებას აშენებს. კლასთა სასტიკ ბრძოლაში არ შეიძლება საშუალო ხაზი, იგი არც ფილოსოფიაში არსებობს. ამიტომ ყველა პარტიებიდან „ყველაზე საზიზღარნი არიან საშუალო ხაზის პარტიები". „შემრიგებელი გარეწარნი" არიან იმ მტრის აგენტები, რომელიც სუსტდება, სურს ბრძოლის გაჭიანურება და ძალების მოკრება.

იმპერიალისტების სწავლული ლაქიები არაფერს არ ერიდებიან თავის მისწრაფებაში ნააშავონ მარქსიზმი. „პატივცემული" პროფესორები „ლირსშესანიშნავ" ფილოსოფიურ ‘ბრომებში არ ერიდებიან თეთრგვარდიელთა სანაგვედან ნასესხებ „არგუმენტებს", კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლას უერთებენ რა ბრძოლას მატერიალიზმის წინააღმდეგ.

ასე მაგალითად ინტერვენციის ცნობილი მღაღადებელი, „პანევროპის" იდეოლოგი გრაფი რ. კუდენგოვე-კალერგი მის მიერ სპეციალურად დაწერილ წიგნში „შორს მატერიალიზმისაგან" წვრილ ბურჟუაზიას აფრთხობს მატერიალიზმის ამორალობით, უზნეობით: „ვინაიდან (მატერიალისტებისათვის) არ არსებობს არაფერი გარდა მატერიისა, ე. ი. არც ღმერთი, არც იდეები, ამიტომ ყოველგვარი ვალდებულება მათთვის არის თაღლითობა, ყოველგვარი ზნეობრივი მოთხოვნა — თაღლითობა, ყოველგვარი მორალი — თაღლითობა...". მატერიალისტების „დამოკიდებულება გარემომცველთადმი არც შეგობრულია, არც მტრული, არამედ განურჩეველი. სხვა ადამიანები მათთვის წარმოადგენენ მხოლოდ თავის სიცოცხლით დატკბობის გაძლიერების საშუალებას. ისინი მათ ისევე ეკიდებიან როგორც კარგ სიგარებს, კარგ ღვინოს და საჭმელს ან და როგორც თავმო-

მაბეჭრიბელ ბუზებსა და შხამიან გველებს...“ ასე „ამსხვრევენ“ მატერიალიზმს იმპერიალიზმის ყველაზე მოწინავე იდეოლოგები.

ბურჟუაზიული ფილოსოფიის რეაქციულობა ამჟამად თავის უმაღლეს საზღვარს აღწევს. ჰიტლერის „იდეოლოგები“ პირდაპირ მოუწოდებენ: „უკან, ბარბაროსობისაკენ“! ისტორიული იდეალისტური არსენალის სიღრმიდან იღებენ ჭუანზიზღრეს მისტიკურ სიატეკვებს. გონება უარს ამბობს ბურჟუაზიული ფილოსოფიისადმი სამსახურზე. იგი მიმართავს ზეგონებრივ, „აწკარა“ ინტუიტურ მისტიკას. სამუალო ხანის საზიზღარი პარტია, ბურჟუაზიული აგენტურა პროლეტარიატის წრეში—სოციალ-დემოკრატია სიბოლოოდ გვარდება ბურჟუაზიის „შემარცხენე“ პარტიად, საბოლოოდ უერთდება თავის მეპატრონეებს, ხდება ფაშიზმის—გაშიშვლებული იმპერიალიზმის ამ უკანასკნელი პოლიტიკური საშუალების—საიმედო დასაყრდნობად. შესაფერისად აღვირს იხსნის სოციალ-ფაშიზმის ფილოსოფიაც. ფილოსოფიური რევიზიონიზმი — მუშათა კლასის პოლიტიკისათვის ფარულად იდეალისტური საძირკვლის ჩაყრა მისი რევოლუციურობის მოსპობის მიზნით—დღეს უკვე II ინტერნაციონალის ოფიციალურ ფილოსოფოსების ხელში აშკარა იდეალიზმად იქცა. ისინი დიალექტიკურ მატერიალიზმს აშკარად და შოურიდებლად აცხადებენ მოძველებულად. სოციალ-ფაშიზმს თავის ფილოსოფიურ მასწავლებლებად აჰყავს ეინც გნებავთ—კანტი, მახი, ბერგსონი, ფრეიდი,—რათა „გაანადგუროს“ მარქსი და ბურჟუაზიული ფარვატერით წარმართოს პროლეტარული აზრი.

კომუნისტურმა პარტიებმა, რომელთაც მტკიცედ და განუხრელად მიჰყავთ პროლეტარიატი გამარჯვებისაკენ, განსაკუთრებული სიფხიზლით უნდა დაიცვან დიალექტიკური მატერიალიზმის—კომინტერნის ფილოსოფიის—პრინციპების ურყევლობა, ულმობელი უნდა იყვენ მტრისადმი და მისდამი უყურადღებობის მიმართ.

მაგრამ ჩვენი ძირითადი და ძველთაძველი მტერი—იდეალიზმი, არსებობს არა მარტო საბჭოთა კავშირის ფარგლებს იქით, იმ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ კაპიტალიზმი ბატონობს, სადაც ჯერ კიდევ უნდა მოხდეს პროლეტარული რევოლუცია,—მისი ნაშთები დარჩა ჩვენი საბჭოთა კავშირის სინამდვილეშიც. ლსევის ტიპის რეაქციული ფილოსოფოსების შავბნელი იდეალიზმი, სხვადასხვა საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა წარმომადგენლების—პლატონოვის, ბერჯის, საეიჩის და სხვა მრავალთა—რეაქციული გამოლაშქრება, რამზინების, კონდრატიევების და ვრომოვების მავნებლური ინტერვენციონისტუ-

ლი ცდები—ყოველივე ეს იმავე რესტაურატორული იდეოლოგიის სხვადასხვა სახეობაა.

ჩვენი ბრძოლა მტერთან არ შეიძლება ძლევამოსილი იყოს, თუ იგი შეთავსებული არ არის რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან, რომელიც ცდილობს შეიჭრას მარქსისტულ პარტიულ რიგებში და „მარქსიზმში“ იმოსება. ვულგარული მექანიციზმი, რომელიც იმეორებს ფილოსოფიურ ნაღეკს, ანიარაღებს დიალექტიკურ მატერიალიზმს იდეალიზმის წინაშე, მომენშევიკო იდეალიზმი, რომელმაც დიალექტიკური მატერიალიზმი შესცვალა ჰეგელიანური იდეალისტური დიალექტიკით—ასეთია თანამედროვე რევიზიონიზმის ორი ძირითადი სახესხვაობა ფილოსოფიაში და მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაში. ისინი უცხონი არიან ბოლშევიკური პარტიისა და ფილოსოფიისათვის, ფილოსოფიურ საფუძვლებს უქმნიან კონტრრევოლუციურ ტროცკიზმს, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმს, ხელს უწყობენ მავნებლებს. ბრძოლა ამ ანტიმარქსისტულ მოძღვრებებთან წარმოადგენს დიალექტიკური მატერიალისტების აუცილებელ მოვალეობას, ვინაიდან „თუ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე შეურიგებელი ბრძოლა არ ვაწარმოეთ ბურჟუაზიული თეორიების წინააღმდეგ, შეუძლებელია სრული გამარჯვება კლასობრივ მტრებზე“ [1].

II. მექანიკური მატერიალიზმი

მატერიალიზმი, ისე როგორც მისი ანტიპოდი — იდეალიზმი უძველესი და უცვლელი არ რჩება. მას თავის ისტორია აქვს. მატერიალიზმმა განვითარების სხვადასხვა საფეხურები გაიარა, ვიდრე მიიღებდა უმაღლეს ფორმას მარქსიზმ-ლენინიზმის სახით. მატერიალიზმმა გაიარა მთელი რიგი ეტაპები, განსაზღვრული საზოგადოებრივი განვითარებით, მებრძოლი კლასების მიერ ერთიმეორის შეცვლით, მათი ბრძოლის ხასიათითა და დონით. მატერიალიზმი განურჩევლად არ ფუფურებდა მეცნიერების განვითარებას და ახალ სახეს, ახალ ფორმას იღებდა ბუნებისმეტყველებაში მომხდარ რევოლუციებთან, მეცნიერების დარგში ეპოქის შემქმნელ უდიდეს აღმოჩენებთან შესაბამისად.

XVII—XVIII საუკუნეების მექანიკურმა მატერიალიზმმა, განვითარებულმა ინგლისსა, საფრანგეთსა და ნიდერლანდებში, სახელოვანი თავი ჩასწერა ფილოსოფიის ისტორიაში. ის იყო ფეოდალური თავადაზნაურობის შესაცვლელად მიმავალ ახალგაზრდა, პროგრე-

[1] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 519.

სიული, სიცოცხლით აღსავსე მოშქმედი კლასის პირმშო. XVII—XVIII საუკუნეების მატერიალიზმი იყო ფილოსოფია, გამომხატველი ახალი კლასის—ბურჟუაზიის მისწრაფებისა ჰეგემონიისა და ხელისუფლებისადმი. ფეოდალური საზოგადოების წიაღში დაეაჟკაცებულ ბურჟუაზიას, რომელმაც შიგნიდან შეარყია მისი ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური საფუძვლები, თან მოქონდა საწარმოო ურთიერთობათა ახალი ფორმა და საწარმოო ძალთა გაუგონრად მძლავრი. განვითარება. მან გააფართოვა ძველი ქვეყნიერების ფარგლები, კაპიტალიზმის სამეურნეო ორბიტაში მოაქცია ახალი მატერიკები, .მას მოქონდა ახალი პოლიტიკური ფორმები, იდეები, იგი ახალ ამოცანებს უყენებდა მეცნიერებას. საწარმოო ძალთა განვითარება—ბურჟუაზიის ეს ისტორიული მისია არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო ძველ სოციალურ ფორმებში, ფეოდალური ეკონომიკისა და საშუალსაუკუნოებრივ ინსტიტუტების ვიწრო ფარგლებში. ბურჟუაზიას უნდა დაემხო ფეოდალურ-თავადაზნაურული ბატონობა, დაემსხვრია საშუალსაუკუნოებრივი ეკონომიური ფორმები და გაენადგურებია მის ბიერ წარმოშობილი და მისი გამამტკიცებელი იდეოლოგია.

საწარმოო ძალთა უაღრესად სწრაფ განვითარებას შეესაბამებოდა რევოლუცია ბუნებისმეტყველებაში. ზღვაოსნობამ, სამხედრო საქმემ, მრეწველობამ, ვაჭრობამ გამოიწვია მთელი რიგი უდიდესი აღმოჩენები და გამოგონებანი, ძველი საუკუნეებისათვის მიუღწეველ დონემდე აამაღლა მათემატიკა,. მექანიკა და ფიზიკა. XVII—XVIII საუკუნეების მექანიკური მატერიალიზმი იყო საწარმოო ძალთა და ახალი მეცნიერების დონეს განვითარების მოთხოვნათა ფილოსოფიური გამოხატულება. ეს იყო ახალი ბუნებისმეტყველების შესაბამისი მოძღვრება, მიმართული ძველი ბუნებისმეტყველების დრომოჭმულ სქოლასტურ მეთოდოლოგიის წინააღმდეგ. რევოლუციური ბუნებისმეტყველების ფილოსოფია შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მატერიალისტური ფილოსოფია.

რაც უფრო მტკიცდება ბურჟუაზია, რაც უფრო იზრდება მისი მოთხოვნილება და შესაძლებლობა, იგი მით უფრო გადაჭრით და მტკიცედ გამოხატავს თავის რევოლუციურ მისწრაფებებს, აშკარად ილაშქრებს ფეოდალურ იდეათა და პრინციპების მთელი კომპლექსის წინააღმდეგ. მატერიალისტურმა ფილოსოფიამ იდეურად შეაიარაღა რევოლუციური ბურჟუაზია. ძველ მატერიალიზმში ხელიხელჩაკიდებულნი მიემართებოდენ ბურჟუაზიის სოციალ-პოლიტიკური კულტურის უარყოფა და ახალი ბუნებისმეტყველების მეთოდოლოგიის დასაბუთება,

ფეოდალიზმის ფილოსოფიური ბურჯის—ხუცობისა და იდეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

რაც უფრო მტკიცდება ბურჟუაზია და ახლოვდება უშუალო რევოლუციური ბრძოლა, მით უფრო ხმამაღლა და მტკიცედ გაისმის მის ფილოსოფიაში მებრძოლი ათეისტური მოტივები. XVIII საუკუნეში, განსაკუთრებით საფრანგეთში, სადაც ბურჟუაზიული რევოლუცია არ ატარებდა ისეთ კომპრომისულ-უსრულო ხასიათს, როგორც ინგლისში, მებრძოლი ანტირელიგიური პროპაგანდა და მატერიალისტური მოძღვრებანი უმაღლეს განვითარებას აღწევენ.

ბეკონიდან, გასენდიდან და დეკარტის ფიზიკური მოძღვრებიდან შოყოლებით და შემდეგ გობსის, სპინოზას და ლოკის საშუალებით სწარმოებს მექანიკური მატერიალიზმის განვითარება და იგი თავის ყველაზე სრულ და ყოველმხრივ განვითარებას XVIII საუკუნის ფრანგი მატერიალისტების მოძღვრებებში აღწევს.

როგორია სახელმძღვანელო დებულებანი მექანიკური მატერიალიზმისა მისი იმ სახით, როგორიც მან მიიღო XVIII საუკუნის ფრანგი მატერიალისტების—გოლბახის, ჰელვეციის, ლამეტრის და დიდროს ფილოსოფიურ მოძღვრებებში?

XVIII საუკუნის მატერიალიზმი პირველ ყოველისა გადაჭრით იბრძოდა რელიგიის წინააღმდეგ, თვლიდა რა მას უდიდეს ბოროტებად და კაცობრიობის პროგრესის უდიდეს შემაფერხებლად. ის ილაშქრებდა ადამიანთა გონებაზე ტრადიციულ უნიადაგო დოგმატების ძალაუფლების წინააღმდეგ. ყოველივე გონების სამსჯავროს წინაშე იყო წაყენებული. ყველა იდეას, რწმენას, დაწესებულებას თავი უნდა გაემართლებია გონების წინაშე, დაეშტკიცებია თავის გონიერება. გონება გადაიქცა ყველაფრის საზომად და ყოველივე, რაც ვერ უძლებდა მის კრიტიკას, უარყოფილ იყო. რა თქმა უნდა ეს გონება განსაზღვრული ეპოქის გონება იყო, ის იყო ბურჟუაზიული გონება და გონების შეუსაბამოდ ის ცხადდებოდა, რაც რევოლუციური ბურჟუაზიის ინტერესებს არ შეესაბამებოდა. რელიგია—ფეოდალური რეაქციის ბურჯი, აღიარებული იყო გონების იდეურ მტრად და უვიცობის ბურჯად. XVIII საუკუნის მატერიალისტების აზრით, რელიგია ვაიზარდა ადამიანთა უვიცობისა და სიბნელის ნიადაგზე: იგი გაამარადისა ხუცების მიერ უვიცი მასების მოტყუებამ. „რელიგია,—ამბობდენ ძველი მატერიალისტები,—სულელის ხუცესთან შეხვედრისაგან წარმოიშვა“.

ზეცისაგან, მიღმურ სამყაროსაგან მატერიალიზმი ადამიანის ინტერესებს და აზრებს მიმართავდა მოღმურისაკენ, დედამიწისაკენ, ფიზიკური სინამდვილისაკენ. მეცნიერების ერთადერთ მიზანს ის ბუ-

ნ ე ბ ი ს შემეცნებაში ხედავდა. ბუნება, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს თვით ადამიანი თავის გრძნობებით, არის ერთადერთი რეალობა. არ არსებობს სხვა სამყარო, გარდა სხეულებრივი, მატერიალური, მიწიერი ქვეყნიერებისა. არსებობს ერთიანი და ერთადერთი სუბსტანცია, ე. ი. ის ერთადერთი, რაც არსებობს დამოუკიდებლად, თავისთავად, პირველადად და არაფერს სხვას არ საჭიროებს თავის არსებობისათვის,—მატერიალური სუბსტანცია წარმოადგენს არსებულის მთელი მრავალსახეობის საფუძველს და მატარებელს. არამატერიალური სუბსტანცია—უაზრო გამონაგონია. „მატერია საერთოდ არის ყოველივე ის, რაც რაიმე სახით ზემოქმედებას ახდენს ჩვენს გრძნობებზე, ხოლო თვისობრივობანი, რომელთაც ჩვენ სხვადასხვა საგნებს ვაწერთ, ემყარებიან სხვადასხვა შთაბეჭდილებებს ან სხვადასხვა ცვლილებებს, რომლებსაც ისინი ჩვენში ახდენენ“ [1]. აქრიგად მტკიცდება ყოფიერების, მატერიის პირველადობა და აზროვნების მეორადობა.

სამყარო, ამ მატერიალისტების შეხედულებით, არის მატერიალური ელემენტების შეერთება, რომელთა კომბინაციები და მოძრაობანი ქმნიან სინამდვილის მთელ სისრულეს. მას არ ესაჭიროება არავითარი ზებუნებრივი, არამატერიალური მამოძრავებელი საწყისები და ძალები. ის ცოცხლობს თვით მატერიის დამახასიათებელი დაურღვეველი და მუდმივი ბუნებრივი კანონების მიხედვით, რომელთა შეცნობა წარმოადგენს გონების ამოცანას. ყოველგვარი მატერის ძირითად და განუყოფელ თვისებას წარმოადგენს: განფენილობა, მოძრაობითობა, გაყოფადობა, სიმაგრე, სიმძიმე, ძალა და ინერცია. მათგან წარმოიშობა დანარჩენ წარმოებულ თვისებათა მთელი სიმრავლე. მატერია მოძრავია თავისი ბუნებით, ამასთანავე ეს მოძრაობა გაგებულია მ ე ქ ა ნ ი კ უ რ ა დ, ე. ი. როგორც ელემენტარული ნაწილების და რთული სხეულებრივი მასების სივრცობრივი ადგილგადანაცვლება, როგორც ადგილისა და მდგომარეობის გადანაცვლება სივრცეში. თვისობრივობათა და მოვლენათა მთელი მრავალსახეობა, რასაც ჩვენ სამყაროში ვხედავთ, წარმოადგენს მხოლოდ მატერიის მექანიკური მოძრაობის სხვადასხვაგვარ გამოვლენას. არა მარტო მკვდარი ბუნება ყველა მის გამოვლენაში, არამედ ცხოველებიცა და თვით ადამიანიც წარმოადგენენ ცოტად თუ ბევრად რთულ მექანიზმებს, რომელთა არსებობაც დაიყვანება სხვადასხვაგვარ მექანიკურ პროცესებამდე, მექანიკურ მოძრაობათა კომბინაციამდე. ადამიანი მანქანისაგან განსხვავდება მხოლოდ თავისი კონსტრუქციის უფრო

[1] გოლბახი, Система природы, გვ. 31, 1924 წ.

ძეტი სირთულით და სისათუთით და იგი შეიძლება ამომწურავად შეცნობილ იქნას როგორც სრულქმნილი მექანიზმი. ადამიანის ნება თავისუფალი კი არ არის, როგორ ხუცები და იდეალისტები გვარწმუნებენ, არამედ იგი ბუნებრივ კანონთა ჯაჭვის რგოლს წარმოადგენს და მისი მოქმედება მატერიალისტური მიზეზებით განისაზღვრება. ადამიანის ვნებათა მექანიზმი ისეთივე ბუნებრივი პროცესია, როგორც ყოველი სხვა მექანიზმი. არ არსებობს სული როგორც განსაკუთრებული სუბსტანცია სხეულის გვერდით ან მასზე გაბატონებული. სული, ანუ უფრო სწორად მგრძნობელობა — სხეულის ერთერთი თვისებაა. სადაც არ არის სხეული, იქ არც მგრძნობელობაა, ორგანიზმის სიკვდილთან ერთად ისპობა მისი „სული". სულის უკვდაობა, მისი სხეულისაგან დამოუკიდებელი არსებობა—სულელური და მავნე ცრუმორწმუნეობაა.

მატერიალისტებმა გადაჭრით უარყვეს იდეალისტური მოძღვრება იმის შესახებ, რომ თითქოს ადამიანის გონებაში არსებობენ თანდაყოლილი, ადამიანში შთანერგული, იდეები, რომლებიც მათ არ შეუძენიათ ცდაში გრძნობების საშუალებით. შემეცნების ერთადერთ წყაროთ მატერიალისტები ცნობდენ ცდას, რომელსაც ვიძენთ ჩვენი გრძნობის ორგანოებზე ბუნების ზემოქმედების პროცესში. ადამიანი იბადება ტვინით, რომელიც ემსგავსება წმინდა დაფას (tabula rasa) და რომელსაც ცდა ავსებს თავის ჩანაწერებით. მატერიალისტები იყვნენ სენსუალისტები, ე. ი. ისინი გარეშე სამყაროს ზემოქმედების განმცდელ გრძნობათა ორგანოებს თვლიდენ ერთადერთ არხად, რომლის საშუალებითაც ვიძენთ შემეცნებას. გონებაში არაფერი ისეთი არ არის, რაც მასში შეგრძნებებიდან არ მისულა. გონება მხოლოდ ამუშავებს ცდის მონაცემებს. ამიტომ ცდისეულ შემეცნებაში, ბუნებაზე დაკვირვებაში და მის მიმართ ექსპერიმენტების მოხდენაში ხედავდენ მატერიალისტები მეცნიერების მთავარ ამოცანას.

ამ მატერიალისტების შემეცნების სენსუალისტური თეორიებით განისაზღვრება მათი გაგება ადამიანთა განვითარებისა. თუ იდეები, მიდრეკილებანი და რწმენა ყალიბდება ადამიანის ცდაში, მაშინ ყველა ადამიანები დაბადებისას თანასწორნი არიან თავის წინასწარი განწყობილებით. ადამიანთა ხასიათი და პსიქიკა მთლიანად ცხოვრების გამოცდილების ხასიათით, გარემოს პირობებითა და აღზრდით განისაზღვრება. ადამიანი გარემოს პროდუქტია. თქვენ გსურთ შესცვალოთ ადამიანები, მოსპოთ უვიცობა და ბოროტება,—გამოსცვალეთ გარემო, შეჰქმენით ისეთი საზოგადოებრივი პირობები, რომლებიც ზრდიან გონიერ და კეთილმოქმედ ადამიანებს. ამ პუნქტში

განსაკუთრებული სიღრმით მეღავნდება ფრანგი მატერიალისტების ფილოსოფიური იდეების კავშირი მათ რევოლუციურობასთან.

მაგრამ აქ მეღავნდება აგრეთვე ძველი მატერიალისტების რევოლუციურობის ბურჟუაზიული შეზღუდულობა და კლასობრივი ბუნება. ამ ამოსავალ პუნქტიდან ორი გზა გამომდინარეობს. ერთია გზა სოციალზმისაკენ. ადამიანთა თანდაყოლილი თანასწორობისა და საზოგადოებრივ გარემოს შეცვლის აუცილებლობის იდეისაგან გამოდიოდენ თავის შეხედულებათა შემდგომ განვითარებისას უტოპიური სოციალისტები. მაგრამ თვით ფრანგი მატერიალისტები ამ გზას არ გაყოლიან, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ბურჟუაზიული რევოლუციონერები აღარ იქნებოდენ. ნაცვლად იმისა, რომ მისულიყვენ საზოგადოებრივ გარემოს განვითარების მატერიალურ მამოძრავებელ ძალთა გაგებამდე, ისინი იმ თვალსაზრისს შერჩენ, რომელიც აღიარებს ბურჟუაზიული საზოგადოების, სამართლისა და სახელმწიფოს „მარადიულ", „ბუნებრივ" იდეალებს. ძველი მატერიალისტები იზიარებენ საზოგადოებრივი ცხოვრების იდეალისტურ გაგებას. საზოგადოებრივ წყობილებას, სოციალურ ურთიერთობას, გარემოს მდგომარეობას, საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონზომიერებებს ისინი ხსნიან ადამიანთა აზრებით, შეხედულებებით, საზოგადოებაში გაბატონებული იდეებით.

ამრიგად საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელ ძალას იდეები წარმოადგენენ. იდეათა შეცვლაში, განათლებაში და უვიცობის მოსპობაში ხედავენ ისინი საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნის გასაღებს. მათ იმედი აქვთ, რომ საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლით გამოიწვევენ ძველი, ფეოდალური საზოგადოებრივი ყოფიერების შეცვლას.

ასეთია ფრანგი მატერიალისტების სახელმძღვანელო იდეები. ისინი უპირისპირდებოდენ არა მარტო პირდაპირ ხუცობას, არამედ მათ თანადროულ ხუცობასაც, რომელსაც წამოსხმული ქონდა ფილოსოფიური სამოსელი, განსაკუთრებით მალბრანშის, ბერკლისა და ჰიუმის სუბიექტურ იდეალიზმს. XVIII საუკუნის ფრანგული მატერიალიზმი, როგორც ჩვენ ვხედავთ, თავისი ეპოქის და მის თანადროულ მეცნიერების მოწინავე მისწრაფებებს გამოხატავდა. ის ისტორიის ფილოსოფიაში უნდა შევიდეს როგორც პროგრესიული საფეხური მეცნიერული აზროვნების განვითარების გზაზე. მაგრამ ამავე საზოგადოებრივმა ურთიერთობამ და ცოდნის დონემ, რომლებმაც განსაზღვრეს ძველი მატერიალიზმის ისტორიული დამსახურებანი, განსაზღვრეს აგრეთვე მისი ისტორიული შეზღუდულობაც. თავისი რევო-

ლუციურობის მეოხებით გოლბახის, ჰელვეციის და მათ თანამოაზ-
რეთა ფილოსოფია იმ იდეათაჯაჭვის რგოლი გახდა, რომლებსაც ს ა-
ბ ო ლ ო ო ა ნ გ ა რ ი შ ზ ი მარქსის მოძღვრებამდე მიეყევართ. ამ რე-
ვოლუციურობის ბურჟუაზიული ხასიათის გამო ეს ფილოსოფია არ
გასცილებია განმანათლებლობის იდეალისტურ პოლიტიკის ფარგლებს.
მან ვერ შესძლო მატერიალიზმის გატარება საზოგადოებრივ მოვლე-
ნათა სფეროში. იგი მოჯადოებულ წრეში მოემწყვდა: იდეები ადა-
მიანთა საზოგადოებრივი ყოფიერებით განისაზღვრება და ამავე დროს
მათ ყოფიერებას იდეები განსაზღვრავენ. მას არ შესწევდა ძალა გა-
დაეკვრა დილემა: საზოგადოებრივი გარემო ქმნის ადამიანებს და ამავე
დროს ადამიანები ქმნიან თავის საზოგადოებრივ გარემოს.

მთელი იმდროინდელი მეცნიერებიდან მხოლოდ მ ა თ ე მ ა ტ ი-
კ ა მ და მ ე ქ ა ნ ი კ ა მ, ამასთანავე უმთავრესად მყარი სხეულების
მექანიკამ მიაღწია საგრძნობ განვითარებას. დანარჩენი მეცნიერებანი
ჩანასახურ, განუვითარებელ მდგომარეობაში იმყოფებოდენ. ამან მ ე-
ქ ა ნ ი კ უ რ ი შ ე ზ ღ უ დ ულ ობ ის დაღი დაასვა ძველ მატერია-
ლიზმს. მათ მექანიკის მასშტაბი მიუყენეს მთელ ბუნებას, ყველა ზე-
მექანიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ და სხვ. დარგებს. მათ გაამარტივეს,
გააუფერულეს სინამდვილე, დაიყვანეს რა იგი უმარტივეს მექანიკურ
კანონზომიერებამდე. მ ა თ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ უ რ ი
ი ყ ო: ნათ არ ესმოდათ მოძრაობის ფორმების მრავალსახეობა, ახა-
ლის წარმოშობის პრინციპები და ცვლილების პროცესების სირ-
თულე. მათ ბუნება წარმოდგენილი ქონდათ „როგორც მუდმივ თა-
ვის თავის თანასწორი მთელი, რომელიც უცვლელად ერთდაიმავე
ეიწრო სფეროებში მოძრაობს“ [1] თანახმად მუდმივი კანონების უც-
ვლელი რაოდენობისა. აზრის გენიალური გამოკრთობანი, რომლებ-
შიაც XVIII საუკუნის მატერიალისტები ამ კონცეპციის მაღლა დგე-
ბოდენ (განსაკუთრებით დიდრო), ვერ ცვლის მათი მატერიალიზმის
საერთო მეტაფიზიკურ ხასიათს.

ძ ვ ე ლ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ს ი ს ტ ო რ ი უ ლ ი შ ე ზ ღ უ დ უ-
ლ ობ ის ს ა მ ი ძ ი რ ი თ ა დ ი მ ხ ა რ ე შ ე მ დ ე გ ი ა: მ ე ქ ა ნ ი-
ც ი ზ მ ი, მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ უ რ ობ ა, უ უ ნ ა რ ობ ა მ ა ტ ე რ ი ა ლ ი-
ზ მ ის გ ა ვ რ ც ე ლ ებ ი ს ა ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი ც ხ ო ვ რ ებ ის
დ ა რ გ ზ ე. ისინი უნდა დაეძლია მატერიალიზმის ახალ ფორმას, რო-
მელიც წარმოიშვა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვა, ახალი რე-
ვოლუციური კლასის—პროლეტარიატის განვითარებასთან დაკავშირე-
ბულ საფეხურზე და მეცნიერული განვითარების ახალ დონეზე.

---

[1] ენ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 8.

მატერიალისტური ფილოსოფია თავის განვითარებაში გასცილდა მექანიკურ ეტაპს. მეტაფიზიკური მატერიალიზმის ძველი ფორმიდან მან განვლო გზა განვითარებისა თანამედროვე, დიალექტიკურ მატერიალიზმამდე, რომელიც შეესაბამება ბუნებისა და საზოგადოების შემეცნების ახლანდელ მდგომარეობას.

მაგრამ ახლაც კი მოიპოვებიან ადამიანები,—ისეთებიც კი, ვისაც მარქსისტებად წარმოუდგენია თავი,—რომლებიც მიისწრაფიან მოახდინონ მატერიალიზმის უკვე დაძლეული, დრომოჭმული ფორმების გალვანიზირება, აღდგენა, დაუპირისპირონ მატერიალიზმის უმაღლეს ფორმას მისი დაბალი ფორმები; უკვე დაძლეულნი მატერიალიზმის შემდგომ განვითარებაში. ასეთი მისწრაფებანი აუცილებლად რეაქციულია. ისინი მეცნიერებას და ფილოსოფიას უკან სწევენ, აფერხებენ მათ განვითარებას, სახელს უტეხენ მატერიალისტურ ფილოსოფიას იმ მოთხოვნების წინაშე, რომლებსაც აყენებს მეცნიერების ახლანდელი მდგომარეობა. თავის დროზე მოწინავე ფორმები მატერიალიზმისა რეაქციული ხდება ჩვენ დროს, შემეცნების სხვა საფეხურზე, ფილოსოფიის ახალ დონეზე, ახალ სოციალურ გარემოში. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს დაბრუნება XVII—XVIII საუკუნეების ძველი მექანიკური მატერიალიზმისაკენ (გობსი, გოლბახი, ჰელვეციი, ლამეტრი და სხვ.), რასაც ჩადიან თანამედროვე მექანიკური მატერიალიზმის წარმომადგენლები (ბუხარინი, ლ. აქსელროდი, ა. ტიმირიაზევი და სხვ.).

თანამედროვე პირობებში მექანიკური მატერიალიზმის დაცვა, XVII—XVIII საუკუნეების მატერიალისტთა უკვე დიდი ხნის წინათ გადალახულ ფილოსოფიურ იდეებისკენ დაბრუნება ნიშნავს უარყო მატერიალისტური ფილოსოფიის მონაპოვარი XIX და XX ს.ს. მანძილზე, ცდას დააქვეითო მატერიალიზმი მის ძველ, განვლილ საფეხურამდე. მექანიკური მატერიალიზმი იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში წარმოადგენს არა მარტო ფილოსოფიურ ატავიზმს. ამჟამად, დიალექტიკური მატერიალიზმის არსებობის დროს, რომელმაც შორს მოიტოვა ძველი მატერიალიზმის ისტორიული შეზღუდულობა, მექანიკური მატერიალიზმი რეაქციულია. „ჩვენი“ მექანიკური მატერიალისტები (ბუხარინი, ტიმირიაზევი, ვარიაში, აქსელროდი) ძველი მატერიალიზმის ტყვეობაში იმყოფებიან. მათ არ ძალძუთ გაიგონ მატერიალური სინამდვილის რთული დიალექტიკა, მისი წინააღმდეგობების, გადასვლების სიმდიდრე, მისი თვისობრივობითი მრავალსახეობა და სხვადასხვა დარგების სპეციფიურობა. მათ უმაღლესი თვისობრიობითად თავისებური კანონზომიერებანი (სოციალური, ბიოლოგიური და ა. შ.) დაჰყავთ მექანიკიდან გადმოღებულ წმინდა რაო-

დენობით კანონებამდე, დაპირდაპირებულად მიმართული ძალების წონასწორობისა და გადაჯვარედინების პრინციპამდე. ისინი ცდილობენ მოძრაობის თვისობრივობითად სხვადასხვა ფორმების მთელი მრავალსახეობა მოათავსონ მექანიკურ სივრცობრივ ადგილგადანაცვლების სქემაში. მათი XVII—XVIII საუკუნეების სულიერი წინამორბედების მსგავსად მათ არ იციან სხვა მასშტაბი, გარდა მექანიკის მასშტაბისა.

განვითარების ახლანდელ საფეხურზე მექანისტურ მატერიალიზმს დეზორგანიზაცია შეაქვს მატერიალიზმის ბრძოლაში იდეალიზმის წინააღმდეგ, აადვილებს იდეალიზმის ბრძოლას ჩვენს წინააღმდეგ, ის წარმოადგენს სოლს, რომელსაც სჩრიან თანამედროვე მეცნიერების ღვიძჩენებსა და მატერიალისტურ ფილოსოფიას შორის. ამიტომ დიალექტიკურმა მატერიალიზმმა დაუნდობლად უნდა იბრძოლოს მექანისტური მატერიალიზმის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა წარმოადგენს მისი განვითარებისა და იდეალიზმზე გამარჯვების აუცილებელ პირობას.

სურთ თუ არა ეს მექანისტებს, ისინი აუცილებლად ხდებიან პროლეტარიატის მიერ წარმოებული იდეური ბრძოლის შემაფერხებლებად, დაბრკოლებად ამ ბრძოლაში. შემდგომ გადმოცემისას ჩვენ დაწვრილებით შევჩერდებით თანამედროვე მექანიკური მატერიალიზმის კლასობრივ საფუძველზე, მის მეთოდოლოგიაზე და იმ პოლიტიკურ როლზე, რომელსაც იგი ასრულებს საბჭოთა პირობებში, ძირითადად წარმოადგენს რა მემარჯვენე ოპორტუნიზმის ფილოსოფიურ საფუძველს.

III. სუბიექტური იდეალიზმი, მაგიზმი, ინტუიტივიზმი

XVII და XVIII საუკუნეების ძველ მატერიალიზმს დიამეტრალურად უპირდაპირდება მისი თანადროული ბერკლის **სუბიექტური იდეალიზმი** და ჰიუმის **აგნოსტიციზმი**. ბერკლის სუბიექტური იდეალიზმი (ფენომენალიზმი) მოასწავებდა იმ რეაქციულ ხუცობის აქტივიზაციას, რასაც მბარი დაუპირა ბურჟუაზიამ, როჰელმაც უკვე გაიმარჯვა და განამტკიცა თავისი ბატონობა. ჰიუმის აგნოსტიციზმი წარმოადგენს ბურჟუაზიის რევოლუციური კლასიდან კონსერვატიულად გადაქცევის და ბურჟუაზიული და განახლებული ფეოდალური იდეოლოგიის დაკავშირების პროდუქტს.

ეს იდეალისტური მოძღვრებანი გამოხატავდენ გამარჯვებული ინგლისური ბურჟუაზიის ინტერესებსა და განწყობილებებს, რომელმაც ვაუსწრო თავის ფრანგ დას და საუკუნით ადრე ჩაუდგა სათავეში ხელისუფლებას კომპრომისით დამთავრებული ინგლისური რევო-

ლუციის გზით, „რომელმაც გააბურჟუაზიულა ფეოდალიზმი და ფეოდალური სახე მისცა ბურჟუაზიულ საზოგადოებას“ [1].

ეს თავისებურება განსაკუთრებული სიცხადით მეღავნდება ეპისკოპოს ბერკლის ფილოსოფიურ მოძღვრებაში, რაც წარმოადგენს პროტესტანტობის შეგუებას რეაქციულ კლასად გადაქცეული ბურჟუაზიის დონისა და ახალ მოთხოვნებისადმი.

ბერკლის შეხედულებათა შესანიშნავი ანალიზი მოგვცა ლენინმა თავის ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. ბერკლი იქედან გამოდის, რომ ადამიანს არ გააჩნია სამყაროს ცოდნის არავითარი სხვა წყარო გარდა შეგრძნებებისა, რომ ცნებები, განყენებული იდეები, რამდენადაც ისინი შესაძლებელია, პირველადი არ არიან და შეგრძნებათა პროდუქტს წარმოადგენენ. მაგრამ ბერკლი უარყოფს, რომ ამ შეგრძნებებში აისახება რეალური, ამ შეგრძნებებისაგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური სამყარო. აქედან ბერკლი მიდის მისთვის აუცილებელ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ ადამიანისათვის ერთადერთი ცნობილი, შემეცნების ერთადერთი შესაძლებელი საგანი, ობიექტი არის ჩვენი შეგრძნებები. შეგრძნებანი პირველადი ელემენტებია, რომელთა კომბინაციიდანაც შესდგება ყოველივე არსებული. ადამიანს არ შეუძლია თავის შემეცნებით მოქმედებაში გასცილდეს შეგრძნებათა ფარგლებს, შეიცნოს სხვა რამ მათ გარეშე, მათ გარდა, ან ისეთი რამ, რაც შეგრძნებებისაგან განსხვავდება. შემეცნების პროცესში ჩვენ, ბერკლის აზრით, საქმე გვაქვს არა საგნებთან ჩვენს გარეშე, არა ობიექტურ სამყაროსთან, რომელიც აისახება ჩვენს შეგრძნებებში, არამედ საკუთარ შეგრძნებებთან: სიწითლის, სიმაგრის, სიმაღლის, სიმრგვალის და სხვ. შეგრძნებებთან. აქედან გამომდინარეობს იდეალისტური შეხედულება ცდაზე როგორც შეგრძნებათა ერთობლივობაზე. ჩვენი საკუთარი შეგრძნებების, ე. ი. ცნობიერების სუბიექტურ მდგომარეობათა გარდა ჩვენ არაფრის შემეცნება არ შეგვიძლია. ჩვენს ცდაში მოცემულია არა საგნები, არამედ მხოლოდ შეგრძნებანი, ე. ი. რაღაც ფსიქიური.

სუბიექტივისტების აზრით ჩვენ არა გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ არსებობს გარეშე სამყარო ჩვენი შეგრძნებებისაგან დამოუკიდებლად. ჩვენ უფლება არა გვაქვს ვილაპარაკოთ რაიმე უეჭველად რეალურზე, რაც ჩვენი შეგრძნებების გარეშე იმყოფება. იმის რწმენა, რომ ჩვენი ცნობიერების გარეშე არსებობს ობიექტური გარეგანი სამყარო, სუბიექტური იდეალისტების აზრით, სრულიად არ არის

---

[1]. ლენინი, Сб. „На философские и литературные темы“, Д. Лекц. 1923 წ. გვ. 3.

ცდაზე დამყარებული, ის ცრურწმენაა და ვერ უძლებს მეცნიერულ კრიტიკას. სულ დიდი რაც ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ, — ეს ის არის, რომ ჩვენ პსიქიკას ახასიათებს წარმოდგენა გარეგან სამყაროს არსებობის შესახებ. მაგრამ არ არსებობს არავითარი საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ამ წარმოდგენას ნამდვილად შეესაბამება რაიმე სუბიექტის გარეშე.

ის, რასაც ჩვენ საგანს ვუწოდებთ, ამ თვალსაზრისით არის მხოლოდ ჩვენი შეგრძნებების შეერთება, ერთობლივობა. იმ შეგრძნებების (მაგარის, მრგვალის, ლურჯის და სხვ.) ჯგუფს, რომლებიც ერთადაა მოცემული და ცოტად თუ ბევრად განუწყვეტლივ მეორდება, ჩვენ საგანს ვუწოდებთ. იმის დაშვება, რომ საგანი არის რაღაც მეტი, რომ ჩვენ შეგრძნებებს იქით იმალება მათი წარმომშობი სხეული, სუბსტანცია, ობიექტური სამყარო — ამის დაშვება, ბერკლის აზრით, უსაფუძვლოა.

„საგანთა ყოფიერება — აყალიბებს თავის შესედულებებს ბერკლი, — არის მათი აღქმადობა. შეუძლებელია, რომ მათ ქონდეთ რაიმე არსებობა სულის ანდა მათი აღმქმელი მოაზროვნე საგნების გარეშე. მართალია, არსებობს ადამიანთა შორის გასაოცრად გავრცელებული აზრი, თითქოს სახლებს, მთებს, მდინარეებს, ერთი სიტყვით, ყველა საგნებს, რომლებიც შეიგრძნობიან, აქვთ ბუნებრივი ანუ რეალური არსებობა, განსხვავებული მათი აღქმადობისაგან. გონების მიერ. მაგრამ როგორი დარწმუნებითა და საერთო თანხმობითაც არ უნდა ამტკიცებდენ ამ საწყისს, ყველა, ვისაც კი აქვს გამბედაობა გამოიკვლიოს იგი, დაინახავს, თუ კი მე არ ვცდები, რომ იგი აშკარა წინააღმდეგობას შეიცავს, ვინაიდან რას წარმოადგენენ ზემოთაღნიშნული საგნები, თუ არა ისეთ საგნებს, რომელთაც ჩვენ აღვიქვამთ შეგრძნებებში და რას აღვიქვამთ ჩვენ, თუ არა ჩვენს საკუთარ იდეებსა და შეგრძნებებს. და განა სრული წინააღმდეგობა არ იქნება იმის დაშვება, რომ რაიმე მათი შეხამება არსებობს მათი აღქმის გარეშე“ [1].

ამრიგად ბერკლი მიდის მატერიის უარყოფამდე, რასაც თვითონ ის დიდად მნიშვნელოვნად თვლის მატერიალიზმთან ბრძოლისათვის და იდეალიზმის — რელიგიის ამ საიმედო დასაყრდენის — დასაბუთებისათვის. ის მატერიას თქვეფს სულში, ობიექტი დაჰყავს სუბიექტამდე. ყოფნა, არსებობა ნიშნავს აღქმას“ (esse is percipi) — და მეტს არაფერს. თუ საგანი არ შეიგრძნობა, ის არც არსებობს. საგანთა არსებობა ჩვენთვის, ჩვენი ცნობიერებისათვის — ერთადერთი რეალობაა; საგანთა აღქმის შესაძლებლობა არის ერთად-

[1] ბერკლი, Трактат о началах человеческого знания, გვ. 62-63.

ერთი საბუთი მათი ყოფიერებისა, როგორც ყოფიერებისა ჩვენი ცნობიერებისათვის.

„მე არ უარვყოფ, — წერდა ბერკლი, — რაიმე საგნის არსებობას, რომელთა აღქმაც ჩვენ შეგვიძლია შეგრძნების თუ რეფლექსის შემწეობით. მე სრულიადაც არ ვეჭვობ, რომ საგნები, რომელთაც ჩემი თვალით ვხედავ ან ჩემი ხელით ვეხები, ნამდვილად არსებობენ. ერთადერთი საგანი, რომლის არსებობასაც ჩვენ უარვყოფთ, არის ის, რასაც ფილოსოფოსები მატერიას ანუ სხეულებრივ სუბსტანციას უწოდებენ“ [1].

ასეთია ყოფიერებისა და აზროვნების ურთიერთობის საკითხის სუბიექტურ-იდეალისტური გადაჭრა. გამოდის რა იმავე სენსუალისტური მოძღვრებიდან შეგრძნებების — როგორც შემეცნების ერთადერთი წყაროს — შესახებ, სუბიექტური იდეალიზმი მას აძლევს იდეალისტურ ხასიათს, მიჰყავს იგი სუბიექტის მიერ ობიექტის ჩანთქმამდე. სუბიექტი ერთადერთ რეალობად ხდება. ქვეყნიერება მოაზროვნე სუბიექტში ითქვიფება. ობიექტი, ბუნება, მატერია სხვა არა არის რა, თუ არა ფსიქიური მოქმედების პროდუქტი, სუბიექტის წარმონაშობი. აღქმის ობიექტი გაიგივებულია ობიექტის აღქმასთან. შეგრძნებათა წყაროთ ბერკლი თვლის თვით უფალ ღმერთს, რომლისაგანაც ჩვენი სული იღებს თავის შინაარსს.

ბერკლი არ მალავს, რომ მთელი მისი ფილოსოფიური შენობა აგებულია განსაზღვრული მიზნით — მახვილი ჩაცეს მზარდ უღმერთობას და მატერიალიზმს, რომელმაც თავი წამოყო. თავის დღიურში ის პირდაპირ ამბობს იმის შესახებ, რომ სარწმუნოების განმტკიცების მისწრაფებამ აიძულა იგი გამოეგონებია თავის სისტემა.

ჰიუმი გამოდის ცდის იმავე აღიარებიდან შემეცნების ერთადერთ წყაროთ, ისე როგორც ბერკლი. ის ბერკლისთან ერთად იზიარებს იმის უარყოფას, რომ ჩვენ შეგვიძლია გარეგან მატერიალურ სამყაროს შემეცნება, იზიარებს საგანთა განცდებამდე დაყვანას.

ჰიუმი უარყოფს რაიმეს შემეცნებას სუბიექტურ განცდების გარდა, ის გზას უჭრის მეცნიერებას სუბიექტის მიღმა და საზღვრავს მის თვითდაკვირვებას. მისი ფილოსოფია აგნოსტიკურია, ე. ი. უარყოფს ობიექტურ შემეცნების შესაძლებლობას, გარეგან, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებულ სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას.

ჰიუმი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს მიზეზობრივობის მატერიალისტური გაგების კრიტიკას. ჰიუმის აზრით ცდაში მიზეზობრივობა არ არის მოცემული. ჩვენ არ ვახდენთ მის

[1] ბერკლი, Трактат о началах человеческого знания, გვ. 84-85.

აღქმას მთელ რიგ თვისობრივობებში, რომლებიც ჩვენ მოცემული გვაქვს აღქმაში, — ფერი, ფორმა, ბგერა. ცდაში ჩვენ ვამჟღავნებთ მხოლოდ იმას, რომ ორი ან რამდენიმე შეგრძნება ერთიმეორეს მისდევს, ერთიმეორეს ახლავს, და არა მომქმედ მიზეზს, არა მოვლენის გამომწვევ ძალას. ვინაიდან ადამიანი ჩ ვ ე უ ლ ებ რ ი ვ ხედავს ორ რაიმე მოვლენას, რომლებიც ურთიერთ დაკავშირებული არიან ცდაში, აქედან მას აქვს მიდრეკილება დაასკვნას მათი აუცილებელი და მუდმივი დამოკიდებულება. მაგრამ ასეთი დასკვნა, ჰიუმის აზრით, უმართებულოა. ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ამ თანმიმდევრობის ჩვეულებრივობაზე, შეგვიძლია სარწმუნოთ ჩავთვალოთ მისი განმეორება, მაგრამ არ გვაქვს უფლება ვამტკიცოთ კავშირის აუცილებლობა ორ მოვლენას შორის. ცდაში არ არის და არც შეიძლება იყოს გარანტია, რომ მოვლენათა თანმიმდევრობა, რასაც ადგილი ქონია ათასჯერ, განმეორდება ათას პირველჯერ. ამრიგად ჰიუმი უკუაგდებს მიზეზობრივობას და კანონზომიერებას. სამყარო იქცევა ფენომენთა ქაოსად, რომლიდანაც შემეცნებას გამოსავალი არა აქვს.

სუბიექტურმა იდეალიზმმა, როდესაც იგი თანმიმდევრობით მიჰყავთ თავის საზღვრამდე, აუცილებლად ს ო ლ ი პ ს ი ზ მ ა მ დ ე უნდა მიგვიყვანოს. სოლიპსიზმი ეს არის შეხედულება, რომელიც ამტკიცებს, რომ არსებობს მხოლოდ „მე“, ხოლო ყველაფერი დანარჩენი და მათ რიცხვში ადამიანებიც, — ჩემი შეგრძნებების პროდუქტია. მე და ჩემი უმიზეზო და უნიადაგო შეგრძნებები — არის ერთადერთი რეალობა. ს ო ლ ი პ ს ი ზ მ ი — უ კ ი დ უ რ ე ს ი ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ ი ზ მ ი ა. სოლიპსიზმის თვალსაზრისით სამყარო ჩემთან ერთად უნდა მოისპოს და იგი მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც მე ვარსებობ და შევიგრძნობ. მე კი არა ვარ სამყაროში, არამედ სამყარო არის ჩემში. სამყარო — ეს მე ვარ. სოლიპსისტი წაგავს გიჟს, გრძნობად ისტრუმენტს, რომელმაც „წარმოიდგინა, რომ იგი ერთადერთი ინსტრუმენტია სამყაროში და რომ სამყაროს ჰარმონია მასში ხდება“ [1]. თუ კი თანმიმდევრულად გავატარებთ შემეცნების „იმანენტობის“ პრინციპს, ე. ი. პრინციპს სამყაროს გაგებისას, როგორც ჩვენი ცნობიერების შინაგანი შინაარსისა, მაშინ ჩვენ აუცილებლად იმის მტკიცებამდე უნდა მივიდეთ, რომ სუბიექტს შეუძლია ყოველ საათს, ყოველ წუთს დაამსხვრიოს სამყარო და კვლავ შექმნას იგი არარაობიდან. მოკვდები მე და ჩემთან ერთად დაიმსხვრევა მთელი სამყარო, რადგან იგი აღარ იარსებებს, როგორც ჩემი შეგრძნებების ერთობლივობა, ხოლო სხვა არსებობა მას არა აქვს. მართალია, ასეთ აშკარა თანმიმდევრობას ვერ ბედავენ თვით სუბიექ-

[1] დიდრო, Избранные произведения, ტ. I, გვ. 150, 1926 წ.

ტური იდეალისტებიც კი. სუბიექტური იდეალისტები ცდილობენ თავი დააღწიონ ამ სიძნელეს, მიუთითებენ რა იმაზე, რომ სამყარო სუბიექტის სიკვდილის შემდეგ განაგრძობს არსებობას სხვა ადამიანთა აღქმებში, მაგრამ ამასთანავე ისინი აუცილებლობით გადაუჭრელ წინააღმდეგობებში ვარდებიან. მართლაც და სხვა ადამიანები, ისე როგორც ყველა სხვა საგნები, ხომ სხვას არას წარმოადგენენ, თუ არა ჩემ შეგრძნებათა კომპლექსს, რომელთაც არა აქვთ სხვა რეალობა, გარდა სუბიექტურისა. მაშასადამე, თუ მე ვწყვეტ შეგრძნებას, ჩემთან ერთად უნდა მოისპოს კაცობრიობაც როგორც ჩემი შეგრძნებების კომპლექსი. სხვა ადამიანებზე მითითება ნიშნავს დაუშვა სხვა საგნების არსებობა ჩემი შემეცნების გარეშე, ნიშნავს ყოფიერების აღიარებას.

მაგრამ რა არის „მე"? ცხადია არა სხეულებრივი არსება, რადგან მატერიალური არსებობა უარყოფილია. თანმიმდევრული სუბიექტური იდეალისტი რომ იყო, უნდა აღიარო, რომ თვით ჩემი სხეულიც, ფეხებიც, ხელებიც, თავიც და ტვინიც — სხვა არა არის რა, თუ არა ჩემი შეგრძნებების კომპლექსი, და არსებობს მხოლოდ როგორც ცნობიერების მოვლენა, როგორც შინაპსიქიური რეალობა. ამრიგად, თუ სუბიექტურ იდეალისტურ მიმდინარეობას გაჰყვები, არა მარტო ჩაიხრჩობი სოლიპსიზმის ჭაობში, არამედ, ბარონ მიუნჰაუზენის მსგავსად, იძულებული გახდები იქიდან თმით ამოათრიო საკუთარი თავი. არა მარტო სამყარო იოქვიფება „მე"-ში, არამედ თვით „მე"-ც მეტისმეტად ეფემერული ხდება, ითქვიფება საკუთარ აღქმებში, იქცევა თავისთავის შემგრძნობ შეგრძნებად.

აქ ჩვენს მიერ განხილული სუბიექტური იდეალიზმი, XVIII საუკუნის რეაქციული პროდუქტი, აღორძინდა და უდიდესად გავრცელდა ჩვენი საუკუნის დასაწყისში. თანამედროვე მატერიალისტებს უხდებათ სასტიკი ბრძოლა სუბიექტურ იდეალიზმთან.

იმ სოციალურ ნიადაგს, რომელზედაც აღორძინდა ბერკლიანურ-ჰიუმისტური იდეალიზმი, წარმოადგენს კაპიტალიზმის იმპერიალისტური ფაზა; მისი მკვეთავი ფესვები — ბუნებისმეტყველების თანაშედროვე კრიზისშია. იმპერიალიზმი იწვევს არა მარტო კაპიტალიზმის ეკონომიური სისტემის კრიზისს, არამედ მთელი კაპიტალისტური კულტურის საყოველთაო კრიზისსაც. „ჩვენ ვცხოვრობთ არაჩვეულებრივ ქვეყანაში, — გაიძახოდა ცნობილი ბურჟუაზიული ფიზიკოსი მ. პლანკი 1930 წ. — საითაც არ უნდა გავიხედოთ, სულიერი და მატერიალური კულტურის ყველა დარგში ჩვენ მძიმე კრიზისების პერიოდში ვიმყოფებით, რომლებიც მთელს ჩვენ კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებას შეშფოთებისა და მერყეობის მრავალრი-

ცხოვან დაღს ასვამენ... როგორც ეს უკვე დიდი ხანია არსებობს რელიგიასა და ხელოვნებაში, ისე ახლა აგრეთვე მეცნიერებაშიაც საეჭვოა მოინახოს ძირითადი დებულება, რომელშიაც ვისმე ეჭვი არ შედიოდეს, საეჭვოა მოინახოს უახრობა, რომელიც ვისმე არ წამდეს"... [1]

ბურჟუაზიული ბუნებისმეტყველების კრიზისი, რაც ბურჟუაზიული კულტურის საერთო აგონიის შენადგენელი ელემენტია, გამოისახა უკვე ამ საუკუნის პირველ წლებში. შემეცნების შემდგომი განვითარება ბუნებისმეტყველების მიერ კაპიტალიზმის დროს დაგროვილი მასალის საფუძველზე შეიძლება მხოლოდ გაბატონებული ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ. თანამედროვე ბუნებისმეტყველება მტკივნეულად შობს დიალექტიკურ მატერიალიზმს. იგი მასთან მიდის სტიქიური გზით, განუწყვეტელ კონფლიქტების გზით თვით ბურჟუაზიულ მეცნიერთა გამოსავალ ფილოსოფიურ პრინციპებთან, მაგრამ მაინც მიდის მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიური მოძღვრების ძირითადი დებულებების დადასტურებამდე. ბურჟუაზიულ ბუნებისმეტყველთა გამოსავალი ფილოსოფიური პრინციპები, მტრულად განწყობილნი მარქსიზმისადმი, ხელს უშლიან მათ მიერ საკუთარ გამოკვლევათა შედეგების სრულ და სწორ შეგნებულ გაგებას. ეს წინააღმდეგობა წარმოშობს ბურჟუაზიული ბუნებისმეტყველების კრიზისს, რომლის სოციალური ფესვები იმპერიალისტური ეპოქის საერთო წინააღმდეგობებში უნდა ვეძიოთ.

უკვე XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს გამომეღავნებული ბურჟუაზიული აზრის ცდებისაგან გამოეყენებია ბუნებისმეტყველების კრიზისი რეაქციული მიზნებისთვის, იდეალისტურად განემარტა ახალი საბუნებისმეტყველო მეცნიერული თეორიები და აღმოჩენები—ყველაზე მნიშვნელოვანია მახის, ავენარიუსის და სხვების მიერ მოხდენილი ბერკლის სუბიექტური იდეალიზმის რესტავრაცია ემპირიოკრიტიციზმის დროშით. თუ ბუნებისმეტყველება უახლოვდება „მატერიის ისეთ ერთგვაროვან და მარტივ ელემენტებს, რომელთა მოძრაობის კანონები შესაძლებელს ხდიან მათემატიკურ დამუშავებას,—ამტკიცებენ თანამედროვე სუბიექტური იდეალისტები,—მაშინ მატერია გაქრა, დარჩა მხოლოდ წმინდა მათემატიკური ურთიერთობანი". ძველმა, უცვლელმა ატომმა ადგილი დაუთმო მოძრავ და ცვალებად ელექტრონების სისტემას; ამიტომ, ამბობენ მახისტები, „მატერია გაქრა". პრიმიტიულ ფიზიკურ კანონებს ცვლის ახალი უფრო სრულყოფილი ფიზიკური პრინციპები—მახისტები ამტკიცებენ: „არ არსებობს ობიექტური შემეცნება". გაყინული მეტა-

[1] M. Planc, Positivismus und reale Aussenwelt, s. 1.

ფიზიკური წარმოდგენები სივრცისა და დროის შესახებ ადგილს უთმობს დროისა და სივრცის-როგორც მატერიის მოძრაობის არსებობის ფორმების—ერთიანობის დიალექტიკურ გაგებას—იდეალისტები გაკიეიან: „სივრცე და დრო გაქრა“. ამავე დროს, თანამედროვე ფიზიკის უახლესი მიღწევანი მთლიანად ადასტურებენ დროისა და სივრცის შესახებ მარქსიზმის მოძღვრების სისწორეს, ე. ი. იმას, რომ ისინი მატერიის არსებობის ფორმებია, რომ მატერიალური მოძრაობა დროისა და სივრცის ერთიანობაა, რომ ჩვენი ცნებები დროისა და სივრცის შესახებ იცვლება, ზუსტდება და ვითარდება მეცნიერების საერთო განვითარებასთან კავშირში. ამიტომ თანამედროვე მახისტები მატერიის სუბსტანციის უარყოფას უერთებენ მიზეზობრივობის უარყოფას. უახლესი კვანტების მექანიკა აღრმავებს მიზეზობრივობის ცნებას, მას კორექტივები შეაქვს მიზეზობრივობის ძველ მექანისტურ გაგებაში—ემპირიოკრიტიკოსები ამტკიცებენ: „მიზეზობრივობა გაქრა“. ბუნებისმეტყველების ძველ მექანიკურ-მატერიალისტური საწყისების კრახს, მატერიალიზმის უმაღლესი ფორმების გამარჯვებას თანამედროვე სუბიექტური იდეალისტები (მახისტები) მატერიალიზმის დასასრულად სახავენ.

ამ მერყეე ნიადაგზე მახისტები აცოცხლებენ XVIII საუკუნის რეაქციულ ფილოსოფიურ იდეებს, მხოლოდ ოდნავ დაფარულს ახალი სიტყვებით, სუბიექტური იდეალიზმის საფუძველზე სწყვეტენ ისინი ყოფიერებისა და აზროვნების პრობლემას.

ემპირიოკრიტიციზმი გამოდის როგორც „წმინდა ცდის“ ფილოსოფია. ის უარყოფს ყოველივე იმის რეალობას, რაც უშუალოდ სუბიექტის ცდაში არ არის მოცემული. მისთვის ერთადერთი რეალობაა—სუბიექტური შეგრძნებანი, ეშმარიტი სინამდვილეა ის, რაც უშუალოდ „მოცემულია“ აღქმაში. ყველაფერი დანარჩენი განსჯის უნიადაგო, არაკრიტიკული „შემონატანია“. წითელის, მრგვალის, მწარეს შეგრძნებანი და სხვ.—აი სინამდვილის ნამდვილი „ელემენტები“. მატერია, სხეული, საგნები სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი შეგრძნებების „კომპლექსები“, „კრებული“, რომელთაც არავითარი არსებობა არა აქვთ ჩვენი შეგრძნებების, ჩვენი ცნობიერების გარეშე. სწორედ ასევე სივრცე და დრო სხვა არა არის რა, თუ არა ჩვენი განსაკუთრებული სახის შეგრძნებანი, განცდანი. ამრიგად ყოველივე ფიზიკური ითქვიფება პსიქიურ ელემენტებში, შეგრძნებებში.

მახისტების მიერ ობიექტური რეალობის უარყოფა განსაზღვრავს მათ მიერ შემეცნების მიზნებისა და ამოცანების გაგებას. რაზდენა-

დაც მათთვის არ არსებობს ობიექტური სამყარო, ამდენადვე მათთვის არ არსებობს ობიექტური სინამდვილის სრულ ასახვამდე მიახლოების ამოცანა, რომელსაც აყენებს და სწყვეტს მატერიალიზმი. მათთვის შემეცნების მიზანს წარმოადგენს მხოლოდ აღქმათა სისტემატიური მოწესრიგება, ჩვენი შეგრძნებების მრავალსახეობის სისტემატიზაცია. მეცნიერების პროგრესი მდგომარეობს შეგრძნებათა ერთობლივობის ყველაზე მარტივ აღწერაში. ემპირიოკრიტიკოსების სუბიექტურ-იდეალისტური პოზიცია გამორიცხავს ობიექტური შემეცნების შესაძლებლობას, მათთვის არ არსებობს ობიექტური ჭეშმარიტება. თუ მთელი სინამდვილე მხოლოდ ცნობიერების შინაარსია, მაშინ ჭეშმარიტებანი სხვადასხვაგვარი უნდა იყვენ სხვადასხვა ცნობიერებისათვის. „ადამიანი საგანთა საზომია“,—როგორც ამბობდა ჯერ კიდევ ძველი ბერძენთა სოფისტი-პროტაგორი. შემეცნება, ჭეშმარიტება—სუბიექტური და რელატიურია (შეფარდებითია). აქ მახისტები ფართოდ უხსნიან კარებს სიბნელესა და ცრუმორწმუნეობას.

მეცნიერული შემეცნების ძირითად პრინციპად მახისტები თვლიან „აზროვნების ეკონომიის პრინციპს“ ანდა „ძალების ყველაზე ნაკლებ ხარჯვის პრინციპს“. ამ პრინციპის თანახმად, ორი სისტემიდან, რომლებიც აღწერენ ჩვენ ცდას, ორ სხვადასხვაგვარ თეორიულ სისტემიდან უნდა ავირჩიოთ ყველაზე „ეკონომიური“, რომელიც ყველაზე მარტივად აღწერს ცდას.

მეცნიერებიდან „ეკონომიის“ მიზნით უნდა გავაძევოთ ყოველივე ის, რაც ართულებს, ზედმეტად ტვირთავს შეგრძნებათა აღწერას, ამიტომ უნდა გავაძევოთ მატერია, საგნები, რომლებიც არ არიან ცნობიერებისაგან დამოკიდებული, მოვლენათა მიზეზობრივი კავშირი.

უახლესი მახისტები „აღრმავებენ“ ამ რეაქციულ, ანტიმეცნიერულ ფილოსოფიას „მოძღვრებით ნიშნების შესახებ“ და „ურთიერთობათა ლოგიკით“. ამ „მოძღვრებათა“ თანახმად შეგრძნებათა ან განცდათა მომწესრიგებელ, ერთმნიშვნელოვან აღწერას მეცნიერება „ნიშნების“ შემწეობით ახდენს. ცოდნის სისტემა ნიშნებისაგან შესდგება (შლიკი). მეცნიერებას საქმე აქვს არა ობიექტური საგნების და მათი ურთიერთობის ასახვასთან, არამედ თვითნებურად გამოგონილ ფიზიკურ-მათემატიკურ ნიშნებთან, სიმბოლოებთან, რომლებიც აღნიშნავენ ურთიერთობას სუბიექტის განცდებს შორის. ნიშნების კომბინაციებიდან მათემატიკური განტოლების შემწეობით გამოყავთ ახალი კომბინაციები, რომლებიც აღინიშნებიან ახალი ნიშნებით და ა. შ. მახისტების აზრით, მეცნიერების განვითარება მდგომარეობს ნიშნების ამ ახალი სისტემის აგების სრულქმნაში.

მახისტებს აბსტრაქტულ, მათემატიკურ რეაქციულ სათაგაშოებით სურთ შესცვალონ ცრავალრიცული სინამდვილის ცოცხალი, ობიექტური შემეცნების განვითარება. აქ განსაკუთრებით თვალსაჩინოთ აშკარავდება. თუ როგორ ეთავსება მათი სუბიექტური იდეალიზმი მექანიციზმს.

თავისი ფილოსოფიის დასრულების მიზნით თანამედროვე სუბიექტურმა იდეალისტებმა „გამოიგონეს“ ლოგიკაც, რომელიც შეესაბამება „მოძღვრებას ნიშნების შესახებ“. ეს არის „მათემატიკური ლოგიკა“ ანუ „ურთიერთობათა ლოგიკა“ (რელაცია). ურთიერთობათა ლოგიკა წარმოადგენს ნიშნების ახალ სისტემას, შეესაბამება ცდისეულ მეცნიერებათა ნიშნებს შორის ყველა შესაძლებელ ურთიერთობათა აღსანიშნავად. ლოგიკურ ნიშნებსა და სიმბოლოებს ინვითნებურად აჯგუფებენ ახალ განტოლებებში ყოველგვარ ყაიდაზე. ფილოსოფია ჯერ არასოდეს არ მისულა უფრო ცალიერ, გამოფიტულ, უშინაარსო და უნაყოფო კონსტრუქციებამდე, ვიდრე „ურთიერთობათა ლოგიკა“. თუ ამ „ლოგიკაში“ რაიმე აზრია, მხოლოდ ერთი—კიდევ ერთი ხელახლა შექმნა ობიექტური რეალობის უარსაყოფად. ამ ლოგიკური სისულელის ძირითად პრინციპს წარმოადგენს ისევ მატერიის განდევნა, ობიექტური რეალობის უარყოფა. ძველი ლოგიკა ცუდია, ვითომდა იმიტომ, რომ იგი უწევდა საგნებს და მათ თვისებებს. ახალი ლოგიკა აძევებს საგნებს და მათ თვისებებს და მას საქმე აქვს „წმინდა“ შეფარდებებთან (ე. ი. არა შეფარდებებთან საგანთა შორის, არამედ წმინდა, უშინაარსო შეფარდებებთან, თანაშეუფარდებელ საგნების გარეშე).

ასე ძალთა დაუშურებლად „სწმენდენ“ თანამედროვე იდეალისტები მეცნიერებას... შინაარსისა, აზრისა და ჭეშმარიტებისაგან.

პირველი, ვინც მთელი მისი მნიშვნელობით გაიგო ბუნებისმეტყველების თანამედროვე კრიზისის არსება, გამოააშკარავა მისი ფესვები, გამოამჟღავნა ნამდვილი ტენდენციები, ამხილა ემპირიოკრიტიციზმის რეაქციული მანევრები და გვიჩვენა, თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ მახიზმს, როგორ შეიძლება კრიზისის დაძლევა და როგორ უნდა დამყარდეს დიალექტიკური მატერიალიზმის კავშირი უახლესი ბუნებისმეტყველების მიღწევებთან, — იყო ლენინი. სიტყვიერმა ხრიკებმა ვერ დაფარა მისგან მახიზმის ანტიმეცნიერული, ხუცური არსება. ის პლეხანოვზე არა მარტო უფრო ღრმად, უფრო თანმიმდევრულად ებრძოდა მახიზმს, მთლიანად ავსებდა რა ამ ბრძოლას პარტიულობით, მან ეს ბრძოლა მრავალჯერ უფრო ნაყოფიერი გახადა თავისი შედეგებით, დაამყარა რა კავშირი მახისტურ იდეებსა და საბუნებისმეტყველო-მეცნიერულ თეორიების კრი-

ზისს შორის და ანხილა რა რეაქციული პუნება ემპირიოკრიტიკული თამაშისა ამ კრიზისით.

გზადაგზა ლენინი ასწორებს პლეხანოვის მიერ მახისტებთან პოლემიკის დროს დაშვებულ შეცდომებს, მათ შორის შეცდომას პლეხანოვის მიერ იმ ცენტრალური ცნების გაგებაში, რომლის გარშემო სწარმოებს ბრძოლა—ცდის ცნების გაგებაში. პლეხანოვი წამოეგო მახისტურ ანკესზე, "რომ ცდა მათ თითქოს ესმით არა როგორც „შემეცნების საშუალება", არამედ როგორც „შემეცნების საგანი". პლეხანოვი ფიქრობდა — მახისტები რომ ემხრობოდენ ცდის — როგორც მხოლოდ „შემეცნების საგნის"— გაგებას, ამით წაიშლებოდა ზღვარი მახიზმსა და მატერიალიზმს შორის. მაგრამ საქმის არსება სრულიადაც იმაში არ არის, თუ როგორ გესმის ცდა — როგორც შემეცნების საგანი, თუ როგორც მისი შემეცნების საშუალება. საქმის არსება ფილოსოფიის ძირითად საკითხშია: სუბიექტურია ცდა, თუ ობიექტური, წარმოადგენს თუ არა ცდა შემეცნების იმანენტურ წარმონაშობს, თუ იგი იქმნება სუბიექტზე მისგან დამოუკიდებელ გარეშე სამყაროს ზემოქმედების და გარეშე სამყაროზე საზოგადოების პრაქტიკული, გარდამქმნელი ზემოქმედების პროცესში.

ამ საკითხში პლეხანოვი სცილდება მატერიალისტურ პოზიციას. კმაყოფილდებოდა რა ცდის განსაზღვრით როგორც „შემეცნების საგნისა", ის უნდა მისულიყო აგნოსტიკურ დებულებამდე, — რომ შემეცნების საგანს წარმოადგენს ცდა, და არა ობიექტური რეალობა.

ლენინის ბრძოლას მახიზმთან განსაკუთრებით დიდი მიშვნელობა ქონდა, რამდენადაც ამ ბურჟუაზიულმა, სუბიექტურ-იდეალისტურმა თეორიებმა იწყეს შეეტრა ომის წინადროინდელ სოციალ-დემოკრატიის რიგებშიაც. მახიზმის გავლენა უწინარეს ყოვლისა ეტრნეა სოციალ-ფაშიზმის შეხედულებებს. არა მარტო ისეთი გულახდილი მახისტები, როგორიცაა ფრ. ადლერი, არამედ კაუტსკიც, რომელიც თავიდანვე შემრიგებლურად ეპყრობოდა მახიზმს, ახლა, პარალელურად თავის გადაქცევისა სოციალ-ინტერვენტად, სულ უფრო უკავშირდება მახიზმს თავის ფილოსოფიურ შეხედულებებში. იმ წლებში, როდესაც ლენინი ქმნიდა თავის „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმს", რეაქციის ბნელ წლებში 1905 წლის რევოლუციური ტალღა-ქუხილის შემდეგ ცალკეული ბოლშევიკები მახიზმის პოზიციაზე დადგენ და შენშევიკებს შეუერთდენ. ა. ბოგდანოვმა (რომლის ჩამოშორება დიალექტიკური ბატერიალიზმისაგან დასრულდა უფრო გვიან, ვიდრე ის ბოლშევიზეს დაშორდებოდა), ამხ. ლუნაჩარსკიმ და სხვ. მოდური რეაქციული მოძღვრება რუსულ ნიადაგზე გადმოიტანეს. ლენინის შრომამ გამანადგუ-

რეული მახვილი ჩასცა ყველა ამ თეორიას, ანგარიში გაუსწორა „ფილოსოფიურ ღთაურებს“, რომლებიც იდეალისტურ რეაქციის კუდში მიჩანჩალებდენ.

ბოგდანოვის „ემპირიომონიზმი“ სხვა არა არის რა, თუ არა სუბიექტური იდეალიზმის სახეხვეობა და ემყარება ყოფიერებისა და აზროვნების ურთიერთობის იმავე მახისტურ გაგებას. ბოგდანოვის ტერმინოლოგიური ხრიკები მიისწრაფის დაფაროს მისი მოძღვრების იდეალისტური არსება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ სპობს მის იდეალიზმს. ბოგდანოვის „ემპირიომონიზმი“ სხვა არა არის რა, თუ არა მახიზმის სახესხვეობა.

ბოგდანოვი დანარჩენ მახისტების მსგავსად არ სცილდება ცდის ფარგლებს. მისთვის გამოსავალს, პირველადს ელემენტების ქაოსი წარმოადგენს. ეს ელემენტებია ჩვენთვის უკვე ცნობილი შეგრძნებანი, მოწყვეტილი შემგრძნობ ადამიანისაგან და შეგრძნებათა გამომწვევ საგნებისაგან, — წმინდა შეგრძნებანი, შეგრძნებანი საერთოდ, მკვდარი იდეალესტური აბსტრაქცია. ამ ელემენტების უშუალო კომპლექსები, მათი შეერთება ქმნის ბოგდანოვის აზრით პსიქიურ ცდას. ანრიგად პსიქიური ცდა აღიარებულია უშუალოდ, ბუნებამდე არსებულად. ფიზიკური ცდა წარმოადგენს განვითარების შემდეგ, უმაღლეს საფეხურს. ის წარმოადგენს წარმოებულს პსიქიურ ცდის მიმართ, უკანასკნელის გარდაქმნას, ასახვას. როგორც სუბიექტური იდეალისტი ბოგდანოვი არ ანსხვავებს ობიექტურ, ცდისაგან დამოუკიდებელ და ყოველგვარ ცდამდე არსებულ ფიზიკურ სამყაროს ადამიანთა ფიზიკური ცდისაგან. იმის ნაცვლად, რომ პსიქიური გაიგოს როგორც წარმოებული ფიზიკურის მიმართ, ბოგდანოვი პირიქით იქცევა: ის ფიზიკურ სამყაროს აცხადებს „შესადგმის“ სფეროდ, რომელშიაც ფიზიკურ სამყაროს ჩენ პსიქიურის „ქვეშ ვაქცევთ“, ე. ი. ის პსიქოლოგიურ, იდეალისტურ ახსნას იძლევა. ბოგდანოვის „შესადგმის საყოველთაო თეორია“ წარმოადგენს მხოლოდ ახალ სახელწოდებას ფილოსოფიის ძირითადი საკითხის ძველი იდეალისტური გადაპრისათვის. ბოგდანოვის კონსტრუქციის უკანასკნელ რგოლს, რომელიც თან მიყვება „ელემენტებს“, პსიქიურ და ფიზიკურ ცდას, წარმოადგენს მისგან წარმოშობილი ჩვენი შემეცნება.

მსგავს სუბიექტურ-იდეალისტურ პოზიციას ბოგდანოვი აუცილებლად მიჰყავს ობიექტური ჭეშმარიტების და ჭეშმარიტების ობიექტური კრიტერიუმის შესაძლებლობის უარყოფამდე. მართლაც და, თუ არ არსებობს არავითარი ცდისაგან დამოუკიდებელი სინამდვილე, მაშინ არ შეიძლება ლაპარაკი ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ ჭეშმარიტებაზე როგორც ობიექტური რეალო-

ბის ასახვაზე. ემპირიოკრიტიციზმს ჭეშმარიტება ესმის სუბიექტურად, როგორც ის, რაც ჭეშმარიტია ჩვენთვის. ბოგდანოვი ფიქრობდა მოესპო წინანდელი სუბიექტივიზმის დაუსრულებელი წინააღმდეგობანი და თავიდან აეცილებია სოლიპსიზმი მით, რომ ინდივიდუალური ცდის ნაცვლად თავისი ფილოსოფიის ცენტრალურ ცნებად გახადა „სოციალურად ორგანიზებული ცდა". მას იმედი ქონდა ამ წესით განეცხადებია ჭეშმარიტი, მეცნიერული ყალბისა და ცრუმორწმუნეობრივისაგან. მასთან ობიექტურობა იქცეოდა ცდის კოლექტიურობად, ცდა საერთო მნიშვნელოვანი ხდება მთელ რიგ ადამიანებისათვის. „ფიზიკური სამყაროს ობიექტურობა იმაშია, — წერდა იგი, — რომ იგი არსებობს არა ჩვენთვის, არამედ ყველასათვის". „ფიზიკური სამყარო ეს არის სოციალურად შეთანხმებული, სოციალურად ჰარმონიზირებული, — ერთი სიტყვით, სოციალურად ორგანიზებული ცდა". მაგრამ ამით ბოგდანოვი სინამდვილეში ვერ ძლევს იდეალიზმს და ჭეშმარიტების სუბიექტურ გაგებას. კაცობრიობის ცნობიერება, ინდივიდის ცნობიერების შემცველი, მაინც ცნობიერება არის: რჩება იდეალისტური საწყისი. ფიზიკურ სამყაროს არსებობა დამოკიდებული ხდება საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან. იმის ნაცვლად, რომ დამოუკიდებელი იყოს რაიმე (ასევე სოციალური) ცნობიერებისაგან და წინ უსწრებდეს მას. საერთო მნიშვნელოვანი, „სოციალურად ორგანიზებული" ცდა სრულიადაც არ არის ყოველივის ობიექტურად ჭეშმარიტი. რელიგიური წეხედულებებიც ხომ „საერთო მნიშვნელოვანი" და „სოციალურად ორგანიზებული" იყო ისტორიის დიდ მანძილზე, მაგრამ ამით ისინი სრულიადაც ჭეშმარიტნი არ გამხდარან.

ამრიგად თავის მოძღვრებაში იმის შესახებ, რომ ჭეშმარიტება სხვა არა არის რა, თუ არა ადამიანის ცდის ორგანიზაციის მომხდენი ფორმა, იდეოლოგიური ფორმა ემპირიომონიზმი კარს უხსნის რელიგიას და სხვა რეაქციულ სიცრუეს.

თავის უფრო ნაგვიანევ შრომებში, რომლებიც ბოგდანოვმა დასწერა უკვე იმის შემდეგ, რაც ლენინმა გამოაქვეყნა მისი „ემპირიომონიზმის" იდეალისტური ძრსება, იგი ანვითარებს თითქოს და ახალ „ტექტოლოგიურ" მოძღვრებას, — „საყოველთაო ორგანიზაციულ მეცნიერებას". აქ ბოგდანოვი მთლიანად რჩება წინანდელ სუბიექტურ-იდეალისტურ, მახისტურ პოზიციაზე, ელემენტების — შეგრძნებების და მათი კომპლექსების სისტემის — სამეფოში. მრავალი ახალი სიტყვიერი ჰრანქვაგრეხა ფარავს ძველ ფილოსოფიურ კონცეფციას. სხვათა შორის, ეს ვერ გაიგო ავხ. ბუხარინმა, რომლის მოტყუებაც მოახერხა ბოგდანოვმა თავისი მოძღვრების გადაცმის გზით.

აცხ. ბუხარინმა ვერ გაიგო, როგორც ლენინი მიუთითებს, ბოგდანოვის „ტექტოლოგიისა“ და მისი „ემპირიომონიზმის“ იდეალისტური იგივეობა.

რჩება რა ფილოსოფიის ძირითადი საკითხის წინანდელი გადაწყვეტის საფუძველზე, ბოგდანოვი „საყოველთაო ორგანიზაციულ მეცნიერებაში“ სუბიექტურ იდეალისტურ ნიადაგზე ანვითარებს ანტიდიალექტიკურ მექანისტურ შეხედულებებს. ის აკრიტიკებს მარქსისა და ენგელსის მატერიალისტურ დიალექტიკას, ცვლის რა საყოველთაო განვითარების კანონს „ორგანიზაციული პროცესით“, დაპირდაპირებულობათა ერთიანობის კანონს, — „დაპირდაპირებულად მიმართულ ძალთა“, „აქტივობათა“ მექანიკური „შეჯახებით“, დიალექტიკას — წინასწორობის მექანიკური თეორიით (იგი ქვემოდ იქნება განხილული). „ტექტოლოგიაში“ ჩვენ კვლავ გვაქვს იმის ნათელი მაგალითი, თუ რა შესაძრწენად ეგუებიან ერთმანეთს მახიზმი და მექანიციზმი. ბოგდანოვი ცდილობს დააწესოს ელემენტების ორგანიზაციის უნივერსალური ფორმები დამოუკიდებლად „მინაარსისაგან, რომლის ორგანიზებაც ხდება“. ის იგონებს მეცნიერულად უნაყოფო „უნივერსალურ კანონებს“, რომელთაც უყენებს უკლებლივ ცოდნის ყველა დარგს, მათი თავისებურების გაუთვალისწინებლად. საქმით შერჩევის, კონიუგაციის, ინგრესიის და სხვ. ყველა ეს კანონები ცალიერი მექანიკური სქემებია, ენერგეტიული და ბიოლოგიური იარლიყებია, რომლებსაც აკრავენ ზეშექანისტურ და სოციალურ პროცესებს.

ინტერესს მოკლებული არ არის იმის აღნიშვნა, რომ სუბიექტურ-იდეალისტური პრინციპები თავშესაფარს პოულობენ „ჩვენი“ თანამედროვე მექანისტების მოძღვრებებშიაც. მექანისტურ მსოფლგაგებას, რომელსაც ზუნება დაჰყავს იგივეობითი უთვისობრივ ერთეულების ადგილგადანაცვლებამდე, ბუნებრივია თავის მეორე მხარეთ უნდა ქონდეს იმის აღიარება, რომ ცდაში მოცემული თვისობრივობითი განსხვავებანი წმინდა სუბიექტური განსხვავებანია. ლ. აქსელროდი, ს. სარაბიანოვი და მათი თანამოაზრენი, რომლებმაც აღიარეს ეგრეთწოდებული მეორად თვისობრივობათა სუბიექტურობა, ე. ი. რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბგერა, ფერი და სხვ. სხვა არა არის რა, თუ არა ჩვენი შეგრძნებანი და არა ობიექტურად არსებულ განსხვავებათა ასახვა, მივიდენ უფრო „ზოგად“ დასკვნამდე საერთოდ თვისობრივობის სუბიექტურობის შესახებ. მათთვის თვისობრივობა ცნობიერების წარმონაობია. სუბიექტის გარეშე არ არსებობს ობიექტის თვისობრივობა. ობიექტის თვისობრივობითი განსაზღვრულობა დამოკიდებულია სუბიექტების და მათი თვალსაზრისის განსხვავებაზე. ასე მაგა-

ლითად ამბ. სარაბიანოვი უარყოფს ობიექტურ ჭეშმარიტებას. მისი აზრით იმდენი ჭეშმარიტება არსებობს, რამდენიც არის სუბიექტური თვალსაზრისი, მიდგომა.

ლენინის გამოთქმით, „მორცხვი აგნოსტიციზმის“ და სუბიექტივიზმის ასეთსავე ელემენტებს ჩვენ ვპოულობთ ამბ. ბუხარინის მოძღვრებაშიც, რომლისათვისაც დიალექტიკა არის მხოლოდ ერთი თვალსაზრისი მრავალი „თვალსაზრისისაგან“. ასე დიალექტიკური მატერიალიზმისაგან ჩამოშორება იწვევს კავშირს სუბიექტურ იდეალიზმთან. მექანიციზმისა და სუბიექტური იდეალიზმის ამგვარი შეთავსება, როგორც ჩვენ დავინახეთ, სრულიადაც არ არის შემთხვევითი. ფილოსოფიის ისტორია მოწმობს, რომ ასეთი შეთავსება ძალზე ჩვეულებრივი და ბუნებრივია. ყველა მოვლენათა დაყვანა მექანიკურ, უთვისებრივო იგივეობამდე სუბიექტურ იდეალისტებისათვის წარმოადგენს ჩვენი შეგრძნებების რთული მრავალსახეობის სისტემატიზაციის, მოწესრიგების და ერთიანობამდე მიყვანის სახელმძღვანელო პრინციპს. უარყოფენ რა ობიექტურ რეალობას, სუბიექტივისტები მეცნიერების ამოცანად თვლიან ცდის სისტემატიზაციას, აღქმათა „ორგანიზაციას“. მექანიციზმი მათთვის, წარმოადგენს ორგანიზაციის ყველაზე მოხერხებულ, ეკონომიურ პრინციპს.

სუბიექტურ იდეალიზმს მეტად უახლოვდება და თავის შეხედულებათა ცალკე პუნქტებში მას უკავშირდება ფილოსოფიური ინტუიტივიზმი—მიმართულება, რომელიც უაღრესად გავრცელდა უკანასკნელი ათეული წლების ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში და რომელმაც წარმოშვა მთელი რიგი მოდური ფილოსოფიური სკოლები სხვადასხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ინტუიტივიზმის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელია საფრანგეთის იმპერიალიზმის ფილოსოფოსი ანრი ბერგსონი. მისი ნოძღვრების, ისე როგორც მთელი ინტუიტივიზმის დედა-არსი იმაში მდგომარეობს, რომ მდაბლდება და იხლუდება გონება, რაციონალური ლოგიკური შემეცნება ჭეშმარიტების მიღწევის სხვაგვარი „უმაღლესი“ მეთოდის სასარგებლოდ—უშუალო აღლოს, ინტუიციის, საგანთა არსებაში ინსტინქტიური შეჭრის სასარგებლოდ.

ინტუიტივისტების აზრით, მეცნიერებას შეუძლია მოგვიაწოდოს მხოლოდ ვიწრო, ემპირიული ჭეშმარიტებანი, რომელთაც მხოლოდ პრაქტიკული ღირებულება აქვთ. ბერგსონი გვპირდება ობიექტების სრულ შეცნობას ინტუიციის შემწეობით. „ან ფილოსოფია სრულიად შეუძლებელია,—აცხადებს იგი,—და საგანთა მთელი შემეცნება არის მხოლოდ პრაქტიკული შეშეცნება (რომელიც არ ააშკარავებს

მათ არსებას.—ავტ.), მიმართული მათგან სარგებლობის მიღებისაკენ (და არა ჭეშმარიტების შემეცნებისაკენ.—ავტ.), ან ფილოსოფოსობა იმაში მდგომარეობს, რომ ინტუიციის დაძაბვის შემწეობით შევიჭრათ თვით ობიექტში".

ბერგსონი ინტუიციას უწოდებს „იმ სახის გრძნობადობას ან სიმპატიებს, რომელთა შემწეობითაც ჩვენ ვიჭრებით საგნის შიგნით, რათა შევუერთდეთ მას, რაც მასში ერთადერთია და მაშასადამე გამოუსახველია"[1]. მატერიალიზმის უბოროტესი მტერი, ბერგსონი თავის მოწოდებას „გამოუსახველის" ძიებისაკენ მისტიური „მთავრძნობის" შემწეობით და ობიექტური სინამდვილის მეცნიერული მემეცნების კრიტიკას მრავალ თითქოსდა მეცნიერულ მოსაზრებებითა და მოხერხებულ სოფიზმებით ამკობს, ახდენს რა თავის სასარგებლოდ საბუნებისმეტყველო-მეცნიერულ დებულებათა ფალსიფიკაციას.

ასე ბერგსონი გამოდის სივრცისა და დროის ურთიერთ მოწყვეტიდან. დროს, რომლის გაგებასაც ბერგსონი იდეალისტურად ამახინჯებს, იძლევა რა მის წმინდა პსიქოლოგიურ გაგებას, ის უპირისპირებს სივრცეს როგორც ცოცხალ საწყისს—მკვდარს, მოძრავს, სულიერს, ქმედითს—ინერტულ, უსიცოცხლო მატერიალიზმს. ამასთანავე მოძრავი, ცოცხალი სამყარო მას ესმის იმდაგვარად, რომ „არსებობს ცვალებადობა, მაგრამ არ არსებობენ ისეთი საგნები, რომლებიც იცვლებიან. ცვლილებანი არ საჭიროებენ მატარებელს. არსებობს მოძრაობა, მაგრამ არ არსებობენ აუცილებლად უცვლელი საგნები, რომლებიც მოძრაობენ: მოძრაობა არ შეიცავს არავითარ მოძრავ სხეულებს".

აქ აშკარად მეღავნდება ინტუიტივიზმისა და სუბიექტური იდეალიზმის ნათესაობა. სამყაროს მატერიალური მოძრავი ძალების შესწავლას ბერგსონი ცვლის იმ „სასიცოცხლო ლტოლვისადმი" რწმენით, რომელიც, ინტუიტივიზმის თანახმად, შეადგენს ყოველგვარი სიცოცხლის და განვითარების ნამდვილ საფუძველს. რა თქმა უნდა ყველაფერი ბოლოვდება მიღმურ სამყაროს და სულის უკვდავების რწმენით და მას პირდაპირ ხუცობამდე მივყავართ. „ყოველივე ამისაგან,—წერს ბერგსონი,—ნათლად გამომდინარეობს ცნება შემომქმედი და თავისუფალი ღმერთისა, რომელიც წარმოშობს როგორც მატერიას, ისე სიცოცხლეს და რომლის შემოქმედებისადმი მისწრაფებას განაგრძობს სიცოცხლე სახეთა განვითარებით და ადამიანთა პიროვნებების შექმნით".

ბერგსონი სრულიად არ არის გამონაკლისი თანადროულობის ბურჟუაზიულ ფილოსოფოსებს შორის. მისტიციზმისაკენ მობრუნება

[1] ბერგსონი, Введение в метафизику, გვ. 6.

დამახასიათებელია ყველა თანამედროვე ბურჟუაზიულ „აზრთა მფლობელებისათვის“. იმავე ტენდენციას, თუმცა სხვაგვარ ფორმაში, ამჟღავნებს ლპობადი კაპიტალიზმის მეორე ფილოსოფიური ბურჯი, რომელიც მიისწრაფის ობიექტური იდეალიზმისაკენ, მაგრამ ვარდება სუბიექტივიზმში — ედმუნდ გუსერლი. გუსერლი აღიარებს ახალ მეცნიერებას — ფენომენოლოგიას, რომელსაც იგი „ფილოსოფიური მეცნიერების საფუძვლად“ აცხადებს. ფენომენოლოგია შორდება მთელ რეალურ სამყაროს, მას არა აქვს საქმე რეალურ მოვლენებთან, რომლებიც დროსა და სივრცეში ხდებიან. მას საქმე აქვს „ირეალურ მოვლენებთან“, „იდეალურ ყოფიერებასთან“, „აზრთან“, „მანშენელოპასთან“, „ჰეიდოსის სამყაროსთან“ (იდეალური არსების სამყაროსთან). ცნობიერებისადმი მიმართულ ფენომენოლოგიას მხედველობაში აქვს არა ადამიანის ცნობიერების რეალური გამოელენანი, არა პსიქიური პროცესები. ის ცნობიერებას „წმენდს“ ყოველივე ინდივიდუალურისაგან, პსიქიურისაგან, მას საქმე აქვს „წმინდა“, გარეინდივიდუალურ „მე“-სთან, „აბსოლუტურ ცნობიერებასთან“, ცნობიერების „არსებასთან“. გუსერლის ფენომენოლოგია წმინდა აღწერითი მეცნიერებაა. ის არ ემყარება ლოგიკას, არა აქვს უკანასკნელი თავის წანამძღვარად. ფენომენოლოგია წინ უსწრებს ლოგიკას. ის არაფერს არ ხსნის, არაფერს არ ამტკიცებს, არამედ აღწერს „იდეალურ ინტუიციაში“ უშუალოდ მონაცემს. გუსერლის სიტყვებით, ფენომენოლოგია უნდა იყოს წმინდა აღწერითი დისციპლინა, რომელიც წმინდა ინტუიციის საშუალებით იკვლევს ტრანსცენდენტალურ წმინდა ცნობიერების სფეროს. უშუალო „ხილვა არსებისა“, „წმინდა იდეალური ინტუიცია“ — ასეთია, უკაცრაული პასუხია, ამ „მეცნიერების“ მეთოდები. „ფილოსოფია, — ამტკიცებს გუსერლი, — თავის მეცნიერულ მუშაობაში იძულებულია იმოძრაოს პირდაპირი ინტუიციის ატმოსფეროში, და უდიდესი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადადგას ჩვენმა დრომ, არის იმის ცნობა, რომ ფილოსოფიური ინტუიციის დროს, ამ სიტყვის ჭეშმარიტი აზრით, არსების ფენომენოლოგიური შეცნობის დროს მუშაობის დაუსრულებელი ასპარეზი იშლება“[1]. ასეთია ბურჟუაზიული ფილოსოფიის ერთერთი უკანასკნელი სიტყვა.

---

[1] Гуссерль, Философия как строгая наука. „Логос“, წიგნი I, გვ. 56, 1911 წ.

IV. კანტის დუალიზმი და თანამედროვე კანტიანელობა

ბურჟუაზიული ფილოსოფიის მეორე მიმდინარეობას, რომელიც დიდი ხანია ებრძვის მატერიალიზმს და რომელსაც უკანასკნელ დრომდე უპირისპირებენ მატერიალიზმს, წარმოადგენს კანტიანელობა.

თანამედროვე კანტიანური ფილოსოფია უპირისპირდება მარქსიზმს არა მარტო აშკარა ბურჟუაზიული ფორმით, არამედ „სოციალისტური" ფორმითაც. ნეოკანტიანელობა წარმოადგენს გაბატონებულ ფილოსოფიას სოციალ-ფაშისტურ წრეში. ბერნშტეინი, ფორლენდერი, ადლერი, ბაუერი, კაუტსკი ანხორციელებენ საზოგადოებრივი ცხოვრების „მარქსისტული" გაგების შეხრდას ნეოკანტიანურ ფილოსოფიასთან. ამის გამო ნეოკანტიანური ფილოსოფია დღემდე წარმოადგენს პროლეტარიატზე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ზემოქმედების ძირითად ფორმას. ნეოკანტიანური დამახინჯებანი ზოგჯერ საბჭოთა მეცნიერებასა და ფილოსოფიაშიც იჭრება. აქედან გამომდინარეობს იდეალიზმის ამ სახესხვაობის, რევოლუციური პროლეტარიატის იდეოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლების წინააღმდეგ ბრძოლაში ბურჟუაზიის და მისი აგენტების ამ ფილოსოფიური იარაღის მხილების მთელი აქტუალური მნიშვნელობა.

თავისი სოციალური ბუნებით XVIII საუკუნის დამლევის და XIX საუკუნის დამდეგის კლასიკური გერმანული იდეალიზმი ერთგვარი ფრანგული მატერიალიზმის თავისებური ანალოგი იყო. ძველი მატერიალიზმის მსგავსად, ის იყო ბურჟუაზიული რევოლუციის ფილოსოფიური მაუწყებელი. მაგრამ გერმანიაში ბურჟუაზიული რევოლუციის მოსაზადებისა და განვითარების ისტორიული თავისებურებანი განსხვავდებოდნენ საფრანგეთის პირობებისაგან, სხვადასხვაგვარი იყო ორივე შემთხვევაში კლასთა ძალები და თანაშეფარდება. გერმანული „განმანათლებელნი" ჯერ კიდევ არ აწარმოებენ, ფრანგების მსგავსად, „აშკარა ომს მთელ ოფიციალურ მეცნიერებასთან, ხშირად სახელმწიფოსთანაც", ისინი კავშირს არ წყვეტენ რელიგიასთან და არ გამოდიან მატერიალიზმის დროშით. მათი „რევოლუციურობა" ნახევრული, უძლური, ოცნებითია. XIX საუკუნის მოწინავე გერმანული ბურჟუაზიის ეს უძლურება და ნახევრულობა ფესვგადგმულია მაშინდელი გერმანიის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჩამორჩენილობაში და ბურჟუაზიის უმწეობაში. გერმანიის საწარმოო ძალები თავის განვითარებით ჩამორჩებოდნენ ევროპის მოწინავე ქვეყნების მრეწველობას. ჯერ კიდევ მცირეოდენი და უძლური გერმა-

ნული ბურჟუაზია, დაქუცმაცებული და დაქსაქსული მრავალ წვრილ დამოუკიდებელ პროვინციებად, ჯერ ვერ ბედავდა სრული ხმით ლაპარაკს და რევოლუციური გამბედაობით აზროვნებას. მას შეეძლო მხოლოდ ეოცნება ასალ საზოგადოებრივ ფორმებზე. ის მიდიოდა მხოლოდ „კეთილ ნებამდე", საჭირო საზოგადოებრივი წყობილების იდეამდე. მისი ფილოსოფია ამიტომ იდეალისტური და კომპრომისულია. მარქსი ტყუილად კი არ უწოდებდა კანტის ფილოსოფიას „საფრანგეთის რევოლუციის გერმანულ თეორიას". ის ერთი ხელით ამბობს ღმერთს, მეორე ხელით კი კვლავ ტახტზე აჭყავს იგი, იგი ცდილობს ჩამოშორდეს იდეალიზმს, მაგრამ შეშფოთებული გარბის მის წინაშე მდგომ მატერიალიზმისაგან და კვლავ ეშვება იდეალისტურ სპეკულაციების სიღრმეში.

გერმანული კლასიკური იდეალიზმის მამამთავარი იყო ცნობილი კენიგსბერგელი მოაზროვნე ემანუილ კანტი. „კანტის ფილოსოფიის ძირითადი თვისებაა მატერიალიზმის შერიგება იდეალიზმთან, კომპრომისი მათ შორის, სხვადასხვაგვარ, დაპირდაპირებულ მიმართულებათა შეთავსება"[1]. ყოველი ასეთი ცდა წინდაწინვე განწირულია და კანტის მოძღვრებაც წარმოადგენს გაორებულ, დუალისტურ სისტემას, რომელსაც ღრღნიან შინაგანი წინააღმდეგობანი.

თავიდანვე, პირდაპირ გამოკვლევის პირველი სტრიქონებიდან კანტი ცდილობს გაემიჯნოს სუბიექტურ იდეალიზმს. „ეჭვს გარეშეა, — წერს იგი, — მთელი ჩვენი ცოდნა ცდისაგან იწყება, ვინაიდან რაღა აამოძრავებდა სამოქმედოდ შემეცნების უნარს, თუ არა საგნები, რომლებიც მოქმედებენ ჩვენს გრძნობებზე და ნაწილობრივ თვით წარმოშობენ წარმოდგენებს, ხოლო ნაწილობრივ აქეზებენ ჩვენი განსჯის მოქმედებას შეადაროს ისინი, შეათავსოს ან განაცალკევოს და, ამრიგად, გადააბუშაოს გრძნობადი შთაბეჭდილებების უხეში მასალა და საგანთა შემეცნება, ცდათ წოდებული"[1]. მეორე ადგილას კი ის ამბობს: „მაშასადამე მე ვაცნობ ყოველ შემთხვევაში, რომ ჩვენს გარეშე არსებობენ სხეულები, ე. ი. საგნები... რომელთა შესახებ ჩვენ ვიცით წარმოდგენების მიხედვით, რასაც ჩვენში იწვევს მათი გავლენა ჩვენს გრძნობადობაზე"[2]. საკითხის ასეთი დაყენებით კანტის კრიტიკული იდეალიზმი ცდილობს გაემიჯნოს ბერკლისა და ჰიუმს. ჩვენი შეგრძნებანი გულისხმობენ ობიექტური რეალო-

---

[1] ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, გვ. 201. ხაზგასმულია ჩვენს მიერ. — ავტ.

[1] კანტი, Критика чистого разума, გვ. 24 — 25, 1907, ხაზგასმულია ჩვენს მიერ. — ავტ.

[2] კანტი, Пролегомены ко всякой будущей метафизике, გვ. 54, 1905 წ.

ბის არსებობას, რაც მათ წყაროს წარმოადგენს. ობიექტური სამყარო ნამდვილად არსებობს ჩვენი ცნობიერების გარეშე და ზემოქმედებას ახდენს ჩვენს ცნობიერებაზე. მაგრამ სრული საფუძვლიანობით აღიარებს რა ობიექტის არსებობას სუბიექტის გარეშე, კანტს უნდა აეხსნა თუ როგორია მათ შორის არსებული ურთიერთობანი, როგორია სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთისაგან დამოკიდებულება და როგორია ერთისა და მეორის როლი შემეცნების ფორმირებაში. აქ კანტი კვლავ იდეალიზმის პოზიციებზე გადადის.

ჩვენი ცდა, კანტის მიხედვით, ობიექტისა და სუბიექტის ურთიერთმოქმედების შედეგია. ის წარმოადგენს ორივე ამ საწყისის გადაჯვარედინებას. საგნები, ზემოქმედებას ახდენენ რა ჩვენს გრძნობადობაზე, გვაწვდიან ჩვენ შემეცნების შინაარსს შეგრძნებების სახით. მაგრამ ის, თუ რათ გადაიქცევა ეს გარეშე ზემოქმედებით მოცემული მასალა ცნობიერებაში, დამოკიდებულია სუბიექტის ორგანიზაციისაგან, აღმქმელი აპარატის თავისებურებებისაგან, ჩვენი გრძნობადობისა და განსჯის აგებულებისაგან. სუბიექტი მისთვის დამახასიათებელი ორგანიზაციითა და ფუნქციებით უპირისპირდება ობიექტს, ის აორგანიზებს, აფორმებს, ამუშავებს შეგრძნებებს მისთვის, სუბიექტისათვის დამახასიათებელი კანონების მიხედვით, ცნობიერებისათვის დამახასიათებელ ფორმებში. გარეშე საგნების ზემოქმედება აძლევს წარმოდგენებს მათ შინაარსს, ჩვენი ცნობიერება აძლევს მათ ფორმას. ასეთია საკითხის გამოსავალი, დუალისტური დაყენება. ცნობიერების ფორმას უპირისპირებენ მის შინაარსს.- ცდის ფორმები, ე. ი. გრძნობადობის ფორმები და განსჯის კატეგორიები, რომელთა შემწეობითაც ფორმდება ცდა, — სივრცე. დრო, მიზეზობრივი კავშირი — არსებობენ არა ჩვენს გარეშე, არამედ თვით ჩვენში, წარმოადგენენ საკუთრივ სუბიექტის ფორმებს, მის განუყოფელ, თანდაყოლილ კუთვნილებას. ისინი აპრიორულად, დასაწყისიდანვე თან ახლავს ჩვენ ცნობიერებას, ისინი გარედან კი არ არიან შემოტანილი განსჯაში, არამედ ჩვენი ცნობიერება უკარნახებს ცდას მის ფორმებს, მისი აგებულების კანონებს.

უკვე დიდი ხნით ადრე კანტამდე ფილოსოფოსებს შორის გავრცელებული იყო საგნებში ჩვენს მიერ შემჩნეულ ყველა თვისობრივობის დაყოფა (რასაც დღესაც იცავენ მახისტები) პირველადად და მეორადად. მეორადი ეწოდებოდა ისეთ თვისობრივობებს, რომლებიც თითქოს და არ ახასიათებენ თვით საგნებს, არამედ გამოწვეულია თვით შემცნობი სუბიექტის ორგანიზაციით. ასეთ თვისობრივობას აკუთვნებდენ ფერს, ხუნს, გემოს და ა. შ. შეორად თვი-

სობრივობათაგან ანსხვავებდენ პირველადს, რომლებიც დამახასიათებელია ობიექტური საგნებისათვის, — განფენილობა, შეუვალობა, ფორმა, მოძრაობა. კანტმა თავის კრიტიკა მიმართა იმ ურთიერთობათა გამოკვლევისაკენ, რომლებიც საფუძვლად უდევს თვით პირველად 'თვისობრივობებს. ხოლო ამ ურთიერთობათა საფუძველს წარმოადგენს, რაშიაც ძნელი არ არის დარწმუნება, სივრცე და დრო, როგორც ობიექტური რეალობის არსებობის ფორმები. კანტი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ჩვენ ცდიდან, ცალკეულ შეგრძნებებიდან არ შეგვიძლია მივიღოთ წარმოდგენა სივრცეზე, ვინაიდან ცდა უკვე გულისხმობს ამ წარმოდგენის არსებობას და შეუძლებელია მის გარეშე. კანტის აზრით, სივრცე და დრო მატერიალური ყოფიერების რეალური ფორმები კი არ არის, არამედ თავდაპირველი, ჩვენი საკუთარი გრძნობადობისათვის დამახასიათებელი ფორმები, ჩვენი ცნობიერების აპრიორული, ე. ი. წინასწარ ნაგულისხმევი, აუცილებელი ფორმები, განსაზღვრული ჩვენი ცნობიერების ბუნებით.

კანტის თანახმად, მთელი ჩვენი ცდა იმიტომ კი არ არის სივრცობრივი, რომ ასეთია თვით საგნები, არამედ იმიტომ, რომ ასეთია ჩვენი გრძნობადობის ბუნება, რომ მას არ შეუძლია ცდის შინაარსი არ მოაქციოს სივრცის ფორმაში და დროის ფარგლებში. სივრცე, ისე როგორც დრო, — ჩვენი გრძნობადობის წმინდა ფორმებია და მათ აზრი აქვთ მხოლოდ ადამიანის ცდის მიმართ და არა მის გარეშე. ისინი თავდაპირველი სუბიექტური პირობებია, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი ცდის ხასიათს. სივრცისა და დროის ასეთი გაგების საფუძველზე კანტს ეგრეთწოდებული პირველადი თვისობრივობანიც ობიექტურ სამყაროდან სუბიექტურში გადააქვს. სუბიექტურია არა მარტო სუნი და ბგერა, არამედ განფენილობაცა და მოძრაობაც. ისინი არ არიან დამახასიათებელნი თვით საგნებისათვის თავისთავად; არამედ გამოწვეული არიან სუბიექტის ორგანიზაციით, რადგან განფენილობა და მოძრაობა წარმოუდგენელია სივრცისა და დროის გარეშე. ისინი ცდის შედეგები კი არ არიან, არამედ მისი სუბიექტური პირობები, წანამძღვრები.

მაგრამ ბუნება არის არა წარმოდგენათა ქაოსი, უწესრიგო მრავალსახეობა, არამედ ერთგვარი მოწესრიგებული, ორგანიზებული ერთიანობა: მას ახასიათებს სისწორე, კანონზომიერება. რითი აიხსნება მისი მიზეზობრივი კავშირი და კანონზომიერება? კანტი დარწმუნებულია, რომ ცდის შინაარსი თავისთავად ქაოტიური და უწესრიგოა, რომ შეგრძნებანი არ წარმოადგენენ წყაროს, საიდანაც ჩვენ გამოგვაქვს რწმენა სამყაროს ერთიანობისა და წესრიგის შესახებ.

აღქმანი ამ ერთიანობას ღებულობენ ერთიან განსჯისადმი ო

ციით განსაზღვრული. იმის შეცნობა, რაც სუბიექტის გარეშეა, იმ სახით, როგორიც ის არის თავისთავად,—ნიშნავს ბოისურვო განსჯა განსჯის გარეშე, განჭვრეტა მჭვრეტელობის გარეშე, წარმოდგენა წარმოდგენის გარეშე. ჩვენ შემეცნებას შეუძლია საქმე ქონდეს მხოლოდ მოვლენებთან და არა საგნებთან თავისთავად, ის ბუნებაში მხოლოდ იმას პოულობს, რაც მასში შეაქვს. საგნებისაკენ თავისთავად გზა გადაჭრილია. ჩვენ შევიცნობთ არა თვით საგნებს, რომლებიც გრძნობებს სამოქმედოდ აღვიძებენ, არამედ მხოლოდ ჩვენზე მათი ზემოქმედების საშუალებებს. ასეთია კანტის საბოლოო აგნოსტიკური დასკვნა. მოვლენებს იქით იგულისხმება „საგნები თავისთავად"; სამყარო არსებობს ჩვენი ცნობიერების გარეშე, მაგრამ ის სრულიად შეუცნობელია და აბსოლუტურად მიუწვდომელია სუბიექტისათვის. შემეცნების საგანი შეიძლება და უნდა იყოს მოვლენათა სამყარო. ბუნების კანონები მხოლოდ განსჯის კანონებია და ისინი ნამდვილი არიან მხოლოდ ჩვენი სუბიექტური გაგების ფარგლებში. ბუნება როგორც შემეცნების საგანი კარგავს თავის მატერიალურობას. „სხეულები და მოძრაობანი, — აბობს კანტი, — არსებობენ არა როგორც რაღაც ჩვენს გარეშე მყოფნი, არამედ როგორც წარმოდგენანი ჩვენში, და ამიტომ მატერიის მოძრაობანი არ იწვევენ ჩვენში წარმოდგენებს, არამედ თვით (ისე როგორც მატერია, რომელიც მოძრაობათა საფუძველზე შეიცნობა) მხოლოდ წარმოდგენებია"[1].

კანტის პასუხი ფილოსოფიის ძირითად საკითხზე დუალისტურია. ობიექტური რეალობა სუბიექტს უპირისპირდება როგორც მისგან დამოუკიდებელი „საგანი თავისთავად". თავის მხრით სუბიექტი თავის „აპრიორით" ინარჩუნებს დამოუკიდებლობას გარეშე სამყაროსაგან და თვით თავის თავიდან ქმნის განსაკუთრებულ სამყაროს. სუბიექტი სწყდება ობიექტს, აღქმანი—მათ მიზეზს, „საგანი თავისთავად" — მოვლენებს, შემეცნება — რეალურ სამყაროს, შემეცნების ფორმა — მის შინაარსს, ცდისეული სამყარო — „ზეცდისეულს". შეგრძნებანი და განსჯა სუბიექტს კი არ აკავშირებენ ობიექტთან, არამედ სთიშავენ მათ. კანტის აგნოსტიციზმი სურავს გზას ობიექტიდან სუბიექტისაკენ. წინააღმდეგობა ობიექტური სინამდვილის აღიარებასა და იმ მოძღვრებას შორის, რომ იგი შეუცნობელია — წარმოადგენს კანტის ფილოსოფიური სისტემის ძირითად ორგანიულ ნაკლს.

ვინაიდან კანტის მიხედვით შეიცნობა მხოლოდ ცნობიერების შინაარსი, გრძნობადობის ფორმები და განსჯის კატეგორიები, ამიტომ მეც-

[1] კანტი, Критика чистого разума, გვ. 244. შენიშვნები.

ნიერება მთლიანად ეწყვეტება სუბიექტურის სფეროში. კანტის აგ-ნოსტიკური დუალიზმი საქმით წარმოადგენს არა-თანმიმდევრულ სუბიექტურ. იდეალიზმს, რომელიც არ სცილდება იდეალისტურად გაგებული ცდის ფარგლებს.

კანტის შემეცნების თეორია მეტაფიზიკურია. ის ემყარება არა-ისტორიულ მიდგომას სუბიექტისადმი და მის ობიექტთან დამო-კიდებულებისადმი. კანტი იღებს თანამედროვე ადამიანის, მის თანა-დროულ ბურჟუას მზამზარეულ, გაყინულ, ერთხელ და სამუდამოდ ნო-ცემულ აზროვნებას. მას საქმე არა აქვს იმასთან, რომ აზროვნება მხოლოდ განვითარების პროცესში გახდა იმათ, რასაც ის წარმოად-გენს. კანტი შემეცნებას არ იხილავს მის წარმოშობასა, განვითარე-ბასა და ცვლილებაში. ის მეტაფიზიკურად სთიშავს შემეცნების ფორ-მებსა და მათ შინაარსს და იკვლევს სრულიად იზოლირებულ, უში-ნაარსო, „წმინდა“ ლოგიკურ ფორმებს. შემეცნების შინაარსისა და ფორმის განუყოფელი ერთიანობის ნაცვლად კანტი სარგებლობს შემეც-ნების მკვდარი, უძრავი, ცალიერი, მზამზარეული, ობიექტისა და ში-ნაარსისაგან შოწყვეტილი ფორმებით.

პლეხანოვი და კიდევ უფრო ა. დებორინი ამჟღავნებენ კანტის აგნოსტიციზმის არსების გაუგებლობას, როდესაც ისინი მას აიგივებენ ფრანგ მატერიალისტების მოძღვრებას-თან შემეცნების შესახებ. ფრანგი მატერიალისტები, დებო-რონის აზრით, საგანთა არსების დაპირდაპირებით მათი თვისე-ბებისადმი, გამოსთქვამდენ დებულებებს, თითქოს და იგივეობითს კანტის მოძღვრებისადმი „თავისთავადი საგნებისა“ და მოვლენების შესახებ. სინამდვილეში ფრანგი მატერიალისტების მოძღვრება შემეც-ნების შესახებ დაპირისპირებულია კანტის მოძღვრებისადმი. კანტი ამტკიცებდა, რომ „საგნები თავისთავად“ აბსოლუტურად, პრინციპიალურად შეუცნობელია, ძველი მატერიალიზმი ლაპა-რაკობს მხოლოდ იმას, რომ საგანთა არსება ფაქტიურად „შეცნო-ბილი არ არის“ მათ ეპოქაში. კანტი უარყოფს „თავისთავადი საგნების“ სამყაროში შეჭრის ყოველგვარ შესაძლებლობას, ძველი მატერიალიზმი კი თვლის, რომ ჩვენ შევიცნეთ თვით საგ-ნების ობიექტური თვისებანი, რომ თვისებათა გამოვლინე-ბის საშუალებით ვუახლოვდებით მათი არსების გაგებას. მათთვის საგნები თავისთავად მატერიალურია, განუყოფელი და ობიექტურად კანონსომიერია; კანტი კი ცდას, საგანთა მატერიალურობას, მათ ობიექტურ კანონზომიერებას და ა. შ. სუბიექტურ ფორმებად აქცევს. პლეხანოვ-დებორონის პოზიცია ამ საკითხში ჩქმალავს მატერია-ლისტურ და იდეალისტურ შეხედულებათა ძირითად წინააღმდეგო-

ბას. იგი მატერიალიზმს უახლოებს იდეალიზმს, იმის ნაცვლად, რომ მთელი სიმწვავით გამოამეღავნოს მათი დაპირდაპირებულობა.

კანტის მოძღვრება, ისე როგორც ყოველგვარი არამატერიალისტური მოძღვრება, გზას უხსნის რელიგიას. ზღუდავს რა მეცნიერებას მოვლენებით, გზას უსურავს რა გონებას საგნებისაკენ თავისთავად, აშუქდეს რა მას სუბიექტური სამყაროში და უარყოფს რა მის მოთხოვნას იქონიოს შესაძლებლობა ობიექტური სინამდვილის შესახებ, — კანტის ფილოსოფია ადგილს უტოვებს სარწმუნოებას. შემეცნება ნოიცავს მხოლოდ მოვლენებს, „საგნები თავისთავად“ სიათვის ბიუწვდომელია, ის ბისაწვდომია მხოლოდ სარწმუნოებისათვის. ასე წესდება სარწმუნოებისა და ცოდნის თანაცხოვრება. კანტის ფილოსოფია ასაბუთებს იდეურ კომპრომისს მეცნიერებასა და რელიგიას შორის, პროგრესიული ბურჟუაზიის თეორიულ ამოცანებსა და რეაქციულ იდეოლოგიას შორის. კანტიანური დუალიზმი არის შემრიგებლობის, სოციალური კომპრომისის, ლიბერალიზმისა და რეფორმიზმის კლასიკური ფილოსოფია. ეს ახასიათებს კანტიანელობის სოციალურ არსებას და განსაზღვრავს მის შემდგომ როლს კლასობრივ ბრძოლაში.

1848 წლის რევოლუციამ, ისტორიულ სარბიელზე პროლეტარიატის როგორც დამოუკიდებელი ძალის გამოსვლამ განსაკუთრებული კლასობრივი ინტერესებით, კაპიტალიზმის გამტკიცებამ, გერმანიის იმპერიის შექმნამ — ბურჟუაზიას ჩამოაშორა მანამდეც მეტად შედარებითი „რევოლუციურობის“ ყველა ნაშთი და მისი იდეოლოგია რეაქციის გზით წარმართა. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება კანტიანური იდეალიზმის „აღორძინება“ ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში. ნეოკანტიანელობა თვით კანტის ფილოსოფიისაგან განსხვავებით წარმოადგენს მობრუნებას ყოველგვარი ნახევრულობისაგან, ორაზროვნობისაგან, ვულგარულ მატერიალიზმთან გათამაშებისაგან იდეალისტური ფილოსოფიის ყველაზე რეაქციული მხარეებისაკენ. კანტიანელობის „აღდგენა“ მიმართულია განსაზღვრული მხრით, — მან „ბოლო“ უნდა „მოუღოს“ მატერიალიზმს (ლიბმანი, ლანგე, კოჰენი, რიკერტი და სხვ.).

ნეოკანტიანელობა იმდენად განსხვავდება თვით კანტის მოძღვრებისაგან, რამდენადაც განსხვავდებიან ერთიმეორისაგან ბურჟუაზიის ინტერესები მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპაში. ნეოკანტიანელობა წარმოადგენს არა ისტორიული კანტის ნამდვილი დუალისტური მოძღვრების აღდგენას, არამედ მის რეაქციულ გამოცემას, რომელიც მოახდინეს მარჯვნიდან კანტის მოძღვრების „შესწორების“, თანმიმდევრული განვითარების გზით. გაძლიერების პროცესში მყოფ

კლასობრივი ბრძოლის წიხაშე ბურჟუაზიას არ შეეძლო დაკმაყოფილება იმ დროს გაბატონებული წვრილბურჟუაზიული საბუნებისმეტყველო-მეცნიერული მატერიალიზმით. ის მიმართავს კანტის მოძღვრების იდეალისტურ რეაქციულ მხარეს, „აღრმავებს“ და უგუებს მას თავის ახალ ამოცანებს.

ნეოკანტიანელობის ძირითადი განსხვავება ისტორიული კანტისაგან მდგომარეობს კანტის დუალისტური ფილოსოფიის არათანმიმდევრული სუბიექტური იდეალიზმის გადაქცევაში სუბიექტურ იდეალიზმად. მიუხედავად იმისა, რომ ნეოკანტიანელობის სხვადასხვა წარმომადგენლები თავის შეხედულებებში ინარჩუნებენ დუალიზმის მნიშვნელოვან ელემენტებს (ყოფიერებას და რაც უნდა იყოსს შორის, ბუნებასა და ისტორიას, მიზანსა და საშუალებას შორის და ა. შ.), ძირითადში ისინი მაინც „ასწორებენ“ კანტს „მარჯვნიდან“, ცდილობენ აღმოფხვრან მასში ყოველგვარი მატერიალისტური ელემენტი. ნეოკანტიანელები უკუაგდებენ „საგანს თავისთავად“. ისინი უარყოფენ „საგანს თავისთავად“ როგორც ჩვენი შეგრძნებების გამომწვევ მატერიალისტურ ელემენტს კანტის მოძღვრებაში და აცხადებენ ზედმეტ დანამატად, რომელიც განდევნილი უნდა იქნეს ფილოსოფიიდან (გ. კოჰენი, პ. ნატორპი, სოციალ-ფაშისტი მ. ადლერი და სხვ.). „აზროვნებას არ შეიძლება ქონდეს რაიმე წარმოშობა გარდა თავისთავისა“. „არაევითარი საგნები არ არსებობენ სხვაგვარად, თუ არა აზროვნებაში და მისი შემწეობით“ (გ. კოჰენი). ერთადერთი, ნამდვილი „საგანი თავისთავად“ არის თვით ცნობიერება. ამასთანავე არა კონკრეტულ რეალურ ადამიანთა ცნობიერება, არამედ მისტიური „ცნობიერება საზოგადოდ“, ტვინისაგან დამოუკიდებელი (ადლერი). როგორც ფორმა, ისე შინაარსი შემეცნებაში, მთელი „ცდა“ და „ბუნება“ წარმოიდგინება როგორც აზროვნების მიერ თავის თავის და თავისი ობიექტების წარმოშობა (ნატორპი). აზროვნებას არაფერი არა აქვს მიცემული გარდა იმისა, რაც თვით მან წარმოშვა.

ნეოკანტიანელობა, რომელმაც ბოლომდე მიიყვანა იდეალიზმი, უარყოფს კანტის მიერ გატარებულ განსხვავებას „გრძნობადობასა“, შეგრძნებებსა და განსჯას შორის, „მხედველობასა“ და აზროვნებას შორის. თვალსაჩინო წარმოდგენანი, შეგრძნებანი ნეოკანტიანელებს დაჰყავთ აზროვნებამდე, ლოგიკურ „მე“-ს პროდუქტებამდე. თუ კანტის მოძღვრებაში ცდის შინაარსი ცნობიერებას მოცემული აქვს ვის მეოხებით, რომ მასზე ზემოქმედებას ახდენენ „საგნები თავისთავად“, ნეოკანტიანელების მიხედვით ცნობიერებას არაფერი არა აქვს მოცემული და ყველაფერს აზროვნება წარ-

მოშობს. ცხადდება „წმინდა“ აზროვნების „შემოქმედებითი სუფერენობა“ (ნატორპი). ნეოკანტიანელებისათვის ყოფიერება არის მხოლოდ აზროვნება. „სამყარო ეყრდნობა აზროვნების კანონთა საფუძველს“ (კოჰენი). ის არსებობს იმდენად და მხოლოდ მას შემდეგ, რაც გააზრებულია (მ. ადლერი). ამრიგად თავის არსებით, ფილოსოფიის ძირითადი საკითხის გადაჭრით ნეოკანტიანელობა უშუალოდ ხუცობამდე მიდის. ამასთანავე II ინტერნაციონალის ფილოსოფოსები სრულიადაც არ ჩამორჩებიან თავის ბატონებს.

ძირითად მეცნიერულ მეთოდად, რომლის ხატად და მსგავსად ამუშავებენ ნეოკანტიანელები ლოგიკას, მათ მიაჩნიათ მათ მიერ იდეალისტურად დამახინჯებული მათემატიკური ბუნებისმეტყველების მეთოდი. კოჰენი ცდილობს დაემყაროს მის მიერ დამახინჯებულ უსასრულოდ მცირეთა აღრიცხვის მეთოდს, რომელსაც ის აღიარებს ნამდვილი მეცნიერული აზრის უნივერსალურ მეთოდად. ნატორპი „წმინდა რიცხვს“ აღიარებს ლოგიკის ალფად და ომეგად. მისთვის რიცხვი არის „აზროვნების უწმინდესი და უმარტივესი სახე, რომელმაც მეცნიერება დაასაბუთა როგორც ზუსტი“. „წმინდა რიცხვიდან“ ის ახდენს გადასვლას განზომილების და მიმართულების ცნებებზე და აქედან „გამოყავს“ სივრცე და დრო როგორც აზროვნების მიერ წარმოშობილი წმინდა აქტები, ხოლო სივრციდან და დროიდან „გამოყავს“ მატერიის „ცნება“. აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ ნეოკანტიანური იდეალიზმის ამ კავშირს მის მიერ დამახინჯებულ მათემატიკურ მეცნიერებათა პრინციპებთან, რადგან ამ გზით რიცხვის, რაოდენობის და სხვ. ცნებების შემწეობით ნ ე ო კ ა ნ ტ ი ა ნ უ რ ი ი დ ე ა ლ ი ზ მ ი ე თ ა ვ ს ე ბ ა მ ე ქ ა ნ ი ც ი ზ მ ს.

ნეოკანტიანელობა იმით „ასჯორებს“ ცდის ფორმისა და შინაარსის კანტისეულ დუალიზმს, რომ უკუაგდებს ცდის რეალურ შინაარსს, რჩება რა „წმინდა“ ფორმათა და შეფარდებათა სფეროში. ამიერ სინამდვილე ითქვიფება „წმინდა“ ლოგიკურ-მათემატიკურ შეფარდებებში და აზროვნების ცალიერ ფორმებში. ლოგიკური შეფარდება — ნეოკანტიანელობის თანახმად — „განსაზღვრავს“, „ადგენს“ თანაშეფარდებით ელემენტებს, „შეფარდების წევრებს“.

ჩვენ შევჩერდით ნეოკანტიანელობის ერთერთ ძირითად მიმდინარეობაზე, ეგრეთწოდებულ მ ა რ ბ უ რ გ უ ლ სკოლაზე. მეორე, არანაკლებ რეაქციული მიმდინარეობა დაკავშირებულია ვინდელბანდისა და რიკერტის სახელებთან. მათი ფილოსოფიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გათიშვა და საზოგადოებრივ კანონზომიერებათა შესწავლის შეუძლებლობის „დასაბუთება“. აქ მიმდინარეობას, რ ო მ ე ლ ი ც უ ა რ ყ ო ფ ს

კანონზომიერებას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში და მისი მეცნიერული გამოკვლევის შესაძლებლობას, ჩვენ დამატებით შევეხებით ისტორიული მატერიალიზმის განხილვისას.

ბრძოლა კანტიანელობის რეციდივებთან, განსაკუთრებით მის რეაქციულ ნეოკანტიანურ ფორმაში, მისდამი შეურიგებლობა წარმოადგენს, თავისთავად ცხადია, თანამედროვე მატერიალისტების მოვალეობას. მაგრამ თვით პლეხანოვის შრომებშიაც, რომელიც ძირითადად ატარებდა დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფიურ ხაზს და იბრძოდა თავის მენშევიკ მეგობრების ნეოკანტიანელობის წინააღმდეგ, ჩვენ ვპოულობთ არა მარტო დათმობებს კანტიანელობისადმი, არამედ პირდაპირ კანტიანურ შეცდომებსაც. პლეხანოვის შემეცნების თეორია, როგორც ეს შეურყეველი დამაჯერებლობით გვიჩვენა ლენინმა, ატარებს აგნოსტიციზმის ელემენტებს.

ჩვენ დავინახეთ, რომ, კანტის თანახმად, ჩვენი წარმოდგენები არ იძლევა საგანთა სწორ ასახვას. წარმოდგენანი, რომელთაც იწვევენ „საგნები თავისთავად", არ ასახავენ მათ. საგნებსა და მოვლენებს შორის არ არის მსგავსება. პლეხანოვი, ეთანხმება რა „იეროგლიფების თეორიას", დგება კანტის ხსენებულ აგნოსტიკურ პოზიციაზე. ამ თეორიის თანახმად, ჩვენი შეგრძნებანი ისე შეეფარდებიან მათ გამომწვევ საგნებს, როგორც სიმბოლოები ან იეროგლიფები იმ საგნებს, რომელთაც ისინი აღნიშნავენ. სიმბოლოები არ ჰგვანან მათ მიერ აღნიშნულ საგნებს, არ ასახავენ, არ აღადგენენ მათ. ასე სიმბოლო „v" სრულიადაც არ წარმოადგენს მის მიერ აღნიშნული სისწრაფის ასახვას, ან კაუჩი ნოტების ხაზზე სრულიადაც არა გავს იმ ბგერას, რომელსაც ის აღნიშნავს. ამგვარადვე გაზზიარებულია საგანთა თანაშეფარდების და მათ აღქმის იეროგლიფების თეორია. ჩვენს ცდაში მოცემულია საგანთა ნიშნები, სიმბოლოები და არა მათი ასახვა. ცდის სამყარო არის სიმბოლოების სამეფო, იგი სრულიადაც არა ჰგავს მის გამომწვევ ობიექტურ სამყაროს. ნიშნების ამ სამეფოში, რომელიც არ გამოსახავს ნამდვილ სამყაროს, მომწყვდეულია ადამიანის შემეცნება. პლეხანოვი ღრმად გაიმსჭვალა ამ დუალისტური კონცეპციით და თუმცა შემდეგში აღიარა, რომ შეცდომა დაუშვა, დაეთანხმა რა იეროგლიფების თეორიას, მაგრამ თავისი შეცდომის დედა-არსი ვერ გაიგო, ვერ დასძლია. პლეხანოვი ფიქრობდა, რომ ეს იყო მხოლოდ ტერმინოლოგიური შეცდომა, მაშინ როცა ის საქმით ამჟღავნებდა ჩამოშორებას ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მატერიალისტური გადაჭრისაგან. უარყო რა სიტყვა „იეროგლიფები",

ის განაგრძობდა იმ თვალსაზრისზე დგომას, რომ საგნებსა და მოვლენებს შორის ადგილი აქვს უბრალო კავშირს, და არა ცნობიერების მიერ საგნების ასახვას, ე. ი. იმავე აგნოსტიკურ პოზიციაზე დარჩა. თვითეულ სიმბოლოს, მიუთითებს პლეხანოვი, შეესატყვისება საგანი, რომელსაც ის აღნიშნავს, მაგრამ საქმის მთელი არსება იმაშია, რომ პლეხანოვის თანახმად საგანი არ ისახება ცნობიერებაში.

შეტად დამახასიათებელია, რომ მარქსიზმის დამახინჯების ორივე ფორმა — მექანიციზმი და მოშენშევიკო იდეალიზმი პლეხანოვის აგნოსტიკურ შეცდომებს ემხრობა. მექანისტები (სარაბიანოვი, აქსელროდი) ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხში პირდაპირ აცხადებენ, რომ არ ეთანხმებიან ლენინს: ისინი დაჟინებით იცავენ კანტიანურ იეროგლიფურ თეორიას, აღრმავებენ რა პლეხანოვის შეცდომას. ამ საკითხში მომენშევიკო იდეალისტებს იდილიური კავშირი აქვთ მექანისტებთან. დებორინი და ლუპოლი, აღიარებენ რა პლეხანოვის შეცდომას „წმინდა ტერმინოლოგიურ“ შეცდომად, ჩქმალავენ ძირეულ დაშორებას ფილოსოფიის ძირითად საკითხში და კანტიანური აგნოსტიციზმის ადვოკატებად ხდებიან.

თუ პლეხანოვი მორცხვად უშვერდა თითს კანტიანელობას, თანამედროვე სოციალ-ფაშიზმის იდეოლოგებმა მათ მიუძღვნეს ხელიცა და გულიც. კანტიანელობა წარმოადგენს პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გატარების მთავარ ფორმას ფილოსოფიის ხაზით, ის II ინტერნაციონალის ოფიციალურ ფილოსოფიად გადაიქცა.

უკვე თვით სოციალ-ფაშისტების დამოკიდებულება საერთოდ თეორიისადმი და ფილოსოფიისადმი და კერძოდ გაგება მათი როლისა კლასობრივ ბრძოლაში პირდაპირ უპირისპირდება მარქსიზმ-ლენინიზმს. სოციალ-ფაშისტები თეორიას სთიშავენ საზოგადოებრივი პრაქტიკისაგან, ვერ ხედავენ აუცილებელ დამოკიდებულებას მათ შორის. ფილოსოფიურ შეხედულებებს, ისე როგორც რელიგიურ რწმენას, ისინი თვლიან კერძო საქმეთ, განურჩევლად პარტიისა და პოლიტიკური მოღვაწეობისათვის. სოციალ-დემოკრატის პირადი საქმეა ის, თუ რა თეორიულ ბაზას უდებს იგი საფუძვლად თავის პოლიტიკურ პროგრამას. ეს დოქტრინა, რომელიც ძირფესვიანად ეწინააღმდეგება მარქსისტულ მოძღვრებას იდეოლოგიის კლასობრივობის შესახებ, სოციალ-გამცემლებს ესაჭიროებათ მარქსიზმის პირდაპირ შესაცვლელად ბურჟუაზიული იდეოლოგიით. კავშირს სწყვეტენ რა თავის პრაქტიკასა და მარქსისტულ თეორიას შორის, ისინი ანთავისუფლებენ ადგილს ამ რენეგატული პრაქტიკის კავშირისათვის ანტიმარქსისტულ

იდეალისტურ მიმდინარეობებთან, რომლებიც უფრო გამოსადეგია როგორც რენეგატობის და ლაქიობის ფილოსოფიური საფუძველი.

თანამედროვე სოციალ-გამცემლობის მამამთავარმა ე. ბერნშტეინმა ჯერ კიდევ XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე ხელი ჩასვიდა ბურჟუაზიული ფილოსოფიური რეაქციის ლოზუნგს: „უკან კანტისაკენ". მას შემდეგ სოციალ-გამცემლური ფილოსოფიის ლეიტნოტივად გადაიქცა მარქსის „შევსება" კანტით, მისი „შესწორება" ნეოკანტიანელობით, მისი „გაღრმავება" იდეალისტური აპრიორიზმით. მ. ადლერი ცდილობს იდეალისტურად განმარტოს მარქსიზმი, გააბას ხიდი მარქსსა და კანტს შორის „სოციალური აპრიორის" სახით, ე. ი. განსჯის, სოციოლოგიური ფრაზეოლოგიით შელამაზებული, აპრიორული კატეგორიების სახით. ფორლენდერი სოციალიზმს საფუძვლად უდებს კანტიანურ ეთიკურ დასაბუთებას. მას ბაწს აძლევს ბაუერი, რომელიც მარქსიზმს „ამდიდრებს" კანტიანური მორალით და „ნაციონალური აპერცეპციით", ე. ი. ნაციონალურ საკითხს უფარდებს სუბიექტის პირველადობის პრინციპს. სოციალ-ფაშისტური ფილოსოფოსები მარქსისა და ენგელსის დიალექტიკურ მატერიალიზმს აცხადებენ ასი წლით დაძველებულ მოძღვრებად, რომელიც უნდა გაახალგაზრდავდეს კანტის მუდამ ახალგაზრდა მოძღვრებით.

„ოვით" სიბერისაგან დაჩაჩანაკებული საზიზღარი სოციალ-ინტერვენტი კაუტსკი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ასრულებდა „მარქსისტული ორტოდოქსიის დამცველის" როლს II ინტერნაციონალში, არ ჩამორჩება „დროის მოთხოვნას". მისი აზრით კანტისეულ „კრიტიციზმს" შეუძლია მატერიალიზმის უმაღლეს საფეხურზე აყვანა. ის ეთანხმება საგნისა და მოვლენის დუალიზმს და ძირითადათ იღებს კანტის მოძღვრებას „საგნის თავისთავად" შეუცნობლობის შესახებ. ცალკე საგნები და მათი ბუნება, კაუტსკის აზრით, შეუცნობელია. შეიცნობა მხოლოდ ურთიერთობა საგნებს შორის, საგანთა იგივეობა და განსხვავება ურთიერთისაგან. სიმბოლოების იგივეობა ან განსხვავება „გამოხატავს" მათ მიერ აღნიშნული საგნების იგივეობას ან განსხვავებას, მაგრამ, კაუტსკის თანახმად, ის არაფერს არ ამბობს იმის შესახებ, თუ როგორია ჩვენგან დაფარული, სიმბოლოებს იქეთ მყოფი საგნები. განსხვავებანი, რომელთაც ჩვენ შევისწავლით, კაუტსკის მიხედვით, წარმოდგენებს შორის არსებული განსხვავებანია, ე. ი. ისინი სუბიექტურია და მათ არ გამოვყავართ მოვლენათა სფეროდან. თუ კაუტსკი აკრიტიკებს კანტს, არ ეთანხმება მას ზოგიერთ საკითხში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ კანტის მოძღვრება „შეასწოროს" მახის მოძღვრებით, „გააუმჯობესოს" იდეალიზმის ერთი სახე მეორეთი. კაუტსკის ეკლექტიკური ფილოსოფია არის პოზიტი-

ვიზმი, მოძღვრება, რომელიც კმაყოფილდება ცდით ამ უკანასკნელის სუბიექტური იდეალისტური გაგებით. თუ კაუტსკი მაინც განაგრძობს ტერმინ „მატერიალიზმით“ სარგებლობას, ის აძასთანავე კანტსაც მატერიალისტად თვლის, რადგან ის ტერმინი მისთვის წარმოადგენს მხოლოდ იმ ფილოსოფიური მეთოდის სინონიმს, რომელიც „წმინდა ცდის“ ფარგლებში რჩება.

სოციალ-ინტერვენტებს ბაძავენ სოციალ-მაენებლებიც საბჭოთა პირობებში. კაუტსკის და ბაუერს ეთანხმება მენშევიკ რუბინის მაენებლური მეთოდოლოგია, რაც სხვა არა არის რა, თუ არა კონტრრევოლუციური ნეოკანტიანური მოძღვრება, რომელიც შეგუებულია საბჭოთა „ლეგალურ შესაძლებლობების“ გამოყენებისადმი. რუბინის მეცნიერული მოღვაწეობა წარმოადგენდა მთელი მისი კონტრრევოლუციური მუშაობის შემადგენელ ნაწილს. მისი მაენებლური როლი იმაში მდგომარეობდა, რომ საბჭოთა ეკონომიური აზრი ჩამოეშორებია საბჭოთა მშენებლობის არსებით საკითხებისაგან და გადაეტანა დაუსრულებელ სქოლასტურ კამათზე. რუბინის მიზანს, რასაც ის ანხორციელებდა, წარმოადგენდა—არ დაეშვა, რომ ეკონომიურ თეორიას სამსახური გაეწია სოციალისტური ეკონომიკისათვის. საბჭოთა სინამდვილისაგან განდგომის მიზნით რუბინი ემხრობოდა წმინდა ფორმალისტურ ნეოკანტიანურ მეთოდოლოგიას, „იკვლევდა“ „წმინდა“ არამატერიალურ ეკონომიურ ფორმებს, კლასობრივ შინაარსისაგან განყენებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ისტორიულს ნთქავდა ლოგიკური, სოციალური ხდებოდა ფორმალური, კლასობრივი იდეანებოდა. მოკლედ: მარქსიზმი იცვლებოდა ნეოკანტიანელობით, რევოლუციური მეთოდოგია— კონტრრევოლუციურით.

V. ჰეგელის აბსოლუტური, ობიექტური იდეალიზმი და თანამედროვე ნეოჰეგელიანელობა

თავისი დაგვირგვინება გერმანულმა კლასიკურმა იდეალიზმმა ჰპოვა ფილოსოფიაში; მისი მოძღვრება ფილოსოფიური აზრის უმაღლესი მწვერვალია, სადამდეც კი შეეძლო ასვლა ბურჟუაზიულ-იდეალისტურ აზროვნებას.

ჰეგელის მოძღვრება წარმოადგენს საფრანგეთის რევოლუციის მიერ აღძრულ იდეების შემდგომი განვითარების ასახვას გერმანიის პირობებში, ბურჟუაზიის ჩამორჩენილი განვითარებისა და განუვითარებელი კლასობრივი ბრძოლის პირობებში. რაც უფრო მეტად დაშორებული იყო მაშინდელი პრუსიის სინამდვილე საფრანგეთის რე-

ვოლუციის მაღალფარდოვან იდეებისაგან, მით უფრო მონახიბლავი იყო იდეალები, მით უფრო მეტად აღაფრთოვანებდენ ისინი გერმანელი იდეალისტების ფილოსოფიურ აზრს. ფილოსოფიის ზეციურ სიმაღლეში ისინი ჩადიოდენ ისეთ დიდ გმირობას, რომელთა შესრულება მიწიერ სინამდვილეში არ შეეძლოთ. თუ კანტს გონების სამეფო ჯერ კიდევ წარმოდგენილი აქვს იმის სამეფოდ, რაც უნდა იყოს, ჰეგელისათვის ის უკვე აუცილებელი ხდება. ის ღრმად არის დარწმუნებული სინამდვილეა გონიერებაში, გონების გარდუვალ გამარჯვებაში. მაგრამ მაშინ როცა საფრანგეთის ნატერიალისტებისათვის გონება მტრულად იყო განწყობილი სარწმუნოებისადმი. და შეუთავსებელი იყო რელიგიასთან, ჰეგელისათვის რელიგია სულის განვითარების უმაღლესი საფეხურია, გონება მხოლოდ სწმენდს რელიგიას და აჰყავს იგი ფილოსოფიურ სიმაღლეზე.

ჰეგელის ფილოსოფია ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქის პროდუქტია. ის არის XVIII საუკუნის დამლევის და XIX საუკუნის პირველი მეოთხედის კლასობრივი ბრძოლის ასახვა იდეოლოგიურ სფეროში. ჰეგელის ფილოსოფია საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეპოქის პროდუქტია. მარქსი, როდესაც კანტის ფილოსოფიას ახასიათებდა, მიუთითებდა, რომ იგი იყო „საფრანგეთის რევოლუციის გერმანული თეორია." ეს დახასიათება ერთგვარი უფლებით შეიძლება გავრცელდეს ჰეგელის ფილოსოფიაზედაც. უეჭველად წარმოადგენდა რა ბურჟუაზიული რევოლუციის მთელი ეპოქის პროდუქტს XVIII და XIX საუკუნეების მიჯნაზე, იგი ამასთანავე გერმანიის პირობების, ამ პერიოდის გერმანიის კლასობრივ ურთიერთობათა პროდუქტიც იყო. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ჰეგელის ფილოსოფიის წინააღმდეგობანი, წინააღმდეგობანი მისი ფილოსოფიის რეაქციულ და რევოლუციურ მხარეს შორის, მეთოდსა და სისტემას შორის.

ჰეგელმა ბრწყინვალეთ გააკრიტიკა კანტის ფილოსოფია. იდეალისტური პოზიციებისათვის მისაწვდომი მთელი გამჭრიახობით, მან გამოააშკარავა კანტის დუალიზმისა და სუბიექტივიზმის არასრულქმნილება. მაგრამ ჰეგელი ამ კრიტიკას, რომელიც ღრმათ სცემს მახვილს კანტიანელობას, აწარმოებს უფრო თანმიმდევრული და ღრმა იდეალიზმის გულისათვის, ობიექტური, დიალექტიური იდეალიზმის გულისათვის.

ყოფიერებისა და აზროვნების კანტისეულ გათიშვას ჰეგელი უპირდაპირებს მათ იგივეობას. კანტი ყოფიერებას მიჯნავს აზროვნებისაგან. ჰეგელი ობიექტურ ქვეყნიერებას, სამყაროს, რომლის მხოლოდ ნაწილსაც წარმოადგენს ადამიანი და ცნობი-

ერება, აქცევს სულიერ პროცესად, მსოფლიო გონების განხორციელებად. ჰეგელისათვის სამყაროს გამოსაყალ საწყისს, პირველად არსებას წარმოადგენს ობიექტურად არსებული სული, მსოფლიო გონება, საყოველთაო, სამყაროსეული აზროვნება.

სამყაროს განვითარება—გონიერი განვითარებაა, რომელიც გონების კანონების, ლოგიკური კანონების მიხედვით სწარმოებს. სამყაროს ევოლუცია მსოფლიო გონების ლოგიკური განვითარებაა. მსოფლიო გონების ლოგიკაში უნდა ვეძიოთ ყოველივე იმის ახსნა, რაც ხდება, მასშია ჩამარხული ყოველივე იმის დასაწყისი და მიზეზი, რაც ხდება. ბუნებისა და საზოგადოების ისტორია არსებითად სხვა არა არის რა, თუ არა მუდმივი, აბსოლუტური სულის თვითგანვითარების, თვითმოძრაობის სხვადაყოფა მისთვის დამახასიათებელი ლოგიკური პრინციპების ბიხედვით. ყველაფერი, რაც სამყაროში ხდება, სხვა არა არის რა, თუ არა გონების გამოვლენა, ქვეყნიერების ისტორია წარმოადგენს აბსოლუტური იდეის განვითარების სხვადასხვა ეტაპებს, საფეხურებს, სამყაროსეულ ლოგიკას. უკანასკნელი არ არის ჩვენს შემეცნებაზე ან შეგრძნებაზე დამოკიდებული. დასაშვებია მსოფლიო გონების არსებობის ისეთი სტადია, როცა არ არსებობდენ ადამიანები და საერთოდ რაიმე შემცნობი არსებანი. პირიქით, შემცნობ ადამიანების წარმოშობა ახასიათებს მსოფლიო სულის განვითარების მაღალ საფეხურს. სამყარო არ არის ჩვენი ქმნილება, არამედ პირიქით, ჩვენ, ყოველივე არსებულის მსგავსად, წარმოვადგენთ მსოფლიო სულის, ბისი თვითგანვითარების განხორციელებას.

ნამდვილია მხოლოდ სულიერი. ბუნება, საგნები, მატერიალური სამყარო სხვა არა არის რა, თუ არა მსოფლიო გონების განხორციელების გამოვლენა, აბსოლუტური იდეის ერთერთი განხორციელება. ამ თავის განხორციელებაში სული იქცევა რაღაც დაპირდაპირებულად თავის საკუთარი ბუნებისადმი, იგი ხორციელდება არაგონიერი მატერიის ფორმაში, მრავალ საგანთა სახით. ჰეგელის გამოთქმით, ბუნება არის სულის სხვადაყოფნა, მისი სხვაგვარი ყოფიერება „გულვრილი გარეგანი საგნობრივობის ფორმით... ბუნების ქმნადობა არის მისი სულად ქმნადობა". „ბუნება უნდა განვიხილოთ როგორც საფეხურების სისტემა, რომელთაგანაც თვითეული აუცილებლობით გამომდინარეობს მეორისაგან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თვითეული მათგანი ბუნებრივად წარმოშობილია მეორის მიერ. მათი ასეთი თანმიმდევრობა არსებობს მხოლოდ შინაგან იდეაში, რომელიც საფუძვლად უდევს ბუნებას" [1]. ამ სიტყვებში სრული გარკვევით არის

[1] ჰეგელი, Философская пропедевтика, გვ. 163-164. 1927 წ.

გამოხატული აბსოლუტური იდეის ობიექტური რეალობის აღიარება ჰეგელის მიერ. აქრიგად ჰეგელი ამტკიცებს სულის, აზროვნების პირველადობას, რომელიც შეადგენს თვით ობიექტურობის საფუძველს, არსებას. სუბიექტური სული, „მე" კი მას ესმის როგორც წარმოებული, მეორადი, მაგრამ წარმოებული მსოფლიო სულისაგან — აბსოლუტური, საყოველთაო სულისაგან. სუბიექტივიზმს ჰეგელი უარყოფს ობიექტური იდეალიზმის ნიადაგზე. როგორც ჩვენ დავინახეთ, ბუნებაში მოხდა სულის განდგომა თავის თავისაგან, სული განხორციელდა საგნებში.

მისი მოძრაობის შემუგომ საფეხურს წარმოადგენს ბუნების პირუკუ ქცევა სულად, სულის თავისადმი დაბრუნება სუბიექტური სულის, თვითშეგნების ფორმით.

რას წარმოადგენს ამ თვალსაზრისით მეცნიერება? შემეცნება არის სულის მოქმედება, გამოვლენა. ხოლო საგანი, შემეცნების ობიექტი არის იგივე სული მის გამოვლენათა მთელ მრავალსახეობაში, ბუნების ჩართვით. ამრიგად მეცნიერებაში ხდება სულის მიერ თავისივე შემეცნება, თვითშეგნება. შემეცნობი სუბიექტი როგორც სულის ერთერთი გამოვლენა შეიცნობს თავის არსებას მის ყოველგვარ გამოვლენაში. აქ სული შეიცნობს თავისთავს, თავის პრინციპებს, კანონებს, თავის ისტორიას. „სული, რომელმაც იცის თავის თავი განვითარებაში როგორც სულისა, არის მეცნიერება. იგი მისი მოქმედებაა და სამეფოა, რომელსაც იგი ქმნის თავისთვის თავის საკუთარ სფეროში" [1]. ხელოვნებისა ან რელიგიისაგან მეცნიერება იმით განსხვავდება, რომ აქ სულის შეცნობა ხდება არა სახეებში ან გრძნობებში, არამედ ცნებებში. „ჰეგელის სიტყვით, — მეცნერება არის ცნებებში შემეცნობი შემეცნება აბსოლუტური სულისა" [2]. ხოლო რადგან მეცნიერული შემეცნება არის ლოგიკური პროცესი, ხოლო ის, რაც შეიცნობა, ე. ი. სინამდვილე, სამყაროს ისტორია არის აგრეთვე ლოგიკური პროცესი, ამიტომ „ცოდნა არის ცნება, რომელსაც საგნად აქვს თავის თავი და შეიცნობს თავის თავს". შემეცნებისამ იგივეობაში თავის საგანთან, იმ გარემოებაში, რომ მეცნიერებაში სული თავის საკუთარ სფეროში რჩება, ჰეგელი ხედავს ჩვენს ეპოქის სინამდვილის სწორი შემეცნების გარანტიას. სული შეიცნობს არა რაიმე უცხოს, მისთვის მიუწვდომელს, არამედ თავისთავს, თავის საკუთარ კანონებს იმ სახით, როგორიც ისინი არიან სინამდვილეში. ბუნებისა და საზოგადოების ისტორიის გაგება, მისი მამოძრავებელი ძალების შეცნობა — ნიშნავს შეიცნო იმ აბსოლუტური იდეის თვითგანვითარე-

[1] ჰეგელი, Феноменология духа, გვ. 11. 1913 წ.
[2] ჰეგელი, Философская пропедевтика, გვ. 11.

ბის ლოგიკური პროცესი, რომელიც მას საფუძვლად უდევს. ლოგიკა — მეცნიერებათა მეცნიერებაა. ქვეყნიერების ისტორია გაგებული უნდა იქნეს როგორც მსოფლიო გონების ლ ო გ ი კ ა. ჰეგელის ფილოსოფიური მოძღვრების სახით სულმა შეიცნო თავი, ნახელყო თავისი განვითარება და მისი პრინციპები.

ამით სრულდება აბსოლუტური იდეის თვითგანვითარება.

ჰეგელის მსოფლიო გონება უეჭველად ემსგავსება უფალ ღმერთს, მეტად იდეალიზირებულ, დემატერიალიზირებულ ღმერთს. ჰეგელის მიერ ყოფიერებისა და აზროვნების პრობლემის იდეალისტური გადაჭრა არსებითად მეცნიერებისდაგვარ ღვთისმეტყველებას წარმოადგენს. თვით ჰეგელი სრულიადაც არ ფარავს, რომ მისი ფილოსოფია სულის უმაღლესი ეტაპია, რომელიც უშუალოდ მიჰყვება რელიგიას და აჭყავს იგი სრულქმნადობის საფეხურზე.

ნამდვილად კი აბსოლუტური სულის, მსოფლიო გონების დაშვება, ობიექტური ქვეყნიერებისათვის სუბიექტის თვისებების მიწერა სხვას არას წარმოადგენს, თუ არა ბუნების გაადამიანებას. ობიექტური იდეალიზმი სხვა არა არის რა, თუ არა ადამიანის ცნობიერების პროექცია, გ ა რ ე გადატანა. აქ ადამიანის თვისება — აზროვნება — გადაქცეულია დამოუკიდებელ მსოფლიო არსებად და იღებს დამოუკიდებელ არსებობას ადამიანის გარეშე.

ობიექტური იდეალიზმი თ ა ვ დ ა ყ ი რ ა აყენებს ნამდვილ ურთიერთობას ყოფიერებასა და აზროვნებას შორის. გონება, წარმოშობილი ცოცხალ არსებათა ხანგრძლივი განვითარების შედეგად, სწყდება თავის ბაზას და წარმოდგენილია როგორც პირველრეალური, ობიექტური იდეალიზმი ცდილობს შეიჭრას სულიერ სამყაროში, რომელიც თითქოს მის ბილვადობის იქეთ იმალება. მისთვის მატერიალური სამყარო — ბისტია, რომლიდანაც შემეცნება უნდა შეიჭრას ჭეშმარიტი რეალობის სამყაროში, სულის სამეფოში. ნამდვილად კი ობიექტური იდეალიზმი საგანთა მიღმა პოულობს იმას, რაც თვითონ მან მოათავსა იქ, — აბსოლუტად გადაქცეულ ადამიანურ ცნობიერებას. ჰეგელის იდეალიზმი რეალურ სამყაროს სულიერ გარსში ხვევს და ამის გამო იგი ბუნებას ითვისებს ნისლოვან მისტიურ გარსში. მარქსსა და ენგელსს უნდა მოეშორებიათ სამყაროსათვის ეს ბისტიური გარსი, რომ იგი ისეთად ეხილათ, როგორიც ის სინამდვილეშია.

ა რ ს ე ბ ი თ ა დ ჰ ე გ ე ლ ი ს რ უ ლ ი ა დ ა ც ა რ ს ჭ რ ი ს ყ ო ფ ი ე რ ებ ი ს ა დ ა ა ზ რ ო ვ ნ ებ ი ს პ რ ო ბ ლ ე მ ას. თუ კანტი პრობლემას იმით „იცილებს", რომ ყოფიერებასა და აზროვნებას ორ სხვადასხვა ურთიერთ-შეუვალ სამყაროში ათავსებს, ჰეგელი ყოფიერებისა და აზროვნების ობიექტურ-ი დ ე ა ლ ი ს ტ ურ ი იგივე-

ობით უკუაგდებს ერთიერთ ზოგად საწყისს და ტოვებს მხოლოდ აზროვნებას, რომელსაც ის აასოლუტად აქცევს.

მიუხედავად ამისა ჰეგელის ფილოსოფიის შეფასებისას არ შეიძლება მისი ისტორიული მნიშვნელობის დამცირება. "რეაქციულ მისტიურ ფორმაში ჰეგელის ფილოსოფიამ „მთელი ბუნებრივი, ისტორიული და სულიერი სამყარო პირველად გამოსახა როგორც პროცესი, ე. ი. გამოიკვლია იგი მუდმივ მოძრაობასა, ცვალებადობასა, გარდაქმნასა და განვითარებაში და შეეცადა ამ მოძრაობისა და განვითარების ურთიერთი შინაგანი კავშირი გამოემჟღავნებია" [1]. ჰეგელის მოძღვრება წარმოადგენს დიალექტიკურ იდეალიზმს. ანვითარებდა რა დიალექტიკურ ტენდენციებს, რომლებიც უკვე მოეპოვებოდათ გერმანული კლასიკური ფილოსოფიის წინამორბედ წარმომადგენელთ, ჰეგელმა თავისი დიალექტიკური ლოგიკური მოძღვრების მისტიფიცირებულ ფორმაში გამოსახა ბუნების, საზოგადოების და ადამიანის აზრის წინააღმდეგური განვითარება. მან დამახინჯებულ იდეალისტურ ფორმაში დასძლია მეტაფიზიკა, რომელიც XVII და XVIII საუკუნეების ფილოსოფოსთა და ბუნებისმეტყველთა აზროვნებაზე ბატონობდა.

მაგრამ ჰეგელის მოძღვრებაში იდეალიზმი არ წარმოადგენს რაღაც ისეთ განურჩეველს დიალექტიკური მეთოდის მიმართ, რომელიც მას არ ეხება. ჰეგელის იდეალისტურ სისტემაში თვით მისი იდეალისტური მეთოდი თავდაყირა დგას, შეზღუდული და დაჩლუნგებულია, იგი იდეალისტური დიალექტიკაა.

ჰეგელის დიალექტიკა იდეალისტური დიალექტიკაა. თვითგანვითარებას და მის მამოძრავებელ წინააღმდეგობებს აქვთ არა მატერიალური, არამედ სულიერი ხასიათი, მოძრაობის კატეგორიები და ფორმები დაკავშირებული არიან იდეალურ-ლოგიკური, ძალიან ხშირად გამონაგონი, ხელოვნური კავშირით. ჰეგელის მოძღვრებაში ისტორიული დამოკიდებულია ლოგიკურისაგან, ისტორია ილახება ლოგიკის სასარგებლოდ, იგი იქცევა მხოლოდ გამოყენებით ლოგიკად.

მაშინ როცა მატერიალისტური დიალექტიკა, რომელიც ამტკიცებს საყოველთაო ცვალებადობას, და ამიტომ არსებული წყობილების მოსპობის აუცილებლობასაც, წარმოადგენს რევოლუციურ მეთოდოლოგიას, აბსოლუტურ სისტემას და იდეალისტურ დიალექტიკას ჰეგელი მიყავდა პრუსიის მონარქიის გამართლებამდე.

---

[1] ენგელსი, ანტი-დიურინგი, ვვ. 7.

ჰეგელის დიალექტიკური იდეალიზმი მოასწავებდა არა მარტო გერმანული კლასიკური იდეალიზმის, არამედ აგრეთვე მთელი ბურჟუაზიული ფილოსოფიის დასრულებას. ხოლო ამჟამად წარმოებული ჰეგელიანელობის აღდგენა წარმოადგენს მხოლოდ „განმეორებით კურსს“, ჰეგელის მკვდარი იდეალიზმის გაცოცხლებას, იდეალისტურ ნაღეჭთა განმეორებას. ამასთანავე იფიტება ყოველივე ის, რაც კი პროგრესიული იყო ამ გაცოცხლებულ მოძღვრებაში, და ღრმავდება ყოველივე, რაც კი მასში რეაქციული იყო.

ფაშისტური ნეოჰეგელიანელობის თანამედროვე წარმომადგენლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სახელმწიფოს, ერის საკითხებს. ეს თეორეტიკოსები ჰეგელის „ისტორიის ფილოსოფიას“ და განსაკუთრებით „სამართლის ფილოსოფიას“ იმისათვის იყენებენ, რომ თეორიული საძირკველი ჩაუყარონ ფაშისტურ სახელმწიფოს. ჰეგელი ხდება ავტორიტარულ, კორპორატიულ სახელმწიფოს და სხვ. თანამედროვე ფაშისტური თეორიების მამად.

ბურჟუაზიულმა ფილოსოფიურმა აზრმა ორჯერ გააკეთა მოძრაობა კანტიდან ჰეგელისაკენ. მაგრამ პირველად ეს იყო განვითარების გზაზე მდგომ იდეალიზმის ტრიუმფალური მსვლელობა, მეორედ—მისი საბოლოო გადაგვარება. ლპობადი კაპიტალიზმის უნაყოფო აზრს არა აქვს უნარი წინ წაიყვანოს იდეალისტური ფილოსოფიაც კი. იმპერიალისტური ფილოსოფია იკვებება ყველაფრით, რაც კი მკვდარი რამ ქონდათ ბურჟუაზიული რევოლუციის დროის დიდ იდეალისტებს, მათი იდეალიზმის ხრწნის პროდუქტებით. იმპერიალიზმის იდეოლოგებს, რომლებიც უკანასკნელ ზღვართან დგანან, უკვე აღარ აკმაყოფილებთ ნეოკანტიანელობა. უკანასკნელი წლები, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფაშიზაციის წლები ხასიათდება ნეოკანტიანელობიდან ნეოჰეგელიანელობაზე გადასვლით, რომელიც არის უბოროტესი რეაქციის ფილოსოფია, ფაშიზმის ფილოსოფიური გამოხატულება.

იმპერიალიზმის ეპოქას, როდესაც ბურჟუაზიის რეაქციულობა უკიდურეს საფეხურს აღწევს, ფილოსოფიის დარგში თან ახლავს ბურჟუაზიული იდეოლოგების გადამწყვეტი მობრუნება დასრულებულ-მეტაფიზიკურ დამისტიურ სისტემებისაკენ. იმპერიალისტური რეაქციის იდეოლოგებს არ აკმაყოფილებთ ნახევრული, კომპრომისული მოძღვრებანი.

ბურჟუაზიული ფილოსოფია ატარებს სიბნელის ყველაზე უხეშ ფორმებს, აცოცხლებს ყველაფერს, რაც კი ყველაზე რეაქციული იყო იდეალიზმის ისტორიაში.

უკანასკნელ წლებში, კაპიტალისტური საზოგადოების საყოველთაო კრიზისის ყოველმხრივი გაძლიერებისა და გაღრმავების და რევოლუციური კრიზისის ელემენტების ზრდის წლებში, ბურჟუაზიული ფილოსოფია განსაკუთრებული სიძლიერით მიმართავს ჰეგელის ფილოსოფიას. ბურჟუაზიის მიერ ცილწამებული და დავიწყებული ჰეგელი კვლავ მოდური ფილოსოფოსი გახდა. ნეოჰეგელიანელობამ თვალსაჩინო ადგილი დაიკავა თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში. ნეოკანტიანელები, „სიცოცხლისა" და „კულტურის" ფილოსოფოსები, გუსერლის მიმდევრები და სხვ.—სულ უფრო მეტად იხრებიან ნეოჰეგელიანელობისაკენ, რომელიც თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის რეაქციულ მისწრაფებათა ფოკუსი ხდება.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ნეოჰეგელიანელობა წარმოადგენს ისტორიული ჰეგელის ფილოსოფიური მოძღვრების სრულ და პირდაპირ აღდგენას. სრულიადაც არა. ნეოჰეგელიანელებისათვის უცხო და მტრულია ჰეგელის დიალექტიკის რევოლუციური ტენდენციები, ისინი უკუაგდებენ მისი მოძღვრების რაციონალურ გულს, იმ ჭეშმარიტად ღირებულ ელემენტებს, რომელთაც მისტიფიცირებული ფორმით შეიცავს ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკა. ნეოჰეგელიანელობა ებღაუჭება მხოლოდ იმას, რაც კი ჰეგელს მკვდარი, რეაქციული, მისტიური აქვს, მისი იდეალისტური სისტემის ქერქს, ნაგავს, აბსოლუტურ იდეას—ღმერთს. თანამედროვე ბურჟუაზიას აბსოლუტური იდეალიზმი ხიბლავს. ნეოჰეგელიანელობა ჰეგელის მოძღვრების რეაქციულ ელემენტებს აზვიადებს, ბერავს მათ, უკიდურეს საზღვრამდე მიჰყავს ჰეგელის სისტემაში არსებული ხუცობა.

ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ნეოჰეგელიანელობის ბელადის, საერთაშორისო ჰეგელიანური კავშირის თავმჯდომარის რ. კრონერის შეხედულებანი. კრონერი ყოველნაირად ამტკიცებს ჰეგელიანელობის ირაციონალისტურ ხასიათს, ე. ი. ჰეგელის მიერ გონებრივი შემეცნების უარყოფას. ის ჰეგელის დიალექტიკაში პოულობს ირაციონალიზმის უმაღლეს ფორმას. „ჰეგელამდე,—წერს იგი,—ჯერ არასოდეს არ ყოფილა ირაციონალისტი, რომელიც ასეთი ყოფილიყოს იმდენად ფილოსოფიურად, იმდენად მოაზროვნულად, იმდენად მეცნიერულად, როგორც იგი... ჰეგელი უეჭველად უდიდესი ირაციონალისტია, როგორიც კი იცის ფილოსოფიის ისტორიამ. მანამდე ვერც ერთმა მოაზროვნემ ვერ შესძლო მოეხდინა ცნების ისეთი ირაციონალიზირება, იმდენად გაეშუქებია უირაციონალურესი ცნების საშუალებით, როგორც მან..." „ჰეგელი ირაციონალისტია, ვინაიდან ის დიალექტიკოსია, ვინაიდან დიალექტიკა მეთოდად ქცეული, რა-

ციონალიზმად ქცეული ირაციონალიზმია, — ვინაიდან დიალექტიკური აზროვნება არის რაციონალურ-ირაციონალური აზროვნება. ჰეგელის ფილოსოფიას „რაციონალურ მისტიკას“ უწოდებდენ, რაც ნამდვილად აღნიშნავს მის ორმაგ ხასიათს“ [1]. მისტიციზმი, არაგონიერება, ირაციონალიზმი — აი რა ხიბლავს ნეოჰეგელიანელებს.

საკვლევით გასაგებია, რომ მარქსიზმს არ შეუძლია გვერდი აუაროს ჰეგელისაკენ ამ მობრუნებას. ნეოჰეგელიანელობა გამოდის როგორც რევოლუციური მატერიალისტური დიალექტიკის უბოროტესი რეაქციული ანტიპოდი. ჩვენ ვალდებული ვართ გამოვამჟღავნოთ ნეოჰეგელიანური ფილოსოფიის ქეშმარიტი სახე, ვამსილოთ მისი კლასობრივი ბუნება, მისი არქირეაქციული ხუცური არსება, ჩამოვგლიჯოთ ფრაზეოლოგიური სამოსელი მტრის იდეოლოგიას. ჩვენ ვალდებული ვართ გამოვამჟღავნოთ ნეოჰეგელიანელობის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე კლასთა ბრძოლაში, მისი მტრულობა პროლეტარიატის ინტერესებისადმი. ეს ჩვენ მით უფრო უნდა მოვიმოქმედოთ, რომ ბურჟუაზიის მთავარი დასაყრდენი — სოციალ-ფაშისტები არ ჩამორჩებიან თავის პატრონებს და ჩქარობენ სხვაგვარად ააწყონ თავისი ფილოსოფიური ქნარი ნეოჰეგელიანურ ყაიდაზე. ზ. მარკი, გ. მარკუზე, კ. კორში და მათი მსგავსნი ცდილობენ არ ჩამორჩენ ბურჟუაზიის ფილოსოფიურ ევოლუციას. ისინი ცდილობენ გაავრცელონ მუშათა კლასის რიგებში ნეოჰეგელიანელობის შხამიანი ფილოსოფიური „იდეები“.

შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვე ბურჟუაზიამ, რომელიც ეძებდა თავისი ფილოსოფიისათვის დასრულებულ იდეალისტურ წინასახეობას, მიმართა დიალექტიკურ იდეალიზმს. მას ჰეგელისაკენ, უფრო მეტად, ვიდრე სხვა იდეალისტებისაკენ, იზიდავს მისი იდეალისტური დიალექტიკა, რომელსაც თანამედროვე რეაქციონერები სრულიად ამახინჯებენ და ამ სახით იყენებენ როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგიურ იარაღს მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური მატერიალისტური დიალექტიკის წინააღმდეგ.

თანამედროვე ბურჟუაზიის იდეოლოგების იდეალისტური დიალექტიკით გატაცების მიზეზი ფესვგადგმულია იმ ეტაპის ხასიათში, რომელსაც თანამედროვე კაპიტალიზმი განიცდის. უმკაცრესი კრიზისი, უღრმესი კლასობრივი წინააღმდეგობანი, კაპიტალიზმის უკიდურესი უმყარობა, მთელი ბურჟუაზიული კულტურის დაბლა, ბურჟუაზიული მეცნიერების კრიზისი, „უაღრესად მტკივნეული დისონანსები და თითქმის გადაუჭრელი ანტინომიები, რომლებიც თან ახლავენ სინამდვილეს“, — აი რა შეადგენს ჰეგელისადმი მობრუნების ფესვს. „საკმარისია გა-

[1] R. Kroner, Von Kant bis Hegel, Bd. II, S. 271—272.

დავხედოთ,—ჩვენის მოჰეგელიანო გუსერლიანელი ტ. ლიტი,—გარეშე პირობებს, რომლითაც შეზღუდულია ჩვენი ხალხის ყოფიერება ჯანუსაზღვრულ დროისათვის, ან მივმართოთ ტომთა, წოდებათა, კლასთა შინაგან დანაწილებას, ან და წამოვაყენოთ კითხვა იმ პოლიტიკურ, ზნეობრივ, რელიგიურ რწმენათა შესახებ, რომლებიც მის წიაღში იმალებიან,—ყველგან სუფევს მძიმე ბრძოლა, შევიწროების დაძაბულობა, ყველგან შეურიგებელი ელემენტების აღრევა და დრტვინვაა, ყველგან შეჯახებებია, — უბრალო არსებობისათვის პოძოლის უფრო უხეშ, თუ უფრო მაღალ ფორმებში, მაგრამ ამის მეოხებით მსოფლმხედველობათა კონფლიქტების არა უფრო რბილ ფორმებში,—მოკლედ, ერთის შეხედვით ადგილი აქვს მრავალფეროვანი მოძრაობის არევ-დარევას, სადაც ყველანი ყველას წინააღმდეგ მეგობრად მოსჩანან... ამ სასტიკ სამყაროში არ არის ადგილი ჰუმანიურობის იდეის ჰარმონიის რწმენისათვის“ [1].

ლპობადი კაპიტალიზმის, კაპიტალისტური სისტემის იმ უსასტიკესი კრიზისის ნიადაგზე, რომელიც მეოცე საუკუნეში ბურჟუაზიული კულტურის დაშლაში, წარმოიშობა ნეოჰეგელიანელობის მისტიური დიალექტიკა. დაჰკარგა რა სიმყარე გამოუვალ კრიზისსა და „ტრაგიკულ და გიგანტურ წინააღმდეგობებში“ (ა. ლიბერტი), ბურჟუაზიული ფილოსოფია ცდილობს მიაღწიოს თვითშეგნებას იდეალისტურ, მისტიურ მოძღვრებებში ლოგიკური კატეგორიების, სულიერ არსებათა მოძრაობისა და წინააღმდეგობების შესახებ.

ამასთანავე ჩვენ ვაჩვენეთ ნეოჰეგელიანელობის ორ უმნიშვნელოვანეს სახესხვაობას, რომლებიც წარმოადგენენ კაპიტალიზმის ლპობისა და კრიზისის ერთიდაიგივე პროცესის ორი სხვადასხვაგვარი მხარის იდეალისტურ გამოსახულებას: უპერსპექტივო სასოწარკვეთის ფილოსოფიას და გაშიშვლებული ფაშისტური „ქმედობის“ ფილოსოფიას. დასახელებულ მიმდინარეობათაგან პირველი სხვას არას წარმოადგენს, თუ არა იმ თემის ვარიაციებს, რომელიც ყველაზე მკაფიოდ გამოხატა შპენგლერმა, კაპიტალისტური ევროპის დასასრულისა და ბურჟუაზიული კულტურის დაღუპვის მოაღადებელმა და ამასთანავე ფაშიზმის და „ფაშისტური კულტურის“ მეხოტბემ, ბურჟუაზიული დემოკრატიის, ლიბერალიზმის, პაციფიზმის და სხვა „ღირებულებათა“ კრიტიკოსმა, რომელთაც დაჰკარგეს თავისი მნიშვნელობა ფაშიზაციის გზაზე მდგომ ბურჟუაზიისათვის.

შპენგლერის მიერ გამოხატული ვანწყობილებანი ფართოდ არის გავრცელებული თანამედროვე ბურჟუაზიული ინტელიგენციის წრეში.

[1] Th. Litt, Die Philosophie der Gegenswart, II Aufl., S. 74—75.

თანამედროვე ბურჟუაზიის უიმედობის კავშირი ჰეგელიანელობისადმი მობრუნებასთან „მეტად მკაფიოდ არის გამოხატული ა. ლიბერტის იდეალისტურ „ტრაგიკულ დიალექტიკაში“. მას, ისე როგორც ი. კონს, დიალექტიკური წინააღმდეგობანი ესმის როგორც ენტინომიები, ე. ი. როგორც გადაუჭრელი წინააღმდეგობანი, აბსოლუტური, მუდმივი, დაუძლეველი დაპირდაპირებულებანი და განხეთქილებანი. აქ „დიალექტიკა“ ნათლად გამოხატავს ქაოსიდან გამოუვალობის გრძნობას, წყვდიადის გრძნობას.

როგორი სიმპტომატიურიც არ უნდა იყოს დახასიათებული მიმდინარეობა, მიუხედავად ამისა ის მაინც არ არის გაბატონებული ნეოჰეგელიანელობაში. მაშინ როცა „ტრაგიკული დიალექტიკა“ თანამედროვე ნეოჰეგელიანელობაში გამოხატავს უმთავრესად კაპიტალიზმის ლპობის, დაშლის მომენტს, ნეოჰეგელიანელობის გაბატონებული ფორმა, როგელ ხედაც ჩვენ ახლა გადავალთ, პირველ ადგილზე აყენებს ნიადაგის დამკარგველი ბურჟუაზიის შეტევით ტენდენციებს. ეს არის ფაშისტურ თავზეხელაღებულთა მებრძოლი ნეოჰეგელიანელობა, ფილოსოფია რეაქციული ბურჟუაზიის უმკაცრესი ბრძოლისა რევოლუციური პროლეტარიატის დათრგუნვისათვის, თავისი ბატონობის შენარჩუნებისათვის რათაც არ უნდა დაჯდეს ეს და როგორი საშუალებითაც არ უნდა იყოს, მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკების ფილოსოფია.

ბურჟუაზიული დემოკრატიის ფაშიზაციის არსებობას წარმოადგენს „ბურჟუაზიული დიქტატურის მიერ მშრომელთა დათრგუნვის აშკარა ფორმებზე გადასვლის პროცესი“ [1]. „ფაშიზმში მთავარი—ეს არის აშკარა მისი შეტევა მუშათა კლასის წინააღმდეგ ძალდატანების და იძულების ყველა მეთოდებით, ეს არის სამოქალაქო ომი მშრომელთა წინააღმდეგ“ [2].

ფაშიზმის როგორც მონოპოლისტური კაპიტალის დიქტატურის არსების მართებულად გაგებისათვის აუცილებელია მასში ორი მხარის ურთიერთში შეჭრის გარკვევა. პირველი, ფაშიზმი (და მისი შესატყვისი იდეოლოგია) უნდა გავიგოთ როგორც ლპობადი, გამოუვალი კრიზისით შეპყრობილი იმპერიალიზმის მიერ წარმოშობილი. „ახლანდელ ისტორიულ პირობებში ფაშისტური მოძრაობის გაჩენა მოწმობს იმას, რომ კაპიტალიზმმა თავის დრო მოჭამა, რომ მომწიფდა ყველა წანამძღვა-

---

[1] მანუილსკი, მოხსენება კ. ი. ა. კ-ის XI პლენუმზე—„კომპარტიები და კაპიტალიზმის კრიზისი, გვ. 35 (რუს. გამ.), 1932 წ. ხაზგასმულია ჩვენს მიერ.—ავტ.

[2] იქვე, გვ. 37.

რი საზოგადოების სოციალური გარდაქმნისათვის". „ფაშიზმი არის ერთერთი სიმპტომი მმართველი კლასების დეზორიენტაციისა და მისწრაფებისა მუშათა კლასის დათრგუნვის გზით მონახონ გამოსავალი მდგომარეობიდან". „მისი იდეოლოგიური ფორმების სიმახინჯეზე ის მოქმედებს, რომ იგი წარმოადგენს ლპობადი კაპიტალიზმის პოლიტიკურ ზედნაშენს" [1].

ის, ვისაც არ ესმის ფაშიზმის ეს მხარე, — ის, რომ იგი წარმოადგენს ლპობადი კაპიტალიზმის მერყეულ ნიადაგზე, ვინც ფაშიზმს იხილავს როგორც ბურჟუაზიის ჩვეულებრივ შეტევას, ვინც მასში კაპიტალიზმის ძლიერების ნიშანს ხედავს, — ის აუცილებლად დგება მემარჯვენე ოპორტუნისტულ პოზიციაზე, ვარდება პესიმიზმში, მუშათა კლასის ძალებისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების სიახლოვის რწმენის უქონლობაში.

მაგრამ ასევე უმართებულოა ფაშიზმში დაეინახოთ მარტო ერთი დახასიათებული მხარე — ლპობა, დაცემა, გადაშენება. ეს მიგვიყვანდა „მემარცხენე" შეცდომამდე (რაც ფორმით დაპირდაპირებულია, მაგრამ არსებითად იგივეობითია მემარჯვენე შეცდომისადმი), კაპიტალიზმის ავტომატური დაცემის, მისი თვით-დაშლის, თვითგახრწნის რწმენამდე, აქტიური რევოლუციური ბრძოლის — როგორც კაპიტალიზმის დალუპვის აუცილებელი პირობის მნიშვნელობის ოპორტუნისტულ შეუფასებლობამდე. „ფაშიზმი არ არის მარტო კაპიტალიზმის კრიზისის და მმართველი კლასების ხრწნის დაწყების გამოხატულება. მარტო ამის თქმა ყველაფრის თქმას არ ნიშნავს. ფაშიზმი არის კაპიტალიზმის შეტევის ერთერთი ფორმა, რომელიც შეიცავს ელემენტებს ამ კრიზისის დაძლევისას მისგან კაპიტალისტური გზით გამოსვლის მეთოდებით. ფაშიზმი კაპიტალის ოფენზივაც არის და დაცვაც... ფაშისტური მოძრაობა საქმით არის კაპიტალის შეტევის ერთერთი ფორმა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის და მმართველი კლასების კრიზისის დაწყების პირობებში. ხოლო ეს ფაშიზმისაგან ქმნის კაპიტალის შეტევის განსაკუთრებულ, არაჩვეულებრივ ფორმას" [2].

ამრიგად ფაშიზმის მართებული გაგებისათვის აუცილებელია გამოვარკვიოთ მასში გამოხატული რეაქციული მსხვილი კაპიტალის შეტევითი აქტივობისა და ამ აქტივობის სულთმობრძაობის და უნიადაგობის ერთიანობა.

---

[1] მანუილსკი, მოხსენება კ. ი. ა. კ-ის XI პლენუმზე—„კომპარტიები და კაპიტალიზმის კრიზისი" გვ. 37 (რუს. გამ.), 1932. ხაზგასმულია ჩვენს მიერ. — ავტ.

[2] იქვე, გვ. 606 — 608. ხაზგასმულია ჩვენს მიერ. — ავტ.

ფაშისტური ფილოსოფიის უაღრესად ტიპიურ ნიმუშს წარმოადგენს მუსოლინის ლეიბ-ფილოსოფოსის, მისი „სულიერი მაესტროს“ და განათლების ყოფილი მინისტრის ჯ. ჯენტილეს „მოძღვრება“.

ჯენტილეს — ფაშიზმის „ამ სულიერი წინაპრის“ — ფილოსოფია არის ფაშიზმის „იდეოლოგიური ფორმების სიმახინჯის“ მკაფიო გამოხატულება. ეს არის ნათელი და გარკვეული ფილოსოფია „საჭესთან გამტკიცებული სახელმწიფო ხელისუფლებისა“ და ფაშიზმისა, რომელმაც „თავი გამოამეღავნა როგორც მსხვილი კაპიტალის ტერორისტულმა დიქტატურამ“. ჯენტილეს ნეოჰეგელიანელობა წარმოადგენს კაპიტალის ხემოხსენებული რეაქციული შეტევის ზუსტ ფილოსოფიურ გამოხატულებას კაპიტალიზმის საყოველთაო მომაკვდინებელი უღრმესი კრიზისის პირობებში.

ჯენტილეს ფილოსოფიის ვამოსავალ პუნქტს წარმოადგენს ბერკლის ხუცური სუბიექტური იდეალიზმი, რომელიც ჯენტილეს სურს შეუერთოს იდეალისტურ დიალექტიკას და გაანთავისუფლოს იგი უთანამიმდევრობისა და წინააღმდეგობებისაგან და მიიყვანოს იგი ლოგიკურ ბოლომდე. ჯენტილე არ ფიცავს, რომ მისი „აქტუალიზმი“ — უკიდურესობამდე მიყვანილი იდეალიზმი — მისტიციზმის და ხუცობის დაგვარია.

ჯენტილეს ფილოსოფიის ძირითად პრინციპს წარმოადგენს იდეალიზმის შეუჩერებლივ ბოლომდე გატარება, ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური რეალობის უარყოფა. „რაკი სამყარო უმაღლესი ცდის სამყაროა, რაკი ცდის სამყარო მე-ს ნაწარმოებია და მაშასადამე იმავე მე-ს როგორც შემოქმედებითი ენერგიის, ასე შემეცნებითი უნარის გამოხატულებაა..., — აუცილებელია უკუვაგდოთ ყოველგვარი იდეა, ყოველგვარი რწმენება, ყოველგვარი აზრი, რომელიც იძლევა საბაბს ვეძიოთ სინამდვილე მე-ს გარეშე... აუცილებელია მთელი გაბედულებით, სიდინჯით, გმირულად და გატაცებით თავისი პასუხისმგებლობის შემგნებ ადამიანისა ვამტკიცოთ ეს ჭეშმარიტება, ყოველივე დანარჩენის შემცველი: რომ ჭეშმარიტი სამყარო ჩვენა ვართ; ყოფიერება არის შემეცნება, შემეცნება, რომელიც არის ყოფიერება“ [1]. სუბიექტურ იდეალისტ ჯენტილესათვის სინამდვილე წარმოადგენს მუდმივ, პირველად, წმინდა სუბიექტიურობას. ობიექტი ითქვიფება სუბიექტში. ეროფერი არ არსებობს სულის გარეშე. აზროვნება აბსოლუტური და დამოუკიდებელია. ის არ საჭიროებს არავითარ მატარებელს, არავითარ მოაზროვნე არსებას. არა მარტო საგნები, არამედ ადამიანებიც არ არსებობენ აზროვნების გარეშე. „რამდენადაც ჩვენ შევიცანით მეორე... ჩვენი ახლობელი აღარ არსებობს ჩვენს გა-

[1] G. Gentile, Sistema di logica, v. II, p. 144.

რეშე". ეს მოაზროვნე გარეშე რეალური მოაზროვნე არსებისა, რომელიც არ საჭიროებს ტვინს და ნთქავს თავის ახლობელ „ჩვენს", ჯენტილეს მტკიცებით, „არ იმყოფება სივრცესა და დროში, პირიქით, სივრცე და დრო, ყველაფერი, რაც ლაგდება სივრცობრივად და თანდათანობით, რაც მიმდინარეობს დროში, ჩვენში იმყოფება" [1].

მაგრამ ესეც არ აკმაყოფილებს ჯენტილეს, არ არის მისთვის საკმარისი. სავსებით თანმიმდევრული რომ იყოს, იდეალიზმმა კიდევ უნდა გადადგას ნაბიჯი წინ. და ამ ნაბიჯს ჯენტილე თელის თავის „მოძღვრების" უმნიშვნელოვანეს თავისებურებად, იმ „ახლად", რაც მან შემოიტანა. ეს „ახალი" იმაში მდგომარეობს, რომ ახროვნებაში ითქვიფება არა მარტო მატერიალური საგნები, არამედ აზრებიც. აზრებმა, გააზრებულმა როგორც მეტისმეტად „საგნობრივმა", „ობიექტურმა", „პირველობა უნდა დაუთმოს ახროვნებას როგორც „წმინდა აქტს", „წმინდა სუბიექტურობას". ეს აქტი წარმოადგენს „დიალექტიკის" საფუძველს.

ჯენტილეს თანახმად, დიალექტიკა მხოლოდ სულს ახასიათებს. ბუნება, საგნები კი არადიალექტიკურია, ისინი — სულის დიალექტიკის მკვდარი, უძრავი პროდუქტებია, პროცესის შეწყვეტის შედეგია. ჯენტილესათვის ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკა არა სრულქმნილია ისტორიულ, რომ ის არის გააზრებული და არა მოაზროვნე აქტუალური სულის დიალექტიკა, იგი უაღრესად „ობიექტურია", „საგნობრივია", „სუბსტანციონალურია". ფაშისტური ფილოსოფოსისათვის დიალექტიკურობა არის წმინდა სუბიექტურობა; სინამდვილე არის მუდამ განუხორციელებელი განხორციელება. მე, დიალექტიკა არის მე-ს თავისუფლება.

აქ ჩვენ მივადექით იმ პრინციპს, რომელიც შეადგენს შავხალათიანების ფილოსოფიის ბირთვს, „თავისუფლების" პრინციპს. რა რიგ ველური და უაზრო არ უნდა იყოს ამ სიტყვების შეთავსება (თავისუფლება და ფაშიზმი), „სულის თავისუფლების" პრინციპი ფაშისტური ჯალათებისა და დამტუსაღებლების ყველაზე სასიყვარულო ფილოსოფიური ხერხია. მაგრამ რომელ თავისუფლებაზეა ლაპარაკი? ცხადია, რომ არა კლასობრივი ჩაგვრისაგან თავისუფლების შესახებ. ლაპარაკია არა კუდშეკვეცილ ბურჟუაზიულ „თავისუფლებაზე" — სიტყვის, პრესის, კრებების ფორმალურ დემოკრატიულ „თავისუფლებაზე", რომლითაც ასე ტრაბახობდა ბურჟუაზია; ამჟამად ფაშისტები მხეცურად უსწორდებიან ასეთი თავისუფლების მოჩვენებით ნაშთებს. ფაშისტური „თავისუფლების ფილოსოფია" წარმოადგენს ისტორიული აუცილებლობისადმი გამხეცებული წინააღმდე-

[1] G. Gentile, L'esprit acte pur, p. 144.

გობის გაწევის ფილოსოფიას, ფეხქვეშ ნიადაგგამოცლილ ბურჟუაზიის გამწარებულ სულთმობრძავ ცდას რათაც არ უნდა დაუჯდეს შეაჩეროს ისტორიის ბორბალი, თავი შეიკავოს, გაუძლოს მისთვის საბედისწერო აუცილებლობას. ფაშისტური აქტუალიზმი არის რეაქციული აქტივობის, იმ განწირული კლასის ფილოსოფია, რომელსაც ფეხქვეშ ნიადაგი ეცლება.

ისტორიის მიერ დასაღუპავად განწირულ რეაქციულ კლასს, ბურჟუაზიას, არ შეუძლია ობიექტურ აუცილებლობაზე დაყრდნობა. ეს აუცილებლობა ვერ უთავსდება მის „თავისუფლებას", ე. ი. მის კლასობრივ ინტერესებს და მთლიანად ეწინააღმდეგება მას. აი ამიტომ თანამედროვე ბურჟუაზიის ფილოსოფია ობიექტურ აუცილებლობას აღიარებს მოჩვენებად, რომლისაგანაც ბურჟუაზიას სურს (მაგრამ არ შეუძლია) განთავისუფლება. და ვინაიდან ეს მოჩვენება მეტად რეალურად ამეღავნებს თავს, ბურჟუაზიულ ფილოსოფიას მხოლოდ ისლა რჩება, რომ გამოაცხადოს შავი რეაქციის ყველა ძალების წმიდა ჯეროსნული ლაშქრობა ისტორიული აუცილებლობის წინააღმდეგ. ის ქმნის ისეთ „მოძღვრებებს", რომლებიც ბურჟუაზიას მოუწოდებენ ბრძოლისაკენ, აქტივობისაკენ, იმისაკენ, რომ მან გამოიყენოს ყველა საშუალება, ყველა ძალა, რათა თავი შეიკავოს, გასძლოს, მიუხედავად და წინააღმდეგ ისტორიული აუცილებლობისა. ასეთია ჯენტილეს აქტუალიზმი. წმინდა სუბიექტურობის ეს აქტუალიზმი არის ბებრძოლი ფაშიზმის ფილოსოფია, ფილოსოფია განწირული ბურჟუაზიის უკანასკნელი გააფთრებული ბრძოლისა თავისი ბატონობის შენარჩუნებისა და დაცვისათვის.

„აქტუალიზმი" არის ფაშისტური „ქმედითობის". ფილოსოფიური დასაბუთება: მუშათა კლასის ეკონომიური ჩახრჩობის, ბურჟუაზიის სახელმწიფო აპარატის ფაშიზაციის, რეპრესიების და მხეცური თეთრი ტერორის გაძლიერების, მუშების მასობრივი დაპატიმრების, რევოლუციური ორგანიზაციების დახურვის, მუშათა დემონსტრაციების, გაფიცულების-დახვრეტის, რევოლუციონერთა გასამართლებით თუ გაუსამართლებლად მოკვლის და მრავალწლიან საკატორღო განაჩენების ფილოსოფიური დასაბუთება (იხ. კიაკ-ის X პლენუმის რეზოლუცია).

თავისი ლოგიკური ფორმით ჯენტილეს ფილოსოფია ყველაზე მეტად უახლოვდება ფიხტეს სუბიეტურ-იდეალისტურ დიალექტიკას, მაგრამ თავისი რეაქციულობით იგი ეანირჩევა გერმანელი კლასიკური იდეალისტის ფიხტეს თავისი ტენდენციებით ბურჟუაზიულ-რევოლუციური ფილოსოფიისაგან. ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს ქმედითობის, აქტივობის პოზიციას იდეალისტურ

საფუძველზე. მაგრამ ფიხტეს იდეალისტური მოძღვრება ქმედითობის შესახებ გამოხატავდა ახალგაზრდა გერმანული ბურჟუაზიის ანტიფეოდალურ მისწრაფებებს და ამავე დროს მის სისუსტეს, შეზღუდულობას, ჩამორჩენილობას. ამიტომ მას რევოლუციური აქტივობა გადაქონდა წმინდა სულის სფეროში, ინტელიგიბელურ სამყაროში, ხდებოდა უსხეულო ოცნებად ქმედითობის შესახებ. ჯენტილეს „აქტუალიზმი“ კი გამოხატავს რეაქციულ შეტევას პროლეტარიატის წინააღმდეგ, ამასთანავე კაპიტალიზმის შეტევას, კაპიტალიზმის, რომელსაც ფეხქვეშ ნიადაგი ეცლება და რომლის მისწრაფებებს ეკარგება საფუძველი ობიექტური ისტორიული რეალობის განვითარების დიალექტიკაში.

ჯენტილეს თეორია ცდილობს „გაანთავისუფლოს სული სივრცისა და დროის ყოველგვარი საზღვრისაგან, ისე როგორც ყოველგვარი გარეშე პირობებისაგან...“ [1] „ჩვენი ერთადერთი დასაყრდნობია— აღმშენებლობითი, შემოქმედებითი ქმედება თვით ჩვენი სულისა, რომელიც ჩვენში მღელვარებს...“ [2]. ისტორია ცხადდება თავისუფალი, შემოქმედებითი სასწაულმომქმედი სულის პროდუქტად. ასეთია ლპობადი იმპერიალიზმის და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ეპოქის გაშმაგებული მსხვილი ბურჟუაზიის ფილოსოფიის— „აქტუალური იდეალიზმის“ აზრი, ასეთია ფაშისტური „დიალექტიკის“ აზრი.

ჯენტილე არ ფარავს თავისი ფილოსოფიის კავშირს პოლიტიკასთან. „კონკრეტული ფილოსოფოსობა—ნიშნავს თავისი აქტუალური პიროვნების ჩაბმას თავისი ქვეყნის პოლიტიკის სისტემაში“. ის ხოტბას ასხამს ფაშისტურ სახელმწიფოს კულტს, „რომელიც ანხორციელებს, მისი აზრით, აბსოლუტურ და კონკრეტულ ყოვლადობას, რომელსაც უნდა მიეცეს, რომელთანაც უნდა გაიგივდეს ყოველი პიროვნება. ეს კულტი ფაშისტური საბელმწიფოსი, „მთლიანობისა“ (ო. შპან), რომელიც თითქოს „აქრობს“ კლასთა წინააღმდეგობებს, მოსჩანს ფაშისტური „თეორეტიკოსების“ ყველა ნაწერში. ისინი ურჩევენ „მოქალაქეთა კონკრეტულ თანამშრომლობას კლასთა აბსტრაქტული ბრძოლის „ნაცვლად“, მოუწოდებენ მსხვერპლისაკენ გაშიშვლებული ბურჟუაზიული დიქტატურის სახელმწიფოს აბსოლუტური ღირებულების სამსხვერპლოზე.

ამჟამად ნეოჰეგელიანელობა დიდი ძალით ვრცელდება ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში, იგი ართმევს პირველობას წინათ გაბატონე-

---

[1] G. Gentile, L'esprit acte pur, p. 217.

[2] G. Gentile, Sistema di logica, v. II, p. 188.

ბულ, იდეალისტურ მიმდინარეობებს, ყოველი მხრიდან და სხვადასხვა გზით თავისაკენ იმბრობს ფილოსოფიური რეაქციის ყველა ძალებს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, სოციალ-ფაშისტები ბურჟუაზიის ფაშიზაციის საერთო პროცესში და მისი ფილოსოფოსების მობრუნების დროს ჰეგელისაკენ ჩქარობენ შეიტანონ თავისი „წვლილი“, არ ჩამორჩენ ბურჟუაზიულ ფილოსოფიას. ამ უკანასკნელ დროს ჰეგელისადმი „ინტერესი“ განსაკუთრებით გაძლიერდა სოციალ-ფაშიზმის იდეოლოგებისა და ფილოსოფოსების მხრივ. ჰეგელიანელობის ელემენტებს ყველაზე ძლიერად ამჟღავნებენ მაქს ადლერი, კუნოვი, რომელიც პირდაპირ ლაპარაკობს „მარქსის ჰეგელიანელობის“ შესახებ, კაუტსკი. არიან მთელი რიგი სოციალ-ფაშისტი ფილოსოფოსები, რომლებიც აშკარა ნეოჰეგელიანელობის პოზიციებზე დგანან (მაგალითად გ. გელერი) ანდა კანტს უთავსებენ ჰეგელი (მაგალითად ზიგფრიდ მარკ).

ასეთია თანამედროვე ბურჟუაზიული, სოციალ-ფაშისტური ფილოსოფიის განვითარების ტენდენციები.

ჰეგელისაკენ შემობრუნებულ რეაქციული მისტიკის წინაშე განსაკუთრებით ღრმავდება ის ზიანი, რომელიც მოგვაყენა იდეოლოგიურ ფრონტზე ჩვენმა, საბჭოთა კავშირში, ა. დებორინის ხელმძღვანელობით მომუშავე იმ ფილოსოფოსთა ჯგუფმა, რომლებიც საბჭოთა ფილოსოფიურ აზრს მარქსისა და ლენინისაგან ჰეგელისაკენ მიმართავდენ. მიუბრუნებლად ფილოსოფოსთა ამ ჯგუფის ერთგვარი მიღწევებისა მექანიციზმთან ბრძოლაში, ეს ბრძოლა არ შეიძლება ცნობილ იქნას დამაკმაყოფილებლად, რადგან იგი არასწორი ბოზიციებიდან სწარმოებდა. მომენშევიკო იდეალისტები სრულიად ყალბად სკრიდენ ჰეგელის დიალექტიკის შესწავლის ამოცანას, რადგან არ იყვენ ჰეგელის დიალექტიკის „მატერიალისტური“ მეგობრები.

თუ დასავლეთევროპიული ნეოჰეგელიანელობა არის ჰეგელის მოძღვრების უაღრესად რეაქციული დამახინჯება, მომენშევიკო იდეალიზმი არის მარქსიზმის ჰეგელიანური რევიზია. პირველი ფაშისტური იდეოლოგიის ნაყოფია, მეორე—პროლეტარულ იდეოლოგიაზე წვრილბურჟუაზიულ გავლენის ფორმა. პირველი მოუწოდებს შუშათა მოძრაობის განადგურებისაკენ, მეორე ობიექტურად ხელს უწყობს პროლეტარიატის იდეურ განიარაღებას.

მომენშევიკო იდეალიზმი დიალექტიკის დაბუშავების საფარ ქვეშ აღადგენს იდეალისტურ დიალექტიკას, უკრიტიკოთ ითვისებს ჰეგელის მოძღვრებას და ცდილობს ერთიმეორეზე მიყოლებით გადმონერგოს მისი იდეები სოციალისტურ ნიადაგზე. დებორინის ჯგუ-

ფი მარქსიზმის გაღრმავებისა და განვითარების საფარით რევიზიას უკეთებდა მას, ცვლიდა მას ჰეგელის ფილოსოფიით, თავდაყირა აყენებდა მარქსიზმს. ნაცვლად იმისა, რომ გაეწმინდათ ჰეგელის ლოგიკა იდეათა მისტიკისაგან, გადაედნოთ იგი მატერიალისტურ ბრძმედში, „ისინი მას იღებდენ როგორც მოცემულს". ნაცვლად იმისა, რომ „მატერიალისტურად ეკითხათ ჰეგელი", გადაემუშავებინათ იგი მარქსისა და ლენინის მოძღვრების მიხედვით, ისინი ჰეგელისებურად კითხულობდენ მარქსს, უგუებდენ მას ჰეგელს. ნაცვლად იმისა, რომ დაემუშავებინათ დიალექტიკური კატეგორიები მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძეშდებელთა შრომებზე და პარტიულ ყრილობათა გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, პროლეტარიატის რევოლუციური მუშაობის გამოცდილების და თანამედროვე ბუნებისმეტყველების აღმოჩენათა შესწავლით, დებორინელთა ჯგუფი მოეშწყვდა მატერიალურ სინამდვილისაგან და კლასობრივი ბრძოლის პრაქტიკისაგან მოწყვეტილ „წმინდა" თვითმოძრავ ლოგიკურ კატეგორიათა სფეროში. ჰეგელიანური ლოგიკის სიმაღლიდან შეუძლებელი გახდა კონკრეტული სინამდვილის გარჩევა. მატერია გაქრა, გადაიქცა რა გაშუალების, ე. ი. ურთიერთობათა და კავშირთა დაუსრულებელ „ერთობლიერობად" (დებორინი), „დროისა და სივრცის" არამატერიალურ „სინთეზად" (ვესენი), მოძრავი მატერია შესცვალა „მოძრავმა მოძრაობამ" (ტიმიანსკი). მოკლედ: დიალექტიკური მატერიალიზმი, მარქსიზმი გადაგვარდა მარქსისტული ფრაზეოლოგიით შელამაზებულ ჰეგელიანელობად.

ახლოს განხილვისას აშკარავდება ჰეგელიანური რევიზიონიზმის ახლო სულიერი ნათესაობა მენშევიკურ ნეოკანტიანელობასთან; II ინტერნაციონალის ფილოსოფია გვიჩვენებს საით იზრდება მომენშევიკო იდეალიზმი. მომენშევიკო იდეალისტებს ჩვენ ვამჩნევთ თეორიის იმავე გათიშვას პრაქტიკისაგან, რაც ტიპიურია II ინტერნაციონალისათვის, იმავე განდგომას კლასობრივი ბრძოლის სინამდვილისაგან, მისი თეორიული მოაზრებისაგან, ლოგიკური ფორმების იმავე მოწყვეტას კონკრეტული, მატერიალური შინაარსისაგან, ისტორიულსა და ლოგიკურს შორის ჰარმონიის შენარჩუნების იმავე უუნარობას, აბსტრაქტულ-ლოგიკურის იმავე თვითმპყრობელობას. მარქსიზმის მატერიალური საფუძვლების შერყევა, პროლეტარულ მსოფლმხედველობაში ბურჟუაზიული იდეალისტური ფილოსოფიის დანერგვა, რევოლუციური პრაქტიკისაგან, პარტიის გენერალური ხაზის დაცვისაგან განყენება—ასეთია ის როლი, რომელსაც ობიექტურად ასრულებს მომენშევიკო იდეალიზმი.

დებორინის ჯგუფის მომენშევიკო იდეალიზმი მარქსიზმის ფილოსოფიას აბრუნებს ჰეგელისაკენ, მექანისტები გვაბრუნებენ ჩვენ მარქსამდე არსებულ მატერიალიზმისაკენ. ჩვენ კი არ გვსურს უკან წასვლა, არც ჰეგელისაკენ, არც მექანიკური მატერიალიზმისაკენ და ერთნაირად ვებრძვით ორივე სახის რევიზიონიზმს. ჩვენ არ უარვყოფთ, მექანისტების მსგავსად, ყოველგარ დიალექტიკას, არამედ მხოლოდ იდეალისტურ დიალექტიკას. ჩვენ „უნდა მოვაგვაროთ ჰეგელის დიალექტიკის სისტემატური შესწავლა მატერიალისტური თვალსაზრისით... იმაზე დამყარებით, როგორადაც იყენებდა მარქსი ჰეგელის მატერიალისტურად გაგებულ დიალექტიკას, ჩვენ შეგვიძლია და უნდა დავამუშავოთ ეს დიალექტიკა ყოველი მხრიდან“ [1].

ვამუშავებთ რა მატერიალისტურ დიალექტიკას, ჩვენ წინ მიგვყავს ფილოსოფია მარქსის, ენგელსის და ლენინის მიერ დასახული გზით.

VI. ლ. ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფია

ჰეგელის შემდგომი ფილოსოფიის განვითარება ორი გზით წავიდა. პირველი გზა — რეაქციული, იდეალისტური ეპიგონობა, უკან კანტისაკენ და კვლავ კანტისაგან ჰეგელისაკენ. მეორე გზა — ჰეგელის დიალექტიკის მატერიალისტური კრიტიკის და გადამუშავების გზაა. ფეიერბახი—მარქსის მატერიალისტური ფილოსოფიის უშუალო წინამორბედი — იყო XVIII საუკუნის ფრანგული მატერიალიზმის განმგრძობი. გერმანული კლასიკური იდეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ის განაგრძობს მატერიალისტურ ხაზს ფილოსოფიაში. 1848 წლის რევოლუციის პერიოდში მოწინავე ბურჟუაზიული დემოკრატია, რევოლუციური წვრილი ბურჟუაზია, ფეიერბახის ფილოსოფიაში პოულობს თავისი რადიკალური განწყობილებებისა და იდეალების გამოხატულებას.

ფეიერბახის მოძღვრება წარმოადგენს მატერიალიზმს. მის სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს იმის აღიარება, რომ აზროვნება კი არ განსაზღვრავს ყოფიერებას, არამედ, პირიქით, ყოფიერება განსაზღვრავს აზროვნებას. ბუნება არსებობს აზროვნებისაგან დამოუკიდებლად, თავისთავად. ის არის პირველადი, დამოუკიდებელი, დაუსრულებელი. კონკრეტული, გრძნობადი საგყარო, რომელიც ცნობიე-

[1] ლენინი, მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ, თხზ., ტ. XXVII, გვ. 187. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

რებისაგან დამოუკიდებლად არსებობს და რომელსაც ჩვენ აღვიქვამთ ჩვენი გრძნობათა ხუთი ორგანოს საშუალებით, არის ერთადერთი რეალური სამყარო. მეცნიერების ამოცანას წარმოადგენს შეიცნოს გრძნობადი მატერიალური სამყარო იმ სახით, როგორიც ის არის თავისთავად. თვით ადამიანი ბუნების ნაწილია, მისი სისხლი და ხორცია. ჩვენ შეგრძნებებს იწვევს საგანთა ზემოქმედება გრძნობათა ორგანოებზე. ფეიერბახის მიხედვით, აზროვნება სხვა არა არის რა, თუ არა ცოცხალი სხეულებრივი ადამიანის და მისი ტვინის თვისება. ის გარემოება, რომ ტვინი, რომლითაც ჩვენ ვაზროვნებთ, თვით არის მატერიალისტურ სამყაროს ნაწილი, რომ ტვინის მუშაობა დაკავშირებულია ჩვენ პრაქტიკულ მოქმედებასთან, წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ამ სამყაროს შემეცნება საკმაოდ მისაწვდომია ჩვენი აზროვნებისათვის.

ფეიერბახი ამ მატერიალისტური პოზიციიდან აწარმოებს დაუღალავ ბრძოლას იდეალიზმისა და რელიგიის წინააღმდეგ. ფეიერბახის აზრით, იდეალიზმი და რელიგია არ წარმოადგენენ ორ სხვადასხვა მტერს; იდეალისტური ფილოსოფია არის რელიგიის უკანასკნელი თავშესაფარი, ლოგიკურად გამოხატული ღვთისმეტყველება. ამიტომ რელიგიასთან ბრძოლა მოითხოვს იდეალიზმის გაანადგურებას. იდეალიზმი აზროვნებას სწყვეტს მთლიან მატერიალურ არსებისაგან, რომლის თვისებაც ის არის, მიაწერს მას დამოუკიდებელ ობიექტურ ყოფიერებას. ადამიანური თვისება — აზროვნება — ეთიშება ადამიანს. ასეთია იდეალიზმის საიდუმლოება. ასეთივეა რელიგიის საიდუმლოება. რელიგია ეს მოჩვენებების რწმენებაა. ღ მ ერ თ ი სხვა არა არის რა, თუ არა ადამიანის ძლიერებისა და გონების მისტიფიცირებული იდეა. ქმნის და თაყვანს ცემს რა მას, ადამიანი ამაღლებს თავის საკუთარ არსებას, განსხვისებულს ადამიანისაგან. ობიექტური არსობა როგორც ბუნების სუბიექტური არსობა, როგორც განსხვავებული ბუნებისაგან, როგორც ადამიანური არსობა, — აი რა არის ღვთიური არსობა, რა არის რელიგიის არსობა, რა არის მისტიკის და სპეკულაციის საიდუმლოება“ [1]. ადამიანი ქმნის ღმერთს თავის მსგავსად და ხატად. „ღმერთი ადამიანის სარკეა“, მისი პროექციაა, ამბობს ფეიერბახი. ფეიერბახი ძალიან დიდ ყურადღებას ანდომებს რელიგიის პსიქოლოგიური საფუძვლების გამორკვევას, ააშკარავებს რა ამით მის სიყალბეს, თუმცა არ ძალუძს მისი სოციალური კლასობრივი ფესვების გამორკვევა. მისი აზრით წარმოდგენა ღმერთზე წარმოიშობა დანაკლისის გრძნობისაგან, ადამიანის მიერ განცდილ გა-

[1] ფ ე ი ე რ ბ ა ხ ი, Лекции о сущности религии, თხზ. ტ. III, გვ. 353.

ჭირვეებისა და თავის სრულუქმნელობისაგან. რაიმე დანაკლისის გრძნობა დაკავშირებულია სურვილთან, მოთხოვნილებასთან. ეს განუხორციელებელი სურვილები, რომელთა დაკმაყოფილებაც ადამიანს არ შეუძლია, წარმოშობს რელიგიურ რწმენას. ადამიანს სინამდვილეში განუხორციელებელი გადააქვს მის მიერ გამონაგონ, ფანტასტიურ სამყაროში. რელიგიაში ადამიანი ცხადად ხედავს სიზმრებს. მიღმური სამყარო სხვა არა არის რა, თუ არა ზოღმური სამყაროს განუხორციელებელი სურვილები.

ამრიგად, ფეიერბახის თანახმად, რელიგიის წარმოშობას აქვს არა გონებრივი, რაციონალური ხასიათი, არამედ ემოციონალური — რელიგიას წარმოშობენ გრძნობები, სურვილები და ფანტაზია.

ფეიერბახი ხაზს უსვამს ადამიანის ბუნებისაგან დამოკიდებულების მნიშვნელობას. ქმნის რა ღმერთის ცნებას, ადამიანი ამით გამოხატავს არა მარტო ოცნებას თავისი სიძლიერის, დამოუკიდებლობის, უკვდავების შესახებ, არამედ თავის უძლურებასაც ადამიანის სიხარულისა და მწუხარებისადმი გულგრილ, დაუსრულებელ და მძლავრ ბუნების წინაშე. ასეთია, ფეიერბახის აზრით, რელიგიური ილუზიების ფესვები.

ფეიერბახის ფილოსოფიის ცენტრალურ ცნებას ადამიანი წარმოადგენს. არა იდეალიზმის ფანტენებული „მე", არა „მე"-ს მკრთალი აბსტრაქცია როგორც წმინდა აზროვნება, წმინდა შეგრძნება ან წმინდა ნება, არამედ ადამიანი როგორც სხეულებრივი არსება, სისხლ და ხორცშესხმული, როგორც ბუნების ნაწილი, ამასთანავე „მე" კი არ უნდა იყოს შემეცნების თეორიის გამოსავალი პუნქტი, არამედ „მე" და „შენ" მათ ერთიანობაში. საკითხის ასეთი დაყენება იქედან გამომდინარეობს, რომ არ არსებობს ისეთი „მე", რომელიც მასთანავე ერთად არ იყოს „შენ" და პირიქით. სხვა სიტყვებით, ობიექტი და სუბიექტი წარმოადგენენ არა გათიშულ, დამოუკიდებელ არსებას, არამედ ერთიანობას. სუბიექტი ამასთანავე ერთად აუცილებლობით ობიექტიც არის. არ არსებობს სუბიექტი ობიექტის გარეშე. „ის, რაც ჩემთვის, ან სუბიექტურად, წარმოადგენს წმინდა სულიერ მოქმედებას, — ამბობს ფეიერბახი, — ის თავისთავად, ობიექტურად, მატერიალური გრძნობადი აქტია".

ფეიერბახის მოძღვრებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ქონდა მატერიალიზმის ბრძოლისათვის იდეალიზმის წინააღმდეგ და „ყოვლის შემძლე" ჰეგელის ფილოსოფიის დაძლევისათვის.

მთელ იმ დადებით მნიშვნელობასთან ერთად, რომელიც აქვს ფეიერბახის მიერ მატერიალიზმის აღდგენას იდეალისტურ სისტემათა

აყვავების ხანაში, იმ უდაო ისტორიულ ღირებულებასთან ერთად, რომელიც ქონდა მის ბრძოლას საერთოდ რელიგიისა და კერძოდ ქრისტიანობის წინააღმდეგ და მის მიერ მატერიალიზმის ფხიზელი ფილოსოფიის დაპირისპირებას იდეალიზმის გამაბრუებელი სპეკულაციისადმი, — ყოველივე ამასთან ერთად როგორც მისი დადებითი მოძღვრება, ისე მისი კრიტიკა თავის მოწინააღმდეგეებისა ატარებს ისტორიული შეზღუდულობის დაღს.

იდეალიზმის კრიტიკა, განსაკუთრებით ჰეგელის კრიტიკა ფეიერბახის მიერ არ იძლევა იდეალიზმის მიერ მისტიფიცირებული დიალექტიკის მატერიალისტურ გადამუშავებას და არ ინარჩუნებს მას გადამუშავებული სახით, არამედ „კარგებიდან“ უკუაგდებს მას. ფეიერბახმა ჰეგელის იდეალიზმთან ბრძოლაში სათანადოთ ვერ შეაფასა დიალექტიკის მნიშვნელობა, ვერ შესძლო მისი მატერიალისტურად გადაქცევა. ამის გამო მისმა მატერიალიზმმა ვერ მიიღო ის უმაღლესი ფორმა, რომელსაც მოითხოვდენ XIX საუკუნის ბუნებისმეტყველების აღმოჩენანი. მისი მატერიალიზმი წარმოადგენდა ერთგვარ ნაბიჯს წინ XVIII საუკუნის ფრანგ მოაზროვნეთა მატერიალიზმთან შედარებით, მაგრამ მაინც ვერ აკიდა დიალექტიკური მატერიალიზმის სიმაღლეზე, მიუხედავად ცალკეული ბრწყინვალე დიალექტიკური მომენტებისა. მის ფილოსოფიაში გათითშულია მატერია და ისტორია, ბუნება და განვითარება.

ფეიერბახის მატერიალიზმს აბსტრაქტული ხასიათი აქვს. მისი ყურადღების ცენტრში მდგომი ადამიანი, თუმცა ფეიერბახი ხაზს უსვამს მის კონკრეტულობას, მიუხედავად ამისა მაინც არ წარმოადგენს კონკრეტულ ისტორიულ ადამიანს. ეს არის ადამიანი „საზოგადოდ“, ბიოლოგიური სახის აბსტრაქტული წარმომადგენელი და არა განსაზღვრული ისტორიული ეპოქის, საზოგადოებრივი ფორმაციის, კლასის რეალური ადამიანი. აქედან ფეიერბახი „როდესაც მაგალითად ხედავს ჩაყვითლებულ, მუშაობით ღონეშეხდილ და ჭლექიან ღარიბების ბრბოს, იძულებულია მიმართოს „უმაღლეს განჭვრეტას“ და იდეალურ „სწორებას გვარში“, ე. ი. კვლავ ჩავარდეს იდეალიზმში სწორედ იქ, სადაც კომუნისტ-მატერიალისტი ხედავს როგორც მრეწველობის, ისე საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნის აუცილებლობას და მასთან ერთად პირობას“[1].

ფეიერბახის ნატურალიზმით და ანტიისტორიზმით განისაზღვრება მისი მხრით რელიგიის კრიტიკის შეზღუდულობა. ფეიერბახის აზრით, რელიგიას ადამიანის არსება წარმოშობს. მან ვერ გაიგო, რომ რელიგია არის კონკრეტული ადამიანური საზოგადოების წარ-

[1] მარქსი და ენგელსი, გერმანული იდეოლოგია, თხზ. ტ. IV, გვ. 3[illegible]

მონაშობი და ყოველ შემთხვევაში განისაზღვრება კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობით, რომელშიაც უნდა ვეძიოთ რელიგიურ სისტემათა ახსნა. ამიტომ ის თავის ამოცანას ზღუდავს რელიგიის დამსხვრევით, მაგრამ არ მიდის მისი მიწიერი საფუძვლის დამსხვრევის აუცილებლობამდე.

ფეიერბახი მიისწრაფის იმისაკენ, რომ შემეცნების თეორიას საფუძვლად დაუდოს პრაქტიკა, მაგრამ მას ეს პრაქტიკა ესმის ნატურალისტურად, მხოლოდ როგორც ადამიანის ბრძოლა ბუნებასთან, ვერ ხედავს საზოგადოებრივი ადამიანის ნამდვილ სოციალურ პრაქტიკას, არ ააშკარავებს მისი საზოგადოებრივი პრაქტიკის ისტორიულ, კლასობრივ საფუძვლებს. ამიტომ ფეიერბახის მატერიალიზმი, ისე როგორც მთელი მისი წინამორბედი მატერიალიზმი პასიურ-მჭვრეტელობით მატერიალიზმად რჩება. ფეიერბახი სამყაროს აღიქვამს არა როგორც ადამიანის მოქმედების საგანს, როგორც სოციალური პრაქტიკის ობიექტს. მჭვრეტელობით მატერიალიზმს სინამდვილე ესმის მხოლოდ როგორც შეგრძნების წყარო, და არა როგორც ისეთი, რაც გარდაიქმნება ადამიანის მოქმედების, მრეწველობის, გაცვლა-გამოცვლის, კლასობრივი ბრძოლის პროცესში. ფეიერბახის შემეცნების თეორია ეყრდნობა მჭვრეტელობითი-მატერიალისტური სახით გაგებულ ცდას. სუბიექტისა და ობიექტის, ადამიანის აზროვნებისა და ბუნების ერთიანობა ხორციელდება მხოლოდ გრძნობადობაში, ზემოქმედებათა პასიურად მიღების პროცესში, ჭვრეტაში. მარქსამდე არსებულმა მატერიალიზმმა ვერ ვერ მიაღწია იმის გაგებას, რომ ბუნებისა და ადამიანის, ობიექტისა და სუბიექტის ნამდვილი ერთიანობის მიღწევა ხდება მხოლოდ საზოგადოებრივ პრაქტიკაში, მოქმედებაში და მსოფლიოს შეცვლაში ადამიანის მიერ.

ფეიერბახის ფილოსოფიის მეორე, მატერიალიზმის აბსტრაქტულობასთან მჭიდროდ დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს თავისებურებას, რომელიც განსაზღვრავს მის უკმარობას, წარმოადგენს მატერიალიზმის ბუნების ფარგლებით შეზღუდვა. ფეიერბახი მოკლებულია საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალისტურ გაგებას. ის, ფრანგი მატერიალისტების მსგავსად, მატერიალისტად რჩება „ქვემოდან", ბუნებისმეტყველებაში, და იდეალისტად „ზემოდან", ე. ი. სოციალურ დარგში. მას არ ესმის საზოგადოებრივი განვითარების მატერიალური მამოძრავებელი ძალები. საზოგადოებრივ ფორმათა შეცვლას ის განსაზღვრავს როგორც რელიგიურ შეხედულებათა შეცვლას. ის ვერ ხედავს ვერავითარ ურთიერთობას ადამიანებს შორის, გარდა ზნეობრივი ურთიერთობისა, სიყვარულისა და შეგობრობისა. მორალი—მოძღვრება ზნეობრივობის

შესახებ — მისი საზოგადოებრივი შეხედულებების ცენტრშია. ადამიანის სიყვარული ადამიანისადმი, „მე“-სა და „შენ“-ის კავშირი — ამაზე შორს ის არ მიდის. მაგრამ ის არ კმაყოფილდება უბრალო მორალით, არამედ საჭიროდ მიაჩნია მისი კურთხევა. „ადამიანისათვის ადამიანი ღმერთიაო“, — აცხადებს იგი და მორალს ჭეშმარიტ რელიგიად აღიარებს.

ამრიგად ისტორიის იდეალისტურ გაგებას ის მიჰყავს მორალის რელიგიური ეტიკეტკით გათახსირებამდე, რითაც აუცილებლად იჩლუნგება ფეიერბახის ათეისტური ბრძოლა.

ფეიერბახის ფილოსოფიის ყველა ნაკლი ადრეეე იქნა გამომჟღავნებული მარქსისა და ენგელსის მიერ, რომლებმაც, დასძლიეს რა იგი თავისი მოძღვრების განვითარებისას; აიყვანეს მატერიალიზმი ახალ საფეხურზე, შექმნეს მატერიალიზმის ახალი, უმაღლესი ფორმა. მაგრამ მარქსის შემდეგ დროინდელ ზოგიერთ შრომებშიც ვხვდებით ჩვენ ფეიერბახიანელობის ნაშთებსა და რეციდივებს, წინამორბედ მატერიალისტური ფილოსოფიის იქ გადაუშავების მთელი სიღრმის სათანადოდ გაუგებლობას, რომელიც მარქსიზმმა ჩაატარა. ჯერ კიდევ პლეხანოვს ემჩნევა უუნარობა დადგეს ფეიერბახის ტიპის მჭვრეტელობით მატერიალიზმზე მაღლა. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ მ ა ვ ერ გ ა ი გ ო მ ა რ ქ ს ი ს მ ი ე რ ფ ე ი ე რ ბ ა ხ ი ს კ რ ი ტ ი კ ი ს, მ ჭ ვ რ ე ტ ე ლ ო ბ ი თ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ს ა გ ან დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ს ა კ ენ მ ო ბ რ უ ნ ე ბ ი ს მ თ ე ლ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა. რჩება რა ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში ფეიერბახის პოზიციაზე, მას არ შეუძლია მარქსის კრიტიკის გაგება, იგი პლეხანოვს ეჩვენება უსამართლოდ, ის ჩქმალავს ფეიერბახისა და მარქსის განსხვავებას. პლეხანოვის აზრით, „მარქსი მართალი არ იყო, როდესაც ფეიერბახს უსაყვედურა, რომ მას არ ესმოდა „პრაქტიკულ-კრიტიკული მოქმედება“. იგი გასაგები იყო ფეიერბახისათვის“ [1]. პლეხანოვმა ვერ გაიგო, რომ პრაქტიკის მნიშვნელობის შესახებ ფეიერბახს აქვს მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი მიხვედრანი, რომელთაც მის საერთო მსოფლმხედველობაზე სრულიად უმნიშვნელო გავლენა აქვთ. აიგივებს რა ფეიერბახის მტკიცებას იმის შესახებ, რომ სამყარო არის არა მარტო მსჯელობის საგანი, არამედ „სურვილის საგანიც“, მარქსის მოძღვრებასთან სამყაროსადმი რევოლუციურ-ქმედითი დამოკიდებულების შესახებ, პლეხანოვი თვითონ ააშკარავებს უუნარობას საკუთარი დასძლიოს ფეიერბახის ტიპის პასიური მატერიალიზმი.

პლეხანოვის ფილოსოფიური შრომების მეორე ფეიერბახულ თვისებას წარმოადგენს დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ის არა საკმაო ღრმად გაგება.

[1] პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, იდეალიზმიდან მატერიალიზმისაკენ, თხზ. ტ. XVIII, გვ. 167

პლეხანოვი უფრო მეტად ფორმალურად ცნობს მატერიალისტური დიალექტიკის მნიშვნელობას, სარგებლობს იმით მხოლოდ ცალკე ილუსტრაციებისათვის, ვერ სწვდება დიალექტიკის გულს, დედა-არსს. ამის შესატყვისად იდეალიზმის კრიტიკაც პლეხანოვის მიერ ატარებს ფეიერბახიანელობის დაღს. ის კი არ ასწორებს იდეალისტურ მსჯელობებს, აღრმავებს რა მათ, არამედ „კარებიდან" უკუაგდებს ამ მსჯელობებს. პლეხანოვი იდეალიზმს აკრიტიკებს „საერთოდ" მატერიალიზმის თვალსაზრისით, ე. ი. ვულგარული მატერიალიზმის და არა დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით.

ძნელი არ არის ჩვენი თანამედროვე მექანისტების ფეიერბახიანელობის შეზღუდულობის მხილება. ისინი XVII და XVIII საუკუნეების თავის სულიერ წინამორბედთა მსგავსად გაცილებით უფრო უასლოვდებიან ფეიერბახის მატერიალიზმს, ვიდრე მარქსისას. რასაკვირველია, ისინი არ არიან ფეიერბახის ორტოდოქსალური მოწაფეები, ჩვენ მათ ვერ ვუპოვით „სიყვარულის" რელიგიას, მაგრამ მათი მატერიალიზმის ტიპი, ფორმა იმდაგვარიეეა, როგორც ფეიერბახის აბსტრაქტული, მკვრეტელობითი მატერიალიზმი.

რაც შეეხება მომენშევიკო იდეალიზმის დამოკიდებულებას ფეიერბახიანელობისადმი, — აქ ჩვენ ვამჩნევთ პლეხანოვის შეცდომების, უფრო სწორად პლეხანოვის ნახევრად ფეიერბახული მატერიალიზმის აღდგენას, გაღრმავებას და სისტემად გადაქცევას. დებორინის ჯგუფის ეკლექტური ფილოსოფია, რომელიც ძირითადად წარმოადგენს მარქსიზმის იდეალისტურ, ჰეგელიანურ რევიზიას, ფორმალურად კავშირს არ სწყვეტს არც მატერიალიზმთან. მატერიალისტური მომენტები აქა-იქ ჩართულია მის ჰეგელიანურ მოძღვრებაში, ფარავენ რა მის ჭეშმარიტ ბუნებას. მაგრამ თვით ეს მატერიალისტური საფარიც ფეიერბახული მატერიალიზმის პრინციპების აღდგენას წარმოადგენს.

დებორინის ფილოსოფიურ შეხედულებათა ევოლუცია შეიძლება დავახასიათოთ როგორც მოძრაობა ფეიერბახიანელობიდან ჰეგელიანელობისაკენ. ამიტომ თუ უფრო გვიან დაწერილ შრომებში რჩება მხოლოდ მატერიალიზმის კვალი, უფრო ადრინდელ ნაწერებში სუარობს ფეიერბახული მატერიალიზმი. ეს სრული გარკვევით არის გამოხატული დებორინის ლოზუნგში: „ფეიერბახის დრო წინ არის". რას ნიშნავს ეს ლოზუნგი მარქსისა და ლენინის შემდეგ, თუ არა რეტროგრადულ მოწოდებას დავუბრუნდეთ მატერიალისტური ფილოსოფიის განვლილ საფეხურებს. როგორ შეიძლება სხვაგვარად გავიგოთ თანამედროვე იდეალიზმისადმი არა მარქსიზმის, არამედ ფეიერბახიანელობის დაპირისპირება.

დებორინი მთლიანად ემხრობა მარქსის მიერ ფეიერბახის კრიტიკის პლეხანოვისებურ რევიზიას. დებორინის აზრით, ფეიერბახის მთელი ლიტერატურული მოღვაწეობა წარმოადგენს დაუღალავ ბრძოლას წინამორბედი ფილოსოფიის თეორიულ მჭვრეტელობითი თვალსაზრისის წინააღმდეგ და პრაქტიკული თვალსაზრისის დაცვას. დებორინი საბოლოოდ ეთიშება აქ ფეიერბახული მატერიალიზმის მარქსისტულ შეფასებას. დებორინის თქვენსმად, მატერიალიზმის განვითარებაში ისტორიულ-ფილოსოფიურ გარდატეხას ახდენს არა მარქსი, არამედ ფეიერბახი, რომლის იდეათა უბრალო მემკვიდრეთაც წარმოდგენილია მარქსი. ასე იშლება ხლვარი ქმედით და მჭვრეტელობით მატერიალიზმს შორის, რათა ეფრო მოსახერხებელი გახდეს გრძნობისა და განჭვრეტის წვრილბურჟუაზიულ თვალსაზრისისაკენ დაბრუნება.

მომენშეევიკო იდეალიზმის ძირითად მანკს წარმოადგენს თეორიის გამოთიშვა რევოლუციური მოქმედებისაგან, თეორიის ჩამოშორება პროლეტარიატის აქტუალურ ამოცანებისა და ინტერესებისაგან. მომენშეევიკო იდეალიზმი თეორიას მიჯნავს პრაქტიკისაგან. მას არ ესმის რევოლუციური პრაქტიკის მთელი მნიშვნელობა თეორიის განვითარებისათვის და მას არ შეუძლია თეორია აქციოს ღირსეულად და ღირებულად რევოლუციური პრაქტიკისათვის. როდესაც მომენშევიკო იდეალიზმი ბედავს მისთვის უცხო სოციალისტური პრაქტიკის დარგში გადახედვას, ის ახერხებს მხოლოდ ფეიერბახულ ტიტინს „ურძნობათა კოლექტივიზაციის“ შესახებ.

და პასიურ-მჭვრეტელობითი ფეიერბახული ფილოსოფიის ამ აღდგენას მომენშევიკო იდეალიზმი ახდენს იმპერიალიზმის აგონიისა და სოციალიზმის ნძლავრი შეტევის წლებში, საბჭოთა კავშირში კაპიტალიზმის ფესვების აღმოფხვრისა და სოციალიზმის საძირკვლის აშენების და კაპიტალისტურ ქვეყნებში რევოლუციური კრიზისის ელემენტების შეუჩერებელი ზრდის წლებში. თეორიის დამეშავება პრაქტიკული რევოლუციური მოქმედების გარეშე, მისგან ჩამოშორებით, — ნიშნავს მიაწოდო მუშათა კლასს რევოლუციური თეორიის ფოლადის მახვილის ნაცვლად სქოლასტიკის ქაღალდის მახვილი.

VII. მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიურ შეხედულებათა განვითარება და დიალექტიკურ მატერიალიზმზე ეადასვლა

პირველ თავში უკვე ნაჩვენები იყო მარქსიზმის წარმოშობის სოციალურ-პოლიტიკური პირობები და მისი თეორიული წყაროები. უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიურ შეხედულებათა განვითარების პროცესზე.

1841 წ. მარქსი მუშაობს თავის დისერტაციაზე ეპიკურის ფილოსოფიის შესახებ. როგორც ლენინი მიუთითებს, ამ დისერტაციაში მარქსი ჯერ კიდევ სავსებით იდეალისტურ ჰეგელიანურ თვალსაზრისზე დგას.

ჰეგელის ფილოსოფიის სიდიადე იმაში მდგომარეობდა, რომ მან პირველად ყველაზე სრულად ჩამოაყალიბა განვითარების იდეა. ამაში იყო მისი პროგრესიული მხარე. ჰეგელის აზრი საყოველთაო განვითარების შესახებ გამოხატავდა გერმანული ბურჟუაზიის გამათავისუფლებელ მისწრაფებებს და თავის არსებით მიმართული იყო გაქვავებული ბატონყმური წესების წინააღმდეგ. მაგრამ უკვე ცნობილია, რომ ჰეგელი იყო თანმიმდევრული იდეალისტი, რომ ჰეგელის იდეალისტურ დიალექტიკაში გამოისახა გერმანული ბურჟუაზიის ეკონომიური კავშირი ბატონყმობასთან, მისი სოციალ-ეკონომიური პოზიციების სისუსტე. 1841 წელს ჯერ კიდევ ჰეგელის იდეალისტურ დიალექტიკის პოზიციაზე მდგომი მარქსი ატარებს მას თავის დისერტაციაში, უპირატესობას აძლევს ეპიკურს დემოკრიტის წინაშე ატომისტური თეორიის საკითხში. 1842 წელს „რეინის გაზეთში“ იბეჭდება მარქსის სტატიები, რომლებშიაც უკვე ისახება მარქსის გადასვლა იდეალიზმიდან მატერიალიზმზე და რევოლუციური დემოკრატიზმიდან კომუნიზმზე. აქ უკვე მეღავნდება მარქსის ცდები ისეთი განმარტება მისცეს ჰეგელის მოძღვრებას სახელმწიფოს შესახებ, რომლის დროსაც იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას ექსპლოატირებული მასის უფლებების დაცვის, პოლიტიკის თეოლოგიისაგან განთავისუფლების და სხვ. სასარგებლოდ. ბერლინში ის ემხრობა „მემარცხენე ჰეგელიანელების“ წრეს (ბრუნო ბაუერი და სხვ.), რომლებიც ცდილობდენ ჰეგელის ფილოსოფიიდან პრაქტიკული და რევოლუციური დასკვნების გამოყვანას.

ჰეგელის სამართლის ფილოსოფიაში თავისი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ჰეგელის ცდებმა კაპიტალისტური განვითარების მოთხოვნები შეერიგებია მაშინდელი გერმანიის ბატონყმურ სახელმწიფოებრივ წყობილებასთან. „სამართლის ფილოსოფიაში“ ჰეგელი სახელმწიფოს განმარტავს როგორც ობიექტური იდეის განვითარების გამოხატულებას, რომელიც გამოდის ხალხის ზნეობრივი სულის ფორმით. ჰეგელის მიხედვით, სახელმწიფო არის პოლიტიკური ორგანიზმი, რომელიც წარმოადგენს ხალხის საყოველთაო სულის ერთიანობას მის განსაკუთრებულ გამოვლენებთან ცალკე მოქალაქეთა ინტერესების ფორმაში. მთავრობა, ჰეგელის აზრით, არის ხალხის გონების „ნების გამომხატველი“, „სული“ და მაშასადამე მის მოქმედებას მოქალაქენი უნდა განიცდიდენ არა როგორც რაღაც გარეგნულს,

ძალდატანებითს, არამედ როგორც მათი თავისუფლების, მათი საკუთარი გონიერი ზნეობრივი არსების გამომჟღავნებას. აქედან ჰეგელი დოგმატიურად ამტკიცებს იმის აუცილებლობას, რომ ყველა მოქალაქენი უეჭველად, ნებაყოფლობით უნდა დაემორჩილონ თავის მთავრობას. ჰეგელი საქმით ფილოსოფიურად სამსახურს უწევს ბატონყმურ დიქტატურას. გასაკვირი არ არის, რომ მარქსსა და ენგელსს ადრე უნდა ეგრძნოთ ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის ყველა უარყოფითი მხარე და უკვე 1842 წელს დაეწყოთ მისი რევოლუციური კრიტიკა.

მარქსი და ენგელსი თავისი თეორიული მოღვაწეობის დაწყებიდანვე, გამოდიოდენ რა განვითარების ჰეგელისეული იდეიდან, ჯერ კიდევ რჩებოდენ რა იდეალისტურ პოზიციებზე, ამასთანავე ყველაზე რევოლუციური მოაზროვნეები იყვენ ყველა მემარცხენე ჰეგელიანელებისაგან. ამ დებულებას განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი დიალექტიკური მატერიალიზმის იმ დამმახინჯებელთა წინააღმდეგ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მარქსი თავის მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში ჩვეულებრივი ახალგაზრდა ჰეგელიანელი და ბურჟუაზიული რადიკალი იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით „გაისარჯა" მარქსიზმის ცნობილი მომენშევიკო ისტორიოგრაფი რიაზანოვი, რომელიც ბოლოსდაბოლოს ბუშათა კლასის ინტერესების პირდაპირ გაცემამდე მივიდა.

ჰეგელის მემარცხენე მიმდევრები, ეგრეთწოდებული ახალგაზრდა ჰეგელიანელები, უარყოფით დამოკიდებულებას იჩენდენ მემარჯვენე ჰეგელიანელობისადმი, რომელიც ცდილობდა ჰეგელის ფილოსოფიით დაესაბუთებია ქრისტიანულ-გერმანულ სახელმწიფოს ნაციონალისტური იდეალი. მაგრამ, ეკამათებოდენ რა მემარჯვენე ჰეგელიანელობას, ახალგაზრდა ჰეგელიანელები საერთოდ არ სცილდებოდენ მთელ მის წინამორბედ ბურჟუაზიულ განათლებისა და კერძოდ ჰეგელის ფილოსოფიის ფარგლებს. თავის ძველ განმანათლებელთა მაგალითის მიხედვით ისინი თავის თეორიულ მოღვაწეობას საზღვრავდენ რელიგიის მერყევი კრიტიკით, მას აღიარებდენ ყველა სოციალური ბოროტების ძირითად მიზეზად, ის კი სრულიად არ ესმოდათ, რომ რელიგია, ისე როგორც ცნობიერების ყველა ძველი ფორმა, შეიძლება მოისპოს არა უბრალო თეორიული კრიტიკით, არამედ რევოლუციურ-პრაქტიკული გადატრიალებით საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალ-ეკონომიურ პირობებში. „მთელი გერმანული ფილოსოფიური კრიტიკა, — ახასიათებდა მათ პოზიციას ცოტა უფრო გვიან მარქსი, — შტრაუსიდან შტირნერამდე იფარგლება რელიგიურ

წარმოდგენათა კრიტიკით, რომელიც გამოვიდა პერეტენზიით იყოს ქვეყნიერების აბსოლუტური მხსნელი ყოველგვარი ბოროტებისაგან"[1].

რელიგიის ეს კრიტიკა ახალგაზრდა ჰეგელიანელების მხრით უკიდურესად ნახევრული და არათანმიმდევრული იყო. მათ ნაწერებში ჩვენ ვპოულობთ რელიგიური დოგმატების გადამჭრელ კრიტიკას და ამავე დროს ობივატელურ ქედმოხრას რელიგიის წინაშე, იმის დამტკიცების ცდებს, რომ რელიგია, „სახელდობრ ქრისტიანობა, იგივეობითია უმაღლეს ფილოსოფიურ ჭეშმარიტებასთან" (შტრაუსი), ადამიანის აზრის იდეალისტურ გაღმერთებას, მის გადაქცევას მისტიურ „თვითშეგნებად", რომელიც „ქმნის ისტორიას კრიტიკის" ფორმით (ბრუნო ბაუერი). ჩვენ ვპოულობთ ზეციური ღვთაების მიწიერი ფესვების მხილებას, ადამიანის გაღმერთებას, მტკიცებას, რომ „ადამიანი ადამიანისათვის— ღმერთია" (ფეიერბახი). ერთი მხრით ყოველივე ღვთაებრივის უაღრესად თანმიმდევრული უარყოფა, მტკიცება, რომ „ეგოისტისათვის არ არსებობს იმდენად მაღალი და დამოუკიდებელი ობიექტები, რომელთაც შეეძლოს მისი იძულება გააღმერთოს ისინი, იცხოვროს მხოლოდ მათთვის და გასწიროს თავი მათი გულისათვის", მეორე მხრით ეგოიზმის აბსოლუტიზირება, გაღმერთება, თავიდან ბოლომდე რელიგიური მტკიცება, რომ „მე", ისე როგორც ღმერთი, ყველა სხვაზე მაღალია, ვინაიდან „მე", ჩემი— „ყველაფერია", ვინაიდან მე —ერთადერთი ვარ. „მე"—არარაობაა არა სოციალიერის აზრით, შემოქმედებითი არარაობაა, ის, რომლიდანაც თვით მე, როგორც შემომქმედი, ყველაფერს შევქმნი"[2]. ყველა ახალგაზრდა ჰეგელიანელები ამა თუ იმ ზომით ჰეგელის სისტემის ტყვეობაში იმყოფებოდენ, ვინაიდან, ამბობს მარქსი, „არც ერთს ამ უახლოესი კრიტიკოსებისაგან არც კი უცდია შესდგომოდა ჰეგელის სისტემის დასაბუთებულ კრიტიკას"[3]. მათი პოლემიკა ჰეგელთან და ერთიმეორესთან იმით იფარგლებოდა, რომ თვითეული მათგანი გლეჯდა ჰეგელის სისტემის რომელიმე ჩხაოეს და მიმართავდა მას მთელი სისტემის წინააღმდეგ. „ამ ფილოსოფიური კრიტიკის ერთადერთ შედეგს წარმოადგენს ზოგიერთი—და ისიც ცალმხრივი—გამოკვლევა ქრისტიანობის წარმოშობის ისტორიიდან"[4]. ხოლო მეშარკხენე ჰეგელიანელების მთელი დანარჩენი კრიტიკული მოღვაწეობა იფარგლებოდა ბრძოლით „მხოლოდ ფრაზების წინააღმდეგ", სრულიად არ ესმოდათ რა ის, რომ „მოცემულ, რეალურ სამყაროს ფრაზების

---

[1] „მარქსისა და ენგელსის არქივი", ტ. I, გვ. 213.

[2] მ. შტირნერი, Единственный и его собственность, გვ. 203. 1907.

[3] „მარქსისა და ენგელსის არქივი", ტ. I, გვ. 213.

[4] იქვე, გვ. 214.

წინააღმდეგ ბრძოლით ისინი სრულიადაც არ ებრძვიან ამ სამყაროს“ [1].

მარქსის სიტყვებით, ეს „ცხვრები, რომლებიც თავს მგლებად თვლიდენ, თავისი თეორიული მოღვაწეობის მთელი ხმაურით მხოლოდ ფილოსოფიურ ჟარგონში მოსავდენ გერმანელ ბიურგერთა წარმოდგენებს“.

მარქსის ადრინდელ თეორიულ მოღვაწეობას თავისი კლასობრივი ხასიათითა და თავისი განვითარების ტენდენციებით აქვს მთელი რიგი თავისებურებანი, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან დანარჩენ ახალგაზრდა ჰეგელიანელთა თეორიული მოღვაწეობისაგან. მარქსის პოლიტიკური და თეორიული შეხედულებანი ყალიბდებოდენ უდიდეს დამოკიდებულებაში საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეპოქის რევოლუციური გონებრივი განწყობილებისაგან და გასული საუკუნის 30-იანი წლების დამლევისა და 40-იანი წლების დამდეგის მასობრივი რევოლუციური მოძრაობისაგან.

როგორც ლენინი მიუთითებს, მარქსი და ენგელსი დემოკრატებიდან სოციალისტები გახდენ და მათში მეტისმეტად ძლიერი იყო პოლიტიკური თვითნებობისადმი სიძულვილის დემოკრატიული გრძნობა. უკვე 1842 წლიდან ისინი გამოდიან მშრომელთა, ქალაქისა და სოფლის ღარიბთა ფართო მასის თანმიმდევრულ დამცველებად. ამ პერიოდში მათ შრომებში გზას იკვლევს მატერიალისტური ტენდენციები.

პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ბ რ ძ ო ლ ი ს გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე მოკლე პერიოდის განმავლობაში მარქსი და ენგელსი დარწმუნდენ, რომ საზოგადოებრივი გარდაქმნის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ არა „სამართალსა და სახელმწიფოში განხორციელებული ჰეგელისეული იდეის წინააღმდეგობანი“, არამედ პროლეტარიატის შეურიგებელი ბრძოლა ბურჟუაზიასთან და მაშასადამე ეგრეთწოდებულ სამოქალაქო საზოგადოების ფორმებს განსაზღვრავს არა სამართალი და სახელმწიფო, როგორც ჰეგელი გვასწავლიდა, არამედ, პირიქით, წარმოების გაბატონებული წესი განსაზღვრავს სახელმწიფო დაწესებულებების ფორმებს, ადამიანთა უფლებრივ და რელიგიურ და ყოველგვარ სხვა წარმოდგენებს. მარქსისა და ენგელსის რევოლუციური დემოკრატის პოზიციებიდან პროლეტარული რევოლუციონერის პოზიციებზე გადასვლის ეს პროცესი, მათ მიერ ჰეგელის დიალექტიკის კრიტიკული უარყოფა, მათ მიერ დიალექტიკური მატერიალიზმის, როგორც პროლეტარიატის მსოფლმხედველობის და

[1] „მარქსისა და ენგელსის არქივი“, ტ. I, გვ. 214.

მეთოდის, შექმნის პროცესი შეიძლება ნათელვყოთ მთელი რიგი მათი შრომების მიხედვით.

მარქსი ჯერ კიდევ „რეინის გაზეთში" დაბეჭდილ ერთერთ პირველ სტატიაში გამოთქვამს ისეთ დებულებებს, რომლებიც მკაფიოდ ამეღავნებენ მასში თანმიმდევრულ რევოლუციონერ-დემოკრატს, რომელიც თანდათანობით გადადის კომუნისტურ პოზიციებზე. ბატონყმურ რეაქციულ მტკიცებას, რომ „მხოლოდ რელიგია წარმოადგენს სახელმწიფოს საფუძველს" და რომ ამიტომ „გაზეთებმა არ უნდა განიხილონ პოლიტიკა ფილოსოფიის თვალსაზრისით ეგრეთწოდებულ ქრისტიანულ სახელმწიფოში",—ამ მტკიცებას მარქსი უპირდაპირებს რევოლუციურ არგუმენტაციას. მარქსის სიტყვებით, ფილოსოფიამ თავი უნდა გამოაცხადოს „გაზეთის თანამშრომლად" და სრულიად აშკარად უნდა განიხილოს ყველა პოლიტიკური საკითხი „არა ეკლესიასა და სალონებში, არა ოჯახურ წრეში", არამედ პრესაში, რადგან „საგაზეთო საკითხები დღის საბრძოლო საკითხებად გადაიქცა". ფილოსოფიამ „ასკეტური ხუცური ანაფორა უნდა შეცვალოს გაზეთების მსუბუქი მოდური ტანსაცმელით", რადგან „ფილოსოფოსები სოკრატეებივით კი არ იზრდებიან მიწიდან, ისინი თავისი დროის, თავისი ხალხის პროდუქტს წარმოადგენენ, რომლის ყველაზე სათუთი, ძვირფასი და უხილავი ნაღები დუღს ფილოსოფიურ იდეებში. სწორედ იგივე სული, რომელიც ხელოსნების ხელით აშენებს რკინის გზებს, აშენებს ფილოსოფიურ სისტემებს ფილოსოფოსების ტვინში"[1]. ფილოსოფია არ დაქროლავს თანამედროვე სამყაროს მიღმა, პირიქით ის „იჭრება თანამედროვეთა გულში" ისე როგორც „გაზეთების რედაქციებში".

მარქსი, გამოდის რა ჯერ კიდევ ჰეგელის იდეალისტური დებულებიდან სახელმწიფოს—როგორც „ზნეობრივი ორგანიზმის" შესახებ, ცდილობს გამოიყენოს ეს დებულება დემოკრატიული პრესის თავისუფლების დასაცავად ბატონყმური ცენზურისაგან. „სახელმწიფო უნდა შენდებოდეს არა რელიგიის საფუძველზე, არამედ თავისუფლების გონების საფუძველზე". „უახლესი ფილოსოფია... სახელმწიფოს უყურებს როგორც უდიდეს ორგანიზმს, რომელშიაც უნდა განხორციელდეს უფლებრივი, ზნეობრივი და პოლიტიკური თავისუფლება, ამასთანავე ცალკეული მოქალაქე სახელმწიფო კანონებისადმი დამორჩილებით ემორჩილება მხოლოდ თავისი საკუთარი გონების, ადამიანთა გონების ბუნებრივ კანონებს"[2]. ასეთ იდეალურ სახელმწიფოში პრესა თავისუფალი უნდა იყოს, რადგან ის არის „ხალხის სუ-

[1] მარქსი დ ა ენგელსი, თხზ., ტ. I, გვ. 200—201.

[2] იქვე, გვ. 206—207.

ლის ღია თვალი, ხალხის განსახიერებული ნდობა თავისადმი, მჭერმეტყველური რგოლი, რომელიც ცალკეულ პიროვნებას აკავშირებს სახელმწიფოსთან და მთელ სამყაროსთან... ის არის ხალხის ულმობელი აღსარება თავის წინაშე... ის არის სულიერი სარკე, რომელშიაც ხალხი თავის თავს ხედავს.. ის სახელმწიფოებრივი გონების მანათობელია, რომელსაც შეუძლია ყოველგვარ ქოხში შეჭრა... ის არის იდეალური ქვეყანა, რომელიც, იზრდება რა რეალური სინამდვილიდან, თავის მხრით ამდიდრებს და ასულდგმულებს ამ სინამდვილეს"[1]. მარქსი გადამჭრელ პროტესტს უცხადებს იმ წოდებათა წარმომადგენლებს, რომლებიც „იმისათვის, რომ გადაარჩინონ პრივილეგიების განსაკუთრებული თავისებურებანი... გმობენ ადამიანის ბუნების საყოველთაო თავისუფლებას". მარქსი ამტკიცებს, რომ არგუმენტაცია პრესის თავისუფლების წინააღმდეგ, რომელსაც ანვითარებდა ლანდტაგში აზნაურთა წოდების წარმომადგენელი, ისე როგორც თავადთა წოდების წარმომადგენლის არგუმენტაცია, არ შეიძლება იყოს რამდენიმედ მაინც საფუძვლიანი, რადგან იგი პრივილეგიათა განსაკუთრებულ სულს უპირისპირებს „ხალხის ისტორიულ სულს". მაგრამ მარქსი თავისი კრიტიკით დაღავს არა მარტო თავადებისა და აზნაურების ორატორებს, ის არა ნაკლებ მკაცრად აკრიტიკებს ბურჟუაზიის წარმომადგენელსაც, რომელიც პრესის თავისუფლებას მოითხოვდა როგორც „სარეწაო თავისუფლებას", ე. ი. როგორც საკუთრეგის თავისუფლების გამოხატულებას. „მაგრამ,— ამბობს მარქსი,—განა თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ა ის პრესა, რომელიც ხელოსნობის დონემდე ქვეითდება?"[2] „გავაშიშვლოთ ორატორის აზრი. კითხვაზე: რა არის თავისუფლება? ის უპასუხებს: ს ა რ ე წ ა ო თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა. ეს იგივეა, რომ სტუდენტმა შეკითხვაზე: რა არის თავისუფლება? უპასუხოს: „თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ღ ა მ ე"[3].

მარქსი იმ აზრს, რომ პრივილეგიური წოდებები ძალდატანებას ახდენენ, „საყოველთაო სახალხო სულის თავისუფლებაზე", გამოთქვამს, მართალია, ერთგვარად სხვა ფორმით, თავის მეორე სტატიაში, რომელიც მან დასწერა შეშის ქურდობის წინააღმდეგ გამოცემული კანონის გამო, ღარიბთა ადათური სამართლის დასაცავად. ჯერ კიდევ შტკიცედ დარწმუნებული, რომ სახელმწიფო უნდა ანხორციელებდეს თავისში „საყოველთაო სახალხო სულის თავისუფლებას", მარქსი-მოითხოვს კანონმდებლობისაგან, რომ იგი ზრუნავდეს არა მარტო ტყის მესაკუთრის, არამედ აგრეთვე სატყეო წესების დამრ-

[1] მ ა რ ქ ს ი და ე ნ გ ე ლ ს ი, თხზ., ტ. I, გვ. 171.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 181.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 180.

ღვეევთა ინტერესების დაცვაზეც, „ვინაიდან სახელმწიფო ტყის მჭრელ-შიც უნდა ხედავდეს ადამიანს... მოქალაქეს. სახელმწიფოს არ შეუ-ძლია მოუფიქრებლად ჰოსწყვიტოს ერთერთი თავისი წევრი ყველა ამ ფუნქციას, ვინაიდან სახელმწიფო თავს ისახიჩრებს, როდესაც იგი მოქალაქეს ბოროტმომქმედად აქცევს“ [1].

ასე გვასწავლის სახელმწიფო სამართლის ჰეგელისეული იდეალის-ტური თეორია. მაგრამ მარქსს უკვე შესანიშნავად ესმის, რომ ტყის მფლო-ბელი ხელმძღვანელობს არა იდეალური პრინციპებით, არამედ პრაქ-ტიკული ინტერესებით. „მომჭირნე ტყის მფლობელი ასე მსჯელობს: კანონის ეს დადგენილება კარგია, ის ჩემთვის სასარგებლოა“... [2].

მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, რომ აქ მარქსი უკვე აღარ კმა-ყოფილდება ტყის მფლობელთა კრიტიკით. წინააღმდეგ ბატონყმურ-ბურჟუაზიული წოდებებისა მარქსი ღარიბებს აცხადებს თავის „ადა-თური უფლებების“ კანონიერ მატარებლად. მარქსი ამტკიცებს, რომ ფიჩხის შეგროვება კერძო მფლობელთა ტყეებში არის ღარიბთა „და-პყრობითი უფლების“ კანონიერი გამოხატულება, ისინი „თვით თავის მ ო ქ მ ე დ ე ბ ა შ ი... პოულობენ თავისი უფლების გამართლებას“ [3]. ასე იყენებს მარქსი რევოლუციური დემოკრატის სახით სამართლის ჰეგელისეული ფილოსოფიის ცალკე დებულებებს. ეს იმას ნიშნავდა, რომ მ ა რ ქ ს ი მ ი დ ი ო დ ა სახელმწიფოს ჰ ე გ ე ლ ი ს ე უ ლ ი „ი დ ე-ი ს“ უ ა რ ყ ო ფ ი ს გ ზ ი თ, ვინაიდან ნაცვლად იმისა, რომ იგი გა-მოხატავდეს „საყოველთაო სახალხო სულს“, მარქსი აიძულებს მას გამოხატოს ღარიბთა გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი კ ე რ ძ ო, კ ლ ა ს ობ-რ ი ვ ი ს უ ლ ი.

თუ მარქსი თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ღრმად დარწმუნე-ბულია, რომ იდეალური სახელმწიფო როგორც საყოველთაო სახალ-ხო სულის განხორციელება განსაზღვრავს ეგრეთწოდებულ სამოქალა-ქო საზოგადოების არსებობის ფორმებს, „რეინის გაზეთში“ მუშაო-ბის განმავლობაში, პრაქტიკული პოლიტიკური ბრძოლის პროცესში, მარქსი იმ დასკვნამდე მიდის, რომ სახელმწიფო მხოლოდ „გულის-ხმობს გონებას განხორციელებულად“, საქმით „ის ვარდება წინააღ-მდეგობაში თავის იდეალურ დანიშნულებასა და თავის რეალურ მო-ცემულობათა შორის“ [4].

მარქსისა და ენგელსის შემდგომი განვითარება, სახელდობრ მათი მოღვაწეობა „გერმანულ-ფრანგულ ყოველწლიურში“ და მათი წმი-

---

[1] მ ა რ ქ ს ი დ ა ე ნ გ ე ლ ს ი, თხზ., ტ. I, გვ. 233.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 226.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 231.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 365.

და ოჯახის კრიტიკა“ (1843-1844 წ. წ.) მიმართულია ჰეგელის მიერ სახელმწიფოს და სამართლის გაგების მხილებისაკენ. ლ. ფეიერბახის შრომების გამოსვლა (1841-1843 წ. წ.) დაეხმარა მარქსსა და ენგელსს შეეცნოთ და გაეფორმებიათ მატერიალისტური დებულებანი, რომლებიც უკვე წინად თავს იჩენდენ მათ შრომებში. როგორც ენგელსი აღნიშნავს, „ჩვენ (ე. ი. მარქსი და ენგელსი) ერთბაშად ფეიერბახელები გავხდით“. ამ პერიოდში ხდება მარქსისა და ენგელსის საბოლოო გადასვლა იდეალიზმიდან მატერიალიზმზე, რევოლუციური დემოკრატიზმიდან კომუნიზმზე.

უმართებულო იქნებოდა მარქსისა და ენგელსის შემეცნების მატერიალისტური თეორიის ჩამოყალიბებაზე ფეიერბახის მატერიალიზმის ერთგვარი გავლენის უარყოფა. მაგრამ არა ნაკლები შეცდომა იქნებოდა მარქსსა და ენგელსში ორტოდოქსალური ფეიერბახიანელების დანახვა იმ აზრით, რომ ისინი იზიარებდენ ფეიერბახის შეხედულებათა შეზღუდულობას მათი მოღვაწეობის თუნდაც ამ ადრინდელ პერიოდში. რამდენადაც რელიგიის ფეიერბახული კრიტიკა დაეხმარა მარქსს იდეალური ჰეგელური სახელმწიფოს მხილებაში, იმდენად ის ფეიერბახიანელი იყო, იმდენად ის ემხრობოდა ფეიერბახის ფილოსოფიურ შეხედულებებს და გამოდიოდა ფეიერბახის გადამჭრელ დამცველად ახალგაზრდა ჰეგელიანელების მყვირალა იდეალისტური კრიტიკის თავდასხმებისაგან. მარქსი ფეიერბახს აყენებდა განუზომლად უფრო მაღლა ახალგაზრდა ჰეგელიანელთა „კრიტიკულ კრიტიკაზე“. მაგრამ მარქსი არასოდეს არ ყოფილა ფეიერბახის უყოყმანო თანამიმდევარი, რადგან ფილოსოფიური განვითარების დაწყებიდანვე მარქსის მოღვაწეობა მიმართული იყო ფეიერბახული ფილოსოფიის ძირითადი ნაკლის — მის მჭვრეტელობითი ხასიათის წინააღმდეგ, იმის გაუგებლობის წინააღმდეგ, რომ რელიგიის მოსპობა შეიძლება არა თეორიული კრიტიკით, არამედ რევოლუციურ-პრაქტიკული გადატრიალებით საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-ეკონომიურ პირობებში. აი ამიტომ მარქსი, როდესაც გამოვიდა ფეიერბახის „თეზისები ფილოსოფიის რეფორმისათვის“, ერთერთ თავის წერილში ასე ამბობს: „ფეიერბახის აფორიზმები, ჩემი შეხედულებით, იმ მხრივ მოიკოჭლებენ, რომ ის მეტისმეტად დიდად ეტანება ბუნებას და მეტისმეტად ნაკლებ პოლიტიკას. ამავე დროს კი, ეს არის ერთადერთი კავშირი, რომლის შემწეობითაც ახლანდელი ფილოსოფია შეიძლება იდეური გახდეს“ [1].

[1] მარქსი და ენგელსი, თხზ., ტ. I, გვ. 532.

წინააღმდეგ რელიგიის არათანმიმდევრული აბსტრაქტულ-თეორიული კრიტიკისა ფეიერბახის მხრით, მარქსი თავის მოღვაწეობის დაწყებიდანვე გამოდის პრაქტიკული ქმედითი ფილოსოფიის მომხრეთ. პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილების ნიადაგზე მარქსი სრულიად - დამოუკიდებლად რწმუნდება, რომ ჰეგელის იდეალური სახელმწიფო არის აბსტრაქცია და როგორც ასეთს არ შეუძლია იყოს საზოგადოებრივი განვითარების მიზეზი. თავისი განვითარების ამ პერიოდში მარქსი ამტკიცებს, რომ „სამართლისა და სახელმწიფოს გერმანული ფილოსოფია“ არის „გერმანიის ისტორიის იდეალური განგრძობა“ და რომ ის სრულიადაც არ არის, როგორც ჰეგელი ფიქრობდა, საზოგადოებრივი განვითარების მიზეზი, არამედ წარმოადგენს თანამედროვე მოწინავე ხალხთა საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ „ფილოსოფიურ ასახვას“. ამიტომ სამართლის ჰეგელური ფილოსოფიის კრიტიკა მარქსისათვის წარმოადგენდა არა მარტო ბატონყმური წესების კრიტიკას, არამედ მას იგი მიჰყავს იმ დროს უკვე განვითარებული ინგლისური და ფრანგული კაპიტალიზმის კრიტიკამდე.

სამართლის ჰეგელური ფილოსოფიის ამ კრიტიკაში, სამართლის, რომელიც ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის თვალსაზრისზე იდგა, მარქსი ეკონომიური თეორიის შესწავლის და უტოპიური სოციალიზმის და კომუნიზმის კრიტიკის პროცესში ტოვებს რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებს და დგება პროლეტარიატის პოზიციებზე. ცნობილ სტატიაში „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის“ მარქსი გამოდის უკვე როგორც პროლეტარული რევოლუციონერი, და ამიტომ მას ახლა საგრძნობლად უფრო ღრმად ესმის თეორიული კრიტიკის დამოკიდებულება პრაქტიკული რევოლუციური ბრძოლისაგან. მარქსი წერს, რომ ის „გერმანული პოლიტიკური შეგნების წინანდელი ფორმის გადამჭრელი მოწინააღმდეგეა, სამართლის სპეკულატიური ფილოსოფიის კრიტიკა მიმდინარეობს არა თავისში, არამედ ამოცანებში, რომელთა გადაჭრისათვის მოიპოვება მხოლოდ ერთი საშუალება — პრაქტიკა“. „კრიტიკის იარაღს, — ამბობს ის შემდეგ, — რასაკვირველია არ შეუძლია იარაღის კრიტიკის შეცვლა, მატერიალური ძალა დამხობილი უნდა იქნეს მატერიალური ძალითვე; მაგრამ თეორიაც მატერიალურ ძალად ხდება, როგორც კი იგი მასებს ეუფლება“ [1].

შემდეგი ადგილები ადასტურებს ჩვენს აზრს: „მსგავსად იმისა როგორც ფილოსოფია პროლეტარიატში პოულობს თავის მატერიალურ იარაღს, ისე პროლეტარიატიც პოულობს ფილოსოფიაში

[1] მარქსი და ენგელსი, თხზ., ტ. I, გვ. 406.

თავის სულიერ იარაღს და რაწამს აზრის ელვა საფუძველიანად მოხვდება გულუბრყვილო ბალხურ ნიადაგს, მოხდება გერმანელთა ემანსიპაციაც ადამიანებად“ [1]. მარქსი ცდილობს უფრო კონკრეტულად გამოარკვიოს „გერმანელების ადამიანებად ემანსიპაციის“ გზები და აყენებს კითხვას: „რაში მდგომარეობს გერმანული ემანსიპაციის დადებითი შესაძლებლობა? პასუხი: რადიკალური ჯაჭვებით შებორკილი კლასის შექმნა, სამოქალაქო საზოგადოების კლასის, რომელიც არ წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების არავითარ კლასს; წოდების, რომელიც მოასწავებს ყველა წოდებათა დაშლას; სფეროსი, რომელსაც აქვს უნივერსალური ხასიათი მისი უნივერსალური ტანჯვის გამო და არ მოითხოვს არავითარ განსაკუთრებულ სამართალს, რადგან მის მიმართ ახდენენ არა რაიმე განსაკუთრებულ უსამართლობას, არამედ უსამართლობას საზოგადოდ; რომელსაც უკვე არ შეუძლია მიუთითოს ისტორიულ, არამედ კიდევ მხოლოდ ადამიანურ სამართალზე; რომელიც იმყოფება არა რაიმე ცალმხრივ წინააღმდეგობაში გერმანული სახელმწიფოებრივი წყობილების შედეგების მიმართ, არამედ ყოველმხრივ წინააღმდეგობაში ამ წყობილების საფუძვლების მიმართ, დაბოლოს სფერო, რომელსაც არ შეუძლია თავის ემანსიპირება ისე, თუ არ მოახდინა ემანსიპირება თავის თავისა საზოგადოების ყველა დანარჩენ სფეროებისაგან და ამასთანავე ერთად საზოგადოების ყველა დანარჩენი სფეროებისა; რომელიც, ერთი სიტყვით, წარმოადგენს ადამიანის სრულ დაკარგვას და რომელსაც, მაშასადამე, შეუძლია ჰპოვოს თავის თავი მხოლოდ ადამიანის სრული ახალი აღორძინებით. ეს დაშლილი საზოგადოება, როგორც ახალი კლასი, არის პროლეტარიატი“ [2].

მარქსი აქ საბოლოოდ უარყოფს ჰეგელის აზრს, რომ თითქოს იდეალური სახელმწიფო განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმებს. ჰეგელის წინააღმდეგ მარქსი იწყებს სახელმწიფო დაწესებულებათა ფორმების დამოკიდებულების ძებნას საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებაში, თუმცა პირველ ხანებში მას შეუძლია ამ კანონზომიერების მხოლოდ სრულიად ზოგადი განსაზღვრის მოცემა. „ჰეგელს ავიწყდება, — ამბობს მარქსი, — რომ განსაკუთრებული ინდივიდუალობა არის ადამიანური ინდივიდუალობა, ხოლო სახელმწიფო ფუნქციები და სინამდვილის სფეროები ადამიანის ფუნქციებია; მას ავიწყებდა, რომ პიროვნების თავისებურობის არსებას შეადგენს არა

---

[1] მარქსი და ენგელსი, თხზ., ტ. I, გვ. 412.

[2] მარქსი და ენგელსი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, თხზ., ტ. I, გვ. 411.

მისი სისხლი, არა მისი წვერი, არამედ მისი სოციალური თვისობრივობა და რომ სახელმწიფო ფუნქციები და სხვ. სხვა არა-არის რა, თუ არა ყოფიერების ფორმები და ადამიანთა სოციალურ-თვისობრივობათა გამოვლენის ფორმები. ამიტომ ცხადია, რომ, რამდენადაც ინდივიდუუმები წარმოადგენენ სახელმწიფო ფუნქციების და სახელმწიფო ხელისუფლების მატარებლებს, ისინი განიხილებიან არა მათი კერძო, არამედ მათი საზოგადოებრივი, თვისობრივობების მხრით".

შემდეგ გადამჭრელ ნაბიჯს თავის განვითარებაში მარქსი და ენგელსი აკეთებენ „წმიდა ოჯახის კრიტიკაში", სადაც, ებრძვიან და ამხელენ რა ჰეგელის იდეალიზმის მიმდევრებს, ისინი საბოლოოდ მტკიცდებიან როგორც პროლეტარული რევოლუციონერები დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებზე. მარქსი აქ გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს, სამართალს, რელიგიას, მორალს განსაზღვრავს შეურიგებელი კლასთა ბრძოლა. „წმიდა ოჯახის კრიტიკაში" მარქსი იძლევა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის არსებული დაპირდაპირებულების კლასობრივ დახასიათებას. აქ მარქსმა უფრო ნათლად მოხაზა პროლეტარიატის ისტორიული როლი, აუცილებლობა მისი ბრძოლისა კაპიტალისტურ წყობილებასთან, მისი არსებობის ალმაშფოთებელ პირობებთან. მარქსმა და ენგელსმა „წმიდა ოჯახის კრიტიკაში" საბოლოოდ მოსინჯეს საზოგადოებრივი განვითარების ძირითადი ზამბარები — წარმოების მატერიალური პროცესი და მასთან დაკავშირებული კლასობრივი ბრძოლის კანონი და ამით საფუძველი ჩაუყარეს დიალექტიკურ მატერიალიზმს.

„გერმანული იდეოლოგია" (1846 წ.) წარმოადგენს შემდეგ ნაბიჯს დიალექტიკური მატერიალიზმის განვითარებაში. „გერმანული იდეოლოგიის" გამოსავალი პუნქტი პრინციპიალურად უპირისპირდება მთელ წინამორბედ, წინამარქსისტულ ფილოსოფიას საზოგადოდ და კერძოდ გერმანულ ფილოსოფიას. მარქსი და ენგელსი გამოდიან „რეალურად მომქმედ ადამიანებიდან და ცდილობენ მათი რეალური სასიცოცხლო პროცესიდან გამოიყვანონ აგრეთვე ამ სასიცოცხლო პროცესის იდეოლოგიურ რეფლექსთა და ასახვათა განვითარება" [1]. საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლისას გამოსავალ წერტილს უნდა წარმოადგენდეს არა ადამიანთა ფანტასტური წარმოდგენები, არა აბსტრაქცია რეალური სინამდვილისაგან, არამედ „ნამდვილი ადამიანები, მათი მოქმედება და მათი არსებობის მატერიალური პირობები, როგორც არსებულნი, ისე თვით ადამიანთა მოქმედებით შექმნილნი".

[1] „მარქსისა და ენგელსის არქივი", ტ. I, გვ. 216.

„ამრიგად ჩვენს წინაშე ასეთი ფაქტია: განსაზღვრული ინდივიდები, განსაზღვრული წესით მწარმოებელნი, შედიან განსაზღვრულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ურთიერთობაში“ [1]. „ის წარმოდგენები, რომლებსაც ეს ადამიანები ქმნიან თავისათვის, არის წარმოდგენები ან მათი დამოკიდებულების შესახებ ბუნებისადმი, ან მათი ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ... ცხადია, რომ ყველა ამ შემთხვევაში ეს წარმოდგენები არის მათი რეალური ურთიერთობის და მოქმედების, მათი წარმოების, მათი დამოკიდებულების, მათი საზოგადოებრივი და პოლიტიკური პრაქტიკის რეალური ან ილუზორული შეგნებული გამოხატულება“ [2]. ადამიანთა მატერიალური ყოფიერება — ეს არის მათი ცხოვრების ნამდვილი პროცესი: „ცნობიერება არასოდეს არ შეიძლება იყოს სხვა რამ, თუ არა მხოლოდ შეცნობილი ყოფიერება“ [3]. და მარქსი აქ უკვე იძლევა თავის კლასიკურ ფორძულას ცნობიერების ყოფიერებისაგან დამოკიდებულების შესახებ. „ცნობიერება კი არ განსაზღვრავს ცხოვრებას, არამედ ცხოვრება განსაზღვრავს ცნობიერებას“ [4], — ამბობს ის.

ამგვარად ჩამოაყალიბა რა მატერიალიზმის ძირითადი პრინციპი, მარქსი დაუნდობლად აკრიტიკებს მის წინამორბედ ფილოსოფიას. განსაკუთრებით ულმობლად უსწორდებიან მარქსი და ენგელსი გერმანულ ფილოსოფიას, რომელიც კონკრეტულად მომქმედ ადამიანის ნაცვლად სწავლობდა აბსტრაქტულ, გამონაგონ, წარმოსახულ, ერთი სიტყვით, ფანტასტურად წარმოდგენილ ადამიანს. „გერმანელ იდეოლოგთა აზრი,—მარქსის სიტყვით,— „წმინდა სულის“ სფეროში ტრიალებს, რელიგიურ ილუზიებში ხედავს რა ისტორიის მამოძრავებელ ძალას“. გერმანული ფილოსოფია მოქმედებს მხოლოდ ცაში და არასოდეს არ ეშვება დედამიწაზე. მაგრამ ნამდვილმა მეცნიერულმა შემეცნებამ თავისი კვლევის გზა უნდა დაიწყოს რეალურის შეისწავლიდან, წარმოების პროცესის, დედამიწაზე მცხოვრებ, კონკრეტულად მომქმედ ადამიანის შესწავლიდან. განსაზღვრულ, ისტორიულ ადამიანიდან უნდა გამოდიოდე, რათა გაიგო, რომ წარმოების საზოგადოებრივი პირობები განსაზღვრავს მათ იდეოლოგიურ ასახვას. მაშასადამე ფილოსოფიას, ისე როგორც ყოველგვარ იდეოლოგიას, არა აქვს თავისი განვითარების განსაკუთრებული დამოუკიდებელი ისტორია, ვინაიდან ადამიანები, ანვითარებენ რა თავისი

---

[1] „მარქსის და ენგელსის არქივი“, ტ. I, გვ. 215.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 216.
[4] იქვე.

ტატერიალური წარმოების წესებს, ამით ცვლიან თავისი წარმოდგენის წესსაც.

ამრიგად „ქრება ფრაზები ცნობიერების შესახებ, მათი ადგილი უნდა დაიჭიროს რეალურმა ცოდნამ“. ფილოსოფიის ადგილი უკეთეს შემთხვევაში შეიძლება დაიკავოს ადამიანთა ისტორიული განვითარების განხილვიდან აბსტრაგირებულ „ყველაზე ზოგადი შედეგების შეჯამებამ“. ამიტომ ნამდვილ და ერთადერთ მეცნიერებას წარმოადგენს ისტორია, რომელმაც სრულად უნდა გამოხატოს წარმოების საზოგადოებრივი ფორმების და აგრეთვე მათგან დამოკიდებული ცნობიერების სხვადასხვა ფორმების ცვლის პროცესი.

იმის ნათელსაყოფად, რომ მატერიალური წარმოების განვითარება წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად ყოვლისგანმსაზღვრელ კანონს, მარქსი და ენგელსი არაერთხელ მიუთითებენ პრაქტიკით შემოწმებულ ემპირიულ ფაქტზე იმის შესახებ, რომ იმისათვის, რათა ადამიანებმა იცხოვრონ, მათ უნდა აწარმოონ „თავისი ცხოვრებისათვის აუცილებელი საშუალებანი“ და ამით „არაპირდაპირი გზით“ აწარმოონ თავისი მატერიალური ცხოვრება, რადგან „ეს მოქმედება, ეს განუწყვეტელი გრძნობადი მუშაობა და შემოქმედება, ეს წარმოება იმდენადაა მთელი გრძნობადი სამყაროს საფუძველი, როგორადაც ის ახლა არსებობს, რომ ის რომ თუნდაც ერთი წლით მაინც შეწყდეს, მაშინ ფეიერბახი არა მარტო კოლოსალურ ცვლილებებს იპოვიდა ფიზიკურ სამყაროში, არამედ ძალიან მალე ვერ იპოვიდა ადამიანთა მთელ სამყაროს, მხედველობის საკუთარ უნარს და თვით თავის საკუთარ არსებობასაც“ [1].

მაგრამ თუ წარმოება არის საზოგადოების განვითარების ყოვლისგანმსაზღვრელი კანონი, მაშასადამე ის არის აგრეთვე ზღვარი, რომელიც აწესებს ადამიანის განსხვავებას ცხოველისაგან, ვინაიდან „ადამიანები შეიძლება განასხვავო ცხოველებისაგან ცნობიერებით, რელიგიით, საერთოდ რითაც გნებავ ი. თვით ისინი იწყებენ თავის გარჩევას ცხოველებისაგან მაშინვე როგორც კი იწყებენ თავისი ცხოვრებისათვის აუცილებელ საშუალებათა წ ა რ მ ო ე ბ ა ს“ [2]. წარმოება საფუძვლად უდევს ადამიანის ცხოვრებას საზოგადოებრივი განვითარების თვით ყველაზე დაბალ, პირველყოფილ საფეხურზედაც.

ცნობიერება კი საზოგადოებრივი განვითარების პირველ საფეხურებზე უშუალოდ დამოკიდებულია ადამიანის პრაქტიკული მოქმედებისაგან, წარმოადგენს რა „უწინარეს ყოვლისა უახლოესი გრძნო-

[1] „მარქსისა და ენგელსის არქივი“, ტ. I, გვ. 218.

[2] იქვე, გვ. 215.

ბადი ვითარების შეგნებას“ [1]. ცნობიერება და ენა პირველყოფილ ადამიანს გაუჩნდა შრომის პროცესში ერთიმეორესთან პრაქტიკულ-მომქმედ ურთიერთობათა მოთხოვნის გამო, და მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხდა მატერიალური და სულიერი შრომის განაწილება. ცნობიერებამ წარმოიდგინა, „რომ ის არის რაღაც სხვა, ვიდრე არსებული პრაქტიკის შეგნება“ [2]. „ამ მომენტიდან მას შესაძლებლობა ეძლევა განთავისუფლდეს სამყაროსაგან და გადავიდეს „წმინდა თეორიის შექმნაზე“ [3] და ამრიგად მიიღოს ადამიანზე ბატონობის ილუზიის ფორმა.

შრომის ამ განაწილებას განსაზღვრავს შ რ ო მ ი ს მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს ი, რომელიც ისტორიულად მყარდება. შრომის განაწილება ადამიანის განვითარებას ცალხრივად ხდის, ამახინჯებს მას, ბატონობს ადამიანზე მასზე განსაზღვრული საზოგადოებრივი ფუნქციების მიმაგრების ფორმით. „შრომის წარმოებული განაწილების თანახმად თვითეულს აქვს მოქმედების განსაზღვრული, განსაკუთრებული წრე, რომელიც მას თავზე აქვს მოხვეული და რომლიდანაც მას გამოსვლა არ შეუძლია: ის ხდება მონადირე, მეთევზე ან ნწყემსი... ანდა კრიტიკული კრიტიკოსი“ [4]. მარქსი და ენგელსი ადამიანის განვითარებაზე განსაკუთრებით უარყოფითად მომქმედათ თვლიან შრომის განაწილებას ქ ა ლ ა ქ ს ა დ ა ს ო ფ ე ლ ს შ ო რ ი ს, რადგან ის „არის ინდივიდის შრომის განაწილებისადმი და განსაზღვრულ, მისთვის იძულებით თავზემოხვეულ, მოქმედებისადმი დამორჩილების ფაქტის უაღრესად ეხვში გამოხატულება, დამორჩილების, რაც ერთ ადამიანს აქცევს ქალაქის შეხლუდულ ცხოველად, მეორეს — სოფლის შეზღუდულ ცხოველად“ [5].

ამრიგად მარქსი და ენგელსი გვიჩვენებენ ჩვენ, თუ როგორ განსაზღვრავს შრომის განაწილების კანონი იდეოლოგიის დამოუკიდებელი განვითარების ილუზიის გაჩენას, როგორ ამახინჯებს ადამიანს შრომის განაწილება, ამაგრებს რა მას ცალკე პროფესიებზე. „გერმანულ იდეოლოგიაში მარქსმა და ენგელსმა მკაფიოდ ჩამოაყალიბეს შრომის განაწილების კანონი როგორც კ ლ ა ს ე ბ ი ს შ ე ქ მ ნ ი ს საფუძველი, რადგან, ამბობენ ისინი, „შრომის განაწილება და კერძო საკუთრება წარმოადგენენ ოვიეობით გამოხატულებებს: ერთ შემთხვევაში იგივეა ნათქვამი მოქმედების მიმართ, რაც მეორე შე-

---

[1] „მ ა რ ქ ს ი ს ა დ ა ე ნ გ ე ლ ს ი ს ა რ ქ ი ვ ი“, ტ. I, გვ. 220.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 221.
[3] ი ქ ვ ე.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 223.
[5] ი ქ ვ ე, გვ. 234.

მთხვევაში ნათქვამია მოქმედების პროდუქტის მიმართ"[1]. ამიტომ „საკუთრების სხვადასხვა ფორმები შრომის განაწილების ყოველ საფეხურზე განსაზღვრავენ აგრეთვე ინდივიდთა ურთიერთობას შრომის მასალისა, იარაღისა და პროდუქტის მიმართ". ამრიგად „გერმანულ იდეოლოგიაში" მარქსი და ენგელსი სავსებით ამელავნებენ საზოგადოების კლასებად დაყოფის მიზეზებს.

ისინი იქვე იძლევიან საზოგადოების სრულიად კონკრეტულ განსაზღვრას როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებისას, ადგენენ მათ სტრუქტურათა დამოკიდებულებას საკუთრების გაბატონებული ფორმისაგან, იკვლევენ კლასობრივ ბრძოლას, რომელიც მათში კონკრეტულად ვითარდება.

ბრძოლა ფეოდალურ არისტოკრატიასა და ბურჟუაზიულ დემოკრატიას შორის, ბრძოლა საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის, მოქალაქეთა თანასწორობისა და თავისუფლებისათვის და ა. შ.—ყოველივე ეს ყალბი ფორმებია, რომლებიც ბურჟუაზიის ეკონომიური ინტერესების იდეალურ გამოხატულებას წარმოადგენენ.

მარქსი და ენგელსი ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქაში კლასობრივი ბრძოლის ანალიზის მაგალითზე აკეთებენ დასკვნას იმის შესახებ, რომ ის კლასი, რომელიც მატერიალურად ბატონობს, ყოველთვის გაბატონებულია სულიერადაც. კლასი, რომელიც წარმოების მატერიალურ საშუალებებს ფლობს, სულიერი წარმოების საშუალებებსაც ფლობს. მოცემულ ეპოქაში გაბატონებული აზრები წარმოადგენენ ამ ეპოქაში გაბატონებულ კლასობრივ ურთიერთობათა იდეალურ გამოხატულებას. ამიტომ მარქსი კიდევ და კიდევ ხაზს უსვამს იმას, რომ შემეცნების ძველი ფორმები შეიძლება მოსპობილ იქნას არა სულიერი კრიტიკით, არამედ პრაქტიკული გადატრიალებით რეალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებში... „კრიტიკა კი არა, არამედ რევოლუცია არის ისტორიის მამოძრავებელი ძალა".

ამრიგად „გერმანულ იდეოლოგიაში" მარქსი და ენგელსი საზოგადოებრივი განვითარების ძირითად კანონზომიერებათა აღმოჩენასთან ერთად მკაფიოდ ააშკარავებენ აგრეთვე რევოლუციის ისტორიულ აუცილებლობას. რევოლუცია არის აუცილებელი შედეგი წინააღმდეგობისა საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობებს შორის; „წინააღმდეგობა საწარმოო ძალებსა და ურთიერთობათა ფორმებს შორის... ყოველთვის რევოლუციის სახით უნდა გამომჟღავნებულიყო"[2].

---

[1] „მარქსისა და ენგელსის არქივი", ტ. I, გვ. 222.

[2] იქვე, გვ. 241.

მარქსი და ენგელსი არაერთხელ განმარტავენ იმ ფაქტს, რომ ყველა წინანდელი რევოლუცია იფარგლებოდა მხოლოდ საკუთრების ვადანაწილებით, არ ეხებოდა რა ამასთანავე კერძო საკუთრების ბატონობის თვით საფუძვლებს. ამაშია ყველა წინანდელი რევოლუციის ერთერთი ძირითადი განსხვავება მომავალ პროლეტარულ-კომუნისტური რევოლუციისაგან. მხოლოდ კომუნისტური რევოლუცია მოსპობს საბოლოოდ ყოველგვარ კლასობრივ ბატონობას, ვინაიდან მას მოახდენს და სათავეში ჩაუდგება პროლეტარიატი, კლასი, რომელსაც ყველა ერებში ერთნაირი ინტერესები აქვს, რომლისათვისაც აუტანელია არა მარტო მისი ურთიერთობა კაპიტალისტთან, არამედ თვით შრომის განაწილებაც, კლასი, რომელიც „თავის ზურგზე ატარებს საზოგადოების მთელ ტვირთს, არ სარგებლობს რა მისი სიკეთით“, კლასი, „რომლიდანაც გამოდის კომუნისტური რევოლუციის აუცილებლობის შეგნება“. პროლეტარიატმა რევოლუცია უნდა მოახდინოს „არა მარტო იმიტომ, რომ არავითარი სხვა გზით არ შეიძლება გაბატონებული, კლასის დამხობა, არამედ იმიტომაც, რომ დამამხობელ კლასს მხოლოდ რევოლუციაში შეუძლია გაიწმინდოს ძველი საზოგადოების მთელი სიბინძურისაგან და გახდეს ახალი საზოგადოების შექმნის უნარისმქონე“ [1]. მაშასადამე „კომუნიზმი ჩვენთვის წარმოადგენს არა მდგომარეობას, რომელიც დამყარებულ უნდა იქნას, არა იდეალს, რომელსაც უნდა შეეფარდოს სინამდვილე. კომუნიზმს ჩვენ ვუწოდებთ რეალურ მოძრაობას, რომელიც სპობს ახლანდელ მდგომარეობას“ [2].

ამრიგად „გერმანული იდეოლოგია“ წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს წინ მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიურ შეხედულებათა განვითარებაში. აქ ისინი აერცელებენ მატერიალიზმს საზოგადოების შემეცნებაზე, ამთავრებენ მატერიალიზმის შენობას თავამდე, ამჟღავნებენ საზოგადოებრივი განვითარების ძირითად კანონზომიერებებს და ამით საბოლოოდ აყალიბებენ დიალექტიკურ მატერიალიზმს როგორც პროლეტარიატის მსოფლმხედველობასა და მეთოდს.

ვიდრე დიალექტიკური მატერიალიზმის უფრო დაწვრილებით განხილვაზე გადავიდოდეთ, შევჩერდეთ იმ შეხედულებებზე, რომლებიც ამახინჯებენ მარქსის ფილოსოფიურ შეხედულებათა განვითარების ნამდვილ მსვლელობას.

---

[1] „მარქსისა და ენგელსის არქივი“, ტ. I, გვ. 227. ხაზგასმულია ჩვენს მიერ.—ავტ.

[2] იქვე, გვ. 213. ხაზგასმულია ჩვენს მიერ.—ავტ.

ფართოდ არის გავრცელებული პლეხანოვის თვალსაზრისი, რომელიც ძირფესვიანად ამახინჯებს მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიურ შეხედულებათა ჩამოყალიბების ნამდვილ პროცესს. თავის სტატიაში „მარქსის ფილოსოფიური ევოლუცია“, პლეხანოვი ამტკიცებს, რომ „მთელი მათი (მარქსისა და ენგელსის) გზა წარმოადგენს სამ ეტაპს: პირველი ეტაპი—აბსტრაქტული ჰეგელური თვითშეგნება, მეორე ეტაპი—ფეიერბახის კონკრეტულ-აბსტრაქტული ადამიანი და უკანასკნელი ეტაპი — რეალური ადამიანი, რეალურ კლასობრივ საზოგადოებაში, განსაზღვრულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ვითარებაში მცხოვრები“. ჰეგელიანელობისაგან ანტიჰეგელიანელობის გზით ფეიერბახული მატერიალიზმისა და ჰეგელიანელობის სიხთეზისაკენ ახალ საფუძველზე—მარქსიზმისაკენ საკუთარი აზრით.

ამ თვალსაზრისის ძირითადი მანკი იმაში მდგომარეობს, რომ მარქსის ფილოსოფიური განვითარება განხილულია წმინდა ლოგიკურად, როგორც იდეათა უბრალო განვითარება, კლასობრივი ბრძოლისაგან, მეცნიერების განვითარების დონესაგან დამოუკიდებლად. ჩვენ ნათელვყავით აგრეთვე, რომ მარქსი და ენგელსი დიალექტიკურ მატერიალიზმს ქმნიდენ ჰეგელთან და ფეიერბახიანელობასთან ბრძოლაში. პლეხანოვს არ ესმის, რომ მარქსის ფილოსოფური განვითარება ყოველთვის ექვემდებარებოდა რევოლუციური ბრძოლის ამოცანებს, რომ რევოლუციურ ბრძოლაში მარქსმა სწრაფად გაიგო ფეიერბახის იარაღის ნაკლოვანებანი.

მარქსის ფილოსოფიური განვითარების პლეხანოვისეულ სქემას ემხრობიან მექანისტებიც და მომენშევიკ იდეალისტებიც, თუმცა სიგრძნობლად აუარესებენ მას და იგი აბსურდამდე მიჰყავთ. ასე თავის წიგნში „მარქსი როგორც ფილოსოფოსი“ ლ. აქსელროდი წერს: „საერთოდ იდეალიზმისა და კერძოდ ჰეგელის იდეალიზმის, წინააღმდეგ გამოვიდა ჰეგელის მოწაფე—ფეიერბახი, რომელმაც განვლო თავისი მასწავლებლის სისტემა და შეითვისა აზროვნების დიალექტიკური მეთოდი. ფეიერბახმა გასაოცარი ოსტატობით გამოიყენა დიალექტიკური იარაღი, რომლის შემწეობითაც დაამსხვრია იდეალისტური ნაგებობანი. და იქ, სადაც ფეიერბახმა დაასრულა, მხოლოდ იქ დაიწყო მარქსმა. მარქსი სავსებით იზიარებს იდეალიზმის ფეიერბახულ კრიტიკას.., მოკლედ მარქსმა შექმნა უმაღლესი სინთეზი, რაც გამოიხატება ჰეგელის დიალექტიკური მეთოდის შეთავსებაში ფეიერბახის შემეცნების მატერიალისტურ საფუძველთან“. არსებითად აქ აქსელროდი მხოლოდ უფრო ფულგარულად იმეორებს პლეხანოვს,

ის დიალექტიკურ მატერიალიზმად ასაღებს ფეიერბახელობისა და ჰეგელიანელობის შეერთებას.

მომენშევიკო იდეალისტები მთლიანად ეთანხმებიან მექანისტებს დიალექტიკუოი მატერიალიზმის წარმოშობის საკითხში. ისინი მარქსის დიალექტიკას იხილავენ როგორც ჰეგელის დიალექტიკას, შესწორებულს ფეიერბახის მატერიალიზმით, როგორც ჰეგელის დიალექტიკისა და ფეიერბახის მატერიალიზმის სინთეზს (დებორინი).

რაშია დიალექტიკური მატერიალიზმის წარმოშობის ისტორიის ამ დამახინჯებათა სოციალური აზრი? ყველა ეს დამახინჯებანი ემყარებიან ერთ, მათთვის საერთო მტკიცებას: დიალექტიკური მატერიალიზმი წარმოადგენს ფეიერბახის მატერიალიზმისა და ჰეგელის დიალექტიკის გაერთიანებას. მაგრამ ამის მტკიცება ნიშნავს ცდას გათქვიფო პროლეტარიატის ფილოსოფია ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობაში. დიალექტიკური მატერიალიზმი წარმოადგენს ფილოსოფიის ყველა ფორმის განგრძობასაც და ამასთანავე მათ სრულ დაპირდაპირებულებასაც. მისი განვითარების გზა—ეს არის ბრძოლა ბურჟუაზიის ყველა ფილოსოფიურ თეორიასთან, მათ შორის და უწინარეს ყოელისა ჰეგელის იდეალისტურ დიალექტიკასთან და ფეიერბახის მკვრეტელობით მატერიალიზმთან.

არ შეიძლება „საერთოდ“ დიალექტიკოსი იყო, არამედ მხოლოდ ან იდეალისტური, ან და მატერიალისტური დიალექტიკოსი. მომენშევიკო იდეალისტები პირველთა რიცხვს ეკუთვნიან, მარქსისტ-ლენინელები მეორის წარმომადგენლები არიან. მექანისტები კი არცერთ მათგანს არ ეკუთვნებიან, რადგან ისინი სრულიადაც არ არიან დიალექტიკოსები.

ჩვენ „ჰეგელის დიალექტიკის მატერიალისტური მეგობრები ვართ“. ჩვენ კი არ უარვყოფთ ამ დიალექტიკას, არამედ ვახდენთ მის გადამუშავებას და ვანვითარებთ მას როგორც მატერიალისტურ დიალექტიკას. თუმცა „ჰეგელს ბევრი მისტიციზმი და ცალიერი პედანტიზმი აქვს... მაგრამ გენიალურია ძირითადი იდეა: მსოფლიო, ყოველმხრივი, ცოცხალი კავშირი ყველაფრისა ყოველივესთან და ამ კავშირის ასახვა—მატერიალისტურად თავდაყირა დაყენებული ჰეგელი—ადამიანის ცნებებში, რომლებიც უნდა იქნენ ასევე მოკვეთილნი, დახვეწილნი, მოქნილნი, მოძრავნი, რელატიურნი, ურთიერთდაკავშირებულნი და ერთიანნი დაპირდაპირებულებებში, რათა მოიცვან სამყარო“[1]. მარქსიზმმა ჰეგელის დიალექტიკა „თავდაყირადან ფეხზე“ დააყენა, მან „ამოიღო რაციონალური გული მისი მისტიური გარსიდან“. ჩვენ ჰეგელის იდეალიზმის დიალექტიკურ-მატერიალისტური მტრე-

[1] „ლენინის კრებული“, IX, გვ. 139.

ბი ვართ. ჩვენ ვძლევთ ჰეგელის ყალბ, იდეალისტურ, მისტიურ, ღვთისმეტყველურ დიალექტიკას. მისი მატერიალიზმის იდეალისტური ტყვეობიდან განთავისუფლებით, მატერიალიზმი მასში პოულობს ბუნებრივ მოკავშირეს და თანამონაწილეს. დიალექტიკა სრულიადაც არ არის მატერიალიზმის შემთხვევითი თანამგზავრი. თანმიმდევრული მატერიალიზმი აუცილებლობით დიალექტიკურია, ისე როგორც ერთადერთი თანმიმდევრული დიალექტიკა—მატერიალისტურია.

თ ა ვ ი III

დიალექტიკური მატერიალიზმი

I. მატერიალისტური დიალექტიკა როგორც ფილოსოფიური მეცნიერება

დიალექტიკური მატერიალიზმი არის იმ ახალი საზოგადოებრივი კლასის მსოფლმხედველობა, რომელსაც ისტორიამ დააკისრა კლასების მოსპობის დიდი ამოცანა. დიალექტიკურ მატერიალიზმში-მუშათა კლასი პოულობს თავისი ბრძოლის და თავისი განთავისუფლების სულიერ იარაღს, თავის შეხედულებათა ფილოსოფიურ საფუძველს, რომელიც მოწმობს მის გადაქცევას კლასიდან „თავისთავად" კლასად „თავისათვის". დიალექტიკური მატერიალიზმი არის ისეთი მსოფლმხედველობა, რომლის სწორად და მთლიანად დაუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ სამყაროს შემეცნებას მიეუდგებით პროლეტარიატისა და მისი პარტიის კლასობრივი პოზიციებიდან. ეს პოზიციები სწორედ ისეთია, რომ მათგან სინამდვილე ნამდვილად ობიექტურად შეიცნობა. რადგან მხოლოდ მარქსიზმის ფილოსოფია წარმოადგენს შეხედულებათა ისეთ სისტემას, რომელშიაც უმაღლესი და მტკიცე მეცნიერულობა უთავსდება თანმიმდევრულ და შეურიგებელ პროლეტარულ რევოლუციურობას. დიალექტიკური მატერიალიზმი არის ერთადერთი ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც აშკარად და თანმიმდევრობით უპირისპირდება ექსპლოატატორული კლასების იდეოლოგიას და რომელიც იზრდება და ვითარდება პროლეტარიატის სიძლიერის განმტკიცებასთან ერთად.

მარქსიზმის ფილოსოფია არის მეცნიერებისა და ფილოსოფიის მთელი წინამორბედი განვითარების ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ჯ ა მ ი, დასკვნა, შედეგი. მაგრამ მარქსიზმი უბრალოდ, მექანიკურად კი არ აერთიანებს წინამორბედ მოძღვრებას, ის სრულიადაც არ არის (როგორც მომენშევიკო იდეალისტები ფიქრობენ) წინამორბედ თეორიების უბრალო მექანისტური ს ი ნ თ ე ზ ი, არამედ მათი კ რ ი ტ ი კ უ ლ ი გ ა დ ა მ უ შ ა ვ ებ ა ა. ის არის ა ხ ა ლ ი მთლიანი ფილოსოფიური მოძღვრება, დაფუძნებული ბუნების, კლასობრივი ბრძოლის ისტორიისა და პრაქტიკის შესწავლის დასკვნებზე.

თანამედროვე მატერიალიზმი წინამორბედ ფილოსოფიურ მოძღვრებათა უბრალო მემკვიდრე არ არის; ის დაიბადა და გაიზარდა ბრძოლაში წინათ გაბატონებული ფილოსოფიის წინააღმდეგ, ბრძოლაში მეცნიერების განთავისუფლებისათვის მის მღრღნელ იდეალიზმისა და მისტიკისაგან. მარქსიზმმა დაიმემკვიდრა არა მარტო ის, რაც ნაყოფიერი იყო ჰეგელის მოძღვრებაში — იდეალიზმის უმაღლეს პროდუქტში, არამედ მან დასძლია კიდეც ამ მოძღვრების იდეალიზმი, მატერიალისტურად გადაამუშავა მისი დიალექტიკა. მან არა მარტო განაგრძო და დაასრულა მატერიალიზმის მთელი წინამორბედი განვითარება, არამედ იგი ხდება მისი სივიწროვის მოწინააღმდეგე, მექანიკური, მეტაფიზიკური მატერიალიზმის მოწინააღმდეგე. პროლეტარიატის ფილოსოფია მემკვიდრეობად იღებს წინამორბედი ცივილიზაციის მეცნიერულ წყაროებს და ახდენს მათ რევოლუციურ გადამუშავებას.

დიალექტიკური მატერიალიზმი როგორც მარქსიზმის ფილოსოფია არის აგრეთვე გარემომცველ სამყაროს შემეცნებისა და რევოლუციური მოქმედების მეთოდი. დიალექტიკური მატერიალიზმი წარმოადგენს მსოფლმხედველობისა და მეთოდის ერთიანობას. სწორედ ამ საკითხში ხშირია უმართებულო შეხედულებანი, რომლებიც მარქსიზმს ამახინჯებენ. მარქსიზმის იდალისტური რევიზიის წარმომადგენლები დიალექტიკური მატერიალიზმის მთელ არსებას იმაში ხედავდენ, რომ ის „მეთოდს" წარმოადგენს. საკითხის ამგვარი დაყენებით ისინი მეთოდს სთიშავდენ საერთო ფილოსოფიურ მსოფლმხედველობისაგან, დიალექტიკას სთიშავდენ მატერიალიზმისაგან. უმართებულოა მექანისტური თვალსაზრისიც, რომელიც მარქსიზმის ფილოსოფიაში ხედავს მხოლოდ საერთო ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას, ამასთანავე იგივეობითს მექანიკურ ბუნებისმეტყველების დასკვნებთან, არ ესმის რა ამასთანავე, რომ ჩვენი ფილოსოფია არის არა მარტო მატერიალიზმი, არამედ დიალექტიკური მატერიალიზმი.

მარქსიზმის ფილოსოფიისა და მისი საგნის საკითხის შესახებ მთელი წინამორბედი ფილოსოფიისაგან განსხვავებით მეტისმეტად ღრმა აზრებს ანვითარებდენ მარქსი და ენგელსი თავის ადრინდელ შრომებში. ასე, „გერმანულ იდეოლოგიაში" ისინი ფილოსოფიის საკითხის შესახებ წერდენ: „ამრიგად იქ, სადაც წყდება სპეკულაცია, ე. ი. რეალური ცხოვრების მიჯნაზე, იწყება რეალური დადებითი მეცნიერება, პრაქტიკული მოქმედების, ადამიანთა განვითარების პრაქტიკული პროცესის გამოსახვა. ქრება ფრაზები ცნობიერების შესახებ, მათი ადგილი უნდა დაიჭიროს რეალურმა ცნობიერებამ. როდე-

საც იწყებენ სინამდვილის გამოსახვას, თავის raison d'être-ს (აზრს) კარგავს დამოუკიდებელი ფილოსოფია. მისი ადგილის დაკავება უკეთეს შემთხვევაში შეუძლია ადამიანთა ისტორიული განვითარების განხილვისაგან აბსტრაგირებული ყველაზე ზოგადი შედეგების შეჯამებას" [1].

მარქსი და ენგელსი თავის მოძღვრების მახვილს მიმართავენ ფილოსოფიის რეალური სინამდვილისაგან მოწყვეტის და მისი რაღაც დამოუკიდებელ არსებად გადაქცევის წინააღმდეგ და განსაკუთრებით უსვამენ ხაზს ისეთი ფილოსოფიის აუცილებლობას, რომელიც იზრდება რეალური ცხოვრების, რეალურ ურთიერთობათა ანალიზის საფუძველზე. ისინი ხაზს უსვამენ იმას, რომ ფილოსოფიის ასეთი გაგებისას ყოველგვარ აზრს კარგავს დამოუკიდებელი ფილოსოფია, ე. ი. ისეთი ფილოსოფია, რომლის საგანიც არის მხოლოდ ლოგიკური იდეები და მათი თვითწარმოშობა. ამრიგად აქ დადებითათ არის განსაზღვრული ფილოსოფიის როლი და დანიშნულება, რაც დაწვრილებით განვითარებულია მარქსისა და ენგელსის შემდგომ ნაწერებში და ლენინის შრომებში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მითითება, რომ ფილოსოფიის ამოცანად უნდა გახდეს ადამიანთა ისტორიული განვითარების განხილვისა და შესწავლისაგან აბსტრაგირებული ზოგადი შედეგების შეჯამება. საერთოდ მარქსიზმის და კერძოდ მარქსისტული ფილოსოფიის ვულგარიზატორები და დამმახინჯებლები, რომლებიც უარყოფენ ფილოსოფიური მეცნიერების არსებობის უფლებას, ცდილობენ მოიშველიონ ენგელსის გამოთქმანი ამ საკითხზე „ანტი-დიურინგში". ენგელსი იქ ამბობს: თანამედროვე „მატერიალიზმი არსებითად დიალექტიკურია და ზედმეტად ხდის ყოველგვარ ფილოსოფიას, რომელიც აყენებს სხვა მეცნიერებებზე მაღლადგომის პრეტენზიებს. როცა თვითეულ ცალკე მეცნიერებას ვუყენებთ მოთხოვნას—გამოარკვიოს თავისი ადგილი საგანთა და ცოდნათა საერთო სისტემაში, რაიმე განსაკუთრებელი მეცნიერება ამ მათთვის საერთო ურთიერთობის შესახებ ზედმეტი ხდება" [2].

უწინარეს ყოვლისა აქ ენგელსი ხაზს უსვამს იმას, რომ მარქსიზმის ფილოსოფია არის არა მარტო მატერიალიზმი, არამედ დიალექტიკური მატერიალიზმი. მეორე, რაკი დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით თვითეულ მეცნიერებას მოეთხოვება გამოარკვიოს თავისი ადგილი ჩვენს მიერ ობიექტურ სამყაროს შემეცნების საერთო პროცესში,—ასეთი მდგომარეობის დროს არავითარი საჭირო არ

---

[1] „მარქსისა და ენგელსის არქივი", ტ. I, გვ. 216. ხაზგასმულია ჩვენს მიერ.—ა ვ ტ.

[2] ენ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 8.

არის სხვა მეცნიერებებზე მაღლა მდგომი ფილოსოფია, რომელიც არის თითქოს „მეცნიერებათა მეცნიერება“ და თხზავს საერთო ურთიერთობას მეცნიერების ნამდვილი მასალის უანალიზოთ. ასეთი „ფილოსოფია“ მისი ამ ძველი ფორმით ქრება. მაგრამ რჩება მოთხოვნილება ნამდვილი შინაარსის მქონე ფილოსოფიურ მეცნიერებაზე,—ფილოსოფიაზე როგორც მეცნიერებაზე ადამიანის აზროვნების განვითარების კანონების შესახებ, ფილოსოფიაზე, რომელიც ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონებს ასახავს. ამიტომ დიალექტიკური მატერიალიზმის შესახებ ლაპარაკის დროს ენგელსი წერდა: „ამრიგად ფილოსოფია „მოხსნილია“, ე. ი. „ერთსა და იმავე დროს მოსპობილიცაა და შენარჩუნებულიც“. მოსპობილია ფორმალურად, შენარჩუნებულია თავისი ნამდვილი შინაარსით“ [1].

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ მარქსისტული ფილოსოფიის უარმყოფელი ყოველგვარი ჯურის ოპორტუნისტები და რევიზიონისტები ამახინჯებენ მარქსის, ენგელსის და ლენინის შეხედულებებს. როგორ ესმოდათ მატერიალისტური დიალექტიკა როგორც ფილოსოფიური მეცნიერება მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთ?

მარქსს, ენგელსს, ლენინს მატერიალისტური დიალექტიკა ესმით როგორც მოძღვრება განვითარების შესახებ. ენგელსი თავის ნაწერებში დიალექტიკას უწოდებს მოძღვრებას „ბუნებისა, ადამიანთა საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების და მოძრაობის საყოველთაო კანონების შესახებ“ [2]. ლენინი მარქსისა და ენგელსის მსგავსად დიალექტიკაში ხედავს „ყველაზე ყოველმხრივ, შინაარსით მდიდარ და ღრმა მოძღვრებას განვითარების შესახებ“ [3]. ლენინისათვის, ისე როგორც მარქსიზმის ფუძემდებელთათვის, განვითარების პრინციპის სხვაგვარი ფორმულა არის შეზღუდული, უშინაარსო და „ბუნებასა და საზოგადოებაში... განვითარების ნამდვილი მსვლელობის დამმახინჯებელი“ [4]. დიალექტიკა არის ყველაზე ღრმა და ყოველმხრივი მოძღვრება განვითარების შესახებ იმიტომ, რომ ივი ყველაზე სრულად, ყოველმხრივად ასახავს ბუნებასა და საზოგადოებაში ცვლილებათა პროცესის ნახტომობრივ და წინააღმდეგურ ხასიათს.

ფილოსოფიისაგან ენგელსის სიტყვით „რჩება მოძღვრება აზროვნების კანონების შესახებ, ლოგიკა და დიალექტიკა“. მაგრამ ჩვენი აზროვნების კანონები ასახავენ ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონებს.

---

[1] ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 110.

[2] იქვე, გვ. 112. ხაზგასმულია ჩვენს მიერ.—ავტ.

[3] ლენინი, კარლ მარქსი, თხზ. ტ. XVIII, გვ. 10.

[4] იქვე.

„მთელ ჩვენ თეორიულ აზროვნებაზე,—ამბობს ენგელსი,—აბსოლუტური ძალით ბატონობს ის ფაქტი, რომ ჩვენი სუბიექტური აზროვნება და ობიექტური სამყარო ემორჩილება ერთსადაიმავე კანონებს და რომ ამიტომ მათ არ შეუძლიათ წინააღმდეგური იყვენ ერთი-მეორისადმი თავის საბოლოო შედეგების მიხედვით, არამედ უნდა შეთანხმებოდენ ერთი-მეორეს. ეს ფაქტი არის ჩვენი თეორიული აზროვნების შეუგნებელი და აუცილებელი წანამძღვარი“ [1]. თვით აზროვნების კანონები, რომელთა მიხედვითაც ვითარდება ჩვენი შემეცნება, ასახავენ ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების ისტორიის განვითარებას. ამიტომ ბუნებისა და ისტორიის გარეშე დიალექტიკის კანონებს არავითარი შნიშვნელობა არა აქვთ. თვით აზროვნების კანონები სწორია მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ასახავენ ბუნებისა და ისტორიის განვითარებას. „ეგრეთწოდებული ობიექტური დიალექტიკა,—წერდა ენგელსი,—მეფობს მთელს ბუნებაში, ხოლო ეგრეთწოდებული სუბიექტური დიალექტიკა, დიალექტიკური აზროვნება არის მხოლოდ ასახვა მთელს ბუნებაში გაბატონებული მოძრაობისა დაპირდაპირებულებათა გზით, რომლებიც განსაზღვრავენ ბუნების სიცოცხლეს თავისი მუდმივი წინააღმდეგობებით და საბოლოო ანგარიშში თავისი გადასვლით ერთი-მეორეში, ან უმაღლეს ფორმებში“ [2].

სუბიექტური დიალექტიკა, წარმოადგენს რა ობიექტურ სამყაროს განვითარების ასახვას ცნობიერებაში, არის აზროვნების მეთოდი და ამასთანავე მეთოდი ადამიანთა პრაქტიკული მოქმედებისა, რომელიც მიმართულია როგორც ბუნებაზე, ისე საზოგადოებაზე. იგი, ენგელსის გამოთქმით, „აზროვნების ყველაზე სწორი ფორმაა, „ვინაიდან მხოლოდ ის წარმოადგენს ანალოგს და, მაშასადამე, ახსნის მეთოდს ბუნებაში წარმოებული განვითარების პროცესებისათვის, ბუნების საყოველთაო კავშირთათვის, და კვლევის ერთი დარგიდან მეორეზე გადასვლისათვის“ [3].

II. სამყაროს მატერიალურობა და მატერიის არსებობის ფორმები

მარქსიზმი შემდგომ ანვითარებს და განაგრძობს მატერიალისტურ ხაზს ფილოსოფიაში და სწყვეტს ფილოსოფიის ძირითად საკითხს ყოფიერებისა და აზროვნების ურთიერთდამოკიდებულების შე-

---

[1] ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 75. ხაზგასმულია ჩვენს მიერ.—ავტ.

[2] იქვე, გვ. 35. ხაზგასმულია ჩვენს მიერ.—ავტ.

[3] იქვე, გვ. 70.

სახებ, თანმიმდევრულ-მატერიალისტურად უსვამს რა ხაზს სამყაროს მატერიალურობას და ცნობიერების დამოკიდებულებას ყოფიერებისაგან. „სამყაროს ერთიანობა მის მატერიალურობაში მდგომარეობს და იგი მტკიცდება... ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველების ხანგრძლივი და ნელი განვითარებით"[1].

ყოფიერების, ბუნების, ობიექტის პირველადობის აღიარება მის დამოუკიდებელ არსებობას გულისხმობს. მატერიალიზმის მიმდევრობის ნამდვილ პირველ პირობას წარმოადგენს გარეშე სამყაროს, ობიექტური. რეალობის არსებობის აღიარება ვისიმე ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად. ობიექტი არ არის რაღაც მეორადი სუბიექტის მიმართ, ის დამოუკიდებელია, პირველადია. ჩვენ უკვე დავინახეთ, როდესაც სუბიექტურ იდეალიზმს ვეცნობოდით, თუ უაზრობათა რა უფსკრულამდე მივყევართ ამ პრინციპის უარყოფას.

ობიექტურ სამყაროს არსებობის დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს ადამიანის საზოგადოებრივი პრაქტიკა, რომელიც ადამიანთა საზოგადოების ისტორიულ განვითარებაში ხორციელდება. ადამიანთა მოქმედება და თვით ჩვენი არსებობა უცილობლად და უდაოდ ამტკიცებს გარეშე სამყაროს რეალობას და მის დამოუკიდებლობას სუბიექტისაგან. ის გარემოება, რომ ადამიანი ყოველდღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს უნდა შეეჯახოს გარეშე სამყაროს, რომელსაც ის გრძნობათა ორგანოების საშუალებით აღიქვამს; ის გარემოება, რომ სამყარო ადამიანს უპირისპირდება როგორც ურჩი, ხშირად მტრული ძალა, რომელთანაც საჭიროა მკაცრი, სასტიკი ბრძოლა; და, ბოლოს, ის გარემოება, რომ ადამიანმა არა მარტო უნდა გადალახოს გარეშე დაბრკოლებანი, არამედ უნდა ქონდეს კიდეც მათი დაძლევის უნარი, წარმოადგენს გარეშე სამყაროს ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი არსებობის საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთს.

მატერიალურ სამყაროს, ცნობიერების ყოფიერებისაგან დამოკიდებულების, მატერიის პირველადობის აღიარება მარქსისტული ფილოსოფიის ქვაკუთხედია. მაგრამ რას წარმოადგენს მატერია? ამ საკითხის გარკვევისათვის საჭიროა ნათლად გავიგოთ მატერიის ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო მეცნიერული ცნება. ეს არის არა საწინააღმდეგო ცნებები, არამედ მატერიის ორი სხვადასხვა მხრით განსაზღვრა. მატერიის ფილოსოფიური ცნება მას ახასიათებს შემეცნებისა, აზროვნებისა და სუბიექტისადმი დამოკიდებულების მხრით. მატერიის ფილოსოფიურ ცნებაში იგულისხმება ის, „რაც ჩვენს გრძნობათა ორ-

[1] ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 24.

განოებზე ზემოქმედების დროს შეგრძნებას იწვევს; მატერია არის ობიექტური რეალობა, რომელიც ჩვენ მოცემულია გვაქვს შეგრძნებაში"[1]. მატერია არის ის, რაც ჩვენი ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებობს, იწვევს ჩვენ შეგრძნებებს და აისახება მათში. მატერიის საბუნებისმეტყველო-მეცნიერულ ცნებას მხედველობაში აქვს ის საკითხი, თუ როგორია ეს ობიექტური სამყარო ფიზიკური ცოდნის თანამედროვე დონის თვალსაზრისით. თუ მატერიის ფილოსოფიური ცნება განუწყვეტლივ დაკავშირებულია ყოფიერებისადა ცნობიერების, სუბიექტისა და ობიექტის თანაშეფარდების საკითხის გადაჭრასთან, მატერიის საბუნებისმეტყველო-მეცნიერულ ცნებას მხედველობაში აქვს მატერიის სტრუქტურა, ამ ფიზიკური სტრუქტურის დახასიათება, ხოლო ეს დახასიათება იცვლება ჩვენი ცოდნის განვითარებასთან ერთად სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში.

მატერია ეს არის მთელი ჩვენგან დამოუკიდებელი სამყარო. მატერიის ცნება ყველაზე ზოგადი ცნებაა. ყველაფერი, რაც არის, წარმოადგენს მატერიის სხვადასხვა სახეებს, თვით მატერია კი არ შეიძლება განსაზღვრულ იქნას როგორც რაიმე გვარის კერძო შემთხვევა. ამავე მიზეზით არ შეიძლება აგრეთვე მატერიის სახეობით განსხვავებაზე მითითება. ჩვენ მატერიას ვანსხვავებთ ცნობიერებისაგან, ერთი-მეორეს ვუპირისპირებთ მათ, მაგრამ ეს დაპირისპირება პირობითია და მას აზრი აქვს მხოლოდ საკითხის „გნოსეოლოგიური" დაყენების ფარგლებში, რამდენადაც ჩვენ თვით მატერიაში ვპოულობთ მის განსაკუთრებულ თვისებას, როგორც მაღალორგანიზებული მატერიის თვისებას — ცნობიერებას. შემეცნების დაპირისპირება ყოფიერებისადმი არის შემცნობი მატერიის დაპირისპირება იმ მატერიისადმი, რომელიც შეიცნობა და მეტი არაფერი. სრულიად კანონიერი და სწორი დაპირისპირება სუბიექტისა ობიექტისადმი ჰკარგავს თავის აზრს შემეცნების თეორიის ფარგლებს იქეთ. ჩვენ რომ საბუნებისმეტყველო-მეცნიერული თვალსაზრისით დაგვეპირისპირებია მატერია სულისადმი, ეს იქნებოდა მატერიალისტური მონიზმის ღალატი, დუალისტურ პოზიციაზე გადასვლა. არის მხოლოდ მატერია და მისი გამოვლენანი. სუბიექტი ასევე მატერიალურია. შემცნობი ადამიანი თვით არის მატერიის ერთერთი გამოვლენა.

ვინაიდან მატერია უნივერსალური და ერთად-ერთია, მისი სრული განსაზღვრის მოცემა ნიშნავს ჩამოსთვალო ყველა მისი თვისება და

[1] ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ., ტ. XIII, 143. ხაზგასმულია ჩვენს მიერ. — ავტ.

გამოვლენა, ე. ი. ყოველივე, რაც კი ბუნებაში არსებობს. აი ამიტომ მ ა ტ ე რ ი ი ს ს ა ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო - მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი ც ნ ე ბ ა ყოველთვის შეიძლება იყოს მხოლოდ შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა , რადგან მისი ამომწურავი განსაზღვრა გულისხმობს ბუნების აბსოლუტური შემეცნების დასრულებას, მეცნიერების მიერ ყველა თავისი ამოცანის ამოწურვას. ფიზიკისა და ქიმიის პროგრესთან ერთად ხდება მატერიის საბუნებისმეტყველო-მეცნიერული ცნების დაზუსტება. უაზრობაა ფილოსოფიისაგან იმის მოთხოვნა, რაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მთელი განვითარების მისწრაფებასა და მიზანს შეადგენს.

კლასიკური მექანიკა, ფიზიკა და სხვა მეცნიერებანი, როდესაც მატერიაზე ლაპარაკობენ, ითვალისწინებენ მის ისეთ თვისებებს, როგორიცაა: მასა, ინერცია, შეუვალობა, სიმძიმე და ა. შ. ამასთანავე მატერიის ამ თვისებებს თვლიდენ მის აბსოლუტურ, უცვლელ, თავდაპირველ თვისებებად. ასეთი გაგება ნაწილობრივ გამოწვეული იყო თვით ბუნებისმეტყველების გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს დ ო ნ ი თ.

XX საუკუნემდე ბუნებისმეტყველთა შორის გაბატონებული იყო შეხედულებანი, რომელთა მიხედვით ატომი წარმოადგენს მატერიის გაყოფადობის უკანასკნელ საზღვარს: ატომის შემდეგი დაშლა შეუძლებელიაო. მაგრამ ჩვენი საუკუნის დასაწყისში, ფიზიკის წარმატებასთან დაკავშირებით, იმ ფაქტის აღმოჩენასთან ერთად, რომ ატომის დაშლაც შესაძლებელია, რომ ელექტრონები წარმოადგენს ატომის გაყოფადობის შემდგომ საფეხურს, ნათელი გახდა, რომ მატერიის აგებულების ძველი ატომისტური თეორია უკვე საკმარისი აღარ არის, რომ იგი უნდა განვითარდეს და შეივსოს ელექტრონული თეორიით. როდესაც ფიზიკის შემდგომმა განვითარებამ XIX საუკუნის დასასრულს ძირფესვიანად შესცვალა ფიზიკოსთა შეხედულებანი და მატერიამ დაჰკარგა ის თვისებანი, რომლებიც წინათ მატერიის ძირითად ნიშნებად ითვლებოდენ, ფიზიკაში იფეთქა კრიზისმა: ფიზიკოსთა ნაწილი იდეალიზმის პოზიციაზე დაღგა.

ბურჟუაზიულ ფილოსოფოსთა და ბუნებისმეტყველთათვის მატერიის ელექტრონული აგებულების აღმოჩენა იმის საბაბად გახდა, რომ გაეკეთებიათ დასკვნა თითქოს „მატერია გაქრა“. ლენინი კი, რომლის ფილოსოფიური შეხედულებები უცვლელად დაკავშირებული იყო იმის აღიარებასთან, რომ მატერია არც წარმოიშობა და არც ქრება, რომ მატერია ა რ ი ს ჩ ვ ე ნ ი ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ი ს ა გ ა ნ დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ ა რ ს ე ბ უ ლ ი ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი რ ე ა ლ ო ბ ა , სხვა დასკვნამდე მივიდა: „მატერია ქრება“, — წერს ლენინი, — ეს ი მ ა ს ნ ი შ ნ ა ვ ს , რომ ქ რ ე ბ ა ის ს ა ზ ღ ვ ა რ ი , ს ა დ ა მ დ ე ც ჩ ვ ე ნ

დღემდე ვიცნობდით მატერიას, ჩვენი ცოდნა უფრო ღრმად მიდის; ქრებიან მატერიის ის თვისებანი, რომელნიც წინათ აბსოლუტური, უცვლელი, პირველყოფილი გვეგონა (შეუვალობა, ინერცია, მასა და სხვ.) და რომელნიც დღეს გვევლინებიან როგორც შედარებითი, როგორც მატერიის ზოგიერთი მდგომარეობის დამახასიათებელი თვისებანი"[1].

ფილოსოფიური მატერიალიზმის აზრით მატერიის „ერთადერთი „თვისება", რომლის აღიარებასთანაც დაკავშირებულია ფილოსოფიური მატერიალიზმი, არის თვისება ობიექტურ რეალობად ყოფნისა, ჩვენი ცნობიერების გარეშე არსებობისა[2]", მაშინ როდესაც ფიზიკა და საერთოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი მატერიის აღიარებას, როგორც უკვე ვწერდით, უკავშირებენ მის მთელ რიგ ფიზიკურ და სხვა თვისებათა აღიარებას. ასევე შეზღუდულად ესმოდა მატერია XVIII და XIX საუკუნის მეტაფიზიკურ მატერიალიზმსაც (ფრანგი მატერიალისტები, ბიუხნერი, ფოხტი, მოლეშოტი და ა. შ.), უკავშირებდა რა მის აღიარებას მთელ რიგ მექანიკურ თვისებებს. მატერიის ამგვარი მეტაფიზიკური გაგებისაგან ვერც ჩვენი მექანისტები განთავისუფლდენ (ა. ტიმირიაზევი და სხვ.).

ეს რასაკვირველია არ ნიშნავს, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი უარყოფს მატერიის ამა თუ იმ ფიზიკურ თვისებებს. ის მათ ცნობს. მაგრამ მატერიის აღიარებას ის არ უკავშირებს იმის აღიარებას, რომ მას აუცილებლად უნდა ქონდეს წონა, მექანიკური მასა და სხვ. და სხვ. ის ამ თვისებებს თვლის მატერიის მხოლოდ ზოგიერთი მდგომარეობის, მატერიალური მოძრაობის მხოლოდ ცალკეული ფორმების დამახასიათებლად, ხოლო თვით მატერიას განსაზღვრავს როგორც ჩვენი ცნობიერების გარეშე არსებულ ობიექტურ რეალობას.

ამრიგად განსხვავება მატერიის ფილოსოფიურ და საბუნებისმეტყველო-მეცნიერულ ცნებას შორის იმაში მდგომარეობს, რომ პირველი ურყევად, განუყრელად დაკავშირებულია „ფილოსოფიურ მატერიალიზმთან", დიალექტიკურ მატერიალიზმთან. ხოლო საბუნებისმეტყველო-მეცნიერული შეხედულებანი მატერიაზე არაერთხელ იცვლებოდენ, იცვლებიან და შეიცვლებიან მატერიის აგებულებისა და სხვ. შესახებ კონკრეტულ ცოდნის განვითარების პროცესში.

ამ დებულებას ადასტურებს ფილოსოფიის და ბუნებისმეტყველების განვითარების მთელი ისტორია. როგორც ამას მართებულად

---

[1] ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ. ტ. XIII, გვ. 265.

[2] იქვე.

ხაზს უსვამს ლენინი, ფილოსოფიური მატერიალიზმი ყოველთვის დაკავშირებული იყო მატერიის როგორც ჩვენი ცნობიერების გარეშე არსებული ობიექტური რეალობის აღიარებასთან, მაშინ როცა წარმოდგენები მატერიის აგებულების, იმ კონკრეტული ფორმებისა და სახეების შესახებ, რომლებშიაც მატერიას შეუძლია არსებობა, არაერთხელ იცვლებოდა საწარმოო ძალთა განვითარების დონის და უშუალოდ ბუნებისმეტყველების და ტექნიკის განვითარების დონისაგან დამოკიდებით.

ცოდნის პროგრესთან ერთად მატერიალიზმი იცვლის თავის ფორმას, აღრმავებს და სრულყოფს მატერიის გაგებას, სულ უფრო უახლოვდება რა მის ყოველმხრივ შემეცნებას. ამასთანავე ფილოსოფიური ფორმულა, რომელიც ლაპარაკობს სამყაროს მატერიალურობის, მისი ობიექტური რეალობის და ცნობიერების მიმართ მის პირველადობის შესახებ, უცვლელი რჩება. როგორადაც არ უნდა იცვლებოდეს ჩვენი შეხედულებანი ობიექტური რეალობის თვისობრივობებზე, სტრუქტურაზე, ამისაგან არ არის დამოკიდებული ობიექტური რეალობის არსებობის აღიარება.

დიალექტიკური მატერიალიზმის მეორე ასეთ პრინციპიალურ დებულებას წარმოადგენს ენგელსის დებულება იმის შესახებ, რომ „უმოძრაო მატერია ისევე წარმოუდგენელია, როგორც მოძრაობა უმატერიოდ“[1], რომ „მოძრაობა მატერიის არსებობის ფორმაა“[2], „მატერიის არსებობის საშუალება“, „მატერიის შინაგანი დამახასიათებელი ატრიბუტია“. ლენინმა გამოხატა იგივე, მაგრამ ახალნაირად, მის მიერ მატერიისა და ბუნებისმეტყველების შემდგომი განვითარების საკითხის განსაკუთრებულად დაყენებასთან დაკავშირებით: „როგორ ვიტყვი: სამყარო მოძრავი მატერიაა, თუ სამყარო მატერიალური მოძრაობაა, ამით საქმის ვითარება არ შეიცვლება“[3]. ამრიგად ლენინი თვლის, რომ თუ მატერიალისტურად განვსაზღვრავთ ჩვენს გარემომცველ სამყაროს, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი პირის ობიექტური რეალობის მოძრაობა, მოძრავი მატერია ანუ მატერიალური მოძრაობა. თვითეული ეს გამოთქმა ერთსადაიმავეს გამოხატავს.

მარქსიზმ-ლენინიზმის ეს დებულებანი მიმართულია წინააღმდეგ: 1) აბსოლუტური უმოძრაო მატერიის ან რაიმე აბსოლუტური უძრაობის დაშვებისა, თუნდაც ობიექტური რეალობის ერთი ნაწილისა-

---

[1] ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 39.

[2] იქვე, გვ. 38.

[3] ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ., ტ. XIII, გვ. 275.

თვის, 2) მოძრაობის უმატერიოთ წარმოდგენისა, 3) და გამარტივებული შეხედულებისა მატერიის მოძრაობაზე.

მატერია არის მ ო ძ რ ა ვ ი მატერია. არ არსებობს მატერია უმოძრაოთ, ისე როგორც მოძრაობა უმატერიოთ. მატერიას ეს მოძრაობა გარედან, რაიმე გარეშე ძალისაგან არ შეუძენია. იგი თავდაპირველადვე მოძრავია და ყოველთვის მოძრავი მატერია იყო. მოძრაობა მ ი ს ი ა რ ს ებ ობ ის საყოველთაო, განუყოფელი ფ ო რ მ ა ა. საკითხი იმის შესახებ, თუ „რისი მეოხებით" ამოძრავდა მატერია — უაზრო საკითხია. ჯერ ერთი, ეს საკითხი გულისხმობს, რომ არსებობს ანუ არსებობდა რაღაც ზებუნებრივი, რაღაც გარდა მატერიისა, ამ უკანასკნელის მამოძრავებელი, ე. ი. უარყოფს სამყაროს მატერიალურ ერთიანობას, მატერიის ყოვლადობას, მატერიის სინამდვილის ერთადერთობას. მეორე, აქ იგულისხმება, რომ წაბიძგების მომენტამდე მატერია აბსოლუტურად უძრავი იყო. მესამე, ამ საკითხში მატერია გაგებულია როგორც მკვდარი, უსიცოცხლო აბსტრაქცია, და არა როგორც კონკრეტული, თვითმმქმედი, თვითმოძრავი მატერია, როგორიცაა იგი სინამდვილეში. დაბოლოს თვით მოძრაობა გაგებულია წმინდა მექანიკურად, როგორც სხეულზე ზემოქმედი გარეგანი წაბიძგება და არა როგორც მატერიის შინაგანი აუცილებელი თვითმოძრაობა. თანამედროვე ფიზიკამ, რომელიც ღრმად შეიჭრა ატომის წიაღში, რომელმაც მასში აღმოაჩინა ელექტრონებისა და პროტონების რთული, დაუსრულებელი მოძრაობა, შორს დასტოვა მსგავსი შეხედულებანი და დაადასტურა დიალექტიკური მატერიალისტური მოძღვრება მატერიის თვითმოძრაობის შესახებ.

ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი უ ძ რ ა ო ბ ი ს დაშვება როგორც ისეთი მდგომარეობისა, რომელშიაც თავდაპირველად იმყოფებოდა ან საერთოდ შეიძლება იმყოფებოდეს მატერია, დამახასიათებელია მეტაფიზიკური სისტემებისათვის ფილოსოფიაში და ეგრეთწოდებული მეტაფიზიკური პერიოდისათვის ბუნებისმეტყველებაში. მაგალითად ახალ ფილოსოფიაში დეკარტი მატერიას იხილავდა როგორც მკვრივ, მაგარ და აბსოლუტურად უძრავ სხეულს, „რასაც შეეძლო ადგილი ქონებოდა მანამ, ვიდრე მას ღმერთი მოიყვანდა მოძრაობაში". სპინოზა უძრაობას ისეთსავე მოდუსად თვლიდა, როგორც მოძრაობას. ნიუტონი თავის მექანიკას იწყებდა კანონებიდან, რომელთა მიხედვით უძრაობა იხილებოდა როგორც მატერიის ყველაზე უფრო ნორმალური მდგომარეობა, ხოლო მოძრაობა — როგორც რომელიღაც გარეშე „ძალების" შედეგი. ამის საფუძველზე ის ცნობდა „პირველი ბიძგის" აუცილებლობას ღვთისაგან. პირველი ბიძგის აუცილებლობას იმეორებენ თითქმის ყველა მეტაფიზიკოსები. პირველი ბიძგის აღიარება

არის ყველა მექანიკური სისტემის ლოგიკური დასასრული და დასაწყისი.

XVI — XVII საუკუნეების განმავლობაში განვითარდა მთლიანი მსოფლმხედველობა, დამახასიათებელი ამ პერიოდის ბუნებისმეტყველებისათვის. ამ მსოფლმხედველობის შეხედულებათა თანახმად „ბუნება მუდამ უცვლელი რჩება". ვარსკვლავები მუდამ უძრავად დგანან თავიანთ ადგილებზე. ბუნებაში საერთოდ არავითარი განვითარება არ არსებობს. XVIII საუკუნის ფრანგულ მატერიალიზმში გამომჟღავნდა ამ მეტაფიზიკური შეხედულების ყველა ძირითადი თვისება.

დიალექტიკური მატერიალიზმი არ ცნობს აბსოლუტურ უძრაობას. მაგრამ იგი რასაკვირველია ცნობს შ ე დ ა რ ე ბ ი თ უ ძ რ ა ო ბ ა ს, შედარებით წონასწორობას, როგორც მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ე რ თ ე რ თ მ ო მ ე ნ ტ ს, როგორც მოძრაობის კერძო შემთხვევას. დიალექტიკური მატერიალიზმი ცნობს, რომ „სხეულთა შედარებითი უძრაობის შესაძლებლობა, წონასწორობის დროებითი მდგომარეობის შესაძლებლობა წარმოადგენს მატერიის დიფერენცირების და მაშასადამე სიცოცხლის არსებით პირობას"[1].

იმის ცდები, რომ წარმოდგენილ იქნას მ ო ძ რ ა ო ბ ა მ ა ტ ე რ ი ი ს გარეშე, ძალა მის საფუძველში მდებარე ნივთიერების გარეშე, არის ფილოსოფიური იდეალიზმის და ხუცობის დასაწყისი და ძირითადი დედა-არსი. მოძრაობა სწყდება მატერიას, ბუნებას, იქცევა აზრად და ხდება მისი გაღმერთება. ლენინი სწერს: „ცდა მოძრაობის წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ს ა მატერიის გარეშე გვაპარებს მატერიისაგან მოწყვეტილ ა ზ რ ს, ეს კი ფილოსოფიური იდეალიზმია"[2].

ცდა მოძრაობის წარმოდგენისა მატერიის გარეშე დამახასიათებელია ფიზიკოს-იდეალისტებისა და პოზიტივისტებისათვის და საერთოდ იდეალისტურ პოზიციებზე მდგომ ბუნებისმეტყველთათვის, რომელთაც ჯერ კიდევ დიცგენი უწოდებდა „ხუცობის დიპლომიან ლაქიებს". ლენინმა დიდი ყურადღება მიაქცია ამ ცდებთან ბრძოლას, გაილაშქრა რა იდეალისტ პირსონის, მაჰის, ავენარიუსის წინააღმდეგ, რომლებიც იმავე ტენდენციას აპარებდენ ფილოსოფიაში, ენერგეტიკ ოსტვალდის და სხვ. ანალოგიური შეცდომების წინააღმდეგ.

თანამედროვე ფიზიკოსთა ნაწილს შორის ჩვენ ვამჩნევთ იმავე იდეალისტური ტენდენციების გაგრძელებას. ბევრს, ეინშტეინის რელატივობის თეორიასთან დაკავშირებით, მიდრეკილება აქვს დაგვისურათოს მოძრაობა მატერიის გარეშე (მაგალითად ფრენკელი). მა-

[1] ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 13.

[2] ლ ე ნ ი ნ ი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თეზ., ტ. XIII, გვ. 273.

ტერიისაგან მოძრაობის მოწყვეტის თავისებურ ცდებს ჩვენ ვპოულობთ მომენშევიკო იდეალისტებს შორისაც. მაგალითად ტიმიანსკი წერს, რომ მოძრაობა „ემორჩილება თავის თავს, მოიცავს თავის თავს, თვითონ ამ ოძრ ა ვ ე ბ ს თ ა ვ ს ო“ (კურსივი ჩვენია) და რომ „ეს ცნება: მოძრაობის მოძრაობა... ჩვენთვის უცხო არ არის“. როგორც ვხედავთ, აქ ძალიან მოხერხებულ ფორმაში გვაწვდიან მოძრაობის მოწყვეტას მატერიისაგან: მატერიალური მოძრაობის ნაცვლად —მოძრავი მოძრაობა. რაღა გასაკვირველია მომენშევიკო იდეალისტებსა და იმ ფიზიკოს-იდეალისტებს შორის, რომელთა შესახებაც ლენინი წერდა, რომ ისინი საკითხს, თუ რა მოძრაობს უარყოფენ როგორც უაზროს და თვლიან, რომ — „მოძრაობს“ და მორჩა და გათავდაო“[1]. არსებითად არაფერი.

დიალექტიკური მატერიალიზმი თვლის, რომ მ ო ძ რ ა ო ბ ა მ ა ტ ე რ ი ი ს გ ა რ ე შ ე ი ს ე ვ ე შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა, რ ო გ ო რ ც მ ა ტ ე რ ი ა მ ო ძ რ ა ო ბ ი ს გ ა რ ე შ ე.

დიალექტიკური მატერიალიზმი არ უშვებს აგრეთვე გამარტივებულ შეხედულებას მოძრაობაზე, ე. ი. მთელი მოძრაობის დაყვანას ერთერთ ფორმამდე, მაგალითად მექანიკურ მოძრაობამდე. ასეთი გამარტივებული შეხედულება დამახასიათებელია საერთოდ ყოველგვარი მექანიკური მსოფლმხედველობისათვის და კერძოთ თანამედროვე საბჭოთა მექანისტებისათვის (ა. ტიმირიაზევი, ციეტლინი და სხვ.). გამარტივებულ შეხედულებას მოძრაობაზე, მოძრაობის გაგებას როგორც მხოლოდ ადგილგადანაცვლებას, აუცილებლად მივყეევართ იმის აღიარებამდე, რომ წ ო ნ ა ს წ ო რ ო ბ ა მატერიის არსებობის ერთადერთი შესაძლებელი საშუალებაა, ხოლო უ ძ რ ა ო ბ ა უპირატესი მდგომარეობა. მას ბოლოსდაბოლოს მივყეევართ „პირველ ბიძგამდე“, როგორც ლოგიკურ დასკვნამდე...

დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი თ ვ ლ ი ს, რ ო მ „მ ა ტ ე რ ი ი ს მ ო ძ რ ა ო ბ ა ა რ დ ა ი ყ ვ ა ნ ე ბ ა მ ხ ო ლ ო დ მ ა რ ტ ო უ ხ ე შ მ ე ქ ა ნ ი კ უ რ მ ო ძ რ ა ო ბ ა მ დ ე, უ ბ რ ა ლ ო ა დ გ ი ლ გ ა დ ა ნ ა ც ვ ლ ე ბ ა მ დ ე; მ ა ტ ე რ ი ი ს მ ო ძ რ ა ო ბ ა — ე ს ა რ ი ს ა გ რ ე თ ვ ე ს ი თ ბ ო დ ა ს ი ნ ა თ ლ ე, ე ლ ე ქ ტ რ ო ნ უ ლ ი დ ა მ ა გ ნ ი ტ უ რ ი დ ა ძ ა ბ უ ლ ო ბ ა, ქ ი მ ი უ რ ი შ ე ე რ თ ე ბ ა დ ა დ ა შ ლ ა, ს ი ც ო ც ხ ლ ე დ ა დ ა ბ ო ლ ო ს ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ა“[2]. ამის არ აღიარებას, ამბობს ენგელსი, მივყეევართ ენერგიის შენახვის კანონის უარყოფამდე. შეხედულება მოძრაობაზე როგორც უცვლელ სხეულთა ადგილგადანაცვლებაზე, მოძრაობის ფორმების

[1] ლ ე ნ ი ნ ი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ., ტ. XIII, გვ. 273.

[2] ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 97. ხაზგასმულია ჩვენს. მიერ.—ავტ.

თვისობრივობითი განსხვავებებისა შესწავლის უარყოფა შეუთავსებელია ლენინურ დებულებასთან იმის შესახებ, რომ მთელი სამყარო არის მატერიალური მოძრაობა თვისობრივობითად სხვადასხვა ფორმებში.

როდესაც მატერიალურ მოძრაობაზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად ყოველთვის მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მისი კონკრეტული ფორმები. მოძრაობა „საზოგადოდ", მატერია როგორც ასეთი („საზოგადოთ") — ასეთი მოძრაობა, ასეთი მატერია არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ჩვენ ვიცით მხოლოდ მატერიისა და მისი მოძრაობის სხვადასხვაგვარი ფორმები. „სიტყვები, როგორიცაა მატერია და მოძრაობა, ეს არის უბრალო შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი, რომლებითაც ჩვენ მოვიცავთ, თანახმად მათი საერთო თვისებებისა, სხვადასხვაგვარ გრძნობად-აღქმით საგნებს"[1].

მაგრამ მოძრავი მატერია არსებობს ს ი ვ რ ც ე ს ა და დ რ ო შ ი; მატერიის მოძრაობა უკვე გულისხმობს მატერიის არსებობის ამ ფორმებს. სივრცე და დრო განუშორებელია მატერიის მოძრაობისაგან. სივრცე და დრო არ არის რაღაც მატერიისაგან განსხვავებული, მისგან დამოუკიდებელი. გამოთქმა „მატერია არსებობს სივრცეში" არ ნიშნავს, რომ არსებობს ერთგვარი არამატერიალური, ცალიერი სივრცე, რომელსაც ავსებს მატერია, რაღაც ისეთი, რომელშიაც მატერია თავსდება. ის ნიშნავს, რომ თვით მატერია სივრცობრივი და განფენილობითია, რომ მატერიალური სამყარო ისეთი სამყაროა, რომელსაც შინაგანად ახასიათებს განფენილობა. სივრცე, ისე როგორც დრო არ არის არც რაღაც დამოუკიდებელი, არამატერიალური და არც ჩვენი გრძნობადობის სუბიექტური ფორმა. ისინი მატერიალური ყოფიერების ფორმებია, თ ვ ი თ მ ა ტ ე რ ი ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ფ ო რ მ ე ბ ი ა. ისინი ობიექტურნი არიან და ისევე არ არსებობენ მატერიის გარეშე, როგორც მატერია არ არსებობს მათ გარეშე. ლენინი მარქსთან და ენგელსთან ერთად სივრცეს და დროს განსაზღვრავს როგორც მატერიის ყოფიერების ფორმებს, მისი არსებობის ფორმებს, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან ჩვენი ცნობიერებისაგან. ის წერს:

„რაკი მატერიალიზმი ცნობს ობიექტური რეალობის, ე. ი. მოძრავი მატერიის არსებობას, ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, მან აუცილებლად უნდა სცნოს აგრეთვე დროისა და სივრცის ობიექტური რეალობა"[2]. ამასვე ამბობს ენგელსი „ანტი-დიურინგში":

---

[1] ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 85 (რუს. გამოცემ.). ხაზგასმულია ჩვენს მიერ. — ა ვ ტ.

[2] ლ ე ნ ი ნ ი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ., ტ. XIII, გვ. 177.

„ყოველივე ყოფიერების ძირითადი ფორმები სივრცე და დროა; და ყოფიერება დროს გარეშე ისეთივე დიდი უაზრობაა, როგორც ყოფიერება სივრცის გარეშე"[1].

შეხედულება დროსა და სივრცეზე როგორც ყოფიერების ფორმებზე წარმოადგენს ფილოსოფიური მატერიალიზმის თანმიმდევრულ შეხედულებას. დროსა და სივრცის გაგება დიალექტიკური მატერიალიზმის მიერ პრინციპიალურად უპირისპირდება: 1) დროსა და სივრცის გაგებას კანტისა და კანტიანელობის მიერ, რომლებიც სუბიექტური იდეალიზმის თვალსაზრისზე დგანან და „დროსა და სივრცეს ობიექტურ რეალობად კი არა, არამედ ადამიანის განჭვრეტის ფორმებად"[2] სთვლიან; 2) დროსა და სივრცის გაგებას ჰეგელიანელების მიერ, რომლებიც სთვლიან, რომ „დროის და სივრცის განვითარების პროცესში მყოფი ცნებები უახლოედებიან პირველისა და მეორის აბსოლუტურ იდეას"[3]; იგი უპირისპირდება აგრეთვე დროისა და სივრცის გაგებას მახიზმის მიერ, რომელიც მათ სთვლის „შეგრძნებათა რიგებად", „ცდის ჰარმონიზიერების" საშუალებებად და ა. შ. ყველა ეს მიმდინარეობა არ სცნობს იმას, რომ დროისა და სივრცის ცნებები თავის განვითარებაში ასახავენ მატერიის არსებობის ფორმებს.

კანტიანელობა დროსა და სივრცეს აქცევს აღმქმელი სუბიექტის თვისებად, მახიზმი დროსა და სივრცეს მარტავს როგორც წმინდა დამბმარე ლოგიკურ კონსტრუქციებს, რომელთა დახმარებითაც ჩვენ ვიღებთ ბიოლოგიურად მიზანშეწონილ ორიენტაციას, ვაწესრიგებთ ჩვენი შეგრძნებების ქაოსს და რომლებიც ჩვენ შეგვეძლია უკუვაგდოთ ცდის უფრო ეკონომიური აღწერის მიზნით. ჰეგელიანური იდეალიზმი ამტკიცებს, რომ თითქოს სივრცე ჩნდება იდეის განვითარების მხოლოდ განსაზღვრულ საფეხურზე მისი სხვადაყოფნის ფაზაში, ბუნების ფორმაში. დრო კი ჰეგელის სისტემაში შეაქვთ კიდევ უფრო გვიან — სულის განვითარების საფეხურზე.

დიალექტიკური მატერიალიზმი უარყოფს და აბათილებს ყველა ამ იდეალისტურ ოინბაზობას.

სივრცისა და დროის მახისტური განმარტების გამო ლენინი წერდა:

„თუ დროისა და სივრცის შეგრძნებებს შეუძლია მისცეს ადამიანს ბიოლოგიურად სწორი ორიენტაცია, ეს მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს შეგრძნებანი ასახავდენ ობიექტურ რეალობას ადამია-

---

[1] ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 32.
[2] ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ., ტ. XIII, გვ. 177—8.
[3] იქვე, გვ. 179.

ნის გარეშე: ადამიანი ვერ შესძლებდა ბიოლოგიურად შეგუებოდა გარემოს, მისი შეგრძნებები რომ მას არ აძლევდენ ობიექტურად სწორ წარმოდგენას მასზე"[1].

დროსა და სივრცის ობიექტური რეალობის უარყოფას აუცილებლად ხუცობამდე და რელიგიამდე მივყევართ.

მაგრამ ამ საკითხში მარქსიზმს უხდება ბრძოლა არა მარტო იდეალისტურ დამახინჯებებთან. ჩვენ გვიხდება აგრეთვე ამ საკითხის მოძველებული, ბუნებისმეტყველების განვითარების პროცესში გაბათილებული მექანისტური გაგების დაძლევა. იმდენად, რაც უფრო სრულყოფილი ხდებოდა მატერიის საბუნებისმეტყველო-მეცნიერული ცნება, ნათელი გახდა სივრცის, როგორც მატერიის აბსოლუტურად ერთგვაროვანი სათავსის, მეტაფიზიკური გაგების მიუღებლობა. კერძოდ ნიუტონი სივრცეს იხილავდა როგორც დროისაგან დამოუკიდებელს, როგორც რაღაც უძრავ ჩარჩოს, რომელიც მხოლოდ თავისში იტევს მატერიას.

წინააღმდეგ მეტაფიზიკური მატერიალიზმისა და მექანისტებისა დიალექტიკური მატერიალიზმი ხახს უსვამს დროსა და სივრცეზე ჩვენი წარმოდგენების განვითარებას.

„სამყაროში არაფერია გარდა მოძრავი მატერიისა, და მოძრავ მატერიას არ შეუძლია სხვაგვარად მოძრაობა, თუ არა სივრცესა და დროში, — ამბობს ლენინი. — ადამიანის წარმოდგენა სივრცეზე და დროზე შედარებითია, მაგრამ ამ შედარებითი წარმოდგენებისაგან იქმნება აბსოლუტური ჭეშმარიტება, ეს შედარებითი წარმოდგენანი ვითარდებიან და აბსოლუტური ჭეშმარიტების ხაზით მიდიან, უახლოვდებიან მას. სივრცესა და დროზე ადამიანთა წარმოდგენების ცვალებადობა ისევე ნაკლებ აბათილებს პირველისა და მეორის ობიექტურ რეალობას, როგორც ცვალებადობა მეცნიერული ცოდნისა მატერიის აგებულებასა და მოძრაობის ფორმებზე არ აბათილებს გარეშე ქვეყნიერების ობიექტურ რეალობას"[2].

ის აზრი, რომ ჩვენი წარმოდგენანი დროსა და სივრცეზე უცვლელი უნდა დარჩენ, როგორც ამას ჩვენი მექანისტები ფიქრობენ, დროისა და სივრცის საკითხში დეკარტის[3] მეტაფიზიკურ წარმოდგენებამდე ან ფარადეის სკოლის ფიზიკოსთა მექანისტურ წარმოდგენებამდე ჩამოქვეითება, როგორც ამას ჩაღის ა. ტიმირიაზევი: ეთერის როგორც მატერიალური მოძრაობის ერთერთი ფორმის არევა სივრცეში, ე. ი.

---

[1] ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ., ტ. XIII, გვ. 181.

[2] იქვე, გვ. 187.

[3] იხ. მაგალითად ცეიტლინის შრომები.

ყოფიერების ობიექტურ-რეალურ ფორმაში, — ეს ნიშნავს მეტაფიზიკური მატერიალიზმის პოზიციებზე, მოძრაობისა და განვითარების უარყოფის პოზიციებზე დადგომას.

დიალექტიკური მატერიალიზმი ებრძვის აგრეთვე მომენშევიკო იდეალიზმს, რომელიც მატერიას. იხილავს როგორც „სივრცისა და დროის სინთეზს“ [1] და რომელსაც ამრიგად მატერიის ობიექტური რეალობა დაჰყავს მისი ყოფიერების ფორმებამდე, არსებითად დგება რა ჰეგელიანელობის პოზიციებზე.

უახლესმა ბუნებისმეტყველებამ ბრწყინვალედ დაადასტურა სივრცისა და დროის დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგება. ეინშტეინის სახელთან დაკავშირებული თანამედროვე მეცნიერული გაგება სივრცისა უცილობლად ამტკიცებს მის მატერიალურობას, სივრცისა და დროის ერთიანობას, სივრცესა და დროზე ჩვენი წარმოდგენების შედარებითობას ამ საკითხში, ისე როგორც მრავალ სხვა საკითხებში ბუნებისმეტყველების პროგრესი დიალექტიკურ-მატერიალისტურ კონცეპციებს ადასტურებს.

III. მატერია და ცნობიერება. ასახვის დიალექტიკურ-მატერიალისტური თეორია

დიალექტიკური მატერიალიზმის შეხედულებათა თანახმად, ცნობიერება, პსიქიკა, აზროვნება არ არის რაღაც დამოუკიდებელი, მეორე საწყისი, რომელიც გარეგან ურთიერთობაში იმყოფება მატერიასთან, ანდა და მის პარალელურად არსებობს. ცნობიერება დამოკიდებულია მატერიისაგან, წარმოადგენს წარმოებულს მის მიმართ. ცნობიერება მხოლოდ განსაზღვრული სახით ორგანიზებული მატერიის თვისებაა. ცნობიერება ორგანიულ სამყაროს მხოლოდ იმ უმაღლეს წარმომადგენლებს აქვთ, რომლებსაც აქვთ ცოტად თუ ბევრად რთული ნერვული სისტემა. ნერვული სისტემა შეგნებული მოქმედების აუცილებელი პირობაა. ცნობიერება განსაზღვრული წესით ორგანიზებულ ფიზიკურ არსებათა თვისებაა. საზოგადოებრივი ადამიანი მთელს მატერიალურობაში, მთელ მის ფიზიკურ და სოციალურ კონკრეტობაში ცნობიერების უმაღლეს ფორმათა მატარებელია, რომლებიც ვითარდებიან ადამიანური შრომის და ადამიანის საზოგადოებრივი მოქმედების შედეგად. ცნობიერება—ეს სიცოცხლის ერთერთი გამოვლენაა მისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე.

მატერიალისტური მოძღვრების თანახმად, სრული თანხმობით თანამედროვე მეცნიერების უდაო დებულებებთან, არ არსებობს და არც

[1] ვ ე ‘ ს ე ნ ი, რელატივობის თეორიის ძირითადი იდეები (რუს. გამოც.). გვ. 64.

შეიძლება არსებობდეს ცნობიერება იქ, სადაც არ არის მატერია, ამასთანავე ისეთი მატერია, რომელიც ორგანიზებულია განსაკუთრებული, განსაზღვრული წესით. ცნობიერება სხვა არა არის რა, თუ არა *განსაკუთრებული თვისება განსაზღვრული სახის მატერიისა*, რომელიც მეტისმეტად რთულია თავისი აგებულებით და აღმოცენებულია ბუნების ევოლუციის მაღალ დონეზე.

შეიძლება ქვის ადგილიდან დაძვრა, შეიძლება მისი მდგომარეობის შეცვლა, მაგრამ ქვას, ისე როგორც მთელ არაორგანიულ სამყაროს, ისე როგორც მცენარეთა სამყაროს და ცხოველთა დაბალ ფორმებს, არ ახასიათებს იმ პროცესების აღქმის უნარი, რომლებიც მათთან ხდება; ისინი მოკლებული არიან ცნობიერებას. მხოლოდ განსაზღვრული წესით ორგანიზებულ მატერიას — ცხოველთა უმაღლესი ნერვული სისტემის ნივთიერებას აქვს უნარი აღიქვას, შინაგანათ ასახოს, *შეიცნოს* ის პროცესები, რომლებიც მასში და მის გარეთ ხდება, ე. ი. გამოსახოს ეს, ობიექტურად შესასწავლი, პროცესები, რომლებიც ნერვულ სისტემაში ხდებიან *განსაკუთრებული* წესით, ისე, როგორც ისინი მიმდინარეობენ თვით შემგრძნობი და მოაზროვნე არსებისათვის. ობიექტურ ფიზოლოგიურ პროცესებს ჩვენს ნერვულ ცენტრებში თან სდევს მათი შინაგანი სუბიექტური გამოხატულება ცნობიერების ფორმით. ის, რაც თავისთავად ობიექტურია, რაც ერთგვარ მატერიალურ პროცესს წარმოადგენს, ის ტვინის მქონე არსებისათვის ამავე დროს სუბიექტური, პსიქიური აქტი არის. *თვით ცნობიერებასაც აქვს განვითარების ხანგრძლივი ისტორია*. თუ ცხოველური ცნრბიერების დაბალი საფეხურები (ინსტინქტები) დაკავშირებულია უმაღლეს ცხოველთა ნერვული სისტემის განვითარებასთან, მაშინ ცნობიერების შემდგომი განკითარება დაკავშირებულია ცხოველისაგან ადამიანზე გადასვლასთან, საზოგადოებრივი შრომის განკითარებასთან, რომლის დროსაც იქმნება ადამიანის ტვინის განვითარების პირობები.

ვულგარული მატერიალიზმის მიხედვით აზრები და სურვილები წარმოადგენს რაღაც საგნობრივს, რომელსაც გამოყოფს ტვინი, მსგავსად იმისა, როგორც ღვიძლი გამოყოფს ნაღველს. ასეთი შეხედულება სრულიად ამახინჯებს ჩვენს წარმოდგენებს ამ საკითხზე. აზრები, გრძნობები, ნებითი აქტი არ არის რაღაც ისეთი, რაც შეიძლება გაიზომოს, აიწონოს, ადგილიდან დაიძრას. მსგავსად იმისა, როგორც სიმრგვალეს არ ახასიათებს სიმძიმე, არამედ ორივე ისინი ერთიდაიმავე სხეულის სხვადასხვა თვისებებია, ასევე განფენილობა და ცნობიერება მატერიის სხვადასხვა თვისებებია. ძველი დროის მატერიალისტების შეხედულებანი, რომლებიც იქედან გამომდინარეობდენ

რომ ადამიანს მოსდგამს სული, რომელიც შესდგება უსათუოესი მატერიისაგან, მრგვალ, სრიალა და მოძრაე ცეცხლის მსგავს ატომებისაგან, მეცნიერების ბავშობის პერიოდს ეკუთვნიან. ჩვენ ძალიან შორსა ვართ პსიქიკის ასეთი გაგებისაგან. შეგრძნება და ცნობიერება არის მოძრავი მატერიის შინაგანი მდგომარეობა, მასში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესის ასახვის განსაკუთრებული თვისება, — განუყოფელი ობიექტური ნერვული პროცესისაგან, მაგრამ არც იგივეობითი მისდამი. მაგრამ ჩვენ არა ნაკლებ შორსა ვართ იმისაგან, რომ აზროვნება ვაღიაროთ განსაკუთრებულ სულიერ სუბსტანციად, როგორც ეს იდეალისტებს სურთ.

არ არსებობს სული, განსაკუთრებული მოაზროვნე სუბსტანცია, არამედ არსებობს მოაზროვნე მატერია, ტეინი. შემცნობი, მოაზროვნე მატერია არის სპეციფიური თვისობრივობითად-თავისებური მატერია, რომელიც თავის უმაღლეს განვითარებას იღებს ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ენის განვითარებასთან ერთად. ჩვენ არ ვაიგივებთ მატერიალური ორგანიზაციის უმაღლეს და უდაბლეს სახეებს, არ უარვყოფთ მოაზროვნე არსებათა ცნობიერებას და სპეციფიურობას. მაგრამ მათ ჩვენ ვხსნით როგორც მატერიის განვითარების ფორმებსა და ისტორიულ პროდუქტს. როდესაც მარქსი და ენგელსი ხაზს უსვამდენ ცნობიერების დამოკიდებულებას მატერიალური წარმოების განვითარებისაგან და ცნობიერების კავშირს ადამიანის მეტყველების განვითარებასთან, ისინი ჯერ კიდევ თავის ადრინდელ შრომაში წერდენ: ცნობიერება „არ არსებობს ადრითვე, როგორც „წმინდა“ ცნობიერება. „სულს“ ადრითვე თავს აწევს მისი მატერიით „დამძიმების“ წყევლა, რომელიც აქ გამოდის... ენის სახით... ენა მსგავსად ცნობიერებისა წარმოიშობა სხვა ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნიდან. ჩემი ურთიერთობა ჩემს გარემოსადმი არის ჩემი ცნობიერება. იქ, სადაც არსებობს რაიმე ურთიერთობა, ის ჩემთვის არსებობს“ [1]. ცნობიერება არის საზოგადოებრივი წარმოების განვითარებასთან განუყოფელად დაკავშირებული ისტორიული პროდუქტი.

ცნობიერების პრობლემის (ეგრეთწოდებული პსიქოფიზიკური პრობლემის) დიალექტიკურ-მატერიალისტური გადაჭრა ძირფესვიანად განსხვავდება მექანისტებისა და მომენშევიკო იდეალისტების ცრუმარქსისტული თეორიებისაგან. მექანისტები უკავშირდებიან ზოგიერთ მემარცხენე ბურჟუაზიულ მიმდინარეობას პსიქოლოგიაში — რეფლექსოლოგიურ სკოლას და ბიოვიხერიზმის (მოძღვრება ყოფაქცევაზე) ამერიკულ სკოლას და არსებითად სრულიად უკუაგდებენ ცნო-

[1] „მარქსისა და ენგელსის არქივი“, ტ. I, გვ. 220. ხაზგასმულია ჩვენს მიერ.—ავტ.

ბ ი ე რ ე ბ ა ს. მათ ცნობიერება ფიზიკურ-ქიმიურ, ფიზიოლოგიურ პროცესამდე დაჰყავთ. მათთვის უმაღლეს არსებათა ყოფაქცევის შესწავლა მთლიანად და სავსებით ამოიწურება მისი ობიექტურ-ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური შესწავლით. მექანისტებს არ ესმით მრაზროვნე, შეგნებულ არსებათა თვისობრივობითი თავისებურება, ცნობიერებაში არ ხედავენ ადამიანის საზოგადოებრივი პრაქტიკის პროდუქტს. ობიექტისა და სუბიექტის კონკრეტულ ისტორიულ ერთიანობას ისინი სცვლიან მათი იგივეობით, ცალმხრივი, მექანისტური ობიექტივიზმით. ამ მექანისტურმა პოზიციამ განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულება ეკრეთწოდებულ „ენჩმენიზმში" ჰპოვა. ენჩმენმა თავის წიგნში „ახალი ბიოლოგიის თეორია" ცნობიერება ფიზიოლოგიურ პროცესთან გააიგივა და ამით არსებითად მოსპო ფილოსოფიის ძირითადი საკითხი — აზროვნების ყოფიერებისადმი დამოკიდებულების შესახებ.

უმართებულოა აგრეთვე მომენშევიკო იდეალისტების პოზიციაც ამ საკითხში. დებორინი და სხვები ცდილობენ შესცვალონ მარქსისტული მოძღვრება ცნობიერების შესახებ შემთანხმებლური თეორიით, ცდილობენ მატერიალიზმისა და იდეალიზმის შ ე რ ი გ ე ბ ა ს. ისინი „სინთეზის", ობიექტივიზმისა და სუბიექტივიზმის შეთავსების მომხრენი არიან. დიალექტიკურ პრინციპს (არც მექანისტური ობიექტივიზმი, არც იდეალისტური სუბიექტივიზმი) მომენშევიკო იდეალიზმი უპირისპირებს ობიექტივიზმისა და სუბიექტივიზმის ბ ლ ო კ ს, ორივე იმ მეთოდის ურთიერთდახმარებას, რომელთაგანაც პირველი შეისწავლის მხოლოდ ფიზიოლოგიურ პროცესს, ხოლო მეორე ცნობიერებას როგორც რაღაც დამოუკიდებელ არსებას.

საპიროა აღვნიშნოთ პლეხანოვის შეცდომები ამ პრობლემაში. პლეხანოვი ვერ ხედავს იმას, რომ ცნობიერება, რაც მატერიის თვისებას შეადგენს, მხოლოდ განსაზღვრულ ისტორიულ საფეხურზე ვითარდება, და მიდის „გ ი ლ ო ზ ო ი ზ მ ა მ დ ე", მოძღვრებამდე მატერიის საყოველთაო სულიერობის შესახებ, იმის შესახებ, რომ ცნობიერება სხვადასხვა რაოდენობით ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ მატერიას აქვს. ეს მთელი სიმკვეთრით გამოთქმულია მის აფორიზმში: „ქ ვ ა ც კ ი ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ს". პლეხანოვისათვის ცნობიერება მატერიის განვითარებაში კ ი ა რ წ ა რ მ ო შ ო ბ ი ლ ა, არამედ თანდაყოლილი აქვს ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ მატერიას. ადამიანის, დაბალი ორგანიზმის და ქვის ცნობიერებას შორის განსხვავება — მ ხ ო ლ ო დ ხ ა რ ი ს ხ შ ი ა. ამგვარი გაგებით პლეხანოვი ამყარებს მატერიალისტური დიალექტიკის არასაკმაოდ ღრმა შეთვისებას და გატარებას, მოაზროვნე მატერიის თვისობრივობითი თავისებურების გაუგებლობას.

თანმიმდევარი მატერიალისტი რომ იყო, საკმარისი არ არის მატერიის პირველადობის აღიარება, არამედ აუცილებელია მისი შეცნობადობის აღიარება. მატერიალისტური დიალექტიკა შესაძლებლობას გვაძლევს სწორად გადაეჭრათ შეცნობადობის რთული პრობლემა, რაზედაც ამაოდ იღვწოდა წინამორბედი ფილოსოფია. ობიექტურ სამყაროს შემეცნების შესაძლებლობის საკითხში დიალექტიკურ სამყაროს უკავია ისეთი პოზიცია, რომელიც განსხვავდება როგორც აგნოსტიციზმისაგან, ისე მახისტების გულუბრყვილო რეალიზმისაგან. ჩვენ უკვე ზემოთ გავეცანით ჰიუმის და კანტის აგნოსტიკურ შეხედულებებს, რომლებიც შეშმეცნებელ სუბიექტს სთიშავენ ობიექტისაგან, შეუძლებლად თვლიან სუბიექტის ფარგლებიდან გამოსვლას, გარდუვალ უფსკრულს ხედავენ „საგნებსა თავისთავად“ და წარმოდგენებს შორის. როგორც ვიცით, მახისტების გულუბრყვილო „რეალიზმი“ ობიექტებს შეგრძნებებთან აიგივებს. ის დარწმუნებულია, რომ სამყარო იგივეობითია ჩვენი უშუალო აღქმებისადმი. მისი აზრით, ქეშმარიტება მზამზარეული სახით მოცემულია უკვე შეგრძნებებში. ამასთანავე მახისტები ჩვენს შეგრძნებებში არამც თუ ვერ ხედავენ გარეშე სამყაროს ზემოქმედების პროდუქტებს, არამედ არ ესმით სუბიექტის აქტიეობა შემეცნების პროცესში, ის გადამუშავება, რომელსაც განიცდიან მის გრძნობათა ორგანოებში და მის მოაზროვნეტვინში გარეშე სამყაროს ზემოქმედებანი ცნებებისა და წარმოდგენების ფორმით.

გარეშე სამყაროს შეცნობადობის საკითხში დიალექტიკური მატერიალიზმი ეყრდნობა თანმიმდევრულად გატარებულ მატერიალისტურ-დიალექტიკურ ასახვის თეორიას. მარქსისა და ენგელსის მიერ თანმიმდევრულად გატარებული ასახვის თეორია, რომელიც შემდგომ დაამუშავა და გახავითარა ლენინმა, წარმოადგენს შემეცნების მარქსისტულ-ლენინური თეორიის „სულს“, გულს. ის დადებით პასუხს იძლევა კითხვაზე ობიექტური სინამდვილის შეცნობადობის შესახებ. ამ მოძღვრების თანახმად ჩვენი წარმოდგენები და ცნებები არა მარტო გამოწვეულია ობიექტური საგნების მიერ, არამედ აგრეთვე ასახავენ მათ. წარმოდგენები და ცნებები — არის არა სუბიექტის თვითგანვითარების წარმონაშობი (როგორც იდეალისტები ამტკიცებენ), არა იეროგლიფები (როგორც აგნოსტიკები ფიქრობენ), არამედ მათი ასახვა, გადაღება, ასლი. ობიექტური ჭეშმარიტება სუბიექტისაგან დამოუკიდებლად არსებობს, თუმცა იგი ერთბაშად, მზამზარეულად არ აისახება ჩვენს შეგრძნებებში და ცნებებში. მაგრამ ადამიანის ცნობიერებას აქვს უნარი ასახოს, შეიცნოს ეს ჭეშმარიტება შემეცნების პროცესში. შემეცნების პროცესი რთული

პროცესია, რომელშიაც ჯერ კიდევ შეუცნობელი „საგნები თავისთავად“ აისახებიან ჩვენ შეგრძნებებსა, წარმოდგენებსა, ცნებებში და ამით ხდებიან „საგნებად ჩვენთვის“. შეგრძნება და აზროვნება კი არ გვმიჯნავენ ჩვენ გარეშე სამყაროსაგან, როგორც კანტი ფიქრობდა, არამედ გვაკავშირებენ მასთან, წარმოადგენენ რა ობიექტურ გარეშე სამყაროს ასახვას. იდეალური — ჩვენი წარმოდგენები და ცნებები — სხვა არა არის რა, თუ არა „მატერიალური, მხოლოდ — ადამიანის თავში გადატანილი და გადამუშავებული“ [1]. შემეცნების მოძრაობაში მატერიალური სამყარო სულ უფრო ახლო, ზუსტად, მრავალმხრივად და ღრმად აისახება ჩვენს შემეცნებაში.

ჩ ვ ე ნ ი ს ა მ ყ ა რ ო ს შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს უ ნ ა რ ი უ ს ა ზ ღ ვ რ ო ა, მ ა გ რ ა მ ა რ ს ე ბ ობ ს ყ ო ვ ე ლ ც ა ლ კ ე შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ი ს ტ ო რ ი უ ლ ა დ მ ო ც ე მ უ ლ ი ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი ჩ ვ ე ნ ი მ ი ა ხ ლ ო ვ ე ბ ი ს ა ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ‹ ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ს თ ა ნ. ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს მ ი ღ წ ე ვ ა ა დ ა მ ი ა ნ ი ს შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს ი ს ტ ო რ ი უ ლ მ ო ძ რ ა ო ბ ა შ ი ხ დ ე ბ ა. „თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ს, ე. ი. მ ა რ ქ ს ი ზ მ ი ს თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ ი ს ტ ო რ ი უ ლ ა დ პ ი რ ო ბ ი თ ი ა ფ ა რ გ ლ ე ბ ი ჩ ვ ე ნ ი ც ო დ ნ ი ს მ ი ა ხ ლ ო ვ ე ბ ი ს ა ო ბ ი ე ქ ტ უ რ, ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ს თ ა ნ, მ ა გ რ ა მ უ ც ი ლ ო ბ ე ლ ი ა ამ ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ა. უ ც ი ლ ო ბ ე ლ ი ა ი ს, რ ო მ ჩ ვ ე ნ ე ჯ ა ხ ლ ო ვ დ ე ბ ი თ მ ა ს. ი ს ტ ო რ ი უ ლ ა დ პ ი რ ო ბ ი თ ი ა ს უ რ ა თ ი ს კ ო ნ ტ უ რ ე ბ ი, მ ა გ რ ა მ უ ც ი ლ ო ბ ე ლ ი ა ი ს, რ ო მ ეს ს უ რ ა თ ი გ ა მ ო ჰ ხ ტ ა ვ ს ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ ა რ ს ე ბ უ ლ მ ო დ ე ლ ს“ [2].

მაგრამ ასახვის თეორია, რომელიც დიდად განავითარა ლენინმა თავის შრომებში, არ წარმოადგენს ლენინის მიერ შემოტანილ ან დადგენილ ახალ პრინციპს მარქსიზმის ფილოსოფიაში. მ ა რ ქ ს ი დ ა ე ნ გ ე ლ ს ი მ თ ლ ი ა ნ ა დ ა ს ა ხ ვ ი ს თ ე ო რ ი ი ს დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ - მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ზ ე ი დ გ ე ნ.

იგი შემდეგში გამოიხატება: ‹ ლ ე ნ ი ნ ი შ ე მ ე ც ნ ე ბ ა ს ი ხ ი ლ ა ვ ს რ ო გ ო რ ც ა ს ა ხ ვ ა ს, მ ა გ რ ა მ ეს ა ს ა ხ ვ ა მ ა ს ე ს მ ი ს რ ო გ ო რ ც წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ უ რ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი პ რ ო ც ე ს ი. „ბ უ ნ ე ბ ი ს ა ს ა ხ ვ ა ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა ზ რ შ ი, — წ ე რ დ ა ი გ ი, — უ ნ დ ა გ ა ვ ი გ ო თ ა რ ა რ ო გ ო რ ც „მ კ ვ დ ა რ ი“, ა რ ა „ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ა დ“, ა რ ა მ ო ძ რ ა ო ბ ი ს გ ა რ ე შ ე, ა რ ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა თ ა გ ა რ ე შ ე, ა რ ა მ ე დ მ ო ძ რ ა ო ბ ი ს, წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა თ ა წ ა რ მ ო შ ო ბ ი ს დ ა მ ა თ ი გ ა დ ა ჭ რ ი ს მ უ დ მ ი ვ პ რ ო ც ე ს შ ი“ [3].

ლენინი მიუთითებდა, რომ ასახვის პროცესი უნდა გავიგოთ არა სიტყვის ვიწრო ემპირიული აზრით, ჩვენს შეგრძნებებში უშუალო

---

[1] მ ა რ ქ ს ი, კ ა პ ი ტ ა ლ ი, ტ. I, გვ. LXIII.

[2] ლ ე ნ ი ნ ი, მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი დ ა ე მ პ ი რ ი ო კ რ ი ტ ი ც ი ზ მ ი, თ ხ ზ., ტ. XIII, გვ. 138.

[3] „ლ ე ნ ი ნ ი ს კ რ ებ უ ლ ი“, IX, გვ. 227.

ასახვის აზრით, როგორც ბევრი ცდილობდა ლენინის განმარტებას, როგორც ამაზე წერდენ მექანიციზმისა და მომენშევიკო იდეალიზმის წარმომადგენლები. ასახვის პროცესი შეგრძნებებით, წარმოდგენებით არ განისაზღვრება. ობიექტურ სამყაროს ასახვა ჩვენს შემეცნებით პროცესში მოცემულია აზრებშიაც, აბსტრაქტულ ცნებებშიაც. ამის შესახებ ლენინი ამბობს: „შემეცნება არის ბუნების ასახვა ადამიანის მიერ. მაგრამ ეს არის არა მარტივი, ა რ ა ,უ შ უ ა ლ ო, არა მთლიანი ასახვა, არამედ მთელი რიგი აბსტრაქციების, ფორმულირების, ცნებების, კანონების ჩამოყალიბების და სხვ. პროცესი“ [1].

ამასთანავე ლენინი მიუთითებდა, და ამ პუნქტში ის იძლევა შემეცნებაში ემპირიული და რაციონალური მომენტის თანაშეფარდების დიალექტიკურ-მატერიალისტური მომენტის უაღრესად მკვეთრ დახასიათებას, რომ შემეცნების პროცესი და მისი ნოძრაობა შეგრძნებიდან აზრისაკენ ნახტომობრივად ხდება. ბევრ ფილოსოფოსს არ ესმის ნახტომი, რომელიც ხდება შემეცნების მოძრაობაში შეგრძნებიდან აზრისაკენ, წარმოდგენებიდან ცნებისაკენ. ამ გადასვლის გაგება როგორც ნახტომობრივი გადასვლისა, როგორც გადასვლისა წინააღმდეგობათა შედეგად, შ ე გ რ ძ ნ ე ბ ე ბ ი ს ა და ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს გაგება როგორც დიალექტიკური ერთიანობისა — აი უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც ახასიათებს ასახვის ლენინური თეორიის არსებას.

მართლაც და, რაში გამოიხატება სენსუალისტური ემპირიზმის შეზღუდულობა? იმაში, რომ მან უ ფ ს კ რ უ ლ ი გათხარა შ ე გ რ ძ ნ ე ბ ა ს ა და ც ნ ე ბ ა ს შ ო რ ი ს. რაში მდგომარეობს შეზღუდულობა რაციონალისტური შიმდინარეობებისა ფილოსოფიაში თვით ჰეგელამდე? იმაში, რომ მათ ცნება გამოსთიშეს შეგრძნებას. ამ პრობლემების ნამდვილ გადაჭრას იძლევა მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმი, რომელიც შემეცნებას ისილავს როგორც პროცესს. ამ საკითხის ლენინური განმარტება ჩვენ გვაძლევს მძლავრ იარაღს ყოველგვარი იდეალისტური თეორიების გასანადგურებლად.

გულუბრყვილო რეალისტი ა რ ა ი ს ტ ო რ ი უ ლ ა დ უდგება შემეცნებას, მას არ ესმის, თუ როგორ ხდება შემეცნებითი აქტი, თუ როგორია ურთიერთობა საგანსა, წარმოდგენასა და ცნებას შორის. მარქსისტული თეორიის განვითარების დროს ლენინმა გამოამჟღავნა დიალექტიურობა გადასვლისა არა მარტო მატერიიდან ცნობიერებაზე, არამედ აგრეთვე შ ე გ რ ძ ნ ე ბ ი დ ა ნ ა ზ რ ზ ე. შეგრძნება, აღქმა, წარმოდგენა იძლევიან შეგრძნობილი საგნის უ შ უ ა ლ ო ასახვას. ცნება, იდეა, აზრი არ არის უშუალო: ისინი საგანთან შეგრძნების

[1] „ლ ე ნ ი ნ ი ს კრებული“ IX, გვ. 203. ხაზგასმულია ჩვენს მიერ. — ავტ.

მეშვეობით არიან დაკავშირებული. ცნობიერება, როდესაც ატ-ტენს გადასვლას თვალსაჩინო წარმოდგენიდან ცნებაზე, თითქოს უკან ისვამს, შორდება საგანს. რეალობასთან თითქოს უფრო ახლოა შეგრძნება, წარმოდგენა, ვიდრე აზროვნება. მაგრამ აზროვნება საგანს მთლიანობაში, მის მოძრაობასა და კავშირში სწვდება. ის უფრო ღრმად იერება საგანში, ასახავს მის არსებას. ამრიგად, თუმცა იგი უშუალო არ არის, მაგრამ მიუხედავად ამისა უფრო სრულქმნილია, უფრო ღრმად ასახავს საგანს. აზროვნებას უფრო შორს მივყავართ საგნისაგან, მაგრამ ცხოლოდ იმიტომ, რომ უფრო ახლოს მივიყვანოს მასთან. ასეთია შეგრძნებისა და აზროვნების დიალექტიკური ერთიანობა შემეცნების პროცესში.

შემდეგი მომენტი, უალრესად მნიშვნელოვანი ასახვის თეორიისა და მისი განვითარების გასაგებად, რომელიც ლენინმა მოგვცა, — ეს არის თვით ასახვის გაგება. ასახვა ეს არის სახეობა, ასლი, გადანაღები, რომელიც სინამდვილის სწორ გამოხატულებას იძლევა. მაგრამ სინამდვილის ამ სწორ გამოხატულებას ვიღებთ განვითარების პროცესში, საზოგადოებრივი პრაქტიკის პროცესში. ამასთანავე ლენინი ხაზს უსვამდა ამ გარემოებას და ამ პუნქტს ამახვილებდა და ბიძართავდა წინააღმდეგ აგნოსტიციზმისა, რა ფორმაშიაც არ უნდა გამომჟღავნებულიყო იგი, ლენინი ამბობს: ჩვენ რომ გრძნობათა უფრო მეტი ორგანოები გვქონოდა, შეგვეძლო თუ არა ჩვენ მეტის შემეცნებაო? და მიუთითებს, რომ არა. როდესაც ამგვარ პასუხს იძლეოდა, ლენინი თვლიდა, რომ ჩვენს განკარგულებაში საკმაო საშუალებანია ობიექტურ სამყაროს სწორი გაგებისათვის, რომ ყოველგვარი აგნოსტიკური თეორიები, რომლებიც წარმოშობენ ეჭვს, სკეპსისს ჩვენი შემეცნების მიმართ, კატეგორიულად უარყოფილი და გაბათილებული უნდა იქნენ. მაგრამ შემეცნება ჩვენ რაიმე დასრულებულ, აბსოლუტურ სურათს არ გვაძლევს, შემეცნების პროგრესი მიიმართება შედარებით ჭეშმარიტებათა გზით აბსოლუტურისაკენ.

დასასრულ ყურადღება უნდა მივაქციოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან მომენტს, რომელიც ახასიათებს ასახვის ლენინურ თეორიას, — ეს არის საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ესმის ლენინს თვით შეგრძნება. აქსელროდ-ორტოდოქსმა გაშალა დიდი ბრძოლა ლენინის წინააღმდეგ სწორედ ამ პუნქტის გამო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გამოვიდა მისი შრომა „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. შეგრძნების საკითხისადმი მარქსისტულ-ლენინური მიდგომის არსებას ამახინჯებდენ აგრეთვე მექანისტებიცა და მომენშევიკი იდეალისტებიც.

ლენინის მიხედვით, შეგრძნება უწინარეს ყოვლისა არის შედეგი მატერიის ზემოქმედებისა ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე. შეგრძნება ეს არის გარეგანი გაღიზიანების ენერგიის გადაქცევა ცნობიერების ფაქტად, ობიექტურ სამყაროს სუბიექტური სახეობა. ამასთან დაკავშირებით ისმება უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი, როგორ შეეფარდება შეგრძნება როგორც სახეობა, შეგრძნება როგორც გადანაღები, როგორც გამოხატულება იმას, რაც გამოხატება? როგორი აზრით შეიძლება აქ ვილაპარაკოთ გამოხატულების მსგავსებაზე გამოსახატავთან, ასლისა ორიგინალთან? ამ პუნქტებში გარკვევისათვის ანალიზი გაეუკეთოთ ლენინის უაღრესად საინტერესო აზრებს ფერისა და სინათლის თანაშეფარდების საკითხის შესახებ.

ფერი არის შედეგი ფიზიკური ობიექტის, ე. ი. სინათლის ტალღის ზემოქმედებისა ჩვენს ბადურაზე. მაგრამ ფერი არ არის იეროგლიფი, სიმბოლო სინათლის მიმართ — ობიექტურ პროცესის მიმართ, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ჩვენს ბადურაზე. ფერი არ არის აგრეთვე არც რაღაც მხოლოდ სუბიექტური, როგორც ცდილობდენ ამის წარმოდგენას ზოგიერთი მექანისტები, კერძოდ სარაბიანოვი, აქსელროდი და სხვ. სუბიექტური ფორმით, შეგრძნების ფორმით აქ ასახულია სინათლის ტალღის ობიექტური თვისებრივობა. ფერი გაეს მის გამომწვევ სინათლის ზემოქმედებას როგორც ობიექტურ პროცესს, მაგრამ შედარებით.

ლენინი ამ საკითხზე „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში" წერდა, აკრიტიკებდა რა მექანისტებს და ბოგდანოვებს: „ხოლო თუ თქვენ ცნობთ ასეთ, ჩემი ნერვებისა, ჩემი შეგრძნებებისაგან დამოუკიდებელ ფიზიკურ ობიექტებს, რომლებიც შეგრძნებებს ქმნიან მხოლოდ ჩემს ბადურაზე ზემოქმედების გზით, მაშინ თქვენ საბარცხვინოთ სტოვებთ თქვენ „ცალმხრივ" იდეალიზმს და „ცალმხრივ" მატერიალიზმის თვალსაზრისზე გადადიხართ. თუ ფერი შეგრძნებაა მხოლოდ ბადურასაგან დამოკიდებით (როგორც თქვენ ბუნებისმეტყველება გაიძულებთ აღიაროთ), ცხადია ფერის შეგრძნებას იწვევს სინათლის სხივები ბადურაზე დაცემის დროს. მაშასადამე ჩვენს გარეშე, ჩვენგან და ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს მატერიის მოძრაობა, ვთქვათ, განსაზღვრული სიგრძისა და განსაზღვრული სიჩქარის ეთერის ტალღები, რომლებიც თვალის ბადურაზე მოქმედებენ და ადამიანში ამა თუ იმ ფერის შეგრძნებას იწვევენ. სწორედ ასე უყურებს ამას ბუნებისმეტყველება. აბა თუ იმ ფერის სხვადასხვა შეგრძნებას იგი ხსნის იმ სინათლის ტალღების სხვადასხვა სიგრძით, რომლებიც ადამიანის თვალის ბადურის

გ ა რ ე შ ე, ადამიანის გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებობენ. და სწორედ ესაა მატერიალიზმი: მატერია ჩვენი გრძნობების ორგანოებზე მოქმედებს და შეგრძნებას იწვევს. შეგრძნება დამოკიდებულია ტვინზე, ნერვებზე, ბადურაზე და სხვ. და სხვ., ე. ი. განსაზღვრული წესით ორგანიზებულ მატერიაზე. მატერიის არსებობა შეგრძნებისაგან არ არის დამოკიდებული. მატერია არის პირველადი. შეგრძნება, აზრი, ცნობიერება არის განსაკუთებული წესით ორგანიზებული მატერიის უმაღლესი პროდუქტი"[1].

მეორე ადგილას ლენინი ამბობს: „ფერი არის შედეგი ფიზიკური ობიექტის ზემოქმედებისა თვალის ბადურაზე=შეგრძნება არის შედეგი მატერიის ზემოქმედებისა ჩვენი გრძნობების ორგანოებზე"[2].

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ლენინი არ ა ი გ ი ვ ე ბ ს ფერის შეგრძნებას და ამ შეგრძნების გამომწვევ სინათლის სხივს. მაგრამ არ აიგიებს რა ფერსა და სინათლეს (ხოლო ამის თქმა შეიძლება ჩვენი გრძნობათა სხვა ორგანოების და ჩვენი შეგრძნებების სხვა სახეების მიმართაც), ლენინი ამასთანავე იძლევა ამ საკითხის ნამდვილად მატერიალისტურ, აგნოსტიციზმის ყოველგვარი ელემენტის გამომრიცხველ, განმარტებას.

ა ს ა ხ ვ ი ს თ ე ო რ ი ი ს ა გ ა ნ ს უ ლ მ ც ი რ ე გ ა დ ა ხ რ ა ს ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ მ ი ე ყ ე ვ ა რ თ ი დ ე ა ლ ი ზ მ ა მ დ ე და ა გ ნ ო ს ტ ი ც ი ზ მ ა მ დ ე. იმდენად, რამდენადაც ფილოსოფოსი შორდება ასახვის თეორიას, ის ხდება კანტიანელი, მახისტი, ჰეგელიანელი და აღარ არის დიალექტიკური მატერიალისტი. პლეხანოვმა, ხოლო მის შემდეგ როგორც მექანისტებმა, ისე მომენშევიკო იდეალისტებმაც დაუშვეს მთელი რიგი არსებითი უკანდახევა ასახვის თეორიისაგან იეროგლიფების ანტიმარქსისტული თეორიისაკენ.

მატერიალისტური დიალექტიკის ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში პლეხანოვმა დაუშვა „უკანდახევა მატერიალიზმის იმ ფორმულისაგან, რომელიც ენგელსმა მოგვცა", და შემეცნების თეორიის საკითხებში ი ე რ ო გ ლ ი ფ უ რ თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ს დაადგა. პლეხანოვმა იეროგლიფური თვალსაზრისი ჩამოაყალიბა 1892 წ. ენგელსის „ლ. ფეიერბახის" შენიშვნებში. პლეხანოვი ეთანხმებოდა რუსი ფიზიოლოგის ი. სეჩენოვის იმ აზრს, რომ „როგორიც არ უნდა იყოს გარეგანი საგნები თავისთავად, ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად—დეე მათგან მიღებული ჩვენი შთაბეჭდილებანი იყვენ მხოლოდ პირობითი ნიშნები, ყოველ შემთხვევაში ნიშნების მსგავსებას და

[1] ლ ე ნ ი ნ ი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ., ტ. XIII. გვ. 53. ბაზგასმულია ჩვენს მიერ. — ა ვ ტ.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 55.

განსხვავებას, რასაც ჩვენ ვგრძნობთ, შეესატყვისება ნამდვილი მსგავსება და განსხვავება“ [1] და წერდა: „ჩვენი შეგრძნებანი—ეს ერთგვარი იეროგლიფებია, რომლებიც ჩვენ გვამცნობენ იმას, რაც სინამდვილეში ხდება. იეროგლიფები არ გვანან იმ მოვლენებს, რომლებსაც ისინი გვამცნობენ“ [2]. უფრო ადვილად, სახელდობრ 1899 წ. დამდეგს, როდესაც პლეხანოვი ანვითარებდა თავის შეხედულებას, ის ამტკიცებდა, რომ „მეტად უცნაური იქნებოდა, რომ შეგრძნება და მის ნიადაგზე წარმოშობილი წარმოდგენა გავდეს იმ საგანს, რომელმაც ის გამოიწვია და რომელიც ოვითონ, რასაკვირველია, არც შეგრძნებაა და არც წარმოდგენა“ [3]. „ფორმები და ურთიერთობანი საგნებისა თავისთავად, — წერდა პლეხანოვი, — არ შეიძლება ისეთი იყოს, როგორადაც ისინი ჩვენ გვეჩვენებიან, ე. ი. როგორადაც ისინი ჩვენ გვეელინებიან ჩვენ თავში „გადატანისას“. ჩვენი წარმოდგენები საგანთა ფორმებისა და ურთიერთობის შესახებ სხვა არა არის რა, თუ არა იეროგლიფები, მაგრამ ეს იეროგლიფები ზუსტად აღნიშნავენ ამ ფორმებსა და ურთიერთობას და ეს საკმარისია იმისათვის, რომ ჩვენ შეგვეძლოს შევისწავლოთ ზემოქმედება, რომელსაც ახდენენ ჩვენზე საგნები თავისთავად და ჩვენის მხრით ზემოქმედება მოვახდინოთ მათზე“ [4] 1905 წ. პლეხანოვმა, არსებითად განაგრძობდა რა სეჩენოვის შეხედულებათა გაზიარებას ცნობიერების სინამდვილისადმი დამოკიდებულების შესახებ, გაილაშქრა მისი ტერმინოლოგიის წინააღმდეგ და ამას იმით ასაბუთებდა, რომ „თუ საგანს თავისთავად ფერი მხოლოდ მაშინ აქვს, როცა მას უმზერენ, სუნი—მხოლოდ მაშინ, როცა მას ყნოსავენ და ა. შ., მაშინ, როდესაც ჩვენს წარმოდგენას მასზე პირობით ნიშნებს ვუწოდებთ, ჩვენ ვიძლევით საბაბს იფიქრონ, რომ, ჩვენი აზრით, მის ფერს, სუნს და ა. შ., რაც ჩვენს შეგრძნებებში არსებობს, შეესატყვისება რაღაც ფერი თავისთავად, რაღაც სუნი თავისთავად და ა. შ., ერთი სიტყვით რაღაც შეგრძნებანი თავისთავად, რომელთაც არ შეუძლიათ ჩვენი შეგრძნებების საგნად გახდომა“. უარყო რა ტერმინი „იეროგლიფი“, პლეხანოვი არსებითად შემდეგაც განაგრძობდა და სთვლიდა, რომ ჩვენი შეგრძნებანი და წარმოდგენანი არ გვანან იმ საგნებს, რომლებმაც ისინი გამოიწვიეს. მომენშე-

---

[1] პლეხანოვი, შენიშვნები „ლ. ფეიერბახის“ 1-ლი გამოცემისათვის, გვ. 117, 1931 წ.

[2] იქვე, გვ. 118.

[3] პლეხანოვი, ეთხელ კიდევ მატერიალიზმი, ტ. XI, გვ. 113.

[4] იქვე, გვ. 142.

ვიკო იდეალისტებმა დაიწყეს პლეხანოვის შეცდომების დაცვა, რაც მოწმობს შემეცნების თეორიაში მათი შეხედულებების ახლო კავშირს პლეხანოვის შეხედულებებთან. პლეხანოვის იეროგლიფების თეორიის დაცვას ხელი მოჰკიდეს აგრეთვე თანამედროვე მექანისტებმაც, უპირისპირებენ რა მას შემეცნების თეორიის საკითხების მარქსისტულ-ლენინურ განმარტებას. ლ. ი. აქსელროდი ჯერ კიდევ 1909 წელს თავის რეცენზიაში ლენინის „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ შესახებ კატეგორიულად უარყოფს ასახვის თეორიას. „როცა პლეხანოვის კრიტიკოსი სიმბოლოების თეორიას უარყოფს და შეგრძნებანი საგანთა სახეებად ან „არაზუსტ“ ასლებად მიაჩნია,—ცილს წამებდა ის ლენინს ამ თავის რეცენზიაში, — იგი დუალისტურ ნიადაგზე დგება, ქადაგებს რა თავდაყირა დაყენებულ პლატონიზმს და სრულიადაც არა მატერიალისტურ ფილოსოფიას, რომელიც ერთიანი საწყისიდან გამომდინარეობს. შეგრძნებები რომ საგანთა სახეები და ასლები იყოს, საკითხავია, რაღა ეშმაკად გვინდა საგნები, რომლებიც ამ შემთხვევაში მართლაც აღმოჩნდებოდენ „საგნებად თავისთავად“ ამ სიტყვის აბსოლუტური მნიშვნელობით? შეგრძნებათა აღიარება საგნების სახეებად ან ასლებად იმას ნიშნავს, რომ ობიექტსა და სუბიექტს შორის კვლავ გარდუვალი დუალისტური უფსკრული აღიმართოს“ [1]. აქსელროდს არ შეუძლია გაიგოს, რომ დუალისტურ უფსკრულს ქმნის არა ასახვის თეორია, არამედ სწორედ იეროგლიფების თეორია, რადგან ეს თეორია აღიარებს, რომ არსებობენ საგნები თავისთავად და ისეთი სიმბოლოები, ნიშნები და ადამიანის ისეთი წარმოდგენები, რომლებიც მათ არ გვანან. ცხადად დაიცვა სიმბოლოების თეორია წინააღმდეგ ასახვის თეორიისა სარაბიანოვმა. „შემეცნების პროცესი,—წერს იგი,—არ არის საგნებისაგან ასლების გადაღების პროცესი, არამედ იგი ობიექტურ და სუბიექტურ მოვლენებს შორის შესატყვისობის პოვნის პროცესია“ [2]. სარაბიანოვს არაერთხელ განუცხადებია პირდაპირ: „მე ხომ ჩემს წიგნებში მკაფიოდ ვანვითარებ პლეხანოვის თვალსაზრისს.., მე გადაპრით ვიდექი და ვდგავარ პლეხანოვის თვალსაზრისზე“.

„მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ ლენინი მიუთითებდა, რომ პლეხანოვმა შემეცნების თეორიის საკითხებში „აშკარა შეცდომა დაუშვა მატერიალიზმის გადმოცემისას“.

რაში მდგომარეობს, ლენინის მიხედვით, პლეხანოვის შეცდომა და რატომ არის უსაფუძვლო იეროგლიფების თეორია? პლეხანოვის შეც-

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ. ტ. XIII, დამატება გვ. 419. ხაზგასმულია ჩვენს მიერ.—ავტ.

[2] სარაბიანოვი, სტატია „პოდ ზნამენემ მარქსიზმა“-ში № 6, 1926 წ. გვ. 64.

დომა იმაშია, რომ ის აგნოსტიციზმის პოზიციამდე ეშვება, ე. ი. იქამდე, რომ არ სჯერა ჩვენი გრძნობათა ორგანოების ჩვენება, და მაშასადამე არ სჯერა ობიექტურ სამყაროს შემეცნება. მართლაც, თუ ჩვენი შეგრძნებანი და წარმოდგენანი არ გვანან იმ ობიექტებს, რომელთაც ისინი გამოხატავენ, არამედ მხოლოდ იეროგლიფებია, მაშინ ჩვენ არ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ ჩვენი ცოდნა ნამდვილად შეესაბამება ობიექტურ სამყაროს, რომელსაც ის შეეხება. ჩვენ არ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ იმ ცნობების ჭეშმარიტებაში, რომელსაც ჩვენ გვაძლევს მეცნიერული შემეცნება ობიექტურ სამყაროს შესახებ. მოკლედ შემეცნების იეროგლიფურ თეორიას მივყეკართ გარეშე სამყაროს არსებობის უარყოფამდე, რადგან ნიშნები და სიმბოლოები შესაძლებელია მოჩვენებით საგნების მიმართაც. ამ აზრით იეროგლიფების თეორია უახლოვდება ჰიუმის სკეპტიციზმს და კანტის აგნოსტიციზმს. ამაში მდგომარეობს იეროგლიფების თეორიის ან სიმბოლოების თეორიის უსაფუძვლობა. ამაში მდგომარეობს მისი ძირითადი განსხვავება ასასვის მატერიალისტური თეორიისაგან.

ლენინმა პლეხანოვის შეცდომის გარჩევასთან დაკავშირებით სიმბოლოების თეორიის ამომწურავი კრიტიკა მოგვცა. „უცილობელია,— წერდა იგი,—რომ გამოხატულება ვერასოდეს ვერ გაეთანაბრება საგსებით მოდელს, მაგრამ ერთია გამოხატულება, მეორეა სიმბოლო, პირობითი ნიშანი. გამოხატულება აუცილებლად გულისხმობს „გამოსახატავის“ ობიექტურ რეალობას. „პირობითი ნიშანი“, სიმბოლო, იეროგლიფი ისეთი ცნებებია, რომელთაც აგნოსტიციზმის ელემენტი შემოაქვთ, რაც სრულიად საჭირო არ არის“ [1]. სიმბოლოების თეორია, რომლის წინააღმდეგაც ლენინი გამოვიდა, პლეხანოვამდე აღიარებული იყო ცნობილი ბუნებისმეტყველის ჰელმჰოლცის ერთერთ ნაწარმოებში. ჰელმჰოლცს ჩვენი მხედველობის შეზღუდულობიდან გამოყავდა იმის დამტკიცება, რომ თვალი ყალბ ცნობებს გვაძლევს იმ საგანთა თვისებების შესახებ, რომელთაც ჩვენ ვხედავთ. ამიტომ ლენინმა სწორად აღიარა ა. რაუს (გერმანელი ფილოსოფოსი, ლ. ფეიერბახის მიმდევარი) მტკიცება, რომ ჰელმჰოლცის სიმბოლოების თეორია ხარკს უსდის კანტიანელობას. ღირსშესანიშნავია ის გარემოება, რომ ჰელმჰოლცის სიმბოლოების თეორიის კრიტიკა ლენინის მიერ პირდაპირ დაემთხვა მის იმ კრიტიკას, რომელიც პირველად ენგელსმა მოგვცა მხოლოდ 1925 წელს გამოქვეყნებულ ენგელსის „ბუნების დიალექტიკაში“.

---

[1] ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ., ტ. XIII, გვ. 240—241.

VI. ობიექტური, აბსოლუტური, რელატიური ჭეშმარიტება

ლენინმა, როცა ის ამუშავებდა მატერიალისტურ დიალექტიკას როგორც შემეცნების თეორიას, არკვევდა ასახვის არსებას როგორც პროცესს, მოგვცა ბრწყინვალე დახასიათება შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი, ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი და ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს თ ა ნ ა შ ე ფ ა რ დ ე ბ ი ს. რელატივიზმის (ბოგდანოვისა და სხვ.) გაბათილებისას, რომლის შესედულებით ჩვენი შემეცნების შედარებითობა შეუძლებელს ხდის ობიექტურ აბსოლუტურ შემეცნებას, ლენინმა გამოააშკარავა აბსოლუტური და რელატიური ჭეშმარიტების დიალექტიკური ურთიერთში შეჭრა. ლენინმა გამოარკვია, რომ შედარებითი შემეცნება არის არა აბსოლუტური შემეცნების მეტაფიზიკური დაპირდაპირებულება, არამედ ს ა ფ ე ხ უ რ ი აბსოლუტური შემეცნებისაკენ, რომ იგი კი არ გამორიცხავს აბსოლუტურ შემეცნებას, არამედ თავის მოძრაობისას სულ უფრო უახლოვდება აბსოლუტურ შემეცნებას. აქედან გამომდინარეობს ჩ ვ ე ნ ი შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს ო ბ ი ე ქ ტ უ რ ო ბ ა.

მაგრამ რითი მტკიცდება ჩვენი შემეცნების ობიექტურობა, სად არის იმის გარანტია, რომ აზროვნება სწორად ასახავს ყოფიერებას? „საკითხი იმის შესახებ,—უპასუხებს ამაზე მარქსი,— ახასიათებს თუ არა ადამიანის აზროვნებას საგნობრივი ჭეშმარიტება, თეორიის საკითხს კი არ წარმოადგენს, ა რ ა მ ე დ პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ს. ა დ ა მ ი ა ნ მ ა პ რ ა ქ ტ ი კ ა ში უ ნ დ ა დ ა ა მ ტ კ ი ც ო ს თ ა ვ ი ს ი ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა, ე. ი. ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე და ძ ა ლ ა, მ ი ს ი გ ა მ ო ღ მ ო ბ ა. კამათი პრაქტიკიდან გამოთიშული აზროვნების რეალობისა და არარეალობის შესახებ წმინდა სქოლასტიკური საკითხია“[1].

შემეცნების შესაძლებლობისა და ფარგლების საკითხი შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ თვით შემეცნების პ რ ო ც ე ს ში, რომელსაც საზოგადოებრივი პრაქტიკა განსაზღვრავს, მსგავსად იმისა როგორც საუკეთესო და ერთადერთი დამტკიცება იმისა, რომ ადამიანს შეუძლია ცურვა, იქნება თვით შედეგი—ცურვის პრაქტიკა გამოარკვევს მცურავის ძალებისა და შესაძლებლობის საკითხს,— სწორედ ასევე უნდა გადაიჭრას საკითხი შემეცნების მიმართაც. შემეცნების გამოყენება, მეცნიერების ისტორია და პრაქტიკა ამტკიცებს მის შესაძლებლობას და განსაზღვრავს მის ისტორიულ ფარგლებს. მეცნიერება თავისი პრაქტიკული მიღწევებით სწყვეტს მეცნიერული შემეცნების უტყუარობის საკითხს.

---

[1] ე ნ გ ე ლ ს ი, ლ. ფეიერბახი, გვ. 76—77.

კაცობრიობის ისტორია, მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორია წარმოადგენს გარეშე სამყაროს შემეცნების შესაძლებლობის საუკეთესო დამტკიცებას.

ასახვის თეორია, როგორც ვიცით, წარმოადგენს შემეცნების მატერიალური და ამავე დროს დიალექტიკური თეორიის უნივერსალურ საფუძველს. მასში მატერიის პირველადობის და ცნობიერების მეორადობის აღიარება განუყოფელად შეთავსებულია ასახვის წინააღმდეგური, დიალექტიკური ხასიათის გაგებასთან. შემეცნება გაგებულია როგორც ისტორიული პროცესი. აქედან იხსნება ფარული პერსპექტივა შემეცნების შესწავლისა მის დამოკიდებულებაში საზოგადოებრივი განვითარებისაგან.

მატერიალისტურ დიალექტიკას ობიექტურ ჭეშმარიტებად ესმის ჩვენი წარმოდგენების ის ობიექტური შინაარსი, რომელიც დამოუკიდებელია ცნობიერებისაგან—არც ადამიანისა, არც კაცობრიობისაგან. ობიექტურ ჭეშმარიტებას ჩვენ გვიმჟღავნებს საზოგადოებრივი ადამიანის განვითარების პროცესში ყოფი შემეცნება. ჭეშმარიტება არ წარმოადგენს რაღაც გაყინულს, არამედ არის პროცესი. „ჭეშმარიტება,— ამბობს ლენინი,— არის პროცესი. სუბიექტური იდეისაგან ადამიანი „პრაქტიკის“ (და ტექნიკის) მეშვეობით მიდის ობიექტური ჭეშმარიტებისაკენ“[1].

მოძღვრებას ობიექტური ჭეშმარიტების შესახებ უდიდესი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ეს მოძღვრება წარმოადგენს საუკეთესო იარაღს ბრძოლაში ყოველგვარი იდეალისტური და რელატივისტური თეორიის წინააღმდეგ, ვინაიდან თუ კი არ არსებობს ობიექტური, ე. ი. სუბიექტისაგან, ადამიანისაგან ან კაცობრიობისაგან დამოუკიდებელი ჭეშმარიტება, მაშინ არ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ ადამიანთა ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს ობიექტური რეალობა, რომელიც ჩვენი ცოდნის ერთადერთ შინაარსს წარმოადგენს. თუ ჩვენ ცოდნას არ აქვს ისეთი შინაარსი, რომელიც დამოუკიდებელია ადამიანებისაგან, მაშინ არ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ გარემომცველ სამყაროს შეცვლისაკენ მიმართული პრაქტიკული მოქმედება, რომელიც ხელმძღვანელობს თეორიული წინასწარხედვით, შეესაბამება ამ ობიექტურ კანონზომიერებას, რომელიც ამ თეორიულ წინასწარხედვაში აისახება. ობიექტური ჭეშმარიტების შემეცნება, იქის აღიარება, რომ მხოლოდ მეცნიერულ შემეცნებას, რომელიც ასახავს რეალურ სამყაროს, შეუძლია ობიექტური ჭეშმარიტების მოცემა,

---

[1] „ლენინის კრებული“ IX. გვ. 37.

გამორიცხვას ყოველგვარ ურწმუნოებას გარეშე სამყაროს რეალობაში.

მაშასადამე ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფას მივყევართ იმის უარყოფისაკენ ანუ იგი არის იმის უარყოფა, რომ არსებობს მატერიალური სინამდვილე შემეცნებისაგან დამოუკიდებლად, და პირიქით. ობიექტური ჭეშმარიტების აღიარება უდრის ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური ჭეშმარიტების აღიარებას.

თავის დროზე წინააღმდეგ მარქსისტული მოძღვრებისა ჭეშმარიტების შესახებ გამოდიოდა ბოგდანოვი. ბოგდანოვი როგორც მომხრე სუბიექტური იდეალიზმისა, რომელიც, როგორც ცხობილია, უარყოფდა მატერიალისტურ დებულებას რეალურ სამყაროს ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი არსებობის შესახებ, წერდა: „ჩემთვის მარქსიზმი შეიცავს რაიმე ჭეშმარიტების უცილობელი ობიექტურობის უარყოფას... ჭეშმარიტება არის ი დ ე ო ლ ო გ ი უ რ ი ფ ო რ მ ა, ფ ო რ მ ა, რ ო მ ე ლ ი ც ა დ ა მ ი ა ნ თ ა ც დ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ს ა ხ დ ე ნ ს“. ბოგდანოვის მიხედვით ჭეშმარიტება არის ცდის ორგანიზაციის იდეოლოგიური ფორმა. რაკი ასეა, მაშინ ჭეშმარიტება დამოუკიდებელია ადამიანთა ცნობიერებისაგან, ე. ი. ობიექტური ჭეშმარიტება არ არსებობს. არსებითად ბოგდანოვი არათანმიმდევრობას უშვებს, როცა ხმარობს ტერმინს „ობიექტური“ ჭეშმარიტება; მისი თვალსაზრისით შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ სუბიექტურ ჭეშმარიტებაზე, თუნდაც სუბიექტად მიღებული იყოს არა ცალკეული ადამიანი, არამედ მთელი კაცობრიობა. ბოგდანოვის მიხედვით ცნება „ობიექტური“ ნიშნავს არა ცნობიერებისაგან დამოუკიდებელს, არამედ ს ა ე რ თ ო მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს მ ქ ო ნ ეს, ე. ი. ისეთს, რომელსაც ერთნაირი მნიშვნელობა აქვს მრავალ ადამიანთათვის, მთელი კაცობრიობისათვის.

ბოგდანოვის მიხედვით ობიექტური ჭეშმარიტებაა ისეთი წარმოდგენა, რომელიც იქმნება „სხვადასხვა ადამიანთა გამოთქმების ურთიერთ შეპოწმებისა და შეთანხმების საფუძველზე“. ძნელი არ არის ბოგდანოვის იდეალისტური თვალსაზრისის აბსოლუტური უნიადაგობის დანახვა. ბოგდანოვი ისეთ განმარტებას აძლევს ობიექტურობას, რომელიც შეიცავს, როგორც ჭეშმარიტებას, რელიგიას და სხვადასხვა ცრუ შეხედულებებს, რომელთაც მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცდომილებას წარმოადგენენ, უფრო საერთო მნიშვნელოვანი ხასიათი აქვთ, უფრო გავრცელებული არიან ადამიანთა შორის, ვიდრე, ვთქვათ მაჯალითისათვის, მეცნიერული აღმოჩენები, რომლებიც გამოხატავენ ობიექტურ ჭეშმარიტებას და უცნობი რჩებიან ადამიანთა უმრავლე-

სობისათვის. ბოგდანოვი, უარყოფს რა ობიექტური, ჭეშმარიტების არსებობას, კარს უღებს ხუცობას, „ადგილს უწმენდს „ფორმებს", რომლებიც რელიგიური ცდის „ორგანიზაციას" ახდენენ".

ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფა ბოგდანოვის მიერ მჭიდრო და თანმიმდევრულ კავშირშია მის სუბიექტურ იდეალიზმთან. ჭეშმარიტებაზე ბოგდანოვის შეხედულების მსგავს თვალსაზრისს ანვითარებდენ სხვადასხვა ჯურის რელატივისტები და აგნოსტიკები, დაწყებული ჰიუმიდან და კანტიდან და გათავებული ემპირიოკრიტიკოსებით—მახითა და ავენარიუსით. ყველა იმათთვის, ვინც პირდაპირ უარყოფს ან ვისაც ეჭვი შედის ობიექტური რეალობის არსებობაში, რაც მოცემულია ადამიანის შეგრძნებებში, დამახასიათებელია ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფა.

ამჟამად მატერიალისტური დიალექტიკის მოძღვრებას ობიექტური ჭეშმარიტების შესახებ რევიზიას უწევენ მექანიციზმის ცალკეული წარმომადგენლები. ამბ. სარაბიანოვი მაგალითად ქადაგებდა თვალსაზრისს, რომლის თანახმად „საერთოდ არავითარი ობიექტური ჭეშმარიტება არ არსებობს, ყოველგვარი ჭეშმარიტება სუბიექტურია". „რატომ ვუწოდებ მე,—კითხულობს სარაბიანოვი,—ყოველგვარ ჭეშმარიტებას სუბიექტურს? იმიტომ, რომ ჭეშმარიტება არ არის ობიექტური ყოფიერება, რომ ჭეშმარიტება არის ჩვენი წარმოდგენა სამყაროზე, საგნებზე, პროცესებზე"[1]. სარაბიანოვს სუბიექტური იდეალისტის მსგავსად ადამიანთა წარმოდგენები მიაჩნია მხოლოდ სუბიექტურად, ე. ი. ისეთად, რომელნიც არ შეიცავენ ობიექტურ შინაარსს. საკითხავია, მაშ სა იდან ჩნდება ჩვენი წარმოდგენების შინაარსი? ან სრულიად არ უნდა გესმოდეს, დიალექტიკური მატერიალიზმის დებულება ანდა შეგნებულად უნდა უკეთებდე მას რევიზიას, რომ ჩვენი წარმოდგენების შინაარსი ეძიო არა ადამიანის გარემომცველ სამყაროში, არამედ თვით ცნობიერებაში. ყველასათვის, ვისთვისაც გონება არ აურევია სოლიპსიზმის რეაქციულ იდეებს, ნათელია, რომ ჩვენი წარმოდგენების შინარსს ბუნება და ისტორია წარმოადგენს. სწორედ ჩვენი წარმოდგენების, ჩვენი ცოდნის შინაარსი, დამოუკიდებელი ადამიანისა და კაცობრიობისაგან, არის ობიექტური ჭეშმარიტება. ჩვენი ცოდნა ჩვენ, ადამიანებს გვეკუთვნის, მაგრამ ის, რაც მოქცეულია ამ ჩვენ ცოდნაში, არის არა ჩვენი, არამედ ჩვენგან დამოუკიდებელი. აი ამის გაგება არ შეუძლია, არ სურს ამბ. სარაბიანოვს.

---

[1] სარაბიანოვი, სტატია „პოდ ზნამენემ მარქსიზმა"-ში № 6. 1926 წ. გვ. 66.

თუ ცოდნის შინაარსი სუბიექტს ეკუთვნის, დამოკიდებულია მისგან, როგორც ამბ. სარაბიანოვი ფიქრობს, მაშინ არ შეიძლება ობიექტურ ჭეშმარიტებად ჩაითვალოს მეცნიერების მტკიცება დედამიწის არსებობის შესახებ კაცობრიობამდე, არ შეიძლება ჭეშმარიტებად ჩაითვალოს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება იმის შესახებ, რომ ისტორიულად აუცილებელია კაპიტალისტური საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნა კომუნისტურ საზოგადოებად და ა. შ. ერთი სიტყვით ჭეშმარიტად არ შეიძლება ჩაითვალოს არც ერთი მეცნიერული დებულება, გარდა იმ დებულებებისა, რომელთაც სარაბიანოვი აღიარებს.

ამრიგად, მატერიალისტური დიალექტიკის თანახმად, ადამიანთა წარმოდგენა, ცოდნა ობიექტურ ჭეშმარიტებას გამოხატავს. ახლა საკითხავია, შეუძლია თუ არა ჩვენ ცოდნას, რომელიც ობიექტურ ჭეშმარიტებას გამოხატავს, მოგვცეს იგი ერთბაშად მთლიანად, უეჭველად, აბსოლუტურად, თუ იგი მას დაახლოებით, არა ერთბაშად გამოხატავს? ეს საკითხი არის საკითხი აბსოლუტური და შედარებითი ჭეშმარიტების თანაშეფარდების შესახებ. უწინარეს ყოვლისა შევნიშნავთ, რომ მატერიალისტური დიალექტიკა არ უარყოფს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. პირიქით, სცნობს რა ობიექტურ ჭეშმარიტებას, იგი ამით ასე თუ ისე სცნობს აბსოლუტურ ჭეშმარიტებასაც. „მატერიალისტობა,—ამბობს ლენინი,—ნიშნავს იმ ობიექტური ჭეშმარიტების აღიარებას, რომელსაც გრძნობათა ორგანოები გვიმხელენ. ობიექტური, ე. ი. ადამიანისა და კაცობრიობისაგან დამოუკიდებელი ჭეშმარიტების აღიარება—ნიშნავს აბსოლუტური ჭეშმარიტების ასე თუ ისე აღიარებას“[1]. მართლაც, როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ ცოდნის შინაარსი ობიექტური სამყაროა, სწორედ ეს ნიშნავს იმის აღიარებას, რომ ჩვენი ცოდნა ეხება მუდმივ, აბსოლუტურ ბუნებას, რომ ჩვენი წარმოდგენების შინაარსი მუდმივი აბსოლუტური სამყაროა. „ბუნების ყოველგვარი ჭეშმარიტი შემეცნება არის მუდმივის, დაუსრულებელის შემეცნება და ამიტომ იგი არსებითად აბსოლუტურია“[2]. ამ აზრით ლენინი წერს, რომ „შეიძლება შედარებითობის ელემენტები უარვყოთ ამა თუ იმ ადამიანურ წარმოდგენებში ისე, რომ არ უარვყოთ ობიექტური ჭეშმარიტება, მაგრამ შეუძლებელია აბსოლუტური ჭეშმარიტების უარყოფა, თუ ობიექტური ჭეშმარიტების არსებობა არ

[1] ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი. თხზ., ტ. XIII, გვ. 134.

[2] ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 84.

უარვყავით"[1]. მაგრამ ობიექტურ, აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ჩვენი ცოდნა იღებს არა ერთბაშად, არა მთლიანად, არამედ თვით შემეცნების განვითარების დაუსრულებელ პროცესში, შედარებით ჭეშმარიტებათა მეშვეობით, რომელთა ერთობლივობა გამოხატავს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას.

„შემეცნება,—ამბობს ლენინი,—არის ადამიანის მიერ ბუნების მარტივი, არა უშუალო, არა მთლიანი ასახვა, არამედ მთელი რიგი აბსტრაქციების, ფორმულირების, ცნებების, კანონების და სხვ. შექმნის პროცესი; ეს ცნებები, კანონები და სხვ... პირობითად, დაახლოებით მოიცავენ მუდმივად მოძრავი და განვითარების პროცესში მყოფი ბუნების უნივერსალურ კანონზომიერებას. აქ ნამდვილია, ობიექტურია სამი წევრი: 1) ბუნება, 2) ადამიანის შემეცნება=ადამიანის ტვინი (როგორც იმავე ბუნების უმაღლესი პროდუქტი) და 3) ფორმა ბუნების ასახვისა ადამიანის შემეცნებაში, სწორედ ეს ფორმაა ცნებები, კანონები, კატეგორიები და სხვ. ადამიანს არ შეუძლია მოიცვას=ასახოს=გამოხატოს მთელი ბუნება, მთლიანად, მის „უშუალო მთლიანობაში", მას შეუძლია მხოლოდ მუდამ უახლოვდებოდეს მას, შექმნას აბსტრაქციები, ცნებები, კანონები, სამყაროს მეცნიერული სურათი და ა. შ."[2]

მატერიალისტური დიალექტიკის თანახმად „ადამიანის აზროვნებას თავის ბუნებით შეუძლია მოგვცეს და კიდეც გვაძლევს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, რომელიც სდგება რელატიურ ჭეშმარიტებათა ჯამისაგან. ყოველი საფეხური მეცნიერების განვითარებაში ახალ ნაწილაკს უმატებს აბსოლუტური ჭეშმარიტების ამ ჯამს, მაგრამ ყოველი მეცნიერული დებულების ჭეშმარიტების ფარგლები შედარებითია, იგი ხან ფართოვდება, ხან ვიწროვდება მეცნიერების შემდგომი ზრდის გამო"[3]. აბსოლუტური ჭეშმარიტება თავის გამოხატულებას პოულობს შედარებით ჭეშმარიტებებში, რადგან აბსოლუტური ჭეშმარიტების შეცნობა შეუძლებელია სხვაგვარად, თუ არა შედარებით ჭეშმარიტებათა მეშვეობით. და ყოველ მეცნიერულ ჭეშმარიტებაში, რომელსაც აღწევს კაცობრიობა, მიუხედავად მისი შედარებითი ხასიათისა, მოქცეულია აბსოლუტური ჭეშმარიტების მარცვლები. მატერიალისტური დიალექტიკა არ უარყოფს მთელი ჩვენი ცოდნის შედარებითობას, მაგრამ მხოლოდ ჩვენი ცოდნის ობიექტურ, აბსოლუტურ

---

[1] ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი. თხზ. ტ. XII, გვ. 123-124. ხაზგასმულია ჩვენს მიერ.—ავტ.

[2] „ლენინის კრებული" IX, გვ. 303.

[3] ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ., ტ. XIII, გვ. 137.

ჭეშმარიტებასთან მიახლოების ფარგლების ისტორიული პირობითობის აზრით. „ჩვენ შემეცნება შეგვიძლია მხოლოდ ჩვენი ეპოქის მიერ მოცემულ პირობებში და იმდენად, რამდენადაც ნებას გვაძლევს ეს პირობები"[1].

ისტორიულად პირობითი, შეხლუდული, შედარებითია ყოველგვარი მეცნიერული აღმოჩენა, მაგრამ უეჭველია ის, რომ მეცნიერული შემეცნება, ცდომილებათაგან განსხვავებით, გამოხატავს, გამოსახავს ობიექტურ ჭეშმარიტებას, აბსოლუტურ ბუნებას.

აბსოლუტური და შედარებითი ჭეშმარიტების თანაშეფარდების ეს დიალექტიკური გაგება ძირფესვიანად განსხვავდება მეტაფიზიკური მატერიალიზმის მომხრეებია შეხედულებებისა და რელატივიზმის ბომბრეების შეხედულებებისაგან. მეტაფიზიკური მატერიალიზმის წარმომადგენლები სცნობენ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. როგორც ცნობილია, ისინი იმ დებულებიდან გამოდიან, რომ არსებული სამყარო უცვლელ მდგომარეობაში იმყოფება, რომ იგი უცვლელი მატერიალური სუბსტანციაა. მატერიალისტები-მეტაფიზიკოსები შემდგომ ამტკიცებენ ადამიანის აზროვნების უცვლელობას და ფიქრობენ, რომ ადამიანთა ცნობიერებაში ეს უცვლელი ობიექტური სამყარო ერთბაშად, მთლიანად აისახება. ასე მაგალითად დიურინგი სცნობდა „მარადიულ ჭეშმარიტებებს საბოლოო ინსტანციაში". როგორც ნათქვამიდან ჩანს, მეტაფიზიკურ მატერიალისტების შეხედულების ძირითადი მანკი მდგომარეობს არა იმაში, რომ ისინი ცნობენ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, ამაში მათ დიალექტიკური მატერიალიზმიც ეთანხმება, არამედ იმაში, რომ ისინი ობიექტურ სამყაროსაც და ადამიანთა შემეცნებასაც მათი ისტორიული განვითარების გარეშე იღებენ. ამიტომ მატერიალისტი-მეტაფიზიკოსები ჭეშმარიტებასაც ისე უმზერენ როგორც რაღაც უძრავს, მკვდარს, ისეთს, რომელიც არ ვითარდება, მათი შეხედულების თანახმად ჭეშმარიტებას აქვს მხოლოდ აბსოლუტური ხასიათი. ნამდვილად კი აბსოლუტური ჭეშმარიტება მეღავნდება ადამიანის შემეცნების განვითარების პროცესში და შემეცნების ყოველ ნაბიჯს წინ, რაც აბსოლუტურ შინაარსს გამოხატავს, შედარებითი მნიშვნელობა აქვს, ე. ი. ბოლომდე არ ამოწურავს ამ შინაარსს.

რელატივიზმის მომხრეები კმაყოფილდებიან ცოდნის შედარებითი მნიშვნელობის აღიარებით. რელატივისტები უარყოფენ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. მათი თვალსაზრისით არც ერთი მეცნიერული აღმოჩენა არ შეიცავს აბსოლუტურ და მაშასადამე ობიექტურ ჭეშმარიტებას. ასეთი თვალსაზრისით სოფისტურად შეიძლება გა-

[1] ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 7 (რუს. გამოც.).

მართლოთ ყოველი ცდომილება და უაზრობა. რელატივისტების ასეთი უკიდურესი შეხედულება ჭეშმარიტებაზე გამომდინარეობს ადამიანთაგან დამოუკიდებლად არსებულ სამყაროს უარყოფისაგან.

ამჟამად ჭეშმარიტების საკითხში რელატივიზმის თვალსაზრისამდე ჩამოქვეითდენ თანამედროვე მექანისტური მსოფლმხედველობის და მომენშევიკო იდეალიზმის ცალკეული წარმომადგენლები. ამხ. სარაბიანოვი თითქმის ყველა თავის შრომაში პირდაპირ აცხადებდა, რომ ცოდნა მხოლოდ შედარებითია. ამხ. სარაბიანოვი თვით ცოდნის შედარებითობას აბსოლუტად აქცევს. არსებითად ასეთივე შეხედულებას გამოსთქვამენ მომენშევიკო იდეალისტებიც. დებორინის ერთერთი მოწაფე წერდა, რომ „ცოდნა ყოველთვის შედარებითია, იგი მუდამ მხოლოდ უახლოვდება ობიექტს“ [1]. დაიმახსოვრეთ: „მ უ დ ა მ მ ხ ო ლ ო დ უ ა ხ ლ ო ვ დ ე ბ ა ო ბ ი ე ქ ტ ს“. უკეთესის თქმა აღარ შეიძლება, კარგი „მარქსისტული“ თეორიაა, რომლის მიხედვითაც ჩვენი ცოდნა მუდამ მხოლოდ უახლოვდება ობიექტს. თუ ჩვენი ცოდნა მხოლოდ უახლოვდება ობიეტს და ა რ ა ს ო დ ე ს მ ა ს ა რ ა ღ წ ე ვ ს, მაშინ არ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ ობიექტურ სამყაროს არსებობაში ადამიანთა წარმოდგენების გარეშე...

თვით დებორინის აზრის თანახმად „ყოველგვარი მოცემული ჭეშმარიტება წარმოადგენს არა აბსოლუტურ, არამედ შედარებით ჭეშმარიტებას... თვით აბსოლუტურ ჭეშმარიტებას კი ჩვენ ა რ ა ს ო დ ე ს ა რ ვ ფ ლ ო ბ თ. ჩვენ მას მხოლოდ ეუახლოვდებით ჩვენს შემეცნებასა და ჩვენს მოქმედებაში“ [2]. დებორინის ეს დებულება პირდაპირ ეწინააღმდეგება ლენინის შეხედულებას, რომელიც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ.

მაგრამ თუ მომენშევიკო იდეალისტებს თვითონ არ გამოყავთ დასკვნა თავის ფილოსოფიიდან, სარაბიანოვი, პირიქით, მთელი ხმით ალაპარაკდა. „განა მატერიალისტს შეუძლია ითქვა მტკიცება,—წერდა იგი,—რომ არსებობს წარმოდგენები, რომლებიც არ შეესატყვისებიან საგანთა ობიექტურ მდგომარეობას? რასაკვირველია არ შეუძლია. ცნობიერებას ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ყოფიერება განსაზღვრავს. გამონაკლისს თქვენ ვერ იპოვით. ღვთის წარმოდგენა შეესატყვისება ობიექტურ პროცესებს“ [3]. იმ ფაქტიდან, რომ რელიგიური წარმოდგენანი ფესვგადგმული არიან კლასობრივი საზოგადოების საზოგადოებრივ პირობებში, სარაბიანოვს გამოყავს უმართებულო დასკვნა

---

[1] ბ ო ნ ი კ მ ა ნ ი, ლენინი როგორც ფილოსოფოსი, გვ. 40, გამ. მე-2.

[2] დ ე ბ ო რ ი ნ ი, ლენინი როგორც მოაზროვნე ტ. III, გვ. 27.

[3] ს ა რ ა ბ ი ა ნ ო ვ ი, სტატია „პოდ ზნამენემ მარქსიზმა“-ში, № 6, 1926 წ. გვ. 67.

მათი ჭეშმარიტების შესახებ. აქ აშკარად ერთიმეორეშია არეული ორი სხვადასხვა საგანი: ობიექტური ჭეშმარიტება და ექსპლოატატორთა კლასობრივი ინტერესი, რომელიც თუმცა ობიექტურად არსებობს, მაგრამ ობიექტურ ჭეშმარიტებას არ შეიცავს. ამრიგად ჭეშმარიტების რელატიური გაგება ყოველგვარ ილუზიას და ცდომილებას ამართლებს, ფართოდ უღებს კარებს ყველაზე შაერაზმულ ხუცობას და მისტიკას.

ამრიგად არც მეტაფიზიკურ მატერიალიზმს და არც იდეალისტურ რელატივიზმს არ შეუძლია აბსოლუტური და შედარებითი ჭეშმარიტების თანაშეფარდების საკითხის სწორად გადაჭრა. მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკა, იძლევა რა აზროვნების ყოფიერებისადმი დამოკიდებულების საკითხის ყველაზე ღრმად გადაჭრას და მეცნიერული შემეცნების ობიექტური ხასიათის ყველაზე ყოველმხრივ დასაბუთებას, იძლევა ამასთანავე აბსოლუტურ და შედარებით ჭეშმარიტებას შორის არსებულ თანაშეფარდების სწორ გაგებასაც.

V. საზოგადოებრივი პრაქტიკა როგორც შემეცნების კრიტერიუმი. ფილოსოფიის პარტიულობა

პრაქტიკისა და შემეცნების პროცესის კავშირი მარტი იმით არ ამოიწურება, რომ შემეცნების ჭეშმარიტობა პრაქტიკით მოწმდება. ეს კავშირი ღრმა და მრავალმხრივია. შემეცნება, თეორია პრაქტიკიდან წარმოიშობა. საზოგადოებრივი ადამიანი არა მარტო აღიქვამს ობიექტურ სამყაროს, არა მარტო განიცდის მის ზემოქმედებას, არამედ თვითონაც ისე უდგება გარეშე სამყაროს, როგორც თავისი მოქმედების საგანს, ახდენს მის შეცვლასა და გარდაქმნას. პრაქტიკულ მოქმედებაში გროვდება და იქმნება ჩვენი შეგრძნებები, ამავე მოქმედებაში უნდა დაამტკიცონ თავის ჭეშმარიტობა მათგან წარმოშობილმა იდეებმა და თეორიებმა, აქვე ჩაქსოვილია ის ძალები, რომლებიც მათ ასწორებენ და სრულქმნიან. შემეცნება პრაქტიკიდან წარმოიშობა, ხდება მასთან ერთიანობაში და ემსახურება პრაქტიკას, აორგანიზებს და სრულქმნის მას. პრაქტიკულ მოქმედებაში ხორციელდება ობიექტისა და სუბიექტის, ბუნებისა და ადამიანის ერთიანობა: ახდენს რა ბუნებაზე ზემოქმედებას და მის გარდაქმნას, ადამიანი თავის საკუთარ ბუნებასაც ცვლის.

რატომ სწორედ პრაქტიკა იძლევა ჩვენი შემეცნების სინამდვილის მოწმობას და რატომ პრაქტიკის გარეშე არ არსებობს ამ შემეცნების ჭეშმარიტობის კრიტერიუმი? საქმე იმაშია, რომ ადამიანთა ცნობიერება არის საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ ერთერთი

მხარე, რომელსაც მის გარეშე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ადამიანთა ცნობიერების მოქმედება შეწყდებოდა მაშინვე ადამიანთა არსებობისათვის აუცილებელ მატერიალურ საშუალებათა წარმოების შეწყვეტისთანავე. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს საფუძველად უდევს მატერიალური წარმოება, მარქსის გამოთქმით, ადამიანთა გრძნობადი-პრაქტიკული, საგნობრივი მოქმედება.

მაშასადამე, ადამიანთა შემეცნებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, როდესაც საზოგადოებრივი პრაქტიკის პროცესში, პირველ რიგში მატერიალური წარმოების პროცესში, ის აღწევს აზროვნებაში გათვალისწინებულ შედეგს. ადამიანის შემეცნება რომ იმ სახით არ გამოხატავდეს პროცესებს გარეშე სამყაროში, როგორც ისინი არსებობენ, მაშინ თავის პრაქტიკულ მოქმედებაში ადამიანები ამ მოქმედების ვერც ცნობიერებით გათვალისწინებულ შედეგებს მიაღწევდენ. და პრაქტიკული მოქმედება, რომლის გარეშე შეუძლებელია ადამიანთა საზოგადოების არსებობაც კი, აიძულებს ადამიანებს შესცვალონ წარმოდგენა მათ გარემომცველ სამყაროზე იმ შემთხვევაში, თუ იგი ყალბია. ამიტომ საზოგადოებრივი ადამიანის პრაქტიკაში, მის საგნობრივ მოქმედებაში მოქცეულია გარეშე სამყაროზე ჩვენი წარმოდგენების ჭეშმარიტობის მაჩვენებელი. საზოგადოებრივი, მატერიალური წარმოების განვითარების პროცესში წარმოიშობიან და ვითარდებიან წარმოდგენანი, ცნებანი და სხ., რომლებიც სწორად გამოხატავენ ობიექტურ სამყაროს. საზოგადოება პრაქტიკულ ზემოქმედებას ახდენს ბუნებაზე, სცვლის მასში წინასწარ ნაბულ მის ფორმებს და ამით სცვლის საკუთარ თავს და თავის წარმოდგენას გარეშე სამყაროზე. ადამიანთა საგნობრივი მოქმედების შედეგად იქმნება მატერიალური საგნები, რომლებიც მატერიალური სინამდვილის განუყოფელი ნაწილებია. ლენინის გამოთქმით „პრაქტიკა (თეორიულ) შემეცნებაზე მაღლა დგას, ვინაიდან მას აქვს არა მარტო ყოვლადობის ღირსება, არამედ უშუალო სინამდვილისაც“ [1]. ადამიანთა თეორიული შემეცნება გარეშე სამყაროსა და მასში მიმდინარე პროცესების შესახებ ამჟღავნებს ისტორიული განვითარების კანონზომიერებას და ტენდენციებს; მაგრამ თეორიას მხოლოდ საზოგადოებრივი პრაქტიკა აძლევს საბოლოო დასტურს, მოიცავს საგანს მის ისტორიულ კონკრეტობაში. „თეორიულმა შემეცნებამ, — ამბობს ლენინი, — ობიექტი უნდა შოგვცეს მის აუცილებლობაში, მის ყოველმხრივ ურთიერთობაში, მის წინააღმდეგობით მოძრაობაში თავისში და თავისათვის. მაგრამ ადა-

[1] „ლენინის კრებული“ IX, გვ. 261.

ორიული შემეცნება სწორი იყოს, იგი პრაქტიკას უნდა ემყარებოდეს, განუყრელად უნდა დაუკავშირდეს მას.

თვით საზოგადოებრივი ადამიანის პრაქტიკა არ რჩება უცვლელი და მისი განვითარების ყოველი ნაბიჯი მოითხოვს სულ ახალ და ახალ მოაზრებას, მოფიქრებას. აი ამიტომ ის მეცნიერება, რომელიც ამჟამად არ უპასუხებს სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკის მოთხოვნებს, აღარ თამაშობს მისთვის დადებით როლს და პროლეტარიატისადმი მტრული კლასების თეორიულ იარაღად იქცევა.

მატერიალურ სინამდვილეს შეიცავს არა საზოგადოებისაგან იზოლირებული ინდივიდუუმი, არამედ მასთან დაკავშირებული და მისგან დამოკიდებული საზოგადოებრივი ადამიანი. ადამიანის ბუნებას საზოგადოებრივი ხასათი აქვს. ყოველი ცალკეული ადამიანის სიცოცხლე მთლიანად საზოგადოების სიცოცხლით, მასში მიმდინარე კლასობრივი ბრძოლის წინააღმდეგობებით განისაზღვრება; იგი დაკავშირებულია ამა თუ იმ საზოგადოებრივი კლასის სიცოცხლესთან. ცალკეული ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა, ამიტომ ძისი ცხოვრების ყოველგვარი გამოვლენა, დაწყებული პრაქტიკული მოქმედებით და დამთავრებული თეორიულით, გარემომცველ სამყაროს შემეცნებით, — საბოლოო ანგარიშში საზოგადოებრივი ცხოვრების განსაკუთრებული გამოვლენა და გამოხატულებაა. „მაშინაც კი, როდესაც მე ვეწევი მეცნიერულ და სხვ. მოქმედებას, — მოქმედებას, რომლის შესრულება შემიძლია თვით მე, სხვებთან უშუალო ურთიერთობის გარეშე, — მე მაინც საზოგადოებრივი სახით ვმოქმედებ, ვინაიდან ვმოქმედებ როგორც ადამიანი. მე არამც თუ მოცემული მაქვს, საზოგადოებრივი პროდუქტის სახით, მასალა ჩემი მოქმედებისათვის, და სწორედ ასევე ენაც, რომლის შემწეობითაც სწარმოებს მოაზროვნის მოქმედება, — არამედ თვით ჩემი საკუთარი ყოფიერებაც არის საზოგადოებრივი მოქმედება; ამიტომ ის, რასაც მე ჩემით ვაკეთებ, მე ვაკეთებ ჩემით საზოგადოებისათვის, შეგნებული მაქვს რა თავი საზოგადოებრივ არსებად“ [1].

უნარი არა მარტო შეგრძნების, არამედ აზროვნებისაც უმაღლესად ორგანიზებული მატერიის თვისებაა. ეს თვისება აქვს მხოლოდ საზოგადოებრივი ადამიანის ტვინს. გრძნობათა ორგანოების მოქმედებას და აზროვნების მოქმედებას ადამიანი მხოლოდ საზოგადოებაში ანვითარებს. ამიტომ ადამიანის გრძნობები და აზრი არ არის რაღაც ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, უცვლელი თვისებები. ისინი, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების პროდუქტები, განიცდიან ცვლილებას თვით საზოგადოების განვითარებისაგან დამოკიდებით. ხოლო

[1] „მარქსისა და ენგელსის არქივი“, ტ. III, გვ. 253.

საზოგადოება ბუნების ნაწილია, ცვლის რა მას, იგი თავის თავსაც ცვლის. მრავალმხრივ ცხოვრებას, მათ შორის შემეცნებასაც საფუძ-ვლად უდევს ადამიანთა პრაქტიკული მოქმედება, ადამიანთა არსებობისათვის აუცილებელ მატერიალურ საშუალებათა წარმოება. ადამიანთა საზოგადოებამ მის მიერ მიღწეულ მთელ ცოდნას მის გარემომცველ სამყაროს შესახებ მიაღწია მატერიალური წარმოების განვითარების მთელი წინამორბედი ისტორიის შემწეობით, კლასთა ბრძოლის შედეგად, რომელიც ამოძრავებს ამ განვითარებას კლასობრივი საზოგადოების ფარგლებში.

შემეცნების საკითხებზე მეტაფიზიკურ თვალსაზრისს ანვითარებდა ფეიერბახი. მისი შეხედულების თანასმად, ადამიანის არსება მოქცეულია მის სხეულში, ორგანიზმში, რომელსაც აქვს შეგრძნობისა და აზროვნების უნარი. ფეიერბახისათვის უცხო იყო აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანი მისი გრძნობათა ორგანოებით და აზროვნებით საზოგადოების ისტორიული განვითარების პროდუქტია. ის ადამიანს იღებდა საზოგადოებასთან კავშირის გარეშე და ამიტომ ვერასოდეს ვერ აღწევდა რეალურად-არსებულ მომქმედ ადამიანებამდე და ადამიანის აბსტრაქციას შერჩა. იმის გამო, რომ ფეიერბახი ადამიანს აცლიდა მის საზოგადოებრივ ბუნებას, მას არ ესმოდა შემეცნების დამოკიდებულება საზოგადოებრივი პრაქტიკისაგან. შემეცნება ფეიერბახის მიხედვით წარმოადგენდა უცვლელ ასახვას ამდენადვე უცვლელ, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული ბუნებისა. მაგრამ შემეცნების საკითხის განხილვა ადამიანთა პრაქტიკული მოქმედების გარეშე და მისი ისტორიული განვითარების გარეშე წარმოადგენდა არა მარტო ფეიერბახის მატერიალიზმის, არამედ მთელი მარქსამდე არსებული მატერიალიზმის ძირითად ნაკლს.

ამრიგად, მატერიალისტური დიალექტიკის შეხედულებით, ადამიანის შემეცნება უნდა ავიღოთ მის დამოკიდებულებაში საზოგადოებრივი მატერიალური წარმოებისა და მისი მამოძრავებელი კლასობრივი ბრძოლის განვითარებისაგან, საზოგადოებრივი პრაქტიკისაგან დამოკიდებულებაში. აი ამიტომ „ცხოვრების, პრაქტიკის თვალსაზრისი შემეცნების თეორიის უპირველეს და ძირითად თვალსაზრისს უნდა წარმოადგენდეს“ [1].

ადამიანის მიერ მატერიალური სინამდვილის შემეცნება იწყება გრძნობათა ორგანოებზე გარემომცველ სამყაროს საგანთა ზემოქმედებით გამოწვეული გრძნობადი შეგრძნებებისაგან, იწყება ჩვენი გრძნობათა ორგანოების ჩვენებისაგან. მაგრამ გრძნობადი შემეცნება ჩვენ გვაძლევს უახლოესი გრძნობადი ვითარების და გარეგან შეზლუ-

[1] ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ., ტ. XIII, გვ. 145.

დულ კავშირთა მხოლოდ შემთხვევით, ემპირიულ ცოდნას. იგი ჯერ კიდევ არ გვაძლევს ობიექტურ სამყაროს გამოხატულებას მის მრავალ სხვადასხვაგვარ ურთიერთობაში, შინაგან კავშირში და მის მთლიანობაში. შემეცნების ნამდვილ ამოცანას კი წარმოადგენს სინამდვილის კანონების შეცნობა. ამ შეცნობას ვაღწევთ იმ გრძნობადი შეგრძნებების განზოგადოების ნიადაგზე, რომელთაც ჩვენ ვიღებთ ამ სინამდვილესთან ურთიერთმოქმედების პროცესში. ცნობიერებაში უშუალო განცვრეტის მასალის განზოგადოებისა და გადამუშავების შედეგს წარმოადგენენ ცნებანი. ეს უკვე ლოგიკური შემეცნების მომენტია. იგულისხმება, რომ შემეცნების გრძნობადი და ლოგიკური ნაწილი ურთიერთისაგან განუყოფელია. ისინი ყოველთვის ერთად მეღავნდებიან, პირველადი შეგრძნებებისაგან მოყოლებით. კიდევ მეტი, აზროვნება წარმოიშობა წარმოდგენათაგან, რომლებთანაც კავშირის გარეშე იგი არ არსებობს და არც შეუძლია განვითარება. ჩვენი ცოდნის შინაარსს ობიექტური სამყარო წარმოადგენს. ჩვენ ობიექტურ სამყაროსთან ჩვენი უშუალო შეგრძენანი გვაკავშირებენ. ამიტომ ობიექტის ლოგიკური შემეცნება, ე. ი. აზროვნება შესაძლებელია მხოლოდ გრძნობადი წარმოდგენების საფუძველზე.

მაგრამ არ შეიძლება შემეცნების გრძნობადი და გონებრივი მომენტების ერთიმეორესთან გაიგივება. გრძნობადი შემეცნება არ სცილდება ერთეულ საგანთა და მათ შორის არსებულ გარეგან კავშირთა გამოხატულებას, მაშინ როცა აზროვნების მიერ გაშუალოებული შემეცნება სწვდება საგანთა შინაგან კავშირთ, ობიექტურ ერთიანობაში გამოხატავს რა მათ.

„წარმოდგენას, — შენიშნავს ლენინი, — არ შეუძლია დაიჭიროს მოძრაობა მთლიანად, მაგალითად ვერ იჭერს მოძრაობას, რომლის სისწრაფე უდრის 300 ათას კმ. 1 წამში, აზროვნება კი იჭერს და უნდა დაიჭიროს“ [1]. თავის შენიშვნებში, ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერების“ „კონსპექტში“, ლენინი ააშკარავებს აზროვნების დამოკიდებულებას შემეცნების გრძნობადი მომენტისაგან და უღრმეს ყურადღებას აქცევს განსხვავებას უშუალო განცვრეტასა -და აზროვნებას შორის.

„აზროვნება, როცა იგი კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ მიემართება, — ამბობს იგი, — კი არ შორდება — თუ ის სწორია... ჭეშმარიტებას, არამედ უახლოვდება მას. მატერიის, ბუნების კანონის აბსტრაქცია, აბსტრაქცია ღირებულებისა და ა. შ., — ერთი სიტყვით, ყველა მეცნიერული (სწორი, სერიოზული, არა უაზრო) აბსტრაქცია უფრო ღრმად, მართებულად, სრულად ასახავს ბუნებას.

[1] „ლენინის კრებული“ IX, გვ. 289.

ცოცხალი განჭვრეტისაგან აბსტრაქტულ აზროვნებისაკენ და მისგან პრაკტიკისაკენ — ასეთია ჭეშმარიტების შემეცნების, ობიექტური რეალობის შემეცნების დიალექტიკური გზა"[1]. ამრიგად გრძელობადი და გონებრივი მომენტები შემეცნების ერთიანი პროცესის სხვადასხვა მომენტებია, შემეცნების, რომელიც ჩვენს აზროვნებაში გამოხატავს ობიექტურ რეალობას. ასეთია შემეცნებითი პროცესის ემპირიული და რაციონალური მომენტების თანაშეფარდების დიალექტიკური გაგება.

მარქსისტული თეორია, რომელიც ხაზს უსვამს პრაქტიკის გადამწყვეტ მნიშვნელობას თეორიული შემეცნებისათვის, პირდაპირ ეწინააღმდეგება პრაგმატიზმს — ბურჟუაზიული ფილოსოფიის თანამედროვე იდეალისტურ მიმდინარეობას, განსაკუთრებით პოპულარულს ჩ. ა. შ. შტატებში. პრაგმატიზმი, რომლის ფუძემდებელიც უილიამ ჯემსი იყო, ემყარებოდა ჭეშმარიტების სუბიექტურ იდეალისტურ გაგებას. მისთვის ჭეშმარიტია არა ის, რაც ობიექტურ რეალობას ისეთი სახით ასახავს, როგორიც ის არის, არამედ ის, რაც სასარგებლოა, მიზანშეწონილია ჩვენი პრაქტიკული მოქმედებისათვის. ჭეშმარიტია ის, რაც პრაქტიკულად სასარგებლოა. სარგებლიანობა — ჭეშმარიტების საზომია. აქედან პრაგმატიზმი მიდის რელატივისტურ მოძღვრებამდე ჭეშმარიტების სიმრავლის შესახებ. სხვადასხვა შეხედულებანი შეიძლება ერთნაირად ჭეშმარიტი იყვნენ, რამდენადაც ისინი საუკეთესოდ ემსახურებიან განსაზღვრული ეპოქის, ხალხის, საზოგადოებრივი ჯგუფის, ინდივიდის ინტერესებს. ეს ფილოსოფია ამართლებს ყოველგვარ სიყალბეს, სიბნელეს, რამდენადაც ისინი სასარგებლონი არიან გაბატონებული კლასების პრაქტიკისათვის. ბოლოსდაბოლოს პრაგმატიზმს აშკარა ხუცობამდე მივყევართ. „თუ აღმოჩნდება, — ამბობს ჯემსი, — რომ რელიგიურ იდეებს აქვს ღირებულება ცხოვრებისათვის, მაშინ პრაგმატიზმის თვალსაზრისით ისინი ჭეშმარიტნი იქნებიან, რამდენადაც ისინი ამ მიზნისათვის გამოსადეგი არიან".

მარქსიზმის პოზიცია დიამეტრალურად ეწინააღმდეგება პრაგმატიზმს. მარქსიზმი გამომდინარეობს ობიექტურ ჭეშმარიტებიდან, და უარყოფს რა რელატივიზმს, ჭეშმარიტად ის კი არ მიაჩნია, რაც სასარგებლოა, არამედ მას სასარგებლოდ ის მიაჩნია, რაც ჭეშმარიტია. მატერიალურ რევოლუციურ-კრიტიკულ პრაქტიკაში იბადება და იბრძვედება სამყაროს ობიექტური შემეცნება, რაც ხელს უწყობს მის შემდგომ გარდაქმნას.

---

[1] „ლენინის კრებული" IX, გვ. 183 — 185.

მარქსისტული თეორია წარმოუდგენელია რევოლუციური პრაქტიკისაგან მოწყვეტით. ამასთანავე მარქსიზმისათვის უაღრესად უცხოა თეორიის უგულებელყოფა, ეულგარული პრაქტიციზმი, „უთავო საქმოსნობა". პრაქტიკის სიღრმეში მზარდი რევოლუციური თეორია პრაქტიკის გზის მაჩვენებელია. „რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი თ ე ო რ ი ი ს გ ა-რ ე შ ე შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მ ო ძ რ ა ო ბ ა ც"[1]. მხოლოდ მარქსისტულ ლენინური თეორიით გაშუქებული რევოლუციური პრაქტიკა ღებულობს სიმტკიცეს, შორსმჭვრეტელობას, პროგნოზის სიღრმეს და სიზუსტეს და მანევრულ მოქნილობას. კომუნისტური სტრატეგია და ტაქტიკა ვერ დაეყრდნობა უბადრუკ ემპირიზმს, იგი ხელმძღვანელობს კველაზე სრულქმნილი თეორიით — დიალექტიკური მატერიალიზმით. მხოლოდ თეორიის ხელმძღვანელი როლის მეოხებით არის შესაძლებელი „რუსული რევოლუციური გაქანების შეერთება ამერიკულ საქმიანობასთან", რომელშიც მოცემულია „ლენინიზმის სტილი პარ ტიულ და სახელმწიფოებრივ მუშაობაში" (ს ტ ა ლ ი ნ ი).

მარქსისა და ენგელსის მიერ მიღწეულ უდიდეს გამარჯვებას წარმოადგენს მატერიალისტური შემეცნების გავრცელება ა დ ა მ ი ა-ნ თ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ზ ე. მარქსამდე კველაზე თანმიმდევარი მატერიალისტებიც კი არ ავრცელებდენ თავიანთ მატერიალიზმს საზოგადოებრივი განვითარების პროცესების შემეცნებაზე და კმაყოფილდებოდენ ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო-მეცნიერული მატერიალიზმით. ეს არ იყო ისტორიული შემთხვევითობა, არამედ გამოწვეული იყო ძველი მატერიალიზმის კლასობრივი არსებით. ექსპლოატატორთა კლასის იდეოლოგებს, რა რიგ რევოლუციურიც არ უნდა ყოფილიყო ეს კლასი, არ შეეძლოთ სოციალისტური ცხოვრების ჭეშმარიტების აღმოჩენა, ულრმესი წინააღმდეგობებისა და მამოძრავებელი ძალების გამომჟღავნება. ეს ამოცანა—ადამიანთა საზოგადოების ისტორიის მეცნიერებად, მატერიალისტური შემეცნების საგნად გადაქცევა—შეეძლოთ განეხორციელებიათ მხოლოდ პროლეტარიატის ფილოსოფიის შემომქმედთ.

ფრანგ მატერიალისტების სენსუალიზმს უშუალოდ მიეყავდით საზოგადოების მატერიალისტურ გაგებამდე, იმის გ გებამდე, რომ საზოგადოებრივი გარემო, ადამიანთა სოციალური ყოფიერება განსაზღვრავს მათ აზროვნებას, სურვილებს, ინტერესებს. მაგრამ ფრანგი მატერიალისტები ისტორიულ იდეალიზმამდე ეშვებოდენ, რამდენადაც საზოგადოებრივ ყოფიერებას ისინი ადამიანთა შეხედულებებითა და რწმენით ხსნიდენ.

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, „რა ვაკეთოთ", თხზ. ტ. II, გვ. 380. ხაზგასმულია ჩვენს მიერ.— ა ვ ტ.

ფეიერბახი, მიუხედავად იმისა, რომ მას ცალკეული შორსმჭვრეტელური შენიშვნები მოეპოება, რჩებოდა იდეალისტად „ზემოდან“, იგი საზოგადოების ეთიკურ გაგებას არ გასცილებია. უწოდებდა რა თავის ფილოსოფიას ანტროპოლოგიზმს, ე. ი. გადააქცია რა ადამიანი ფილოსოფიის ცენტრად, მან ვერ გაიგო საზოგადოებრივი ადამიანი. მსგავსად XVII-XVIII საუკუნეების მატერიალისტებისა ფეიერბახი ფიქრობდა, რომ არსებობს „ადამიანის“ რაღაც მარადიული და საყოველთაო „ბუნება“, განსაკუთრებული არსება ადამიანისა „საზოგადოდ“.

ძველი მატერიალიზმის ზოგ წარმომადგენლებს ადამიანი მიაჩნდათ კეთილად თავის ბუნებით, ზოგს ბოროტად, ისინი მას ამათუიმ დახასიათებას აძლევდენ, მაგრამ ყველა ისინი მიმართავდენ აბსტრაქტული, არა ისტორიული ადამიანური არსების ცნებას. ადამიანთა არსებობის კონკრეტული, ისტორიული პირობები შეიძლებოდა „უგნური“ ყოფილიყო, შეიძლებოდა დაშორებული ყოფილიყო „ადამიანური ბუნებისაგან“, მაშინ ისინი „ასახიჩრებდენ“ ადამიანის ბუნებას, „აფუჭებდენ“ ადამიანებს. საჭირო იყო საზოგადოებრივი ურთიერთობის შეხამება „ადამიანის ბუნებასთან“, მისი „ჭონივრულად“ გადაქცევა. ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ადამიანი, რომელზედაც ძველი მატერიალისტები ლაპარაკობდენ, მათ წარმოდგენილი ქონდათ ბურჟუას მაგვარად და ხატად, რომ მათთვის ადამიანურ არსებას კაპიტალისტური არსება წარმოადგენდა, რომ „ადამიანის იდეალური ბუნება“ ხოლოდ ბურჟუას იდეალის განხორციელება იყო.

დიალექტიკურმა მატერიალიზმმა ბოლო მოუღო ფეიერბახის ანტროპოლოგიურ მეტაფიზიკას. ადამიანი, რომელსაც ფეიერბახი მიმართავდა, მარქსიზმმა გაიგო არა როგორც აბსტრაქტული ადამიანი, არამედ როგორც კონკრეტული ისტორიული ადამიანი, როგორც განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლივობა. ისტორიულმა მატერიალიზმმა საზოგადოებრივი განვითარების ისეთი გაგება მოგვცა, რომელიც თანმიმდევრობით ატარებს საზოგადოებრივი ყოფიერების პირველადობის და საზოგადოებრივი ცნობიერების მეორადობის პრინციპს. ისტორიული მატერიალიზმის შექმნამ, მატერიალისტური შემეცნების გავრცელებამ საზოგადოებრივ ყოფიერებაზე და საზოგადოებრივ ცნობიერებაზე მატერიალიზმი მთელი ადამიანური ცოდნის საძირკვლად გადააქცია. „სული“ იდევნება უკანასკნელი თავშესაფარიდან. მატერიალიზმმა თავის ორბიტაში მოაქცია სინამდვილის ყველა სფერო.

ისტორიის მატერიალისტურმა გაგებამ უმაღლეს საფეხურზე აიყვანა რელიგიასთან ბრძოლა. მარქსიზმისათვის აბსოლუტურად უცხოა

და მასთან შეუთავსებელია რელიგიასთან შერიგება რაიმე ფორმითა და ზომით, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ხუცობასთან გათამაშება ან მოთმინებითი დამოკიდებულება მისდამი. როგორიც არ უნდა იყოს იგი—ქრისტიანობა თუ იუდეველობა, „ცოცხალი“ თუ „არაცოცხალი“ ეკლესია, სექტანტობა, ტოლსტოველობა, ფეიერბახული „სიყვარულის რელიგია“ თუ ამხ. ლუნაჩარსკის 1908 წლის „რელიგიური ათეიზმი“—რელიგიასთან შერიგების და მასთან გათამაშების ყველა ამ ფორმასთან დიალექტიკური მატერიალიზმი აწარმოებს ულმობელ, გამანადგურებელ ბრძოლას. „ყოველგვარი ღმერთი გვამთმავლობაა,—თუნდაც ეს იყოს უწმინდესი, იდეალური, არა ძიების საგნად ქცეული, არამედ ისეთი ღმერთი, რომელსაც აშენებენ, სულ ერთია“ [1].

მაშინ, როცა ფრანგი მატერიალისტებისათვის რელიგია იყო ბოროტი ადამიანების მიერ უვიც ადამიანთა მოტყუების პროდუქტი, ხოლო ფეიერბახისათვის—„საზოგადოდ“ ადამიანის არსების აჩრდილისებური გამოსახულება,—მარქსიზმი ააშკარავებს რელიგიის კლასობრივ არსებას, მის ფესვებს საზოგადოებრივ ყოფიერებაში პოულობს და ამხელს მის ექსპლოატატორულ ფუნქციებს. მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის მებრძოლი ათეიზმი რელიგიასთან ბრძოლას იხილავს როგორც პროლეტარიატის დიდი განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთერთ ფორმას. ჩვენთვის რელიგია არის არა მარტო სისულელე და სისაძაგლე, იგი არის კლასობრივი ბატონობის შენარჩუნების საშუალება, მტრების იარაღი. მარქსისტულ მებრძოლ ათეიზმში ერთიანდება რელიგიის არსების გაგების ღრმახედვა და მეტად აქტიური სიძულვილი მისდამი, და ასევე მის მეცნიერობის მინამსგავს დამჭაშების იდეალისტურ ფილოსოფიურ სისტემის მიმართ.

ასეთია თანამედროვე მატერიალისტური ფილოსოფიის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები. მას არაფერი საერთო არა აქვს პასიურ მსოფლმხედველობასთან. „ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად განმარტავდენ საუყაროს, მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს, რომ იგი შეცვლილი იქნეს“ [2],—თქვა მარქსმა წინამორბედი ფილოსოფიის შესახებ. როგორც რევოლუციური პროლეტარიატის ფილოსოფია, რომელიც ახდენს სამყაროს გარდაქმნას, დიალექტიკური მატერიალიზმი ქმედითი ფილოსოფიაა. ჩვენთვის ფილოსოფია არის არა მშვიდი სავანე, არამედ ფრონტი, საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი კლასობრივი ბრძოლის ერთერთი ფრონტი. სინამდვილის შემეცნება სწარმოებს არა ცნობისმოყვარეობის

[1] „ლენინის კრებული“ I, გვ. 145.

[2] ენგელსი, ლ. ფეიერბახი, გვ. 79.

გამო, არამედ სინამდვილის გარდასაქმნელად. სინამდვილის გარდაქმნა მოითხოვს მის კანონზომიერებათა გაგებას. პრაქტიკა, რომელიც ჭეშმარიტი თეორიით სარგებლობს, ყველაზე სრულქმნილი პრაქტიკაა, ხოლო ობიექტური სინამდვილის სწორად ამსახველი ყველაზე სრულქმნილი თეორია არის ყველაზე პრაქტიკულ-ნაყოფიერი თეორია.

მარქსიზმ-ლენინიზმისათვის ერთნაირად უცხოა უპრინციპო საქმოსნობა და კლასობრივი ბრძოლის პრაქტიკისაგან მოწყვეტილი მკვრეტელობითი თეორეტიზირება. მასში თეორია და პრაქტიკა ვითარდებიან უჰიდროეს ერთიანობაში, ამაგრებენ რა ერთი-მეორეს. მაგრამ ამ ერთიანობაში პრიმატი პ რ ა ქ ტ ი კ ა ს ეკუთვნის; თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა რევოლუციური პრაქტიკის საფუძველზე ხორციელდება. „თ ე ო რ ი ა ხ დ ე ბ ა უ ს ა გ ნ ო, თ უ ი ს ა რ უ კ ა ვ შ ი რ დ ე ბ ა რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ პ რ ა ქ ტ ი კ ა ს, ს წ ო რ ე დ ი ს ე ვ ე, რ ო გ ო რ ც თ ვ ი თ პ რ ა ქ ტ ი კ ა ხ დ ე ბ ა ბ რ ძ ო, თ უ ი გ ი ა რ ი შ უ ქ ე ბ ს გ ზ ა ს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი თ ე ო რ ი ი თ“ [1].

მარქსისტული სამართლიანად შეიძლება ეწოდოს მხოლოდ ისეთ თეორიას, რომელიც ფეხდაფეხ მიყვება პროლეტარული ბრძოლის პრაქტიკას, რომელიც კაპიტალიზმის ქვეყნების მუშათა კლასში ამტკიცებს მისწრაფებას კაპიტალიზმზე შეტევისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისადმი, აიარაღებს მას მტრის ცნობით და მიუთითებს გამარჯვების გზებს, რომელსაც აწყობს მუშათა კლასი გამარჯვებული პროლეტარიატის ქვეყანაში, რათა აღმოფხვრას კაპიტალიზმის ფესვები, ააშენოს სოციალიზმი, დასძლიოს წინააღმდეგობა კლასობრივი მტრისა და მისი ოპორტუნისტული აგენტურისა მარჯვნიდან და „მარცხნიდან“. კლასობრივი ბრძოლის პრაქტიკის და მარქსისტულ-ლენინური თეორიის ერთიანობა ისტორიის ყოველ საფეხურზე თავის ყველაზე სრულქმნილ გამოხატულებას პოულობს კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ი ს გ ე ნ ე რ ა ლ უ რ ხ ა ზ ს ი, პარტიული ყრილობებისა და კონფერენციების, პარტიის ცენტრალური კომიტეტის, კომუნისტური ინტერნაციონალის გადაწყვეტილებებში.

მარქსისა და ენგელსის მოძღვრება მკვდარი დ ო გ მ ა არ არის. ის კი არ ამთავრებს შემეცნების ისტორიას, არამედ მის წინაშე ის გიგანტურ პერსპექტივებს შლის. დიალექტიკური მატერიალიზმის წინ წაწევას და მის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს ლენინისა და სტალინის შრომები. ლენინმა შემდგომ განავითარა „მარქსიზმი კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში... ლენინიზმი იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუ-

[1] ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 18. ხაზგასმულია ჩვენს მიერ.— ავტ.

ციის ეპოქის მარქსიზმია"[1]. ეს არის დიალექტიკური მატერიალიზმი, რომელმაც მიაღწია თავისი განვითარების ახალ და უმაღლეს საფეხურს იმპერიალიზმის ეპოქაში კლასობრივი ბრძოლის და სოციალისტური რევოლუციის გამოცდილების და უახლესი ბუნებისმეტყველების დასკვნების განსაზოგადოების საფუძველზე.

დიალექტიკური მატერიალიზმი იზრდებოდა და ვითარდებოდა მუშათა კლასის საქმის დაუღალავი დაცვის გზით, განუწყვეტელ ბრძოლაში მის მოწინააღმდეგეებთან, სხვადასხვა ანტიმარქსისტულ და ანტიდიალექტიკურ მოძღვრებებთან. დიალექტიკური მატერიალიზმი წავა ახალ გამარჯვებათა გზით კომუნისტური პარტიისა და კომინტერნის გენერალური ხაზისათვის ბრძოლით, განუწყვეტელი ბრძოლით მის მოწინააღმდეგეებთან, ყველა ხუცურ, იდეალისტურ და რევიზიონისტულ თეორიებთან. მარქსის მოძღვრება „ყ ო ვ ლ ი ს შ ე მ ძ ლ ე ა იმიტომ, რომ იგი ს წ ო რ ი ა. იგი სრული და მწყობრია, აძლევს რა ადამიანებს მთლიან მსოფლმხედველობას, რომელიც შეუერიგებელია რაიმე ცრუმორწმუნეობასთან, რაიმე რეაქციასთან, ბურჟუაზიული ჩაგვრის რაიმე დაცვასთან"[2].

VI. დიალექტიკა როგორც ლოგიკა და შემეცნების თეორია

ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში, განსაკუთრებით კანტიანურში, მიღებულია გარჩევა რამდენიმე ცალკეული, ერთი-მეორესთან დაუკავშირებელი ფილოსოფიური „პრობლემისა", რომლებიც რამდენიმე დამოუკიდებელ ფილოსოფიურ მეცნიერებას ქმნიან. ანსხვავებენ გ ნ ო ს ე ო ლ ო გ ი ა ს ანუ შემეცნების თეორიას,—მეცნიერებას ადამიანის აზროვნების საზღვრებისა და უნარის შესახებ, შემეცნების წყაროების და ფორმების შესახებ. შემდეგ გამოყოფენ ლ ო გ ი კ ა ს—დამოუკიდებელ მეცნიერებას იმ კანონების შესახებ, რომელთა მიხედვითაც ვითარდება ადამიანის აზრი, ცნებების, მსჯელობის და გონებრივი დასკვნების შესახებ. შემდეგ გამოყოფენ ო ნ ტ ო ლ ო გ ი ა ს —მოძღვრებას ყოფიერების, ობიექტურ სამყაროს ბუნების შესახებ. ამრიგად კანტიანელები ფილოსოფიურ მეცნიერებას თიშავენ რამდენიმე ერთი-მეორის მოპირდაპირე მეცნიერებად.

წინააღმდეგ კანტიანელებისა დიალექტიკურ მატერიალიზმი ადგენს ფილოსოფიური მეცნიერების ერთიანობას და განუყრელ მთლიანობას. დიალექტიკური მატერიალიზმი, როგორც მეცნიერება, წარმოა-

---

[1] ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 6.

[2] ლ ე ნ ი ნ ი, მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი, თხზ. ტ. XVI, გვ. 349. ხაზგასმულია ჩვენს მიერ.—ავტ.

დგენს განუყრელ მთელს, იგი ერთსადაიმავე დროს არის ლოგიკაც, შემეცნების თეორიაც და მოძღვრებაც მატერიის ობიექტური რეალური ყოფიერების შესახებ.... „კაპიტალში“,—ამბობს ლენინი,—ერთი მეცნიერების მიმართ გამოყენებულია ლოგიკა, დიალექტიკა და მატერიალიზმის შემეცნების თეორია (არ არის საჭირო სამი სიტყვა: ეს ერთი და იგივეა)“ [1]. „სწორედ დიალექტიკა არის (ჰეგელისა და) მარქსიზმის შემეცნების თეორია: აი საქმის რომელ „მხარეს“ (ეს საქმის „მხარე“ კი არ არის, არამედ საქმის დ ე დ ა ა რ ს ი ა) არ მიაქცია ყურადღება პლეხანოვმა, რომ არაფერი ვთქვათ სხვა მარქსისტებზე“ [2].

როგორც ვხედავთ, ლენინი ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევს იმას, რომ დიალექტიკურ მატერიალიზმში თ ა ნ ა ე მ თ ხ ვ ე ვ ა ლოგიკა, დიალექტიკა და შემეცნების თეორია. მართლაც, ლენინის ამ დებულებაში მოქცეულია არა მარტო ლენინის მითითება დიალექტიკურ მატერიალიზმზე როგორც მეცნიერებაზე, არამედ მითითებაც ფილოსოფიის ამოცანების არსების დიალექტიკურ გაგებაზე. ლენინის თეზისი დიალექტიკისა და შემეცნების თეორიის დამთხვევის შესახებ არის განსაკუთრებული გამოხატულება დიალექტიკური მატერიალიზმის საერთო დებულებისა თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის შესახებ. ასეთი შეხედულება დიალექტიკაზე როგორც შემეცნების თეორიაზე, თუ კი მას ლენინურად გავიგებთ და ჰეგელიანურად არ დავამახინჯებთ, როგორც მომენშევიკო იდეალისტები ჩადიოდენ, გვავალდებულებს, რომ დიალექტიკის დამუშავება დავუკავშიროთ სოციალისტური მშენებლობის და მსოფლიო რევოლუციის პრაქტიკას, როგორც აღნიშნულია საკავშ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებაში ჟურნალ „პოდზნამენემ მარკსიზმა“-ს შესახებ.

კანტიანელთა შორის ლოგიკისა და შემეცნების თეორიის გათიშვის მიზეზი ის არის, რომ ისინი ფორმალურად უდგებიან ლოგიკასაც და შემეცნების თეორიასაც, იღებენ მათ პრაქტიკის გარეშე, არა ისტორიულად. კანტიანელთა ლოგიკა არის მეცნიერება აზროვნების ფორმებზე როგორც ასეთებზე, მათ შინაარსთან დამოუკიდებლად. კანტიანურ ლოგიკას აინტერესებს მხოლოდ აზროვნების ფორმა და არა შინაარსი და ამიტომ იგი ფორმალური ლოგიკაა. კანტიანელთა შემეცნების თეორიამ აგრეთვე უნდა გამოიკვლიოს შემეცნების „უნარი და საზღვრები“ ყოველგვარ შემეცნებამდე, შემეცნების პროცესისაგან იზოლირებულად. ვიდრე შემეცნებას დავიწყებდეთ, უნდა გამოვიკვლიოთ რისი უნარი აქვს შემეცნებას და რისი არა,—აი საკითხის კანტიანური დაყენება.

---

[1] „ლ ე ნ ი ნ ი ს კრებული“ XII, გვ. 292.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 325.

ჰეგელმა, რომელმაც პირველმა გაიგო, თუმცა იდეალისტურ ყაიდაზე, რომ ლოგიკა და შეხედულების თეორია თანაემთხვევიან, თუ მათ ავიღებთ არა ფორმალურად, არამედ ისტორიულად, გააკრიტიკა საკითხის კანტისებურად დაყენება. „არ შეიძლება ცურვის შესწავლა, თუ წყალში არ შეხვედი", არ შეიძლება ადამიანის შემეცნების უნარის შესწავლა, თუ არ შეხვედ, როგორ მოქმედებს შემეცნება პრაქტიკაში, თუ არ გამოიკვლიე ადამიანის შემეცნების ნამდვილი ისტორია. შემეცნების თეორიის ბაზა — ეს არის შემეცნების ისტორია, შემეცნების პრაქტიკა. მეორე მხრივ, თუ ავიღებთ ლოგიკას, სწორედ ასევე სრულიად არაგონიერია ადამიანის შემეცნების ფორმების, მის ცნებების, მსჯელობის, გონებრივი დასკვნების შესწავლა იმისაგან გამოთიშვით, როგორადაც ეს ფორმები გამოყენებული იყო საქმით შემეცნების რეალურ-ისტორიულ პროცესში, როგორადაც ისინი შემეცნების განვითარებასთან ერთად ყალიბდებოდენ ადამიანის შემეცნებაში, რთულდებოდენ, ვითარდებოდენ. ერთი სიტყვით ლოგიკის საფუძველიც შემეცნების ისტორიაში უნდა ვეძიოთ. ფილოსოფიისადმი ჰეგელის ამ ისტორიულ მიდგომაში ჩამალულია იმის მიზეზი, რომ ჰეგელის მოძღვრებაში, ისე, როგორც მარქსიზმში, დიალექტიკა და შემეცნების თეორია თანაემთხვევა. „დიალექტიკა, მარქსის გაგებით, აგრეთვე ჰეგელის თანახმად, შეიცავს იმას, რასაც დღეს შემეცნების თეორიას, გნოსეოლოგიას უწოდებენ, რომელმაც თავისი საგანი უნდა განიხილოს ამდენადვე ისტორიულადაც, შეისწავლოს და განაზოგადოს შემეცნების წარმოშობა და განვითარება, უმეცრებიდან შემეცნებაზე გადასვლა" [1].

რაც ნათქვამია ის კიდევ არ არის საკმარისი იმის გასაგებად, თუ რატომ თანაემთხვევა დიალექტიკა (ლოგიკა) და შემეცნების თეორია. შემეცნების თეორიაც და ლოგიკაც — ორივე შემეცნების ისტორიის საფუძველზე უნდა იქნას შესწავლილი. მაგრამ ისინი არ დაიყვანებიან უბრალოდ შემეცნების ისტორიამდე. შემეცნების თეორიასა და ლოგიკაში შემეცნების ისტორია აღებული უნდა იქნეს მთლიანად, განზოგადოებული სახით, შემეცნების რეზულტატის, შედეგების თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ ისტორიული აღებული უნდა იქნეს ლოგიკური თვალსაზრისით, ე. ი. საერთო შედეგების თვალსაზრისით. ამრიგად მიღებული ლოგიკური იქნება იგივე ისტორია, იგივე პროცესი, მაგრამ ზოგადად, საქმის გამართულებელ დეტალების გარეშე, უკუგდებული იქნება რა ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული შეხვედრითი გადახრები. ასეა აგებული მარქსის „კაპიტალი", რომელიც არის ლოგიკა, ე. ი. კაპი-

[1] ლენინი, კარლ მარქსი, თხზ. ტ. XVIII, გვ. 11.

ტალიზმის საერთო თეორიული ანალიზი. მაგრამ ამასთანავე მარქსის „კაპიტალი“ იძლევა კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობათა განვითარების განსაზოგადოებულ შეჯამებულ ისტორიას. მაგალითად თვით მარქსი აღნიშნავს: „საქონელი როგორც ბურჟუაზიული სიმდიდრის უელემენტარულესი ფორმა იყო ჩვენი გამოსაკვლევი პუნქტი, კაპიტალის წარმოშობის წანამძღვარი. მეორე მხრით საქონელი ახლა გამოდის როგორც კაპიტალის პროდუქტი. ჩვენი გადმოცემის ეს წრებრუნვა შეესატყვისება აგრეთვე კაპიტალის ისტორიულ განვითარებას“ [1]. რეხუმეს უკეთებს რა მარქსის მეთოდოლოგიას „კაპიტალში“, ენგელსი ასევე ხაზს უსვამს ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობას „კაპიტალში“, რამაც მიუხედავად ამისა ხელი არ შეუშალა მენშევიკ-ინტერვენტ რუბინს ემტკიცებია, რომ საქონლის ანალიზს, რომელიც მარქსმა მოახდინა, აქვს არა ისტორიული, არამედ მხოლოდ ლოგიკური ხასიათი [2]. ენგელსი ამბობს: „ერთადერთი შესაფერი მეთოდი ლოგიკური მეთოდი იყო. მაგრამ არსებითად ეს იგივე ისტორიული მეთოდია, მხოლოდ მისი ისტორიული ფორმისაგან და დამრღვევ შემთხვევითობათაგან განთავისუფლებული“ [3].

შემეცნების თეორიისა და ლოგიკის მიმართ ეს იმას ნიშნავს, რომ ლოგიკა არის შემეცნების განზოგადოებული და შეჯამებული ისტორია, არის „სამყაროს შემეცნების ისტორიის შედეგი, ჯამი, დასკვნა“. მეორე მხრით თვით შემეცნების თეორიაც არის აგრეთვე შემეცნების შეჯამებული და განზოგადოებული, განვითარების შედეგად აღებული ისტორია. შემეცნების ისტორიის ასეთი ყველაზე ზოგადი შედეგია ლოგიკაცა და შემეცნების თეორიაც. ლოგიკის კატეგორიები წარმოადგენს მატერიალურ სამყაროს კანონების ასახვას ადამიანის ცნობიერებაში. ლოგიკა და შემეცნების თეორია თანაემთხვევა.

ჩვენ მოგვეპოება ერთი ფილოსოფიური მეცნიერება—დიალექტიკა, რომელიც ერთდროულად ლოგიკაც არის და შემეცნების თეორიაც. ლოგიკის თვითეულ კატეგორიაში ნაჩვენები უნდა იყოს: 1) ეს კატეგორია რომელ ობიექტურ, თვით სინამდვილეში არსებულ ურთიერთობას ასახავს და 2) როგორ შეიცნობს ადამიანი ამ ობიექტურ ურთიერთობას. ენგელსი ამ განსხვავებას ატარებს უკვე მატერიის განსაზღვრისას აზროვნებისა და ყოფიერების დამოკიდებულების საკითხში. ენგელსი ჯერ მიუთითებს, რომ მატერიალიზმი ძირითად საწყი-

---

[1] მარქსი, გამოუქვეყნებელი ხელნაწერები, „ბოლშევიკი“ № 6, 1932 წ გვ. 80

[2] რუბინი, ღირებულების თეორიის ნარკვევები, გვ. 217, გამ. 4.

[3] მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 248.

სად ბუნებას თვლის. მატერია არის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური რეალობა. „მაგრამ აზროვნებისა და ყოფიერების დამოკიდებულების საკითხს, — ამბობს ენგელსი, — კიდევ სხვა მხარეც აქვს: რა დამოკიდებულება აქვთ ჩვენს აზრებს ჩვენს გარემომცველ სამყაროს შესახებ თვით ამ სამყაროსთან? შეუძლია თუ არა ჩვენს აზროვნებას ნამდვილ სამყაროს შეცნობა? შეგვიძლია თუ არა ჩვენს წარმოდგენებსა და ცნებებში ნამდვილ სამყაროს შესახებ სინამდვილის სწორი ასახვის მოცემა?" [1]. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ენგელსი არჩევს ორ მხარეს — ობიექტურ სამყაროს ყოფიერებას და მის შეცნობადობას.

აქ საჭიროა მივუთითოთ იმ პრინციპიალურ განსხვავებაზე, რომელიც დიალექტიკის და შემეცნების თეორიის თანადამთხვევის ჰეგელიანურ იდეალისტურ და მატერიალისტურ გაგებას შორის არსებობს. ჰეგელის მოძღვრებაშიც და მარქსიზმშიც დიალექტიკა და შემეცნების თეორია თანაემთხვევა როგორც შემეცნების ისტორიის შედეგი. მაგრამ იდეალისტი ჰეგელი შემეცნების ისტორიას იღებს როგორც სულის, რომელღაც მსოფლიო აზრის თვითნებური განვითარების დამოუკიდებელ პროცესს. ჰეგელს, როგორც იდეალისტს, შემეცნების ისტორია მოწყვეტილი აქვს მატერიალურ სამყაროს და კაცობრიობის მატერიალური პრაქტიკის — მისი საწარმოო მოქმედების და კლასობრივი ბრძოლის — განვითარების ისტორიისაგან. დიალექტიკური მატერიალიზმისათვის, პირიქით, შემეცნების ისტორია არის მხოლოდ ადამიანის ტვინში ისტორიულად ასახული ისტორია თვით ობიექტურ მატერიალურ სამყაროს განვითარებისა, რომელიც შეიცნობა სამყაროს შემცველელ და გარდამქმნელ ადამიანის მატერიალურ პრაქტიკაში. „ადამიანის აზროვნების ყველაზე არსებით და უპირველეს საფუძველს წარმოადგენს სწორედ ბუნების შეცვლა ადამიანის მიერ და არა მარტო ბუნება როგორც ასეთი, და ადამიანის გონება იმისდა პროპორციონალურად ვითარდებოდა, როგორადაც ადამიანი სწავლობდა ბუნების შეცვლას" [2], — აი მატერიალისტური, ძირფესვიანად განსხვავებული ჰეგელურისაგან, დაყენება საკითხისა შემეცნების ისტორიისა და იმ ბაჯის შესახებ, რომელზედაც თანაემთხვევა მარქსიზმში ლოგიკა და შემეცნების თეორია.

---

[1] ენგელსი, ლ. ფეიერბახი, გვ. 18-19. ხაზგასმულია ჩვენს მიერ. — ავტ.
[2] ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 14-15.

თ ა ვ ი IV

მატერიალისტური დიალექტიკის კანონები

1. დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი

„ბუნების დიალექტიკაში“ ენგელსი წერდა: „(უნდა განვითარებულ იქნას დიალექტიკის ზოგადი ხასიათი როგორც მეცნიერებისა კავშირობის შესახებ, წინააღმდეგ მეტაფიზიკისა).

ამრიგად დიალექტიკის კანონები განყენებულ იქნა ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების ისტორიიდან. მაგრამ ისინი სხვას არას წარმოადგენენ, თუ არა ისტორიული განვითარების ორივე ამ ფაზის და აგრეთვე თვით აზროვნების ყველაზე ზოგად კანონებს. არსებითად ისინი შემდეგ სამ კანონამდე დაიყვანებიან:

კანონი რაოდენობის თვისობრივობაში გადასვლისა და პირუკუ.

დაპირისპირებულთა ურთიერთში შეკრის კანონი.

კანონი უარყოფის უარყოფისა“ [1].

ენგელსი შემდეგ მიუთითებს, რომ ყველა ეს კანონები უკვე განვითარებული იყო ჰეგელის მიერ, მაგრამ ი დ ე ა ლ ი ს ტ ურ ყ ა ი დ ა ზ ე, ე. ი. ისინი ბუნებიდან და ისტორიიდან კი არ ყოფილან გამოყვანილნი, არამედ თავზე ქონდათ მოხვეული უკანასკნელთ, როგორც აუცილებელი კანონები, რომელთაც უნდა დაემორჩილოს ისტორია და ბუნება. აქედან ჰეგელს აუცილებლობით გამოუვიდა „ნაწვალები და ხშირად მახინჯი კონსტრუქცია“.

ამავე დროს საკმარისია მატერიალისტურად მიუდგეთ ამ კანონებს, რომ, ენგელსის გამოთქმით, ყველაფერი მარტივი და ნათელი გახდეს. დიალექტიკის აღნიშნული ძირითადი კანონები ობიექტურ სამყაროს განვითარების რეალური კანონებია და აგრეთვე სამყაროს შემეცნების კანონები, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ სწორედ ამ ობიექტურ სამყაროს ასახვას ჩვენს ცნობიერებაში.

ახლა გადავიდეთ მატერიალისტური დიალექტიკის ძირითადი კანონის — დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის განხილვაზე.

ადამიანის აზრის ისტორიამ განვითარების ორი ძ ი რ ი თ ა დ ი კ ო ნ ც ე პ ც ი ა იცის. ერთი მათგანის თანახმად, განვითარება გაგე-

[1] ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 125.

ბულია როგორც შემცირება და გადიდება, როგორც რაოდენობითი ზრდა და განმეორება იმისა, რაც წინათაც იყო. საგნები, როგორი სახითაც არ უნდა წარმოიშობოდენ ხოლმე ისინი თავიდანვე, და აგრეთვე მათი აზრობრივი გამოხატულებანიც ადამიანის თავში, ამ კონცეპციის თანახმად, მუდამ თავის თანაბარნი რჩებიან. საგანი, რაკი იგი ერთხელ წარმოიშვა, უცვლელი რჩება თავისი ბუნებით და აკეთებს მოძრაობის ერთგვაროვან გზას ერთისადაიმავე უცვლელი წრის მიხედვით. ყოველგვარი საგნის განვითარება, მცენარის, ცხოველის, ადამიანის განვითარება არსებითად გამოიხატება იმ სხვადასხვა მხარეთა და თვისებათა ზრდაში, გადიდებაში, რომლებიც მას ადრევე მოეპოება, მაგრამ „პატარა“, ჩანასახობრივი სახით. ამ წარმოდგენაში, რომელიც მოკლებულია საგანთა განვითარების ნამდვილი ისტორიული ხასიათის ნიშანწყალსაც კი, მოქცეულია განვითარების ხსენებული მეტაფიზიკური კონცეპციის აზრი, რომლის დასაყრდენს საბოლოო ანგარიშში წარმოადგენს მოძღვრება ბუნების აბსოლუტური უცვლელობის შესახებ; ეს მოძღვრება განუყოფლად გაბატონებული იყო XVII და XVIII საუკუნეებში და იგი კვლავ აღორძინდა XIX და XX საუკუნეებში ბურჟუაზიულ ვულგარულ ევოლუციურ თეორიებში.

ასეთი კონცეპციის დროს გამოურკვეველი რჩება, ჯერ ერთი, საგანთა იმ მრავალსახეობის მიზეზი, რომელიც იშლება ჩვენ თვალწინ, სხვაგვარის, ახალის აღმოცენებისა და მის მიერ ძველის შეცვლის მიზეზი. მეორე, და ეს უმთავრესია, გამოურკვეველ ხასიათს იღებს მოძრაობისა და განვითარების წყარო. მეტაფიზიკურ კონცეპციას არა აქვს უნარი ახსნას განვითარების იმპულსის, ბიძგის მიმცემი შინაგანი მიზეზები და იგი იძულებულია ეს მიზეზები გადაიტანოს მიღმა ან მატერიალურ მეტაფიზიკურ „არსებათა“ და „ძალთა“ სახით, ან კიდეე ზექვეყნიური სულის სახით!

ლენინი მიუთითებს, რომ XIX საუკუნის დასასრულისათვის და XX საუკუნეში განვითარების პრინციპს „ყველა ეთანხმება“, მაგრამ ეს არის ისეთი გარეგანი, ზერელე „თანხმობა“, რომელიც ათახსირებს და აბნელებს ამ განვითარების ჭეშმარიტ გაგებას. „თუ ყველაფერი ვითარდება,—ამბობს ლენინი,—მაშასადამე, ყველაფერი ერთიდან მეორეში გადადის, ვინაიდან განვითარება აშკარად არ წარმოადგენს მარტივ, საყოველთაო და მუდმივ ზრდას, გადიდებას (შესატყვისად შემცირებას) და ა. შ... საჭიროა ევოლუცია გავიგოთ უფრო ზუსტად, როგორც ყოველივეს წარმოშობა და მოსპობა, ურთიერთში გადასვლა“[1]. ვულგარულ-ევოლუციურ თეორი-

[1] „ლენინის კრებული“ XII, გვ. 185.

ებს არ ესმით ეს ძირითადი განვითარებაში და ისინი ვერ ხედავენ ჩვენი ყოფიერების განვითარების ამსახველი აზროვნების განვითარების გზებს, მათ არ ესმით შემეცნების დიალექტიკის ობიექტური მნიშვნელობა და როლი, არ შეუძლიათ განვითარების პრინციპის დაკავშირება სამყაროს ერთიანობის მატერიალისტურ პრინციპთან.

განვითარების ვულგარულ-ბურჟუაზიულ კონცეპციას, არ ესმის რა, რომ ყოველგვარი საგნის (და მოვლენის) განვითარება არის მის საკუთარი, თვით საგნის შინაგანი თავისებურებების მიერ გამოწვეული გადასვლა ერთისაგან მეორეში, ვერ ხედავს საგნის საკუთარ მოძრაობას განვითარებაში, მის, როგორც ჰეგელი ამბობდა, თვითმოძრაობას. მცენარის, ცხოველის, ადამიანის, ადამიანთა საზოგადოების განვითარება ბურჟუაზიულ ევოლუციონისტებს წარმოუდგენიათ როგორც იმ ზოგიერთ მარადიულ, უცვლელ თვისებათა და თავისებურებათა განმეორება გადიდებული სახით, როგორც უბრალო ზრდა, გაშლა, რომლებიც თავდაპირველადვე მოსდგამს ამა თუ იმ მცენარეს, ორგანიზმს, საზოგადოებას, და რომლებიც წინად იმყოფებოდენ მხოლოდ დაფარულ, ნაკლებ მკაფიოდ გამოხატულ, ჩანასახ მდგომარეობაში. ხსენებული თეორეტიკოსების აზრით ეს მათი ზრდა ხდება გარეშე გარემოს პირობების ზეგავლენით „ენერგიის გადაქაჩვის“ მეოხებით, მცენარის, ცხოველის, ადამიანის ორგანიზმის მიერ კვების გარედან მიღების მეოხებით. ისინი ადამიანთა საზოგადოების განვითარებას სახავენ როგორც ზოგიერთ იმ უცვლელ, მარადიულ თვისებათა განმეორებას და გაშლას, რომლებიც ახასიათებენ ბურჟუაზიულ საზოგადოებას მისი კაპიტალისტური ექსპლოატაციით, კონკურენციით, ინდივიდუალიზმით და ა. შ. და რომელთა პოვნასაც ბურჟუაზიული მეცნიერნი ახერხებენ ძველ მონათმფლობელურ საზოგადოებაშიც და თვით პირველყოფილ ველურთა შორისაც. ამიტომ საზოგადოების განვითარების მიზეზებზე, წყაროზე და მამოძრავებელ ძალებზე ბურჟუაზიული მეცნიერება ან სრულიად არ ფიქრობს, ანდა მას ხსნის კაცობრიობის გონებრივი პროგრესით, რომელიც მრავალჯერ განმეორების გამო თითქოს იწყებს ადამიანის ყოველგვარი თანაცხოვრების მარადიულ და ბუნებრივი თვისებების უკეთ შეგნებას, ანდა ცდილობს განვითარება ახსნას სხვადასხვა საზოგადოებათა ცხოვრების სხვადასხვაგვარი გარეგანი გეოგრაფიული და კლიმატური პირობებით, საზოგადოებისა და გარეშე გარემოს „წონასწორობის“ პირობებით.

წინაალმდეგ ევოლუციონური კონცეპციისა დიალექტიკა მოითხოვს „საგნის თავის თავში“ (ლენინი), მისი სხვა

ს ა გ ნ ე ბ თ ა ნ დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ა ს. ის საგნის განვითარებას იხილავს როგორც მის სპონტანურ განვითარებას, ე. ი. როგორც საგნის შინაგანად აუცილებელ, დამოუკიდებელ, ს ა კ უ თ ა რ მოძრაობას, როგორც მის თ ვ ი თ მ ო ძ რ ა ო ბ ა ს.

დაკავშირებით ჰეგელის მოძღვრებასთან განვითარებაზე როგორც თვითმოძრაობაზე ლენინი წერდა: „მოძრაობა“ და „თ ვ ი თ მ ო ძ რ ა ო ბ ა“ ეს არის NB! თვითნებური (დამოუკიდებელი) სპონტანური, შ ი ნ ა გ ა ნ ა დ-ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი მოძრაობა), „ცვლილება“, „მოძრაობა და ცხოველმყოფელობა“, „ყოველგვარი თვითმოძრაობის პრინციპი“, „იმპულსი“ „მოძრაობისა“ და „მოქმედებისადმი“—წინააღმდეგ „მ კ ვ დ ა რ ი ყ ო ფ ი ერ ე ბ ი ს ა“—ვინ დაიჯერებს, რომ ეს არის „ჰეგელიანელობის“, აბსტრაქტული და abstrusen (მძიმე, უვიცი?) ჰეგელიანელობის არსება?? საჭირო იყო ამ დედაარსის აღმოჩენა, გაგება, გადარჩენა, გაქერქვა, გაწმენდა, რაც გააკეთეს მარქსმა და ენგელსმა“ [1]. ჰეგელის იდეალისტურ მოძღვრებაში თ ვ ი თ მ ო ძ რ ა ო ბ ი ს შესახებ მარქსიზმმა გამოამჟღავნა რაციონალური გული, გასწმინდა იგი მისტიური წარმოდგენებისაგან წმინდა ლოგიკური განვითარების შესახებ, გაიგო როგორც ობიექტურ სამყაროს განვითარების კანონი.

მარტო თავისთავად აღებულ გარეგან მიზეზებს შეუძლია გამოიწვიოს ამა თუ იმ საგნის მხოლოდ მექანიკური მოძრაობა, მისი მოცულობის, ზომის და ა. შ. გადიდება ან შემცირება. მაგრამ მცენარეთა ან ცხოველის ორგანიზმის უკვე მარტო ზრდა არის არა მარტო რაოდენობითი გადიდება: ის გულისხმობს აგრეთვე ორგანიზმის თვისობრივობით ცვლილებას, მის გადასვლას ერთი მდგომარეობიდან მეორეში. დაახლოებით ერთი და იგივე გეოგრაფიული და კლიმატიური პირობები მოქმედებდენ ევროპაში მრავალ საუკუნეთა განმავლობაში და ცხადია, რომ ამ პირობებით არ აიხსნება საზოგადოების განვითარება. პირიქით, ერთგვარი გეოგრაფიული პირობები უფრო მალე გამოიწვევდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთგვარობას, შრომის ერთიდაიგივე საშუალებების განმეორებას და ა. შ., როგორც ამას გვიჩვენებს მრავალ აფრიკულ და აზიურ ტომთა მაგალითი. ამავე დროს ევროპაში მაგალითად, სადაც დაახლოებით ერთიდაიგივე გეოგრაფიული პირობებია, ადგილი აქვს უდიდეს სხვადასხვაობას და არათანაბარზომიერებას ცალკე ქვეყნების ისტორიულ განვითარებაში. ცხადია, რომ გარეგანი პირობების ზემოქმედება გარდატეხას განიცდის ამათუიმ საზოგადოებრივი ფორმაციის შ ი ნ ა გ ა ნ თავისებურებებში. განვითარების — როგორც ბუნების, საზოგადოების, ადამიანთა

[1] „ლ ე ნ ი ნ ი ს კრებული“ IX, გვ. 127—129.

აზრის მოვლენების თვითმოძრაობის — ნამდვილი არსების გაგება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როცა გამოარკვევ განვითარების შინაგან, საკუთარ მამოძრავებელ ძალებს, როცა გამოააშკარავებ შინაგან იმპულსებს, ბიძგს, რომელსაც მოძრაობას საგნის საკუთარი სიცოცხლე აძლევს.

რა არის ბოლოსდაბოლოს თვითმოძრაობა? წარმოდგენას საგანთა თვითმოძრაობის შესახებ ხომ არ ექნება მისტიკისა და ჰეგელური იდეალიზმის ერთგვარი ელფერი, როგორც ფიქრობს მაგალითად ამხ. ბუხარინი? არავითარ შემთხვევაში, თუ რა თქმა უნდა წმინდა მექანიკურად არ მივუდგებით მოძრაობასა და განვითარებას, თუ მასში არ დავინახავთ უბრალო ადგილგადანაცვლებას ან რაოდენობით გადიდებას, თუ, მეორე მხრით, თვითმოძრაობას არ მივუდგებით იდეალისტურად, მასში არ დავინახავთ წმინდა ლოგიკურ მოძრაობას, ცნებათა თვითწარმოშობას, თუ გავიგებთ, რომ თვითმოძრაობა არის ობიექტურ სამყაროს თვითმოძრაობა. თვითმოძრაობა არის საგნის ს ა კ უ თ ა რ ი მოძრაობა, გამოწვეული როგორც შინაგანი, ისე გარეშე გარემოებებით, მაგრამ რომელიც სწარმოებს შინაგანი, თვით საგნისათვის დამახასიათებელი კანონების მიხედვით, მისი გადასვლა შინაგანი იმპულსების მეოხებით, მისი გარდაქმნა მეორე საგნად. ყოველგვარი ობიექტის შესწავლა თვითმოძრაობაში თავიდან გვაცილებს იდეალისტურ წარმოდგენებს უმაღლეს გარეშე ძალებზე (ღმერთი, მსოფლიო სული), ან უმაღლეს შინაგან სულიერ არსებებზე. და ამავე დროს იგი სრულიად არ გვანთავისუფლებს ჩვენ აგრეთვე იმ როლის შესწავლის აუცილებლობისაგან, რომელსაც ასრულებენ ამ განვითარებისათვის გარეშე მიზეზები შინაგან მიზეზებთან ერთად. სწორედ შეხედულება განვითარებაზე როგორც საგანთა თვითმოძრაობაზე, აიძულებს ჩვენს ყურადღებას ესწრაფოდეს განვითარების ნამდვილი შინაგანი, საკუთარი წ ყ ა რ ო ს შემეცნებას. მატერიალისტური დიალექტიკა ამ წყაროს, ამ მამოძრავებელ ძალას პოულობს ყოველივე არსებულის შ ი ნ ა გ ან წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ უ რ ო ბ ა შ ი, შინაგან წინააღმდეგობათა მოძრაობასა და განვითარებაში. წინააღმდეგურობა თვით საგანში, შინაგანი წინააღმდეგური ძალები და ტ ე ნ დ ე ნ ც ი ე ბ ი, მხარეები ბუნებისა და საზოგადოების ყოველ ერ ვარ მოვლენაში არის სწორედ ის ძირითადი, რომლიდანაც გამომდინარეობს მატერიალისტური დიალექტიკა განვითარების გაგების დროს.

მეტაფიზიკისათვის, ფორმალური ლოგიკისათვის წინააღმდეგობები შესაძლებელია მხოლოდ ჩ ვ ე ნ ს ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა შ ი და არა ობიექტურ სინამდვილეში. მაგრამ ფორმალური ლოგიკის შეხედულებით, სწორედ ეს ლოგიკური წინააღმდეგობანი წარმოადგენენ იმ ბორო-

ტებას, რომელსაც უნდა ეერიდოთ. ფორმალური ლოგიკის თანახმად, წინააღმდეგობანი მოწმობენ აზრთა შეუთანხმებლობას, აზროვნების არასწორ მსვლელობას, ისინი ხელს უშლიან აზრის სწორად განვითარებას. თუ ბურჟუა ფიქრობს, რომ „პროლეტარიატის დიქტატურა მიმართულია დემოკრატიის წინააღმდეგ“, მისთვის ლოგიკური წინააღმდეგობა იქნება ამასთანავე იმის აღიარება, რომ „პროლეტარიატის დიქტატურა დემოკრატიის უმაღლესი ფორმაა“, ორივე ეს აზრი მისთვის შეუთავსებელია. დიალექტიკური ლოგიკისათვის აზროვნების წინააღმდეგობანი წარმოადგენენ რეალურ სამყაროს წინააღმდეგობათა ასახვას: იგი არ კმაყოფილდება გარეგანი განსაზღვრებით, ორი ერთი-მეორის მოწინააღმდეგე დებულების მოჩვენებითი შეუთანხმებლობით. მატერიალისტური დიალექტიკა შესასწავლი საგნის შინაგან არსებაში იჭრება და თვით საგანში პოულობს წინააღმდეგური ძალების, ტენდენციების, მხარეების, განსაზღვრების შინაგან კავშირს. თვით ობიექტურ სინამდვილეში მარქსიზმი ამჟღავნებს მისთვის დამახასიათებელ და მის მაწოძრავებელ წინააღმდეგობებს. ძველი ბურჟუაზიული დემოკრატიის უარყოფა და ახალი პროლეტარული დემოკრატიის შექმნა პროლეტარიატის დიქტატურაში არის რეალური ორმხრივი წინააღმდეგური პროცესი. „საკუთარი აზრით დიალექტიკა,—მიუთითებდა ლენინი,—არის შესწავლა წინააღმდეგობებისა თვით საგანთა არსებაში“ [1].

მეტაფიზიკოსს შეუძლებელ საქმედ მიაჩნია საგანთა წინააღმდეგურობის აღიარება, რადგან იგი საგნებსა და მოვლენებს მათი კავშირის გარეშე, მათი განუწყვეტელი ურთიერთმოქმედების გარეშე იხილავს.

„მაგრამ სულ სხვაა, — მიუთითებს ენგელსი, — როცა ჩვენ საგნებს მათი მოძრაობისა, მათი ცვლილებისა, მათი ცხოვრებისა, მათი ურთიერთ ზეგავლენის მხრით შევხედავთ. აქ მაშინვე წინააღმდეგობებს წავაწყდებით. თვით მოძრაობა წინააღმდეგობაა; თვით მარტივი მექანიკური ადგილის გამოცვლა შეიძლება მხოლოდ ისე მოხდეს, რომ სხეული ერთსა და იმავე წუთში ერთს ადგილასაა და იმავე დროს მეორე ადგილასაც, ერთსა და იმავე ადგილსაც იმყოფება და არც იმყოფება. და მოძრაობა სწორედ ამ წინააღმდეგობის მუდმივი დადგინება და იმავდროული გადაჭრაა“ [2].

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება წინააღმდეგობათა რეალობის შესახებ ამჟღავნებს ამ ობიექტურ წინააღმდეგობებს აგრეთვე ადა-

---

[1] „ლენინის კრებული“ XII, გვ. 183.

[2] ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 93. ხაზგასმულია ჩვენს მიერ. — ავტ.

მიანთა საზოგადოებრივ-ისტორიულ ცხოვრებაში და პროლეტარიატის რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის უმნიშვნელოვანეს თეორიულ საფუძვლად ხდება. გასაკვირი არ არის, რომ ამ მოძღვრებას გააფთრებით თავს ეხსმიან ბურჟუაზიული თეორეტიკოსები. მარქსიზმის მრავალრიცხოვანი „კრიტიკოსები“ არა ერთხელ ცდილობდენ გაეგებათილებიათ ენგელსის დასახელებული დებულება მოძრაობის — როგორც წინააღმდეგობის — შესახებ. ისინი მიუთითებდენ, რომ სინამდვილეში მოძრავი საგანი დროის სხვადასხვა მომენტში თითქოს სივრცის სხვადასხვა წერტილს გაივლის. თუ სივრცობრივ ხაზს, რომელსაც განუწყვეტლივ გაიელის საგანი, გავყოფთ მთელ რიგ წვრილ ნაკვეთებად, წერტილებად, სივრცის „წყვეტილებათო“, ამტკიცებდენ „კრიტიკოსები“ (სტრუვე, ვ. ჩერნოვი და სხვ.), მაშინ საგანი დროის ყოველ ცალკე მომენტში იღებს რაიმე ერთ მდგომარეობას სივრცეში, იქერს ერთ, ამ სივრცის ერთი რომელიმე ნაკვთის შესაბამის წერტილს.

ლენინმა გვიჩვენა მთელი აბსურდობა ამ კრიტიკისა, რომელსაც საქმით განუწყვეტელი მოძრაობა დაჰკავს ამ მოძრაობის წყვეტილობათა რიგამდე სივრცესა და დროში, უძრაობის მდგომარეობათა, საგნების უძრავ მდგომარეობათა რიგამდე. საქმით საგნის ყოველი ახალი მდგომარეობა შესაძლებელია მხოლოდ როგორც შედეგი ერთგვარი მოძრაობისა სივრცის ერთი წერტილიდან მეორესაკენ; კრიტიკოსებს არ ესმით, რომ მოძრაობა ნიშნავს — იმყოფებოდე ამათუიმ წერტილზე და ამავე დროს მასზე არ იმყოფებოდე, რომ ამ წინააღმდეგობის გარეშე, განუწყვეტელობის და წყვეტილობის ამ ერთიანობის გარეშე თვით მოძრაობა შეუძლებელი იქნებოდა, რომ წინააღმდეგობის უარყოფა ნიშნავს მის პირდაპირ მიჩქმალვას. „ეს შეკამათება სწორი არ არის, — წერდა ლენინი, — 1) იგი აღწერს მოძრაობის შედეგს და არა თვით მოძრაობას; 2) იგი არ გვიჩვენებს, არ შეიცავს მოძრაობის შესაძლებლობას; 3) იგი მოძრაობას გვიხატავს როგორც უძრაობის მდგომარეობათა ჯამს, კავშირს, ფ. ი. (დიალექტიკური) წინააღმდეგობა მოხსნილი კი არ არის, არამედ დაფარული, უკან გადაწეული, დაჩრდილული, ჩამოფარდულია“ [1]. „მოძრაობა (დროისა და სივრცის) განუწყვეტელობის და (დროისა და სივრცის) წყვეტილობის ერთიანობაა. მოძრაობა წინააღმდეგობაა, წინააღმდეგობათა ერთიანობაა“ [2].

მაგრამ წინააღმდეგობა საფუძვლად უდევს არა მარტო მოძრაობის ყველაზე მარტივ და ზოგად ფორმებს. ცალკეულ საგნებისა და

[1] „ლენინის კრებული“ XII, გვ. 193.

[2] იქვე, გვ. 191. ხაზგასმულია ჩვენს მიერ. — ავტ.

პროცესების მოძრაობისა და განვითარების განსაკუთრებულ ფორმებში მეღავნდებიან დიალექტიკური წინააღმდეგობანი.

ძნელი არ არის წინააღმდეგობათა აღნიშვნა, რომლებიც ამოძრავებენ განვითარებას ყველა დარგში: ბუნებასა, საზოგადოებასა, აზროვნებაში.

სიცოცხლის პროცესი, მიუთითებდა ენგელსი, განუწყვეტლივ დაკავშირებულია დაპირისპირებულ სიკვდილის პროცესთან: უჯრედების განუწყვეტელი სიკვდილი და განახლება ხდება — და ამაშია წინააღმდეგობა! — მთელი ორგანიზმის სიცოცხლისა და განვითარების პირობა. მექანიკაში ყოველგვარი მოქმედება შინაგანად წინააღმდეგურია, იგი იწვევს საწინააღმდეგო მოქმედებას და მისი ახსნა შეუძლებელია უკანასკნელის გარეშე. მათემატიკაში ყოველგვარი სიდიდე შინაგანად წინააღმდეგურია, იგი შეიძლება დადებითი სიდიდეც იყოს და უარყოფითიც. ამ საზოგადოების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყოველგვარი ძოვლენა გამსჭვალულია წინააღმდეგობებითა და კლასთა ბრძოლით, რომლებიც კლასობრივი საზოგადოების ყოველ დარგში იჭრებიან, რაც არ უნდა იყოს იგი: მუშა ძალის ყიდვა-გაყიდვა, თუ უმაღლესი ფილოსოფიური მოძღვრება. ვულგარული ბურჟუაზიული აზროვნება ამჩნევს მხოლოდ საგანთა გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა ს და არა მათ დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ებ უ ლ ებ ა ს; იგი იძით კმაყოფილდება, რომ მიუთითებს ჩვენი წარმოდგენების სხვადასხვაგვაროობაზე, მაგრამ თვით საგანთა ა რ ს ებ ა შ ი კ ი არ იჭრება. ამავე დროს ჩვენი წარმოდგენების ყოველ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა შ ი, სხვადასხვაგვაროობაში უნდა შეგვეძლოს ა რ ს ებ ი თ ი გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ი ს, ობიექტური სამყაროს მხარეთა, ძალთა, ტენდენციათა დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ებ უ ლ ებ ი ს დანახვა. „ყოველ საგანში მოქცეულ ძალთა, მხარეთა, ტენდენციათა დაპირისპირებულება წარმოადგენს მათ უარყოფით დამოკიდებულებას (ნეგატივობას) ერთიმეორისადმი, წარმოადგენს მათ ცოცხალ წინააღმდეგურობას, რაც იმპულსს აძლევს საგნის თვითმოძრაობას“.

ამრიგად, რაში მდგომარეობს ყოველი საგნის (და მოვლენის) ეს შინაგანი წინააღმდეგურობა? იმაში, რომ ესაა ე რ თ ი ა ნ ი საგანი (პროცესი, მოვლენა და ა. შ.), რომელშიც ერთსა და იმავე დროს დაპირისპირებულებანი ურ თ ი ე რ თ ს ა ც გ ა მ ო რ ი ც ხ ა ვ ე ნ დ ა ურ თ ი ე რ თ შ ი ც ი ჭ რ ებ ი ა ნ. დაპირისპირებულნი შ ი ნ ა გ ა ნ ა თ დ ა კ ა ვ შ ი რ ებ უ ლ ნ ი ა რ ი ა ნ თავის განვითარებაში, ერთი მეორე დაპირისპირებულის არსებობის პირობას წარმოადგენს და ამავე დროს მტრულად არიან განწყობილი ერთიმეორისადმი, აწარმოებენ ბ რ ძ ო ლ ას ურთიერთშორის.

„მოაზროვნე გონება (ჭკუა), — შენიშნავს ლენინი, — ამახვილებს სხვადასხვაგვარის დაჩლუნგებულ განსხვავებას, წარმოდგენათა უბრალო სხვადასხვაგვარობას არსებით განსხვავებამდე, დაპირისპირებულობამდე, მხოლოდ წინააღმდეგობის მწვერვალზე ასვლისას სხვადასხვაობანი მოძრავნი და ცოცხალნი ხდებიან ერთიმეორის მიმართ, იძენენ იმ ნეგატივობას, რომელიც წარმოადგენს თვითმოძრაობისა და ცხოველმყოფელობის შინაგან პულსაციას“[1].

ეს ერთიანის გაორება, შინაგანი წინააღმდეგობა, რასაც ადგილი აქვს ბუნების, ისტორიის და სულიერი ცხოვრების ყოველგვარ მოვლენაში, და რაც ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთის ფილოსოფოს ჰერაკლიტეს დროიდან შეაპჩნიეს მოაზროვნეებმა, ლენინმა დაახასიათა როგორც დიალექტიკის დედაარსი, როგორც მისი ძირითადი თავისებურობა. მარქს-ენგელს-ლენინის მატერიალისტური დიალექტიკა დაპირისპირებულთა ერთიანობაში (ურთიერთშეჭრაში) ხედავს დიალექტიკური განვითარების ძირითად კანონს. ის თავის სპეციფიურ გამოვლენას პოულობს მოძრაობის ყველა განსაკუთრებული ფორმისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებში.

საგანთა სხვადასხვაგვარობა აიხსნება მოძრაობის ფორმათა სპეციფიურობით, რომლიდანაც თვითეული ახასიათებს საგნის განსაკუთრებულ თვისობრივობას. ბუნებაში ჩვენ ვამჩნევთ მოძრაობის მთელრიგ ფორმებს: მექანიკურ მოძრაობას, სინათლეს, სითბოს, ელექტრობას, ქიმიურ შეერთებას და დაშლას და სხვ. მოძრაობის ყველა ეს ფორმა ერთიმეორეს განსაზღვრავს, ერთიმეორეში გადადის. ადამიანის მიერ მატერიის შემეცნება მოძრაობის, მატერიის ფორმათა შემეცნებით ამოიწურება, რადგან მოძრაი მატერიის გარდა ბუნებაში არაფერი არ არის. მოძრაობის თვითეული ფორმა უნდა ავიღოთ მის თავისებურებაში, თვისობრივობით განსხვავებაში ერთი მეორისაგან. მატერიალისტური დიალექტიკა არკვევს, რომ მოძრაობის ყოველგვარ ფორმას ახასიათებს განსაკუთრებული, საკუთარი წინააღმდეგობა, თავის საკუთარ დაპირისპირებულთა ერთიანობა და ბრძოლა. მოვლენათა განსაზღვრული დარგისათვის სპეციფიური, მოცემულ ამა თუ იმ დაპირისპირებულთა ერთიანობის შემეცნება ცალკეულ მეცნიერებათა საგანს შეადგენს. ასე, მათემატიკისათვის ძირითადი დაპირისპირებულებანია დადებითი და უარყოფითი სიდიდეები, დიფერენციალი და ინტეგრალი; მექანიკისათვის — მოქმედება და უკუმოქმედება; ფიზიკაში — დადებითი და უარყოფითი ელექტრობა და ა. შ.;

[1] „ლენინის კრებული“ IX, გვ. 133.

ქიმიისათვის—ელემენტების შეერთება და დისოციაცია; ადამიანთა საზოგადოებაში და საზოგადოებრივ მეცნიერებაში — კლასთა ბრძოლა.

განვითარების დიალექტიკურ კონცეპციას განვითარება ესმის როგორც „ერთიანის გაორება ურთიერთის გამომრიცხველ დაპირისპირებულებებად და ურთიერთობა მათ შორის"[1]. მოძრაობის შინაგან წყაროს დაპირისპირებულებათა სწორედ ეს „ურთიერთობა" წარმოადგენს. განვითარების ამ კონცეპციის დროს "მთავარი ყურადღება ექცევა სწორედ „თვით" მოძრაობის წყაროს შემეცნებას"[2]. ამ კონცეპციის დამახასიათებელი თავისებურებაა დაპირისპირებულებათა შინაგანი ბრძოლის გამო ძველის ადგილზე ახალის გაჩენა. მაშინ, როცა ყველა ბურჟუაზიული ევოლუციური თეორია, არ უარყოფს რა ახალის გაჩენის შესაძლებლობას, მთავარ ყურადღებას აქცევს იმ საერთოს, რაც აქვს ძველსაც და ახალსაც და იმისაკენ მიისწრაფის, რომ ახალი განიხილოს როგორც ამა თუ იმ მხრით გადიდებული და განმეორებული ძველი, დიალექტიკური მოძღვრება განვითარების შესახებ, პირიქით, ხაზს უსვამს ახალის განსაკუთრებულობას, თავისებურებას. განვითარების შესახებ დიალექტიკური მოძღვრებისადმი პრინციპიალურად დაპირისპირებული ყოველგვარი ბურჟუაზიულ-ევოლუციური თეორიის შეზღუდულობა საბოლოო ანგარიშში იმაში მდგომარეობს, რომ მათ ახალი დაპყავთ ძველამდე, და, მაშასადამე, პირველს უკანასკნელთან აიგივებენ. ამავე დროს კი ძველის ადგილზე აღმოცენებულ ახალს საფუძველს იმისათვის, რომ მას ახალი ეწოდოს სწორედ თვისობრივობითი თავისებურებანი აძლევენ. დიალექტიკური კონცეპციისათვის განვითარება გულისხმობს საგანთა გარდაქმნას, ერთი თვისობრივობიდან მეორეში გადასვლას.

დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი, ლენინის განსაზღვრის თანახმად, არის „ბუნების (მათ შორის როგორც სულის, ისე საზოგადოების) ყველა მოვლენაში და პროცესში საწინააღმდეგო, ურთიერთის გამომრიცხველ, დაპირისპირებულ ტენდენციების აღიარება (აღმოჩენა)"[3].

საგანში მოქცეულ დაპირისპირებულ, საწინააღმდეგო მხარეთა ურთიერთობა—ურთიერთშეერა და ბრძოლა—განსაზღვრავს მის სიცოცხლეს, აძლევს მას თვითმოძრაობის, განვითარების იმპულსს. აი ამიტომ დიალექტიკაში ძირითადს, უმნიშვნელოვანესს, გადაწყვეტს

1. „ლენინის კრებული" XII, გვ. 324. ხაზგასმულია ჩვენს მიერ. — ავტ.
2. იქვე.
3. იქვე, გვ. 323.

დაპირისპირებულთა ერთიანობის, ურთიერთში შეჭრის კანონი წარმოადგენს. „ერთიანის გაორება და მისი საწინააღმდეგო ნაწილების შემეცნება,—ამბობს ლენინი,— დიალექტიკის ა რ ს ე ბ ა ს წარმოადგენს“ [1]. თავის შენიშვნებში დაპირისპირებულთა ერთიანობას ის დიალექტიკის ბ ი რ თ ვ ს უწოდებს.

დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი ობიექტურ სამყაროს და შემეცნების ყველაზე ზოგადი კანონია. „სამყაროს ყველა პროცესების შესწავლის პირობას მათ „თ ვ ი თ მ ო ძ რ ა ო ბ ა შ ი“, მათ სპონტანურ განვითარებაში, მათ ცოცხალ ცხოვრებაში,—ამბობს ლენინი,—წარმოადგენს მათი შემეცნება როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობისა“ [2].

ამრიგად დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი დიალექტიკის ძ ი რ ი თ ა დ ი კანონია. დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი, როგორც ყველაზე ზოგადი კანონი, გამოიყენება ობიექტურ სამყაროს ყ ვ ე ლ ა მოვლენისა და შემეცნების პროცესის მიმართ. პლეხანოვის შეცდომა, რაზედაც მიუთითა ლენინმა თავის ფრაგმენტში „დიალექტიკის საკითხისათვის“, იმაში მდგომარეობდა, რომ მას არ ესმოდა ამ კანონის როგორც შემეცნების კანონის და ობიექტურ სამყაროს კანონის გადამწყვეტი და საყოველთაო მნიშვნელობა, რომ მას იგი „მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი ს ჯამამდე“ დაჰყავდა.

თუ ენგელსს „ანტი-დიურინგში“ პოპულარულად გადმოცემის მიზნით მოჰყავდა ამ კანონის ზოგიერთი მაგალითები და ამავე დროს დაპირისპირებულთა ურთიერთშეჭრას იხილავდა როგორც განვითარების ყველაზე ზოგად კანონს[3], პლეხანოვს ეს საყოველთაო კანონი დაჰყავს მის კ ე რ ძ ო შემთხვევებამდე და გამოვლენებამდე. პლეხანოვი თავის ყურადღებას აჩერებს მხოლოდ რაოდენობის ოვისობრივობაში გადასვლის კანონზე, შინაარსისა და ფორმის წინააღმდეგობაზე. პლეხანოვმა, რომელიც ხშირად ბრალს სდებს ლენინს დიალექტიკის გაუგებლობაში თავის მრავალრიცხოვან შრომებში ვერ შესძლო დიალექტიკის ამ ბირთვის, დედაარსის დასაბუთება, ისიც კი ვერ შესძლო, რომ გაეგო თეორიული მნიშვნელობა ჰეგელის „ლოგიკისა“, რომელშიც ამ კანონმა მიიღო თავისი განვითარება იდეალისტურ საფუძველზე. ხშირად პლეხანოვი ამჟღავნებს ამ კანონის ე კ ლ ე ქ ტ ი კ ურ გაგებას, როგორც „დაპირისპირებულთა შეთავსებისას“.

დიალექტიკა ძირეულად მტრულია ყოველგვარი ეკლექტიზმისადმი; მარქსიზმ-ლენინიზმი არ იქნებოდა სახელმძღვანელო მ ო ქ მ ე-

---

[1] „ლ ე ნ ი ნ ი ს კრებული“ XII, გვ. 323-324.

[2] ი ბ ვ ე.

[3] ყველაზე სრულად ენგელსმა ეს შეხედულება „ბუნების დიალექტიკაში“ ჩამოაყალიბა.

დებისათვის, ის რომ ისეთ ზუსტ და გარკვეულ პასუხებს არ იძლეოდეს, რომლებიც საგნის ან პროცესის არსებას ახასიათებენ, რა რიგ „რთულიც“ არ უნდა მოსჩანდეს იგი. ამიტომ მატერიალისტურ დიალექტიკაში უაღრესი მნიშვნელობა აქვს იმის სწორად გაგებას, თუ რაში მდგომარეობს დაპირისპირებულთა შორის ურთიერთობა. დაპირისპირებულთა ერთიანობა ამავე დროს წარმოადგენს მათ ურთიერთში შეჭრას, მათ იგივეობითობას და მათ ურთიერთ გამორიცხვას, უარყოფას, ბრძოლას.

განსაზღვრავდა რა საგანს (მოვლენას და ა. შ.) როგორც დაპირისპირებულთა ჯამს და ერთიანობას“[1], ლენინი წერდა: „არა მარტო დაპირისპირებულთა ერთიანობა, არამედ თვითეული განსაზღვრის, თვისობრივობის, ნიშნის, მხარის, თვისების გადასვლა თვითეულ მეორეში (თავის დაპირისპირებულებაში?)“[2]. „ჩვეულებრივ წარმოდგენა, — ამბობდა მეორე ადგილას ლენინი, — აძჩნევს განსხვავებას და წინააღმდეგობას, მაგრამ არა გადასვლას ერთისაგან მეორეში, ხოლო ეს ყველაზე მნიშვნელოვანია“[3]. „დიალექტიკა, — განმარტავდა ამის გამო ლენინი, — არის მოძღვრება იმის შესახებ, როგორ შეიძლება იყონ და როგორ არიან (როგორ ხდებიან) იგივეობითი დაპირისპირებულნი, — რა პირობებში არიან ისინი იგივეობითი, იქცევიან რა ერთი მეორედ, — ადამიანის გონებამ რატომ უნდა მიიჩნიოს ეს დაპირისპირებულებანი არა მკვდრად, გაყინულად, არამედ ცოცხლად, პირობითად, მოძრავად, ერთი-მეორედ გარდამქცევად“[4].

დიალექტიკის დედაარსის გასაგებად ლენინს ყველაზე მნიშვნელოვანად მიაჩნდა დაპირისპირებულთა იგივეობა, მათი ურთიერთში გადასვლა. ამავე დროს იგი ხაზს უსვამს დაპირისპირებულთა ამ იგივეობის პირობით ხასიათს, მის შესაძლებლობას მხოლოდ გარკვეულ პირობებში, იმ გარემოებას, რომ დაპირისპირებულთა ერთიანობა შეფარებითია, ხოლო მათი ბრძოლა აბსოლუტური. სიცოცხლის პროცესი და სიკვდილის პროცესი, აღვნიშნავდით ზევით, გარკვეული მხრით აგრძელებენ ერთიმეორეს: ორგანიზმის უჯრედების სიკვდილი — მათი განახლების აუცილებელი პირობაა, სიცოცხლის პროცესის აუცილებელი მომენტია. დაპირისპირებულებანი — სიცოცხლე და სიკვდილი — თითქოს ერთიმეორის იგივეობითნი ხდებიან, ერთიმეორეში გადადიან. მაგრამ ნათელია ამ გაი-

---

[1] „ლენინის კრებული“ IX, გვ. 275.
[2] იქვე, გვ. 277.
[3] იქვე, გვ. 131.
[4] იქვე, გვ. 69.

გივების პირობითი ხასიათი: სიცოცხლე მაინც სიცოცხლეა და არა სიკვდილი. ამ პროცესში სიცოცხლის ელემენტები სძლევენ სიკვდილის ელემენტებს და მათზე ბატონობენ. წარმოება და მოხმარება,— მიუთითებდა მარქსი, — არა მარტო დაპირისპირებულნი არიან, არამედ ერთიმეორეშიც იკრებიან მთელი რიგი მხრით. „თვითეული მათგანი უშუალოდ თავისი დაპირისპირებულებაა. მაგრამ ამასთანავე ადგილი აქვს ორთავეს შორის შემაერთებელ მოძრაობას"[1]. წარმოება შესაძლებელს ხდის მოხმარებას, ქმნის მოხმარების საგანს, აძლევს მოხმარებას მის გარკვეულობას და ხასიათს. მოხმარება ამთავრებს პროდუქტების წარმოების პროცესს, იწვევს წარმოების მოთხოვნილებას, წარმოების შემადგენელი მომენტია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ შევვიძლია წარმოების და მოხმარების გაიგივება. მათი უშუალო ერთიანობა, ამბობს მარქსი, არ სპობს მათ უშუალო გაორებას.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში ბურჟუაზია და პროლეტარიატი გარეგანი, ერთიმეორისადმი მტრული დაპირისპირებულებანია. მაგრამ ეს კლასები განუყრელად დაკავშირებული არიან ერთიმეორესთან. კაპიტალიზმის ეკონომიურ სტრუქტურაში და ერთი კლასის არსებობა არის პირობა მეორე კლასის არსებობისათვის. კაპიტალიზმი ისეევ შეუძლებელია უბურჟუაზიოდ, როგორც უპროლეტარიატოთ. საწარმოო საშუალებებს მოკლებულ მუშათა კლასის მიერ ზედმეტი ღირებულების შექმნა მის სამუშაო ძალის შემყიდველ ბურჟუაზიისათვის და კერძო საკუთრების მესაკუთრე ბურჟუაზიის მიერ სამუშაო ძალის ექსპლოატაცია ერთიანი პროცესია, რომელიც განსაზღვრავს თვით კაპიტალისტური საზოგადოების არსებობას. ამავე დროს აშკარაა ამ ერთიანობის, „ურთიერთში შეჭრის" პირობითი ხასიათი: ზედმეტია ლაპარაკი ორივე ამ კლასის ინტერესთა ერთიანობაზე, არა კლასობრივ ინტერესების თანადამთხვევა, არამედ, პირიქით, მათი ბრძოლა არის საზოგადოებრივი განვითარების საფუძველი. პროლეტარულ სახელმწიფოს გამაგრება, აღნიშნავს ამბ. სტალინი, პირობებს უმზადებს მის სიკვდილს მომავალში. ამრიგად პროლეტარიატის დიქტატურის გამაგრება და სახელმწიფოს მომავალი სიკვდილი გარეგანი დაპირისპირებულებანი როდი არიან: პროლეტარიატის დიქტატურის გამაგრება იგივეობითია მისი მომავალი სიკვდილის პირობების მომზადებისადმი. მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნებოდა ამ ეტაპების დაპირისპირებულობის დავიწყება და ორივე პროცესის უბრალოთ გაიგივება, იმის ფიქრი, რომ პრო-

[1] მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 12.

ლეტარულ სახელმწიფოს გამაგრებასთან ერთად უშუალოდ სწარმოებს მისი სიკვდილი...

თანამედროვე მექანიციზმი, მენშევიკური და მომენშევიკო იდეალიზმი ძირფესვიანად ამახინჯებენ დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ურთიერთში შეჭრის სწორ ლენინურ გაგებას. მექანისტები, დაწყებული დიურინგით და დამთავრებული ამბ. ბუხარინით, ყოველგვარი სახის, ერთიანობაში მყოფ, დაპირისპირებულებს განიხილავენ როგორც ერთიმეორისადმი გარეშე, ერთიმეორის წინააღმდეგ დაპირისპირებულად მიმართულ ძალებს. დაპირისპირებულთა ყოველგვარ ერთიანობას, ყოველგვარ წინააღმდეგობას მექანისტები აიგივებენ გარეშე წინააღმდეგობასთან, მტრული ძალების ანტაგონიზმთან, ამასთანავე ამ ძალების თანაარსებობას და წინააღმდეგობის შენარჩუნებას ისინი დაპირისპირებულთა წონასწორობით ხსნიან. უნგელსი დასცინოდა დიურინგის მიერ წინააღმდეგობათა უხეშ გაგებას, როგორც დაპირისპირებულად მიმართული ძალებისას. ლენინი ამბ. ბუხარინის „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის" წაკითხვისას მიუთითებდა მას, რომ სწორი არ არის წინააღმდეგობის ანტაგონიზმთან გაიგივება, რომ სოციალიზმის დროს, მაგალითად, კლასობრივი ანტაგონიზმი გაქრება, ხოლო წინააღმდეგობანი ბუნებასა და საზოგადოებას შორის, საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობებს შორის იარსებებენო.

ანტაგონიზმი არის წინააღმდეგობის განსაკუთრებული, კერძო შემთხვევა, როცა დაპირისპირებულნი თავის განვითარებაში ერთიმეორეს ეჯახებიან როგორც გარეგანი, ფიზიკური ძალები. ანტაგონიზმთა საუკეთესო მაგალითია კლასობრივი წინააღმდეგობანი ექსპლოატირებულ და ექსპლოატატორულ კლასებს შორის. მაგრამ წინააღმდეგობათა დიალექტიკური გაგების დროს ჩვენ უნდა ვეძიოთ და ანტაგონიზმთა განვითარების გარკვეულ ეტაპზე უნდა ვიპოვოთ შესაძლებელი შინაგანი კავშირი თვით ანტაგონისტურ დაპირისპირებულებათა შორისაც, სხვანაირად წარმოუდგენელი იქნებოდა ამ უკიდურესობათა ხანგრძლივი თანაარსებობა ერთ საგანში, მოვლენაში, საზოგადოებაში და ა. შ. (იხ. ზემოთ ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის მაგალითი). მთელ გარდამავალ ეპოქას მსჭვალავს მომაკვდავი კაპიტალიზმის და რევოლუციის მიერ შობილი სოციალიზმის ანტაგონიზმი და ბრძოლა. მიუხედავად ამისა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ, აღდგენით ეტაპზე ლენინს შესაძლებლად მიაჩნდა სახელმწიფო კაპიტალიზმის მეთოდების გამოყენება პროლეტარიატის დიქტატურის კონტროლის ქვეშ, ნეპმანური ბურჟუაზიის გამოყენება საწარმოო ძალთა აღმავლობისა და განვითარებისათვის იმ პირობით,

რომ იგი სავსებით დამორჩილებოდა პროლეტარულ კანონებს და რომ ამავე დროს წარმოებული ყოფილიყო მისი შეზღუდვა და განდევნა. სოციალისტური რეკონსტრუქციის და სოციალიზმის მთელი ფრონტით შეტევის პერიოდი აყენებს კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის, ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების მოსპობის ამოცანას: კაპიტალისტური ელემენტებისა და სოციალისტური წყობის ანტაგონიზმი უკვე შეუძლებელს ხდის მათ შემდგომ თანაარსებობას, კლასობრივი ბრძოლა მწვავდება. მემარჯვენე ოპორტუნისტები, რომლებიც ანტაგონიზმებსა და წინააღმდეგობებს აიგივებენ და წინააღმდეგურ განვითარებას გვიხატავენ როგორც ანტაგონისტური ძალების წონასწორობას, გამოვიდენ მებრძოლი ძალების, კაპიტალისტური და სოციალისტური სექტორების შ ე რ ი გ ე ბ ი ს, წონასწორობის ქადაგებით, საბჭოთა ეკონომიკაში კლასობრივი ბრძოლის ჩაქრობის თეორიით სექტორების ამ „წონასწორობის“ პროცესში.

მენშევიზმი და მომენშევიკო იდეალიზმიც ამახინჯებენ დაპირისპირებულებათა ერთიანობის სწორ გაგებას. მომენშევიკო იდეალისტებს იგი ესმით როგორც „სუბიექტურად გამოყენებული მოქნილობა“, როგორც ს ო ფ ი ს ტ ი კ ა და ეკლექტიკა. ისინი დაპირისპირებულებათა ერთიანობას უყურებენ როგორც მათ ეკლექტიკურ შეერთებას. მომენშევიკო იდეალისტები, სცილდებიან რა დაპირისპირებულებათა ერთიანობის კანონის ლენინურ ფორმულას, გვიხატავენ სრულიად მექანისტურ სურათს, რომლის თანახმად ჩვენ ჯერ გვაქვს უბრალო განსხვავება, შემდეგ დაპირისპირებულება, ხოლო შემდეგ წინააღმდეგობა. მათ არ ესმით, რომ თვითეულ განსხვავებაში უკვე ჩართულია წინააღმდეგობა, ისინი, პლეხანოვის მსგავსად, ზ ღ უ დ ა ვ ე ნ წინააღმდეგური განვითარების კანონის საყოველთაო ხასიათს. ამავე დროს ლენინი, პირიქით, ხაზს უსვამს დაპირისპირებულებათა ერთიანობის, იგივეობის, ურთიერთში შეკრის პ ი რ ო ბ ი თ, დ რ ო ე ბ ი თ, რ ე ლ ა ტ ი უ რ ხასიათს და მათი ურთიერთ უარყოფის, დაპირისპირებულებათა ურთიერთ გამორიცხვის, მათი იმ ბ რ ძ ო ლ ი ს ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ხასიათს, რომელიც გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს წ ყ ა რ ო ს წარმოადგენს.

საგანში არსებულ დაპირისპირებულ მხარეების, ტენდენციების განსაზღვრული ერთიანობა ყოველთვის აბსოლუტურ ხასიათს არ ატარებს, მას რელატიური მნიშვნელობა აქვს. მაგრამ თუ დროებითი და რელატიურია დაპირისპირებულებათა გარდამავალი ე რ თ ი ა ნ ო ბ ა, რომლებიც აგრეთვე უცვლელი არ რჩებიან, ისე, როგორც თვით საგანი, სამაგიეროდ აბსოლუტურია მათი ბ რ ძ ო ლ ა. ყოვე-

ლივე, რაც კი დედამიწაზე არსებობს, იცვლება დაპირისპირებულებათა ბრძოლის გამო, როგორიც არ უნდა იყვნენ უკანასკნელნი თავის ხასიათით.

„დაპირისპირებულთა ერთიანობა (თანადამთხვევა, იგივეობა, წონასწორობა), — ხაზს უსვამს ლენინი, — არის პირობითი, დროებითი, გარდამავალი, რელატიური. ურთიერთ გამომრიცხველ დაპირისპირებულებათა ბრძოლა აბსოლუტურია, როგორც აბსოლუტურია განვითარება, მოძრაობა“ [1].

რელატიურშიაც, შედარებითშიაც არის აბსოლუტური, აზბოზს მეორე ადგილას ლენინი. ჩვენ დაპირისპირებულებათა ურთიერთ შეჭრაშიაც მათი ბრძოლა უნდა დავინახოთ: თვით დაპირისპირებულებათა იგივეობა, ურთიერთში შეჭრა ჩვენ უნდა განვიხილოთ როგორც მათი ბრძოლის გამოვლინება, — და ამაშია უღრმესი აზრი ლენინის სიტყვებისა ერთისაგან მეორეზე გადასვლის — როგორც „ყველაზე მნიშვნელოვანის“ — შესახებ.

ახალი საგნის გაჩენა სწყვეტს წინააღმდეგობას, რომლის დროსაც ისპობა ძველი ერთიანობა მის შემადგენელ დაპირისპირებულებებთან ერთად. წინანდელი მოვლენის ნაცვლად თავის ისტორიას იწყებს ახალი, რომელიც ამ მომენტიდან შეიცავს აგრეთვე თავის საკუთარ, ახალ წინააღმდეგობას, რაც მას ამოძრავებს თავის შემდგომი განვითარების გზით.

მეცნიერული კვლევის ამოცანა ყოველ დარგში ის არის, რომ მან იხელმძღვანელოს მატერიალისტური დიალექტიკის ამ ზოგადი კანონით, რომელიც ადამიანის ცოდნის განვითარების მთელი ისტორიის დასკვნაა, შედეგია და ყოველთვის ფაქტიურ მასალაზე შეისწავლოს ბუნებისა თუ საზოგადოების ამა თუ იმ გამოსაკვლევ მოვლენის დამახასიათებელი წინააღმდეგური განვითარების კონკრეტული ხასიათი. მატერიალისტური დიალექტიკის არც ერთი პრინციპი არ შეიძლება გადაქცეულ იქნას აბსტრაქტულ სქემად, რომლიდანაც წმინდა ლოგიკური გზით იყოს შესაძლებელი პასუხის მიღება კონკრეტულ საკითხებზე. ვინაიდან მატერიალისტური დიალექტიკა მოითხოვს იმ პროცესების განუწყვეტელ, კონკრეტულ გამოკვლევას, რომლებიც ბუნებას, საზოგადოებასა და ადამიანთა აზროვნებაში ხდება.

იგი გვასწავლის არა მარტო იმ ზოგადი თვისებების შემჩნევას, რაც დამახასიათებელია ყველა საგნისათვის მათ განვითარების ყველა საფეხურზე, არამედ წინააღმდეგური განვითარების იმ განსაკუთრებული თვისებების დანახვასაც, რომლებიც ახასიათებენ მონაცემ გა-

[1] „ლენინის კრებული“ XII. გვ. 324. ხაზგასმულია ჩვენს მიერ. — ავტ.

ჰოსაკელეგ საგანს მისი განვითარების ამა თუ იმ სტადიაზე. არ შეიძლება არსებობდეს და არც არსებობს წინააღმდეგობის გადაჭრის ისეთი მაგალითი, რომელიც გამოსადეგია ყოველი დროისა და ყოველი შემთხვევისათვის, მაგალითად არ შეიძლება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის გზების ახსნის ძიება იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გადაჭრის განსაკუთრებულ ხასიათში, რომელთაც ადგილი ქონდათ ფეოდალურ-ეკონომიური ფორმაციის კაპიტალისტურ ფორმაციად გარდაქმნისას.

ჰეგელმა პირველმა გამოხატა დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი, მაგრამ მას ეგი იდეალისტურად დამახინჯებულად ესმოდა. ჰეგელს შემეცნების ობიექტებად მიაჩნდა აზრის განვითარების საფეხურები—არა ნამდვილი საგნები, როგორც ისინი ნამდვილ სამყაროში არსებობენ, არამედ გააზრებული, აბსტრაქტული საგნები, შექმნილნი ისეთსავე აბსტრაქტულ აზროვნებაში, როგორიცაა თვით აზროვნების საგნები. ამიტომ ჰეგელისათვის დაპირისპირებულებათა ერთიანობის კანონიც ნიშნავდა აზროვნების კანონს, რომელსაც ქონდა უაღრესად ზოგადი ხასიათი, მაგრამ მოწყვეტილი იყო ბუნებისა და ისტორიის ნამდვილ, კონკრეტულ განვითარებისაგან.

ჰეგელისათვის დაპირისპირებულთა ურთიერთშეჭრა გამოხატავს დაპირისპირებულებათა ურთიერთშეჭრას, არა სინამდვილეში, არამედ აზროვნებაში. და თუ ჰეგელი მაგალითისათვის მიმართავს გარემომცველ სამყაროს მოვლენებს, ეს იმიტომ, რომ დაადასტუროს თავისი ლოგიკური კონსტრუქცია, და სრულიადაც არა იმიტომ, რომ მათი რეალური მოძრაობის კონკრეტული პირობების შესწავლის ნიადაგზე ახსნას, თუ რა პ ი რ ო ბ ე ბ შ ი ხდება წინააღმდეგობათა გადაჭრა და რ ო გ ო რ ი თავისებურებით ხდება მოვლენის გადასვლა თავის დაპირისპირებულებაში. აი ამიტომ ჰეგელის დიალექტიკაში ცნებათა გადასვლას ერთიმეორეში თვითნებური ხასიათი აქვს. ჰეგელისათვის წინააღმდეგობათა გადაჭრა არის თვითნებური, ილუზორული, სინამდვილეში აბსტრაქტული აზროვნებიდან შემოტანილი. იგი არის წინააღმდეგობის მხოლოდ ა ზ რ ო ბ რ ი ვ ი გადაჭრა და ამიტომ აბსტრქტული, ნამდვილ სამყაროს განვითარებისაგან მოწყვეტილი.

ამრიგად დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის დიალექტიკის დედაარსად აღიარება, ისე, როგორც დიალექტიკის სხვა კანონებისა, გვაძლევს რა გასაღებს დიალექტიკური შემეცნებისათვის, ამავე დროს არამც თუ არ გვანთავისუფლებს ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა გულმოდგინე შესწავლისაგან, არამედ, პირიქით, აუცილებლად მოითხოვს მათ კონკრეტულ შესწავლას. მოვლენათა რეალური განვითარების კონკრეტული ანალიზი უნდა

წარმოადგენდეს ზუსტ დასაბუთებას და დამტკიცებას ამ კანონისათვის, რომელიც თავის ზოგად ფორმაში ყოველი საგნის მიმართ გამოიყენება. მისი პირუკუ გაგება არის მატერიალისტური დიალექტიკის გაყალბება, მისი დამახინჯება. დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი, ისე, როგორც მთელი მატერიალისტური დიალექტიკა მთლიანად, არის სახელმძღვანელო მოქმედებისათვის და მეცნიერული კვლევისათვის.

მარქსმა და ენგელსმა „ფეხზე" დააყენეს ჰეგელის იდეალისტური მოძღვრება დაპირისპირებულთა ერთიანობის შესახებ, მატერიალისტურად გადაამუშავეს იგი, გახადეს იგი ობიექტურ სამყაროს და მის ამსახველ აზროვნების განვითარების საყოველთაო კანონად. გამოიყენეს რა ეს კანონი ისტორიული პროცესის შემეცნების მიმართ, მათ საზოგადოებრივი განვითარების ძირითადი მიზეზები დაინახეს წინააღმდეგობაში საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობას შორის, კლასობრივი ბრძოლის წინააღმდეგობებში, მათგან წარმომდინარე წინააღმდეგობაში ეკონომიურ საფუძველსა და პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ზედნაშენს შორის. მარქსმა, გამოიყენა რა მატერიალისტური დიალექტიკა კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურის შემეცნების დარგში, გამოააშკარავა მისი ძირითადი წინააღმდეგობა--წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ხასიათს შორის, რაც თავის გამოვლენას პოულობს წინააღმდეგობაში ცალკეულ საწარმოში წარმოების ორგანიზაციასა და მთელ საზოგადოებაში არსებულ ანარქიას შორის, თავის კლასობრივ გამოხატულებას კი კლასობრივ ბრძოლაში ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის.

ილუსტრაციის სახით მოვიყვანთ ზოგიერთ ნიმუშებს მარქსის „კაპიტალის" დიალექტიკიდან. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოვარკვევთ „კაპიტალის" ზოგად იდეას, გავიგებთ „კაპიტალს" მთლიანად როგორც ლოგიკას, დიალექტიკას და შემეცნების თეორიას, შეგვიძლია ჩვენ „კაპიტალის" ცალკეული ეკონომიური კატეგორიების დიალექტიკის დანახვა. უამისოდ ჩვენ დაგვემუქრებოდა საფრთხე „კაპიტალის" დიალექტიკიდან მოყვანილ „მაგალითების ჯამით" გატაცებისა, რაც ასე ჩვეულებრივია მექანისტებისა და მომენშევიკო იდეალიზმისათვის.

„კაპიტალის" ცალკეული ეკონომიური კატეგორიების დიალექტიკა მოსჩანს მთლიანად აღებული კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიური მოძრაობიდან. მარტივ სასაქონლო წარმოებიდან და მიმოქცევიდან კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლა და შემდეგ კაპიტალიზმის დაღუპვა და ახალი სოციალისტური წყობილების წარმო-

შობის წანამძღვრები გამოწვეულია ორმაგობით, წინააღმდეგობით, რომელიც საფუძვლად უდევს სასაქონლო-კაპიტალისტურ წარმოებას. ეს ორმაგობა და წინააღმდეგობა განსაზღვრავს აგრეთვე ყველა ცალკეულ ეკონომიური მოვლენებისა და კატეგორიების: საქონლის, ფულის, კაპიტალის, ღირებულების და სხვ. ბუნებას.

. დავიწყოთ საქონლით. საქონელს ორმაგი, ე. ი. წინააღმდეგური ბუნება აქვს. როგორც საგანს, მას სასარგებლო თვისებები აქვს, რასაც ეკონომიური ენით სახმარი ღირებულება ეწოდება. მეორე მხრით, როგორც საქონელს, მას აქვს ღირებულება, შეუძლია გადაიცვალოს მეორე საქონელზე. თუ სახმარი ღირებულება ამეღავნებს საქონლის თვისობრივობით მხარეს, საცელელ ღირებულებაში გამოიხატება საქონლის რაოდენობითი მხარე. ღირებულების მეოხებით სხვადასხვა საქონელი ეთანაბრება ერთიმეორეს.

საქონელი შრომის პროდუქტია. საქონლის მსგავსად შრომასაც ორი მხარე, ორი ბუნება აქვს: კონკრეტული (თვისობრივობითი), რასაც მნიშვნელობა აქვს სახმარი ღირებულებისათვის, და აბსტრაქტული (რაოდენობითი), რაც საქონლის ღირებულებას ქმნის. „თუ საქონელში განხორციელებულ შრომას სახმარი ღირებულების მხრივ მნიშვნელობა აქვს მხოლოდ თვისობრივად, ღირებულების სიდიდის მხრივ მნიშვნელობა აქვს მხოლოდ რაოდენობრივად“ [1].

ამ წინააღმდეგობიდან სხვა წინააღმდეგობანი გამომდინარეობენ. თვითეული საქონელი თავის ღირებულების გაზომვას ახდენს მეორე საქონლის მეოხებით, რომელსაც აქვს სხვაგვარი, არათანაზომადი სასარგებლო თვისებები (მოძღვრება შეფარდებითი და ეკვივალენტური ღირებულების შესახებ), საქონლის ღირებულების სიდიდე პირუკუ პროპორციულია საქონლის მასისადმი, რომელიც მზადდება მონაცემ საზოგადოებრივ-აუცილებელი დროის განმავლობაში და ა. შ.

როგორიც არ უნდა იყოს საწარმოო ძალა, მას შეუძლია მხოლოდ სხვადასხვა საგნების სასარგებლო თვისებების ფორმის შეცვლა, საწარმოო ძალას არ შეუძლია ტილოს თვისებების შეცვლა, მას შეუძლია მხოლოდ ტილოსათვის ტანსაცმელის ფორმის მიცემა. სხვადასხვა საგანთა ფორმის შეცვლა კონკრეტული სახის შრომისაგან არის დამოკიდებული. მაგრამ საქონლის მწარმოებელთა საზოგადოებაში შრომას აქვს კიდევ სხვა მხარე—შრომის რაოდენობა, რომელიც გამოდის როგორც შრომა საერთოდ, როგორც აბსტრაქტული შრომა, რომელიც ქმნის ღირებულებას საერთოდ. „შრომა სიმდიდრის მამაა, მიწა—მისი დედა“.

---

[1] მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 13. ხაზგასმულია ჩვენს მიერ.—ავტ.

საქონლის შემდგომი დიალექტიკური მოძრაობა მდგომარეობს საქონლის ფულად გადაქცევაში, როგორც მარქსი მიუთითებს.

„გაცვლა-გამოცვლის გაფართოებისა და გაღრმავების ისტორიული პროცესი ანვითარებს სახმარ ღირებულებასა და ღირებულებას შორის არსებულ წინააღმდეგობას, რომელიც ჩაშარხულია საქონლის ბუნებაში. აღებ-მიცემობის საჭიროება მოითხოვს ამ წინააღმდეგობის გარეგნულად გამოხატვას, საქონლის ღირებულების დამოუკიდებელი ფორმის ჩამოყალიბებას, და არ ცხრება მანამდე, სანამ ეს ფორმა საბოლოოდ არ იქნება დაშყარებული საქონლის გაორებით: საქონლად და ფულად“ [1].

ასე საქონლის გაცვლის რაოდენობით განვითარებას მივყევართ ახლ თვისობრივობამდე—ფულად ფორმამდე. ამ მოძრაობის წყარო სასაქონლო ფორმის წინააღმდეგობაშია, ე. ი. საბოლოო ანგარიშში წინააღმდეგობაშია წარმოების საზოგადოებრივ ფორმასა და მითვისების კერძო ფორმას შორის.

ფული იგივე საქონელია, მაგრამ ეს არის საქონელი „მოხსნილ“ ფორმაში. ფული არის საქონელი და ამავე დროს საქონლის უარყოფა. ფული აბსოლუტური საქონელია, რომლის საშუალებითაც გაიზომება ყველა დანარჩენი საქონლის ღირებულება. როგორც ასეთი, ფული საქონლის მიმოქცევის საშუალებად იქცევა. აქ მჟღავნდება ახალი წინააღმდეგობა. ფული, როგორც სარკე ისე ასახავს თავისში საზოგადოებრივ ურთიერთობათა წინააღმდეგობებს და მან არ იცის მოსვენება, მუდამ ატარებს ამ წინააღმდეგობათა დაღს. თუ ჩვენ ავიღებთ ფულს თავის მიმართ როგორც ოგივეობას, მაშინვე გამოაშკარავდება, რომ ეს ოგივეობა არის ახალი გაორების, ახალი წინააღმდეგობის წყარო: ფული, როგორც მიმოქცევის საშუალება და როგორც აბსოლუტური საქონლის საცვლელი ღირებულების დამოუკიდებელი ყოფიერება.

„ფულის, როგორც გადახდის საშუალების ფუნქცია უშუალო წინააღმდეგობას შეიცავს. რამდენადაც გადახდანი ერთმანეთს აბათილებენ, ფული მოქმედებს მოხლოდ იდეალურად, როგორც საანგარიშო ფული ანუ ღირებულების საზომი. ხოლო რამდენადაც ნამდვილი გადახდა წარმოებს, ის გვევლინება არა როგორც მიმოქცევის საშულება, არა როგორც ნივთიერების ცვლის მხოლოდ წარმავალი და შუამავალი ფორმა, არამედ, როგორც საზოგადოებრივი შრომის ინდივიდუალური განხორციელება, როგორც საცვლელი ღირებულების დამოუკიდებელი არსებობა, როგორც აბსოლუტური საქონელი. ეს

[1] მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 52—53.

წინააღმდეგობა თავს იჩენს საწარმოო და სავაჭრო კრიზისების იმ მომენტებში, რომელსაც კრიზისს უწოდებენ"[1].

ყოველგვარი მოძრაობა დიალექტიკურია. ამიტომ დიალექტიკის თვალსაზრისით განსაკუთრებული ინტერესი ენიჭება საქონლის მოძრაობას, ანუ, როგორც მარქსი ამბობს, მეტამორფოზას. ამ თავს მარქსი იწყებს შემდეგი სიტყვებით, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „კაპიტალის" დიალექტიკური მეთოდის გასაგებად: „ჩვენ დავინახეთ, რომ საქონლის გაცვლის პროცესი ერთი მეორის საწინააღმდეგო და უარმყოფელ დამოკიდებულებას შეიცავს. ამ პროცესის განვითარება, რომელიც აშკარად ხდის საქონლის ორმაგ ხასიათს სახმარი ღირებულების და საცვლელი ღირებულების სახით და ყოფს საქონელთ უბრალო საქონლად და ფულად საქონლად, არ სპობს ამ წინააღმდეგობებს, მაგრამ ქმნის მათი მოძრაობის ფორმას.

ასეთია საერთოდ მეთოდი, რომლის საშუალებითაც იხსნება ნამდვილი წინააღმდეგობა"[2].

ამრიგად საქონლის ფორმის წინააღმდეგობა განსაზღვრავს საქონლის მოძრაობის ფორმას. საქონელი როგორც ღირებულება გადაიცვლება ფულის მეშვეობით სახმარ ღირებულებაზე: ს—ფ—ს. საქონლის ამ წრებრუნვას მოძრაობის ორი მოპირდაპირე ფაზა აქვს. პირველად საქონლის ფორმა იქცევა ფულად. შემდეგ პირუკუ: ფულადი ფორმა—საქონლის ფორმად. ხდება თავისებური უარყოფის უარყოფა. ერთის მხრით, საქონლის ფორმას უარყოფს ფულადი ფორმა და უკანასკნელს კვლავ უარყოფს საქონელი. მეორე მხრით, წრებრუნვის დასაწყისში საქონელი არ წარმოადგენს საცვლელ ღირებულებას, საბოლოო პუნქტში კი იგი სახმარი ღირებულებაა.

თუ შემდეგ ავიღებთ საქონლის წრებრუნვას მთლიანად, დავინახავთ, რომ მას თავის მხრით უარყოფს კაპიტალის წრებრუნვა. პირველ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს საქონლის მოძრაობა, მეორეში—ფულის მოძრაობა, რომელიც კაპიტალად გადაიქცა. პირველ შემთხვევაში—ფული იყო მიმოქცევის საშუალება, მეორეში იგი მიზანია. წრებრუნვაში ფ—ს—ფ საქონელი გამოდის მხოლოდ როგორც აუცილებელი ფაზა ერთი ღირებულების (ფ) გადაქცევისა მეორე უფრო დიდ ღირებულებად (ფ').

„ამნაირად ღირებულება იქცევა თვითმოძრავ ღირებულებად, თვითმოძრავ ფულად და როგორც ასეთი—კაპიტალად. იგი სტოვებს მიმოქცევას, ისევ შედის ამ მიმოქცევაში, ინახება და მრავლდება მა-

[1] მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 100.
[2] მარქსი. ტ. I, გვ. 68.

სში, ბრუნდება იქიდან გაზრდილი და მუდამ იწყებს ხელახლა იმავე წრებრუნვას"[1].

კაპიტალის მიმოქცევა არის მხოლოდ საქონლის მოძრაობის შემდგომი განვითარება და, მაშასადამე, საზოგადოებრივ ურთიერთობათა წინააღმდეგობების შემდგომი განვითარებაც. კაპიტალის ისტორიული წინამძღვრებია: 1) ფულის დაგროვება და 2) ახალი საქონლის—სამუშაო ძალის გაჩენა. სამუშაო ძალა არის ერთადერთი საქონელი ყველა სხვა საქონლიდან, რომელსაც აქვს მოხმარების პროცესში, შრომის პროცესში გარდა თავის ღირებულებისა ზედმეტი ღირებულების შექმნის უნარი. მის საყიდლად დახარჯული ფული კაპიტალისტს მოგებით უბრუნდება.

მაგრამ ფულის მესაკუთრეს კაპიტალისტად აქცევს მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობა ზედმეტი ღირებულებისა, რომელსაც ის იღებდა და, მაშასადამე, მხოლოდ ფულის განსაზღვრულ ჯამს შეუძლია კაპიტალად გადაქცევა. სახელდობრ საჭიროა ფულის იმდენი რაოდენობა; რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს იმდენი რაოდენობის ზედმეტი ღირებულების შექმნის უნარის მქონე სამუშაო ძალის ყიდვა, რამდენიც აუცილებელია კაპიტალისტის შენახვისა და როგორც მუდმივი, ისე ცვალებადი კაპიტალის გადიდებისათვის. ამრიგად კაპიტალი როგორც ახალი თვისობრივობა დაკავშირებულია განსაზღვრულ რაოდენობასთან.

ზედმეტ ღირებულებას (რაოდენობას) აქვს ის განსაკუთრებული ფორმა ანუ თვისობრივობა, რომ იგი გამოხატავს მუშის ექსპლოატაციას კაპიტალისტის მიერ. საქონლის წარმოება წარმოშობს საქონლის მიმოქცევას ეკვივალენტური გაცვლის საფუძველზე. საქონლის მესაკუთრე სცვლის მას მეორე მესაკუთრის იმავე ღირებულების მქონე საქონელზე. სურათი „თვისობრივობრივად" იცვლება კაპიტალისტური წარმოებისა და მიმოქცევის დროს. აქ კაპიტალისტი, კაპიტალის მესაკუთრე, ითვისებს მუშის აუნაზღაურებელ შრომას. სწორედ ამ ახალ თვისობრივობას გამოხატავს ღირებულების (რაოდენობის) ახალი ფორმა—ზედმეტი ღირებულება.

წერილში ენგელსისადმი (1867 წ. 24 აგვისტო) მარქსი წერდა: „ჩემს წიგნში („კაპიტალი") ყველაზე საუკეთესოა: 1) პირველ თავშიეე ხაზგასმული შრომის ორმაგი ხასიათის თავისებურება. იმისდამიხედვით, სახმარ თუ საცვლელ ღირებულებაში გამოიხატება იგი (ფაქტების მთელი გაგება ეყრდნობა ამ თეორიას შრომის ორმაგი ხასიათის შესახებ); 2) ზედმეტი ღირებულება განიხილება მისი განსაკუთრებული ფორმებისა-

[1] მარქსი, ტ. I, გვ. 116.

გ ა ნ დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ რ ო გ ო რ ც ა რ ი ს მ ო გ ე ბ ა, პ რ ო ც ე ნ ტ ი, მ ი წ ი ს რ ე ნ ტ ა დ ა ა. 'მ"[1].

სავსებით გასაგებია რატომ გამოყოფს მარქსი ხსენებულ ორ პუნქტს. მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ კაპიტალიზმის ეკონომიკის არსების გაგებისათვის. კაპიტალისტური წარმოების პირობებში შრომის ორმაგობა, წინააღმდეგურობა გამოხატავს კაპიტალისტური საზოგადოების ძ ი რ ი თ ა დ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა ს—წინააღმდეგობას წარმოების ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ხასიათსა და მითვისების კ ე რ ძ ო ფორმას შორის. კვალდაკვალ მიჰყვება რა ამ წინააღმდეგობის განვითარებას ეკონომიკაში, მარქსი თვით კაპიტალისტურ საზოგადოებაშივე პოულობს მატერიალურ შესაძლებლობასაც, საშუალებასაც და ძალასაც ამ წინააღმდეგობის დ ა ს ა ძ ლ ე ვ ა დ. ასეთ საშუალებას წარმოადგენს საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოება; ასეთ შესაძლებლობას—წარმოების კონცენტრაცია; ასეთ ძალას—პროლეტარიატი, გაწვრთნილი და დისციპლინირებული თვით კაპიტალისტური წარმოების მიერ, გამობრძმედილი და პოლიტიკურად მომწიფებული კლასობრივ ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მოძღვრება ზედმეტი ღირებულების შესახებ, რომელიც განიხილება მისი განსაკუთრებული ფორმებისაგან დამოუკიდებლად, საფუძვლად დაედო ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ანტაგონისტური პოზიციების ნათელ, მკვეთრ დაპირისპირებას. ამან შესაძლებელი გახადა გამოყოფილიყო კლასობრივი წინააღმდეგობანი ერთი მხრით, პროლეტარიატსა და ყველა ჩაგრულთა და, მეორე მხრით, ექსპლოატატორთა ყ ვ ე ლ ა ჯგუფებს შორის.

მარქსის დიალექტიკური მეთოდი, განსაკუთრებული ძალით გამომჟღავნდა სწორედ ამ ორ პუნქტში. ეყრდნობა რა ამ ორ პუნქტს „კაპიტალის" მთელი გადმოცემა სპირალისებურად იშლება, ააშკარავებს კაპიტალისტურ ურთიერთობათა ფეტიშისტურ ხასიათს, სულ უფრო და უფრო ფართოდ ამჟღავნებს კაპიტალისტური საზოგადოების შინაგან წინააღმდეგობებს, არკვევს კაპიტალისტური ექსპლოატაციის ეკონომიურ საფუძველს და სხვადასხვა ფორმებს და ანტაგონიზმის ზრდას ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, სულ უფრო და უფრო ღრმად სწვდება კაპიტალიზმის დაღუპვის და ახალი კომუნისტური საზოგადოების წანამძღვართა განვითარების ისტორიულ ტენდენციას. ეისთვისაც ნათელია მოძღვრება საქონლისა და ზედმეტი ღირებულების შესახებ, რომელიც დაპირისპირებულთა ერთიანობის

[1] მ ა რ ქ ს ი დ ა ე ნ გ ე ლ ს ი, წ ერ ი ლ ებ ი, გვ. 198.

კანონს ეყრდნობა, ის ადვილად გაიგებს მთლიანად „კაპიტალის“ დიალექტიკასაც.

ლენინსა და სტალინს დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის მარქსისტული გაგება უმაღლეს საფეხურზე აყავთ. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ კანონის—როგორც დიალექტიკის დედაარსის, როგორც ბირთვის მთელი მნიშვნელობის გამომჟღავნებას. „მოკლედ დიალექტიკა შეიძლება განისაზღვროს როგორც მოძღვრება დაპირისპირებულთა ერთიანობის შესახებ. ამით დაჭერილ იქნება დიალექტიკის ბირთვი, მაგრამ ეს განმარტებასა და განვითარებას მოითხოვს“[1]. ლენინი არკვევს და ანვითარებს დიალექტიკის ამ დედაარსს თეორიისა და რევოლუციური პრაქტიკის ვანუყრელი ერთიანობის საფუძველზე, პროლეტარული ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ეტაპების ანალიზისადმი შეფარდებით. განვითარების შინაგანი წინააღმდეგურობის შემეცნებას უდიდესი მნიშვნელობა ქონდა რუსეთის რევოლუციის განვითარების ლენინური ანალიზისათვის, მისი მოძღვრებისათვის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის შესახებ. ბოლშევიკები ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და სოციალისტურ რევოლუციას იხილავდენ „როგორც ერთი ჯაჭვის ორ რგოლს, როგორც რუსეთის რევოლუციის გაქანების ერთიან და მთლიან სურათს“[2]. ლენინი და სტალინი ხაზს უსვამენ რუსეთის „სამხედრო-ფეოდალური იმპერიალიზმის“ მთელ თავისებურებას, რამაცშესაძლებელი გახადა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული და პროლეტარიატის ხელმძღვანელობისა და ჰეგემონიის ქვეშ მიმდინარე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ისტორიული განვითარების გაერთიანება კაპიტალიზმის, წინააღმდეგ მიმართულ პროლეტარულ რევოლუციასთან. „დემოკრატიული რევოლუციისაგან, —წერდა ლენინი,—ჩვენ მაშინვე დავიწყებთ გადასვლას და სწორედ ჩვენი ძალღონის მიხედვით, შეგნებული და ორგანიზებული პროლეტარიატის ძალისდა მიხედვით, დავიწყებთ გადასვლას სოციალისტურ რევოლუციაზე. ჩვენ განუწყვეტელ რევოლუციას ვემხრობით. ჩვენ შუა გზაზე არ შევჩერდებით“[3].

ლენინი წინააღმდეგ მემარჯვენე პანიკიორებისა (კამენევი, ზინოვიევი) ხაზს უსვამს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციის ამ ერთიანობას რუსეთის განვითარების ისტორი-

---

[1] „ლენინის კრებული“ IX, გვ. 277.

[2] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 26

[3] ლენინი, სოცნალ-დემოკრატიის დამოკიდებულება გლეხურ მოძრაობისადმი, თხზ. ტ. VIII, გვ, 186.

ულ პირობებში და ამავე დროს ებრძვის რევოლუციის განვითარებაში ეტაპებისა და გარდამავალი საფეხურების, რევოლუციის სხვადასხვა ეტაპებზე გლეხობისადმი პროლეტარიატის დამოკიდებულების ტროცკისტულ გაუგებლობას. „რუსეთის პროლეტარიატი, რომელმაც გლეხობასთან ერთად დაამთავრა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, საბოლოოდ გადავიდა სოციალისტურ რევოლუციაზე, როდესაც მან მოახერხა სოფლის გათიშვა, მისი პროლეტარებისა და ნახევრად პროლეტარების შემოერთება, მათი გაერთიანება კულაკებისა და ბურჟუაზიის, მათ შორის სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ...“[1] რევოლუციურ პროლეტარიატს რომ ვერ მოეხერხებია სოფლის კლასობრივი დანაწილების გათვალისწინება, „მაშინ ეს იქნებოდა მარქსიზმის ბლანკისტური დამახინჯება, მაშინ ეს იქნებოდა უმცირესობის ცდა თავზე მოეხვია უმრავლესობისათვის თავისი ნება, მაშინ ეს იქნებოდა თეორიული უაზრობა, იმის გაუგებლობა, რომ საერთოგლეხური რევოლუცია ჯერ კიდევ ბურჟუაზიული რევოლუციაა და რომ მთელ რიგ გადასვლების, გარდამავალ საფეხურებს გარეშე მისი სოციალისტურ რევოლუციად გადაქცევა ჩამორჩენილ ქვეყანაში შეუძლებელია“[2].

ლენინმა დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი საფუძვლად დაუდო იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის განვითარებაში განსაკუთრებული საფეხურის, ანალიზს. ლენინი აქ ააშკარავებს ზოგადისა და განსაკუთრებულის, კაპიტალიზმის ზოგად კანონზომიერებათა და წინააღმდეგობათა და იმ თავისებურებათა ერთიანობას, რომლებიც კაპიტალისტურ სტადიას შემოაქვს. ლენინი გვიჩვენებს, რომ იმპერიალიზმის ეს განსაკუთრებული ნიშნები არამც თუ არ უარყოფს, არამედ კიდეც აძლიერებს ზოგად კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა გამოვლენას, რომ მონოპოლიისა და კონკურენციის ერთიანობა და გადახლართვა არამც თუ არ ამცირებს კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა სიმწვავეს, არამედ კიდევ უფრო ამწვავებს მათ, ხელს უწყობს კაპიტალისტური კონკურენციის კიდევ უფრო გაღრმავებას და გამწვავებას. ლენინი და სტალინი ადგენენ, რომ პროლეტარიატის დიქტატურა ახლადშობილი კომუნიზმის მომაკვდავ კაპიტალიზმთან ბრძოლის პერიოდის ძირითადი კანონია. ლენინი და სტალინი ააშკარავებენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის ორმაგ ხასიათს, როგორც ისეთი პოლიტიკის, რომელიც უშვებს სოციალისტური

---

[1] ლენინი, პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცსკი ტ. XXIII, გვ. 394.

[2] იქვე.

და კაპიტალისტური ელემენტების ბრძოლას და ითვალისწინებს სოციალიზმის გამარჯვებას, „როგორც კაპიტალიზმის განვითარებისა და სოციალიზმის განვითარების ორმხრივ პროცესს, წინააღმდეგობის შემცველ პროცესს სოციალისტურ ელემენტების ბრძოლისა კაპიტალისტურ ელემენტებთან, სოციალისტური ელემენტების მიერ კაპიტალისტური ელემენტების დაძლევის პროცესს"[1].

ამბ. სტალინი გვიჩვენებს, თუ კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა გამწვავებას ახალ ეპოქაში როგორ თან ახლავს წამოშობა უკვე არა შინაკაპიტალისტური ხასიათის ახალი წინააღმდეგობისა, არამედ წინააღმდეგობისა მთლიანად აღებულ კაპიტალიზმსა და სოციალიზმის მშენებელ ქვეყანას შორის, თუ როგორ ეს უკანასკნელი წინააღმდეგობა „ფესვებამდე აშიშვლებს კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობას, თავს უყრის მათ ერთ კვანძში და აქცევს მათ თვით კაპიტალისტური წყობილების სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხად"[2].

II. კანონი რაოდენობის თვისობრივობაში გადასვლისა და პირუკუ

მატერიალისტური დიალექტიკის მეორე კანონია — კანონი რაოდენობის თვისობრივობაში გადასვლისა და პირუკუ. ამ კანონს უდიდესი მნიშვნელობა აქვს განვითარების პროცესის გაგებისათვის, რადგან დიალექტიკის ამ კანონში თავის გამოხატულებას პოულობს რევოლუციური ნახტომობრივი გადასვლა ერთი თვისობრივობისა მეორეში.

თვისობრივობა უნდა გავიგოთ როგორც მოვლენათა განსაზღვრულობა, რომლის მეოხებით ისინი ერთიმეორისაგან განისაზღვრებიან და რაც მათ აქცევს იმათ, რასაც ისინი წარმოადგენენ. მეცნიერული კვლევა წარმატებას იმ შემთხვევაში აღწევს, თუ იგი განსაზღვრული ობიექტის შესწავლისას იღებს მას მის თვისობრივობით თავისებურებაში სხვა საგნებთან შედარებით. თვისობრივობა არის სწორედ ის განსაზღვრულობა, რომელიც საგანს ახასიათებს. ობიექტური სინამდვილის საგნების თვისობრივობითი მრავალსახეობა აიხსნება გარემომცველ სამყაროში მატერიის მოძრაობის სხვადასხვა ფორმების არსებობით. ყოველივე არსებული მატერიის მოძრაობის განსაზღვრული ფორმის სახით არსებობს. მართალია, ცალკეულ საგნებს ახასიათებს მოძრაობის არა ერთი ფორმა, არამედ მთელი მათი რიგი. მაგალითად ადამიანის ორგანიზმი შეიცავს მატე-

[1] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 272. ხაზგასმულია ჩვენს მიერ. — ავტ.

[2] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 583. ხაზგასმულია ჩვენს მიერ. — ავტ.

რიის მოძრაობის ფორმებს, დაწყებული მექანიკურით და დამთავრებული აზროვნებით. მაგრამ თვითეული სპეციფიური, განსაზღვრული საგნისათვის დამახასიათებელია მოძრაობის რომელიმე ერთი ფორმა-თაგანი, რომელიც გადამწყვეტ, განსამზღვრელ როლს თამაშობს მისთვის. მაშასადამე, როდესაც ჩვენ თვისობრივობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს არა თვისობრივობათა არსებობა ობიექტურ სამყაროსაგან დამოუკიდებლად, არამედ. თვით საგნები, მოვლენები, რომელთაც ესა თუ ის თვისობრივობა აქვთ. თვისობრივობას ობიექტური ხასიათი აქვს; საგანთა თვისობრივობითი განსაზღვრულობა ბუნებაში ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. ადამიანის აზროვნება მხოლოდ გამოხატავს ობიექტური პროცესების ამ თვისობრივობით განსაზღვრულობას.

თავის თვისობრივობის მეოხებით საგნები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან, ერთიმეორეს ემიჯნებიან. მართალია, ამ საზღვარს აბსოლუტური ხასიათი არა აქვს, რადგან აბსოლუტურად ინდივიდუალური, აბსოლუტურად განცალკევებული საგნები ბუნებაში არ არსებობს. თვითეული საგანი შეიცავს რაღაც საერთოს ყველა სხვა საგნებთან, რომლებთანაც იგი მუდამ განუყრელ კავშირში იმყოფება. საგანთა თვისობრივობითი განსაზღვრულობა არ არის რაღაც მუდმივი, უცვლელი, როგორც საშუალო საუკუნეთა სქოლასტიკის წარმომადგენლები ფიქრობდენ. სინამდვილის მოვლენათა თვისობრივობითი განსაზღვრულობა განუწყვეტლივ ვითარდება, იცვლება, რთულდება.

თვისობრივობის კატეგორიის სწორი გაგებისათვის აუცილებელია განვიხილოთ საკითხი თ ვ ი ს ო ბ რ ი ვ ო ბ ი ს ა და თ ვ ი ს ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ. ამ საკითხს იხილავს თავის „ლოგიკის მეცნიერებაში“ ჰეგელი. ის წერს: „თვისობრივობა არის თ ვ ი ს ე ბ ა უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად იმ აზრით, რამდენადაც იგი თავისთავს ამჟღავნებს გ ა რ ე გ ან ურ თ ი ერ თ ობ ა ში როგორც ი მ ა ნ ე ნ ტ უ რ ი გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა“ [1]. აქ ჰეგელის აზრი იმაში გამოიხატება, რომ ვაშინ, როცა თვისობრივობა გამოხატავს მოცემულ მოვლენის, საგნის თუ პროცესის იმანენტურ, შინაგანად დამახასიათებელ განსაზღვრულობას, თვისება ამ განსაზღვრულობას გამოხატავს სხვა საგნების მიმართ. ასე, მაგალითად, ვარდს, როგორც ყვავილს, აქვს განსაზღვრული, თვისობრივობანი როგორც მცენარეთა ერთერთ სახეს, და ეს თვისობრივობა არის მისი განსაზღვრულობა, რომელიც მას ანსხვავებს ყველა სხვა მცენარისაგან. მისი ეს განსაზღვრულობა გამოიხატება მ თ ე ლ რ ი გ თვისებებში როგორიცაა ვარდის სუნი, ფერი და ა. შ.

[1] ჰ ე გ ე ლ ი, Наука логики, გვ. 54, 1929 წ.

თვისობრივობა განუყოფელად დაკავშირებულია თვით საგნის ყოფიერებასთან. საგანი ჯერ კიდევ არ კარგავს თავის განსაზღვრულობას ამა თუ იმ თვისების გარეშე, ხოლო როცა ის თვისობრივობას კარგავს, საგანი აღარ არის ის, რასაც ის წარმოადგენს, იგი სხვად ხდება. საგნის თვისობრივობითი განსაზღვრულობა თავის გაჭოხატულებას პოულობს მისი განვითარების ხასიათის განმსაზღვრელ, სპეციფიურ კანონზომიერებაში. საგნის მეცნიერულ განსაზღვრას შინაარსეული ხასიათი მხოლოდ მაშინ ეძლევა, როდესაც იგი სწვდება მის თვისობრივობით განსაზღვრულობას.

მაგრამ საგნის შემეცნება არ ჩერდება მარტო თვისობრივობით დახასიათებაზე, ის სწვდება აგრეთვე განსახილველ ობიექტის დამახასიათებელ რაოდენობით განსაზღვრულობას. რაღაა რაოდენობა? მივმართოთ ჯერ რაოდენობის იმ განსაზღვრას, რომელსაც ჰეგელი იძლევა.

ის წერს: „თ ვ ი ს ო ბ რ ი ვ ო ბ ა არის საერთოდ ყოფიერებისადმი იგივეობითი, უშუალო განსაზღვრულობა, განსხვავებით მის შემდეგ განხილულ რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს ა გ ა ნ, რომელიც არის აგრეთვე ყოფიერების განსაზღვრულობა, მაგრამ უკვე არა უშუალოდ იგივეობითი უკანასკნელისადმი, არამედ ყოფიერებისადმი განურჩეველი, მისდამი გარეგნული განსაზღვრულობა“[1].

ამრიგად რაოდენობას ჰეგელი განსაზღვრავს როგორც ყოფიერებისადმი განურჩეველ გარეგან განსაზღვრულობას. ამ განსაზღვრაში ჭეშმარიტების მარცვალი იმაშია, რომ რაოდენობის ცვლილებანი გარკვეულ დრომდე მართლაც გარეგნულია თვისობრივობის მიმართ. მიუხედავად რაოდენობის ცვლილებისა თვისობრივობა იმათვე რჩება. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ გარკვეულ მომენტამდე, როდესაც რაოდენობის შემდგომი ცვლილება იწვევს თვისობრივობის ცვლილებას. მოვლენის რაოდენობითი განსაზღვრულობა, ისე, როგორც თვისობრივობითი, ობიექტურ ხასიათს ატარებს. რაოდენობის ცნება წარმოადგენს თვით მოვლენების დამახასიათებელ რაოდენობითი ურთიერთობათა ასახვას ცნობიერებაში. ამიტომაც მეცნიერული შემეცნება უნდა ჩასწვდეს, ასახოს რეალური სინამდვილე არა მარტო მის თვისობრივობით, არამედ რაოდენობით მრავალსახეობაშიც. საგნის რაოდენობითი განსაზღვრულობა არ არსებობს მისი თვისობრივობითი განსაზღვრულობის გარეშე, იგი ყოველთვის მჭიდროდ დაკავშირებულია უკანასკნელთან. ასე, მაგალითად, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ საგნის რადენობითი გადიდების ან შემცირების შესახებ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს საგნის თვისობრივობის გადიდება ან შემცირება. ამასთანავე

[1] ჰ ე გ ე ლ ი, თხზ.. ტ. I, გვ. 157, 1930 წ. რუს. გამოც.

მნიშვნელობა აქვს იმის აღნიშვნას, რომ გარკვეული თვისობრივობისათვის დამახასიათებელია აგრეთვე რაოდენობითი განზომილებების გარკვეული სპეციფიური ზომა.

ამრიგად ბუნებაში არ არსებობს მარტო თვისობრივობა და რაოდენობა, არსებობს საგნები, რომელთაც აქვთ როგორც თვისობრივობითი, ისე რაოდენობითი განსაზღვრულობა. საგნის რაოდენობითი და თვისობრივობითი განსაზღვრულობა განუყოფელ ერთიანობას წარმოადგენს. მაგრამ ეს ერთიანობა არის სხვადასხვა განსაზღვრულობათა ერთიანობა, დაპირისპირებულებათა ერთიანობა. ამიტომ რაოდენობის თვისობრივობითობაში გადასვლა და პირიქით, ლენინის სიტყვებით, წარმოადგენს დაპირისპირებულებათა ურთიერთში გადასვლის მაგალითს. რაოდენობისა და თვისობრივობის განსაზღვრული ერთიანობა, რომელიც ახასიათებს გარემომცველ სამყაროს ამა თუ იმ საგნებს, წარმოადგენს ზ ო მ ა ს. ზომა გამოხატავს საგნის სპეციფიურ თვისობრივობით განსაზღვრულობას, რომელსაც ახასიათებს აგრეთვე სპეციფიური რაოდენობითი დახასიათება. მაგრამ საგანთა რაოდენობითი ცვლილება განსაზღვრული, მათი შესაფერი თვისობრივობის საფუძველზე ხდება. ამასთანავე თვისობრივობა გარკვეულ დრომდე ზღუდავს საგნის რაოდენობითი ცვლილების ფარგლებს. ასე, მაგალითად, წარმოების ფეოდალური წესი უკიდურესად ზღუდავდა საწარმოო ძალების, მატერიალური სიმდიდრის ზრდის შესაძლებლობას და საზოგადოების განვითარების მთელ დონეს. ეს ფეოდალური ურთიერთობა მოისპო ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად, რომელმაც წარმოების კაპიტალისტური წესი დაამყარა. თავის მხრით კაპიტალიზმიც, რომელმაც შეასრულა პროგრესიული როლი ისტორიაში, თავის განვითარების იმპერიალისტურ სტადიაზე გადაიქცა საზოგადოების შემდგომი წინსვლის უკიდურეს დაბრკოლებად. სამაგიეროდ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის განვითარების როგორი უნახავი ტემპები გვაქვს ჩვენ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში და სწორედ იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი საწარმოო ურთიერთობათა ტიპით ა ხ ა ლ თ ვ ი ს ო ბ რ ი ვ ო ბ ა ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს!

ერთი სიტყვით, რაოდენობითი ცვლილება თავის საფუძველსა და შეზღუდვას საგნის თვისობრივობით განსაზღვრულობაში ჰპოებს. თავის მხრით საგნის რაოდენობითი ცვლილება ზეგავლენას ახდენს მის თვისობრივობით მხარეზე. განსაზღვრული საგანი იმათ რჩება, რასაც ის წარმოადგენს მხოლოდ გარკვეულ მომენტამდე. ცვლილების რაოდენობითი პროცესი, როცა იგი მოცემულ განსაზღვრულ პირობებში განსაზღვრული თვისობრივობისათვის უკიდურეს მიჯნას აღწევს, მოითხოვს თვისობრივობის შეცვლას, იწვევს ე რ თ ი თ ვ ი-

სობრივობის გადასვლას მეორეში. ამავე დროს ეს გადასვლა არის თვისობრივობის გადასვლაც რაოდენობაში, რადგან ძველი თვისობრივობის მოსპობის გზით ახლა შესაძლებელი ხდება ახალი რაოდენობითი წინსვლა. კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რაოდენობითი ზრდის როგორი შესაძლებელი პირობებიც არ უნდა არსებობდეს მასში, შეუძლებელია სოციალისტური ტიპის საწარმოო ურთიერთობათა განხორციელება. სამაგიეროდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში იქმნება საწარმოო ურთიერთობათა ახალი სოციალისტური ფორმა და საწარმოო საშუალებათა უბრალო შეერთებაც კი კოლექტივიზირებულ სოფლის მეურნეობაში იძლევა წარმოების შეუდარებლად მეტ რაოდენობრივ ზრდას.

რაოდენობის თვისობრივობაში გადასვლის კანონი, ისე, როგორც დიალექტიკის სხვა კანონები ჩამოაყალიბა ჰეგელმა მის „ლოგიკის მეცნიერებაში". მაგრამ ჰეგელიდან ამ კანონმა მიიღო იდეალისტური გამოხატულება, როგორც კატეგორიების თვითმოძრაობის კანონმა, და არა როგორც ობიექტურ სამყაროს კანონმა. თავისთავად ცხადია, რომ ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია რაოდენობის თვისობრივობაში გადასვლის კანონის ჰეგელური იდეალისტური გაგება. მარქსიზმის ფუძემდებლებმა, დაამტკიცეს რა რაოდენობის თვისობრივობაში გადასვლის კანონის ჰეგელური გაგების უნიადაგობა, აღმოაჩინეს მასში რაციონალური მარცვალი, მისცეს მას ღრმა მატერიალისტური განმარტება, როგორც მას ენგელსი აყალიბებს. „ეს კანონი ჩვენ შეგვიძლია ჩვენი მიზნებისათვის იმდაგვარად გამოვხატოთ, რომ ბუნებაში რაოდენობითი ცვლილებანი შეიძლება მოხდეს—ყოველი ცალკე შემთხვევისათვის ზუსტად განსაზღვრული წესით—მხოლოდ—მატერიის ანუ მოძრაობის (ეგრეთწოდებული ენერგიის) რაოდენობითი მიმატების ან რაოდენობითი დაკლების გზით.

ბუნებაში ყველა თვისობრივობითი განსხვავება ეყრდნობა ან სხვადასხვაგვარ ქიმიურ შედგენილობას, ანდა მოძრაობის (ენერგიის) სხვადასხვა რაოდენობას ანუ ფორმებს, ანდა—რასაც თითქმის მუდამ აქვს ადგილი—ერთსაც და მეორესაც. ამრიგად შეუძლებელია რაიმე სხეულის თვისობრივობის შეცვლა მატერიის ან მოძრაობის მიმატების ან წართმევის გარეშე, ე. ი. ამ სხეულის რაოდენობითი ცვლილების გარეშე" [1].

ამ აზრის დასამტკიცებლად „ანტი-დიურინგში" და „ბუნების დიალექტიკაში" ენგელსს მოყავს მთელი რიგი მაგალითები, რომელნიც გვიჩვენებენ, ერთ და იმავე ქიმიური ელემენტების წმინდა რიცხ-

[1] ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 125.

ვობრივი შემცირება ან გადიდება როგორ გადიქცევა თვისობრივ განსხვავებად.

ენგელსი, მხედველობაში აქვს რა მას კანონი რაოდენობის თვისობრივობაში გადასვლის და პირუკუ,მიუთითებს, რომ „ჰეგელის მიერ აღმოჩენილი ბუნების კანონი ზეიმობს თავის უდიდესს ტრიუმფს ქიმიის დარგში. ქიმიას შეიძლება ვუწოდოთ მეცნიერება სხეულთა თვისებრივ ცვალებადობის შესახებ, რომელიც მიმდინარეობს რაოდენობრივ შემადგენლობის ცვალებადობის გავლენით“ [1]. ამის შემდგომ ენგელსს მოყავს შემდეგი მაგალითები: ჟანგბადი და ოზონი. ჟანგბადის მოლეკულაში ერთდება ორი ატომი, ხოლო ოზონის მოლეკულაში—სამი, ვღებულობთ ახალ სხეულს, რომელიც თავის თვისებებით განსხვავდება ჟანგბადისაგან. „რაღა უნდა ვთქვათ—სწერს შემდეგ ენგელსი—სხვადასხვა პროპორციებზე, რომლებშიაც ჟანგბადი უერთდება აზოტს ან გოგირდს და რომლისაგანაც თვითეული გვაძლევს სხეულს, თვისობრივად განსხვავებულს ყველა სხვა სხეულებისგან! რა რიგ განსხვავდება მათრობელა გაზი (ჩამჟავება აზოტისა N_2O) აზოტის ანგიდრიდისაგან (აზოტის ორ-ხუთ მჟავასაგან (двупятиокиси N_2O_5)! პირველი — გაზია, მეორე — ჩვეულებრივი ტემპერატურის დროს—მაგარი კრისტალიური სხეულია! ამავე დროს შემადგენლობის მხრივ მათ შორის მთელი განსხვავება მდგომარეობს მასში, რომ მეორე სხეულში ხუთჯერ მეტი ჟანგბადია, ვიდრე პირველში და ორივეს შორის კიდევ იმყოფება სხვა აზოტის მჟავები (окись) (NO, N_2O_3, N_2O_7), რომლებიც ყველა თვისებრივად განსხვავდებიან ორივე მათთაგან და ერთმანეთისაგან“ [2].

ასეთია ნიმუშები ქიმიიდან, რომელიც მოჰყავს ენგელსს რაოდენობის თვისობრივობაში გადასვლის კანონის საილუსტრაციოდ. ენგელსი სთვლის, რომ ამ კანონს აქვს უდიდესი მნიშვნელობა თვით ქიმიურ ელემენტებისათვის. მენდელეევის მიერ აღმოჩენილი და დამუშავებული ელემენტების პერიოდული სისტემა გვიჩვენებს, რომ ელემენტების თვისობრივობა და მათი ადგილი სისტემაში პირობადებულია მათი ატომური წონის რაოდენობით.

ამრიგად მოვლენათა რაოდენობითი ცვლილებანი ატარებენ გარკვეულ საზღვრამდე თავისი თვისობრივობით ერთისადაიმავე საგნის განუწყვეტელი ზრდის ხასიათს. საგანი, იცვლება რა რაოდენობრივად ერთისადაიმავე ზომის ფარგლებში, რჩება იმავედ, როგორიც ის არის. მხოლოდ თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, განსაზღვრულ პირობებში საგანი ჰკარგავს თავის წინან-

[1] ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 127.
იქვე.

დელ თვისობრივობას და იქცევა სხვად,ახლად თავისი თვისობრივობით. ერთი თვისობრივობის მეორეში გადასვლა, წინააღმდეგ ცვლილებათა განუწყვეტელი რაოდენობითი პროცესისა, სწარმოებს არა თანდათან, არამედ ნახტომებით. საგანი, იქცევა რა ახალ თვისობრივობად, იჩენს მხოლოდ თავის მრავალსხვაობით თვისებებსა და მხარეებს, თავისი თვისობრივობით კი რჩება იმავე საგნად, სანამ მოპირისპირე მხარეების ბრძოლას არ მიჰყავს იგი თვისობრივობის შეცვლამდე. განუწყეტელი პროცესის ნახტომი, შეწყვეტა არის სწორედ ერთი თვისობრივობის მეორეში გადასვლის მომენტი.

მოვლენის მარტოოდენ რაოდენობითი განუწყვეტელი ცვლილება ვერასოდეს ვერ მიგვიყვანს ახალ მოვლენათა წარმოშობამდე. მარტოოდენ განუწყვეტელ ცვლილების აღიარებას თან სდევს საშყაროში თავისი თვისობრივობით ახალ მოვლენათა წარმოშობის შესაძლებლობის უარყოფა. ეს კი იქნებოდა მომასწავებელი ვმდგარიყავით იმ საგანთა უცვლელობის თვალსაზრისზე, რომელნიც, რაკი ერთხელვე ჩნდებიან, მოძრაობენ ამდენადვე უცვლელ წრეში. სწორედ ასევე უსაფუძვლო იქნებოდა მოვლენათა მარტოოდენ თვისობრივი განვითარების აღიარებაც. მარტოოდენ თვისობრივი გადასვლები სათანადო რაოდენობითი ცვლილებების გარეშე იქნებოდა მოვლენათა ცვლილებების სხვადასხვა ფაზისებს შორის ისტორიული კავშირის უარყოფა.

განვითარების დიალექტიკური კონცეპცია, ევოლუციის ეულგჯრულ თეორიისაგან განსხვავებით, აღიარებს გარემომცველ ქვეყნიერების მოვლენათა ცვლილებების ნახტომისებურ, წყვეტილობითი ბუნებას. ნახტომი, ერთი თვისებიდან მეორეში გადასვლა, მზადდება არა უცებ, არამედ საგნის თანდათანობითი ცვლილების პროცესში. და ამ თანდათანობით ცვლილებაში თავიდანვე იმყოფება იმ შეწყვეტის, ნახტომის შესაძლებლობა, რაც ხდება მაშინვე, როგორც კი საკმაოდ მომწიფდება თითოეული შემთხვევისათვის აუცილებელი პირობები.

რაოდენობის თვისობრივობაში გადასვლისა და თვისობრივობის რაოდენობაში გადასვლის კანონი იწვევს განსაკუთრებულ სიძულვილს მარქსიზმის მტრების მხრივ, ყველა ჯურის რეფორმისტებისა და ოპორტუნისტების მხრივ, ვინაიდან ეს კანონი, გამოყენებული საზოგადოებრივი ცხოვრების დარგში, მოასწავებს საზოგადოების რევოლუციურად შეცვლის აუცილებლობის აღიარებას, ერთი საზოგადოებრივი ფორმაციიდან მეორეში გადასვლის დროს ნახტომის აუცილებლობის აღიარებას. რეფორმისტები და სოციალ-ფაშისტები, აცლიან რა მარქსიზმს რევოლუციურ შინაარსს, ატარებენ იმ თვალ-

საზრისს, რომ სოციალიზმში გადასვლა სრულებით არაა სავალდებულო რევოლუციის საშუალებით, პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით, რომ დემოკრატიის უბრალო რაოდენობითი განვითარება თავისთავად მიგვიყვანს სოციალიზმთანო. ჰიტლერის ფაშიზმმა თვალნათლად გვიჩვენა, თუ საით მივყევართ დემოკრატიის განვითარებას, გვიჩვენა კაპიტალისტური საზოგადოების „თანდათანობითი რეფორმის“ საკითხში სოციალ-ფაშისტურ „თეორიულ“ ნათხზავთა მთელი ღირებულება.

საბჭოთა პირობებში მატერიალისტური დიალექტიკის მოძღვრებას თვისობრივობის და რაოდენობის შესახებ რევიზიას უკეთებენ მექანისტები და მომენშევიკო იდეალისტები.

მექანისტური მსოფლმხედველობის მომხრენი განმარტავენ „ყოველ ცვლილებას ადგილის ცვლილებით, მთელ თვისობრივ განსხვავებას რაოდენობით და ვერ ამჩნევენ, რომ დამოკიდებულება თვისობრივობასა და რაოდენობას შორის ურთიერთობითია, რომ თვისობრივობა ისევე გადადის რაოდენობაში, როგორც რაოდენობა თვისობრივობაში, რომ აქ არის ურთიერთზემოქმედება“ [1].

გვაძლევს რა მექანისტური მსოფლმხედველობის ბრწყინვალე უარყოფას, ენგელსი გვიჩვენებს, რომ თუ ჩვენ „თვისობრივობის მთელ განსხვავებებსა და ცვლილებებს დავიყვანთ რაოდენობითი განსხვავებებამდე და ცვლილებებამდე, მექანიკურ გადანაცვლებამდე, მაშინ ჩვენ აუცილებლად მივდივართ დებულებამდე, რომ მთელი მატერია შესდგება მსგავს უმცირეს ნაწილაკებისაგან და რომ მატერიის ქიმიური ელემენტების მთელი თვისობრივი განსხვავება გამოწვეულია რაოდენობითი განსხვავებით რიცხვსა და სივრცობრივ დაჯგუფებაში ამ უმცირეს წილაკების ატომებში გაერთიანების დროს“ [2]. მაგრამ ასეთ შემთხვევაში იჭრება კითხვა, სადაა მიზეზი იმ მრავალსახეობის, იმ მრავალთვისობრივობისა, რასაც ჩვენ ვხედავთ ბუნებაში? მექანისტებს ამ კითხვაზე არ შეუძლიათ პასუხის გაცემა ისე, თუ არ ჩავარდენ უნუგეშო მეტაფიზიკის ჭაობში. ასე, მაგალითად, თანამედროვე მექანისტები უარყოფენ მოძრაობის ყველა ფორმების თვისობრივ თავისებურებას, დაჰყავთ იგი მექანიკურ მოძრაობამდე და ამ უკანასკნელით ხსნიან გარემომცველ სინამდილის ყველა მოვლენებს.

მექანისტების მიერ უარყოფა იმისა, რომ თვისობრივობანი ატარებენ ობიექტურ ხასიათს, იწვევს როგორც თავის აუცილებელ შედეგს მოვლენის ნატომისებურ განვითარების უარყოფას. მართლაც, თუ გარემომცველ ქვეყნიერების საგნები შეიძლება განისაზღვროს მხო-

[1] ენგელსი, ბუნების დიალექტიკა გვ. 81.
[2] იქვე.

ლოდ რაოდენობითი მხრივ, მაშინ მათი განვითარება შეიძლება მდგომარეობდეს მარტოოდენ რაოდენობითი გადიდებასა ან შემცირებაში, და არა ერთი თვისობრივობის მეორეში გადასვლაში, როგორც გვასწავლის განვითარების დიალექტიკური კონცეპცია. ამიტომაა, რომ, მექანისტები არიან იმ დიდი ხნით დრომოჭმულ და, მაშასადამე, ამჟამად რეაქციულ ეულგარულ ევოლიციური თეორიის რესტავრატორები, რომელსაც განვითარება დაჰყავს გადიდებამდე ან შემცირებამდე და უარყოფს ნახტომებს.

ევოლუციის ეულგარული თეორია, რომელიც უარყოფს განვითარების ნახტომისებურ ხასიათს და ერთი თვისობრივობის მეორეში გადასვლას, არის რევიზიონიზმის თეორიული საფუძველი. რევიზიონიზმის მამამთავარი ბერნშტეინი, თავის დროზე გამოდიოდა რა ამ თეორიიდან, ქადაგებდა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის კლასობრივ წინააღმდეგობათა შენელებას, უარყოფდა კაპიტალიზმის დაცხობის აუცილებლობას და პროლეტარული რევოლუციის აუცილებლობას. თანამედროვე სოციალ-ფაშისტები ასაბუთებენ თავიანთ ტაქტიკას ევოლუციის ეულგარული თეორიით, აყენებენ რა მას პროლეტარული რევოლუციის მოძღვრების წინააღმდეგ. პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ევოლუციის ეულგარული კონცეპცია წარმოადგენს კლასობრივ ბრძოლის ჩაქრობისა და კულაკის სოციალიზმში შეზრდის მემარჯვენე ოპორტუნისტული თეორიის მეთოდოლოგიურ საფუძველს. თანამედროვე მექანისტების რეაქციური შეხედულებანი ფილოსოფიურ დასაბუთებას აძლევენ მემარჯვენე ოპორტუნისტულ დასკვნებს.

მექანისტების წინააღმდეგი მომენშევიკო იდეალისტები სიტყვით აღიარებენ თვისობრივობის და რაოდენობის ერთიანობის და თვისობრივობის ობიექტურ ხასიათს. მაგრამ ისინი ამ კატეგორიებს, როგორც ყველა დანარჩენთ, აქცევენ ნამდვილ ქვეყნიერებისაგან მოწყვეტილ აბსტრაქტულ ფორმულებად და წმინდა ლოგიკურ კატეგორიებად. თვისობრივობის და რაოდენობის კატეგორიების საერთოდ მათი კონკრეტული, მატერიალურ შინაარსიდან მოწყვეტაში მდგომარეობს რაოდენობის თვისობრივობაში გადასვლისა და პირუკუ გადმოსვლის კანონის იდეალისტური გაგება. აძლევენ რა თვისობრივობის და რაოდენობის ცნებებს თვითმყოფ დამოუკიდებელ მნიშვნელობას, მომენშევიკო იდეალისტებს გამოჰყავთ წმინდა ლოგიკური გზით რაოდენობის თვისობრივობაში გადასვლა და პირუკუ, სთვლიან რა შესაძლებლად განიხილონ გადასვლის ყოველი კონკრეტული შემთხვევა პირობებისა, დროისა და ადგილისაგან დამოუკიდებლად.

III. უარყოფის უარყოფის კანონი

უარყოფის უარყოფის კანონი დიალექტიკის ერთ ფრიად ზოგად და ფართოდ მომქმედ კანონს და ამასთანავე მისი ძირითადი კანონის წინააღმდეგობათა ერთიანობის კონკრეტიზირებას წარმოადგენს. ჰეგელისათვის უარყოფის უარყოფა არის მთელი მისი ფილოსოფიური სისტემის აგების ძირითადი კანონი. მატერიალისტურ დიალექტიკაში უარყოფის უარყოფას აქვს იმდენად დიდი და საერთო მნიშვნელობა ბუნების, ადამიანთა საზოგადოებისა და აზროვნების განვითარებაში, რომ ენგელსი აკუთვნებს მას — წინააღმდეგობათა ერთიანობის კანონთან და რაოდენობის თვისობრივობაში გადასვლისა და პირუკუ გადმოსვლის კანონთან ერთად — დიალექტიკის ყველაზე უფრო ზოგად კანონებს.

უარყოფის უარყოფის კანონის მარქსისტული გაგების შემდგომ განვითარებასა და მის მნიშვნელობას მატერიალისტური დიალექტიკისათვის გვაძლევს ჩვენ ლენინი დიალექტიკური მოძღვრების დახასიათებაში განვითარების შესახებ. „განვითარება, — ამბობს ის, — რომელიც თითქოს იმეორებს უკვე განვლილ საფეხურებს, მაგრამ იმეორებს სხვანაირად, უფრო მაღალ საფუძველზე („უარყოფის უარყოფა"), რომელიც, ასე ვთქვათ, სპირალის გზით ხდება და არა პირდაპირი ხაზით" [1].

მეორე ადგილას, ჩამოთვლის რა დიალექტიკის ელემენტებს, ლენინი მიუთითებს აგრეთვე: „ცნობილ ნიშნების, თვისებების etc. განმეორებას დაბალისა უმაღლეს სტადიაში და თითქოს დაბრუნებას ძველისადმი (უარყოფის უარყოფა)" [2].

დაპირისპირებულებათა ერთიანობა, მათი ურთიერთ გამსჭვალვა და მათი ბრძოლა ააშკარავებენ თვითმოძრაობის, განვითარების, მის შინაგან მამოძრავებელ ძალების წყაროს, შინაგან იმპულსს განვითარებისაკენ, რასაც იძლევა წინააღმდეგობა. რაოდენობის თვისობრივობაში გადასვლის კანონი გვიჩვენებს თვით განვითარების პროცესს, მის თვისობრივად თავისებურ საფეხურებს, ამ განვითარების ნახტომისებურ, რევოლუციურ მიმდინარეობას — თანდათანობითობის შეწყვეტებით და თვისობრივობისა და რაოდენობის განუწყვეტელი ურთიერთდამოკიდებულებით. „უარყოფის უარყოფა" კიდევ უფრო აღრმავებს ჩვენს გაგებას განვითარების პროცესის შესახებ. ლაპარაკობს რა განვითარებაში უარყოფის უარყოფაზე, მატერიალისტური დიალექტიკა ხაზს უსვამს, რომ განვითარებაში დაცულია განსაზღვრული თანმიმდევრობა, მოძრაობა სხვადასხვა საფეხურებსა, სტადიებსა

[1]) ლენინი, კარლ მარქსი, ტ. XVIII, გვ. 11. ხაზგასმულია ჩვენ მიერ. — ავტ.

[2]) „ლენინის კრებული" IX, გვ. 277. ხაზგასმულია ჩვენ მიერ. — ავტ.

და ეტაპებს შორის. ამასთანავე განვითარების მიმდინარეობა არის არა სწორხაზოვანი, არამედ ზიგზაგისებური, წინააღმდეგობითი, და ერთი სტადიიდან მეორეზე გადასვლის დროს აუცილებელია მძაფრი მოსახვევნი, ასე რომ საგნის ან მოვლენის შინაგან წინააღმდეგობათა განვითარება იწვევს თითოეულ შემდგომ საფეხურზე მათ გადასვლას თავიანთ წინააღმდეგობაში.

ამ წინააღმდეგობით განვითარებაში თითოეული დაბალი საფეხური განვითარებისა თვით ამზადებს პირობებს საკუთარი თვითუარყოფისათვის, საკუთარი გადასელისათვის მოპირისპირე, ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე; ეს უარყოფა — თითოეული შემდგომი სტადიის დაძლევა წინანდელის მიერ — ჰქმნის შინაგან კავშირს ორთავე სტადიებს შორის, ნიშნავს განვლილი განვითარების დადებითი შედეგების შენარჩუნებას ახალ საფეხურზე.

ახალ წინააღმდეგობაში, შემდგომი, მესამე საფეხურზე გადასვლის დროს განვითარება თითქო იმეორებს დაბალი, პირველი საფეხურის განსაზღვრულ ნიშნებსა და თვისებებს, თითქო უბრუნდება პროცესის გამოსავალ წერტილს, მაგრამ ამასთანავე ამდიდრებს მას შემდგომი განვითარების შედეგებით, ისევ წარმოშობს ამ განმეორებულ თვისებებს უფრო მაღალ საფუძველზე, და განვითარების მთელი პროცესი მთლიანად მიმდინარეობს შემაერთებელ და გამყოფელ წრეებით სპირალის მიხედვით. რამდენადაც განვითარების ყოველი მეორე საფეხური არის პირველი საფეხურის უარყოფა, ხოლო ახალი, მესამე სტადია თავის მხრივ „უარყოფს“ მეორე საფეხურს, მთელი განვითარება წარმოგვიდგება როგორც უარყოფის უარყოფა. ასეთია, მოკლედ რომ ვთქვათ, ის მდიდარი შინაარსი, რასაც მარქსიზმ-ლენინიზმი უარყოფის უარყოფის ცნებაში ათავსებს.

ხშირად გვიხდება შეჯახება შემცდარ წარმოდგენასთან, როდესაც უარყოფის უარყოფაში ხედავენ განვითარების იშვიათ შემთხვევებს და დიდი სიძნელით პოულობენ მის ნიმუშებს. ამავე დროს უარყოფის უარყოფა, როგორც ენგელსი აღნიშნავს, არის ბუნების, საზოგადოების და ადამიანთა აზროვნების განვითარების ფრიად ზოგადი და ფართოდ მომქმედი კანონი, კანონი, რომელიც აქვს განვითარების თითოეულ პროცესს. მარცვალი,—მოჰყავს ენგელსს ცნობილი მაგალითი, — ჩაგდებული მიწაში, თავისი განვითარების ნორმალურ პირობებში იქცევა თავის უარყოფად — თავთავად, რაც, ახლად შობს რა მარცვალს დიდი რაოდენობით და ხშირად ხარისხობრივადაც გაუმჯობესებულს, თითქო გამომავალ წერტილთან დაბრუნებას ნიშნავს. მაგრამ ხომ ამგვარადვე სწარმოებს ხის, ყოველი მცენარის,

ყოველი მწერის, ყოველი მცენარული და ცხოველური ორგანიზმის განვითარება. ადამიანის ზრდა და მისი სქესობრივი მომწიფება, ქალის ორსულობა, ახალი შშობიარობანი და ახალი ადამიანის განვითარება, რაც ექვემდებარება მემკვიდრეობის განსაზღვრულ კანონებს, — განა ყველა ამ მოვლენებში არ შეიძლება დავინახოთ ძველის უარყოფის იმავე დიადი და საყოველთაო კანონის გამოვლინება და ამ ძველისაგან ა ხ ა ლ ი ს, წარმოშობა, შემდეგ ახალი უარყოფა, რომელიც შობს ამა თუ იმ მხრივ ძველის განსაზღვრულ თვისებებს ხარისხობრივად უფრო მაღალ საფუძველზე? ენგელსი სამართლიანად მიუთითებდა, რომ უარყოფის უარყოფას ადგილი აქვს არაორგანიულ ბუნებაშიაც, მაგალითად, მიწის კანის განვითარების პროცესებში და სხვ.

უარყოფის უარყოფის კანონი პოულობს თავის გამოხატულებას ადამიანთა საზოგადოების განვითარებაშიაც. მარქსი და ენგელსი ამ თვალსაზრისით იხილავენ სოციალისტური საზოგადოების ისტორიულ მომზადებას, ხედავენ რა მასში მთელი წარსულის ნაყოფს — „უარყოფილ“ და „დაძლეულ“ ისტორიულ განვითარებას. ასეთია საკუთრების ისტორიული განვითარება — მიწაზე პირველყოფილ თემურ საკუთრებიდან მიწის კერძო საკუთრებაზე გადასვლა და — ამ უკანასკნელის ახალი უარყოფა — საზოგადოებრივი საკუთრებით მიწაზე სოციალიზმის დროს; ასეთია საგვარეულო საკუთრებიდან გვარეულობათა გაერთიანების გზით ანტიურ „კოლექტიურ კერძო საკუთრებაზე“ გადასვლა, ხოლო შემდეგ ინდივიდუალურ საკუთრებაზე, რის შემდეგაც კვლავ იწყება კერძო საკუთრების კონცენტრაცია.

მარქსმა „კაპიტალში“ უარყოფის უარყოფის გზით დასკვნა გაუკეთა „კაპიტალისტური დაგროვების“ ძირითად ისტორიულ „ტენდენციას“. მარქსი გვიჩვენებს, რომ საკუთარ შრომაზე დამყარებული წვრილი წარმოება და კერძო საკუთრება თვით ამზადებენ თავიანთი უარყოფის პირობებს, თავიანთ მოსპობას. უშუალო მწარმოებელთა ექსპროპრიაცია არის „ინდივიდუალური და დაქსაქსული წარმოების იარაღების გადაქცევა საზოგადოებრივ-კონცენტრირებულად“, მაგრამ იგი ეკუთვნის კაპიტალისტს. წარმოების კაპიტალისტურ წესის გამარჯვებასთან ერთად შრომისა და წარმოების საშუალებათა შემდგომი განსაზოგადოება იღებს სხვა ფორმას. წარმოების კაპიტალისტური წესის თვით იმანენტური კანონები — კაპიტალების კონცენტრაციის, შრომის პროცესის კოოპერატიული ფორმების განვითარებისა და წარმოების საშუალებების ისეთებად გადაქცევის გზით, რომელნიც შეიძლება მოხმარებული იქნან მხოლოდ საზოგადოებრივად, იწვევს რა სიღატაკის, ექსპლოატაციისა და აღშფოთების ზრდას, მუდმივად

მხარდ მუშათა კლასისა, რომელსაც წრთვნის, აერთიანებს და ორგანიზაციულად აკავშირებს წარმოების თვით კაპიტალისტური პროცესის მექანიზმი, — ამზადებენ ახალ უარყოფას: ექსპროპრიატორების ექსპროპრიაციას, კაპიტალიზმის მოსპობას. სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი საკუთრება წარმოების საშუალებებზე ჰარმონიულად ესაბამება ინდივიდუალურ საკუთრებას მოხმარების საშუალებებზე.

ისტორიული განვითარების იგივე დიალექტიკა იღებს ნათელ გამოხატულებას გარდამავალ პერიოდში.

დაბოლოს ადამიანის აზროვნების სფეროშიაც არაა ძნელი შევამჩნიოთ განვითარების იგივე საფეხურები. ლენინი სახავდა ფილოსოფიური აზრის განვითარების მიმდინარეობას „წრეების" სახით, თანვე მიუთითებდა, რომ აქ საქმე არის არა ზუსტ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაში, არამედ აზროვნების განვითარების ძირითადი ხაზების გამომჟღავნებაში: ჰოლბახის მატერიალიზმი, შემეცნების შესაძლებლობის უარყოფა ჰიუმისა და კანტის მიერ, ამ უარყოფის უარყოფა ჰეგელის იდეალისტურ დიალექტიკაში: ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკა, ფეიერბახის მიერ მეტაფიზიკურ მატერიალიზმისაკენ დაბრუნება, უარყოფის უარყოფა მარქსის მატერიალისტურ დიალექტიკაში, რომელიც თითქო „იმეორებს" ჰეგელის დიალექტიკას, მაგრამ ხელახლა ამუშავებს მას და ამდიდრებს მატერიალისტური შინაარსით. ანალოგური სტადიები შეიძლება შევამჩნიოთ მარქსიზმის განვითარებაშიაც: მარქსისა და ენგელსის ეპოქის მარქსიზმი და მისი გამარჯვება სხვა იდეოლოგიებზე მუშათა მოძრაობაში, ბურჟუაზიული იდეოლოგიის „მარქსისტულ" სამოსელში გახვევა და მარქსიზმის დამახინჯება მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტების მიერ, ლენინის მიერ ოპორტუნისტებთან ბრძოლაში მარქსისა და ენგელსის მოძღვრების აღდგენა და მისი შემდგომი განვითარება უფრო მაღალ საფეხურზე. აქაც განვითარების იგივე რიტმია — წინანდელი საფეხური ასე თუ ისე ამზადებს გადასვლას მოპირისპირე მხარისაკენ და შემდეგ ახალ უარყოფისაკენ, თითქო გამოსავალ წერტილისადმი დაბრუნებისაკენ, მაგრამ უფრო მაღალ საფუძველზე.

თავისთავად ცხადია დიალექტიკის ამ კანონის კავშირი დაპირისპირებულებათა ერთიანობის კანონთან. დაპირისპირებულებათა ერთიანობის თითოეულ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია მოვლენის დამახასიათებელ წინააღმდეგობითი ტენდენციებს შორის გამოვყოთ დადებითი მომენტი, რომელიც ამტკიცებს მოცემულ მოვლენას, ხელს უწყობს მის წინააღმდეგობათა დროებითი, პირობითი ერთიანობის შენარჩუნებას, და მეორე მომენტი — უარყოფითი, რომლის განვითარებაც იწვევს დაპირის-

პირებულებათა ბრძოლას, მოცემული ფორმის დაძლევას, წინააღმდეგობის გადაწყვეტას. მარცვალში მის შემქმნელ საკვებ ნივთიერებას გარდა არის მომავალი მცენარის ჩანასახიც, რომელიც თავისი ზრდის მიხედვით ითვისებს ამ საკვებ ნივთიერებას; წვრილი საქონლისმწარმოებლის კერძო საკუთრებაში უკვე მოცემულია მომავალი კაპიტალისტური საკუთრების დასაწყისი — მისი უარყოფა. განვითარების უარყოფითი მომენტი იმყოფება შინაგან კ ა ვ შ ი რ შ ი დადებით მომენტთან. განვითარებაში მყოფ საგნის ძველი დადებითი შინაარსი ამაოდ უარყოფილი როდია, იგი მთლიანად არ ისპობა მისი უარყოფის პროცესში: იგი წარმოადგენს წ ი ნ ა პ ი რ ო ბ ა ს ა ც და იმ მასალასაც, რომელიც უნდა გადამუშავებული და შ ე თ ვ ი ს ე ბ უ ლ ი იქნას განვითარების ახალი ეტაპის მიერ, რომელმაც უნდა გამოიყენოს მასში ყოველივე ის ღირებული და სასიცოცხლო, რაც მას წინ ამოძრავებს.

უარყოფა დიალექტიკაში, როგორც უკვე ვიცით, სრულებითაც არ არის შიშველი, ამაო, უშინაარსო უარყოფა. დიალექტიკური უარყოფა არ არის აგრეთვე ს კ ე პ ტ ი კ უ რ ი უარყოფა, ყველაფერს რომ ეპვის ქვეშ აყენებს და არავითარ კონკრეტულს არ ემყარება, რაც დამახასიათებელია სუბიექტივიზმისათვის, რელატივიზმისათვის, სოფისტიკისა და ეკლექტიკისათვის. უარყოფა არის დ ა ძ ლ ე ვ ა ანუ, როგორც ჰეგელი ამბობს, განვითარების წინანდელი, ძველი საფეხურის მ ო ხ ს ნ ა, ე. ი. მისი უარყოფა წინანდელი განვითარების მიერ შექმნილი მთელი დადებითის შენარჩუნებით. უარყოფა — ესაა განვითარების მამოძრავებელი მომენტი; იგი არის ის „ბოროტება“, რომელსაც, მარქსის სიტყვით, „მივყევართ წინ“. მაგრამ სწორედ ამით მოცემული მოვლენის დადებითი შინაარსი, რომელიც შემდეგ განვითარებაში უარიყოფა, არა მარტო თვით ამზადებს თავის უარყოფას, არამედ გარკვეული აზრით თვით შ ე მ ო ი ნ ა ხ ე ბ ა უარყოფილში, დაიძლევა, გადამუშავდება მასში, გადადის თავის უარყოფაში უფრო მაღალ საფეხურზე.

უარყოფაში ამრიგად არ არის იოტის ოდენი სუბიექტივიზმი ან შიშველი სკეპტიციზმი. უარყოფა არის განსაზღვრული მომენტი, ობიექტური განვითარების ეტაპი, რომელიც მოითხოვს განსაზღვრულ პასუხსა და განსაზღვრულ მოქმედებას.

ხაზს უსვამდა რა უარყოფითის ერთიანობას, კავშირს დადებითთან, ამ დადებითის პოვნას უარყოფითში, ლენინი სწერდა: „არა შიშველი უარყოფა, არა უბრალო უარყოფა, არა ს კ ე პ ტ ი კ უ რ ი უარყოფა, მერყეობა და ეპვი არის დამახასიათებელი და არსებითი დიალექტიკაში, რომელიც უეჭველად შეიცავს უარყოფის ელემენტს

და ამასთანავე როგორც თავის უმნიშვნელოვანეს ელემენტს, — არა, არამედ უარყოფა როგორც კავშირის მომენტი, როგორც განვითარების მომენტი, დადებითის შენარჩუნებით, ე. ი. ყოველგვარი მერყეობის გარეშე, ყოველგვარი ეკლექტიკის გარეშე"[1].

განვითარება უარყოფის მეშვეობით არის მხოლოდ განვითარების სხვა გამოხატულება ურთიერთგამსჭვალვის მეოხებით და დაპირისპირებულთა ბრძოლით. უარყოფის უარყოფა არის იმავე კანონის შემდგომი კონკრეტიზირება ამ განვითარების მთელ რიგ სტადიაში.

თუ რაოდენობის თვისობრივობაში გადასვლა გვიხსნის ახალ თვისობრივობათა წარმოშობას, უარყოფის უარყოფა გვიჩვენებს, თუ როგორ წარმოიშობა ძველისაგან ეს ახალი თვისობრივობა თვითუარყოფის გზით, გვიშლის შინაგან კავშირს ახალსა და ძველს შორის როგორც განვითარების თანმიმდევრობით საფეხურებს. მხოლოდ დიალექტიკის ყველა კანონების შეგნებული გამოყენება მთლიანად შლის ჩვენს წინაშე ახლის პრობლემას, განვითარების პრობლემას, რევოლუციის პრობლემას.

უკეთებს რა რეზიუმეს განვითარების პროცესს „უარყოფის უარყოფის" ფორმულაში, მატერიალისტური დიალექტიკა გამოყოფს მასში სამ უმნიშვნელოვანეს საფეხურს: ამოსავალ წერტილს, უარყოფის საფეხურს და მესამე — ამოსავალ წერტილში დაბრუნების უფრო მაღალ საფეხურს — უარყოფის უარყოფას. შეცდომა იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ უარყოფის ამ საფეხურით მთავრდება განვითარების პროცესი: განვითარებამ არ იცის საზღვარი, უარყოფის უარყოფა არა მარტო ამთავრებს წინანდელ განვითარების მსვლელობას, არამედ თავის მხრივ წარმოადგენს შემდგომი განვითარების, ახალ წინააღმდეგობათა წარმოშობის, ახალ „უარყოფის" გამოსავალ პუნქტს.

განვითარების სამი საფეხურის ეს გარეგნული ფორმა, ამოსავალ პუნქტისადმი დაბრუნებით, დიდი ხანია შემჩნეული იყო მთელი რიგი მოაზროვნეების მიერ. სამი თანმიმდევარი საფეხურის მიხედვით განვითარების იდეამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ჯერ კიდევ ეგრედწოდებულ ნეოპლატონიკების უძველეს მისტიურ-რელიგიურ ფილოსოფიაში. შემდეგ „წრეობრივ" განვითარებას ასწავლიდა გენიალური ჯ. ვიკო. ლენინი აღნიშნავს: „მოძრაობა ასტრონომიულიცაა და მექანიკურიც (მიწაზე), მცენარის, ცხოველებისა და ადამიანის ცხოვრებაც — ყოველივე ეს უნერგავდა კაცობრიობას თავში არა მხოლოდ

[1] „ლენინის კრებული" IX, გვ. 285. ხაზგასმულია ჩვენ მიერ. — ავტ.

მოძრაობის იდეას, არამედ სახელდობრ მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ა ს ა მ ო ს ა ვ ა ლ პ უ ნ ქ ტ თ ა ნ დ ა ბ რ უ ნ ებ ი თ, ე. ი. დიალექტიკურ მოძრაობისას“ [1].

ჰეგელმა გამოხატა ის თავის ცნობილ „ტ რ ი ა დ ა შ ი“ — თეზისი (დებულება), ანტითეზისი (საწინააღმდეგო დებულება), სინთეზი (ერთიანობა) — ერთსადაიმავე დროს ორთავე დებულების უარყოფა და შენარჩუნება. ჰეგელის მიხედვით „ტრიადის“ ფორმაში სწარმოებს სულის (дух) თვითგანვითარება, თითოეული ლოგიკური კატეგორიის თვითგანვითარება. ამ ტრიადული სქემის თანახმად ჰეგელი წმინდა აზროვნების გზით სძლევს, „ხსნის“ ცნებათა წინააღმდეგობებს, მაგრამ ობიექტურ სამყაროს რეალურ წინააღმდეგობათა ნამდვილ გადაწყვეტას ვერ აღწევს. „ტრიადის“ ერთიმეორის „უარისმყოფელი“ ლოგიკური საფეხურები დაკავშირებულია ჰეგელის მიერ ხელოვნურილოგიკური გადასვლებით, რომელნიც ვერ გამოხატავენ ნამდვილ მატერიალურ, ბუნებრივ-ისტორიულ და საზოგადოებრივ-ისტორიულ კავშირს.

ყველა ჯურის რევიზიონისტები დიდი ხანია სდებენ ბრალს მარქსისტულ დიალექტიკას იმაში, რომ იგი თითქო რეალურ განვითარებას უქვემდებარებს ჰეგელის „ტრიადის“ სქემას: კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ასეთი წმინდა სქოლასტიური გზით, ყოველგვარ სხვა დამამტკიცებელ საბუთს გარეშე, მარქსისტები თითქო მიისწრაფიან დაასაბუთონ ისტორიული განვითარების წინააღმდეგობით საესე მიმდინარეობა და რევოლუციის აუცილებლობა. ასეთი ბრალდებით მარქსის „კაპიტალის“ მიმართ, მისი ცნობილი თავისა კაპიტალისტური დაგროვების კანონის შესახებ, ჯერ კიდევ მექანისტი დიურინგი გამოვიდა; ამ ცილისწამებას მარქსიზმის მიმართ იმეორებდენ შემდეგ, რუსი ნაროდნიკები — ნ. მიხაილოვსკის ჯურის და სხ.

ენგელსმა დიურინგის კრიტიკაში მოგვცა ბრწყინვალე პასუხი ყველა ამგვარ ბრალდებებზე. ენგელსმა ხაზი გაუსვა, რომ მარქსი ა რ ა ფ ე რ ს ა რ ა მ ტ კ ი ც ე ებ ს უარყოფის უარყოფის დახმარებით, არამედ მხოლოდ რეზიუმეს უკეთებს, აჯამებს ამ საერთო დიალექტიკურ ფორმულირებაში მის მიერ ხანგრძლივად და გულდასმით შესწავლილ კაპიტალიზმის განვითარების ნამდვილ კონკრეტულ ისტორიულ პროცესს და მის ისტორიულ ტენდენციას, რამაც ჰპოვა თავისი გამოხატულება „კაპიტალის“ მთელ უდიდეს მასალაში. მხოლოდ კონკრეტულ ისტორიულ შესწავლის მეოხებით, რომელიც დადასტურებულია უდიდესი ფაქტიური მასალით, მარქსი დამატებით ახასიათებს ამ პროცესს როგორც მიმდინარეს განსაზღვრული დიალექტი-

[1] „ლენინის კრებული“. XII, გვ. 301. ხაზგასმულია ჩვენ მიერ. ა ვ ტ.

კური კანონის მიხედვით. ვაღწევთ რა სულ სხვადასხვანაირ მოვლენების უარყოფის უარყოფის ერთ საყოველთაო ფორმულაში გამოხატვას — მიუთითებდა ენგელსი — ჩვენ ამით ჯერ კიდევ არაფერს არ ვამბობთ განვითარების ყოველი ცალკეული პროცესის თავისებურებებზე. ამავე დროს საჭიროა უარყოფა არა უბრალოდ, არამედ ისე, რომ პირველი და მეორე „უარყოფებით“ გამოიხატოს ნამდვილი განვითარება. „უარყოფის წესი აქ განსაზღვრულია ერთი — პროცესის ზოგადი და მეორე — მისი განსაკუთრებული ბუნებით“ [1]. განვითარების ყოველი ცალკე შემთხვევის მხოლოდ კონკრეტულ, ყოველმხრივ შესწავლას, ფაქტიურ მასალებზე დამყარებით, შეუძლია მოგვცეს ამ პროცესის ყველა თავისებურების და წინააღმდეგობითი საფეხურების იმდენად ღრმა გაგება, რომ შესაძლებელი ხდება დახასიათებული იქნას ეს განვითარება ამათუიმ თავისებურ მიმართებაში როგორც ზოგადი კანონის მიხედვით მიმდინარე უარყოფის უარყოფა.

ლენინიც ასევე გადაჭრით უარყოფს ნაროდნიკების ბრალდებას მარქსისტებისადმი, რომ მათ თავისი მტკიცებანი დაჰყავდათ ჰეგელის „ტრიადამდე“ და „უდაო“ დიალექტიკურ სქემამდე. ლენინი განუმარტავს მიხაილოვსკის, რომ თვით ტერმინი „უარყოფის უარყოფა“ მარქსისა და ენგელსისათვის არის მხოლოდ „გამოთქმის საშუალება“, იგი მიუთითებს მატერიალისტური დიალექტიკის ისტორიულ წარმოშობაზე, რასაც ერთ თავის წყაროთაგანად ჰქონდა ჰეგელის დიალექტიკა. ლენინის სიტყვით „მარქსი თეორიის ერთად-ერთ კრიტერიუმად მის სინამდვილესთან სწორ შეფარდებას სთვლიდა. ხოლო თუ აღმოჩნდებოდა, რომ რომელიმე საზოგადოებრივი მოვლენის განვითარება ექვემდებარებოდა ჰეგელის სქემას: დებულება, უარყოფა — უარყოფის უარყოფა, აქ გასაკვირველი არაფერია, ვინაიდან ბუნებაში საერთოდ ეს იშვიათობას არ წარმოადგენს“ [2]. მხოლოდ განვითარების ჰეგელისებურ იდეალისტურად გაგების დროს, როცა სინამდვილის განვითარება დაქვემდებარებულია იდეის განვითარებისადმი, შეიძლება მსჯელობა „ტრიადის“ მნიშვნელობისა და დიალექტიკური პროცესის „აუცილებლობის“ შესახებ. ხოლო მარქსისტულ დიალექტიკაში „ტრიადისათვის სხვა ადგილი არ რჩება გარდა სახურის და ნაჭუჭის როლისა“ [3]. უარყოფის უარყოფის კანონის დედაარსი არის არა „ტრიადის“ გარეგან ფორმაში, არამედ იმ პროცესის თავისებურებათა კონკრეტულ შესწავლაში, რასაც აუცილებ-

[1] ენგელსი, „ანტი-დიურინგი“, გვ. 113. ხაზგასმულია ჩვენ მიერ. — ავტ
[2] ლენინი, — რანი არიან „ხალხის მეგობრები“, ტ. I. გვ. 134.
[3] იქვე, გვ. 84.

ლად მიჰყავს განვითარება მძაფრ მოსახვევებამდე, რომელნიც ამზადებენ მის „თვითუარყოფას“, ახლის ძველისაგან განვითარების თანმიმდევრობითი საფეხურების შესწავლაში, შეთვისებაში და გადამუშავებაში ძველისა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე.

კარგა ხნის შემდეგ ლენინი უმტკიცებდა ამხ. ბუხარინს, რომელიც ბოროტად იყენებდა სიტყვა „დიალექტიკურ უარყოფას“, რომ „არ შეიძლება მისი ხმარება ისე, თუ თავიდანვე ფრთხილად არ დაამტკიცე ის ფაქტებით“ [1]. ამავე დროს ლენინს აჰყავს ახალ საფეხურზე უარყოფის უარყოფის მარქსისტული გაგება, აყალიბებს რა მის კავშირს წინააღმდეგობათა ერთიანობის კანონთან, ხაზს უსვამს განვითარების აუცილებელ ეტაპების თანმიმდევრობას როგორც დიალექტიკური განვითარების დამახასიათებელ ნიშანს, განვითარების მიმდინარეობას „წრეობრივად“, სპირალის მიხედვით, აუცილებელი შემობრუნებებით, თითქო გამოსავალ პუნქტისადმი დაბრუნებებით, ააშკარავებს ახლის ძველისაგან განვითარების წინააღმდეგობითი გზას და ახლის კავშირს ძველთან ამ განვითარებაში.

შეისწავლა რა ჩვენი პარტიის განვითარების პროცესი და კერძოდ პარტიული ბრძოლა პარტიის მეორე ყრილობის მასალების ანალიზის საფუძველზე, ლენინმა გვიჩვენა, რომ პარტიული ბრძოლის განვითარება ექვემდებარება უარყოფის უარყოფის იმავე კანონს და მიმდინარეობს წინააღმდეგობათა გზით: უმცირესობა ყრილობაზე ხდება უმრავლესობად, უმრავლესობა — უმცირესობად; წესდების პირველი მუხლის გამო იდეური ბრძოლის გამოსავალი პუნქტი უარყოფილ'იქნა, დაუთმო რა ადგილი არაპრინციპიალურ საკითხებს, და ამის შემდეგ იწყება უარყოფის უარყოფა, იდეური ბრძოლის გამოსავალ პუნქტისადმი დაბრუნება; მაგრამ „თეზისი“ უკვე გამდიდრდა „ანტითეზისის“ ყველა შედეგებით და გადაიქცა უმაღლეს „სინთეზად“, როდესაც 1-ლი პუნქტის მიმართ სწორ თუ შემცდარ პოზიციას უკვე უკავშირდება შეხედულებათა ორი სხვადასხვა სისტემა, მეღაენდება პარტიის რევოლუციური და ოპორტუნისტული ფრთა. „ერთი სიტყვით — სწერდა ლენინი — არა მარტო ქერი იზრდება ჰეგელის მიხედვით, არამედ რუსი სოციალ-დემოკრატებიც იბრძვიან ურთიერთშორის ჰეგელის მიხედვით“ [2].

მაგრამ პარტიული ბრძოლის განვითარების წინააღმდეგობათა ეს აღიარება სრულებითაც არ ამართლებს პოლიტიკურ მოღვაწეთა სო-

---

[1] „ლენინის კრებული“ XI. გვ. 378.

[2] ლენინი, ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან, ტ. VI, გვ. 326 (რუსული გამოც.).

ფისტიკას, ეკლექტიზმს, ზიგზაგებს და პირად შეცდომებს. „ეშმარიტი დიალექტიკა კი არ ამართლებს პირად შეცდომებს, არამედ სწავლობს აუცილებელ მობრუნებებს, ამტკიცებს რა მათ აუცილებლობას განვითარების დაწვრილებით შესწავლის საფუძველზე მთელ მის კონკრეტობაში“ [1].

პარტიული ბრძოლის განვითარების გზებმა წინააღმდეგობათა საფუძველზე, განსაკუთრებული სიცხადით იჩინეს თავი გარდამავალ პერიოდში. კამენევისა და ზინოვიევის ანტიბოლშევიკურ, მენშევიკურ პოზიციასთან ბრძოლა ოქტომბრის წინადღით და ოქტომბრის პერიოდში, ბრძოლა „მემარცხენე“ კომუნისტებთან პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ბრესტის პერიოდში, ცეცხლის მიმართვა „მარცხნით“ ტროცკიზმის წინააღმდეგ აღდგენითი პერიოდში, შემდეგ მემარჯვენე ოპორტუნიზმის გადაქცევა უმთავრეს საფრთხედ სოციალისტური რეკონსტრუქციის ეპოქაში, შემდეგ მემარჯვენეთა და მემარცხენეთა „სინტეზი“ „მემარჯვენე-მემარცხენე“ ბლოკში და სხ. ამხ. სტალინი კვლავ ანვითარებს ლენინურ მოძღვრებას განვითარების წინააღმდეგობრივ პროცესის შესახებ, და გასავლელ საფეხურების თანამიმდევრობის, საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების წინააღმდეგობითი გზების შესახებ, კულტურის ნაციონალური ფორმისა და ინტერნაციონალური შინაარსის შესახებ და სხ.

მექანისტებმა წმინდა გარეგნულად გაიგეს უარყოფის უარყოფა, შეითვისეს იგი როგორც ჰეგელის „ტრიადა“, შეავსეს სხვა, მექანისტურ შინაარსით: ასე ამხ. ბუხარინმა უარყოფის უარყოფა დაიყვანა „წონასწორობის დარღვევამდე“ და შემდეგ ამ წონასწორობის ახალ „აღდგენამდე“, გარემო წრის პიროპებთან დამოკიდებულებით.

მომენშევიკო იდეალისტებმა შესცვალეს უარყოფის უარყოფა ეკლექტიკური სინტეზით, ძველის ნამსხვრევების შეერთებით: დიალექტიკური მატერიალიზმი, დებორინის მიხედვით, არის ჰეგელის დიალექტიკისა და ფეიერბახის მატერიალიზმის სინტეზი. მემარჯვენე ოპორტუნიზმის თვალსაზრისით მთელი გარდამავალი ეპოქა არის ოქტომბრის რევოლუციის მიერ დარღვეული, წონასწორობის აღდგენა; გასაკვირველი არაა, რომ ბუხარინის აზრით მთელი განვითარება სწარმოებს გეგმიანი ევოლუციის წესით, კლასობრივ წინააღმდეგობათა გარეშე, პროლეტარიატის დიქტატურის განჭკიცების საჭიროების გარეშე. ტროცკისტები ან „მემარცხენე“ ოპორტუნისტები აკეთებდენ ლოგიკურ „ნახტომებს“, არ იღებდენ რა მხედველობაში განვითარების აუცილებელ სტადიებს.

[1] ლენინი, ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან, ტ. VI. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

ვერც მემარჯვენეებმა და ვერც „მემარცხენეებმა“ ვერ გაიგეს ახალი, სოციალისტური საწარმოო ურთიერთობის წყობაში მისი განვითარების წინააღმდეგობითი გზები, ძველის როლი ახლის მიმართ პროლეტარული რევოლუციის განვითარებაში.

IV. არსება, მოვლენა, შინაარსი, ფორმა

წინა თავებში ჩვენ გამოვარკვიეთ მატერიალისტური დიალექტიკის ძირითადი კანონები. მაგრამ ამით სრულებითაც არ ამოიწურება მატერიალისტური დიალექტიკა როგორც მეცნიერება. აუცილებელია გამოვარკვიოთ, თუ რატომ ობიექტური ქვეყნიერების მეცნიერული შემეცნება მისი განვითარების კანონზომიერების შემეცნებაში მდგომარეობს; აუცილებელია ნაჩვენები იქნას, თუ როგორ მჟღავნდება ამ ობიექტურ ქვეყნიერების მოძრაობისა და განვითარების განსაკუთრებული ფორმების კანონებში მოვლენებისა და მასში წარმოებულ პროცესების არსობა. ამასთან დაკავშირებით ჩვენ უნდა შევჩერდეთ დიალექტიკის ისეთ მნიშვნელოვან კატეგორიებზე, როგორიცაა მოვლენა და არსობა.

საზოგადოებრივი ადამიანის პრაქტიკა, რომელიც მსოფლიოს გარდამქმნელია, წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელზედაც ვითარდება ჩვენი შემეცნება მოვლენათა შინაგანი კავშირისა, არ ისაზღვრება რა მათი გარეგნული ხილვადობით.

მეცნიერული შემეცნების ამოცანაა შეიჭრას საგანთა სიღრმეში, გამოააშკარავოს მათი შინაგანი კავშირი, რაც დაფარულია მათი გარეგნული, უშუალო ხილვადობით, გააღრმავოს ამ გზით ჩვენი შემეცნება საგანთა თვისობრივობისა, გამოამჟღავნოს სინამდვილის მოვლენების მიღმა მათი იგივეობა, აღმოაჩინოს მათში ყველაზე უფრო ზოგადი და მნიშვნელოვანი — მათი საფუძველი, მათი არსობა, მოვლენათა აუცილებელი კანონზომიერი კავშირი. საზოგადოებრივი ადამიანის ისტორიული პრაქტიკა, მატერიალური წარმოების პრაქტიკა და კლასობრივი ბრძოლა შობს და ამტკიცებს მეცნიერული შემეცნების ძირითად კატეგორიებს—არსობას, კანონზომიერებას, მიზეზობრივობას და სხ.

მეცნიერული შემეცნების ყველაზე უფრო ზოგადი და ძირითადი ცნება, რომელიც მიუთითებს შემეცნების საგანთა სიღრმეში შეჭრაზე,— ეს არის მათი შინაგანი კავშირის, მათი არსობის გაგება, რასაც უპირისპირდებიან უშუალო მოვლენები.

ცნება შინაგანი კავშირისა, მოვლენათა კანონზომიერებისა, მათი არსობისა, რომელიც იმალება უშუალო მოვლენათა მიღმა, თავს იჩენს

უკვე ადამიანის აზროვნების ისტორიის ადრინდელ საფეხურებზე, მაგრამ მხოლოდ თანდათანობით იღებს თავის მატერიალისტურ შინაარსს. უკვე ცხოველებს აქვთ, როგორც ენგელსი აღნიშნავს, ჩანასახი აბსტრაქციისა (წარმოდგენა შთამომავლობაზე) და ანალიზისა (კაკლის გატეხა). შრომის პროცესს, რომელიც ყოფს ადამიანთა საზოგადოებას ბუნებისაგან, მიჰყავს ადამიანი ბუნებაზე ბატონობამდე, „მისი კანონების გაგებისა და სწორად გამოყენების“ უნარიანობამდე; ანვითარებს მასში უნარს „წინასწარ განჭვრიტოს... და მოაწესრიგოს... ჩვეულებრივ საწარმოო პროცესების... შედეგები“[1]. ენგელსი სითბოს შესახებ მოძღვრების მაგალითზე გვიჩვენებს, თუ როგორ ნელა ვითარდება შინაგან კავშირთა და კანონზომიერებათა შემეცნება, რომელიც მომდინარეობს მრავალი საუკუნეებისა და ათასეული წლების შანძილზე. უკვე ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსები (ელეატები) მიისწრაფოდენ ეპოვნათ ყველა საგანთა არსობა. საშუალო საუკუნეებში არსობის ცნება იღებს მეტაფიზიკურ ხასიათს (მოძღვრება საგანთა უცვლელ „არსობათა“ შესახებ, „სტიქიების“ შესახებ და სხ.). მხოლოდ ფიზიკის წარმატებებსა და ქიმიურ ანალიზთან ერთად მტკიცდება მატერიალისტური შეხედულება საგანთა არსობაზე. კანტმა, როგორც უკვე დავინახეთ, საგანთა არსობა გადააქცია შეუცნობელ „საგნების თავისთავად“ სამყაროდ, რომელიც მასთან მოწყვეტილია მოვლენათა სამყაროსაგან. საგანთა არსობისა და ხილვადობის ეს მეტაფიზიკური გათიშვა, რასაც ატარებს კანტის ფილოსოფია, უსასტიკესად გააკრიტიკა ჰეგელმა. ჰეგელმა დაძლია ძველი, მეტაფიზიკური შეხედულება არსობაზე, როგორც რაღაც მიღმა მხარეს მყოფზე, უცვლელზე, უძრავზე, პრინციპიალურად გამიჯნულზე ხილულ მოვლენათა სამყაროსაგან. ჰეგელი ამყარებს „არსობის“ ცნების შ ე დ ა რ ე ბ ი თ ხასიათს, მის მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებას მოვლენათა სამყაროსთან, რომელიც გარეგნულად უპირისპირდება მის „ხილვადობას“: საგანთა შინაგანი არსობა — მიუთითებს ჰეგელი — თავს იჩენს მხოლოდ მოვლენებში. აქედან გამომდინარეობს მოვლენათა შესწავლის მნიშვნელობა თვით საგანთა არსობის გასაგებად.

მაგრამ ჰეგელმა „ობრსობის“ ცნება წმინდა იდეალისტურად განავითარა: ლოგიკური განვითარების საშუალებით არსობა თითქო ა კ ო ნ ს ტ რ უ ი რ ებ ს თავის „სინამდვილეს“. ა რ ს ო ბ ი ს ცნება ნამდვილ ღრმა, მატერიალისტურ აზრს იღებს მხოლოდ მატერიალისტურ დიალექტიკაში, მარქსისა და ენგელსის მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების გამოკვლევის საფუძველზე, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის პროცესში. მარქსი სრულებითაც არ უგულებელყოფს „არ-

[1] ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 57 — 58.

სობას“, როგორც ამას ჩადიან ზოგიერთი ვულგარული მატერიალისტები და მცოცავი ემპირიკოსები. „გამოვლინების ფორმა — ამბობს ის — და საგანთა არსობა რომ უშუალოდ ემთხვეოდენ ერთმანეთს, მაშინ ყოველგვარი მეცნიერება ზედმეტი იქნებოდა“ [1]. „დიალექტიკა, — შენიშნავს ლენინი, — მოითხოვს მოცემულ საზოგადოებრივ მოვლენის ყოველმხრივ გამოკვლევას მის განვითარებაში და გარეგანის, მოჩვენებითის დაყვანას ძირეულ მამოძრავებელ ძალებამდე, საწარმოო ძალების განვითარებამდე და კლასობრივ ბრძოლამდე“ [2]. ამავე დროს ლენინი ხაზს უსვამს არსობისა და მოვლენის მთლიანობას, მათ გადასვლას ერთიმეორეში. „ჩვენ ვხედავთ — იძლევა ლენინი მატერიალისტურ დახასიათებას — ერთის მეორეში გადასვლას, გადადინებას. არსობა გამოვლინდება. მოვლენა არსებითია. ადამიანის აზრი დაუსრულებლად ღრმავდება მოვლენისაგან არსობამდე, ასე ვთქვათ, პირველი რიგის არსობიდან მეორე რიგის არსობამდე და ეს. დაუსრულებლად“ [3].

მარქსის, ენგელსის, ლენინის მოძღვრებაში ჩვენ გვაქვს საგანთა შინაგანი კავშირის დაპირისპირება მათი უშუალო ხილვადობისადმი და ამავე დროს არსობისა და მოვლენის შინაგანი და გარეგანი ერთიანობის აღიარება. არსობა მოვლენის გარედ როდია, იგი თვით მასშია, თუმცა საგანთა ეს არსობა ყოველთვის არ მჟღავნდება მოვლენებში მთლიანად და უშუალოდ. მოვლენათა არსობა — ესაა მათი ურთიერთობა, მათი შინაგანი კავშირი, ესაა მოვლენის გამსჭვალველი კანონზომიერება, მოცემულ მოვლენის ერთობლივობის მთლიანი ერთიანობა. „ადამიანური არსობა, — აკრიტიკებს მარქსი ფეიერბახის აბსტრაქტულ თვალსაზრისს, — როდია აბსტრაქტი, რომელიც ცალკე ინდივიდში ცხოვრობს. ნამდვილად იგი საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთობლიობაა“ [4].

მარქსის „კაპიტალი“ ჩვენს წინაშე შლის „არსობის“ კატეგორიის მთელ უდიდეს სამეცნიერო მნიშვნელობას. იკვლევს რა კაპიტალისტური წარმოების არსობას, მარქსი იწყებს თავის კვლევას უშუალო ყოფიერებიდან, საქონლიდან. ანალიზი საქონლისა, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობისა, ანალიზი ლოგიკური და ისტორიული, შემოწმებული ფაქტებითა და პრაქტიკით, ააშკარავებს სა-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტომი მესამე, გვ. 589. რუსული გამოცემა.

[2] ლენინი, მეორე ინტერნაციონალის კრახი, ტ. XVIII, გვ. 347—348 ხაზგასმულია ჩვენ მიერ. — ავტ.

[3] „ლენინის კრებული“ XII, გვ. 183. ხაზგასმულია ჩვენ მიერ — ავტ.

[4] ენგელსი, ლუდვიგ ფეიერბახი. კ. მარქსი ფეიერბახის შესახებ. გვ. 78. ხაზგასმულია ჩვენ მიერ. — ავტ.

ქონელში სამომხმარებლო ღირებულებისა და ღირებულების ერთიანობას, უშუალო მოვლენისა და არსობის ერთიანობას; ანალიზი ამჟღავნებს სხვადასხვა საქონლებში მათ იმ საერთო ერთიანობას, რის მეოხებით სხვადასხვა საქონელი თვისობრივად ერთნაირად წარმოგვიდგება, — ღირებულება, რომლის საზომსაც წარმოადგენს საზოგადოებრივ-აუცილებელი შრომა. „შრომა, — ამბობს მარქსი, — არის ის, რაშიაც სხვადასხვანაირი საქონელი ელინდება ერთნაირად, მათი ერთიანობა, მათი არსობა, მათი ღირებულების შინაგანი საფუძველი“ [1]. სხვადასხვა საგნები — მიუთითებს ის — „უნდა განხილული იქნან როგორც სათანადო განხორციელება, ერთისადაიმავე საერთო ერთიანობის, ელემენტის გამოხატვა, რომელიც სრულებით განსხვავდება მათი ნატურალური არსობისა ან მოვლენისაგან“ [2]. მარქსი იკვლევს არსობისა და მოვლენის ამ ერთიანობას ისეთ ეკონომიურ კატეგორიებზე, როგორიცაა ფასი და ღირებულება, ფასი, მოთხოვნილება და მიწოდება, როგორიცაა სამუშაო ხელფასი და მუშა ხელის ფასი და სხ.

ასეთსავე მნიშვნელოვან როლს ანიჭებს მარქსი არსობის კატეგორიას ზედმეტი ღირებულების, მოგების და სხ. ანალიზის დროს. უკეთებს რა ანალიზს ზედმეტ ღირებულებას და იმ შემადგენელ ნაწილებს, რომლებზედაც ის იყოფა — მოგება, რენტა, სამუშაო ხელფასი, — მარქსი სწორედ ასევე აღნიშნავს, რომ „მათი ზოგადი ერთიანობა — ზედმეტი ღირებულებაა“, — ამიტომ ამ ზოგადი ერთიანობის ბუნება თანდათან უფრო გამოუცნობელი ხდება, იგი როდი მჟღავნდება მოვლენაში, არამედ მხოლოდ უნდა იქნეს აღმოჩენილი, როგორც ფარული მისტერია“ [3].

არკვევს რა ზედმეტი ღირებულების ნორმის გადაქცევას მოგების ნორმად, მარქსი აღნიშნავს, რომ „გამოსავალი წერტილი ისტორიულად იყო მოგების ნორმა. ზედმეტი ღირებულება და ზედმეტი ღირებულების ნორმა წარმოადგენენ, შედარებით, რაღაც უჩინარს, რაც მოითხოვს არსებითის აღმოჩენას, ამავე დროს მოგების ნორმა. და ამასთანავე ზედმეტი ღირებულების ისეთი ფორმა, როგორიცაა მოგება, მოჩანს მოვლენის ზედაპირზე“ [4]. „მოგება არის ზედმეტი ღირებულების გამოვლინების ფორმა, ამასთანავე მხოლოდ ანალიზის საშუალებით ხერხდება ამ უკანასკნელის პირველისაგან გამორჩევა“ [5].

---

[1] მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორია, ტ. III, გვ. 107. ხაზგასმულია ჩვენ მიერ. — ავტ.

[2] იქვე, გვ. 98—99.

[3] იქვე, გვ. 356

[4] მარქსი, კაპიტალი, ტ. III. გვ. 15.

[5] იქვე, გვ. 17.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს არსობის ცნებას კლასობრივ საწარმოო ურთიერთობის მარქსისტულ ანალიზის დროს. ასე, მაგალითად, მიუთითებენ რა იმ გარემოებას, რომ „კაპიტალის“ უკანასკნელ დაუმთავრებელ თავში მარქსი ლაპარაკობს „სამ დიდ საზოგადოებრივ კლასის შესახებ“[1]—მიწათმფლობელების, კაპიტალისტებისა და მუშების შესახებ,—რომელნიც სათანადოთ იღებენ რენტას, მოგებას და ხელფასს,—ზოგიერთი ავტორები თვლიან ამ სამ კლასს ბურჟუაზიული საზოგადოების ძირითად კლასებად, რომელნიც განუწყვეტლად დაკავშირებულნი არიან წარმოების კაპიტალისტურ წესთან. ცხადია, მიწათმფლობელნი ფრიად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კაპიტალიზმის განვითარებაში: მარქსი მიუთითებს, რომ მიწის მსხვილი მესაკუთრენი გამოდიან როგორც წარმოების ერთი უუმნიშვნელოვანესი პირობის—წარმოების, მიწის გამსახიერებელნი; გარდა ამისა მიწის მსხვილი საკუთრების შექმნა წარმოადგენს ისტორიულ წინაპირობას კაპიტალიზმისას, რომელსაც ესაჭიროება წვრილი მიწათმფლობელების შრომის ექსპროპრიაცია და დაქირავებულ მუშათა კლასის შექმნა. მიუხედავად ამისა მსხვილ მიწათმფლობელთა კლასი ჩვენ უნდა განვიხილოთ როგორც წარმოებული მოვლენა, რაც არ გამომდინარეობს წარმოების კაპიტალისტური წესის არსობისაგან. „კაპიტალისტი და დაქირავებული მუშა—არიან წარმოების ერთადერთი მოღვაწენი და ფაქტორები, რომელთა ურთიერთობა და ერთიმეორისადმი დაპირისპირება გამომდინარეობს წარმოების კაპიტალისტური წესის არსობისაგან“[2]. კაპიტალიზმი შესაძლებელია იმ პირობებშიაც, თუ, ვთქვათ, მიწა ეკუთვნის კაპიტალისტურ სახელმწიფოს, ოღონდ იგი არ უნდა ეკუთვნოდეს მუშათა კლასს. ამიტომ მარქსი სთვლის „წარმოების კაპიტალისტური წესის არსობაზე დაფუძნებულ ფეოდალურის, ანტიურის და სხვ. განსხვავებით — წარმოებაში უშუალო მონაწილე კლასების დაყვანას... კაპიტალისტებამდე და დაქირავებულ მუშებამდე, მიწათმფლობელის გამორიცხვით, რომელიც მხოლოდ post factum მოდის ბუნების ძალებისადმი საკუთრების ურთიერთობის მეოხებით, რომელიც არ წარმოშობილა წარმოების კაპიტალისტური წესის მიერ, არამედ მემკვიდრეობით არის მიღებული“... „წარმოების კაპიტალისტური წესის ადეკვატურ თეორიულ გამოხატულებად“[3]. გამოვდივართ რა კაპიტალიზმის ამ არსობიდან, ჩვენ აუცილებლად უნდა განვიხილოთ ის მნი-

---

[1] მარქსი, კაპიტალი, ტ. III, გვ. 638-639.

[2] მარქსი, ხედმეტი ღირებულების თეორია, ტ. II, თავ. I, გვ. 198—199 ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

[3] იქვე, გვ. 200.

შვნელოვანი როლი, რასაც კაპიტალიზმის კონკრეტულ ისტორიულ პირობებში, კაპიტალისტურ სინამდვილეში ასრულებს მიწათმფლობელთა კლასი, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების მესამე დიდი კლასი.

„არსობის" ცნება იღებს თავის შემდგომ განვითარებას ლენინისა და სტალინის შრომებში. ტროცკისთან და ბუხარინთან ბრძოლაში პროფკავშირების საკითხის გამო, სადაც ლენინი იძლევა დიალექტიკური ლოგიკის მოკლე დახასიათებას, იგი მოითხოვს ჩვენგან „შ ე ვ ი ს წ ა ვ ლ ო თ: პირველი — უთანხმოების არსობა და მეორე პარტიული ბრძოლის განვითარება. აუცილებელია ერთიცა და მეორეც—ამბობს ლენინი,—ვინაიდან უთანხმოების არსობა იშლება, განიმარტება, კონკრეტიზირდება (ხოლო ხშირად სახესაც იცვლის) ბ რ ძ ო ლ ი ს მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა შ ი[1].

ლენინი ანვითარებს მარქსიზმის მოძღვრებას არსობის შესახებ, აქცევს რა განსაკუთრებულ ყურადღებას არსობის გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ს, არკვევს რა არსობის კავშირს კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ მ ო ვ ლ ე ნ ებ თ ა ნ, მოჩვენებითთან, არაარსებითთან — მათ ურთიერთობას, მათ ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ს. კანტმა არა მარტო მოსწყვიტა მოვლენათა სამყარო „თავისთავად საგნების" სამყაროს, არამედ ამავე დროს სინამდვილის მოვლენათა მოჩვენებითობა რაღაც წმინდა სუბიექტურად გადააქცია. ჰეგელმა ხაზი გაუსვა უშუალოდ მოცემულ მოვლენათა სამყაროს, მოჩვენებითობის, ხილვადობის ობიექტურ მნიშვნელობას. მან გვიჩვენა, რომ საგნის მოჩვენებითობა არის თვით საგნის, მისი არსობის გამოვლინება მისი მოძრაობის ერთ მომენტთაგანში, რომ საგანთა მოჩვენებითობა, ხილვადობა არის განსაკუთრებული გამოხატულება, თ ვ ი თ მ ა თ ი ა რ ს ო ბ ი ს გ ა მ ო ვ ლ ი ნ ებ ა. ჰეგელმა გვიჩვენა, რომ საგანთა შინაგანი არსობა რაღაცა უძრავი, ქვეყნიერებისგან მოწყვეტილი მოვლენა როდია, რომ საგანთა მოჩვენებითობა, ხილვადობა ობიექტურად არარსებულის თვალსაზრისით „არარა" როდია, როგორც ამას ფიქრობენ კანტიანელები. მოჩვენებითი, ხილვადი—ესაა საგნის არა არსებითი მხარე, „რაღაცა", მაგრამ ეს არა არსებითი მომენტები ამავე დროს გამოხატავენ განსაზღვრულ მ ო მ ე ნ ტ ს საგნის თვით ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი არსობის მოძრაობაში. მაგრამ იდეალისტი ჰეგელი არსობიდან ხილვადობამდე მსვლელობაში ხედავს წმინდა ლოგიკურ მოძრაობას — „არარიდან არარამდე". ლენინი უსწორებს აქ იდეალისტ ჰეგელს, მიუთითებს რა, რომ მოძრაობა თუნდაც მკრობად „არაარსებითისაკენ" მუდამ არის მოძრაობა „რაიმესაგან", ხაზს უსვამს რა ამასთანავე არსობის ცნების მატერიალის-

[1] ლ ე ნ ი ნ ი, პარტიის კრიზისი, ტ. 26, გვ. 87.

ტურ ხასიათს და მის კავშირს მოვლენათა კონკრეტულ სამყაროსთან, „არა არსებითთან“. „არა არსებითი, მოჩვენებითი, ზედაპირული— შენიშნავს და უსწორებს ჰეგელს ლენინი—ისე „მკვრივად“ არ სდგას, ისე „მაგრად არ ზის“, როგორც „არსობა“. მაგალითად: მდინარის მოძრაობა — ქაფი ზემოდ და ღრმა მდინარება ქვეშ. მაგრამ ქაფიც არსობის გამოხატულებაა“[1].

არა მხოლოდ არსობას, არამედ ყოველ არა არსებითს აქვს ობიექტური მნიშვნელობა: არსობა გამოხატავს საგანთა ზოგად ერთიანობას, აუცილებელ შინაგან კავშირს, ხოლო ყველა არა არსებითი, ჩვენი ანალიზის დროს უკუგდებული არსობანი, —ესაა ცალკეული ფაქტები, ერთეული, შემთხვევითი, საგნის გარეგნული არსებობა. მაგრამ ყოველი ერთეული ობიექტის გარეგნულ არსებობასაც აქვს აგრეთვე თავისი საფუძველი მოცემული საგნის შინაგან არსობაში, შინაგან კავშირში, კანონზომიერებაში. მეორე მხრივ, ზოგადი არსებობს მხოლოდ ცალკეულში, ერთეულში,—საგანთა არსობაც არ შეიძლება წარმოვიდგინოთ თვით საგანთა გარეშე, არსობისა და მისი გამოვლინების ერთიანობის გარეშე, ამ არსობის გაუშუალების გარეშე, ე. ი. მისი რეალურ სინამდვილეში განხორციელების გარეშე. ამათუიმ მოვლენის არსობა უნდა შესწავლილი იქნას საგნის ყველა ურთიერთობაში, მის განვითარებაში, ამ განვითარების კონკრეტულ საფეხურებზე, იმ ბრძოლის პროცესში, რომელიც სწარმოებს მისი განვითარების მიმდინარეობისათვის.

1917 წლის რევოლუციის განვითარებასთან დაკავშირებით ლენინის მთელ რიგ გამოსვლებში შეიძლება დავინახოთ ეს ერთადერთი სწორი მიდგომა ისტორიულ მოვლენათა კლასობრივი არსობის შესწავლისადმი. ასე, „წერილებში ტაქტიკის შესახებ“, აკრიტიკებს რა კამენევის პოზიციას, ლენინი აღნიშნავს, რომ ისტორიის მიერ ზოგადად დამტკიცებულია ძველი ბოლშევიკური ფორმულა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის შესახებ, მაგრამ სინამდვილეში მათი კონკრეტული განხორციელება შეიქმნა უფრო რთული. თებერვლის რევოლუცია მოასწავებდა ხელისუფლების ბურჟუაზიის ხელში გადასვლას. მაგრამ ამასთანავე წარმოიშვა და არსებობდა მის გვერდში მთავრობა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების სახით, რომელნიც ნებაყოფლობით აძლევდენ ბურჟუაზიას თავიანთ ძალაუფლებას. უკვე 1917 წლის აპრილში იწყება ობორონცობით მოტყუებულ ხალხთა მასების აღშფოთება, და ამაშია „კრიზისის არსება, რაც მკვეთრად უნდა განვასხვაოთ ცალკე პირთა და პარტიების აზრის და შეხედულებებისაგან“. შემდეგ ლე-

[1] „ლენინის კრებული“ IX, გვ. 107.

ნინი ანალიზს უკეთებს ბურჟუაზიის მანევრის არსს, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ გადაექცია მენშევიკები და ესერები ბურჟუაზიული მთავრობის დამატებად. ამასთან დაკავშირებით ააშკარავებს ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ კადეტებისა და მენშევიკების ბრძოლის კლასობრივ არსობას. ლენინი არკვევს წვრილი ბურჟუაზიის კლასობრივი პოზიციის არსს, რომელიც მიისწრაფოდა დაეპირა „საშუალო ხაზი“ კლასობრივ ბრძოლაში. როგორიც არ უნდა იყოს გარეგნული ფორმები არსობა მდგომარეობს კლასთა ურთიერთდამოკიდებულებაში.

ივლისის ამბების დროს ლენინი არკვევს ლოზუნგის — „მთელი ხელისუფლება საბჭოებს“ — არსობის სახეცვლილებას, და აგრეთვე იმ პირობების არსობას, რომლებიც წინა პერიოდში შესაძლებელს ხდიდენ რევოლუციის განვითარების მშვიდობიან გზას. „საქმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ახლა უკვე აღარ შეიძლება ხელისუფლების მშვიდობიანად აღება“ [1], ხელისუფლება სინამდვილეში გადავიდა სამხედრო ბანდების ხელში; არ შეიძლება მივიღოთ კერენსკის მთავრობის მაცდური გარეგნობა არსობად და არ დავინახოთ მისი ბონაპარტისტული არსობა. ლენინი უმტკიცებს კაუცკისა და კომპ., რომ „კაპიტალისტური ექსპლოატაციის ეკონომიურ არსობას სრულებითაც არ ეხება მართველობის მონარქისტული ფორმების რესპუბლიკურ-დემოკრატიული შეცვლა“... და სხვ.

ასევე მკაფიოდ არკვევს ლენინი სახელმწიფოს შესახებ მარქსის მოძღვრების კლასობრივ არსობას და პროლეტარული სახელმწიფოს ძირითად განსხვავებას ბურჟუაზიულისაგან: „სახელმწიფოს შესახებ მარქსის მოძღვრების არსობა შეთვისებულია მხოლოდ იმათ მიერ, ვინც გაიგო, რომ ერთი კლასის დიქტატურა არის აუცილებელი არა მარტო ყოველგვარი კლასობრივი საზოგადოებისათვის საერთოდ, არა მარტო პროლეტარიატისათვის, რომელმაც დაამხო ბურჟუაზია, არამედ მთელი იმ ისტორიული პერიოდისათვის, რომელიც ყოფს კაპიტალიზმს „უკლასო საზოგადოებისაგან“, კომუნიზმისაგან. ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ფორმები მეტისმეტად სხვადასხვაგვარია, მაგრამ მათი არსობა ერთია: ყველა ეს სახელმწიფოები ასე თუ ისე წარმოადგენენ დიქტატურას, მაგრამ უკანასკნელი ანგარიშით დიქტატურას ბურჟუაზიულს. კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია არ მოგვცეს მრავალი და სხვადასხვაგვარი პოლიტიკური ფორმა, მაგრამ არსობა ამავე დროს იქნება ერთი: პროლეტარიატის დიქტატურა“ [2]. ასე-

[1] ლენინი, ლოზუნგებისათვის, ტ. XXI, გვ. 35. რუსული გამოცემა.
[2] ლენინი, ტ. XXI, გვ. 343.

ვე მკაფიოდ ახასიათებს ლენინი პროლეტარიატის დიქტატურის უმთავრეს არსობას: „მისი უმთავრესი არსობა არის მშრომელთა მოწინავე რაზმის, მისი ავანგარდის, მისი ერთადერთი ხელმძღვანელის, პროლეტარიატის ორგანიზებულობაში და დისციპლინირებაში“ [1].

ოქტომბრის რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატურის არსობის ღრმა ანალიზს ჩვენ ვხედავთ ამხ. სტალინის შრომაში. ოქტომბრის რევოლუციის არსობას ამხ. სტალინი ხედავს ორ მის თავისებურებაში: პირველი, იმაში, რომ ჩვენში პროლეტარიატის დიქტატურა წარმოიშვა ხელისუფლებისაგან, რომელიც წარმოსდგა პროლეტარულ და მშრომელ გლეხთა მასების კავშირის საფუძველზე პროლეტარიატის ხელმძღვანელობით; მეორე, იმაში, რომ ჩვენში პროლეტარიატის დიქტატურა განმტკიცდა როგორც ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შედეგი, შედარებით კაპიტალისტურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში, კაპიტალისტურად უფრო განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალიზმის შენარჩუნების დროს. ა რ ს ე ბ ი თ ი, პრინციპიალური განსხვავებაა ბურჟუაზიის დიქტატურასა, ე. ი. მყვლეფელ უმცირესობის ექსპლოტირებულ უმრავლესობაზე დიქტატურასა, და პროლეტარიატის დიქტატურას, ე. ი. ექსპლოატატორების უმცირესობაზე უმრავლესობის დიქტატურას შორის. „საბჭოთა ხელისუფლების არსობა მდგომარეობს მასში, რომ სწორედ ამ კლასების ყველაზე მასობრივი და ყველაზე რევოლუციური ორგანიზაციები, რომელნიც იჩაგრებოდენ კაპიტალისტებისა და მემამულეებისაგან, ამჟამად წარმოადგენენ „მთელი სახელმწიფო ხელისუფლების, მთელი სახელმწიფო აპარატის მ უ დ მ ი ვ და ე რ თ ა დ ე რ თ საფუძველს“ [2].

ამასთან დაკავშირებით მატერიალისტური დიალექტიკისათვის დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს ამხ. სტალინის კრიტიკას ამხ. ზინოვიევის ცდის მიმართ გაეიგივეებია პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დიქტატურის ცნება პ ა რ ტ ი ი ს დიქტატურის ცნებასთან. როგორც ამხ. სტალინი აღნიშნავს, ლენინს მხოლოდ გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი ა ზ რ ი თ ესმის პროლეტარიატის დიქტატურა ა რ ს ე ბ ი თ ა დ მის ორგანიზებულ და შეგნებულ უმცირესობის დიქტატურად, ე. ი. პარტიისა — სახელდობრ პარტიის ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ი როლის თვალსაზრისით. „თქვა—„არსებითად“ — განმარტავს ამხ. სტალინი ლენინის აზრს, — ჯერ კიდევ არ ნიშნავს თქვა—„სავსებით“. ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ, რომ ნაციონალური საკითხი, არსებითად, გლეხთა საკითხია და ეს სავსებით მართალია. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ

[1] ლ ე ნ ი ნ ი, სალამი უნგრელ მუშებს, ტ. XXIV, გვ. 314.

[2] ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 40.

გლეხთა საკითხი ჰფარავს ნაციონალურ საკითხს... პროლეტარიატის დიქტატურა თავისი მოცულობით პარტიის ხელმძღვანელ როლზე უფრო ფართო და მდიდარია“ [1].

პარტია ანხორციელებს თავის ხელმძღვანელობას საბჭოების **საშუალებით**, მასების **საშუალებით**, ფხიზლად უგდებს რა ყურს მათ ხმას. ზინოვიევი ვერ ხედავდა ამ მოსაშუალე რგოლებს, რომლის შემწეობითაც ხორციელდება პარტიის ხელმძღვანელობა. ზინოვიევის მიხედვით პროლეტარიატის დიქტატურას უშუალოდ ანხორციელებს პარტია. ზინოვიევი, მაშასადამე, აიგივეებდა პროლეტარიატის დიქტატურის არსობას განსაზღვრული აზრით („ხელმძღვანელობა“) მისი განხორციელების კონკრეტულ ფორმასთან.

მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ყველა ამ მითითებების თანახმად საგნის ან საკითხის არსობა, მისი „ბირთვი“ ჩვენ არა მარტო უნდა გამოვააშკარავოთ, „გამოვჩეკოთ“ „არა არსებითი“, ე. ი. შემთხვევითი, ერთეული ფაქტებიდან: იმავე დროს ჩვენ უნდა განვიხილოთ ამ არსობის მოძრაობა, მისი ქცევადობა, თავისი გამოვლინების ფორმაში გადასვლა, მისი განხორციელება. ყოველი საგნის არსობა არის არა მკვდარი, უძრავი აბსტრაქცია, რაღაც „თავისი თავთან გაიგივებული“ არსობა, არა „საგანი თავისთავად“, არამედ მოვლენათა შინაგანი კანონზომიერი კავშირი, მათი საფუძველი, რომლის სწორად გაგებისათვისაც საჭიროა მისი გამოვლინების სხვადასხვა კონკრეტული მომენტები. მაშასადამე, ჩვენ თვით არსობაში უნდა დავინახოთ **წინააღმდეგობათა ერთიანობა**, პოზიტიურის (დადებითის) და ნეგატიურის (უარყოფითის) იგივეობისა და განსხვავების ცოცხალი ერთიანობა, მოძრაობა, **გადასვლა** ერთიდან მეორეში.

საზოგადოებრივი ადამიანის ისტორიული პრაქტიკის პროცესში არსობის ცნებასთან ერთად ვითარდება მეორეც, უფრო კონკრეტული ამავე რიგის კატეგორია, რომელიც გვიჩვენებს თუ **როგორაა** არსობა დაკავშირებული თავისი გამოვლინებისა და განვითარების ფორმასთან. ესაა ცნება **საფუძვლის**, საძირკვლის. „უფრო წვრილი ფილოსოფოსები — განმარტავს ლენინი — დაობენ იმაზე, არსობა, თუ უშუალოდ მოცულობა აიღონ საფუძვლად (კანტი, იუმი, ყველა მახისტები). ჰეგელი **თუ**-ს ნაცვლად სვამს **და**-ს, განმარტავს რა ამ „**და**-“ს კონკრეტულ შინაარსს“ [2].

„არსობა“ და „საფუძველი“—ერთი რიგის ცნებაა. საფუძველი — იგივე არსობაა აღებული მის გადასვლის შინაგან აუცილებლობაში, მის გაუშუალებაში, ვამოხატავს არა მარტო წინააღმდეგობათა ურთი-

---

[1] **სტალინი**, ლენინიზმის საკითხები, გვ. 239.

[2] „**ლენინის კრებული**“, IX, გვ. 115.

ერთგამსჭვალვას, არამედ მათ ბრძოლასაც. საფუძველი გამოხატავს ამ დაპირისპირებულობათა ნამდვილ კავშირს. იგივეობა და განსხვავება, აუცილებლობა და შემთხვევითობა, მიზეზი და მოქმედება — ორივე წინააღმდეგობითი მომენტი, გ ა ნ ხ ი ლ უ ლ ი ც ა ლ ც ა ლ კ ე, ი ქ ც ე ვ ა ე რ თ ი მ ე ო რ ე დ. „და მაშინ — შენიშნავს ენგელსი — უნდა დაგვეხმაროს „ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი“ [1].

ისტორიულ განვითარებაში განსხვავება იქცევა იგივეობად, ხოლო იგივეობაში მჟღავნდება განსხვავება, აუცილებლობა ვლინდება მრავალნაირ შემთხვევითობის ფორმაში და სხვ. რომ არ დავიბნეთ მოვლენათა ამ მარად და განუწყვეტელ ურ თ ი ე რ თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა შ ი, რომ არ მივიდეთ ეკლეკტიზმამდე და სოფისტიკამდე, ჩვენ უნდა გამოვააშკარაოდ ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი, გადამწყვეტი საწყისი მ ო ც ე მ უ ლ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი თ ი პ რ ო ც ე ს შ ი, უნდა გამოვააშკარაოდ, როველ ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე მიმდინარეობს დაპირისპირებულებათა მოცემული ურთიერთგამსჭვალვა.

მექანისტები ჩვეულებრივად აშორებდენ საფუძველს დაფუძნებულიდან, ვერ ხედავდენ საფუძვლის გ ა დ ა ს ვ ლ ა ს თავის შედეგში. ლეიბნიცის ტიპის ფილოსოფოს-იდეალისტებისათვის „საფუძველი“ იყო წმინდა ლოგიკური ცნება, რომლის საშუალებითაც ისინი ცდილობდენ რ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ა დ აეხსნათ მოვლენათა კანონზომიერება. ისინი მოვლენათა მ ი ზ ე ზ ო ბ რ ი ვ ი კ ა ვ შ ი რ ი ს თითქო „მექანისტურ“ შესწავლის წინააღმდეგ აყენებდენ „საკმაო საფუძვლის“ კანონს, როგორც უფრო მოქნილ და სუბიექტივისებურ ფორმულირებას. ყოველივე არსებულს აქვს თავისი „საკმაო საფუძველი“, — ამბობდა ეს ცარიელი და წყალწყალა ფორმულა. ჰეგელი უკვე ანსხვავებს წმინდა ლოგიკურ „ფორმალურ საფუძვლისაგან“ „რეალურ საფუძველს“, რომელიც ნამდვილად შობს მოცემულ შედეგს, მაგრამ მას ეს ესმის როგორც სულის განვითარების განსაზღვრული საფეხური.

პროლეტარული ბრძოლის პრაქტიკა აყენებს მარქსისა და ენგელსის წინაშე ყველაზე უძნელეს საკითხს — საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლების შესახებ. სძლევს და აზოგადებს რა მის თანამედროვე ცოდნის მონაპოვარს, მარქსი სძლევს ჰეგელის იდეალიზმს, სდებს რა რეალური საფუძვლის ცნებაში ახალ, მატერიალისტურ შინაარსს. საზოგადოებრივი ცხოვრების დარგში ჩვენ გვაქვს საქმე ეკონომიურ ბ ა ზ ი ს თ ა ნ როგორც რეალურ საფუძველთან, რომელზედაც წარმოიშობიან პოლიტიკური ფორმები და იდეოლოგიური ზედნაშენები. პროლეტარიატის ისტორიული პრაქტიკა საფუძვლის ცნებას აძლევს

[1] ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 112. ხაზგასმულია ჩვენ მიერ. — ა ვ ტ.

შემდგომ განვითარებას ლენინისა და სტალინის შრომებში. მსხვილი მრეწველობა,—ვამბობთ ჩვენ,—არის სოციალისტური მეურნეობის მატერიალური საფუძველი. არ შეიძლებოდა შემდგომი განვითარება ორ სხვადასხვა ეკონომიურ საფუძველზე, მსხვილი სოციალისტური მრეწველობის საფუძველზე და წვრილი სოფლის მეურნეობის საფუძველზე, — მიუთითებდა ამხ. სტალინი, ასაბუთებდა რა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლოზუნგს. როდესაც ელაპარაკობთ ლენინიზმის საფუძვლებზე, ჩვენ გამოვყოფთ უმთავრესს იმ განსაკუთრებულისა და ახლისაგან, რაც ლენინმა შეიტანა მარქსიზმის საგანძურში.

ყოველ საგანში და ყოველ პროცესში ჩვენ ვპოულობთ შინაგან კავშირს სხვადასხვა გარეგნულ თვისებებისას, „გაშუალედებისას“, გამოვლინებისას, აღებულთა მათ შინაგან არსებასთან, მათში გამომჟღავნებულ კანონზომიერებასთან ერთიანობაში. გარეგნულისა და შინაგანის ცნება — ორივე აუცილებელია განვითარების პროცესის დასახასიათებლად. ყოველი პროცესის განვითარების ხასიათის გასაგებად ჩვენ უნდა გამოვმდინარეობდეთ მისი არსობისაგან, მაშასადამე, მისი შინაგანი კავშირისა და ურთიერთობისაგან. ასეთია განვითარების ნამდვილი საფუძველი, და ეს არ გაეგებათ მექანისტებს, რომელნიც მიისწრაფიან დაიყვანონ განვითარება მთელ რიგ გარეგნულ მდგომარეობებზე, ან ეძიონ მისი საფუძველი გარეგან ბიძგში. მაგრამ სწორი არ იქნებოდა იმ როლის დავიწყება, რასაც განვითარებისათვის ასრულებენ გარეგანი პირობები, რომლებშიაც თავიანთ კონკრეტულ განვითარებას იღებენ საგნის შინაგანი თვისებანი; არაა სწორი, როგორც ამას სჩადიან მომენშევიკ იდეალისტები, განვითარების შემოფარგვლა საგნის შინაგან თვისებებიდან გამოყვანით და განვითარებისათვის გარეგანი პირობების როლის გაუთვალისწინებლობა. ბუნებისა და საზოგადოების განვითარებაში ჩვენ გამოვმდინარეობთ გარეგანისა და შინაგანის ერთიანობისაგან, ამასთანავე ხელმძღვანელ როლს თამაშობს შინაგანი კანონზომიერება, ვთქვათ, გარკვეული ფორმაციის განვითარების შინაგანი კანონზომიერება.

არსობა სრულებითაც არ იმყოფება მოვლენის იქითა მხარეს. მოვლენა, არსობის გამოვლინება სრულებითაც არ არის რაღაც უფრო დაბალი, ვიდრე თვით მოვლენის არსობა, როგორც ამას ფიქრობდა კანტიანური ფილოსოფია. პირიქით, მოვლენათა სამყარო არის უფრო მდიდარი, გარკვეული, კონკრეტული ყოფიერება, ვიდრე აღებული თავისთავად, თავის გამოვლინებისაგან მოწყვეტილი არსობა, იმიტომ, რომ არსობის კონკრეტული გა-

მოვლინებანი ჰგულისხმობენ მათში შინაგანი კავშირის არსებობას. განვითარება ააშკარავებს არსობისა და მოვლენის ობიექტურ დაპირისპირებულობას, რამდენადაც ყოველი ცალკეული მოვლენა არასრულად ამჟღავნებს არსობას. მაგრამ თვით მატერიის განვითარება ხდის ამ დაპირისპირებულობას — არსობისა და მოვლენის, გარეგანისა და შინაგანის, საფუძვლისა და დაფუძნებულის — შედარებითად; იგი იძლევა მათი წინააღმდეგობის გადაწყვეტას, განვითარება ხორციელდება როგორც შინაგანი ისე გარეგანი პირობების აქტიურ როლის დროს. შინაგანისა და გარეგანის ერთიანობა, არსობისა და გამოვლინების ფორმის ერთიანობა — აი უმნიშვნელოვანესი დებულება, რომელიც წითელ ზოლადაა გაევლებული მთელ მარქსისტულ დიალექტიკაში.

ეს ერთიანობა ნათელ გამოხატულებას იღებს შინაარსში. ყოველი მოვლენის შინაარსი ერთსადაიმავე დროს კიდევაც ეფარდება თავის ფორმას და ამავე დროს კიდევაც გულისხმობს გარკვეულ ფორმას: შინაარსი კიდევაც შობს ფორმას და კიდევაც შეიცავს თავისთავში ამ ფორმას.

ღირებულება — ესაა ის ეკონომიური შინაარსი, რომელშიაც კრისტალდება მისი არსობა — საზოგადოებრივი შრომა, და რომელიც ერთსადაიმავე დროს პოულობს თავის „ფორმის განსაზღვრულობას" საცველელ ღირებულებაში. წარმოების მატერიალური ურთიერთობა — ეს არის საზოგადოებრივი შინაარსი, რაც თითოეული ჯერ იღებს ამათუიმ „ისტორიულად სოციალურ განსაზღვრულობას", ე. ი. განსაზღვრულ საწარმოო ურთიერთობათა, განსაზღვრულ ეკონომიკის ფორმას: კაპიტალისტურს, სოციალისტურს და სხვ.

შინაარსი და ფორმა იმყოფება დიალექტიკურ მთლიანობაში: ისინი გადადიან ერთიმეორეში, ვლინდებიან ერთიმეორისაგან, აპირობადებენ ერთის მეორეში განვითარებას. „ფორმა, — ამბობს ჰეგელი, — არის შინაარსი, გადამავალი ფორმაში, შინაარსი არის ფორმა, გადამავალი შინაარსში" [1]. ამიტომ განვითარების პროცესში ფორმა პასიური არაა. როგორც შინაარსის არსებითი მომენტი ფორმა უკუქცევით აქტიურად ახდენს ზემოქმედებას შინაარსის განვითარებას მიმდინარეობაზე და მის ცვლილებებზე. ყოველგვარ იდეალიზმის წინააღმდეგ, მარქსიზმი, ლაპარაკობს რა შინაარსისა და ფორმის ერთიანობაზე, ხაზს უსვამს შინაარსის წამყვან როლს — შინაარსისა და ფორმის წინააღმდეგობებსა და ბრძოლაში. შინაარსი შობს, აპირობადებს, წინასწარ განსაზღვრავს თავის ფორმას.

[1] ჰეგელი. ტ. II, ნაწ. I.

მაგრამ ერთსადაიმავე დროს იგი მუდამ გულისხმობს ამათუიმ ფორმის არსებობას. არ არის გაუფორმებელი შინაარსი ისე, როგორც არ არის უშინაარსო ფორმა. ფორმა — ესაა შინაარსის აგების კანონი, მისი გარკვეული სტრუქტურა, რომელიც წარმოადგენს მის არსებით მომენტს, მაგრამ პირობადებულს მოცემული მოვლენის არსებით. „ფორმა არსობითია, — მიუთითებს ლენინი. — არსება ფორმირებულია ასეთუისე დამოკიდებით არსობისაგანაც“ [1].

ფორმა ამრიგად არ არის უცხო არსებისათვის, შინაარსისათვის და ამავე დროს უპირისპირდება მას როგორც არსების, შინაარსის განსაკუთრებული, განმსაზღვრელი მომენტი. ისინი ურთიერთ იჭრებიან ერთიმეორეში საგნისა და განვითარების პროცესის ერთიანობაში. მიუხედავად ამისა ამ ერთიანობის ობიექტური საფუძველი (არსება) ჩვენ მუდამ უნდა ვეძიოთ შინაარსში, და არ უნდა გავაიგივეოთ იგი ფორმასთან.

ისტორიული განვითარება იწვევს იმას, რომ შინაგანი იქცევა გარეგანად და პირიქით. ეს იწვევს იმას, რომ ფორმა თითქო ეთიშება შინაარსს. იგი იღებს თავის საკუთარ, შედარებით დამოუკიდებელ განვითარებას. ფორმა უპირისპირდება შინაარსს როგორც რაღაც გარეგანი, რომელიც ხელს უშლის მის შემდგომ განვითარებას; იგი ხანდახან ჩამორჩება შინაარსის განვითარებას და ეწინააღმდეგება მის შემდგომ განვითარებას. ამიტომ განვითარების პროცესში ადგილი აქვს „შინაარსის ბრძოლას ფორმასთან და პირიქით, ფორმის შემოცლას, შინაარსის გადაკეთებას“ [2]. ძველი ფორმა, რაიც იქცა შინაარსის გარეგნობად, შორდება მის შემდგომ განვითარებაში ფორმის წინააღმდეგობის დაძლევის გზით. საბოლოოდ მტკიცდება ახალი, შინაარსთან ერთად მომწიფებული ფორმა და იწყებს აქტიურად ხელის შეწყობას მის შემდგომ გარდაქმნისათვის. სწორედ ასეთია საქმის მდგომარეობა თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობათა მიმართ, პოლიტიკურ-უფლებრივ ფორმებისა და ეკონომიური შინაარსის მიმართ.

ისტორიული მატერიალიზმი ძირითად ყურადღებას აქცევს წინააღმდეგობებსა და კონფლიკტებს წარმოების მატერიალურ საფუძვლებსა და მის სოციალურ ფორმას შორის. კაპიტალისტური საზოგადოების მარქსისტულ ანალიზში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შინაარსისა და ფორმის წინააღმდეგობას. გამოააშკარავა რა სასაქონლო წარმოების წინააღმდეგობითი არსება, მარქსი შემდეგ აკონ-

---

[1] „ლენინის კრებული“, IX, გვ. 135.

[2] იქვე, გვ. 277.

კრიტიზირებს მას როგორც წინააღმდეგობას ღირებულების საზოგადოებრივად აუცილებელ შინაარსსა და ღირებულების ფორმას შორის (საცვლელი ღირებულება). მეორეს მხრივ ანალიზს უკეთებს რა კაპიტალისტური სინამდვილის გარეგან გამოელინებებს, მარქსი გვასწავლის განვასხვაოთ სასაქონლო გარიგებათა ეკონომიური შინაარსი მათი იურიდიული ფორმებისაგან.

საქონლის, ღირებულების, ფულის, კაპიტალის, ზედმეტი ღირებულების, რენტის და სხ. ეკონომიური კატეგორიების დიალექტიკური მოძრაობა, რასაც ანალიზი გაუკეთა მარქსმა „კაპიტალში", გამოხატავს ადამიანთა კლასობრივ ურთიერთობას. ნივთი, შრომის პროდუქტი, იღებს საქონლის ფორმას თავისი ჩვეულებრივი წინააღმდეგობით არა ამ პროდუქტის ნატურალურ ბუნებრივ თვისებათა ძალით, არამედ ადამიანთა განსაზღვრულ ურთიერთობის ძალით წარმოებისა და განაწილების პროცესში. ასეთია საქმის მდგომარეობა ყველა სხვა ეკონომიურ მოვლენათა მიმართ.

რეცენზიაში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის" ენგელსი ამბობს: „პოლიტიკურ ეკონომიაში საქმე შეეხება არა ნივთებს, არამედ ურთიერთობას პიროვნებათა შორის, საბოლოო ანგარიშით — კლასთა შორის, მაგრამ ეს ურთიერთობა ყოველთვის ნ ი ვ თ ე ბ თ ა ნ ა ა დ ა კ ა ვ შ ი რ ებ უ ლ ი დ ა ა შ კ ა რ ა ვ დ ე ბ ა რ ო გ ო რ ც ნ ი ვ თ ე ბ ი" [1].

მარქსმა იგივე აზრი გამოსთქვა შემდეგი სახით:

„საქონელი ბაზარში თვითონ ვერ წავა და ვერ გაიცვლება სხვა საქონელზე... ეს ნივთები რომ საქონლის სახით ერთმანეთს შეეფარდონ, საქონლის მცველები (ე. ი. საქონლის მფლობელნი — რ ე დ.) უნდა დაუპირისპირდენ ერთმანეთს, როგორც პიროვნებანი, ვისი ნებაც ამ ნივთებშია გამეფებული" [2].

რუბინის ტიპის იდეალისტები და ბუხარინის, ბესონოვის, ა. კონისა და სხ. მსგავსი მექანისტები ამახინჯებენ ამ ძირითად დიალექტიკურ-მატერიალისტურ დებულებას. პირველთ ზოსდის კანტიანური მ ო წ ყ ვ ე ტ ი ფ ო რ მ ი ს ა შ ი ნ ა ა რ ს ი ს ა გ ა ნ, ყოველგვარ შინაარსის გამოცლა. მექანისტებს კი, პირიქით, სრულებით არ გაეგებათ ს ო ც ი ა ლ უ რ ი ფ ო რ მ ი ს რ ო ლ ი დ ა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა, ვერ ხედავენ სხვადასხვა საზოგადოებრივ ფორმაციის კანონზომიერებათა თავისებურებას და ამით არ გაეგებათ აგრეთვე საზოგადოებრივი განვითარებისა და კლასობრივი ბრძოლის ნამდვილი პროცესები. მაშასადამე, ყოველგან, საღაც მარქსი ააშკარავებს საქონლის, ფულის, კა-

[1] მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 249.

[2] მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 50.

პიტალის, ღირებულების, ზედმეტი ღირებულებისა და სხვათა დიალექტიკას, ჩვენ არსებითად საქმე გვაქვს საზოგადოებრივ ურთიერთობებთან, რომელთაც მიღებული აქვთ ნივთიერი ფორმა. კაპიტალისტური საზოგადოების, მის უკანასკნელ სტადიამდე — იმპერიალიზმის ჩათვლით, მოძრაობის ეკონომიური კანონი წარმოადგენს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის კლასობრივ წინააღმდეგობათა განვითარებისა და ზრდის გამოხატულებასა და ანარეკლს.

აქ არის ის პუნქტი, რომელიც საფუძვლიანად ანსხვავებს მარქსიზმს ბურჟუაზიული თეორიებისაგან. ბურჟუას შეგნებას წარმოდგენილი აქვს, რომ საქონელს, ფულს, ღირებულებას, კაპიტალს აქვთ ბუნებრივი თვისებანი, რომელნიც განსაზღვრავენ ადამიანების მათდამი დამოკიდებულებას და ადამიანების ურთიერთისადმი დამოკიდებულებას. „მათ თვალში, — ამბობს მარქსი, — მათი საკუთარი საზოგადოებრივი მოძრაობა საგნების მოძრაობის სახეს იღებს, რომელთა კონტროლის ქვეშ ისინი იმყოფებიან, იმის მაგიერ, რომ მათ კონტროლი გაუწიონ“ [1]. მარქსის კრიტიკა საქონლის ფეტიშიზმისა, რომელიც შეადგენს „კაპიტალის“ ერთერთ ბრწყინვალე თავს, თუ ყველაზე უბრწყინვალესს არა, პირველად ჰგლეჯს ბუნდოვან საფარველს ბურჟუაზიულ ეკონომიურ ურთიერთობიდან. აქ მარქსის დიალექტიკურმა მეთოდმა თავი იჩინა მთელი თავისი მოცულობით, მთელი სიმძაფრითა და სიმკვეთრით. მარქსის დიალექტიკამ საქონლის საგნობრივ ფორმის მიღმა აღმოაჩინა საზოგადოებრივი შ ი ნ ა ა რ ს ი. მარქსის კრიტიკამ ნ ა ტ უ რ ა ლ ი ზ მ ი ს მიმართ, საზოგადოებრივი მოვლენებისადმი მექანიკურ მიდგომის მიმართ გვიჩვენა საზოგადოებრივ ურთიერთობათა თ ვ ი ს ე ბ ი ს ს პ ე ც ი ფ ი უ რ ო ბ ა. ამით მოცემულია იმ იდეოლოგიის, კერძოდ ბურჟუაზიული იდეოლოგიის, საიდუმლოების გამოცნობა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი იდეოლოგია გამოხატავს ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობას.

ფორმისა და შინაარსის პრობლემის გაშლილ განმარტებას იძლევა მარქსი აგრეთვე საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობათა საკითხის ანალიზის დროს. „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ შესავალში მარქსი სწერდა: „დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა, ს ა წ ა რ მ ო ო ძ ა ლ ი ს (ს ა წ ა რ მ ო ო ს ა შ უ ა ლ ებ ი ს) დ ა ს ა წ ა რ მ ო ო ურ თ ი ე რ თ ობ ი ს ცნებათა, — დიალექტიკა, რომლის ფარგალი განსასაზღვრავია და რომელიც რეალურ განსხვავებას არ აქარწყლებს“ [2]. საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობათა დიალექტიკა არის შინაარსისა და ფორმის დიალექტიკა. „კაპიტალში“ მარქსი არ უგუ-

---

[1] მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 41.

[2] მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 35.

ლებელყოფს რა რეალურ განსხვავებას საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობათა შორის, აღმოაჩენს მათ ერთიანობას. მართლაც, წვრილ საქონლისმწარმოებელთა ურთიერთობანი, რომელთაც ჰპოვეს გამოხატულება შრომისა და საქონლის შინაგან წინააღმდეგობითი ხასიათში, განისაზღვრებიან წვრილი მიწადმოქმედებისა და ხელოსნების საწარმოო საშუალებათა დაქსაქსულობითა და შეზღუდულობით. კაპიტალისტური ურთიერთობანი ემყარებიან წარმოების საშუალებათა უშუალო მწარმოებელთაგან განცალკევებაზე. დაბოლოს წარმოების საშუალებათა სოციალისტურ განსაზოგადოებას აუცილებლად თან სდევს წარმოებისა და განაწილების განსაზოგადოება, გეგმიანობის დამყარება და სხ. საწარმოო ძალების (შინაარსის) და საწარმოო ურთიერთობათა (ფორმის) ეს ურთიერთგამსჭვალვა თანმიმდევრობითაა ნაჩვენები „კაპიტალში“ ისეთ ეკონომიურ მოვლენებზე, როგორიცაა ღირებულება, სამუშაო ხელფასი, კრიზისები და სხ.. საწარმოო ძალების როლი ღირებულების შექმნაში (საშუალო საზოგადოებრივ-აუცილებელი დროის პრობლემა); საწარმოო ძალების როლი კაპიტალის გამდიდრებისა და მუშათა კლასის გაღატაკების საქმეში (ქალთა და ბავშვთა შრომის ექსპლოატაცია), შრომის სარეზერვო არმიის შექმნა, მუშის სამუშაო ხელფასის დაცემა მუშა ძალის ღირებულებაზე დაბლა და სხ. კაპიტალის ორგანიულ შემადგენლობის ზრდასთან დაკავშირებით; დაბოლოს კრიზისები — აშკარა მაჩვენებელია იმისა, რომ საწარმოო ურთიერთობანი უკვე გადაიქცენ ბორკილებად საწარმოო ძალებისათვის, — ყოველივე ამაზე მარქსმა ოსტატურად გამოააშკარავა საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობათა დიალექტიკური ერთიანობა და განსხვავება.

მარქსმა აღმოაჩინა არა მარტო ეს ურთიერთკავშირი საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობათა შორის. მან ზედმიწევნით გვიჩვენა ამ კავშირის საფუძველი. შ ი ნ ა ა რ ს ი განსაზღვრავს ფ ო რ მ ა ს. თავის მხრივ ფორმა, როგორც შ ი ნ ა ა რ ს ე უ რ ი ფ ო რ მ ა შინაარსისათვის გარეგნობად როდი რჩება, არამედ წარმოადგენს შ ი ნ ა ა რ ს ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ფ ო რ მ ა ს. საწარმოო ძალთა დონე განსაზღვრავს საწარმო ურთიერთობას, თუმცა ეს უკანასკნელი არის საწარმოო ძალთა განვითარების ფორმის არსება. ეს მაგალითად არ ესმოდა პრუდონს, რომელიც ფიქრობდა, რომ წარმოების საშუალებათა განვითარება კი არ განსაზღვრავს შრომის სათანადო განაწილებას, არამედ, პირიქით, შრომის განაწილება იწვევს განსაზღვრული სახის შრომის საშუალებათა აუცილებლობას:

„პროუდონისათვის, რომელიც საგნებს უკუღმა ხედავს, თუ საზოგადოთ ხედავს, ადამ სმიტისებური შრომის დანაწილება წინ უსწრებს სახელოსნოს, რომელიც მის საარსებო პირობას შეადგენს“ [1].

ფორმისა და შინაარსის ცნებებს აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა იმპერიალიზმის მეცნიერულ-კლასობრივ ანალიზისათვის. ასე, აკრიტიკებს რა ოპორტუნისტების ყალბ აზრს, თითქო კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს ხალხთა შორის მშვიდობიანობის საშუალებას, მიუთითებს რა იმაზე, რომ საერთაშორისო ტრესტები და კარტელები—არის კაპიტალისტებს შორის შინაგანი ბრძოლის უცხადესი გამოხატულება, ლენინი ამბობს: „ბრძოლის ფორმა შეიძლება შეიცვალოს და იცვლება მუდმივად სპეადასხვა, შედარებით კერძო და დროებით მიზეზებთან დამოკიდებულებით, მაგრამ ბრძოლის არსება, მისი კლასობრივი შინაარსი სწორედ არ შეიძლება შეიცვალოს, სანამ კლასები არსებობენ... კაპიტალისტების კავშირებს შორის ბრძოლისა და მორიგების შინაარსის საკითხის შეცვლა ბრძოლისა და მორიგების ფორმის საკითხით (დღეს—სამშვიდობო, ხვალ—არასამშვიდობო, ზეგ—კვლავ არასამშვიდობო)—ნიშნავს დაეშვა სოფისტის როლამდე...“ [2]. ასე ტროცკის მიერ წამოყენებულ ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის მაგალითზე ლენინი გვიჩვენებს, რომ მსოფლიოს შეერთებული შტატების ლოზუნგი თავისი ეკონომიური შინაარსით უდრის სოციალიზმს პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, და რომ კაპიტალიზმის პირობებში ეს ტროცკისტული ლოზუნგი უდრის იმპერიალიზმის დაცვას და იწვევს შემცდარ წარმოდგენას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობის შესახებ.

მეორე შემთხვევაში, „მემარცხენეობის საყმაწვილო სენში“, ატარებს რა ორ ფრონტზე ბრძოლის ხასს—მემარჯვენე და „მემარცხენე“ დოქტრინერობასთან საერთაშორისო კომუნიზმის ბრძოლის მედოთების გაგებაში, ლენინი მიუთითებს, რომ კომპარტიის შუშაობის ახალ მძლავრ შინაარსს (ბრძოლა ხელისუფლებისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის) „შეუძლია და მოვალეცაა გამოიჩინოს თავი ყოველგვარ ფორმაში, ახალსა და ძველში, შეუძლია და მოვალეცაა გარდაქმნას, დასძლიოს, დაიმორჩილოს ყველა ფორმები, არა მარტო ახალი, არამედ ძველიც“ [3].

---

[1] კ. მარქსი, ფილოსოფიის სიღატაკე, გვ. 223.

[2] ლენინი, იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, ტ. XIX, გვ. 130—131.

[3] ლენინი, „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი, კომუნიზმში, ტ. XXV, გვ. 238.

პროლეტარიატის დიქტატურა წარმოადგენს პროლეტარული რევოლუციის ძირითად შინაარსს. ლენინისა და სტალინის ეს ძირითადი დებულება პოულობს თავის კონკრეტულ გამოხატულებას მთელ რიგ უფრო კერძო საკითხების განხილვის დროს. ასეთია, მაგალითად, საკითხი პროლეტარული დემოკრატიის ახალი ფორმის შესახებ. „დემოკრატიის ფორმები აუცილებლად იცვლებოდენ ათასეული წლების განმავლობაში“ [1]. უეჭველია იმის წარმოდგენა, რომ უდიდესი რევოლუცია მსოფლიოში მოხდება ძველ ბურჟუაზიულ-პარლამენტარულ დემოკრატიის ჩარჩოებში, „დემოკრატიის ახალი ფორმების შექმნის გარეშე“ [2]. „საბჭოთა ხელისუფლება,—ამბობს ამხ. სტალინი,—წარმოადგენს სახელმწიფო ორგანიზაციის ახალ ფორმას, სახელმწიფოს ახალ ტიპს, პრინციპულად განსხვავებულს ძველი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და პარლამენტარული ფორმისაგან [3]. პროლეტარული დემოკრატიის ამ ახალი ფორმის რეალურ შინაარსს, პროლეტარიატის ტაქტიკის რეალურ შინაარსს შეადგენს კლასების მოსპობა და სოციალისტური საზოგადოების აშენება. „პროლეტარიატს ესაჭიროება კლასების მოსპობა—აი პროლეტარული დემოკრატიის, პროლეტარული თავისუფლების... პროლეტარული თანასწორობის რეალური შინაარსი... ვინც ვერ გაიგო პროლეტარიატის დიქტატურის (ან, რაც იგივეა, საბჭოთა ხელისუფლების ანუ პროლეტარული დემოკრატიის) ეს შინაარსი, ის ამაოდ ღებულობს ამ სიტყვას“ [4].

პროლეტარიატის დიქტატურა წარმოადგენს პროლეტარული რევოლუციის ძირითად შინაარსს და ამავე დროს სახელმწიფოს ახალ ფორმას, რომელშიაც სწარმოებს ბრძოლა კლასების სრული მოსპობისათვის. მაგრამ ახალ მძლავრ შინაარსს თავისი განვითარებისათვის შეუძლია გამოიყენოს ძველი ფორმებიც, მათი საფუძვლიანი შეცვლით. ასეთია კულტურის ნაციონალური ფორმები, რომლებშიაც ვითარდება ახალი, ინტერნაციონალური, პროლეტარული შინაარსი პროლეტარიატის დიქტატურის დროს.

ხანდახან გარკვეული შინაარსი შეიძლება გამოვიდეს გარეგნულადაც მისდამი მოპირდაპირე ფორმად. ასეთია, მაგალითად, ტროცკისტული ფრაზეოლოგიის კაპიტულიანტური შინაარსი და „მემარცხენე“ ფორმა. „კაპიტულიანტობა საქმით, როგორც შინაარსი, მემარცხენე ფრაზები და „რევოლუციურ“-ავანტურისტული ჟესტები, როგორც ფორმა, რომელიც ფარავს და რეკლამას უკეთებს კაპიტულიანტურ შინაარსს,—ასეთია ტროცკიზმის არსება“ [5].

---

[1] ლენინი, კომუნისტური ინტერნაციონალის I კონგრესი, ტ. XXIV, გვ. 12.

[2] იქვე. ხაზგასმულია ჩვენს მიერ.—ავტ.

[3] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 35.

[4] ლენინი, მესამე ინტერნაციონალის ამოცანების შესახებ, ტ. XXIV, გვ. 398—399.

[5] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 654.

V. კანონი, მიზეზი, მიზანი

ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების მოვლენათა მატერიალისტურ შემეცნებას მათ საყოველთაო კავშირში, ყოველი ცალკეული საგნის არსების შემეცნებას მის ერთიანობაში ამ არსების გამოვლინებებთან მივყეევართ ჩვენ ბუნებასა და საზოგადოებაში გაბატონებულ კანონების განხილვამდე, განვითარების კანონზომიერების გარკვევამდე.

კანონის ცნება გამოსახავს არსებით მიმართებას, ე. ი. არსების ურთიერთობას; კანონი მოქმედებს მოვლენათა მიმართ, ხორციელდება მათში არა როგორც გარეგანი ძალა, არამედ როგორც თვით მოვლენებისათვის დამახასიათებელი ობიექტური, იმანენტური, შინაგანი ტენდენცია მათი განვითარებისა. კანონი გამოდის როგორც მათი შინაგანი კავშირის საყოველთაო ფორმა.

„კანონის ცნება — შენიშნავს ლენინი — არის ადამიანის მიერ ერთიანობისა და კავშირის, მსოფლიო პროცესის ურთიერთ დამოკიდებულობისა და მთლიანობის შემეცნების ერთი საფეხურთაგანი“ [1].

ენგელსი გვიჩვენებს, თუ როგორი ისტორიული თანდათანობით ვითარდება ჩვენ მიერ ბუნების კანონზომიერების შემეცნება, თუ როგორ თანდათანობით, ათასეული წლების განმავლობაში გადავდივართ უფრო კერძო განზოგადოებიდან „განსჯებზე საყოველთაო ზოგადობის ყოვლადობის შესახებ“. მატერიალური წარმოების პრაქტიკა და ტექნიკა ასრულებს აქ გადამწყვეტ, გარკვეულ როლს. უკვე წინაისტორიულ წლებამდე იცოდენ პრაქტიკულად, რომ ხახუნი შობს სითბოს, მაგრამ ათასეული წლები გავიდა, სანამ შეიქმნა წარმოდგენა: ხახუნი საერთოდ არის სითბოს წყარო. მხოლოდ სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში, ენერგიის სითბური წყაროების შესწავლასთან დაკავშირებით, მაიერმა და ჯოულმა წამოაყენეს განზოგადება: ყოველგვარი მექანიკური მოძრაობა ხახუნის დახმარებით იქცევა სითბოდ. შემდგომ განზოგადებას მივყეევართ უფრო უნივერსალურ კანონამდე: მოძრაობის ყოველგვარი ფორმა განსაზღვრულ პირობებში იქცევა მოძრაობის მეორე ფორმად. ასე ვითარდება ისტორიულად ბუნების საერთო კანონების შემეცნება.

ადამიანს არ ძალუძს უცებ მოიცვას, ასახოს, გამოსახოს მთლიანად, სავსებით მთელი ბუნება; ლენინის სიტყვებით „მას შეუძლია მხოლოდ მარად უახლოვდეს ამას, შექმნას აბსტრაქციები, ცნებანი, კანონები, მსოფლიოს მეცნიერული სურათი და სხ.“ [2].

---

[1] „ლენინის კრებული“ IX, გვ. 145.

[2] იქვე, გვ. 203.

„კანონი არის,—ხაზს უსვამს ლენინი ჰეგელის აზრს,—არსებითის გამოხატვა უნივერსუმის მოძრაობაში“ [1]. მაგრამ კანონის ცნება—დიალექტიკურად წინააღმდეგობითი ცნებაა, რომელიც გამოხატავს ობიექტურ კანონზომიერებათა განვითარებას მათ შინაგან წინააღმდეგობებში. კანონში ჩვენ გვაქვს რაღაც განმეორებადი, ი გ ი ვ ე ო ბ ი თ ი, „მტკიცე“, რაღაც ისეთი, რაც რ ჩ ე ბ ა, რაღაც უცვლელი და „მშვიდი“ ცვალებად მოვლენებთან შედარებით. კანონში აღებულია მოვლენის მოძრაობისა და განვითარების ა რ ს ე ბ ა მის აბსტრაქტული, „წმინდა“ სახით: კანონი არის „ფორმა ზოგადისა“ (ე ნ გ ე ლ ს ი), „კანონი იღებს მშვიდს,—განაგრძობს ლენინი,—და ამიტომ კანონი, ყოველგვარი კანონი ვიწროა, მთლიანი არაა, დაახლოებითია“; ამ თვალსაზრისით... „მოვლენა კანონზე უფრო მ დ ი დ ა რ ი ა“ [2].

მაგრამ კანონი არ უნდა განვიხილოთ როგორც მხოლოდ გ ა ნ მ ე ო რ ე ბ უ ლ მოვლენათა სიმრავლის აბსტრაქცია. კანონს აქვს თ ვ ი ს ო ბ რ ი ვ ი მხარეც: იგი თვითეულჯერ აღიბეჭდება ჩვენში როგორც გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს განსაკუთრებული აუცილებელი ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა, რომელშიაც კანონი თითქო მიისწრაფის მ ო ი ც ვ ა ს თ ა ვ ი ს ი დაუსრულებელი გამოვლინებანი და აუცილებლად განხორციელდეს მათში. ამ მხრივ კანონის აბსტრაქცია არის უფრო ღ რ მ ა, მეტი სისავსით გამოხატავს სინამდვილეს, ვიდრე ყოველი ცალკეული მოვლენა. ღირებულების კანონი, მიუთითებდა ლენინი, გაცილებით უფრო ჭეშმარიტია, ვიდრე ყოველი ცალკეული მისი გამოვლინება, ვიდრე ცვლის თითოეული აქტი, ვიდრე მოთხოვნისა და მიწოდების კანონი. კანონი მოიცავს და გამოხატავს ყოველ ცალკეულ მოვლენას დაახლოებით, შეფარდებით, შემეცნების ერთ საფეხურზე, ერთის მხრივ, ერთი მიმართებით; იგი არ იძლევა მოვლენის მთელ კონკრეტ სისავსეს, სრულ მთლიანობას, რომლის მთლიანად შემეცნება შეიძლება მხოლოდ მისი დაუსრულებლად მრავალ მხარეების შემეცნების საშუალებით. ამ აზრით კანონი არის ცალკეულ კონკრეტ, მთლიან მოვლენაზე უფრო ღ ა რ ი ბ ი. და ამავე დროს, მოიცავს რა ერთგვარ მოვლენათა ჯგუფებს, კანონი არის უფრო ღრმა, სწორი, მუდმივი, ვიდრე ყოველი მისი ცალკეული გამოვლინება. ამაში მდგომარეობს კანონის, ყოველი მეცნიერული აბსტრაქციის თავისებურება, რაც გამოხატავს ყოველი განვითარების შინაგან წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი თ ო ბ ა ს.

---

[1] „ლ ე ნ ი ნ ი ს კრებული“ IX, გვ. 149. შეად. მარქსისტული „წარმოების კაპიტალისტური წესის მუდმივი ტენდენცია და განვითარების კანონი“.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 147—149.

კანონის ამ შინაგან წინააღმდეგობითობას მუდამ ხაზს უსვამენ მარქსი, ენგელსი, ლენინი. ისინი აწარმოებენ ბრძოლას ერთადერთ მეცნიერულ, სინამდვილის კანონზომიერ შემეცნებისათვის, — ბუნებისა და საზოგადოების ზოგადი კანონების მნიშვნელობის ყოველგვარ იდეალისტურ უარყოფასთან ან იდეალისტურ გადამახინჯებასთან. ამავე დროს ისინი აწარმოებენ ბრძოლას კანონის ფეტიშისტურ, გაუბრალოებულ, ვულგარულ გაგებასთან, როგორც რაღაც უცვლელ „აბსოლუტისა“, რომელიც უშუალოდ და მთლიანად, „წმინდა სახით“ ვლინდება ყოველ ცალკეულ კონკრეტ მოვლენაში. ისინი ხაზს უსვამენ კანონების შეფარდებითს, ისტორიულ მნიშვნელობას, თვით კანონების ცვალებადობას.

„ამ შრომის საბოლოო მიზანს — ამბობს მარქსი „კაპიტალში“ — წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოების ეკონომიური განვითარების კანონის აღმოჩენა“ [1]. ამავე დროს მარქსი ყოველმხრივ ხაზს უსვამს კაპიტალისტური საზოგადოების კანონების შეფარდებითს, ისტორიულ, გარდამავალ ხასიათს. ის მკაცრად აკრიტიკებს იმ ბურჟუაზიულ ეკონომისტების შეხედულებებს, რომლებიც კაპიტალიზმის კანონებში ხედავენ მარადიულ „ბუნებრივ“ კანონებს. „კაპიტალის“ ერთი ადრინდელი რეცენზენტის სიტყვით, რომლის ნარკვევსაც თვით მარქსი მართებულად სთვლიდა, „მარქსისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ერთი რამ: იპოვოს ფენომენების (მოვლენების) კანონი, რომელთა გამოკვლევასაც იგი აწარმოებს. და ამასთანავე მისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო კანონი, რომელიც განაგებს ამ მოვლენებს, ვიდრე მათ განსაზღვრული ფორმა აქვთ და იმყოფებიან იმ ურთიერთ დამოკიდებულებაში, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ამჟამად. მისთვის, ამის დამატებით, მნიშვნელოვანია კანონი მათი ცვალებადობის, მათი განვითარებისა, ე. ი. გადასვლისა ერთი ფორმიდან მეორეში, ერთი წყობილების ურთიერთდამოკიდებულებიდან მეორეში“ [2]. მარქსისათვის არ არსებობს ზოგადი, ყველა დროისათვის სავარჯისი ეკონომიური კანონები. „მისი აზრით, პირიქით, ყოველ ისტორიულ პერიოდს თავის საკუთარი კანონები აქვს“ [3]. მისი მეცნიერული მიზანი „მდგომარეობს კერძო კანონების ახსნაში, რომელსაც ემორჩილება განსაზღვრული საზოგადოებრივი ორგანიზმის წარმოშობა, არსებობა, განვითარება, სიკვდილი და მისი შეცვლა სხვა უფრო მაღალი ორგანიზმით“ [4].

---

[1] მარქსი, კაპიტალი, ტ. I. პირველი გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. XV.
[2] მარქსი, კაპიტალი, ტ. I. ბოლოსიტყვაობა მეორე გამოცემისათვის. გვ. LXI, ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.
[3] იქვე, გვ. LXII.
[4] იქვე, გვ. LXIII.

მარქსი მკვეთრად უპირისპირებს კაპიტალისტური სტიქიის ბრმა კანონებს სოციალისტური საზოგადოების კანონებს, აღმოჩენილთ ადამიანთა კოლექტიური გონების მიერ და წარმართულთ მათ მიერ საკუთარი კეთილდღეობისაკენ.

ენგელსი ხაზს უსვამს ბუნების კანონების ისტორიულ, შეფარდებითს ხასიათს, — რომლებიც თითქო არიან საყოველთაო, მარადი და უცვლელი კანონები. ის გვიჩვენებს, რომ ფიზიკური კანონები, — მაგალითად წყლის თხევადი მდგომარეობა 0-დან 100° C, — რომ ეს კანონები საბოლოო ანგარიშით პირობადებული არიან დედა-მიწის პირობებით და სხვა პირობებში მზეზე და მთვარეზე შეეძლოთ მიეღოთ საბეცვლილება. ენგელსის სიტყვებით, ენერგიის გარდაქმნის ყველაზე უფრო ზოგადი ფორმულირება მის შეფარდებაში მსოფლიო სისტემასთან იქცევა სხვადასხვა კანონების ბატონობის ისტორიად მისი განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე.

მარქსი, ენგელსი, ლენინი აწარმოებენ ბრძოლას კანონების იმ აბსტრაქტულ-ფეტიშისტურ გაგებასთან, რაც დამახასიათებელია მექანიციზმისათვისაც და იდეალიზმისათვისაც. ისინი გვიჩვენებენ, რომ კანონები, გამოხატავენ რა „წმინდა სახით" მოვლენათა ა რ ს ე ბ ა ს, მხოლოდ დ ა ა ხ ლ ო ვ ე ბ ი თ შეიცავენ ბუნების უნივერსალურ კანონზომიერებას. კანონები ხორციელდებიან კონკრეტულ კაპიტალისტურ სინამდვილეში მხოლოდ მუდმივ გადახრებში, როგორც მხოლოდ გაბატონებული ტენდენცია, რომელიც ძლევს კანონების მუდმივ დარღვევას, ე. ი. როგორც მუდმივ მერყეობისა და კანონებისაგან გადახრების რაღაც საშუალო. ღირებულების კანონი, კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონი, მოგების ნორმის შემცირებისაკენ ტენდენციის კანონი და სხ. — ასეთი კანონზომიერი სახით არკვევს მარქსი კაპიტალისტური სინამდვილის ყველა მოვლენებს. ამავე დროს მარქსი ხაზს უსვამს კაპიტალისტური წარმოების კანონების არა მარტო ი ს ტ ო რ ი უ ლ ხასიათს, არამედ იმასაც, რომ ისინი მხოლოდ დაახლოებით ხორციელდებიან კაპიტალისტურ სინამდვილეში, როგორც გაბატონებული ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა, რაიც მიისწრაფის მოსპოს, დაძლიოს მერყეობა და გადახრები. „საერთოდ, — ამბობს მარქსი, — კაპიტალისტურ წარმოებაში ყოველი ზ ო გ ა დ ი კ ა ნ ო ნ ი ხ ო რ ც ი ე ლ დ ე ბ ა ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს მ ხ ო ლ ო დ რ ო გ ო რ ც გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ი ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა, ძალიან დახლართულად და დაახლოებითად, როგორც მ უ დ მ ი ვ რ ყ ე ვ ა თ ა ს ა შ უ ა ლ ო, რომლის ზედმიწევნით განსაზღვრა შეუძლებელია" [1].

---

[1] მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, გვ. 130.

მეორე ადგილას, აღნიშნავს რა, რომ საქონლის ფასი სცილდება მის ღირებულებას, რომ საქონელი კაპიტალისტურ საზოგადოებაში იყიდება მის საბაზრო ღირებულებასთან შეფარდებით მხოლოდ იშ იშვიათ შემთხვევებში, როცა მოთხოვნა და მიწოდება აღარ მოქმედობს და ჰფარავენ ერთიმეორეს, მარქსი განმარტავს: „კაპიტალისტური წარმოების ნამდვილი შინაგანი კანონები, ცხადია, არ შეიძლება მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთ მოქმედებიდან იქნას ახსნილი... ვინაიდან ეს კანონები მხოლოდ მაშინ ხორციელდება წ მ ი ნ დ ა ს ა ხ ი თ, როდესაც მოთხოვნა და მიწოდება აღარ მოქმედობს, ე. ი. ერთი მეორეს ფარავს. მოთხოვნა და მიწოდება სინამდვილეში არასოდეს არ ფარავს ერთი მეორეს, ანდა, თუ ფარავს, ეს ხდება შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ, მაშასადამე, მეცნიერული თვალსაზრისით იგი ნულის ტოლად უნდა დავსახოთ, არ არსებულად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ პოლიტიკურ ეკონომიაში იგულისხმება, რომ ისინი ერთი მეორეს ფარავენ. რატომ? ეს ხდება იმისათვის, რომ მოვლენები გ ა ნ ხ ი ლ უ ლ ი იქნას მ ა თ ი კ ა ნ ო ნ ზ ო მ ი ე რ ი, მ ა თ ი ც ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ი ს ა ხ ი თ, ე. ი. განხილულ იქნეს იმ გარეგნობისაგან დამოუკიდებლად, რომელიც მოთხოვნილებისა და მიწოდების მოძრაობითაა წარმოშობილი. მეორეს მხრით, იმისათვისაც, რომ აღმოჩენილი იქნას მათი მოძრაობის ნ ა მ დ ვ ი ლ ი ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა, მოხდეს ამისი ასე ვთქვათ, ფიქსაცია“ [1]. მარქსი გვიჩვენებს, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ვარკვევთ მოძრაობის შედეგს ასე თუ ისე ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, ჩვენ ვიღებთ სრულ წონასწორობას მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, რომ ამ შედეგს ვიღებთ მხოლოდ როგორც მომხდარ მერყეობათა შუათანას, მხოლოდ „რ ო გ ო რ ც მ ა თ ი წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი ს მ უ დ მ ი ვ მ ო ძ რ ა ო ბ ა ს“. ჩვენ აქ ვხედავთ „საბაზრო ფასების გ ა დ ა ხ რ ი ლ ო ბ ა ს საბაზრო ღირებულებისაგან და, მეორეს მხრივ, ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა ს, მიმართულს ამ გადახრილობის მოსპობისადმი“ [2].

—კაპიტალიზმის კონკრეტულ სინამდვილეში კანონები არასოდეს არ ხორციელდებიან მათი წმინდა სახით. ყოველი კონკრეტული მოვლენა წარმოადგენს ზოგიერთ გ ა დ ა ხ რ ა ს ა ც მასში გამოვლინებულ კანონებისაგან და კანონის დ ა დ ა ს ტ ურ ე ბ ა ს ა ც, რამდენადაც მოვლენის განვითარების მ თ ე ლ ი მოცემული ერთობლივობის გაბატონებული ტენდენცია მიისწრაფის მოსპოს ეს გადახრა, რასაც ადგილი აქვს ც ა ლ კ ე უ ლ მოვლენებში. კანონი მუდამ ხორციელდება როგორც მხოლოდ განვითარების ტენდენცია, არაიშვიათად გადახ-

---

[1] მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, გვ. 156. ხაზგასმულია ჩვენს მიერ.—ა ვ ტ.
[2] მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, გვ. 127.

ლართული სხვა ტენდენციებთან. მხოლოდ ამგვარად ვიგებთ ჩვენ სწორად სინამდვილის კონკრეტულ შინაარსს.

სწორედ ასე უდგება ლენინიც საკითხს მოვლენათა კანონზომიერების შესახებ, აშუქებს რა საკითხს კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების საერთო კანონებისა და განსაკუთრებულ სტადიების კანონების ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. წარმოების კონცენტრაციის მიერ მონოპოლიების წარმოშობა, — მიუთითებს ლენინი, — საერთოდ წარმოადგენს კაპიტალიზმის განვითარების თანამედროვე სტადიის ზოგად და ძირითად კანონს: „თავისი ეკონომიური არსებით იმპერიალიზმი არის მონოპოლისტური კაპიტალიზმი“ [1]. მაგრამ იმპერიალიზმი ყოველივე ამასთან ერთად რჩება განსაკუთრებულ ეტაპად კაპიტალიზმის განვითარებაში და დაქვემდებარებულია ამასთანავე კაპიტალიზმის ამ განსაკუთრებულ კანონებისადმი და ზოგად კანონებისადმი, — წინააღმდეგობისადმი საზოგადოებრივ წარმოებასა და კერძო მისაკუთრებას შორის, წარმოების მოწესრიგებასა ცალკეულ საწარმოებში და ანარქიას შორის მთელს საზოგადოებაში. ამიტომ სწორი არაა ბურჟუაზიული ეკონომისტების ზლაპრები მონოპოლისტურ კაპიტალიზმის დროს კრიზისების თავიდან აცილების შესაძლებლობის შესახებ. არა, კაპიტალისტური წინააღმდეგობანი კიდევ უფრო მწვავდებიან იმპერიალიზმის პერიოდში. „პირიქით, — ამბობს ლენინი, — მონოპოლია, რომელიც იქმნება მრეწველობის ზოგიერთ დარგებში, აძლიერებს და ამწვავებს ქაოტიურობას, დამახასიათებელს მთელი კაპიტალისტური წარმოებისათვის საერთოდ“.

მონოპოლიის თვისებას შეიცავს ტენდენცია მდგარობისა და ლპობისადმი. მაგრამ „შეცდომა იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ ეს ტენდენცია ლპობისადმი გამორიცხავს კაპიტალიზმის სწრაფ ზრდას... საერთოდ, კაპიტალიზმი უსაზომოდ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე წინათ, მაგრამ ეს ზრდა ხდება საერთოდ არა მარტო უფრო არა თანაბარ, არამედ კერძოდ ეს არათანაბრობა მეღავნდება აგრეთვე, კაპიტალით ყველაზე უფრო ძლიერი ქვეყნების ლპობაში“ [2].

კანონის ამ დიალექტიკური გაგებიდან გამომდინარეობდენ ლენინი და სტალინი, ასაბუთებდენ რა განვითარების არათანაბარ კანონს იმპერიალიზმის დროს და ერთქვეყანაში სოციალიზმის აშენების შე-

---

[1] ლენინი, იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია ტ. XIX, გვ. 170 (რუს. გამოც.).

[2] იქვე, გვ. 172. ხაზგასმულია ჩვენს მიერ. — ავტ.

საძლებლობას. კაუცკის ტიპის სოციალ-ოპორტუნისტები, საესებით ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ა დ უდგებოდენ რა იმპერიალისტური ეტაპის კანონზომიერებებს, ამტკიცებდენ წმინდა „ეკონომიური“ თვალსაზრისით, რომ ფინანსიური კაპიტალის ბატონობის დროს კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი და არათანაბრობანი ს უ ს ტ დ ე ბ ი ა ნ იმიტომ, რომ განვითარება „მიიმართება“ მონოპოლიებისადმი, მაშასადამე, ერთ მსოფლიო მონოპოლიამდე, ერთ მსოფლიო ტრესტისადმიო.

ტროცკი და ზინოვიევიც ამტკიცებდენ აგრეთვე, რომ არათანაბრობა იმპერიალიზმის განვითარებაში შემცირდაო. „ულტრა-იმპერიალიზმთან“ დაახლოვებულ თვალსაზრისს ანვითარებდა ამხ. ბუხარინი, რომელიც ამტკიცებდა, რომ კაპიტალისტური კონკურენციის კანონები სწყვეტენ მოქმედებას თუნდაც ცალკეულ სახელმწიფოების ფარგლებშიო.

განვითარება მიიმართება მონოპოლიებისაკენ. „ეს უდაოა — უპასუხებდა ლენინი მსჯელობაზე განვითარების ასეთ წმინდა „აბსტრაქციების“ შესახებ, — მაგრამ ეს საესებით უშინაარსოა... „ულტრა-იმპერიალიზმის“ მკვდარ აბსტრაქციების საუკეთესო პასუხს... წარმოადგენს მათ მიმართ თანამედროვე საერთაშორისო მეურნეობის კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ - ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი სინამდვილის დაპირისპირება“[1]. კაუცკი აპარებს აზრს, „თითქო ფინანსიური კაპიტალის ბატონობა ასუსტებს არათანაბრობას და წინააღმდეგობებს მსოფლიო მეურნეობის შიგნით, მაშინ, როდესაც საქმით იგი ა ძ ლ ი ე რ ებ ს მათ“[2].

განვითარების ისტორიულ კანონზომიერების ასეთსავე დიალექტიკურ გაგებას ატარებს ლენინი თავის ცნობილ პასუხში სუხანოვისადმი ოქტომბრის რევოლუციის „კანონზომიერების“ საკითხის შესახებ. ლენინი გვიჩვენებს, რომ „ გ ა ნ ვ ი თ ა რ ებ ი ს ს ა ე რ თ ო კ ა ნ ო ნ ზ ო მ ი ე რ ებ ა ს თ ა ნ ერთად მთელ მსოფლიო ისტორიაში სრულებითაც არაა გამორიცხული, არამედ, პირიქით, ნაგულისხმევია განვითარების ცალკეული ზოლები, რომელნიც წარმოადგენენ ამ განვითარების ან ფორმის, ან წესის თავისებურებას“[3]. ოქტომბერმა არა მარტო არ დაარღვია მსოფლიო ისტორიის განვითარების საერთო ხაზი, რომელიც გადადის კაპიტალიზმიდან სოციალიზმში, არამედ დაადასტურა ეს საერთო კანონები; და მიუხედავად ამისა ოქტომბრის პროლეტარულ რევოლუციაში ჩვენ გვქონდა განვითარების ცალკეული ზოლის თ ა ვ ი ს ებ ურ ებ ა, გადასვლის თავისებურება.

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია ტ. XIX, გვ. 147.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 147.

[3] ლ ე ნ ი ნ ი, ჩვენი რევოლუციის შესახებ, ტ. XVII, გვ. 399. ხაზგასმულია ჩვენს მიერ. — ა ვ ტ.

ანვითარებს რა შემდეგ ლენინის აზრს, ამბ. სტალინი არკვევს ოქტომბრის რევოლუციის თ ა ვ ი ს ებ ურ ე ბ ა ს, რაც მდგომარეობს პირველი იმაში, რომ პროლეტარიატის დიქტატურა დაიბადა ჩვენში როგორც ხელისუფლება, წარმოშობილი პროლეტარიატისა და მშრომელ გლეხთა მასების კავშირის საფუძველზე პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, და მეორე, იმაში, რომ ჩვენში პროლეტარიატის დიქტატურა განმტკიცდა როგორც ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შედეგი, სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში კაპიტალიზმის შენარჩუნების დროს.

ამავე დროს აბ. სტალინი ამტკიცებს, რომ ოქტომბრის რევოლუციას აქვს ინტერნაციონალური ბუნება, რომ იგი წარმოადგენს ლენინური თეორიის გატარების კ ლ ა ს ი კ უ რ ნიმუშს, სავალდებულოს ყველა ქვეყნებისათვის, რომ ოქტომბრის ეს თ ა ვ ი ს ებ ურ ე ბ ა, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, მიმდინარეობდა „მსოფლიო ისტორიის განვითარების საერთო ხაზით". პროლეტარულ რევოლუციის მიერ იმპერიალიზმის ჯაჭვის გაწყვეტა მის იმ რგოლებში, სადაც იმპერიალიზმი უ ფ რ ო ს უ ს ტ ი ა, იმპერიალიზმის ეპოქაში პროლეტარული რევოლუციის ს ა ე რ თ ო კანონად ხდება.

ლენინისა და ამბ. სტალინის ამ დებულებებში ჩვენ გვაქვს სინამდვილის კანონზომიერი შემეცნების განვითარების განუწყვეტელი კავშირი რევოლუციურ პ რ ა ქ ტ ი კ ა ს თ ა ნ. პროლეტარული რევოლუციის პრაქტიკა გვაძლევს ჩვენ ნამდვილ კრიტერიუმს კაპიტალისტური განვითარების საერთო კანონების მნიშვნელობის შესამოწმებლად და მათ ოპორტუნისტულ ფეტიშიზირებასთან საბრძოლველად. სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკას მთელი რიგი ახალი მომენტები შეაქვს ჩვენს გაგებაში კანონის შესახებ. მას შეაქვს შეგნებული, გ ო ნ ი ე რ ი, გ ე გ მ ი ა ნ ი საწყისი გარდამავალი პერიოდის კანონზომიერებაში (ეს შეგნებული საწყისი ტარდება პროლეტარიატის დიქტატურის მიერ). წინაალმდეგ „პირველდაწყებით სოციალისტურ დაგროვების კანონისა" და „შრომითი დანახარჯების კანონისა", რომელთაც აყენებდენ ტროცკისტები და მემარჯვენეები ახალი ეკონომიკის გასაგებად, კაპიტალიზმის სტიქიურ კანონზომიერებასთან ანალოგიის მიხედვით,—ჩვენ ვხედავთ ისტორიის კანონების მთელ თავისებურებას პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ, ჩვენ ხაზს უსვამთ პროლეტარიატის დიქტატურის როლს, რომელიც თურგნავს ექსპლოატატორებს, ხელმძღვანელობას უწევს მშრომელთა მასებსა და სოციალიზმის მშენებლობას.

ბუნების საყოველთაო, უნივერსალური კავშირისა და კანონზომიერების შემეცნების მიმართ ერთ უმნიშვნელოვანეს საფეხურთაგანს

წარმოადგენს ჩვენ მიერ მიზეზობრივ კავშირთა მიზეზისა და შედეგის, ეგრეთწოდებულ კაუზალობის შემეცნება.

კაუზალური, მიზეზობრივი თვალსაზრისის განვითარება არის საკუთრებით აუცილებელი საფეხური ბუნების მატერიალისტური გაგების განვითარებასა და განმტკიცებაში. ადრინდელი მატერიალისტები აყენებენ მიზეზობრივობის ცნებას წინააღმდეგ იდეალისტებისა, რომლებიც უარყოფენ მიზეზობრივ კავშირთა არსებობას ბუნებასა და საზოგადოებაში. მაგრამ ადრინდელ მატერიალისტებს მოვლენათა მიზეზობრივი კავშირი უმთავრესად ესმოდათ როგორც მექანიკური მიზეზობრივობა. თანამედროვე მექანისტები, მაგალითად, ლ. აესელროდი, მექანიკურ მიზეზობრივობაში მატერიალიზმის იდეალიზმისაგან ძირითად განსხვავებასაც კი ხედავენ.

კანტის ფილოსოფია ერთობ დიდ ყურადღებას და დროს უთმობს კაუზალობის კატეგორიებს, მიისწრაფის რა გადააქციოს მიზეზობრივობა სუბიექტურ ცნებად, ჩვენი განსჯის კატეგორიად, რომელიც ჩვენ ჩვენის მხრივ შეგვაქვს გარეგან მსოფლიოში.

ჰეგელმა იდეალისტური დიალექტიკის პოზიციიდან გააკრიტიკა ძველი მექანიციზმი და კანტიანელობა მიზეზობრივობის საკითხის შესახებ, მან გვიჩვენა, რომ კაუზალობა არის მხოლოდ მცირე ნაწილაკი, მხოლოდ მომენტი საყოველთაო მსოფლიო კავშირის შემეცნებაში, რაც ჰეგელს ესმოდა როგორც აბსოლუტური სულის განვითარება.

ენგელსი და ლენინი იძლევიან მიზეზობრივობის ცნების ღრმა დიალექტიკურ-მატერიალისტურ გაგებას. ისინი ერთსადაიმავე დროს არკვევენ ამ ცნების მთელ მნიშვნელობას მატერიალიზმისათვის, მის ობიექტურ შინაარსს და ამავე დროს ხაზს უსვამენ მის შედარებითობას, ცალმხრივობასა და უსრულობას უნივერსალური კანონზომიერების შემეცნების პროცესში.

ჯერ კიდევ „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში", სასტიკად აკრიტიკებდა რა მექანისტებისა და კანტიანელების მიერ მიზეზობრივობის უარყოფას და აღნიშნავდა რა მიზეზობრივობის მთელ უდიდეს მნიშვნელობას მატერიალიზმისათვის, ლენინი ამავე დროს მიუთითებდა, რომ მიზეზისა და შედეგის ცნებებში ჩვენ გვაქვს მოვლენათა ობიექტური კავშირის გამარტივება. ლენინი ხაზს უსვამს თავის კონსპექტში „მსოფლიო კავშირის ყოველმხრივ და ყოვლის შემცველ ხასიათს, რასაც კაუზალობა გამოხატავს მხოლოდ ცალმხრივად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად და არასრულად" [1]. „შექმნა (აბსტრაქტული) ცნებებისა და ოპერაცია მათთან, — ამბობს ლენინი, — უკვე შეიცავს მსოფლიოს ობიექტური კავშირის კანონ-

[1] „ლენინის კრებული" IX, გვ. 161. ხაზგასმულია ჩვენ მიერ—ავტ.

ზომიერების წარმოდგენას, რწმენას, შ ე გ ნ ე ბ ა ს. ამ კავშირიდან კაუზალობის გამოყოფა უაზრობაა"[1]. „მიზეზი და შედეგი ergo, არის, მხოლოდ მომენტები მსოფლიო ურთიერთ დამოკიდებულებისა, კავშირის (უნივერსალურის), მოვლენათა ურთიერთ შეჯაჭვებისა, მხოლოდ რგოლები მატერიის განვითარების ჯაჭვში" [2].

ლენინის სიტყვებით, ჰეგელისათვის „კ ა უ ზ ა ლ ობ ა არის მხოლოდ ე რ თ ი განსაზღვრათაგანი უნივერსალური კავშირისა, რასაც ის უკვე წინათ ჩასწვდა გაცილებით უფრო ღრმად და ყოველმხრივ"[3]. ჰეგელი სავსებით უქვემდებარებს ისტორიას კაუზალობას და ათასწილ უფრო ღრმად და მდიდრად ესმის კაუზალობა, ვიდრე უამრავ „სწავლულთ" ამჟამად" [4]. „კაუზალობა, ჩვენ მიერ ჩვეულებრივად გაგებული, არის მხოლოდ ს ა მ ყ ა რ ო ს კ ა ვ შ ი რ ი ს მ ც ი რ ე ნ ა წ ი ლ ა კ ი", მაგრამ—სწორედ აქ არის ლენინის მიერ ჰეგელის მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა და გ ა ს წ ო რ ე ბ ა,—„არა სუბიექტური, არამედ ობიექტურად რეალური კავშირის ნაწილაკი" [5].

მიზეზისა და შედეგის ურთიერთობა, ჩვეულებრივად გაგებული როგორც რაღაც ერთი მეორისადმი გარეგან „სუბსტანციების" ურთიერთობა, ჩვენ უნდა შევისწავლოთ უფრო ღრმად, გამოვმდინარეობდეთ რა მატერიის მოძრაობიდან, ისტორიის მოძრაობიდან და მათი საყოველთაო კავშირისაგან. მოვლენათა შორის კაუზალურ (მიზეზობრივ) ურთიერთობაზე მარქსისტულ-ლენინური შეხედულების ამოსავალი წერტილი, აღნიშნავს ენგელსი, არის მათი ურთიერთ პირობადებულობის, მათი ურ თ ი ე რ თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს აღიარება. „პირველი,—ამბობს ენგელსი,—რაც ჩვენ თვალში გვხვდება მოძრავ მატერიის განხილვის დროს,—ესაა ცალკეულ მოძრაობათა, ცალკეულ სხეულთა ურთიერთკავშირი, მათი პ ი რ ო ბ ა დ ე ბ უ ლ ე ბ ა ერთი მეორით" [6].

მაგრამ ჩვენი შემეცნება არ კმაყოფილდება მარტოოდენ ასეთი ამოსავალი საერთო თვალსაზრისით. ამიტომ ჩვენ ვყოფთ პირობებს, რომლის დროსაც წარმოიშობიან ყოველი ცალკეული მოვლენანი ან მოცემულ მოვლენათა ერთობლივობა, პროცესის ცალკეული რგოლები, განხილული სხვა რგოლებისაგან განცალკევებით. მატერიის მოძრაობის საყოველთაო ნაკადში ჩვენ ვანსხვავებთ ზემომქმედ მოძრაობებს, რომელნიც გადადიან სხვა სხეულებზე ან მოვლენებზე, და

---

[1] „ლ ე ნ ი ნ ი ს კრებული" IX, გვ. 197.
[2] ი ქ ვ ე. გვ. 161.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 167.
[4] ი ქ ვ ე, გვ, 163.
[5] ი ქ ვ ე, ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ა ვ ტ.
[6] ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 14.

იმ მოძრაობებს, რომელნიც წარმოიშობიან ამ ზემოქმედებისა ან გადასვლის შედეგად. რომ შევიცნოთ ცალკეული მოვლენანი,—ამბობს ენგელსი,—„საჭიროა, რომ ჩვენ ისინი გამოვთიშოთ მათი ბუნებრივი ან ისტორიული ურთიერთობიდან და თითოეული მათგანი განვიხილოთ ცალ-ცალკე, გამოვიკვლიოთ მისი თვისებები, მისი მოქმედების კერძო მიზეზები და სხვ“[1]. „თუ რომელიმე მოძრაობა გადაცემულია ერთი სხეულიდან მეორეზე, მაშინ, რამდენადაც ეს მოძრაობა გადადის აქტიურად, იგი შეიძლება ჩაითვალოს მოძრაობის მიზეზად, ხოლო რამდენადაც ის გადაცემულია პასიურად—შედეგად“[2].

ეს დიალექტიკური თვალსაზრისი მოვლენათა მიზეზობრივ კავშირზე პოულობს თავის დასაფუძვლებას და დამტკიცებას საზოგადოებრივი ადამიანის პრაქტიკაში. მიზეზი, როგორც ამას ამტკიცებს ჩვენი პრაქტიკული მოღვაწეობა, აუცილებლად გადადის თავის „მოქმედებაში“, იგი ვლინდება მათში როგორც მოძრაობა, აქტიური თავის შედეგის მიმართ, როგორც მოძრაობა, წარმომშობი საგნისა განსაზღვრული სახით. პრაქტიკა ააშკარავებს მოვლენათა ამ ობიექტურ მიზეზობრივ კავშირს, ჰქმნის წარმოდგენას მიზეზობრივობაზე.

ჯერ კიდევ ჰეგელი მიუთითებდა,—იმისათვის, რომ მოვლენათა შორის წარმოიშვას აუცილებელი კავშირი, საჭიროა არა მარტო პირობები და არა მარტო ყველა ამ პირობებიდან გამომდინარე საგანი, არამედ საჭიროა აგრეთვე მოღვაწეობა, რომელსაც „გადაჰყავს პირობა საგანში და საგანი პირობაში“. სხვა საქმეა—შენიშნავს ენგელსი—როდესაც „ჩვენ ვამჩნევთ აგრეთვე, რომ ჩვენ ძალგვიძს წარმოვშვათ განსაზღვრული მოძრაობა, შევქმნით რა პირობებს, რომლის საფუძველზეც იგი წარმოიშვება და რომ ჩვენ შეგვიძლია მივსცეთ ამ მოძრაობას წინასწარ განსაზღვრული მიმართულება და მოცულობა.

ამის მეოხებით, ადამიანის მოქმედების საფუძველზე იქმნება წარმოდგენა მიზეზობრივობაზე, წარმოდგენა იმაზე, რომ ერთი მოძრაობა არის მეორის მიზეზი“ და „ადამიანის მოქმედება იძლევა მიზეზობრივობის დამტკიცების შესაძლებლობას“[3]. ყოველდღიურ ასანთის ანთების დროს ჩვენ ყოველთვის ვამტკიცებთ, რომ სწორედ ხახუნი შობს სითბოს და ცეცხლს. მართალია, აქაც შესაძლებელია მოხდეს წესისაგან გადახრა, შეიძლება მოსალოდნელი მოქმედება არ მოჰყვეს, შეიძლება ასანთი არ აენთოს. „მაგრამ,—დასძენს ენგელსი,—

[1] ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 14.
[2] ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 10—11.
[3] იქვე, გვ. 14. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

სწორედ ეს კიარ უარყოფს, არამედ ამტკიცებს მიზეზობრივობას, ვინაიდან წესისაგან თითოეული ასეთი გადახრის დროს შეიძლება, სათანადო გამოკვლევის წარმოებით, ვნახოთ ამის მიზეზი (მაგალითად ასანთის სინოტივე და სხ.—ავტ.), ასე რომ აქ არსებითად სწარმოებს მიზეზობრივობის ორმაგი შემოწმება“ [1].

ამრიგად კაუზალური თვალსაზრისი კი არ შეგვაქვს ჩვენ ჩვენი ცნობიერებიდან შესაცნობ პროცესში, როგორც ამას ფიქრობენ ფილოსოფოსები სკეპტიკოსები და კანტიანელები. იგი აუცილებლად გამომდინარეობს თვით საგანთა ობიექტური კავშირისაგან, იგი აუცილებლად წარმოიშობა ადამიანის საზოგადოებრივი პრაქტიკისაგან და ჰპოულობს დადასტურებას ამ პრაქტიკაში. საგანთა ამ ობიექტური კავშირიდან და მის დამამტკიცებელ პრაქტიკიდან გამომდინარეობს სწორედ აუცილებლობა ჩვენი ცნობიერებისათვის განვიხილოთ ცალკეული საგნები და მოვლენანი როგორც ცალკეული რგოლები, როგორც საერთო პროცესის მომენტები.

მაგრამ „მიზეზებისა“ და „შედეგების“ (მოქმედების) განკერძოებას აქვს აზრი მხოლოდ იმ პირობით, თუ ჩვენ, ვშორდებით რა სამყაროს ბუნებრივ ან ისტორიულ პროცესის ერთიანობას, დასაყრდენ პუნქტათ გვექნება აგრეთვე მათი ურთიერთმოქმედება, მათი მოძრაობა, მათი შინაგან-აუცილებელი კანონზომიერი კავშირი. „მიზეზი და შედეგი,—დაასკვნის ენგელსი,—არიან ცნებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ ცალკე შემთხვევაზე გამოყენების დროს, მაგრამ თუ ცალკე შემთხვევა განვიხილეთ მის ზოგად უნივერსალურ ურთიერთობაში, ეს წარმოდგენანი ერთდებიან და უნივერსალური ურთიერთ ზემოქმედების წარმოდგენაში გადადიან, სადაც მიზეზები და შედეგები მუდამ თავიანთ ადგილს იცვლიან, და ის, რაც ახლა, ან აქ მოქმედება იყო, იქ, ან მაშინ მიზეზი იქნება და პირიქით“ [2].

„ადამიანის ცნებანი მიზეზებსა და შედეგებზე,—ლენინის სიტყვებით,—ბუნების მოვლენათა ობიექტურ ურთიერთობას მუდამ რამდენიმედ ამარტივებს, მხოლოდ დაახლოვებით გამოსახავს მას, ხელოვნურად ანცალკევებს ერთ შთლიან მსოფლიო პროცესის ამათუიმ მხარეს“ [3].

---

[1] ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 14.

[2] ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 6. ხაზგასმულია ჩვენ მიერ—ავტ.

[3] ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, ტ. XIII, გვ. 128. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

ამიტომ მოელენათა მიზეზობრივი კავშირის სწორი დიალექტიკური გაგება ძირფესვიანად ეწინააღმდეგება მ ე ქ ა ნ ი ს ტ უ რ თვალსაზრისს და იდეალისტურ რ ე ლ ა ტ ი ვ ი ზ მ ს. მიზეზობრივობის ცნება თავისთავად ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს წყალგამყოფ მიჯნად მატერიალისტურ და იდეალისტურ მსოფლმხედველობათა შორის; კიდევ უფრო ნაკლებ შეიძლება ლაპარაკი მ ე ქ ა ნ ი კ უ რ მიზეზობრივობის პრინციპზე, როგორც დიალექტიკური მატერიალიზმის განმასხვავებელ ნიშანზე, — ისე, როგორც ამას შვრება მაგალითად ლ. აკსელროდი, ივიწყებს რა ფილოსოფიის ძირითად საკითხს არსის ცნობიერებასთან დამოკიდებულების შესახებ. მექანიკურ მიზეზობრივობაში უნდა ვიგულისხმოთ მიზეზობრივი კავშირის დაბალი, უ მ ა რ ტ ი ვ ე ს ი ფ ო რ მ ე ბ ი, რომელთაც ადგილი აქვთ წმინდა მექანიკის ჩარჩოებში. მყარ სხეულთა შეხვედრი მოძრაობა არის დაკვრის მიზეზი, ონკანის შებრუნება იწვევს წყლის დენას, მექანიკური მუშაობა არის სითბოს მიზეზი და სხ. აქ ჩვენ უკეთეს შემთხვევაში გვაქვს წმინდა გარეგნული გადასვლა მექანიკური მოძრაობის ერთი ფორმიდან მეორეზე, ასეთსავე მარტივ ფორმაზე; აქ მიზეზი და შედეგი რჩება გარეგნული; ისინი ა რ ი მ ყ ო ფ ე ბ ი ა ნ ურ თ ი ე რ თ შ ო რ ი ს შ ი ნ ა გ ა ნ, ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ კ ა ვ შ ი რ შ ი. დაკვრის მიზეზი შეიძლება იყოს არა მარტო სხეულთა შეხვედრა, არამედ სხეულთა დაცემაც.

სულ სხვაა საქმის მდგომარეობა, როდესაც ჩვენ გადავდივართ უფრო რთულ ფიზიკურ, ქიმიურ და მეტადრე ბიოლოგიურ და საზოგადოებრივ მოვლენებზე. აქ მიზეზები და შედეგები იმყოფებიან ურთიერთშორის შ ი ნ ა გ ა ნ, ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ კ ა ვ შ ი რ შ ი, რომლის გაგებაც შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ განვითარების კანონზომიერებისაგან გამოვდივართ. მიზეზი არა მარტო ქ მ ნ ი ს თავის შედეგს, არა მარტო გადადის თავის მოქმედებაში, არამედ თავის მხრივ მიზეზთა მოცემულ ეროობლივობის არსებობა ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ ნ ა გ უ ლ ი ს ხ მ ე ვ ი ა მოცემულ შედეგთა არსებობით. მიზეზი და შედეგი დაკავშირებულნი არიან ურთიერთშორის შინაგანი კანონზომიერი კავშირით. ამიტომ შეცდომაა მტკიცება იმისა, რომ მარტოოდენ „მექანიკური მიზეზობრივობის პრინციპის აღიარება წარმოადგენს მატერიალიზმის სულს“ [1]. შეცდომა იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, როგორც ამას შვრება კ. კაუცკი, რომ წარმოდგენა მიზეზობრივობაზე აუცილებლად დაკავშირებულია წარმოდგენასთან ბიძგის, დაჯახების შესახებ (der Anstoss) [2]. „ბიძგი“ ისე, როგორც ყოველი წინამორ-

---

[1] ა კ ს ე ლ რ ო დ ი, ფილოსოფიური ნარკვევები.

[2] კ ა უ ც კ ი, ისტორიის მატერიალისტური გაგება, ტ. I.

ბედი მოქმედება საზოგადოებრივ-ისტორიულ განვითარებაში, დაუკავშირებელი თავის შედეგთან შინაგანი კავშირით, შეიძლება აღმოჩნდეს მხოლოდ გარეგან საბაბად და არა მოცემულ მოვლენის აუცილებელ მიზეზად.

ენგელსი ყოველმხრივ გმობდა „ჩვეულებრივ არადიალექტიკურ წარმოდგენას მიზეზსა და შედეგზე, როგორც ორ უცვლელად გათიშულ პოლიუსზე, აბსოლუტურად რომ ვერ ხედავს ურთიერთმოქმედებას“ [1].

სწორედ ასე აყენებს საკითხს მიზეზობრივი კავშირის შესახებ ლენინი, როდესაც ის აშუქებს, მაგალითად, 1917 წ. ოქტომბერში ბოლშევიკების გამარჯვების მიზეზებს. მეორე ინტერნაციონალის მომხრეებს,—მიუთითებს ის,—არ ძალუძთ „სერიოზულად დასვან ფრიად საინტერესო ისტორიული და პოლიტიკური საკითხი ბოლშევიკების გამარჯვების მიზეზების შესახებ“[2]. ამავე დროს ეს საკითხი „სწყდება უდაოდ“, თუ გამოვალთ არა მოვლენათა გარეგან შეჯაჭვებისაგან, არამედ „კლასობრივი ბრძოლის და სოციალიზმის“ საერთო „თვალსაზრისისაგან“ [3].

და იქვე ლენინი ამტკიცებს ბოლშევიზმის გამარჯვების ისტორიულ აუცილებლობასა და საჭიროებას. ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს იმიტომ, რომ მათ მიჰყვებოდა პროლეტარიატის უდიდესი უმრავლესობა და მასში მისი ყველაზე უფრო შეგნებული ნაწილი, იმიტომ, რომ მათ ჰყავდათ უდიდესი უმრავლესობა არმიაში, იმიტომ. რომ მათი ძალები იმყოფებოდენ გადამწყვეტ პუნქტებში, დედაქალაქებში და არმიის ფრონტებზე, იმიტომ, რომ პროლეტარიატმა შესძლო გაეყოლებია თან ფართო არაპროლეტარული მშრომელთა მასები.

სწორედ ასე აყენებს საკითხს მიზეზობრიობის შესახებ ამხ. სტალინი, როდესაც ის განმარტავს: „სად არის იმის მიზეზი, რომ საბჭოთა კავშირი მიუხედავად მისი კულტურული ჩამორჩენილობისა, მიუხედავად კაპიტალის ნაკლებობისა, მიუხედავად ტექნიკურად გამობრძმედილი სამეურნეო კადრების სიმცირისა, შეუჩერებელი ეკონომიური აღმავლობის მდგომარეობაში იმყოფება და ეკონომიური მშენებლობის ფრონტზე გადამწყვეტ წარმატებებს აღწევს, ხოლო მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები, კაპიტალის სიუხვის, ტექნიკური კადრების სიმრავლის და უფრო მაღალი კულტურული დონის მიუხედავად, მზარდი ეკონომიური კრიზისის მდგომარეობაში იმყოფე-

---

[1] მარქსი და ენგელსი, წერილები, გვ. 405.

[2] ლენინი, ტ. 24, გვ. 633—634.

[3] იქვე, გვ. 634.

ბიან და სამეურნეო განვითარების საქმეში დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიან?"[1].

ამხ. სტალინი ამ მიზეზს ხედავს არა გარეგან ვითარებაში, არამედ სხვადასხვა ეკონომიურ სისტემის ღრმა შინაგან-აუცილებელ კანონებში. „მიზეზი, — აღნიშნავს ამხ. სტალინი, — ჩვენი და კაპიტალისტების მეურნეობის ეკონომიურ სისტემათა განსხვავებაშია. მიზეზი — მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის უმწეობაშია. მიზეზი — მეურნეობის საბჭოთა სისტემის უპირატესობაშია კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით"[2].

თანამედროვე ბურჟუაზიული იდეალისტური ფილოსოფია უმჯობესად სთვლის სრულებით არაფერი სთქვას მიზეზების შესახებ. მახისტებს და სხვა სუბიექტურ იდეალისტებს აქვთ მიდრეკილება იხმარონ აბსტრაქტული გამოთქმა — „ფუნქციონალური კავშირი" მოვლენათა შორის. ამასთანავე ფუნქციის ცნებით აღნიშნავენ მოვლენათა საერთო კავშირს და ურთიერთდამოკიდებულებას: ყოველი ურთიერთდაკავშირებული მოვლენა წარმოადგენს მეორის ფუნქციას. სხვა სიტყვებით, ფუნქციის ცნების ხმარებით ამ შემთხვევაში იჩქმალება ის გარემოება, რომ მოცემული მოვლენა, რაკი იგი სხვადასხვანაირად დაკავშირებულია მეორესთან, შეიძლება იყოს ხან მოქმედება (შედეგი) და ხან მიზეზი მეორე მოვლენისა.

ბურჟუაზიულ-იდეალისტური მეთოდოლოგიის ასეთი გარეგნულ „მეცნიერულ" პრეტენზიებს, მის მისწრაფებას, რათა სავსებით განდევნოს „მიზეზობრივი კავშირის" ცნება, წყაროთ აქვს ობიექტური მიზეზობრივი კავშირის იდეალისტური უარყოფა მათ მიერ.

მიზეზებისა და შედეგების ურთიერთმოქმედების დიალექტიკურ, გაგებას არაფერი საერთო არა-აქვს ასეთ რელიატივისტურ თვალსაზრისთან.

ყველა ჩვენი წარმოდგენანი მოვლენათა მიზეზობრივ კავშირზე ვითარდებიან ადამიანის პრაქტიკულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით: ისინი მტკიცდებიან, ვინაიდან ყოველ საათობით დასტურდებიან ჩვენი პრაქტიკით. უკანასკნელ ხანებში მეტისმეტად გაიზარდა მისტიკა, მიზეზობრივობის უარყოფა ბურჟუაზიულ მეცნიერებაში. მთელ რიგ აღმოჩენებს მატერიის სტრუქტურის დარგში ბურჟუაზიული მეცნიერები იყენებენ მიზეზობრივობის უარყოფისათვის. ასეთია ფიზიკოსების — ჰეიზენბერგის, შრედინგერის, პლანკის და სხ. შრომები.

---

[1] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 629.

[2] იქვე, გვ. 629.

გაორება მიზეზად და მოქმედებად მთელ მათ შინაგან მთლიანობაში და კავშირში არსებობს ობიექტურად, თვით საგნებში, ჩვენს შემეცნებაზე დამოუკიდებლად. მიზეზები და მოქმედებანი უეჭველად ურთიერთზემოქმედებენ ერთმანეთს შორის; თითოეული მიზეზი უკვე ჩასახვიდანვე ატარებს თავის მოქმედებას და პირიქით; მაგრამ მიუხედავად ამისა მოვლენათა მოცემულ კავშირში სწორედ მიზეზი წარმოადგენს მოძრაობის გამოსავალ პუნქტს — მის პირველდაწყებით, გამოწვევ, წარმომშობ, აქტიურ მომენტს. რამდენადაც მიზეზის ზემოქმედება გამომდინარეობს თვით მოცემულ მოვლენის კანონზომიერების არსობიდან, მიზეზთა ეს ზემოქმედება უნდა წარმოადგენდეს ამოსავალ მომენტს შედეგისა წინამავალს დროშიაც. ჯერ კიდევ იუმმა შენიშნა, რომ თქმა: „მოცემული მოვლენა ხდება ამა და ამის შემდეგ (post hoc)“ კიდევ არ ნიშნავს: „იგი ხდება ამა და ამის გამოო (propter hoc)“. როდესაც მიზეზზე ვლაპარაკობთ, საჭიროა ხაზი გავუსვათ, რომ მასში ჩვენ გვაქვს არამარტო ურთიერთმოქმედების დასაწყისი მომენტი, არამედ განმსაზღვრელი პირობაც, რომელიც იწვევს, შობს მოცემულ შედეგს, მოცემულ საგანს, წარმოშობს მას განსაზღვრული სახით.

ლაპარაკი მარტოოდენ მოვლენათა ფუნქციონალურ კავშირზე — არსებითად ნიშნავს დავამაყოფილდეთ მათი ურთიერთ კავშირის აღნიშვნით და არ შეეცადოთ მივაღწიოთ მათი ურთიერთმოქმედების ობიექტურ საფუძვლამდე: ამ პოზიციას აშკარად მიეყევართ რელიატივიზმისაკენ, სოფისტიკისაკენ! ხოლო მიზეზების შემეცნების შეცვლა საერთოდ ყველა პირობების შესწავლით — ნიშნავს ეკლეკტიზმის გზაზე დგომას, რასაც არ ძალუძს გამოჰყოს შესაძლებელ პირობათა მთელი მასიდან განსაკუთრებული, ყველაზე უფრო არსებითი პირობები, რომელნიც რეალურად განსაზღვრავენ მოცემულ კავშირში მოცემულ შედეგის ხასიათს. ამასთანავე ადამიანთა მოღვაწეობის პროცესში განუწყვეტლად სწარმოებს სხვა, უფრო საერთო, ნაკლებად არსებითი პირობების მთელი მასიდან ასეთი განმსაზღვრელი, არსებითი პირობების (მიზეზების) „გამოყოფა“, იზოლირება. პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირი საშუალებას აძლევს მიზეზობრიობის მატერიალისტურ გაგებას დასძლიოს „ფუნქციონალური თეორიის“ რელიატივიზმიც და ეკლეკტიზმიც, რომელიც მიზეზობრივობას სცვლის „პირობებით“.

ფრიად მნიშვნელოვანია აგრეთვე შეგვეძლოს განვასხვავოთ მოვლენათა მიზეზები გარეგან საბაბისაგან, რომელმაც ისინი გამოიწვია; უნდა გვახსოვდეს შინაგანი კავშირი, რაც მუდამ არსებობს მი-

ზეზსა და შედეგს შორის. დაბოლოს მოცემულ მოვლენის კონკრეტულ შესწავლის პროცესში, მოვლენის გამომწვევ მიზეზთა შორის უნდა შეგვეძლოს გამოვსძებნოთ ძირეული, ძირითადი მიზეზები, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ შემდეგში მოცემულ მოვლენის განმეორება, უნდა განვასხვავოთ ეს ძირითადი მიზეზები განსაკუთრებულ, სპეციფიურ, დროებით მიზეზებისაგან, რომელთაც აქვთ მხოლოდ გარდამავალი მნიშვნელობა, მაგრამ ისინი ჩვენ მაინც უნდა გაეითვალისწინოთ მთელი კონკრეტული გარემოთა ხელახლა აღსადგენად.

ასე აყენებდა, მაგალითად, ამხ. სტალინი საკითხს 1928 წ. პურის ფრონტზე ჩვენი სიძნელეების მიზეზების შესახებ. შემარჯვენე ოპოზიცია ეძებდა ამ მიზეზებს მხოლოდ ვეგმებში დაშვებულ შეცდომებში და მხედველობიდან უშვებდა ძირათად მიზეზებს. ამხ. სტალინმა გამოააშკარავა ძირითადი მიზეზები, ჩვენი სიძნელეების არსება, რაც მდგომარეობდა მაშინ, იმ საფეხურზე წვრილი გლეხური მეურნეობის დაქსაქსულობაში და მისი კოლექტივიზაციის აუცილებლობაში. ამხ. სტალინი აღნიშნავდა ამავე დროს სიძნელეთა სპეციფიურ, დროებით მიზეზებს — გადახდისუნარიან მოთხოვნილების სწრაფი ზრდა გლეხობის მხრივ, პურის ფასების არახელსაყრელი მდგომარეობა, საგეგმო ხელმძღვანელობის შეცდომები და სხ.

ძნელი არაა იმის დანახვა, რომ მოცემულ მოვლენათა კანონებისა და მიზეზების მხოლოდ ასეთ ღრმა გაგებას შეუძლია დაგვეხმაროს ჩვენი ამოცანებისა და მიზნების სწორ გაშუქებაში. მაგრამ ამ განუწყვეტელ კავშირს მიზეზებსა და მიზნებს შორის ხშირად უგულებელყოფს ბურჟუაზიული მეცნიერება, რომელიც მიზეზობრივ შემეცნებას უპირისპირებს მიზანშეწონილობას. კაუზალურ, ანუ მიზეზობრივ თვალსაზრისს მოვლენათა შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე დიდი ხანია უპირისპირებენ სრულებით სხვა, აშკარა იდეალისტურ შეხედულებას — თელეოლოგიურ თვალსაზრისს. თელეოლოგიის თანახმად ყოველი მოვლენა — აქვს თუ არა მას ადგილი ბუნებაში ან საზოგადოებრივ ცხოვრებაში — არის რომელიღაც მიზნის განხორციელება. მიზნის განხორციელება — სულ ერთია, ეს მიზანი დასახულია ღმერთის მიერ, თუ იგი არის მოცემულ მოვლენის შინაგანი, თვისობრივი მიზანი, — მიჰყავს მოცემული მოვლენა განვითარებისაკენ, სრულყოფისაკენ. ამიტომ, ამბობენ „თელეოლოგები", თუ ჩვენ ვამყარებთ განხილულ მოვლენებში მუდმივობისა და კანონზომიერების კავშირს, ეს კავშირი ჩვენ სრულებითაც არ უნდა განვიხილოთ მათი წარმომშობი მიზეზების თვალ-

საზრისით, არამედ იმისდა მიხედვით, თუ როგორ ხორციელდება მათში რომელიღაც უმაღლესი მიზნები.

ასეთი შეხედულების პირვანდელი საწყისი მომდინარეობს რელიგიურ წარმოდგენიდან „ღვთიურ განგების“ შესახებ. საეკლესიო მწერლები, დაწყებული „ეკლესიის მამამთავარ“ ავგუსტინიდან, განსაკუთრებულის გულმოდგინეობით იყენებდენ თელეოლოგიას საზოგადოებრივი ცხოვრების გაგების საკითხში; ადამიანის ამ ქვეყნიურ ცხოვრებას ხატავდენ ისინი როგორც ცოდვათა განსაცდელის გზას, რომელსაც მიჰყავს ის უმაღლესი მიზნისაკენ, სხვა „სამეფოსაკენ“, „ღვთის მეუფებისადმი“ ამაღლებისაკენ და სხ.

საწარმოო ძალებისა და მეცნიერულ შემეცნების განვითარებასთან ერთად თელეოლოგიურმა თვალსაზრისმა თვით იცვალა სახე. ახლა უკვე მიზნის ძიება დაიწყეს არა მოვლენათა გარეშე, არამედ თვით მათში; ბუნების ამათუიმ მოვლენის მიზანდასახული ხასიათი ცხადდება ამ მოვლენის შინაგან თვისებად, მის იმანენტურ მიზანდასახულებად.

მოძღვრება საგანთა აღნაგობის შინაგანი მიზანდასახულობის შესახებ ჯერ კიდევ არისტოტელეს წამოაყენა. ამ თელეოლოგიურმა შეხედულებამ უმაღლესი განვითარება მიიღოლეიბნიცის თეორიაში, რომლის თანახმად ქვეყნიერება შესდგება იზოლირებულ არსებათაგან (სული) — „მონადებისაგან“. თითოეული მონადა, ლეიბნიცის აზრით, წარმოადგენს რაღაც შინაგან — მისი განვითარების მამოძრავებელ — მიზნის განხორციელებას. იდეალისტურ ფილოსოფიაში თანდათან იქმნება განსხვავება „მომქმედ მიზეზსა“ (causa effèciens), ე. ი. ჩვენ მიერ ჩვეულებრივად გაგებულ მიზეზსა და „საბოლოო მიზეზს“ (causa firalis) ანუ მიზანს შორის.

შინაგანი მიზანდასახულობის საუკეთესო ნიმუშს, რაზედაც ყველაზე უფრო ხშირად მიუთითებენ „თელეოლოგები“, წარმოადგენს ცხოველთა და მცენარეთა ორგანიზმების მიზანდასახული აღნაგობა; აქ, როგორც სჩანს, თითოეული ორგანოს აღნაგობა პოულობს თავის გამართლებას მათ მიერ შესრულებულ ფუნქციებში. ორგანიზმების აღნაგობის შინაგანი მიზანდასახულობის დამახინჯებულ გაგებას ემყარებიან ზოგიერთი თანამედროვე ბურჟუაზიული ბიოლოგიური თეორიები. ასეთია კერძოდ ყველა იმ ვიტალისტური თეორიების სარჩული, რომელნიც აწერენ ცოცხალ ორგანიზმებს რაღაც განსაკუთრებულ სასიცოცხლო ძალას (ვიტალიზმის თანამედროვე ბელადი დრიში და სხვ.). მოძღვრებას შინაგანი და ორგანიული მიზანდასახულობის შესახებ ატარებს ბურჟუაზიული იდეალისტური მეცნიერება საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლის დროსაც: „ორგანიუ-

ლი სკოლის“ ნეოკანტიანელების, ნაროდნიკების „სუბიექტური სოციოლოგიის“ წარმომადგენლები. ბურჟუაზიული მეცნიერების ყველა ეს მიმართულებანი ფიქრობენ, რომ ისტორიისათვის სავარგისი არაა მიზეზობრივი შესწავლა და უნდა შეიცვალოს ან უნდა შევსებული იქნას იმ შანაგანი მიზნისა და უმაღლეს ღირებულებათა გამოძებნით, რომელნიც თითქო ხორციელდებიან საზოგადოების განვითარებაში.

დარვინმა ბუნებისმეტყველებაში უძლიერესი მახვილი ჩასცა თელეოლოგიას. მან მიუთითა, რომ თვით ორგანიზმების აღნაგობის მიზანდასახულობამ უნდა ჰპოვოს და პოულობს კიდევაც მიზეზობრივ და კანონზომიერ ახსნას. ეს მიზანდასახულობა სრულებითაც არ აიხსნება მათი ორგანიზაციის გონიერებით, არამედ არსებობის პირობებისადმი შეუგუებელთა, „მიზანდაუსახავად“ აგებულ სახეთა დაღუპვით მრავალი ათასი წლის განმავლობაში. თავისთავად ცხადია, რომ ბუნება არ ისახავს შეგნებულ მიზნებს. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ თელეოლოგიური თვალსაზრისი საესებით არა თანმიმდევრობით უპირისპირებს ერთიმეორეს მოვლენათა მიზეზობრივ ახსნასა და მათ მიზანდასახულ ხასიათს, რომ იგი თვითნებურად სწყვეტს საქმის ერთ მხარეს მეორისაგან. არ შეიძლება განვაცალკეოთ საკითხი — „რისთვის“ მიმდინარეობს ადამიანთა ესათუის მოქმედება, რისთვის ესაჭიროება, ვთქვათ, ინფუზორიას საციმციმო წამწამები, საკითხისაგან — „რატომ“ აქვს ადგილი ამ მოვლენას. ასე მოქცევა ნიშნავს — ან უკვე წინასწარ ვიგულისხმოთ თვით მოვლენათა კავშირის გარეშე მათი განმახორციელებელი გონიერი ნებისყოფა ანდა უკიდურეს შემთხვევაში წინასწარ წარმოვიდგინოთ, რომ „მიზანი“ არაა დამოკიდებული მოვლენათა გამომწვევ მიზეზებისაგან.

ამავე დროს საგანი ყოველმხრივ, მათ რიცხვში მის მიერ „მიზნის“ განხორციელების პროცესის მხრივაც უნდა გაგებული იქნას მის გამომწვევ პირობებში: მოცემულ მოვლენის ყოველი სრული განსაზღვრა, ყოველი განმარტება — თუ „რატომ“ მიმდინარეობს იგი გარკვეული სახით, შეიცავს იმის განმარტებასაც, თუ „რისთვის“, რა მიზნისთვის ხდება მოცემული მოვლენა. როდესაც ჩვენ გამოვარკვიეთ, თუ რატომაა თვალები მიზანდასახულად მოწყობილი, ამით ჩვენ ისიც გამოვარკვიეთ, თუ „რისთვისაა“ იგი ასე მოწყობილი. თუ ჩვენ აეხსნით, რატომ, როგორი კანონების მიხედვით სწარმოებს ადამიანთა მოცემული საზოგადოებრივი მოქმედება და ცხადვყოფთ, რომ მათ აუცილებლათ მხოლოდ ამ და არა

სხვა მიზნის მიმართულებით შეუძლიათ წარმოება, ამით ჩვენ გაცილებით უფრო სრულად და სწორად აეხსნით იმ მიზანსაც, რასაც ისახავენ ეს საზოგადოებრივი მოქმედებანი. მარქსი და ენგელსი კომუნიზმს ხსნიდენ არა როგორც იდეალურ მდგომარეობას, რაც უნდა დამყარებული იქნას, არამედ როგორც რეალურ ისტორიულ მოძრაობას, რომელიც სპობს თანამედროვე მდგომარეობას; მათ გამოააშკარავეს რა კაპიტალისტური განვითარებისა და კლასობრივი ბრძოლის კანონები, ამით გამოარკვიეს პროლეტარიატის ისტორიული მისია.

„მიზნის ცნება, — ჰეგელის სიტყვით, — უ დ რ ი ს თ ვ ი თ ს ა გ ნ ი ს მ ა რ ტ ი ვ გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ს“. „სინამდვილეში, — შენიშნავს ლენინი ჰეგელს, — ადამიანის მიზნები წარმოშობილია ობიექტური ქვეყნიერების მიერ და გულისხმობენ მას, — ჰპოულობენ მას, როგორც მოცემულს, არსებულს. მაგრამ ადამიანს ჰ გ ო ნ ი ა, რომ მისი მიზნები აღებულია ქვეყნიერების გარეშე, ქვეყნიერებისაგან დამოუკიდებელია („თავისუფლება“)“[1]. ჩვენ მიერ სინამდვილის შესწავლის პროცესში მიზანდასახულობა მექანიკურად არ უნდა იქნეს უკუგდებული, მაგრამ იგი იდეალისტურად არ უნდა იქნას დაპირისპირებული კანონზომიერებისა და მიზეზობრივობის მიმართ, იგი მოითხოვს განსაკუთრებულ, მაგრამ მაინც მიზეზობრივ და კანონზომიერ ახსნას. ამიტომ ბუნების მოვლენათა და ადამიანის საზოგადოებრივ მოქმედებათა მიზანდასახულობა ჩვენ უნდა განვიხილოთ როგორც გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი, სპეციფიური გამოხატულება, როგორც განსაკუთრებული ფორმა მათი კანონზომიერების გამოვლინების, მათი განვითარების ძირითადი ტენდენციის.

ორგანიზმების აგებულების შინაგანი მიზანდასახულობა არის მათში მთელისა და ცალკეული ნაწილების ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს, ორგანიზმის ფუნქციებისა და მათი ფორმების ერთიანობის განსაკუთრებული გამოხატულება.

მიზნის ცნების მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მდგომარეობს იმაში, რომ იგი საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ მოვლენები პრაქტიკასთან განუწყვეტელ კავშირში — საგნების პრაქტიკულ როლთან, ადამიანის საზოგადოებრივ მოქმედებებთან კავშირში. „იდეას, როგორც ჰ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ს, — აღნიშნავს ლენინი, — ჰეგელი უდგება ადამიანის პრაქტიკულ მიზანდასახულ მოღვაწეობის მხრივ“, ის მიდის „სუბიექტური ცნებისა და სუბიექტური მიზნისაგან ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ჰ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს ა კ ე ნ“[2].

---

[1] „ლ ე ნ ი ნ ი ს კ რ ებ უ ლ ი“ IX, გვ. 215 — 217.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 219.

მარქსიზმ-ლენინიზმი როდი უარყოფს მიზნების მნიშვნელობას ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კლასობრივი ბრძოლის პრაქტიკაში, არამედ, პირიქით, ააშკარავებს მათ ნამდვილ ისტორიულ მნიშვნელობას. გარკვეული მიზნების დასახვა, მიუთითებენ მარქსი და ენგელსი, არის საზოგადოებრივი ცხოვრების, ადამიანთა საზოგადოებრივ-ისტორიულ მოქმედების დამახასიათებელი განმასხვავებელი ნიშანი, რაც მათ ანსხვავებს ბუნების სტიქიური ძალებისა და კანონებისაგან. მაშინაც კი, როდესაც მარქსი ანალიზს უკეთებს შრომის მარტივ პროცესს, ის გვიჩვენებს მიზანდასახულად წარმართულ შრომის მთელ ღრმა განსხვავებას ყველაზე უფრო დახელოვნებულ ფუტკრის შრომისაგან. ტექნიკის მთელი განვითარება გამოხატავს ადამიანის მიზანდასახულ მოღვაწეობის ამ განმასხვავებელ თვისებებს.

განმარტავს რა ჰეგელის ზოგიერთ დებულებებს და გადმოაქვს რა იგი მატერიალისტური დიალექტიკის ენაზე, ლენინი ხაზს უსვამს ჩვენი მიზანდასახული მოღვაწეობის კანონზომიერ საფუძვლებს, მის ობიექტურ ხასიათს როგორც ფორმების ობიექტურ პროცესს. ამავე დროს ლენინი განმარტავს, რომ ბუნების კანონების მიმართ ადამიანის მიზნების დაპირდაპირებას აქვს თავისი საფუძველი თვით შემეცნების პროცესში და ადამიანის შემეცნების თავისებურებებში, რაც „უცებ და უბრალოდ არ ემთხვევა“ შესაცნობ ბუნებას. „ბუნების გარეშეყნის კანონები... არიან ადამიანის მიზანდასახულ მოღვაწეობის საფუძვლები“[1]. „ობიექტური პროცესის ორი ფორმა: ბუნება (მექანიკური და ქიმიური) და ადამიანის მიზანნაგულისხმევი მოღვაწეობა... ადამიანის მიზნები პირველად გვეჩვენება უცხოდ („სხვად“) ბუნების მიმართ. ადამიანის შეგნება, მეცნიერება... გამოსახავს ბუნების არსობას, სუბსტანციას, მაგრამ ამავე დროს ეს შემეცნება არის გარეგანი ბუნების მიმართ (უცებ, უბრალოდ არ ემთხვევა მათ)“[2].

მიზანთა შეჯახება, რასაც ისახავდენ სხვადასხვა ადამიანები და მთელი საზოგადოებრივი კლასები, დღემდე იწვევდა იმას, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება ვითარდებოდა სტიქიური კანონების მიხედვით, არა წინასწარ დასახულ გეგმის მიხედვით, არა დასახულ მიზნების შესაბამისად.

მარქსი გვიჩვენებს, თუ როგორ წარმოიშობა წინააღმდეგობა კაპიტალისტის შეზღუდულ მიზანსა — ზედმეტი ღირებულების გადიდება, — და ამ მიზნის საშუალებებს შორის,—წარმოების განუ-

---

[1] „ლენინის კრებული“ IX, გვ. 213.

[2] იქვე, გვ. 215.

საზღვრელი გადიდებით და საზოგადოებრივი საწარმოო ძალების აუცილებელი ზრდით.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ კაპიტალიზმის დროს ერთიმეორის წინააღმდეგ მებრძოლი კლასები — ბურჟუაზია და პროლეტარიატი არ ისახავენ კლასობრივ მიზნებს და არ ანხორციელებენ მათ.

ბურჟუაზია იყენებს სახელმწიფო ძალაუფლებას როგორც პროლეტარიატისა და ყველა მშრომელთა ძალადობით დათურგვნის იარაღს. პროლეტარიატის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ დაამხოს ბურჟუაზია, წაართვას მას სახელმწიფო ხელისუფლება და აამოქმედოს ეს იარაღი თავისი კლასობრივი მიზნებისათვის.

პროლეტარიატის დიქტატურის მიერ ამ კლასობრივი მიზნების განხორციელებას მივყევართ იმასთან, რომ ისპობა წინააღმდეგობა „საშუალებებსა“ და „მიზნებს“ შორის, რაც დამახასიათებელია კაპიტალისტური წარმოებისათვის, რომ პროლეტარული ბრძოლის საბოლოო მიზანი — „სოციალიზმის ორგანიზაცია კაპიტალიზმის ნანგრევებზე“ (ლენინი) — ხორციელდება მის საშუალებასთან — საბჭოთა ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ მზარდ ძლევამოსილებასთან — სრულ თანხმობასა და მთლიანობაში, მუშათა კლასისა და მისი პარტიის გეგმიან და მიზანდასახულ მოქმედების საფუძველზე.

VI. აუცილებლობა და შემთხვევითობა

„ყოველი განცალკევებული, — ამბობს ლენინი, — ათასი ხიდითაა დაკავშირებული სხვა გვარ განცალკევებულთან (საგნებთან, მოვლენებთან, პროცესებთან) და სხვ. უკვე აქ არის ელემენტები, ჩანასახები, ცნებანი აუცილებლობისა, ბუნების ობიექტური კავშირისა etc. უკვე აქ არის შემთხვევითი და აუცილებელი მოვლენა და არსობა იმიტომ, რომ როცა ვამბობთ ივანე კაცია, ცუგა ძაღლია, ეს ხის ფოთოლია და სხვა, ჩვენ უკუაგდებთ ზოგიერთ ნიშანდობლივ თვისებებს, როგორც შემთხვევითს, ჩვენ არსებითს ვთიშავთ მოვლინებულისაგან და ერთიმეორეს ვუპირდაპირებთ“[1].

მთელ მსოფლიოში ობიექტური კავშირის არსებობის აღიარება, აღიარება აუცილებლობისა, ყოველივე იმისა, რაც ხდება, ანუ, როგორც ამბობენ ხოლმე, მისი დეტერმინირებულობისა (პირობადებულობის), — არის ჩვენი შემეცნების ერთი უმნიშვნელოვანესი ამოსავალი წინაპირობათაგანი, მხოლოდ საყოველთაო კავშირის არსებობის პირობებში ხდება გასაგები ცნობიერების მოვლენათა მატერიალისტური დამოკიდებულება გარემომცველ არსისაგან.

[1] „ლენინის კრებული“, გვ. 325.

მაგრამ მარტოოდენ მსოფლიოში გაბატონებულ აუცილებელი-კავშირის არსებობის აღიარება, აღიარება დეტერმინიზმისა, ჯერ კიდევ არ წარმოადგენს წ ყ ა ლ გ ა მ ყ ო ფ ს ორ ხაზს შორის ფილოსოფიაში— მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის. მარტოოდენ აუცილებლობის მტკიცებით წინასწარ როდი განისაზღვრება იმ დამოკიდებულების ხ ა ს ი ა თ ი, რაც არსებობს ყოფიერებასა და ცნობიერებას შორის. შეიძლება აღიარონ ყოველივე მომხდარ მოვლენათა აუცილებლობა და ამავე დროს ეძებონ ამ აუცილებლობის საფუძველი აზროვნებაში, ობიექტურ „სულში“, ღმერთში და სხ. აუცილებლობის მარტოოდენ შიშველი მტკიცების საფუძველზე ადვილად შეიძლება გააერთიანონ მექანისტური მატერიალისტებიც, ბუნებისმეტყველი-პოზიტივისტებიც და ზოგიერთი იდეალისტებიც კი. რევიზიონიზმის მამა ედ. ბერნშტეინი სთვლიდა: იმისათვის, რომ იყო მატერიალისტი, საკმაოა მხოლოდ ამტკიცო ყოველივე მომხდარის აუცილებლობა, იყო დეტერმინისტი. ფ. მერინგი, ეკამათებოდა რა ბერნშტეინს, სრულებით სამართლიანად მიუთითებდა ისეთ მოაზროვნეებზე, როგორიც არიან ვოლტერი და შოპენჰაუერი; ესენი შეუდრეკელი დეტერმინისტები იყვნენ, მაგრამ ეს არ უშლიდა მათ დარჩენილიყვნენ მატერიალიზმის თავგამოდებულ მტრებად. დეტერმინიზმი შეიძლება გადაიქცეს დიალექტიკურ-მატერიალისტურ შემეცნების გამოსავალ წინაპირობად მხოლოდ მის მტკიცე-მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ ურ გაგებით: მატერიალისტური დეტერმინიზმის შ ი ნ ა ა რ ს ი გამომდინარეობს მატერიალიზმის მიერ არსისა და ცნობიერებას შორის დამყარებულ ურთიერთობისაგან. არა ნაკლებ არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენ მიერ აღიარებულ აუცილებლობის ფორმასაც.

ჩვენს გარემოშეველ სინამდვილეში ყოველ ნაბიჯზე, ყოველ ც ა ლ კ ე შემთხვევაში გამოდის პირველი შეხედვით რაღაც პირდაპირი მოწინააღმდეგე ამ აუცილებლობისა —გამოდის შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი-თ ო ბ ა. მარქსი აღნიშნავს ამას, მაგალითად, კაპიტალისტური კონკურენციის მთელ სფეროში, „რომელზედაც, თუ განვიხილავთ ყოველ ც ა ლ კ ე შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა ს, ბატონობს შემთხვევითობა, რომელშიაც, მაშასადამე, შ ი ნ ა გ ა ნ ი კ ა ნ ო ნ ი, პოულობს რა განხორციელებას ამ შემთხვევითობებს შორის და აწესრიგებს რა მათ, შესამჩნევი ხდება მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს შემთხვევითობები გაერთიანებული იქნება მსხვილ მასებში“[1].

აუცილებლობასა და შემთხვევითობას ჩვეულებრივად უ პ ი რ ი ს-პ ი რ ე ბ ე ნ ერთიმეორეს. შემთხვევითს უწოდებენ იმ ამბებს, ფაქ-

---

[1] მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 359. ხაზგასმულია ჩვენ მიერ. — ა ვ ტ.

ტებს, მოქმედებებს, რომელნიც ვერ პოულობენ ახსნას საგანთა აუცილებელ მიმდინარეობაში. ავტომობილმა შემთხვევით გასრისა ადამიანი, ჩვენ შემთხვევით შეეხვდით ნაცნობს ქუჩაში, შემთხვევით მხვდა სახელმწიფო სესხის მოგება და სხ. ბურჟუაზიული მეცნიერება, რომელსაც არ ძალუძს რა ახსნას შემთხვევითობა, პირველ ხანებში მისწრაფოდა იქითკენ, რომ ან შეეზღუდა ჩვენი შემეცნება იმ მოვლენათა რკალით, რომლებშიაც ყველაზე უფრო ნათლად ვლინდება მათი აუცილებლობა, მოვლენათა მიზეზობრივი კავშირი, ან სავსებით განედევნა „შემთხვევითობის“ ცნება მეცნიერულ შემეცნების არედან და გამოეცხადებია შემთხვევითობა წმინდა სუბიექტურ ცნებად. სპინოზასთან ერთად მთელი მექანისტური ფილოსოფია ამტკიცებს, რომ „მოვლენას შემთხვევითი ეწოდება მხოლოდ ჩ ვ ე ნ ი ც ო დ ნ ი ს ა რ ა-ს ა კ მ ა რ ო ბ ი ს გ ა მ ო რ“. ყოველივეს აქვს თავისი მიზეზი და, მაშასადამე, ყოველივე ხდება აუცილებლად. მაგრამ ჩვენ ყოველთვის არ შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ ყ ვ ე ლ ა მიზეზები, რომელთაც გამოიწვიეს მოცემული მოვლენა. მიზეზების ერთმა რიგმა გამოიწვია ის, რომ ავტომობილი მიდიოდა ქუჩაზე, მეორე რიგმა მიიყვანა იქ ადამიანი, და მიზეზთა ამ ორი რიგის ურთიერთმოქმედების შედეგად მოხდა შემთხვევა. მაშასადამე, ამბობენ მექანისტები, ყოველივე, რაც შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ა დ გ ვ ე ჩ ვ ე ნ ე ბ ა, სინამდვილეში ხდება ა უ ც ი-ლ ე ბ ლ ა დ. მაშასადამე, წარმოდგენას შემთხვევითობაზე აქვს შეფარდებითი მნიშვნელობა—მხოლოდ მოვლენის ბოლომდე გამოუმჟღავნებელ მიზეზობრივი კავშირის მიმართ. ამ უკანასკნელ შეხედულებას თითქო სტატისტიკის კანონებიც კი ამტკიცებენ, რომელნიც თვით „შემთხვევითობებში“ აჭყარებენ გარკვეულ კანონზომიერებას: ავტომობილის მსხვერპლთა, თვითმკვლელობას და სხვ. შემთხვევათა ზუსტ განმეორებას.

საბჭოთა ლიტერატურაში მექანისტური შეხედულება შემთხვევითობაზე განსაკუთრებით ნათლად გამოხატა ამბ. ბუხარინმა. აგიგვეებს რა შემთხვევითობას უმიზეზობრივობასთან, ამბ. ბუხარინი ამტკიცებს, რომ შემთხვევითობაზე ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ იმიტომ, რომ არ ვიცნობთ ყველა გადაჯვარადინებულ მიზეზობრივ რიგებს: „მკაცრად რომ ვთქვათ, არავითარი შემთხვევითობითი, ე. ი. უ მ ი-ზ ე ზ ო მოვლენა არ არის. ხოლო მოვლენები ჩვენ შეიძლება მოგვეჩვენოს „შემთხვევითად“, რამდენადაც საკმაოდ არ ვიცით მათი მიზეზები“[1].

მაგრამ ასეთი თვალსაზრისი ცხადყოფს აუცილებლობის წმინდა მ ე ქ ა ნ ი კ უ რ გაგებას. შემთხვევითობა სრულებითაც არაა უმიზეზობრივობა. მიზეზობრივობა—არის პროცესებსა და ობიექტურ მსო-

[1] ბ უ ხ ა რ ი ნ ი, ისტორიული მატერიალიზმის თეორია, გვ. 42.

ფლიოს შორის არსებულ კავშირის ერთი თვისება. შემთხვევითობა და აუცილებლობა არის ამ კავშირთა მეორე ტიპი. ურთიერთობათა ეს ტიპები გულისხმობენ ერთი მეორეს. მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რომ ურთიერთობათა ეს ტიპები უნდა გავაიგივეოთ. აუცილებლობის ცნება როდი გამორიცხავს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ო ბ ებ ს, რომელთაც აქვთ აგრეთვე ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მნიშვნელობა. შემთხვევითობის ობიექტური ბუნების აღიარება სრულებითაც არ ნიშნავს უარყოთ ის გარემოება, რომ ისინიც გამოწვეული არიან განსაზღვრული მიზეზების მიერ. ყოველ შემთხვევითობას აქვს თავისი განსაკუთრებული რთული მ ი ზ ე ზ ებ ი. უფრო ზუსტათ რომ ვთქვათ, მიზეზობრივად პირობადებულია გადაჭრით ყველაფერი — ისიც კი, რომ ხის ხმელი ფოთოლი დამეცა მე ხელზე და არა მიწაზე, რომ მე ჭამის დროს ლუკმა გადამცდა. მაგრამ ცხადია, ასეთი აბსტრაქტული გამოცხადება, რომ ქვეყნიერებაზე ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა, ყოველგვარი „ზოგადი“ მსჯელობა აუცილებლობაზე სრულებით ა რ ა ფ ე რ ს ა რ გ ვ ი ხ ს ნ ი ს. ნამდვილად ყველაზე მნიშვნელოვანია გამოვარკვიოთ, თუ თითოეულჯერ როგორია ამ ა უ ც ი ლ ებ ლ ობ ის გ ა რ კ ვ ე უ ლ ი გ ა მ ო ვ ლ ი ნ ებ ის სპეციფიური, გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ხ ა ს ი ა თ ი. თანმიმდევრობითმა მატერიალიზმმა უნდა მ ი ს ც ე ს მ ო ვ ლ ე ნ ებ ს კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი ა ხ ს ნ ა-გ ა ნ მ ა რ ტ ებ ა. დიალექტიკური მატერიალისტი ლაპარაკობს ამიტომ არა მარტო მიზეზობრივ პირობადებულების შესახებ, არამედ ამასთანავე ყოველთვის სწავლობს ამ აუცილებლობის კონკრეტულ, გარკვეულ ფორმებს. არ შეიძლება ლაპარაკი მოცემულ მოვლენის ან ამბის მ ა რ ტ ო ო დ ე ნ აუცილებლობაზე მაშინ, როდესაც ეს ცალკეული ამბავი, შედის რა შემადგენელ ნაწილად მოვლენათა ს ა ე რ თ ო შიმდინარეობაში, არ ა ხ დ ე ნ ს ა რ ს ე ბ ი თ ი გ ა ვ ლ ე ნ ა ს განვითარების ძ ი რ ი თ ა დ კანონზომიერებაზე. ჩვენ მიერ ყოველთვის „აუცილებლობის“ აბსტრაქტული აღიარება ვერ განსხვავდება ძველ ღვთისმეტყველურ დეტერმინიზმისაგან, რომელიც ქვეყნიერებაზე ყველაფერს ხსნიდა „ღვთის განგების“ წინასწარ განსაზღვრულ ნებით. როგორც შიუთითებს ენგელსი, მეტაფიზიკური აზროვნება იმიტომ დაიბნა ამ „გაუალ“ წინააღმდეგობაში აუცილებლობასა და შემთხვევითობას შორის, რომ მას წმინდა აბსტრაქტულად აქვს წარმოდგენილი აუცილებლობა და უ უ ო დ რ ი ც ხ ა ვ ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ო ბ ებ ს ს ა ე რ თ ო პ რ ო ც ე ს ი ს ა გ ა ნ. ამასთანავე წარმოიშობა ორი სახის მეტაფიზიკური მსოფლმხედველობა. ერთნი ფიქრობენ, რომ „რომელიმე საგანი, რომელიმე ურთიერთობა, რომელიმე პროცესი ან შემთხვევითია, ან აუცილებელი, მაგრამ ა რ შ ე ი ძ ლ ებ ა ი ყ ო ს ე რ თ ი ც ა

და მეორეც“ [1]. ასე, მაგალითად, ძველი ბუნებისმკვლევარნი ცხოველთა და მცენარეთა უმთავრეს სახეობით ნიშნებს აცხადებდენ აუცილებლად, ხოლო დანარჩენ ნიშნებს — შემთხვევითობად. ისინი მხოლოდ აუცილებელ ნიშნებს აცხადებდენ ერთერთ სამეცნიერო ინტერესის ღირსად, ხოლო ყველა დანარჩენს — მეცნიერებისათვის მნიშვნელობას მოკლებულად. მაგრამ ასეთი შეხედულებით შემთხვევითობის მიმართ სწყდება ყოველგვარი მეცნიერული ახსნა და, მაშასადამე, შესაძლებელი ხდება დაყვანილი იქნას შემთხვევითობა ზებუნებრივ მიზეზებამდე. აუცილებლობის ასეთ აბსტრაქტულ გაგებას მივყევართ რელიგიურ წარმოდგენებამდე.

მექანიკური მატერიალიზმის სხვა წარმომადგენლები სრულებით უარყოფენ შემთხვევითობას და აძლევენ მას წმინდა სუბიექტურ მნიშვნელობას. ამავე თვალსაზრისზე დგანან თანამედროვე საბჭოთა მექანისტებიც. ამ შემთხვევაში, ენგელსის სიტყვებით, „ეგრეთწოდებული აუცილებლობა რჩება ცარიელ ფრაზად... შემთხვევითობა არ იხსნება აქ აუცილებლობისაგან: უფრო პირიქით“. რაკი ყველაფერი აუცილებელია, თვით „აუცილებლობა დაჰყავთ რაღაც წმინდა შემთხვევითობამდე“ [2].

ამიტომ აუცილებლობის სწორი გაგება სრულებითაც არ უარყოფს შემთხვევითობის, როგორც ობიექტურ კატეგორიის ცნებას. შემთხვევითობა სრულებითაც არაა უმიზეზობრივობა. სამართლიანად სწერდა ამის შესახებ ჰეგელი, რომ მეცნიერების საგანს შეადგენს შეიცნოს „აუცილებლობა, დაფარული ხილვად შემთხვევითობის ჩილმა; მაგრამ არ უნდა წარმოიდგინოს, თითქო შემთხვევითობა არის მხოლოდ ჩვენი სუბიექტური აზრის პროდუქტი და რომ აუცილებელია უარყოთ იგი, რათა მივაღწიოთ ჭეშმარიტებას“ [3]. მაგრამ იდეალისტ ჰეგელისათვის შემთხვევითობის კატეგორია იყო ობიექტური სულის, მსოფლიო ცნობიერების განვითარების საფეხური. თანამედროვე მომენშევიკო იდეალისტებს, აჰყავთ რა შემთხვევითობა თავიანთ „მფარველობის“ ქვეშ, მთელ საკითხს აქცევენ სქოლასტიურ დისკუსიად წმინდა ლოგიკურ ცნებების შესახებ.

შემთხვევითობა აუცილებელია, რამდენადაც ყოველი შემთხვევითობა მოცემულია ბუნებასა და საზოგადოებაში გაბატონებულ მოვლენათა ურთიერთობაში; ამასთანავე შემთხვევითობა აუცილებელი არაა, რამდენადაც შემთხვევითობა არ არის არსებითად

---

[1] ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 107. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.— ავტ.

[2] იქვე, გვ. 108. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

[3] ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, ტ. III, ნაწ. I.

მნიშვნელოვანი მოცემულ კანონზომიერების განვითარებისათვის და არ ახდენს არსებით მნიშვნელოვან გავლენას მისი განვითარების მსვლელობაზე, რამდენადაც აქ ერთი შემთხვევითობის ადგილას იმავე საერთო კანონზომიერების დროს შესაძლებელი იქნებოდა სხვაგვარი შემთხვევითობაც, პირობადებული სხვა, გარეგანი მიზეზებით და არა თვით შინაგანი კანონზომიერებით.

ამიტომ შემთხვევითობა არის აუცილებლობის დამატებაც (მისი წინააღმდეგობა) და გამოვლინების ფორმაც იმავე აუცილებლობისა. საზოგადოებრივი განვითარების სირთულის მეოხებით შემთხვევითობა ხშირად აღმოჩნდება იმ ისტორიულ კონკრეტულ ფორმად, რომელშიაც ხორციელდება საზოგადოებრივი აუცილებლობა. ადამიანთა მისწრაფებანი „ჯვარადინდებიან,—ამბობს ენგელსი,—და ყველა ასეთ საზოგადოებებში ამიტომ გაბატონებულია აუცილებლობა, რომლის დამატებას და გამოვლინების ფორმას წარმოადგენს შემთხვევითობა [1]. აუცილებლობა,—ენგელსის სიტყვით,—ყოველთვის იქმნება წმინდა შემთხვევითობებისაგან, ხოლო ეს მოჩვენებითი შემთხვევითობანი წარმოადგენენ ფორმას, რომლის მიღმაც იმალება აუცილებლობა“ [2].

ყოველი შემთხვევითობის როლი და მნიშვნელობა რეგულირდება აუცილებლობის მიერ, და ამავე დროს შემთხვევითობები აყალიბებენ ამაუცილებლობას. ყოველი ცალკეული მოვლენა თავის თავში ატარებს გაბატონებულ კანონზომიერების არსებით ნიშანს და ამავე დროს აქვს ამ კანონზომიერებისათვის ზოგიერთი არაარსებითი თვისებები. ყოველი ცალკეული შემთხვევითობა წონასწორდება სხვა შემთხვევითობების მიერ და ამიტომ შეუძლია არ მოახდინოს გავლენა განვითარების საერთო მსვლელობაზე, მის ძირითად ტენდენციებზე.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ შემთხვევითობა არავითარ როლს არ ასრულებს აუცილებლობის განვითარებაში. მან აუცილებლად უნდა შეასრულოს ესა თუ ის როლი სწორედ იმიტომ, რომ წარმოადგენს აუცილებლობის განსაკუთრებულ ფორმას. ჯერ კიდევ დარვინმა მიუთითა, რომ ორგანიზმის წვრილმან „შემ-

[1] მარქსი და ენგელსი, წერილები, ენგელსის წერილი შტარკენბერგისადმი, 1894 წ. 25 იანვრის თარიღით, გვ. 408.

[2] ენგელსი, ლ. ფეიერბახი, გვ. 41. „ეკონომიური მოძრაობა როგორც აუცილებელი იკაფავს გზას უამრავ შემთხვევითობებს შორის (ე. ი. საგანთა და მოვლენათა შორის, რომელთა შინაგანი ურთიერთ კავშირი იმდენად შერეულია ან იმდენად ძნელად გასარკვევია, რომ ჩვენ შეგვიძლია დავიიწყოთ იგი, წარმოვიდგინოთ, რომ იგი არ არსებობს“) (მარქსი და ენგელსი, წერილები, ენგელსის წერილი ბლოხისადმი, 1890 წ. 21 სექტემბრის თარიღით, გვ. 375).

ეხვევით“ ცვლილებებს, გაძლიერდებიან რა, შეუძლიათ გამოიწვიონ ბიოლოგიური სახის თვით „აუცილებელი“ ხასიათის შეცვლა. „ისტორიას,—სწერდა მარქსი კუგელმანს ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ,—მეტად მისტიური ხასიათი ექნებოდა მასში რომ „შემთხვევითობებს“ არავითარი როლი არ ეთამაშნათ. ეს შემთხვევითობები, რასაკვირველია, თვით ერთვიან განვითარების საერთო სვლას და ხელახლა წონასწორდებიან სხვა შემთხვევითობათა ზემოქმედებით. მაგრამ დაჩქარება და შენელება ძალიან არის დამოკიდებული ამგვარ შემთხვევითობებისაგან“ [1]. ყველაფერი დამოკიდებულია, ცხადია, იმისაგან, თუ რამდენად არსებითია მოცემული შემთხვევითობა მოცემულ მოვლენათა კავშირისათვის. არ შეიძლება მტკიცება, როგორც ამას შვრებოდენ წინანდელი ბურჟუაზიული ისტორიკოსები, რომ ისტორიის მსვლელობა დამოკიდებულია კლეოპატრის ცხვირის სილამაზისა და ნაპოლეონის სურდოსაგანო. მაგრამ უეჭველია, მაგალითად, რომ რომანოვების გვარეულობის უკანასკნელ წარმომადგენელთა გონების სისუსტემ და შორსმხედველობის უქონლობამ მხოლოდ დააჩქარა რევოლუციური აფეთქება რუსეთში. უეჭველია, რომ მარქსისა და ლენინის გენიამ მოახდინა უდიდესი დამაჩქარებელი ზემოქმედება რევოლუციურ მუშათა მოძრაობის განვითარების მსვლელობაზე.

VII. შესაძლებლობა და სინამდვილე

არსება და საფუძველი, შინაარსი და ფორმა, კანონი, აუცილებლობა—დიალექტიკური ლოგიკის ყველა ეს ძირითადი ცნებები—არის საფეხურები ობიექტურ-რეალურ მსოფლიოს შემეცნების პროცესში, არის აზროვნების ფორმები, რომელშიაც პოულობს თავის მრავალსახეობით გამოხატულებას სინამდვილე, რომელსაც ჩვენ შევიცნობთ.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ სინამდვილის შესახებ, მხედველობაში გვაქვს რაღაც უფრო ღრმა, ვიდრე ცალკეულ საგანთა უბრალო ფაქტიური ყოფობა ან ვიდრე მათი უშუალო, გარეგნული არსებობა. როგორც ჯერ კიდევ ჰეგელი მიუთითებდა, სინამდვილე წარმოადგენს ყველა მის შემადგენელ შინაგან და გარეგან მომენტების ერთიანობას, მთლიან ერთობლივობას, ყველა მხარეთა თანაფარდობას; სინამდვილის განვითარების პროცესი არის აუცილებელი, შინაგანად პირობადებული, კანონზომიერი პროცესი. „ცალკეული

[1] მარქსი და ენგელსი, წერილები, მარქსის წერილი კუელმანისადმი, გვ. 290—291, 1871 წ. 17 აპრილის თარიღით. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

ყოფობა (საგანი, მოვლენა და სხ.),—ანვითარებს თავის აზრს ჰეგელი,—არის (მხოლოდ) იდეის (ჭეშმარიტების) ერთი მხარე. ჭეშმარიტებისათვის საჭიროა კიდევ სინამდვილის სხვა მხარეები... მოვლენის, სინამდვილის ყველა მხარეთა ერთობლივობა და მათი (ურთიერთი) დამოკიდებულობა—აი რისგან სდგება ჭეშმარიტება" [1].

იდეალისტი ჰეგელი, როგორც უკვე ცნობილია, აიგივეებდა საგანთა აუცილებლობას და კანონზომიერებას გონების კანონებთან, აბსოლუტური სულის განვითარებასთან. აქედან მისი ცნობილი დებულება: ყოველივე ნამდვილი გონიერია, ყოველივე გონიერი ნამდვილია. ჰეგელის ამ დებულებას, შეფარდებულს საზოგადოებრივ ისტორიულ განვითარების მსვლელობისადმი,—იმ იდეალისტურ გამოხატულების გამო, რაიც მას მისცა ჰეგელმა, — ხშირად მიჰყავდა მისი მიმდევრები რეაქციურ დასკვნებამდე: ეგრეთწოდებული „მემარჯვენე-ჰეგელიანელები" ამით ამართლებდენ საზოგადოებაში არსებულ ჩაგვრასა და ექსპლოატაციას. რაკი ყოველივე, რაც ნამდვილია; გონიერია,—ამბობდენ ისინი, მათ რიცხვში, მაგალითად, ჩვენი სახელოვანი კრიტიკოსი ბელინსკი, რომელიც ერთ დროს იმყოფებოდა „იაგორ ფედორის-ძის (ე. ი. ჰეგელის) ფილოსოფიური თალფაქის" გავლენის ქვეშ,—მაშ გონიერი და აუცილებელია აგრეთვე პრუსიის არსებული ნახევრად ფეოდალური მონარქია, ნიკოლოზ „პალკინის" თვითმპყრობელობა და სხვ; ყოველივე ამათ აქვთ თითქო თავიანთი გამართლება მსოფლიო გონის განვითარების კანონებში. თვით ჰეგელი კი თავის აზრში ათავსებდა სულ სხვა, არსებითად რევოლუციურ შინაარსს. ის ანსხვავებდა საგანთა უბრალო გარეგან არსებობას, რაც შეიძლება არაგონიერიც იყოს, და მათ სინამდვილეს, რაც გონიერ-აუცილებელი უნდა იყოს.

„სინამდვილე როგორც შინაგანისა და გარეგანის ერთიანობა, ამდენად მცირედ უპირისპირდება გონებას, რომ იგი, პირიქით, მთლიანად გონიერია, და ის, რაც გონიერი არაა, სწორედ ამიტომ არ უნდა იქნას გაგებული როგორც სინამდვილე [2]. „ის რეალობა, რაც არ შეესაბამება ცნებას, უბრალო სუბიექტური, შემთხვევითი, ნებსითი მოვლენაა, არაა ჭეშმარიტება" [3].

ყოველივე გონიერი ანუ, მატერიალისტური ენით რომ ვთქვათ, ყოველივე ისტორიულად აუცილებელი, სინამდვილედ უნდა გადაიქ-

---

[1] „ლენინის კრებული" IX, გვ. 227—229.

[2] ჰეგელი, ტ. I, გვ. 239. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

[3] ჰეგელი, ლოგიკა, თხზ. ტ. III, გვ. 142.

ცეს; მაშასადამე, ის არაგონიერი საზოგადოებრივი დაწესებულებანი, რომელნიც ჯერ კიდევ განაგრძობენ არსებობას, მაგრამ უკვე აღარ აქვთ შინაგანი საფუძველი ისტორიის აუცილებელ, კანონზომიერ მსვლელობაში, ადრე თუ გვიან უნდა დანგრეული იქნან ისტორიული განვითარების მსვლელობის მიერ. დროებით, შემთხვევით რეალობათაგან ჰეგელი ანსხვავებს სინამდვილეს, რომელიც „შეესაბამება იდეას“, ე. ი. იხილავს მას როგორც რაღაც „არსებითს“, შინაგან-აუცილებელს, კანონზომიერს.

ჰეგელის აზრის იდეალისტური გარსის შიგნით მარქსიზმი ააშკარავებს ამ მატერიალისტურ შინაარსს. მაგრამ არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ სინამდვილის გონიერების შესახებ ჰეგელის დებულების მარტოოდენ ისტორიულ აუცილებლობის ენაზე გადაყვანით ისე, როგორც ამას შვრება, მაგალითად, პლეხანოვი. არ უნდა დავიიწყოთ, რომ თვით ჰეგელიც კი ამ დებულებას მიჰყავდა პრუსიის ფეოდალურ წესების რეაქციურ დაცვამდე [1]. დაკმაყოფილება იმის აღიარებით, რომ ყოველივე ნამდვილი ისტორიულად პირობადებულია და ამ აზრით აუცილებელია,—ნიშნავს იმას, რომ ადვილად დაეშვა ობიექტივიზმის, ფატალიზმის, ჭვრეტითი მატერიალიზმის გზაზე. ბურჟუაზიული ფილოსოფოსი შტამლერი ოდესღაც დაცინვით ამბობდა, რომ თუ სოციალიზმი ისტორიულად აუცილებელია, მაშინ აღარაა საჭირო ბრძოლა მის დასაჩქარებლად ისევე, როგორც არაა საჭირო პარტიის დაარსება მთვარის დაბნელების დროის მოსვლისათვისო. სტრუვე ამტკიცებდა, მეორეს მხრივ, თუ კი რუსეთში კაპიტალიზმი ისტორიულად აუცილებელია, მაშინ აღარაა საჭირო მასთან ბრძოლაო. შემდეგ კაუცკი ცდილობდა ასეთივე არგუმენტაციით გამოსულიყო იმპერიალიზმის დასაცავად, რაიც ასევე ისტორიულად აუცილებელიაო! რუსი მენშევიკები, მათ რიცხვში პლეხანოვიც, აბსტრაქტულად ამტკიცებდენ რუსეთისათვის ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიულ აუცილებლობას და არ ეძებდენ ჩვენი ისტორიული განვითარების რეალურ სინამდვილეში იმ ძალებს, რომლითაც შეეძლოთ შეეცვალათ ამ რევოლუციის მთელი ხასიათი და პროლეტარიატი გამარჯვებამდე მიეყვანათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სინამდვილის განვითარებაში უმნიშვნელოვანეს მხარეს, აუცილებელ მომენტს წარმოადგენს ადამიანის მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ა, ჩვენი პ რ ა ქ ტ ი კ ა, რომელიც აყენებს გარკვეულ მ ი ზ ნ ე ბ ს და ანხორციელებს მათ გარეგანი სინამდვილის მუდმივ გ ა რ დ ა ქ მ ნ ი ს საშუალებით მისი შემეცნების პროცესში.

[1] იხ. მაგალითად მარქსის ადრინდელი შრომა „ჰეგელის სახელმწიფო უფლების კრიტიკა“, „მარქსისა და ენგელსის არქივი“, ტ. III.

„პრაქტიკა (თეორეტიულ) შემეცნებაზე უფრო მაღლა დგას, ვინაიდან მას აქვს არა მარტო ყოვლადობის, არამედ უშუალო სინამდვილის ღირსება“ [1]. ადამიანის ნება, მოწყვეტილი გარეგანი სინამდვილისაგან, ცოდავს სუბიექტივიზმით და თვით აბრკოლებს თავისი მიზნებისადმი მიღწევას.

მარქსისტულ-ლენინური შემეცნება გულისხმობს არა მარტო სინამდვილის ყველა მომენტებისა და მხარეების ერთობლივობის და მისი გაშლის ზუსტ აღრიცხვას,—იგი გულისხმობს აგრეთვე ისტორიული განვითარების მსვლელობის რეალურ შესაძლებლობათა, მისი პირობების, მისი მამოძრავებელი ძალების, მათ რიცხვში რევოლუციური კლასის მოღვაწეობის, მისი რევოლუციური პრაქტიკის აღრიცხვას, იმ გზებისა და საშუალებათა აღრიცხვას, რაც აუცილებელია შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევისათვის. „სინამდვილის მომენტების მთელი ერთობლივობის გაშლა NB = დიალექტიკური შემეცნების არსებაა“, [2] — მიუთითებს ლენინი.

ამასთან დაკავშირებით უნდა მივუთითოთ, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორია ხაზს უსვამს განსხვავებას, არსებულს შესაძლებლობასა და სინამდვილეს შორის, და ამაეე დროს აღნიშნავს იმ არსებით მნიშვნელობას, რაც აქვს რეალურ შესაძლებლობას სინამდვილის განვითარებისათვის.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ რაიმეს შესაძლებლობის შესახებ, მკვეთრად უნდა განვასხვავოთ აბსტრაქტული, წმინდა ფორმალური შესაძლებლობა და რეალური შესაძლებლობა. ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით შესაძლებელია გადაკრით ყველაფერი, რისი გააზრებაც კი შეიძლება, რისი წარმოდგენაც შეიძლება (ფორმალურ-ლოგიკურ წინააღმდეგობათა გარეშე), ყველაფერი, რისთვისაც შეიძლება მოვიგონოთ რაიმე ლოგიკური საფუძველი. აქ შესაძლებლობა იქცევა აბსტრაქტულ, სუბიექტურ ცნებად; აზრით დასაშვებ ამათუიმ შესაძლებლობის შინაარსს ჰგლეჯენ საგანთა გარკვეულ, ობიექტურად აუცილებელ კავშირიდან. დიალექტიკოსი ჰეგელი ბოროტად დასცინოდა ასეთ მსჯელობას უშინაარსო, აბსტრაქტულ შესაძლებლობათა შესახებ: „შესაძლებელია,—ამბობს ის,— რომ დღეს საღამოს მთვარე დაეცემა მიწას, ვინაიდან მთვარე მიწიდან დაშორებული სხეულია, ამიტომ მას შეუძლია ისე ჩამოვარდეს ქვევით, როგორც ჰაერში ასროლილი ქვა; შესაძლებელია, რომ თურქეთის სულთანი გახდეს პაპი, ვინაიდან ისიც ადამიანია, შეუძლია როგორც ასეთს მიიღოს ქრისტიანული სარწმუნოება, გახდეს კათოლიკური

[1] „ლენინის კრებული“ IX, გვ. 261. ხაზგასმულია ჩვენ მიერ—ავტ.
[2] იქვე, გვ. 159.

ღვდელი და სხ... რამდენადაც ადამიანი ნაკლებად განვითარებულია, რამდენადაც ნაკლებად იცნობს იმ საგანთა განსაზღვრულ თანაფარდობას, რომელთა განხილვაც მას სურს, მით უფრო ედება ის ყოველგვარ ცარიელ შესაძლებლობებს, როგორც ეს მაგალითად ემართებათ ხოლმე პოლიტიკურ დარგში ეგრეთწოდებულ ლუდხნების პოლიტიკოსებს... გონიერი, პრაქტიკული ადამიანები თავს როდი იტყუილებენ შესაძლებლობით სწორედ იმიტომ, რომ ის მხოლოდ შესაძლებელია, ისინი ხელს სინამდვილეს სჭიდებენ" [1].

აბსტრაქტულ და რეალურ შესაძლებლობათა შორის არსებული განსხვავების ყველაზე უფრო ღრმა დასაბუთება მოგვცა მარქსისტულ-ლენინურმა თეორიამ. ლენინი არაერთჯერ უსვამდა ხაზს, რომ შესაძლებლობა ჯერ კიდევ სინამდვილე არაა, რომ მარქსისტები უნდა გამომდინარეობდენ არა აბსტრაქტული შესაძლებლობიდან, არამედ სინამდვილიდანო. ლენინი ამტკიცებდა რ. ლიუკსემბურგის შეხედულებათა მთელ შეცდომილობას, რომელიც ომის პერიოდში აყენებდა ასეთ ცარიელ, აბსტრაქტულ „შესაძლებლობას"—როგორც იმპერიალისტური ომის გადაქცევა ნაციონალურ-თავდაცვითი ომად. ლენინი თავის შენიშვნებში ბუხარინის „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის" შესახებ მიუთითებდა ამხ. ბუხარინის აბსტრაქტულ შეხედულებათა მთელ შეცდომაზე კაპიტალისტური ურთიერთობის აღდგენის „შესაძლებლობის" თუ „შეუძლებლობის" შესახებ მათი რღვევის პერიოდში ამ მსჯელობის პრაქტიკით შემოწმების გარეშე. „შეუძლებლობა" შეიძლება დამტკიცდეს მხოლოდ პრაქტიკულად,—ამბობს ლენინი.—ავტორი დიალექტიკურად არ აყენებს თეორიის პრაქტიკისადმი დამოკიდებულებას" [2].

ამავე დროს, აკრიტიკებდა რა მენშევიკ სუხანოვს, ლენინი მიუთითებდა, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში პირობების თავისებურებამ მოგვცა ჩვენ შესაძლებლობა სხვანაირად გადავსულიყავით ცივილიზაციის ძირითად პირობების შექმნაზე, ვიდრე ყველა დანარჩენ დასავლეთ ევროპულ ქვეყნებში, და რომ ეს შესაძლებლობა არა მარტო არ არღვევს ბრძოლის ისტორიის საერთო კანონზომიერებას, არამედ მიმართულია მსოფლიო განვითარების საერთო ხაზით.

მეტად არსებითი მნიშვნელობა აქვს განვითარების რეალურ შესაძლებლობათა და მათი სინამდვილედ გადაქცევის პირობების გამოაშკარავებას. რეალურ შესაძლებლობას აქვს თავისი ობიექტური, აუცილებელი საფუძვლები თვითგანვითარებაში მყოფ სინამდვილის შინაარსში, მისი განვითარების კანონ-

[1] ჰეგელი, ტ. I, გვ. 241. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.
[2] „ლენინის კრებული" XI, გვ. 362.

ზომიერებაში. რეალური შესაძლებლობა არის უკვე რაღაც არა მარტო წარმოსადგენი, არამედ ობიექტურად არსებული, იგი მდგომარეობს პირობათა განსაზღვრულ რიგში, რაც მოცემულია თვით ობიექტურ სინამდვილეში და რაც ხელს უწყობს ამიტომ ამ უკანასკნელის განვითარებას. მაგრამ ჩვენ მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ რ ე ა ლ ურ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ც ჯ ე რ კ ი დ ე ვ ა რ ა რ ი ს ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე. ერთ რეალურ შესაძლებლობას შეიძლება დაუპირისპირდენ ს ხ ვ ა რეალური შესაძლებლობანიც, რომელთაც ასევე ექნებათ ობიექტური საფუძვლები თვით სინამდვილეში, თუმცა მოცემული არ იქნებიან ამ სინამდვილეში უთუო აუცილებლობით. სინამდვილის განვითარების პროცესი ესაა პროცესი, რომელშიაც თანდათან უფრო ისაზღვრება და მით იფარგლება შესაძლებლობათა წრე, რომელშიაც თანდათან ისპობიან და გამოირიცხებიან ყველა სხვა შესაძლებლობანი და დაბოლოს ერთი გარკვეული შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ი ქ ც ე ვ ა ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე დ.

რითია პირობადებული ერთი შესაძლებლობის სხვა შესაძლებლობებზე გამარჯვება? უწინარეს ყოვლისა ეს გამარჯვება პირობადებულია თვით მოცემული საგნის სტრუქტურაში ობიექტიური, აუცილებელი საფუძვლის არსებობით სწორედ მოცემულ განსაზღვრულ შესაძლებლობის განხორციელების სასარგებლოდ და ასეთი აუცილებელი საფუძვლის უქონლობით მეორე შესაძლებლობის სასარგებლოდ. ასე, მაგალითად, ლენინი მიუთითებდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასაწყისში ისეთ შესაძლებლობაზე, როგორიცაა განხეთქილება ორ თანამშრომელ კლასებს შორის, მუშებსა და გლეხებს შორის. „თუ წარმოიშვა სერიოზული კლასობრივი უთანხმოება ამ კლასებს შორის, მაშინ განხეთქილება აუცილებელი იქნება, მაგრამ ჩვენ სოციალურ წყობილებაში არ არის ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ი თ მ ო ც ე მ უ ლ ი ა ს ე თ ი გ ა ნ ხ ე თ ქ ი ლ ე ბ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი“[2].

როდესაც ჩვენ ელაპარაკობთ საზოგადოებრივ-ისტორიულ სინამდვილის შესახებ, რომელიმე შესაძლებლობის გამარჯვების პირობების გასაგებად საკმაო არაა ლაპარაკი-მის ობიექტურ აუცილებლობაზე: აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს აგრეთვე ჩვენი გარკვეული მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ა, რაც შესაძლებლობას აქცევს სინამდვილედ. აქ სწყვეტს საზოგადოებრივი კლასის გარკვეული ბრძოლა, რაც მიმართულია ერთი რეალური შესაძლებლობის მხარის დაჭერისა და განმტკიცებისაკენ და ყველა სხვა შესაძლებლობათა დასუსტებისა, თავიდან აცილებისა და მოსპობისაკენ. აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გარკვეული გ ზ ე ბ ი და ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ნ ი, რომელთა მიხედ-

[2] ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 27, გვ. 405. ხაგასმულია ჩვენ მიერ.—ა ვ ტ.

ვითაც მიიმართება და რომელთაც გამოიყენებს ეს მოღვაწეობა და ეს ბრძოლა. ლენინი ჩვენი პარტიის უმთავრეს ამოცანას ხედავდა იმაში, რათა გულდასმით გვედეენებია თვალყური ვითარებებისათვის, რომელთაგანაც „შეიძლება წარმოიშვას განხეთქილება, და თავიდან აგვეცილებია იგი“ [1].

მეტად საინტერესოა გამოვიკვლიოთ სინამდვილის განვითარების ყველა მომენტები ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის პრობლემის მიხედვით. ტროცკის პოზიციისათვის დამახასიათებელი იყო შესაძლებლობის სუბიექტურ-იდეალისტური, აბსტრაქტული გაგება, რასაც სინამდვილეში მიჰყავდა ოპორტუნისტულ დასკვნებამდე, ხოლო შემდეგ მიიყვანა ის კონტრრევოლუციურ დასკვნებამდე. ტროცკი უარყოფდა იმას, რომ მუშათა კლასს რუსეთში შეუძლია შეინარჩუნოს ხელისუფლება ევროპის პროლეტარიატის პირდაპირი სახელმწიფოებრივი დახმარების გარეშე. უარყოფდა რა ამ რეალურ შესაძლებლობას, მუშათა კლასის მიერ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას, ტროცკი ამავე დროს ისეთ აბსტრაქტულ, ცარიელ შესაძლებლობას, როგორიცაა „ერთდროული“ მსოფლიო რევოლუცია, რომლის დროსაც ერთი ქვეყნის მუშათა კლასი იწყებს რევოლუციას საკუთარი დარწმუნებული, რომ მისი ინიციატივა დაუყოვნებლივ მისცემს ბიძგს რევოლუციებს სხვა ქვეყნებში. „სოციალისტური მეურნეობის ნამდვილი აღორძინება, — „ამტკიცებდა“ მენშევიკი ტროცკი, — შესაძლებელი იქნება მხოლოდ პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ ევროპის უმნიშვნელოვანეს ქვეყნებში“ [2]. სუბიექტივიზმი პროლეტარული რევოლუციის შესაძლებლობის გაგებაში ადვილად აიძულებდა ტროცკის გადასულიყო ამ დაუსაბუთებელ შეხედულებიდან სრული „უიმედობის“ გარეგნულად საწინააღმდეგო პოზიციაზე. „ხოლო თუ ეს არ მოხდა, მაშინ უიმედოა ვიფიქროთ... რომ მაგალითად რევოლუციური რუსეთი შესძლებს გაუმკლავდეს კონსერვატიულ ევროპას“ [3].

წინააღმდეგ ტროცკისა, ლენინი მის მიერ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის გაგებაში გამომდინარეობს თვით ისტორიულ სინამდვილეში მოცემულ კანონიდან, კაპიტალიზმის არათანაბარ განვითარების კანონიდან, რაც განსაკუთრებით ძლიერდება და მწვავდება იმპერიალიზმის პერიოდში. „ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარების არათანაბრობა არის კაპიტალიზმის უცილობელი კანონი. აქედან გამომდინარეობს, რომ შესაძლებელია

---

[1] ლენინი. ტ. 27, გვ. 405. ხაზგასმულია ჩვენ მიერ. — ავტ.

[2] ტროცკი, ტ. III, ნაწ. I, გვ. 93.

[3] იქვე, გვ. 90.

სოციალიზმის გამარჯვება პირველად რამდენიმე ან ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც კი"[1]. ლენინი ზუსტად განსაზღვრავდა პირობათა იმ რიგს, რომელიც ქმნის ჩვენში სოციალისტური საზოგადოების აშენების რეალურ შესაძლებლობას: პროლეტარულ სახელმწიფოს ხელისუფლება ყველა მსხვილ წარმოების საშუალებებზე, სახელმწიფო ხელისუფლება პროლეტარიატის ხელში, მისი კავშირი მილიონიან, წვრილ და უწვრილეს გლეხობასთან და ხელმძღვანელობა ამ უკანასკნელთა მიმართ პროლეტარიატის მხრივ, კოოპერაციის განვითარება და სხ; „განა ეს არ არის ყოველივე აუცილებელი სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად? ეს ჯერ კიდევ არ არის სოციალისტური საზოგადოების აშენება, მაგრამ ეს არის ყოველივე აუცილებელი და საკმაო ამ აშენებისათვის"[2].

ამავე დროს ლენინი აღნიშნავდა, რომ „შეუძლებელია ერთა თავისუფალი გაერთიანება სოციალიზმში სოციალისტური რესპუბლიკების მიერ ჩამორჩენილ სახელმწიფოებთან ხანგრძლივი, მედგარი ბრძოლის გარეშე"[3]. ლენინი მიუთითებდა აღდგენითი პერიოდის დასაწყისში, რომ თუმცა იმპერიალისტებმა ვერ შესძლეს ინტერვენციის შედეგად დაემხოთ ახალი წყობილება, შექმნილი რევოლუციის მიერ, მაგრამ, „არც მისცეს მათ შესაძლებლობა მაშინვე გადაედგათ ისეთი ნაბიჯი წინ, რომელიც გაამართლებდა სოციალისტების წინასწარმეტყველებას, რომელიც მისცემდა მას შესაძლებლობას უდიდესი სისწრაფით განვითარებია საწარმოო ძალები, განვითარებია ყველა ის შესაძლებლობანი, რომელნიც შეიქმნებოდენ სოციალიზმში, ცხადად, თვალნათლივ დაემტკიცებია ყველასა და თითოეულისათვის, რომ სოციალიზმში იმალება გიგანტური ძალები და რომ კაცობრიობა გადავიდა ამჟამად განვითარების ახალ საფეხურზე, რასაც მოაქვს არაჩვეულებრივად ბრწყინვალე შესაძლებლობანი"[4].

ამხ. სტალინი კიდევ უფრო ანვითარებს ლენინის მოძღვრებას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების რეალურ შესაძლებლობის შესახებ. აწარმოებდა რა ბრძოლას ორ ფრონტზე, ტროცკიზმთან და მემარჯვენე ოპორტუნიზმთან, ამხ. სტალინმა გამოარკვია ის უდიდესი მნიშვნე-

---

[1] ლენინი, ევროპის შეერთებულ შტატების ლოზუნგის შესახებ, ტ. XVIII გვ. 232.

[2] ლენინი, კოოპერაციის შესახებ. ტ. 27. გვ. 392. ხაზგასმულია ჩვენ მიერ —ავტ.

[3] ლენინი, ევროპის შეერთებულ შტატების ლოზუნგის შესახებ, ტ. XVIII გვ. 233.

[4] ლენინი, ტ. XXVII, გვ. 415. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

ლობა, რაიც აქვს ჩვენი პრაქტიკული მოქმედებისათვის რწმენას ამ შესაძლებლობისადმი, რასაც უარყოფდენ ტროცკისტები, გამოარკვია ამ შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევის გზები და საშუალებანი, რომელთაც ვერ ხედავდენ და ამახინჯებდენ მემარჯვენეები.

„რა არის ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა?"

ამ კითხვაზე ამბ. სტალინი უპასუხებს: „ეს არის ჩვენი ქვეყნის შინაგანი ძალებით პროლეტარიატსა და გლეხობას შორის არსებულ წინააღმდეგობათა გადაჭრის შესაძლებლობა, პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების აღების და ჩვენს ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ამ ხელისუფლების გამოყენების შესაძლებლობა"[1]. და ანსხვავებს რა, წინააღმდეგ ტროცკისტებისა, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ასეთ რეალურ შესაძლებლობას საკითხისაგან ერთ ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების შეუძლებლობის შესახებ სხვა ქვეყნებში რევოლუციის გამარჯვების გარეშე, ამბ. სტალინი ამბობს: „ასეთი შესაძლებლობის გარეშე სოციალიზმის მშენებლობა არის მშენებლობა უპერსპექტივოდ, მშენებლობა სოციალიზმის აშენების რწმენის უქონლად... ასეთი შესაძლებლობის უარყოფა არის სოციალიზმის მშენებლობის საქმისადმი რწმენის უქონლობა, ლენინიზმისაგან დაშორება"[2].

მაგრამ „სოციალიზმის აშენების შესაძლებლობასა და მისნამდვილ აშენებას შორის დიდი განსხვავება არსებობს. არ შეიძლება შესაძლებლობის სინამდვილესთან არევა"[3]. ამ შესაძლებლობასთან ერთად, რომლის დანახვაც არ სურდათ ტროცკისტებს, არსებობს მეორე შესაძლებლობაც, რასაც იკიწყებდენ მემარჯვენე ოპორტუნისტები,—ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის აღდგენის შესაძლებლობა. მხოლოდ ამ უკანასკნელ შესაძლებლობასთან ბრძოლით, მისი თავიდან აცილებით და მოსპობით, მხოლოდ გარკვეულ პირობებში ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობა და შესაძლებლობიდან იქცევა სინამდვილედ. „ჩვენ შეგვიძლია მოვსპოთ-კაპიტალიზმის აღდგენის შესაძლებლობა, შეგვიძლია ამოვგლეჯოთ კაპიტალიზმის ფესვები და საბოლოოდ დავამარცხოთ კაპიტალიზმი, თუ გაძლიერებულ მუშაობას ვაწარმოებთ ქვეყნის ელექტროფიკაციისათვის, თუ მრეწველობას, სოფლის მეურ-

[1] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 231.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 351.

ნეობასა და ტრანსპორტს შეუქმნით თანამედროვე მსხვილ მრეწველობის ტექნიკურ ბაზას"[1].

შეაჯამა რა მე-16 პარტყრილობაზე ტროცკიზმთან და მემარჯვენე ოპორტუნიზმთან ბრძოლა, ამხ. სტალინმა მიუთითა: „საბჭოთა წყობილება კოლოსალურ შესაძლებლობას იძლევა სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის. მაგრამ შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სინამდვილეს. იმისათვის, რომ შესაძლებლობა სინამდვილედ იქცეს, აუცილებელია მთელი რიგი პირობები, რომელთა შორის პარტიის ხაზი და ამ ხაზის მართებულად გატარება უკანასკნელ როლს როდი თამაშობს"[2]. ეს პირობები არ გაეგებოდათ მემარჯვენე ოპორტუნისტებს, მიუხედავად იმისა, რომ აბსტრაქტულად ისინი აღიარებდენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას. „მემარჯვენე ოპორტუნისტების უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ფორმალურად აღიარებენ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას, მაგრამ არ სურთ აღიარონ ბრძოლის ის გზები და საშუალებანი, რომელთა გარეშეც შეუძლებელია სოციალიზმის აშენება"[3]. ამ რიგად საქმით მემარჯვენე ოპორტუნისტები ეშვებოდენ სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობის უარყოფის თვალსაზრისზე.

ლაპარაკობდა რა პირველი ხუთწლედის შედეგების შესახებ, ამხ. სტალინი ამიტომ ხაზს უსვამდა პირველ ხუთწლედში ჩვენ მიერ ყველაზე უფრო აჩქარებულ ტემპების პოლიტიკის განხორციელების აუცილებლობასა და რეალურ შესაძლებლობას: „არ შეიძლება არ დააჩქაროთ ქვეყნის წინსვლა, რომელიც ჩამორჩა ასი წლით და რომელსაც, მისი ჩამორჩენილობის გამო, ემუქრება სასიკვდილო საფრთხე. მხოლოდ ამგვარად შეიძლებოდა მიგვეცა ჩვენი ქვეყნისათვის ახალი ტექნიკის ბაზაზე სწრაფი ხელახალი შეიარაღების და, ბოლოს, ფართო გზაზე გამოსვლის საშუალება". „მაგრამ ჰქონდა თუ არა პარტიას რეალური შესაძლებლობა განეხორციელებია ყველაზე უფრო აჩქარებული ტემპების პოლიტიკა? დიახ, ჰქონდა. მას ჰქონდა ეს შესაძლებლობა არა მარტო იმიტომ, რომ მან მოასწრო თავის დროზე აემოძრავებია ქვეყანა სწრაფი წინსვლისათვის, არამედ, პირველყოვლისა, იმიტომ, რომ ფართო ახალი მშენებლობის საქმეში მას შეეძლო დაყრდნობოდა ძველ ან განახლებულ ქარხნებს და ფაბრიკებს, რომლებიც უკვე ათვისებული იყო მუშებისა და საინჟენერო-ტექნიკურ პერსონალის მიერ

---

[1] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 409.

[2] იქვე. გვ. 642.

[3] იქვე, გვ. 656. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

და რომლებიც ამის გამო ი ძ ლ ე ო დ ე ნ ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ს გაგვეხორციელებია განვითარების ყველაზე უფრო აჩქარებული ტემპები" [1].

მეორე ხუთწლედში, განსაკუთრებით მის პირველ წლებში, უკვე აღარ არის ყველაზე უფრო დაჩქარებული ტემპების პოლიტიკის განხორციელების აუცილებლობა, ვინაიდან საჭიროა გარკვეული პერიოდი ახალი ტექნიკის ათვისებისა და სრული გამოყენებისათვის.

ახალი ტექნიკის ათვისება, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება — ასეთია ის გზები და საშუალებანი, ასეთია ის პირობები, რაც შესაძლებლობას გვაძლევს გადავაქციოთ სინამდვილედ სოციალიზმის სრული გამარჯვების რეალური შესაძლებლობანი, უკვე მოპოებული პროლეტარიატის მიერ, რაც მიგვიყვანს კლასების მოსპობამდე და სრულ სოციალისტურ საზოგადოების აშენებამდე.

VIII. ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲘ

აკრიტიკებდა რა ტროცკისა და ბუხარინის ეკლეკტიზმს, საკითხში პროფკავშირების შესახებ, ლენინმა დაადგინა მატერიალისტურ-დიალექტიკური ლოგიკის ოთხი ძირითადი მოთხოვნილება. ის აქ აყენებს, პირველი, — მოთხოვნილებას შესწავლილი იქნას საგანი ყოველმხრივ, ყველა მის ურთიერთობებსა და საშუალებებში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვერასოდეს „ვერ მივაღწევთ ამას მთლიანად"; მეორე, — მოთხოვნილებას „ავიღოთ საგანი მის გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ს ა და თვითმოძრაობაში", მის კავშირთა ცვლილებებში; მესამე, — ლენინის სიტყვით, „ადამიანის მთელი პრაქტიკა უნდა შევიდეს საგნის სრულ „განსაზღვრაში" როგორც ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს კ რ ი ტ ე რ ი უ მ ი ც და როგორც პრაქტიკული გამსაზღვრელიც საგნის კავშირისა იმასთან, რაც ე ს ა ჭ ი რ ო ე ბ ა ა დ ა მ ი ა ნ ს" [2]. მეოთხე, — მოთხოვნილებას შემეცნების კ ო ნ კ რ ე ტ ო ბ ი ს შესახებ.

ეს შეკუმშული, მაგრამ ღრმა შინაარსიანი დებულებანი, წამოყენებული ლენინის მიერ, ჩვენ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მატერიალისტური დიალექტიკის კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ი ს განხილვის დროს.

შევჩერდეთ დიალექტიკური ლოგიკის ყველაზე მნიშვნელოვან კატეგორიებზე, თავისებურებებზე.

მატერიალისტური დიალექტიკის ძირითადი და უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილება, — მიუთითებს ლენინი, — ესაა „განხილვის ო ბ ი ე ქ ტ ი ვ ო ბ ა („არა მაგალითები, არა გადახვევა, არამედ საგანი თა-

[1] ს ტ ა ლ ი ნ ი, „ლენინიზმის საკითხები", დამატება, გვ. 24.

[2] ლ ე ნ ი ნ ი, ერთხელ კიდევ პროფკავშირების შესახებ, გვ. 134 — 135. ხაზგასმულია ჩვენ მიერ. — ა ვ ტ.

ვისთავად"[1]. ესაა—ასახვის მატერიალისტური თეორიის ძირითადი დებულება. მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები ფორმალური ლოგიკის ცარიელი ცნებები როდია, არამედ შინაარსიანი ფორმები, რომელნიც გამოხატავენ შესაცნობ მსოფლიოს ობიექტურ, მატერიალურ, კონკრეტულ შინაარსს. ესაა—„ადამიანის მიერ ბუნების შემეცნების მომენტები". „ფორმა ბუნების ასახვისა ადამიანის შემეცნებაში, ეს ფორმა არის სწორედ ცნებები, კანონები, კატეგორიები"[2]. ლოგიკურ ცნებებში არის რაღაც სუბიექტური, რამდენადაც ეს არის ადამიანურ აზროვნების ცნებები, რამდენადაც ისინი მხოლოდ ასახავენ ობიექტურ პროცესებს ჩვენს შეგნებაში. სანამ ლოგიკური ცნებები რჩებიან „აბსტრაქტულ" ცნებებად, სანამ ისინი მოწყვეტილი არიან მათ მიერ ასახულ პროცესებისაგან, — ისინი სუბიექტური არიან. მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ, რომ შემეცნების პროცესში ჩვენი ცნებები თანდათან უფრო სრულად და ყოველმხრივ გამოხატავენ მსოფლიოს ობიექტურ შინაარსს. ადამიანის ცნებანი,—დაასკვნის ლენინი,—სუბიექტურია თავის აბსტრაქტობაში, მოწყვეტილობაში, მაგრამ ობიექტურია მთლიანად, პროცესში, შედეგში, ტენდენციაში, წყაროში"[3].

მაგრამ საგანი, ნივთი, „ყოველგვარი საკითხი, როგორც უკვე ვიცით, აუცილებლად უნდა შესწავლილი იქნას ყველა მის ურთიერთობებსა და გაშუალებებში; უნდა აღებული იქნას, როგორც აყალიბებს ლენინი, „ამ საგნის მეორისადმი მრავალნაირ დამოკიდებულებათა მთელი ერთობლივობა", უნდა შესწავლილი იქნას „ამ საგნის (respective მოვლენის) განვითარება, მისი საკუთარი მოძრაობა, მისი საკუთარი სიცოცხლე"[4].

დიალექტიკური ლოგიკის ეს მოთხოვნილებანი პირველ რიგში ეხება ყველაზე უფრო საერთო ცნებებს. თითოეული ცნება იმყოფება განსაზღვრულ ურთიერთობაში, განსაზღვრულ კავშირში ყველა დანარჩენთან. ეს ხდება იმიტომ, რომ თითოეული ცნება, ცალკე აღებული, გამოხატავს მთლიანი ობიექტური სინამდვილის რომელიმე ერთ მხარეს. „მოვლენების, სინამდვილის ყველა მხარეთა ერთობლიობა და მათი (ურთიერთი) დამოკიდებულება,—აი რისგან სდგება ქვეშმარიტება,—მიუთითებს ლენინი.—ცნებათა ურთიერთობა (=გადასვლები=წინააღმდეგობანი)=ლოგიკის უმთავრესი შინაარსია"[5].

---

[1] „ლენინის კრებული" IX, გვ. 275.
[2] იქვე, გვ. 203.
[3] იქვე, გვ. 249. ხაზგასმულია ჩვენ მიერ. — ავტ.
[4] იქვე, გვ. 275.
[5] „ლენინის კრებული" IX, გვ. 229.

ლოგიკის კატეგორიები, მისი ძირითადი ცნებანი ჩვენ მიერ უნდა განხილული იქნას მათ ურთიერთდამოკიდებულებაში — იმ კავშირებში და ურთიერთობებში, რასაც ადგილი აქვს არსობასა და მოვლენას შორის, შინაარსსა და ფორმას შორის, შესაძლებლობასა და სინამდვილეს შორის. თითოეული კატეგორია დაკავშირებულია ყველა დანარჩენ კატეგორიებთან. ეს ცნებები წმინდა ლოგიკურად როდი გამომდინარეობენ ერთიმეორისაგან, როგორც ამას ფიქრობენ იდეალისტები, არამედ სხვადასხვა მხარეებიდან სახავენ ობიექტურ მსოფლიოს, ბუნებასა და საზოგადოებას.

მაგრამ ეს გარემოება არ მოასწავებს იმას, რომ ლოგიკის კატეგორიები უძრავია: უმოძრაო, მკვდარ ცნებებში სწორად ვერ აისახებოდა ბუნებისა და საზოგადოების ცხოველი სიცოცხლე, ყველა მისი ცვლილებებით, მისი ურთიერთობით და ამ ურთიერთობათა ცვლილებებით... „თუ ყველაფერი ვითარდება, — ამბობს ერთ ადგილას ლენინი, — მაშინ ეხება თუ არა ეს აზროვნების ზოგად ცნებებსა და კატეგორიებს? თუ არა, მაშ აზროვნება არ ყოფილა დაკავშირებული ყოფიერებასთან. თუ ჰო, მაშ არის დიალექტიკა ცნობიერებისა და დიალექტიკა შემეცნების, რასაც აქვს ობიექტური მნიშვნელობა“ [1]. ამიტომ ლენინი ხაზს უსვამს „უკლებლივ“ ყველა ცნებების ურთიერთდამოკიდებულებასთან ერთად „უკლებლივ ყველა ცნებების გადასვლას ერთიდან მეორეში“. „ადამიანის ცნებები, — შენიშნავს ის, — უძრავი როდია, არამედ მარად მოძრაობენ, გადადიან ერთიმეორეში, იქცევიან ერთიმეორედ, უამისოდ ისინი ვერ გამოხატავენ ცხოველ სიცოცხლეს. ცნებათა ანალიზი, მათი შესწავლა, „მათდამი ოპერირების ხელოვნება“ (ენგელსი) მუდამ მოითხოვს ცნებათა მოძრაობას, მათი კავშირის, მათი ურთიერთგადასვლის შესწავლას“ [2].

ცნებათა ეს მოძრაობა და განვითარება როდი არის თვით ცნებათა წმინდა ლოგიკური თვითმოძრაობა; ადამიანის შემეცნების პროცესი სახავს ბუნებისა და საზოგადოების ობიექტურ მოძრაობას და ადამიანის მოღვაწეობას. მსოფლიოს შემეცნება, მისი გამოსახვა, სუბიექტის ობიექტთან და საგნებთან დამთხვევა, არის პროცესი. მხოლოდ შემეცნების პროცესში, რომელიც ასახავს ობიექტურ მსოფლიოს ცვლილებებს და ამიტომ მხოლოდ თანდათან, მხარიდან მხარემდე, საფეხურიდან საფეხურამდე მოიცავს საყოველთაო კავშირს და ნამდვილი სამყაროს კანონზომიერებას, — მთელ რიგ შეფარდე-

[1] „ლენინის კრებული“, XII, გვ. 185.
[2] იქვე, გვ. 181 — 183.

ბით ჭეშმარიტებებში ყალიბდება ჩვენი შემეცნება აბსოლუტური ჭეშმარიტებისა.

ამიტომ ლენინი ამ მსოფლიოს ამსახველ ადამიანის შემეცნებას ადარებს მდინარეს, ხოლო ცნებებს — მდინარის ცალკეულ წვეთებს, რომელნიც გამოსახავენ საგანთა ცალკე მხარეებს, მდგომარეობასა და კავშირს. „ცნებები, როგორც ა ღ რ ი ც ხ ვ ა მოძრაობის ცალკეული მხარეებისა, ცალკეული წვეთებისა(=„საგნების"), ცალკეულ ნაკადისა"[1].

ყველაზე უფრო ზოგად ცნებების, ლოგიკის კატეგორიების განვითარება განუწყვეტლად დაკავშირებულია ადამიანთა საზოგადოების მთელ ისტორიასთან, მატერიალური წარმოების პრაქტიკასთან და წარმოების განვითარების პროცესთან. იგი დაკავშირებულია აზროვნების ი ს ტ ო რ ი ა ს თ ა ნ, ფილოსოფიის ისტორიასთან.

განვითარების ყოველი პროცესი არის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს წინააღმდეგობათა ბრძოლის შედეგად. ჩვენ უნდა შევისწავლოთ, — განაგრძობს ლენინი დიალექტიკის ელემენტების ჩამოთვლას, — საგნის განვითარება, „ამ საგნის შინაგანი წინააღმდეგობითი ტ ე ნ დ ე ნ ც ი ე ბ ი (და მხარეები), „საგანი როგორც ჯამი და ერთიანობა „წინააღმდეგობათა", დაპირისპირებულობათა 'გაშლის respective' ბრძოლა, მისწრაფებათა წინააღმდეგობა etc"[2].

იმისდა მიხედვით ჩვენი ცნებები „უნდა იყოს აგრეთვე გამოკვეთილი, ტეხილი, მოქნილი, მოძრავი, რელატიური, ურთიერთდაკავშირებული, მთლიანი დაპირისპირებულობაში, რათა გარემოიცვან მსოფლიო"[3]. ადამიანის აზროვნებაში ბუნების ასახვა, — ამბობს ლენინი, — უნდა გავიგოთ „არა მ ო ძ რ ა ო ბ ი ს გ ა რ ე შ ე, არა წინააღმდეგობათა გარეშე, არამედ მოძრაობის წინააღმდეგობათა წარმოშობისა და მათი გადაწყვეტის მარადიულ პროცესში"[4]. ჩვენი შემეცნების მოძრაობა მის შინაგან წინააღმდეგობებში — ესაა პროცესი, რომელშიაც სწარმოებს ლ ო გ ი კ უ რ ი შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს ფ ო რ მ ე ბ ი ს გ ა ო რ ე ბ ა. ჩვენი აზროვნება მსოფლიოს გარემოიცავს ერთიმეორისადმი დაპირისპირებულ ცნებებით, ურთიერთ-გამომრიცხავ და ამასთანავე ურთიერთ-გამსჭვალავ კატეგორიებით: არსობა და მოვლენა, შინაარსი და ფორმა, მიზეზი და მოქმედება, აუცილებლობა და შემთხვევითობა. ეს კატეგორიები დაპირისპირებულია, მაგრამ ეს დაპირისპირებანი იგივეობდებიან, ურთიერთ იჭრებიან, გადადიან ერთიმეორეში.

---

[1] „ლ ე ნ ი ნ ი ს კრებული" IX, გვ. 139.
[2] ი ქ ი ვ ე, გვ. 275.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 139.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 227.

მატერიალისტური დიალექტიკის ცნებებისა და კატეგორიების განმასხვავებელ ნიშნებს ამრიგად წარმოადგენენ მათი ობიექტივობა, მათი ურთიერთკავშირი, მათი მოძრაობა და ურთიერთ გადასვლები, მათი განვითარება დაპირისპირებულობათა ერთიანობის საფუძველზე. მაგრამ დიალექტიკური ლოგიკის ცნებები — მატერიალისტური ა ბ ს ტ რ ა ქ ც ი ე ბ ი ა. ისინი გამოსახავენ არა ცალკეულ საგნებს და არა ცალკეულ საგანთა ურთიერთობას, არამედ აქვთ ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო, უნივერსალური მნიშვნელობა. ლოგიკური კატეგორიების დახმარებით ჩვენ ვაჩვენებთ ცალკეულ მოვლენებსა და საგნებში ზ ო გ ა დ ს, ვამჟღავნებთ ზოგადისა და განსაკუთრებულის ერთიანობას ყოველ ც ა ლ კ ე უ ლ საგანში.

მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა, ბურჟუაზიული მეცნიერების ვულგარულ მცოცავ ემპირიზმის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს მატერიალისტური აბსტრაქციის უდიდეს სამეცნიერო მნიშვნელობას. მათ გვიჩვენეს, რომ მატერიის, კანონის და სხ. აბსტრაქციები უ ფ რ ო ღ რ მ ა დ, უფრო სწორად, უფრო სრულად გამოხატავენ სინამდვილეს, ვიდრე ყოველი ცალკეული შემთხვევა ან ჩვენი ცალკეული წარმოდგენა, ვინაიდან მეცნიერული აბსტრაქციის დახმარებით ჩვენ შემთხვევითი ნიშნებს მიღმა შევიცნობთ მოვლენათა ფარულ ა რ ს ო ბ ა ს, მათ კ ა ნ ო ნ ს, მათ აუცილებელ კავშირს.

ამავე დროს მარქსმა თავის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის შესავალში" მიუთითა: დიალექტიკური ლოგიკის მეთოდი გულისხმობს, რომ ჩვენ ანალიზის საშუალებით, უშუალოდ მოცემულ კონკრეტულ მასალიდან გ ა მ ო ვ ყ ო ფ თ არა მარტო ზოგიერთ განმსაზღვრელ ზოგად ურთიერთობას, უმარტივეს განსაზღვრებს, არამედ პირიქითაც — აღმასვლას, მოძრაობას უმარტივესიდან და აბსტრაქციიდან უფრო რთულისა და უფრო კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი ს ა კ ე ნ, არა მარტო გარკვევას, ანალიზს, არამედ შეჯამებას, შეერთებას, სინთეზს.

ყოველი კონკრეტული საგანი წარმოადგენს თავისთავად დ ა უ ს რ უ ლ ე ბ ლ ა დ მრავალ მხარესა და თანაფარდობას, თითოეულ მხარეს ცალკეულად ჩვენ ვსწავლობთ არსობის, კანონების, აუცილებელ ურთიერთობათა ზოგადი განსაზღვრის საშუალებით. ჩვენ ბოლომდე ვერ შევიცნობთ, მთლიანად ვერ ამოვწურავთ მოცემულ საგანს მის კონკრეტობაში, ვარკვევთ რა მის ზოგად კავშირს და ცალკეულ მხარეს. მაგრამ არ არის სხვა გზა და საშუალება თუნდაც მივუახლოვდეთ, კონკრეტულის შეცნობას, თუ არა ზ ო გ ა დ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ, თუ არა მის ცალკეულ მხარეთა და კავშირთა ანალიზის გამოყოფის, მიღებულ ზოგად ცნებათა შეჯამების, უმარტივეს განსაზღვრის საშუალებით. ამ აზრს ხაზს უსვამს ლენინიც: „ზო-

გადის მნიშვნელობა, — ამბობს ის, — წინააღმდეგობითია, იგი მკვდარია, იგი წმინდა არაა, სრული არაა და სხ., მაგრამ მხოლოდ ის არის საფეხური კონკრეტული შეცნობისაკენ, ვინაიდან კონკრეტულს ჩვენ მთლიანად ვერასოდეს ვერ შევიცნობთ. ზოგად ცნებების, კანონებისა და სხ. დაუსრულებელი ჯამი იძლევა კონკრეტულს მის სისავსეში"[1].

ჩვენი ცნობიერება უშუალო ყოფიერებაში, უშუალო მოვლენებში ააშკარავებს მათ არსობას, მათ კანონს, მიზეზებს, მათ ივივეობას, განსხვავებას. „ასეთია, — ამბობს ლენინი, — მთელი ადამიანური ცნობიერების, საერთოდ მთელი მეცნიერების ნამდვილი ზოგადი მსვლელობა. ასეთია ბუნებისმცოდნეობის, პოლიტიკური ეკონომიის, ისტორიის მსვლელობა"[2]. ლენინი გვიჩვენებს მარქსის „კაპიტალის" ლოგიკის მაგალითის მიხედვით, თუ როგორ იღებს აქ ანალიზი „ყველაზე უბრალო, ჩვეულებრივ, ყველაზე უფრო მასობრივად ხილულს, ყველაზე უფრო ყოველდღიურ, მილიარდჯერ ნახულ ბურჟუაზიულ (სასაქონლო) საზოგადოების ურთიერთობას: საქონელთა ცვლას"[3]. მარქსისტული ანალიზი ააშკარავებს ბურჟუაზიული საზოგადოების ამ ძირითად უჯრედში თანამედროვე საზოგადოების ყველა წინააღმდეგობათა ჩანასახებს. მარქსის შემდეგი განმარტებანი გვიჩვენებენ ამ წინააღმდეგობათა და ამ საზოგადოების განვითარებას, ზრდას და მოძრაობას მისი ცალკეული ნაწილების ჯამში, მისი დასაწყისიდან მისი დასასრულამდე. ლენინი გვიჩვენებს, რომ ყოველ მარტივ წინადადებაში, რომელიც აკავშირებს კერძოს და ზოგადს, — მაგალითად, — ივანე არის ადამიანი, ცუგა არის ძაღლი, — არის დიალექტიკა. „უკვე აქ, — ხაზს უსვამს ლენინი, — არის აუცილებლობის, ბუნების ობიექტური კავშირის და სხ. ცნებათა ელემენტები. ჩანასახები. უკვე აქ არის შემთხვევითი და აუცილებელი, მოვლენა და არსობა, ვინაიდან როცა ვამბობთ: ივანე კაცია, ცუგა ძაღლია, ეს ხის ფოთოლია და სხვ., ჩვენ უკუვაგდებთ ზოგიერთ ნიშანდობლივ თვისებას, როგორც შემთხვევითს, ჩვენ არსებითს ვთიშავთ მოვლინებულისაგან და ერთიმეორეს ვუპირდაპირებთ"[4]. ყოველი მაგალითზე, — ამტკიცებს ლენინი, — შეიძლება ცხადვყოთ „კერძოს ზოგადად, შემთხვევითის აუცილებლობად გადაქცევა,

---

[1] „ლენინის კრებული" XII, გვ. 229.
[2] იქვე, გვ. 290—291.
[3] იქვე, გვ. 324.
[4] იქვე, გვ. 325.

ზადასვლები, გადადინებანი, დაპირისპირებულობათა ურთიერთ კავშირი“ [1].

ლოგიკის კატეგორიები წარმოადგენენ შემეცნების მოძრაობის მომენტებს, — შემეცნებაში სწარმოებს აღმავლა ხილულ ჭვრეტიდან აბსტრაქტულ აზროვნებისაკენ და დაბრუნება კონკრეტულისაკენ, კონკრეტულის აღდგენისაკენ აზროვნების გზით. მეცნიერულ აზროვნებაში, როგორც ნამდვილ განვითარებაშიაც, ჩვენ ამ რიგად თითქო წრის მიხედვით ვმოძრაობთ, თითქო ხელახლა ვუბრუნდებით გამოსავალ წერტილს, კონკრეტს, ობიექტურ სამყაროს, ვანხორციელებთ რა დიალექტიკურ მეთოდში ანალიზისა და სინთეზის ერთიანობას. ამასთანავე თვით მოძრაობა ჩვენი ცნებებისა, აღმოჩენა ჩვენს მიერ ზოგადისა კერძოობითში, არსობისა—მოვლენის მიღმა, ჩვენ მიერ მთლიანის ნაწილეებისადმი დაპირდაპირება, არსობისა—მოვლენისადმი, შინაარსის — ფორმისადმი, კანონის — მისი გამოვლინების ფორმისადმი, მიზეზის—მოქმედებისადმი და სხ., — ცნებათა მთელი ეს მოძრაობა კვლევა-ძიების მარქსისტულ მეთოდში მხოლოდ ასახავს თვით საგანთა რეალურ ურთიერთდამოკიდებულებას. კატეგორიების წინააღმდეგობანი მხოლოდ ასახავენ დაპირისპირებულობათა ერთიანობას, რასაც ვააშკარავებთ ჩვენ მიერ შესწავლილ ობიექტურ სამყაროში. კვლევა-ძიებისა და აზრის „წრეების“ მიხედვით მოძრაობის ეს პროცესი სწარმოებს ჩვენ მიერ დაუსრულებლად, ვინაიდან დაუშრეტელია საგანთა მხარეები და თვისებანი მათ განვითარებაში, ვინაიდან, რამდენადაც საგნები ვითარდებიან, ყოველთვის შესაძლებელია მათი ურთიერთობისა და ურთიერთკავშირის კიდევ უფრო ღრმა შეცნობა, კონკრეტულის კიდევ უფრო სრულად ათვისება აზროვნების საშუალებით, ვინაიდან თითოეული ახალი აბსტრაქცია გვაძლევს ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ, შეფარდებითს ჭეშმარიტებას საგნის შესახებ.

ეს აზრი ნათლად გამოხატა ლენინმა, როდესაც ჩამოაყალიბა ჩვენი შემეცნების „წრეები“:

„ობიექტისადმი შემეცნების მოძრაობა, — ამბობს ლენინი, — შეიძლება მუდამ მიიმართებოდეს მხოლოდ დიალექტიკურად: განშორდი, რათა უფრო სწორად მოახვედრო, დაიხიე, რათა უკეთ გადახტე (შეიცნო?). შემაერთებელი და გამთიშავი ხაზები: წრეები, რომელნიც ეხებიან ერთიმეორეს. საკვანძო პუნქტი=ადამიანისა და ადამიანთა ისტორიის პრაქტიკა“ [2]. ან მეორე ადგილას: „ადამიანის მოქმედება, რომელმაც შექმნა თავისთვის სამყაროს ობიექტური სურათი, ცვლის

[1] „ლენინის კრებული“ XII, გვ. 325.

[2] იქვე, გვ. 229.

ვარეგან სინამდვილეს, სპობს მის განსაზღვრულობას (=ცვლის მის ამათუიმ მხარეს, თვისობრიობას), და ამრიგად ართმევს მას ხილვადობის, გარეგნულობისა და არარაობის ნიშნებს, ხდის მას თვით-თავისთავში და თვით-თავისთვის არსებულად (=ობიექტურ ჭეშმარიტებად)" [1].

პრაქტიკა და უფრო კონკრეტულადაც კი — ტექნიკა, ადამიანის ტექნიკური პრაქტიკა, მისი საწარმოო ძალების განვითარების პროცესი, ლენინს შეაქვს შემეცნების პროცესში; ამრიგად ის განუწყვეტლად აკავშირებს ლ ო გ ი კ ა ს ა დ ა ი ს ტ ო რ ი ა ს, დიალექტიკური ლოგიკის კატეგორიებს აქცევს ი ს ტ ო რ ი უ ლ კატეგორიებად, რევოლუციური პრაქტიკის კატეგორიებად. დიალექტიკური ლოგიკის ცნებები და კატეგორიები — არსობა, კანონი, შინაარსი და ფორმა, აუცილებლობა, შესაძლებლობა და სინამდვილე — ჩვენ უნდა განვიხილოთ არა მარტო მათ ურთიერთობაში, მათ მოძრაობაში, დაპირისპირებულობათა ერთიანობაში, არამედ რევოლუციური პრაქტიკის თვალსაზრისითაც, როგორც არა მარტო ლოგიკური აზროვნების, არამედ რევოლუციური მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს კატეგორია.

IX. ფოლიალური ლოგიკა და დიალექტიკა

დიალექტიკას თავის ისტორიულ განვითარებაში სერიოზული ბრძოლის გადატანა მოუხდა მეტაფიზიკურ მსოფლმხედველობასთან, რომელიც, როგორც ჩვენ უკვე ვიცით (იხ. თავი III), განუყოფელად გაბატონებული იყო მე-17-18 საუკუნეებში და რომელიც დღემდე წარმოადგენს ბურჟუაზიული იდეოლოგიის, ბურჟუაზიული მეცნიერების დამახასიათებელ თვისებას.

ახასიათებს რა მეტაფიზიკას, ენგელსი ამბობს: „მეტაფიზიკისათვის საგნები და მათი აზროვნებითი ასახვანი, ე. ი. ცნებანი, წარმოადგენენ კვლევა-ძიების განცალკევებულ, ერთიმეორის მიყოლებით და ერთიმეორის დამოუკიდებლად განსახილველ, მყარ, გაქვავებულ, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ საგნებს. მეტაფიზიკოსი აზროვნობს დ ა მ თ ა ვ რ ე ბ უ ლ ი უ შ უ ა ლ ო წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ე ბ ი თ; მისი მსჯელობა შესდგება; „ჰო—ჰო, არა—არა; რაც ამის გარეშეა — ყოველივე ბოროტებაა" [2].

ეს დახასიათება უდგება როგორც იდეალისტურ, ისე მატერიალისტურ მეტაფიზიკას, მიუხედავად მათი გამოსავალი წერტილის ძირითად განსხვავებისა. მატერიალისტი მეტაფიზიკოსი გამომდინარეობს იმ ობიექტურ რეალურ სამყაროს აღიარებიდან, რომელიც არსებობს

[1] „ლ ე ნ ი ნ ი ს კრებული" IX, გვ. 269.
[2] ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 15.

ჩვენს ცნობიერებაზე დამოუკიდებლად. იდეალისტი სრულებით უარყოფს მატერიალურ სამყაროს არსებობას ანდა, ყოველ შემთხვევაში, მის არსებობას უკავშირებს ცნობიერებას, აზროვნებას, სულს. მაგრამ როგორც პირველი, ისე მეორე ერთნაირად მეტაფიზიკურად უდგებიან თავიანთ კვლევა-ძიების საგანს იქნება იგი ნივთი თუ ცნება, როგორც პირველ შემთხვევაში, ან მხოლოდ ცნება, როგორც მეორე შემთხვევაში.

მეტაფიზიკა შორდება საგნის მოძრაობას, მის შინაგან პროცესებს და იღებს საგანს ან ცნებას, როგორც რაღაც სავსებით მ ზ ა ს, დამთავრებულს, გაქვავებულს, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულს. საგნები და ცნებები მეტაფიზიკისათვის კი ა რ წ ა რ მ ო ი შ ო ბ ი ა ნ, არამედ არსებობენ მუდამ მზა სახით ან წარმოიშობიან „უცებ", ყოველგვარი სამზადისის გარეშე, ქმნადობის პროცესის გარეშე. არსებული საგნები და ცნებები არ იცვლებიან თავიანთი არსებობის პერიოდში, ისინი მუდამ თავისთავს უდრიან, მათში არ მეღენდება ახალი ნიშნები, არ ჰქრებიან უკვე არსებულნი, ისინი შინაგანად უძრავი არიან, მათში არ არის წინააღმდეგობანი, არ არის მოძრაობის შინაგანი წყარო, არ არის თვითმოძრაობა. ამიტომ საგანთა სამყაროსათვის მეტაფიზიკოსი გულისხმობს ან აუცილებლად უნდა დაუშვას რომელიღაც პირველდაწყებითი ძალა, პირველი მამოძრავებელი, გარეგანი ბიძგი, რომელსაც მოჰყავს ან ოდესღაც მოიყვანა საგანი მოძრაობაში. ცნებათა მოძრაობას მეტაფიზიკოსი ჩვეულებრივად უკავშირებს მხოლოდ სუბიექტის თვითნებობას. მას არ გაეგება და არ სცნობს ცნებათა მოძრაობას, შინაგან კავშირს და ურთიერთდამოკიდებულებას როგორც ობიექტურ, რეალურ სამყაროს საგანთა მოძრაობისა და ურთიერთკავშირის ანარეკლს.

მეტაფიზიკური შეხედულება თავის დასაბუთებას იღებს ფ ო რ მ ა ლ უ რ ლ ო გ ი კ ა შ ი. ფორმალური ლოგიკა წარმოიშვა და განვითარდა ძველ საბერძნეთში. საბერძნეთის ახალგაზრდა სავაჭრო ბურჟუაზია, რომელიც აწარმოებდა ს ო ფ ი ს ტ ე ბ ი ს არისტოკრატულ პრინციპებისა და არისტოკრატულ მორალის მკაცრ კრიტიკას, რამდენადაც ცხადი ხდებოდა სავაჭრო კაპიტალის გამარჯვება, მიდის აუცილებლობამდე, რათა მიეცა დადებითი დასაბუთება აზროვნების ლოგიკურ წესებისა და ფორმებისათვის, რასაც შეეძლო უზრუნველეყო ახალი ბურჟუაზიული წესების გამძლეობა და მისი საწარმოო ძალების განვითარება; ამ ამოცანას კისრულობს ძველი ქვეყნის გენიალური მოაზროვნე ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი, რომელმაც პირველად ჩამოაყალიბა ლოგიკური აზროვნების ძირითადი კანონები. თვით არისტოტელის ლოგიკა პირველად არ ატარებდა ფორმალური ლოგიკის ინ-

ლოგიკურ სქოლასტიკის ხასიათს ამ სიტყვის ნამდვილი ჭნიშვნელობით, როგორადაც იგი გადააქცეს შემდეგმა ბიმდეერებმა, რომელთაც სრულებით ვერ გაიგეს მისი მოთხოვნილებანი და ძიებანი. ენგელსის სიტყვით, არისტოტელმა გამოიკვლია დიალექტიკური აზროვნების ყველა არსებითი ფორმები. „არისტოტელის ლოგიკა, — ამბობს ლენინი, — არის მოთხოვნა, ძიება, მისვლა ჰეგელის ლოგიკამდე, — პოლო მისგან, არისტოტელის ლოგიკისაგან (რომელიც ყ ო ვ ე ლ გ ა ნ, ყოველ ნაბიჯზე აყენებს საკითხს ს წ ო რ ე დ დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ი ს შ ე ს ა ხ ებ) შექმნეს მკვდარი სქოლასტიკა და უკუაგდეს ყველა ძიებანი, ბერყეობანი, საკითხის დაყენების ხერხები“ [1]. არისტოტელის ძირითადი ნაკლი იმაშია, რომ ის უშვებს უჰწეო არევდარევას ძირითად საკითხის ირგვლივ, საკითხის ზოგადისა და კერძოს შესახებ; ეს არევდარევა იქმნება იმით, რომ, არ ეპარება რა ეჭვი გარეგანი სამყაროს რეალობაში და სტიქიურად მიილტვის რა მატერიალიზმისაკენ, არისტოტელი ა რ ა ა თ ა ნ მ ი მ დ ე ვ ა რ ი აზროვნების ყოფიერებისადმი დამოკიდებულების საკითხის გადაწყვეტაში. იბრძვის რა ეულგარული ემპირიზმის წინააღმდეგ, რომელიც ხედავს მარტოოდენ ერთეულს, განცალკევებულს, არისტოტელს შესაძლებლად მიაჩნია ზოგადი ცნების არსებობა ცალკეულ საგნებზე დ ა მ ო უ კ ი დ ებ ლ ა დ.

ლენინის სიტყვით, არისტოტელი იბნევა „ზოგადისა და კერძოს — ცნებისა და კერძო საგნის, ნივთის, მოვლენის გრძნობითი აღთქმულ რეალობის დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა შ ი“ [2]. ლენინი გვიჩვენებს, რომ ეს გათიშვა ზოგადსა და კერძოს შორის, ცნებებსა და გრძნობითი აღთქმულ რეალობას შორის დამახასიათებელია ფორმალური ლოგიკის მთელი შემდგომი განვითარებისათვის, მას აქვს თავისი გნოსეოლოგიური ფესვები საკითხის ი დ ე ა ლ ი ს ტ უ რ დაყენებაში ყოფიერებისა და აზროვნების, ცნებებისა და მათში გამოსახულ საგნების შესახებ: „პირველყოფილი იდეალიზმი: ზოგადი (ცნება, იდეა) არის გ ა ნ ც ა ლ კ ე ვ ებ უ ლ ი ა რ ს ებ ა. ეს გვეჩვენება ველურ, საოცარ (უფრო მართებულად: ბავშურ) უაზრობად. მაგრამ განა ამგვარი არაა (ს რ უ ლ ე ბ ი თ ამგვარი) თანამედროვე იდეალიზმი, კანტი, ჰეგელი, ღმერთის იდეა?“ [3].

გათიშვა ზოგადსა და კერძოს შორის, რამაც თავი იჩინა ჯერ კიდევ არისტოტელის მოძღვრებაში, იღებს თავის შემდგომ განვითარებას, ძლიერდება და მწვავდება პირველად საშუალო საუკუნეთა სქოლასტიკაში (ეგრეთწოდებული „რეალიზმი“), შემდეგ ბურჟუაზიულ

---

[1] „ლ ე ნ ი ნ ი ს კრებული“ XII, გვ. 331.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 337.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 337.

ლოგიკაში, განსაკუთრებით იმისდამიხედვით, რამდენადაც ბურჟუაზია ხდება კონსერვატულ და რეაქციურ ძალად. თუ აღმავალი ბურჟუაზია მიისწრაფოდა გადაექცია ლოგიკა ახალ შედეგების გამოძებნის მეთოდათ, შეჰქონდა რა მასში კვლევა-ძიების ახალი ხერხები (მაგალითად ბეკონის მიერ შემოღებული ინდუქციის მეთოდი), კანტის ლოგიკაში ჩვენ უკვე გვაქვს იდეალისტური მოწყვეტა საგანთა სამყაროსა და ჩვენს ცნებებს შორის: ლოგიკური ცნებების ცარიელ, უშინაარსო ფორმებად გადაქცევა განსაკუთრებით დამახასიათებელია ნეოკანტელობის ლოგიკისათვის.

როგორც უკვე ზემოთ იყო თქმული, დიალექტიკური ლოგიკის კატეგორიები გამოხატავენ ობიექტურ კანონებს და ამიტომ წარმოადგენენ აზროვნების შინაარსიან ფორმებს. დიალექტიკური ლოგიკის კატეგორიების განვითარება გამოხატავენ გაზოგადოებულ ფორმაში ობიექტურ სამყაროსა და ადამიანის შემეცნების რეალურ განვითარებას. დიალექტიკისაგან ფორმალური ლოგიკის ღრმა განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ფორმალური ლოგიკის მიერ დაწესებული ცნებები და აზროვნების კანონები არის მხოლოდ აზროვნების „როგორც ასეთის" ფორმალური პრინციპები, აღებული იმაზე დამოუკიდებლად, თუ როგორია ამ აზროვნების შინაარსი. ფორმალური ლოგიკის დიდი კურსის ავტორი — ბურჟუაზიული იდეალისტი-ნეოკანტიანელი ზიგვარტი განიხილავს ლოგიკას, მაგალითად როგორც აზროვნების ტექნიკურ ხერხების კრებულს და ამბობს: „მისი წესების დაცვა, როდი უზრუნველყოფს შედეგების აუცილებელ მატერიალურ ჭეშმარიტებას, არამედ მხოლოდ ხერხების ფორმალურ სისწორეს"[1]. ფორმალური ლოგიკა გამოხატავს გარეგან ფორმებს საგნებისას, რომელთაც ისინი უყურებს როგორც უცვლელს, გაქვავებულს. აზროვნების შინაარსი მას იმ შემთხვევაშიაც კი აინტერესებს, როდესაც ლაპარაკია აშკარა უაზრობაზე. „ფორმალურად სწორია, ხოლო არსებითად დაცინვა",—ლენინის მიერ ბიუროკრატიზმის ეს დახასიათება შეიძლება ფორმალურ ლოგიკასაც შეუფარდოთ.

ფორმალური, მეტაფიზიკური ლოგიკა აუცილებლად სუბიექტურია, ყოველ შემთხვევაში პატერიალისტი მეტაფიზიკოსიც კი თავისი ფორმალური ლოგიკის პრინციპების წყალობით მუდამ იმყოფება სუბიექტივიზმისა და სოფისტიკის მიჯნაზე, უკვე რომ არაფერი ვთქვათ მეტაფიზიკოს-იდეალისტებზე. ვერ ხედავს რა ცნებებში განვითარებასა და მოძრაობაში მყოფ სამყაროს, ფორმალურ ლოგიკას, ცხადია, არ ძალუძს მოიცვალ სამყარო როგორც დაპირისპირებულობათა ერთიანობა, ვერ ამჩნევს საგნების შინაგან მოძრაობასა და ცვლილებებს,

[1] ზიგვარტი, ლოგიკა, ტ. I, გვ. 10.

მათ ო�eldხრივ, ხშირად წინააღმდეგობითს კავშირებს და ურთიერთ-ზემქმედებებს. იგი მეტაფიზიკურად უყურებს საგნებსა და ცნებებს, როორც მარად უცვლელთ, როგორც სრულებით განცალკევებულთ, იზოლირებულთ, ერთიმეორისაგან მოწყვეტილთ, შინაგან ურთიერთ-დაკავშირებულების გარეშე. ამიტომ ფორმალური ლოგიკა კვლევა-ძიებასაც არაისტორიულად აწარმოებს. ანალიზი ფორმალურ ლოგიკაში მკვდარია, მექანისტური; ესაა სივრცეში საგნების მარტივი, უხეში დანაწილება, საგნის განკვეთა მის არსებულ, განცალკევებულ ნაწილებად, საგნის წმინდა რიცხობრივი დაქუცმაცება, მისი დაწილადება. ფორმალურ-ლოგიკური სინტეზიც ასევე მკვდარია, მექანისტური, არაისტორიული, — ესაა მოცემულ საგანთა უბრალო მიმატება, მათი წმინდა გარეგან სივრცობრივი და დროებითი კავშირი. ანალიზსა და სინტეზს უყურებენ წმინდა სუბიექტურად როგორც კვლევა-ძიების უბრალო ხერხებს. ნამდვილად კი მეცნიერული ანალიზი და სინტეზი უნდა იყოს ანალოგი, ობიექტურ რეალურ სამყაროში მომხდარ ანალიზისა და სინტეზის, დიფერენცირებისა და შეერთების გამომხატველი. ამიტომ ანალიზისა და სინტეზის ფორმები დიალექტიკაში თვისობრივად იმდენადვე მრავალსახოვანია, რამდენადაც მრავალსახოვანია ობიექტურ სამყაროში საგანთა გაყოფისა და შეერთების წესები და ფორმები. ფორმალური ლოგიკა ყოფს ანალიზსა და სინტეზს ორ აბსოლუტურად მოპირდაპირე, ერთიმეორისადმი საკუთრებით გარეგნულ და უცხო მოქმედებად, ხოლო სინამდვილეში კი ისინი უერთმანეთოდ არ არსებობენ, ერთიმეორეს ჰგულისხმობენ, შინაგანად ურთიერთდაკავშირებული არიან.

ფორმალური ლოგიკა, ცხადია, ხედავს არა მარტო საგანთა იგივეობას, არამედ მათ დაპირისპირებულებასაც. მაგრამ იგი ვერ აღწევს დაპირისპირებულობათა ერთიანობამდე (იგივეობამდე). იგივეობა იმყოფება ერთ ჯიბაში, ხოლო განსხვავება—მეორეში. იგივეობა ფორმალურ ლოგიკაში — აბსტრაქტული იგივეობაა, განსხვავება—აბსტრაქტული განსხვავება. როდესაც საგანთა ან ცნებათა ერთიანობას ეპება, მეტაფიზიკური ლოგიკა მხედველობიდან უშვებს მათ გაორებას, ხოლო როდესაც საგანთა გაორებაზე გადადის, აივიწყდება მათი ერთიანობა. სიტყვით, ფორმალური ლოგიკა აღიარებს იგივეობასაც და დაპირისპირებულობასაც, მაგრამ ვერ ხედავს მათ ერთიანობას. ამიტომ ფორმალური ლოგიკის წინააღმდეგობანი — ესაა ცნებათა წინააღმდეგობანი და არა ობიექტურ სამყაროს წინააღმდეგობანი. ესაა გ ა დ ა უ კ რ ე ლ ი წინააღმდეგობანი, უძრავი, უსიცოცხლო, ეს დიალექტიკური წინააღმდეგობანი როდია, იგი არ წარმოადგენს, მოძრაობის არც წყაროს, არც საფუძველს და არც შედეგს. ფორმალური ლოგიკა ამავე

დროს სავსებით ვერ ითმენს რეალურ წინააღმდეგობებს, მისი ლოგიკური „პრინციპები“ მთლიანად მიმართულია დაპირისპირებულებთა ერთიანობის მატერიალისტურ-დიალექტიკურ კანონის წინააღმდ.

ფორმალური ლოგიკის სამი ძირითადი „პრინციპი“, კანონი მშვენივრად ასაბუთებს ზემოდთქმულს.

ფორმალური ლოგიკის პირველი „პრინციპი“ ამბობს: ა არის ა, ან ა უდრის ა-ს. ესაა აბსტრაქტული იგივეობის პრინციპი. სამყაროს ყველა საგნები და ყველა ცნებები ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული ა-ა, ყველა ისინი მუდამ იგივეობითია, ერთიმეორეს უდრიან ყოველგვარ განვითარებსა და მოძრაობაზე დამოუკიდებლად. სამყარო ერთია, დაუპირისპირებელი, გაუორებელი თავის თავში, არა წინააღმდეგობითი, უცვლელი, უმოძრაო.

ფორმალური ლოგიკის მეორე პრინციპი, წინააღმდეგობათა პრინციპი ამბობს: ა არ არის ა, ა არ უდრის ა-ს. ეს დებულება წარმოადგენს პირველი პრინციპის, იგივეობის პრინციპის უარყოფით გამოხატულებას: რაკი ა არის ა, მაშინ არ შეიძლება უდრიდეს არა-ა-ს, მაგრამ, მეორეს მხრივ, იგი შეიძლება განხილული იქნას როგორც პირველი პრინციპის აბსოლუტური დაპირისპირებულობა (რაზედაც უკვე დიდი ხანია მიუთითა ჰეგელმა და რაც სრულებით არ გაეგება პლეხანოვს, როდესაც ენგელსის „ლიუდვიგ ფეიერბახის“ წინასიტყვაობაში ახასიათებს ფორმალურ ლოგიკას). თუ პირველი „პრინციპი“ ლაპარაკობს სამყაროს აბსოლუტური იგივეობის შესახებ, მეორე „პრინციპი“, პირიქით, გამომდინარეობს აბსოლუტური განსხვავებისაგან, სამყაროს შინაგან განკვეთისაგან, მისი აბსოლუტური გაორებისაგან, ვინაიდან თითოეულ ა-ს მუდამ და უცვლელად უპირისპირდება თითოეული აბსოლუტურად დაპირისპირებული არა ა. მაშასადამე, სამყარო წინააღმდეგობითია, მაგრამ ეს სამყარო მთლიანი არაა, მისი მოპირდაპირე ნაწილები ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად არსებობენ, ისინი ერთიმეორისათვის გარეგანნი და უცხონი არიან, მათ შორის კავშირი არაა, არაა მოძრაობა, როგორც არაა მოძრაობა თითოეულ მათგანში ცალ-ცალკე. ისინი აბსოლუტური წინააღმდეგობანი არიან, მაგრამ ისინი არ აწარმოებენ ბრძოლას ურთიერთშორის იმიტომ, რომ ბრძოლისათვის საჭიროა მათი ერთიანობის ესა თუ ის ფორმა. ამიტომ დაპირისპირებულობათა შეერთება ფორმალური ლოგიკის მიხედვით შესაძლებელია მხოლოდ წმინდა მექანიკურად, გარეგნული, ეკლექტიკური გზით, და ეს შეერთება აუცილებლად დამოკიდებულია სუბიექტის თვითნებობაზე.

ფორმალური ლოგიკის მესამე „კანონი“ ამბობს: რაიმე არის ან ა ან არა-ა, რაიმე უდრის ან ა-ს ან არა-ა ს. ფორმალური ლოგიკის ეს დებულება (მესამის გამორიცხვის კანონი) წარმოადგენს პირველი ორი პრინციპის გაზოგადოებას. ყოველი არსებული „რაიმე“—ყოველი საგანი ან ცნება წარმოადგენს ან ა-ს, ან მის მოწინააღმდეგე არა-ა ს, მხოლოდ არა დაპირისპირებულთა ერთიანობას. ამგვარად ეს პრინციპი უარყოფს იგივეობისა და დაპირისპირებულობათა ერთიანობას. მაშასადამე, ეს კანონი წარმოადგენს ფორმალური ლოგიკის ბირთვს, ძირითადად, მოწინააღმდეგეს და მტრულს დიალექტიკური ლოგიკის ბირთვის მიმართ, ე. ი. დაპირისპირებულობათა ერთიანობის კანონის მიმართ.

ფორმალურ ლოგიკის ძირითად კანონებს გარდა, ჩვეულებრივად, მისი კვლევა-ძიების საგანს წარმოადგენს მოძღვრება ცნებათა, განსჯათა და გონებითი დასკვნათა შესახებ.

ცარიელი ფორმალიზმი, აზროვნების კანონების მოწყვეტა ყოველგვარ რეალურ შინაარსისაგან, დამახასიათებელი მეტაფიზიკური ლოგიკისათვის მოძღვრებაში აზროვნების კანონების შესახებ, მეღავნდება აგრეთვე ცნებათა, განსჯათა და გონებითი დასკვნათა საკითხშიაც. თავის მოძღვრებაში ცნებების შესახებ ფორმალური ლოგიკა გამოდის შემდეგი დებულებიდან: „ცნების მოცულობა და შინაარსი პირუკუ პროპორციულია ერთიმეორისადმი“. ამ კანონის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ რამდენადაც მეტია ცნებაში კონკრეტული შინაარსი, მით უფრო ვიწროა მისი მოცულობა და, პირიქით: რამდენადაც ნაკლები შინაარსია, მით უფრო ფართოა ცნების მოცულობა. ცნების შექმნის ამოცანა მეტაფიზიკური ლოგიკის თვალსაზრისით მდგომარეობს იმაში, რათა მიაღწიოს თავისი მოცულობით მაქსიმალურად ფართო ცნებებს, სხვანაირად რომ ვთქვათ: უფრო მეტად გამოაცალოს ცნებას ყოველგვარი შინაარსი. ფორმალურ-ლოგიკური აბსტრაქცია მდგომარეობს იმაში, რომ საგანს ან პროცესს აშორებენ ყველა განცალკევებულ. თავისებურ ნიშნებს, სანამ არ მიიღებენ ზოგად ცნებას, რომელშიაც უკვე გამქრალია ყველა განცალკევებული, თავისებური. ასე, მაგალითად, ხის ზოგადი ცნება მუხის, ვაშლის ხის, ცაცხვის ცნებაზე უფრო ფართოა; მცენარის ცნება ხის, ბუჩქის და სხ. ცნებაზე უფრო ფართოა. ზოგადი ცნება თავისი შინაარსით უფრო ღარიბია, ვიდრე უფრო კერძო ცნება.

პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისი ცნებათა საკითხის შესახებ სწორად ასახავს სინამდვილეს. ამავე დროს მეტად ადვილია ამ პოზიციის მთელი მეტაფიზიკურობის დანახვა.

ფორმალურ-ლოგიკურ მოძღვრებას, ცნებათა შესახებ, საფუძვლად უდევს სრული იდეალისტური მოწყვეტა ცალკეულის, განსაკუთრებულისა და ზოგადის, მათი დაპირდაპირება. ჰეგელი მიისწრაფოდა დაეძლია ეს მოწყვეტა: მან წამოაყენა ძღვრება ცნებათა შესახებ როგორც ზოგადის, განსაკუთრებულისა და ცალკეულის ერთიანობის შესახებ. ჰეგელმა მოგვცა ფორმალიზმის სიცარიელისა და ცნებების შესახებ ფორმალურ-ლოგიკური მოძღვრების მეტაფიზიკურობის ღრმა კრიტიკა. მაგრამ მისი მოძღვრება ცალკეულის, განსაკუთრებულის, ზოგადის ეროიანობის შესახებ ემყარება იმას, რომ ცნება, იდეა წარმოადგენენ სამყაროს დედაარსს. ამრიგად, ჰეგელის მოძღვრებაში რჩება მოწყვეტა ცალკეულის საგანთა სამყაროსა და ზოგადს შორის, რამდენადაც ცნება წარმოშობს ობიექტურ სამყაროს.

კონკრეტულ, შინაარსიან ცნების შესახებ ერთადერთ, ბოლომდე თანმიმდევარ მოძღვრებას იძლევა მატერიალისტური დიალექტიკა. ეს მოძღვრება კონკრეტულ ცნების შესახებ მთლიანად და ბოლომდე სძლევს ფორმალური ლოგიკის მთელ სიცარიელეს, ვულგარულ ემპირიზმსა და იდეალიზმს მოძღვრებაში ცნებათა შესახებ. მარქსი „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის" შესავალში იძლევა სახელმძღვანელო მითითებას ამ საკითხის გამო. არკვევს რა იმ ძირითად ცნებებს, რომელთაგანაც ჩვეულებრივად იწყება პოლიტიკური ეკონომია, ის მიუთითებს: „უფრო სწორი თითქო ეს იქნება: დავიწყოთ ნამდვილი რეალური და კონკრეტული წინაპირობიდან,— მაშასადამე, მაგალითად, პოლიტიკურ ეკონომიაში მოსახლეობიდან, რომელიც წარმოების მთელი საზოგადოებრივი პროცესის საფუძველსა და სუბიექტს წარმოადგენს. მაგრამ ახლო განხილვისას ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ეს მცდარია. მოსახლეობა აბსტრაქციაა, თუ მე, მაგალითად, იმ კლასებს, რომლებისგანაც იგი შესდგება, მხედველობის გარეშე ვტოვებ. კლასებიც კიდევ ცარიელი სიტყვაა, თუ მე არ ვიცი ის ელემენტები, რომლებსაც ისინი ეყრდნობიან, მაგალითად, საქირაო შრომა, კაპიტალი და სხ[1]".

შემდეგ მარქსი აკრიტიკებს პოლიტიკური ეკონომიის გადმოცემის ასეთ მეთოდს და მიუთითებს, თუ როგორი უნდა იყოს სინამდვილის ნამდვილი მეცნიერულ შემეცნების მეთოდი. მსვლელობა უშუალო კონკრეტულიდან თანდათან უფროდაუფრო მარტივ ცნებისაკენ, თანდათან უფროდაუფრო მკლე აბსტრაქციებისაკენ — ესაა ერთი გზა. ამ გზით ვიდოდა პოლიტიკური ეკონომია მე-17 საუკუნეში, თავისი წარმოშობის დროს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ანალიზის საშუალებით,

[1] მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 23.

მოპოებულია ზოგიერთი ზოგადი ძირითადი განსაზღვრები, სწორი იქნება. სვლა აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ. „უკანასკნელი მეთოდი, ცხადია, მეცნიერულად სწორი მეთოდი არის. კონკრეტული იმიტომაა კონკრეტული, რომ იგი მრავალრიცხოვან განსაზღვრათა გაერთიანებას, ე. ი. მრავალსახეობის ერთიანობას წარმოადგენს. ამიტომ აზროვნებაში იგი გვევლინება როგორც გაერთიანების პროცესი, როგორც შედეგი და არა როგორც გამოსავალი წერტილი, თუმცა იგი ნამდვილი გამოსავალი წერტილია და ამიტომ გამოსავალი წერტილია განჭვრეტისა და წარმოდგენისაც. როდესაც პირველი გზაა აღებული, სრული წარმოდგენა აბსტრაქტულ განსაზღვრად ნიავდება, როდესაც მეორეა აღებული, აბსტრაქტული განსაზღვრანი კონკრეტულის რეპროდუქციად მოიცემიან აზროვნების გზით. ჰეგელი ამიტომ ილუზიაში ვარდება, როდესაც მას რეალური ესმის როგორც შედეგი აზროვნებისა; რომელიც თავისში ერთიანდება, თავისში ღრმავდება და თვით თავისით მოძრაობს მაშინ, როდესაც აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის მეთოდი მარტოოდენ წესია, რომლითაც აზროვნება კონკრეტულს შეითვისებს, მის, როგორც კონკრეტულის, რეპროდუქციას ახდენს გონებრივად. მაგრამ იგი სრულიადაც არაა თვით კონკრეტულის წარმოშობის პროცესი“ [1].

მარქსის ამ დებულებებში მოცემულია კონკრეტული ცნების ულრმესი განმარტება მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით. მარქსი, უწინარეს ყოვლისა, ააშკარავებს ჰეგელის იდეალიზმს მის მოძღვრებაში კონკრეტული ცნების შესახებ, რაც მდგომარეობს იმაში, რომ რეალურ სამყაროს ის განიხილავს როგორც აზროვნების განვითარების შედეგს. მატერიალისტური დიალექტიკის კონკრეტული ცნება ასახავს უშუალოდ მოცემულ კონკრეტულ სინამდვილეს, მაგრამ აღებულს მის შინაგან ურთიერთობებსა და კანონზომიერებებში; იგი არის ზოგადის, განსაკუთრებულის, ინდივიდუალურის ერთიანობა. მატერიალისტური დიალექტიკის კონკრეტული ცნება არ სპობს ერთეულს, არ უკუაგდებს მთელ განსაკუთრებულს, არ იძლევა ცარიელ და შეკვეცილ აბსტრაქციებს. პირიქით, რაკი იგი არის ზოგადი ცნება, ცნება, რომელმაც გამოააშკარავა კანონზომიერება, იგი თავისში შეიცავს ერთეულისა და განსაკუთრებულის სიმდიდრეს. მატერიალისტური დიალექტიკის კონკრეტული ცნება წარმოშობს აზროვნებაში ნამდვილს, კონკრეტულ მთელს მის კონკრე-

[1] მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. გვ. 23—24. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

ტობაში. მარქსის „კაპიტალის“ ყოველივე კატეგორია, დაწყებული საქონლიდან და დამთავრებული მიწის რენტით, წარმოადგენს ასეთი კონკრეტული ცნების ნიმუშს. მატერიალისტური დიალექტიკა როდი უარყოფს აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზის, ზოგადი ცნებების შექმნის როლსა და მნიშვნელობას.

პირიქით, მას აჰყავს ეს საკითხი უმაღლეს საფეხურზე. მაგრამ ფორმალური ლოგიკის აბსტრაქციებსა და მატერიალისტური დიალექტიკის ცნებებს შორის უდიდესი განსხვავება არსებობს. მატერიალისტური დიალექტიკის კონკრეტული ცნება არის შინაარსიანი ცნება, ცნება, რომელიც გამოხატავს სინამდვილის მთელ სიმდიდრეს და ამასთანავე ამ სინამდვილის განვითარების შინაგან, ზოგად კანონებს.

რამდენადაც უფრო ფართოა იგი თავისი მოცულობით, მით უფრო მდიდარია თავისი შინაარსით. საქონლის ცნება, კლასის ცნება—ცარიელი უშინაარსო აბსტრაქციები როდია: ისინი არ ეკუთვნიან მარტოოდენ აზროვნებას, როგორც ამას ჰფიქრობენ მაგალითად, თანამედროვე მექანისტები. ისინი გამოხატავენ საგანთა რეალურ, ობიექტურ კავშირს. მუშათა კლასი უამრავ ცალკეულ მუშების ცარიელი აბსტრაქცია როდია, არამედ არის მათი მთლიანი ერთიანობა, რეალური საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელსაც უჭირავს გარკვეული ადგილი წარმოების ისტორიულად გარკვეულ სისტემაში.

წინააღმდეგ ფორმალური ლოგიკისა, რომელიც თავისი აზროვნების ცარიელ ფორმებს აცლის ყოველგვარ კონკრეტულ შინაარსს, დიალექტიკური ლოგიკა პირველ რიგში აყენებს ჩვენი მეცნიერული შემეცნების კონკრეტობას. აბსტრაქტული ჭეშმარიტება არ არსებობს, ჭეშმარიტება მუდამ კონკრეტულია,—ლენინი ამ დებულებას არაერთხელ იმეორებდა. არა მარტო დიალექტიკური ლოგიკის ცნებები უნდა იყოს კონკრეტული, თავისში უნდა შეიცავდეს განსაკუთრებულისა და ერთეულის მთელ სიმდიდრეს, არამედ პირიქითაც—ერთეული, ინდივიდუალური საგნის შემეცნება უნდა იყოს კონკრეტული, უნდა მოიცვას ეს ერთეული, როგორც ზოგადისა და განსაკუთრებულის ერთიანობა, როგორც ზოგადი კანონზომიერების გამოვლინების განსაკუთრებული შემთხვევა, უნდა გამოააშკარაოს მისი ადგილი და როლი საერთო განვითარებაში.

განვითარების ერთეულ მომენტების, მხარეების, დარგების და სხ. ამ ყოველმხრივ, კონკრეტულ შემეცნებით, მათ იმ განსაკუთრებულ, გადამწყვეტ მნიშვნელობის გამო, რასაც ისინი იღებენ განსაკუთრებულ ეტაპებზე მთელი განვითარებისათვის, საერთო კანონზომირების განვითარებისათვის, უზრუნველყოფილი

ხდება თეორიისა და რევოლუციური პრაქტიკის ერთიანობა. ერთეულის ამ კონკრეტულ შემეცნებაში მდგომარეობს სწორედ საკითხის ლენინური დაყენება გადამწყვეტი რგოლის შესახებ პროლეტარიატის ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებში. რგოლი, რასაც ხელი უნდა ჩავსჭიდოთ მოცემულ ეტაპზე, რათა გამოვიტანოთ განვითარების რგოლი, შეიძლება გამოირკვეს მხოლოდ თეორეტიული ცოდნისა და რევოლუციური პრაქტიკის განუწყვეტელი ერთიანობის საფუძველზე, მხოლოდ პროცესის ცალკეული მხარეების, მათი თავისებურებებისა და მთელი განვითარებისათვის მათი მნიშვნელობის კონკრეტული შესწავლის გზით. ლენინისა და სტალინის მოძღვრება პროლეტარული რევოლუციის მიერ იმპერიალისტური ჯაჭვის საშუალო-სუსტი რგოლების გაწყვეტის შესახებ; პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება როგორც გადამწყვეტი რგოლი მთელი გარდამავალი პერიოდის მანძილზე; ვაჭრობის დაუფლება როგორც უმნიშვნელოვანესი რგოლი ახალი ეკონომიური პოლიტიკის აღდგენით ეტაპზე; ახალი ტექნიკის ათვისება როგორც ტექნიკური რეკონსტრუქციის გადამწყვეტი რგოლი; კოლმეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცება და გეზის აღება საარტელო ფორმისაკენ, განმსაზღვრელ რგოლებისაკენ სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საქმეში, — ამ და მრავალ სხვა ნიმუშების მიხედვით ააშკარავებენ ლენინი და სტალინი დიალექტიკური ლოგიკის მთელ ძალასა და მთელ უდიდეს მნიშვნელობას.

ფორმალურმა ლოგიკამ გულმოდგინედ დაამუშავა სხვადასხვა ტიპის განსჯათა და გონებითი დასკვნების კლასიფიკაცია. იგი არ ღალატობს თავის გამოსავალ წერტილს და ანალიზს უკეთებს მხოლოდ განსჯის ფორმას, ცნებებს შორის კავშირთა ტიპს, შორდება განსჯის რეალურ შინაარსს.

ფორმალურ ლოგიკას თავისი ანტიისტორიულობის, მეტაფიზიკურობის გამო არ შეუძლია შეუფარდოს განვითარების თვალსაზრისი მის მიერ გამოსაკვლევ განსჯისა და გონებითი დასკვნის ფორმებს. „დიალექტიკური ლოგიკა, — სწერდა ენგელსი, — წინააღმდეგ ძველი, წმინდა ფორმალური ლოგიკისა, არ კმაყოფილდება იმით, რომ დაუკავშირებლად ჩამოთვალოს და შეადაროს აზროვნების მოძრაობის ფორმები, ე. ი. განსჯისა და გონებითი დასკვნის სხვადასხვა ფორმები. მას, პირიქით, ეს ფორმები გამოყავს ერთიმეორისაგან, ამყარებს მათ შორის სუბორდინაციისა და არა კოორდინაციის ურთიერთობას, ის დაბალთაგან ანვითარებს უმაღლეს ფორმებს“ [1].

[1] ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 100. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

სწორედ განვითარების თვალსაზრისი, ისტორიული თვალსაზრისი, შეფარდებული აზროვნების ფორმების, განსჯისა და გონებითი დასკვნის ფორმების კვლევა-ძიებისადმი, აქცევს ლოგიკას მეცნიერებად. ასეთი მუშაობა ძირითადათ ჩაატარა ჰეგელმა იდეალისტურ საფუძველზე. მთელი თავისი ლოგიკის პრინციპებისადმი ეროგულებით მან ფილოსოფიისა და ლოგიკის ისტორიაში პირველად მოგვცა განსჯათა რაციონალური დაჯგუფება: განსჯა ერთეულობის, განსჯა თავისებურობის, განსჯა ყოვლადობისა. ენგელსი მეცნიერების განვითარების ისტორიიდან მოყვანილ ნიმუშებით გვიჩვენებს ჰეგელის დაჯგუფების „შინაგან ჭეშმარიტებასა და აუცილებლობას“ და ამავე დროს ცხადყოფს მათი განვითარების დამოკიდებულებას ადამიანის საზოგადოებრივ-ისტორიულ პრაქტიკაზე.

როგორც უკვე მივუთითეთ, მხოლოდ პრაქტიკისა და შემეცნების ხანგრძლივმა ისტორიულმა განვითარებამ მიგვიყვანა დადებით მსჯელობამდე: „ხეხვა არის სითბოს წყარო“[1]. ეს განსჯა შეიძლება განხილული იქნას როგორც ერთეული. მეცნიერების შემდგომმა ისტორიულმა განვითარებამ მიგვიყვანა უფრო ღრმა განზოგადებამდე: „ყოველ მექანიკურ მოძრაობას ხეხვის შემწეობით შეუძლია გადაიქცეს სითბოდ[2].“ ესაა განსჯა განსაკუთრებულობისა, ვინაიდან ლაპარაკია მოძრაობის განსაკუთრებულ ფორმაზე—მექანიკურზე. შემდგომმა ისტორიულმა განვითარებამ მიგვიყვანა ყოვლადობის მსჯელობამდე, ყოვლად კანონამდე: „მოძრაობის ყოველგვარ ფორმას ძალუძს და იძულებულია, თითოეული შემთხვევისათვის განსაზღვრულ პირობებში, გადაიქცეს პირდაპირ ან არაპირდაპირ მოძრაობის ყოველგვარ სხვა ფორმად“[3].

ჩვენ ვხედავთ ამრიგად, რომ მხოლოდ ისტორიული მიდგომა, მიდგომა ლოგიკის პრობლემებისადმი მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თვალსაზრისით, იძლევა ნამდვილ ბაზისს დიალექტიკურ-ისტორიულ, ნამდვილ მეცნიერულ ლოგიკისათვის. აქედან გასაგებია აგრეთვე, რომ არ არის და არ შეიძლება იყოს ლოგიკის რომელიღაც განსაკუთრებული მეცნიერება, გამოყოფილი შემეცნების თეორიისაგან, დიალექტიკისაგან. ლოგიკა, დიალექტიკა, შემეცნების თეორია წარმოადგენენ ერთსადაიმავე ფილოსოფიურ მეცნიერებას—მატერიალისტურ დიალექტიკას.

მატერიალისტური დიალექტიკა სძლევს, „ხსნის“ ფორმალურ ლოგიკას იმ თვალსაზრისით, რომ იგი იძლევა თავის პასუხს ლო-

---

[1] ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 101.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 102.

გიკის ყველა პრობლემებზე, ემყარება რა ტექნიკისა და მეცნიერების განვითარების ისტორიას.

ფორმალური ლოგიკა მთლიანად არ გამოხატავს მატერიალურ სამყაროს ნამდვილ კანონებს. მაგრამ იგი არ არის უბრალო უაბრობა, არამედ, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ფუტკვავილაა, რომელიც იზრდება დიალექტიკური შემეცნების ძალოვან ხეზე. ფორმალური ლოგიკა არის შემეცნების პროცესში მრუდე, მოძრავ, მოქნილ წახნაგების გაქვავებულ სწორ ხაზებად ცალ მხრივ, ძალდატანებით გამართვის შედეგი. თუ დიალექტიკური ლოგიკა იბრძვის ცნებათა გაწყალწყალების წინააღმდეგ, მათი გარკვეულობისათვის კონკრეტულობისა და ცოცხალი რეალური შინაარსით გაჟღენთილობის თვალსაზრისით,—ფორმალური ლოგიკა აქცევს ამ გარკვეულობას რაღაც აბსოლუტურად გამძღვედ, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულად, რაიც შემოზღუდულია უძრავი ჩარჩოებით, მუდამ იგივეობითია თავის-თავისადმი. ამიტომ ფორმალური ლოგიკის სოციალურ საფუძველს ისტორიულად წარმოადგენდენ საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილი, ნაკლებად მოძრავი ფორმები, როგორიცაა ფეოდალური წყობილება, ანდა ისეთი საზოგადოება, რომლის ღრმა შინაანი დიალექტიკა საგანთა (საქონელთა) უხეშ გარეგან მოძრაობის ფორმის ქვეშ იმალება, როგორიცაა კიპიტალიზმი. ამას უნდა დაეუმატოთ, რომ ფორმალური ლოგიკა, ამახინჯებდა რა სამყაროს სურათს, მუდამ ემსახურებოდა ეერთგულეს იარაღად გაბატონებულ ექსპლოატატორულ და მჩაგვრელ კლასებს, მუდამ იყო რელიგიისა და ცრუმორწმუნეობის დასაყრდენი. აქედან ცხადია დიალექტიკისა და ფორმალური ლოგიკის მტრული განწყობილება და შეურიგებლობა. ეს გარემოება არ უარყოფს იმას, რომ ისტორიულად ფორმალურმა ლოგიკამ პროგრესიული კლასების ხელში ითამაშა როგორც მეცნიერებაში, ისე საზოგადოებრივ განვითარებაში გარკვეული დადებითი როლი. ფორმალური ლოგიკის შესწავლას გ ა რ კ ვ ე უ ლ ი შ ე ს წ ო რ ე ბ ე ბ ი თ, ამჟამადაც კი შეუძლია სარგებლობის მოტანა, თუ კი არ დავივიწყებთ მის ძირითად ნაკლულევანებებს. გარკვეულ ჩარჩოებში შემეცნების ეს დაბალი საფეხური იძლევა ეულგარულ ემპირიზმთან და რელატივიზმთან ბრძოლის საშუალებას და ამზადებს ნიადაგს დიალექტიკური შემეცნების უფრო მაღალ საფეხურის შესათვისებლად.

მაგრამ თუ შემეცნების ისტორიის ხანგრძლივ პერიოდში გაბატონებული იყო ფორმალური, მეტაფიზიკური ლოგიკა, თუ ცალკეული ადამიანი მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილებისა და ცოდნის დაგროვების პროცესში ხდება დიალექტიკოსად,—აქედან სრულებით

არ გამომდინარეობს, რომ დიალექტიკა და ფორმალური ლოგიკა პრინციპიალურად ენათესავებიან ერთიმეორეს, წარმოადგენენ თანაბარ ღირებულების მქონე საგნებს ან განსხვავდებიან ერთიმეორისაგან მხოლოდ რიცხობრივად, როგორც მთელი და ნაწილი.

სავსებით შემცდარია მეტად გავრცელებული თვალსაზრისი, რომლის თანახმად ფორმალური ლოგიკა ცხადდება დაქვემდებარებულ მომენტად და კერძო შემთხვევად,— დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ი ს შ ე მ ა დ გ ე ნ ე ლ ნ ა წ ი ლ ა დ. ამ თვალსაზრისის ავტორი არის პლეხანოვი. პლეხანოვი ამტკიცებს, რომ დიალექტიკის კანონები მოქმედებენ მხოლოდ იქ, სადაც საგანი იმყოფება ხილულ ცვლილებების, გადასვლის მდგომარეობაში; ხოლო როდესაც ლაპარაკია ცალკეულ საგნებზე, როგორც ასეთებზე, იქ მეფობს ფორმალური ლოგიკა. „ ფ ო რ მ ა ლ უ რ ი ლ ო გ ი კ ი ს (ა ზ რ ი ს „ ძ ი რ ი თ ა დ ი კ ა ნ ო ნ ე ბ ი ს“ მ ი ხ ე დ ვ ი თ) ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს კ ე რ ძ ო შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა ა,“[1]—ამბობს პლეხანოვი. მეორე ადგილას პლეხანოვი ასე გამოსთქვამს თავის აზრს: „დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა ა რ უ ა რ ყ ო ფ ს ა გ რ ე თ ვ ე მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ უ რ ს ა ც. ი გ ი მ ხ ო ლ ო დ ა ყ ე ნ ებ ს მ ა ს გ ა რ კ ვ ე უ ლ ს ა ზ ღ ვ რ ებ შ ი, რ ო მ ლ ი ს ი ქ ი თ ა ც ი წ ყ ებ ა დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ი ს ს ა მ ე ფ ო[2].“

„ორი სამეფოს“ — დიალექტიკისა და ფორმალური ლოგიკის— ასეთი გაორების გამო ჯერ-ერთ უნდა შევნიშნოთ, რომ იგი მჭიდროდაა დაკავშირებული, პირველი, პლეხანოვის მიერ დიალექტიკის როგორც მაგალითების ჯამის საერთო გაგებასთან და, მეორე, მის ტაქტიკურ ოპორტუნიზმთან. იგი ასაბუთებს პლეხანოვის ლიბერალიზმსა და ოპორტუნიზმს პოლიტიკაში. ამ თვალსაზრისს, პლეხანოვზე პირდაპირ მითითებით, ანვითარებს იდეალისტი ასმუსი, რომელსაც მფარველობდენ მომენშევიკო იდეალისტები. ეს უკანასკნელი მიდის ანალიტურ და სავსებით იდეალისტურ დასკვნამდე, რომ დიალექტიკა არის მხოლოდ „ფართო“ ჰორიზონტების სფერო, ე. ი. ფილოსოფიის ზოგადი ცნებებისა, ხოლო ფორმალური ლოგიკა არის „ვიწრო“ ჰორიზონტების სფერო, პ რ ა ქ ტ ი კ ი ს სფერო, ე. ი. კლასობრივი ბრძოლისა და სოციალისტური მშენებლობის. ასე ეხმარება ასმუსი მექანისტებსა და მომენშევიკო იდეალისტებს ოპორტუნიზმისა და კონტრრევოლუციურ ტროცკიზმის მეტაფიზიკის დასაბუთებაში. მას წარმოდგენაც კი არ აქვს იმაზე, რომ ნამდვილი რევოლუციური

[1] ენგელსი, ლ. ფეიერბახი, პლეხანოვის წინასიტყვაობა გვ. 102.

[2] პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, ქუბილი არა ღრუბლებიდან, „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“ № 6, გვ. 22.

პრაქტიკა შეუძლებელია უდიალექტიკოდ და თავის მხრივ წარმოადგენს მის აკვანსა და სტიქიას.

ფორმალური ლოგიკის ჩათვლა დიალექტიკური ლოგიკის მომენტად ისეთივე უაზრობაა, როგორც ალქიმიის ქიმიის მომენტად გამოცხადება, ასტროლოგიის—ასტრონომიის მომენტად.

„შეურაცყოფილ“ ფორმალური ლოგიკის სქოლასტიურ დამცველებს უყვართ მითითება ლენინის შენიშვნაზე იმის შესახებ, რომ სკოლის დაბალ კლასებში საჭიროა ფორმალური ლოგიკის შესწავლაო; მათ უნდა უპასუხოთ ზუსტი ამონაწერით ლენინის თხუზულებიდან: „ფორმალური ლოგიკა, რომლითაც კმაყოფილდებიან სკოლებში (კიდევაც უნდა დაკმაყოფილდენ—შესწორებებით—სკოლის დაბალი კლასებისათვის), იღებს ფორმალურ განსაზღვრებს, ხელმძღვანელობს იმით, რაც ყველაზე უფრო ჩვეულებრივია ან რაც ყველაზე უფრო ხშირად ეჩხირება თვალში და კმაყოფილდება ამით... დიალექტიკური ლოგიკა მოითხოვს, რათა ჩვენ წინ წავიდეთ[1]“.

მაშასადამე, საქმის მდგომარეობა სრულებით არაა ისეთი, თითქო ლენინი გვირჩევდა შეესწავლათ სკოლამი არა დიალექტიკა, არამედ ფორმალური ლოგიკა. ეს „დ ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა“ წარმოადგენს შემეცნების უდაბლეს საფეხურს, სამზადისს დიალექტიკის შესწავლისათვის. გარდა ამისა—და ეს უმთავრესია—ლენინი დასძენს: განსაზღვრული „შესწორებებით“. ხოლო ფორმალური ლოგიკა „შესწორებებით“ სრულებითაც ა რ წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს ძ ვ ე ლ ფ ო რ მ ა ლ უ რ ლ ო გ ი კ ა ს.

ფორმალური ლოგიკის ვექილებს, რომლებიც თითქო „ენგელსის ბიბლიით“ ამტკიცებენ, რომ ფორმალური ლოგიკა სავარგისია საყოველდღეო საშინაო პირობებში, უნდა უპასუხოთ: ჩვენ ამ საშინაო საყოფაცხოვრებო პირობებთან, რომლისათვისაც ფორმალური ლოგიკაც კარგია, ვაწარმოებთ ბრძოლას არა ნაკლებ, ვიდრე მის ლოგიკურ პროდუქტთან. ჩვენ ვახდენთ ყოფაცხოვრების ძირფესვიან გადახალისებას, აგვყავს იგი სოციალისტური მშენებლობის დიადი ამოცანების დონემდე. ახალი სოციალისტური ყოფაცხოვრება, ბრძოლის ყველა პროცესებთან და ცხოვრების სოციალისტურ გარდაქმნასთან ერთად, შეიმუშავებს დიალექტიკურ აზროვნებასაც.

ბურჟუაზიის სწავლული ლაქიები ფორმალურ ლოგიკას იყენებენ თავიანთი კლასობრივი ინტერესებისათვის; ისინი იბრძვიან მატერიალისტური დიალექტიკის—მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციურ მსოფლმხედველობის საფუძვლის წინააღმდეგ. ამიტომ ჩვენთვის აუცილებელია ფორმალური ლოგიკის შესწავლა არა მარტო მისი ფაქ-

[1] ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 26, გვ. 134.

ტიური შინაარსის გამოყენების თვალსაზრისით, არამედ ჩვენი კლასობრივი მტრის იარაღის შესწავლის მიზნითაც. მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკა წარმოადგენს კვლევა-ძიების მეცნიერულ მეთოდს და პროლეტარიატის სოციალისტური პრაქტიკისა და კლასობრივი ბრძოლის ლოგიკურ საფუძველს.

როგორც მატერიალისტური დიალექტიკა წარმოადგენს პარტიის ვენერალური ხაზის მეთოდოლოგიურ საფუძველს, ისე მეტაფიზიკური და ფორმალური ლოგიკა საბჭოთა პირობებში წარმოადგენა მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმისა და კონტრრევოლუციურ ტროცკიზმის მეთოდოლოგიურ საფუძველს. მაგალითად, ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის პროლეტარიატის ეკონომიური პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია კაპიტალიზმის დაშვება გარკვეულ საზღვრებში და ამავე დროს ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მისი განდევნა და მოსპობა. „ვისაც ახალი ეკონომიური პოლიტიკის ეს გარდამავალი, ორმაგი ბუნება არ გაეგება, ის ლენინიზმს შორდება[1]“,—ამბობს სტალინი. ხოლო ტროცკისტები, როგორც მეტაფიზიკოსები, რომელთაც არ გაეგებათ ახალი ეკონომიური პოლიტიკის დიალექტიკური წინააღმდეგობითობა, ხედავდენ მხოლოდ ერთ მხარეს—კაპიტალიზმის დაშვებას—და ამიტომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას უწოდებდენ სახელწოდებას კაპიტალიზმს. აგრეთვე ბუხარინიც ხედავდა მხოლოდ ახალი ეკონომიური პოლიტიკის ერთ მხარეს—საბაზრო ურთიერთობათა თავისუფლებას—და მხედველობიდან უშვებდა იმას, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა, ამას გარდა, გულისხმობს ვაჭრობის სახელმწიფოებრივ მოწესრიგებას: „მოსპეთ ერთი ამ მხარეთაგანი—და თქვენ აღარ გექნებათ ახალი ეკონომიური პოლიტიკა,“[2]— ამბობს სტალინი. ჩვენი სიძნელეები ზრდის სიძნელეებია, ამბობს პარტია, ხოლო ოპორტუნისტებს არ გაეგებათ ეს დიალექტიკა, უყურებენ სიძნელეებს „როგორც ასეთს“, აიგივეებენ ჩვენს სიძნელეებს კაპიტალიზმის გამოუალ სიძნელეებთან და წუწუნებენ საბჭოთა ხელისუფლების დაღუპვის შესახებ. საშუალო გლეხის ბუნება ორმაგია: ერთის მხრივ ის მშრომელია, ხოლო მეორეს მხრივ—წვრილი მესაკუთრე. ტროცკისტები ხედავენ გლეხობის ამ წვრილმესაკუთრეობრივ მხარეს, ხოლო მემარჯვენე ოპორტუნისტები, პირიქით, ავიწყებენ მის ამ მხარეს. პარტიული დირექტივის ყოველგვარი წმინდა ფორმალურ გატარებას ცხოვრებაში მეთოდოლოგიურ საფუძვლად უდევს მეტაფიზიკა: ასრულებენ ანბანს და არა დირექტივის დედააზრს, ასრულებენ ცალმხრივად, დამახინჯებულად. მაგალითად,

[1] სტალინი, ოპოზიციის შესახებ, გვ. 211.

[2] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 405.

როდესაც პარტია ლაპარაკობს კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის შესახებ მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, მაშინ „მომემარცხენე“, რომელიც ფორმალურად ასრულებს პარტიის დირექტივას, შეუდგება კულაკობის ლიკვიდაციის განხორციელებას და ივიწყებს მის საფუძველს. პარტია წინადადებას იძლევა, რათა გადიდებული იქნას კოლექტივიზაციის პროცენტი და განმტკიცდეს საორგანიზაციო-სამეურნეო მუშაობა კოლმეურნეობებში, ხოლო „მომემარცხენე“ ადიდებს კოლექტივიზაციის პროცენტს და ივიწყებს, რომ აუცილებელია მუშაობის წარმოება კოლმეურნეობების გასამტკიცებლად.

ცალმხრივი წარმოდგენა სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგობითი პროცესზე ტიპიურია ტროცკისტებისა და ოპორტუნისტებისათვისაც,—ხოლო ეს კი არის ფორმალური ლოგიკა: ცალმხრივი მიდგომა საგნისადმი მისი აბსტრაქტული იგივეობის თვალსაზრისით.

მეტაფიზიკური აზროვნების სახესხვაობათაგანს წარმოადგენს ეკლექტიკა და სოფისტიკა.

ეკლექტიკა ეწოდება ერთიმეორესთან შინაგანად დაუკავშირებელ, ძირითადათ მოწინააღმდეგე თვალსაზრისთა ყოველგვარ უპრინციპო გაერთიანებას. ლენინი ეკლექტიკს უწოდებს მახისტ ბოგდანოვს იმისათვის, რომ მას სურდა შეერთებია ისტორიული მატერიალიზმი და მახის იდეალისტური ფილოსოფია. ეკლექტიკები არიან მეხანისტებიცა და მომეშეიკო იდეალისტებიც, რომლებიც თავიანთ ანტიმარქსისტულ ფილოსოფიაში აერთიანებენ ერთნი—მექანისტურ მატერიალიზმს, კანტიანობას, პოზიტივიზმს და სხ., ხოლო მეორენი—ჰეგელიანელობას კანტიანობის, მახიზმისა და სხ. ელემენტებით. ეკლექტიკის ბრწყინვალე კრიტიკა მოგვცა ლენინმა 1921 წელს საპროფკავშირო დისკუსიის[1] დროს, ამ დისკუსიაში ბუხარინის ეკლექტიკურ პოზიციასთან დაკავშირებით. დავა სწარმოებდა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენენ პროფკავშირები პროლეტარიატის დიქტატურის დროს. ტროცკიმ ამ დავაში დაიკავა წმინდა მეტაფიზიკური პოზიცია: პროფკავშირები ან კომუნიზმის სკოლაა, ან მმართველობის აპარატი—მესამე გზა არაა,—და დადგა პროფკავშირების გასახელმწიფოებრივობის თვალსაზრისზე. ტროცკის წინააღმდეგ, ლენინი მიუთითებდა, რომ პროფკავშირები უნდა აღებული იქნას როგორც პოლიტიკურ-აღმზრდელობითი (პროფკავშირები—კომუნიზმის სკოლაა)და ეკონომიური ფუნქციების (მონაწილეობა სახელმწიფოს მმართველობაში, მაგალითად, მეურნეობის დაგეგმვაში) დიალექტიკური ერთიანობა,

[1] ლენინი, ერთხელ კიდევ პროფკავშირების შესახებ, ტ. 26, გვ. 132.

მაგრამ უკანასკნელის პირველისადმი დაქვემდებარებით; ეკონომიკის პოლიტიკისადმი დაქვემდებარებით. ლენინი მოითხოვდა, რათა გარკვევით ყოფილიყო მითითებული, თუ რა წარმოადგენს პროფკავშირებისათვის უმთავრესს და გადამწყვეტს, რა შინაგან კავშირში არიან ერთი მეორეს შორის პროფკავშირების სხვადასხვა ფუნქციები. ეს უმთავრესი იყო აღმზრდელობითი ფუნქცია და ამისდა მიხედვით პარტიამ გადასწყვიტა: პროფკავშირები კომუნიზმის სკოლაა. ბუხარინმა დაიკავა „ბუფერული" პოზიცია: პროფკავშირები კომუნიზმის სკოლაცაა, მმართველობის აპარატიცაა, პოლიტიკაცაა და ეკონომიკაცა. „იმ შეცდომის თეორიული დედაარსი,—ამბობს ლენინი,—რასაც აქ უშვებს ამხ. ბუხარინი, მდგომარეობს იმაში, რომ ის დიალექტიკურ ურთიერთდამოკიდებულებას პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის (რასაც ჩვენ მარქსიზმი გვასწავლის) სცვლის ეკლექტიზმით. „ერთიცა და მეორეც", „ერთის მხრივაც და მეორეს მხრივაც"—აი ბუხარინის თეორიული პოზიცია. აი, სწორედ ეს არის ეკლექტიზმი"[1]. ლენინს ამასთანავე მოჰყავს ცნობილი მაგალითი ჭიქის შესახებ. ჭიქა არის წახნაგოვანი ცილინდრიც, პეპელას გადასახურიც, სამშრალებლის მოწყობილებაც, დასარტყამი იარაღიც და სასმისიც. ყოველივე ეს გათვალისწინებული უნდა იქნას. მაგრამ უნდა ნაჩვენები იქნას უმთავრესი მოცემულ კონკრეტულ ურთიერთობასა და ვითარებაში: რას წარმოადგენს იგი ტრიბუნაზე მოლაპარაკე ორატორისათვის? სასმისს.

„თუ ამ დროს (როგორც ამას შვრება ბუხარინი.—ავტ.) იღებენ ორ ან მეტ სხვადასხვა განსაზღვრას და აერთიანებენ საკუთარი შემთხვევითად (მინის ცილინდრსაც და სასმისსაც), მაშინ ჩვენ ვიღებთ ეკლექტიკურ განსაზღვრას, რაც მიუთითებს მხოლოდ საგნის სხვადასხვა მხარეზე"[2].

სოფისტიკა არის „მოქნილობა, გამოყენებული სუბიექტურად" (ლენინი), აგი არის დაპირისპირებულობათა გაიგივეება, მათი ბრძოლის დაუნახაობა, იგი არის მიჯნის წაშლა წინააღმდეგობათა შორის იმ მოსაზრებით, რომ მათ შეუძლიათ გადაიქცევენ ერთიმეორედო.

ოდესღაც ძველად კრატილმა, ჰერაკლიტეს მოწაფემ, დაამახინჯა თავისი მასწავლებლის სიტყვები (რომელმაც სთქვა, რომ არ შეიძლება ერთსადაიმავე მდინარეში ორჯერ შევსცუროთო), მან ჰერაკლიტეს ფორმულას დაუმატა, რომ ერთხელაც არ შეიძლება ერთსადაიმავე მდინარეში შეცურვაო. თუ ჰერაკლიტე ამტკიცებდა, რომ მდი-

[1] ლენინი, ტ. 26, გვ. 132.

[2] იქვე, გვ. 134. ხაზგასმულია ჩვენს მიერ.—ავტ.

ნარე (წყალი) მიმდინარეობს და ამიტომ, როდესაც ჩვენ მასში მეორეჯერ შევალთ, ეს სინამდვილეში იქნება მეორე მდინარეო (წყალი),— კრატილის თვალსაზრისით მდინარე საზოგადოთ არასოდეს არ არის თავისთავადი. ეს უკვე აშკარა გადაჭარბებაა. პლეხანოვი სამართლიანად მიუთითებს, რომ კრატილი არსებულ ყოფიერების მომენტს სცვლის ქმნადობის მომენტით.[1]

ეს სოფისტიკაა, ვინაიდან დიალექტიკა მოითხოვს, რათა ყოველი საგანი აღებული იქნას ქმნადობის, განვითარების, ე. ი. საგანში მომხდარ ცვლილებების ერთიანობის მომენტის თვალსაზრისით, არსებულ ყოფიერების, ე. ი. საგნის თვისობრივი განსაზღვრულობის მომენტის თვალსაზრისით—მისი განვითარების მოცემულ საფეხურზე, მოცემულ ურთიერთობისა და პირობებში. ცოცხალი ადამიანი არის სწორედ ცოცხალი ადამიანი და არა გვამი, ვინაიდან მასში საწარმოებს სიცოცხლის პროცესი. უეჭველია, რომ მის ორგანიზმში იმავედროს ხდება უჯრედების ნაწილის გაქრობა, მაგრამ სოფისტიკა იქნებოდა ამ საფუძველზე რომ მისთვის გვამი გვეწოდებინა. მატერიალისტური დიალექტიკა მოითხოვს ზუსტ და გარკვეულ პასუხს ყოველ მოცემულ მომენტში. კაპიტალიზმი, სანამ იგი არ მოსპობილა პროლეტარული რევოლუციის მიერ, არის სწორედ კიპიტალიზმი და არა სოციალიზმი, თუმცა მის წიაღში მოცემულია მისი უარყოფაც—სოციალისტური პროლეტარიატი. სოფისტიკა იქნებოდა, ამ საფუძველზე რომ კაპიტალიზმი სოციალიზმად გამოგვეცხადებია. ლენინმა განუმარტა რ. ლიუქსემბურგს, რომ სოფისტიკას წარმოადგენს მიჯნების წაშლა იმპერიალისტურ და ნაციონალურ ომს შორის იმიტომ, რომ ერთს შეუძლია გადავიდეს მეორეში. თანამედროვე მენშევიკები—სოციალ-ფაშისტები, რომელნიც სახელმწიფოებრივ მონოპოლურ კაპიტალიზმის ზრდას სოციალიზმის ზრდად აცხადებენ,—წარმოადგენენ სავსებით განუკურნებელ სოფისტებს და. დაქირავებულ მონობის აშკარა დამცველებს.

ყოველივე ამიდან გამომდინარეობს, რომ ეკლექტიზმი და სოფისტიკა არის მატერიალისტური დიალექტიკის მუდმივი მტერი. მათ წინააღმდეგ ისევე აუცილებელია ბრძოლის წარმოება, როგორც კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის, ფაშიზმისა და სოციალ-ფაშიზმის მეთოდოლოგიის წინააღმდეგ.

---

[1] ენგელსი, ლ. ფეიერბახი, პლეხანოვის წინასიტყვაობა, გვ. 102.

თ ა ვ ი V

ბრძოლა ორ ფრონტზე ფილოსოფიაში

ფილოსოფია და პოლიტიკა

მარქსიზმ-ლენინიზმი ვითარდება იმ ბურჟუაზიულ და წვრილ ბურჟუაზიულ მიმდინარეობებთან ბრძოლაში, რომელნიც უპირისპირდებიან მას ან სიტყვით აღიარებენ მას, მაგრამ არსებითად ამაბინძურებენ მას. ამ მიმდინარეობათა ბრძოლა მარქსიზმის წინააღმდეგ ტარდებოდა მეტად სხვადასხვანაირ სახეებსა და ფორმებში,—მარქსიზმის პირდაპირ უარყოფიდან ანდა მარქსიზმის მიჩქმალვიდან ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობასთან გაერთიანების ცდამდე, მარქსიზმის შიგნიდან აფეთქების ცდამდე მისი რევოლუციური შინაარსის გამოცლის საშუალებით. მარქსიზმის ბრძოლა ჰეგემონიისათვის საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში მიმდინარეობდა და მიმდინარეობს სხვადასხვა ფორმებით ყველა დარგებში, მარქსიზმის წარმოშობის პირველი დღეებიდან უკანასკნელ დრომდე.

„როდესაც მარქსიზმმა განდევნა ყველა რამდენიმედ მაინც მთლიანი მტრულად განწყობილი მოძღვრება,—იმ ტენდენციებმა, რომელნიც გამოხატულნი იყვნენ ამ მოძღვრებებში, დაიწყეს თავისთვის სხვა გზების ძებნა. შეიცვალა ბრძოლის ფორმები და საბაბი, მაგრამ ბრძოლა გრძელდებოდა. და მარქსიზმის არსებობის მეორე ნახევარსაუკუნეში, — ამბობს ლენინი, — (გასული საუკუნის 90-იანი წლები) დაიწყო მარქსიზმისადმი მტრულად განწყობილ მიმდინარეობის ბრძოლიდან მარქსიზმის შიგნით“. [2]

ლენინმა და სტალინმა გამოააშკარავეს მარქსიზმიდან სხვადასხვა გადახრების ღრმა სოციალური ფესვები საერთაშორისო მუშათა მოძრაობის განვითარებაში. უცხო და გამხრწნელი გავლენები უპირისპირდება პროლეტარიატს არა მარტო მის აშკარა ბრძოლაში,—ისინი იჭრებიან პროლეტარიატის მებრძოლი არმიის შიგნით, იქ პოულობენ მერყეობის, ქანაობის, სისუსტის ელემენტებს: წვრილი წარმოების საფუძვლებზე შენარჩუნებული და აღორძინებული კა-

[2] ლ ე ნ ი ნ ი, მარქსიზმი და რევიზიონიზმი, ტ. 12, გვ. 184.

პიტალისტური ელემენტები „ყოველი მხრიდან გარემოიცავენ პროლეტარიატს წვრილი ბურჟუაზიული სტიქიით, ეღენთავენ მისით, რაენიან, იწვევენ პროლეტარიატის შიგნით უხასიათობის, დაქსაქსულობის, ინდივიდუალიზმის, გატაცებიდან სასოწარკვეთილებაზე ვადასვლების რეციდივებს“[1].

ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი დ ა წ ვ რ ი ლ ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ს ტ ი ქ ი ი ს ეს დაწოლა, რასაც ხშირად განიცდიან პროლეტარიატისა და მისი პარტიის ყველაზე ნაკლებ მტკიცე ფენები, წარმოადგენს პარტიის შიგნით წინააღმდეგობათა ერთ იმ წყაროთაგანს, რომლითაც იკვებებიან სხვადასხვა ოპორტუნისტული მიმდინარეობანი.

მეორე წყარო, რაზედაც მიუთითებს ამხ. სტალინი,—ესაა მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა. მუშათა კლასი იბრძვის და იპყრობს ხელისუფლებას, როდესაც ჯერ კიდევ ე რ თ გ ვ ა რ ო ვ ა ნ ი არაა. ძირითადი მასა—ესენი არიან „ნამდვილი“ პროლეტარები, რომელთაც „უკვე დიდი ხანია გასწყვეტეს კავშირი კაპიტალისტების კლასთან. პროლეტარიატის ეს ფენა მარქსიზმის ყველაზე უფრო საიმედო დასაყრდენს წარმოადგენს“[2]. მეორე ფენა—ესენი არიან გლეხობიდან, მეშჩანებიდან, ინტელიგენციიდან გამოსულნი, რომელნიც დიდი ხანი არაა რაც შეუერთდენ პროლეტარიატის რიგებს და თან მოიტანეს ძველი ჩვევები, წვრილი ბურჟუაზიის ჩვეულებანი, მერყეობა და ქანაობა. „ეს ფენა წარმოადგენს ყველაზე უფრო ხელსაყრელ ნიადაგს ყოველგვარ ანარქისტულ, ნახევრად-ანარქისტულ და „ულტრა-მემარცხენეთა“ დაჯგუფებებისათვის“[3]. სწორედ ეს ფენა მიჰყვებოდა „მემარცხენე კომუნისტებს“ ბრესტის პერიოდში, შემდეგ „მუშათა ოპოზიციას“ და ტროცკისტებს (1928-1929 წლამდე), როდესაც ეს დაჯგუფებანი აყალიბებდენ „გახელებულ წვრილ ბურჟუების“ იდეოლოგიას, და უკანასკნელი დროის მემარცხენე გადამხრელებს. ძესამე ფენა, დამახასიათებელი კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატისათვის—ესაა „მუშათა არისტოკრატია, მუშათა კლასის ზედა ფენა, პროლეტარიატის ყველაზე უფრო უზრუნველყოფილი ნაწილი“[4]. ამ ნაწილს აქვს ძლიერი მისწრაფება კომპრომისებისაკენ, შეთანხმებისაკენ ბურჟუაზიასთან, რომლისგანაც მან მიიღო ესა თუ ის მოწყალება. „ეს ფენა წარმოადგენს ყველაზე უფრო ხელსაყრელ ნიადაგს აშკარა რეფორმისტებისა და ოპორტუნისტებისათვის“[5].

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი, ტ. 25, გვ. 190.
[2] ს ტ ა ლ ი ნ ი, ოპოზიციის შესახებ, გვ. 444.
[3] ი ქ ვ ე.
[4] ი ქ ვ ე.
[5] ი ქ ვ ე, გვ. 444.

ამხ. სტალინის მიერ კომინტერნის აღმასკომის მე-7 პლენუმზე მოცემულ ამ დახასიათებას მხედველობაში აქვს უწინარეს ყოვლისა კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატი. მაგრამ არსებითად (იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოთა პირობებში არ შეიძლება იყოს მუშათა არისტოკრატია და პროფბიუროკრატია, დაკავშირებული მონოპოლისტურ კაპიტალიზმთან, არამედ შესაძლებელია მხოლოდ მუშათა კლასისა და მისი პარტიის ცალკეული გახრწნილი და გაბიუროკრატებული ელემენტები) ეს დახასიათება შეიძლება შეფარდებული იქნას პროლეტარიატის დიქტატურის პირობებისადმი.

მარქსიზმის განვითარებაში, მის შიგნით, თვით საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში თავი იჩინა რევოლუციურ-მარქსისტულ ხაზიდან გადახრის ორმა ძირითადმა ნაკადმა—მარქსიზმისადმი დაპირისპირებულ თეორეტიულ და პრაქტიკულ შეხედულებებით. ლენინმა ჯერ კიდევ 1910 წელს გამოააშკარავა მათი თავისებურებანი. ამის შესახებ ლენინი სწერდა: „ევროპისა და ამერიკის თანამედროვე მუშათა მოძრაობაში ძირითადი ტაქტიკური უთანხმოებანი შეიცავენ ბრძოლას ორ მსხვილ მიმართულებასთან, ესენი განდგომილნი არიან მარქსიზმისაგან, რომელიც ფაქტიურად გადაიქცა გაბატონებულ თეორიათ ამ მოძრაობაში. ეს ორი მიმართულებაა—რევიზიონიზმი (ოპორტუნიზმი, რეფორმიზმი) და ანარქიზმი (ანარქო-სინდიკალიზმი, ანარქო-სოციალიზმი). ორთავე ამ განმდგომას მუშათა მოძრაობაში გაბატონებულ მარქსისტულ თეორიისა და მარქსისტულ ტაქტიკისაგან ვამჩნევთ სხვადასხვა ფორმებში და სხვადასხვა ელფერით ყველა ცივილიზებულ ქვეყნებში მასობრივ მუშათა მოძრაობის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორიის მანძილზე. უკვე მარტოოდენ ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ არ შეიძლება ავხსნათ ეს განდგომანი არც შემთხვევითობებით, არც ცალკე პირთა ან ჯგუფთა შეცდომებით და არც ნაციონალურ თავისებურებების, ტრადიციებისა და სხ. გავლენით. უნდა იყოს ყველა კაპიტალისტურ ქვეყნების ეკონომიურ წყობილებასა და განვითარების ხასიათში არსებული ძირითადი მიზეზები, რომელნიც მუდმივად წარმოშობენ ამ განდგომებს“[1].

ამ დებულებაში ლენინი ამრიგად არკვევს მიმართულებათა ორ ტიპს, განდგომილთ მარქსიზმისაგან: აშკარა მემარჯვენე მიმართულება და რევიზიონიზმი „მარცხნიდან“, რომელიც მიილტვის ანარქიზმისაკენ. ამ რევიზიონისტურ მიმართულებათა ფესვები გადგმულია კაპიტალიზმის ეკონომიურ წყობილებასა და განვითარების ხასიათში

[1] ლენინი, უთანხმოებანი ევროპის მუშათა მოძრაობაში, ტ. 15, გვ. 5. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

როგორც მთლიანად, ისე ცალკე ქვეყნებში. იმ მიზეზთა შორის, რომელნიც წარმოშობენ ამ ორ მიმართულებას, ლენინი მიუთითებს არა მარტო მუშათა მოძრაობის წინააღმდეგობითი, ნახტომისებურ განვითარებაზე, არამედ მის წყაროზედაც—კაპიტალიზმის განვითარების არათანაბრობა და საზოგადოებრივი განვითარების დიალექტიკური ხასიათი საერთოდ. ამ უკანასკნელს ლენინი ასე განმარტავს: „უთანხმოების მუდმივ წყაროს წარმოადგენს დიალექტიკური ხასიათი საზოგადოებრივი განვითარებისა, რაც მიმდინარეობს წინააღმდეგობებში და წინააღმდეგობების გზით... კაპიტალიზმი თვით ქმნის თავის მესაფლავეს, თვით ჰბადებს ახალი წყობილების ელემენტებს, და ამავე დროს „უნახტომოდ“ ეს ცალკეული ელემენტები არაფერს არ სცვლიან საერთო მდგომარეობაში, არ ეხებიან კაპიტალის ბატონობას. ცხოველი ცხოვრების, კაპიტალიზმისა და მუშათა მოძრაობის ცხოველი ისტორიის ამ წინააღმდეგობათა განსჯვრეტა შეუძლია მარქსიზმს, როგორც დიალექტიკური მატერიალიზმის თეორიას. მაგრამ თავისთავად გასაგებია, რომ მასები ცხოვრებიდან სწავლობენ და არა წიგნიდან, და ამიტომ ცალკე პირები და ჯგუფები მუდამ აზვიადებენ, აჰყავთ ცალმხრივ თეორიაში, ტაქტიკის ცალმხრივ სისტემაში კაპიტალისტური განვითარების ხან ერთი თვისება და ხან მეორე, ამ განვითარების ხან ერთი „გაკვეთილი“ და ხან მეორე“.[1]

ლენინის ამ მეტისმეტად მნიშვნელოვან დებულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორ ფრონტზე ბრძოლის დიალექტიკის გასაგებად. იგი გვიჩვენებს მარქსიზმისაგან სხვადასხვაგვარ გადახვევების კლასობრივ და თეორიულ ფესვებს. როგორც მემარჯვენე, ისე „მემარცხენე“ მიმართულება, როგორც რეფორმიზმი, ისე ანარქოსინდიკალიზმიც იღებენ მუშათა მოძრაობის რომელიმე ერთ მხარეს ან ტენდენციას, აჰყავთ იგი აბსოლუტში, ცალმხრივად ანვითარებენ მას და ფიქრობენ, რომ მხოლოდ ეს არის სწორი და შესაძლებელი. მათ არ გაეგებათ სინამდვილის დიალექტიკური წინაალმდეგობანი. „ხოლო ნამდვილი ცხოვრება, ნამდვილი ისტორია შეიცავს ამ სხვადასხვა ტენდენციებს, მსგავსად იმისა, როგორც სიცოცხლე და განვითარება ბუნებაში შეიცავს ნელ ევოლუციასა და სწრაფ ნახტომებს, შეწყვეტებს, თანდათანობითობებს“ [2].

სინამდვილე შეიცავს აგრეთვე თანდათანობითს, ნელ განვითარებას. მაგრამ ეს განვითარება ამზადებს ნახტომებს, ევოლუციურ

[1] ლენინი, ტ. 15. გვ. 6. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.
[2] ლენინი, ტ. 15. გვ. 7.

განვითარებას სცვლის რევოლუცია, რომელიც ხსნის ახალ ეპოქას, აჰყავს მთელი განვითარება ახალ, უმაღლეს საფეხურზე. ხოლო რეფორმისტები კი იღებენ სინამდვილის ერთ ამ მხარეთაგანს, სახელდობრ თანდათანობითს განვითარებას.

რეფორმებში, ყოველგვარ ნაწილობრივ ცვლილებებსა და გაუმჯობესებებში ისინი სოციალიზმის განხორციელებას ხედავენ. ხოლო ანარქისტები, სინდიკალისტები, პირიქით, უარყოფენ განვითარების თანდათანობითობას. ისინი ვერ ხედავენ იმას, რომ „ახალი შინაარსი გზას იკვლევს ყველა და ყოველგვარ ფორმებში" (ლენინი), მათ რიცხვში ზოგიერთ ძველ ფორმაშიაც. მეტაფიზიკური ცალმხრივობა დამახასიათებელია მემარჯვენეებისათვისაც და „მემარცხენეებისათვისაც", რეფორმიზმისათვისაც და ანარქიზმისათვისაც. გარეგნულად ეს არის ორი უკიდურესი პოლიუსი. ხოლო არსებითად ორთავენი აბრკოლებენ რევოლუციური მოძრაობის განვითარებას, პროლეტარიატის რიგების შემჭიდროებას, მის ორგანიზებას, სვრიან მის თეორიას ბურჟუაზიული ნაგავით, ხელს უშლიან მის პოლიტიკურ განათლებას. მაშასადამე, რევიზიონიზმი და ანარქო-სინდიკალიზმი არის მარქსიზმ-ლენინიზმის დამახინჯების ორი ტიპი, მარქსიზმისაგან განდგომის ორი ტიპი, მარქსიზმის რევიზიის ორი ტიპი. ამ ორ ტიპს— მემარჯვენეს და „მემარცხენეს"—ვამჩნევთ ყველა ცივილიზებულ ქვეყნის მუშათა მოძრაობაში, მაგრამ სხვადასხვა ფორმებსა და სახეებში, სრულებით სხვადასხვა ელფერით მუშათა მოძრაობის განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე. მარქსიზმ-ლენინიზმისაგან განდგომის ამ ორ სახესხვაობასთან ბრძოლაში შემდეგშიაც განაგრძობდა განვითარებას პროლეტარიატის რევოლუციური თეორია.

მარქსიზმის დამახინჯების ამ ორ ტიპს ჩვენშიაც, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიაშიც ჰქონდა ადგილი, სადაც მათმა განვითარებამ მიიღო განსაკუთრებული ფორმები, რომელნიც გამოხატავდენ კლასობრივი ბრძოლის თავისებურებებს რუსეთში. ბოლშევიზმი გაიზარდა და გამოიბრძმედა ორ ფრონტზე ბრძოლაში მარქსიზმის რევიზიის აღნიშნულ ორ სახესხვაობასთან, ბრძოლაში ოპორტუნიზმის წინააღმდეგ.

უკვე 90-იან წლებიდან იწყება განხეთქილება სოციალ-დემოკრატიას შორის „ისკროველებად" და „ეკონომისტებად". ეს უკანასკნელნი წარმოადგენდენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტულ მიმდინარეობას. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის განვითარების ეპოქაში „ეკონომიზმმა" იცვალა სახე მენშევიზმად, რომელიც ბურჟუაზიასთან ბლოკს ემხრობოდა. მხოლოდ ბოლშევიკები

იბრძოდენ თანმიმდევრობით პროლეტარიატის რევოლუციური ტაქტიკისათვის. ამავე დროს სწარმოებდა ბრძოლა ისეთ „მემარცხენე“ სინდიკალისტურ მიმართულებასთან, როგორიც იყო „მახაევშჩინა“. რეაქციის ეპოქამ (1908-1910 წ.) კვლავ წამოაყენა სრულებით ახალ ფორმაში სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული და რევოლუციური ტაქტიკის საკითხი. მენშევიზმის უმთავრესმა შტომ წარმოშვა ლიკვიდატორული მიმდინარეობა, ხელის აღება რუსეთში ახალ რევოლუციისათვის ბრძოლაზე, არალეგალურ ორგანიზაციაზე და მუშაობაზე, სიძულვილით დაცინვა „იატაკს ქვეშ“ მუშაობის მიმართ. ამავე ხანებში იჩინა თავი „ოტზოვიზმმა“—„მემარცხენე“ მიმართულებამ ბოლშევიზმში, რომელიც ქადაგებდა ბრძოლის ლეგალური ფორმების გამოყენების უარყოფას, უარყოფდა სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობას და მოითხოვდა იქედან პარტიული ფრაქციის გამოწვევას.

ორთავე ამ მიმართულებებთან, რომელნიც წარმოადგენდენ პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის ორ სახესხვაობას, ბოლშევიზმი შეურიგებელ და თანმიმდევრობით ბრძოლას აწარმოებდა, ბრძოლას ორ ფრონტზე. ამის შესახებ ლენინი სწერდა, რომ „ბოლშევიკებმა 1908 წ. აგვისტოდან 1910 წ. იანვრამდე საქმით ჩაატარეს ბრძოლა ორ ფრონტზე, ე. ი. ბრძოლა ლიკვიდატორებთან და ოტზოვისტებთან“ [1].

ამ მიმდინარეობათა წარმოშობას ლენინი ხსნის მთელი რიგი ღრმა ობიექტური, ისტორიული მიზეზებით. არა შემთხვევითობის, არა შეცდომის, „არამედ ამ ობიექტურ მიზეზების და თანამედროვე რუსეთის მთელი მუშათა მოძრაობის ზედნაშენის „ბაზისისაგან“ განუყოფელ მოქმედების შედეგს წარმოადგენს ის ბურჟუაზიული გავლენა პროლეტარიატზე, რასაც ჰქმნის ლიკვიდატორობა (=ნახევარ ლიბერალიზმი, რომელსაც სურს თავი მიაკუთნოს სოციალ-დემოკრატიას) და ოტზოვიზმი (ნახევარ ანარქიზმი, რომელსაც სურს თავი მიაკუთნოს სოციალ-დემოკრატიას“) [2].

ლენინი თავის შრომაში „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში“ ჩამოთვლის რა ყველა ძირითად მომენტებს ბოლშევიზმის განვითარებაში და არკვევს რა საკითხს: „მუშათა მოძრაობის შიგნით რომელ მტრებთან ბრძოლაში გაიზარდა, განმტკიცდა და გამოიბრძმედა ბოლშევიზმი?“,—ააშკარავებს ბრძოლის არსობას მენშევიკურ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, „რომელიც 1914 წელს საბოლოოდ შეეზარდა სოციალ-შოვინიზმს, საბოლოოდ გადავიდა ბურჟუაზიის მხა-

[1] ლენინი, პუბლიცისტის შენიშვნები, ტ. XIV, გვ. 305—306.

[2] იქვე, გვ. 304. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

რეზე—პროლეტარიატის წინააღმდეგ. ეს იყო — ლენინის სიტყვებით ბოლშევიზმის ბუნებრივი უმთავრესი მტერი მუშათა მოძრაობის შიგნით. იგი რჩება უმთავრეს მტრად საერთაშორისო მასშტაბში" [1]. ამავე დროს „ბოლშევიზმი გაიზარდა, ჩამოყალიბდა და გამოიბრძმედა მრავალი წლის ბრძოლაში წინააღმდეგ წვრილ-ბურჟუაზიული რევოლუციურობისა, რომელიც ჰგავს ანარქიზმს, ანდა ზოგ რამეს სესხულობს მისგან, რომელიც იხევს უკან მტკიცე პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის პირობებისა და მოთხოვნილებებისაგან" [2].

ახასიათებდა რა ამ ორ გადახრას მარქსიზმის შიგნით, მემარჯვენე და „მემარცხენე" დოქტრინერობას, ლენინი სწერდა: „მემარჯვენე დოქტრინერობა ჩაეჭიდა მარტოოდენ ძველ ფორმებს და გაკოტრდა საბოლოოდ, რაკი ახალი შინაარსი ვერ შეამჩნია. მემარცხენე დოქტრინერობა დაჟინებით უარყოფს განსაზღვრულ ძველ ფორმებს და ვერ ხედავს, რომ ახალი შინაარსი გზას იკვლევს ყველა ან ყოველგვარ ფორმებში" [3].

ლენინის ამ დასკვნებსაც უდიდესი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ეს ძირითადი დახასიათება შეიცავს მარქსიზმის შიგნით არსებულ მტრულ მიმდინარეობათა თითოეულ სახესხვაობის არსებით მხარეს. ერთი მათგანი, რევიზიის მემარჯვენე ფორმა, ვერ ხედავს ახალ შინაარსს, ახალ თვისებრიობას და არ მიდის ძველი ფორმების იქით, მეორე რევიზია—მემარცხენე, პირიქით, ამჩნევს მხოლოდ ახალ შინაარსს, ახალ თვისებრიობას, მაგრამ არ გაეგება ამ შინაარსის განვითარების გზები და ეტაპები, მთლიანად უკუაგდებს ბრძოლის იმ ფორმებს, რომელთა გამოყენებაც მოცემულ ვითარების დროს ჯერ კიდევ აუცილებელია. ლენინთან ჩვენ გვაქვს დიალექტიკური დასაბუთება პარტიის შიგნით გადახრებთან ბრძოლის აუცილებლობისა. თვით გადახრა მარქსიზმ-ლენინიზმიდან, რევოლუციური გზიდან, კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა სტადიას. ლენინი ამბობს: „გადახრა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული მიმდინარეობა. გადახრა არის ის, რაც შეიძლება გამოსწორდეს. ადამიანებმა რამდენიმედ დაჭკარგეს გზა, ანდა იწყებენ გზის დაკარგვას, მაგრამ გამოსწორება ჯერ კიდევ შესაძლებელია. ამას, ჩემის შეხედულებით გამოხატავს რუსული სიტყვა „გადახრა" („Уклон")" [4]. მაშასადამე, გადახრა არის სწორი გზიდან ჩამოშორება,

---

[1] ლენინი, ტ. 25, გვ. 179 ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

[2] იქვე. გვ. 180.

[3] იქვე, გვ. 238. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

[4] ლენინი, ტ. 26, გვ. 267.

განზე წასვლა. ეს ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული მიმდინარეობა, მაგრამ ის არის ისეთი გადახრა, რომელიც შორდება სწორ ხაზს და თუ თანმიმდევრობით დაიჟინებს ამ გადახრას, განსაზღვრულ საფეხურზე ის შეიძლება ჩამოყალიბდეს მარქსიზმისა და პარტიისადმი სრულებით უცხო და მტრულ გარკვეულ ოპორტუნისტულ მიმდინარეობად.

ლენინთან დაპირისპირებით ტროცკის ამ საკითხის გამო წინარევოლუციური ეპოქაში ეპირა ოპორტუნისტული პოზიცია. კაუცკის მსგავსად ორ ფრონტზე ბრძოლის შესახებ სწორ მარქსისტულ-ლენინურ მოთხოვნილებას ის უპირისპირებდა თავის ფორმულას — „დაძლევა გაფართოებისა და გაღრმავების გზით," რაც შეიცავდა ცენტრიზმის ტაქტიკას, ე. ი. ცდას დაეპირა „საშუალო" ხაზი, ეკლექტიკურად შეერიგებია სხვადასხვა მიმდინარეობანი, ე. ი. საქმით ეხმარებოდა ოპორტუნიზმს და ხელს აფარებდა მას.

ამიტომ იყო, რომ „ტროცკის წინადადებას, რათა ორ ფრონტზე ბრძოლის ნაცვლად წამოყენებული ყოფილიყო „დაძლევა გაფართოვებისა და გაღრმავების გზით", მხურვალედ დაუჭირეს მხარი მენშევიკებმა და ვპერედოვცებმა" [1].

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ენგელსი სწერდა ბერნშტეინს: „როგორც ჩანს, დიდი ქვეყნის ყოველ შუშათა პარტიას შეუძლია განვითარდეს მხოლოდ შინაგან ბრძოლაში, სრული შესაბამებით განვითარების დიალექტიკურ კანონებთან" [2].

ამხ. სტალინმა კომინტერნის აღმასკომის მე-7 პლენუმზე, მოიყვანა რა კერძოდ ენგელსის ეს სიტყვები, მიუთითა: „არაა და არც შეიძლება იყოს „საშუალო" ხაზი პრინციპიალური ხასიათის საკითხებში" [3]. „საშუალო" პრინციპიალური ხაზის პოლიტიკა ჩვენი პოლიტიკა არაა. „საშუალო" პრინციპიალური ხაზის პოლიტიკა არის იმ პარტიების პოლიტიკა, რომელნიც განიცდიან ჭყონობასა და გადაგვარებას" [4]. „ჩვენი პარტიის ისტორია არის წინააღმდეგობათა ბრძოლის ისტორია ამ პარტიის შიგნით, ამ წინააღმდეგობათა დაძლევისა და ჩვენი პარტიის თანდათანობითი განმტკიცების ისტორია ამ წინააღმდეგობათა დაძლევის საფუძველზე" [5]. „ბრძოლის სა-

---

[1] ლენინი, პუბლიცისტის შენიშვნები, ტ. 14, გვ. 306. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

[2] „მარქსისა და ენგელსის არქივი", ტ. I. გვ. 324 — 325. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

[3] სტალინი, ოპოზიციის შესახებ. გვ. 439.

[4] იქვე, გვ. 440.

[5] იქვე, გვ. 439.

შუალებით შინაპარტიულ უთანხმოებათა დაძლევა წარმოადგენს ჩვენი პარტიის განვითარების კანონს[1].“

მატერიალისტური დიალექტიკა, რევოლუციური პროლეტარიატისა და მისი პარტიის გენერალური ხაზის მეთოდოლოგიური საფუძველია. სწორედ მატერიალისტური დიალექტიკა, მისი გამოყენება საზოგადოების შესაცნობად, იძლევა საშუალებას სწორად გამოვააშკარაოთ და გავიგოთ კლასობრივი ბრძოლის კანონზომიერება, გავითვალისწინოთ კლასების განწყობა ყოველ მოცემულ მომენტში, სწორად განვსაზღვროთ საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა ხასიათი, დავსახოთ განვითარების ტენდენცია და მიმართულება, გამოვყოთ არსებითი, მნიშვნელოვანი და აუცილებელი არა არსებითისაგან, მეორეხარისხოვანისა და შემთხვევითისაგან, გავიგოთ მათი დიალექტიკური ერთიანობა, შევარჩიოთ პროლეტარიატის ბრძოლაში ის გადამწყვეტი რგოლი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ხელი ჩავსვიდოთ განვითარების მთელ ჯაჭვს; უზრუნველყოთ პროლეტარული რევოლუციის წარმატებანი და განვამტკიცოთ იგი როგორც საფუძველი შემდგომი წინსვლისათვის.“

კომინტერნიც თავის ბრძოლას აწარმოებს აგრეთვე დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა კომინტერნის პროგრამაში. „იცავს რა და ეწევა რა პროპაგანდას მარქს-ენგელსის დიალექტიკური მატერიალიზმის სასარგებლოდ, იღებს რა მას როგორც სინამდვილის შეცნობის რევოლუციურ მეთოდს, ამ სინამდვილის რევოლუციური გარდაქმნის მიზნით,—კომუნისტური ინტერნაციონალი აწარმოებს აქტიურ ბრძოლას ბურჟუაზიულ მსოფმხედველობის ყველა სახეებთან და თეორეტიულ და პრაქტიკულ ოპორტუნიზმის ყველა სახეებთან“[2].

მარქსიზმ-ლენინიზმში უმთავრესი არის მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. როგორც მთელი მარქსიზმი საერთოდ, ისე ამ მოძღვრების ფილოსოფიური საფუძველი არის მატერიალისტური დიალექტიკა. პროლეტარიატის პოლიტიკის ფილოსოფიური საფუძვლის შეუთვისებლობამ და დამახინჯებამ აუცილებლად უნდა იჩინოს თავი ამ პოლიტიკის პრაქტიკულად გატარებაშიაც. თეორეტიული ფილოსოფიური ბრძოლა არის კლასობრივი ბრძოლის ერთი ფორმათაგანი, და როგორც კლასობრივი ბრძოლის ყოველი ფორმა, იგი სავსეა პოლიტიკური შინაარსით, ექვემდებარება პოლიტიკურ ბრძოლას. დიალექტიკური მატერიალიზმის და-

---

[1] სტალინი, ოპოზიციის შესახებ, გვ. 442. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

[2] კომინტერნის პროგრამა, შესავალი, გვ. 12.

ბახინჯება მუდამ მჭიდროდაა დაკავშირებული გადახრებთან პარტიის გენერალური ხაზიდან, კლასობრივად მტრულ იდეოლოგიის გამოხატულებასთან პროლეტარიატისა და მისი პარტიის რიგებში. მარქსიზმ-ლენინიზმის ფილოსოფიური განვითარება მუდამ მჭიდროდაა დაკავშირებული მუშათა კლასის პოლიტიკურ განვითარებასთან, მის ბრძოლასთან რეფორმიზმის, ანარქიზმის, მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. ამას არაერთხელ მიუთითებდა ლენინი. „დავა იმის შესახებ, თუ რა არის ფილოსოფიური მატერიალიზმი,— სწერდა ლენინი 1911 წელს,—რატომაა შემცდარი, რითია საშიში და რეაქციური მისგან გადახრა, მუდამ დაკავშირებულია „ცოცხალი რეალური კავშირით"—„მარქსისტულ სახოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობასთან"—წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უკანასკნელი იქნებოდა არა მარქსისტული, არა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და არა მიმდინარეობა. ამ კავშირის „რეალობის" უარყოფა შეუძლიათ მხოლოდ რეფორმიზმის ან ანარქიზმის შეზღუდულ „რეალურ პოლიტიკოსებს" [1].

როდესაც ლენინი პოლიტიკურ გადახრებზე ლაპარაკობდა, ის სწყვეტდა მათ ზოგად-ფილოსოფიურ გადახრებიდან. ლენინი ააშკარავებს მათ სოციალურ ფესვებს, მათ პოლიტიკურ არსობას, ადგენს, თუ რომელი ამ გადახრათაგანი წარმოადგენს უმთავრეს საფრთხეს, არკვევს მის მიზეზებს, ახასიათებს შემარიგებლობის როლს ორ ფრონტზე ბრძოლაში, ააშკარავებს აგრეთვე ამ გადახრების მეთოდოლოგიურ მხარეს და სხ., ე. ი. იძლევა ბრძოლის პირობების, ძალებისა და ფორმების კონკრეტულ ანალიზს, და ამასთანავე იყენებს და ამუშავებს მატერიალისტურ დიალექტიკას.

მატერიალისტური დიალექტიკის რევოლუციურად მომქმედი როლი მუდამ წარმოადგენდა ბურჟუაზიის მძაფრ სიძულვილისა და გააფთრებული გაბოროტების მიზეზს პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის მთელ მანძილზე. არსებობს ათასგვარი გაიძვერობა, გამოშუშავებული ბურჟუაზიისა და მისი წვრილ-ბურჟუაზიული აგენტურის მიერ მუშათა მოძრაობის შიგნით, რათა ასე თუ ისე მოსწყვიტონ მარქსისტული თეორია რევოლუციური პრაქტიკიდან, რათა გამოაცალონ მარქსიზმს მისი რევოლუციური „სული" — მატერიალისტური დიალექტიკა. მარქსიზმს უხდებოდა ეწარმოებია ულმობელი ბრძოლა როგორც ძირითად მტერთან—იდეალიზმთან, ისე წვრილ ბურჟუაზიულ აგენტურასთან თვით მარქსიზმის შიგნით, ე. ი. ფილოსოფიურ რეციზიონიზმის სხვადასხვა ფორმებთან, რომლებიც შესწორებების, „დამატებების", დაზუსტებისა და სხ. კეთილსახოვანი საბაბით მუდამ ცდილ-

[1] ლენინი, ტ. XV, გვ. 88.

ობდენ მარქსიზმის გაბურჟუაზიულებას, მის ცარიელ გარსად გადაქცევას ბურჟუაზიულ და წვრილ ბურჟუაზიულ თეორიების შესაპარებლად,

პროლეტარიატისა და ბურჟუაზიას შორის მოქანავე წვრილი ბურჟუაზიის კლასობრივი მდგომარეობა ისეთია, რომ იგი იდეოლოგიურ დარგშიაც იჩენს თავის გაუბედაობას, არათანმიმდევრობას, სერიოზულ თეორეტიულ მუშაობის უგულებელყოფას, კმაყოფილდება თეორიების ნამსხვრევებით, რომელთაც სესხულობს ნაწილობრივად პროლეტარიატის, ნაწილობრივ რეაქციურ ბურჟუაზიისა და სხვა კლასების თეორეტიულ არსენალიდან. მენამცეცეობა, ყველა მხრიდან ცალკეულ ნაკვეთებისა და ნამსხვრევების გამოგლეჯა და მათი მექანიკური შეერთება, შერიგება, ეკლექტიზმი—თეორიაში და სინზდალე, მერყეობა, ქანაობა პრაქტიკაში,—აი ეს არის ის ნიშნები, რაზედაც არაერთხელ მიუთითებდა ლენინი წვრილბურჟუაზიული პარტიების—მენშევიკების, ესერების და სხ. იდეოლოგებს. წვრილ ბურჟუაზიას არასოდეს არ შეეძლო შეემუშავებინა თავისთვის მწყობრი და თანმიმდევრობითი მატერიალისტური მსოფლმხედველობა, იგი კმაყოფილდებოდა ან მატერიალიზმის სანახევრო ფორმებით, იდეალიზმის ელემენტების თანდართვით (კანტიანობა, იუმიზმი, ბერკლეანობა), ანდა აშკარად დგებოდა იდეალიზმის საფუძველზე, ან ეძებდა რომელიღაც მესამე,—მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის არარსებულ „ოქროს საშუალო“ ხაზს და ცდილობდა ორთავეზე უფრო მაღლა ასულიყო.

მარქსი და ენგელსი, ხოლო შემდეგ ჩვენი პარტია მუდამ აწარმოებდენ შეურიგებელ, ულმობელ თეორეტიულ ბრძოლას ორ ფრონტზე: როგორც მატერიალიზმის ეულგარიზაციის, ისე დიალექტიკურ მატერიალიზმის იდეალისტურ დამახინჯვების წინააღმდეგ. მარქსი, ენგელსი და ლენინი ყოველ მომენტში თავიანთ უმთავრეს მახვილს მიმართავდენ რევიზიის იმ ფორმის წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენდა უმთავრეს საშიშროებას პროლეტარიატის პრაქტიკულ-პოლიტიკურ მოძრაობისათვის. ბურჟუაზიასთან ბრძოლის ძირითად ფორმებისა და პოლიტიკური ბრძოლის პირობების მიხედვით ირკვეოდა უმთავრესი მიმართულება დაკვრისა ფილოსოფიურ რევიზიონიზმის წინააღმდეგ პარტიის შიგნით. ასე მაგალითად, 1905 წ. რევოლუციის შემდეგ ჩვენი პარტიის ბელადს—ლენინს ერთსადაიმაცე დროს უხდებოდა თეორეტიული ბრძოლა ორ ფრონტზე: ბოგდანოვის, ბაზაროვის და სხვათა მახიზმის წინაალმდეგ და პლეხანოვისა და აგრეთვე მისი მოწაფეების—დებორინისა და აკსელროდის მიერ მატერიალისტური დიალექტიკის მენშევიკურ, მექანისტურ და აგნოსტიკურ და-

მახინჯებათა წინააღმდეგ. მაშინ უმთავრესი საფრთხე იყო მატერიალისტური ფილოსოფიის იდეალისტური, მახისტური რევიზია. ამ რევიზიას პირდაპირ მივყავდით მარქსიზმზე ხელის აღებისა და ბურჟუაზიის წინაშე პროლეტარიატის სრული განიარაღებისაკენ. „მარქსიზმის მოხერხებულად გაყალბება, ანტიმატერიალისტური მოძღვრებათა მიტმასნება მარქსიზმზე,—აი რა ახასიათებს თანამედროვე რევიზიონიზმს პოლიტიკურ ეკონომიაშიც, ტაქტიკის კითხვებშიც, გნოსეოლოგიაშიც და სოციოლოგიაშიც"[1]. ასე სწერდა ლენინი მახიზმზე და მახისტების შესახებ.

ეს რევიზია იმ დროისათვის იმიტომ წარმოადგენდა ძირითად საფრთხეს, რომ იგი იყო 1905 წ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ კრიზისისა და მერყეობის თეორეტიული გამოხატულება მარქსისტების რიგებში. „კვლავ დღის წესრიგში დაისვა გადამწყვეტი წინააღმდეგობის გაწევა ამ დაქსაქსულობის მიმართ, გადამწყვეტი და მედგარი ბრძოლა მარქსიზმის საფუძვლების დასაცავად",[2] — სწერდა მაშინ ლენინი. მახიზმი თეორეტიულად ჰკვებავდა მენშევიკების (ვალენტინოვი, იუშკევიჩი და სხ.) პოლიტიკურ ლიკვიდატორობასაც და ბოგდანოვისა და სხ. ულტრა-„მემარცხენე" ოტზოვიზმსაც. ამიტომ იყო, რომ ლენინი უმთავრეს მახვილს მიმართავდა მახისტების წინააღმდეგ, აწარმოებდა ამ ბრძოლას პლეხანოვთან და მის მოწაფეებთან ერთად, მაგრამ ამავე დროს ერთი წუთითაც არ სწყვეტდა ბრძოლას პლეხანოვის მიერ მატერიალისტური დიალექტიკის მენშევიკურ დამახინჯებასთანაც, არც მის ცალკეულ ფილოსოფიურ შეცდომებთან მატერიალიზმის საკითხებში. ლენინი მაშინაც იბრძოდა ორ ფრონტზე.

იმპერიალისტური ომისა და რევოლუციის პერიოდში (1914 — 1917 წ.) განსაკუთრებით გაძლიერდა მარქსისტული თეორიის ფრონტზე მეორე ინტერნაციონალის თეორეტიკოსების მიერ დიალექტიკურ მატერიალიზმის რევიზია (ამან უდიდესი ზიანი მიაყენა პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას) — დიალექტიკური მატერიალიზმის მექანისტური და იდეალისტური დამახინჯება კაუცკის, ბაუერის, პლეხანოვის და სხვათა მიერ.

ეს რევიზია კონკრეტულად გამოიხატებოდა მსჯელობებში პროლეტარული რევოლუციის წინაპირობათა მოუმწიფებლობის შესახებ, რევოლუციური თეორიის პრაქტიკიდან მოწყვეტაში, კონკრეტულის აბსტრაქტულით შეცვლაში, დიალექტიკის — ეკლექტიკითა და სოფი-

[1] ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, ტ. XIII. გვ. 337.
[2] ლენინი, ტ. XV, გვ. 74.

სტიკით შეცვლაში. 1914 — 1917 წლები — ესაა ლენინიზმის გამძაფრებული ბრძოლის ზოლი მარქსიზმის პროსტიტუირების წინააღმდეგ, საერთაშორისო მენშევიზმის ბელადების ჩამოშორება მარქსის კონკრეტულ და რევოლუციურ დიალექტიკისაგან. ესაა ერთობ მწვავე და შეურიგებელი ომის ზოლი დიალექტიკურ მატერიალიზმის საფუძველების მენშევიკურ იდეალისტურ და მექანისტურ რევიზიასთან. ამავე დროს ლენინი აწარმოებდა ბრძოლას „მომემარცხენო" შეცდომებთან თეორიის დარგში — ბუხარინის ანარქისტულ შეცდომებთან სახელმწიფოსა და სხვ. საკითხებში. სწორედ ასევე გაიშალა თეორეტიული ბრძოლა ორ ფრონტზე პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდშიაც.

პარტიის გენერალური ხაზის დაცვა აუცილებლად შეიცავს ბრძოლას მატერიალისტური დიალექტიკის — პროლეტარიატის ბრძოლის ამ უძლიერესი და უმახვილესი იარაღის სიწმინდისათვის. ბ რ ძ ო ლ ა რ ე ფ ო რ მ ი ზ მ თ ა ნ დ ა ა ნ ა რ ქ ი ზ მ თ ა ნ, ბ რ ძ ო ლ ა ო რ ფ რ ო ნ ტ ზ ე — მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე დ ა „ მ ე მ ა რ ცხ ე ნ ე" ო პ ო ო ტ უ ნ ი ზ მ თ ა ნ — ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს ბ რ ძ ო ლ ა ს ო რ ფ რ ო ნ ტ ზ ე ფ ი ლ ო ს ო ფ ი ი ს დ ა რ გ შ ი ა ც.

კავშირი ფილოსოფიასა და პოლიტიკას შორის, ფილოსოფიურ გადახრებსა და პოლიტიკურ მიმდინარეობებს შორის მუდამ არსებობს. მაგრამ ეს კავშირი ფილოსოფიასა და პოლიტიკას შორის არ მყღავნდება როგორც პირდაპირი, უშუალო და მუდმივი შესატყვისობა ფილოსოფიურ და პოლიტიკურ მიმდინარეობებს შორის. მექანიციზმი არის მემარჯვენე გადახრის ფილოსოფიური ბაზა, ხოლო მენშევიკური და მომენშევიკო იდეალიზმი — ძირითადათ არის „მემარცხენე" გადახრისა და ტროცკიზმის თეორეტიული ბაზა. მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რომ მემარჯვენეებს აქვთ მხოლოდ მექანიციზმი, ხოლო კონტრრევოლუციურ ტროცკიზმსა და „მემარცხენეებს" — მარტოოდენ იდეალიზმი და არა აქვთ მექანიციზმი. ტროცკიზმიც, მაგალითად, მთლიანად გამსჭვალულია ყველაზე უსაძაგლეს და ვულგარულ მექანიციზმით. გადახრების აბსტრაქტული განაწილება გამოგონილ „სქემების" მიხედვით სრულებით არ იქნებოდა მართებული. ერთადერთ თანმიმდევარ მეთოდსა და მსოფლმხედველობას წარმოადგენს დიალექტიკური მატერიალიზმი. მისგან ყოველგვარი გადახრას აუცილებლად მივყევართ ბურჟუაზიულ ეკლექტიკამდე მოჰარბებით ან ვულგარულ მექანისტურ მატერიალიზმისა ან ცოტათ თუ ბევრად ფარულ იდეალიზმის.

ფილოსოფია და პოლიტიკა მუდამ იმყოფებიან ურთიერთშორის განუწყვეტელ კავშირში. მათი ეს განუწყვეტელი კავშირი პირობადებულია მათი გ ა რ კ ვ ე უ ლ ი ს ო ც ი ა ლ უ რ ი ფ ე ს ვ ე ბ ი თ მ ო ც ე-

შულ საზოგადოებაში. მაგრამ ფილოსოფიისა და პოლიტიკის ეს კავშირი ყოველთვის ვერ იღებს პირდაპირ და უშუალო გამოხატულებას. ჩვენ აქ ვამჩნევთ სხვადასხვაგვარ გადასვლებს, შენაკადებს, ზიგზაგებსა და გადახვევებს სხვადასხვა ფილოსოფიურ და პოლიტიკურ გადახრებს შორის კავშირის განსაზღვრის დროს. ეს კავშირი შეიძლება გამოირკვეს ამა თუ იმ ფილოსოფიურ და პოლიტიკურ გადახრის ყველა მხარეების მხოლოდ კონკრეტული ანალიზით. ბრძოლა ოპორტუნისტული გადახრების წინააღმდეგ თეორიასა და პოლიტიკურ პრაქტიკაში არ შეიძლება შემოიზღუდოს ბრძოლით რომელიმე ეოთი მხარის წინააღმდეგ — პოლიტიკური ან მხოლოდ თეორეტიული მხარის წინააღმდეგ, — იგი ყოველმხრივი უნდა იყოს.

მომენშევიკო იდეალისტებს ისე, როგორც მექანისტებსაც, არ გაეგებათ ფილოსოფიისა და პოლიტიკის დიალექტიკური კავშირი, არ ესმისთ საკითხის მარქსისტულ-ლენინური დაყენება ორ ფრონტზე ბრძოლის შესახებ — პოლიტიკასა და ფილოსოფიაში. მათ სავსებით გააიგივეს გადახრები ამა თუ იმ დარგში, შესცვალეს ბრძოლა შემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ მარტოოდენ მექანიციზმის წინააღმდეგ ბრძოლით. კიდევ მეტი: პარტიის ბრძოლას მემარჯვენეების წინააღმდეგ, განსაკუთრებით თეორეტიულ დარგში, მომენშევიკო იდეალისტები სთვლიან მექანისტებთან თავიანთი „ბრძოლის“ უბრალო გაგრძელებად! მომენშევიკო იდეალიზმის ერთი წარმომადგენელი სწერს: „ბრძოლა მემარჯვენე გადახრის თეორეტიულ საფუძვლების წინააღმდეგ წარმოადგენს ჩვენი ბრძოლის პირდაპირ გაგრძელებას მექანისტების წინააღმდეგ და იმ თეორეტიულ ფილოსოფიურ პოზიციების სისწორის შემოწმებას, რომელიც ჩვენ დავიკავეთ ამ ბრძოლაში. ესაა ჩვენი თეორეტიული პოზიციების პოლიტიკური შემოწმება“[1].

პარტია მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციიდან აწარმოებდა და აწარმოებს ბრძოლას ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ, ოპორტუნიზმის წინააღმდეგ პოლიტიკაში და ყოველგვარი რევიზიონიზმის წინააღმდეგ თეორიასა და ფილოსოფიაში. პოლიტიკურ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს იგი ეძებს თეორეტიულ, ფილოსოფიურ საფუძვლებს, გამომდინარეობს ლენინის მითითებიდან, რომ „არ შეიძლება სავსებით გაითვალისწინო რაიმე შეცდომა, მათ რიცხვში პოლიტიკურიც, თუ არ გამოსძებნე იმ პირის შეცდომის თეორეტიული ფესვები, ვინც მას უშვებს, უნდა გამომდინარეობდე მის

[1] „კომუნისტური აკადემიის უწყება“ №35—36, 1929 წ., გვ. 280. ამხ. ი. პოდვოლოცკის სიტყვა.

მიერ შეგნებულად მიღებულ, გარკვეულ დებულებიდან[1]. გადახრების წინააღმდეგ ბრძოლაში თეორიის დარგში, ამასთანავე ფილოსოფიის დარგშიაც, პარტია ააშკარავებს მათ პოლიტიკურ შინაარსს, ააშკარავებს თეორეტიულ ოპორტუნიზმისა და რევიზიონიზმის კლასობრივ არსებას, როგორი ნიღაბიც არ უნდა ჰქონდეს მას აფარებული.

ბრძოლა მარტოოდენ ერთ გადახრასთან და მეორე ფრონტის უგულებელყოფა მოწმობს, რომ ამ ბრძოლის საფუძვლები და პოზიცია მარქსისტულ-ლენინური არაა. ასეთი ხაზი იწვევს ორ ფრონტზე ბრძოლის დამახინჯებას, ცალმხრივობას, რაც ჰქმნის პირობებს სხვა სახის ახალ დამახინჯებათათვის, მეორე გადახრის ხაზით მიმდინარე შეცდომების დაგროვებისათვის. ამ რიგად იქმნება მეორე ფრონტთან დაკავშირების ნიადაგი. სხვადასხვა ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა ეს დაკავშირება პრაქტიკაში ერთობ ხშირად გვხვდება. მემარჯვენეები ეხმარებიან „მემარცხენეებს“, „მემარცხენეები“ წყალს უშვებენ მემარჯვენეთა წისქვილზე. ამ შიდაპირის, ყოველი გადახრის შებრუნებული მხარის უგულებელყოფის დროს „ბრძოლა“ გადახრებთან ეხმარება არა პარტიას, არამედ ოპორტუნიზმს და იწვევს მხოლოდ არევდარევას და მარქსიზმ-ლენინიზმის დამახინჯების ახალ ფორმებს.

II. ბრძოლა ორ ფრონტზე და თეორიის ამოცანები პროლეტარიატის დიქტატურის დროს

პროლეტარიატის დიქტატურამ *რევოლუციური თეორიის წინაშე წამოაყენა* ახალი ამოცანები და ამასთანავე განუსაზღვრელად უფრო ფართო და ძნელი, ვიდრე წინად იყო. პროლეტარიატის დიქტატურა კლასობრივი ბრძოლის შეწყვეტას კი არ ნიშნავს, არამედ კლასობრივი ბრძოლის გაგრძელებას ახალ ფორმებში: ექსპლოატატორების დაუნდობელ დათურგვნის ფორმაში, მწვავე და გააფთრებული სამოქალაქო ომის ფორმაში, გლეხთა ძირითადი მასებისადმი ხელმძღვანელობის, ბურჟუაზიულ სპეციალისტებისა და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის გამოყენების ფორმაში, ახალი დისციპლინის განვითარების ფორმაში, რათა მოპოებული იქნას შრომის ნაყოფიერების ახალი, განუზომლად უფრო მაღალი დონე.

აუცილებელია პროლეტარიატის ბრძოლის მთელი პერიოდი კაპიტალისტურ კლასების ნაშთების წინააღმდეგ, კაპიტალისტური წყობილების რესტავრაციის ცდების წინააღმდეგ, ბრძოლის პერიოდი

---

[1] ლენინი, ტ. XXVI, გვ. 131. ხაზგასმულია ჩვენს მიერ. — ავტ.

წვრილ სასაქონლო მეურნეობის გარდაქმნისათვის, რომლის ბაზაზეც „რჩება და კვლავ ღორძინდება — კომუნიზმთან გააფთრებულ ბრძოლაში“ — კაპიტალიზმი და ბურჟუაზია. აუცილებელია გლეხობასთან პროლეტარიატის კავშირის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლა, მშრომელთა არაპროლეტარულ ფასების ხელმძღვანელობისათვის, ამ მასის გადამზადებისათვის შრომის ახალი საზოგადოებრივი დისციპლინის ორგანიზაციის თვალსაზრისით. აუცილებელია მთელი პერიოდი იმისათვის, რათა შეიქმნას სოციალისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისი და ეკონომიური საფუძველი; საჭიროა განსაზღვრული დრო თვით მუშების გადამზადებისათვის „მასობრივ წვრილ-ბურჟუაზიულ გავლენებთან — ხანგრძლივი და ძნელი მასობრივი ბრძოლის“ (ლენინი) პროცესში.

გამარჯვებულ პროლეტარიატს არ ძალუძს მხრებიდან ერთბაშად ჩამოიბერტყოს და აღმოფვხრას თავიდან კაპიტალიზმის ნაშთი. წარსულის ჩვეულებანი, ბურჟუაზიული ტენდენციები პროლეტარიატის ჩამორჩენილ ფენებში თავს იჩენენ და გამოვლინდებიან, სანამ სავსებით არ მოისპობიან კლასები. შეხედულებათა სხვადასხვაობანი, პროლეტარიატის სხვადასხვა ფენების ჩვევები და განწყობილებანი გარდამავალი პერიოდის მოსახვევ მომენტებში, კლასობრივი ბრძოლის განვითარების პროცესში, თავს იჩენენ პარტიაში ოპორტუნისტულ გადახრების სახით, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის გამოვლინების სახით. აქ მსედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ პარტიაში არიან არა მარტო პროლეტარიატის სხვადასხვა ფენების წარმომადგენელნი, არამედ სხვა კლასებიდან გამოსულნიც, რომელთაც მათთან არა აქვთ გაწყვეტილი კავშირი, ანდა იმყოფებიან პროლეტარიატის პარტიაში იმიტომ, რომ იგი არის ერთადერთი პარტია პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, იმყოფებიან მასში იმიტომ, რომ იგი არის მმართველი პარტია. „ისინი, ეს უკლონისტები, — ამბობს ამხ. სტალინი, — მემარჯვენეებიცაა და „მემარცხენეებიც“, შესდგებიან არაპროლეტარული ფენების სხვადასხვაგვარ ელემენტებისაგან, რომლებიც გამოხატავენ წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიის დაწოლას პარტიაზე და პარტიის ცალკეულ რგოლების გახრწნას“[1].

მიუხედავად მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის მოჩვენებითი დაპირისპირებულობისა, ისინი ერთობ ხშირად ერთდებიან თავიანთ შეფასებებსა და მოთხოვნილებებში, ვინაიდან ერთი დაიმავე კლასობრივი ფესვებით იკვებებიან. ოპორტუნიზმის ორთავე სახესხვაობათაგანი გამოხატავენ ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიის დაწოლას, მხოლოდ იმ განსხვავებით,

[1] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 446.

რომ აშკარა მემარჯვენე ოპორტუნიზმი უმთავრესად გამოხატავს კულაკობის იდეოლოგიის, ხოლო „მემარცხენე“ ოპორტუნიზმი — უპირატესად ქალაქის კაპიტალისტურ კლასების, ქალაქის გალატაკებული წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგიას. ორივე სახის ოპორტუნიზმის შეერთების ეს ფაქტი სრულებით გასაკვირველი არაა. ლენინი არაერთხელ ამბობდა, რომ „ულტრამემარცხენე“ ოპოზიცია არის მემარჯვენე, მენშევიკური, ოპორტუნისტული ოპოზიციის მეორე მხარე.

„პროლეტარიატის დიქტატურა არის მედგარი, სისხლიანი და უსისხლო, ძალდატანებითი და მშვიდობიანი, სამხედრო და სამეურნეო, პედაგოგიური და ადმინისტრატიული ბრძოლა ძველი საზოგადოების ძალებისა და ტრადიციების წინააღმდეგ“[1]. მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკით შეიარაღებულ, ბრძოლაში გამობრძმედილ კომუნისტურ პარტიას შეუძლია წარმატებით აწარმოოს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა მისი (პროლეტარიატის) დიქტატურის ეპოქაში.

დიალექტიკური მატერიალიზმი ჩვენს ქვეყანაში გადაიქცა გაბატონებულ მსოფლმხედველობად, პროლეტარიატის დიქტატურის იარაღად მტრული იდეოლოგიების აღმოსაფხვრელად, იარაღად რელიგიურ ცრუმორწმუნეობისა და სამღვდელოების წინააღმდეგ. პროლეტარული მსოფლმხედველობა გადაიქცა მრავალმილიონიან გლეხთა მასების რევოლუციური აღზრდის უმნიშვნელოვანეს საშუალებად, მშრომელთა განთავისუფლების იარაღად საუკუნეობრივ გონებრივ მონობისაგან, ექსპლოატატორულ კლასების მიერ პოლიტიკურ და ნაციონალურ ჩაგვრისაგან.

კლასობრივი ბრძოლის ახალმა ფორმებმა აამაღლეს რევოლუციური თეორიისადმი წარდგენილი მოთხოვნილებანი. პირველი, — თ ე ო რ ი ა უნდა იყოს მაქსიმალურად მ ო ქ ნ ი ლ ი, რათა მან სწრაფ რევოლუციურ ცვლილებების დროს შესძლოს არა მარტო დაეწიოს პრაქტიკას, არამედ კიდევაც გ ა ე უ ს წ რ ო ს პრაქტიკას, სწორად დაუსახოს გზა პრაქტიკოსებს ბრძოლის ერთი ფორმიდან მეორეზე მძაფრი შემობრუნებისა და გადასვლების დროს, მიუთითოს მიმართულება განვითარების ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლის დროს. მეორე, რათა თეორია იძლეოდეს კლასობრივ ურთიერთობათა ზუსტ მარქსისტულ ანალიზს მათ თავისებურებაში მოძრაობის თითოეულ ეტაპზე დაეხმაროს მთელი მოძრაობის გააზრებაში. მესამე, რათა თეორია ეხმარებოდეს განვითარების ძირითად წინააღმდეგობათა და ძირითად ტენდენციების გამოაშკარავებაში, რათა ყოველთვის თითოეულ ახალ მოსახვევის დროს პარტიამ სწორად ჩაავლოს ხელი იმ

[1] ლ ე ნ ი ნ ი, ტ. XX, გვ. 191.

ძირითად რგოლს, იმ ძირითად გადამწყვეტ ამოცანას, რომელზედაც დამოკიდებულია მთელი მოძრაობის წარმატება.

აქედან მნიშვნელოვანი ამოცანა, რაიც წამოაყენა ლენინმა მარქსისტ-ლენინელების წინაშე, — ყოველმხრივ დამუშავებული იქნას მატერიალისტური დიალექტიკის თეორია, ამასთანავე ეს თეორიული დამუშავება მთლიანად უნდა ექვემდებარებოდეს პროლეტარული ბრძოლისა და პარტიის პოლიტიკური ამოცანების საერთო ინტერესებს, ე. ი. თეორიის დამუშავების ამოცანა უნდა დაკავშირებული იქნას სოციალისტური მშენებლობისა და მსოფლიო რევოლუციის პრაქტიკასთან.

ამ ამოცანის არასწორ და ცალმხრივ გაგებას მივყევართ ორგვარ საშიშროებისაკენ: ან თეორიის პრაქტიკიდან მოწყვეტისაკენ, ე. ი. ცარიელი სქოლასტიკისაკენ, ან თეორიის შეუფასებლობისაკენ, ვიწრო საქმოსნობისაკენ, კუდ'ში მოჩანჩალეობისაკენ, ემპირიზმისაკენ. ეს უკანასკნელი ფაქტიურად მოასწავებს აგრეთვე მემარჯვენე საფრთხის მეორე მხარეს—პრაქტიკის მოწყვეტას თეორიისაგან. მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკის დამუშავება შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას მხოლოდ გადამწყვეტი, ულმობელი ბრძოლით ორ ფრონტზე, მხოლოდ ბრძოლით ორთავე ამ საფრთხესთან, რომელნიც ერთნაირად, თუმცა სხვადასხვა მხრიდან, იწვევენ მენშევიკურ გათიშვას თეორიასა და პრაქტიკას შორის.

მატერიალისტური დიალექტიკის გენიალური დამუშავება პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში მოგვცა ლენინმა იმ კონკრეტულ ნიმუშების მიხედვით, რაც წამოაყენა მსოფლიო რევოლუციამ და სოციალისტურმა მშენებლობამ საბჭოთა კავშირში. ეს მუშაობა განაგრძო ამხ. სტალინმა კვანძოვან, ძირეულ პრობლემების გადაწყვეტის საფუძველზე, რაც დაკავშირებულია სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენებასა და კლასების მოსპობასთან. საკავშირო კომპარტიისა (ბ) და კომინტერნის გადაწყვეტილებანი ემყარებიან მატერიალისტური დიალექტიკის თეორიის თანმიმდევარ მარქსისტულ-ლენინურ შეფარდებას პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის კონკრეტულ ეტაპისადმი. პარტია რევოლუციის ყველა კონკრეტულ ამოცანებს სწყვეტდა და სწყვეტს ისე, რომ ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკით, ამავე დროს ანვითარებს და აზუსტებს მას ახალ კონკრეტულ მასალის მიხედვით, რასაც იძლევა რევოლუციური პრაქტიკა პრაქტიკულ და თეორიულ ბრძოლაში ორ ფრონტზე.

მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკის სწორმა გამოყენებამ საშეურნეო და კულტურულ მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის

დარგში საშუალება მისცა ლენინურ პარტიას მოეპოვებია მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებები — სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენებისა და მთლიანი კოლექტივიზაციის გეგმის გატარების საქმეში, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის საფუძველზე.

იბრძვის რა ორ ფრონტზე — მემარჯვენე „და მემარცხენე" ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, პარტია ყოველ ძირითად ეტაპზე არ-კვევს უმთავრეს საფრთხეს. ამასთანავე პარტია გადახრების ხასიათის განსაზღვრის დროს ხელმძღვანელობს მისწრაფებით გამოააშ-კარაოს ამ გადახრების კლასობრივი არსება. ასე მაგალითად, ტროცკისტებისა და ტროცკისტულ-ზინოვიევის ოპოზიციის „მემარცხენე" გადახრა იყო უმთავრესი საფრთხე რეკონსტრუქციულ პერიოდზე გადასვლის დროს, მის დასაწყისში, პარტიის მე-15 ყრილობამდე. სოციალისტური შეტევის გაშლის შემდეგ პარტიისათვის უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენს მემარჯვენე გადახრა.

ორეოფულ პოლიტიკის ყოველგვარ ცდას, ცენტრიზმის პოზიციის დაჭერის ცდებს, მაგალითად მემარჯვენე-მომემარცხენო ბლოკის სახით, ჩვენი პარტია მუდამ გამანადგურებელ ლახვარს სცემდა.

ოპორტუნიზმის გზა არის არამტკიცე კომუნისტების რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური ხაზისაგან, პარტიის გენერალური ხაზისაგან ჩამოშორების გზა. პარტიული იდეოლოგიის უარყოფის გზა — ესაა მტრული და უცხო იდეოლოგიის ჩამოყალიბების პროცესი. ოპორტუნიზმის გზა — ესაა პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილ კლასობრივ ძალთა პოზიციაზე გადასვლა, მოძრაობა, რაც ობიექტურად გამოხატავს ბურჟუაზიისა და მისი იდეოლოგიის დაწოლას. უკლონისტები ობიექტურად ხდებიან იმ ხვრელად, რომლის საშუალებითაც იჭრება პარტიაში, მის არამტკიცე რგოლებში წვრილბურჟუაზიული სტიქიისა და მის საფუძველზე წარმოშობილ კაპიტალისტურ ელემენტების გავლენა. უკლონისტები ხდებიან ანტიპროლეტარულ ძალთა რუპორად ჩვენს ქვეყანაში. ასეთია მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმის კლასობრივი ფესვები გარდამავალ პერიოდში.

მაგრამ პროლეტარიატისადმი პოლიტიკურად მტრული იდეოლოგია იღებს თავის გამოხატულებას თეორიის დარგშიაც, მეთოდოლოგიაშიაც. ოპორტუნიზმის აღნიშნული სახეები განსხვავდებიან ერთიმეორისაგან არა მარტო თავისი სოციალური ბუნებით, არამედ თავისი ზოგად თეორიული ფესვებითაც, თავის ფილოსოფიური საფუძველითაც და ეს მათი მეთოდოლოგიის საერთო ნიშნების მიუხედავად, რაზედაც მიუთითა ლე-

ნინმა: მათ მიერ მატერიალისტური დიალექტიკის დამახინჯება, ეკლექტიზმი და სხ. თანამედროვე მემარჯვენე ოპორტუნიზმი უმთავრესად ემყარება მ ე ქ ა ნ ი ს ტ უ რ მეთოდოლოგიას. იგი ხასიათდება იმით, რომ ვერ ხედავს ახალ შინაარსს, პროლეტარული დიქტატურის თვისობრივ თავისებურებას, უარყოფს განვითარების წინააღმდეგობითობას, იცავს „მშვიდობიან“ ევოლუციას, უარყოფს კლასობრივ ბრძოლას და სხ.

„მემარცხენე“ ოპორტუნიზმი და „მემარცხენე“ ნახტომები გამომდინარეობს იმ თვალსაზრისიდან, რომელიც უარყოფს განსაზღვრულ ძველ ფორმებს, ვერ ხედავს გზებსა და ეტაპებს განვითარებაში, არ ითვალისწინებს წინმსვლელობის მატერიალურ საფუძვლებს, აკეთებს ნახტომებს დაუთავრებელ სტადიებზე განვითარებაში, რაც იწვევს ავანტურიზმს პოლიტიკაში, სცელის სინამდვილეს სასურველით, ერთიმეორეში ურევს შესაძლებლობასა და სინამდვილეს და სხ. ოპორტუნიზმის ამ სახისათვის ძირითად მეთოდოლოგიურ ბაზას წარმოადგენს მ ო მ ე ნ შ ე ვ ი კ ო ი დ ე ა ლ ი ზ მ ი.

ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზისათვის მოითხოვს ბოლშევიკურ პარტიულ სიმკვეთრეს, შეურიგებელ პრინციპიალურ ბრძოლას მემარჯვენე ოპორტუნიზმის — ახლანდელ საფეხურზე უმთავრეს საფრთხის წინააღმდეგ, „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, კონტრრევოლუციურ ტროცკიზმის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზისათვის მოითხოვს აგრეთვე ბრძოლას ო რ ფ რ ო ნ ტ ზ ე თ ე ო რ ი ა შ ი ა ც და ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა შ ი ა ც: მექანისტების — ახლანდელ პერიოდში უმთავრესი საფრთხის წინააღმდეგ, მომენშევიკო იდეალიზმის წინააღმდეგ, ერთისა და მეორისადმი შემარიგებლობის წინააღმდეგ და აგრეთვე პროლეტარიატზე აშკარა ბურჟუაზიულ გავლენების წინააღმდეგ, — მოითხოვს ბრძოლას თანმიმდევარ მარქსისტულ-ლენინურ პოზიციიდან — სოციალისტური შშენებლობის პრაქტიკასთან თეორიის განუწყვეტელი კავშირის საფუძველზე.

ტროცკისტებმა და „მემარცხენე“ გადამხრელებმა ვერას გზით ვერ გაიგეს ო რ ფ რ ო ნ ტ ზ ე ბ რ ძ ო ლ ი ს არსობა. იმ ბრძოლას, რასაც აწარმოებდა ჩვენი პარტია, ისინი „ცენტრიზმს“ უწოდებდენ. ისინი ცილს სწამებდენ პარტიას, როდესაც ამბობდენ, რომ პარტიაში არსდება ორი უკიდურესი ფრთა, და რომ პარტიის გენერალური ხაზი იქმნება ორივე მიმდინარეობის „წონასწორობის“ შედეგად. ასეთსავე განმარტებას აძლევდენ დებორინელები ფილოსოფიაში ორ ფრონტზე ბრძოლის პრობლემას, როდესაც პარტიამ წაუყენა საკითხი ფილოსოფიური ფრონტის სოციალისტური მშენე-

ბლობის ამოცანებისაკენ შემობრუნებისა და თვითკრიტიკის გაშლის შესახებ. ტროცკიზმიცა და მომენშევიკო იდეალიზმიც „ცენტრიზმთან“ და „ეკლექტიზმთან“ ბრძოლის საბაბით უარყოფდენ ორ ფრონტზე ბრძოლის ამოცანას. ნამდვილად კი პარტიის ბრძოლა ორ ფრონტზე შეიცავს, ჰგულისხმობს ბრძოლას ცენტრიზმთან — ამ ფარულ ოპორტუნიზმთან, შემარიგებლობასთან ოპორტუნიზმის მიმართ. პარტიის თანმიმდევრობითმა ბრძოლამ მარქსისტულ-ლენინურ თეორიის საფუძვლებისათვის გარდამავალი პერიოდის მანძილზე რამდენიმე ეტაპი განელო. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დამხობილ ექსპლოატატორულ კლასებს წაერთვათ ქვეყნის შიგნით იდეოლოგიური ზეგავლენის საშუალება, და რევოლუციურ მარქსიზმ-ლენინიზმისადმი მისი მხეცური სიძულვილის გამომხატველი აღმოჩნდა მსოფლიო ბურჟუაზია და მისი სოციალ-დემოკრატიული აგენტურა კაუცკებისა და ვანდერველდების სახით ქვეყნის გარეთ, და რუსული მენშევიზმისა და ესერების ნამსხვრევების სახით ქვეყნის გარეთ და შიგნითაც. ბურჟუაზიულმა და წვრილბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ, განსაკუთრებით მენშევიზმმა, რომლის სოციალურ თვისებას, რასაც არაერთხელ ხაზს უსვამდა ლენინი, წარმოადგენა განსაცვიფრებელი შემგუებლობა, იწყო შეჭრა მარქსიზმში „მარქსისტული მეცნიერების“ ყოველგვარი ფირნიშებით.

სუხანოვისა და კომპანიის აშკარა მენშევიკური თეორიები ამტკიცებდენ — რუსეთში პროლეტარული რევოლუცია „ნაადრევად“ მოხდაო, ვინაიდან აქ საჭირო „სიმაღლემდე არ მიეღწევია საწარმოო ძალებსო“. მათ არ გაეგებოდათ ვითარებათა თავისებურებანი იმპერიალიზმის ეპოქაში და ისტორიული განვითარების განსაკუთრებულობა რუსეთში და ამიტომ მექანიკურად გადმოჰქონდათ აქ კაპიტალისტური განვითარების საერთო ფორმები. პროლეტარიატის დიქტატურის ადრინდელ პერიოდში დიალექტიკური მატერიალიზმის მიმართ ბურჟუაზიული იერიშის უფრო შენიღბულ ფორმად კვლავ აღმოჩნდა მახიზმი, რომელიც თავისებურად შეესაბამა მექანიციზმს და მიიღო ამ პერიოდში თავისი გამოხატულება ბოგდანოვის მთელ რიგ შრომებში.

ბოგდანოვმა გულმოდგინედ შენიღბა თავისი იდეალიზმი, გამოდიოდა რა „პროლეტარულ კულტურის“, „მეცნიერების სოციალიზმის“, „ორგანიზაციური მეცნიერების“ და სხ. დროშით. ის ვითომდა „ხელს იღებდა“ ყოველგვარ ფილოსოფიაზე, ხოლო სინამდვილეში „მარქსისტული“ ფრაზებით აპარებდა იდეალიზმს პოლიტიკურ ეკონომიაში, ისტორიული მატერიალიზმის თეორიაში, ლიტერატურის მცოდნეობაში. ბოგდანოვი მატერიალისტურ დიალექტი-

კას ცვლიდა „ორგანიზაციულ პროცესის“ იდეალისტური თეორიით და მექანისტური „წონასწორობის თეორიით“ — წინააღმდეგობათა შერიგების თეორიით. სოციალიზმისაკენ მსვლელობის ძირითად ფორმად მან წამოაყენა „კულტურული“ მუშაობა, ის უწოდებდა თავის თეორიებს „პროლეტარული კულტურის“ მყვირალა სახელს და უპირისპირებდა მას რევოლუციურ პოლიტიკურ ბრძოლას. ბოგდანოვის ობიექტურად რეაქციური ფილოსოფია გამოხატავდა ი მ მ ხ დ ა ლ ი მ ე შ ჩ ა ნ ო ბ ი ს ღ რ მ ა დ ა ც ე მ უ ლ ო ბ ი ს ა დ ა ს ა ს ო წ ა რ კ ვ ე თ ი ლ ო ბ ი ს გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ე ბ ს, რომელიც ემალებოდა რევოლუციას, ცდილობდა გადაერჩინა მისგან თავი მშვიდობიან „ორგანიზაციულ“ მუშაობისადმი დაბრუნებით სახელგანთქმულ ბურჟუაზიულ დემოკრატიის „ნორმალურ“ ჩარჩოებში.

ბოგდანოვის დამპალმა ფილოსოფიამ ჰპოვა გამოსატულება უმაღლეს სასწავლებლების ახალგაზრდობის ნაწილში, პროლეტკულტის მუშაკებში, ეგრეთწოდებულ „მუშათა ოპოზიციის“ ჯგუფში, ზოგიერთ თეორეტიკოსების — „მემარცხენე“ კომუნისტების შეხედულებებში. კერძოდ მან იქონია გავლენა ამხ. ბუხარინის თეორეტიულ შეხედულებებზე. ამხ. ბუხარინის „მომემარცხენო“ შეცდომებს მის „გარდამავალ პერიოდის ეკონომიკაში“ საფუძვლად უდევს ბოგდანოვის იდეალიზმი და მექანიციზმი.

— ლენინმა ამ პერიოდში მიიტანა მკაცრი იერიში სუხანოვების მენშევიკურ იდეოლოგიის წინააღმდეგ. ლენინი აწარმოებდა აგრეთვე გადამწყვეტ ბრძოლას „მემარცხენე“ კომუნიზმთან და მის მეთოდოლოგიურ შეცდომებთან — მის სუბიექტივიზმთან და აბსტრაქტულობასთან. კერძოდ ლენინმა ბოგდანოვშინას უპასუხა მატერიალიზმისა და „ემპირიოკრიტიციზმის“ მეორედ გამოცემით, ვ. ი. ნევსკის წერილის თანდართვით, რომელშიაც მოცემული იყო ბოგდანოვის უკანასკნელ შრომების კრიტიკული მიმოხილვა. ამ თავის წიგნის წინასიტყვაობაში ლენინი მიუთითებდა, რომ ა. ა. ბოგდანოვი „პროლეტარული კულტურის“ სახით ავრცელებს ბურჟუაზიულ და რეაქციურ შეხედულებებსო.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებასა და ქალაქად და სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობათა განსაზღვრულ ზრდასთან ერთად ბურჟუაზია იმედოვნებდა საბჭოთა ხელისუფლების თანდათანობითი გ ა დ ა გ ვ ა რ ე ბ ი ს გზით კაპიტალიზმისაკენ მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ი დაბრუნებას. საბჭოთა დაწესებულებებში სამუშაოდ ჩაბმულმა ბურჟუაზიული პროფესურის ნაწილმა დაიკავა აშკარად მტრული პოზიცია საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. იგი უნივერსიტეტის კაფედრებიდან და ჟურნალების ფურცლებიდან აწარმოებდა კონტრრევო-

ლუციურ მუშაობას, გამოდიოდა მეცნიერების მთელი ხაზით დიალექტიკური მატერიალიზმის აშკარა მტრად, უპირისპირებდა მას იდეალიზმსა და რეაქციურ შეხედულებებს. ბურჟუაზიული ინტელიგენციის მეორე ნაწილმა გამოაცხადა „სმენა ვეხ“, მაგრამ „სმენოვეხოველობაც“ სხვას არაფერს მოასწავებდა, გარდა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის აუცილებლობისა იმისათვის, რათა „შეემსუბუქებიათ“ ამ უკანასკნელისათვის კაპიტალიზმში მშვიდობიანი შეზრდა.

იდეალიზმთან და რელიგიასთან საბრძოლველად, ვულგარულ ემპირიზმთან და მექანიციზმთან საბრძოლველად, სწავლულ მებატონეებისა და სამღვდელოების დიპლომიან ლაქიების გამოსააშკარავებლად, დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძვლების პროპაგანდისათვის და მატერიალისტური დიალექტიკის თეორიის შემდგომი დამუშავებისათვის ვ. ი. ლენინის ინიციატივით დაარსებული იქნა „მ ე ბ რ ძ ო ლ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ს“ ორგანო — ჟურნალი „პოდ ზნამენემ მარქსიზმა“, რომლის ამოცანები ჩამოაყალიბა ლენინმა ცნობილ სტატიაში „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“.

მთელი რიგი წლების მანძილზე უმთავრეს საფრთხედ პარტიისათვის რჩებოდა „მემარცხენე“ ოპორტუნიზმი. კონტრრევოლუციური ტროცკიზმი იწყებს თავის დამარღვეველ მუშაობას ჯერ კომუნიზმის ფრაქციის სახით, შინაპარტიული ოპოზიციის სახით. ჩვენ გვაქვს თეორიის ყველა დარგებში შეჭრილი მეორე ინტერნაციონალის ყოველნაირად შენილბული მენშევიკური თეორიების სხვადასხვა ფორმები: „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის, ტროცკიზმისა და მისდამი შემარიგებლურად განწყობილ „ბურჟუაზიულ“ ჯგუფების მეთოდოლოგია, რომლისთვისაც დამახასიათებელია იდეალიზმისა და მექანიციზმის შეერთება; რუბინის მენშევიკურ-კაუცკისეული იდეალისტური თეორია პოლიტეკონომიაში, რიაზანოვის მიერ მარქსიზმის ისტორიის მენშევიკური „დამუშავება“, მარქსისტულ ფილოსოფიაში პლეხანოვის შეცდომების შეპარება და შემდგომი გაღრმავება — მისი მოწაფეების აქსელროდისა და დებორინის მიერ როგორც მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიის პოზიტიურ კანტიანური და მექანისტური რევიზიის ხაზით (აქსელროდი), ისე მომენშევიკო იდეალიზმის ხაზით (დებორინი, ჯარევი, სტენი); სუბიექტურ-იდეალისტურ და კანტიანურ კონცეპციის განახლება ფილოსოფიაში (სარაბიანოვი და სხ.), მენშევიკურ-იდეალისტური თეორიები ლიტერატურის მცოდნეობაში (პერეევერზოვი, ვორონსკი და სხ.). პარტიული პოლიტიკის დარგში ჩაღდება ბრძოლა ამხ. სტალინის მეთაურობით კონტრრევოლუციურ ტროცკიზმის წინააღმდეგ. თეორიაში ძირითადი საფრთხე იყო მარ-

ქსიზმის იდეალისტური რევიზია, რომელიც, სავსებით განადგურებული იყო რა პოლიტიკაში როგორც ტროცკიზმისა და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის მეთოდოლოგია, ჯერ კიდევ ბოლომდე გამოააშკარავებული არ იყო თეორიისა და ფილოსოფიის ცალკეულ დარგებში. ამაში თავისი გამოხატულება ჰპოვეს როგორც ჩვენი თეორიული დაწესებულებების საერთო ჩამორჩენამ და მუშაობის მოწყვეტამ პარტიული ბრძოლის პრაქტიკიდან, ისე სათანადო ხელმძღვანელობის უქონლობამ თეორეტიული მუშაობის ამ ცალკეულ დარგებში.

მაგრამ აღდგენითი პერიოდში იდეალისტურ საფრთხესთან ერთად წარმოიშვა აგრეთვე მ ე ქ ა ნ ი ც ი ზ მ ი ს ა დ ა ს ა ძ ა გ ე ლ, ვ ულ გ ა რ ულ ე მ პ ი რ ი ზ მ ი ს სხვადასხვა ფორმები. მცოცავი ემპირიზმისა და მარქსიზმის რევიზიის ბურჟუაზიული ფორმის ყველაზე უფრო ნათელი გამომხატველი იყვნენ მინინშინა (1922 წ.) და ენჩმენიზმი (1923 წ.). მინინმა წამოიყოლა ლოზუნგი „გადავაგდოთ ფილოსოფიაო“, ხოლო ენჩმენმა მის შემდეგ დაიწყო მოსწავლე ახალგაზრდობის შორის არეულ-დარეული ბიოლოგიური თეორიის გავრცელება, უპირისპირებდა რა მას ვითომდა „მოძველებულ“ მარქსიზმს.

მ ე ქ ა ნ ი ს ტ ურ მ ა ს ა ფ რ თ ხ ე მ ჰპოვა ყველაზე უფრო ნათელი გამოხატულება ბუხარინის მიერ დიალექტიკური მატერიალიზმის რევიზიაში, სახელდობრ, მის მიერ ბოგდანოვის სქოლასტიკის გამოყენებასა და შემდგომ განვითარებაში როგორც ისტორიულ მატერიალიზმის თეორიაში, ისე პოლიტეკონომიაში. მიუხედავად ვ. ი. ლენინის გაფრთხილებისა, ამხ. ბუხარინი და მისი მოწაფეები ჯიუტად განაგრძობდენ ბოგდანოვის წ ო ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს თ ე ო რ ი ი ს განვითარებას, უპირისპირებდენ რა მას მატერიალისტურ დიალექტიკას. ბუხარინის თეორიულ „სკოლას“ გარდა წარმოიშვა კიდევ მექანისტების მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომელიც შესდგებოდა ბუნებისმცოდნეებისა და ნაწილობრივ ანტი-რელიგიურ პროპაგანდისტებისაგან; ესენი ცდილობდენ ამ ვულგარულ ემპირული ფორმით გაეცათ პასუხი თავწამოწეულ სამღვდელოებისათვის.

აშკარა იერიში მარქსიზმის მიმართ მათ შესცვალეს ფარული ბრძოლით — „ფილოსოფიური სქოლასტიკისაგან მეცნიერების დაცვის ლოზუნგით, აიგივეებდენ რა დიალექტიკურ მატერიალიზმს ბუნებისმეტყველების უკანასკნელ დასკვნებთან.

რეკონსტრუქტიული პერიოდის დასაწყისში მექანიციზმი გადაიქცა მარქსიზმ-ლენინიზმისადმი მტრულად განწყობილ სხვადასხვანაირ მიმართულებათა რუპორად (მახიზმი, ფრეიდიზმი, კანტიანობა, პოზიტივიზმი და სხ.), იგი შეუერთდა აქსელროდის მენშევიკურ-კანტი-

ანურ ჯგუფს და ბუხარინ-ბოგდანოვის „სოციოლოგიურ“ სკოლას. მექანისტი — ბუნებისმეტყველი და ანტირელიგიური პროპაგანდისტები (ტიმირიაზოვი, სარაბიანოვი, ვარიაში და სხ.) გადაიქცენ ბუხარინ-ბოგდანოვის წონასწორობის თეორიის გამავრცელებლად. აღდგენითი პერიოდიდან რეკონსტრუქტიულზე გადასვლა იყო პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ ფორმებზე გადასვლა, იგი მოითხოვდა პროლეტარული დიქტატურის ყველაზე უძნელესსა და უმაღლეს ამოცანების გადაჭრას: 1) სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენებას, 2) წვრილი გლეხური მეურნეობის მთლიან გადაყვანას მსხვილ მანქანურ კოლექტიურ წარმოების სოციალისტურ რელსებზე და 3) ამ საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, მოსპობას და შემდეგ კლასების მოსპობას საზოგადოთ.

სოციალიზმის აშენების მსოფლიო-ისტორიული ამოცანის გადაწყვეტა არ შეიძლებოდა ტროცკისტული ან ბუხარინ-ბოგდანოვისეული, არსებითად ბურჟუაზიული, ფორმულების საშუალებით. პარტიის მიერ წამოყენებული საკითხები შემდგომი განვითარების გზების შესახებ მოითხოვდა გადაწყვეტას მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკის მეთოდის, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მეთოდის შემწეობით.

„განვითარება ჩვენში მიმდინარეობდა და მიმდინარეობს არა ამხ. ბუხარინის ფორმულის მიხედვით. განვითარება მიმდინარეობდა და შემდეგშიაც წავა ლენინის ფორმულის მიხედვით — „ვინ ვის“. ჩვენ გავსრესთ და დავთრგუნავთ მათ, ექსპლოატატორებს, თუ ისინი გაგვსრესენ და დაგვთრგუნავენ ჩვენ, საბჭოთა კვშირის მუშებსა და გლეხებს, — ასე დგას საკითხი... მ თ ე ლ ფ რ ო ნ ტ ზ ე ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს შ ე ტ ე ვ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა, — აი როგორი ამოცანა წამოიჭრა ჩვენს წინაშე მ თ ე ლ ი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის მუშაობის გაშლისას. პარტიამ სწორედ ასე გაიგო თავისი მისია“ [1].

მე-14 ყრილობის შემდეგ პარტიამ მობილიზაცია უყო სახელმწიფოს ყველა მატერიალურ სახსრებსა და პროლეტარიატის ძალებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპების ყოველმბრივ დასაჩქარებლად, მე-15 ყრილობის შემდეგ შეუდგა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მშენებლობის გეგმის გადაჭრით გატარებას. თანდათან უფრო მეტი სიმკაცრით ანხორციელებდა რა კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკას და მჭიდროდ უტევდა რა მას, პარტიამ მიაღწია 1929 წლის ზაფხულისათვის ძირეულ გარდატეხას სოფლის მეურნეობის განვითარებაში — წვრილი, ინდივიდუალური მეურნეობიდან მსხვილ, კოლექტიურ მეურნეობისაკენ.

---

[1] ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 618.

ამავე დროს მოხდა გადამწყვეტი გარდატეხა შრომის ნაყოფიერების დარგშიაც: მასობრივ სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის განვითარება. ეს მომენტი იყო „ნახტომი“, გადასვლა დაჩქარებულ წინსვლელობაზე, ჩვენი პოლიტიკის გადამწყვეტი და ძირეული შებრუნება კულაკობის შეზღუდვიდან კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის პოლიტიკისაკენ, გადასვლა მთელ ფრონტზე კაპიტალიზმის მიმართ სოციალიზმის გაშლილ შეტევაზე.

პარტიის გენერალური ხაზი რეკონსტრუქტიულ პერიოდში ვითარდება კაპიტალიზმზე ორგანიზებულ შეტევის ნიშნის ქვეშ. ასეთია პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მსვლელობა სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების დასამთავრებლად. ასეთივეა კონკრეტულ მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკის განვითარების გზა, რომელსაც ამუშავებს პარტიის ციკა და მისი ბელადი ამხ. სტალინი.

რეკონსტრუქტიულ პერიოდში კლასობრივი ბრძოლის ფორმები განსხვავდება განვლილი ეტაპის კლასობრივი ბრძოლის ფორმებისაგან. სოციალიზმის გაშლილ შეტევაზე გადასვლას არ შეეძლო არ გამოეწვია ძველი ქვეყნის გააფთრებული წინააღმდეგობა და კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავება. გულმოდგინედ კონსპირირებული „ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ინ ტ ე ლ ი გ ე ნ ც ი ი ს ზედაფენის ბოროტი მავნებლობა ჩვენი მრეწველობის ყველა დარგებში, კ უ ლ ა კ ობ ის მხეცური ბრძოლა მეურნეობის კოლექტიური ფორმების წინააღმდეგ სოფლად, საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა საბოტაჟი ა პ ა რ ა ტ ის ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ის მხრით, რომლებიც წარმოადგენენ კლასობრივი მტრის აგენტურას, — ასეთია ჯერჯეროობით ჩვენი ქვეყნის მომაკვდავი კლასების მიერ წინააღმდეგობის გაწევის მთავარი ფორმები“ [1].

ბრძოლას კონდრატიევის, ჩაიანოვის, გრომანის მავნებლურ ბურჟუაზიულ თეორიებთან, ბაზაროვის, რუბინის, სუხანოვის მენშევიკურ იდეოლოგიასთან ჰქონდა უაღრესად პრაქტიკულ-პოლიტიკური მნიშვნელობა რეკონსტრუქტიული პერიოდის პირობებში. „თ უ მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ - ლ ე ნ ი ნ უ რ ი თ ე ო რ ი ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე შ ე უ რ ი გ ე ბ ე ლ ი ბ რ ძ ო ლ ა ა რ ვ ა წ ა რ მ ო ე თ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი თ ე ო რ ი ე ბ ის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა ს რ უ ლ ი გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა კ ლ ა ს ობ რ ი ვ მ ტ რ ებ ზ ე“ [2].

ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ და წვრილბურჟუაზიული სტიქიის გამოცოცხლებამ გამოხატულება ჰპოვეს

[1] ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 616.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 519. ხაზგასმულია ჩვენ მიერ. — ა ვ ტ.

პარტიის გენერალური ხაზიდან მემარჯვენე და „მემარცხენე“ გადახრების სახით, რომელნიც პარტიას ემუქრებოდენ სოციალისტური შეტევის პოლიტიკის ჩაშლით. ამასთანავე მემარჯვენე გადახრა (ბუხარინი, რიკოვი, ტომსკი), როგორც კულაკური აგენტურა პარტიის შიგნით, წარმოადგენდა ძირითად და უმთავრეს საფრთხეს მოცემულ ეტაპზე. მხოლოდ გადახრებთან დაუნდობელი ბრძოლით შესძლო პარტიამ იმ შედეგების მოპოება, რაც ჩვენ გვაქვს ამ ჟამად.

მარქსისტულ ფილოსოფიის წინაშე იდგა ამოცანა, რათა თეორიულად გაენადგურებია როგორც ამ გადახრების, ისე აშკარად მტრულ მავნებლურ მეთოდოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები. ამავე დროს ფილოსოფიურმა ხელმძღვანელობამ დებორინის მეთაურობით მოსწყვიტა ფილოსოფია პარტიის პოლიტიკიდან, სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკიდან, კონკრეტული მეცნიერებიდან. მან არა თუ ვერ შესძლო მტრული მეთოდოლოგიის გამომჟღავნება, არამედ თვით მოექცა რუბინშინის მავნებლურ კონცეპციის ტყვეობაში; მთელი რიგი წლების მანძილზე იგი მშვიდობიანად ეგუებოდა მას, ხოლო გადამწყვეტ მომენტში, ეკონომიური დისკუსიის დროს, დადგა რუბინის აქტიურად დაცვის პოზიციაზე, ათავსებდა მის წერილებს ჟურნალ „პოდ ზნამენემ მარქსიზმა“-ში და ხოტბას ასხამდა მას როგორც მარქსისტული პოლიტეკონომიის „გამაღრმავებელს“.

მტრული იდეოლოგიების დაწოლა გამოიხატა მექანისტური და იდეალისტური საფრთხის შემდგომ გაძლიერებაში. მარქსისტულ-ლენინური თეორიის სხვადასხვა დარგებში: ფილოსოფიაში, ბუნებისმცოდნეობაში, პოლიტეკონომიაში, ლიტერატურისმცოდნეობაში, ისტორიაში და სხ. ეს საფრთხე პარტიამ აღმოაჩინა თეორიის სხვადასხვა დარგებში ჩატარებულ მთელ რიგ დისკუსიებში.

ისტორიული მატერიალიზმის, პოლიტეკონომიის და სხ. დარგებში მარქსისტული დიალექტიკის მექანისტურმა რევიზიამ, ახალ ვითარებაში, ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის მკაცრად შეცვლილ პირობებში, მიიღო განსაკუთრებით აქტუალური, პოლიტიკური ხასიათი და გადაიქცა პარტიაში მემარჯვენე გადახრის თეორიულ დროშად. იმისათვის, რათა გაგვენადგურებია მემარჯვენე ოპორტუნიზმი, როგორც უმთავრესი საფრთხე პარტიაში, აუცილებელი იყო აგრეთვე გაგვენადგურებია ბუხარინის ფილოსოფიურ მექანისტურ შეხედულებათა მთელი სისტემა, რომლითაც ის ასაბუთებდა თავის ოპორტუნიზმს პოლიტიკაში. ამ პირობებში მექანიციზმი აღმოჩნდა უმთავრეს საფრთხედ.

* კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების რევიზიას, რასაც საფუძვლად ედო ბუხარინ-

ბოგდანოვის მექანისტური კონცეპცია, ხელი ჩასჭიდა აგრეთვე გრომანის — ბაზაროვის — სუხანოვის ჯგუფმა, რომელნიც მთლიანად იზიარებდენ ბოგდანოვის „ორგანიზაციული პროცესის" თეორიას, ე. ი. წონასწორობის თეორიას, და ცდილობდენ გაეტარებიათ იგი თავის პრაქტიკულ მუშაობაში დაგეგმვის, მომარაგებისა და სხვა დარგებში. ამრიგად მექანიციზმი ახალ ეტაპზე გადაიქცა არა მარტო მემარჯვენე გადახრის ფილოსოფიურ საფუძვლად, არამედ ბაზაროვ-გრომანის მენშევიკურ მაენებლურ ჯგუფის თეორიულ დროშად, კაპიტალისტური რესტავრაციის დროშად.

ამხ. სტალინმა თავის სიტყვაში აგრარულ დარგში მომუშავე მარქსისტების კონფერენციაზე მიუთითა თეორიული მუშაობის დაუშვებელ ჩამორჩენაზე სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული წარმატებებისაგან და ამ დაშორების უსწრაფესი აღმოფხვრის აუცილებლობაზე მარქსისტული თეორიის ცალკეულ დარგებში. „უნდა აღვიაროთ, — სთქვა ამხ. სტალინმა, — რომ, თეორიული აზრი უკან რჩება ჩვენს პრაქტიკულ წარმატებებს, რომ არსებობს ერთგვარი დაშორება პრაქტიკულ წარმატებებსა და თეორიული აზრის განვითარებას შორის. ამავე დროს აუცილებელია, რომ თეორიული მუშაობა არა თუ უკან არ რჩებოდეს პრაქტიკულ მუშაობას, არამედ წინ უსწრებდეს მას და აიარაღებდეს ჩვენს პრაქტიკოსებს მათ ბრძოლაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის"[1]. ამხ. სტალინმა სასტიკად გააკრიტიკა მთელი რიგი ოპორტუნისტული და ბურჟუაზიული, მავნებლური თეორიები, რომელთაც გასავალი ჰქონდათ ჩვენს ლიტერატურაში, და წამოაყენა თეორიული ფრონტის წინაშე როგორც ამ თეორიების აღმოფხვრის, ისე პრაქტიკის მიერ წამოყენებულ ახალ საკითხების დამუშავების ამოცანები.

მაგრამ დებორინის ხელმძღვანელობამ ფილოსოფიის დარგში ვერ შესძლო ვერც ერთი ამ ამოცანის წამოყენება არსებულ ფილოსოფიურ კადრების წინაშე, ვერ შესძლო ამ კადრების მობილიზირება, რათა ისინი დახმარებოდენ პარტიას რეკონსტრუქტიული პერიოდის სიძნელეების გადალახვის საქმეში. დებორინის ჯგუფი მას შემდეგაც განაგრძობდა თეორიის პრაქტიკიდან მოწყვეტის აღმოფხვრის ამოცანის უგულებელყოფას, რაც ამხ. სტალინმა წამოაყენა თეორიულ ფრონტზე შემობრუნების ლოზუნგი.

ამ ჯგუფს არ სურდა გაეგო ახალ ეტაპზე პარტიული ხაზის ამოცანები ფილოსოფიაში და იჩენდა თეორიულ სიბრმავეს, — ყოველივე

[1] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 518. — ხაზგასმულია ჩვენ მიერ. — ავტ.

ამას კი ჰქონდა ღრმა ფესვები კლასობრივი ბრძოლის პირობებში. ჯერ კიდევ ტროცკისტულ ოპოზიციასთან ბრძოლის დროს ამ ჯგუფის აქტიურ ნაწილს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ტროცკიზმთან, და იზიარებდა ტროცკისტულ ანტიპარტიულ თვალსაზრისს პოლიტიკაში. სისტემატიურად გვერდს უვლიდა რა ტროცკიზმისა და „მემარცხენე" გადახრების თეორიულ კრიტიკას, განაგრძობდა რა თეორიაში მთელ რიგ ტროცკისტულ შეხედულებათა დაცვას, ამით ფაქტიურად განაგრძობდა ტროცკისტული განწყობილებების შეტანას თეორიაში. ამავე დროს ამხ. დებორინის ჯგუფმა თავის დროზე არ აღმოუჩინა პარტიას დახმარება მემარჯვენე ოპორტუნიზმის გამომჟღავნების საქმეში. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მემარჯვენე გადახრა სავსებით დამარცხებული იყო პარტიის მიერ, დებორინის ჯგუფი ცდილობდა მექანიციზმის აბსტრაქტული კრიტიკა დაეკავშირებია მემარჯვენე ოპორტუნიზმის კრიტიკასთან პოლიტიკაში, მაგრამ ვერ შესძლო ამის ბოლომდე შესრულება მარქსიზმ-ლენინიზმისადმი თავისი რევიზიონისტული დამოკიდებულების გამო. დებორინის ჯგუფს არაფერი არ გაუკეთებია გრომანოვების, კონდრატიევების, ჩაიანოვებისა და მტრული კლასების სხვა იდეოლოგების ბურჟუაზიულ და მენშევიკურ მავნებლურ მეთოდოლოგიის გამოსამჟღავნებლად. პირიქით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დებორინის ჯგუფი თვით აღმოჩნდა პოლიტეკონომიაში რუბინშინის იდეალისტური თეორიის ტყვეობაში.

ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველების წითელ პროფესორთა ინსტიტუტის პარტიულმა ორგანიზაციამ სწორედ გაიგო ამხ. სტალინის მითითებანი, შესძლო გაეშალა დისკუსია დებორინის ჯგუფთან და მართებულად განსაზღვრა უთანხმოების ძირითადი ხაზები: „ფილოსოფიურ ფრონტზე მობრუნების აუცილებლობისა და ხასიათის შესახებ, ფილოსოფიის, ბუნებისმეტყველების და საერთოდ მთელი თეორიის პარტიულობის შესახებ, ლენინიზმის შესახებ ფილოსოფიაში როგორც ახალი საფეხური დიალექტიკური მატერიალიზმის განვითარებაში, ფილოსოფიასა და ბუნებისმეტყველებაში ორ ფრონტზე ბრძოლის გაშლის აუცილებლობის შესახებ, მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიის ახალ ამოცანების შესახებ სოციალისტურ მშენებლობის პრაქტიკასთან დაკავშირებით და სხ". [1].

დისკუსიის შემწეობით, პარტიის ცეკასა და ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, მოხერხდა გამოააშკარავებულიყო დებორინის ჯგუფის შეხედულებათა მომენშევიკო იდეალისტური ანტიპარტიული არ-

[1] ფილ. და ბუნებისმეტ. წით. პროფ. ინსტ. პარტიული უჯრედის რეზოლუციიდან, „პრავდა" 1931 წ. 26 იანვარი.

სობა. ფილოსოფიური დისკუსიის მსვლელობამ და შედეგებმა ერთხელ კიდევ გამოააშკარავა ის მეიდრო კაეშირი, რაც არსებობს ფილოსოფიასა და პოლიტიკას შორის, მეცნიერებასა და კლასობრივ ბრძოლას შორის, — რომ დაუშვებელია მათი როგორიც არ უნდა იყოს გათიშვა, განსაკუთრებით კი კლასობრივი ბრძოლის გამწვავების, კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციისა და მთელ ფრონტზე გაშლილი შეტევის პირობებში. დისკუსიამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ მცირეოდენ გადახრას სწორმარქსისტულ-ლენინურ პოზიციიდან თუნდაც თეორიის ყველაზე უფრო აბსტრაქტულ საკითხებშიაც კი ენიჭება ამჟამად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა და გამოხატავს გარკვეულ კლასობრივ პირობადებულობას, მიმართულს საბოლოო ანგარიშით პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში ჟურნალ „პოდ ზნამენემ მარქსიზმა"-ს შესახებ წამოაყენა მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიის დარგში ლოზუნგი „წარმოებულ იქნას განუხრელი ბრძოლა ორ ფრონტზე: მარქსიზმის მექანისტურ რევიზიასთან, როგორც თანამედროვე პერიოდის უმთავრეს საფრთხესთან, აგრეთვე ამხ. დებორინის, კარეევის, სტენისა და სხვათა ჯგუფის მიერ მარქსიზმის იდეალისტურ დამახინჯებებთან" [1], და მარქსისტულ ფილოსოფიასა და ჟურნალ „პოდ ზნამენემ მარქსიზმა"-ს დაუსახა მიზნად — „აწარმოონ გადამწყვეტი ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზისათვის, მისგან ყოველგვარი გადახრების წინააღმდეგ, თანმიმდევრობით გაატარონ მთელ თავის მუშაობაში ფილოსოფიის პარტიულობის ლენინური პრინციპი" [2].

„სწყვეტდა რა ფილოსოფიას პოლიტიკიდან, — ნათქვამია ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაში, — არ ატარებდა რა მთელ თავის მუშაობაში ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველობის პარტიულობას, ჟურნალ „პოდ ზნამენემ მარქსიზმა"-ს ხელმძღვანელი ჯგუფი ანახლებდა მეორე ინტერნაციონალის ერთ ყველაზე უფრო მავნე ტრადიციასა და დოგმას — გათიშვას თეორიასა და პრაქტიკას შორის და ეშვებოდა მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებში მომენშევიკო იდეალიზმის პოზიციაზე" [3].

---

[1] „პრავდა", 1931 წ. 26 იანვარი.

[2] იქვე.

[3] იქვე, ხაზგასმულია ჩვენ მიერ. — ავტ.

პარტიამ სერიოზული ყურადღება მიაქცია თეორიულ დარგს დაშეიტანა იგი, როგორც შემადგენელი რგოლი, კაპიტალიზმის მიმართ მთელ ფრონტზე სოციალიზმის გაშლილი შეტევის საერთო ჯაჭვში.

ცხოვრებამ დღის წესრიგში წამოაყენა ამოცანა, რათა მტკიცედ ტარდებოდეს მეცნიერების პარტიულობის ლენინური პრინციპი, რათა მეცნიერება ექვემდებარებოდეს პარტიული პოლიტიკის ამოცანებს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. პარტიამ მოითხოვა თეორიაში შეურიგებელი ბრძოლა ორ ფრონტზე და ყოველგვარი მტრული გავლენების აღმოფხვრა მეცნიერებაში.

III. დიალექტიკური მატერიალიზმის მექანისტური რევიზია და მემარჯვენე ოპორტუნიზმი

როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, თანამედროვე მექანისტები წარმოადგენენ რევიზიონისტულ ჯგუფების უპრინციპო ბლოკს: ჩვენ აქ გვყავს მექანისტები - ბუნებისმეტყველნიც (ტიმირიაზევი, პეროვი), ბუხარინის ბოგდანოვისეულ-მექანისტური ჯგუფიც, მენშევიკებიკანტიანელებიც (აკსელროდი), მექანისტები - ფრეიდისტებიც (ვარიაში) და სუბიექტურ იდეალიზმისაკენ დაქანებული პოზიტივისტებიც (სარბიანოვი).

მიუხედავად ფილოსოფიურ შეხედულებათა სხვადასხვა ელფერისა; მიუხედავად ნ.ი. ბუხარინისა და ლ. აკსელროდის პოლიტიკურ შეხედულებათა მთელი განსხვავებისა, მათ ყველას აერთიანებს დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძვლების რევიზია, მატერიალისტური დიალექტიკის შეცვლა მექანისტური მეთოდოლოგიით. მათ ყველას აერთიანებს ის, რომ არ გაეგებათ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პარტიულობა და მექანიციზმის კლასობრივი ფესვები, მათთვის დამახასიათებელია მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკის, როგორც მეცნიერების უარყოფა.

ყველა მექანისტების საერთო თვისება, განუწყვეტლად დაკავშირებული მათ მიერ რევოლუციური დიალექტიკის გაუგებლობასთან, — ეს არის ის, რომ მათ არა აქვთ ისტორიზმი, არ გაეგებათ თეორიის პარტიულობა და თეორიის ერთიანობა რევოლუციურ პრაქტიკასთან. სესხულობენ რა წინანდელ რევიზიონისტებისაგან გაცვეთილ, გადაღეჭილ „საბუთებსა“ და სოფიზმებს მატერიალისტური დიალექტიკის წინააღმდეგ, მექანისტები ივიწყებენ და რევიზიას უწევენ დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითად დებულებას, რომ ყოველი თეორია განისაზღვრება რევოლუციური პრაქტიკით. მექანისტებსა და მომენშევიკო იდეალისტებს, მთელი რიგი წლების განმავლო-

პაში რომ უწეოდენ დისკუსიას, ერთხელაც არ დაუსვამთ თავისთავისათვის კითხვა: რომელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობებთან, რომელი კლასების იდეოლოგიასთან იყო დაკავშირებული ისტორიულ წარსულში მექანისტური მატერიალიზმი, რომელ კლასებთანაა იგი დაკავშირებული ამჟამად? მექანისტებს რომ შესძლებოდათ ამ საკითხის თავის წინაშე დასმა, მაშინ ისინი მყისვე გამოააშკარავებდენ თავიანთ თავს როგორც წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგებს.

სანამ პროლეტარიატი გამოვიდოდა ისტორიული ბრძოლის სარბიელზე, ძველი მექანისტური მატერიალიზმი იყო რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი თ ე ო რ ი ა. მიუხედავად თავისი ნაკლულოვანებებისა, იგი იყო რევოლუციური იარაღი საფრანგეთის მოწინავე ბურჟუაზიის ხელში ფეოდალიზმთან და რელიგიასთან, როგორც საშაულო საუკუნოებრივი რეაქციის დასაყრდენთან ბრძოლაში; იგი იყო რევოლუციური თეორიული საფუძველი იმ პირველი სოციალისტური და კომუნისტური მოძღვრებისათვის, რომელნიც წარმოიშვენ ჯერ კიდევ პროლეტარიატის დამოუკიდებელი მოძრაობის წინ. ფეიერბახის მატერიალიზმი დაპირდაპირებული გერმანიის რადიკალური ბურჟუაზიის მიერ წინანდელ იდეალიზმისადმი, განსაზღვრულ ისტორიულ ეტაპზე იყო აგრეთვე რევოლუციური. მაგრამ მარქსისა და ენგელსის დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ მატერიალიზმის წარმოშობიდანვე და ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის პირველ ბრძოლებისთანავე ძველმა, მეტაფიზიკურმა მატერიალიზმმა იწყო შემობრუნება თავისი რეაქციური მხრით მარქსიზმის წინააღმდეგ, და თანდათან უფრო მეტად გადაიქცა „გაუბედავ დასახიჩრებულთა და მოწუწუნე მრეწველების თავშესაფარად". ფეიერბახის შეზღუდულ მატერიალიზმის ფილოსოფიურ საფუძველზე, ხელი ჩასჭიდა რა მის „იდეალიზმს" და მკვრეტელობით, მეტაფიზიკურ ხასიათს, მედიდურად გაიფურჩქნა გრიუნის რეაქციური წვრილბურჟუაზიული „ეშმარიტი" სოციალიზმი გერმანიაში, რომელთანაც მარქსი და ენგელსი აწარმოებდენ ბრძოლას ჯერ კიდევ 1848 წ. რევოლუციამდე. მკვრეტელობით მატერიალიზმთან, რომელიც გამოხატავდა წვრილი ბურჟუაზიის გაუბედაობას, პასიურობას, არათანმიმდევრობას, მარქსსა და ენგელს მოუხდათ ეწარმოებიათ მედგარი ბრძოლა ათეული წლების განმავლობაში, იმიტომ რომ არათანმიმდევრობითი მატერიალიზმის ეს ფორმები წარმოადგენდნენ სოციალიზმის მრავალრიცხოვან წვრილბურჟუაზიულ მიმდინარეობათა თეორიულ საფუძველს. მხოლოდ რეაქციურ წვრილბურჟუაზიულ მიმდინარეობებთან დაულალავი ბრძოლით გადაიქცა მარქსიზმი გაბატონებულ მოძღვრებად პროლეტარიატის რიგებში.

მარქსისა და ენგელსის მთელი ბრძოლა არათანმიმდევრულ მატერიალისტ დიურინგთან, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ვარდებოდა იდეალიზმში, და მის მოიხრეებთან — მემარცხენე ფრაზიორ მოსტთან და ოპორტუნისტ ფოლმართან, ბერნშტეინთან და სხვებთან, — გვიჩვენებს აგრეთვე, რომ არათანმიმდევრული მექანისტური მატერიალიზმი მარქსიზმისათვის უცხო იდეოლოგიაა.

მაგრამ მექანიციზმი ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი მეთოდოლოგია იყო არა მარტო წარსულში: მექანიციზმი იდეალიზმთან ერთად ამჟამადაც საკმაო როლს ასრულებს ბურჟუაზიულ თეორიაში. წონასწორობის მექანისტური თეორია წარმოადგენს ნელ და წყნარ თანდათანობითი განვითარების ბურჟუაზიულ ევოლუციური თეორიის, კაპიტალისტური წყობილების „წონასწორობაში“ შენარჩუნების მოძღვრების თეორიულ დასაბუთებას. სოციალ-ფაშიზმიც (კაუცკი და სხ.) ამკვარათვე ასაბუთებს საზოგადოების წონასწორობის თეორიითა და საზოგადოების გარემო-ბუნებრივ წრესთან შეგუების აუცილებლობით მის განვითარებაში, თავის სიძულვილს პროლეტარული რევოლუციისადმი. საბჭოთა პირობებში სწორედ ამ ბურჟუაზიული იდეოლოგიის იარაღს წარმოადგენდნენ „ჩვენი“ მექანისტების შეხედულებანი.

თანამედროვე მექანისტები კვლავ უწოდებენ თავიანთ თავს დიალექტიკურ მატერიალისტებს. სიტყვით ბუხარინიც, აკსელროდიც, სარბიანოვიც, ვარიაშიც და სხვებიც „აღიარებდენ“ და „იცავდენ“ დიალექტიკას.

საქმით კი ისინი „იცავდენ“ მექანიციზმს მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი დიალექტიკისაგან, რევოლუციურ მარქსიზმ-ლენინიზმისაგან. განა პირდაპირი დაცინვა არაა მარქსიზმზე, როდესაც ბუხარინი ამტკიცებდა, რომ მის მიერ მარქსისტულ ფილოსოფიაში ახლად შეტანილის „საერთო ტენდენცია მიიმართება მარქსიზმის ორტოდოქსალურ, რევოლუციურ გაგების განვითარების ხაზითო“? სინამდვილეში კი ნ.ი. ბუხარინი ათეულ წელზე მეტ ხანს ეწეოდა პროპაგანდას წონასწორობის ბურჟუაზიული თეორიის სასარგებლოდ. განა საოცარი არაა, რომ ახლაც კი, როდესაც ეს თეორიები საესებით დამარცხებულია სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკით, ამხ. ბუხარინი არ იღებს ხელს თავის შემცდარ მექანისტურ ფილოსოფიაზე! ეს ეხება აგრეთვე დანარჩენ მექანისტებსაც — ტიმირიაზევს, აკსელროდსა და სხვებს, რომლებიც მთელი რიგი წლების განმავლობაში იბრძოდენ მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიის წინააღმდეგ, დევნიდენ მას თეორიულ ბუნებისმცოდნეობის დარგიდან და ამასთანავე ფიცულობდენ ერთგულებას დიალექტიკური მატერიალიზმისადმი.

რა მოსაზრებებს აყენებდენ დღემდე მექანისტები მატერიალისტური დიალექტიკის წინააღმდეგ და მექანისტური მსოფლმხედველობის სასარგებლოდ?

უწინარეს ყოვლისა, ბაძავდენ რა თავიანთ რევიზიონისტულ წინამოადგილეებს — ბოგდანოვებსა და დიალექტიკურ მატერიალიზმის სხვა „გამანადგურებლებს“, თანამედროვე მექანისტებმა კვლავ წამოაყენეს ძირითად არგუმენტად დიალექტიკის წინააღმდეგ დიალექტიკური მატერიალიზმის გაიგივეება „თანამედროვე ბუნებისმეტყველების“ და დადებითი მეცნიერების უკანასკნელ დასკვნებთან, რომელნიც თითქო მოითხოვენ მარქსის, ენგელსისა და ლენინის შეხედულებათა რევიზიას. მეორე „საბუთად“ მათ მოჰყავდათ შიშველი ფრაზა დიალექტიკაში მისტიციზმისა და თეოლოგიის ელემენტების არსებობის შესახებ: ამასთანავე ისინი მარქსისტული დიალექტიკის ნაცვლად აყენებდენ ჰეგელის იდეალისტურ დიალექტიკას. ეს გაცვეთილი ხერხი, რომლითაც მუდამ სარგებლობდენ რევიზიონისტები მარქსიზმის მთელი ისტორიის მანძილზე, რატომღაც მოეწონა ნ.ი. ბუხარინსაც. იმისათვის, რათა უფრო ადვილად დაამარცხოს მარქსის დიალექტიკა, ის გამუდმებით ებრძვის ჰეგელის ტრიადას და ამაში ჰგონია მარქსისტული დიალექტიკის დედაარსი; ამ საქმეში ის ბაძავს მიხაილოვსკის, ბოგდანოვს და სხვა მახისტ-პოზიტივისტებს, სოციალ ფაშისტ ბაუერს, ადლერს და სხ. დანარჩენი მექანისტები — აკსელროდი, ვარიაში — ებრძოდენ მარქსისტულ-ლენინურ დიალექტიკას „დებორინის სქოლასტიკასთან“ ბრძოლის დროშით.

მექანისტების მესამე საბუთია — აპელაცია ემპირიისადმი. ამ მხრივ მექანისტები სავსებით გაჰყვნენ ძველ ეულგარულ მატერიალისტებს, რომელთაც ჯერ კიდევ ენგელსი უწოდებდა საცოდავ, არარა მენამცეცეებს, რომელთაც ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამთ წინ თეორიის განვითარებაში. ისინი შესაძლებლად სთვლიდენ შეეცვალათ მარქსისტული თეორია ვიწრო საქმოსხობით, ეულგარული ემპირიზმით, ააშკარავებდენ რა რევოლუციური თეორიის მნიშვნელობის სრულ უცოდინარობას. ასეთია მექანისტების ძირითადი „საბუთები“, რომელნიც მთლიანად არავითარ ახალს არ წარმოადგენენ მარქსიზმისა და პარტიისათვის.

მექანისტებმა მარქსიზმის მექანისტური დამახინჯების იგივე ხერხები შეინარჩუნეს, რაც ჰქონდათ ყველა რევიზიონისტებს. მუდმივად თავის დაძვრენა საკითხის დედაარსიდან, მარქსის, ენგელსის, ლენინის მოძღვრებაში უმთავრესის მიჩქმალვა და გვერდის ავლა, ცალკე ამონაწერების ამოგლეჯა და მათი წინასწარ განზრახვით და-

მახინჯება იმისათვის, რათა შეუფარდონ მარქსიზმი მექანიციზმს, ხოლო მარქსი, ენგელსი და ლენინი — მექანისტებს, სოფისტიკა და ეკლექტიკა მექანისტების ყველა ნაწერებში, — აი ის ძველი რევიზიონისტული ხერხები, რომლის შემწეობითაც მექანისტები მთელი რიგი წლების მანძილზე სისტემატიურად ამახინჯებდენ მარქსიზმ-ლენინიზმს.

ასეთივეა ბუხარინის დამოკიდებულება ისტორიული მატერიალიზმის თეორიისა და მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის ფილოსოფიური საფუძვლებისადმი. ისტორიული განვითარებისა და კაპიტალისტური ეკონომიური ფორმაციის დიალექტიკურ კანონებს ბუხარინი აქცევს წონასწორობის მეტაფიზიკურ კანონებად, სცვლის რა მარქსიზმს ბურჟუაზიული სოციოლოგიით, დიალექტიკას — ევოლუციონიზმით. ასეთივეა ტიმირიაზევისა და სხვა მექანისტების დამოკიდებულება ენგელსისადმი: ისინი აწარმოებენ ენგელსის „ბუნების დიალექტიკის“ მექანისტურ დამახინჯებას და უარყოფენ ენგელსის დიალექტიკას იმ საბაბით, რომ აუცილებელია ენგელსის მატერიალიზმის ვითომდა მოძველებული ფორმების გადათვალიერებაო.

❧ როგორღა ეპყრობიან მექანისტები ლ ე ნ ი ნ ი ს ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ა ს? მექანისტები საესებით უგულებელსყოფდენ ლენინის შრომებს დიალექტიკისა და ბუნებისმცოდნეობის დარგში. ბუხარინის მიმართ აქ სავსებით მართლდება ამხ. სტალინის სიტყვები „სწავლადაუსრულებელ თეორეტიკოსის ჰიპერტროფირებულ პრეტენციოზულობის“ შესახებ. ლენინიზმი, როგორც ახალი ეტაპი დიალექტიკური მატერიალიზმის განვითარებაში, ამხ. ბუხარინისათვის არ არსებობს, ხოლო რაც შეეხება აკსელროდს, ის ხომ დიდი სნიდანვე აწარმოებს სისტემატიურ ბრძოლას ლენინის რევოლუციურ დიალექტიკასთან.

სხვა მექანისტები, მაგალითად ვარიაში, თავიანთ შრომებში ცდილობენ გადააქციონ ლენინი მექანიციზმისა და მენშევიზმის აპოლოგეტად, არაკეთილსინდისიერად ცდილობენ შეაპარონ ლენინს მექანისტური ფორმულირებანი, ბეჯითად უვლიან გვერდს საკითხს ლენინისა და ჩვენი პარტიის ბრძოლის შესახებ მენშევიზმთან და მატერიალისტური დიალექტიკის, პოლიტიკის, ტაქტიკის მენშევიკურ დამახინჯებასთან.

ჩვენი მექანისტების სიბრმავე მენშევიკური საფრთხის მიმართ, მათი სურვილი, რომ მიჩქმალონ ეს საშიშროება, ააშკარავებს თანამედროვე მექანიციზმის წვრილბურჟუაზიულ ბუნებას. ეს კიდევ უფრო მეტად მტკიცდება იმით, რომ მექანისტებს ა რ ს ურ თ შ ე ი ს წ ა ვ ლ ო ნ ლენინის რევოლუციური დიალექტიკა, ებრძვიან მას, რყვნიან, ამახინჯებენ მას. ისინი უგულებელსყოფენ ლენინის მიერ წამოყენებულ

დიალექტიკის თეორიის შესწავლის ამოცანას, და მარქსის, ენგელსის დიალექტიკის შესწავლის პრობლემას.

ეს მექანისტები ყოველივე საშუალებით ანახლებენ და აღრმავებენ პლეხანოვის თეორიულ შეცდომებს. თავიანთი მექანისტური მსოფლმხედველობის დასასაბუთებლად და ენგელსის მატერიალიზმის უარსაყოფად აკსელროდი, ტიმირიაზევი, პეროვი და სხ., ხოლო თავის დროზე ამხ. სტეპანოვიც პლეხანოვზე მიუთითებდენ, პლეხანოვის შეცდომები მათ აიყვანეს ანტიმარქსისტულ შეხედულებათა მთელ სისტემამდე.

მოკლედ მექანისტების რევიზიონისტული თვალსაზრისი შემდეგში მდგომარეობს:

1. დიალექტიკური მატერიალიზმის გაიგივეება თანამედროვე მექანისტურ მსოფლმხედველობასთან; ფილოსოფიური მატერიალიზმის, როგორც პროლეტარიატის მსოფლმხედველობის გაიგივეება თანამედროვე ბუნებისმცოდნეობასთან და „პოზიტიური მეცნიერების უკანასკნელ დასკვნებთან". აქედან — ლიკვიდაცია მატერიალისტური დიალექტიკისა როგორც ფილოსოფიური მეცნიერებისა. აქედან — პოზიტივიზმი, ეულგარული ემპირიზმი, პრაქტიკის დაშორება თეორიისაგან, რევოლუციური თეორიის დამუშავების უგულებელყოფა.

2. რევიზია ასახვის მატერიალისტური თეორიისა და დაშვება აგნოსტიციზმისაკენ, პოზიტივიზმისაკენ, კანტიანობისაკენ, იდეალიზმისაკენ.

3. უარყოფა დიალექტიკისა, როგორც შემეცნების თეორიისა· შემეცნების თეორიის დაპირდაპირება დიალექტიკისადმი. რევიზია დიალექტიკისა როგორც ბუნების, საზოგადოების და აზროვნების განვითარების საყოველთაო კანონების მეცნიერებისა. დიალექტიკის შეცვლა მექანიკით, ევოლუციონიზმით და წონასწორობის თეორიით. მექანისტებს არ გაეგებათ დაპირისპირებული ერთიანობის კანონი და სცვლიან მას წინააღმდეგობათა შერიგებით სხვადასხვანაირად მიმართულ ძალთა შეჯახებით. აქედან — უარყოფა თვისობრივობის ობიექტური ხასიათისა და ამით უარყოფა თვისობრივ ნასტომისებურ განვითარებისა. დიალექტიკური მიზეზობრივობის დაყვანა მექანისტურამდე. შემთხვევითობისა და აუცილებლობის დიალექტიკური ერთიანობის უარყოფა. აქედან — ფატალიზმი, თვითდენის თეორია, კუდში მაჩანჩალობა, პროლეტარიატის აქტიური რევოლუციური როლის, რევოლუციური პოლიტიკის გაუგებლობა. ისტორიული მატერიალიზმის დარგში — მარქსისტული მოძღვრების რევიზია კლასობრივი ბრძოლის, პროლეტარიატის დიქტატურის, კლასების მოსპობის შესახებ, ე.ი. რევიზია მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკის საფუძვლებისა.

4. დიალექტიკური ლოგიკის შეცვლა ფორმალური ლოგიკით ეკლექტიკითა და სქოლასტიკით.

საბოლოოდ ვიღებთ რევოლუციურ მარქსისტულ ლენინურ პოზიციების უპირინციპო დათმობას და მარქსიზმის გათქვეფას წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგიაში.

ასეთია ძირითადათ თანამედროვე მექანიციზმის დედაარსი. უეჭველია, რომ მექანიციზმს არაფერი საერთო არა აქვს პროლეტარიატის რევოლუციურ თეორიასთან.

პარტიამ არაერთხელ უკუაგდო თავის რიგებში მარქსიზმ-ლენინიზმზე თავდასხმა წვრილბურჟუაზიულ აგენტურის მხრივ, რომელიც ცდილობდა შეეცვალა თანმიმდევრობითი მატერიალიზმი რომელიმე ძველი თეორიული მაკულატურით. ასეთსავე ისტორიულ ნაგავს წარმოადგენს მექანისტური მეთოდოლოგია, რომელიც პირველ პრაქტიკულ გამოცდისთანავე აღმოჩნდა კულაკური აგენტურის იარაღი, მიმართული პარტიის წინააღმდეგ, სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ. მეთარჯვენეთა მექანისტური მეთოდოლოგია უკვე დამარცხებულია პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის რევოლუციური პრაქტიკით. მასების რევოლუციური ბრძოლის ცეცხლში, ცოცხალი პრაქტიკის ცეცხლში მექანიციზმმა ვერ გაუძლო კრიტიკულ გამოცდას. მარქსისტული მოძღვრების ძირითად პუნქტს, რომ რევოლუციური თეორია „საბოლოოდ ყალიბდება მხოლოდ ნამდვილ მასობრივ და ნამდვილ რევოლუციურ მოძრაობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში“,[1] ამ პუნქტს თანამედროვე დამპალი მექანიციზმის თეორეტიკოსებმა ლაჩრულად აუარეს გვერდი, მათ იგი „დაივიწყეს“.

რომელ კლასობრივად უცხო გავლენის ანარეკლს წარმოადგენს პარტიის რიგებში მექანიციზმი, რომელ იდეურ-პოლიტიკურ მიმდინარეობებთანაა იგი დაკავშირებული წარსულში, რომელი კლასებისა და კლასობრივ დაჯგუფებათა მსოფლმხედველობას წარმოადგენს იგი ჩვენს ეპოქაში? თუ ჩვენ ყოველმხრივ არ გავარკვიეთ ეს საკითხები, არ გავარკვიეთ ის, თუ რა პოლიტიკურ შედეგებთანაა დაკავშირებული მათი თეორიული შეცდომები, უამისოდ მექანისტების კრიტიკა იქნებოდა სანახევრო, ცალმხრივი. დებორინის ჯგუფი აკრიტიკებდა მექანისტებს აბსტრაქტულად, „პროფესორულად“, აკრიტიკებდა მათ იდეალისტური დიალექტიკის პოზიციიდან, არ უკავშირებდა თავის კრიტიკას პარტიის რევოლუციურ პრაქტიკასა და პოლიტიკას. ამიტომ მათმა კრიტიკამ, ჰქონდა რა ზოგიერთი დადებითი მნიშვნელობა, ვერ შესძლო ბოლომდე გამოეაშკარავებია მექანისტები, იმიტომ რომ თვით

[1] ლენინი, ტ. XXV, გვ. 174. ხაზგასმულია ჩვენს მიერ — ავტ.

ეს კრიტიკა სწარმოებდა ანტილენინური პოზიციიდან. კიდევ მეტი, მთელ რიგ საკითხებში დებორინელები უერთდებოდენ მექანისტებს.

ახლა განვიხილოთ უფრო ახლო მექანისტების ძირითადი თეორიული შეცდომები.

ა) მექანისტების პოზიტივიზმი და მათ მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის ფილოსოფიის უარყოფა

არ გაეგებათ რა რევოლუციური პრაქტიკის კლასობრივი ხასიათი, მექანისტებს არ გაეგებათ აგრეთვე რევოლუციური თეორიის როლი და მნიშვნელობა. ისინი ეშვებიან საძაგელ, ვულგარულ ემპირიზმისაკენ, ფილოსოფიის უარყოფისაკენ, მატერიალისტური დიალექტიკის უარყოფისაკენ.

„არსებობს თუ არა დიალექტიკა როგორც განსაკუთრებული მეცნიერება, თუ იგი არის მეთოდი?" — კითხულობენ ჭეშმარიტად „მეტაფიზიკური თავები" მექანისტური ბანაკიდან. ისინი ამაზე იძლევიან საოცრად უცოდინარ რევიზიონისტულ პასუხს, რომ ლაპარაკი დიალექტიკაზე როგორც მეცნიერებაზე და მით უმეტეს ლაპარაკი რაღაც დიალექტიკაზე, მაგალითად ბუნებისმეტყველებაში, — ესაა „სქოლასტიკა", „მისტიკა", „მოუფიქრებლობა" და სხ. „მეცნიერება თავისთავად ფილოსოფიაა", — აცხადებენ მექანისტები, რომლებიც კუდში მიჩანჩალებენ საძაგელ, ვულგარულ ემპირიკოსებს. „მარქსისტებისათვის არ არსებობს რაღაც „ფილოსოფოსობის" დარგი, განცალკევებული და განკერძოვებული მეცნიერებისაგან: მარქსისტებისათვის მატერიალისტური ფილოსოფია — ესაა თანამედროვე მეცნიერების უკანასკნელი და ყველაზე უფრო ზოგადი დასკვნები",[1] — სწერდა სტეპანოვი, რომელიც წამოეგო იმ ბურჟუაზიულ პროფესორების ანკესზე, რომელთაც „განდევნეს" დიალექტიკა მეცნიერებიდან. აკსელროდი, ბუხარინი და სხვა მექანისტები ცდილობდენ ასე თუ ისე დაეახლოებიათ მარქსიზმის ფილოსოფია „თანამედროვე" მეცნიერებასთან, „ბუნებისმეტყველების თანამედროვე დასკვნებთან", მოესპოთ მარქსისტული დიალექტიკა როგორც ფილოსოფიური მეცნიერება, აცხადებდენ რა მას „დრომოჭმულ სქოლასტიკად". ამ მხრივ მექანისტები გარკვეულად მიჰყვებიან წინანდელ რევიზიონისტების ნაკვალევს და კუდში მიჩანჩალებენ მეორე ინტერნაციონალის მენშევიზმს. მარქსიზმს არა აქვს საკუთარი ფილოსოფია, — ამბობს თანამედროვე სოციალ-ფაშისტი მ. ადლერი. მარქსიზმის შეთავსება შეიძლება ყოველ-

---

[1] სტეპანოვი, ისტორიული მატერიალიზმი და თანამედროვე ბუნებისმცოდნეობა. გვ. 57, 1925 წ.

გვარ ფილოსოფიასთან, — ქადაგობს ამჟამად სოციალ-ფაშისტი კაუცკი. მარქსიზმი საკუთარი შეიძლება შეთავსებული იქნას კანტიანელობასთან, — ამბობდენ წინათ სტრუე, ბერნშტეინი, ფორლენდერი და ბურჟუაზიის სხვა თეორეტიკოსები. ახლა დიალექტიკის „გამანადგურებელთა“ ამ გალერეიას მიემატენ ჩვენი მექანისტები. მათი ლოზუნგი: „მეცნიერება თავისთავად ფილოსოფიაა“ — ესაა მარქსისტული ფილოსოფიის ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ო ბ ა. იგი მოასწავებს ხელის აღებას რევოლუციურ მატერიალისტურ დიალექტიკაზე, ე.ი. მარქსიზმზე.

როდესაც ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წლებში მინინმა წამოისროლა ლოზუნგი: „გ ა დ ა ვ ა გ დ ო თ ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა ო“, მას პარტიის რიგებში გაუწიეს გადამწყვეტი წინააღმდეგობა როგორც მტრულ გამოსვლას. ბინინშინა იყო პარტიაში წვრილბურჟუაზიული ქანაობის გამოვლინება თეორიულად მერყევ ელემენტების მხრივ. ასეთივე ცარიელი წვრილბურჟუაზიული პრეტენზია — „დასძლიონ“ მარქსისტული ფილოსოფია, ე. ი. უკუაგდონ იგი, რაც თავის დროზე გაისმა მინინის ლოზუნგში, მოსჩანს თანამედროვე მექანისტების ლოზუნგშიაც. მინინი აშკარად იძლეოდა წინადადებას „გადაგვეგდო“ მარქსიზმის ფილოსოფია, ხოლო ჩვენი მექანისტები წინადადებას იძლევიან „შევცვალოთ“ იგი „თანამედროვე მეცნიერების“ დასკვნებით. მაგრამ დედააზრი რჩება ერთიდაიგივე — მისწრაფება, რათა მოსპონ მარქსისტული ფილოსოფია, როგორც მეცნიერება.

მექანისტ-ბუნებისმცოდნეთათვის ეს მისწრაფება მოასწავებს პირდაპირ ხელის აღებას მარქსიზმის დაცვაზე, თანმიმდევრობითი მატერიალისტური ხაზის გატარებაზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში. დიალექტიკაზე ხელის აღება მოასწავებს მატერიალისტური ფრონტის შესუსტებას იდეალიზმთან ბრძოლაში, მატერიალისტური პოზიციების დათმობას კლასობრივი მტრის წინაშე.

მექანისტებს ფილოსოფიიდან თავის განთავისუფლება შეუძლიათ მხოლოდ თავიანთ წარმოდგენაში. სინამდვილეში კი დღემდე არასოდეს არც ერთი მეცნიერებას არ შეეძლო ეარსება და არ შეუძლია იარსებოს ისე, თუ არა აქვს ფილოსოფიური საფუძველი, თუ არა აქვს ნათელი პასუხი ელემენტარულ კითხვაზე იმის შესახებ, თუ .რა აიღოს გამომავალ წერტილად: მატერია თუ აზროვნება, — თუ არა აქვს ნათელი პასუხი კითხვაზე,—რას ვიკვლევთ ჩვენ: ნამდვილ ობიექტურ, ცნობიერების დამოუკიდებლად არსებულ სამყაროს და მის ობიექტურ კანონებს, როგორც ამას გვასწავლის მატერიალიზმი, თუ საფუძვლათ უდებთ ილუზიების, შეგრძნობის ფანტასტიურ სამყაროს და მის კანონებს, გამოგონილს ადამიანების მიერ, — როგორც ჰფიქრობენ იდეალისტები. არც ერთი მეცნიერება არ შეიძლება, თუ მას არა აქვს

მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს თ ე ო რ ი ა, ვინაიდან აზროვნების გარეშე შეუძლებელია დაკავშირებული იქნას ორი უმარტივესი ბუნებრივმეცნიერული ფაქტი, რომ არაფერი ვთქვათ უკვე კანონზომიერ ურთიერთობათა შესწავლის შესახებ ბუნებასა და საზოგადოებაში. სწორედ ასევე არც ერთი მეცნიერებას არ შეუძლია იარსებოს, თუ არა აქვს ნათელი პასუხი კითხვაზე სამყაროს შეცნობის შესაძლებლობის შესახებ.

როგორადაც არ უნდა გაჰყვიროდენ მექანისტები ფილოსოფიის წინააღმდეგ, ისინი მას გვერდს მაინც ვერ აუვლიან. ხოლო ვინაიდან კლასობრივ საზოგადოებაში არსებობს მხოლოდ ო რ ი ძ ი რ ე უ ლ ი მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა შ ი — მატერიალიზმი და იდეალიზმი, ამით ისინი სდგებიან რომელიმე გარკვეული მიმართულების მხარეზე, ვინაიდან „წარმოსახულ შუაგულის“ საძაგელი და მხდალი პარტია წოდებული პოზიტივიზმად, აგნოსტიციზმად და სხ., არის აგრეთვე რომელიმე ერთი ძირითადი მიმართულების გამოხატულება, მხოლოდ მეშჩანურ ცრურწმენათა ნაგვით აღვსილი.

„ბუნებისმეტყველთ, — ამბობს ენგელსი, — ჰგონიათ, რომ ისინი თავისუფლდებიან ფილოსოფიისაგან, როდესაც უგულებელყოფენ ან აძაგებენ მას. მაგრამ ვინაიდან აზროვნების გარეშე მათ არ შეუძლიათ ერთი ნაბიჯით მაინც წაიწიონ წინ, ხოლო აზროვნებისათვის აუცილებელია ლოგიკური განსაზღვრანი... საბოლოოდ ისინი მაინც ექცევიან ფილოსოფიის ტყვეობაში, მაგრამ სამწუხაროდ უფრო ხშირად ყველაზე უსაძაგლესი ფილოსოფიისა; და აი, ის ადამიანები, რომელნიც განსაკუთრებული გულმოდგინეობით აძაგებენ ფილოსოფიას, ხდებიან ყველაზე უცუდეს ფილოსოფიურ სისტემების ყველაზე უცუდეს ვულგარიზირებულ ნაშთების მონებათ“[1].

ერთადერთ გამოსავალად იმ ჩიხიდან, რომლშიაც მივყევართ ზერელე ნატურალიზმსა და ემპირიზმს ბუნებისმეტყველების დარგში, ენგელსი სთვლის მეტაფიზიკური აზროვნებიდან დიალექტიკურზე გადასვლას. საძაგელი ემპირიზმის გულისთვის აკრიტიკებდა ენგელსი ვულგარულ მატერიალისტებს—ბიუხნერს, ფოხტს და სხ., აკრიტიკებდა იმისათვის, რომ ისინი, როგორც ჩვენი მექანისტებიც, ქედმაღლად დაჰყურებდენ დიალექტიკას, უგულებელსყოფდენ ფილოსოფიას და, როგორც ენგელსი ამბობს, არ ჰქონდათ რა არავითარი მოწოდება თეორიის შემდგომი დამუშავებისათვის, „ერთი ნაბიჯითაც ვერ გაუსწრეს თავიანთ მასწავლებლებს“, ფრანგ მატერიალისტებს. ჩვენი მექანისტები, თითქო ენგელსის დაცინვისათვის, ახლა კვლავ ცდილობენ ჩაგვითრიონ ჩვენ ბიუხნერების ვულგარულ ემპირულ ჭაობში. „მოლე-

[1] ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 21-22.

შოტის, ფოსტის და ბიუხნერის სახელები,— სწუხს მექანისტი ბორიჩევსკი, — დღემდე რჩება „ვულგარულ“ მატერიალიზმის გამოსახულებად. ამავე დროს ამ ნახევრად დაეიწყებულ მოაზროვნეთა ნამდვილი შესწავლის შემდეგ სულ სხვა დასკვნამდე მივდივართ: ჩვენს წინაშე არიან ფრიად პატივცემული სწავლულნი, რომელნიც დგანან მაშინდელი დადებითი მეცნიერების დონეზე—მთელი მისი ღირსებებითა და ზოგიერთი პრობლემებით“[1]. ასეთი სიტყვები, მიმართული ენგელსისა და ლენინის წინააღმდეგ, ერთოფ ჩვეულებრივი საქმეა სხვა თანამედროვე მექანისტებისათვისაც, რომელთაც დაჭკარგეს პარტიულ-თეორიული გრძნობის ნაშთები. ისინი მზად არიან საფლავიდან აღადგინონ ყველა ძველი მექანისტები, და აგრეთვე მცოცავი ემპირიკოსები, ოღონდ კი „დაამარცხონ“ მარქსისა და ლენინის თანმიმდევრობითი დიალექტიკური მატერიალიზმი.

მექანისტები სავსებით უგულებელსყოფენ ლენინის ნათელ დებულებას, სავალდებულოს საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგში მომუშავე თითოეული პარტიულისათვის, რომ „არცერთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებას, არავითარ მატერიალიზმს არ ძალუძს მტკიცე ფილოსოფიურ დასაბუთების გარეშე გაუძლოს ბრძოლას ბურჟუაზიულ იდეების შეღრეტევასთან და ბურჟუაზიულ მსოფმხედველობის აღდგენასთან. რომ გაუძლოს ამ ბრძოლას და ჩაატაროს იგი ბოლომდე სრული წარმატებით, — ამბობს ლენინი, — ბუნებისმეტყველი უნდა იყოს თანამედროვე მატერიალისტი, შეგნებული მომხრე იმ მატერიალიზმისა, რომელიც მოგვცა მარქსმა, ე. ი. უნდა იყოს დიალექტიკური მატერიალისტი“[2]. ლენინი, ისე, როგორც ენგელსი მოითხოვს მატერიალისტური დიალექტიკის შემდგომ დამუშავებას. დიალექტიკის თეორიის ყოველმხრივი დამუშავების გარეშე,—ამბობს ლენინი, — „მატერიალიზმი ვერ იქნება მებრძოლი მატერიალიზმი. იგი დარჩება, შჩედრინის გამოთქმით, არა იმდენად მებრძოლი, რამდენათაც ბრძოლაში დამარცხებული (сражаемый). უამისოდ დიდი ბუნებისმკვლევარნი ისევე ხშირად, როგორც დღემდე, უძლურნი იქნებიან თავიანთ ფილოსოფიურ დასკვნებსა და განზოგადოებებში“[3].

ლენინის მითითებებს დიალექტიკის თეორიის დამუშავების შესახებ, რაც ამჟამად წარმოადგენს პარტიის დირექტივას, მექანისტები ანგარიშს სრულებით არ უწევენ. გამოდიან რა ლენინური ფილოსოფიის წინააღმდეგ, ისინი უარყოფენ თანამიმდევრობით შემეც-

[1] კრებული „მექანისტური ბუნებისმცოდნეობა და დიალექტიკური მატერიალიზმი“.
[2] ლ ე ნ ი ნ ი, ტ.XXVII, გვ. 187.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 188 ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ა ვ ტ.

ნების მატერიალისტურ თეორიას და პირდაპირ მიექანებიან ბურჟუაზიულ პოზიტივიზმისაკენ.

რა არის პ ო ზ ი ტ ი ვ ი ზ მ ი, რომლითაც ამჟამად დაავადებულია ბურჟუაზიული მეცნიერება და რომელსაც აღიარებენ სამღვდელოების „დიპლომიანი“ ლაქიები, თანამედროვე „სწავლული“ მებატონეები, რეაქციონერები? პოზიტივიზმი (სიტყვიდან „პოზიტიური“ —დადებითი) არის XIX-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან განვითარებული ბურჟუაზიული მეცნიერების მიმდინარეობა, რომელსაც ს ი ტ ყ ვ ი თ სხვა არაფერი სწამს, გარდა პოზიტიური (დადებითი) მეცნიერებისა, რომელიც სიტყვით უარყოფს ყოველგვარ ფილოსოფიას როგორც სქოლასტიკას. ხოლო საქმით მეცნიერული „პოზიტიურობის“ საფარველს ქვეშ ერთობ ხშირად აპარებენ რეაქციურ და იდეალისტურ შეხედულებებსა და ხუცობას. პოზიტივიზმი საზოგადოთ ზედმეტად სთვლის შემეცნების თეორიას. ყოველგვარი ფილოსოფიის ძირითად საკითხს—საკითხს ცნობიერებისა და მატერიის ურთიერთობის შესახებ—პოზიტივისტები სთვლიან „არამეცნიერულ“, „სქოლასტიკურ“ და გადაუწყვეტელ საკითხად. მაშასადამე, ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი პოზიტივიზმიც წარმოადგენს აგრეთვე თავისებურ ფ ი ლ ო ს ო ფ ი ურ სწავლებას, რომელსაც „მეცნიერულობის“ დროშის ქვეშ გამოაქვს კანტის, იუმის, მახის და სხვა იდეალისტების ფილოსოფია. პოზიტივისტები სინამდვილეში არიან ან აგნოსტიკოსები ან აშკარა იდეალისტები.

პოზიტივიზმი განსაკუთრებით საშიშია ამჟამად, როდესაც, ერთის მხრივ, კაპიტალიზმის უღრმესი კრიზისისა და ლპობის და, მეორეს მხრივ, დიალექტიკური მატერიალიზმის დამადასტურებელ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უდიდესი მიღწევების ზეგავლენით მიმდინარეობს ფენებად დანაწილება თანამედროვე ბურჟუაზიულ მეცნიერთა შორის. ნაწილი ამათგან იწყებს გადასვლას დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციაზე, ხოლო მეცნიერთა საგრძნობი ნაწილი, განსაკუთრებით კაპიტალისტურ ქვეყნებში, გადაიხარა რეაქციისაკენ, სტოვებს მორცხვი მატერიალიზმის პოზიციებს (პოზიტივიზმით, აგნოსტიციზმით დაფარულს) და გადადის რეაქციის ბანაკში, ვარდება მისტიკაში—ხუცობაში (ყოველივე ეს ხდება იმავე პოზიტივიზმის დროშის ქვეშ). უდიდესი თანამედროვე მეცნიერები — პლანკი და სხვები, რომელნიც წინათ პოზიტივიზმის დროშის ქვეშ ასე თუ ისე მორცხვად იცავდენ მატერიალიზმს, ამჟამად თავიანთ სამეცნიერო შრომებში ცდილობენ დაადგენ რელიგიასთან კომპრომისის გზას. თანამედროვე უდიდესი ფიზიკოსები—მილიკენი და ედინგტონი აწარმოებენ ხუცურ დავას იმის შესახებ, თუ რა საშუალებით შეეძლო

„ლმერთს“ სამყაროს შექმნაო. ედინგტონი ქადაგობს, რომ სამყარო შექმნილია ერთობლივი აქტით, ხოლო მილიკენი იყენებს მთელ თავის სამეცნიერო ერუდიციას, რათა „დაამტკიცოს“, რომ „შემომქმედი დაუღალავად მუშაობსო“. ასეთია თანამედროვე მეცნიერული პოზიტივიზმი, რომელიც წარმოადგენს ფიდეიზმის, მისტიკის, სამღვდელოების და თანამედროვე იმპერიალისტური რეაქციის აშკარა აგენტურას. და მთელი ეს სამარცხვინო საქმე კეთდება დადებითი „პოზიტიური“ მეცნიერების დროშის ქვეშ!

აქედან ცხადია, რომ ფილოსოფიის უარყოფა და პოზიტივიზმის ქადაგება არის მარქსიზმის სრული უარყოფა. მიუხედავად ამისა, მექანისტები კვლავ დგანან იმ თვალსაზრისზე, რომ არ არსებობს მარქსისტული ფილოსოფია როგორც მეცნიერება, რომ მას სცვლის „თანამედროვე მეცნიერება“, თანამედროვე მექანისტური ბუნებისმეტყველება.

ბ) დიალექტიკისა და ასახვის მატერიალისტური თეორიის რევიზია

თანამედროვე მექანისტებმა ვერ გაიგეს ძირითადი მატერიალიზმში, რაკი ხელი აიღეს ასახვის მატერიალისტურ თეორიაზე იმ ფორმის მიხედვით, რაიც განავითარეს მარქსმა და ენგელსმა და ახალ საფეხურზე აიყვანა ლენინმა.

ჯერ კიდევ მეტაფიზიკურ მატერიალისტ დიურინგთან კამათში ენგელსმა სასაცილოდ აიღო დიურინგის საქციელი, ვინაიდან ის მიმართავდა „მარადი ჭეშმარიტებებით უკანასკნელ ინსტანციას“ და არ გაეგებოდა ურთიერთობა აბსოლუტურ და შედარებით ჭეშმარიტებებს შორის. მეტაფიზიკოს დიურინგის წინააღმდეგ, ენგელსმა გვიჩვენა, რომ ცნებები, ლოგიკური კატეგორიები, მთელი ცოდნა, მოპოებული ექსპერიმენტული გზით, წარმოადგენენ არა გამყარებულ, უცვლელ, არამედ განვითარებაში მყოფ ისტორიულ პროდუქტებს, ბუნებისა და საზოგადოების ისტორიულ განვითარების ობიექტური კანონების ასახვებს. დიალექტიკის უცოდინარობისათვის აკრიტიკებდა მარქსი თავის დროზე „ფილოსოფიის სიღატაკეში“ პრუდონს და ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის კლასიკოსებსაც, ვულგარულ ეკონომისტებსაც,—ცხადყოფდა და ამტკიცებდა „კაპიტალში“ გარდამავალ და შედარებით ხასიათს ეკონომიური კატეგორიებისას, რომელნიც წარმოადგენენ მხოლოდ კაპიტალისტურ საზოგადოებრივ ფორმაციის ობიექტურ; ისტორიულად გარდამავალ მატერიალურ-საწარმოო ურთიერთობათა აზროვნებითი ასახვებს.

დიალექტიკური მოძღვრება შედარებითი და აბსოლუტური ჭეშმარიტების შესახებ ვერ გაიგეს თავის დროზე ვერც ბოგდანოვმა, ბაზაროვმა და სხვა მახისტებმა. მახისტების შესახებ ლენინი სწერდა, რომ მათ „სრულებით ვერაფერი ვერ გაიგეს ენგელსის მიერ გნოსეოლოგიისადმი დიალექტიკის გამოყენების შესახებ (მაგალითად, აბსოლუტური და შედარებითი ჭეშმარიტება)“ [1]. აღიარებდენ რა ფიზიკის ცნებათა აბსოლუტურ ხასიათს, მახისტები დაეშვენ რელატივიზმისაკენ: ვერ გაიგეს მათი ობიექტური მნიშვნელობა, უარს ამბობდენ ეცნოთ ისინი ობიექტურ, კაცობრიობის დამოუკიდებლად არსებულ მატერიალურ სამყაროს ასახვებად. როგორც უკვე მიეუთითეთ, საქმის ამ მხარეს მახისტების კრიტიკის დროს პლეხანოვმაც ვერ მიაქცია საკმაო ყურადღება. კანტიანელების, აგნოსტიკოსებისა და მახისტების მიმართ პლეხანოვის კრიტიკის დამახასიათებელ თვისებას ლენინი ხედავს იმაში, რომ ეს კრიტიკა სწარმოებდა „უფრო ვულგარულ-მატერიალისტური, ვიდრე დიალექტიკური, მატერიალისტური თვალსაზრისით“.

ამასთან დაკავშირებით ამჟამად უღრმესი მნიშვნელობა აქვს ლენინის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „როცა პლეხანოვი მახიზმის წინააღმდეგ შენიშვნებს სწერდა, იმდენად მახის გაბათილებას არ სცდილობდა, რამდენადაც ფრაქციული ზიანის მიყენებას ბოლშევიზმისათვის“ [2]. მახისტების კრიტიკის დროს პლეხანოვმა დაუშვა მთელი რიგი ყოვლად დაუშვებელი დათმობები მახიზმისადმი, მხედველობიდან გაუშვა რა, აუცილებლობა დიალექტიკური თვალსაზრისისა შემეცნების ბუნებაზე. თითონ პლეხანოვი იმ აზრის იყო, რომ ჩვენ ვერასოდეს ვერ გავიგებთ თუ როგორ იბადება ჩვენი ცნობიერება [3]. ეს უთუოდ იყო ხარკი აგნოსტიციზმის მიმართ.

პლეხანოვისეული იეროგლიფური შემეცნების თეორიაც ხელსაყრელი იყო მახისტებისათვის, ვინაიდან მას საბოლოო ანგარიშით მივყავდით სუბიექტივიზმისაკენ, ობიექტური რეალობისა და ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფისაკენ, ე. ი. მივყავდით მახისტურ სუბექტიურ ჭაობში. თავისი იეროგლიფური თეორიით პლეხანოვმა „დაუშვა აშკარა შეცდომა მატერიალიზმის გადმოცემის დროს“ (ლ ე ნ ი ნ ი). პლეხანოვმა დაუთმო მახიზმს თავისი შემცდარი „ცდის“ თეორიითა და მთელი რიგი სხვა შეცდომებით.

მახიზმის, ხოლო გზადაგზა პლეხანოვის შეცდომების, ლენინური კრიტიკა გვეხმარება ჩვენ მეხანისტების თანამედროვე პოზიტივიზმის

[1] ლ ე ნ ი ნ ი. მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, ტ. XIII, გვ. 197.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 361.

[3] პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, ტ. XI, გვ. 46.

გ ნ ო ს ე ო ლ ო გ უ რ ი ფესვების აღმოჩენაში. მეხანისტების ძირითადი გნოსეოლოგური შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი არასწორად, არადიალექტიკურად აყენებენ და სწყვეტენ ძირითად ფილოსოფიურ საკითხს აზროვნების ყოფიერებისადმი დამოკიდებულების შესახებ, საკითხს სუბიექტურისა და ობიექტურის, შედარებითისა და აბსოლუტურის ურთიერთობის შესახებ. ხოლო მათი სწორი, მეცნიერული გაგება არ შეიძლება ისე, თუ არ აღვიარეთ ასახვის მარქსისტულ-ლენინური თეორია, მოძღვრება აბსოლუტური და შედარებითი ჭეშმარიტების შესახებ, ე. ი. თუ არ გამოვიყენეთ დიალექტიკა ასახვის თეორიისადმი.

თ ა ნ მ ი მ დ ე ვ რ ო ბ ი თ ი-მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პოზიციიდან ააშკარავებს ლენინი თავის შენიშვნებში „გარდამავალ პერიოდის ეკონომიკის“ შესახებ და სხვა შრომებში ბუხარინის ძიერ დაშვებულ შეცდომების გნოსეოლოგიურ ფესვებს. ბუხარინის „ბოგდანოვისეული თერმინოლოგიის“ „შეცდომიდან აშკარავდება: ს უ ბ ი ე ქ ტ ი ვ ი ზ მ ი, სოლიპსიზმი. საქმე ის კი არაა, თუ ვინ „არკვევს“, ვისთვისაა „საინტერესო“, არამედ ის, რაც არის ადამიანის ცნობიერებაზე დამოუკიდებლად“ [1]. იქ, სადაც ბუხარინი ლაპარაკობს მარქსის მეთოდის „შეცნობითი ღირებულების“ შესახებ, ლენინი შენიშნავს: „მარტოოდენ „შეცნობითი ღირებულება“? და არა ამსახველი ობიექტური სამყაროს „მორცხვი“... აგნოსტიციზმი!“ [2]. მეორე ადგილას, სადაც ბუხარინი, იმის ნაცვლად, რომ ილაპარაკოს გარდამავალი ეპოქის დიალექტიკის გამომეღავნებაზე, კვლავ სუბიექტურად მსჯელობს მხოლოდ „დიალექტიკურ-ისტორიულ თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ზ ე“, ლენინი სწერს: „ამ ფრაზისაგან შესანიშნავი სიცხადით მოჩანს, რომ ბოგდანოვის ეკლექტიზმით წაინდარ ავტორისათვის „დიალექტიკური თვალსაზრისი“ არის მრავალთაგან მხოლოდ ერთი თანასწორუფლებიანი თვალსაზრისი“... [3] და ლენინი ბუხარინის წიგნის დასკვნითი შეფასების დროს უსაყვედურებს მას, რომ ის უკრიტიკოდ სესხულობს მახისტ ბოგდანოვის თერმინოლოგიას, არ უკვირდება მის შინაარსს: „ამიტომ ერთობ ხშირად, მეტისმეტად ხშირად ავტორი ვარდება დიალექტიკური მატერიალიზმის (ი. ე. მარქსიზმის) საწინააღმდეგო თერმინების სქოლასტიციზმში (აგნოსტიკურში, იუმისეულ-კანტისეულში, ფილოსოფიურ საფუძვლების მიხედვით), იდეალიზმში („ლოგიკა“, „თვალსაზრისი“ და სხ.), მათი მ ა ტ ე რ ი ი დ ა ნ, ობიექტური სინამდვილიდან და სხ. წარმოშობის შემეცნების გ ა რ ე შ ე [4].

---

[1] „ლ ე ნ ი ნ ი ს კ რ ებ ული“ XI, გვ. 385.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 348.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 387.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 387.

რევიზიონისტებისათვის—როგორც მექანისტებისათვის, ისე მოშენშევიკო იდეალისტებისათვისაც დამახასიათებელია საზოგადოთ ის, რომ არ სურთ სწორად დიალექტიკურად გაიგონ შეგრძნობებისა და ლოგიკურ კატეგორიების წარმოებელი ხასიათი, მათი დამოკიდებულება მატერიისაგან, ობიექტური რეალობისაგან, ისინი მუდამ ჩქმალავენ ცნებათა ობიექტურ შინაარსს. ბუხარინი სიტყვით ფილოსოფიის მომხრეა, ის ფილოსოფიის „დასაცავადაც“ კი გამოდიოდა,—მაგალითად მისი კრიტიკა ენჩმენის მიმართ,—მაგრამ ამ დაცვის დროს მას არ გაეგება შემეცნების დიალექტიკური თეორია. ბუხარინს არსად არ დაუსვამს და არ გადაუჭრია საკითხი სუბიექტური და ობიექტური, შედარებითი და აბსოლუტური მომენტების ურთიერთობის შესახებ ობიექტურ სინამდვილის შემეცნებაში, შემეცნების პროცესის დიალექტიკური ხასიათის შესახებ. ბუხარინისათვის ამაში არაფერი შემთხვევითი არ არის. ის არასოდეს არ იყო თანმიმდევრობითი, ე. ი. დიალექტიკური მატერიალისტი. ის წინათაც, ახალგაზრდობის წლებშიაც, მერყეობდა, რევოლუციის შემდეგაც განაგრძობდა მერყეობას მატერიალიზმსა და პოზიტივიზმს შორის. ბუხარინი ახალგაზრდობის წლებში ეკლექტიკურად „ათანხმებდა“ მარქსისტულ შეხედულებებს მახისა და ავენარიუსის ფილოსოფიასთან, ხოლო რევოლუციის წლებში ხელი მიჰყო მარქსისტული ფრაზეოლოგიის საშუალებით ბოგდანოვის მახისტური სქოლასტიკის დასაბუთებას, მარქსიზმის შერიგებას ბოგდანოვშინასთან.

ამიტომ იყო, რომ ვ. ი. ლენინი, როდესაც მას უხდებოდა ბუხარინის ამა თუ იმ შეცდომის გამოაშკარავება, ყოველთვის თავისი კრიტიკის ცეცხლს მიმართავდა ბუხარინის გნოსეოლოგიური დაუდეგრობის წინააღმდეგ, და მიუთითებდა ბუხარინის მიერ შემეცნების მატერიალისტური თეორიის დაუშვებელ უგულებელყოფაზე.

„მისი თეორიული შეხედულებანი,—სწერდა მასზე ლენინი,—ძალიან დიდის ეჭვით შეიძლება მივიჩნიოთ სავსებით მარქსისტულად, ვინაიდან მასში არის რაღაც სქოლასტიური (მას არასოდეს არ უსწავლია და, ვფიქრობ, არასოდეს არ ესმოდა მთლიანად დიალექტიკა“) [1].

როგორც ამ შეფასებიდან ჩანს, ლენინი ბუხარინის ანტიდიალექტიკურ, სქოლასტიურ შეცდომებს უკავშირებს მის მიერ დიალექტიკის, როგორც შემეცნების თეორიის გაუგებლობის და ასახვის თეორიის უარყოფას. სხვა მექანისტები (სტეპანოვი, ვარიაში, ტი-

[1] მოყვანილია სტალინის წიგნიდან: „ლენინიზმის საკითხები“, გვ 407.

მირიაზევი, პეროვი) ფილოსოფიურ მატერიალიზმს აშკარად სცვლიან ვულგარული მატერიალიზმით. ისინი აზროვნების მატერიასთან დამოკიდებულების პრობლემას სწყვეტენ მეტაფიზიკურად და არა დიალექტიკურად.

მექანისტი აკსელროდი და სარბიანოვი საზოგადოდ არ ენდობიან ადამიანის ცნობიერებას. მათი შეხედულებანი კანტიანობასა და მახიზმს უახლოვდებიან. მახისტებთან კამათის დროს ლენინი ეკითხებოდა მათ: „მოცემული აქვს თუ არა ადამიანს ობიექტური რეალობა, როდესაც იჯი ხედავს წითელს, შეიგრძნობს მყარს და სხ“.?[1]

მახისტები ამაზე უარყოფით უპასუხებდენ, ისინი უარყოფდენ შეგრძნობის ობიექტურ წყაროს. დაახლოვებით ასეთსავე პასუხს იძლევიან ახლა აკსელროდი და სარაბიანოვი. მათი აზრით, წითლის, მყარის და სხ. შეგრძნობას, ე. ი. ადამიანის შეგრძნობას საზოგადოთ არა აქვს ობიექტური შინაარსი, მათში არ აისახება შეგრძნობისაგან დამოუკიდებელი ობიექტური ქვეყანა. მათი აზრით, შეგრძნობანი, ცნებანი — ესაა პირობითი ნიშნები, იეროგლიფები, მათში არაა ასახული ობიექტური რეალობა.

პლეხანოვის ფილოსოფიურ შეცდომებს, რაიც თანამიმდევრობითი მატერიალიზმისაგან ვულგარულ მატერიალიზმისა და კანტის აგნოსტიციზმისაკენ დაქანების გზით მიიმართება, ამჟამად იმეორებს ლ. ი. აკსელროდი (ორტოდოქსი), იცავს მათ და კიდევ უფრო აღრმავებს. აკსელროდი დაჟინებით იცავს პლეხანოვის აგნოსტიციზმსა და იეროგლიფიზმს. ის იზიარებს არსებითად იმ კანტისეულ თვალსაზრისს, რომ „მატერიის სხვადასხვა ფორმის მოძრაობის მოქმედებით გამოწვეული შეგრძნობანი არა ჰგვანან იმ ობიექტურ პროცესებს, რომლებითაც ეს შეგრძნობანია გამოწვეული“[2]. ის განსაკუთრებით ხაზს უსვამს შემეცნების ამ ფორმების „დაუმგვანებლობას“ მატერიალური ქვეყნიერების ფორმებთან. ამრიგად, აკსელროდის მიხედვით, ისე, როგორც კანტის მიხედვითაც, შემეცნება როდი აერთებს, როდი აახლოვებს ადამიანს ბუნებასთან, არამედ მხოლოდ აშორებს. ლ. ი. აკსელროდის იეროგლიფიზმი აშკარად ეწინააღმდეგება ასახვის მარქსისტულ-ლენინურ თანმიმდევარ-მატერიალისტურ თეორიას. აკსელროდი ფაქტიურად სწყვეტს შემეცნებას მატერიალურ სამყაროსაგან. აკსელროდის დიალექტიკა იქცევა სუბიექტივიზმად და სოფისტიკად, იგი არ წარმოადგენს ობიექტურ სამყაროს დიალექტიკის ასახვას. აკსელროდის აგნოსტიკური თეორიიდან უცილობლად გამომდინარეობს უარყოფა დიალექტიკის როგორც მეცნიერებისა და

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, ტ. XIII, გვ. 131.

[2] ი ქ ვ ე, აკსელროდის (ორტოდოქსის) რეცენზია, გვ. 420.

დიალექტიკის გადაქცევა „ფორმალურ პრინციპების სისტემად“, რომელნიც არ ასახავენ არავითარ ობიექტიურს, არამედ წარმოადგენენ მხოლოდ წმინდა სუბიექტური პირობითი შეცნობის საშუალებას, განსაზღვრულ „თვალსაზრისს“ შესაცნობ საგნისადმი მისადგომად.

მე-XVIII საუკუნის მექანიკური მატერიალისტები არ იყვნენ დაავადებულნი ისეთი მახინჯი ცალმხრივობით, როგორც თანამედროვე მექანისტები, რომელნიც მათგან განსხვავდებიან აზროვნების განსაკუთრებული „გაშეშებითა“ და „გაქვავებით“. ძველი მატერიალისტები შეგრძნობებშიაც ხედავდენ ხოლმე ობიექტური, მატერიალური სამყაროს სუბიექტურ სახეს, ჰქონდათ უნარი დაენახათ სუბიექტურში ობიექტურის ასახვა. ხოლო თანამედროვე მექანისტებისათვის სუბიექტური — მხოლოდ სუბიექტურია.

მექანისტებს არ გაეგებათ, რომ საკითხი შეგრძნობისა და ცნების ობიექტური შინაარსის შესახებ არის ამავე დროს საკითხი მათი ობიექტური წყაროს; ე. ი. მატერიის აღიარების შესახებ, როგორც ერთადერთი და უკანასკნელი ობიექტური რეალობისა, დამოუკიდებლის ადამიანის შეშეცნებიდან. ჩვენ გარეშე რომ მატერიალური ქვეყანა არსებობს, ამის ცოდნას ჩვენ ვიძენთ ადამიანის ისტორიული, საზოგადოებრივი შეგრძნობითი პრაქტიკის შედეგად. ბუნება აისახება, ე. ი. გვაძლევს ცოდნას თავისი თავის შესახებ, ასლად გადაიღება ადამიანის შეგრძნობებსა და ცნებებში, და ამ ადამიანისა და კაცობრიობისაგან დამოუკიდებელ რეალობის არსებობა, ყოველ ნაბიჯზე დადასტურებული ცხოვრებაში, არის სწორედ ობიექტური ჭეშმარიტება. „ჩვენი შეგრძნობების ჩათვლა გარეგან ქვეყნიერების სახეებად — ობიექტური ჭეშმარიტების აღიარება — მატერიალისტური შემეცნების თეორიის თვალსაზრისზე დგომა — ეს ერთი და იგივეა“[1]. ეს ჭეშმარიტებაა ყოველი თანმიმდევრობითი მატერიალისტისათვის, როგორც მარქსისა და ლენინისათვის, ისე ფეიერბახისა და ფრანგ მატერიალისტებისათვის.

ხოლო როდესაც სარაბიანოვი და აკსელროდი უარს ამბობენ აღიარონ ჩვენი შეგრძნობების შინაარსის ობიექტიურობა, ეს ცხადყოფს, რომ ისინი საზოგადოდ ჩამოშორდენ მატერიალიზმს.

ძველ მატერიალისტებს მექანისტები მხოლოდ იმით ჰგვანან, რომ არა აქვთ უნარი მოიხმარონ დიალექტიკა შემეცნების პროცესისადმი. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ დიალექტიკა შეიცავს იმასაც, „რასაც დღეს შემეცნების თეორიას, გნოსეოლოგიას უწოდებენ, რო-

[1] ლენინი, ტ. XIII, გვ. 131. ხაზგასმულია ჩვენ მიერ. — ავტ.

მელმაც თავისი საგანი უნდა განიხილოს ისტორიულადაც, შეისწავლოს და განაზოგადოს შემეცნების წარმოშობა და განვითარება, უმეცრებიდან შემეცნებაზე გადასვლა" [1].

ამის გაგება მექანისტებს აბსოლუტურად არ ძალუძთ. ხოლო ამავე დროს შეუძლებელია ასახვის თეორიის სწორად გაგება ისე, თუ მას განვიხილავთ მეტაფიზიკურად, ანტიდიალექტიკურად, როგორც მას იხილავდენ ფეიერბახი და ძველი მატერიალისტები. ასახვის მარქსისტული თეორია იხილავს შემეცნებას როგორც პროცესს, როგორც გადასვლას უცოდინარობიდან ცოდნაზე, როგორც ადამიანის გონებაში მუდამ განვითარებაში მყოფ ბუნებისა და საზოგადოების თანდათან უფრო ღრმა ასახვის ისტორიულ პროცესს.

თუ როგორ სქოლასტიკას იცავდა ლ. ი. აკსელროდი, თუ რამდენად ვულგარული წარმოდგენა აქვს მას ასახვის თეორიაზე, ეს ჩანს თუნდაც იმ კამათიდან, რასაც ის ამ საკითხის გამო აწარმოებდა ლენინთან. „შეგრძნობანი რომ საგანთა სახეები და ასლები იყოს, — სწერდა ის, — მაშინ, საკითხავია, რაღა ეშმაკად გვინდა საგნები, რომლებიც ამ შემთხვევაში მართლაც გადაიქცევიან „საგნებად თავისთავად" ამ სიტყვის აბსოლუტური მნიშვნელობით? შეგრძნობათა აღიარება საგნების სახეებად ან ასლებად იმასა ნიშნავს, რომ ობიექტსა და სუბიექტს შორის კვლავ გარდაუვალი უფსკრული აღიმართოს" [2].

როგორც მოყვანილი ამონაწერიდან ჩანს, აკსელროდმა სრულებით ვერ გაიგო დიალექტიკა. ის გამუდმებით უტრიალებს გარს ფეიერბახის წინაისტორიულ ადამიანს, აბსტრაქტულ წინაისტორიულ კატეგორიებს — „სუბიექტსა და ობიექტს". კიდევ მეტი, ის უკან იხევს ფეიერბახისაგან, რომელიც შეგრძნობებსა და ცნებებში მაინც აღიარებდა ობიექტურ მატერიალურ სამყაროს სახეს ან ასლს, — იხევს კანტის მეტაფიზიკისა და იდეალიზმისაკენ, რომელსაც, როგორც ვიცით, არას გზით არ შეეძლო დაეკავშირებია ასახვა ასასახავთან, ასლი მოდელთან, მოვლენა საგანთან თავისთავად, ე. ი. შეგრძნობას მატერიისაგან სწყვეტდა. აკსელროდის ანტიისტორიზმი— ესაა ანტიისტორიზმი ფეიერბახისა და კანტის შემეცნების თეორიაში, მახინჯად ერთად შეერთებული.

აზროვნების მატერიისადმი დამოკიდებულებაზე მეტაფიზიკურ, ანტიდიალექტიკურ შეხედულებას, რაც დამახასიათებელია საზოგადოდ ყველა მექანისტებისათვის, არაფერი საერთო არა აქვს მარქსიზმთან.

---

[1] ლენინი, ტ. XVIII, გვ. 11.—ხაზგასმულია ჩვენ მიერ — ავტ.

[2] ლენინი, ტ. XIII, ორტოდოქსის (ლ. ი. აკსელროდის) რეცენზია, გვ. 419.

მარქსმა, ენგელსმა და ლენინმა ასახვის თეორია გაამდიდრეს დიალექტიკით, მოძღვრებით შედარებითი და აბსოლუტური ჭეშმარიტების შესახებ. ისინი გვასწავლიდენ, რათა ადამიანის შეგნებაში მატერიალური სამყაროს ასახვის პროცესი განვიხილოთ ისტორიულად, შრომითი ზოლვაწეობის ისტორიული პრაქტიკის მსვლელობაში, კაცობრიობის კლასობრივი ბრძოლების მსვლელობაში. როგორც საზოგადოდ ცნობიერება ასახავს მატერიას, ისე კონკრეტულ-ისტორიული საზოგადოებრივი ცნობიერება ასახიერებს საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოების ისტორიულ მატერიალურ პროცესს,—აი მარქსიზმის შემეცნების თეორიის ძირითადი დასაყრდენი. ხოლო მექანისტების რევიზიონისტულ, ფორმალურ-ლოგიკურ შეხედულებებს შემეცნებაზე არაფერი საერთო არა აქვს მარქსისტულ დიალექტიკასთან.

მექანისტებს არ გაეგებათ დიალექტიკურ-მატერიალისტური ლოგიკის ობიექტური მნიშვნელობა, არ გაეგებათ მისი წარმოებულობა მატერიალურ სამყაროსაგან, სამყაროს და საზოგადოების ისტორიულ განვითარებისაგან. ამიტომ ისინი ლოგიკურ კატეგორიებს აქცევენ ცარიელ აბსტრაქციად, მისტიკად, სქოლასტიკად, არ აქვთ უნარი კონკრეტულად გამოიყენონ ისინი პრაქტიკაში.

მექანისტები, როგორც უკვე დავინახეთ, ივიწყებენ რევოლუციურ, ქვეყნიერების გარდამქმნელ პრაქტიკის როლს, რაიც ადასტურებს, რომ შედარებით ჭეშმარიტებაში მოცემულია ობიექტური, აბსოლუტური ჭეშმარიტება, რომელიც ასახავს ობიექტურ რეალობას. ამიტომ მათ არ გაეგებათ, რომ „ადამიანის აზროვნებას, თავისი ბუნებით, შეუძლია მოგვცეს და კიდევაც გვაძლევს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, რომელიც სდგება შედარებითი ჭეშმარიტების ჯამისაგან“[1].

თანამედროვე მექანისტები, რომელთაც არ გაეგებათ მოძღვრება აბსოლუტური და შედარებითი ჭეშმარიტების შესახებ, ეშვებიან კანტის, იუმის აგნოსტიციზმისაკენ, სუბიექტივიზმისაკენ, რელატივიზმისა და სოფისტიკისაკენ.

აკსელროდის შემდეგ იეროგლიფების აგნოსტიკურ თეორიას დაჟინებით იცავდა ამხ. სარაბიანოვიც. ის დაეშვა ჭეშმარიტების რაღაც მხოლოდ სუბიექტურად აღიარებაზდე და ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფამდე, ე. ი. არა მარტო ობიექტური სამყაროს შეცნობის კანტისებურ პირდაპირ უარყოფამდე, არამედ ცნობიერების გარეშე სამყაროს არსებობის სუბიექტურ-იდეალისტურ უარყოფამდე.

---

[1] ლენინი, ტ. XIII, გვ. 137.

ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფიდან სარაბიანოვი მივიდა აგრეთვე ობიექტური თვისობრიობების და სხ. უარყოფამდე. სარაბიანოვი ამრიგად დადგა სუბიექტურ იდეალიზმის პოზიციაზე, მას მხოლოდ მატერიალისტური ფრაზა, მარტოოდენ მატერიალიზმის ხილვადობა შერჩა.

„რატომ ვუწოდებ მე, — ამბობს სარაბიანოვი, — ყოველგვარ ჭეშმარიტებას სუბიექტურს? იმიტომ, რომ ჭეშმარიტება არ არის ობიექტური ყოფიერება, რომ ჭეშმარიტება არის ჩვენი წარმოდგენა სამყაროზე, საგნებზე, პროცესებზე“ [1]. ასე ლაპარაკობს ამხ. სარაბიანოვი თავის სუბიექტივიზმის შესახებ. „ვინც რელატივიზმს, — სწერდა ლენინი, — საფუძვლად უდებს შემეცნების თეორიას, იგი თავისთავს შესწირავს ან აბსოლუტურ სკეპტიციზმს, აგნოსტიციზმს და სოფისტიკას, ან სუბიექტივიზმს“ [2]. სარაბიანოვის რელატივიზმს და აკსელროდის კანტისეულ სკეპტიციზმს არაფერი საერთო არა აქვთ შემეცნების მარქსისტულ თეორიასთან. „სუბიექტივიზმის (სკეპტიციზმის, სოფისტიკის და etc.) განსხვავება, — სწერდა ლენინი, — დიალექტიკისაგან სხვათაშორის ისაა, რომ (ობიექტურ) დიალექტიკაში შედარებითია (რელატიურია) განსხვავება რელატიურსა და აბსოლუტურს შორის. ობიექტურ დიალექტიკისათვის რელატიურშიაც არის აბსოლუტური. სუბიექტივიზმისა და სოფისტიკისათვის რელატიური მხოლოდ რელატიურია და სავსებით უარყოფს აბსოლუტურს“ [3]. განსხვავება იდეალურსა და მატერიალურს შორის არაა აგრეთვე უცილობელი და უსაზღვრო; ისტორიული პრაქტიკა ყოველ ნაბიჯზე გვიმტკიცებს ჩვენ, რომ ადამიანის ცნობიერება, აზრი და ცოდნა, რომელიც წარმოებულია მატერიისაგან და მთლიანად პირობადებულია მის მიერ, იპყრობს რა მასებს, პრაქტიკულ მოქმედებაში პირიქით იქცევა მატერიალურ ძალად.

მარქსიზმის ვულგარიზატორებისათვის ეს ჭეშმარიტება გაუგებარია, ვინაიდან ისინი ცდილობენ გადაჭრან აზროვნების მატერიისადმი დამოკიდებულება აბსტრაქტულ-სქოლასტიკურად, ჭვრეტით და არა დიალექტიკურად. სუბიექტური — სუბიექტურია, ობიექტური — ობიექტურია, რაც შედარებითია — ის აბსოლუტური არაა, ობიექტური არაა და სხ. მექანისტებს აქვთ მთელი რიგი სხვა იდეალისტური, კანტისეული და იუმისეული შეცდომები. აკსელროდი იცავს მენშევიკურ-კანტიანურ ზეკლასიურ ზნეობის თეორიას და ამ საკითხში უერთდება კაუცკის. სარაბიანოვი მაგალითად, ბიოლოგიაში მხარს უჭერდა იდე-

---

[1] ჟურნალი „პოდ ზნამენემ მარქსიზმა“ № 5, გვ. 66.

[2] ლენინი, ტ. XIII, გვ. 139.

[3] იქვე, გვ. 372.

ალისტ ბერგს და ილაშქრებდა დარვინის წინააღმდეგ. ის, მაგალითად, შეცდომად სთვლიდა, რომ „ჩვენ ყველა ჯერ კიდევ შეუსწორებლად ვდგავართ დარვინიზმის პოზიციებზე“ [1]. ვარიაშა ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს თავისი ფრეიდისტული, იდეალისტური შეცდომები.

მექანისტების მთელი ეს იდეალისტური ქანაობა რაღაც შემთხვევითი როდია. იგი აუცილებლად გამომდინარეობს იმ შემცდარი პოზიტიური პოზიციიდან, რაც უპირავსთ მექანისტებს მარქსისტული ფილოსოფიის მიმართ, გამომდინარეობს ასახვის მარქსისტულ-ლენინური თეორიის რევიზიისაგან, მატერიალისტური დიალექტიკის, როგორც ფილოსოფიური მეცნიერების, რევიზიისაგან.

რამდენადაც არ უნდა სურდეთ მექანისტებს დარჩენ მატერიალისტები, მარქსისტები, არათანმიმდევრობითი მექანიკური მატერიალიზმის პოზიციებზე გადასვლა მათი ნებისყოფისა და სურვილის მიუხედავად იწვევს იდეალისტურ მერყეობას, მარქსიზმის რევიზიას. მექანისტების მექანიკურმა, არათანმიმდევრობითმა, ვულგარულმა მატერიალიზმმა ვერ გაუძლო ბურჟუაზიულ იდეების იერიშს; მექანისტებმა მატერიალიზმის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი საბრძოლო პუნქტები დაუთმეს კანტიანობას, იუმიზმს, სუბიექტურ იდეალიზმს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მექანისტებმა ვერ გაუძლეს წვრილბურჟუაზიული სტიქიის იერიშს ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პერიოდში, მოექცენ ბურჟუაზიულ-მენშევიკური პოზიტივიზმის იდეოლოგიის გავლენის ქვეშ.

გ) შემეცნების თეორიის დაპირისპირება დიალექტიკისადმი

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება დიალექტიკის როგორც შემეცნების თეორიისა და ლოგიკის შესახებ წარმოადგენს ერთადერთ თანმიმდევრობითს მოძღვრებას, რომლისაგანაც ერთი ნაბიჯითაც არ შეიძლება გადავუხვიოთ, თუ არ გვსურს ჩავარდეთ რევიზიონიზმსა და ბურჟუაზიული რეაქციის ჭაობში. თანამედროვე მექანისტური ბანაკი მთელი რიგი წლების განმავლობაში აწარმოებს სისტემატიურ ბრძოლას დიალექტიკასთან, როგორც შემეცნების თეორიასთან, ანვითარებს რევოლუციური მარქსიზმისადმი მთლიანად მტრულ პოზიტივისტურ, ემპირულ ფილოსოფიას ან, როგორც აკსელროდი უწოდებს მას, „მეცნიერული ცდის ფილოსოფიას“, მიმართულს დიალექტიკის როგორც შემეცნების თეორიის წინააღმდეგ. „დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფიის სისტემატიური განვითარება დღემდე მაინც არ არსებობს“ [2],—ამბობს აკსელროდი; თუმცა

[1] სარაბიანოვი, ისტორიული მატერიალიზმი, გვ. 147.

[2] აკსელროდი, დიალექტიკური მატერიალიზმის დაკვისათვის, გვ. 224.

ის ფიქრობს, რომ მხოლოდ მარქსიზმს „შეუძლია მოგვცეს შემეცნების ნამდვილად მეცნიერული თეორია, ან ცდის თეორია, და ზოგადი ფილოსოფიური მსოფმხედველობა, მეცნიერულად დასაბუთებული“ [1]. მარქსისა და ენგელსის მატერიალისტური დიალექტიკა და მისი განვითარება ლენინის მიერ — ნუ თუ ეს არ არის „ნამდვილად მეცნიერული შემეცნების თეორია?

ცხადია, ლენინი და მისი პარტია, ერთის მხრივ, და აქსელროდი და მასთან ერთად მექანისტების მთელი ბანაკი — მეორეს მხრივ, სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. ლენინს, მარქსსა და ენგელსთან ერთად მარქსისტული თეორია გაეგება ისე, როგორც მატერიალისტური დიალექტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნიერების შეცვლას. ხოლო აქსელროდს, კანტის შემდეგ, ფილოსოფია, შემეცნების თეორია გაეგება როგორც ცდის თეორია, გნოსეოლოგია, რომელიც არკვევს „ცდის“ „პირობებსა და წინაპირობებს“, „ცდის“ დასაბუთების შესაძლებლობას, მიზეზობრიობის „დასაბუთების“ შესაძლებლობას და სხ. დიალექტიკა, აქსელროდის აზრით, არ შეიძლება იყოს ცდის თეორია, გნოსეოლოგია, იმიტომ რომ მას დიალექტიკა მეტაფიზიკურად ესმის, მხოლოდ როგორც მეთოდი ან მოძღვრება აზროვნების წმინდა ფორმალური პრინციპების შესახებ და არა როგორც ფილოსოფიური მეცნიერება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების საყოველთაო კანონების შესახებ.

რას უნდა წარმოადგენდეს შემეცნების თეორია აქსელროდის აზრით? რევიზიონისტულ და ბურჟუაზიულ ფილოსოფოსებთან ერთად აქსელროდი ფიქრობს, რომ „ცდის თეორია უნდა დასაბუთებულ იქნას მოცემულ ცდების მიხედვით“, რომ ცდა თავის მხრივ „მოითხოვს თავის დასაბუთებას“ [2]. მისმა ცდის პოზიტიურმა ფილოსოფიამ უნდა ხელი მოჰკიდოს სერიოზულ პრობლემებს, რომელთა შორისაც არის „მნიშვნელოვანი პრობლემა ცდის პირველადი წინამძღვრების შესახებ“: პრობლემა რეალობისა, როგორადაც იგი ვლინდება ცდაში, „პრობლემა მიზეზობრიობისა, პრობლემა ჭეშმარიტების კრიტერიუმისა“, „საკითხი შესახებ იმისა, თუ რამდენადაა დასაშვები დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით აუცილებელი ონტოლოგიური წინამძღვრები“ [3] და სხ.

რა არის ცდა? როგორაა შესაძლებელი ცდა? როგორია ცდის პირობები და წინამძღვრები? — აი, რას უნდა მიჰყოს ხელი, აქსელროდის აზრით, რევოლუციურმა მარქსიზმ-ლენინიზმმა პროლეტარიატის

---

[1] აქსელროდი, დიალექტიკური მატერიალიზმის დაცვისათვის, გვ. 224.
[2] იქვე. გვ. 226.
[3] იქვე, გვ. 223.

დიქტატურის პირობებში. სხვა სიტყვებით, ბოლშევიკებმა ხელი უნდა შეჰყონ კანტიანობის პრობლემების ძველებურად ღეჭვას. ამიტომ პარტია იძულებულია გამოააშკარავოს ეს ძველი სიდამპლე, ვინაიდან მექანისტები, დაჟინებით განაგრძობენ ცდის თეორიის დაცვას და მიმართავენ მას მარქსისტულ-ლენინური თეორიის წინააღმდეგ. არც ერთი მექანისტი არ გამოსულა მარქსისტული დიალექტიკის მენშევიკურ-კანტიანური შერყვნის წინააღმდეგ, პირიქით, ისინი ყოველმხრივ ატარებენ იმავე ხაზს თავიანთ „ფილოსოფიურ შრომებში“.

ვარიაშმა თავის სპეციალურ წიგნში, რომელიც მიძღვნილია ლენინის დიალექტიკისადმი, გვერდი აუარა მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიის ცენტრალურ დებულებას იმის შესახებ, რომ სწორედ დიალექტიკა არის მარქსიზმის შემეცნების თეორია და ლოგიკა. მან ლენინს მიაწერა თავისი და აკსელროდ-პლეხანოვის შეხედულებანი დიალექტიკაზე მხოლოდ როგორც „მეთოდზე“ და არა როგორც მარქსიზმის შემეცნების თეორიასა და ლოგიკაზე. ამიტომ პირველ საკითხად იმ განყოფილებაში, რომელიც გამოყოფილია შემეცნების ლენინურ დიალექტიკურ-მატერიალისტურ თეორიისათვის, ვარიაში აყენებს კითხვას: „რა არის ცდა?“ ლენინის კრიტიკა სიტყვა „ცდის“ მიმართ, ვინაიდან იგი ფარავს მატერიალისტურ და იდეალისტურ ხაზს ფილოსოფიაში, და აკრეთვე ლენინის მკაცრი კრიტიკა პლეხანოვის შეცდომის წინააღმდეგ ცდის საკითხის შესახებ, — ყოველივე ამას ივიწყებს და გვერდს უვლის ვარიაში მენშევიკური პოზიტივიზმის სასარგებლოდ. ვარიაშის მიხედვით ცდის ცნება, რასაც ის ლენინსაც აწერს, არის თითქო შემეცნების მატერიალისტური თეორიის „მნიშვნელოვანი კატეგორია.“ არკვევს რა ცდის დასაბუთებას კანტის მიერ, ვარიაში შენიშნავს: „ცდის დასაბუთება კანტის მიხედვით... არსებითად მოასწავებს თუ ცდის სრულ გაუქმებას არა, ყოველშემთხვევაში ამ მნიშვნელოვანი ცნების ძირეულ გადამუშავებას მაინც, და უბედურება მხოლოდ ისაა, რომ ცდა კანტის მიხედვით ნიშნავს არა იმას, რასაც ჩვენთვის“. ვარიაშის მიხედვით, ცდის თეორიის ხსნა მაინც შეიძლება მატერიალისტური შესწორებების შეტანის გზით, რასაც ის კიდევაც შვრება თავის წიგნში „ცდის თეორიის“ დამუშავების იმ პროგრამის მიხედვით, რაც დასახული აქვს აკსელროდს.

არავინ მარქსისტებიდან ისე მკაცრად და ულმობლად არ ესხმოდა თავს „მარქსიზმისათვის უცხო, მთელი ფილოსოფიური რეაქციის მიერ გაცვეთილ „ცდის“ ცნების არაკრიტიკულ გადმოღებას“, როგორც ლენინი. „ახლანდელ დროში, — სწერდა ლენინი, — სხვადასხვა ელფერის პროფესორული ფილოსოფია თავის რეაქციონერობას დეკლარაციის სამკაულით ჰფარავს „ცდის“ ანგარიშზე“[1]. ცდიდან გამო-

დიოდენ ყველა იდეალისტი ემპირიკოსები, ყველა ემპირიოკრიტიკოსები, ყველა მახისტები, სუბიექტური იდეალისტი ფიხტეც თავის ფილოსოფიას მხოლოდ ცდას უკავშირებდა. „მე ვაცხადებ საჯაროდ, — სწერდა ფიხტე, — ჩემი ფილოსოფიის შინაგანი აზრი, მისი სული იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს არაფერი აქვს, გარდა ცდისა; ადამიანი მიდის იმასთან, რასთანაც იგი მიდის მხოლოდ ცდის გზით“ [1].

ამავე სიტყვის — „ცდის“ საფარით აწარმოებენ მექანისტები დიალექტიკის რევიზიას. „მთელი ჩვენი ცნობიერება ცდიდან გამომდინარეობს და ცდას ემყარება. დიალექტიკური მატერიალიზმი თავიდან ბოლომდე ემპირიულია“,—ამბობს აკსელროდი მარქსიზმის ყველა მტრებთან ერთად. ამასთანავე აკსელროდს ცდა ერთ შემთხვევაში ესმის იდეალისტურად, ხოლო მეორე შემთხვევაში — მატერიალისტურად. როდესაც ის სწერს: „კანტის მთელი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ მან მოსწყვიტა ცდის ფორმა ცდის შინაარსს, აპრიორული ფორმები გრძნობიერებასო“, — აქ ის ცდას აიგივეებს ცნობიერებასთან, ე. ი. „ცდას“ არკვევს იდეალისტურად. ხოლო როდესაც ის ამბობს, რომ „ცდა“ არის სუბიექტისა და მისგან დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ობიექტის ურთიერთზე მოქმედებაო, ეს მას მატერიალისტურად ესმის. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ის ვერ შორდება „ცდის“ ფეიერბახულ მჭვრეტელობითობაგაგებას. ამასთანავე ის შემდეგში თავის მატერიალისტურ პოზიციას კანტიანობას უთმობს. აკსელროდის აზრით, ამ ურთიერთზემოქმედების პროცესში წარმოშობილი შეგრძნობანი წარმოადგენენ არა რეალურ სამყაროს ასახვებს, არამედ იეროგლიფებს, პირობითი ნიშნებს. სხვა სიტყვებით, აკსელროდის „ცდის“ ფილოსოფია წარმოადგენს იეროგლიფების თეორიის დასაბუთებას, რომელიც ფარავს ძველ ფეიერბახულ მჭერმეტყველობით მატერიალიზმსა და კანტისეულ აგნოსტიციზმს. ასეთია იმ უახლესი „შემეცნების მარქსისტული თეორიის ობიექტური კლასობრივ პოლიტიკური შინაარსი, რასაც ანვითარებენ მენშევიკური ემპირიკოსები — რევოლუციურ მარქსისტულ-ლენინურ დიალექტიკის წინააღმდეგ. მექანისტების ბრძოლა დიალექტიკის როგორც შემეცნების თეორიის წინააღმდეგ, თავისთავად ცხადია, არსებითად წარმოადგენს ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა შ ი მ ე ნ შ ე ვ ი ზ მ ი ს ბ რ ძ ო ლ ა ს ბ ო ლ შ ე ვ ი ზ მ თ ა ნ.

მარქსიზმის შემეცნების თეორიას არაფერი საერთო არა აქვს მენშევიკურ ნახევრადკანტიანურ დეკლარაციასთან „ცდისეულ“, „ემპირულ“ შემეცნების შესახებ. მატერიალისტურ დიალექტიკაში შემეცნების წყაროს წარმოადგენს ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი, მოძ-

[1] ლ ე ნ ი ნ ი, ტ. XIII, გვ. 151.

[2] ი ბ ე ვ ე.

რავი მატერია. ცოცხალი, გრძნობიერი შემეცნება, რასაც საზღვრავს პრაქტიკულ, რევოლუციურ-კრიტიკული მოქმედება, შეადგენს იმ შემეცნების ერთიან დიალექტიკურ პროცესის მნიშვნელოვან მომენტს, რაც წარმოადგენს მხოლოდ ობიექტურ სამყაროს დიალექტიკის ასახვას.

თუ რომელ „ემპირიზმზე" ლაპარაკობენ მექანისტები, ეს ჩანს თუნდაც სარაბიანოვის შემდეგი თეზისებიდან: „არა მარტო გრძნობის ორგანოები გვატყუილებენ ჩვენ, — სწერდა სარაბიანოვი, — არამედ თვით ბუნებას შევყავართ შეცდომაში". სარაბიანოვის თეორიის თანახმად მთელი გრძნობიერებითი შემეცნება იქცევა სრულ მოტყუებად, მაშასადამე, ადამიანის მთელი მოქმედებაც უნდა გადაიქცეს სრულ შეცდომად, ე. ი. კანონდება რაღაც მარადი, პრინციპიალური განსეთქილება შეგრძნობებსა და მატერიალურ სამყაროს შორის. მექანისტების „ემპირიზმზე" შეუძლებელია აგებული იქნას მეცნიერული რევოლუციური თეორია, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გაგვეთვალისწინებია კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილის მსვლელობა და ხიტყვა რევოლუციურად გადაგვექცია საქმედ, ე. ი. შეუძლებელია აგებული იქნას ბოლშევიზმის გაბედული, რევოლუციური, გადამწყვეტი ტაქტიკა. ასეთი დამპალი „ემპირიზმის" წინააღმდეგ არის სწორედ მიმართული ლენინის ძირითადი დებულება, რომ ჩვენი გრძნობების ორგანოებს ძალუძსთ განასახიერონ ობიექტური ჭეშმარიტება, რომ ცოცხალი, კონკრეტული შეგრძნობა წარმოადგენს ობიექტური რეალობის სახეს, ასლს, ასახვას.

ჩვენი მექანისტები იმისთვის კი არ ლაყბობენ ემპირიზმის შესახებ, რომ სერიოზულად შეისწავლონ ემპირული გრძნობითი შემეცნების როლი და მნიშვნელობა რევოლუციური თეორიის დასაბუთებისა და წარმატებითი პრაქტიკული მოქმედებისათვის. პირიქით, ემპირიზმზე ხმაურობით მათ სურთ მიჩქმალონ უარყოფა დიალექტიკისა და რევოლუციური თეორიისა, რათა ემპირიული შემეცნება დაუპირდაპირონ თეორიულს, რათა ნახევრადკანტიანური, აგნოსტიკური გნოსეოლოგია დაუპირდაპირონ დიალექტიკას როგორც შემეცნების თეორიას.

მარქსისტული დიალექტიკა რევოლუციური და კონკრეტულია, იგი არაა მოწყვეტილი გრძნობითი, ცოცხალ ისტორიულ პრაქტიკიდან და გრძნობითი ემპირულ შემეცნებიდან. მექანისტები ცდილობენ მის იზოლირებას, მოწყვეტას ემპირულ შემეცნებიდან, დიალექტიკის განდევნას თავიანთი შემეცნების „პოზიტიური" თეორიიდან, მის გადაქცევას აზროვნების უსაგნო, არაფრის გამომსახველ ფორმებად. ამითისინი ცხადყოფენ თავიანთ სრულ უცოდინარობას თვით ემპირულ

გრძნობითი შემეცნების დიალექტიკური ხასიათის შესახებ, და აგრეთვე ემპირულ და თეორიულ შემეცნებას შორის არსებულ კავშირის გაუგებლობას.

მას შემდეგ, რაც მეცნიერების მიერ დამტკიცებულია ბუნების ისტორიული განვითარება, ორგანიულ ქვეყნიერებისა და ადამიანთა საზოგადოების ისტორიული წარმოშობა და განვითარება, სრული უაზრობაა დაუბრუნდეთ ძველ მეტაფიზიკურ თეორიებს ბუნების შესახებ, შემეცნების მიჯნებისა და უნარის შესახებ და გამოვყოთ მოძღვრება მეთოდის შესახებ გნოსეოლოგიიდან, ლოგიკიდან და სხ., როგორც ამას ცდილობენ მექანისტები. მეტაფიზიკური შეხედულება შემეცნების არსებაზე — დიდი ხნით განვლილი ისტორიული ეტაპია. ამავე დროს მექანისტების მსჯელობა სავსებით მეტაფიზიკურია. მათ სრულებით არ გააჩნიათ გრძნობითი და თეორიული შემეცნების ურთიერთდამოკიდებულების დიალექტიკური გაგება. ისინი იღებენ ცალკე ინდივიდის ცალკე აღქმას ისე, რომ ისტორიულად არ უდგებიან მას, აგროვებენ შემცდარ აღქმათა ცალკეულ შემთხვევებს, რაც გამოწვეულია გრძნობის როშელიმე ორგანოს დაზიანებით, სრული პირობების უქონლობით სწორი აღქმისათვის და სხ., — და ასეთი „ცდის“ საფუძველზე აკეთებენ დასკვნას, მსგავსად სარაბიანოვისა: „გრძნობები ჩვენ ხომ გვატყუილებენო“. ანდა, ისინი მსჯელობენ „გრძნობის ორგანოების აღმქმელობა მუდამ იცვლება ორგანიზმის ვარჯიშობისა და მდგომარეობის მიხედვითო“, და, მაშასადამე, „არ შეიძლება ვენდოთ გრძნობის ორგანოებსო“. საკითხავია, მაინც როგორღა შევიცნობთ ჩვენ სამყაროს, თუ გრძნობები გვატყუილებენ და ბუნებას შეცდომაში შევყავართ? „მხოლოდ იარაღის და ექსპერიმენტის საშუალებით — გვიპასუხებს ამხ. სარაბიანოვი, — შეგვიძლია ჩვენ საგნებისა და მათი პროცესების შეცნობა“, იარაღებით „გამოვასწორებთ ჩვენი გრძნობის ორგანოებს.“ ჭეშმარიტად საცოდავი და უსუსურია მექანისტების „ცდის თეორია“. თურმე გრძნობათა ორგანოები გვატყუილებენ ჩვენ შესასწავლ საგნების მიმართ, მაგრამ სამაგიეროდ არასოდეს არ შეაცდენენ იმ ადამიანს, რომელიც შეიცნობს იარაღის საშუალებით...

ამავე დროს სინამდვილეში ყველაფერი სწორედ წინააღმდეგ ხდება: ექსპერიმენტი, პრაქტიკა, ტექნიკა — იგივე იარაღები გვიმტკიცებენ, რომ საბოლოო ჯამში ადამიანის გრძნობათა ორგანოები სწორად ასახავენ საგნებსა და ბუნების პროცესებს. ჩვენ რომ ისინი გვატყუილებდენ, მაშინ აღარ იქნებოდა არც ტექნიკა და არც იარაღები; მომქმედი ისტორიული პრაქტიკა შეუძლებელი იქნებოდა. ცხადია, ცალკე აღებულ ადამიანის გრძნობათა ორგანოები ისე, რო-

გორც ვერც ერთი ცალკე აღებული იარაღი, ვერ მოგვცემს ჩვენ აბსოლუტურ სიზუსტეს და ვერასოდეს ვერ შესძლებს აბსოლუტური სისრულით და სიზუსტით ასახოს ბუნება. მაგრამ კაცობრიობას თავის ისტორიულ განვითარებაში შეუძლია დაუსრულებლად განავითაროს და დააზუსტოს თავისი შემეცნებანი. არ შეიძლება ჩვენი ინდივიდუალური აღქმის ანა თუ იმ შეზღუდულობის საფუძველზე გამოვიყვანოთ დასკვნა, რომ გრძნობები საზოგადოთ გვატყუილებენ. ექსპერიმენტი როდი უარყოფს, არამედ ადასტურებს, რომ აღქმას აქვს საგნის სწორად ასახვის უნარი. ექსპერიმენტი კი არ სპობს ნდობას გრძნობითი შეცნობისადმი, არამედ აფართოვებს, ამდიდრებს გრძნობითი შემეცნების სფეროებს, აქცევს რა გრძნობის ორგანოების მიერ აღუქმელ, ან ძნელად აღსაქმელ მატერიალური მოძრაობის ფორმებს ჩვენი აღქმისათვის მისაწდომელ მოძრაობად. შემეცნების ხელოვნური იარაღები კი არ უპირისპირდებიან გრძნობათა ორგანოებს, არამედ შეავსებენ მას, ეხმარებიან უფრო ღრმად შეიცნოს ბუნების მოვლენები და ურთიერთობანი.

ენგელსს ჰელმჰოლცის ტიპის აგნოსტიკების საწინააღმდეგოდ მოჰყავს დაწვრილებითი და საფუძვლიანი დამამტკიცებელი საბუთი, რომ აღქმანი სწორად ასახავენ ბუნებას. მან განავითარა დიალექტიკური შეხედულება გრძნობითი შემეცნების ბუნებაზე, მიუთითა მის აქტიურ და ისტორიულ ხასიათზე, აზროვნებისა და პრაქტიკის გრძნობიერობის დიალექტიკურ კავშირზე. წერილში — „შრომის როლის შესახებ მაიმუნის გაადამიანების პროცესში“ — ენგელსმა მოგვცა ადამიანური შემეცნების წარმოშობისა და განვითარების თანმიმდევრობითი მატერიალისტური, ე. ი. დიალექტიკური დასაბუთება, — ეს სრულებითაც არ ჰგავს თანამედროვე მექანისტებსა და სქოლასტიკოსებს, რომლებიც კვლავ კითხულობენ კანტის შემდეგ: „როგორ შეიძლება ცდაო?“

გრძნობითი შემეცნებისა და აზროვნების წარმოშობა და განვითარება ენგელსის მიხედვით შეუძლებელია გავიგოთ ისტორიულ პრაქტიკასთან დაუკავშირებლად, აქტიურ შრომითი მოქმედებასა და კლასობრივ ბრძოლასთან დაუკავშირებლად. მარქსმა, ენგელსმა და ლენინმა წამოაყენეს ჩვენს წინაშე ამოცანა, რათა კვლავ დავასაბუთოდ და დავამუშაოთ დიალექტიკა როგორც შემეცნების თეორია — ტექნიკის განვითარების, ყველა მეცნიერებათა ისტორიისა და კერძოდ ორგანიული სამყაროს განვითარების, ბავშვის განვითარების ისტორიის საფუძველზე. დარვინის განვითარების თეორიით, — ამბობს ენგელსი, — „მოცემულია არა მარტო ორგანიული სიცოცხლის არსებულ წარმომადგენელთა განმარტება, არამედ ჩაყრილია საძირკველი ადამი-

ანური სულის წინაისტორიისათვის, მისი განვითარების სხვადასხვა საფეხურების შესწავლისათვის, დაწყებული დაბალი ორგანიზმების მარტივი, უსტრუქტურო, მაგრამ აღგზნების განმცდელ პროტოპლაზმიდან, დამთავრებული მოაზროვნე ადამიანური ტვინით. ამ წინაისტორიის გარეშე,— დასძენს ენგელსი, — მოაზროვნე ადამიანური ტვინის არსებობა სასწაულად რჩება"[1]. ხოლო განვითარების თეორიის შემწეობით აზროვნება დასაბუთებულია ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი მიზეზებით, ე ი. მეცნიერულად დასაბუთებული და განმარტებულია. ცარიელი სქოლასტიკა იქნება, თუ ჩვენ, მექანისტების მსგავსად, არ გავითვალისწინებთ ადამიანური შემეცნების დიალექტიკურად აქტიურ ხასიათს საზოგადოდ და მის პირდაპირ დამოკიდებულებას პრაქტიკულ მოღვაწეობაზე, რაც მიმართულია ბუნების შეცვლისა და საზოგადოების გარდაქმნისაკენ. ამიტომ მექანისტების ცდა, რათა გამოჰყონ დიალექტიკა როგორც აზროვნების თეორია გრძნობითი, ემპირული შემეცნებისა და ობიექტური დიალექტიკისაგან, წარმოადგენს საკუთარ რეაქციურ წამოწყებას, რასაც არაფერი საერთო არა აქვს მარქსიზმთან და მარქსისტულ მეცნიერებასთან საზოგადოთ.

დ) დიალექტიკის შეცვლა მექანიკით. წონასწორობის თეორია.

მექანისტების მიერ მატერიალისტური დიალექტიკის როგორც შემეცნების თეორიის გაუგებლობა შეესაბამება ცალმხრივ მექანისტურ შეხედულებას ბუნებასა და საზოგადოებაზე, ძველ მექანისტურ მატერიალიზმის რესტავრაციას.

„მეთვრამეტე საუკუნის მატერიალიზმი,—სწერდა ენგელსი, —განსაკუთრებით მექანიკური იყო იმიტომ, რომ ბუნებისმეტყველობის დარგებიდან იმ დროს ერთგვარ დამთავრებას მხოლოდ მექანიკამ, სახელდობრ მხოლოდ (ზეცისა და დედამიწის) მაგარი სხეულების მექანიკამ, მოკლედ, სიმძიმის მექანიკამ მიაღწია. ქიმია ახლად ფეხადგმული იყო. ამ დარგში ჯერ კიდევ ფლოგისტონის თეორიას მისდევდენ. ბიოლოგია არტახებს არ გასცილებოდა; მცენარისა და სხეულის ორგანიზმი ჯერ ნაკლებ იყო გამოკვლეული, მის ფუნქციებს წმინდა მექანიკური მიზეზებით ხსნიდენ; როგორც დეკარტის თვალში ცხოველი, ისე მე XVIII საუკუნის მატერიალისტების თვალში ადამიანი მხოლოდ მანქანა იყო. კლასიკური ფრანგული მატერიალიზმის პირველ სპეციფიურ, იმ დროისათვის აუცილებელ ნაკლულოვანებას, შეადგენს ის, რომ იგი მექანიკიდან გადმოღებული საზომით უდგებოდა ქიმიური და ორგანიული ბუნების მოვლენებს, ე. ი. დარგს,

---

[1] ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 216.

სადაც მექანიკური კანონებიც მოქმედებენ, მაგრამ უკანა რიგში სდგებიან სხვა უფრო მაღალი კანონების წინაშე[1].

მარქსისა და ენგელსის უდიდეს დამსახურებას წარმოადგენს ძველი, მჭვრეტელობითი ანტიდიალექტიკური მატერიალიზმის ნაკლულოვანებათა დაძლევა, მატერიალიზმის დიალექტიკით გამდიდრება. მატერიალისტური დიალექტიკა — როგორც ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების საყოველთაო კანონების ყოველმხრივი მოძღვრება — არის ერთადერთი თანმიმდევრობითი მატერიალისტური შემეცნების თეორია და რევოლუციური მოქმედების მეთოდი.

მარქსიზმის ბურჟუაზიული თანამგზავრნი არაერთხელ უკეთებდენ რევიზიას დიალექტიკას, როგორც ბუნებისა და საზოგადოების კანონთა მეცნიერების საყოველთაო ხასიათს. ლენინი აკრიტიკებდა ბურჟუაზიულ აპოლოგეტ-სტრუვეს „დიალექტიკის იმთავითვე უცოდინარობისათვის.“ უსასტიკესად გააკრიტიკა ლენინმა მისი თანამედროვე ბუნებისმეტყველნი იმისათვის, რომ მათ არ ჰქონდათ უნარი ამაღლებულიყვნენ სტიქიური მატერიალიზმიდან დიალექტიკურამდე, იმისათვის, რომ ისინი მატერიალიზმიდან მახიზმისაკენ ეშვებოდენ. თანამედროვე მექანიციზმიც დაკავშირებულია აგრეთვე დიალექტიკის „თავიდანვე უცოდინარეობასთან“ მთელი რიგი ამხანაგების მიერ, რომელნიც ეწევიან საქმიანობას მარქსისტული თეორიის დარგში.

მატერიალისტური დიალექტიკის საყოველთაო კანონებს რევიზიას უკეთებს მთელი თანამედროვე მექანისტური მიმდინარეობა. მ ე ქ ა ნ ი ს ტ ი - ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ნ ი ც დ ი ლ ო ბ ე ნ ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა თ ა დ ა რ გ შ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა მ ე ქ ა ნ ი კ ა თ შ ე ც ვ ა ლ ო ნ. მექანისტური ბანაკის მნიშვნელოვანი ნაწილი, უმთავრესად ბუხარინისა და მისი „სკოლის“ სახით, სცელიდა დიალექტიკას წონასწორობის მექანისტური თეორიით— ი ს ტ ო რ ი ი ს, პ ო ლ ი ტ ე კ ო ნ ო მ ი ი ს, პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს ს ტ რ ა ტ ე გ ი ი ს ა დ ა ტ ა ქ ტ ი კ ი ს დარგში, ე. ი. საზოგადოებრივი შემეცნებისა და მოქმედების დარგში. ამრიგად, მექანისტური ბანაკის მისწრაფება მიმართულია იქითქენ, რათა გამოაცალონ დიალექტიკურ-მატერიალისტური საფუძველი რევოლუციურ მარქსიზმს, როგორც მთლიან და ერთიან მსოფლმხედველობას და შესცვალონ იგი მექანისტური მსოფლმხედველობით. მართალია, დევნიან რა დიალექტიკას ბუნებიდან და საზოგადოებიდან, მექანისტები განაგრძობენ ლაპარაკს მარქსის „დიალექტიკურ“ მეთოდის შესახებ, მაგრამ ეს მხოლოდ ფრაზაა; სინამდვილეში ისინი აზროვნებით დიალექტიკურ მეთოდს აქ-

[1] ენგელსი, ლ. ფეიერბახი, გვ. 23.

ცევენ ფორმალურ ლოგიკად, ეკლექტიკად, სოფისტიკად, მკვდარ სქოლასტიკად.

მექანისტები მარქსისტულ დიალექტიკას არასაკმაოდ მატერიალისტურად სთვლიან, ცდილობენ მის „შევსებას," „გაღრმავებას," „კონკრეტიზირებას," და დიალექტიკის „კონკრეტიზაციის" განვითარების სახით მთელი ხაზით აწარმოებენ მარქსიზმ-ლენინიზმის რევიზიას.

თანამედროვე მექანიციზმის რევიზიონისტულ არსებას სწორედ ის ახასიათებს, რომ ისინი ცდილობენ შესცვალონ რევოლუციური დიალექტიკა მექანიკით, შეავიწროვონ, გაძარცვონ მარქსისტული დიალექტიკა და დაიყვანონ იგი ცარიელ სიტყვების ჩხარუნამდე. ამ მიმწრაფებას უწინარეს ყოვლისა გამოხატავს ნ. ი. ბუხარინი.

ბუხარინი ჯერ კიდევ 1922 წელს სწერდა, რომ მარქსი და ენგელსი „ანთავისუფლებენ დიალექტიკას მისი მისტიური ნაპუპიდან მოქმედებაშიო,"[1] მაგრამ ვითომ არ დაასაბუთეს იგი თეორიულად და არსად არ მოგვცეს მისი თეორიულ-სისტემატიური განმარტება. ბუხარინი უსაყვედურებს მარქსსა და ენგელსს, რომ მათ დაუტოვეს პროლეტარიატს მსოფლმხედველობა, რომელიც არაა განთავისუფლებული „თელეოლოგიური ელფერისაგან, რომელიც უცილებლად დაკავშირებულია ჰეგელის ფორმულირებასთან, რაიც „სულის" თვითგანვითარების ემყარება"[2]-ო. ამიტომ ბუხარინი წინადადებას იძლევა, რათა „მისტიური" მარქსისტულ დიალექტიკის ნაცვლად საფუძვლად დაედოს მარქსიზმს მექანისტური „წონასწორობის თეორია," რომელიც თითქო „წარმოადგენს მოძრავ მატერიალურ სისტემების კანონთა უფრო ზოგად და იდეალისტურ ელემენტებისაგან გაწმენდილ ფორმულირებას"[2]. „ჩვენ შესაძლებლად ვთვლით,—ამბობს ბუხარინი,—გარდავქმნათ ჰეგელის დიალექტიკის „მისტიური," როგორც მას მარქსი უწოდებდა, ენა თანამედროვე მექანიკის ენად"[3].

ბუხარინს არ სცხვენია, ბურჟუაზიულ პროფესორებთან ერთად მეათასეჯერ უსაყვედურის მარქსისტულ დიალექტიკას ჰეგელის მისტიკის შესახებ, მიუთითოს, რომ მარქსისტულ მსოფლმხედველობაში არის „თელეოლოგიური (მისტიური) ელფერი," „იდეალისტური ელემენტები," გაკვრით მოიხსენიოს მარქსისტული დიალექტიკის „სივიწროვე" და ეძიოს „მატერიის მოძრაობის კანონთა უფრო ზოგადი (!)

---

[1] ბ უ ხ ა რ ი ნ ი, კრებული „ატაკა" გვ. 118.

[2] ი ქ ვ ე.

ი ქ ვ ე.

[3] ბ უ ხ ა რ ი ნ ი, ისტორიული მატერიალიზმის თეორია, გვ. 76.

ფორმულა.“ მაგრამ სწორედ ეს ნიშნავს— სათავეში ჩაუდგე ახალ ლაშქრობას მარქსიზმის წინააღმდეგ „უფრო ზოგად“ ბურჟუაზიულ „თვალსაზრისის“ სასარგებლოდ! ბუხარინს გათვალისწინებული აქვს, რომ დიალექტიკის გადათვალიერებასთან უცილებლად დაკავშირებულია მთელი მარქსიზმის გადათვალიერება, რომ მარქსიზმისადმი წონასწორობის თეორიის შეფარდებით უნდა მოხთეს სათანადო გადათვალიერება მთელი მარქსისტული მეცნიერებისა: ისტორიული მატერიალიზმის თეორიის, პოლიტეკონომიის, მარქსისტულ ლენინური პოლიტიკისა და ტაქტიკის. ბუხარინისა და მისი „სკოლის“ მიერ ჩატარებული „თეორიული მუშაობა“ მარქსიზმის დამახინჯების დარგში განუწყვეტლად დაკავშირებულია ამ „სკოლის“ მემარჯვენე ოპორტუნისტულ შეხედულებებთან.

მაგრამ ბუხარინმა, რომელიც უსაყვედურებს მარქსსა და ენგელსს „მისტიფიკაციის“ შესახებ გვერდი აუარა მათ ძირითად მოსაზრებებს დიალექტიკის შესახებ. მარქსმა და ენგელსმა კარგად იცოდენ, რომ ბურჟუაზია და მისი თეორიული მოსამსახურენი ტალახში გასვრიან მათ რევოლუციურ მოძღვრებას, უწოდებდენ რა მას „ჰეგელიანურ სოფისტიკას.“ ბურჟუაზიულ კრიტიკას მარქსი შეჰდეგი სიტყვებით უპასუხებდა: „ჰეგელის დიალექტიკის მისტიფიციური მხარე მე გავაკრიტიკე თითქმის 30 წლის წინათ, როდესაც იგი ჯერ კიდევ მოდაში იყო.“ „ჩემი დიალექტიკური მეთოდი, — ამბობს მარქსი, — არა მარტო ძირითადათ განსხვავდება ჰეგელის მეთოდისაგან, არამედ შეადგენს მის პირდაპირ წინააღმდეგობას“ [1].

ბუხარინმა ვერ გაიგო მატერიალისტური დიალექტიკის რევოლუციური მნიშვნელობა. და არც რაიმე ახალი უთქვამს. მან მხოლოდ გაიმეორა ძველი ბოგდანოვ-მახისტური ცილისწამება მარქსიზმის მიმართ: „მარქსს, როგორც ჰეგელსაც, დიალექტიკის ძირითადი ცნება არ მიუცია სრული სიცხადითა და სისრულით; ხოლო ამის მეოხებით თვით დიალექტიკური მეთოდის გამოყენება არ არის ზუსტი და მტკიცე, მის სქემებში შერეულია თვითნებობა, და არა მარტო დიალექტიკის მიჯნები ხდება გაურკვეველი, არამედ ხანდახან თვით მისი აზრიც ძლიერ მახინჯდება“ [2].

ბუხარინმა სიტყვა-სიტყვით გაიმეორა აგრეთვე ბოგდანოვის აზრი დიალექტიკის სივიწროვისა და ისტორიული შეზღუდულობის და უფრო ფართო, „ზოგად თვალსაზრისზე“ გადასვლის აუცილებლობის შესახებ. „ორგანიზაციული პროცესები, — სწერდა ბოგდანოვი, — ბუნებაში სწარმოებს არა მხოლოდ დაპირდაპირებულობათა ბრძო-

---

[1] მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი. ტ. I, გვ. XXIII.

[2] ბ ო გ დ ა ნ ო ვ ი, ცოცხალი გამოცდილების ფილოსოფია, გვ. 189, 1920 წ.

ლის საშუალებით, არამედ სხვა გზებითაც; დიალექტიკა, მაშასადამე, არის კერძო შემთხვევა, და მისი სქემა არ შეიძლება გადაიქცეს უნივერსალურ მეთოდად. აქედან გამომდინარე ახალ თვალსაზრისს აყალიბებს ემპირიომონიზმი"[1]. ბოგდანოვის ემპირიომონიზმის ეს თვალსაზრისი, რაზედაც არაფერს ამბობს ბუხარინი, არის სწორედ ბოგდანოვის ის მექანისტური, „ორგანიზაციული მეცნიერება," თავისი მედიდური წონასწორობის თეორიით, რასაც ხელი ჩაავლო ბუხარინმა, არ მიაქცია რა ყურადღება ლენინის გაფრთხილებას ბოგდანოვის „ორგანიზაციული მეცნიერების," მისი „ტექტოლოგიის" იდეალისტური, რეაქციური საფუძვლის შესახებ.

„ბოგდანოვმა თქვენ მოვატყუილათ, შესცვალა რა... და შეეცადა რა გადაენაცვლებია ძველი დავა. თქვენ კი უთმობთ!"[2]—სწერდა ვლადიმერ ილიჩი ბუხარინს. ამ გაფრთხილების საპასუხოდ ბუხარინმა გამოამეღავნა, რომ მას სრულებითაც არ სურდა გაეგო ლენინის აზრი. „მაგრამ სწორედ ამის დამტკიცებაა საჭირო,—უპასუხა მან ლენინს.—ჩემის აზრით, არსებითად აქ მართლაც არ არის ფილოსოფია, და ტექტოლოგია—სხვა არა არის რა გარდა ემპირიომონიზმისა. ასეთ რამეებში ჩემი მოტყუილება არც ისე ადვილია"[3].

„სწავლა-დაუსრულებელი თეორეტიკოსის"—ბუხარინის ეს პრეტენციოზული პასუხი ერთობ ნათლად ახასიათებს მის დამოკიდებულებას ლენინისადმი, როგორც თეორეტიკოსისადმი, და მარქსისტული ფილოსოფიის განვითარების ლენინური ეტაპისადმი კერძოდ.

ამ ბოგდანოვისეულ-სქოლასტიკურ მეთოდოლოგიაზე ბუხარინს დღემდე არ აუღია ხელი, მიუხედავად მისი აშკარა იდეალისტური, რეაქციური, მარქსიზმ-ლენინიზმისადმი სავსებით მტრული ხასიათისა. მართლაც და, ვნახოთ, რითი უნდა განსხვავდებოდეს, ბოგდანოვის მიხედვით, მისი მექანისტური, ან როგორც ის მას უწოდებს, „ტექტოლოგიური" თვალსიზრისი მარქსისტული კრიტიკულ-რევოლუციური დიალექტიკისაგან.

უწინარეს ყოვლისა ბოგდანოვის ტექტოლოგიური „თვალსაზრისი" მის სუბიექტივიზმთან შესაბამებით, უნდა იყოს უნივერსალურად ფართო სქემა, სავსებით განურჩეველი თავისი შინაარსისადმი. „ტექტოლოგიის წინაშე, როგორც მათემატიკის წინაშეც, ყველა მოვლენანი თანასწორნი არიან, ყველა ელემენტები განურჩეველნი არიან,"—ასეთია ბოგდანოვის მეთოდოლოგიური სქოლასტიკის ძირითადი პრინციპი. მექანისტურმა მეთოდოლოგიამ უნდა ჩა-

---

[1] ბოგდანოვი, ცოცხალი გამოცდილების ფილოსოფია, გვ. 208.

[2] ლენინის კრებული XII, გვ. 385.

[3] იქვე.

ახრჩოს ყველა ცოცხალი და კონკრეტული აბსტრაქტულში, უნდა მოკვეცეს უნივერსალური, უშინაარსო, ცარიელი, ფორმალური „სიმბოლიური სქემები“ ფორმალური ლოგიკის ყველა წესების მიხედვით, რომელნიც სწყვეტენ ზოგადს განკერძოებულისა და ერთეულისაგან. „მისი განსაზოგადოებანი, როგორც მატერიალისტური სიმბოლოებიც, უნდა განერიდონ იმ ელემენტების კონკრეტობას, რომელთა ორგანიზაციულ კავშირსაც ისინი გამოხატავენ, უნდა დაფარონ ეს კონკრეტობა განურჩეველი სიმბოლოებით[1]“.

ამრიგად კონკრეტულ მატერიალისტურ დიალექტიკას, რომლისათვისაც არ არსებობს ზოგადი განკერძოებულისა და ერთეულის გარეშე, არ არის აბსტრაქტული კონკრეტულის გარეშე, ბოგდანოვი უპირისპირებს იდეალისტურ, აბსტრაქტულ-სქოლასტიურ, უნივერსალურ სქემატიკას, მსგავსად პოზიტივისტ დიურინგის მსოფლიო სქემატიკისა. ეს მკვდარი სქოლასტიკა, რომელსაც შეუძლია ჩაჭკლას ცარიელ აბსტრაქციაში ყოველივე რეოლუციური, მიჩქმალოს ცარიელი ფრაზით, ყველაფერი წაშალოს, ყველაფერს გვერდი აუაროს, არის სწორედ მუშათა კლასში ბურჟუაზიული აგენტურის დაუფასებელი მეთოდოლოგია. ბუხარინმა მთლიანად გადმოიღო ბოგდანოვის ეს უნივერსალური სქემატიზმი.

ბოგდანოვის მეთოდოლოგიის მეორე სუბიექტურ-იდეალისტური პრინციპი, რომელიც „ვერ შეამჩნია“ მარქსისტმა ბუხარინმა, ამბობს, რომ „ტექტოლოგიისათვის“ ცდის ერთიანობა კი არ იპოვნება, „არამედ იქმნება აქტიურ-ორგანიზაციული გზით.“ ბოგდანოვის მიხედვით, ჩვენ უნდა გამოვმდინარეობდეთ არა კონკრეტულ ობიექტური ვითარების პირობებიდან, არა მატერიალურ გარეგან სამყაროსა და მისი ერთიანობისაგან, რაიც იდეალისტ ბოგდანოვისათვის არ არსებობს, არამედ საკუთარი თავიდან, ფსიქიური „ელემენტებისაგან“ უნდა შევქმნათ, ჩამოვაყალიბოთ, მოვაწესრიგოთ ბუნება და საზოგადოება, შევქმნათ ცდის ერთიანობა. „როგორაა შესაძლებელი ცდა, როგორ შევადგინოთ ელემენტებისაგან მათი სისტემა, როგორ შეეათანხმოთ ცდა?“—აი, ის კითხვა, რომელიც არ შორდებოდა კანტს; იგი არ შორდება ბოგდანოვსაც და... ბუხარინსაც. რამდენადაც ნაკლები იქნება წინაალმდეგობა „ელემენტებს“ შორის, მით უფრო ადვილად უნდა მიმდინარეობდეს ორგანიზაციული პროცესი, მით უფრო მაღალი, უკეთესი უნდა იყოს სისტემა. ამიტომ „პრაქტიკისა და თეორიის ამოცანა შეიცავს ტექტოლოგიურ კითხვას: როგორ უნდა შევაკავშიროთ ყველაზე უფრო მიზანშეწონილად რეალურ ან იდეალურ ელემენტების რომელიმე ერთობლივობა?“

[1] ბოგდანოვი, ტექტოლოგია, გვ. 105.

ბუხარინი ცდილობს „მატერიალურად“ აქციოს ელემენტებისაგან სისტემების კონსტრუირების ეს არსებითად სუბიექტურ-იდეალისტური მეთოდი! „ყოველი საგანი,—ამბობს ის,—იქნება იგი ქვა ან ცოცხალი საგანი, ან ადამიანთა საზოგადოება, ან სხვა რაიმე,—ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ როგორც რაღაც მთლიანი, შემდგარი ურთიერთთან დაკავშირებულ ნაწილებისაგან (ელემენტებისაგან); სხვა სიტყვებით, ჩვენ შეგვიძლია ეს მთელი განვიხილოთ როგორც ს ი ს ტ ე მ ა“[1]. „თითოეული სისტემა შედგება შემადგენელი ნაწილებისაგან (ელემენტებისაგან), რომელნიც ასე თუ ისე შეერთებულნი არიან ერთმანეთს შორის. ადამიანთა საზოგადოება შესდგება ადამიანებისაგან, ტყე—ხეებისა და ბუჩქებისაგან, ქვის გროვა—ამ ქვებისაგან, ცხოველთა ჯგოგი—ამ ცხოველებისაგან და სხ.[2] ბუხარინის „ორგანიზაციული,“ ე. ი. მექანისტური, „დიალექტიკის“ მთელი სიბრძნე მდგომარეობს ფორმულაში: „თუ მოცემულია ესა და ეს ელემენტი, მაშინ რ ო გ ო რ ი უ ნ დ ა ი ყ ო ს პ ი რ ო ბ ე ბ ი, რომლის დროსაც შესაძლებელია შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ უ ლ ი ი ქ ნ ა ს იმ სისტემის წ ო ნ ა ს წ ო რ ო ბ ა, რომელშიაც შედიან ან უნდა შევიდენ მისი ელემენტები.“

ბუხარინი ერთი ნაბიჯითაც ვერ გაშორდა კანტისეულ კითხვას—„როგორაა შესაძლებელი ცდა,“ „როგორაა შესაძლებელი ცდის ერთიანობა,“ როგორაა შესაძლებელი წონასწორობა? ბუხარინი ასეთ პასუხს იძლევა: კლასობრივი საზოგადოება ა რ ს ე ბ ო ბ ს, მაშასადამე, უნდა იყოს წონასწორობის დამატებითი პირობები. უნდა იყოს რაღაც, რაც ასრულებს სალტის როლს, გარემოიცავს კლასებს, რაც საშუალებას არ აძლევს საზოგადოებას დაიშალოს, დაირღვეს, საბოლოოდ გაითიშოს. ასეთ სალტეს წარმოადგენს სახელმწიფო, ე. ი. ბუხარინის მიხედვით, საზოგადოების ერთიანობის პირობა უნდა იყოს კლასების შემარიგებელი, დამაკავშირებელი, წინააღმდეგობათა შემარიგებელი სალტე—სახელმწიფო. ეს ცარიელი იდეალისტური და რეაქციური სქოლასტიკა ჩქმალავს სახელმწიფოს კლასობრივ არსებას და მივყევართ ბურჟუაზიულ სიცრუემდე სახელმწიფოს ზეკლასიურ ბუნების შესახებ. აქ ბუხარინის მიერ კლასები დაყვანილი არიან ცარიელ აბსტრაქციებამდე, „ელემენტებამდე,“ საზოგადოება დაყვანილია ასეთსავე მკვდარ აბსტრაქციამდე—სისტემამდე. სახელმწიფო დაყვანილია გარეგან სალტემდე—ცარიელ აბსტრაქციამდე, რომელმაც უნდა დააკავშიროს ელემენტები, მისცეს სისტემას „ერთიანობა“, სიმტკიცე და მოსპოს წინააღმდეგობითობა.

---

[1] ბ უ ხ ა რ ი ნ ი, ისტორიული მატერიალიზმის თეორია, გვ. 77.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 793.

ბუხარინი ცდილობს მარქსსა და ენგელსს მიაწეროს ელემენტებისაგან „სისტემის“ კონსტრუირების კანტიანური მეთოდი, პირობების გამოძებნის მეთოდი. „არსებულ (ან ხაგულისხმევ) ფაქტების მიხედვით აუცილებელ პირობათა გამოძებნის მეთოდს მეტისმეტად ხშირად იყენებდენ მარქსი და ენგელსი, თუმცა ამას დღემდე ერთობ მცირე ყურადღებას აქცევდენ. ამავე დროს არსებითად მთელი „კაპიტალი“ სწორედ ასეა აგებული[1]“.

აუცილებელ პირობათა გამოძებნის მეთოდს მარქსიზმთან, როგორც თანმიმდევრობით მატერიალისტურ მოძღვრებასთან, არაფერი საერთო არ აქვს. ეს მეთოდი სავსებით გაჟღენთილია ანტიისტორიზმით. ხოლო მარქსისტული მეთოდი მდგომარეობს ისტორიულ მიდგომაში, განვითარების თვალსაზრისით მიდგომაში საფუძვლებისა და პირობების საკითხებისადმი. აი რითია მართლაც გაჟღენთილი მარქსის მთელი „კაპიტალი.“ ბაგდანოვი და ბუხარინი თეორიულ განწყობათა დროს გამომდინარეობენ არა მატერიალურ სამყაროდან, როგორც თანმიმდევრობითი დიალექტიკური მატერიალისტები მარქსი, ენგელსი და ლენინი გამომდინარეობენ, არამედ პირველდაწყებით, დაქსაქსულ, გათიშულ „ელემენტებისაგან,“ ნაწილებისაგან, რომელთაგანაც ისინი შემდეგ თავიანთი თავის შემწეობით მექანიკურად აკონსტრიურებენ მთლიანს, ერთიანს, ეძებენ მისთვის „პირობებს.“ ამიტომ მათი ელემენტებიც და ამ ელემენტებისაგან შედგენილი „სისტემებიც“ რჩებიან მკვდარ აბსტრაქციებად, და არა ცოცხალ, კონკრეტულ, მატერიალურ სამყაროს გამოხატულებებად. სამყაროს ცოცხალი მატერიალური ერთიანობა, რაიც დაპირდაპირებულობათა ბრძოლის გზით ვითარდება, თვითვეშობს თავის ნაწილებს, ხოლო ბუხარინისა და სხვა ჩვენი მეტაფიზიკოს-მექანისტებისათვის ნაწილები არსებობენ მთელზე უფრო ადრე, მთლიანისაგან განცალკევებით.

მესამე, ბოგდანოვი მოითხოვს, რათა მისი იდეალისტური ორგანიზაციული მექანისტური სქოლასტიკა არ აურიონ „მავნე“ მატერიალისტურ დიალექტიკაში. ბოგდანოვი მატერიალიზმის დაუძინებელი მტერია, - სწორედ ეს ვერ გაიგო ნ. ი. ბუხარინმა, რომელიც სასტიკი მოწინააღმდეგეა მატერიალისტური დიალექტიკის ძირითადი კანონის: დაპირდაპირებულებათა ერთიანობისა. მატერიალიზმი—გარეგან ქვეყნიერების აღიარება—ბოგდანოვის მიხედვით არის მისტიკა. ამიტომ მას არაფერი საერთო არ სურს იქონიოს „მისტიურ,“ ე. ი. მატერიალისტურ, მარქსისტულ დიალექტიკასთან და ყოველმხრივ აძაგებს მას. მაგრამ იერიშს მარქსის დიალექტიკის მიმართ ბოგდანოვი აწარ-

[1] ბუხარინი, ისტორიული მატერიალიზმის თეორია, გვ. 46-47.

მოებს არა მარტო მატერიალიზმზე თავდასხმით, არამედ სხვა ხერხსაც იყენებს, ბრალს დებს რა მარქსს ჰეგელიანობაში. ის სთვლის, რომ მარქსისტული დიალექტიკა „ფორმალურია," ვინაიდან იგი საეალდებულო პირობად აყენებს კვლევა-ძიების კონკრეტობას, გამომავალ წერტილად იღებს გარეგან მატერიალურ ქვეყნიერებას, ობიექტურ სინამდვილეს. ბოგდანოვი ერთად უყრის თავს მარქსის მატერიალისტურ დიალექტიკას და ჰეგელის იდეალისტურ დიალექტიკასაც იმ მოსაზრებით, რომ მარქსიც და ჰეგელიც აღიარებენ განვითარებას როგორც დაპირისპირებულობათა ბრძოლას. მატერიალისტურ დიალექტიკაში, როგორც მოძღვრებაში მატერიის თვითგანვითარების შესახებ, ბოგდანოვი ხედავს მარქსისა და მარქსისტების „ლოგიზმს," „მისტიკას," „თელეოლოგიას."

იმის ნაცვლად, რომ გააკრიტიკოს ბოგდანოვის თეორიის რეაქციური დედაარსი, ბუხარინი არიგებს მას რევოლუციურ მარქსიზმთან. შენიშვნებში „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის" გამო ლენინი აღნიშნავს ბუხარინის გატაცებას ბოგდანოვშინით. „ავტორი ძვირფას ა ხ ა ლ ფ ა ქ ტ ე ბ ს იძლევა, მაგრამ აუარესებს მარქსის verballhorut თეორიას „სოციოლოგიურ" სქოლასტიკით"[1]. დიალექტიკურ პროცესს — „ავტორი აყენებს (2 ადგილას) ბოგდანოვის Begriffsscholastik თან ერთად. მაგრამ ერთად არ შეიძლება დაისვას: თუ — თუ"[2]. ბუხარინი აერთებს „ადამიანურ მეტყველებას ბოგდანოვის ორგანიზიციულ ამდაუბდასთან".

თუ რამდენად მონურად და ბრმად მიჰყვება ბუხარინი ბოგდანოვს, ჩანს იქიდან, რომ იმ სიახლეთა შორის, რაც მას „შეაქვს" მარქსიზმში, არის ბოგდანოვისებური გაიგივეება ორგანიულისა მექანიკურთან.

ბუხარინის მთელი არგუმენტაცია ნასესხებია ბოგდანოვისაგან,— მას „ორგანიული" ესმის არა ბიოლოგიურის თვალსაზრისით, არამედ სპეციფიურ ბოგდანოვისებურ, ორგანიზაციულ პროცესის თვალსაზრისით. ამ მიზნისათვის ბუხარინი ბოგდანოვთან ერთად მიუთითებს ელექტრონულ თეორიაზე, რომელიც თითქო წარმოადგენს ელემენტების „ორგანიზებულ სისტემას"—ძველ, იზოლირებულ, ერთეულ და ამჟამად გამქრალ ელემენტის—ატომის წინააღმდეგ. მარქსისტ თეორეტიკოსისათვის არაფერი არ არის იმაზე უფრო საძრახი და სამარცხვინო, როგორც ეს მითითება ელექტრონულ თეორიაზე მარქსისტული დიალექტიკის უარსაყოფად და მექანიზმისა და მახისტური სქოლასტიკის გასამართლებლად!

---

[1] „ლ ე ნ ი ნ ი ს კრებული" XI, გვ. 356.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 361.

ამრიგად ბუხარინის ლოზუნგის—დიალექტიკის მექანიკის ენაზე გადატანის—მთელი აზრი მდგომარეობს იმის ცდაში, რათა „ჩაჰკლას“ დიალექტიკა, მარქსიზმის რევოლუციური სული, და გადააქციოს მარქსიზმი ბურჟუაზიულ თეორიად, შესცვალოს მარქსისტული თეორია მახისტური, მეტაფიზიკური სქოლასტიკით.

დანარჩენი მექანისტებიც სცვლიან დიალექტიკას მექანიკით, თუმცა ისინი ამას შერებიან გაცილებით უფრო ფარულ ფორმებში. ამხ. სტეპანოვი, მაგალითად, ბუნების დიალექტიკურ გაგებას სთვლიდა „ერთობ ზოგად სახელწოდებად“ და ცდილობდა „გაეკონკრეტიზირებია“ დიალექტიკა როგორც მექანისტური მსოფლმხედველობა. ის ფიქრობდა, რომ „ცხოვრების რომელიმე მოვლენის გაკება თანამედროვე მეცნიერებისათვის ნიშნავს დაიყვანოს იგი შედარებით მარტივ ქიმიურ და ფიზიკურ პროცესებამდე“ [1].

მექანისტების ძირითად გამოსავალ წერტილს და ამასთანავე მთელი მეთოდოლოგიის გვირგვინს—მათ მისწრაფებაში შესცვალონ დიალექტიკა მექანიკით—წარმოადგენს მათ მიერ დიალექტიკის დედაარსის, ბირთვის, დაპირისპირებულებათა ერთიანობის კანონის დამახინჯება, მისი შეცვლა წონასწორობის თეორიით. ამ თეორიის იდეალისტურ ფესვებს,—რაც სხვადასხვა ფორმით მოსჩანს ბურჟუაზიულ პოზიტივისტების შრომებში და რაც განსაკუთრებით განავითარეს ჩვენში ბოგდანოვმა და ბუხარინმა,—ჩვენს წინაშე შლის ბოგდანოვის „ორგანიზაციული მეცნიერება“. ბოგდანოვის თანახმად, „ორგანიზაციული პროცესი“ (რასაც ბოგდანოვი გულუბრყვილების მახეში გასაბმელად ორგანიზაციულ „დიალექტიკას“ უწოდებს) ვერ ითმენს ვერავითარ შინაგან წინააღმდეგობას თავის ელემენტებსა და სისტემებში. ბოგდანოვის ორგანიზაციული „დიალექტიკა“ დევნის სამყაროს ყოველგვარ ცოცხალ წინააღმდეგობას. ის უშვებს მხოლოდ გარეგან უმწყობრობას, „ელემენტების“, ნაწილების გარეგან შეჯახებას, რომელნიც ამასთანავე ყოველგვარ სისტემაში ყოველმხრივ უნდა შეთანხმებული იქნან, რათა ეს ელემენტები თავისთავად მექანიკურად, „ორგანიზაციულად“ შეეზარდონ სისტემას. ამისათვის სისტემა უნდა იყოს მტკიცე, უნდა იმყოფებოდეს სიმშვიდეში, წონასწორობაში. მაგრამ ვინაიდან ბუნებაში არ არის აბსოლუტური წონასწორობა, ამიტომ ბოგდანოვი იძულებულია დაუშვას

[1] სტეპანოვი, ისტორიული მატერიალიზმი და თანამედროვე ბუნების მეცოდნეობა, გვ. 26, 1924 წ.

თავის „ორგანიზაციულ პროცესში“ წონასწორობის დარღვევა, რათა სისტემამ მიიღოს მოძრაობის ხილვადობა მაინც. ამ ორგანიზაციულმა პროცესმა უნდა მიიღოს ჰეგელის ტრიადის ფორმა: ჯერ თანასწორობა—შემდეგ მისი დარღვევა—ბოლოს წონასწორობის აღდგენა. ამაში მდგომარეობს ბოგდანოვ-ბუხარინის „ორგანიზაციული პროცესის“ მთელი დიალექტიკა.

სისტემის ნორმალურ მდგომარეობად გამოცხადებულია ნაწილების, „ელემენტების“ არაწინააღმდეგობითობა და წონასწორობა. ყოველი შინაგანი წინააღმდეგობა არის სისტემის წონასწორობის დარღვევა, რაც იწვევს დაღუპვას, განადგურებას,—როგორც ბუხარინი ამბობს,—„წყდება“ კავშირი ელემენტებს შორის. ამიტომ ბოგდანოვისა და ბუხარინის შეხედვით წონასწორობის დარღვევა არის არანორმალური მდგომარეობა ბუნებასა და საზოგადოებაში, და მას დიდხანს გაგრძელება არ შეუძლია.

წონასწორობის თეორია ყველაზე უფრო ნათლად გამოთქმული არის ბუხარინის წიგნში—„ისტორიული მატერიალიზმის თეორია“.

„სამყაროში,—ამბობს ამხ. ბუხარინი, — არსებობენ სხვადასხვაგვარად მომქმედი, ერთიმეორის წინააღმდეგ მიმართული ძალები. მხოლოდ გამონაკლისს შემთხვევაში ისინი აწონასწორებენ ერთი მეორეს რომელიმე მომენტში. მაშინ ჩვენ გვაქვს „სიმშვიდის“ მდგომარეობა, ე. ი. მათი ნამდვილი „ბრძოლა“ რჩება დაფარული. მაგრამ საკმაოა შეიცვალოს ერთი ძალათაგანი და მაშინვე გამოააშკარავდება „შინაგანი წინააღმდეგობა“, ირღვევა წონასწორობა, და თუ ერთ მომენტში დამყარდება ახალი წონასწორობა, იგი დამყარდება ახალ საფუძველზე, ე. ი. ძალთა სხვა შესაბამების დროს და სხ. რა გამომდინარეობს აქედან? აქედან გამომდინარეობს, რომ „წინააღმდეგობათა“ „ბრძოლა“, ე. ი. სხვადასხვა მხრივ მიმართულ ძალთა ანტაგონიზმები აპირობადებენ მოძრაობას“ [1]. ბუხარინი, როგორც ჩანს მოყვანილ ამონაწერიდან, ერთიმეორის წინააღმდეგ მიმართულ ძალთა წონასწორობის მდგომარეობას იღებს გამოსავალ მდგომარეობად. ის აქედან გამომდინარეობს, რათა განმარტოს, როგორ და რა მიზეზის მეოხებით მოძრაობს და ვითარდება საგანი. ამხ. ბუხარინის აზრით, თურმე საგანი, მოვლენა იწყებს რა მოძრაობას, გამოდის წონასწორობის მდგომარეობიდან, ან, რაც ერთი და იგივეა, სიმშვიდის მდგომარეობიდან—ერთი იმ ძალთაგანის შემწეობით (დახეთ, ერთი ძალთაგანის მეოხებით—ავტ.), რომელიც იმყრფება მოვლენაში. საკითხავია, რა მიზეზის მეოხებით ხდება ერთი ძალთაგანის ცვლილება და, მაშასადამე—რისი მეოხებით ირღვევა

[1] ბუხარინი, ისტორიული მატერიალიზმის თეორია, გვ. 75.

სიმშვიდის მდგომარეობა? ამ კითხვაზე ბუხარინი გარკვევით უპასუხებს: „საკვლევით ცხადია, რომ სისტემის შინაგანი აღნაგობა (შინაგანი წონასწორობა) უნდა შეიცვალოს იმ დამოკიდებულების მიხედვით, რაც არსებობს სისტემასა და გარემოს შორის. ურთიერთობა სისტემასა და გარემოს შორის არის გადამწყვეტი სიდიდე, ვინაიდან სისტემის მთელი მდგომარეობა, მისი მოძრაობის ძირითადი ფორმები (დაცემა, განვითარება, შეჩერება) სწორედ ამ ურთიერთობით განისაზღვრებიან“ [1].

რაკი ასეა, რაკი საგნის (სისტემის) მდგომარეობა იცვლება იმ ურთიერთობის მიხედვით, რაც არსებობს საგანსა („სისტემასა“) და გარეგან წრეს შორის (ე. ი. სხვა, მის გარემომცველ საგნებს შორის), მაშინ აღარ შეიძლება ლაპარაკი თვით საგნის დამახასიათებელ შინაგან წინააღმდეგობაზე. მატერიალისტური დიალექტიკის თანახმად, დაპირდაპირებულობათა ბრძოლა არის ყოველი საგნის ან მოვლენის თვით მოძრაობის შინაგანი წყარო. ხოლო ბუხარინს, როგორც ყველა მექანისტებს, მოძრაობისა და განვითარების წყარო გადააქვს გ ა რ ე შ ე შ ი და გვიხატავს გარეშე გარემოს როგორც „წონასწორობის“ დარღვევის მიზეზს.

ამიტომ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ სისტემასა და გარემოს შორის არსებულ წინააღმდეგობის შესახებ. რაც შეეხება შ ი ნ ა გ ა ნ წინააღმდეგობას „სისტემაში“, რაზედაც ბუხარინი ხანდახან ცდილობს ილაპარაკოს,—მისი დაპირდაპირებულობანი მშვიდობიანად თანაარსობენ, და მხოლოდ გარეშე გარემოს პირობების მიხედვით ჰქმნიან წონასწორობის მდგომარეობას და ცვლიან თავიანთ მდგომარეობას ურთიერთის მიმართ.

ასე მაგალითად, ურთიერთ დამოკიდებულება კლასებს შორის საზოგადოებაში ახსნილია საზოგადოების ბუნებისადმი დამოკიდებულებით. ბუნება წარმოადგენს იმის მიზეზს, თუ როგორი მიმართულებით შეიცვლება ერთი კლასთაგანი და, მაშასადამე, იწარმოებს კლასობრივი ბრძოლაც. მაგრამ თუ საზოგადოების განვითარება იხსნება მასზე ბუნების ზეგავლენით, მაშინ, საკითხავია, სადღაა თვით ბუნების მოძრაობისა და ცვლილებების მიზეზი?

ამაზე ამბ. ბუხარინი ვერ იძლევა დამაჯერებელ პასუხს. და თუ ლოგიკურ თანმიმდევრობას დავიცავთ, არც შეუძლია სხვა რაიმე პასუხის მოცემა, თუ არა ის, რომ ამ მიზეზს წარმოადგენს ზეკოსმიური ძალა, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ რაც მოგვესურვება და რომელსაც მე-XVII—XVIII საუკუნეებში უწოდებდენ ხან პირველ

[1] ბ უ ხ ა რ ი ნ ი, ისტორიული მატერიალიზმის თეორია, გვ. 80.

ლეთიურ ბიძგს, ხან მხოლოდ შემომქმედს! ამრიგად წონასწორობის თეორიას პირდაპირ მივყევართ რელიგიის გამართლებამდე...

წონასწორობის თეორია, უწინარეს ყოვლისა, ცდილობს მოიშოროს მოვლენის თვითმოძრაობა, და მაშასადამე, თვითგანვითარებაც—მატერიალისტური დიალექტიკის ეს ერთი ძირითადი პრინციპთაგანი. თვითმოძრაობის ცნებაში ამბ. ბუხარინი ხედავს ცუდ „იდეოლოგიურ“ ელფერს. მეორე, აეს. ბუხარინს საკნის მოპირდაპირე მხარეები ესმის როგორც გარეგანი ერთიმეორისადმი, წმინდა მექანიკურად რომ ეხებიან ერთიმეორეს. და, მესამე, რაც გამომდინარეობს მთელი წინანდელისაგან, წინააღმდეგობა მას ესმის მხოლოდ როგორც ძალთა ანტაგონიზმი. ბუხარინი პირდაპირ ასე აყალიბებს: „წინააღმდეგობის“ ბრძოლა, ე. ი. ანტაგონიზმი“.

მაგრამ წინააღმდეგობა და ანტაგონიზმი—ერთი და იგივე სრულებითაც არაა. ანტაგონიზმი არის მხოლოდ წინააღმდეგობის განსაკუთრებული შემთხვევა. სრულებითაც საეალდებულო არაა წინააღმდეგობის მარტოოდენ ანტაგონისტური ფორმა. მაგალითად, კაპიტალისტური საზოგადოების კლასების ანტაგონიზმი გაჰქრება კლასებთან ერთად, ხოლო წინააღმდეგობანი, რაც შინაგანად აპირობადებენ საზოგადოების მოძრაობასა და განვითარებას, დარჩებიან სოციალიზმის დროსაც.

ამრიგად, მექანისტები უარყოფენ დაპირისპირებულობათა ერთიანობის დიალექტიკურ კანონს, სცვლიან რა მას წონასწორობის წმინდა მექანიკური კანონით. იმისათვის, რათა დავრწმუნდეთ ამაში, საკმაოა შევადაროთ ბუხარინის მიერ გადმოცემული წონასწორობის თეორია მექანიკის კანონების ძირითად ფორმულირებებთან.

მექანიკის კანონები	წონასწორობის თეორია
პირველი კანონის მიხედვით „ყოველი სხეული ინარჩუნებს თავისი სიმშვიდის, ან წონასწორ წრფივ მოძრაობის მდგომარეობას, თუ იგი იძულებული არაა მასზე მომქმედ ძალებისაგან შესცვალოს ეს მდგომარეობა“. მეორე კანონი ამბობს: „მოძრაობის ცვლილება არის პროპორცი-	„ურთიერთდამოკიდებულება გარემოსა და „სისტემას“ შორის (იგულისხმეთ: გარეგან მიზეზსა და მოვლენას შორის.—ავტ.) არის ის სიდიდე, რომელიც საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავს ყოველი სისტემის მოძრაობას“ [1]. „სამყაროში არსებობენ სხვადასხვაგვა-

[1] ბუხარინი, ისტორიული მატერიალიზმის თეორია, გვ. 364.

ული მამოძრავებელი ძალის ზემოქმედების მიმართ და სწარმოებს იმ მართი ხაზის მიმართულებით, რომელშიაც მოქმედობს ეს ძალა. დაბოლოს, მესამე კანონის თანახმად, „მოქმედება ყოველთვის უდრის წინააღმდეგ მოქმედებას, ანუ ორი სხეულის მოქმედება ერთიმეორეზე მუდამ ერთიმეორეს უდრის და დაპირდაპირებული სახით არიან მიმართულნი“.

რად მომქმედი, ერთიმეორის წინააღმდეგ მიმართული ძალები. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში აწონასწორებენ ერთიმეორეს. რამოდენიმე მომენტში, მაშინ ჩვენ გვაქვს „სიმშვიდის“ მდგომარეობა, ე. ი. მათი ნამდვილი „ბრძოლა“ რჩება დაფარული. მაგრამ საკმაოა შეიცვალოს ერთი ძალათაგანი და მაშინვე გამოაჩაკარავდება „შინაგანი წინააღმდეგობა“, ირღვევა წონასწორობა და თუ ერთ მომენტში დამყარდება ახალი წონასწორობა, იგი დამყარდება ახალ საფუძველზე, ე. ი. ძალთა სხვა შესაბამების დროს და სხ.“ [1].

ამის შემდეგ ძნელი არაა შეევნიშნოთ წონასწორობის თეორიის მთელი უსაფუძვლობა. წონასწორობის თეორია შორდება მოძრაობის აბსოლუტურ, საყოველთაო ხასიათს, რის გარეშეც, როგორც უკვე ცხადვყავით, შეუძლებელია მატერიის არსებობაცა და მისი შემეცნებაც. სწორედ ამაში მდგომარეობს წონასწორობის თეორიის მექანისტური და მეტაფიზიკური ხასიათი. მაგრამ აღიარება იმისა, რომ საგანთა მოძრაობა სწარმოებს არა შინაგანი წინააღმდეგობის მეოხებით, როგორც გვასწავლის მატერიალისტური დიალექტიკა, არამედ მოვლენების, საგანთა და გარემოშეცველ სამყაროს გარეგან ურთიერთზემოქმედების მეოხებით, არსებითად არის მათი ნამდვილი მოძრაობისა და განვითარების უარყოფა. ეს უცილობლად იწვევს მათი ისტორიული განვითარების, ე. ი. მათი თვისობრიობის მიხედვით შეცვლის უარყოფას.

საკვირველი არაა, რომ წონასწორობის მექანისტური თეორია უარყოფს მოძრაობის სხვადასხვა ფორმების თვისობრივობათა ობიექტურობას და თავისებურებას. მოძრაობის ყველა სახეები და ფორმები მას დაჰყავს გადაადგილებამდე. მექანისტები სავსებით შესაძლებლად სთვლიან „ჰეგელის“ დიალექტიკის მისტი-

[1] ბუხარინი, ისტორიული მატერიალიზმის თეორია, გვ. 75. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

ური“, როგორც მას მარქსი უწოდებდა, ენა გადატანილი იქნას თანამედროვე მექანიკის ენაზე“ [1].

ცნობილია, რომ მექანისტებს მატერიალისტური დიალექტიკის მთელი დედაარსი დაჰყავთ ევოლუციის თეორიამდე. მათ შორის ყველაზე გულახდილი ამხ. სტეპანოვი სწერდა: „ევოლუციური თვალსაზრისი,— განვითარების თვალსაზრისი,—შეადგენს თანამედროვე მეცნიერების ერთ დამახასიათებელ თვისებათაგანს“ [2]. ამასთანავე „თანამედროვე მეცნიერების“ სახით ამხ. სტეპანოვი გულისხმობს დიალექტიკურ მატერიალიზმსაც.

ამიტომ წონასწორობის მექანისტური თეორია განუწყვეტლად დაკავშირებულია მექანისტების მიერ თვისობრიობათა ობიექტურობის უარყოფასთან, მათ დაბრუნებასთან ლოკისაკენ თვისობრიობათა საკითხში: ისინი ობიექტურად არსებულად სთვლიან მხოლოდ მექანიკის მიერ შესწავლილ საგანთა „პირველად“ თვისობრიობებს. ამიტომ მექანიზმი მოითხოვს, რათა ყველა სხვა თვისობრიობანი დაყვანილი იქნან მექანიკის მიერ შესწავლილ თვისობრიობამდე, რათა მოძრაობის ყველა. უმაღლესი ფორმები დაყვანილი იქნან მის დაბალ, მექანიკურ ფორმებამდე. მექანისტების მიერ დაპირდაპირებულობათა ერთიანობის კანონის დამახინჯება იწვევს იმას, რომ მათ არ გაეგებათ შინაგანი და გარეგანი შინაარსისა და ფორმის, აუცილებლობისა და შემთხვევითობის ერთიანობა,—კერძოდ მექანისტები უარყოფენ შემთხვევითობას, როგორც აუცილებლობის გამოვლინების განსაკუთრებულ ფორმას (იხ. წინა თავები).

წონასწორობის თეორია წარმოადგენს ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს. იგი განუწყვეტლად დაკავშირებულია ბურჟუაზიულ ფილოსოფიასთან—თავისი პოზიტივიზმითა და ემპირიზმით, მის მიერ თეორიისა და ფილოსოფიის მნიშვნელობის უარყოფით. იგი წარმოადგენს ბურჟუაზიული მეცნიერების ერთ ვეშაპთაგანს მარქსიზმის „განიავებისა“ და „განადგურების“ საქმეში, მისი დიალექტიკური მატერიალიზმისა და რევოლუციური დიალექტიკის „განადგურების“ საქმეში. წონასწორობის თეორია განუწყვეტლად დაკავშირებულია ბურჟუაზიის პოლიტიკურ შეხედულებებთან, რომელიც ცდილობს დახატოს არსებული კაპიტალისტური წყობილება, როგორც კლასების „ჰარმონიული“ თანამშრომლობა, რომელიც ყველა ძალე-

---

[1] ბუხარინი, ისტორიული მატერიალიზმის თეორია, გვ 76.

[2] სტეპანოვი, ისტორიული მატერიალიზმი და თანამედროვე ბუნებისმცოდნეობა, გვ. 25

ბით მიისწრაფის შეინარჩუნოს კაპიტალისტური საზოგადოების წონასწორობა. წონასწორობის მექანისტური თეორია ეხმარება ბურჟუაზიულ მეცნიერებს „მეცნიერულად" დაასაბუთონ ის კლასობრივი მიზნები და ამოცანები, რასაც პირდაპირ და აშკარად ისახავს ბურჟუაზიული სოციოლოგია. შემდეგ ჩვენ ქვლავ გვექნება შესაძლებლობა ცხადვყოთ, თუ როგორ წონასწორობის თეორია მთლიანად ააშკარავებს ჩვენს წინაშე სოციოლოგიის, როგორც საზოგადოების შესახებ ბურჟუაზიული მეცნიერების, მიზნებსა და ამოცანებს. საკვირველი არაა, რომ წონასწორობის თეორია დიდი პატივისცემით სარგებლობს სოციალ-ფაშიზმის თეორეტიკოსებს შორისაც (კაუცკი და სხ.).

ბოგდანოვი გაცილებით უფრო გულახდილად, ვიდრე ბუხარინი, უპირისპირებდა თავის წონასწორობის თეორიას მარქსის დიალექტიკას. ის პირდაპირ სწერდა, რომ მარქსისტულ დიალექტიკაში „დარჩენილი „ლოგიზმი", უცილობლად დაკავშირებული ჰეგელისა და ჰეგელის წინანდელ თერმინოლოგიასთან" შეიძლება იქნეს მავნე „ორგანიზაციული", ე. ი. მექანისტური ანალიზის დროს.

ამხ. ბუხარინი სიტყვა-სიტყვით იმეორებდა ბოგდანოვის ცილისწამებას მარქსიზმის მიმართ, მთლიანად სესხულობდა რა მის წონასწორობის თეორიას, მაგრამ არაფერს ამბობდა იმაზე, რომ ბოგდანოვი აშკარად უწოდებდა მატერიალისტურ დიალექტიკას „მავნეს" (!) წონასწორობის თეორიისათვის.

იმის ნაცვლად, რომ გაიგოს წონასწორობის თეორიის ბურჟუაზიულ-კლასობრივი, რეაქციული არსობა, ბუხარინი ცდილობს „მარქსისტულად", „დიალექტიკურად" დაასაბუთოს იგი, ცდილობს შეათანხმოს იგი მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციურ დიალექტიკასთან.

დიალექტიკის უკიდურესად ზერელე გაგება, რომლის იქითაც ვერ მიდიან მექანისტები თავიანთ წონასწორობის თეორიაში, არის ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის პირდაპირი შედეგი. მატერიალისტური დიალექტიკის ეს აშკარა რევიზია წარმოადგენდა გარდამავალი პერიოდისა და მსოფლიო რევოლუციის საკითხების მემარჯვენე-უკლონისტურ გაგების თეორიულ წინამძღვრებს.

IV. მოვენშევიკურ იდეალიზმი

ა) თეორიის პარტიულობის გაუგებლობა. ლენინური ეტაპის უარყოფა ფილოსოფიაში

ფილოსოფიის პარტიულობის მარქსისტულ-ლენინური პრინციპი წარმოადგენს მატერიალისტური დიალექტიკის უმნიშვნელოვანეს

პრინციპს. მარქსი, ენგელსი, ლენინი მთელ თავის მოღვაწეობაში ამ პრინციპით ხელმძღვანელობდენ, ამუშავებდენ მას საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვადასხვა მასალების მიხედვით.

ლენინი ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ „მატერიალიზმი შეიცავს... პარტიულობას, რაც გვავალებს მოვლენათა ყოველგვარ შეფასების დროს პირდაპირ და აშკარად დავდგეთ განსაზღვრულ საზოგადოებრივი ჯგუფის თვალსაზრისზე“ [1]. ბურჟუაზიული თეორეტიკოსები და სოციალ ფაშისტები ცდილობენ უარყონ მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერულობა სწორედ მისი პარტიულობისათვის, რაც ხდის მას ნამდვილ მეცნიერულ, „ბოლომდე რევოლუციურ თეორიად“. ყველა რევიზიონისტული ჯგუფები და მიმდინარეობანი პირველ რიგში მიისწრაფიან სახელი გაუტეხონ პარტიულობის პრინციპს, რითაც გაჟღენთილია მარქსიზმის თეორია. ფილოსოფიის პარტიულობაზე მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრების უგულებელყოფა წარმოადგენს აგრეთვე დამახასიათებელ თვისებას მომენშევიკო იდეალისტების მოღვაწეობაში.

მომენშევიკო იდეალისტები უგულებელყოფენ მარქსიზმის აქსიომას, რაც მდგომარეობს იმაში, რომ კლასობრივ საზოგადოებაში თეორია ყველა მისი სახეებითა და ფორმებით არის მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის თავისებური იარაღი. მომენშევიკო იდეალისტები შემთხვევით არ უელიდენ გვერდს მარქსის—ლენინის ამ მოძღვრებას, ვინაიდან მთელი მათი თეორიული მუშაობა მიმდინარეობდა მეორე ხაზით, სწარმოებდა სხვა პრინციპიალურ საფუძვლებზე და გამოხატავდა პროლეტარიატისადმი მტრულ იდეოლოგიას. მომენშევიკო იდეალისტების მიერ ფილოსოფიის პარტიულობის მარქსისტულ-ლენინურ პრინციპის უგულებელყოფა უწინარეს ყოვლისა გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი ფილოსოფიას სწყვეტდენ სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკას, პროლეტარული რევოლუციის ძირეულ ამოცანებს, პარტიის გენერალური ხაზისათვის აქტიური ბრძოლის ამოცანებს.

მომენშევიკო იდეალისტების შრომებში შეიძლება შეეხვდეთ მრავალ ზოგად დეკლარატიულ გამოთქმებს თემაზე შესახებ იმისა, რომ თეორია პარტიულია. მაგრამ ამ დებულების ნამდვილი მეცნიერული ანალიზი და დასაბუთება და მეტადრე პარტიულობის გატარება თეორიულ მუშაობაში სრულებით არ ყოფილა. მათი მოღვაწეობის პრაქტიკა გვიჩვენებდა, რომ ეს დეკლარაციები მათთვის წარმოადგენდენ მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის იდეალისტური რევიზიის საფარველს. ბურჟუაზიის სოციალ-ფაშისტური დამქაშები მუშათა მო-

[1] ლენინი, ტ. I, გვ. 276.

ძრაობის რიგებში, რაკი არ ძალუძსთ „გადააგდონ მარქსიზმის თეორია“, მიისწრაფიან, რათა გადააქციონ იგი დოგმად, გამოაცალონ მას რევოლუციური შინაარსი, შესუსტონ პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას, გადააქციონ უვნებელ კატეხიზისად, უშინაარსო აბსტრაქტულ კატეგორიების გროვად და ამით სასელი გაუტეხონ მის მნიშვნელობას, როგორც რევოლუციური ბრძოლის მომქმედ და უმნიშვნელოვანეს იარაღს. ამავე მიმართულებით ატარებდენ მარქსიზმის ფილოსოფიის რევიზიას მომენშევიკო იდეალისტებიც. თუ მექანისტების ლოზუნგია—„გადავაგდოთ ფილოსოფია“-ო, მომენშევიკო იდეალისტები იმით განსხვავდებიან მათგან, რომ აწარმოებენ მარქსისტული ფილოსოფიის რევიზიას მისი განვითარების დროშით. სინამდვილეში კი, იმის ნაცვლად, რომ დაეშუშავებიათ მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მასალების მიხედვით—მატერიალისტურად გადაეშუშავებიათ ჰეგელის ფილოსოფია ისტორიის, მეცნიერებისა და ტექნიკის ბაზისზე, მათ უკრიტიკოდ გადმოჰქონდათ ჰეგელიანური ფილოსოფია და სავსებით უგულებელსყოფდენ იმ ძირეულ, კონკრეტულ ამოცანების გათვალისწინებას, რაც იდგა პარტიისა და ქვეყნის წინაშე უკანასკნელ პერიოდში.

პარტიის გენერალურ ხაზს ამ წლების განმავლობაში რევიზიას უკეთებდენ ტროცკისტებიც და მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტებიც. პარტიამ დარაზმა ყველა ძალები, რათა დაეცვა ლენინის საქმე, მის მიერ დასახული გზები პროლეტარიატის დიქტატურის გასამტკიცებლად. მომენშევიკო იდეალისტებმა გვერდი აუარეს ამ ბრძოლას. კიდევ მეტი, ზოგიერთი მათგანი აქტიურად გამოდიოდენ ტროცკისტული თეორიული თვალსაზრისით: კარევი — თავისი „თეორიით“ გარდამავალ პერიოდში ერთ ძირითად კლასის შესახებ, სტენი, რომელიც ასწავლიდა კომკავშირლებს — პირადი გამოცდილებით შეიმოწმებიათ პარტიის გენერალური ხაზის სისწორე და სხ. იმის ნაცვლად, რომ ეხელმძღვანელათ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით ფილოსოფიის პარტიულობის შესახებ, დაეყენებიათ ფილოსოფია პარტიის გენერალური ხაზის სამსახურში და აქტიურად ებრძოლად მისგან გადახრების წინააღმდეგ, მომენშევიკო იდეალისტები თვით ასრულებდენ სხვადასხვა გადახრებისა და კონტრრევოლუციური მიმდინარეობისათვის მეთოდოლოგიის მიმწოდებელთა როლს. დებორინის ჯგუფი, აშორებდა რა ფილოსოფიას სოციალისტური მშენებლობისა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის პრაქტიკას, ამავე დროს რევიზიას უკეთებდა მარქსისტული ფილოსოფიის თითქმის ყველა პრობლემებს.

დებორინის ჯგუფის მიერ თეორიის პარტიულობის უგულებელყოფამ ნათელი გამოხატულება ჰპოვა იმაში, რომ მომენშევიკო იდეალისტები არ სცნობდენ ლენინიზმში ახალ, უმაღლეს საფეხურს მარქსიზმის განვითარებაში. ისინი უარყოფდენ ლენინურ ეტაპს ფილოსოფიაში, ისინი ლენინს სთვლიდენ მხოლოდ პრაქტიკოსად, მარქსის მოძღვრების გამტარებლად რევოლუციურ მოძრაობაში.

ამხ. სტალინმა კლასიკურად ჯააშუქა და განავითარა ლენინიზმის ძირითადი საკითხები, მოგვცა ლენინიზმის დახასიათება, როგორც იმპერიალიზმისა და პროლეტარულ რევოლუციების ეპოქის მარქსიზმისა, დაახასიათა და გვიჩვენა კონკრეტულ მასალების მიხედვით ლენინის როლი, როგორც გენიალური თეორეტიკოსისა, რომელმაც ყოველმხრივ განავითარა მარქსიზმი და აიყვანა იგი ახალ, უმაღლეს საფეხურზე. მომენშევიკო იდეალისტები ატარებდენ ლენინის ამ როლის უარყოფას. კარევი ჟურნალ „პოდ ზნამენემ მარქსიზმა"-ში, 1924 წ., გამოვიდა ლენინის დახასიათებით, რაც განსხვავდებოდა პარტიის თვალსაზრისისაგან. „ლენინი, — სწერდა კარევი, — მთლიანად და სავსებით სდგას მარქსიზმის საფუძველზე, უფარდებს რა მას ჩვენს თანამედროვე ვითარებას — კაპიტალიზმის ლპობის პერიოდს. მას მარქსისტული თეორია, გაწმენდილი მეორე ინტერნაციონალის ჭუჭყისაგან, მოქმედებაში მოჰყავს. ლენინიზმი — ესაა კაპიტალიზმის კრახის ეპოქის, კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ გადასვლის პერიოდის მარქსიზმი. ესაა მარქსიზმი პროლეტარული რევოლუციის პრაქტიკაში, რომლისთვისაც მარქსისტულ ინტერნაციონალში ჯერ კიდევ არ იყო საკმაო მატერიალური წინაპირობანი. ლენინი ყველაზე უფრო განცვიფრებული იქნებოდა, თუ მას ეტყოდენ, რომ ის ხსნის ახალ ერას (?!) მარქსიზმში"[1]. მომენშევიკო იდეალისტები, მიუხედავად ფაქტებისა, ასე ცდილობდენ უარეყოთ ლენინიზმი — აწარმოებდენ ბრძოლას მარქსიზმის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში ლენინიზმის, როგორც ახალი, უმაღლესი საფეხურის დახასიათების წინააღმდეგ. უარყოფდენ რა ლენინურ ეტაპს მარქსიზმის თეორიის განვითარებაში, ისინი ამით აჩვენებდენ, რომ არ გაეგებოდათ უმთავრესი მარქსიზმში: მისი მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, მარქსიზმის რევოლუციური „სული" — მატერიალისტური დიალექტიკა; ისინი მარქსიზმს ახასიათებდენ, როგორც უმოძრაო დოგმას და რბიექტურად სოლიდარობას უცხადებდენ სოციალ-ფაშისტურ თეორეტიკოსების ანალოგიურ თეორიებს.

---

[1] კ ა რ ე ვ ი, ჰეგელის ნამდვილ და ორანამდვილ შესწავლის შესახებ, წერილი „პოდ ზნამენემ მარქსიზმა"-ში, № 4 — 5, 1924 წ. გვ. 241.

იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქამ თავისი კოლოსალური ბაქანებით და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებით, უდიდესი აღმოჩენებით მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგებში, კლასობრივი ბრძოლის ძველი ფორმების გართულებითა და ახლის წარმოშობით, კლასობრივი ბრძოლის მკვეთრი დიფერენციაციით და გამწვავებით იდეოლოგიის სხვადასხვა ფორმების დარგში— მოგვცა უმდიდრესი მასალა მარქსიზმის თეორიის შემდგომი ყოველმხრივი განვითარებისათვის. ლენინმა, იდგა რა ბოლშევიკური პარტიის სათავეში, რომელსაც თავისი რევოლუციური გამოცდილების მიხედვით არ ჰყოლია ბადალი მსოფლიოში, საერთაშორისო პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის პრაქტიკისა და მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა გაზოგადების საფუძველზე ყოველმხრივ განავითარა მარქსიზმი, აიყვანა იგი უმაღლეს საფეხურზე. მარქსიზმის რევოლუციურმა დედაარსმა ლენინის ნაწარმოებებში ჰპოვა თავისი ბრწყინვალე განვითარება. ბუნებრივია, რომ სოციალ-ფაშიზმის თეორეტიკოსები, მიისწრაფიან რა ჩაახშონ მასებში მარქსიზმის გავლენა, აწარმოებენ გააფთრებულ ბრძოლას ლენინის შრომების წინააღმდეგ, არ სცნობენ ლენინიზმს, ახასიათებენ ლენინს ისეთ „პრაქტიკოსად“, რომელმაც „ცუდად გაიგო“ მარქსიზმი.

საბჭოთა კავშირის პირობებში მომენშევიკო იდეალისტებს არ შეეძლოთ აშკარად ექადაგად ასეთი შეხედულებანი. მაგრამ ტროცკისტებთან და მემარჯვენეებთან შეხმატკბილებულად, ისინიც ახასიათებდენ ლენინს როგორც „პრაქტიკოსს“, რომელმაც მხოლოდ წარმატებით „შეუფარდა“ მარქსის მოძღვრება პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას. მომენშევიკო იდეალისტების ეს გულისამაჩუყებელი ერთობა მემარჯვენეებსა და ტროცკისტებთან მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის უდიდესი ბელადისა და თეორეტიკოსის შეფასებაში ზედმეტად მიგვითითებს იმაზე, რომ მომენშევიკო იდეალისტების სახით ჩვენ გვყავს მეთოდოლოგიის თავისებური მიმწოდებელნი სხვადასხვა კონტრრევოლუციურ და ანტიპარტიულ ჯგუფებისა და მიმდინარეობებისათვის.

უარყოფდენ რა ლენინიზმს როგორც ახალ, უმაღლეს საფეხურს მარქსიზმის განვითარებაში, მომენშევიკო იდეალისტები საესებით ლოგიკურად უარყოფდენ ლ ე ნ ი ნ ურ ე ტ ა პ ს აც ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა შ ი. უკვე მას შემდეგ, რაც გამოვიდა ლენინის ფილოსოფიის კონსპექტები, რაც წარმოადგენს აზრებისა და იდეების უმდიდრეს საგანძურს და რომელიც ახალი მიდგომით აშუქებს ფილოსოფიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, დებორინი ლენინის მე-IX კრებულის წინასიტყვაობაში სწერდა: ვლადიმერ ილიჩს განზრახული ჰქონდა

„როგორც ჩანს დაიწერა სპეციალური შრომა მატერიალისტური დიალექტიკის შესახებ... არავითარი ეჭვი არაა იმაში, მას რომ შესძლებოდა ბოლომდე მიეყვანა დაწყებული საქმე, სერიოზულ ბიძგს მისცემდა დიალექტიკურ მატერიალიზმის შემდგომ განვითარებას, აიყვანდა მას უფრო მაღალ საფეხურზე"[1]. აქ შეკუმშულ ფორმაში ჩაჭოყალიბებულია მარქსიზმის ფილოსოფიაში ლენინურ ეტაპზე მომენშევიკო იდეალისტების შეხედულებათა არსობა. დებორინი უარყოფს ლენინის უდიდეს მიღწევებს მატერიალისტური დიალექტიკის შემდგომ დამუშავებაში. ეს სავსებით ეთანხმება მის მიერ ლენინის მხოლოდ როგორც „პრაქტიკოსის" შეფასებას. დებორინი ამტკიცებს, რომ ლენინს „შეეძლო" მიეცა სერიოზული ბიძგი მარქსიზმის ფილოსოფიის განვითარებისათვისო. დიალექტიკური მატერიალიზმის განვითარების რომელ ეტაპზე-ღა შეიძლება ლაპარაკი მომენშევიკო იდეალისტების პოზიციიდან, თუ, მათი აზრით, ლენინმა ვერ შესძლო, ვერ მოასწრო მიეცა თუნდაც ბიძგი დიალექტიკური მატერიალიზმის განვითარებისათვის? ამრიგად, უარყოფდენ რა ლენინის როლს ფილოსოფიის განვითარებაში, მომენშევიკო იდეალისტები ობიექტურად ასრულებდენ მარქსიზმისადმი მტრული ბანაკის სოციალურ დაკვეთას და უერთდებოდენ მთელ რიგ საკითხებში მეორე ინტერნაციონალის თეორეტიკოსებს.

მომენშევიკო იდეალისტებისმიერ ფილოსოფიაში ლენინური ეტაპის უარყოფასთან სდევს მათი მხრივ სრულებით უკრიტიკო, აპოლოგეტური დამოკიდებულება პლეხანოვის შრომებისადმი. ჩვენ წინა თავებში უკვე საკმაოდ დაწვრილებით შევჩერდით ლენინის კრიტიკაზე პლეხანოვის ფილოსოფიურ შეცდომების მიმართ. ახლა მხოლოდ ერთხელ კიდევ მოვიხსენიებთ, რომ ლენინი, აკრიტიკებდა რა პლეხანოვს, ხაზს უსვამდა პლეხანოვის მიერ იმის გაუგებლობას, რომ დიალექტიკა არის მარქსიზმის შემეცნების თეორია, ხაზს უსვამდა მის მიერ დიალექტიკის კანონების როგორც ნიმუშების ჯამის ვულგარულ განმარტებას. ლენინი აღნიშნავდა, რომ პლეხანოვი არათანმიმდევრობით აკრიტიკებს კანტიანობას, თვით უშვებს მთელ რიგ დათმობებს აგნოსტიციზმისადმი, რომ ის აწარმოებს ბრძოლას მახიზმთან მეტწილად ვულგარულ მატერიალისტურ, ვიდრე დიალექტიკურ-მატერიალისტურ პოზიციიდან. უკვე ცნობილია, რომ პლეხანოვს აქვს შეცდომები ისეთ საკითხებშიაც, როგორიცაა ფეიერბახის ფილოსოფიის გადაფასება, მარქსის ფილოსოფიური განვითარების პროცე-

---

[1] დებორინი, ლენინის მე-IX კრებულის წინასიტყვაობა, გვ. 3. გამოც. 1-ლი.

სის არასწორი დახასიათება, საწარმოო ძალების განვითარებაში გეოგრაფიული გარემოს როლის გადაფასება და არასწორი დახასიათება, სუბიექტისა და ობიექტის ერთიანობის პრობლემის არასწორი ფეიერბახული გაგება, ისტორიულისაგან ლოგიკურის ჩამოშორების ელემენტები ფილოსოფიის ისტორიის საკითხებში. ასეთი შემცდარი შეხედულებების არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ აუცილებელია კრიტიკული მუშაობა პლეხანოვის ნაწარმოებებზე, რომელიც სარგებლობს — და ამისი უფლებაც აქვს — დიდი პოპულარობით საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ქვეყნების ჰროლეტარიატის ფართო წრეებში. აუცილებელია, რათა პლეხანოვის შრომების საუკეთესო მხარე გავწმინდოთ ყოველივე არამარქსისტულისა და ოპორტუნისტულისაგან, მით უფრო, რომ ამ ჟამად ამ შეცდომებს (ან მათ მსგავსს) იყენებენ სოციალ-ფაშისტები, ხოლო საბჭოთა კავშირის პირობებში მექანისტები და მომენშევიკო იდეალისტები ამ იდეებს ასაღებენ მარქსიზმის ფილოსოფიის უკანასკნელ სიტყვად.

ფილოსოფიის განვითარებაში ლენინისა და პლეხანოვის როლის საკითხი შემთხვევით არ იპყრობს პარტიისა და თეორიული ფრონტის ფილოსოფიური დარგის მუშაკების ყურადღებას. ფილოსოფიაში ლენინური ეტაპის დამუშავებასთან დაკავშირებით განსაკუთრებულის სიძლიერით გამოაშკარავდა პლეხანოვის ფილოსოფიური შეცდომების სიღრმე, მათი კავშირი პლეხანოვის მენშევიკურ პოზიციასთან რევოლუციურ მოძრაობაში. მარქსიზმის მექანისტურ და მენშევიკურ იდეალისტურ რევიზიასთან ბრძოლამ თვალნათლივ გვიჩვენა, რომ იმ შეცდომებსა და ორგანიულ ნაკლულევანებებს, რაც მოიპოვება პლეხანოვის შრომებში, იყენებენ ისინი მარქსიზმის ფილოსოფიის უმნიშვნელოვანეს პრობლემების რევიზიისათვის. მექანისტები, როგორც უკვე ავღნიშნეთ, დაჟინებით, რომელიც ღირსია უკეთესი გამოყენების, განაგრძობენ ამჟამადაც პლეხანოვის იმ შეცდომების დაცვასა და შემდგომ განვითარებას, რომელიც მიიმართება კანტიანურ აგნოსტიციზმის ხაზით. თეორიული ფრონტის ფილოსოფიურ დარგში დებორინის ჯგუფი არა მარტო არ სთვლიდა საჭიროდ გაეკრიტიკებია პლეხანოვის შეცდომები და მეთოდოლოგიური ჩავარდნები ფილოსოფიის საკითხებში, არამედ ატარებდა ფილოსოფიურ პრობლემებზე პლეხანოვის ყველა ნაწერების მიმართ უპრინციპო აპოლოგეტიკის ხაზს და ცდილობდა მიეჩქმალა მისი შეცდომები.

ამბ. სტალინის მიერ ფილოსოფიის განვითარებაში ლენინის როლის ზუსტი, ბრწყინვალე დახასიათების წინაალმდეგ, მომენშევიკო იდეალისტები გამოვიდენ თავიანთი თეორიით პლეხანოვის, როგორც თ ე ო რ ე ტ ი კ ო ს ი ს შესახებ, რომელმაც შეავსო ლ ე ნ ი ნ ი - პ რ ა -

ქტიკოსი. თავის ბროშურაში „ლენინი როგორც მოაზროვნე“ დებორინი სწერდა: „ორთავე ეს მოაზროვნენი (პლეხანოვი და ლენინი—ავტ.) განსაზღვრული თვალსაზრისით წარმოადგენენ ერთი მეორის დამატებას... პლეხანოვი უწინარეს ყოვლისა არის თეორეტიკოსი, ხოლო ლენინი უწინარეს ყოვლისა არის პრაქტიკოსი, პოლიტიკოსი, ბელადი“[1]... ამრიგად, პლეხანოვი, რუსეთის მენშევიზმის ბელადი, დებორინის სურვილით გარდაიქმნა ლენინის თეორიულ მასწავლებლად.

დამახასიათებელია, რომ მომენშევიკო იდეალისტები უკანასკნელ ხანებამდე, მიისწრაფოდენ სხვადასხვა სოფიზმების საშუალებით დაეცვათ ეს სავსებით ყალბი, არამარქსისტული თეორია. დებორინი ლენინის მე IX კრებულის წინასიტყვაობაში ცდილობდა მიეცა ისტორიული საფუძველი ამ სავსებით ყალბ კონცეპციისათვის. „პლეხანოვისა და ლენინს შორის—სწერს დებორინი — არსებობს განსხვავება, რაც გამოხატავს რევოლუციური მოძრაობისა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ისტორიულ ფაზისების თავისებურებებს“ [2]. დებორინის ეს თეორიები სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა ცდას შეასუსტოს პლეხანოვის შეცდომების კრიტიკის აუცილებლობა, შეამციროს ამ შეცდომების მნიშვნელობა და მიჩქმალოს მათი კავშირი პლეხანოვის მენშევიკურ ხაზთან რევოლუციურ მოძრაობაში. უეჭველია, რომ პლეხანოვი როგორც მარქსისტი ლენინზე რამდენიმე წლით უფრო ადრე გამოვიდა პოლიტიკური ბრძოლის სარბიელზე, და მის პირველ შრომებს ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა მარქსიზმის პროპაგანდისათვის. მაგრამ მაინც ლენინის უმნიშვნელოვანესი ძირითადი თეორიული შრომები ეკუთვნის იმავე პერიოდს, როდესაც გამოქვეყნდა პლეხანოვ-მარქსისტის ნაწარმოებები. კიდევ მეტი, ლენინის „ხალხის მეგობრები“ პლეხანოვის „მონისტურ შეხედულებებზე“ რამდენიმედ ადრეც კი იყო დაწერილი. პლეხანოვისა და ლენინის პოლიტიკური მოღვაწეობა ძირითადათ მიმდინარეობდა კაპიტალიზმის განვითარების იმპერიალისტური სტადიის პერიოდში. მეთოდოლოგიური ჩავარდნები პლეხანოვის ფილოსოფიურ შრომებში და მისი შეცდომები ფილოსოფიის მრავალ პრობლემების განმარტებებში დაკავშირებულია მის ოპორტუნისტულ, მენშევიკურ, ლიბერალურ პოზიციასთან რევოლუციურ მოძრაობაში. ჯერ კიდევ 1908 წელს ლენინი ხაზს უსვამდა წერილში გორკისადმი, რომ „პლეხანოვი ზიანს აყენებს ამ (მარქსისტულ.—ავტ.) ფილოსოფიას,

---

[1] დებორინი, ლენინი როგორც მოაზროვნე, გვ. 26.

[2] „ლენინის კრებული“ IX, გვ. 3.

აკავშირებს რა აქ ბრძოლას ფრაქციულ ბრძოლასთან, მაგრამ ახლანდელი პლეხანოვი ხომ არც ერთმა რუსმა სოციალ-დემოკრატმა არ უნდა აურიოს ძველ პლეხანოვთან“ [1].

ლენინი და პლეხანოვი სხვადასხვა ეპოქების წარმომადგენელნი როდი არიან, არამედ ისინი არიან სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასების იდეოლოგები. პლეხანოვი, რომელმაც თავისი მოღვაწეობის პირველ ათეულ წლებში შეიტანა ბრწყინვალე ფურცლები რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში საზოგადოთ და პროლეტარიატისა კერძოდ, 900-იანი წლების დასაწყისიდან თანდათან უფრო მეტად ხდება წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის გამომხატველად მუშათა მოძრაობაში და ომის პერიოდში კი მთლიანად დგება ბურჟუაზიულ პოზიციაზე. რევოლუციურ მოძრაობაში ამ მენშევიკური ხაზით აიხსნება თეორიული შეცდომების მიზეზები მის სპეციფიურ ფილოსოფიურ ნაწარმოებებშიაც. დებორინის ცდა შეაფასოს ლენინი და პლეხანოვი როგორც სხვადასხვა პერიოდების (ეპოქების) ადამიანები რევოლუციურ მოძრაობის განვითარებაში სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა საშუალებას შეამციროს, მიჩქმალოს პლეხანოვის ის უდიდესი პრინციპიალური მეთოდოლოგიური შეცდომები, რომელთაც არა ერთხელ აკრიტიკებდა ლენინი და ააშკარავებდა მათ კლასობრივ და ლოგიკურ სარჩულს.

დამახასიათებელია, რომ დებორინის მიერ ერთობ უხეშად ჩამოყალიბებულ მომენშევიკო იდეალისტების ამ თვალსაზრისის „გამოსწორებას“, გაშლილი კრიტიკის ცეცხლის ქვეშ, ცდილობდა ამ ჯგუფის მეორე გამოჩენილი წარმომადგენელი — კარეევი. “პზმ“-ში მოთავსებულ წერილში ის სწერს: „პლეხანოვი და ლენინი ამ მხრივ წარმოადგენდენ არა სხვადასხვა ეპოქებს მუშათა მოძრაობაში, არამედ სხვადასხვა ნაკადებს მასში—მარქსიზმში, მისი გაგების სხვადასხვა სიღრმეს“ [1]. კარეევი არ ღალატობს თავის მენშევიკურ-იდეალისტურ მეთოდოლოგიას და უგულებელსყოფს მარქსისტისათვის იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ პლეხანოვსა, მეორე ინტერნაციონალის უდიდეს თეორეტიკოსსა, და ლენინს შორის განსხვავების ახსნა გაგების სიღრმით—ნიშნავს იმას, რომ არაფერი არ ახსნა. განსხვავება გაგების სიღრმეში თვით საჭიროებს კლასობრივ განმარტებას. რამდენადაც ნიჭიერი არ უნდა იყოს პირადათ, მაგალითად, ბურჟუაზიის რომელიმე იდეოლოგი ამჟამად, კაპიტალიზმის გახრწნის ეპოქაში, მისი თეორიული მოღვაწეობა, მისი უნარი

---

[1] ლენინი, წერილი გორკისადმი, 1908 წ. 13 თებ. ტ. XXVIII, გვ. 524.

[2] „პზმ („ბოდ ზნამენემ მარქსიზმა“) № 6, 1930 წ. გვ. 35. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

განვითარების კანონზომიერების განჭვრეტისა „შეჯაჭვულია“ მისი კლასობრივი ბუნებით, მის მიერ წარმოდგენილ კლასის კონსერვატიზმით. რაკი ბურჟუაზიას არა აქვს უნარი დაინახოს მომავალი, ეს საზღვრავს, აეიწროებს მისი თეორეტიკოსების მიერ საზოგადოებრივ განვითარების მოვლენათა გაგების მიჯნებსა და სიღრმეს. ისტორიული სარბიელიდან ჩამომავალი კლასების იდეოლოგებს, მიუხედავათ მთელი მათი ნიჭისა, არ ძალუძსთ მოგვცენ მართლაც ღრმად მეცნიერული განზოგადებანი და აღმოჩენანი. მარქსიზმის ეს ჭეშმარიტება დადასტურებულია მეცნიერებისა და ფილოსოფიის განვითარების მთელი ისტორიის მიერ. იმისდა მიხედვით, რამდენადაც პლეხანოვი თანდათან უფრო გარკვევით და აშკარად დგებოდა მენშევიზმის პოზიციებზე, მის მიერ მარქსიზმის ფილოსოფიის „გაგების“ სიღრმეც კლებულობდა. ის თანდათან უფრო საფუძვლიანად და ხშირად ეშვებოდა მარქსიზმის დიალექტიკურ-მატერიალისტურ პოზიციებიდან ვულგალურ მატერიალიზმისა და კანტიანელობის პოზიციებზე და ომის პერიოდში მიაღწია იქამდე, რომ აშკარად ქადაგებდა კანტის მოძღვრებას უფლებისა და ზნეობის საყოველთაო საკაცობრიო კანონების შესახებ.

მომენშევიკო იდეალისტები უგულებელსყოფენ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ მარქსიზმში არაევითარ „სხვადასხვა ნაკადზე“ არ შეიძლება ლაპარაკი.ისე, თუ არ შევსცვლით მარქსისა და ლენინის მოძღვრების დედაარსს. მხოლოდ მენშევიზმის პოზიციიდან შეიძლება დახასიათებული იქნას პლეხანოვის შეცდომები და მის მიერ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებში მატერიალისტური დიალექტიკის დედაარსის შეუცნობლობა რომელიღაც „ნაკადათ,“ რომელიც იმყოფება მარქსიზმის „საზღვრებში.“ ეს ნიშნავს გაიზიარო სოციალ-ფაშისტური დახასიათება მარქსიზმისა, როგორც სხვადასხვა მიმდინარეობების, ნაკადების და გადახრების კონგლომერატისა თეორიის საკითხების განმარტებაში. სწორედ ამ გზას დაადგენ მომენშევიკო იდეალისტები, რომელთაც სურდათ უცილობლად დაეცვათ თავიანთი ტიპიური რევიზიონისტული თვალსაზრისი.

მომენშევიკო იდეალისტები სავსებით უგულებელყოფენ პლეხანოვის თეორიული შეცდომების ლ ე ნ ი ნ ურ კ რ ი ტ ი კ ა ს.

ამ საკითხში რევიზიონისტულ ჯგუფებს საბჭოთა კავშირში, მექანისტებსა და მომენშევიკო იდეალისტებს ბევრი რამ აერთებდათ. ყოველ შემთხვევაში, მომენშევიკო იდეალისტებმა, რომლებიც თვით ამახინჯებდენ ლენინის ასახვის თეორიას და არ გაეგებოდათ იგი, ვერ შესძლეს ეწარმოებიათ ბრძოლა მარქსისტულ-ლენინური ასახვის თეორიის მ ე ქ ა ნ ი ს ტ უ რ რევიზიასთან. ლენინის წინააღმდეგ, მათ

ეროგლიფების თეორიის კრიტიკის საკითხები ყურადღების ღირსადაც კი არ ჩათვალეს. „არის იეროგლიფების ისეთი თეორია,—ამბობდა დებორინი დიკუსიის დროს,—რომელიც დიდიხანია მოკვდა, არავის აღარ აინტერესებს, რომელიც საბოლოოდ გააკრიტიკა ლენინმა.“ დებორინის ამ თეზისში არა მარტო გამოხატულია ინსაფრთხის შეუცნობლობა, რასაც წარმოადგენს მახისტური და კანტიანური რევიზია თანამედროვე ეტაპზე, განსაკუთრებით კაპიტალიზმის კრიზისის პირობებში, არამედ მისწრაფებაც ჩაბოშოროს კრიტიკის ყურადღება იმ კანტიანურ ნაკადს, რასაც ადგილი ჰქონდა თვით დებორინის ჯგუფის შრომებში. დებორინის ისეთ წერილებში, როგორიცაა „კანტის დიალექტიკა,“ ასმუსისა და სხვების შრომებში, კანტის აგნოსტიციზმი მ ი ჩ ქ მ ა ლ უ ლ ი ა, კანტის ფილოსოფია მათი ნაწერების მიხედვით თითქმის დიალექტიკურ და რევოლუციურ ფილოსოფიად იქცევა. ამ ხაზით სოციალ-ფაშისტურ შეხედულებებთან დაახლოვება მნიშვნელოვნად ხსნის მომენშევიკო იდეალისტების სოლიდარობას მარქსის პოლიტიკური ეკონომიის ნეოკანტიანურ რევიზიის მიმართ, რასაც მენშევიკი-მავნებელი რუბინი ატარებდა.

ბ) მატერიალისტური დიალექტიკის ჰეგელიანური რევიზია

კაპიტალისტურ ქვეყნებში უკანასკნელ დრომდე მენშევიკური რევიზია მიმდინარეობდა უმთავრესად მარქსისტული ფილოსოფიის „კანტიანიზირების“ ლოზუნგით. სოციალ-ფაშისტური თეორეტიკოსები, მიისწრაფოდენ რა დაესაბუთებიათ თავიანთი რევიზია, ცდილობდენ დაეხასიათებიათ მარქსიზმი როგორც „ცალმხრივი“ მოძღვრება, რომელიც საჭიროებს შ ე ვ ს ე ბ ა ს კანტის შემეცნების თეორიით (მაკს ადლერი, ფორლენდერი და სხ.). ისინი აცლიდენ მარქსიზმს რევოლუციურ შინაარსს, ატარებდენ მისი კ ა ნ ტ ი ა ნ ო ბ ი თ „შევსების“ ხაზს და ამით ქმნიდენ რეაქციურ თეორიულ ბაზას თავიანთი კონტრრევოლუციური პრაქტიკისათვის მუშათა მოძრაობის რიგებში. თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ხდება ბურჟუაზიის ფაშიზაცია და ძლიერდება მისი თავდასხმა მუშათა კლასზე, ბურჟუაზია ცდილობს თავისი აქტივობის ფილოსოფიური დასაბუთებისათვის გამოიყენოს ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკა — დამახინჯებული და რეაქციური სახით. ბუოჟუაზიული აზროვნების ეს ახალი ტენდენცია, როგორც უკვე მიუთითეთ, თავის გამოხატულებას სოციალ-ფაშიზმშიაც ჰპოულობს (კაუცკი, კუნოვი, მარკ ზიგფრიდი).

საბჭოთა კავშირში, სადაც მარქსიზმი გაბატონებული იდეოლოგიაა, ფილოსოფოსების ჯგუფმა დებორინის მეთაურობით, გამოიყენეს რა ფართო მასების ინტერესი ჰეგელისადმი, რევიზია გაუკეთეს მარ-

ქსიზმის ფილოსოფიას მისი ჰეგელიანელობით „შეესების“ აუცილებლობის სახით. „ჰეგელი-დიალექტიკოსით გატაცება,—სწერს კარეევი,—იყო სავსებით კანონიერი და აუცილებელი რეაქცია მეორე ინტერნაციონალის თეორეტიკოსების უმრავლესობის მიერ ჰეგელის ოპორტუნისტული უგულებელყოფაზე. მაგრამ იმ დროს, როდესაც რევოლუციური მარქსისტები ლენინის მეთაურობით ჰეგელში ეძებდენ დ ა მ ა ტ ე ბ ა ს (ხაზგასმულია ჩვენ მიერ—ავტ.) მარქსისადმი... მენშევიკები ჰეგელში ეძებდენ სახელმწიფოზე მარქსის თეორიის საწინააღმდეგო შხამს (კუნოვი), ხოლო ბურჟუაზიული აპოლოგეტები—იარაღს მარქსიზმის წინააღმდეგ თვით მის საძირკველში“[1]. კარეევის ამ თეზისში, რომელიც დაწერილია ჯერ კიდევ 1924 წელს, ჩამოყალიბებულია დებორინის ჯგუფის მიერ მარქსიზმის ფილოსოფიის მომენშევიკო-იდეალისტური რევიზიის დედააზრი. მარქსიზმი სრული არაა, ცალმხრივია, დამატება ესაჭიროება, განსაკუთრებით მის ფილოსოფიურ ნაწილში,—აი მომენშევიკო იდეალისტების თვალსაზრისი. ამიტომ ემპირიკოსებისა და მექანისტების წინააღმდეგ, რომელნიც მოითხოვენ ფილოსოფიის „გადაგდებას“, მომენშეკიკო იდეალისტები შეუდგენ მარქსიზმის ფილოსოფიის ლიკვიდაციას მისი კლასობრივი ბრძოლის პრაქტიკიდან მოწყეეტის გზით, ჰეგელის ფილოსოფიით „შეესების“ გზით,—საბოლოო ანგარიშით კი უფრო მოქნილი საშუალებებით ასრულებდენ მარქსიზმის ფილოსოფიის ლიკვიდაციის იმავე ამოცანას, რასაც მექანისტები. კარეევი ილაშქრებს მარქსიზმ-ლენინიზმის დედაარსის წინააღმდეგ, ლენინის მითითებების წინააღმდეგ: „მარქსის მოძღვრება ყოვლად ძლიერია, იმიტომ რომ სწორია, იგი სრული და მწყობრია, აძლევს რა ადამიანებს მ თ ლ ი ა ნ მსოფლმხედველობას, შეურიგებელს ყოველგვარ ცრუმორწმუნეობასთან, ყოველგვარ რეაქციასთან, ბურჟუაზიული ჩაგვრის ყოველგვარ დაცვასთან.“ ამ მოძღვრებას არ ესაჭიროება არავითარი დამატება მომაკვდავ კაპიტალისტურ მსოფლიოს ბურჟუაზიულ-იდეალისტურ მოძღვრებების მხრივ; სწორედ ასევე არავითარი დამატება არ ესაჭიროება მარქსიზმის ფილოსოფიასაც, როგორც დ ა მ თ ა ვ რ ე ბ უ ლ ფილოსოფიურ მატერიალიზმს, რომელმაც მისცა კაცობრიობას შემეცნების დიადი იარაღი, ხოლო მუშათა კლასს განსაკუთრებით“ (ლ ე ნ ი ნ ი). მარქსიზმის რევიზიის ცდა მისი „შეესების“ საბაბით ახალი არაა, იგი წარმოადგენს სხვადასხვა ანტიმარქსისტულ ჯგუფების, მათ რიცხვში მომენშევიკო იდეალისტების რევიზიონისტულ მოღვაწეობის მიჩქმალვის ერთ მეთოდთაგანს.

[1] „პოდ ზნამენემ მარქსიზმა“ № 1, 1924 წ.

გადავიდეთ იმ საკითხების კონკრეტულ განხილვაზე, რომელთა მიხედვითაც უკეთებდენ რევიზიას მომენშევიკო იდეალისტები მარქსიზმის ფილოსოფიას და „უმატებდენ“ მას ჰეგელს. ლენინმა 1922 წ. წამოაყენა ჰეგელის ფილოსოფიის რაციონალური შინაარსის მატერიალისტური გადამუშავების ამოცანა, მიუთითებდა რა ამავე დროს იმაზე, რომ ჰეგელის მეთოდი რადიკალურად ეწინააღმდეგება მარქსის მეთოდს, ვინაიდან იგი საესებით იდეალისტურია, რომ იგი არ შეიძლება გამოყენებული იქნას ან მითუფრო შეერთებული იქნას მატერიალიზმთან ისე, თუ მატერიალისტურად არ გადამუშავდაო. ხოლო მომენშევიკო იდეალისტები სულ სხვა აზრისანი არიან. ისინი ჰეგელის მოძღვრებაში ხედავენ, ერთის მხრივ, იდეალიზმს, განსახიერებულს სისტემაში, ხოლო მეორე მხრივ, მატერიალიზმს, გამოსახულს ჰეგელის მეთოდში. „ენგელსისა და ლენინის განსაზღვრით,—სწერს კარევი,—ჰეგელის ფილოსოფია მატერიალიზმია თავყირა დაყენებული. მატერიალისტური მასში იყო სწორედ მეთოდი“[1]. ამრიგად მომენშევიკო იდეალისტების ნაწერების მიხედვით კლასიკური იდეალისტის – ჰეგელის მეთოდი გამოდის როგორც მატერიალისტური მეთოდი. კარევის ამ დებულებაში ამომწურავი სისრულითაა გამოხატული მომენშევიკო იდეალისტების აპოლოგეტური დამოკიდებულება ჰეგელის ფილოსოფიისადმი, მისი უკრიტიკოდ მიღება.

მომენშევიკო იდეალისტები, ატარებდენ რა მარქსიზმის ჰეგელიანიზირების ხაზს, ყოველთვის მიისწრაფოდენ გაემაგრებიათ თავიანთი ალმოჩენები მარქსზე, ენგელსზე, ლენინზე მითითებებით. მაგრამ მარქსიზმის კლასიკოსები არასოდეს არ უდგებოდენ ჰეგელის მეთოდის განხილვას მთელი მისი მოძღვრებისაგან, მთელი მისი ფილოსოფიური სისტემისაგან იზოლირებით. ისინი მუდამ იღებდენ მათ მთლიანად და ახასიათებდენ ჰეგელის ფილოსოფიას როგორც თავისი შინაარსით, სტრუქტურითა და მეთოდით იდეალისტურ ფილოსოფიას. „ჩემი დიალექტიკური მეთოდი,—სწერდა მარქსი,—არა მარტო ძირითადათ განსხვავდება ჰეგელის მეთოდისაგან, არამედ შეადგენს მის პირდაპირ წინააღმდეგობას. ჰეგელისათვის აზროვნების პროცესი, რომელსაც იგი იდეიის სახელწოდებით დამოუკიდებელ სუბიექტადაც კი აქცევს, დემიურგია (შემომქმედია) სინამდვილისა, რომელიც ხოლოდ მის გარეგან გამოააშკარავებას წარმოადგენს. ჩემთვის კი, პირიქით, იდეალური, სხვა არა არის რა, თუ არა მატერიალური მხოლოდ—ადამიანის თავში გადატანილი და გადამუშავებული“[2]. მარქსი

[1] კ ა რ ე ვ ი, წერილი ჟურნალ „პოდ ზნამენემ მარკსიზმა“-ში, № 8—9, 1925 გვ. 9. ხაზგასმულია ჩვენს მიერ.—ავ ტ.

[2] მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი. ტ. I. გვ. XXIII, მეორე გამოცემის ბოლოსიტყვაობა.

განსაკუთრებული სიცხადით უსვამს აქ ხაზს თავისი მეთოდის დაპირისპირებულობას ჰეგელის მეთოდისადმი.

მომენშევიკო იდეალისტებმა უგულებელყვეს ენგელსის პირდაპირი, სრულიად მკაფიო სიტყვები იმის შესახებ, რომ „მეთოდი, რომელიც (ჰეგელის. — ავტ.) საკუთარი ალიარებით" არაფრიდან არაფრის საშუალებით მივიდა არაფრამდე" იყო... სრულებით უადგილო," რომ „ჰეგელის მეთოდი მისი არსებული ფორმით სრულებით უარგისი იყო. იგი არსებითად იდეალისტური იყო"[1]. მარქსის მიერ ჰეგელის მეთოდის ამ სისტემატიურ კრიტიკას, მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდის აღმოჩენასა და დამუშავებას ენგელსი თავისი მნიშვნელობით სამყაროზე მატერიალისტურ შეხედულებათა საფუძვლების აღმოჩენის თანაბრად აყენებს.

მარქსიზმის კლასიკოსები მუდამ ხაზს უსვამდენ, რომ უმნიშვნელოვანეს ამოცანას ჰეგელის ფილოსოფიის დაძლევის საქმეში, მისი კრიტიკის საქმეში წარმოადგენს მისი დიალექტიკურ-იდეალისტური მეთოდის გადამუშავების ამოცანა. ლენინმაც სწორედ ეს ამოცანა წამოაყენა ფილოსოფიის წინაშე, ამიტომ თუ არ გვინდა უღალატოთ მარქსიზმს, არავითარ „სინტეზზე," არავითარ შეერთებაზე ჰეგელის მეთოდისა მატერიალიზმთან არ შეიძლება ლაპარაკი ისევე, როგორც არ შეიძლება ლაპარაკი მარქსიზმის კანტიანობასთან შეერთების ან მისი დამატების შესახებ.

მიუხედავად ამისა მომენშევიკო იდეალისტები ჰეგელის მეთოდის მარქსის—ლენინის მატერიალიზმთან შეერთების „სინტეზის" თეორიას ატარებენ მატერიალისტური დიალექტიკისა და ფილოსოფიის ისტორიის სხვადასხვა საკითხებში. დიალექტიკური მატერიალიზმი, მათი აზრით, „წარმოადგენს ჰეგელის დიალექტიკური მეთოდის სინტეზს ბუნებისა და ისტორიის მატერიალისტურ გაგებასთან"[2]. იზიარებდენ რა დებორინის მეთოდოლოგიურ თვალსაზრისს, მისი მიმდევრები გამოდიოდენ მტკიცებით, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი სხვა არა არის რა, თუ არა ფეიერბახის მატერიალიზმი პლიუს ჰეგელის მეთოდიო და სხ. ასეთ უკიდურესად ვულგალურ ფორმაში გვაწვდიდენ ისინი მარქსიზმის ისტორიული გენეზისისა და ჩამოყალიბების ურთულეს პროცესს.

ატარებდენ რა თეორიას შესახებ იმისა, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი სხვა არა არის რა, თუ არა სამყაროზე მატერიალისტური შეხედულება პლიუს ჰეგელის მეთოდიო, მომენშევიკო იდეალისტები

---

[1] მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. ენგელსის რეცენზია, გვ. 206.

[2] დებორინი, კანტის დიალექტიკა, „არქივი" ტ. I, გვ. 14.

ამ იდეალისტურ, ეკლექტიკურ დომხალს ასაღებდენ ჰეგელის ფილოსოფიის მატერიალისტურ გადამუშავებად; ამავე დროს ისინი ერთი მეორეს უპირისპირებდენ და სთიშავდენ ჰეგელის არა მარტო მეთოდსა და სისტემას, არამედ პროლეტარიატის მეთოდსა და მსოფლმხედველობასაც, ავრცელებდენ აზრს რომ შესაძლებელია იდეალისტური მეთოდის სინტეზი მატერიალისტურ მსოფლმხედველობასთანო.

მომენშევიკო იდეალისტები აწარმოებდენ ბრძოლას თეორიის პარტიულობის მარქსისტულ-ლენინურ პრინციპის წინააღმდეგ, წყვეტდენ ფილოსოფიას კლასობრივი ბრძოლის კონკრეტულ ამოცანებისაგან და გვაძლევდენ თავიანთ შრომებში თეორიისა და პრაქტიკის არამარქსისტულ თეორიულ განმარტებას. მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას ქვეყნიერების გარდამქნელ კონკრეტულ საზოგადოებრივ-ისტორიულ პრაქტიკის შესახებ და თეორიის, როგორც ქვეყნიერების შემცველ იარაღის შესახებ, ლენინის მოძღვრებას თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის შესახებ—პრაქტიკის საფუძველზე, ლენინის კონკრეტულ მითითებებს შესახებ იმისა, რომ „ცხოვრების პრაქტიკის თვალსაზრისი უნდა იყოს შემეცნების თეორიის პირველი და ძირითადი თვალსაზრისიო,"—მომენშევიკო იდეალისტები მუდამ ცელიან პრაქტიკის ჰეგელისებურ - ფეიერბახისებური გაგებით. ჰეგელის ძირითადი აზრი მის მიერ კრიტიციზმის და შემეცნების ყოველგვარი თეორიის კრიტიკაში შეიცავს იმას, — წერს დებორინი, — რომ აზროვნების კრიტიკა, ე. ი. მის ნიშთა გამოკვლევა ხელიხელჩაკიდებული უნდა მიდიოდეს აზროვნების მოქმედებასთან ერთად. ჰეგელი სწყვეტს შემეცნების პრობლემას კაცობრიობის მსოფლიო-ისტორიული პრაქტიკის თვალსაზრისით. დუალიზმი სუბიექტისა და ობიექტისა, შემეცნებისა და საგნისა დაიძლევა არა ასე ვთქვათ, ამ მოპირდაპირობათა ჭვრეტის საშუალებით, არამედ სუბიექტის და ობიექტის ბრძოლის, მათი ურთიერთული შეთანაპირების და შედარების შედეგად კაცობრიობის ისტორიული ცხოვრების პროცესში"[1]. ამნაირად, დებორინი იმდენად გაფართოებულად განმარტავს კანტის ჰეგელურ კრიტიკას, რომ თითქმის აიგივებს მას მარქსისტულ კრიტიკასთან. დებორინს არ ესმის ის, რომ ჰეგელი კანტის ამ კრიტიკაში არ გამოდის თავისი იდეალიზმის საზღვრებიდან და, მაშასადამე, ჰეგელის მიერ ამ პრობლემების რაიმე გადაწყვეტაზე, მერე ისიც კაცობრიობის ნამდვილი მსოფლიო-ისტორიული პრაქტიკის თვალსაზრისით, ლაპარაკიც არ შეიძლება. და ეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პრაქტიკა ჰეგელის გაგებით კაცობრიობის კონ-

[1] დებორინი, ფილოსოფია და მარქსიზმი, გვ. 238, 1930 წ.

კრეტულ-ისტორიული, გრძნობადი პრაქტიკა, ობიექტური ქვეყნის და მისი გარდაქმნის კანონზომიერების გამოაშკარავების პრაქტიკა კი არ არის, არამედ მხოლოდ „პრაქტიკული იდეაა", კატეგორიაა, რომელიც სავსებით თავსდება ჰეგელიანურ მოძღვრებაში ყოფიერების და აზროვნების იგივეობის შესახებ. ამნაირად, დებორინის მტკიცება იმის შესახებ, რომ ჰეგელი კანტის კრიტიკაში შემეცნების პრობლემებს სწყვეტს კაცობრიობის მსოფლიო-ისტორიული პრაქტიკის თვალსაზრისით, ეწინააღმდეგება ფაქტებს, წარმოადგენს მომენშევიკო იდეალისტების მიერ ჰეგელის შეხედულებათა სრულიად არაკრიტიკული გაგების და მათი მარქსისტულ შეხედულებებთან გაიგივების ზედმეტ დამამტკიცებელ საბუთს. დებორინს უგულებელყოფილი აქვს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება პრაქტიკაზე ფეიერბახის მიერ პრაქტიკის და თეორიის გაგების განჰარტებაში. „ფეიერბახის მთელი ლიტერატურული მოღვაწეობა,—წერს დებორინი,— ... მისი ჰეგელთან კავშირის გაწყვეტის დროიდან, წარმოადგენს დაუცხრომელ ბრძოლას წინანდელი ფილოსოფიის „თეორიული", მჭვრეტელობითი თვალსაზრისის წინააღმდეგ და პრაქტიკული თვალსაზრისის დაცვას" [1]. ამ თეზისში კიდევ ერთხელ მეღავნდება დებორინის ეკლექტიზმი და მის მიერ პრაქტიკის პრობლემის მარქსისტულ ლენინური განმარტების არსების გაუგებლობა. სინამდვილეში არც ჰეგელი და არც ფეიერბახი, როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგიის გამომხატველები, არ მისულან კაცობრიობის საზოგადოებრივი კონკრეტულ-ისტორიული პრაქტიკის არსების ნამდვილ გაგებამდე. პირველი—უმთავრესად თავისი იდეალიზმის მიზეზით, მეორე—თავისი მატერიალიზმის მეტაფიზიკური ხასიათის და საზოგადოებრივ მოვლენების ახსნაში იდეალისტური შეხედულებების გამო.

ფეიერბახის ფილოსოფია წარმოადგენს იმ ფილოსოფიის ნათელ ნიმუშს, რომელიც ლამობს მხოლოდ ქვეყნის ახსნას. „ბუნება და ადამიანი, — წერს ფეიერბახი,—ორივე რაღაც განუყოფელს შეადგენენ. ჭვრიტეთ ბუნება, ჭვრიტეთ ადამიანი. აქ თქვენ თვალწინ გაქვთ ბუნების მთელი საიდუმლოება" [2]. ამ თეზისში ფეიერბახმა ყველაზე უფრო ნათლად ჩამოაყალიბა თავისი ფილოსოფიის არსობა და მისი პასიური, მჭვრეტელობითი ხასიათი. ფეიერბახის სუსტი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ მას არ ესმის პრაქტიკის რევოლუციური, გარდამქნელი როლი და თეორიის როგორც ქვეყნის შეცვლის იარაღის როლი. ყვე-

---

[1] დებორინი, ლუდვიგ ფეიერბახი, გვ. 134, 1923 წ.

[2] ლ. ფეიერბახი, ტ. I, გვ. 77.

ლა მის შრომაში ტარდება აზრი იმის შესახებ, რომ „მხოლოდ ნიეთთა და არსებათა ჭვრეტა მათ ობიექტურ სინამდვილეში ანუ აუფლებს ადამიანს სავსებით და სრულიად ყოველგვარ ცრურწმენათაგან“. ფეიერბახის ფილოსოფია არ გამოდიოდა ქვეყნის ახსნის ამოცანის საზღვრებიდან, მაშინ, როდესაც ფილოსოფიის ამოცანა, მარქსის მოძღვრების თანახმად, მდგომარეობს არა მარტო ქვეყნის ახსნაში, არამედ მის შეცვლაში. ფეიერბახი, მისი ფილოსოფიის უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად, იყო და დარჩა წმინდა „თეორიული“, მჭვრეტელობითი თვალსაზრისის მქადაგებელი და არა მის წინააღმდეგ მებრძოლი, როგორც ეს უნდა წარმოგვიდგინოს დებორინმა წინააღმდეგ ფაქტებისა.

მომენშევიკო იდეალისტების მიერ პრაქტიკისა და თეორიის ჰეგელიანურ-ფეიერბახიანული, არამარქსისტული განმარტება სავსებით უკავშირდება მათ მიერ გატარებულ ხაზს სოციალისტური მშენებლობის პ რ ა ქ ტ ი კ ი ს ა გ ა ნ თ ე ო რ ი ი ს მ ო წ ყ ვ ე ტ ი ს ა ს, ისტორიულისაგან ლოგიკურის მოწყვეტისას ფილოსოფიის ისტორიის პრობლემების ახსნაში. მომენშევიკო იდეალისტები უგულებელყოფდენ ლენინის პირდაპირ მითითებებს, რომ რეოლუციური, ნამდვილად მეცნიერული თეორია შეიძლება განვითარდეს მხოლოდ პ რ ა ქ ტ ი კ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე, მასთან უშუალო, უმჭიდროესი დაკავშირებით. ისინი ხან თეორიას თანასწორ მნიშვნელობას ანიჭებდენ პრაქტიკასთან (იხ. ლუპოლის წიგნი „ლენინი ფილოსოფიაში“), ხან ჰეგელიანურად თქვეფდენ პრაქტიკას თეორიაში. მარქსიზმი დოგმა კი არაა, არამედ მოქმედების სახელმძღვანელოა; ამის მხედველობიდან გაპოშვებით „ჩვენ ვართმევთ მას ცოცხალ სულს, ჩვენ ვარყვევთ მის ძირითად თეორიულ საფუძვლებს — დიალექტიკას — მოძღვრებას ყოველმხრივ და წინააღმდეგობით სავსე ისტორიულ განვითარებაზე; ჩვენ ძირს ვუთხრით მის კავშირს ეპოქის განსაზღვრულ პრაქტიკულ ამოცანებთან, რომელნიც შეიძლება შეიცვალონ ისტორიის ყოველ ახალ მობრუნებაზე“ [1]. მომენშევიკო იდეალისტები ანხორციელებდენ ფილოსოფიის ამ კავშირის გაწყვეტას სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან თეორიული ფრონტის ფილოსოფიურ უბანზე, აკეთებდენ რა მატერიალისტური დიალექტიკის თეორიის დამუშავების უშინაარსო სიტყვიერებად, აბსტრაქტულ მსჯელობად კატეგორიების დაწყობის ლოგიკურ წესზე და ოდნავადაც არ წევდენ წინ მის განვითარებას.

მატერიალისტური დიალექტიკის უდიდესი საკითხების განმარტებაში იდეალიზმი სრულიად არ არის შემთხვევითი მოვლენა მომენ-

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, მარქსიზმის ისტორიული განვითარების ზოგიერთი თავისებურების შესახებ. თხზ. ტ. XV; გვ. 71.

შეეიკო იდეალისტთა კონცეპციაში, არამედ იგი მათ მიერ გატარებულ რევიზიის ი დ ე ა ლ ი ს ტ ურ ი ა რ ს ო ბ ი ს გამოხატულებაა. რომ ეს ასეა, გვიჩვენებს მათ მიერ ფილოსოფიის ძირითადი პრობლემის განმარტების ხასიათი. თავის წიგნში „ლენინი როგორც მოაზროვნე" დებორინი, იძლევა რა დასაწყისში მატერიის სწორ განსაზღვრას, დასასრულ წერს: „უფრო ფართო აზრით მატერია არის „გაშუალებათა", ე. ი. ურთიერთობათა და კავშირთა მთელი უსასრულო კონკრეტული ერთობლივობა" [1]. ეს ტიპიური იდეალისტური განსაზღვრაა, ვინაიდან ის, რაც ახასიათებს მატერიას, მასში ვერ პოებს გამოხატულებას. მატერია როგორც ობიექტური რეალობა, რომელიც ჩვენი შეგნების დამოუკიდებლად არსებობს, როგორც ჩვენი შეგრძნებათა წყარო და სხ. — ყოველივე ეს რატომღაც მატერიის (ფართე გაგებით) დებორინის დახასიათებაში სრულიადაც გაქრა. შემოხვევითია მ ა ტ ე რ ი ი ს ეს ი დ ე ა ლ ი ს ტ ურ ი გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა დებორინის და მისი ჯგუფის შრომებში? სრულიადაც არა. ეს განსაზღვრა გამომდინარეობს ამ ჯგუფის მთელი რევიზიონისტული ხაზიდან და სრულიად არ არის ერთეულადი.

განსაკუთრებით ძლიერად გამოიხატა ამ ძირეული, უმნიშვნელოვანესი საკითხის განმარტებაში იდეალიზმი დებორინის მოწაფეების შრომებში, კერძოდ გესენის წიგნაკში „შეფარდებითობის თეორიის ძირითადი პრინციპები". მასში გესენი, მისდევს რა მომენშევიკო იდეალისტების საერთო ხაზს, აცხადებს, რომ „დიალექტიკური მატერიალიზმი იხილავს მატერიას როგორც სივრცის და დროის სინტეზსო" [2]. ძირითადად ეს დახასიათება იგივეობითია ზემოთმოყვანილ დებორინულ დახასიათებასთან. მასშიაც დარჩა მხოლოდ მარტო კავშირები, მხოლოდ ფორმები მატერიის არსებობისა, თვით მატერიის გარეშე. მატერიის არსებობის ფორმები, დრო და სივრცე გესენს გაიგივებული აქვს თვით მატერიასთან. ამას არაფერი საერთო არა აქვს მატერიის განმარტებასთან მარქსიზმის ფილოსოფიაში, ეს წარმოადგენს თანამედროვე ფილოსოფოსების და ფიზიკოს-იდეალისტების მიერ მატერიის დახასიათების სახესხვაობას.

/ეს შეხედულებანი/ მატერიაზე, დებორინული ჯგუფის ფართოდ გავრცელებულ განწყობების მეოხებით, ღავს იჩენდენ თეორიის სულ სხვადასხვა დარგში, ხოლო ფილოსოფიაში ბადებდენ აშკარა იდეალიზმს, მტკიცებას, რომ მატერიის ისეთი ატრიბუტი, როგორც განფენილობაა, საკუთრივ არ წარმოადგენს ატრიბუტს, მას არ აქვს მნიშ-

---

[1] დ ე ბ ო რ ი ნ ი, ლენინი როგორც მოაზროვნე, გვ. 12, 1929 წ.

[2] გ ე ს ე ნ ი, შეფარდებითობის თეორიის ძირითადი იდეები, გვ. 69, „მოსკოვსკი რაბოჩი".

ენელობა მატერიის დასახასიათებლადო და სხ. რაღა რჩება ამ შეუმთხვევაში მატერიისაგან მომენშევიკო იდეალისტების ინტერპრეტაციაში და მათი მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისადმი ერთგულების ფიცისაგან?!

ასე ახდენდენ მომენშევიკო იდეალისტები მარქსიზმის ფილოსოფიის ყველა ძირითად პრობლემის რევიზიას, ასე გვთავაზებდენ დიალექტიკური მატერიალიზმის და ჰეგელის კრიტიკის სახით ყველაზე უცუდესი ხარისხის იდეალისტურ სქოლასტიკას.

თავის სტატიათა კრებულში „დიალექტიკა და ბუნებისმეტყველება“ დებორინი, ახასიათებდა რა მარქსიზმის ფილოსოფიას, წერდა: „მატერიალისტურმა დიალექტიკამ როგორც საყოველთაო მეთოდოლოგიამ უნდა ჩასწვდეს ყველა კონკრეტული და ემპირიული მეცნიერებას, ვინაიდან იგი, ასე ვთქვათ, მეცნიერებათა ალგებრაა, რომელსაც შინაგანი კავშირი შეაქვს კონკრეტულ შინაარსში“[1]. მატერიალისტური დიალექტიკის არსობის ამ ფორმულირობაში დებორინმა მთლად გაიმეორა იქვე მის მიერ მოყვანილი ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკის დახასიათება. „დიალექტიკა, მაშასადამე, არის ცოცხალი სული მეცნიერების მოძრაობაში: მარტო ამ საწყისს შეაქვს მეცნიერების შინაარსში აუცილებლობა და შინაგანი კავშირი...“[2]. აი მომენშევიკო იდეალისტების მიერ ჰეგელური ფილოსოფიის „მატერიალისტური გადამუშავების“ ნიმუში! დიალექტიკის იდეალისტური განსაზღვრა შემთხვევითობა კი არ არის, არამედ ერთგვარი სისტემაა მომენშევიკო იდეალისტების მუშაობაში.

ახასიათებს რა დიალექტიკას როგორც კავშირთა შეტანის იარაღს, დებორინი სხვა სტატიებში განაგრძობს ამ იდეალისტური კონცეპციის განვითარებას. „აუცილებლად ანგარიში უნდა მივცეთ ჩვენ თავს იმაში, — წერს იგი, — რომ ყოველგვარ მეცნიერულ შემეცნებას საფუძვლად უდევს ძირითადი ცნებები, რომელთაც კატეგორიების ხასიათი აქვთ. ისინი ერთნაირად მოსდგამს როგორც ყოფიერებას ისე აზროვნებას“[3]. თანახმად ასახვის მარქსისტულ-ლენინური თეორიისა, ცნებები სხვა არა არის რა, გარდა ობიექტური ქვეყნის კანონზომიერებათა სახეებისა ადამიანის აზროვნებაში. ლოგიკის კატეგორიები წარმოადგენენ დასკვნას ადამიანის მიერ ბუნების და საზოგადოების განვითარების კანონების შემეცნების ისტორიიდან. მარქსიზმი აკავშირებს მეცნიერების და ცალკეული ფილო-

[1] დებორინი, დიალექტიკა და ბუნებისმეტყველება, გვ. 31, 1930 წ.—ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

[2] ჰეგელი, ტ. I, გვ. 135.

[3] დებორინი, მარქსიზმის ფილოსოფია, გვ. 259, 1930 წ.

სოფიური კატეგორიების განვითარებას ადამიანთა საზოგადოების და ადამიანის აზროვნების განვითარებასთან, ვინაიდან ისინი პროდუქტია ადამიანის პრაქტიკული მოღვაწეობისა და შედეგია ადამიანის მიერ მსოფლიოს კანონების შემეცნებისა. დებორინი კი, ამტკიცებს რა, რომ ცნებები მოსდგამს ყოფიერებასა და აზროვნებას, ანიჭებს მათ ონტოლოგიურ მნიშვნელობას, ზოგიერთ პირველად არსებათა მნიშვნელობას, და ამ განმარტებაში იხრება ჰეგელიანობისაკენ.

ასეთი ტიპის დებულებანი ძალიან ხშირად მეორდება დებორინის შრომებში. ასე, ის წერს: „სინამდვილის თვითეული ცალკე დარგი, — ბუნება და საზოგადოება, — ეყრდნობა მოძრაობის ზოგად კანონებსა და ფორმებზე, ესენი შეადგენენ მის საფუძველს, ამავე დროს ის ემყარება სპეციფიურ კერძო კატეგორიებს, რომელნიც მოსდგამს სწორედ მონაცემ დარგს“ [1]. აქ დებორინის მიერ ტარდება ტიპიურ ჰეგელიანური განწყობანი.

როგორც უკვე ვიცით, ჰეგელი, ხელმძღვანელობს რა თავის მოძღვრებით ყოფიერების და აზროვნების იგივეობის შესახებ, თავის ლოგიკას აგებს, იწყებს რა ცარიელ იგივეობიდან — წმინდა ყოფიერებიდან, რომელიც გადადის თავის მოპირდაპირობაში — „წმინდა არარაობაში“, ხედავს მათ ერთიანობას ქმნადობაში, გადადის ქმნილის, არსებული ყოფიერების — თვისებრიობის — ცნებაზე, შემდეგ უკვე გადადის რაოდენობის და ზომის კატეგორიებზე და, ბოლოს, ლოგიკის მეორე ნაწილში, იხილავს არსობის კატეგორიებს, ააშკარავებს ცნებებს იგივეობისას, განსხვავებისას, დაპირისპირებისას და სხ. ამ კატეგორიების ქცევადობა ჰეგელისათვის ობიექტური ქვეყნის ქცევადობაა. შემეცნების პროცესს ჰეგელი აიგივებს ქვეყნის განვითარების პროცესთან. მისთვის ცნების თვითგანვითარება იდენტიურია სინამდვილის თვითგანვითარებასთან. ჰეგელთან წინააღმდეგობანი გვევლინებიან განსხვავების და დაპირისპირების ცნებების შემდეგ, ე. ი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩნდებიან განვითარების შემდგომ საფეხურზე. მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით ეს კრიტიკას ვერ უძლებს. მატერია — მარად არსებული, ობიექტური რეალობა — შინაგანად წინააღმდეგურია თავისი არსებობის და განვითარების ყველა საფეხურზე. არ არის და არც შეიძლება იყოს მატერია მოძრაობის გარეშე, ხოლო მატერიის მოძრაობა კი სხვა არა არის რა, გარდა მუდამ ვანხორციელების პროცესში მყოფი წინააღმდეგობანი.

ცნებათა განვითარების ჰეგელიანური სქემის და მის მიერ იგივეობის, სხვაობის, დაპირისპირების და წინააღმდეგობის როგორც ქვეყ-

[1] დებორინი, დიალექტიკა და ბუნებისმეტყველება, გვ. 27.

ნის განვითარების საფეხურების განმარტების მიღება ნიშნავს მისი მოძღვრების მიღებას ყოფიერების და აზროვნების იგივეობის შესახებ, ნიშნავს წმინდა წყლის იდეალიზმის პროპაგანდას. აი სწორედ განსხვავების, დაპირისპირების და წინააღმდეგობის განმარტების ამ იდეალისტურ გზაზე დგება დებორინი. „დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ა, — წერს ის, — შემდეგ გადადის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა შ ი, რომელიც შეადგენს ახალი საფეხურს ქ ვ ე ყ ნ ი ს ცოდნის და გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს ი შ ი“ [1]. აქ დებორინი ახასიათებს დაპირისპირებას და წინააღმდეგობას როგორც სხვადასხვა საფეხურებს არა მარტო შემეცნების განვითარებაში, არამედ ქვეყნის განვითარებაშიაც და უკრიტიკოდ იმეორებს ამ საკითხში ჰეგელიანურ შეხედულებებს. აქ დებორინი ობიექტურად გამოდის მარქსის მოძღვრების წინააღმდეგ მატერიის შინაგანი წინააღმდეგობის, როგორც მისი თვითმოძრაობის საფუძვლის შესახებ, იმ მოძღვრების წინააღმდეგ, რომ განსხვავება და დაპირისპირება მხოლოდ მატერიალური ქვეყნის წინააღმდეგობათა გამოხატულების ფორმებია. დებორინი ინილავს წინააღმდეგობას მხოლოდ როგორც ობიექტური ქვეყნის განვითარების მერმინდელ პროდუქტს, წინააღმდეგობა მის განმარტებით გვევლინება მხოლოდ განვითარების ბოლოში. „როდესაც, — წერს დებორინი, — განვითარების ყველა აუცილებელი საფეხური — მარტივ იგივეობიდან განსხვავების და დაპირისპირობით გამომრიცხველ წინააღმდეგობამდე, — გაელილია, მაშინ დგება „წინააღმდეგობათა გადაჭრის ეპოქა“ [2]. აქ ო ბ ი ე ქ ტ ურ კ ა ნ ო ნ ზ ო მ ი ე რ ე ბ ა თ ა ჩ ვ ე ნ ი შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ს ა ფ ე ხ ურ ებ ს დ ე ბ ო რ ი ნ ი ა ი გ ი ვ ე ბ ს თ ვ ი თ ო ბ ი ე ქ ტ ურ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ს ა ფ ე ხ ურ ებ თ ა ნ.

ამავე ტიპის იდეალისტურ ხაზს ატარებენ მომენშევიკო იდეალისტები მეცნიერული შემეცნებით ლ ო გ ი კ ურ ი ს დ ა ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ს თ ა ნ ა შ ე ფ ა რ დ ე ბ ი ს ზოგადი პ რ ო ბ ლ ე მ ი ს მთელ თავის განმარტებაში. მარქსიზმის კლასიკოსები ლოგიკურს იხილავენ როგორც აზროვნებაში აღდგენილს, შემოხვევითობათაგან გაწმენდილ ისტორიულს. „კაპიტალში“ მარქსმა მოგვცა ამ შემეცნებითი პრობლემის გადაწყვეტის ბრწყინვალე ნიმუში. ცნებათა მოძრაობაში მან დაგვანახა კაპიტალიზმის განკითარების ისტორიული პროცესი, დაწყებული მარტივ სასაქონლო მეურნეობიდან და გათავებული გაშლილი კაპიტალიზმით, მოგვცა გაცვლის ფორმების ლოგიკური ანალიზი, დაწყებული შემთხვევითი ფორმიდან და გათავებული ფულადი

---

[1] დ ე ბ ო რ ი ნ ი, ფილოსოფია და მარქსიზმი, გვ. 232 1930 წ. უკანასკნელი ხაზგასმულია ჩვენ მიერ. — ა ვ ტ.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 234.

ფორმით, ამასთან მარქსის ლოგიკური ანალიზის მსვლელობა მხოლოდ ხატავს ამ ფორმებით გამოთქმულ რეალურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა, შემთხვევითობისა და კერძოობისაგან გაწმენდილი, ისტორიული განვითარების მსვლელობას. მარქსი, ენგელსი, ლენინი არასოდეს არ თქვეფდენ საზოგადოების განვითარების ისტორიულ პროცესს ლოგიკურ პროცესში, არ აიგივებდენ მათ, არამედ ყოველთვის აქტიურად ებრძოდენ ისტორიულის ლოგიკურით შეცვლას.

ნამდვილად კი მომენშევიკო იდეალისტების შრომებში, რომლებიც ხალისით იმოწმებენ მარქსიზმის კლასიკოსებს, წითელი ზოლივით ტარდება ყოვლისშემსჭვალავი ლოგიციზმი. ასე, მათთვის დამახასიათებელია კლასობრივი ბრძოლის სრული დავიწყება ფილოსოფიური აზროვნების ისტორიული განვითარების შესწავლისას, მისწრაფება ფილოსოფიურ სისტემათა განვითარების ისტორია წარმოადგინონ როგორც განვითარების წმინდა იმანენტური, ლოგიკური პროცესი. ამათუიმ ფილოსოფიური სისტემის წარმოშობის და არსობის ახსნა — მათთვის ეს ნიშნავს ანალიზი გაუკეთონ ლოგიკური მხრით წინანდელი ფილოსოფიური სისტემის შინაარსს, მონახონ მასში მომდევნო სისტემის ელემენტების მსგავსი ელემენტები და წარმოადგინონ ისინი როგორც მიზეზები და პირობები, რომელნიც ბადებენ ფილოსოფიის შემდგომ განვითარებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორც წესი, ისინი იღებდენ მხოლოდ წმინდა ლოგიკურ მხარეს, ხოლო ფილოსოფიურ სისტემების განვითარების კონკრეტულ ისტორიულ საფუძველს სრულიად უგულებელყოფდენ; ისტორიული განვითარების ძირეული მამოძრავებელი ძალა კლასობრივ საზოგადოებაში, კლასობრივი ბრძოლა სრულიად ეპარებოდათ. უკეთეს შემთხვევაში ახალ ფილოსოფიურ თეორიების გაჩენის ძირითად მიზეზად დებორინი აყენებს „საზოგადოების მოთხოვნილებას ან კულტურის საფეხურს“, ე. ი. ამ საკითხის გადაწყვეტაში აგრეთვე არ მიდის ჰეგელზე შორს. „ამნაირად, — წერს დებორინი, — ორი მომენტი, რომლითაც ისაზღვრება ფილოსოფია: საზოგადოების მოთხოვნილება ამათუიმ ეპოქაში ანუ კულტურის ხარისხი ჰქმნის ბაზისს, რომელზედაც შენდება ფილოსოფიური სისტემა; აქ ჩვენ გვაქვს ი ს ტ ო რ ი უ ლ ი უწყვეტობა, რომელიც ხელიხელჩაკიდებული მიდის საზოგადოების სხვადასხვა და მრავალგვარ ინტერესთა ისტორიულ განვითარებასთან ერთად. მეორე მომენტს წარმოადგენს ლ ო გ ი კ უ რ ი უწყვეტობა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ფილოსოფიური მოძღვრებანი ლოგიკურად ვითარდებიან ერთიმეორისაგან და ლოგიკურად ერთმანეთს განმარტავენ“ [1].

[1] დ ე ბ ო რ ი ნ ი, ფილოსოფია და მარქსიზმი, გვ. 11.

ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ჩვენს დროში მატერიალისტური დიალექტიკის დამუშავებას მომენშევიკო იდეალისტები ცდილობდენ კლასობრივი ბრძოლის და სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკასთან დაუკავშირებლად და მათ არ დაუმუშავებიათ მატერიალისტური დიალექტიკის არც ერთი აქტუალური პრობლემა.

ბ) დიალექტიკის დაპირისპირება შემეცნების თეორიისადმი და მისი რევოლუციური არსების დამახინჯება

საბჭოთა კავშირში ფილოსოფიის მომენშევიკო—იდეალისტური რევიზია ტარდებოდა მეტად შენიღბული სახით, დახვეწილ და რთულ ფორმებში, ძირითადათ კი ჰეგელიანური ტიპის იდეალისტურ რევიზიას წარმოადგენდა. მაგრამ ამ რევიზიის მენშევიკურმა არსებამ, მისმა ნათესაობამ საერთაშორისო მენშევიზმთან, გარდა ჩვენ მიერ წინათ აღნიშნული მომენტებისა, თავისი გამოხატულება ჰპოვა აგრეთვე მატერიალისტური დიალექტიკის მთელი რიგი უდიდესი საკითხების კ ა ნ ტ ი ა ნ უ რ განმარტებაში. სკუთრივ ამ ხასიათ უშვებოდა რევიზიას დებორინი მარქსიზმის ფილოსოფიის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხსაც კი, როგორიცაა დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ი ს რ ო გ ო რ ც შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს თ ე ო რ ი ი ს საკითხი.

ლენინი წერდა ამის გამო, რომ „დიალექტიკა ა რ ი ს სწ ო რ ე დ (ჰეგელის და) მარქსიზმის შემეცნების თეორია: აი საქმის რა „მხარეს“ (ეს საქმის „მხარე“ კი არაა, საქმის ა რ ს ე ბ ა ა) არ მიაქცია ყურადღება პლეხანოვმა, სხვა მარქსისტებზე რომ აღარაფერი ვთქვათ“ [1]. ამ სხვა „მარქსისტებს“ ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლია მივაკუთნოთ ჩვენ დროში მომენშევიკო იდეალისტები. წინაალმდეგ ლენინის მიერ მოცემულ მატერიალისტური დიალექტიკის როგორც მარქსიზმის შემეცნების თეორიის დახასიათებისა, დებორინი და მისი მოწაფენი სრულიად უკრიტიკოდ მისდევდენ პლეხანოვს, აღრმავებდენ მის შეცდომებს ამ საკითხში და შემეცნების თეორიას უპირისპირებდენ დიალექტიკას როგორც ვითომდა მხოლოდ „მეთოდოლოგიას“. დებორინი სტატიაში „მარქსი და ჰეგელი“ წერს, რომ „შემეცნების თეორიისადმი დაპირისპირებული დიალექტიკის როგორც მ ე თ ო დ ო ლ ო გ ი ი ს მნიშვნელობა საკუთარი ნაგნებული ჰქონდათ მარქსიზმის ფუძემდებლებსა და მის ყველაზე დიდ წარმომადგენ-

[1] „ლ ე ნ ი ნ ი ს კრებული“, ტ. XII, გვ. 325.

ლებსო“ [1]. დებორინი ამტკიცებს, რომ შემეცნების თეორია უკვე საჭირო აღარაა, რომ „შემეცნების თეორიამ უკვე შეასრულა თავისი ისტორიული ამოცანა“, აიგივებს რა ამნაირად მარქსიზმის შემეცნების თეორიას შემეცნების კანტიანურ თეორიასთან. ამით დებორინი დიალექტიკას აქცევს ერთნაირ წმინდა, აბსტრაქტულ მეთოდოლოგიად.

დებორინს არ ესმის ის, რომ სწორედ მატერიალისტური დიალექტიკა არის მარქსიზმის ნამდვილად მეცნიერული, ბოლომდის რევოლუციური შემეცნების თეორია, რომელიც წარმოადგენს მეცნიერული მსოფლმხედველობის და მეთოდის ერთიანობას. დებორინის მითითება მარქსიზმის ფუძემდებლებზე ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მარქსი, ენგელსი, ლენინი თავის შრომებში არასოდეს არ უპირისპირებდენ და არც შეეძლოთ დაეპირისპირებიათ მატერიალისტური დიალექტიკა შემეცნების თეორიისათვის. დიალექტიკა არის მეცნიერება ბუნების, საზოგადოების და აზროვნების განვითარების ზოგად კანონების შესახებ. ყოფიერების და აზროვნების კანონები იგივეობითია შინაარსით და განსხვავებულია ფორმით. ენგელსის ეს დებულებანი გასაღებს იძლევიან ლენინური მითითების გასაგებად იმის შესახებ, რომ სწორედ დიალექტიკაა მარქსიზმის შემეცნების თეორია. ამიტომ შემეცნების წესები, მეთოდები არ შეიძლება დადგენილ იქნენ ადამიანის კონკრეტული, საზოგადოებრივ ისტორიული პრაქტიკის გარეშე, მისი შემეცნებითი მოღვაწეობის პროცესის გარეშე. დიალექტიკა, რომელიც წარმოადგენს მეცნიერებას ობიექტური ქვეყნის ზოგად კანონების და შემეცნების კანონების შესახებ, არის შემეცნების თეორია.

სოციალ ფაშისტები მარქსიზმის შემეცნების თეორიას უპირდაპირებენ დიალექტიკას. და ეს სავსებით ეთანხმება მათ მიერ პრაქტიკის როლის უგულებელყოფას, ფილოსოფიის პარტიულობის უარყოფას და მარქსიზმის როგორც დოგმის გაგებას, მათი მარქსიზმის ნეოკანტიანური „დამატებით“ და „შესწორებით“! დიალექტიკის და შემეცნების თეორიის დაპირისპირებაში, მათ შორის გათიშვის მოხდენაში უსათუოდ გამომჟღავნდა პლეხანოვის პოლიტიკური მენშევიზმიც და მის მიერ დიალექტიკის არასაკმაოდ ღრმა, ცალმხრივი გაგებაც. მომენშევიკ იდეალისტები წინააღმდეგ მარქსიზმის მოძღვრებისა და ლენინის პირდაპირი მითითებისა, მიუხედავათ პლეხანოვის ლენინური კრიტიკისა სპეციალურად ამ საკითხში, ატარებდენ საბჭოთა კავშირის პირობებში მათ მიერ აღდგენილ პლეხანოვის რევიზიონისტულ განწყობას და მით აშორებდენ შემეცნების

[1] დებორინი, ფილოსოფია და მარქსიზმი, გვ. 234.

თეორიას დიალექტიკისაგან, მეთოდს მსოფლმხედველობისაგან, თეორიას პრაქტიკისაგან. უარყოფენ რა დიალექტიკის შემეცნების თეორიის როლს, მომენშევიკო იდეალისტები ამით გვერდს უვლიან ფილოსოფიის ძირითად საკითხს ყოფიერების და ცნობიერების დამოკიდებულების შესახებ და დიალექტიკას აქცევენ ერთნაირ „წმინდა“, მსოფლმხედველობის საკითხების შეუცველ არსებითად იდეალისტურ მეთოდოლოგიად.

ამგვარი ცდები დიალექტიკის და შემეცნების თეორიის დასაპირისპირებლად, მათ გასათიშავად ან შემეცნების თეორიის გასათქვეფად რაღაც აბსტრაქტულ მეთოდოლოგიაში აუცილებლად იწვევენ აგნოსტიციზმს და იდეალიზმს, მატერიალისტური დიალექტიკის როგორც ერთადერთი მეცნიერული მეთოდოლოგიის და შემეცნების თეორიის მეცნიერული მნიშვნელობის ძირის გამოთხრას.

მატერიალისტური დიალექტიკა თავისი არსებით — რევოლუციური მეცნიერებაა, ამიტომ ყველა სახის რევიზიონისტები, ცდილობენ რა მარქსიზმის მოქმედებითობით ხასიათის ძირის გამოთხრას, მისი რევოლუციური არსების დაჩლუნგებას, პირველყოვლისა თავის იარაღს მიმართავენ მატერიალისტური დიალექტიკის არსების, მისი ბირთვის—დაპირისპირებათა ერთიანობის კანონის—წინააღმდეგ. ზოგიერთი რევიზიონისტები (ბერნშტეინი და სხ.) პირდაპირ უარყოფენ რეალური ქვეყნის წინააღმდეგობათა შესწავლას, უწოდებენ მარქსის დიალექტიკას ჰეგელიანელობას, სხვები ცდილობენ შეცვალონ იგი წონასწორობის ეულგარული მექანისტური თეორიით, მესამენი დიალექტიკის ძირითად კანონებს განმარტავენ იდეალისტური, კანტიანური გაგებით და ამ გზით ლამობენ სახელი გაუტეხონ მატერიალისტური დიალექტიკის კანონებს, წაართვან მათ ნამდვილად მატერიალისტური და მეცნიერული რევოლუციური მნიშვნელობა.

უკანასკნელი სწორედ დამახასიათებელია მომენშევიკო იდეალისტების რევიზიონისტული მოღვაწეობისათვის. დებორინი დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის თავის დახასიათებაში არსებითადსოციალ-ფაშისტურ განწყობებს ატარებს. დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონით ხელმძღვანელობა ჩვენს შემეცნებაში—ეს ნიშნავს იმის გაგებას, რომ განვითარების საფუძველს წარმოადგენს შინაგანი წინააღმდეგობანი, რომ ყოველ მოვლენაში გარეგნული კავშირის იქით უნდა აღმოვაჩინოთ შინაგანი, არსებითი წინააღმდეგობანი, აღმოვაჩინოთ უწინარეს ყოვლისა თვით მოვლენაში ის მიზეზები, რომელიც ბადებენ მის თვითუარყოფას, უნდა გვახსოვდეს, რომ თვითეულ საგანში არის წინააღმდეგური ტენდენციები, რომელთა ბრძოლა მისი განვითარების მიზეზს წარმოადგენს. ლენინი, რომელიც აკონკრე-

ტეზირებდა დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონს, ამუშავებდა მას შემდგომ იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მასალაზე, ახასიათებდა რა ამ კანონს, წერდა: „დაპირისპირებულთა ერთიანობა (თანამთხვევა, იგივეობა, ტოლქმედობა) პირობითია, დროებითია, გარდამავალია, რელატივურია. ურთიერთგამომრიცხველ დაპირისპირებულთა ბრძოლა აბსოლუტურია, როგორც აბსოლუტურია განვითარება, მოძრაობა“ [1]. წინააღმდეგ ლენინის მიერ კანონის ამ კლასიკური დახასიათებისა, მომენშევიკო იდეალისტები იძლევიან ძირფესვიანად მოპირდაპირულ განმარტებას, ახასიათებენ მას არა როგორც ბრძოლის კანონს, არა როგორც განვითარების კანონს, არამედ როგორც „სინტეზის“ კანონს, დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ა თ ა შ ე რ ი გ ე ბ ი ს კ ა ნ ო ნ ს. აი, მაგალითად, ამ საკითხის ერთი, დებორინისათვის ტიპიურ განმარტებათაგანი. ლაპარაკობს რა კანტის ანტინომიებზე, დებორინი წერს: „... კანტი თეზისს უპირდაპირებს ანტითეზისს, სურს რა დაამტკიცოს, რომ თეზისი რიცხავს ანტითეზისს და რომ ისინი, მაშასადამე, არ შეიძლება შერიგებულ იქნენ, არ შეიძლება გადაჭრილი იქნენ. ხოლო დადებითი დიალექტიკა თეზისსა და ანტითეზისში ხედავს არა ურთიერთ გამომრიცხველს, არამედ ურთიერთ შემარიგებელ დაპირდაპირებულებს“ [2].

აშნაირად, ამ კანონის ლენინურ ფორმულირობას, რომელიც მაქსიმალურად სრულად და ყოველმხრივად გამოხატავს ქვეყნის განვითარების არსებას, კლასობრივი ბრძოლის არსებას, დებორინი უპირდაპირებს ამ საკითხის თავის ტიპიურ მენშევიკურ განმარტებას. მატერიალისტური დიალექტიკის კანონების ეს განმარტება, რომელიც დამახასიათებელია საერთოდ რევიზიონისტებისთვის, წარმოადგენს არსებითად მათი გამცემლური ხაზის თეორიულ გამოხატულებას მუშათა მოძრაობის რიგებში.

ამხ. კაგანოვიჩმა, როცა დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონზე ლაპარაკობდა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ „დაპირისპირებულთა ერთიანობის გაგება სინამდვილეში—ეს ნიშნავს არ შეგვეშინდეს სიძნელეების. ეს ნიშნავს არ შევუშინდეთ ცხოვრების იმ წინააღმდეგობებს, რომელნიც ჩვენს გზაზე იბადებიან, არამედ დავძლიოთ ისინი ბოლშევიკური ენერგიით და მედგრობით“ [3]. სწორედ კანონის ასეთი გაგება წარმოადგენს მის ნამდვილ მეცნიერულ, მარქსისტულ-ლენი-

---

[1] „ლ ე ნ ი ნ ი ს კ რ ებ ულ ი“, ტ. XII, გვ. 324.

[2] „მ ა რ ქ ს ი ს დ ა ე ნ გ ე ლ ს ი ს ა რ ქ ი ვ ი“, ტ. I, გვ. 64.

[3] კ ა გ ა ნ ო ვ ი ჩ ი, პარტიის ისტორიის ბოლშევიკური შესწავლისათვის. პარტგამომცემლობა, გვ. 12. 1932 წ.

ნურ გაგებას. გამოდის რა დიალექტიკის კანონების, კლასობრივი ბრძოლის განვითარების კანონების ამ მეცნიერულ რევოლუციური გაგებიდან და ხელმძღვანელობს რა ამით, ჩვენი პარტია ყოველთვის ატარებდა ხაზს არა პრინციპიალურ უთანხმოებათა შესარიგებლად და მისაჩქმალავად, არამედ მათ გამოსააშკარავებლად და რევოლუციური გზით დასაძლევად. პირიქით, სოციალ-ფაშისტებისთვის დამახასიათებელია ხაზი წინააღმდეგობათა შესარიგებლად; მათ შესარბილებლად, პრინციპიალურ უთანხმოებათა მისაფუჩეჩებლად, მათთვის დამახასიათებელია მისწრაფება უთანხმოებათა დასამალავად, მათ დასაჩლუნგებლად, შესარიგებლად. ამ გზით წაიდენ მომენშევიკო იდეალისტებიც.

დ) კლასობრივი ბრძოლის მენშევიკურ-ტროცკისტული გაგება. მექანიციზმთან დაკავშირება

ისტორიული მატერიალიზმი როგორც პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის თეორია უდიდეს როლს თამაშობს პროლეტარიატის თანამედროვე რევოლუციურ ბრძოლაში, განსაკუთრებით სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკაში. ამოცანები ისტორიული მატერიალიზმის პრობლემების დასამუშავებლად, კლასობრივი ბრძოლის ახალი ფორმების და გარდამავალი პერიოდის კანონზომიერებათა შესასწავლად ამ ჟამად განსაკუთრებულ მნიშვნელობას პოულობენ. ისტორიული მატერიალიზმი, როგორც შემეცნების და საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებათა შეცვლის ერთადერთი მეცნიერული თეორია გამოყენებული უნდა იქნას სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკის საქსახურში. კლასობრივი ბრძოლის პრაქტიკასთან უმჯიდროესი კავშირის უქონლად, სოციალიზმისათვის პროლეტარიატის ბრძოლის გამოცდილების გაუზოგადებლად თეორიას არ შეუძლია ნაყოფიერად განვითარდეს და შეასრულოს მასზე დაკისრებული ამოცანები ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან საბრძოლველად, საზოგადოებრივი შეგნების გარდასაქმნელად, ადამიანთა შეგნებაში კლასობრივ გადანაშთების აღმოსაფხვრელად. ამავე დროს კი ერთი ჯგუფი ფილოსოფოსებისა დებორინის მეთაურობით, აშორებდა რა თეორიას პრაქტიკისაგან, ფილოსოფიას პოლიტიკისაგან, სრულიად უგულებელყოფდა ამოცანებს ისტორიული მატერიალიზმის საკითხების დასამუშავებლად, ხოლო თუ ეხებოდა მათ, განმარტავდა ტროცკისტული ანამემარჯვენე ოპორტუნისტული, მომენშევიკო-იდეალისტური ან მექანისტური გაგებით.

მათ შრომებში არა თუ არ არის პროლეტარიატის დიქტატურის მიერ წამოყენებულ ახალ პრობლემებზე ისტორიული მატერიალიზმის შემდგომი დამუშავების და კონკრეტიზაციის ცდები, არამედ იმ პრობლემებსაც, რომელნიც თავის დროზე საკმაოდ დამუშავებული იყვნენ მარქსიზმის კლასიკოსების მიერ, საერთო წესისამებრ არამარქსისტული, მომენშევიკო იდეალისტური დახასიათება ეძლეოდა. დებორინის ყველა ძალიან მცირერიცხოვანი გამოთქმა ისტორიულ მატერიალიზმის თეორიის საკითხებში იმდენად ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი ა, ამ სიტყვის უცუდესი მნიშვნელობით, რომ აბსოლუტურად არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს და ხშირად ისეა ფორმულირებული, რომ იბადება კითხვა: ვინ არის მათი ავტორი — მატერიალისტი თუ იდეალისტი?

ავიღოთ მაგალითისათვის კლასის დებორინული დახასიათება. ის წერს, რომ „მარქსიზმი იხილავს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ივ კლასს, როგორც რეალობას, როგორც რეალურ ობიექტს, ისტორიული ევოლუციის საფუძველზე“ [1]. ეს დახასიათება არა მარტო ზოგადი და უშინაარსოა, არამედ აშკარად უშართებულოდ გვიხატავს მარქსის ნამდვილ ლვაწლს კლასების და კლასობრივი ძრძოლის პრობლემის დამუშავების დარგში. ვეიდემეიერთან წერილში 1852 წ. 5 მარტს მარქსი სპეციალურად აღნიშნავს, რომ მან გამოააშკარავა კლასების არსებობის კავშირი მატერიალური წარმოების განვითარების განსაზღვრულ ისტორიულ ფორმებთან, გამოააშკარავა და დაასაბუთა, რომ კლასობრივი ბრძოლა იწვევს პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა ს და რომ უკანასკნელი წარმოადგენს აუცილებელ ეტაპს, გადასელას საზოგადოთ კ ლ ა ს ე ბ ი ს მ ო ს პ ო ბ ა ზ ე. დებორინი, ცდილობს რა „დაუმტკიცოს“ მექანისტებს კლასების რეალობა, ერთგული თავისი მომენშევიკო-იდეალისტური მეთოდოლოგიისა, გვერდს უვლის ძირითადს, მთავარს მარქსიზმში. თავის ბროშურაში „ლენინი როგორც მოაზროვნე“ დებორინი, რომელიც ცდილობდა პროლეტარიატის დიქტატურის დროს კლასების და კლასობრივი ბრძოლის უფრო კონკრეტულად დახასიათებას, წერდა: „პროლეტარიატის დიქტატურა სულაც არ წარმოადგენს რაღაც სამოთხისებურ „მდგომარეობას“, რომელშიაც არ არსებობს კლასობრივი წინააღმდეგობანი. პირიქით, პროლეტარიატის დიქტატურა არის გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა კლასობრივი ბრძოლის და სამოქალაქო ბრძოლისაც კი უფრო ფართო ბაზისზე, ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ასპარეზზე, სადაც ერთიერთმანეთის წინააღმდეგ დგას კბილებამდე შეიარაღებული ორი მოპირდაპირე კლასი“ [2].

[1] დ ე ბ ო რ ი ნ ი. „დიალექტიკა და ბუნებისმეტყველება“, გვ. 246.

[2] დ ე ბ ო რ ი ნ ი, ლენინი როგორც მოაზროვნე, გვ. 120.

აქ ლენინურ შეხედულებათა განმარტების და დამუშავების მომიზეზებით დებორინი ატარებს კლასობრივი ბრძოლის ქრობის მემარჯვენე ოპორტუნისტულ თეორიას, ატარებს საბჭოთა კავშირში კლასობრივი ბრძოლის უარყოფის თეორიას და მის აღიარებას მხოლოდ საერთაშორისო ასპარეზზე.

კლასობრივი ბრძოლის ამ აშკარად ულტრა-ოპორტუნისტული დახასიათებას იგი ამავე ბროშურაში ავსებს იმპერიალიზმის არსების კაუცკიანური დახასიათებით". პოლიტიკურად, — წერს დებორინი, — იმპერიალიზმი ნიშნავს რეაქციას, მაგრამ ეკონომიურად — პროგრესს"[1]. ასე, წინააღმდეგ, იმპერიალიზმის როგორც კაპიტალიზმის განვითარებაში უკანასკნელი სტადიის, როგორც ყოველგვარად ლპობადი კაპიტალიზმის ეტაპის ნათელი ლენინური დახასიათებისა, დებორინი ატარებს კაპიტალიზმის ეკონომიური პროგრესის თეორიას, კაუცკიანურად აშორებს პოლიტიკას ეკონომიკისაგან, ობიექტურად ექანება კაუცკის მოძღვრებასთან სოლიდარობის პოზიციებზე იმპერიალიზმის როგორც მხოლოდ კაპიტალიზმის პოლიტიკის შესახებ.

გარდამავალი პერიოდისათვის აქტუალური საკითხების განხილვის ცდების დროს მომენშევიკ იდეალისტები ხდებოდენ პარტიის მიერ განადგურებული ტროცკიზმის და მემარჯვენე გადახრის თეორიულ განწყობათა დაუფარავ გამტარებლად. წინააღმდეგ ლენინის მოძღვრებისა პროლეტარიატსა და გლეხობაზე როგორც ორ ძირითად კლასზე პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში, კარევი აყენებს თეზისს ერთ ძირითად კლასზე გარდამავალ პერიოდში, ტროცკისტულად უარყოფს გლეხობის, როგორც მეორე ძირითადი კლასის როლს გამოდის რა ლენინის მოძღვრების წინააღმდეგ იმის შესახებ, რომ პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლესი პრინციპი არის მუშათა და გლეხთა კავშირის შენარჩუნება მუშათა კლასის ხელმძღვანელობით.

ამნაირად, მომენშევიკ იდეალისტების მიერ კლასობრივი ბრძოლის საკითხების განმარტება გვიჩვენებს, რომ მათი და მექანისტების სახით ჩვენ გვყავს სხვადასხვა წვრილბურჟუაზიული ფენების იდეოლოგიის გამომხატველები. მომენშევიკ იდეალისტები თავისთავს აწერდენ მატერიალისტური დიალექტიკის მექანისტურ რევიზიასთან თითქმის ერთადერთ, ბოლომდის თანმიმდევარ მებრძოლთა როლს. ეწეოდენ კი ისინი ბრძოლას მექანისტებთან? დიახ, ეწეოდენ, მაგრამ ეწეოდენ მას არა დიალექტიკურ-მატერიალისტურ, არა მარქსისტულ

[1] დებორინი, ლენინი როგორც მოახროვნე, გვ. 87.

პოზიციებიდან, არა პარტიულად, არ ამთავრებდენ ბოლომდე თავის კრიტიკას, არ ააშკარავებდენ მექანიციზმის კლასობრივ არსებას. კიდევ მეტიც, მთელ რიგ საკითხებში მომენშევიკო იდეალისტები ესოლიდარებოდენ კიდეც მექანისტებს.

ასე, მაგალითად, ერთერთი პირველი საკითხი, რომლის გამოც გაიშალა ბრძოლა მექანისტებთან, იყო საკითხი უკანასკნელთა მიერ მარქსიზმის ფილოსოფიის უარყოფის და მისი ბუნებისმეტყველების უკანასკნელი დასკვნებით შეცვლის შესახებ. მომენშევიკო იდეალისტებმა არაერთი შუბი გადატეხეს მექანისტებთან ბრძოლაში ამ საკითხის გამო, მაგრამ ისინი ფორმალურად ებრძოდენ მათ, არსებითად კი იდეალისტურად აცალიერებდენ მატერიალისტური დიალექტიკის შინაარსს, აჭეგელიზირებდენ მარქსიზმის ფილოსოფიას, მეორე ბოლოდან ატარებდენ იმავე ხაზს, როგორსაც მექანისტები, — ხაზს მატერიალისტური დიალექტიკის როგორც ფილოსოფიური მეცნიერების სალიკვიდაციოდ. ასე, დებორინი წერდა, რომ „გონებრივზედვითს ელემენტებს სულ უფროდაუფრო აძევებენ წმინდა მეცნიერული ელემენტები, და მსოფლმხედველობა მთლიანად იძენს უფრო მეცნიერულ ხასიათს. ფილოსოფია ამცლავნებს მიდრეკილებას მეცნიერებასთან შეესაერთებლად. წინდა ფილოსოფიური საკითხების მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს უკვე ჩაყლაპულია დადებითი მეცნიერებების მიერ“. აქ დებორინი აშკარად ესოლიდარება მექანისტებს, ატარებს სრულიად მცდარ შეხედულებებს, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვთ მარქსისტულ შეხედულებებთან. დებორინი, ისე როგორც მექანისტები, ლაპარაკობს ფილოსოფიის მოსპობაზე, მის მოკვდომაზე და დადებითი მეცნიერებებით შეცვლაზე, მას არ ესმის, რომ თვით მარქსიზმის ფილოსოფიას ღრმად მეცნიერული ხასიათი და შესწავლის დამოუკიდებელი სფერო აქვს. მარქსიზმის ფილოსოფიის სხვა მეცნიერებებთან არავითარ შეერთებაზე, ამ ფილოსოფიის როგორც მეცნიერების არავითარ მოსპობაზე არ შეიძლება ლაპარაკი. კიდევ მეტიც, დადებით მეცნიერებათა აყვავებასთან ერთად მარქსისტულ-ლენინური ფილოფია აიწევა თავის განვითარებაში კიდევ უფრო მაღლა, და მისი როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება.

დღეს, დისკუსიის და საბჭოთა კავშირში მარქსიზმის ფილოსოფიის მენშევიკური რევიზიის ორი სახესხვაობის მხილების შემდეგ, ბრძოლა უნდა გაგრძელდეს როგორც მექანისტურ რევიზიასთან ფილოსოფიაში — მთავარ საფრთხესთან თეორიულ ფრონტზე, ისე მომენშევიკო იდეალიზმთან. ეს ბრძოლა არის შემადგენელი ნაწილი ფილოსოფიაში ლენინური ეტაპისა, მატერიალისტური დიალექტიკის და ისტორიული მატერიალიზმის კონკრეტული პრობლემების დამუშავებისა.

ე) კონტრრევოლუციური ტროცკიზმის და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის მეთოდოლოგიის კრიტიკა.

ჩვენ უკვე ვლაპარაკობდით იმაზე, რომ მუშათა მოძრაობის ისტორიაში ჩამოყალიბდა პროლეტარიატის რევოლუციური თეორიისა და პრაქტიკის დამახინჯების ორი ტიპი. სოციალ-რეფორმიზმის, აშკარად მემარჯვენე ოპორტუნიზმის გვერდით მუდამ არსებობდენ და ეწეოდენ ბრძოლას მარქსიზმის წინააღმდეგ ანარქო-სინდიკალისტები და მათი მსგავსი რევიზიონისტები „მარცხნით“. ამ ტიპის რევიზიონიზმის წარმომადგენლები, საქმით ატარებდენ რა ოპორტუნისტულ ხაზს, სიტყვით ლამობდენ პროლეტარიატის პარტიაზე უფრო „მემარცხენენი“ ყოფილიყვენ და აყენებდენ არარევოლუციურ მოთხოვნებსა და ლოზუნგებს.

„მემარცხენე“ ოპორტუნიზმის დამახასიათებელი თავისებურებაა მყვირალა რევოლუციური ფრაზეოლოგია, რომლითაც იფარება მათი შეხედულების წვრილბურჟუაზიული არსება. მ ა თ ი შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ი ს დ ა მ ა თ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ რ ა ქ ტ ი კ ი ს თ ე ო რ ი უ ლ ი ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი ა — ი დ ე ა ლ ი ზ მ ი, ო ბ ი ე ქ ტ ი ვ ი ზ მ ი, ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ი დ ო გ მ ა ტ ი ზ მ ი, ს რ უ ლ ი კ ა ვ შ ი რ ი ს გ ა წ ყ ვ ე ტ ა დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა ს თ ა ნ. რევიზიონისტები „მარცხნით“ უარყოფენ მოქნილი ტაქტიკის, მანევრირების, ვითარების ყველა პირობის გათვალისწინების აუცილებლობას მატერიალისტური დიალექტიკის საფუძველზე. ისინი არ ისახავენ ამოცანად მართებულად აღრიცხონ განვითარების ყველა კონკრეტული ეტაპი და დასაძლევი სიძნელენი. ისინი ყოველთვის მოქმედებენ დოგმატიკურად „სწორხაზობრივად“, ცალმხრივად, სუბიექტური თვითნებობით. როგორც ლენინი წერდა შენიშვნებში „დიალექტიკის საკითხისათვის“ იდეალიზმის შესახებ: „სწორხაზობრიობა და ცალმხრივობა, გახევება და გაქვავება, სუბიექტივიზმი და სუბიექტური სიბრმავე“ roila (აი) იდეალიზმის გნოსეოლოგიური ფესვები“ [1].

ლენინის ეს დაფასება სავსებით შეეფარდება ტროცკისტებს, ანარქო-სინდიკალისტებს და ყოველგვარ „მემარცხენე“ უკლონისტებს. იგი ააშკარავებს მათ პოლიტიკურ შეხედულებათა ფილოსოფიური საფუძვლების არსებას. „მემარცხნულ“ შეხედულებათა შესახებ ჩვენ მეტად მნიშვნელოვან მითითებებს ვნახულობთ მარქსის და ენგელსის თხზულებებში, რადგან მათაც უხდებოდათ ბრძოლის წარმოება ორ ფრონტზე. 1848 წლის რევოლუციის შემდეგ გერმანიის მუშათა მოძრაობაში წარმოიშვა ვილიხ—შაპერის უმცირესობის ფრაქცია, რომე-

[1] „ლ ე ნ ი ნ ი ს კ რ ე ბ უ ლ ი“ XII, გვ. 326.

ლიც აკრიტიკებდა მარქსსა. და ენგელსს ვითომდა მათი არასაკმაო თანმიმდევრობისა და „არარევოლუციურობისთვის“ გერმანიის რევოლუციური მოძრაობის საკითხებში.

დოგმატიზმი, იდეალიზმი, სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი— ასეთია ამ „მემარცხენე“ მიმდინარეობის მარქსის მიერ მოცემული ფილოსოფიური დახასიათება. ასეთია ნიშნები, ასეთია მეთოდოლოგიური არსება „მემარცხენე“ მიმდინარეობათა არა მარტო მე-XIX საუკუნის მუშათა მოძრაობაში, არამედ მე-XX საუკუნეშიაც. ეს დახასიათება არ მოძველებულა აქამდისაც, პირიქით, მან თავის სისწორის კიდევ უფრო მეტი დადასტურება მიიღო ოქტომბრის შემდეგ პერიოდის სხვადასხვა „მემარცხენე“ ჯგუფების თეორიასა და პოლიტიკაში. ყველაზე უფრო მკაფიო გამოხატულება მიიღო ამ ანტიმარქსისტულმა მეთოდოლოგიამ ტროცკიზმში, მენშევიზმის ამ სახესხვაობაში, რომელიც თავს იფარავდა წარსულ ეტაპებზე მემარცხენული ფრაზით და ამჟამად კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მოწინავე რაზმად გადაიქცა.

ძირეულად შემცდარია ცდა სრულიად ავუაროთ გვერდი ტროცკიზმის მეთოდოლოგიის საკითხს, როგორც ამას შვებოდენ მომენშევიკო იდეალისტები, არ განვიხილოთ და არ გავაკრიტიკოთ მისი ზოგადი თეორიული, ფილოსოფიური საფუძვლები. უსაფუძვლოა აგრეთვე ცდა მთელი საქმე დავიყვანოთ „ტროცკის პირად სულისკვეთებამდე“, ტროცკის, რომელიც დროგამოშვებით... „სრულიად მოულოდნელად იწყებს კონფლიქტს ჩვენი პარტიის ძირითად ხელმძღვანელ ბირთვთან სულ ხშირად სულ მოულოდნელი საბაბის ან შემთხვევითი საკითხის გამო, რომელსაც არა აქვს არსებითი მნიშვნელობა“ [1].

სინამდვილეში კი არა მარტო ტროცკის, არამედ ყველა ტროცკისტებს აქვთ ზოგიერთი ზოგადი, მთთვის დამახასიათებელი მეთოდოლოგიური განწყობანი. ტროცკის მოჩვენებით „შემთხვევით“ და „მოულოდნელ“ გამოსვლებში ჩვენ უნდა აღმოვაჩინოთ მათი კლასობრივი საფუძველი, მათი თეორიული ფესვები, მათი კავშირი ტროცკიზმის შეხედულებათა მთელ სისტემასთან.

მისწრაფება ტროცკიზმის პოლიტიკური პრაქტიკა ჩამოშორებულ იქნას მის თეორიულ საფუძვლებისაგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეტად დამახასიათებელია მომენშევიკო იდეალიზმისათვის, რომელიც ატარებს გათიშვას თეორიასა და პრაქტიკას შორის. მაგრამ თეორიის და პრაქტიკის ასეთ გათიშვას „ფილოსოფიურ“ დასაბუთებას აძლევს თვით ტროცკი, რომელიც ფიქრობს, რომ თეორიული

[1] ქანატჩიკოვი, ერთი გადახრის ისტორია.

მოღვაწეობა უნდა მიმდინარეობდეს პარტიულ-პოლიტიკური პრაქტიკის დამოუკიდებლად. მაგალითად, თავის მენდელეევისადმი მიძღვნილ მოხსენებაში ტროცკი პირდაპირ აცხადებს, რომ „ცალკეულ მეცნიერთ შეუძლიათ სრულიად არ იფიქრონ თავის გამოკვლევათა პრაქტიკულ შედეგებზე. რაც უფრო ფართოდ, რაც უფრო თამამად, დღის პრაქტიკულ მოთხოვნილებისაგან რაც უფრო დამოუკიდებლად მუშაობს მისი აზროვნება, მით უკეთესია“ [1].

ამას ეუბნებოდენ საბჭოთა მეცნიერებს. ეს ტროცკი მოუწოდებდა მათ იმისათვის, რომ მათ არ ეფიქრათ თავისი მუშაობის პრაქტიკულ შედეგებზე სოციალისტურ მშენებლობისათვის. თურმე, რაც უფრო ცოტა ეცოდინებათ მათ სოცმშენებლობის მოთხოვნილებები, მით უკეთესია!

თეორიის და პრაქტიკის, მეცნიერების და პარტიული პოზიციის ამ გათიშვაში, ბურჟუაზიულ ობიექტივიზმში ხედავს ტროცკი „მარქსიზმის არსებას,“. „სწორედ იმაში მდგომარეობს მარქსიზმის არსება,—წერს ტროცკი,—რომ ის საბოლოოდ მივიდა საზოგადოებასთან როგორც ობიექტური გამოკვლევის საგანთან, იხილავდა რა ადამიანთა ისტორიას როგორც უზარმაზარ ლაბორატორულ დღიურს... სწორედ ასეთი ობიექტური მიდგომა აძლევს მარქსიზმს ისტორიული წინასწარხედვის გარდაულახველ ძალას“. ობიექტივიზმი, რეოლუციურ-პრაქტიკულ მოღვაწეობას ჩამოშორებული,—ასე გამოიხედება მარქსიზმი ტროცკის წარმოსახვაში.

მისდევდა რა პლეხანოვის დებულებას, რომ „პარტიული მეცნიერება, ნამდვილად რომ ვთქვათ, შეუძლებელიაო“, ტროცკი ცდილობდა შემდეგში დაესაბუთებია ეს დებულება ბურჟუაზიული მკითხველის ინტერესებით. „მაგრამ მკითხველს უფლება აქვს მოითხოვოს,— წერდა ის თავის შრომაში,—რომ ისტორიული შრომა წარმოადგენდეს არა პოლიტიკური პოზიციის აპოლოგიას, არამედ რევოლუციის, რეალური პროცესის შინაგანად დასაბუთებულ წარმოსახვას. ისტორიული შრომა მხოლოდ მაშინ უპასუხებს საკუთარ თავის დანიშნულებას, როცა მოვლენები იშლებიან მის ფურცლებზე მთელი თავისი ბუნებრივი იძულებითობით“ [2]. აქ პოლიტიკურ პოზიციას ტროცკი უპირდაპირებს „რეალურ პროცესს“, თითქოს პროლეტარიატის მიერ ცხოვრებაში თავის პოლიტიკური პოზიციის

---

[1] ტროცკი, მენდელეევი და მარქსიზმი, გვ. 6. რუს. სახელგამი, 1925 წ. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—აეტ.

[2] ტროცკი, რუსეთის რევოლუციის ისტორია, ტ. I, გვ. 15, გამ. „გრანატი“. 1931 წ.—ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—აეტ.

გატარება თავისთავად არ წარმოადგენდეს რეალურ პროცესს. უარყოფს რა სიტყვით „მუხანათურ პირუთვნელობას“, ტროცკი მის ნაცვლად აყენებს... „მეცნიერულ კეთილსინდისიერებას“.

ტროცკიმ სრულებით ვერ გაიგო მარქსიზმის არსება, მისი ძირეული განსხვავება ბურჟუაზიულ მეცნიერებისაგან, რაც პარტიულობის პრინციპის თანმიმდევრულ გატარებაში მდგომარეობს. „მარქსიზმი ნსხვავდება ყველა სხვა სოციალისტურ თეორიისაგან, — წერდა ლენინი, — ობიექტური მდგომარეობის და ევოლუციის ობიექტური მსვლელობის ანალიზში სრული მეცნიერული სიფხიზლის შესანიშნავი შეერთებით თვით მასების რევოლუციური ენერგიის, რევოლუციური შემოქმედების, რევოლუციური ინიციატივის მნიშვნელობის გადამწყვეტ აღიარებასთან“ [1].

მაგრამ ტროცკის „ობიექტივიზმი“ მხოლოდ შენიღბული საფარველია მისი სუბიექტივიზმისა, მისი სოფისტიკისა, მისი უშინაარსო ფრაზებით თამაშისა. ტროცკი არაერთხელ გამოსულა ნათელი რევოლუციური ლოზუნგების წინააღმდეგ თავისი ეკლექტიკური ლოზუნგებით, რომლითაც იფარებოდა მისი ლიბერალური პოლიტიკური ხაზი. მისი ლოზუნგები ნიმუშია ს ო ფ ი ს ტ ი კ ი ს ა, რევოლუციური შეფასების შეცვლისა წვრილ ბურჟუაზიული შეფასებით, ოპორტუნისტული გადახვევისა მწვავე პოლიტიკურ საკითხებზე გ ა რ კ ვ ე უ ლ ი პასუხის გაცემისაგან. ზოგჯერ გარეგნულად მისი ლოზუნგები გამოიყურებიან თითქო „დიალექტიკურად“, იმ ფორმულის მიხედვით, რომელსაც პლეხანოვი ასაღებდა სავსებით დიალექტიკურად: „არც ჰო, არც არა“. ნამდვილად კი ეს დიალექტიკის პირწმინდათ შეცვლაა სოფისტიკით. ბრესტის ზავის პერიოდში ტროცკი ისვრის უშინაარსო ფრაზას: „არც ზავი, არც ომი“, იმპერიალისტური ომის დროს: „არც გამარჯვება, არც დამარცხება“. იმავე მენშევიკურმა ფორმულამ — „არც ჰო, არც არა“ — თავისი გამოხატულება პოვა ტროცკის მიერ ბოლშევიზმის და მენშევიზმის უარყოფაში მისი ეკლექტიკური ცდით „უკიდურესობათა“ ზევით ასამაღლებლად, თავის „განსაკუთრებული“ მიმდინარეობის შექმნის მისწრაფებაში. საქმით ტროცკის ეს სოფისტიკა ბადებდა პოლიტიკურ ოპორტუნიზმს, პასიურობას და რევოლუციური პროლეტარიატის გამცემლობას ბრძოლის გადამწყვეტ მომენტებში. ტროცკის უარყოფით დამოკიდებულებასთან დაკავშირებით ბოლშევიკების ბრძოლასთან ორ ფრონტზე ლიკვიდატორების და ოტზოვისტების წინააღმდეგ ლენინი აღნიშნავდა, რომ ტროცკი „საქმით ნამდვილ სამსახურს უწევს ლიკვიდატორებსა და ოტზოვისტებს, ამიტომ მით უფრო საშიშარ ბოროტებას წარმოადგენს პარტიაში, რაც უფრო ეშმაკურად, შერჩეულად, ფრაზისტუ-

[1] ლ ე ნ ი ნ ი, ბოიკოტის წინააღმდეგ, თხზ. ტ. XII, გვ. 32.

ლად იფარავს თავს იგი“ [1]. „ესაა მაპანკლის თვალსაზრისი და შეადგენს ტროცკის შემრიგებლობის მთელ „იდეურ საფუძველს“ [2]. უპრინციპო ეკლექტიზმი და სოფისტიკა, ოპორტუნიზმი, მყვირალა უშინაარსო ფრაზებით დაფარული,—ასეთია ტროცკიზმი განვლილ ეტაპებზე.

ფორმულა „არც ჰო, არც არა“ აბსოლუტური უარყოფაა ყოველივესი, აბსტრაქტული მოძრაობაა სიტყვით, ხოლო არსებითად პასიური ბეკხაა ადგილზე. ეს არის ის „ფილოსოფიის სილატაკე“, რომელზედაც მარქსი პრუდონის დახასიათებისას წერდა: „ჰო იქცევა არად, არა იქცევა ჰოდ, ჰო ხდება ერთდაიმავეროს ჰოდაც და არადაც, არა ხდება ერთდაიმავეროს არადაც და ჰოდაც. ამ გზით დაპირისპირებანი ურთიერთ-წონასწორდებიან, ნეიტრალდებიან და დამბლდებიან“ [3].

სწორედ ასეთია უარყოფის „ფილოსოფიის“ აზრი ტროცკის თვალსაზრისითაც. ესაა ფილოსოფია ცხოვრების ნამდვილ წინააღმდეგობების, კლასობრივი ბრძოლის ლიბერალური მიფუჩეჩებისა, მათი მიჩქმალვისა, ცდა მახვილი კუთხეების გვერდის აცლისა, პირდაპირი პასუხის გაცემისაგან გაძრომისა. ამგვარ „ფილოსოფიას“ ტროცკი მიყავს იმავე შედეგებამდე, როგორიც გამოუდიოდა პრუდონსაც. „მიუხედავათ დიდი მეცადინეობისა, რომელიც ბ-მა პრუდონმა გასწია წინააღმდეგობათა სისტემის მწვერვალზე ასასვლელად, მან ვერასოდეს ვერ მოახერხა მარტივი თეზის და ანტითეზის პირველ ორ საფეხურზე ზევით აწევა, და აქაც მან მიაღწია მხოლოდ ორჯერ, მათში ერთხელ ძირს ჩამოვარდა ყირამალა“ [4]. როგორც პრუდონს, ტროცკის აქ გამოუვიდა არა წინააღმდეგობათა დიალექტიკური ლოგიკა, არამედ აბსტრაქტულ უარყოფათა ფორმალური ლოგიკა.

სუბიექტივიზმს, სოფისტიკასა და ფორმალურ ლოგიკას ტროცკი მიყავს ყოველი საკითხის განხილვისას კონკრეტულ შესწავლიდან აბსტრაქტულ მსჯელობამდე „ზოგადი პრინციპების“ თვალსაზრისით, ამიტომ პოლიტიკურ მცდარ დასკვნამდეც. დისკუსიაში პროფკავშირების შესახებ ლენინი ამბობს: „როდესაც ვიღებ საკითხს პროფკავშირების საწარმოო როლის შესახებ, მე ვხედავ ტროცკის იმ ძირეულ უსწორობას, რომ ის მუდამ ლაპარაკობს იმაზე „პრინციპით“, „ზოგად პრინციპზე“. მას ყველა თეზისში ლაპარაკი აქვს „ზოგადი პრინციპის“ თვალსაზრისით. დაყენება უკვე ამაში ძირეულად მცდარია“ [5].

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, პუბლიცისტის შენიშვნები, თხზ. ტ. XIV, გვ. 302.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 303.

[3] მ ა რ ქ ს ი, ფილოსოფიის სილატაკე, გვ. 102.

[4] ი ქ ვ ე, ქართ. გამ.—გვ. 170.

[5] ლ ე ნ ი ნ ი, პროფკავშირების შესახებ, თხზ. ტ. XXVI, გვ. 65.

პროფკავშირების საკითხის შესახებ ტროცკი არ იძლევა კონკრეტულ პროფკავშირების მდგომარეობის და ამოცანების კონკრეტულ ანალიზს პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. ამიტომ ტროცკის არ შეეძლო გაეგო პროფკავშირების არსება, მაშასადამე, ის როლიც, რომელიც პროფკავშირებმა უნდა შეასრულონ გარდამავალ პერიოდში. აბსტრაქტული მიდგომა შესაძლებლობას უსპობს ტროცკის სწორად გაიგოს საბჭოთა სახელმწიფოს ბასიათიც, ბიუროკრატიზმის ელემენტები უკანასკნელში, სწორი თანაშეფარდება ეკონომიკისა და პოლიტიკისა, ადმინისტრატიული და პროფკავშირული ორგანოებისა.

ტროცკის მთელი პროფკავშირული პლატფორმა, ლენინის განსაზღვრით, „ნაბიჯით უკან იხევს საქმიან თეზისებიდან... რომელნიც კონკრეტულ, პრაქტიკულ, სასიცოცხლო, ცხოველ ამოცანებს აყენებენ... აბსტრაქტულ, განყენებულ, „გამოცალიერებულ", თეორიულად მცდარ, ინტელიგენტურად ფორმულირებულ ზოგად თეზისებისკენ, ყველაზე საქმიანის და პრაქტიკულის დავიწყებით" [1]. „რომ ეს საკითხი მართებულად დავაყენოთ,—წერდა ლენინი,—საჭიროა ცარიელ აბსტრაქციებიდან გადავიდეთ კონკრეტულ, ე. ი. მონაცემ დავაზე" [2]. ზოგად მსჯელობიდან, თეზისებიდან „წარმოებრივ ატმოსფერებზე", „წარმოებრივი დიალექტიკის" და სხ. შესახებ უნდა გადავსულიყავით წარმოებრივი პროპაგანდის, პროფკავშირების როგორც გაერთიანების სკოლის, სოლიდარობის სკოლის, მართველობის სკოლის და სხვ. პრაქტიკული გამოცდილების შესწავლაზე. ტროცკიმ დაარღვია ეს ძირითადი წესი, ძირითადი მოთხოვნა დიალექტიკისა — კონკრეტულობის მოთხოვნა „თავისი თეზისებით, მთელი თავისი მიდგომით საკითხისადმი". ტროცკის „მთელი მიდგომა... მთელი მისი მიმართულება შემცდარია", რადგან ის უკან მიდის, „ცოცხალი საქმიდან ყოველგვარ „წარმოებრივ ატმოსფერათა" მკვდარ სქოლასტიკისკენ" [3].

ტროცკისტული იდეალიზმის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მისი ვოლუნტარიზმი (სიტყვიდან „ნებისყოფა"). ტროცკიზმისთვის ნებისყოფა ყველაზე მთავარია, მას ემორჩილება ყოველივე დანარჩენი. მარქსიზმ-ლენინიზმი, როგორც ვიცით, არასოდეს არ უარყოფდა პიროვნების როლს ისტორიაში, მით უფრო მთელი კლასის როლსა და აქტივობას. პირიქით, ის ხაზს უსვამდა მუშათა კლასის ნებისყოფის შეგნებული გამოხატულების აუცილებლო-

[1] ლენინი, კიდევ პროფკავშირების შესახებ, თხზ. ტ. XXVI, გვ. 427.
[2] იქვე, გვ. 136.
[3] იქვე გვ. 131, 136, 129.

ზას და უდიდეს მნიშვნელობას. მაგრამ ამავე დროს პიროვნების და კლასის ამ მოქმედების საფუძვლად მარქსიზმ-ლენინიზმი თვლის არა თვითნებობის, არამედ კლასის ეკონომიურ ინტერესებს, რომელნიც იმალებიან ობიექტურ სინამდვილეში. ენგელსი უჩითებდა, „რომ ნებისყოფის თავისუფლება სხვა არაფერია გარდა გადაწყვეტილების მიღებისა საქმის ცოდნით". პროლეტარიატის პრაქტიკული მოღვაწეობა, სანებისყოფო მოქმედება და მისწრაფებანი, პოლიტიკა და ტაქტიკა დამყარებული უნდა იყოს ობიექტურ აუცილებლობაზე. ტროცკის მიხედვით კი სანებისყოფო მისწრაფება არ წარმოადგენს ამ კლასობრივ შეცნობილი შინაგანი აუცილებლობის გამოხატულებას, არამედ თავზე ეხვევა მათ გარედან. „წინ გადახტომებს", ნაადრევ მოთხოვნებს, „იდეალისტურ ნახტომებს" სინამდვილის განვითარების აუცილებელ ეტაპებზე ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ტროცკიზმის გამოსვლების მთელ რიგ მაგალითებზე: მის მიერ რევოლუციის ძირითადი ეტაპების უგულებელყოფა მის პერმანენტული რევოლუციის თეორიაში, ბრესტის ზავისადმი დამოკიდებულება, 1925—1926 წწ. ჩინეთის რევოლუციის გაუგებლობა, „ზეინდუსტრალიზაციის" პროგრამა, განკულაკების ლოზუნგი 1927 წ. და სხ.

განსაკუთრებით თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი იდეალიზმი ტროცკის „ისტორიულ შრომაში": „1905 წელში", „ოქტომბრის გაკვეთილებში", „რუსეთის რევოლუციის ისტორიაში"; ყველა ამ ნაშრომში ტროცკი ანვითარებს შეხედულებებს მთლად პლეხანოვის შენშევიკური ისტორიული კონცეპციის მიხედვით, გამოყავს რა რუსული დესპოტიზმი არა რუსული ეკონომიკის განვითარებიდან, არა რუსეთში კლასობრივი ბრძოლის განვითარების შინაგან პირობებიდან, არამედ გარეშე პირობებიდან — ქვეყნის გარეშე თავდასხმისაგან დაცვის აუცილებლობიდან. ტროცკიმ და მენშევიკებმა ეს დებულებანი გადმოიწერეს ბურჟუაზიულ-ლიბერალურ ისტორიკოსებისაგან — მილუკოვისაგან, კლუჩევსკისაგან და სხ. ტყვილად არ წერდა ლენინი ჯერ კიდევ 1911 წ., როცა მხედველობაში ღებულობდა ტროცკის შრომებს და ადარებდა მას მარტოვს: „ტროცკის „ისტორიის ფილოსოფიაც" იგივეა. პირველ რიგში დგება „სექტანტური სული", ინტელიგენტური ი დ ე ა ლ ი ზ მ ი, იდეოლოგიური ფეტიშიზმი".

ი ს ტ ო რ ი უ ლ ი დ ე ა ლ ი ზ მ ს ავჟღავნებს ტროცკი თავის მიდგომაშიც ისტორიული პროცესის არსებისადმი. ნაწარმოებში „ჩემი ცხოვრება" ტროცკი წერდა: „ფართოდ რომ ვილაპარაკოთ, მთელი ისტორიული პროცესი გარდატეხაა კანონზომიერისა შემთხვევითში. თუ ვისარგებლებთ ბიოლოგიის ენით, შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული კანონზომიერება ხორციელდება შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ობ ა თ ა

ბუნებრივი შერჩევის გზითო"[1]. ტროცკის მიხედვით გამოდის, რომ მთელი ისტორიული პროცესი შემთხვევითობათა ბუნებრივი შერჩევაა. თუ მექანისტები უარყოფენ შემთხვევითობის ობიექტურ ხასიათს, ტროცკი მათ საპირდაპიროდ შემთხვევითობას აქცევს საზოგადოებრივი განვითარების აბსოლუტურ კანონად. აქ ჩვენს წინაშეა შემთხვევითობის და ობიექტური კანონზომიერების პირდაპირი გაიგივება, რომლის დროსაც უგულებელყოფილია ობიექტური აუცილებლობა როგორც საფუძველი, რომელზედაც შეიძლება ადგილი ექნეს შემთხვევითობასაც. აქ არის გადასვლა ბურჟუაზიული ემპირიზმის და იდეალიზმის თვალსაზრისზე ისტორიის დარგში.

ტროცკის შეხედულებათა ძირითად. იდეალისტურ თავისებურებებთან ერთად ჩვენ ვხედავთ მათში მექანიციზმის მნიშვნელოვან დოზასაც. თუმცა ტროცკი თვითონვე აღნიშნავს, რომ სოციოლოგიაში დარვინიზმის მექანიკური გადატანის „ლიბერალურ-მანჩესტერული ცდები" მხოლოდ ბავშურ ანალოგიებს იწვევდა, და ფიქრობს, რომ „ამ უგვანობაზე შეჩერება საჭირო არაა". მაგრამ ის მაინც თავისთავს ეწინააღმდეგება, უვარდება ხელში ბურჟუაზიულ ნატურალიზმსა და სოციალურ დარვინიზმს. ტროცკი აცხადებს, რომ დარვინიზმი მარქსიზმის წანამძღვარია, რომ მისი ღრმა რწმენით „მარქსიზმი ფართო მატერიალისტური და დიალექტიკური აზრით დარვინიზმის შეფარდებაა ადამიანთა საზოგადოებისადმი"[2].

მოხსენებაში მენდელეევის შესახებ ტროცკიმ აგრეთვე განაცხადა, რომ „ჩვენ გაცრის და შერჩევის ეპოქაში ვცხოვრობთო"[3].

იმავე მოხსენებაში მენდელეევის შესახებ ტროცკის აქვს აგრეთვე მთელი რიგი მექანისტური განმარტებანი, კერძოთ ქებული თეორია მატერიის მოძრაობის მაღალი ფორმების დაბალ ფორმებამდე დაყვანის შესახებ. „ფსიქოლოგია, — ამბობს ის, — დადის ჩვენთვის საბოლოო ანგარიშით ფიზიოლოგიამდე, როგორც ეს უკანასკნელი — ქიმიამდე, ფიზიკამდე და მექანიკამდე"[4]. „ქიმიას ქიმიური პროცესების არსება დაყავს ნაწილაკთა მექანიკურ და ფიზიკურ თვისებებამდე"[5].

მაშასადამე, ამა თუ იმ რთული პროცესების არსება, ტროცკის მიხედვით, შეიძლება გამოვააშკარაოთ მხოლოდ ამ უმაღლესის მარტივამდე, პირველამდე დაყვანის გზით. ასე, მაგალითად, შეგნების

[1] ტროცკი, „ჩემი ცხოვრება", ტ. II, გვ. 234.
[2] ტროცკი, ოქტომბრის თაობა, გვ. 56.
[3] ტროცკი, დ. ი. მენდელეევი და მარქსიზმი, თხზ. XXI ტ., გვ. 268.
[4] იქვე, გვ. 273.
[5] იქვე, გვ. 274.

მოვლენები -- „სული არის პირობითი რეფლექსების რთული სისტემა, რომელიც სავსებით ფესვგადგმულია ფიზიოლოგიის პირველად რეფლექსებში, რომელიც თავის მხრით ქიმიის ძლიერი ფენის საშუალებით იდგამს თავის ფესვებს ფიზიკისა და მექანიკის ქვენიადაგში"[1].

ეს თეორია ყველა მოვლენის მექანიკამდე დაყვანისა ტროცკის სურს გაავრცელოს საზოგადოებაზედაც. „იგივე შეიძლება ითქვას სოციოლოგიაზედაც. საზოგადოებრივ მოვლენათა ასახსნელად არაა საჭირო მოვიხმოთ რაიმე მარადიული ან მიღმური საწყისნი. საზოგადოება ისეთივე პროდუქტია პირველადი მატერიის განვითარებისა, როგორც მიწის ქერქი ან ამება. აშნაირად, საზოგადოებრივი იდეოლოგიის ურთულეს მოვლენებიდან მეცნიერული აზროვნება თავისი ალმასური ბურღვის მეთოდებით აღწევს მატერიამდე, მის შემადგენელ ელემენტებამდე, ნაწილაკებამდე მათი ფიზიკური და მექანიკური თვისებებით".[2]

მაშასადამე, ტროცკი საზოგადოებასაც უფარდებს თავის უნივერსალურ „კანონს" ყველა ურთულესი მოვლენის უმარტივეს მოვლენებამდე დაყვანის შესახებ. ნაცვლად საზოგადოებრივი მოვლენების შესწავლისა მთელი მათი თავისებურებით, ტროცკი გვირჩევს შევისწავლოთ უმარტივესი ელემენტების ფიზიოლოგიური და მექანიკური თვისებები, მიუდგეთ საზოგადოებრივ ცხოვრებას, კლასობრივ ბრძოლას ისევე, როგორც ფიზიოლოგი უდგება ამებას. ნაცვლად დიალექტიკური მატერიალიზმისა ჩვენ აქ გვაქვს ყველაზე უხამსი სახესხვაობის მექანიციზმი, ყველაზე ვულგარული მეტაფიზიკა, ზერელე ევოლუციონიზმი და ეკლექტიკა.

ტროცკი განუსჯელად აფრინდება ყოველგვარ ბურჟუაზიულ მოდურ მიმდინარეობას მეცნიერების დარგში და აცხადებს მას მატერიალისტურად, მატერიალისტურ დიალექტიკურ მიმდინარეობადაც. ასე, რეფლექსოლოგია აკადემიკოს პავლოვისა, რომელიც ექსპერიმენტალურ შრომებში ძვირფასი, მატერიალიზმის დამადასტურებელი ფაქტები მოგვცა, მაგრამ რომელიც ზოგად განწყობებში მთელ რიგ შექანისტურ შეცდომებს უშვებს, — ეს რეფლექსოლოგია აღიარებულია ტროცკის მიერ ერთადერთ მეცნიერულ ფსიქოლოგიად, რომელიც „სავსებით... დიალექტიკური მატერიალიზმის გზით" მიდის.[3]

ამასვე ვხვდებით ტროცკის მიერ ფროიდიზმის დაფასებაში. ფროიდიზმს ტროცკი გვირჩევს როგორც „სამუშაო ჰიპოტეზას, რომელსაც

---

[1] ტ რ ო ც კ ი, დ. ი. მენდელეევი და მარქსიზმი, თხზ. ტ. XXI, გვ. 275.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ტ რ ო ც კ ი, კულტურა და სოციალიზმი, ტ. XXI, გვ. 430.

შეუძლია მოგვცეს და რომელიც უეჭველად იძლევა დასკვნებს და მიხვედრებს, რომელნიც მატერიალისტური ფსიქოლოგიის ხაზით მიდიან"[1]. ივიეე ისტორიაა მენდელეევის ფილოსოფიურ შეხედულებათა დახასიათებაშიაც. მენდელეევი შემეცნების თეორიაში აშკარად იდეალისტურ, სახელდობრ აგნოსტიკურ, იუმურ-კანტიანურ პოზიციებზე დგას, — ის უარყოფს საგანთა არსების შემეცნების შესაძლებლობას. თუ, ლენინის მიხედვით, აგნოსტიციზმი ეწინააღმდეგება და არ უთავსდება დიალექტიკურ მატერიალიზმს[2], სამაგიეროდ, ტროცკის მიხედვით, აგნოსტიციზმი — ეს მხოლოდ „სიტყვიერი დათმობაა", რომელიც გავლენას არ ახდენს შეხედულებათა არსებაზე. და მენდელეევი „მეთოდებით და თავის ყველაზე მაღალი მინახწევებით სწორედ დიალექტიკური მატერიალისტია"[3]. ტროცკის არ შეეძლო სწორი გარჩევა მოეცა ამა თუ იმ მეცნიერის შეხედულებებისა. დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციით, რადგან თავისი ფილოსოფიური შეხედულებით მას თვითონ არ ქონდა და არ აქვს არაფერი საერთო მარქსიზმ-ლენინიზმთან.

იდეალიზმის და მექანიციზმის ასეთივე თავისებური შეერთება შეგვიძლია აღმოვაჩინოთ სხვა ტროცკისტულ თეორეტიკოსების — პრეობრაჟენსკის, ვორონსკის და სხ. შეხედულებათა გარჩევის დროსაც. თუ ამბ. პრეობრაჟენსკის „ახალ ეკონომიკაში" განსაკუთრებით ძლიერ გამოაჩნდა მექანიციზმის ელემენტები, ვორონსკის კრიტიკულ-ლიტერატურული შრომები აშკარა იდეალისტურ ხასიათს ატარებდენ.

იგივე მეთოდოლოგიური განწყობანი დამახასიათებელია „ზინოვიევ — კამენეევის ჯგუფის ნახევარტროცკისტებისთვისაც". აქ ჩვენ ვნახულობთ სუბიექტივიზმის, — მაგალითად „პარტიის დიქტატურის" საკითხში, მათი წარმოდგენით პროლეტარიატის დიქტატურის როგორც მუშათა კლასზე პარტიის დიქტატურის საკითხში, — შეერთებას აბსტრაქტულ დოგმატიზმსა და მექანიციზმთან — კაპიტალიზმის ურთიერთობის მექანისტური გადატანა საბჭოთა პირობებში და ნეპის, როგორც „სახკაპიტალიზმის" განმარტება და სხ. აქ ჩვენ ვნახულობთ აგრეთვე სქოლასტიკურ მიდგომას ცხოვრების ახალი ფაქტებისადმი, მარქსიზმ-ლენინიზმის, მისი მატერიალისტური დიალექტიკის მართებულად გაგების და სწორად მომარჯვების უუნარობას.

ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის ეს მეთოდოლოგიური თავისებურებანი ამბ. სტალინმა გამოააშკარავა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის მე-VII პლენუმზე, როდესაც ის ახასიათებდა

---

[1] ტ რ ო ც კ ი, კულტურა და სოციალიზმი, ტ. XXI, გვ. 430.

[2] ლ ე ნ ი ნ ი, შენიშვნები ბუხარინის წიგნზე „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა."

[3] ტ რ ო ც კ ი, მენდელეევი და მარქსიზმი, გვ. 17.

„რევიზიონიზმის“ ზინოვიევურ გაგებას. „ზინოვიევის მიხედვით გამოდის, რომ მარქსის ან ენგელსის ძველი ფორმულების ან ცალკეული დებულებების ყოველი გაუმჯობესება, ყოველი დაზუსტება, მით უფრო მათი შეცვლა სხვა, ახალ პირობების შესაბამისი ფორმულებით, არის რევიზიონიზმი. საკითხავია, რატომ? განა მარქსიზმი არ არის მეცნიერება და განა მეცნიერება არ ვითარდება, არ მდიდრდება ახალი გამოცდილებით და არ აუმჯობესებს ძველ ფორმულებს?... თუ, მაგალითად, მარქსი აშბობდა წარსული საუკუნის ნახევარში, რომ კაპიტალიზმის განვითარების ა ღ მ ა ვ ა ლ ი ხ ა ზ ი ს დროს სოციალიზმის გამარჯვება ნაციონალურ საზღვრებში შეუძლებელია, ხოლო ლენინმა მე-XX საუკუნის მე-15 წელს თქვა, რომ კაპიტალიზმის განვითარების დ ა მ ა ვ ა ლ ი ხ ა ზ ი ს დროს, მომაკვდავი კაპიტალიზმის პირობებში ასეთი გამარჯვება შესაძლებელია, — გამოდის, რომ ლენინი რევიზიონიზმში გადავარდა მარქსის მიმართ... ზინოვიევის მიხედვით, აშნაირად გამოდის... რომ მარქსიზმის ამა თუ იმ კლასიკოსების ცალკეულ დებულებათა და ფორმულათა ყოველი გაუმჯობესება რევიზიონიზმია“[1].

მეთოდოლოგიურ განწყობათა ზოგადობა აერთიანებს საბჭოთა კავშირის ტროცკისტებს სხვადასხვა ტროცკისტულ და ნახევრადტროცკისტულ ჯგუფებთან გერმანიასა და სხვა ქვეყნებში (კორში, ბორდიგა და სხ.),

ტროცკიზმს მთელი რიგი საერთო მეთოდოლოგიური თვისებები აქვს აგრეთვე ყოველი სახის „მემარცხენე“ ოპორტუნიზმთან. „მემარცხენე“ ოპორტუნიზმი და „მემარცხენე“ განხრანი სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე „ადმინისტრირებით“ და უახლოეს კონკრეტულ ამოცანებზე „გადახტომით“, როგორც მაგალითად გამოსვლა საბჭოთა ვაჭრობის გაშლის წინააღმდეგ, საბჭოების მოკვდომის სასარგებლოდ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, ფულადი სისტემის მოკვდომისთვის, სკოლის მოკვდომისთვის და სხ., მათი ბიუროკრატიულ-ადმინისტრატიული, მექანისტური „ბუბმებით“ — აგრეთვე სოდავენ სუბიექტივიზმით, აბსტრაქტულობით და სხ.

სუბიექტივიზმის და ვოლუნტარიზმის შეერთებას მექანისტურ ფატალიზმთან „მემარცხენე“ ოპორტუნისტები და ტროცკისტები მიყავდა მოულოდნელ გ ა დ ა ს ვ ლ ე ბ ა მ დ ე ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობისაკენ — ადმინისტრაციული შეხუთვის პოლიტიკიდან „დემოკრატიაზე“ ყვირილისაკენ, „ზენდუსტრიალიზაციის“ გეგმებიდან ნამდვილი ინდუსტრიალიზაციის მოწინააღმდეგეთა ბანაკში.

[1] ს ტ ა ლ ი ნ ი, ოპოზიციის შესახებ, გვ. 507 — 510.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავათ სუბიექტურ-იდეალისტური გაგების და მექანისტურ-ფატალისტური გაგების თავისებური შეერთებისა ტროცკიზმის და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის ფილოსოფიურ საფუძვლებში, — მთავარი, ძირითადი, რაც ახასიათებს მათ ფილოსოფიურ არსებას, არის სუბიექტურ-იდეალისტური საფუძველი. ამაშია ერთგვარი წყალთგამყოფი მეთოდოლოგიის ხაზით „მემარცხენე“ და მემარჯვენე ოპორტუნიზმს შორის. „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის ფილოსოფია ასახავს უმთავრესად საბჭოთა კავშირის განადგურების პროცესში მყოფი წვრილი ბურჟუაზიის სოციალურ ყოფიერებას და გამოხატავს მათ ზრახვებსა და ინტერესებს პოლიტიკის დარგში. მათ პოლიტიკურ გამოხატულებას წარმოადგენს წვრილბურჟუაზიული რადიკალიზმი, წვრილბურჟუაზიული რევოლუციურობა, ოპორტუნისტული არსებით და გარეგნული რევოლუციური ფრაზეოლოგიით.

როგორც უკვე შეგვეძლო დავრწმუნებულიყავით, ტროცკიზმთან მომენშევიკო იდეალიზმს აკავშირებს საერთო სოციალური ფესვები და მთელი რიგი საერთო იდეალისტური დებულებანი, ბოლოს ხშირად თვით პოლიტიკური პრაქტიკაც. მომენშევიკო იდეალიზმის მთელი რიგი წარმომადგენლები თავის დროზე ებრძოდენ პარტიას, იმყოფებოდენ რა ტროცკისტული ოპოზიციის რიგებში (კარევი, სტენი, გონიკმანი და სხ.). ტროცკიზმის განვითარების და მისი როგორც კომუნიზმის ფრაქციის არსებობის განსაზღვრულ ისტორიულ ეტაპზე მომენშევიკო იდეალიზმი აწოდებდა ტროცკიზმს მის ძირითად მეთოდოლოგიურ იარაღს, გამოდიოდა ტროცკისტულ იდეების ფილოსოფიურ გამტარებლად. ამავე როლს ასრულებდა და ასრულებს ბომენშევიკო იდეალიზმი „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის მიმართაც. გასაკვირალი არაა, რომ ბომენშევიკო იდეალისტები არ ეწეოდენ ტროცკიზმის მეთოდოლგიის კრიტიკას. თუ ისინი ცდილობდენ ამ მხრით ტროცკიზმის „გაკრიტიკებას“, უკეთეს შემთხვევაში მასში ნასულობდენ მექანიციზმის ელემენტებს, ე. ი. მათ არ შეეძლოთ გამოეაშკარავებიათ თვით ტროცკიზმის თეორიულ, ფილოსოფიურ საფუძველთა იდეალისტური არსება.

თ ა ვ ი VI

დიალექტიკური მატერიალიზმის განვითარებაში ლენინური ეტაპის ძირითადი საკითხები

I. ლენინი ფილოსოფიის დარგში საერთაშორისო ოპორტუნიზმსა და რევიზიონიზმთან ბრძოლაში

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1931 წ. 25 იანვრის გადაწყვეტილებამ ჟურნალ „პ. ზ. მ."-ს შესახებ, რომელმაც ჯანი გაუკეთა ფილოსოფიურ დისკუსიას, თეორიული ფრონტის ფილოსოფიური უბნის წინაშე დააყენა ლენინური ფილოსოფიური მემკვიდრეობის ნამდვილი დამუშავების უმნიშვნელოვანესი ამოცანა, მარქსიზმის ფილოსოფიის განვითარებაში ლენინური ეტაპის საკითხების ფართო პროპაგანდის ამოცანა.

დიალექტიკური მატერიალიზმის განვითარებაში ლენინური ეტაპის საკითხი წარმოადგენს მომენშევიკო იდეალიზმსა და მექანისტებთან მთელი ბრძოლის ცენტრალურ პრობლემას და ძირითად მომენტს, რომელიც საზღვრავს მთელი ჩვენი შემდგომი თეორიული მუშაობის გზას ,დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის სფეროში.

შეიძლება და უნდა ვილაპარაკოთ თუ არა საზოგადოთ ლენინიზმზე ფილოსოფიაში, შეიძლება საზოგადოთ თუ არა ვილაპარაკოთ ახალ და უმაღლეს ეტაპზე მარქს ენგელსის დიალექტიკური მატერიალიზმის განვითარებაში. ხომ არ წარმოადგენს საკითხის ასეთი დაყენება ლენინის დაპირდაპირებას მარქს-ენგელსისადმი, ხომ არ მივყევართ ამას იმის შეუფასებლობამდე, რაც მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს ფილოსოფიის განვითარებაში? სწორედ ამ საკითხებში გვაქვს ჩვენ მარქსიზმის განსაკუთრებული დამახინჯებანი. რიაზანოვი, ეს გამცემი და მოღალატე პარტიისა, გამოდიოდა თვით ამ საკითხის დაყენების ,ანონიერების უარყოფით. ყველაფერი ეს გასაკვირალი არაა, თუ გავიხსენებთ, როგორ წერდა რიაზანოვი თავის დროზე ლენინიზმის შესახებ. სახელდობრ მას ეკუთვნის ცნობილი სიტყვები:

„მე არ ვარ ბოლშევიკი, არ ვარ მენშევიკი და არც ლენინისტი. მე მხოლოდ მარქსისტი ვარ, და როგორც მარქსისტი — კომუნისტი ვარო“.

რიაზანოვის შეხედულება ფილოსოფიაში ლენინიზმის საკითხის შესახებ ერთეულადი მოვლენა არაა. პირიქით, ეს შეხედულება წითელ ზოლადაა გატარებული დებორინის, კარევის და სხ. ნაშრომებში.

მაგრამ ამ საკითხშიაც ისინი მარტონი არ იყვნენ. ამ შეხედულებისანი იყვნენ ფილოსოფიაში ლენინიზმის საკითხზე ისეთი „თეორეტიკოსები“, როგორც ტროცკი, ზინოვიევი, პრეობრაჟენსკი, ასეთ შეხედულებას ანვითარებდა თავის დროზე ბუხარინიც.

კრებულში „მებრძოლი მატერიალისტი“, წიგ. 2, 1925 წ., დაბეჭდილია პრეობრაჟენსკის სტატია „ლენინი და მარქსი როგორც თეორეტიკოსები“, სადაც დაყენებულია საკითხი ლენინის თეორიულ მემკვიდრეობის შესახებ. ამ სტატიაში პრეობრაჟენსკი ანვითარებს შემდგომ მექანისტურ სქემას: ის ანსხვავებს მარქსიზმში სხვადასხვა ელემენტებს, „რომელთაც ხანგრძლივობის სხვადასხვა ხარისხი აქვთ“. პირველად ისეთი ელემენტები, რომელნიც მთელად უნდა დარჩენ, მეორედ,ისეთები, რომელნიც უნდა განვითარდენ და შეივსონ, და, მესამედ, ისეთები, რომელნიც შეცვლილი უნდა იყვნენ ახალი დებულებებით. და აი, ამ თავისი სქემის თვალსაზრისით, პრეობრაჟენსკი მიდის იმ დასკვნამდე (და ეს მისი ძირითადი აზრია), რომ მარქსიზმის მეთოდოლოგია, დიალექტიკური მატერიალიზმი — ეს არის სწორედ მარქსის მოძღვრების ის ელემენტი, რომელიც არავითარ განვითარებას არ ითმენს. ის წერს: „რაც შეეხება ზოგადფილოსოფიურ მეთოდს, ლენინმა აიღო იგი მთლიანად მარქსიდან, იცავდა მოწინააღმდეგეთა თავდასხმისაგან და ბრწყინვალედ იყენებდა (ისტორიული მატერიალიზმის მეთოდთან ერთად) კონკრეტულ ფილოსოფიურ შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ და სხ. რამდენადაც ლენინი წერდა დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდზე, ის წერდა როგორც ამ მეთოდის მომხრე, წერდა მარქსისა და ენგელსის მეთოდის იმ გაგების დასაცავად, რომელსაც ის თვლიდა მართებულად და „ნამდვილთან სწორად“[1]. შემდეგ, განაგრძობდა რა ამ თავის აზრების ვანვითარებას, პრეობრაჟენსკი ნახულობდა, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდის ერთიანობაში მდგომარეობს მ ა რ ქ ს ი ს დ ა ლ ე ნ ი ნ ი ს შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ა თ ა თ ე ო რ ი უ ლ ი ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი ს ი გ ი ვ ე ო ბ ა.

ახლა გადავიდეთ ბუხარინზე. თავის ბროშურაში „ლენინი როგორც მარქსისტი“ ამბ. ბუხარინიც აგრეთვე აყენებს საკითხს დია-

[1] „მებრძოლი მატერიალისტი“, წიგ. 2, გვ. 44, 1925 წ.

ლექტიკურ მატერიალიზმზე ლენინის შრომებში. ის ამ პრობლემას უდგება შემდეგნაირად: ის მარქსიზმში ანსხვავებს ორ გარემოებას: პირველად, იდეათა, დებულებათა, თეორიულ შეხედულებათა და სხ. ჯამს, მეორედ, მარქსიზმის მ ე თ ო დ ს, მის მეთოდოლოგიას, რომლის შემწეობითაც მოპოებულია იდეათა, შეხედულებათა, თეორიულ დებულებათა ეს ჯამი, რომლის საშუალებითაც ა ნ ა ლ ი ზ ი რ ებ უ ლ ი ა განსაზღვრული ისტორიული ეპოქა და სხ.

და აი ამასთან დაკავშირებით ის წერს: „მაგრამ თუ მარქსიზმად ჩვენ ვიგულისხმებთ არა იდეათა ჯამს, როგორიც ქონდა მარქსს, არამედ იმ ინსტრუმენტს, იმ მეთოდოლოგიას, რომელიც ჩამარხულია მარქსიზმში, მაშინ, თავისთავად იგულისხმება, რომ ლენინიზმი არ არის რაიმე შემცვლელი ან გადამშინჯველი მარქსის მოძღვრების მეთოდოლოგიისა. პირიქით, ამ აზრით ლენინიზმი სრული დ ა ბ რ უ ნ ებ ა ა იმ მარქსიზმთან, რომელიც ფორმულირებულია თვით მარქსისა და ენგელსის მიერ“[1].

მაშასადამე, ამხ. ბუხარინის აზრით ლენინიზმი თავისი მეთოდოლოგიით სრული დაბრუნებაა და მ ხ ო ლ ო დ დ ა ბ რ უ ნ ებ ა ა, მარქსიზმთან, რომელიც ფორმულირებულია თვით მარქსის და ენგელსის მიერ. ამ მხრით არ არის არავითარი შ ე მ დ გ ო მ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ებ ა, არავითარი შემდგომი გაღრმავება და კონკრეტიზაცია მარქსის მოძღვრებისა. ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ ამ საკითხში შეხედულებათა გულამაჩუყებელი ერთიანობა აქვთ რიაზანოვს, ტროცკის, ზინოვიევს, პრეობრაჟენსკის, დებორინს, კარევს და სხ.

ამ საკითხში ყველა უმართებულო გეზის საპირდაპიროდ ჩვენ გვაქვს ამ პრობლემის მიმართება და გადაპრა, მოცემული ამხ. სტალინის მიერ ჯერ კიდევ 1924 წ. მის „ლენინიზმის საფუძვლებში“. ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ ის წერდა: „ის, რაც მოცემულია ლენინის მეთოდში, ძირითადად უკვე მოცემული იყო მარქსის მოძღვრებაში, რომელიც, მარქსის სიტყვით რომ ვთქვათ, „თავისი არსებით კრიტიკული და რევოლუციურია“. სწორედ ამ კრიტიკული და რევოლუციური სულითაა გამსჭვალული თავიდან ბოლომდე ლენინის მეთოდი. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ლენინის მეთოდი უბრალო აღდგენა იყოს იმისა, რაც მარქსმა მოგვცა. ნამდვილად ლენინის მეთოდი წარმოადგენს მარქსის კრიტიკული და რევოლუციური მეთოდის, მისი მატერიალისტური დიალექტიკის არა მარტო აღდგენას, არამედ აგრეთვე მის კ ო ნ კ რ ე ტ ი ზ ა ც ი ა ს ა და შ ე მ დ გ ო მ გ ა ნ ვ ი თ ა რ ებ ა ს“[2].

---

[1] ბ უ ხ ა რ ი ნ ი, კრებ. „ატაკა“, გვ. 255.

[2] ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 16. — ხაზგასმულია ჩვენ მიერ — ავტ. — ქართ. გამ. 18.

აქ მოცემულია ფილოსოფიაში ლენინიზმის საკითხის ერთადერთი სწორი დაყენება და გადაწყვეტა. ლენინის შრომები დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხებზე, მის მიერ მატერიალისტური დიალექტიკის გენიალური გამოყენება წარმოადგენს არა მარტო დაბრუნებას (დიალექტიკური მატერიალიზმის ყველა დამახინჯების და გადახვევის შემდეგ, რომელსაც ადგილი ქონდა მე-II ინტერნაციონალის ეპოქაში) დიალექტიკურ მატერიალიზმთან. ლენინიზმი ფილოსოფიაში წარმოადგენს არა მარტო დაბრუნებას, არამედ დიალექტიკური მატერიალიზმის შემდგომ განვითარებას და კონკრეტიზაციას. ლენინიზმი ფილოსოფიაში წარმოადგენს ახალს, უმაღლეს ეტაპს მარქსიზმის ფილოსოფიის განვითარებაში.

ნათელი და გასაგები უნდა იყოს ყველასათვის, რომ საკითხის ასეთი დაყენება არავიღარ შემთხვევაში არ შეიძლება ნიშნავდეს ლენინიზმისა და მარქსიზმის რაიმე „დაპირდაპირებას" ან მარქსის და ენგელსის რაიმე მემკვიდრეობის რაიმე გაუგებლობას ან შეუფასებლობას. პირიქით, თუ ნამდვილად გვინდა ერთგული ვიყოთ მარქსიზმის სულის და არა მისი ანბანის, თუ სწორად გავიგებთ მეთოდის და მსოფლმხედველობის, თეორიის და პრაქტიკის თანაშეფარდებას, თუ გავიგებთ, რომ მარქსიზმი — ჭაქვავებული დოგმა კი არაა, არამედ ცოცხალი განვითარებადი მოძღვრებაა, მაშინ შესაძლებელია მხოლოდ ის პასუხი, რომელიც მოცემულია ამხ. სტალინის მიერ დიალექტიკური მატერიალიზმის განვითარების ლენინური ეტაპის საკითხის შესახებ. დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდის საკითხის დაყენება, რომელსაც იძლევიან პრეობრაჟენსკი, ბუხარინი, რომელთა შეხედულება გამოდის იქიდან, რომ მარქსიზმის შინაარსის, მისი იდეების სიმდიდრის დარგში შეიძლება დიდი წინსვლა, ხოლო მარქსიზმის მეთოდოლოგიის დარგში არავითარი წინსვლა და გაღრმავება არ შეიძლებაო, ემყარება მარქსიზმის მეთოდის და სხვა მისი შემადგენელი ნაწილების თანაშეფარდების სრულ გაუგებლობას არსებითად, თუ ფართოდ დავსვამთ საკითხს, თეორიის და პრაქტიკის თანაშეფარდების გაუგებლობას, თვით დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდის გაუგებლობას. მართლაც, განა შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ახალი შინაარსი თვით მარქსიზმის განვითარებაში, ისეთი მნიშვნელოვანი, როგორიცაა, მაგალითად, ლენინის შრომები იმპერიალიზმზე, სახელმწიფოსა და რევოლუციაზე, პროლეტარიატის დიქტატურის საბჭოთა ფორმაზე და სხ. და სხ. — თვით მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდის განუვითარებლად, მისი კონკრეტიზაციის და გაღრმავების მოუხდენლად. ახალი ეპოქა, სახელდობრ ისეთი

ნდიდარი ეპოქა, როგორიცაა იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქა, იძლევა კავშირის ახალ ფორმებს, ახალ კანონზომიერებათ, დამოკიდებულებათა ახალ ტიპებს, კლასების ურთიერთობის მეტისმეტად რთულ ფორმებს, კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვაგვარ ფორმებს, ტექნიკის, ბუნებისმეტყველური მეცნიერების გიგანტურ განვითარებას, ამ განვითარების თავისებურ წინააღმდეგობებს და სხ.

ყოველივე ამის გაგება (არა მარტო აღწერა) შეიძლება მხოლოდ თვით მარქსისტული მეთოდოლოგიის გაღრმავების და კონკრეტიზაციის საფუძველზე. რამდენადაც დიალექტიკური მატერიალიზმი წარმოადგენს მეცნიერულ მეთოდოლოგიას, იმდენად მისი გაღრმავება და კონკრეტიზაცია არ შეიძლება დამყარებული არ იქნეს თავის დროის მეცნიერებათა ცოდნის მთელ ერთობლიობაზე. და სწორედ ყველა ამ მხრივ არის ლენინი გენიალური და დიდი.

როგორც ვიცით, ამხ. სტალინმა თავის წერილში „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხების შესახებ“ ხაზი გააკეთა ბოლშევიზმის თეორიის და პრაქტიკის უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობას. ეს წერილი ბრწყინვალე გაგრძელება და განვითარებაა მისი „ლენინიზმის საკითხების“ ძირითადი განწყობებისა ოპორტუნიზმთან ბოლშევიზმის ბრძოლის საკითხებში. ისე, როგორც „ლენინიზმის საკითხებში“ ამხ. სტალინი შესანიშნავად ღრმად და ბოლომდე თანმიმდევრულად ატარებს აქ ერთერთ უმნიშვნელოვანეს თეზისს, რომელიც განმარტებული აქვს ლენინს თავის მოსამზადებელ შრომებში ცნობილ წიგნისათვის „სახელმწიფო და რევოლუცია.“ ლენინი იქ ერთ მეტად მნიშვნელოვან შენიშვნას იძლევა. ის ამბობს: ბოლშევიკები „კაზუსი“ არაა, ისინი გ ა ი ზ ა რ დ ე ნ 1894-1914 წ წ. ოპორტუნიზმთან ბრძოლაში“[1]. ამხ. სტალინის „ლენინიზმის საკითხებშიც“ და მის უკანასკნელ წერილშიც ბოლშევიზმის ისტორიის საკითხებზე ყველა ეს პრობლემა დაყენებული და დამუშავებულია სწორედ ყველა სახის და ფორმის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბოლშევიზმის შეურიგებელი ბრძოლის ლენინური პრინციპის თანახმად.

ცხადია, როდესაც ჩვენ ვაყენებთ საკითხს იმ ახალზე, რაც ლენინმა შეიტანა დიალექტიკური მატერიალიზმის განვითარებაში, შეუძლებელია ამ უმნიშვნელოვანეს დებულებებიდან არ გამოვიდეთ. ცხადია, არ შეიძლება მარქსიზმის ფილოსოფიის განხილვა გ ა რ ე შ ე ბ ო ლ შ ე ვ ი ზ მ ი ს მ თ ე ლ ი ი ს ტ ო რ ი ი ს ა, გარეშე ოპორტუნიზმთან ბოლშევიზმის ბრძოლის მთელი ისტორიისა, რომლიდანაც გაიზარდა ბოლშევიზმი.

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, მარქსიზმი სახელმწიფოს შესახებ, გვ. 62, გამ. 1931 წ.

მეორე მხრით, ცხადია, რომ შეუძლებელია ბოლშევიზმის ნამდვილი მეცნიერული ისტორიის მოცემა ლენინის თეორიული ბრძოლის განუხილველად და შეუსწავლელად. სწორედ ამისაკენ მოუწოდებს ამხ. სტალინის წერილიც. გამოვალთ რა ამ ძირითად დებულებიდან, ჩვენ შევსძლებთ სწორად მიუდგეთ იმ საკითხების დაყენებასა და გადაჭრას, რომელიც დაკავშირებულია ლენინის ფილოსოფიური მემკვიდრეობის, დიალექტიკური მატერიალიზმის განვითარებაში ლენინური ეტაპის გაგებასა და გაშუქებასთან.

ამხ. სტალინმა მოგვცა ლენინიზმის, როგორც იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმის კლასიკური განსაზღვრა. რომ გავიგოთ იმ თეორიული საკითხების და პრობლემების არსება, რომელიც აუცილებლად უნდა წამოჭრილიყო და კიდეც წამოიჭრა კლასობრივი ბრძოლის პრაქტიკასთან დაკავშირებით ამ ახალი ისტორიული პერიოდის განმავლობაში, საჭიროა მოვიგონოთ ზოგიერთი ძირითადი მისი დამახასიათებელი ხაზები.

როგორც აღნიშნავს ამხ. სტალინი, ეს ახალი ისტორიული ეპოქა განისაზღვრება სამი ძირითადი მომენტით: 1) ბრძოლის უკიდურესი გამწვავება მუშათა კლასსა და კაპიტალისტებს შორის, 2) ბრძოლის უკიდურესი გამწვავება იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის მსოფლიოს გადაყოფისათვის, კოლონიებისათვის, გასაღებისა და ნედლეულის ბაზრებისათვის, 3) ძირეული წინააღმდეგობანი და ბრძოლის გამწვავება მჩაგვრელ და ჩაგრულ ერებს შორის. ყველა ეს წინააღმდეგობა იმის—გამოხატულებას წარმოადგენს, რომ საწარმოო ძალებს აღარ შეუძლიათ განვითარდენ კაპიტალიზმის მიერ მის ამ სტადიაზე შექმნილ წარმოებრივ ურთიერთობათა ფარგლებში, ეს—კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელი ეტაპია, ეს პროლეტარული რევოლუციის წინადღეა. ეს ახალი ეპოქა ხასიათდება კლასობრივი ბრძოლის უზომო გამწვავებით, მისი გამოვლინების ახალი ფორმებით, მეტისმეტი სირთულით.

ეს—მეტად უზომოდ გამძაფრებული ბრძოლის პერიოდია იდეოლოგიის დარგში. ეს—კრიზისია მთელი სისტემისა, კრიზისია ბურჟუაზიული იდეოლოგიისა, ბურჟუაზიული მეცნიერებისა და სხ.

ამ ახალი ისტორიული ეტაპის პირობებში პროლეტარიატისა და მისი პარტიის წინაშე დგებოდენ და დგებიან ახალი ამოცანები—კაპიტალიზმის უშუალო დამხობის ამოცანები. ამავე ახალ ისტორიულ პერიოდში გამოაშკარავდა მე II ინტერნაციონალის პოლიტიკის მთელი ბურჟუაზიული არსობაც. „ლენინიზმის საკითხებში“ ამხ. სტალინი იძლევა მე-II ინტერნაციონალის მთელი მუშაობის დახასიათებას. მხოლოდ ამ

დახასიათების მთელი სიღრმის გათვალისწინებით შეიძლება გაეიგოთ თუ როგორ გაიზარდა ბოლშევიზმი მე-II ინტერნაციონალში ოპორტუნიზმთან ბრძოლის საფუძველზე. აბზ. სტალინი წერს: „ზემოთ მე ვამბობდი, რომ, ერთი მხრით, მარქს-ენგელსსა, ხოლო, მეორე მხრით, ლენინს შორის არის მე-II ინტერნაციონალის ოპორტუნიზმის ბატონობის მთელი პერიოდი. სიზუსტისათვის უნდა დაუმატო, რომ აქ ლაპარაკია ოპორტუნიზმის არა ფორმალურ, არამედ მხოლოდ მის ფაქტიურ ბატონობაზე. ფორმალურად მე-II ინტერნაციონალის სათავეში იდგენ „მართლმორწმუნე“ მარქსისტები, „ორთოდოქსები“—კაუცკი და სხვები. ნამდვილად კი მე-II ინტერნაციონალის ძირითადი მუშაობა ოპორტუნიზმის ხაზით მიმდინარეობდა. ოპორტუნისტები ეგუებოდენ ბურჟუაზიას თავის შემგუებლური, წვრილბურჟუაზიული ბუნების გამო, — ხოლო „ორთოდოქსები“ თავის მხრით ეგუებოდენ ოპორტუნისტებს მათთან „ერთიანობის შენარჩუნების“, „პარტიაში მშვიდობიანობის“ დაცვის მიზნით. ამის შედეგი იყო ოპორტუნიზმის ბატონობა, ვინაიდან ჯაჭვი ბურჟუაზიის პოლიტიკისა და „ორთოდოქსების“ პოლიტიკას შორის აღმოჩნდა შეკრული“ [1].

აქ მოცემულია მეტად ღრმა დახასიათება II ინტერნაციონალის მუშაობის ძირითადი ხაზის როგორც ოპორტუნისტული ხაზის. ამბ. სტალინი გვიჩვენებს აგრეთვე ცენტრიზმის როლსა და მნიშვნელობას მე-II ინტერნაციონალში, როლსა და მნიშვნელობას ოპორტუნიზმის სხვადასხვა ფორმებისა. ის ცხადყოფს, თუ როგორ აღმოჩნდა შეკრული ჯაჭვი ბურჟუაზიის პოლიტიკასა და მე-II ინტერნაციონალის პოლიტიკას შორის. შემდეგ ამბ. სტალინი აღნიშნავს კიდევ მე-II ინტერნაციონალის მუშაობის მთელ რიგ დამახასიათებელ თვისებებს: ბატონობა ეკლექტიზმისა, სოფისტიკისა ნაცვლად რევოლუციური თეორიისა, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია რევოლუციური ბრძოლის ცოცხალ პრაქტიკასთან, მარქსიზმის ნაფლეთების არსებობა, რომელნიც როგორც მოწყვეტილნი პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკას, იქცეოდენ გამოფიტულ დოგმებად.

ამბ. სტალინი აღნიშნავს, რომ რევოლუციური ბრძოლის ნაცვლად მე-II ინტერნაციონალის ეპოქაში ყვაოდა უნიათო ფილისტერობა, პოლიტიკანობა და სხ. ყოველივე ამასთან დაკავშირებით პროლეტარიატის და მისი ნამდვილი იდეოლოგების წინაშე დგებოდა ამოცანა გამოეტეედათ, შეექმნათ ნამდვილად მებრძოლი, ნამდვილად რევოლუციური პარტიები. უნდა მომხდარიყო სრული გადაშინჯვა ყოველივე ამისა, რაც იყო შექმნილი კაპიტალიზმის შედარებით მშვიდობიანი „ორგანიული“ განვითარებმს პერიოდში, მე-II ინტერნაციონალის ბა-

[1] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 11, ქართ.—12.

ტონობის პერიოდში. საჭირო იყო მე-II ინტერნაციონალის თეორიის და პრაქტიკის ავგიის თავლების გაწმენდა. მე-II ინტერნაციონალის თეორიული და პრაქტიკული პლატფორმის გენერალური შემოწმების ეს ნაწილი ლენინიზმს ხვდა წილად.

აშკარაა, ამბ. სტალინის ეს მითითება, სადაც ის ეძლევა პირობების ისტორიულ ანალიზს და ასახავს ისტორიულ ამოცანებს, რომელნიც წილად ხვდენ ლენინიზმს, ეხება არა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ერთ რომელიმე მხარეს, არამედ მარქსიზმის ყველა შემადგენელ ნაწილებს—მის ეკონომიურ, პოლიტიკურ და ფილოსოფიურ მხარეს.

ლენინმა არა მარტო აღადგინა რევოლუციური მარქსისტული მოძღვრება, გასწმინდა იგი მე-II ინტერნაციონალის ოპორტუნიზმისაგან, არამედ განავითარა იგი შედგომ ახალი პირობების, იმპერიალიზმის პირობების, კლასობრივი ბრძოლის ახალი ფორმების პირობების შესაბამისად. ლენინმა მოგვცა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ყველა მხარის შემდგომი კონკრეტიზაცია.

საჭიროა განვიხილოთ მე-II ინტერნაციონალის ფილოსოფიურ „პოზიციების“ არსება, გამოვარკვიოთ, როგორი გავლენა მოახდინა ჯაჭვის შეკვრამ ბურჟუაზიის პოლიტიკასა და მე-II ინტერნაციონალის პოლიტიკას შორის უკანასკნელის ფილოსოფიურ შეხედულებებზე, რათა ამ საფუძველზე ცხადვყოთ მთელი როლი და მნიშვნელობა, რომელიც ქონდა ლენინურ ბრძოლას ფილოსოფიურ ოპორტუნიზმის ყოველგვარ გამოვლინებასთან.

ეკლექტიზმი, სოფისტიკა, თეორიის მოწყვეტა პრაქტიკისაგან, რევოლუციურ ბრძოლისაგან დამახასიათებელია მე-II ინტერნაციონალის ყველაზე თვალსაჩინო თეორეტიკოსთა შეხედულებების მთელი ერთობლიობისათვის, ამასთანავე, მათ რიცხვში, ფილოსოფიურ შეხედულებებისათვისაც, მათი ფილოსოფიური „ხაზისათვისაც“.

ეს „ხაზი“ ძირითადათ ისაზღვრება შემდეგი მომენტებით: 1) თეორიის სრული მოწყვეტით პრაქტიკისაგან, 2) ეკონომიკის და პოლიტიკის გათიშვით, 3) მარქსიზმის ეკონომიური და ისტორიული თეორიის, მისი ამ შემადგენელი ნაწილების მოწყვეტით ფილოსოფიურ საფუძვლისაგან. აქედან მე-II ინტერნაციონალის ყველაზე თვალსაჩინო თეორეტიკოსებს ებადებათ საჭიროება რაიმე „ახალი“ თეორიულ-შემეცნებითი დასაბუთება მოუნახონ მარქსიზმის ეკონომიურ და ისტორიულ თეორიას. ცხადია, როდესაც მარქსიზმის ისტორიულ და ეკონომიურ თეორიას წყდება, მისი ფილოსოფიური საფუძველი, მაშინ საჭირო ხდება მარქსიზმს ამოუშენონ რაიმე სხვა ფილოსოფიური საფუძველი. სწორედ მე-II ინტერნაციონალის უთვალსაჩინოეს „ბურჯთ“ ახასიათებს

უაღრესად პირწავარდნილ-ბურჟუაზიულ თვალსაზრისთა ხლართი ფილოსოფიის ხაზით. ამ მხრით მე-II ინტერნაციონალის წარმომადგენელნი სავსებით კუდში მისჩანჩალებენ ბურჟუაზიას.

ბოლოს, მათ ფილოსოფიურ შეხედულებათა საერთო სურათისათვის დამახასიათებელი მომენტი მდგომარეობს მე-II ინტერნაციონალის ყველაზე თვალსაჩინო თეორეტიკოსთა მიერ მატერიალისტურ დიალექტიკაზე ამათუიმ სახით უარის თქმაში. თავის დროზე ამან ნათელი გამოხატულება ჰპოვა „გამოჩენილი“ ბერნშტეინის მიერ წამოყენებულ დებულებაში იმის შესახებ, რომ დიალექტიკა წარმოადგენს მხოლოდ ხაფანგს ნამდვილი შემეცნების გზაზე, რომ დიალექტიკაზე უარი უნდა ითქვასო. მე-II ინტერნაციონალის სხვა წარმომადგენელნი, ფარული ოპორტუნისტები, ცენტრისტები და სხ., არსებითად იმასვე გამოხატავდენ, მხოლოდ უფრო დახვეწილი, დანიღბული სახით.

ასეთია ზოგადად მე-II ინტერნაციონალის ფილოსოფიური „ხაზის“ დახასიათება (თუ შეიძლება საზოგადოდ კი ვიხმაროთ სიტყვა ხაზი). რაც შეეხება თეორიულ შემეცნებითს საფუძვლებს, რაც საძირკვლად ამოყავდათ მარქსიზმის ქვეშ მარქსისტულ ფილოსოფიურ საფუძვლების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით მე-II ინტერნაციონალის წარმომადგენლებს, უკანასკნელთათვის დამახასიათებელია დაახლოვებით შემდეგი მიმდინარეობანი: არსებითად ოფიციალური ნაკადი — ნეოკანტიანელობა, მერე მახიზმი, შემდეგ უკანასკნელ ხანებში თანდათან განვითარებული ნეოჰეგელიანელობა. ცნობილია, რომ მე-II ინტერნაციონალმა ნეოკანტიანური მიმდინარეობის საკმაოდ თვალსაჩინო წარმომადგენელნი წამოაყენა, რომელნიც სხვადასხვანაირად აკავშირებდენ კანტს მარქსთან ფილოსოფიის, ეთიკის და სხ. საკითხებში. ჩვენ ვეპოულობთ მათ რიცხვში ისეთ „თეორეტიკოსთ“, როგორიც არიან ბერნშტეინი, მაქს ადლერი, ფორლენდერი, კაუცკი, ჰილფერდინგი და სხ.

აგრეთვე ძლიერია მახისტური ნაკადი (ფრიდრიხ ადლერი, ოტო ბაუერი და სხ.) და ბოლოს უკანასკნელ წლებში განვითარებული ნეოჰეგელიანური მიმდინარეობა სოციალდემოკრატიის რიგებში. დღეს მისი ერთერთი თვალსაჩინო გამომხატველია ბრესლაველი პროფესორი ზიგფრიდ მარკი. ხდება მეტად საინტერესო პროცესი, რომელშიაც აშკარავდება ჯავშის შეკვრა ბურჟუაზიის პოლიტიკასა, თეორიასა, იდეოლოგიასა და მე-II ინტერნაციონალის პოლიტიკასა, თეორიასა, იდეოლოგიას შორის. უკანასკნელ წლებში ბურჟუაზიული ფილოსოფია თანდათან უფრო უბრუნდება ჭეგელს, ცდილობს რა მის მოდერნიზებას, თავისებურად შეგუებას. ფაშიზირებული ბურჟუაზიული ფილოსოფია თავის სასამსახუროდ იყენებს ნეოჰეგელიანელობას. ეს პროცესი, რო-

მელიც ბურჟუაზიულ ფილოსოფოსთა რიგებში ხდება, მაშინვე პოულობს თავის გამოხატულებას სოციალფაშიზმის რიგებში. სოციალ-ფაშისტური თეორეტიკოსები, მიყვებიან რა ბურჟუაზიის ფეხის ხმას, ცდილობენ გადავიდენ ნეოკანტიანობიდან ჰეგელიანობაზე, ცდილობენ თავისი ფილოსოფიური შეხედულებანი დაუკავშირონ ნეოჰეგელიანელობას.

ახლა გადავიდეთ ბურჟუაზიის ამ ფილოსოფიურ სკოლებისადმი მე-II ინტერნაციონალის „თეორეტიკოსთა“ დამოკიდებულების უფრო დაწვრილებით განმარტებაზე. ჯერ განვიხილოთ კაუცკის პოზიცია ნ ე ო კ ა ნ ტ ი ა ნ ე ლ ო ბ ი ს მიმართ.

ლენინი თავის ცნობილ სტატიაში „მარქსიზმი და რევიზიონიზმი“ შემდეგნაირად ახასიათებდა სოციალდემოკრატიის რიგებში განვითარებულ ნეოკანტიანელობას: „ფილოსოფიის დარგში,—წერდა ის,—რევიზიონიზმი კუდში მისდევდა ბურჟუაზიულ პროფესორულ „მეცნიერებას“. პროფესორები მიდიოდენ „უკან კანტისაკენ“,—და რევიზიონიზმიც უკან მისჩანჩალებდა ნეოკანტიანელებს; პროფესორები იმეორებდენ ათასჯერ გადაღეჭილ ხუცურ უსსგავსოებას ფილოსოფიური მატერიალიზმის წინაალმდეგ,—და რევიზიონისტებიც შემწყნარებელი ღიმილით ლულლულებდენ (სიტყვა-სიტყვით უკანასკნელი ჰანდბუხის მიხედვით), რომ მატერიალიზმი დიდი ხანია „უარყოფილია“; პროფესორები ისე ექცეოდენ ჰეგელს, როგორც „მკვდარ ძაღლს“, თვით ქადაგებდენ იდეალიზმს, მხოლოდ ათასჯერ უფრო წვრილმანს და უხამსს, ვიდრე ჰეგელის იდეალიზმი იყო, ზიზღით იჩეჩდენ მხრებს დიალექტიკის გაგონებაზე, — რევიზიონისტებიც მიხოხავდენ მათ უკან მეცნიერების ფილოსოფიურ გათახსირების ჭაობში და სცვლიდენ „ეშმაკურ“ (და რევოლუციურ) დიალექტიკას „უბრალო“ (და წყნარი) „ევოლუციით“; პროფესორები თავიანთ სახელმწიფო ჯამაგირს ღებულობდენ და თავიანთ იდეალისტურ და „კრიტიკულ“ სისტემებს გაბატონებულ საშუალო-საუკუნურ „ფილოსოფიას“ (ე. ი. თეოლოგიას) უფარდებდენ,—რევიზიონისტებიც მათკენ მიიწევდენ და ცდილობდენ რელიგია „კერძო საქმედ“ გამოეცხადებიათ, არა თანამედროვე სახელმწიფოს, არამედ მოწინავე კლასის პარტიის მიმართ. თუ როგორი ნამდვილი კლასობრივი მნიშვნელობა ქონდა მარქსის ასეთ „შესწორებებს“, ამის შესახებ ლაპარაკი ზედმეტია, — ეს ნათელია თავის თავად“ [1].

ეს გამანადგურებელი კრიტიკა, რომელიც მიმართული იყო ბერნშტეინის ტიპის რევიზიონისტების წინაალმდეგ, კონრად შმიდტის წი-

[1] ლ ე ნ ი ნ ი, მარქსიზმი და რევიზიონიზმი, თხზ. ტ. XII, გვ. 184—185; (ქართულად იხ. ვ. ვ. ადორაცკის ქრესტომატია „დიალექტიკური მატერიალიზმი“, გვ. 44—45).

ნაალმდეგ, სტრუვეს და სხ. წინაალმდეგ, პირდაპირ ეხებოდა ცენტრისტებსაც და კაუცკისაც, რომელმაც ამ საკითხებში არსებითად დაუთმო პოზიციები ბერნშტეინს. ლენინის მიერ მხილებული მარქსიზმის ნეოკანტიანური რევიზია, გამომქღავნებული მისი სოციალური ფესვების მხრით, თეორია, რომელსაც ქადაგებდენ სოციალდემოკრატიული „ფილოსოფოსები", არსებითად არაფრით არ განსხვავდებოდა ბურჟუაზიულ ნეოკანტიანელთა იდეალისტურ რეაქციისაგან.

წინათ პროფესორები, ასრულებდენ რა პატიოსნად ბურჟუაზიის სოციალურ შეკვეთას, ეწოდენ „უკან კანტისაკენ". ახლა ასრულებენ რა კაპიტალისტების სოციალურ შეკვეთას, ისინი ლამობენ ჰეგელური მოძღვრება სახელმწიფოზე, ჰეგელური დიალექტიკაც კი შეუგუონ შავხალათიანების მოთხოვნილებას, ბურჟუაზიის ტერორისტული ბატონობის გამართლებას. წინათ სოციალდემოკრატიული „თეორეტიკოსები", ბიჩანჩალებდენ რა კუდში ამ ბურჟუაზიულ პროფესორებს, „აერთებდენ" მარქსს კანტთან. ახლა თანამედროვე სოციალ-ფაშისტები, ბიჩანჩალებენ რა კუდში რეაქციონურ მეცნიერებს, ქადაგებენ ნეოჰეგელიანურ შეხედულებებს და ლამობენ რამენაირად „შეაერთონ" ისინიც მარქსთან.

კაუცკის პოზიცია მარქსიზმის ნეოკანტიანურ რევიზიისადმი დამოკიდებულების საკითხში საზოგადოთ ძალიან კარგად ხატავს იმ დამოკიდებულებას ფილოსოფიურ პრობლემებისადმი, რომელიც ბატონობდა სოციალდემოკრატიის რიგებში. თავის მიმოწერაში პლეხანოვთან, როდესაც უკანასკნელი ძალიან მკაცრი კრიტიკით გამოვიდა ბერნშტეინის წინაალმდეგ, კაუცკი წერდა: „ყოველშემთხვევაში მე აშკარად უნდა გავაცხადო, რომ ნეოკანტიანელობა მე ყველაზე ნაკლებად მაკრთობს. მე არასოდეს არ ვყოფილვარ ძლიერი ფილოსოფიაში, და, თუმცა დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისზე ვდგევარ, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ მარქსის და ენგელსის ეკონომიური ისტორიული თვალსაზრისი უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება შეთავსებულ იქნეს ნეოკანტიანელობასთან; დარვინიზმიც ხომ აგრეთვე კარგად უთავსდება ბიუხნერის მატერიალიზმს, როგორც ჰეკელის მონიზმს და ლანგეს კანტიანელობას. ბერნშტეინი რომ მხოლოდ ამ მიმართულებით გახუნებულიყო, ეს მე სრულიად არ შემაწუხებდაო".

როგორც ხედავთ, კაუცკის სრულიად არ აკრთობს კანტის შეერთება მარქსიზან, მარქსიზმის ფილოსოფიური საფუძვლების მოწყვეტა მარქსიზმის ეკონომიური და ისტორიული თეორიისაგან. ის, მართალია, დეკლარატიულად აცხადებს, რომ სავსებით დგას დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისზე, მაგრამ ეს დეკლარატიული განცხადება ნამდვილად თავისი პოზიციების სრული დათმობით იცვლება.

უნდა ითქვას, რომ კაუცკის იგივე თვალსაზრისი გაყავს თავის უკანასკნელ შრომაში—„ისტორიის მატერიალისტური გაგება“, რომელიც წარმოადგენს სოციალდემოკრატიის მთელი ოპორტუნისტული პრაქტიკის თეორიულ განზოგადებას. ამ ორტომეულში კაუცკი გამოთქვამს თავის აზრს მარქსიზმის სხვადასხვა მხარეების თანაშეფარდების საკითხის შესახებ. ის ამბობს:

„ისტორიის მატერიალისტური გაგების აღიარება სოციალდემოკრატიული პარტიისადმი კუთვნილების წინასწარ პირობად არ უნდა გახდეს. ამ პარტიამ ნება უნდა მიცეს ყველას, ვისაც კი სურს მონაწილეობა მიიღოს პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ყოველგვარი ჩაგვრის და ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლაში,—თეორიულად დაასაბუთოს ეს სურვილი, როგორც შეუძლია—მატერიალისტურად, კანტიანურად, ქრისტიანულად თუ სხვანაირადო“.

არსებითად ეს თვალსაზრისი სრულ თავისუფლებას იძლევა მარქსიზმის შესაერთებლად რელიგიასთან, კანტთან, მახთან და სხ. კაუცკის საერთო პოზიციამ ნეოკანტიანობისადმი დამოკიდებულების საკითხის შესახებ, რომელიც მან გამოთქვა პლეხანოვთან მიმოწერაში 1898 წ., აქ ჰპოვა თავისი თეორიული გამოხატულება. ყოველ საკითხში, იქნება ეს შემეცნების თეორიის საკითხები, საგანის თავისთავად თუ ეთიკის პრობლემების,—ყველგან ჩანს ავტორის ნეოკანტიანური თვალსაზრისი.

გადავიდეთ მახიზმისადმი კაუცკის საერთო დამოკიდებულების საკითხზე. 1908—1910 წ. წ. ფილოსოფიური დისკუსიის დროს ერთმა მუშათაგანმა, ბენდიანიძემ, კაუცკის მიმართა ისოვნით გამოეთქვა თავისი აზრი მახიზმის შესახებ. კაუცკიმ მას წერილით უპასუხა: „თქვენ მეკითხებით,—წერდა ის,—არის თუ არა მახი მარქსისტიო. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ უნდა გავიგოთ მარქსიზმი. მე მარქსიზმს უყურებ არა როგორც ფილოსოფიურ მოძღვრებას, არამედ როგორც ემპირიულ მეცნიერებას, როგორც საზოგადოების განსაკუთრებულ გაგებას. ეს შეხედულება, მართალია, შეუთავსებელია იდეალისტურ ფილოსოფიასთან, მაგრამ იგი არ ეწინააღმდეგება მახის შემეცნების თეორიას. მე პირადათ ვერ ვხედავ არსებით განსხვავებას მახისა და დიცგენის შეხედულებათა შორის. მარქსი კი ძალიან უახლოვდება დიცგენს“ (1909 წ.).

ეს პასუხი მეტად დამახასიათებელია არა მარტო თავისი პირწავარდნილ-ოპორტუნისტული არსებით, იგი საზღვრავს აგრეთვე კაუცკის მიერ მარქსიზმის გაგებას, მის ოპორტუნისტულ დამოკიდებულებას მახიზმისადმი.

ამნაირად, კაუცკი იხილავს მარქსიზმს არა როგორც ფილოსოფიურ მოძღვრებას, არავედ მხოლოდ როგორც ემპირიულ მეცნიერებას. მეორედ, მარქსიზმი—ეს მხოლოდ მოძღვრებაა საზოგადოების შესახებ და მესამე, მარქსიზმი შეუთავსებელია მარქსიზმის იდეალისტურ რევიზიასთან, მაგრამ ამავე დროს არ ეწინააღმდეგება მახის შეშეცნების თეორიას, რომელიც სწორედ იდეალიზმია. ასეთია კაუცკის „დიალექტიკა.“ აი მარქსიზმის რა უშვერი კარიკატურა დაუხატა „ოსტატმა“ კაუცკიმ მეშა ბენდიანიძეს. ეს პატარა ადგილი კაუცკის პასუხიდან მშვენივრად ახასიათებს მის შეხედულებებს. იგი სავსებით ადასტურებს მე-II ინტერნაციონალის პოზიციების იმ საერთო დახასიათებას, რომელიც ზევით იყო მოცემული.

ასეთია კაუცკის დამოკიდებულება მახიზმისადმი, რომელმაც თავისი განვითარება მიიღო დასავლეთში, ჩვენში კი ბოგდანოველების სახით და სხ. მაგრამ საკმარისია აეიღოთ კაუცკის უკანასკნელი შრომა—„ისტორიის მატერიალისტური გაგება,“ ჩვენ შეგვეძლია იგივე ვთქვათ ნეოჰეგელიანობაზედაც. კაუცკი ოფლში იწურება იმის დასამტკიცებლად, რომ მარქსიზმი შეიძლება შეთავსებული იქნეს ნეოჰეგელიანელობასთან და სხ. სოციალდემოკრატიის ფაშიზაციის საერთო პროცესი ამ წიგნში ღებულობს თავის საკმაოდ ნათელ გამოხატულებას ფილოსოფიის დარგშიაც. ასეთია ფილოსოფიური „ხაზი“ ამ უბოდიშო ეკლექტიკოსისა, ამ გაკოტრებული სოფისტისა, რომელიც არიგებს, აერთებს ყველაფერს, რაც კი გნებავთ და კვლავ „მარქსიზმად“ ასაღებს ამ “დომხალს.“

საჭიროა რამოდენიმედ შევჩერდეთ მემარცხენე სოციალდემოკრატების—მერინგის და რ. ლუქსემბურგის, აგრეთვე რუსული მენშევიზმის ბელადის პლეხანოვის ფილოსოფიურ პოზიციათა დახასიათებაზე, რათა მთელი სიცხადით წარმოვიდგინოთ ის, რასაც იძლეოდა მე II ინტერნაციონალი ფილოსოფიის დარგში, რომ გავიგოთ ოპორტუნიზმთან იმ ბრძოლის მთელი მნიშვნელობა, რომელსაც ატარებდა ლენინი.

მერინგმა დაწერა საკმაოდ მრავალი სტატია, მიძღვნილი ფილოსოფიურ საკითხებისადმი, ის საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევდა ფილოსოფიურ პრობლემებს. მერინგის მთელი რიგი სტატიები, რომელიც უშუალოდ ეძღვნება ამათუიმ ლიტერატურული ნაწარმოების კრიტიკას, ბეირუჯას, მოსწრებულ დახასიათებებს შეიცავენ დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით. მაგრამ მაინც ძირითადად მერინგი ვერ შორდება ჩვენ მიერ ზემოთ დახასიათებულ პოზიციების ფარგლებს. უწინარეს ყოვლისა დიალექტიკური მატერიალიზმი მერინ-

გისათვის არ წარმოადგენს მარქსიზმის მწყობრ მსოფლმხედველობას და მეთოდს. ის ფიქრობს, რომ ბუნების დარგში შეიძლება დავამყაროთ მექანიკური მატერიალიზმის თვალსაზრისი და სახელდობრ მატერიალიზმის ასეთი სახე უერთდება ისტორიულ მატერიალიზმსო. ეს შეხედულება წითელ ზოლად ტარდება მერინგის ყველა ნაწარმოებში. მას აქვს აგრეთვე გამოთქმანი ნეოკანტიანელობისადმი, მახიზმისადმი და სხ. დამოკიდებულების შესახებაც. მთელ რიგ სტატიებში ის წერდა, რომ ნეოკანტიანელები სრულიად არ ემუქრებიან მარქსიზმის არსებობას, არამედ მოწადინებული არიან მხოლოდ „აამაღლონ" ან „შეავსონ" იგი, რომ ისინი „პრინციპიალურ" შეცდომებს ისტორიულ მატერიალიზმში ვერ ნახულობენ; რომ „მახმა ბუნებისმეტყველებისთვის იგივე გააკეთა, რაც მარქსმა გააკეთა საზოგადოებრივ მეცნიერებათათვის," რომ „მახს სულაც არ სურს იყოს ფილოსოფოსი... ის საკმარისად დარწმუნებულია თავის თავში იმისათვის, რომ განისაზღვროს იმ სფეროთი, რომელშიაც მეცნიერული აზრით ბატონ-პატრონად გრძნობს თავს. ამ მხრით მახი სრულიად ეთანხმება მარქსს, რომელმაც სრულიად განდევნა ფილოსოფია და რომელიც კაცობრიობის სულიერ პროგრესს ხედავდა მხოლოდ პრაქტიკულ მუშაობაში. ისტორიის და ბუნებისმეცნიერების დარგში[1]." ასეთია მერინგის ზოგიერთი წარმონათქვამი მთელრიგ ფილოსოფიურ სტატიებში.

მექანიკური მატერიალიზმის და ისტორიული მატერიალიზმის საკითხის შესახებ მერინგი წერდა: „ისტორიული მატერიალიზმი შეიცავს ბუნებრივ-მეცნიერულ მატერიალიზმს, ხოლო ბუნებრივ მეცნიერული მატერიალიზმი არ შეიცავს ისტორიულსო"[2].

„ბუნებისმეტყველების სფეროში მექანიკური მატერიალიზმი წარმოადგენს მეცნიერული კვლევის პრინციპს, როგორც საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში არის ისტორიული მატერიალიზმი. იმის მტკიცება, რომ მარქსი და ენგელსი, რომელიც უარყოფდენ მექანიკური მატერიალიზმის უფლებას ისტორიის სფეროში, უარყოფდენ აგრეთვე მის უფლებას ბუნებისმეტყველების სფეროშიაც, ნიშნავს—ეს ადამიანები მეცნიერული აზროვნების დარგიდან გავგზავნოთ ცრუმორწმუნოების სფეროში, რომელშიაც ფარფაშობენ ავსტრალიელი ზანგების ეშმაკები, არაცნობიერის ფილოსოფია და ნეოლამარკისტთა „ფსიქიზმიო"[3].

---

[1] მ ე რ ი ნ გ ი, მარქსიზმის სადარაჯოზე, გვ. 136, გამ. 1927 წ.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 31.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 64.

მერინგი იდეალისტი არ არის და არ აერთებს მარქსს კანტთან, მარქსს მახთან. მაგრამ ის, როგორც ვხედავთ, არც თანმიმდევარი დიალექტიკური მატერიალისტია; პირიქით, თავისი მსოფლმხედველობით, თავისი შეხედულებით ბუნებაზე მერინგი მექანიკურ მატერიალიზმს ემხრობა.

როგორია რ. ლუქსემბურგის ფილოსოფიური პოზიციები? სრულიად აშკარაა, რომ ის არის თანმიმდევრული, ე. ი. დიალექტიკური მატერიალიზმის წარმომადგენელი. რ. ლუქსემბურგის ეკონომიურ შრომებში, მის „კაპიტალიზმის ავტომატიური კრახის თეორიაში," შინაგან და გარეგან წინააღმდეგობათა თანაშეფარდების საკითხის დაყენებაში ჩვენ ვხედავთ გაშლილ მექანისტურ კონცეფციას კაპიტალიზმის ანალიზის შეფარდებაში.

ცნობილია აგრეთვე ის დაფასება, რომელსაც აძლევდა ლენინი რ. ლუქსემბურგის შეხედულებებს ნაციონალური საკითხის შესახებ. ეხება რა საკითხის ფილოსოფიურ მხარეს, ლენინი გვიჩვენებს, თუ როგორ სცვლის რ. ლუქსემბურგი დიალექტიკას სოფისტიკით და სრულიად აბსტრაქტული დებულებებით. განსაკუთრებით ამათრახებს მას ლენინი ნაციონალურ საკითხისადმი კონკრეტულ-ისტორიული მიდგომის გაუგებლობისათვის. სტიქიურობის და შეგნებულობის საკითხში რ. ლუქსემბურგს იდეალისტური მომენტები შეერთებული აქვს მექანიციზმის ცალკეულ მომენტებთან, მაგრამ თანმიმდევრულად გატარებული დიალექტიკური მატერიალიზმი არ არის არც მის თეორიულ გამოთქმებში და არც ამათუიმ პოლიტიკურ კონკრეტულ-პრაქტიკულ საკითხისადმი გამოყენებაში.

მეორე ინტერნაციონალის მემარცხენე სოციალდემოკრატთა, მემარცხენე რადიკალთა ფილოსოფიური პოზიციები, როგორც ვხედავთ ძალიან დიდათ არ განსხვავდებოდა რევიზიონისტების და ცენტრისტების თეორიულ-ფილოსოფიურ შეხედულებათაგან.

II ლენინი და პლეხანოვი

II ინტერნაციონალის თეორიტიკოსთა შორის განსაკუთრებული ადგილი უეჭველად პლეხანოვს უჭირავს. საკითხი ლენინის და პლეხანოვის შესახებ წარმოადგენდა მთელი ფილოსოფიური დისკუსიის ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხთაგანს, მომენშევიკო იდეალიზმისა და მგექანიციზმთან ბრძოლის ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხთაგანს. თავისი ფილოსოფიური შეხედულებებით პლეხანოვი უეჭველად წარმოადგენს საუკეთესოს რაც კი არის მე-II ინტერნაციონალის თეორეტიკოსთა შორის. უეჭ-

ველია, იმ შინაგან ორგანიულ ერთიანობასთან ერთად, რომელიც არსებობს პლეხანოვის პოლიტიკურ ოპორტუნიზმსა და მის მარქსენგელსისაგან ფილოსოფიურ გადახვევებს შორის, აქვს მას ერთგვარი წინააღმდეგობა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ თავის ლიტერატურულ შრომებში, მიუხედავათ ყველა თავისი გადახვევებისა დიალექტიკური მატერიალიზმის თანმიმდევრულ თვალსაზრისაგან, ის მანიც მე-II ინტერიაციონალის ყველა სხვა თეორეტიკოსებზე უკეთ იცავდა მატერიალიზმს ნაროდნიკების სუბიექტურ იდეალიზმისა და პოზიტივიზმისაგან და აშკარა ბერნშტეინიანურ რევიზიონიზმისაგან, ეწეოდა ბრძოლას მახიზმის და ბოგდანოველობის წინააღმდეგ და ამავედროს დიალექტიკას აქცევდა სოფისტიკად, სქოლასტიკად. სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ პლეხანოვი წარმოადგენს, როგორც აღნიშნავდა ლენინი თავის გამოთქმებში და პლეხანოვის დახასიათებაში, იმ ფიგურას, რომელიც მარქსისტული ფილოსოფიის თვალსაზრისით გადამწყვეტ წინააღმდეგობას უწევდა ბერნშტეინის, კონრად შმიდტის ტიპის აშკარა რევიზიონისტებს, რუს მახისტებს, ღვთისმაძიებლებს.

ნამდვილად ისტორიული მიდგომა იმაში მდგომარეობს, რომ გამოვაშკარავოთ ნამდვილად ობიექტური ადგილი და მნიშვნელობა, რომელიც უკავია პლეხანოვს მუშათა მოძრაობის განვითარებაში. ნამდვილად ისტორიული დაფასება იმაში მდგომარეობს, რომ ჯეროვანათ დავაფასოთ ის როლი, რომელიც პლეხანოვმა ითამაშა და ამასთან ერთად გამოვაშკარავოთ ყველა ის შეცდომა, რომელიც არის მის ფილოსოფიურ შეხედულებებში. აუცილებლად საჭიროა იმ ბრძოლის როლის და მნიშვნელობის ბოლშევიკური დაფასების მოცემა, რომელსაც სწერდა ლენინი პლეხანოვის წინააღმდეგ ყველა ძირითად ფილოსოფიურ პრობლემაში. წინასწარ საჭიროა გავაკეთოთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი შენიშვნა იმის საჩვენებლად, რომ პლეხანოვისადმი დამოკიდებულების საკითხში ბევრი რამ საერთოა დებორინსა და აქსელროდს შორის. მიუხედავათ მთელი ბრძოლისა, რომელსაც ერთმანეთში ეწეოდენ. დებორინი და აქსელროდი, ძირითად საკითხში, ლენინის და პლეხანოვის საკითხში, ლენინის ფილოსოფიური მემკვიდრეობის საკითხში, მათ შეხედულებებში ბევრი საერთოა, და მეტად საჭიროა აქ ეს საერთო ანალიზში გავატაროთ, და ცხადვყოთ. მაგალითად, ჟურნალ „პ. ზ. მ.-ში“ დაიბეჭდა უშენიშვნებოდ, ალბათ როგორც ერთგვარი ოფიციალური მასალა პლეხანოვის შესახებ, აქსელროდ-ორტოდოქსის და დეიჩის წერილი ამ ქვესათაურით: „გ. ვ. პლეხანოვს არ დაუნებებია თავი მარქსისტობისათვის.“

ამ წერილის შინაარსი შემდეგია:

„საბჭოების სრულიად რუსეთის ცაკის „უწყებების“ 110/1519 ნომერში ავრეთვე ბეჭდითი სიტყვის სხვა ორგანოებშიაც მოთავსებულია კომინტერნის აღმასკომის მიმართვა „ყველა ქვეყნის მუშებისადმი,“ სადაც, სხვათა შორის, პირველ აბზაცში დაბეჭდილია: „ჯერ კიდევ განსვენებული პლეხანოვი როდესაც ის მარქსისტი იყო,“ და სხ. ჩვენ მიერ ხაზგასმულ სიტყვებს ვთვლით შემცდარად და შეურაცმყოფელად როგორც რუსეთში მარქსისტული მიმდინარეობის ფუძემდებლის ხსოვნისათვის, ისე პირადად ჩვენთვის, მისი მეგობრებისა და თანამოაზრეებისათვის. ჩვენ მით უფრო საჭიროდ მიგვაჩნია პროტესტი გამოუცხადოთ ამ ინსინუაციას, რომ ის გადმოსროლილია მთელი დაწესებულების მიერ და ისიც მის მიმართვაში „ყველა ქვეყნის მუშებისადმი.“ უკანასკნელნი, რომელნიც ზუსტად არ იცნობენ განსვენებულ პლეხანოვის შეხედულებებს და დაემყარებიან რა ისეთი ავტორიტეტული ორგანოს განცხადებას, როგორიც კომინტერნის აღმასკომია, უეჭველად დაიჯერებენ, რომ რუსეთში მარქსიზმის ფუძემდებელმა შეძდეგ ულალატა მას, რაც რასაკვირველია აბსოლუტურად არ არის მართალი. ჩვენ, პლეხანოვის მახლობელმა პირებმა, ვიცით, თუ როგორი იყო მისი შეხედულებანი თვით მის სიკვდილამდე და ვამტკიცებთ, რომ საფლავის კარებამდე ის ერთგული დარჩა მეცნიერული სოციალიზმის შემქმნელთა შეხედულებებისადმი, რომელიც მან სიჭაბუკეში შეითვისა და რომელთაც განუწყვეტლივ ქადაგებდა ორმოცი წლის განმავლობაში.

პ. ს. ვთხოვთ ყველა ორგანოს, რომელთაც დაბეჭდეს კომინტერნის აღმასკომის მიმართვა, გადაბეჭდონ ეს ჩვენი წერილი.“

გ. ვ. პლეხანოვის ხსოვნის უკვდავსაყოფად არსებული კომიტეტის სახელით

ლიუბოვ აქსელროდ-ორტოდოქსი, ლევ დეიჩი.

1922 წ. 20 მაისი, მოსკოვი.

აი პირდაპირი მენშევიკური გამოსვლა, პირდაპირი მენშევიკური მიმართვა კომინტერნის მოწოდების წინააღმდეგ, კომინტერნის, რომელსაც ბრალი ედება ექსელროდის ხელით ინსინუაციებში და სხ. და ეს მოთავსებული იყო თავის დროზე „პოდ ზნამენემ მარქსიზმას“ ფურცლებზე. ეს, მეტისმეტად დამახასიათებელი ფაქტია, რომელიც საჭიროა გავარკვიოთ იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ქონდა დებორინელობასთან, ისე, როგორც მექანისტებთან ბრძოლას „ლენინი და პლეხანოვი“-ს პრობლემის ირგვლივ.

არსებითად დებორინიც და აქსელროდიც მთელი რიგი წლების განმავლობაში უკანასკნელ ფილოსოფიურ დისკუსიამდე და მის დროს იცავდენ და ატარებდენ ამ თვალსაზრისს, მათ არ უარუყვიათ იგი არსებითად დისკუსიის შემდეგაც.

საჭირო აღარაა შევჩერდეთ უკვე საკმაოდ მხილებულ საკითხის დებორინულ დაყენებაზე პლეხანოვის, როგორც თეორეტიკოსის შესახებ, რომელიც ავსებდა ლენინს, როგორც პრაქტიკოსს. შეიძლება ავიღოთ მეორე განწყობა „მოწაფე" კარეევისა. თავის წერილში „ნაცვლად სტატიისა ჟურნალის ხუთი წლის შესრულებისათვის" ის შემდეგს წერდა:

„ჩვენს დროში არაერთხელ ახდენენ ცდებს დაუპირდაპირონ პლეხანოვი ლენინს ან ლენინი პლეხანოვს. ეს ყოვლად უვარგისი ცდებია. ყველას მოეხსენება პლეხანოვის პოლიტიკური შეცდომები. ცნობილია, რომ თავის სიცოცხლის გადახრისას ომის დროს და 1917 წ. მრავალი პოლიტიკური შეცდომა ისეთ თანმიმდევრული გონების ადამიანს, როგორიც იყო პლეხანოვი, გადაეხარდა თეორიულ შეცდომებშიც. ომამდიაც ქონდა პლეხანოვს რამდენიმე არაზუსტი ფორმულირება და უხეიროდ დასმული მახვილი თეორიის დარგში: ცნობილი ისტორია იეროგლიფებისა და ცდის ცნებისა, მარქსის შემეცნების თეორიის დიალექტიკაში ჩართვის არასაკმაოდ ხაზგასმა, კლასების დავიწყება საზოგადოებრივი მთელის სქემაში,—რომელმაც მოამზადა პლეხანოვის შეცდომები „რუსული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში" და სხ. მაგრამ ყველა ამ კერძო შეცდომას არ შეუძლია გააბათილოს ის საერთო, რასაც არაერთხელ გაუსვა ხაზი ლენინმა — პლეხანოვის ფილოსოფიური ნაწარმოებნი დღევანდლამდე საუკეთესოდ რჩებიან ყოველივე იმაში, რაც დაწერილია ამ თემებზე მარქსიზმის მსოფლიო ლიტერატურაში" [1].

აქ კარეევს განმარტებული აქვს მთელი კონცეპცია პლეხანოვის გაგებაში. ამ კონცეპციაში ბოლშევიზმის ერთი ნამცეციც არ არის. აქ რამდენი სტრიქონიცაა, იმდენი უხეში შეცდომაა. ამ შეცდომების საერთო აზრია: აპოლოგეტური დამოკიდებულება მთელ პლეხანოვისადმი, პლეხანოვ-მენშევიკისადმი, პლეხანოვისადმი, როგორც „რუსული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის" ავტორისადმი და სხ. და სხ. კარეევს არ გაეგება, რომ ლენინი-ბოლშევიკი უნდა დაუპირდაპირდეს პლეხანოვ-მენშევიკს, რომ ასახვის ლენინური თეორია უნდა დაუპირდაპირდეს პლეხანოვის იეროგლიფურ თეორიას და სხ. და სხ.

კარეევი ფიქრობს, რომ „კლასების გამოვარდნა საზოგადოებრივი მთელის სქემაში"—ეს „უხეიროდ დასმული მახვილია"! ეს ადგილი ნათელი პროექტორით ხსნის და აშუქებს კარეევის და მთელი დებორინული ჯგუფის შეხედულებათა მთელ მომენშევიკო, ანდა პირდაპირ ლიბერალურ არსს.

---

[1] "პოდ ზნამენემ მარქსიზმა", № 12, 1926 წ., გვ. 25.

ეს ადგილი დიდებულად ააშკარავებს მომენშევიკო იდეალიზმის ანტიმარქსისტულ არსებას.

აი ის განწყობანი, რომელიც ქონდა დებორინის ჯგუფს ლენინის და პლეხანოვის თანაშეფარდების საკითხის შესახებ.

მივმართოთ ზინოვიევს. მის წიგნში „ლენინიზმი“ არის სპეციალური თავი „ლენინიზმი და დიალექტიკა“. ეს თავი, რომელიც „ციტატური“ მარქსიზმის ნათელ მაგალითს წარმოადგენს, გვიჩვენებს, რამდენად ვერ გაიგო ამხ. ზინოვიევმა ვერც ლენინიზმი და ვერც დიალექტიკა, როგორ ამახინჯებს ის ნამდვილ ლენინურ დიალექტიკას, მის რევოლუციურ-მოქმედებითურ ხასიათს. ზინოვიევმა სრულიად ვერ გაიგო ფილოსოფიის პარტიულობა, რომელიც ასე ღრმად და სისრულით გაშალა ლენინმა. რაკი ვერ გაიგო საქმის ეს მხარე, ზინოვიევი ეშვება მატერიალისტური დიალექტიკის სტრუვისტულ ობიექტივისტურ განმარტებისაკენ. აი როგორ ამახინჯებს ის ლენინურ შეხედულებათა არსებას: „ლენინმა იცოდა მოვლენათა უაქტიურეს, თავგადადებულ, „გააფთრებულ“ (ლენინის საყვარელი სიტყვა) მონაწილედ ყოფნა და ამავე დროს იცოდა იქვე, თითქო განზე გადგაო, სრულიად ობიექტურად დაკვირვება, დაფასება და განზოგადება იმავე მოვლენებისა ფილოსოფიური დამშვიდებით, მარქსისტული დიალექტიკის კრიტერიუმით, ბუნებისმეტყველის ობიექტიურობით“ [1]. განაგრძობს რა ამ, უკაცრავად პასუხია, განწყობას, ზინოვიევი ცდილობს დაამტკიცოს მთელი რიგი მაგალითებით, თუ „გახურებულ აქტუალურ-პოლიტიკურ არგუმენტაციის დროს ლენინი „უცბად“ როგორ შეუხვევს დიალექტიკისაკენ“ [2].

საქმის არსების მბოლოდ სრულ დამახინჯებად უნდა ჩაითვალოს ზინოვიევის მიერ ლენინის ასეთი „დახასიათებანი“. ზინოვიევს სრულიად გარეგნულად, მექანიკურად წარმოუდგენია კავშირი თეორიასა და პრაქტიკას შორის, პოლიტიკურ მოვლენებში „გააფთრებულ, თავგადადებულ“ აქტიურობასა და ლენინის მბრით მათ ვითომდა „ობიექტურ“, „ფილოსოფიურად დამშვიდებულ“ დაკვირებას შორის, „აქტუალურ პოლიტიკურ არგუმენტაციასა“ და მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით არგუმენტაციას შორის. ზინოვიევს სრულიად არ ესმის, რომ ძალა ლენინის, როგორც უდიდესი მატერიალისტ-დიალექტიკოსის, რომელიც ანვითარებდა მარქსიზმის მოძღვრებას ახალ ისტორიულ ეპოქაში, იმაში მდგომარეობს, რომ ის იძლევა თეორიის და პრაქტიკის, მეცნიერული ანალიზის და ღრმა პარტიულობის რევოლუციური ერთიანობის ნიმუშებს. ზინოვიევს არ

[1] ზინოვიევი, ლენინიზმი. გვ. 342, 1926 წ.

[2] იქვე, გვ. 355.

ესმის, რომ ლენინში ორგანიული შინაგანი ერთიანობაა რევოლუციური თეორიისა და რევოლუციური პოლიტიკისა, რომ ყოველი ლენინის პოლიტიკური სტატია წარმოადგენს მატერიალისტური დიალექტიკის ნიმუშს და რომ ლენინის თვითეული სტრიქონი დიალექტიკის საკითხებზე ერთიანად პოლიტიკითაა გაჟღენთილი.

ცხადია, რომ ამახინჯებს რა მენშევიკურად მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას თეორიის და პრაქტიკის შესახებ, ზინოვიევი სრულიად უმართებულოდ განმარტავს საკითხს ლენინისა და პლეხანოვის შესახებ. არსებითად ის ამ საკითხს სვამს მომენშევიკო იდეალიზმის ყაიდაზე, ან, უფრო სწორად, ის ამ პოზიციის ერთ ავტორთაგანს წარმოადგენს. აი რას წერს ის პლეხანოვისა და ლენინის შესახებ: „სანამ საქმე ეხება წმინდა ფილოსოფიურ პრობლემებს, პლეხანოვს დიალექტიკა ლენინზე უარესად არ ესმის. როგორც განმანათლებელი, როგორც მწერალი, როგორც პროპაგანდისტი, როგორც მარქსის ფილოსოფიურ შეხედულებათა პოპულარიზატორი პლეხანოვი ძლიერია, დიალექტიკური მეთოდის აკადემიურ დალაგებას პლეხანოვი გვაძლევს ბრწყინვალედ. მაგრამ ყველა ამ საკითხის აკადემიურ ციდან ცოდვილ დედამიწაზე ჩამოტანა, დიალექტიკის გამოყენება რევოლუციურ ბრძოლისათვის, მასების მოძრაობისათვის, საზოგადოებრივ განვითარებისათვის, მუშათა კლასის გამათავისუფლებელ ბრძოლისათვის—ამ სფეროში პლეხანოვი სრულიად უძლური აღმოჩნდა. ლ ე ნ ი ნ ი კ ი ს წ ო რ ე დ ა მ დ ა რ გ ში მ ო გ ვ ე ვ ლ ი ნ ა ნ ა მ დ ვ ი ლ გ ი გ ა ნ ტ ა დ“ [1]. განა ზინოვიევი აქ არ გამოდის თანავტორად დებორინის ცნობილი მენშევიკური თეზისისა იმის შესახებ, რომ „პლეხანოვი—თეორეტიკოსია, ხოლო ლენინი—პრაქტიკოსი“? განა აქ ზინოვიევმა არ გასწყვიტა თეორია და პრაქტიკა? ზინოვიევი ჩქმალავს იმას, რომ მატერიალისტური დიალექტიკის საერთო გაგებაშიაც პლეხანოვს აქვს, მიუხედავათ „ბრწყინვალე“ განმარტებისა, მთელი რიგი უხეში, პრინციპიალური შეცდომები, დიალექტიკურ მატერიალიზმისაგან გადახვევათა ერთგვარი სისტემა. ზინოვიევი სრულიად აფუჩეჩებს იმას, რომ პლეხანოვის პოლიტიკურ ოპორტუნიზმს არ შეიძლებოდა არ მიეღო თავისი გამოსახულება მის თეორიულ შეხედულებებშიაც მარქსიზმის ფილოსოფიის შესახებ, როგორც პირიქით,—მის გადახვევებს დიალექტიკურ მატერიალიზმისაგან არ შეიძლებოდა თავისი გავლენა არ მოეხდინათ მის პოლიტიკურ შეხედულებებზე. ზინოვიევს, ისე, როგორც კარევს, როგორც დებორინს, არ ესმის, რომ პლეხანოვის ფილოსოფიურ შეხედულებებსა და მის მენშევიზმს შორის არსებობს არა მარტო ერთგვარი წინააღმდეგობა, არამედ

[1] ზ ი ნ ო ვ ი ე ვ ი, ლენინიზმი, გვ. 346. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ა ვ ტ.

შინაგანი კავშირიც, რაც არაერთხელ გამოააშკარავა ლენინმა თავის შრომებში.

როგორია პლეხანოვის ნამდვილი ისტორიული ადგილი და როგორ უნდა დავაყენოთ ლენინის და პლეხანოვის თანაშეფარდების საკითხი მარქსიზმის ფილოსოფიის განვითარებაში? უეჭველია, პლეხანოვი, რომელიც სათავეში უდგა „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფს, მარქსიზმის ერთერთი წარმომადგენელია რუსეთში. ჩვენ ვიცით ლენინის შეხედულება ამის შესახებ. უეჭველია, ბევრ რამეს იმისაგან, რაც დაუწერია პლეხანოვს დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხებზე, დიდი დადებითი მნიშვნელობა ქონდა მარქსისტული იდეების გასამტკიცებლად და გასანვითარებლად რუსეთში. პლეხანოვის შრომებს ქონდათ და აქვთ მნიშვნელოვანი ღირებულება ფილოსოფიურ რევიზიონიზმთან ბრძოლაში. ვლებულობთ რა პლეხანოვის ამ ისტორიულ დამსახურებას, ჩვენ ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ ის ბრძოლა, რომელსაც ლენინი ეწეოდა პლეხანოვის მიერ მატერიალისტური დიალექტიკის დამახინჯებათა წინააღმდეგ, პლეხანოვურ-მენშევიკური სქოლასტიკის, სოფისტიკის და მარქსისტული ფილოსოფიის ვულგარიზაციის წინააღმდეგ, განსაკუთრებით მის გამოყენების წინააღმდეგ პოლიტიკურ და სტრატეგიულ-ტაქტიკურ საკითხებში. ჩვენ უნდა ვიცოდეთ უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში რუსეთის და დასავლეთის მთელი რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან, ვიცოდეთ ჩვენი პარტიის ბრძოლის ისტორიიდან, რომ მთელ საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში მარქსიზმის ერთადერთი თანმიმდევარი გამგრძელებელი, რომელმაც აიყვანა მარქსიზმი ყველა მის შემადგენელ ნაწილში, მათ შორის დიალექტიკის თეორიაც, ახალ საფეხურზე, არის ლენინი. იყო მრავალჯერი ცდა წარმოედგინათ პლეხანოვი საშუალედო რგოლად ერთი მხრით მარქსენგელსსა და მეორე მხრით—ლენინს შორის, ცდა გამოესახათ ლენინი პლეხანოვის მოწაფედ (დებორინი და სხ.). უნდა უკუვაგდოთ მენშევიზმის სასარგებლო ისტორიული ფაქტების ეს აშკარა ფალსიფიკაცია. უნდა გავუწიოთ აგრეთვე გადამწყვეტი წინააღმდეგობა იმ მტკიცებას, თითქო პლეხანოვი თეორიული მხრივ მარქსიზმის აკადემიურ დალაგებაში „ბრწყინვალე ფურცლებს“ იძლევოდეს, თითქოს მას ამ მხრით არავითარი ნაკლი არ ქონდეს და მხოლოდ პრაქტიკაში აღმოჩენილიყოს იგი არადიალექტიკოსად. ეს ძირფესვიანად უმართებულო თვალსაზრისია.

მაგრამ რამდენადაც მე-II ინტერნაციონალის მარქსიზმი წარმოადგენს უკან გადადგმულ ნაბიჯს, უკან დახევას ორთოდოქსალურ მარქსიზმისაგან, და რამდენადაც პლეხანოვი თავის შრომების მთელ

ერთობლიობაში ძირითადათ არ გამოდის ამ ეპოქის მარქსიზმის საზღვრებიდან—იმდენად მისი საკუთარი ფილოსოფიური შრომებიც ჩვენ უნდა განვიხილოთ როგორც მთელი რიგი გადახვევანი თანმიმდევრულ მარქსიზმიდან.

შემცდარია აზრი, თითქო პლეხანოვს ფილოსოფიის დარგში ქონდეს მხოლოდ მთელი რიგი ცალკეული, შემთხვევითი შემცდარი ფორმულირებანი. ცალკეული შეცდომები მარქსისტული ფილოსოფიის პრობლემების ლენინური გაგების თვალსაზრისით პლეხანოვს ძალიან ბევრი აქვს. ამ შეცდომების გაგების ამოცანა, მათი დაძლევის კრიტიკული ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ აუცილებლად უნდა ვეძიოთ და გავხსნათ ამ შეცდომების შინაგანი ლოგიკა, აგრეთვე ორგანიული კავშირი, რომელიც არსებობს მათსა და პლეხანოვის პოლიტიკურ, ძირთადათ მენშევიკურ ხაზს შორის.

ეუახლოვდებით რა პლეხანოვის თეორიული შრომების მთელი ერთობლიობის დაფასებას, ჩვენ პირველყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ „მე II ინტერნაციონალის ძირითადმა ტრადიციამ და დოგმამ“—გათიშვამ თეორიასა და პაქტიკას შორის, გათიშვამ დიალექტიკურ მატერიალიზმის შესახებ თეორიულ ნაწერებსა და მისი გამოყენების უუნარობას შორის—მასში ძალიან ნათელი გამოხატულება ჰპოვა. საკმარისია მხოლოდ გავიხსენოთ ამ პლეხანოვური „დიალექტიკის“ ლენინური დახასიათებანი („დოგმატიკა“, „უმავნებელსი სოფისტიკა“, „დამახინჯება“, „მარქსიზმის დედააზრის აბუჩად აგდება“ და სხ. და სხ.), რომ გავიგოთ, თუ რამდენად ძლიერია პლეხანოვში ზემოთდახასიათებული გათიშვა.

თუ ავიღებთ პლეხანოვის საკუთრივ ფილოსოფიურ შრომებს და ანალიზს გავუკეთებთ იმ შეცდომების მთელ ერთობლიობას, რომელიც მას აქვს და რომელიც გააკრიტიკა ლენინმა,—საერთოდ შეიძლება აღვნიშნოთ დაახლოვებით ოთხი ღერძი, რომელთა ირგვლივაც თავს იყრიან ეს შეცდომები:

1) გაუგებლობა „დიალექტიკის როგორც შემეცნების თეორიის“, გაუგებლობა მატერიალისტური დიალექტიკის როგორც ფილოსოფიური მეცნიერების, დიალექტიკის დაყვანა მაგალითების ჯამამდე;

2) მიდრეკილება ფორმალიზმისა და ლოგისტიკისადმი;

3) მნიშვნელოვანი ელემენტები აგნოსტიციზმისა, კანტიანელობისა;

4) ვულგარული, მჭვრეტელობითი მატერიალიზმის მნიშვნელოვანი გავლენა.

ლენინის ბრძოლა პლეხანოვის ოპორტუნიზმთან და მის მიერ დიალექტიკის დამახინჯებებთან ჩვენი პარტიის მთელი ისტორიის მანძილზე მიმდინარეობს. ჩვენ აქ მოვიყვანთ მხოლოდ ზოგიერთ ფაქტებს ამ ბრძოლიდან, აღვნიშნავთ რა ამასთან დამახასიათებელ ნიშნებს: ბრძოლა, რომელსაც ეწეოდა ლენინი პლეხანოვის წინააღმდეგ პოლიტიკურ საკითხებში, მუდამ ეხება აგრეთვე მატერიალისტური დიალექტიკის კარდინალურ პრობლემებსაც.

აღვნიშნავთ აქ პლეხანოვის ლენინურ კრიტიკას ფორმალიზმისა და ლოგისტიკისადმი ლტოლვასთან დაკავშირებით. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ლენინის შენიშვნები პარტიის პროგრამის პლეხანოვური პროექტის შესახებ. ლენინი თავის შენიშვნებში პლეხანოვის „მეორე პროექტზე“ შემდეგს წერდა:

„1) იმ უმნიშვნელოვანესი განყოფილების ფორმულირების წესით, რომელიც ეხება კაპიტალიზმის დახასიათებას, ეს პროექტი იძლევა არა მეტად გარკვეული კაპიტალიზმის მეტად რეალურ გამოხატულებათა წინააღმდეგ მებრძოლი პროლეტარიატის პროგრამას, არამედ საზოგადოთ კაპიტალიზმისადმი მიძღვნილი ეკონომიური სახელმძღვანელოს პროგრამას.

2) განსაკუთრებით უვარგისია პროგრამა რუსი პროლეტარიატის პარტიისათვის, იმიტომ, რომ რუსული კაპიტალიზმის ევოლუცია, რუსული კაპიტალიზმით წარმოშობილი წინააღმდეგობანი და საზოგადოებრივი უბედურებანი თითქმის სრულიად შემოვლილი და მიჩქმალულია საზოგადოთ კაპიტალიზმის დახასიათების იმავე სისტემის წყალობით...

იმით დაკმაყოფილება კი, რომ კაპიტალიზმი „თავისი განვითარებული სახით“ საზოგადოთ ხასიათდება ამადაამ თვისებებითო,—ხოლო რუსეთში კაპიტალიზმი „გაბატონებული ხდება“,—ნიშნავს იმ კონკრეტული ბრალდების და ომის გამოცხადების მორიდებას, რომელიც პრაქტიკულად მებრძოლი პარტიისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია“[1].

ეს ღრმა აზრით აღსავსე ლენინური შენიშვნები აშკარად ჰფენენ ნათელს მთელ განსხვავებას ლენინური მატერიალისტურ დიალექტიკასა და პლეხანოვის ფორმალიზმსა, მის ლოგისტიკას შორის უდიდესი საკითხების გადაწყვეტის დროს.

ლენინს აქვს რუსეთის კონკრეტული კაპიტალიზმის კონკრეტული ანალიზის მოთხოვნა და კონკრეტული ამოცანების დასახვა პროლეტარიატის პარტიისათვის, პლეხანოვს—კაპიტალიზმის ზოგადი დახასიათება, აბსტრაქტულობა და რუსული კაპიტალიზმის „თვისებების“

[1] „ლენინის კრებული“, II, გვ. 88—89.

გამოყვანა საზოგადოთ კაპიტალიზმის ცნების დეფინიციიდან. აი ეს „ზოგადათ კაპიტალიზმის დახასიათების სისტემა“—მეტად დამახასიათებელია, როგორც ლენინი აღნიშნავს, მთელი პროგრამისათვის. ნაცვლად კონკრეტული ანალიზისა დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით—პლეხანოვს აქვს ცნებათაგან გამოყვანა, ცნებათა ლოგიკური დეფინიცია და ეს ხომ ფორმალიზმის და ლოგისტიკის დამახასიათებელი თვისებაა.

1907 წ. ივლისში — „რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების“ მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში—ლენინი უბრუნდება პლეხანოვის მეთოდოლოგიის ამავე დახასიათებას, მაგრამ უკვე სხვა საკითხების შესახებ. ის სწერდა: „სხვადასხვა კლასთა მდგომარეობის და ინტერესების კონკრეტული ანალიზი უნდა არკვევდეს ამ ჭეშმარიტების ნამდვილ მნიშვნელობას მის ამათუიმ საკითხში გამოყენების დროს. წინაალმდეგი მსჯელობა, რომელსაც ხშირად იმეორებენ მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატები პლეხანოვის მეთაურობით, ე. ი. კონკრეტულ საკითხებზე პასუხისძებნა ჩვენი რევოლუციის ძირითადი ხასიათის შესახებ ზოგადი ჭეშმარიტების უბრალო ლოგიკურ განვითარებაში, არის მარქსიზმის გარყვნა და დიალექტიკური მატერიალიზმის პირდაპირ სასაცილოდ აღება“[1].

ლენინის ბრძოლას პლეხანოვის თეორიულ და ტაქტიკურ შეხედულებებთან, განსაკუთრებით 1905—1906 წწ. რევოლუციისპერიოდში, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლშევიკური სტრატეგიის და ტაქტიკის გასამარჯვებლად მუშათა მოძრაობაში და მის გასატარებლად რევოლუციაში. უშუალოდ პოლიტიკურ შინაარსთან ერთად ეს ბრძოლა იძლევა განსაკუთრებით მდიდარ მასალას ლენინის ფილოსოფიური პოზიციების შესასწავლად და გამოსარკვევად წინაალმდეგ პლეხანოვის პოზიციებისა. უნდა აღინიშნოს, რომ პლეხანოვი მთელ თავის „არგუმენტაციას“ ტაქტიკურ საკითხებში ეწევა ვითომდა დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით. ის ყოველთვის აკრიტიკებს ლენინს „დიალექტიკური მატერიალიზმის სრული გაუგებლობისათვის“, მისგან გადახვევისათვის. თავის სტატიაში „ცოტარამ „ეკონომიზმის“ და „ეკონომისტების“ შესახებ ის ბოლშევიკების მისამართით თეორიისადმი უზრუნველობის ბრალდებას ისვრის“. „ეკონომისტ“-პრაქტიკოსისთვის, — წერდა ის, — თეორიას საზოგადოთ არ ქონია გასავალი. მაგრამ მაინცადამაინც არც „პოლიტიკური ელფერის ახლანდელ პრაქტიკოსს (ე. ი. ბოლშევიკებს. — ავტ.) უდევს გული თეორიისკენ. თუ სიმართლეზე მიდგა საქმე, ჩვენ ვიტყვით,

[1] ლენინი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში. თხზ. ტ. III, გვ. 12, ქართული გამოცემა—გვ. 10.

რომ ჩვენი ახლანდელი პრაქტიკოს-„პოლიტიკოსები" ისეთივე უზრუნველობას იჩენენ თეორიის შესახებ, როგორსაც იჩენდენ ახლო წარსულის პრაქტიკოს-„ეკონომისტები" [1].

პლეხანოვი განსაკუთრებული გულმოდგინებით დაუსრულებლივ იმეორებს ამავე ცილისწამებას ლენინის შესახებაც. აბრალებს რა ლენინს დიალექტიკის უქონლობას, ის აღნიშნავს მუშათა მოძრაობაში „მეოთხე პერიოდსაც" კი. ის წერს: „აი ამიტომაც ლიკვიდაცია ჩვენი მოძრაობის „მეოთხე პერიოდისა", რომელსაც ახასიათებს ლენინური მეტაფიზიკის გავლენა, ისე, როგორც მისი „მესამე პერიოდი" ხასიათდება „ეკონომიზმის" გავლენით, უნდა მდგომარეობდეს სხვათაშორის იმაში, რომ ბოლოს ამაღლდეს ამ ჯგუფის (ე. ი. „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის) თეორიულ თვალსაზრისამდე. ამას სულ ბეცებიც კი მალე დაინახავენ".

პლეხანოვი არ ჩერდება ამ საზიზღარ გამოსვლებზე ლენინის წინააღმდეგ, ის აღრმავებს მათ, აერცელებს ცილისწამებას, რომელსაც მხარი დაუჭირეს შემდეგ იმ პერიოდში დებორინმა და სხვა მენშევიკებმა, შესახებ მახისტური ფილოსოფიისა, რომელიც ვითომდა ბოლშევიზმის ოფიციალურ ფილოსოფიას წარმოადგენდა. აი რას წერდა ის თავის „წერილებში ტაქტიკის და უტაქტიკობის შესახებ".

„როდესაც ვამბობ, რომ ჩვენ სიტყვით ფაქტიურად ვემხრობით მარქსსა და მის დიალექტიკას, მე, თავისთავად იგულისხმება, მხედველობაში მყავს ჩვენი ახლანდელი ბლანკიზმის თეორეტიკოსები. ფილოსოფიის დარგში ეს ადამიანები სიტყვითაც კი არ მისდევენ მარქსს. ისინი გამოდიან როგორც მისი „კ რ ი ტ ი კ ო ს ე ბ ი"; მათთვის, რომელნიც ემპირიომონიზმის თვალსაზრისზე დგანან, დიალექტიკა — „დიდიხნის გარდალახული საფეხურია" [2].

ეს დაწერა პლეხანოვმა 1906 წ. გაზეთულზე.

ლენინისა და ბოლშევიკებისადმი იდეალიზმის ბრალდებას პლეხანოვი იმეორებს დაუსრულებლივ. ასე ის წერს: „ტაქტიკა, რომელსაც ჩვენი „ბოლშევიკები" იცავენ, ატარებს წვრილბურჟუაზიული იდეალიზმის და წვრილბურჟუაზიული ფსევდორევოლუციურობის აშკარა ნიშნებს"[3]. ქვევით ის წერს: „...ლენინი ამდაბლებს რევოლუციური აზროვნების დონეს... მას შეაქვს უტოპიური ელემენტი ჩვენს შეხედულებაში... ბლანკიზმი ან მარქსიზმი—აი საკითხი, რომელსაც ჩვენ ვწყვეტთ დღეს. ამხ. ლენინმა თვითონვე აღიარა, რომ მისი აგრარული პროექტი მჭიდროდ დაკავშირებულია მის იდეასთან ხელისუ-

[1] პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, ტ. XIII, გვ. 17.
[2] პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი. ტ. XV. გვ. 125. შენიშვნა.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 62. შენიშვნა.

ფლების დაპყრობის შესახებ"[1]. „წერილებში ტაქტიკისა და უტაქტიკობის შესახებ" ის შემდეგნაირად მიმართავს ბოლშევიკებს: „თქვენ სწორედ დოგმატიკოსები ხართ, რომელთაც დაკარგული აქვთ ყოველგვარი უნარი პრაქტიკისადმი. თქვენ საკუთარი ნებისყოფა გამოგაქვთ მთავარ რევოლუციურ ძრავად,—და როდესაც ჩვენ გითითებთ ნაშდვილ ურთიერთობაზე, თქვენ გაკვირით ჩვენს ვითომდ ოპორტუნიზმზე. თქვენ ფიქრობთ, რომ რევოლუციონერს, რომელსაც უნდა ანგარიში გაუწიოს ამ ნამდვილ ურთიერთობას, „ალარაფერი დარჩენია აკეთოს". თქვენი ფრაკცია, როგორც წყლის ორი ცვარი, ჰგავს ვილიბ-შაპერის ფრაქციას, ეს ფრაქცია კი იყო მხოლოდ ბლანკიზმის გერმანული სახესხვაობა, რომელსაც შეეთვისებია მარქსის ტერმინოლოგია და ბისი იდეების ზოგიერთი მის მიერ სრულიად მოუნელებელი ნაგლეჯები... როგორც იდეალისტები ტაქტიკაში, თქვენ, ცხადია, იდეალისტურ კრიტერიუმს უფარდებთ ყველა სხვა პარტიების დაფასებას, თქვენ ცდილობთ განსაზღვროთ მათი ციტატად თუ ბევრად კეთილი ნებისყოფა"[2]. „თქვენი მსჯელობა „იარალის კრიტიკაზე" სხვა არა არის რა, გარდა ტაქტიკური მსჯელობის დარგში ძალმომრეობის იმ დიურინგიანული თეორიის უბრალო გადატანა, რომელსაც ასე მწარედ დასცინოდა ოდესღაც ფრიდრიხ ენგელსი"[3].

სტატიაში, რომელსაც ჩვენ ზემოთ უკვე ვაციტირებდით,—„მუშათა კლასი და სოციალდემოკრატიული იმტელიგენცია",—პლეხანოვი აბრალებს ლენინს ნაროდნიკობას, ესერობას, ბაუერიზმს. ასე, ის წერს: „ლენინის შეხედულებაში ჩვენ ვხედავთ ძრა. მარქსიზმს, არამედ,—ბოდიშს ვიხდი ყურის საჩოთირო სიტყვისათვის,—ბაუერიზმს, გმირების და ბრბოს თეორიის ახალი გამოცემა, შესწორებული და შევსებული სულ ახალი დროის საბაზრო მოთხოვნის თანახმად"[4].

ასეთია სიცრუის, ცილისწამების ის თაიგული ლენინის წინააღმდეგ, რომელსაც აყენებს პლეხანოვი მენშევიკებთან ბოლშევიკების ბრძოლის პროცესში 1905 წ. რევოლუციაში რევოლუციური ტაქტიკის გატარებისათვის, პროლეტარიატის და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ლოზუნგებისთვის, მენშევიკების ოპორტუნიზმის, კადეტურ ლიბერალურ ბურჟუაზიის წინაშე მათი მაჩანჩალობის მხილებისათვის.

---

[1] პლეხანოვი. ტ. XV, გვ. 72.
[2] იქვე, გვ. 108—109.
[3] იქვე, გვ. 115.
[4] იგივე, ტ. XIII, გვ. 133.

შეიძლება გვეჩვენებია, რომ პლეხანოვი ებრძვის ლენინს თითქმის პარტიის მთელი ისტორიის მანძილზე. გარდა იმ პერიოდებისა, როცა ის თვითონ იჩენდა რყევას ბოლშევიზმისაკენ. აქ საჭიროა მხოლოდ შოვიყვანოთ პლეხანოვის მიერ მოცემული დაფასება ლენინის 1917 წ. აპრილის თეზისებისა, რომლებიც წარმოადგენენ საერთაშორისო სოციალიზმის უდიდეს დოკუმენტს, მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდის უაშკარავეს ნიმუშს, თებერვლის რევოლუციაში კლასობრივი ბრძოლის ვითარების და კლასობრივ ძალთა თანაშეფარდების ულრმეს კონკრეტულ ანალიზს. როგორ აფასებს ამ თეზისებს პლეხანოვი? ის წერდა: „მე ვადარებ მის (ე. ი. ლენინის.—ავტ.) თეზისებს დასახელებულ დიდ ხელოვანთა (პლეხანოვი გულისხმობს ჩეხოვსა და გოგოლს.—ავტ.) არანორმალური გმირების სიტყვებს და ერთგვარად ვსტკბები მითი. და მგონია, რომ ეს თეზისები დაწერილია სწორედ იმ ვითარებაში, როდესაც გამოხატა ერთი თავისი ფურცელი ივანესძე პოპრიშინმა. ეს ვითარება ხასიათდება შემდეგი ნიშნით: „რიცხვი არ მახსოვს. აგრეთვე თვეც არ იყო. ეშმაკმა იცის რა იყო". ჩვენ დავინახავთ, რომ სწორედ ასეთ ვითარებაში, ე. ი. დროისა და ადგილის გარემოების სრული უგულებელყოფის ჟამს არის დაწერილი ლენინის თეზისები. ეს კი ნიშნავს, რომ სრულიად მართალი იყო „ედინსტვო"-ს რეპორტიორი, რომელმაც ლენინის სიტყვას „ბოდვა" უწოდა" [1].

აი რა გაბარტყებულ, გააფთრებულ ინსინუაციამდე მიდის პლეხანოვი ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ომის და თებერვლის რევოლუციის შემდგომ პერიოდებში. პლეხანოვი „აკრიტიკებს" ბოლშევიზმს, ჩერდება საკითხის ფილოსოფიურ, მეთოდოლოგიურ მხარეზე, ყოველნაირად ამახინჯებს, ყოველნაირად ათაღლითებს მის შეხედულებებს.

ფილოსოფიის დარგში პლეხანოვის შეცდომების მხილება და დაძლევა ნიშნავს მენშევიზმის დაძლევას ისეთ მნიშვნელოვან თეორიულ დარგში, როგორიცაა მარქსიზმის ფილოსოფია. სწორედ ამ ხაზით მომენშევიკო იდეალიზმთან ბრძოლას ჰქონდა და აქვს უდიდესი პარტიული მნიშვნელობა.

---

[1] პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, ლენინის თეზისებზე და იმაზე, თუ რატომ არის ბანდახან „ბოდვა" საინტერესო. კრებ. „ერთი წელი სამშობლოში", პარიზი.

III. ლენინის ბრძოლა ფილოსოფიურ ოპორტუნიზმთან ჩვენი პარტიის ისტორიაში

გადავიდეთ ოპორტუნიზმთან ლენინის ფილოსოფიური ბრძოლის ისტორიის ფალსიფიკაციის საკითხზე, რომელსაც ჩვენ ვხედავთ მექანიციზმის და მომენშევიკო იდეალიზმის წარმომადგენელთა შრომებში. უნდა აღინიშნოს მომენშევიკო იდეალიზმის მხრით ოპორტუნიზმთან ლენინის ფილოსოფიურ ბრძოლისადმი მიდგომის მთელი რიგი დამახასიათებელი თვისებები. უწინარეს ყოვლისა, და ეს მეტიდროდაა დაკავშირებული მომენშევიკო იდეალიზმის საერთო კონცეპციასთან, დებორინელთათვის დამახასიათებელია ლენინის „წმინდა ფილოსოფიურ შრომების“ მოწყვეტა ყველა მის სხვა შრომებისაგან. ლენინის ისეთი შრომები, როგორც, მაგალითად „რანი არიან „ხალხის მეგობრები“, „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ და სხ., სრულიად გამოეპარათ მხედველობიდან ამ ფილოსოფოსებს ლენინის ფილოსოფიური განვითარების გზისადმი მიდგომის დროს, რამდენადაც აღნიშნული შრომები არ წარმოადგენენ „წმინდა ფილოსოფიურ შრომებსო“. მეორე დამახასიათებელი თვისება ლენინის ფილოსოფიური ბრძოლისადმი მომენშევიკო იდეალიზმის მიდგომის დროს — ესაა ცნობილი თეორია იმის შესახებ, რომ „ლენინი — პლეხანოვის მოწაფეა“, ამიტომ მის ფილოსოფიურ შრომებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ აქვთ, არამედ მნიშვნელობა აქვთ იმდენად, რამდენადაც ისინი ავსებენ პლეხანოვის შეხედულებებსო. მესამე დამახასიათებელი თვისება მათი მიდგომისა ფილოსოფიურ ოპორტუნიზმთან ლენინის ბრძოლისადმი — ესაა უარყოფა ლენინის შრომების საერთაშორისო მნიშვნელობისა წინააღმდეგ ნეოკანტიანელობისა, წინააღმდეგ მახიზმისა, უარყოფა მატერიალისტური დიალექტიკისათვის ლენინის ბრძოლის საერთაშორისო მნიშვნელობისა. დასასრულ, მეოთხე მომენტი — ესაა გაძლიერებული შეპარება მენშევიკური პლეხანოვური იდეისა ორგანიულ კავშირის შესახებ, რომელიც ვითომდა არსებობს ბოლშევიზმსა და მახიზმს შორის. აი ოთხი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც წითელ ზოლადაა გატარებული მომენშევიკო იდეალიზმის წარმომადგენლების მიერ დაწერილ მთელ რიგ სტატიებში, მასალებში, შრომებში. ავიღებთ დებორინის წიგნს „ლენინი როგორც მოაზროვნე“, ლუპოლის წიგნს „ლენინი და ფილოსოფია“, თუ კარევის შრომებსა და სტატიებს — მათში ამათუიმ სახით გაშლილია ყველა ეს მომენტი.

მოვიგონოთ უწინარეს ყოვლისა ის, თუ რას წერდა დებორინი თავის სტატიაში „მახის ფილოსოფია და რუსეთის რევოლუცია“ ჯერ კიდევ 1908 წ. მენშევიკად ყოფნის დროს, შესახებ იმ კავშირისა, რომელიც თითქოს არსებობდა მაჰიზმის ფილოსოფიასა და ბოლშევიზმსა როგორც პოლიტიკურ მოძრაობას შორის.

„სუბიექტივიზმის“, „ვოლუნტარიზმის ბეჭედი აზის, — ამბობს ისიქ, — ეგრეთწოდებული ბოლშევიზმის მთელ ტაქტიკას, რომლის ფილოსოფიურ გამოხატულებას წარმოადგენს მახიზმი. მახიზმი — ეს მსოფლმხედველობა უმსოფლიოდ, როგორც სუბიექტივიზმის და ინდივიდუალიზმის ფილოსოფია, „ბოროტების“, ექსპლოატაციის და სხ. გამამართლებელ ნიცშეანურ იმორალიზმთან შეხამებით, შეიქმნს იდეოლოგიურ ნისლს, რომელიც ბურჟუაზიის პრაქტიკულ მისწრაფებას ფარავს. ბოლშევიკური ფილოსოფოსები და „იდეოლოგები“ არ შორდებიან წვრილბურჟუაზიული გამოსახედის საზღვრებს. ბოლშევიკური სტრატეგები და ტაქტიკოსები კი თავიანთი რომანტიული რევოლუციონიზმით და წვრილბურჟუაზიული რადიკალიზმით პრაქტიკაში იყენებენ თეორიულ პრინციპებს ფილოსოფიურ ნიღილიზმისას, რომელსაც საფუძვლად უდევს ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფა და თვითეულ პიროვნებისათვის უფლების აღიარება — განსაზღვრის ხასიათი ნებადართულისა და ნებადაურთველისა, ჭეშმარიტებისა და ტყუილისა, კეთილისა და ბოროტისა, სამართლიანისა და უსამართლოსი. ჩვენი მახისმაგვარი მარქსისტები — შეგნებული ბოლშევიკებია, რომელნიც განაზრებენ უკანასკნელთა პრაქტიკასა და ტაქტიკას. ბოლშევიკური პრაქტიკოსები და ტაქტიკოსები კი — შეუგნებელი მახისტები და იდეალისტებია. ამნაირად, ობიექტურად მახიზმი რუსულ ნიადაგზე წარმოადგენს ბურჟუაზიის რევოლუციური, რადიკალური ფენის იდეოლოგიას და ამ ფარგლებში პროგრესიულ გავლენას მოასწავებს. ხოლო მარქსიზმის— პროლეტარიატის მსოფლმხედველობის — მიმართ მახიზმი რეაქციონურ როლს თამაშობს. წვრილი ბურჟუაზიის უძლურება და პოლიტიკური ჩამორჩენილობა აიძულებს მას დროებითი მოკავშირენი ეძიოს მოსახლეობის სხვა კლასებს შორის. ყველაზე საიმედო რევოლუციურთანმიმდევარი მოკავშირე კი პროლეტარიატია. მაგრამ, რომ „მიიზიდოს“ ეს უკანასკნელი თუნდაც „პროლეტარიატის და გლეხობის დიქტატურის“ მიზნით, საჭირო ხდება მიმართვა მარქსისტულ ფრაზეოლოგიისადმი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა წვრილბურჟუაზიულ

„არსობის“ დასაფარავად. ჩვენი ესერებიც ბომ — „ავრეთვე მარქსისტები არიან“.

არა გვგონია, სპეციალური კომენტარი იქნეს საჭირო ბოლშევიზმის ამ მენშევიკური ცილისწამებისათვის. საჭიროა აღინიშნოს მხოლოდ, რომ ასეთმა შეხედულებამ მეტად შენიღბულ ფორმით გამოსახულება ჰპოვა დებორინის მიერ 1924 წ. დაწერილ შრომაშიც „ლენინი როგორც მოაზროვნე“, რომელიც 1928 წლამდე სრულიად შეუსწორებლად გამოდიოდა.

უნდა ითქვას, ამ საკითხში ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მაშინდელ დებორინსა და აქსელროდ-ორტოდოქსს შორის გულთბილი ერთიანობა სუფევდა. აქსელროდ-ორტოდოქსს აქვს მთელი რიგი ბოროტეული მენშევიკური სტატიები ფილოსოფიურ საკითხების შესახებ.

აი რას წერდა ის, მაგალითად, სტატიაში „ორი მიმდინარეობა“.

„თუ კავშირი ფილოსოფიასა და საზოგადოებრივ მიმდინარეობებს შორის უმეტეს შემთხვევაში ფარულია, თუ მისი გამოაშკარავება გვიხდება მხოლოდ მონაცემი საზოგადოებრივი მიმდინარეობის შინაგანი შინაარსის ანალიზის საშუალებით, — სამაგიეროდ კავშირი ბოლშევიზმისა და მახიზმს შორის თვალში ხვდება ადამიანს ვულგარულ-ემპირიული თვალსაზრისითაც ანუ, ემპირიკოს-კრიტიკოსების ტერმინით რომ ვთქვათ, წმინდა აღწერილობითი თვალსაზრისითაც. მართლაც, ბოლშევიზმის თეორეტიკოსთა უმრავლესობა ემპირიოკრიტიკულ მოძღვრებას აღიარებს. ამ თეორეტიკოსთათვის ფილოსოფია სერიოზული საგანი კი არ არის, არამედ აზროვნების მეთოდია, რომლითაც ისაზღვრება მათი პრაქტიკული მოღვაწეობის წესებიც. ამიტომ გასაგებია, რომ მათი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა ახდენდა და ახდენს გავლენას სოციალდემოკრატთა ამ წრეზედაც, რომელსაც ფილოსოფიასთან უშუალო დამოკიდებულება არ აქვს“ [1].

ქვევით ამავე სტატიაში ის კვლავ სრულიად ცილისწამებლურად გვიხატავს „ბოლშევიზმის ფსიქოლოგიასა და ლოგიკას“, როგორც ის ამბობს, ცდილობს რა დაამტკიცოს ნათესაობა, იგივეობა ბოლშევიზმისა მახიზმთან.

პლეხანოვის თეზისი ბოლშევიზმის და მახიზმის ნათესაობაზე, რომელსაც ასე გულდაგულ ანვითარებდენ და ქადაგებდენ დებორინი და აქსელროდი, ლენინის მიერ იქნა მხილებული. თავის შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ ლენინი წერდა:

---

[1] კრებული „ნა რუბეჟე“, 1909 წ., რომელშიაც მონაწილეობდენ ფ. დანი, ა. დებორინი, დ. კოლცოვი, ვ. ლვოვი, ლ. მასლოვი, პარტინოვი, ნევედომსკი, ლ. ორტოდოქსი, ა. პიტრესოვი.

„პლეხანოვი თავის შენიშვნებში მაიბბის წინააღმდეგ იმდენად არ ცდილობდა მაბის გაბათილებას, რამდენადაც ბოლშევიზმისათვის ფრაქციული ზიანის მიყენებას. ძირითად თეორიულ უთანხმოებათა ასე წვრილმანად და უბადრუკად გაბოყენებისათვის ბგი უკვე სამართლიანად დაისაჯა — მენშევიკ-მაბისტების ორი წიგნაკით“ [1].

ახლა გადავიდეთ ამბ. ლუპოლის შრომაზე „ლენინი და ფილოსოფია“.

ჩვენ იქ ვნახულობთ:

„თავის წიგნში ის არ ანვითარებდა დადებითი ფორმით დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებს, არამედ განმარტავდა მათ მარქსიზმის ფილოსოფიური რევიზიონისტების უარყოფითი კრიტიკის ფორმით. პოლემიკური ამოცანა საბლვრავდა ლენინის წიგნის აგებულობის მეთოდსა და ხასიათს. რევიზიონისტების თვითეულ ძირითად დებულებისთვის ის ნახულობს ფესვებს დასავლეთის იდეალისტურ ფილოსოფიურ ლიტერატურაში და, ააშკარავებს რა ამნაირად მათ იდეალისტურ, ანტიმარქსისტულ ხასიათს, უპირდაპირებს მოკლედ მატერიალისტურ თეზისებს, იღებს რა მათ არა მარტო მარქსისა და ენგელსისაგან, არამედ ისეთ მატერიალისტებისაგანაც კი, როგორიც არიან დიდრო, ფეიერბახი, იოსებ დიცგენი, პლეხანოვი“ [2].

აი ლენინის ფილოსოფიური გზის ფალსიფიკაციის მაგალითი. განსაკუთრებით უცნაურია ლენინის წიგნზე ასეთი სტრიქონების კითხვა, რომელიც დაიწერა 1925-1926 წ.წ. და დაიბეჭდა 1929 წ., საკითხის იმ შესანიშნავი, ღრმა დაყენების შემდეგ, რომელიც მოგვცა თავის შრომებში ამბ. სტალინმა 1924 წ.

ასეთი ფალსიფიკაციის მბილების დროს უნდა ითქვას, რომ ლენინი სულ თავის პირველ შრომებიდანვე გვაძლევს მარქსიზმის იმ ბოქმედებითი ხასიათის გაგების ნიმუშებს, რომელზედაც თავში იყო ლაპარაკი. ლენინი თავის პირველ შრომებიდან დაწყებული ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა ს უ კ ა ვ შ ი რ ე ბ ს პ ო ლ ი ტ ი კ ა ს, იძლევა ფილოსოფიის პარტიულობის ნიმუშებს. როდესაც ის აკრიტიკებს ნაროდნიკების ეკონომიურ, პოლიტიკურ შეხედულებებს, ის არ ჩერდება ამაზე, არამედ იძლევა აგრეთვე მათი ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ შეხედულებათა გაშლილ კრიტიკასაც. შევადაროთ თუნდ ორი შრომა: პლეხანოვის „მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის“ და ლენინის „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და ჩვენ მაშინვე შევნიშნავთ უდიდეს განსხვავებას, რომელიც არსებობს ლენინსა და პლე-

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიკიზმი თხს. ტ. XIII, გვ. 290. შენიშვნა; ქართ. გამ.—361.

[2] ლ უ პ ო ლ ი, ლენინი და ფილოსოფია. გვ. 21 — 22.

ხანოვს შორის, ლენინის და პლეხანოვის მიერ მარქსიზმის გაგებას შორის. რას იძლევა პლეხანოვი თავის წიგნში? ცნობილია, რომ პლეხანოვის ეს წიგნი — ერთერთი მისი საუკეთესო წიგნია მარქსიზმის ფილოსოფიის შესახებ, მასზე იზრდებოდა და გაიზარდა უკვე მარქსისტთა მთელი რიგი თაობანი. ჩვენთვის ნათელია, რომ ამ წიგნის შესწავლა აუცილებელია, უამისოდ შეუძლებელია გახდე ნამდვილი მარქსისტი, ნამდვილი კომუნისტი, მაგრამ საჭიროა მისი შესწავლა არადებორინულად. იგი უნდა შეისწავლოთ. კრიტიკულად, გამოვარკვიოთ პლეხანოვის შეცდომები და ის, თუ რაში აღემატება ლენინი პლეხანოვს. პლეხანოვს აქვს მ ა რ ქ ს ი ზ მ ი ს, მარქსისტული ფილოსოფიის და მარქსიზმის ისტორიული მომზადების მეტად ა კ ა დ ე მ ი - უ რ ი გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა. ჩვენ უკვე ამ წიგნში ვხედავთ მექანიციზმის მნიშვნელოვან ელემენტებს, შეცდომებს გეოგრაფიული გარემოს როლის საკითხის შესახებ; „გეოგრაფიული გადახრა“, ბუნების და საზოგადოების დამოკიდებულების გაუგებლობა. პლეხანოვს სრულიად არა საკმაოდ აქვს დაყენებული და განვითარებული საკითხი მარქსიზმში, ისტორიის მატერიალისტურ გაგებაში კლასობრივი ბრძოლის თეორიის როლის და მნიშვნელობის შესახებ. ლენინთან კი ჩვენ თავიდანვე ვხედებით პარტიულ მებრძოლობას ნაროდნიკებთან ბრძოლაში. ლენინი ამყარებს კავშირს ნაროდნიკების ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ შეხედულებებს შორის. თუ ავიღებთ წარმოების საოჯახო სისტემაში შინამრეწველური სარეწავის ლენინურ ანალიზს, თუ ავიღებთ ნაროდნიკების კრიტიკის კონკრეტულ ხასიათს, რომელიც მომდინარეობს ნაროდნიკების ზოგად ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ შეხედულებათა კრიტიკიდან, თემის, კუსტარულ სარეწავების საკითხებამდე, თუ შევადარებთ მთელ თეორიულ სიმდიდრეს, რომელსაც ლენინი იძლევა, და გავიხსენებთ, რომ ის სწორედ ამ შრომაში ამახვილებს ისტორიული მატერიალიზმის უმნიშვნელოვანეს პრობლემას — საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის საკითხს, — დავინახავთ, რა განსხვავება არსებობს ლენინის და პლეხანოვის ამ შრომებს შორის. ბოლოს უნდა ითქვას, რომ ლენინი არსებითად პ ი რ ვ ე ლ ი და დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ, და არა ისე, როგორც ამას გვიხატავენ დებორინი და ლუპოლი, იძლევა რუსეთში მარქსისტული მსოფლმხედველობის გაშლილ განმარტებას ნაროდნიკების სუბიექტურ სოციოლოგიასთან ბრძოლაში. პლეხანოვმა თავისი წიგნი დაწერა 1894 წ. შ ე მ ო დ გ ო მ ა ზ ე, ხოლო ლენინმა თავისი „ხალხის მეგობრები“ დაწერა 1894 წ. ა პ რ ი ლ შ ი, ამასთან დაწერა თავისთავადად, დამოუკიდებლად იმ მუშაობისა, რომელსაც ეწეოდა პლეხანოვი. როცა ვადარებთ ამ შრომებს, ვააშკარავებთ,

რამდენად უფრო მაღალია ლენინის შრომა, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლენინმა პირველმა მოგვცა რუსეთში ამ თავის წიგნში ნაროდნიკებთან, სუბიექტურ სოციოლოგიასთან ბრძოლაში დიალექტიკური მატერიალიზმის გაშლილი განმარტება.

ლენინმა საერთოდ და ყველაზე თანმიმდევრულად პირველმა ჩაატარა აგრეთვე ბრძოლა ნეოკანტიანელობასთან. ლენინმა ჯერ კიდევ 1894 წ. ბოლოში წაიკითხა სოციალდემოკრატების პეტერბურგის წრეში მოხსენება ბურჟუაზიული ლიტერატურაში მარქსიზმის ასახვის შესახებ, რომელიც მან გამოსცა გადამუშაებული სახით, როგორც წიგნი, ერთსადაიმავე დროს მიმართული ორ ფრონტზე — სტრუვეს და ნაროდნიკების წინააღმდეგ. ჩვენ ვგულისხმობთ ლენინის შრომას „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნი სტრუვეს წიგნში“, რომელიც დაიწერა 1894 წ. დამლევს და გამოიცა 1895 წ.

ეს შრომა იძლევა თეორიული პოლემიკის შეურიგებლობის განსაკუთრებულ ნიმუშს, ორ ფრონტზე ბრძოლის ნიმუშს. მასში ლენინი აკრიტიკებს აგრეთვე სტრუვეს ფილოსოფიურ შეხედულებებსაც, აკრიტიკებს მრავალ ადგილას და შენიშვნაში მარქსიზმის ნეოკანტიანურ რევიზიას, რომელიც გამოისახა სტრუვეს წიგნში. ლენინის შრომებისათვის საზოგადოთ დამახასიათებელია კრიტიკის კონკრეტულობა. შემდეგ შრომებში ბულგაკოვის წინააღმდეგ რეალიზაციის თეორიის საკითხებზე და სხ. ლენინი გვაძლევს მთელ რიგ შენიშვნებს, რომელიც მიმართულია ნეოკანტიანელების წინააღმდეგ, მაშინ როდესაც პლეხანოვი ჯერ კიდევ არ გამოსულიყო არც ბერნშტეინიანული რევიზიის და არც სტრუვეს წინააღმდეგ. მნიშვნელოვანად უფრო გვიან, წერილში პოტრესოვისადმი 1898 წ. 2 სექტემბერს ლენინი აღნიშნავს, რომ პლეხანოვი აქამდე არ ილაშქრებს გადაჭრით ნეოკანტიანელების წინააღმდეგ, უთმობს რა სტრუვესა და ბულგაკოვს იკამათონ ამ ფილოსოფიის ძირითად საკითხებზე, თითქოს იგი მარქსისტული ფილოსოფიის შემადგენელი ნაწილი გამხდარიყოსო.

პირველად „პ. ზ. ბ. “-ში გამოქვეყნებული ვარიანტი პლეხანოვის სტატიისა „ეკონომიური ფაქტორის შესახებ“ ნათელ შუქს ფენს მთელი რიგ ფილოსოფიურ საკითხების პლეხანოვურ განმარტებას, კერძოდ ახისიათებს მის დამოკიდებულებას სტურვეს, ბულგაკოვის, ბერდიაევის და სხ. ნეოკანტიანურ რევიზიონიზმისადმი მე-XIX საუკუნის ბოლოში უკვე სტურვეს ცნობილი ლენინური კრიტიკის შემდეგ. პლეხანოვი სტატიის ამ ვარიანტში წერს: „იმ მოწაფეების“ ფილოსოფიური შეხედულებანი, რომელნიც იხრებიან გერმანული „კრიტიკუ-

ლი“ ფილოსოფიისაკენ, არა გვანან „კაპიტალის“ ავტორის ფილოსოფიურ შეხედულებებს. მათ მშვენივრად იციან ეს და არ თვლიან თავს მისი ფილოსოფიის მიმდევრებად. ბაგრამ ეს არ უშლის ხელს მათ აღიარონ მისი ეკონომიური და ფილოსოფიურ-ისტორიული თეორიის სამართლიანობა... ისინი წარმოადგენენ მის მოწაფეებს იმდენადვე, რამდენადაც ისინი, რომელნიც იზიარებენ არა მარტო მის ეკონომიურ და ფილოსოფიურ-ისტორიულ, არამედ აგრეთვე ფილოსოფიურ შეხედულებებსაც. ნეოკანტიანელი, რომელიც აღიარებს „კაპიტალის“ ავტორის ეკონომიური და ფილოსოფიურ-ეკონომიური თეორიის სამართლიანობას, ამ ფარგლებში შეიძლება იყოს იმ შესანიშნავი ზოგზრის ისეთივე ერთგული და თანმიმდევარი მოწაფე, როგორც ყველა თანამედროვე მატერიალისტთაგანი, ე. ი. იმათთაგანი, რომელნიც მიმდევენ „კაპიტალის“ ავტორს აგრეთვე ფილოსოფიაშიაც.

მაგრამ შეიძლება გაიზიაროთ რომელიმე მწერლის ფილოსოფიურ-ისტორიული შეხედულებანი და ამავე დროს არ გაიზიაროთ მისი ფილოსოფიური შეხედულება? ამ კითხვაზე არ შეიძლება პასუხის გაცემა ტპირობით: Sa depend, როგორც ფრანგები ამბობენ. მაგრამ რაც შეეხება ნეოკანტიანელებს, უნდა ითქვას დადებითად, რომ მათ შეუძლიათ თავისი ფილოსოფიური თვალსაზრისის შეუცველად, აღიარონ მარქსის ეკონომიურ და ფილოსოფიურ-ისტორიულ შეხედულებათა სამართლიანობა.“[1]

სტატიის ეს ვარიანტი პლეხანოვის მიერ დაწერილია 1897 წ. დასაწყისს ან 1898 წლის დამდეგს. აქ პლეხანოვი მთელი რიგი ტაქტიკური მოსაზრებების გამო, როგორც ვხედავთ, მიდის რევიზიონიზმის თეორიულ დაცვამდე, უშვებს რა მარქსიზმის და ნეოკანტიანელობის შეერთების შესაძლებლობას.

საკუთრივ რომ ვთქვათ, ამ სტრიქონებში არავითარი განსხვავება არ არის ამ საკითხის დაყენებაში მასსა და კაუცკის შორის, რომელიც სწორედ 1898 წ. 22 მაისის წერილში წერდა პლეხანოვს იმავე საგნის შესახებ.

წინააღმდეგ ასეთი პოზიციისა, ლენინს თავის ლიტერატურული მოღვაწეობის დაწყებიდანვე, პირველი თავის დიდი შრომიდან — „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ებრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატებს,“ უპირავეს ნათელი, თანმიმდევრული, რევოლუციური პოზიცია, იცავს რა მარქსისტული მოძღვრების მონოლიტობასა და ბოლიანობას, კატეგორიულად გამოდის მარქსიზმის რომელიმე „მოდურ“ ფილოსოფიურ თეორიასთან შეერთების ყოველგვარი ცდის ან ამ შეერთების შესაძლებლობის ნიშნების წინააღმდეგაც. ლენინი

[1] ჟურნალი „ბოდ ზნამენემ მარქსიზმა“, №4 — 5, 1931 წ., გვ. 15 — 16.

ორსებითად საერთაშორისო ასპარეზზე პირველი გამოდის რეს ნეოკანტიანელების კრიტიკით, მათი ეკონომიური შეხედულებების კონკრეტული კრიტიკით და ანალიზით და სხ. აი როგორია საქმის ვითარება სინამდვილეში, და ეს სინამდვილე სრულიად ეწინააღმდეგება იმას, რასაც წერდა დებორინი.

შემდეგ, უნდა ითქვას, რომ ლენინი არსებითად აგრეთვე ინიციატორია მახიზმის საწინააღმდეგო ბრძოლის, და ესეც სრულიად დამახინჯებული აქვს დებორინს წიგნში „ლენინი როგორც მოაზროვნე." დებორინი ისე გვიჩვენებს საქმეს, თითქოს ნაციზმთან ბრძოლაში გამოვიდა „პლეხანოვის სკოლა," სადაც შედიოდენ პლეხანოვი, აქსელროდი და თვითონ ის, დებორინი, ხოლო ლენინი მხოლოდ შეუერთდა მათ და დაწერა თავისი „მატერიალიზმი, და ემპირიოკრიტიციზმი."

პირველი ინიციატორი მახიზმთან ბრძოლისა სწორედ ლენინი იყო. 1904 წ. აქსელროდმა ლენინის დაჟინებით დაწერა სტატია, რომელიც ბოგდანოველობის წინააღმდეგ იყო მიმართული. დაახლოებით 1901 წ. როცა წაიკითხა ბოგდანოვის წიგნი „ისტორიული შეხედულება ბუნებაზე" და დაინახა, რომ იგი მარქსიზმის იდეალისტურ რევიზიას წარმოადგენს, ლენინმა მოითხოვა, რომ პლეხანოვი და აქსელროდი გამოსულიყვენ ბოგდანოვის კრიტიკით, რადგან თვითონ ის მაშინ უშუალოდ ჩაბმული იყო პარტიულ საქმეებში. მაშინ აქსელროდმა დაწერა თავის სტატია, ამასთან თვითონ იგი აღნიშნავდა, რომ გამოდის ბოგდანოვის კრიტიკით ლენინის დაჟინებული მოთხოვით.

დებორინცები, ისე, როგორც მექანისტები, სრულიად ჩქმალავდენ ამ საერთაშორისო მნიშვნელობას, რომელიც ქონდა ლენინის ბრძოლას ნახიზმთან. ნამდვილად კი ლენინი თვითონ წერდა იმის შესახებ, რომ ამ „ფილოსოფიურ დავას" ისტორიული მნიშვნელობა ქონდა, ყოფ დიალექტიკური მატერიალიზმი უნდა „ბოურიგდეს" ახალ აღმოჩენებს ბუნებისმეტყველების დარგში, რომ პლეხანოვი ამ საკითხს სრულიად არ სვამდა, უგულებელყოფდა ბუნებისმეტყველების საკითხებს.

აი მთელი რიგი მომენტები, რომელიც სპეციალურად უნდა იყოს დამუშავებული თეორიულად. რომ ცხადყოთ ის როლი და მნიშვნელობა, რომელიც აქვს ლენინის ბრძოლას ოპორტუნიზმთან ფილოსოფიის დარგში, რომ ნათელყოთ ის თანმიმდევრობა და შეფერილობა, რომლითაც ვლადიმერ ილიას-ძე ეწეოდა ამ ბრძოლას პარტიის მთელი ისტორიის მანძილზე.

არაა საჭირო საგანგებოდ შეეჩერდეთ იმ მნიშვნელობაზე, რომელიც აქვს ამჟამად ნეოჰეგელიანელობასთან ბრძოლის საკითხებს. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი," ლენინის შრომები ჰეგელზე, მისი სტატია „მერძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ" იძლევიან მატერიალისტური დიალექტიკის გაშლილ თეორიას, ჰეგელის როლისა და მნიშვნელობის ღრმა დაფასებას მარქსიზმის მომზადებაში, დიდებულ იარაღს ჰეგელისადმი მართლა კრიტიკული მიდგომისათვის, მისი იდეალიზმის მხილებისათვის. საერთაშორისო ასპარეზზე ბოლშევიზმის გაშლილ ბრძოლაში ფაშიზმის, სოციალფაშიზმის წინააღმდეგ, ბრძოლაში მეცნიერების ფაშიზაციის წინააღმდეგ, რომელიც იქამდე მიდის, რომ ფაშისტები ცდილობენ თითქმის ყოველი დიდი ბურჟუაზიული მოაზრე გამოიყვანონ ფაშიზმის მამამთავრად და მამად, ჰეგელი იქნება, გეტე, სპინოზა თუ სხვა, — დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძვლების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ლენინური მოძღვრება, მისი ფილოსოფიური შრომები წარმოადგენენ ბრძოლის უბასრეს იარაღს თანამედროვე ნეოჰეგელიანელობის წინააღმდეგ, იარაღს, რომლის შემწეობითაც შეიძლება ფაშიზმს და სოციალფაშიზმს, როგორც ორ ტყუპს, თეორიის სფეროშიაც საშინელი ლახვარი ჩავსცეთ.

/

IV. ლენინი და მატერიალისტური დიალექტიკის შემდგომი განვითარება

ახლა გადავიდეთ საკითხზე იმის შესახებ, თუ რა შეიტანა ახალი ლენინმა დიალექტიკური მატერიალიზმის განვითარებაში.

მარქსიზმის ფილოსოფიის განვითარებაში გამოსავალ პუნქტს ლენინური ეტაპის გასაგებად, იმის გასაგებად, თუ რა შეიტანა ლენინმა ახალი საერთოდ მარქსიზმის განვითარებაში, წარმოადგენს ამხ. სტალინის მიერ მოცემული ლენინიზმის კლასიკური დახასიათება. ჩვენ უნდა გამოვდიოდეთ იქიდან, რაც მთავარია ლენინიზმში,—ესაა მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის ამათუიმ მხარის დამუშავებისას უნდა გამოვიდეთ იქიდან, რომ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება არის მწყობრი, მთლიანი, თანმიმდევრული მოძღვრება, რომ მარქსიზმის სამი შემადგენელი ნაწილი მექანიკურად შეკოწიწებული ნაწილები როდია, რომელთაგანაც ერთი შეიძლება მიიღოთ, ხოლო მეორე სანახევროდ მიიღოთ, ერთი შეიძლება არ შეიგნოთ, ხოლო მეორე

შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ შეიგნოთ და სხ. უნდა გამოვიდეთ იქიდან, რომ მარქსიზმი თანმიმდევრული, მწყობრი, მონოლიტური მოძღვრებაა, რომლისაგანაც არაფრის ამოკლეკვა არ შეიძლება, რომ არ შეირყენას, არ გაუგვანდეს იგი. ჩვენ უნდა გავიგოთ აგრეთვე, რომ მთავარი ლენინიზმში, სახელდობრ პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი საზღვრავდა და საზღვრავს მუშაობის ამოცანებსა და მიმართულებას, ლენინიზმის როგორც ახალი ეპოქის მარქსიზმის ცალკეულ მხარეების განვითარებას. აქედან უნდა გამოვიდეთ ჩვენ იმ ახალის გასაგებად, რაც ლენინმა შეიტანა მარქსიზმის ამათუიმ შემადგენელ ნაწილში. მაგრამ ამ უდავო დებულებათაგან ზოგჯერ გამოყავთ უმართებულო დასკვნები, რომელიც არსებითად მოასწავებს ლიკვიდატორულ თვალსაზრისს მარქსიზმის ფილოსოფიის მიმართ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს დაახლოებით ამგვარი ვულგარულ-გაუბრალოებული გამოთქმანი: გამოდიან რა სწორი აზრიდან, რომ ლენინიზმში მთავარია მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, ფიქრობენ, რომ არ უნდა ვეძებოთ არაფერი ახალი, ლენინის მიერ შეტანილი მარქსისტულ ფილოსოფიაში გარდა იმისა, რაც მოცემულია მისგან პროლეტარული რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატურის თეორიაში. ფიქრობენ, რომ მარქსიზმის ფილოსოფიის განვითარებაში ლენინური ეტაპის არსება მდგომარეობს იმაში, რომ ლენინი ანვითარებდა მარქსიზმის ფილოსოფიას როგორც პროლეტარიატის დიქტატურის თეორიას. სხვა სიტყვით, ცდილობენ ლენინიზმის ყველა შემადგენელი ნაწილი, მათ შორის ლენინური ფილოსოფიაც, გათქვიფონ პროლეტარიატის დიქტატურის მოძღვრებაში. ამ თვალსაზრისზე დადგომა — ნიშნავს დადგომას მარქსიზმის ფილოსოფიის მიმართ ლიკვიდატორულ თვალსაზრისზე, რომელიც, ეფარება რა ფრაზებს პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, არსებითად მარქსიზმის ფილოსოფიის განადგურებას ლამობს. ლენინი ანვითარებდა მარქსიზმის ფილოსოფიას როგორც მარქსიზმის ძირითად თეორიულ საფუძველს პარტიის მთელი ისტორიული ბრძოლის მანძილზე პროლეტარიატის დიქტატურისთვის ბრძოლასთან განუყრელად დაკავშირებით, პროლეტარიატის დიქტატურის მოძღვრებასთან, პარტიის მოძღვრებასთან და სხ. განუყრელად დაკავშირებით. მაგრამ უნდა გავიგოთ მთელი ის თავისებური და ახალი, რაც შეაქვს ლენინს მარქსიზმის ამათუიმ მხარეში.

ჩვენ უნდა გამოვიდეთ თავისი სიღრმით განსაკუთრებულ აზრებიდან, რომელნიც გაშალა ამხ. სტალინმა თავის საუბარში პირველ ამერიკულ მუშათა დელეგაციასთან 1927 წ. 9 სექტემბერს. ის ამბობდა:

„ეს ეჭვგარეშეა, რომ არავითარი „ახალი პრინციპი“ ლენინს მარქსიზმისათვის არ „მიუშატებია“, ასე როგორც ლენინს არ გაუკეთებია მარქსიზმის არც ერთი „ძველი“ პრინციპი. ლენინი იყო და რჩება მარქსისა და ენგელსის ყველაზე უფრო ერთგულ და თანმიმდევარ მოწაფედ, რომელიც მთლიანად და სავსებით ემყარებოდა მარქსიზმის პრინციპებს. მაგრამ ლენინი არ იყო მარქს-ენგელსის მოძღვრების მხოლოდ შემსრულებელი. ამასთან ერთად ის იყო მარქსისა და ენგელსის მოძღვრების გამაგრძელებელიც. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ მან კიდევ უფრო განავითარა მარქს-ენგელსის მოძღვრება განვითარების ახალ პირობებთან შეფარდებით, კაპიტალიზმის ახალ ფაზასთან შეფარდებით, იმპერიალიზმთან შეფარდებით. ეს ნიშნავს იმას, რომ ლენინმა, კიდევ უფრო განავითარა რა მარქსის მოძღვრება კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში, შეიტანა მარქსიზმის საგანძურში ახალი რამ იმასთან შედარებით, რაც მოგვცეს მარქსმა და ენგელსმა, იმასთან შედარებით, რისი მოცემა შესაძლებელი იყო წინა იმპერიალისტური კაპიტალიზმის პერიოდში. ამასთან ეს ახალი, რაც შეიტანა ლენინმა მარქსიზმის საგანძურში, მთლიანად და სავსებით ემყარება იმ პრინციპებს, რომლებიც მოგვცეს მარქსმა და ენგელსმა. სწორედ ამ აზრით ლაპარაკობენ ჩვენში ლენინიზმზე, როგორც იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმზე“ [1].

არ არის მარქსისტული ფილოსოფიის არც ერთი საკითხი, მატერიალისტური დიალექტიკის, ისტორიული მატერიალიზმის არც ერთი პრობლემა, რომელიც ლენინს არ განევითარებინოს, არ გაეკონკრეტიზირებინოს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის პირობებთან შეფარდებით ახალ ისტორიულ ეპოქაში. გასაგებია, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხებში ლენინი არ აუქმებს მარქსისტული ფილოსოფიის არც ერთს „ძველ პრინციპს“ და არ უმატებს „ახალ პრინციპებს

სიდიადე ლენინის როგორც პროლეტარიატის თეორეტიკოსის, როგორც ადამიანის, რომელმაც შოგვცა ანალიზი და გახსნა ახალი ისტორიული ეპოქის, იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის კანონზომიერებანი,—მდგომარეობს იმაში, რომ მან მარქსიზმის პრინციპების მიხედვით, მათ შეუცვლელად და ახალი პრინციპების შეუტანლად, განავითარა მარქსიზმის ყველა შემადგენელი ნაწილი პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის პირობების და ამოცანების შესაბამისად.

[1] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 263,

თუ გადავალთ ახალი ეპოქის პირობების და თავისებურების და იმ ამოცანების დახასიათებაზე, რომელიც იდგა მუშათა კლასის წინაშე მარქსიზმის ფილოსოფიის პროპაგანდის დარგში, უნდა აღენიშნოთ შემდეგი:

პირველად, **იდეალიზმის ბატონობა ინტელიგენციის და ბურჟუაზიულ მეცნიერთა ფართო წრეებს შორის.** ამ მხრივ დიდი განსხვავება არსებობს წინამორბ. პოლისტური კაპიტალიზმის ეპოქასა და მონოპოლიების ბატონობის ეპოქას შორის. იმპერიალიზმის პოლიტიკურ თავისებურებას, როგორც არაერთხელ აღნიშნავს ლენინი, წარმოადგენს „**რეაქცია მთელი ხაზით**". ეს რეაქცია მთელი ხაზით თავის ნათელ გამოსახულებას პოულობს მეცნიერებასა და ფილოსოფიაში. კაპიტალიზმის ახალ ფაზაში შესვლასთან ერთად გაძლიერდა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ფართო წრეების მოთხრუნება იდეალიზმისა, მისტიკისა და ხუცობისადმი. ფართო მეცნიერული წრეები სულ უფროდაუფრო აქცევდენ ზურგს მატერიალიზმს. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია გეკელის წიგნის „მსოფლიო განცოცხლებ"-ს ბედი და ის იდეალისტური ეკლექტიკანალია და აურზაური, რომელიც ატყდა ბურჟუაზიულ პრესაში მის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

მეორედ, ფიზიკის და მთელი ბუნებისმეტყველების ღრმა კრიზისი, რომელიც დიდათ ვანვითარდა უკვე XX საუკუნის დასაწყისში. მთელმა მეცნიერებამ, განსაკუთრებით ფიზიკამ, განიცადა უდიდესი განვითარება, რომელმაც შეცვალა ძირითადი ძველი წარმოდგენანი მატერიის სტრუქტურაზე, სივრცესა და დროზე, მატერიასა და მოძრაობაზე, მიზეზობრივობის პრინციპზე და სხ.. ელექტრონის, ქვანტური პროცესების და სხ. აღმოჩენამ მთელი გადატრიალება მოახდინა ძველ წარმოდგენებში. ამის მიხედვით მრავალმა ბურჟუაზიულმა მეცნიერმა რეაქციონური იდეალისტური დასკვნების გამოყვანა დაიწყო. ლენინი უთითებს „ფიზიკური იდეალიზმის", „ფიზიოლოგიური იდეალიზმის" განვითარებაზე და სხ.. ლენინი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ აქ ჩვენს წინაშე ერთგვარი საერთაშორისო იდეური მიმდინარეობაა, რომელიც არაა დამოკიდებული რომელიმე ერთ ფილოსოფიურ სისტემაზე, არაუნდ გამომეინარეობს ზოგიერთ, ფილოსოფიის გარეშე მდებარე, ზოგად მიზეზებიდან" [1].

ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „თანამედროვე ფიზიკის კრიზისის **არსი** მდგომარეობს ძველი კანონების და ძირითადი პრინ-

[1] ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ. ტ XIII, გვ. 247; ქართ.—308.

ციპების რღვევაში, ცნობიერების გარეშე არსებული ობიექტური რეალობის უკუგდებაში, ე. ი. მატერიალიზმის იდეალიზმით და აგნოსტიციზმით შეცვლაში. „მატერია გაქრა“!—ასე შეიძლება გამოვხატოთ ის ძირითადი და, მრავალ კერძო საკითხის მიმართ, ტიპიური სიძნელე, რომელმაც ეს კრიზისი შექმნა“ [1].

მესამედ, მთელი ბურჟუაზიული ფილოსოფიის სპეციალიზაცია ყოველგვარ გნოსეოლოგიურ საკითხებში, ყოველგვარ გნოსეოლოგიურ წვრილმანებში ფილოსოფიური დასაბუთების გამოსაძებნად ხუცოწისაკენ მობრუნებისათვის ინტელიგენციის ფართო წრეებში, ბურჟუაზიული მეცნიერების ამ კრიზისისათვის.

ფართო განვითარება ნეოკანტიანური იდეალიზმისა, თანამედროვე ბუნებისმეტყველების „მათემატიკური დასაბუთებისა“, გაფურჩქვნა ემპირიოკრიტიკული ლიტერატურისა, იმანენტებისა, ინტუიტივისტებისა, ფენომენოლოგისტებისა და სხ. და სხ., რომელნიც იგონებენ ათასნაირ გნოსეოლოგიურ დაქნილობასა და დეტალს, რათა მეათასერთჯერ დაარღვიონ საძულველი მატერიალიზმი,—აი XX საუკუნის დასაწყისის ფილოსოფიური განვითარების სურათი.

მეოთხედ, მთელი ამ იდეალისტური რეაქციის გამოსახულება სოციალისტურ პარტიათა წრეში და ფილოსოფიური რევიზიონიზმის, ოპორტუნიზმის განვითარება, დაწყებული მარქსისტული ფილოსოფიის ნეოკანტიანური რევიზიიდან და გათავებული ბოგდანოვურ ემპირიომონიზმით. ყვირილი მარქსიზმში „თეორიულ შემეცნებითი“ დასაბუთების უქონლობაზე, მარქსიზმის ქვეშ „ახალი გნოსეოლოგიური საძირკვლის“ ამოყვანის აუცილებლობაზე, მარქსიზმისათვის შემეცნების თეორიის დარგში ფილოსოფიის უახლეს „მინაწევთა“ გათვალისწინების აუცილებლობაზე, წერა იმის შესახებ, რომ მატერიალიზმი უკვე მოძველდა,—ფართო გავრცელებას პოულობს. „მარქსიზმის თანდათან უფრო მოხერხებულად გაყალბება, ანტიმატერიალისტურ მოძღვრებათა თანდათან უფრო მოხერხებულად მიტმასნება მარქსიზმზე,—აი რა ახასიათებს თანამედროვე რევიზიონიზმს პოლიტიკურ ეკონომიაშიც, ტაქტიკის საკითხებშიც, საერთოდ, ფილოსოფიაშიც როგორც გნოსეოლოგიაში, ისე სოციოლოგიაში“ [2],—წერდა ლენინი.

---

[1] ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, ტ. XIII, გვ. 211; ქართ.—263.

[2] იქვე, გვ. 270; ქართ.—337.

დასასრულ, მეხუთედ, — მარქსისტული ფილოსოფიის წარმომადგენლების მხრით თავისი პასუხის გაცემის აუცილებლობა იმ საკითხებზე, რომელნიც წამოიჭრენ ბუნებისმეტყველებაში მომხდარ რევოლუციასთან დაკავშირებით; აუცილებლობა უახლეს აღმოჩენებთან „შესათანხმებლად“, აუცილებლობა დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით ყველა უახლესი ყალთაბანდობის და დაქნილობის დასამსხვრევად ბურჟუაზიული, პროფესორული ფილოსოფიის დარგში, მეცნიერების ყველა ნამდვილ მინაღწევზე დაყრდნობით; ბოლოს, აუცილებლობა უაღრესად გადამწყვეტ წინააღმდეგობის გასაწევად ამ ანტიმატერიალისტურ რეაქციისათვის მუშათა პარტიებში. აი რატომ მოითხოვდა ლენინი იდეალისტურ ფილოსოფიასთან ბრძოლის განხილვის აუცილებლობას ახალი ეპოქის ნამდვილ მეცნიერულ აღმოჩენათა თვალსაზრისით, აი რატომ წერდა ლენინი:

„ახალ ფიზიკასა, ანუ, უკეთ ვთქვათ, ახალი ფიზიკის განსაზღვრულ სკოლასა ერთი მხრით და მახიზმსა და თანამედროვე იდეალისტური ფილოსოფიის სხვა მიმდინარეობათა შორის კავშირის არსებობა ყოველ ეჭვს გარეშეა. მახიზმის გარჩევა და ამ კავშირის უგულებელყოფა, — როგორც ამას პლეხანოვი შვება, — ნიშნავს დიალექტიკური მატერიალიზმის სულის აბუჩად აგდებას, ე. ი. ენგელსის მეთოდის მსხვერპლად შეწირვას ენგელსის მიერვე დაწერილ ამათუიმ ანბანის გულისათვის“ [1].

მთელი ეს ისტორიული ვითარება, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ეს პირობები, მოთხოვნილებანი და ამოცანები ფილოსოფიის და ბუნებისმეტყველების ფრონტზე მოითხოვდენ დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიის შემდგომ განვითარებას, მოითხოვდენ მატერიალისტური დიალექტიკის შემდგომ განვითარებას. ამ ვითარებაში არ შეიძლებოდა დაკმაყოფილება მხოლოდ ზოგადი ძირითადი დებულებების დაცვით, არამედ აუცილებელი იყო მოცემა დიალექტიკური მატერიალიზმის გაშლილი შემეცნების თეორიის, რომელიც უპასუხებდა ბუნებისმეტყველების რევოლუციის ყველა საკითხზე, დაემყარებოდა მეცნიერების განვითარებაში უახლესი ეტაპის და პირველ რიგში საზოგადოებრივი განვითარების უღრმეს შესწავლასა და გაზოგადებას. ლენინი აღნიშნავს, რომ „ენგელსის მატერიალიზმის „ფორმის“ რევიზია, მისი ნატურფილოსოფიური დებულებების რევიზია არაფერს შეიცავს რევიზიონისტურს“

[1] ლ ე ნ ი ნ ი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ. ტ. XIII, გვ. 206, ქართ.—256.

ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, პირიქით, ამას თვით მარქსიზმი მოითხოვს“ [1].

„ლენინიზმის საფუძვლებში“ ამხ. სტალინი წერდა:

„სწორედ ლენინმა მოკიდა ხელი უაღრესად სერიოზული ამოცანის შესრულებას—მეცნიერების მიერ ენგელსიდან ლენინამდე მოპოებულ უმნიშვნელოვანეს მიღწევათა განზოგადებას მატერიალისტურ ფილოსოფიაში და მარქსისტთა შორის არსებულ ანტიმატერიალისტურ მიმდინარეობათა ყოველ მხრივ კრიტიკას. ენგელსი ამბობდა: „მატერიალიზმი იძულებულია მიიღოს ახალი სახე ყოველი ახალი დიდი აღმოჩენის შემდეგ“. ცნობილია, რომ ეს ამოცანა თავის დროისათვის შეასრულა მხოლოდ ლენინმა თავის შესანიშნავ წიგნში: „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ [2].

ლენინს წილად ხვდა შემეცნების მატერიალისტური თეორიის შემდგომი თეორიული დასაბუთება და განვითარება. სწორედ ლენინი ახალი ეპოქის მოთხოვნილების შესაბამისად აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიას და ანვითარებდა ამ მხრით მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას. აი რით აიხსნება ის, რომ ლენინი ასე ღრმად განმარტავდა მარქსისტული ფილოსოფიის საკითხებს, ესმოდა რა მატერიალისტური დიალექტიკა როგორც მარქსიზმის ფილოსოფიური მეცნიერება, იძლეოდა რა დიალექტიკის და შემეცნების თეორიის ერთიანობის მეტად ღრმა გაგებას. ყველა ამ პრობლემაში ლენინს არ შეაქვს „ახალი პრინციპები“ მარქსისტულ ფილოსოფიაში და არ აუქმებს არც ერთს ძველს, არამედ გამოდის მარქს-ენგელსის პრინციპებიდან.

შემდეგი მომენტი, რომელიც უნდა აღინიშნოს, როცა ვლაპარაკობთ ლენინურ ეტაპზე დიალექტიკური მატერიალიზმის განვითარებაში,—ეს ისაა, რომ არა სხვა ვინმე, არამედ თანამედროვე ეპოქის ყველა მარქსისტთაგან სახელდობრ ლენინმა მოგვცა ყველაზე უფრო სრული, გაშლილი კრიტიკა უახლეს ანტიმატერიალისტურ მიმდინარეობათა, რომლებთანაც ბრძოლა გვიხდება დღევანდლამდიაც. უახლესი ფორმები ჰეგელიანელობის, კანტიანობის, ნეოკანტიანობის, მახიზმის, სუბიექტური იდეალიზმის, ბოგდანოველობის, ბოლოს, ფიზიკური იდეალიზმი—ყოველივე ეს ლენინმა დაუნდობლად გააკრიტიკა და ამხილა. ამ ანტიმატერიალისტურ, ანტიდიალექტიკურ მიმდინარეობათა ლენინური კრიტიკა და მხილება ყველაზე უფრო ძლიერია, ვინაიდან ეს არაა მათი

[1] ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ. ტ. XIII, გვ. 206; ქართ. — 26.

[2] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 17; ქართ. — 19.

კრიტიკა ვულგარული მატერიალიზმის პოზიციებიდან, რომელზედაც ზოგჯერ პლეხანოვიც კი გადადიოდა. ლენინი ამ მოძღვრებათა თავის კრიტიკაში დიალექტიკურად აერთებს ლოგიკურ კრიტიკას ისტორიულ-კლასობრივ მიდგომასთან, მონაცემ ნიმდინარეობათა კავშირის განხილვას თანამედროვე ბუნებისმეტყველების მდგომარეობასთან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის შესახებ ჩვენ შეგვიძლია და უნდა აღვნიშნოთ ახალი და თავისებური, დაკავშირებული ლენინის სახელთან,—ესაა ჰეგელისადმი მარქსიზმის დამოკიდებულების საკითხი. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ჰეგელისა და ჰეგელური დიალექტიკისადმი მარქსის დამოკიდებულების საკითხს დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს. რევიზიონისტთა მთელი პლეადა, დაწყებული ბერნშტეინიდან, კუნოვიდან, კაუცკიდან და გითავებული ჩვენი მექანისტებით და ამხ. ბუხარინით,—რომგლსაც არ ესმის რევოლუციური მატერიალისტური დიალექტიკა, რომელიც უარყოფს ან ამახინჯებს მას, არსებითად გამოდის იმ დებულებიდან, რომ მარქს-ენგელსის შრომებს ჰეგელური იდეალიზმის ლაქა აზისო. ამხ. ბუხარინიც კი თავის წიგნში „ისტორიული მატერიალიზმის თეორია", თავი „ისტორიული მატერიალიზმის პრობლემის დაყენებისათვის"—თუმცა საკმაოდ შენიღბული ფორმით—ფიქრობს, რომ მარქსი ამათუიმ სახით დაავადებულია ჰეგელიანელობითო. ეს დაკავშირებულია ბუხარინის მექანისტურ კონცეპციასთან, მარქსიზმსა და ჰეგელს შორის არსებული ნამდვილი თანაშეფარდების გაუგებლობასთან. ლენინის შრომებში ამ საკითხის შესახებ ჩვენ ვხედავთ უწინარეს ყოველისა აღდგენას, დაბრუნებას ამ პრობლემის სწორ გაგებასთან ამ საკითხის ყველა დამახინჯების შემდეგ მე-II ინტერნაციონალის ეპოქაში. მაგრამ მარტო ამით რომ დავკმაყოფილებულიყავით, საესებით ვერ გამოესადეგით ამ პრობლემის ლენინური გადაწყვეტის არსს. ლენინის შრომებში არა მარტო დაბრუნებაა, არამედ ამ პრობლემის შემდგომი განვითარება და კონკრეტიზაციაც—რამდენადაც ლენინს აქვს დიალექტიკური მატერიალიზმის თანმიმდევრულად და სისტემატიურად განვითარებული თეორიის საესებით გაშლილი კონცეპცია. ამ საკითხში ლენინის მიერ მარქს-ენგელსის მოძღვრების კონკრეტიზაცია და შემდგომი განვითარება იმაში მდგომარეობს, რომ ის (მაგალითად, თავის ფილოსოფიურ რეფულებში) იძლევა ჰეგელის დიალექტიკის მატერიალისტური დამუშავების ბრწყინვალე ნიმუშებს ყველა უმნიშვნელოვანეს ძირითად კატეგორიის შესახებ.

შემდეგი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელზედაც საჭიროა შეჩერება, — ეს არის ასახვის თეორიის საკითხი ლენინის შრომებში. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ დიალექტიკის როგორც შემეცნების თეორიის საკითხები, დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი, როგორც დიალექტიკის ბირთვი, ასახვის თეორია — ეს სულაც არაა რაღაც განთვითებული, ერთმანეთისაგან განცალკევებული საკითხები. ყოველივე ეს ლენინის მიერ ბრწყინვალედ დამუშავებული მატერიალისტური დიალექტიკის თეორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემებია. ეს საკითხებია, რომელნიც ორგანიულად დაკავშირებულია ერთიერთმანეთთან. არც ერთი მათგანის გაგება არ შეიძლება სხვების გარეშე. მოგლიჯეთ ასახვის მატერიალისტური თეორია საკითხის ლენინურ დაყენებას იმის შესახებ, რომ „დიალექტიკა არის სწორედ შემეცნების თეორია“, — და ამ დებულებიდან, უფრო სწორად მის ლენინურ შინაარსიდან, აღარაფერი აღარ დარჩება. და განა დიალექტიკა, როგორც შემეცნების თეორია, განა ასახვის თეორია შეიძლება გაგებულ იქნეს დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის როგორც დიალექტიკის ბირთვის გარეშე? განა ლენინური მოძღვრება თეორიის და პრაქტიკის ერთიანობაზე, განა ფილოსოფიის და მეცნიერების პარტიულობის ლენინური პრინციპი შემადგენელი ნაწილები არაა ამ ერთიანი კონცეპციისა? მხოლოდ ამის გაგების შემდეგ შეიძლება შეეჩერდეთ თვითეულ ამ მხარეზე ცალცალკე.

ასახვის თეორიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მატერიალიზმის ყველაზე თანმიმდევრულ დასაბუთებისათვის. სრულიად არაა შემთხვევითი, რომ სწორედ ამ პუნქტში ამჭიდროებს თავის თავდასხმას ლენინიზმის წინააღმდეგ დიალექტიკური მატერიალიზმის დაუძინებელი მტერი სოციალ-ფაშისტი მაქს ადლერი.

თავის შრომაში, რომელსაც ეწოდება „ისტორიის მატერიალისტური გაგების სახელმძღვანელო“ და რომელიც ისე შორსაა მატერიალიზმისაგან როგორც ცა დედამიწისაგან, რომელიც წარმოადგენს სპეციალურად ლენინის წინააღმდეგ მიმართულ შრომას, თავიდან ბოლომდე ცილისწამებლურ, ბოროტეულ, ანტიბოლშევიკურ დოკუმენტს, მაქს ადლერი ორ თავს სპეციალურად უძღვნის ასახვის ლენინური თეორიის განხილვას იმისათვის, რომ გააბათილოს ეს თეორია, რომელიც ჭეშმარიტი მატერიალისტური თვალსაზრისის ნამდვილ დროშას წარმოადგენს.

აი რას წერს მაქს ადლერი ასახვის ლენინური თეორიის შესახებ: „ლენინს ძალიან უყვარს, როგორც ეს უკვე ვიცით, კრიტიკული იდეალიზმის „ძველ ნაგავად“ გამოცხადება. მაგრამ ეს არასავსებით ზრდილობიანი სიტყვა სრული უფლებით უნდა შეეფარდოს იმას,

რასაც ლენინი თავის წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ მრავალჯერ უწოდებს შემეცნების მატერიალისტურ თეორიას. სწორედ ეს არის ფაქტიურად ძველი ნაგავი, ეგრეთწოდებული და საკუთრივ უკვე დიდი ხნის კრიტიკული ფილოსოფიის ხმაურით და სიცილით დამარხული—ასახვის თეორია...“.

ვნახოთ, როგორი დასკვნები გამოყავს თვითონვე ადლერს ასახვის თეორიის „ხმაურით და სიცილით დამარხვის“ შემდეგ. ის ანვითარებს ტიპიურ იდეალისტურ თეორიას, „თანამედროვე ბუნებისმეტყველების“ დასკვნების მიხედვით, „მატერიის გაქრობაზე“, „თეორია“, რომელიც მართლა დამარხულია ლენინის მიერ „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“. „თანამედროვე ბუნებისმეტყველება, — ამბობს ადლერი, — არ საჭიროებს ჰიპოტეზად არა მარტო „ღმერთს“, არამედ არც „მატერიას“, და დიდებულ ინგლისელ ფიზიკოსს პირსონს სრული უფლებით შეეძლო წამოეძახნა: „მატერია გაქრა“. ვეუბნებთ საჭირო იყოს რაიმე კომენტარი...

ასახვის თეორია ლენინური აზრით იღებს შემეცნების მთელ პროცესს, დაწყებული შეგრძნებიდან და გათავებული ცნებით, და იხილავს მას ისტორიულად. და ვინც ამ ასახვის თეორიას ზღუდავს, ვინც სწყვეტს ასახვის თეორიას პრაქტიკისაგან, შემეცნების მთელი ისტორიულ გზისაგან, მას რასაკვირველია, არ ესმის ლენინი, მას, რასაკვირველია, არ შეუძლია გაიგოს ის, თუ რა შეიტანა ახალი ლენინმა ამ საკითხების გაგებაში.

შემდეგი საკითხი, რომელზედაც საჭიროა შეჩერება ლენინური ეტაპის განმარტების დროს, — ეს არის საკითხი დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის შესახებ.

ჩვენში ხშირად შეხვდებით აზრს, თითქოს მხოლოდ ლენინის შრომებში ვნახულობდეთ ამ კანონის, როგორც დიალექტიკის ბირთვის გაგებას. ეს, რა თქმა უნდა, შემცდარი აზრია. საკმარისია მხოლოდ მივუთითოთ „კაპიტალში“ მარქსის მიერ მოცემულ შრომის ორმაგი ხასიათის, გაცვლის პროცესის, ზედმეტი ღირებულების შექმნის, ფულის კაპიტალად გადაქცევის პროცესის, კრიზისების ანალიზზე იმის გასაგებად, რომ ეს კანონი წითელ ზოლად ტარდება მთელ „კაპიტალში“, რომ ის ნამდვილ ბირთვს შეადგენს მარქსისა და ენგელსის შრომებში. ყველას მოეხსენება ენგელსის გამოთქმანი ამის შესახებ „ანტიდიურინგსა“ და „ლ. ფეიერბაზში“. ცნობილია, რომ ამ კანონმა მიიღო განვითარება მარქსისა და ენგელსის შრომებში როგორც მატერიალისტური დიალექტიკის ცენტრალურმა საკითხმა. მაგრამ აქედან სულაც არ გამოიყვანება ის დასკვნა, თითქოს ამ სა-

კითხში ლენინს არაფერი ახალი არ შეეძინდეს, თითქოს ის არ ანვითარებდეს მარქსიზმს. ლენინს ამ საკითხის გადაჭრაშიაც არ შეაქვს ახალი პრინციპები, მაგრამ ლენინი შემდგომ ანვითარებს მატერიალისტურ დიალექტიკას.

იმის გასაგებად, თუ რაშია ამ ახალის არსება, რაც შეაქვს ლენინს დაპირდაპირებულთა ერთიანობის კანონის გაგებაში, საჭიროა უპირველეს ყოვლისა გავიგოთ, თუ რატომ მოიპოვა ამ კანონმა როგორც ობიექტური ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანესმა კანონმა და როგორც შემეცნების კანონმა განსაკუთრებული მნიშვნელობა ახალ ისტორიულ ეპოქაში. თუ ავიღებთ „იმპერიალიზმს“, „სახელმწიფოსა და რევოლუციას“, ლენინის ამ უდიდეს ნაწარმოებთ, რომლებშიაც მოცემულია სახელმწიფოსა და რევოლუციის ურთიერთობის, პროლეტარიატის დიკტატურის პრობლემის ანალიზი, ახალი ეპოქის ანალიზი, ჩვენ დავინახავთ, რომ ისინი აგებული არიან ამ მოვლენებისადმი მატერიალისტური დიალექტიკის ყველა კატეგორიის შეფარდების თვალსაზრისით. მაგრამ ახალი ეპოქის და მისი ძირითადი პრობლემების მთელი ამ ლენინური ანალიზის გასაგებად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონს. ლენინი აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა პრობლემა მისი განვითარების მონოპოლისტურ სტადიაში წარმოადგენს იმპერიალიზმის კრიტიკის ძირეულ ამოცანას. ლენინი წერს: „საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა იმპერიალიზმის საფუძვლების რეფორმისტული გზით შეცვლა, საკითხი იმისა, წინ, ამ საფუძველთაგან გამოწვეულ წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავებისა და გაღრმავებისაკენ წავიდეთ, თუ უკან — მათ მიჩქმალვისაკენ — იმპერიალიზმის კრიტიკის ძირითადი საკითხია. ვინაიდან იმპერიალიზმის პოლიტიკური განსაკუთრებული თვისებაა — რეაქცია მთელი ხაზით და ფინანსიურ ოლიგარხიის ბატონობასა და თავისუფალ კონკურენციის მოსპობასთან დაკავშირებული ეროვნული ჩაგვრის გაძლიერება, — ამიტომ იმპერიალიზმის წინააღმდეგ XX საუკ. დამდეგს თითქმის ყველა იმპერიალისტურ სახელმწიფოში გამოვიდა წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული ოპოზიცია. კაუცკისა და კაუცკიანელობის ფართო ინტერნაციონალური მიმდინარეობის დაშორება მარქსიზმიდან სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კაუცკიმ არა თუ არ იზრუნა წინააღმდეგობა გაეწია და თავისთავი დაეპირდაპირებინა ამ წვრილბურჟუაზიულ, რეფორმისტულ, თავისი ეკონომიური არსით რეაქციონურ ოპოზიციისათვის, არამედ, პირიქით, პრაქტიკულად შეუერთდა მას“ [1].

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ. ტ. XIX, გვ. 160—161; ქართ.—ლენინის ეექვსტომეულის მე-III ტ. გვ. 92.

აშკარაა, საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გავიგოთ წინააღმდეგობათა თეორია, როგორ მოვიხმაროთ მატერიალისტური დიალექტიკის კანონები იმპერიალიზმის ანალიზში, — ეს იმპერიალიზმის კრიტიკის ძირითადი საკითხებია. ამ ხაზით მიდის წყალგაყოფა ბოლშევიზმსა და ყოველგვარ ოპორტუნიზმს შორის. ამ ხაზით მიდის წყალთგაყოფა მატერიალისტური დიალექტიკის ნამდვილ რევოლუციურ გაგებასა და იმათ შორის, ვინც ცდილობდა მატერიალისტური დიალექტიკა დაეყვანა წინააღმდეგობათა შერბილების თეორიამდე. ლენინი აღნიშნავს: „კაუცკის მიერ იმპერიალიზმის თეორიულ კრიტიკას იმიტომ არა აქვს რა საერთო მარქსიზმთან, იმიტომ ნიშნავს იგი არსებითად ოპორტუნისტებსა და სოციალშოვინისტებთან შერიგებისა და ერთობის ქადაგებას, რომ ეს კრიტიკა გვერდს უვლის და ხელს აფარებს იმპერიალიზმის სწორედ ღრმა, ძირითად წინააღმდეგობებს: წინააღმდეგობას მონოპოლიათა და მათთან ერთადეე არსებულ თავისუფალ კონკურენციას შორის; წინააღმდეგობას ფინანსიური კაპიტალის უზარმაზარ „ოპერაციებსა“ (და უზარმაზარ მოგებას) და თავისუფალი ბაზრის „ნამუსთან“ ვაჭრობას შორის; წინააღმდეგობას, რომელიც არსებობს, ერთი მხრით, კარტელებსა და ტრესტებს, მეორე მხრით, კარტელების გარეშე მყოფ მრეწველობას შორის და სხ.“ [1].

ყოველი ჯურის ოპორტუნისტები, რომელნიც შორდებიან მარქსის დიალექტიკას, ჩქმალავენ აგრეთვე ძირითად წინააღმდეგობებს მუშათა კლასისა და ბურჟუაზიას შორის, წინააღმდეგობებს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, წინააღმდეგობებს კოლონიალურ იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის და სხ. და სხ.. ყველა ეს საკითხები *იმპერიალიზმის ანალიზის და კრიტიკის ძირითადი საკითხებია*. ახლა გასაგებია, რომ ამ ეპოქაში არ შეიძლებოდა ძალიან დიდათ არ გამახვილებულიყო საკითხი დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის შესახებ.

ბუნებრივია, რომ ამ საკითხს ლენინის შრომებში შემდგომი თეორიული განვითარება უნდა მიეღო. თავის „იმპერიალიზმის“ შენიშვნებში და მოსამზადებელ შრომებში ლენინი არაერთხელ აღნიშნავს გვერდით დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის სახელდობრ თეორიული, ე. ი. ფილოსოფიური დამუშავების დიდ მნიშვნელობას.

თუ ავიღებთ ლენინის „სახელმწიფოსა და რევოლუციას“, ცხადია, რომ ძირითადი ხაზი, რომლითაც აშენებულია ეს შრომა,—მარქსისტული თვალსაზრისის განვითარების გამორკვევაა სახელმწიფოზე, როგორც კლასობრივი ბრძოლის შეურიგებლობის პროდუქტზე, წინააღმდეგ სოციალ დემოკრატიულ მოძღვრებებისა სახელმწიფოზე, როგორც

[1] ლ ე ნ ი ნ ი, იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, ტ. XIX, გვ. 166; ქართ.—98.

კლასების შერიგების პროდუქტზე. ამნაირად, აქაც მეთოდოლოგიური ხასიათის ძირითადი საკითხი — ეს დაპირისპირებულთა ერთიანობის საკითხია.

ლენინი ანვითარებს და აკონკრეტიზირებს დაპირისპირებულთა ერთიანობის და ბრძოლის მომენტების თანაშეფარდების საკითხს. გავიხსენოთ ცნობილი ლენინური დებულება ბრძოლის აბსოლუტურობის და ერთიანობის, იგივეობის, წინააღმდეგობათა თანამთხვევის შეფარდებითობის შესახებ.

ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს წინააღმდეგობების და წინააღმდეგობათა სხვადასხვა ტიპის კონკრეტულ ანალიზის აუცილებლობას. მართლაც, ჩვენ გვაქვს იმპერიალიზმის ეპოქაში წინააღმდეგობანი თავისი უკიდურესი გამოხატულებით მუშათა კლასსა და კაპიტალისტებს შორის, იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, მეტროპოლიებსა და კოლონიალურ ქვეყნებს შორის. ყველა ეს სხვადასხვა ტიპის წინააღმდეგობაა. აგრეთვე უნდა აღინიშნოს წინააღმდეგობა მუშათა კლასსა და გლეხობას შორის: წინააღმდეგობა მუშათა კლასსა და გლეხობას შორის წინა ეპოქაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამდე, წინააღმდეგობა პროლეტარიატსა და გლეხობას შორის პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში. ჩვენ გვაქვს, დასასრულ, საკითხის განსაკუთრებით გენიალური დაყენება პროლეტარული და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის თანაშეფარდების შესახებ, როდესაც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ამოცანების გადაჭრა პროლეტარული რევოლუციის არაპირდაპირ პროდუქტად ხდება და სხ. მთელი ერთობლიობა ამ პრობლემებისა, რომელნიც წამოიჭრენ საზოგადოებრივი მეცნიერების დარგში, პროლეტარიატის პოლიტიკის მეცნიერული დასაბუთების დარგში, უეჭველად წარმოადგენდა ბაზას მატერიალისტური დიალექტიკის და დაპირისპირებათა ერთიანობის კანონის საკითხის შემდგომი თეორიული განვითარებისათვის, მისი კონკრეტიზაციისათვის, დაპირისპირებათა სხვადასხვა ტიპის გამორკვევისათვის და სხ.

ამუშავებდა რა შემდგომ მატერიალისტურ დიალექტიკას, როგორც ფილოსოფიურ მეცნიერებას, ლენინი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის როგორც დიალექტიკის ბირთვის დამუშავებით. მან მოგვცა შემდგომი თეორიული დამუშავება მატერიალისტური დიალექტიკის ყველა სხვა კატეგორიისა, მათი კავშირისა ერთმანეთთან და დაპირისპირებათა ერთიანობის კანონთან. ზემოთ მატერიალისტური დიალექტიკის კანონების გადმოცემისას ჩვენ ვნახეთ, თუ როგორაა ლენინის მიერ ეს საკითხები დამუშავებული იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის

რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკის მიხედვით, მის მიერ თანამედროვე ბუნებისმეტყველების მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე.

დაბოლოს, საკითხი ფილოსოფიის და მეცნიერების პარტიულობის შესახებ.

მოძღვრება ფილოსოფიის და მეცნიერების პარტიულობის შესახებ წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს რგოლს ლენინის მიერ დიალექტიკური მატერიალიზმის განვითარებაში. სრულიად არაა შემთხვევითი ის გარემოება, რომ სახელდობრ ლენინმა შოგვცა ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის ასეთი ბრწყინვალე შეჩდგომი განვითარება და სწორედ ასეთი მიმართულებით. ახალი ეპოქა, ეპოქა იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციებისა, არის ეპოქა უზარმაზარ კლასობრივ შეტაკებათა, ძლიერ პროლეტარულ აჯანყებათა, ეპოქა კლასობრივი ბრძოლის გაუჯონარი გამწვავებისა. კლასთა ბრძოლა ამ ეპოქაში ღებულობს განსაკუთრებულ სიმწვავეს, კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი კლასები გამოდიან ისტორიულ ასპარეზზე თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულნი, ეს ბრძოლა ადის ახალ საფეხურზე სამრეწველო კაპიტალიზმის პერიოდთან შედარებით. ამ ეპოქაში ძალიან დიდათ ვითარდებიან პოლიტიკური პარტიები. მარტო პროლეტარიატი როდი ჰედავს თავის კომუნისტურ პარტიას თვითეულ ქვეყანაში, აძლიერებს რა ამით უაღრესად თავის შეგნებულებას, თავის შემჭიდროებასა და შეკავშირებულებას. ბურჟუაზიაც აგრეთვე სჰედს თავის პარტიებს. ბურჟუაზია, რომელიც ითვალისწინებს პროლეტარული რევოლუციის გაკვეთილებს რუსეთში, ითვალისწინებს პროლეტარულ რევოლუციათა პირველი ტურის გამოცდილებას დასავლეთში,—გაძლიერებით ირაზმება, ამაგრებს თავის პარტიებს, ქმნის ძლიერ და დისციპლინირებულ, სამხედრო ყაიდაზე აგებულ პარტიულ ორგანიზაციებს, როგორც, მაგალითად, ფაშისტური პარტიები იტალიასა და გერმანიაში. კაპიტალიზმის ანტაგონისტურობა თავის ღრმა გამოხატულებას პოულობს არა მარტო პოლიტიკის, ეკონომიკის დარგში, ეს მძაფრი ანტაგონისტურობა ისახება აგრეთვე მეცნიერების ყველა დარგში, იდეოლოგიურ სფეროში. აქაც დიდი სიცხადით ტარდება კლასობრივი დიფერენციაცია.

თავის სტატიაში „სოციალისტური პარტია და უპარტიო რევოლუციურობა", 1905 წ. დეკემბერში, ლენინი იძლევა პარტიულობის და უპარტიობის დიდებულ დახასიათებას. ასე ის წერს: „მტკიცე პარტიულობა თანამგზავრი და შედეგია დიდათ განვითარებული კლასობრივი ბრძოლისა. და, პირიქით, გაშლილი და ფართე კლასობრივი

ბრძოლის ინტერესებისათვის აუცილებელია მტკიცე პარტიულობის განვითარება“ [1].

შემდეგ ის განაგრძობს: „კლასთა პოლიტიკური ბრძოლის ყველაზე მთლიან, სრულ და ჩამოყალიბებულ გაშოხატულებას წარმოადგენს პარტიათა ბრძოლა. უპარტიობა გულგრილობაა პარტიათა ბრძოლისადმი. მაგრამ ეს გულგრილობა არ უდრის ნეიტრალიტეტს, ბრძოლისაგან თავშეკავებას, ვინაიდან კლასობრივ ბრძოლაში არ შეიძლება იყვნენ ნეიტრალურები, კაპიტალისტურ საზოგადოებაში არ შეიძლება „თავშეკავება“ პროდუქტთა ან სამუშაო ძალის გაცვლაში მონაწილეობის მიღებისაგან. ხოლო გაცვლა აუცილებლად ბადებს ეკონომიურ ბრძოლას და მის შემდგომ პოლიტიკურ ბრძოლასაც. ამიტომ გულგრილობა ბრძოლისადმი ნამდვილად სულაც არ წარმოადგენს ბრძოლისაგან ჩამოშორებას, მისგან თავშეკავებას ან ნეიტრალიტეტს. გულგრილობა ხშაამოუღებლივ მხარის დაჭერაა იმისა, ვინც ძლიერია, იმისა, ვინც ბატონობს“ [2].

იმისათვის, რომ არავითარი ბუნდოვანება არ დარჩეს იმ აზრით, რომ ლენინური დებულებანი ეხება არა მარტო პოლიტიკის საკითხებს, არამედ აგრეთვე იდეოლოგიურ ბრძოლასაც, მოვიყვანთ ერთ ადგილს ლენინის იმავე სტატიიდან. ის ქვეით წერს: „უპარტიულობა ბურჟუაზიული იდეაა. პ ა რ ტ ი უ ლ ო ბ ა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ი დ ე ა ა. ეს დებულება საერთოდ და მთლიანად შეეფარდება მთელ ბურჟუაზიულ საზოგადოებას. რასაკვირველია, უნდა ვიცოდეთ ამ ზოგადი ჭეშმარიტების გამოყენება ცალკეულ კერძო საკითხებისა და კერძო შემთხვევებისადმი“ [3].

ეს ადგილები შესანიშნავი სიცხადით აყალიბებენ პარტიულობის პრობლემას. მართალია, ამ დებულებების, ამ ჭეშმარიტებების გამოყენება იდეოლოგიურ სფეროში, მეცნიერების დარგში მოითხოვს გათვალისწინებული იქნას მონაცემი საგნის თავისებურობა, სპეციფიურობა, განსაკუთრებული ხასიათი ამ დარგისა, განსაკუთრებული ფორმებისა, რომელშიაც აქ იხატება ბრძოლა. ამასთანავე უეჭველია, რომ ეს დებულებანი გვიხსნის ჩვენ ბევრ რამეს ფილოსოფიის და მეცნიერების პარტიულობის ლენინური პრინციპის გასაგებად.

ნათქვამიდან სრულიად ნათელი ხდება, რატომ სახელდობრ ამ მიმართულებით ახალ ეპოქასთან დაკავშირებით და მის შესაბამისად მიდის მარქსისტულ დებულებათა თეორიული განვითარება მეცნიე-

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, სოციალისტური პარტია და უპარტიო რევოლუციურობა, თხზ. ტ. VIII, გვ. 412.

[2] ი ქ ვ ე. გვ. 415.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 416. ხაზგასმულია ჩვენ მიერ. — ა ვ ტ.

რების და ფილოსოფიის პარტიული ხასიათის შესახებ. ლენინის ციტირებულ, 1905 წ. დაწერილ სტრიქონებსა, ფილოსოფიის პარტიულობის და მეცნიერებაში პარტიათა ბრძოლის შესახებ, შესანიშნავ ფურცლებსა „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ 1908 წ. ფილოსოფიის შესახებ ლენინის შენიშვნებსა მე IX—XII „ლენინის კრებულში“ 1924 წ. და ბოლოს ლენინის სტატიას შორის „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“—არსებობს ღრმა შინაგანი კავშირი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს მთელი სისრულით გამოვარკვიოთ მისი მოძღვრება ფილოსოფიის პარტიულობის შესახებ.

ლენინის მიერ მეცნიერების პარტიულობის პრინციპის განვითარება მდგომარეობს იმაში, რომ მან დაგვანახა მთელი შეზღუდულობა ობიექტივიზმისა, რომელიც ვარდება გაბატონებული კლასების აპოლოგეტიკაში, და მთელი შეზღუდულობა სუბიექტივიზმისა, რომელიც საზოგადოებრივ მეცნიერებას აკცევს მეწიანური მორალის მთელ რიგ საჭკუისწავლებო დებულებებად. მან დაგვანახა მთელი შეზღუდულობა ობიექტივიზმისა, რომელიც მიესალმება ისტორიული პროცესის სტიქიურ სვლას და რომელსაც არ ესმის რევოლუციური კლასის აქტიური, მოქმედებითი როლი სანამდვილის შეცვლაში, აგრეთვე მთელი შეზღუდულობა სუბიექტივიზმისა, რომელსაც ისტორიული პროცესი დაყავს განყენებული, გამოგონილი, ამასთან რეაქციონური მორალით და „თანამედროვე ზნეობრივი იდეებით“ აღჭურვილი პიროვნების მოქმედებამდე.

ლენინმა დაგვანახა, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის პარტიულობა სულაც არ მდგომარეობს სუბიექტივიზმის და ობიექტივიზმის სინტეზში (შერიგების აზრით), როგორც წარმოედგინა საქმე დებორინს თავის წიგნში „ლენინი როგორც მოაზროვნე.“ ლენინმა დაგვანახა, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისი უმაღლესი თვალსაზრისია, რომელიც ძლევს და ხსნის როგორც ობიექტივიზმს, ისე სუბიექტივიზმს; ობიექტივიზმს ის ძლევს იმიტომ, რომ გამოდის რევოლუციური კლასის—ქვეყნის შემცველი პროლეტარიატის აქტიურ, მოქმედებითი პოზიციიდან; სუბიექტივიზმს ის ძლევს იმიტომ, რომ მტკიცედ ეყრდნობა ობიექტურ სინამდვილეს და ობიექტურ ფაქტებს.

ფილოსოფიის პარტიულობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს რგოლს, ცენტრალურ მომენტს, რომელიც დამახასიათებელია სწორედ ფილოსოფიური თეორიის პრობლემებისადმი ლენინური მიდგომისათვის. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ სწორედ და სახელდობრ ლენინმა მოგვცა თეორიის და პრაქტიკის ურთიერთობის საკითხის ყველაზე ღრმა, მარქსის და ენგელსის შემდეგ ახალი ეპოქის ფაქტე-

ბით შემოწმებული თეორიული და პრაქტიკული გადაწყვეტა. სწორედ ლენინი თავის შრომებში განუწყვეტლივ ხაზგასმით აღნიშნავდა წინააღმდეგ მე-II ინტერნაციონალის თეორიის და პრაქტიკისა, წინააღმდეგ პლეხანოვისა, მატერიალიზმის ფუძემდებელთა დებულებას, რომ „ჩვენი თეორია დოგმა კი არა, არამედ რევოლუციური მოქმედების სახელმძღვანელოა.“ ლენინური მოძღვრება ფილოსოფიის და საერთოდ თეორიის პარტიულობაზე ღრმა შინაგანი ფესვებით უკავშირდება საზოგადოდ ლენინიზმის მთელ კონცეპციას. იგი დაკავშირებულია იმასთან, რომ სწორედ ლენინიზმმა მოგვცა და ლენინიზმი იძლევა რევოლუციური თეორიის და რევოლუციური პრაქტიკის ერთიანობის ნიმუშებს. მოძღვრება პარტიულობაზე, თითქო ფოკუსში აგროვებს, და სახავს მარქსიზმ-ლენინიზმის მთელრიგ უმნიშვნელოვანეს მხარეებს. ეს მოძღვრება ხატავს ყველაზე სრულად, ყველაზე თანმიმდევრულად, ყველაზე კონკრეტულად ჩვენი ეპოქისათვის მარქსის თეზისს იმის შესახებ, რომ ფილოსოფოსებმა არა მარტო უნდა ახსნან ქვეყანა, არამედ კიდეც უნდა შეცვალონ იგი. ლენინური მოძღვრება ფილოსოფიის პარტიულობაზე, სუბიექტივიზმის და ობიექტივიზმის, თეორიის და პრაქტიკის საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს ფეიერბახის შესახებ მარქსის პირველი თეზისის მშვენიერ განვითარებასა და კონკრეტიზაციას.

ფილოსოფიის და მეცნიერების პარტიულობის პრინციპის ლენინური განვითარების არსება შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სუთი პუნქტით:

პირველი. ლენინური მოძღვრება მეცნიერების და ფილოსოფიის პარტიულობის შესახებ წარმოადგენს პროლეტარიატის ამოცანების საუკეთესო გამოხატულებას მეცნიერების და ფილოსოფიის დარგში, როდესაც მთელი ბურჟუაზიული მეცნიერება განიცდის უმკაცრეს შინაგან კრიზისს და გახრწნას, როდესაც „უპარტიობა ფილოსოფიაში მხოლოდ საბიზღარი, ფარული ლაქიობაა იდეალიზმისა და ფიდეიზმის წინაშე“ [1]. ლენინური მოძღვრება ფილოსოფიის პარტიულობაზე მეცნიერებაში მწვავე კლასობრივი ბრძოლის ეპოქაში წარმოადგენს ბურჟუაზიული ფილოსოფიის და თეორიის, აგრეთვე ყოველგვარი მსგავსი სოციალფაშისტური თეორიების კლასობრივი და პარტიული ხასიათის საუკეთესო მხილებას.

მეორე. თეორიის პარტიულობის პრინციპი ჩვენი თეორიის მოქმედებითობის მარქსისტული თეზისის ყველაზე სრულ და გაშლილ განმარტებას წარმოადგენს. მუშათა კლასის ყველაზე მოწინავე, ყვე-

[1] ლ ე ნ ი ნ ი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ. ტ. XIII, გვ. 290; ქართული გამ.—361.

ლაზე აქტიური, ყველაზე მომქმედ ნაწილს, ლენინიზმის მოძღვრების თანახმად, წარმოადგენს მისი პარტია. ამიტომ, ვისაც ნამდვილად და თანმიმდევრულად სურს გაატაროს მეცნიერების კლასობრივობის თვალსაზრისი, იმან ეს გაგება უნდა გააგრძელოს მეცნიერების პარტიულობის გაგებამდე.

მესამე. ლენინურ მოძღვრებაში ფილოსოფიის პარტიულობაზე მოცემულია თეორიის და პრაქტიკის საკითხის, პრაქტიკის პრიმატის საკითხის ყველაზე სრული და გაშლილი გადაჭრა. ამ საკითხის ლენინური გადაწყვეტა იძლევა ბრძოლის ნიმუშს როგორც ამ პრობლემის იდეალისტურ განმარტებასთან, როცა პრიმატად ითვლება თეორიული მოღვაწეობა, ისე მცოცავ-ემპირიულ თვალსაზრისთან, რომელიც სპობს საერთოდ თეორიას და განსაკუთრებით თეორიული მუშაობის როლსა და მნიშვნელობას. არავინ სხვა, გარდა ლენინისა, აღნიშნავდა ხაზგასმით ყველა თავის შრომაში რევოლუციური თეორიის უდიდეს მნიშვნელობას. აღიარებდა რა, რომ რევოლუციური თეორიის გარეშე არ არის და არც შეიძლება იყოს რევოლუციური მუშათა მოძრაობა, ლენინი ამასთანავე წერდა: „სოციალდემოკრატების თეორიული მუშაობის აუცილებლობის, მნიშვნელობის და სიდიდის ხაზგასმით სრულიად იმის თქმა არ მინდა, რომ ამ მუშაობას უპირატესობა უნდა მიენიჭოს პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი მუშაობის წინაშე: მით უტეტეს არ მინდა ამის თქმა, რომ ეს უკანასკნელი გადაიდოს პირველის გათავებამდი. ასეთი დასკვნის გამოტანა შეუძლიათ მხოლოდ „სუბიექტური მეთოდის“ თაყვანისმცემლებს სოციოლოგიაში, ან კიდევ უტოპიური სოციალიზმის მიმდევრებს“ [1]. მატერიალიზმის პარტიულობის მოძღვრება გამოხატავს სწორედ თეორიის და პრაქტიკის საკითხის ლენინური გადაწყვეტის მთელ სიღრმეს.

მეოთხე. ფილოსოფიის და მეცნიერების პარტიულობის პრინციპი იძლევა ფილოსოფიის, მეცნიერების და პოლიტიკის თანაშეფარდების უმნიშვნელოვანესი საკითხის კლასიკურ გადაწყვეტას. ჩვენ ზევით ვნახეთ, რა სისულელეები აუხუხულავებია ბურჟუაზიულ მეცნიერებას ამ საკითხში და როგორ ცდილობენ მთელი ძალღონით სოციალდემოკრატიული თეორეტიკოსები ყოველგვარი კავშირი გაწყვიტონ პოლიტიკასა და მეცნიერებას შორის. ნამდვილად კი ამ საკითხში ლენინის მიერ უზომოდ ბევრი რამ ახალია მოცემული. საკმარისია გავიხსენოთ დისკუსია პროფკავშირების შესახებ და ლენინის ბრალდება, წამოყენებული მაშინ ამხ. ბუხარინის მიერ, ვითომდა მისი მეტისმეტად „პოლიტიკური“ მიდგომისათვის. მაშინ ლაპარაკი იყო ეკონომიკის და პო-

[1] ლ ე ნ ი ნ ი, რანი არიან „ხალხის მეგობრები“, თხს. ტ. I, გვ. 197-198; ქართ.—265-266.

ლიტიკის თანაშეფარდების შესახებ. როგორ უპასუხებდა ლენინი? ის წერდა: „პოლიტიკა ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულებაა — გავიმეორე მე ჩემს სიტყვაში, ვინაიდან ადრე უკვე გავიგონე ეს მარქსისტის პირში ყოველად უხამსი, სრულიად დაუშვებელი საყვედური ჩემი „პოლიტიკური“ მიდგომისათვის. პ ო ლ ი ტ ი კ ა ს ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ა რ ჰ ქ ო ნ დ ე ს უ პ ი რ ა ტ ე ს ობ ა ე კ ო ნ ო მ ი კ ა ზ ე. სხვანაირად მ ს ჯ ე ლ ობ ა ნ ი შ ნ ა ვ ს მ ა რ ქ ს ი ზ მ ი ს ა ნ ბ ა ნ ი ს დ ა ვ ი წ ყ ე ბ ა ს“ [1].

აქ უდიდესი სიღრმით აშკარავდება მარქსიზმის და მისი დიალექტიკის ლენინური გაგება, მისი კონკრეტული მიდგომა. ის ქვემოთ განმარტავს: „ვინაიდან საკითხი დგას (და მარქსისტულად შ ე ი ძ ლ ე ბ ა იდგეს) მ ხ ო ლ ო დ ასე: საქმისადმი სწორი პოლიტიკური მიდგომის გარეშე მონაცემი კლასი ვერ შეინარჩუნებს თავის ბატონობას, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, ვერ შესძლებს თ ა ვ ი ს ს ა წ ა რ მ ო ო ა მ ო ც ა ნ ი ს გ ა დ ა ჭ რ ა ს ა ც“ [2].

ლენინი აქ განმარტავს, თუ რა აზრით აყენებს ის პირველ რიგში პ ო ლ ი ტ ი კ ა ს მ ი დ გ ო მ ა ს. თუმცა ეკონომიკა სწყვეტს, საბოლოო ანგარიშით, მაგრამ სწორი პოლიტიკური მიდგომის გარეშე, სწორი პოლიტიკური ხაზის გარეშე არ შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს პროლეტარიატის გამარჯვება, ხოლო გამარჯვების შემდეგ მის მიერ ეკონომიური პრობლემების გადაჭრა. შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს აქ ლენინს მოცემული ქონდეს საკითხის დაყენება, რომელიც იხოლოდ ეკონომიკასა და პოლიტიკას ეხება. ეს ასე არაა. ლენინის ამ გამოთქმებს გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობა აქვთ, კერძოდ ისინი მეტად მნიშვნელოვანია თეორიის პრობლემებისადმი ჩვენი მიდგომის გასაგებადაც. და აქ, თეორიის და თეორიული ბრძოლის საკითხებში, პ ო ლ ი ტ ი კ ურ მ ი დ გ ო მ ა ს ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ა რ ჰ ქ ო ნ დ ე ს უ პ ი რ ა ტ ე ს ობ ა. მომენშევიკო იდეალიზმთან ბრძოლის დროს ზოგიერთი მისი წარმომადგენელნი თავვამოდებით იცავდენ ფილოსოფიის უპირატესობას, პრიმატს პოლიტიკაზე, იმ საბუთით, რომ ფილოსოფია საყოველთაო მეთოდოლოგიაა. მათ სრულიად არ ესმით ჩვენი პარტიის თვალსაზრისი ამ საკითხში.

მეტუთე. ფილოსოფიის პარტიულობის მიძღვრება თავის უმნიშვნელოვანეს მომენტად აღნიშნავს აქტიურ ბრძოლას პარტიის გენერალური ხაზისათვის.

ჯერ კიდევ თავის ბრძოლაში სტრუვესთან, როგორც ვნახეთ, ლენინი წერდა იმის შესახებ, რომ „მატერიალიზმი შეიცავს, ასე

[1] ლ ე ნ ი ნ ი, კიდევ პროფკავშირებისა შესახებ. თხს. ტ. XXVI, გვ. 126.

[2] ი ქ ვ ე.

ეთქვათ, პარტიულობას, რაც ავალდებულებს რა მოვლენათა ყოველი დაფასების დროს განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯგუფის თვალსაზრისზე პირდაპირ და აშკარად დადგომას"[1]. პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, როცა პროლეტარიატის ერთიან და ერთადერთ პარტიას მისი კომუნისტური პარტია წარმოადგენს, როცა მტრული, კლასობრივი იდეოლოგიური პროცესები თავის გამოსახულებას პოულობენ პარტიის შიგნით პარტიის გენერალური ხაზიდან სხვადასხვა გადახრების სახით, — პირდაპირ და აშკარად განსაზღვრულ თვალსაზრისზე დადგომა — შეიძლება ნაშნავდეს მხოლოდ ერთს: აქტიურ დაცვას და ბრძოლას პარტიის გენერალურ ხაზისათვის. ყოველივე ამასთან დაკავშირებით დღევანდელი ეპოქისთვის ლენინური დებულების კონკრეტიზირებით შეიძლება ითქვას ასე: ისტორიული მატერიალიზმი ყოველგვარ აშკარა თუ შენიღბულ ოპორტუნიზმთან ბრძოლაში შეიცავს პარტიულობას, ე.ი. ავალდებულებს პირდაპირ და აშკარად, აქტიურად და თანმიმდევრულად აწარმოონ ბრძოლა პარტიის გენერალურ ხაზისთვის. მომენშევიკო იდეალიზმის წარმომადგენლები, ლამობდენ რა ფილოსოფიის პარტიულობის განსაზღვრის მოცემას, იძლეოდენ ფილოსოფიის პარტიულობის მეტად აბსტრაქტულ, მეტად აკადემიურ, უპარტიო განსაზღვრას, რომელიც ეითომ იმას შეიცავდა, რომ თეორიული ფრონტის ფილოსოფიურმა უბანმა უნდა მოძებნოს თვითეული ეპოქის „მეთოდოლოგიური" გასალებიო. ასეთი განსაზღვრის ანტიპარტიულობა იმაში მდგომარეობს, რომ დებორინის ჯგუფს „დაავიწყდა", რომ ერთადერთი ხელმძღვანელი თეორიული და პრაქტიკული ცენტრი პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში არის პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი. ბოლშევიზმის და ბოლშევიკური პარტიის უნიშვნელოვანესი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ხელმძღვანელი შტაბი წარმოადგენს არა მარტო რევოლუციური მოძრაობის პოლიტიკურად ორგანიზებულ ცენტრს, არამედ მის იდეურ-თეორიულ ცენტრსაც. ბოლშევიზმის თავისებურება წინააღმდეგ II ინტერნაციონალის პარტიებისა, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის სჭედს კომუნისტური პარტიის ისეთ ხელმძღვანელობას, რომელიც ნამდვილი თეორიული სინთეზია თეორიისა და პრაქტიკის; თეორიისა და პოლიტიკის, თეორიისა და ორგანიზაციის, თეორიისა და ტაქტიკის. სწორედ იმიტომ, რომ ლენინიზმის ხელმძღვანელი შტაბი იძლევა ასეთ სინთეზს, იგი ნამდვილად მარქსიზმის შემოქმედებითი ცენტრს წარმოადგენს.

---

[1] ლენინი, ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი, თხზ. ტ. I, გვ. 288; ართ. — 374

V ᲐᲛᲮ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲘᲐᲚᲔᲥᲢᲘᲙᲐ

მარქსისტულ-ლენინური თეორიის ყველა შემადგენელი ნაწილის, მათ შორის აგრეთვე მარქსიზმის ფილოსოფიის, შემდგომი განვითარება ამხ. სტალინის სახელთან არის დაკავშირებული. ამხ. სტალინის მთელ პრაქტიკულ მუშაობაში, ყველა მის თეორიულ შრომაში განსახიერებულია პროლეტარიატის მსოფლიო ბრძოლის მთელი გამოცდილება, მარქსისტულ-ლენინური თეორიის შინაარსის მთელი სიმდიდრე. ამხ. სტალინი ანვითარებს და აკონკრეტიზირებს ლენინიზმის მოძღვრებას პირდაპირ ყველა სფეროში. განსაკუთრებულ ყურადღებას ყველა თავის შრომაში ამხ. სტალინი აქცევს თეორიის და პრაქტიკის ერთიანობის პრობლემას, მარქსისტული მოძღვრების მებრძოლი შემოქმედებითი სასიათის საკითხს.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის მებრძოლი ხასიათი, მარქსისტული მოძღვრების როგორც ქვეყნის შეცვლის რეოლუციურ-კრიტიკული იარაღის, თეორიის და პრაქტიკის ერთიანობის განვითარება—ყოველივე ეს თავის შემდგომ განვითარებას ღებულობს ამხ. სტალინის შრომებში. სახელდობრ. მან ჩაატარა უდიდესი ბრძოლა მარქსის დიალექტიკის ყოველგვარ დოგმატიკურ, სქოლასტიკურ დამახინჯებებთან. ბრძოლაში ტროცკის ეოლუნტარიზმთან, ეკლექტიკასთან, ზინოვიევის „ციტატურ მარქსიზმთან“, ბუხარინის სქოლასტიკასთან, წონასწორობის თეორიასთან, მომენშევიკო იდეალიზმთან,—ბრძოლაში ამ თეორიუნებთან ამხ. სტალინს ახალ საფეხურზე აყავს ჩვენი მებრძოლი თეორიის განვითარება.

განსაკუთრებული სიძლიერით ამხელს ამხ. სტალინი საერთაშორისო მენშეიზმის, სოციალფაშიზმის დოგმატიზმს, მათ მიერ მარქსიზმიდან ყოველგვარი რევოლუციური შინაარსის ვამოფიტვას.

ჯერ კიდევ პარტიის VI ყრილობაზე ამხ. სტალინი, უპასუხებდა რა პრეობრაჟენსკის გამოთქმებს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობის შესახებ, აღნიშნავდა:

„არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ სწორედ რუსეთი იქნება ის ქვეყანა, რომელიც გაკაფავს გზას სოციალიზმისაკენ... უნდა მოვიშოროთ დრომოჭმული წარმოდგენა იმის შესახებ, თითქო მხოლოდ ევროპას შეეძლოს ჩვენთვის გზის ჩვენება. არსებობს დოგმატიკური მარქსიზმი და შემოქმედებითი მარქსიზმი. მე უკანასკნელის ნიადაგზე ვდგევარ“ [1].

მთელი მერმინდელი ბრძოლა ტროცკიზმთან, მის ზინოვიევ-კამენევური სახესხვაობასთან გვიჩვენებს,თუ რა გენიალური შორსმჭვრეტე-

[1] კრებ. „ოქტომბრის გზებზე“, გვ. 138, 1925 წ. ხაზგასმულია ჩვენ მიერ.—ავტ.

ლობით გამოიყენა ამხ. სტალინმა მატერიალისტური დიალექტიკა უმნიშვნელოვანეს საკითხისადმი, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის საკითხისადმი. „დოგმატიკურ“ მარქსიზმსა და ნამდვილ მარქსიზმს შორის პრინციპიალური მიჯნის გატარება ლეიტმოტივია ამხ. სტალინის მთელი რიგი შემდგომი გამოსვლების, რომლებშიაც ის ეხება ამ პრობლემებს. განსაკუთრებით უნდა მიექცეს ყურადღება ამხ. სტალინის სტატიას, რომელიც ეძღვნება ლენინის დაბადებიდან 50 წლის თავს, დაბეჭდილს „პრავდაში“ 1920 წ. აპრილში. იქ ამხ. სტალინი წერდა:

„არსებობს ორი ჯგუფი მარქსისტებისა. ორივენი მუშაობენ მარქსიზმის დროშით, თვლიან თავისთავს „ნამდვილად“ მარქსისტულად. და მიუხედავად ამისა, ისინი სულაც არ არიან ერთიდაიგივენი. კიდევ მეტიც, მათ შორის მთელი უფსკრულია, ვინაიდან მათი მუშაობის მეთოდები დიამეტრულად დაპირისპირებულია.

პირველი ჯგუფი ჩვეულებრივად კმაყოფილდება მარქსიზმის გარეგნული აღიარებით, მისი საზეიმო გამოცხადებით. მან არ იცის, ან არ სურს ჩაწვდეს მარქსიზმის არსებას, არ იცის, ან არ უნდა განახორციელოს იგი ცხოვრებაში, ის მარქსიზმის ცოცხალ და რევოლუციურ დებულებებს მკვდარ, არაფრის მთქმელ ფორმულებად აქცევს. თავის მოღვაწეობას ის ამყარებს არა გამოცდილებაზე, არა პრაქტიკული მუშაობის აღრიცხვაზე, არამედ მარქსის ციტატებზე. მითითებებსა და დირექტივებს იღებს არა ცოცხალი სინამდვილის ანალიზიდან, არამედ ანალოგიებიდან და ისტორიულ პარალელებიდან. სიტყვის და საქმის სხვადასხვაობა—ასეთია ამ ჯგუფის მთავარი ავადმყოფობა...

მეორე ჯგუფს, პირიქით, საკითხის სიმძიმის ცენტრი გადააქვს მარქსიზმის გარეგნულ აღიარებიდან მის გატარებაზე, მ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ა ზ ე. დ ა ს ა ხ ვ ა მ ა რ ქ ს ი ზ მ ი ს გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ი ს გ ზ ე ბ ი ს ა დ ა ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი ს ა ვ ი თ ა რ ე ბ ე ბ ი ს შ ე ს ა ფ ე რ ი ს ა დ, შ ე ც ვ ლ ა ა მ გ ზ ე ბ ი ს ა დ ა ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი ს ა, რ ო ც ა ვ ი თ ა რ ე ბ ა ი ც ვ ლ ე ბ ა,—ა ი რ ა ს ა ქ ც ე ვ ს უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ თ ა ვ ი ს ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა ს ე ს ჯ გ უ ფ ი... ამ ჯგუფს სავსებით შეეფერება მარქსის სიტყვები, რომლის ძალით მარქსისტებს არ შეუძლიათ შეჩერდენ იმაზე, რომ ახსნან ქვეყანა, არამედ უნდა წავიდენ წინ, რათა შეცვალონ იგი. ამ ჯგუფის სახელია—ბოლშევიზმი, კომუნიზმი“ [1]. განა საჭიროა უფრო მკაფიო, უფრო ნათელი დახასიათება თვით ამხ. სტალინის „შრომებისაᲗ აგრარიკოს-მარქსისტთა კონფერენციაზე გამოსვლა, სადაც დასმული

[1] ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინის შესახებ. გვ. 5—6, პარტგამომცემლობა, 1932 წ.

იყო კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ამოცანა, სიტყვა სამეურნეო მუშაკთა თათბირზე—ექვსი ისტორიული პირობა, უკანასკნელი გამოსვლები საკოლმეურნეო საკითხების შესახებ და სხ.—ყოველივე ეს ნიმუშებია მარქსიზმ-ლენინიზმის „ცხოვრებაში განხორციელებისა“, ყოველივე ეს ნიმუშებია „მარქსიზმის განხორციელების, ვითარების შესაფერი გზების და საშუალებების დასახვისა, ამ გზების და საშუალებების შეცვლისა, როცა ვითარება იცვლება“.

მრავალჯერ უბრუნდება ამხ. სტალინი საკითხს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ქმედითურ ხასიათზე, ყველა და ყოველგვარ ოპორტუნისტულ დამახინჯებასთან ბრძოლაზე. მოვიყვანთ აქ კიდევ ერთ ადგილს:

„რა არის მარქსიზმი? მარქსიზმი არის მეცნიერება. შეუძლია მარქსიზმს როგორც მეცნიერებას გასძლოს და განვითარდეს, თუ არ გამდიდრდა კლასობრივი ბრძოლის ახალი გამოცდილებით, თუ არ გარდაქმნა ეს გამოცდილება მარქსიზმის თვალსაზრისით, მარქსისტული მეთოდის მხედველობით? აშკარაა, რომ არ შეუძლია.

აშკარა არაა ამის შემდეგ, რომ მარქსიზმი მოითხოვს ძველი ფორმულების გაუმჯობესებასა და გამდიდრებას ახალი გამოცდილების აღრიცხვის საფუძველზე მარქსიზმის თვალსაზრისის დაცვით, მისი მეთოდის დაცვით, ზინოვიევი კი იქცევა პირიქით, იცავს ანბანს და მარქსიზმის ცალკეულ დებულებათა ანბნით ცვლის მარქსიზმის თვალსაზრისს, მის მეთოდს.

რა შეიძლება იყოს საერთო, ერთი მხრით, ნამდვილ მარქსიზმსა და, მეორე მხრით, მარქსიზმის ძირითადი ხაზის ცალკეულ ფორმულების ანბნისა და მარქსიზმის ცალკეულ დებულებებიდან ამოღებულ ციტატებით შეცვლას შორის?“ [1].

ამ დახასიათებას მარქსისტულ მეთოდისას, მატერიალისტურ დიალექტიკისას როგორც მეცნიერებისას, რომელიც განუწყვეტლივ უნდა მდიდრდებოდეს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალი გამოცდილებით, რომელმაც თეორიულად უნდა გააზოგადოს და გადახარშოს ეს გამოცდილება, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მარქსისტული თეორიის არსების გასაგებად. ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის ყველა შრომაში წითელ ზოლადაა გატარებული ძირითადი დებულება ძლიერი მარქსისტული მოძღვრების შემოქმედებით ხასიათზე, რევოლუციური თეორიის და პრაქტიკის ერთიანობაზე, მატერიალისტურ დიალექტიკა-

[1] სტალინი, ოპოზიციის შესახებ, გ. 510.

ზე, რომელიც ქვეყნის შეცნობის და შეცვლის უდიდეს იარაღს წარმოადგენს.

და სწორედ იმიტომ, რომ ამხ. სტალინი გვაძლევს მარქსიზმის ასეთი ქმედითური გაგების და გამოყენების ნიმუშს, სწორედ ამიტომ გვაძლევს მატერიალისტური დიალექტიკის საკითხების შემდგომი თეორიული დამუშავების ნიმუშებსაც. მართლაც, საკმარისია მხოლოდ გავიხსენოთ ამხ. სტალინის გამოსვლები რგოლის საკითხზე, ისტორიული განვითარების სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებზე, შეაძლებლობის და სინამდვილის კატეგორიებზე, მისი კრიტიკა წონასწორობის თეორიის და თვითდინების თეორიისა იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, თუ მატერიალისტური დიალექტიკის საკითხების რა ღრმა თეორიულ განვითარებას გვაძლევს ის ჩვენ. სწორედ ამხ. სტალინი ნამდვილად თანახმად ლენინური ანდერძისა „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ“ ამუშავებს ამ დიალექტიკას ყოველმხრიდან, სარგებლობს რა „დიალექტიკის იმ ნიმუშებით ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის დარგში, რომელ ნიმუშებსაც არაჩვეულებრივად ბევრს იძლევა უახლესი ისტორია, განსაკუთრებით თანამედროვე იმპერიალისტური ომი და რევოლუცია“ [1].

დიალექტიკა მარქსიზმის სულია, ამბობს ლენინის შემდგომ ამხ. სტალინი. პარტიის XVI ყრილობაზე ამხ. სტალინი შემდეგნაირად ახასიათებდა ერთა თვითგამორკვევის უფლების (თვით გამოყოფამდე) საკითხის ლენინურ დაყენებას: „ეს „წინააღმდეგური“ ფორმულა გამოხატავს მარქსისტული დიალექტიკის იმ ცხოველ სიმართლეს, რომელიც ბოლშევიკებს შესაძლებლობას აძლევს აიღონ ყველაზე მიუდგომელი სიმაგრენი ნაციონალურ საკითხის სფეროში“ [2]. შემდეგ აკრიტიკებდა რა ოპორტუნიზმს ის ამბობდა: „ვინც ვერ გაიგო ისტორიული პროცესების ეს დიალექტიკა, ის მარქსიზმისათვის დაღუპულია. ჩვენი უკლონისტების უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მათ არ ესმით და არც უნდათ გაიგონ მარქსისტული დიალექტიკა“ [3].

აქ მოვიყვანთ ორ-სამ ნიმუშს ამხ. სტალინის დიალექტიკისას, რომელიც აძლევდა და აძლევს შესაძლებლობას ბოლშევიკებს აიღონ ყველაზე მიუვალი ციხე-სიმაგრეები. ავიღოთ კოლმეურნეობათა ბუნების ანალიზი, რომელიც მოგვცა ამხ. სტალინმა თავის გამოსვლაში აგრარიკოს-მარქსისტთა კონფერენციაზე. საზღვრავს რა კოლმეურნეობას როგორც სოციალისტური მეურნეობის ერთერთ ფორმას, ამხ. სტა-

---

[1] ლ ე ნ ი ნ ი, მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახ. ტ. XXVII, გვ. 187.

[2] ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 566; ქართ.—663.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 567; ქართ.—664.

ლინი ამ განსაზღვრას უდგება წარმოების პროცესში ადამიანთა ურთიერთობის ანალიზის თვალსაზრისით, ე. ი. ერთადერთი თანმიმდევრული მარქსისტული კრიტერიუმის თვალსაზრისით მეურნეობის სოციალისტური ბუნების განსაზღვრისათვის. და აი ამ ერთადერთ სწორი თვალსაზრისით — „განა კოლმეურნეობა არ წარმოადგენს წარმოების ძირითადი იარაღის განსაზოგადოებას მიწაზე, რომელიც, ამასთან, სახელმწიფოს ეკუთვნის? რა საბუთი არსებობს იმის მტკიცებისათვის, რომ კოლმეურნეობანი, როგორც მეურნეობის ტიპი, არ წარმოადგენენ სოციალისტური მეურნეობის ერთერთ ფორმას?"[1]. არკვევს რა კოლმეურნეობის, როგორც მეურნეობის ტიპის სოციალისტურ ბუნებას, ამბ. სტალინი გადადის კოლმეურნეობის იმ შინაგან წინააღმდეგობათა ანალიზზე, რომელიც ანსხვავებს მას თანმიმდევრულ სოციალისტური ტიპის მეურნეობისაგან, საწარმოებისაგან. განსაკუთრებით საინტერესოა კოლმეურნეობებში კლასობრივი ბრძოლის ელემენტების ანალიზი. ის წერს: „სწორედ იმაშია ჩვენი „მემარცხენე" ფრაზიორების შეცდომა, რომ ისინი ვერ ხედავენ ამ განსხვავებას. რას ნიშნავს კლასობრივი ბრძოლა კოლმეურნეობათა გ ა რ ე თ, კოლმეურნეობების დ ა ა რ ს ებ ა მ დ ე? ეს ნიშნავს ბრძოლას კულაკთან, რომელიც ფ ლ ო ბ ს საწარმოო იარაღებსა და საშუალებებს და რომელიც ა კ ა ბ ა ლ ე ბ ს ღარიბ გლეხებს ამ საწარმოო იარაღებითა და საშუალებებით. ეს არის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ხოლო რას ნიშნავს კლასობრივი ბრძოლა კოლმეურნეობათა ბ ა ზ ა ზ ე? ეს უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს იმას, რომ კულაკი დამარცხებულია და მას წართმეული აქვს საწარმოო იარაღები და საშუალებები... ბოლოს ეს ნიშნავს, რომ საქმე ეხება ბრძოლას კოლმეურნეობათა წევრებს შორის, რომელთაგან ზოგი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ინდივიდუალისტურ და კულაკურ ნაშთებისაგან და ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ერთგვარი უთანასწორობა კოლმეურნეობებში, სხვებს კი სურთ განდევნონ კოლმეურნეობებიდან ეს ნაშთები და ეს უთანასწორობა"[2].

ჩვენ ვხედავთ ამნაირად, როგორ ააშკარავებს ამბ. სტალინი თ ვ ი ს ებ რ ი ვ განსხვავებას, რომელიც არსებობს სოფლად კოლმეურნეობის გარეთ კლასობრივ ბრძოლასა და კოლმეურნეობაში კლასობრივი ბრძოლის ელემენტებს შორის. მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდის, რთული კონკრეტული სინამდვილის ნამდვილად კონკრეტული ანალიზის მეთოდის სრული დაუფლებით, მხოლოდ დიალექტიკის უმნიშვნელოვანესი კანონების, თვისობრიობის რაოდენობის,

---

[1] ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 454; ქართ.—531,

[2] ი ქ ვ ე, გვ. 455; ქართ.—533.

ზომის კანონების, დაპირდაპირებულებათ ერთიანობის კანონის ლენინურად გამოყენების ცოდნით შეიძლება კოლმეურნეობათა სოციალური ბუნების ასეთი ნათელი ანალიზის მოცემა. ერთია—წინააღმდეგობანი სოფლად კოლმეურნეობების გარეთ თვისებრივად სხვანაირ საფუძველზე, მეორეა—არსებული წინააღმდეგობანი კოლმეურნეობებში უკვე სხვა თვისებრივ საფუძველზე, მეურნეობის სხვა ტიპში. ერთია—ბრძოლა კულაკთან, საწარმოო იარაღთა და საშუალებათა მფლობელთან, ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო, მეორეა—ბრძოლა კულაკურ, ინდივიდუალისტურ გადანაშთებთან კოლმეურნეობათა ბაზაზე. ერთია—პირველი ტიპის წინააღმდეგობანი, მეორეა—მეორე გვარი წინააღმდეგობანი.

ამხ. სტალინის ყველა შრომა წარმოადგენს მატერიალისტური დიალექტიკის ასეთი ნიმუშების დაუსრულებელ რაოდენობას. ჩვენ აქ აღვნიშნავთ კიდევ მხოლოდ შემდეგ საკითხს—ნაციონალური და სოციალისტური კულტურის საკითხს. ყველას მოეხსენება ბურჟუაზიის ბატონობის პირობებში და პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ნაციონალური კულტურის ხასიათის და ლოზუნგების სტალინური ანალიზი. აი ფორმის და შინაარსის ერთიანობის გადაწყვეტის ორი ტიპი, რომელსაც გვაძლევს ცოცხალი სინამდვილე და რომელიც ასეთი ოსტატობით გამოააშკარავა ამხ. სტალინმა. აი რას ამბობდა ამხ. სტალინი პარტიის XVI ყრილობაზე: „რა არის ნაციონალური კულტურა ნაციონალური ბურჟუაზიის ბატონობის დროს? თავის შინაარსით ბურჟუაზიული და თავისი ფორმით ნაციონალური კულტურა, რომლის მიზანსაც შეადგენს მასების მოწამელა ნაციონალიზმის შხამით და ბურჟუაზიის ბატონობის განმტკიცება. რა არის ნაციონალური კულტურა პროლეტარიატის დიქტატურის დროს? თავისი შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურა, რომლის მიზანსაც შეადგენს მასების ინტერნაციონალურად აღზრდა და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება. როგორ შეიძლება ამ ორი, პრინციპიულად სხვადასხვა მოვლენის ერთმანეთში არევა მარქსიზმთან კავშირის გაუწყვეტლად?“ [1].

ამხ. სტალინის ამ მოვლენების ანალიზისადმი მიდგომისას მთავარია—ორგვარი ტიპის ბატონობის—ნაციონალური ბურჟუაზიის ბატონობის და სოციალისტური პროლეტარიატის ბატონობის, მისი ბატონობის კლასობრივი სტრუქტურის და კლასობრივი ბუნების განსხვავება. ამ ანალიზში მეტად დამახასიათებელია შინაარსის მატერიალისტური პრიმატი ფორმის და შინაარსის დიალექტიკურ ერთიანობაში. ამხ. სტალინს არ წამს ერთხელ და სამუდამოდ მოცემული ფორ-

[1] სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 565; ქართ.—662.

მის და შინაარსის ერთიანობა,— ის ანალიზირებს ამ ერთიანობის ისტორიულ, კლასობრივ სარჩულს. მეტად დამახასიათებელია განვითარების თეორიის შეფარდება კულტურის საკითხისადმი. მოვიყვანოთ ეს კლასიკური ადგილი ამხ. სტალინის შრომიდან. ის წერდა: „შეიძლება ვისმეს უცნაურად ეჩვენოს, რომ ჩვენ, რომლებიც მომხრენი ვართ იმის, რომ მომავალში ნაციონალური კულტურები შ ე დ უ ღ დ ე ნ ერთ საერთო (ფორმითაც და შინაარსითაც) კულტურაში ერთი საერთო ენით, ამავე დროს მხარს ვუჭერთ ნაციონალური კულტურების ა ყ ვ ა ვ ე ბ ა ს ახლანდელ მომენტში, პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში. მაგრამ ამაში არაფერია უცნაური. ხელი უნდა შევუწყოთ ნაციონალურ კულტურებს განვითარდენ და გაიშალონ, გამოავლინონ მთელი თავისი პოტენცია, რათა შეექმნათ პირობები მათი შ ე დ უ ღ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ერთ საერთო კულტურაში ერთი საერთო ენით. ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურების აყვავება პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ერთ ქვეყანაში, მათი შ ე დ უ ღ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ერთ საერთო სოციალისტურ (ფორმითაც და შინაარსითაც) კულტურაში ერთი საერთო ენით, როდესაც პროლეტარიატი გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში და სოციალიზმი შეიჭრება ყოფაცხოვრებაში,—სწორედ ამაში მდგომარეობს ნაციონალური კულტურის საკითხის ლენინური დაყენების დიალექტიკურობა“ [1].

აი მატერიალისტური დიალექტიკის ნათელი ნიმუშები. ღრმად შეცდება ვინც იფიქრებს, რომ ჩვენ აქ გვაქვს მხოლოდ დიალექტიკის გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა და არა მისი განვითარება, არა მატერიალისტური დიალექტიკის თეორიის დამუშავება. უნდა გავიგოთ, რომ მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ი ს მ ე თ ო დ ი ს ნ ა მ დ ვ ი ლ ი შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა ა რ ი ს ა მ ა ვ ე დ რ ო ს მ ი ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ი თ ე ო რ ი უ ლ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ც. ამ შემთხვევაში ფორმის და შინაარსის ერთიანობის მაგალითით ჩანს, თუ რა თეორიულ სიმდიდრეს ვღებულობთ ჩვენ აქ. გარდა ფორმის და შინაარსის ერთიანობის ორი ტიპისა, განვითარების თეორია, ნაციონალურ საკითხისადმი შეფარდებული, იძლევა დაპირისპირებათა ერთიანობის ახალ ტიპს: კომუნისტური საზოგადოების ფორმითაც და შინაარსითაც ერთიან კულტურას.

ჩვენ აქ მოვიყვანეთ მატერიალისტური დიალექტიკის განვითარების და გამოყენების ორი ნიმუში იმისათვის, რომ გვეჩვენებინა, თუ პარტია და ამხ. სტალინი, ასრულებენ რა ლენინის დირექტივებსა და მითითებებს, როგორ ამუშავებენ ყოველი მხრიდან მატერიალის-

[1] ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 566; ქართ.—663.

ტურ დიალექტიკას, ურომლისოდაც მარქსიზმი, ლენინის თქმით, არა შემმუსვრელია, არამედ შემუსრული. მარქსიზმის შემოქმედებითი გაგების, დიალექტიკური მატერიალიზმის ქმედითური გაგების თვალსაზრისით სრულიად ნათელი ხდება სქოლასტიკური ხასიათი დიალექტიკური დამუშავებისა, რომელსაც „ეწეოდა“ მომენშევიკო იდეალიზმი სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკისაგან გათიშვით.

ჩვენი პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს რევოლუციურ თეორიას, ურომლისოდაც წარმოუდგენელია რევოლუციური პრაქტიკა. მატერიალისტური დიალექტიკა მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციურ სულს წარმოადგენს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

83

წინასიტყვაობა 7

თ ა ვ ი I. მარქსიზმ-ლენინიზმი—პროლეტარიატის მსოფლმხედველობაა.

I. მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი 9
II. მარქსიზმის ისტორიული ფესვები 14
III. მარქსიზმ-ლენინიზმი როგორც თეორიის და პოლიტიკური პრაქტიკის ერთიანობა 31
IV. ლენინიზმი — ახალი და უმაღლესი საფეხურია მარქსიზმის განვითარებაში . 38

თ ა ვ ი II. მატერიალიზმი და იდეალიზმი.

I. ორი მიმართულება ფილოსოფიაში 51
II. მექანიკური მატერიალიზმი 64
III. სუბიექტური იდეალიზმი, მახიზმი, ინტუიტივიზმი 72
IV. კანტის დუალიზმი და თანამედროვე კანტიანელობა . . . 89
V. ჰეგელის აბსოლუტური, ობიექტური იდეალიზმი და თანამედროვე ნეო-ჰეგელიანელობა . . 102
VI. ლ. ფეიერბახის მატერიალისტური ფილოსოფია . . 120
VII. მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიურ შეხედულებათა განვითარება და დიალექტიკურ მატერიალიზმზე გადასვლა 127

თ ა ვ ი III. დიალექტიკური მატერიალიზმი.

I. მატერიალისტური დიალექტიკა, როგორც ფილოსოფიური მეცნიერება . 147
II. სამყაროს მატერიალურობა და მატერიის არსებობის ფორმები . 151
III. მატერია და ცნობიერება. ასახვის დიალექტიკურ-მატერიალისტური თეორია 163
IV. ობიექტური, აბსოლუტური, რელატიური ჭეშმარიტება . . 176
V. საზოგადოებრივი პრაქტიკა როგორც შემეცნების კრიტერიუმი. ფილოსოფიის პარტიულობა 184
VI. დიალექტიკა როგორც ლოგიკა და შემეცნების თეორია 195

თ ა ვ ი IV. მატერიალისტური დიალექტიკის კანონები.

I. დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი 200
II. კანონი რაოდენობის თვისობრიობაში გადასვლისა და პირუკუ 225
III. უარყოფის უარყოფის კანონი . 234

IV: არსობა, მოვლენა, შინაარსი, ფორმა . 244
V. კანონი, მიზეზი, მიზანი 263
VI. აუცილებლობა და შემთხვევითობა . . 284
VII. შესაძლებლობა და სინამდვილე . . . 290
VIII. კატეგორიების ზოგადი ხასიათი . . 300
IX. ფორმალური ლოგიკა და დიალექტიკა 307

თ ა ვ ი V. ბრძოლა ორ ფრონტზე ფილოსოფიაში.

I. ფილოსოფია და პოლიტიკა 326
II. ბრძოლა ორ ფრონტზე და თეორიის ამოცანები პროლეტარიატის დიქტატურის დროს 340
III. დიალექტიკური მატერიალიზმის მექანისტური რევიზია და მემარჯვენე ოპორტუნიზმი 356
ა) მექანისტების პოზიტივიზმი და მათ მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის ფილოსოფიის უარყოფა 363
ბ) დიალექტიკის და ასახვის მატერიალისტური თეორიის რევიზია . 363
გ) შემეცნების თეორიის დაპირისპირება დიალექტიკისადმი . 377
დ) დიალექტიკის შეცვლა მექანიკით. წონასწორობის თეორია . 384
IV. მომენშევიკო იდეალიზმი 399
ა) თეორიის პარტიულობის გაუგებლობა. ლენინური ეტაპის უარყოფა ფილოსოფიაში . . . . . —
ბ) მატერიალისტური დიალექტიკის ჰეგელიანური რევიზია . . 409
გ) დიალექტიკის დაპირისპირება შემეცნების თეორიისადმი და მისი რევოლუციური არსების დამახინჯება . . . 421
დ) კლასობრივი ბრძოლის მენშევიკურ-ტროცკისტული გაგება. მექანიციზმთან დაკავშირება 425
ე) კონტრრევოლუციური ტროცკიზმის და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის მეთოდოლოგიის კრიტიკა 429

თ ა ვ ი VI. დიალექტიკური მატერიალიზმის განვითარებაში ლენინური ეტაპის ძირითადი საკითხები.

I. ლენინი ფილოსოფიის დარგში საერთაშორისო ოპორტუნიზმსა და რევიზიონიზმთან ბრძოლაში 441
II. ლენინი და პლეხანოვი 455
III. ლენინის ბრძოლა ფილოსოფიურ ოპორტუნიზმთან ჩვენი პარტიის ისტორიაში 468
IV. ლენინი და მატერიალისტური დიალექტიკის შემდგომი განვითარება . 476
V. ამხ. სტალინი და მატერიალისტური დიალექტიკა 496